ზაურ მჭედლიძე

სისხლის სამართალი

ქერძო ნაწილი

კომენტარები

ძსუ გამომცემლობა
2000

წიგნში მოცემულია სისხლის სამართლის ახალი კოდექსის კომენტარი. იგი იძლევა თითოეული მუხლის ვრცელ, ამომწურავ განმარტებას, რისთვისაც გამოყენებულია მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურა, მოქმედი კანონმდებლობის ფართო სპექტრი და მასალები სამართალდამცავი ორგანოების პრაქტიკიდან.

წიგნი განკუთვნილია იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტების, ასპირანტების, სასამართლოს, პროკურატურის, შს სამინისტროს მუშაკების, ადვოკატებისა და ამ სფეროთი დაინტერესებულ სხვა პირთათვის.

რედაქტორი

ოთარ გამყრელიძე

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

რეცენზენტები:

მარა ახალაძე

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს კოლეგიის თავმჯდომარე

ომარ მინდაძე

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი

მამუკა შენგელია

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი

რუსუდან ჩაჩხიანი

მასწავლებელი

© ჟსუ გამომცემლობა

08-002-2000

ISBN 99928-79-72-6

რედაქტორისაგან

წინამდებარე ნაშრომში მუხლობრივად არის განხილული საქართველოს 1999 წ. 22 ივლისის სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილი. წიგნი დაწერილია კომენტარის სახით და კოდექსის კერძო ნაწილს მთლიანად მოიცავს.

ამ ბოლო ხანებში ამ სახის რამდენიმე გამოცემა დაიბეჭდა, რომლებიც კოდექსის ცალკეული თავების კომენტარს გვთავაზობს, მაგრამ ისეთი ხასიათის ნაშრომი, სადაც ახალი კოდექსის მთელი კერძო ნაწილის კომენტარი იყოს მოცემული, პირველად ქვეყნდება.

ეს წიგნი გამოდგება სასწავლო სახელმძღვანელოდაც და პრაქტიკოსებსაც დაეხმარება კოდექსის კერძო ნაწილით აღწერილი ქმედების შემადგენლობათა შინაარსის გარკვევაში.

შესავალი

სისხლის სამართალი დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი იარაღია

სისხლის სამართლის კერძო ნაწილი

უმთავრესი ამოცანა სისხლის სამართლისა, ეს არის ბრძოლა დამნაშავეობის წინააღმდეგ.

ამ ამოცანის გადასაწყვეტად სისხლის სამართლის კოდექსი აწესებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, განსაზღვრავს, რომელი ქმედება ითვლება დანაშაულად, ამასთანავე, ადგენს ამ ქმედებათა შესატყვის სასჯელთა სისტემას და მათ სახეებს.

სისხლის სამართლებრივ ნორმათა დახმარებით ხორციელდება საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური და საზოგადოებრივი სისტემის მშენებლობა, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლების, ყველა სახის საკუთრებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა დანაშაულებრივი ხელყოფისაგან.

სისხლის სამართლის კანონი იცავს საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი სხვა ქვეყნის მოქალაქეების, მოქალაქეობის არმქონე პირების უფლებებსა და თავისუფლებას, სახელმწიფოებრივ ინტერესებს, საკუთრებას.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ იგი ერთი ნაწილია იმ დიდი საბრძოლო არსენალისა, რითაც საქართველოს სამართალდამცავი ორგანოები იბრძვიან დამნაშავეობის წინააღმდეგ.

სისხლის სამართალი შედგება ზოგადი და კერძო ნაწილისაგან, რომელთათვისაც განუყოფელია მიზანი და მიმართულება. ხოლო ის ზღვარი, რაც კი ზოგადსა და კერძო ნაწილს შორის არსებობს, განპირობებულია მათი შესწავლის სფეროს სიფართოვით

და პრობლემების მკვეთრი შინაარსობრივი განსხვავებით. საბოლოოდ კი, ორივე ნაწილი ამ დარგისა, ერთ წერტილში უყრის თავს მისივე ინტერესების მთლიანობას.

სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, როგორც ვთქვით, წარმოადგენს სისხლის სამართლის კანონთა ნორმების ისეთ ერთობლიობას, სადაც განსაზღვრულია დამახასიათებელი ნიშნები და სახეობები იმ ქმედებისა, რომელიც ამ კანონის შემქმნელს მიაჩნია დანაშაულად და სადაც გათვალისწინებულია სასჯელთა სახეები და საზღვრები ამ მოქმედებისათვის. ამრიგად, თუ სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი განსაზღვრავს სისხლის სამართლის მეცნიერების ზოგად დებულებებსა და პრინციპებს, განსაკუთრებული ნაწილი ითვალისწინებს, კონკრეტულ დანაშაულთა სახეობებსა და მასთან დაკავშირებულ სასჯელებს, მათ საზღვრებს.

დღეს ჩვენი კოდექსი მრავალი ახალი მუხლით შეივსო. ეს იმას ნიშნავს, რომ საზოგადოების ახალ ურთიერთობათა ბაზაზე მრავალი ახალი საზოგადოებრივად საშიში ქმედებანი წარმოიშვა.

დანაშაულობათა დღევანდელი სახეობრივი და რიცხობრივი მაჩვენებლების ზრდა დაკავშირებულია საზოგადოებრივი ურთიერთობის მრავალ ფაქტორთან, რომელთაგანაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ დაიშალა და დაინგრა მრავალწლიანი მეურნეობრივი კავშირების სისტემა, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით შეიქმნა მრავალგვარი სიძნელე. ახალი სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების მესვეურნი ვერ გაერკვნენ ეკონომიკური და პოლიტიკური ლაბირინთების რთულ ქსელში, ამდენად, ვერ ასწონ-დასწონეს სამართალდამცავი ორგანოების როლი სახელმწიფოს განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე. განადგურდა და განიავდა წლების განმავლობაში შექმნილი მეურნეობა. სახელმწიფო მმართველობაში მოქცეულმა მაფიოზურმა წრეებმა ძარცვა-გლეჯის პოლიგონად გადააქციეს მთელი საქართველო. დაუზოგავად შეეხო ბოროტი ხელი მეურნეობის ნებისმიერ სისტემას, სოფლის მეურნეობას თუ მრეწველობას, განათლებას თუ სამედიცინო სამსახურს და ა.შ. განიავდა, გაიყიდა და გაიფლანგა ისეთი დიდი საწარმოო კომპლექსი, როგორიც არის ჭუთაისის ავტოქარხანა და მრავალი მისთანა. მოიშალა მართვის, მოქალაქეობრივი ურთიერთდამოკიდებულების, ვაჭრობის, პედაგოგიური და სამედიცინო სამსახურის მთელი სისტემა.

განსაკუთრებულ დაუნდობელ და მოურიდებელ ბოროტებად გადაიქცა კორუფციის, პროტექციონიზმისა და მექრთამეობის შეჭრა მმართველობის მთელ სისტემაში, სამეურნეო და სამართალდამცავ ორგანოებში. აშკარა „სავაჭრო“ საგნად იქცა მწარმოებელთა და საბანკო სისტემის ურთიერთობა, ამასთან, საგადასახადო სისტემის სირთულე ისევ სიცრუისაკენ უბიძგებს საწარმოო და სავაჭრო ობიექტების ხელმძღვანელობას. პარლამენტარის საპატიო სკამებზე, შინაგან საქმეთა და უშიშროების სამსახურების წამყვან მეთაურებად გაძვრნენ ტერორისტები, უცხო სახელმწიფოთა აგენტები და მრავალი სხვა ჯურის დამნაშავე პირები. ფართო გასაქანი ჰპოვეს ორგანიზებულ დამნაშავეთა ჯგუფებმა (საძმოების სახით). აფხაზეთის გამო ომში მონაწილე ჯარის ნაწილებში ბევრი მძარცველი და ყაჩაღი იყო. გაიძარცვა და მუშაობა შეწყვიტა მრავალმა საწარმომ, მოიშალა ელექტრო და კავშირგაბმულობის სისტემა, სამიმოსვლო გზები და საშუალებები, მკვეთრად იმატა ადამიანთა გამანადგურებელმა ავტოკატასტროფებმა. კაპიკებად გაიყიდა და მიმოიფანტა სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, საწარმოები, სავაჭრო ცენტრები და სხვა. მკვეთრად გაიზარდა ყაჩაღობის, მკვლელობის, სხეულის მძიმე დაზიანების, გაუპატიურების, პირადი და სახელმწიფო ქონების დატაცების ფაქტები და სხვა მრავალი. ბრძოლა ამ მოვლენებთან მიმდინარეობდა და მიმდინარეობს სწორედ სისხლის სამართლის კერძო ნაწილის ნორმების გამოყენებით, რაც კრიმინალისტიკასთან და სისხლის სამართლის პროცესთან მჭიდრო ურთიერთობით უზრუნველყოფს დანაშაულთა გახსნას, მათ შემდგომ აღკვეთა-აცილებას და ამცირებს დანაშაულის ზრდის შემდგომ ტენდენციას.

კერძო ნაწილი მჭიდრო, ურყევ კავშირშია სისხლის სამართლის ზოგად ნაწილთან. მათი განუყოფლობა განპირობებულია იმით, რომ ისინი ასრულებენ ერთსა და იმავე ამოცანას, ე. ი. იცავენ დანაშაულებრივი ხელყოფისაგან საზოგადოების პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ ღირებულებებს, საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და ა.შ.

ზოგადი და კერძო ნაწილების ერთობლიობით რეალიზაცია უკეთდება სისხლის სამართლის ოთხ ძირითად და მნიშვნელოვან პრობლემას, საიდანაც უპირველესი გახლავთ იმის საჭიროება, რომ მეცნიერულად განისაზღვროს, თუ რა არის დანაშაული, სასჯელი,

ბრალი, თანამონაწილეობა, მიზეზობრივი კავშირი, დანაშაულის შემადგენლობა, გაუფრთხილებლობა და სხვა მრავალი.

მეორე — გახსნას დანაშაული, დაადგინოს დამნაშავე, გამოიძიოს და შეისწავლოს მისი პიროვნება, დანაშაულის ჩადენის სურვილის ძირითადი ბიძგები, დანაშაულის სახეობა, სიმძიმე, ჩადენის ორგანიზაცია.

მესამე — მკაცრი, მაგრამ სამართლიანი სასჯელი შეუფარდოს იმ პირთ, რომლებიც საზოგადოებასთან დამოკიდებულების საშიშროებით, დანაშაულის სიმძიმითა და მისი ჩადენის სიხშირით ამას იმსახურებენ. მეოთხე — გახსნილი და გამოძიებული დანაშაულის გაანალიზების შედეგებზე დაყრდნობით, გაატაროს რეალური ღონისძიებები მათი შემდგომი აღკვეთა-აცილების თვალსაზრისით.

სასჯელთა ყველაზე მკაცრი ზომები გამოყენებული უნდა იქნეს პროფესიონალ დამნაშავეთა, განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტთა, დანაშაულებრივი ჯგუფებისა, ორგანიზებული ჯგუფებისა, სპეციალური დანაშაულებრივი ფორმირებების ხელმძღვანელთა, ორგანიზატორთა და აქტიურ მონაწილეთა მიმართ.

ზოგად და კერძო ნაწილს შორის საერთო არის ისიც, რომ ზოგადი ნაწილის ნორმები არის ბაზა, საფუძველი განსაკუთრებული ნაწილის პრაქტიკული გამოყენებისა. ისინი ცხოვრებაში განხორციელდებიან მხოლოდ ზოგადი ნაწილის მიერ გაკვალული მეცნიერულად ჩადუღაბებული საფუძვლების მიხედვით.

ამავე დროს, კერძო ნაწილის ნორმების რეალიზაცია ხდება ზოგადი ნაწილის საფუძვლებზე დაყრდნობით და მათთან შეთანაწყობით. ისინი განმარტავენ, თუ რა საფუძვლებს ეყრდნობა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, რაში მდგომარეობს კონკრეტული ბრალის ფორმა, თანამონაწილეობის სახეები და ნიშნები, განზრახვის არსი, დამამძიმებელი გარემოება, დანაშაულის მომზადების, მცდელობის, ჩადენის სტადიები, სასჯელის სახეები და მრავალი სხვა.

„სასჯელის მიზანია, თავიდან აიცილოს ახალი დანაშაულის ჩადენა, როგორც მსჯავრდებულის, ასევე სხვა პირის მიერ.

ეს მიზანი ხორციელდება მსჯავრდებულსა და სხვა პირზე ზემოქმედებით, ღრმად გაიცნობიერონ დანაშაულის გასაკიცხი ხასიათი, განიმსჭვალონ თვითკრიტიკის გრძნობით, განეწყონ მართლმსაჯულების დაცვისა და პასუხისმგებლობის სულისკვეთებით.“

ურთიერთობა განსაკუთრებულ და ზოგად ნაწილს შორის

გამოიხატება მასშიც, რომ წინასწარი გამოძიების, საბრალდებო დასკვნისა თუ სასამართლო განაჩენის გამოტანის დროს სამართალდამცავი ორგანოები ვალდებულნი არიან, მიმართონ ზოგად ნაწილს, რათა გაარკვიონ, ხომ არ მოიპოვება საქმეში გარემოებები, რომლებიც გაათავისუფლებენ პირს პასუხისგებისა და სასჯელისაგან.

სასამართლო ვალდებულია, სასჯელის დანიშვნის ზოგად საწყისებთან ერთად დაადგინოს, ხომ არ არის საფუძველი პირობითი მსჯავრის დადებისა ან სასჯელის გადადებისა და ა.შ.

დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა უშუალოდ არის დაკავშირებული კანონმდებლობის სტაბილურობასთან. ეს უკანასკნელი შეიძლება მიღწეული იქნეს მხოლოდ იმ პირობებში, როდესაც მისი დებულებები ეყრდნობა შესაბამის საკანონმდებლო ბაზას, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს კონსტიტუციას და იმ კანონებს, რომლებიც არეგულირებენ საბაზრო ეკონომიკას, ჩვენი ქვეყნის ახალი პოლიტიკური და ეკონომიკური საფუძვლების მშენებლობას. მასში გათვალისწინებული უნდა იქნეს დანაშაულის საერთო მდგომარეობა, სახეობანი, სფერო, დინამიკა, ტენდენციები. სისხლის სამართლის კერძო ნაწილის განსაკუთრებული მნიშვნელობა გამოიხატება იმაშიაც, რომ იგი განსაზღვრავს, მოკლედ და ამომწურავად აღწერს იმ მოქმედებათა კონკრეტულ სახეებს, რასაც სისხლის სამართლის კანონმდებლობა თვლის დანაშაულად.

კერძო ნაწილის მოცემული ნორმების ანალიზი და მათი შეთავსება ზოგადი ნაწილის ნორმებთან და პრინციპებთან ამა თუ იმ კონკრეტული დანაშაულის გამოძიების დროს, გვაძლევს უტყუარ გარანტიას, დავადგინოთ, მოიპოვება თუ არა პირის ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის ნიშნები.

კერძო ნაწილი, ისე, როგორც სისხლის სამართალი მთლიანად, გამომდინარეობს მისთვის დამახასიათებელი ზოგადი პრინციპებიდან, რომელთაგანაც ფუნდამენტურია სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლის პრინციპი, რომელიც მოცემულია კოდექსის მე-7 მუხლით.

კოდექსის მე-7 მუხლის თანახმად, „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლია დანაშაული, ესე იგი ამ კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება“.

კერძო ნაწილი, როგორც სისხლის სამართალი მთლიანად,

ყველა მოქალაქის მიმართ იცავს თანასწორობის, პასუხისმგებლობის გარდაუვალობის, სამართლიანობის, დემოკრატიულობის, ჰუმანურობის, პირადი ბრალისათვის პასუხისმგებლობის პრინციპებს.

სასჯელი, რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების უვადო აღკვეთას, შეიძლება დაინიშნოს განსაკუთრებით საშიში დამნაშავის მიმართ, ასევე იმ დამნაშავეთა მიმართ, რომლებმაც დანაშაული ჩაიდინეს განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებებში.

იმ დანაშაულობებისათვის, რომლებიც არ წარმოადგენენ დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას, გათვალისწინებულია სხვადასხვა სასჯელი, რომლებიც არ არიან დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან. სისხლის სამართლის კერძო ნაწილის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს წარმოადგენს ისიც, რომ კანონის წინაშე ყველა მოქალაქე თანაბრად აგებს პასუხს, მიუხედავად მათი სოციალური თუ სხვა მდგომარეობისა. ეს გამოიხატება იმაში, რომ დანაშაულის ჩამდენი დაისჯება კანონის მოთხოვნის შესაბამისად, მიუხედავად მისი ვინაობისა, რა თქმა უნდა, თვით პიროვნების წარსულის, მისი საქმიანობისა და საზოგადოებრივი დამსახურების გათვალისწინებით.

დანაშაულისათვის პირადი პასუხისმგებლობა მდგომარეობს მასში, რომ დამნაშავე პასუხს აგებს მხოლოდ კონკრეტულად იმისათვის, რაც მან ჩაიდინა პირადად, თუნდაც თანამონაწილეებთან ურთიერთმოქმედების დროს. პირადი დანაშაულებრივი პასუხისმგებლობა გაიგება იმგვარად, რომ პირი, რომელმაც ჩაიდინა ის ქმედება, რაც გათვალისწინებულია განსაკუთრებული ნაწილის მუხლში, პასუხს აგებს მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ მიუძღვის ბრალი ამ დანაშაულის ჩადენაში (განზრახ ან გაუფრთხილებლობით). ბრალის დაუდგენლობა გამორიცხავს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.

სისხლის სამართლის მეცნიერება, კერძო ნაწილის შესწავლისას, სარგებლობს ისტორიული, ფილოსოფიური, სამართლებრივი, კონკრეტულ-სოციოლოგიური, ლოგიკურ-იურიდიული, სისტემურ-სტრუქტურული, ეროვნული, გრამატიკული და კვლევის სხვა მეთოდებით. იყენებს სამართლებრივი სტატისტიკის მონაცემებს, სასამართლო პრაქტიკის მაგალითების შესწავლისა და განზოგადების შედეგებს, საზღვარგარეთის ქვეყნების სისხლის სამართლის კანონმდებლობას.

სისხლის სამართლის კერძო ნაწილის მეცნიერების ამოცა-

ნებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანია სისხლის სამართლის კანონმდებლობის განმტკიცება, ახალი კოდექსის კოდიფიკაციის დასაბუთება და საჭირო ცვლილებების შეტანა სისხლის სამართლის მოქმედ კანონმდებლობაში. ამ ამოცანების გადაწყვეტა უნდა ეყრდნობოდეს იურისტების, სოციოლოგების, ეკონომისტების, ფსიქოლოგების, ფილოსოფოსების და სხვა მეცნიერთა და სპეციალისტთა მასშტაბური, კომპლექსური კვლევის შედეგებს და ქვეყნის პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიკური, კულტურული, ზნეობრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა პირობებს. კანონის თვითეული მუხლის არსი უნდა გამომდინარეობდეს ხალხის წმინდა ნებიდან.

კერძო ნაწილი შეიცავს დანაშაულად მიჩნეულ ქმედებათა ამომწურავ კონკრეტულ ჩამონათვალს და, როგორც წესი, აღწერს მათ ძირითად დამახასიათებელ ნიშნებს. ავალდებულებს სასამართლო და საგამოძიებო ორგანოებს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დაადგინონ პირის ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის ნიშნები თავისი ერთიანობით და განუყოფელობით.

კერძო ნაწილის მთელი შინაარსი შეიძლება დავყოთ ორ ძირითად სფეროდ. პირველი მოიცავს დანაშაულთა ჯგუფებად დაყოფას და მათ ზოგად დახასიათებას, მათი გვარობითი მსგავსებებისა და ერთიანობის ცნებების ახსნას.

საერთოდ, ცნობილია, რომ დანაშაულთა დაყოფა თავებად მათი მეცნიერულად დამუშავების შედეგია, რომელიც მიღწეულია დანაშაულთა ობიექტებში ერთგვაროვნების აღმოჩენით.

მეორე მნიშვნელოვანი მომენტი არის ცალკეულ დანაშაულთა ძირეული შესწავლა კონკრეტული მახასიათებელი ნიშნების მიხედვით, ე. ი. ქმედების ინდივიდუალურობის განსაზღვრა-დადგენა.

კერძო ნაწილის სისტემაში ცალკეულ დანაშაულთა ადგილის განსაზღვრის დროს აუცილებელია, გავარკვიოთ შემდეგი:

ა) კერძო ნაწილის რომელ თავში არის ის ნორმა, რომელსაც დადგენილი დანაშაული შეესატყვისება;

ბ) მოცემული თავის რომელ სახეს, რომელ მუხლს მიეკუთვნება ეს დანაშაული.

დანაშაულის კვალიფიკაცია

დანაშაულის სწორი კვალიფიკაციისათვის საჭიროა რამდენიმე პირობა:

1) აუცილებლად დადგინდეს საზოგადოებრივ ურთიერთო-

ბათა ის ერთგვაროვანი ჯგუფი, რომლის წინააღმდეგაც მიმართულია დანაშაული, ე. ი. უპირველესად განვსაზღვროთ ხელყოფის ზოგადი ობიექტი. ამის განსაზღვრა მოგვცემს შესაძლებლობას, აგხსნათ მოქმედების საშიშროების საერთო თვისებები და ხარისხი, განვსაზღვროთ დანაშაულებრივი ქმედების საზოგადოებრივ-სოციალური ზონა, სფერო, ყოფიერების რომელ ნაწილს შეეხო ბოროტი ხელი, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, საზოგადოებრივი უშიშროებისა თუ ეკონომიკურ სფეროს და ა.შ. პრაქტიკული თვალსაზრისით, ამის დადგენა გვაძლევს შესაძლებლობას, ვუპასუხოთ კითხვაზე, კერძო ნაწილის რომელ თავში ვეძიოთ ნორმა, რომელშიაც გათვალისწინებულია ჩადენილი დანაშაულის მსგავსი შინაარსი, რომელია იმ საზოგადოებრივი ურთიერთობის ერთიანობა, რომელიც დაზიანდა.

ამის შემდეგ უნდა განისაზღვროს ობიექტის გვარობითობა, ე. ი. დადგინდეს ის გვარობითი ანუ ჯგუფური ობიექტი, რომელშიაც იგულისხმება ერთგვაროვანი საზოგადოებრივი ურთიერთობა, რასაც დანაშაულებრივი ხელყოფისაგან იცავს სისხლის სამართლის კანონი. და ბოლოს უშუალო ობიექტი, დანაშაულის ობიექტის ყველაზე კონკრეტული სახე.

2) ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების ნიშნები ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს იმ ნიშნებს, რომელიც აღწერილია კერძო ნაწილის შესაბამის მუხლში. ზუსტი შესაბამისობა ნიშნავს იგივეობას კანონში აღწერილ ნორმასა და ქმედებას შორის. სრული შესაბამისობა უნდა გავიგოთ, როგორც კონკრეტული შემთხვევის ყველა მონაცემის დამთხვევა კანონის ნორმის ყველა ნიშანზე.

მაგალითად: ძარცვა, ესე იგი სხვისი მოძრავი ნივთის აშკარა დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით.

ამ დანაშაულებრივი მოქმედების კვალიფიკაციის დროს კანონის ნიშნებს უნდა დაემთხვეს ქმედების შემდეგი ნიშნები:

ა) პირმა ხელჰყო მოქალაქის მოძრავი ნივთი და ხელიდან გამოგლიჯა კანონიერ მეპატრონეს;

ბ) პირს განზრახული ჰქონდა ამ ქონების დაუფლება მისაკუთრების მიზნით;

გ) დამნაშავის ძალადობა ნივთის ხელიდან გამოტაცებისათვის არ იყო დაზარალებულის სიცოცხლისა ან ჯანმრთელობისათვის საშიში;

ამგვარი ნიშნების ერთობლიობა იძლევა შესაძლებლობას, რომ ვიფიქროთ, ქმედება, რომელიც დამნაშავემ ჩაიდინა, წარმოადგენს ეკონომიკური ხასიათის დანაშაულს, რამაც ქონებრივად დააზარალა სხვა ადამიანი და იგი მოთავსებულია სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 კარში, რომ აღნიშნულ დანაშაულს აქვს ანგარებითი ხასიათი და იგი მოთავსებულია ოცდამეხუთე თავში, ამასთანავე, თავისი ნიშნებით ემთხვევა 178-ე მუხლის ნიშნებს, ე. ი. დამნაშავემ ჩაიდინა ძარცვა და მისი მოქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს 178-ე მუხლით;

ვ) სწორი კვალიფიკაციისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს ნორმათა კონკურენციის პროცესში ქმედების შესატყვისი ნორმის ამორჩევას. კონკურენცია აქ იმ გაგებით იხმარება, რომ დანაშაულებრივ ქმედებას ორი ნორმა მოიცავს: როცა დანაშაულებრივი ქმედება აღმოჩნდება ზოგადი და სპეციალური ნიშნის მქონე, ამ სიტუაციის დროს გამოიყენება სპეციალური ნორმა. მაგალითად, თანამდებობის პირის მიერ პირადი მოტივით და თანამდებობრივი მდგომარეობის გამოყენებით ყალბი დოკუმენტების შექმნა. აქ ორი მუხლი გვაქვს: — სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება და სამსახურებრივი სიყალბე. ასეთ ვითარებაში ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სამსახურებრივი სიყალბით, რადგან იგი ორივეს ნიშნებს მოიცავს ერთად — როგორც სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას, ასევე სამსახურებრივ სიყალბეს.

4) აუცილებელია დადგინდეს — დანაშაული არის თუ არა დამთავრებული და იგი ჩადენილია ერთი დამნაშავისა თუ პირთა ჯგუფის მიერ, თუ წინასწარი შეთანხმებით — პირთა ჯგუფისა თუ ორგანიზებული ჯგუფის მიერ. ეს ნიშნები მეტად მკვეთრად ცვლის კვალიფიკაციას.

სწორი კვალიფიკაციის მნიშვნელობა განუზომლად დიდია სამართალწარმოებაში. ის უზრუნველყოფს სისხლის სამართლის პრინციპების რეალიზაციას. არასწორმა კვალიფიკაციამ კი შეიძლება გამოიწვიოს დაუსაბუთებელი მკაცრი სასჯელის გამოყენება, ან პირიქით. არასწორი კვალიფიკაცია უხეშად არღვევს სამართალწარმოების ძირითად პრინციპებს და, რაც მთავარია, ბრალდებულის პირადი პასუხისმგებლობის პრინციპს. სასჯელის მიზანი, მისი ინდივიდუალიზაცია და სამართლიანობა მიიღწევა მხოლოდ დანაშაულის სწორი კვალიფიკაციის დროს.

ნორმები, რისგანაც შედგება სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, განლაგებულია გარკვეული თანმიმდევრობით და ქმნიან მთლიან სისტემას. ეს სისტემა წარმოადგენს ნორმათა საფუძვლიან და ლოგიკურ ერთიანობას, რომელიც განსაზღვრავს პასუხისმგებლობას ცალკეული დანაშაულებრივი ქმედებისათვის. კერძო ნაწილის სისტემის აგებას საფუძვლად უდევს დანაშაულთა გვარობითი დაყოფა, ამიტომ ამ ნიშნებით ნორმები ერთიანდებიან ცალკეულ თავებში. მაგალითად: სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული ყველა დანაშაული შედის კერძო ნაწილის შესაბამის თავში, მიუხედავად თითოეული მათგანის კონკრეტული განმასხვავებელი შინაარსისა.

სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, ისე, როგორც სხვა მეცნიერებანი, წარმოუდგენელია პრობლემებისა და საკითხების, თავებისა და მუხლების თავიანთ ადგილებზე დაწყობა-განლაგების გარეშე. ეს განლაგება არის სწორედ სისხლის სამართლის განსაკუთრებული ნაწილის სისტემა. სისტემატიზაციის მიზანი ისაა, რომ, რაც შეიძლება წყობილად, თანმიმდევრულად, პრიორიტეტულად, თავიანთი ობიექტური მსგავსების მიხედვით განლაგდეს და აისახოს საზოგადოებრივი ურთიერთობის ის ფარგლები, რომლებიც, თავიანთი სისტემის მიხედვით, ადამიანთა ყოფიერების და ცნობიერების მთლიან სფეროს წარმოადგენს.

საზოგადოებრივი ყოფიერების სისტემა – ეს არის ცალკეული ადამიანებისა და ჯგუფების ყოფიერებითი, ანუ შრომითი, ინტელექტუალური ურთიერთობა, რომლის პროცესში იქმნება სხვადასხვა ფორმისა და მოცულობის, სახისა და ღირებულების სიკეთე.

კერძო ნაწილის სისტემა არის კონკრეტულ დანაშაულთა ერთობლიობა, რაც მიმართულია ერთი და იგივე გვარობითი ობიექტისაკენ და ხელყოფს მას სხვადასხვა ხარისხით. სისტემაში შემავალი თავები, ე. ი. გვარობითი ობიექტები, განლაგებული არიან თავიანთი საზოგადოებრივი პრიორიტეტულობით, ხოლო თითოეული მუხლი ობიექტის მნიშვნელოვნობითა და ობიექტური მხარის სიმძიმით.

,,სისხლის სამართლის კოდექსის საკანონმდებლო სისტემატიზაციას საფუძვლად უდევს იმ ურთიერთობათა ერთგვაროვნება, რომელთა დაცვა კანონმდებლის ამოცანას წარმოადგენს. საზოგა-

დოდ, ყოველგვარ სისტემატიზაციას, ე. ი. მიელის დაყოფას ნაწილებად, მაშინ აქვს აზრი და მნიშვნელობა, როდესაც ერთ ნაწილად, ერთ ჯგუფად გაერთიანდება მონათესავე, ერთგვაროვანი საგნები და მოვლენები. სისტემატიზაციის საფუძვლად არ გამოდგება ისეთი ნიშანი, რომელიც არ გამოხატავს საგნის, მოვლენის არსის სპეციფიკურ თავისებურებას".[1] სისტემატიზაციის საწინააღმდეგო მოვლენა უსისტემობაა. ეს უკანასკნელი კი დანგრეულს, დაშლილსა და უთავბოლოს ნიშნავს. აქედან გამომდინარე, საზოგადოების იურიდიული აზროვნება მუდამ დიდ ყურადღებას აქცევდა სისხლის სამართლის კანონმდებლობის სისტემატიზაციას, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა საგნის მიზნობრივ-ობიექტური დალაგება ხელყოფის ობიექტის ღრმად შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე, რისი მეშვეობითაც მეცნიერებამ საუკუნეების მანძილზე კვლევის შედეგად აღმოაჩინა ამ მოვლენებში მსგავსი და განმასხვავებელი ნიშნები და სწორედ ამ ნიშნების საფუძველზე ახდენდა მის დალაგებას. სიტყვა „ახდენდას" იმიტომ ვახსენებ, რომ ეს სამეცნიერო კვლევა მეტად რთულია და საუკუნეებიც დასჭირდა მის შედარებით უკეთ დალაგებას.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ფონზე ძველის საყვედურს არ ვაპირებთ, მაგრამ იმას კი აღვნიშნავთ, რომ კანონის სისტემა სრულიად ახალი, მეტად ღრმად ანალიზირებული და ნათლად დალაგებულია. თუმცა ეს ცხოვრებამაც მოიტანა. დემოკრატიზმის პრინციპები და ადამიანის უფლებათა დაცვის ესეოდენ ფართო გაჭანება, ცხადია, სხვა ადგილზე ვერ მოათავსებდა პიროვნების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს, თუ არა საწყის თავში. ეს ადამიანისა და მისი უფლებამოსილების პრიორიტეტის გაზრდაა. ხაზგასმით აღსანიშნავია ისიც, რომ სისხლის სამართლის კოდექსის მეშვიდე კარი, რომელიც პიროვნების წინააღმდეგ მიმართულ ექვს თავს აერთიანებს, ყველა მათგანში მკაფიოდ ახდენს კანონთა სახეობების გაერთიანებას ცალკეულ ჯგუფებად და ამომწურავად, დახვეწილად განმარტავს თითოეული გვარობითი და კონკრეტული ობიექტის დაცვის აუცილებლობის სექტორებსა და კუნჭულებს.

მეცხრამეტე თავი — დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ, თავისი ცხრა მუხლით, ღრმად ამოსწურავს ამ ფენომენის ხელყოფის ნებისმიერ ხერხს, მეთოდსა და მოტივს. ასეთივეა მომდევნო თავიც,

1. თ. წერეთელი, გ. ტყეშელიაძე, მოძღვრება დანაშაულზე, თბ., 1969, გვ. 149

რომელიც აერთიანებს ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ ათი სახის დანაშაულებრივ დისპოზიციას.

ოცდამეერთე თავშია მოთავსებული ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის საფრთხის შემქმნელი დანაშაულობები. ოცდამეორე თავში – დანაშაული პიროვნების სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ. ოცდამესამე თავი წარმოადგენს დანაშაულს ადამიანის უფლებისა და თავისუფლების წინააღმდეგ. იგი ვრცელი თავია და ამომწურავად ეხება ადამიანისათვის ამ მეტად ღირებულ სასიცოცხლო არტერიას.

ოცდამეოთხე თავში განხილულია დანაშაული ოჯახისა და არასრულწლოვანის წინააღმდეგ.

მერვე კარი აერთიანებს ეკონომიკურ დანაშაულთა თავებს. მასში შედის: თავი XXV – დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ, თავი XXVI – დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ, თავი XXVII – დანაშაული ფულად-საკრედიტო სისტემაში, თავი XXVIII – დანაშაული საფინანსო საქმიანობის სფეროში, თავი XXIX – დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში სამსახურის წინააღმდეგ.

მეცხრე კარი – „დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ“ აერთიანებს შემდეგ თავებს: თავი XXX – დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ, თავი XXXI – სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესების დარღვევა, თავი XXXII– დანაშაული მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი ზნეობის წინააღდეგ, თავი XXXIII – ნარკოტიკული დანაშაული, თავი XXXIV – სატრანსპორტო დანაშაული, თავი XXXV – კომპიუტერული დანაშაული.

მეათე კარი აერთიანებს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულობებს. მასში შედის: თავი XXXVI – დანაშაული გარემოს დაცვის წესის წინააღმდეგ.

მეთერთმეტე კარი აერთიანებს სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულობებს. მასში შედის: თავი XXXVII – დანაშაული საქართველოს კონსტიტუციური წყობილებისა და უშიშროების საფუძვლების წინააღმდეგ, თავი XXXVIII – ტერორიზმი, თავი

XXXIX – სამოხელეო დანაშაული, თავი XL – დანაშაული მმართველობის წესის წინააღმდეგ.

მეთორმეტე კარი განიხილავს სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს. მასში შედის თავი XLI – დანაშაული სასამართლო ორგანოების საქმიანობის წინააღმდეგ, თავი XLII – მტკიცებულების მოპოვების საპროცესო წესის წინააღმდეგ, თავი XLIII – ქმედება, რომელიც მიმართულია დანაშაულის დროულად აღკვეთისა და გახსნის წინააღმდეგ, თავი XLIV –დანაშაული სასამართლო აქტების აღსრულების წინააღმდეგ.

მეცამეტე კარი განიხილავს დანაშაულს, რომელიც მიმართულია სამხედრო სამსახურის წინააღმდეგ. მასში შეტანილია თავი XLV – დანაშაული დაქვემდებარების წესისა და სამხედრო ღირსების დაცვის წინააღმდეგ; თავი XLVI – დანაშაული სამხედრო ქონების შენახვის ან ექსპლოატაციის წესის წინააღმდეგ.

მეთოთხმეტე კარი განიხილავს კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს. მასში შედის თავი XLVII – დანაშაული კაცობრიობის მშვიდობის, უშიშროებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის წინააღმდეგ.

VII ᲙᲐᲠᲘ

ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ

ᲛᲔ-19 ᲗᲐᲕᲘ
ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 1948 წლის 10 დეკემბრის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მესამე მუხლში ნათქვამია: „ყოველ ადამიანს აქვს სიცოცხლის, თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება“.[1]

საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტი აღიარებს: „სიცოცხლე ადამიანის ხელშეუხებელი უფლებაა და მას იცავს კანონი“.[2]

სისხლის სამართლის კანონმდებლობისათვის ცნობილია სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული შემდეგი დანაშაულები: განზრახ მკვლელობა – მუხლი 108; განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში – მუხლი 109, მკვლელობა მსხვერპლის თხოვნით – მუხლი 110, განზრახ მკვლელობა უეცარი ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში – მუხლი 111, დედის მიერ ახალშობილის განზრახ მკვლელობა – მუხლი 112, მკვლელობა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით მუხლი 113, მკვლელობა დამნაშავის შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილებით – მუხლი 114, თვითმკვლელობამდე მიყვანა – მუხლი 115, სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით – მუხლი 116.

ნებისმიერი ადამიანის სიცოცხლე, მიუხედავად მისი ეროვნებისა, რწმენისა, რასისა, ასაკისა თუ საზოგადოებრივი მდგომარეობისა, თანაბრადაა დაცული. ადამიანის სიცოცხლის საწყისად

1. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია. მუხ. 3, თბ., 1992
2. საქართველოს კონსტიტუცია, მუხ. 15, თბ., 1996

ითვლება მისი ფიზიკური დაბადება. დაუბადებელი ბავშვის მოკვლა, ფეხმძიმობის რომელ თვეშიაც უნდა მოხდეს, არ შეიცავს მკვლელობის ნიშნებს.

სიცოცხლის დასრულების მომენტად მედიცინა თვლის სიცოცხლის ბიოლოგიური თვისებების შეწყვეტას ანუ ბიოლოგიურ სიკვდილს, რომელ მომენტშიაც წყდება ცენტრალური ნერვული სისტემის ფუნქციონალური მოძრაობა — ცილის სხეულაკების ასიმილირება და შედეგად — ორგანიზმის ცხოველმყოფელობა.

ობიექტური მხარე მკვლელობისა გამოიხატება სხვისი სიცოცხლის მართლსაწინააღმდეგო მოსპობაში. ეს იმას ნიშნავს, რომ სამართალი ყოველ მკვლელობას როდი თვლის მართლსწინააღმდეგოდ. მაგალითად, მკვლელობა აუცილებელი მოგერიების ფარგლებში არ ითვლება მართლსაწინააღმდეგო ქმედებად და, ცხადია, არ ითვალისწინებს სასჯელის ზომასაც, ასევე — სასიკვდილო განაჩენის შესრულება და სხვა მსგავსი.

მკვლელობა შეიძლება ჩადენილი იქნეს როგორც მოქმედებით, ასევე უმოქმედობით. ცხოვრებაში, უფრო ხშირად, თითქმის ყოველთვის, ეს დანაშაული არის მოქმედების შედეგი, როდესაც დამნაშავე არღვევს სხვისი სხეულის ანატომიურ მთლიანობას, მეტად საჭირო სასიცოცხლო ორგანოების ფუნქციონირებას, რომელსაც შედეგად მოჰყვება ადამიანის სიკვდილი. თუმცა, გარდა ამისა, სხვისი სიცოცხლის მოსპობა მწვავე ფსიქიკური ზემოქმედების გზითაც შეიძლება განხორციელდეს. მაგალითად, ემოციური და გულსუსტი ადამიანი შეიძლება დაიღუპოს ახლობლის სიკვდილის შესახებ უეცარი შეტყობინებით.

მკვლელობა უმოქმედობით არის ის შემთხვევა, როდესაც პირი ვალდებული იყო, მზრუნველობა აღმოეჩინა დაზარალებულისათვის და შეეძლო საჭირო მოვლა-პატრონობის გაწევა იმგვარად, რომ მისთვის თავიდან აეცილებინა სიკვდილი, მაგრამ იცოდა რა ამ მზრუნველობის მნიშვნელობა, სპეციალურად, პირდაპირი განზრახვით აარიდა თავი ამ ვალდებულებას; მაგალითად, დედა ან მზრუნველი ჩვილ ბავშვს არ აძლევს საკვებს იმ განზრახვით, რომ ის დაიღუპოს.

მკვლელობა მიეკუთვნება მატერიალურ დანაშაულთა შემადგენლობას. დანაშაული დამთავრებულად ითვლება მაშინ, როდესაც მოქმედებას ან უმოქმედობას შედეგად მოჰყვა სხვისი სიკვდილი.

ამასთანავე, მნიშვნელობა არა აქვს, შედეგი მაშინვე დადგა თუ გარკვეული დროის მონაკვეთის გასვლის შემდეგ.

ობიექტური მხარის აუცილებელი ნიშანი მკვლელობის დროს არის მიზეზობრივი კავშირის არსებობა დამნაშავის მოქმედებასა (ან უმოქმედობასა) და შედეგს შორის.

მკვლელობის დროს მიზეზობრივი კავშირის საკითხის გადაწყვეტისათვის მხედველობაში უნდა ვიქონიოთ შემდეგი:

ა) დამნაშავის მოქმედება ან უმოქმედობა აუცილებელი მიზეზი უნდა იყოს დაზარალებულის სიკვდილისა.

მაგალითად, დამნაშავე ესვრის დაზარალებულს ტყვიას მისი მოკვლის მიზნით. დაზარალებულს ტყვია ხვდება გულში და კვდება.

ეს მაგალითი მეტყველებს იმას, რომ სუბიექტის მოქმედება პირდაპირ მიზეზობრივ კავშირშია შედეგთან.

ან დამნაშავემ ხელყუმბარა ესროლა დაზარალებულს, რომელმაც ყუმბარის აფეთქებამდე მოასწრო ლოდს ამოფარებოდა. აფეთქების შედეგად მან მიიღო მსუბუქი დაზიანება, მაგრამ დაიღუპა შიშისაგან განვითარებული ინფარქტით. ცხადია, ასეთ შემთხვევაში დამნაშავის მოქმედება არაა მიზეზობრივ კავშირში შედეგთან და სუბიექტის მოქმედება დაკვალიფიცირდება მკვლელობის მცდელობად.

ბ) სუბიექტის მოქმედება ან უმოქმედობა მისი ჩადენის მომენტში რეალურად ქმნის სიცოცხლის მოსპობის პირობებს და შესაძლებლობას.

ობიექტური მხარის განსაზღვრისას ყურადღება უნდა მიექცეს სუბიექტის მოქმედების ადგილს, დროს, იარაღს, ხერხს, დანაშაულის ჩადენის მთელ გარემოებას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მკვლელობის სუბიექტური მხარე ხასიათდება მხოლოდ განზრახი ბრალით. განზრახვა შეიძლება იყოს როგორც პირდაპირი, ასევე ირიბი. პირდაპირი განზრახვის დროს პირს შეგნებული აქვს, რომ ჩადის მოქმედებას, ან უმოქმედობას და ამას შედეგად მოყვება მეორე ადამიანის სიკვდილი, და სურს ეს შედეგი, ან არ სურს, მაგრამ ითვალისწინებს სიკვდილის დადგომის აუცილებლობას.

არაპირდაპირი განზრახვის დროს მას არ აქვს მიზნად პიროვნების სიცოცხლის მოსპობა, მისი მიზანი სრულიად სხვა რამეა, მაგრამ, რადგან ამ მიზანს ვერ აღწევს ისე, რომ ის პირი

ცოცხალი გადარჩეს, და უშვებს მისი სიცოცხლის განადგურებას.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული მოქმედების ხერხების, იარაღებისა და საშუალებების, ჭრილობათა ოდენობისა და განლაგების განსაზღვრას, დანაშაულის ჩადენის გარემოების დაზუსტებას ბრალდებულსა და დაზარალებულს შორის, ადრეული მუქარის არსებობას, მის ხასიათს, დამნაშავის საქციელს დანაშაულის ჩადენამდე და მის შემდეგ. ჩამოთვლილი საკითხების დაზუსტებაზე ბევრად არის დამოკიდებული განზრახვის მიმართულებისა და სახეობის დადგენა. ამ საკითხების გარკვევას მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს სასჯელის ზომის განსაზღვრის დროს.

პასუხისმგებლობა მკვლელობისათვის დაეკისრება იმას, ვინც თოთხმეტი წლის ასაკს მიაღწია.

მკვლელობის შემადგენლობები ჩვენი კანონმდებლობის მიხედვით იყოფა სამ ჯგუფად:

1) მკვლელობა დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოების გარეშე;

2) მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში;

3) მკვლელობა შემამსუბუქებელ გარემოებათა ვითარებაში.

განზრახ მკვლელობა – მუხლი 108

განსახილველი მუხლი არ შეიცავს არც დამამძიმებელ და არც შემამსუბუქებელ გარემოებას. მაშ, როგორია მკვლელობის ეს სახე?

ამ მუხლით გათვალისწინებულ მკვლელობას მიეკუთვნება ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე ჩადენილი მკვლელობა.

ამ სახის მკვლელობები უფრო ხშირად ხდება შურისძიების, ეჭვიანობის დროს.

საგულისხმოა, რომ ასეთი სახის მკვლელობის გამოძიება მოითხოვს გულდასმით მიდგომას, რათა ის არ აგვერიოს ხულიგნობის ნიადაგზე ჩადენილ მკვლელობაში. აქვე უნდა გაესვას ხაზი იმასაც, რომ ბევრ შემთხვევაში ჩხუბი და ცემა არ გამორიცხავს აუცილებელი მოგერიების არსებობის შესაძლებლობასაც.

პირადი ურთიერთობის, შეკამათებისა და ჩხუბის ნიადაგზე

წარმოშობილი დანაშაულების გამოძიების დროს შეიძლება იქამდეც კი მივიდეს გამოძიება, რომ მოკვლა აუცილებელი მოგერიების ფარგლებშიაც მოთავსდეს და ა.შ. აქედან გამომდინარე, საჭიროა, აუცილებლად გამოიკვეთოს დანაშაულის სუბიექტური მხარე, მოტივი, მიზეზი, ვითარება და სხვა აუცილებელი გარემოებანი, რათა დანაშაულებრივ ქმედებას სწორი იურიდიული კვალიფიკაცია მიეცეს.

განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში – მუხლი 109

„ა" – განზრახ მკვლელობა ორი ან მეტი პირისა

აღნიშნული პუნქტი ითვალისწინებს ორი ან მეტი პირის განზრახ მკვლელობას, როდესაც დამნაშავეს ყველა მათგანის სიცოცხლის მოსპობა წინასწარ აქვს ჩაფიქრებული და გამიზნული. ეს მოქმედება ხორციელდება ან ყველა პირის სიცოცხლის ერთდროული მოსპობით, ან დროის მცირე მონაკვეთის დაცილებით .

„ორი ან მეტი პირის მკვლელობის დამამძიმებელ გარემოებად გათვალისწინება იმით არის განპირობებული, რომ განზრახ მკვლელობის ობიექტს წარმოადგენს არა ერთი, არამედ რამდენიმე ადამიანის სიცოცხლე, იგი ხასიათდება დანაშაულებრივი შედეგის განსაკუთრებული სიმძიმით და ამიტომ დამნაშავის პიროვნება, რომლის განზრახვაც მიმართულია ორი ან მეტი პირის სიცოცხლის მოსასპობად, განსაკუთრებულ საშიშროებას წარმოადგენს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამგვარი მკვლელობა ხშირად ხდება ხულიგნური ქვენა გრძნობით, განსაკუთრებული სისასტიკის დროს და პირთა ჯგუფის მიერ."[1]

„ორი ან მეტი პირის მკვლელობის დაკვალიფიცირების დროს აუცილებლად დადგენილი უნდა იყოს, რომ დამნაშავე ითვალისწინებდა და შეგნებული ჰქონდა მისი ქმედებით ორი ან მეტი პირის მოკვლის შესაძლებლობა. ამავე დროს, სურდა და შეგნებულად უშვებდა ამ შედეგის დადგომას. ორი ან მეტი პირის მკვლელობა წარმოადგენს რამდენიმე მკვლელობის ისეთ ერთობლიობას,

1. მ. ლეკვეიშვილი, სისხლის სამართალი, თბ., 1996, გვ. 47

რომელიც ჩადენილია ერთდროულად ან დროის მოკლე მონაკვეთში და მოიცავს ერთიან დანაშაულებრივ განზრახვას".[1]

მაგალითად: „ნ" პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგ სამუშაო კაბინეტში მიეჭრა პროკურორს და ცეცხლსასროლი იარაღით მოკლა იგი, ნახევარი საათის შემდეგ იმავე რაიონის მოსამართლის სიცოცხლე გაანადგურა. ორივე დაზარალებულის მოკვლა დამნაშავეს წინასწარ ჰქონდა ჩაფიქრებული მათგან რამდენიმე წლის წინათ ვითომ უკანონო დაპატიმრებისა და მძიმე სასჯელის შეფარდების გამო. დამნაშავის მოქმედება სრულიად შეესატყვისება განსახილველი მუხლის „ა" პუნქტის დისპოზიციას.

განსახილველი პუნქტის შესწავლის დროს გასათვალისწინებელია ისიც, რომ რამდენიმე პირის სიცოცხლის განადგურება დამნაშავის მიერ შეიძლება ჩადენილი იქნეს არა მარტო პირდაპირი განზრახვით, არამედ ევენტუალურითაც.

მაგალითად „მ"-მ განიზრახა, რომ „ტ"-ს მოკვლის მიზნით ცეცხლი წაუკიდოს ჯიხურს, სადაც იგი იძინებს ხოლმე საგუშაგო სამსახურის შესრულების დროს. განზრახვის შესრულების მომენტში „მ"-მ გაიგო, რომ „ტ"-სთან შემთხვევით ეძინა „კ"-საც. მიუხედავად ამისა, დამნაშავემ მაინც დაწვა ჯიხური და ორივე ადამიანის სიცოცხლე გაანადგურა. ამ მაგალითის მიხედვით დამნაშავის სუბიექტური მხარე ერთი დაზარალებულის მიმართ პირდაპირი განზრახვა იყო და გულით ეწადა მისი მოკვლა, ხოლო მეორის მიმართ ევენტუალური.

ორი ან მეტი პირის განზრახ მკვლელობა ხასიათდება დანაშაულებრივი განზრახვის ერთიანობით და ერთდროული განხორციელებით, მაგრამ ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს დამნაშავე ან ერთი გასროლით კლავდეს ორ ადამიანს, ან ერთჯერადი რამდენიმე გასროლით. კანონმდებელმა ორი ან მეტი პირის სიცოცხლის მოსპობის იურიდიულ გაგებაში ჩადო ორი ან მეტი პირის სიცოცხლის განადგურების სურვილი ერთ განზრახვაში. დროის მცირეოდენი დაშორება არ ცვლის კვალიფიკაციას. დროში განსხვავება შეიძლება ორი ან სამი დღეც იყოს.

ასე რომ, 109-ე მუხლის „ა" პუნქტით კვალიფიკაციას საფუძვლად ედება დამნაშავის სუბიექტური მხარე – ორი ან მეტი ადამიანის მკვლელობა, მისი წინასწარი მოფიქრება და განზრახვა.

1. ზ. ცეცქლაშვილი, სისხლის სამართალი, თბ., 1996, გვ. 47

თუ პიროვნებამ ერთი დღის განმავლობაში, სხვა და სხვა ადგილზე, სხვადასხვა მოტივით და მიზეზით განზრახ მოკლა ორი ან მეტი მოქალაქე, რომელთა ერთდროულად განადგურების განზრახვა არ ჰქონია, მოქმედება არ დაკვალიფიცირდება განსახილველი მუხლით.

თუ დამნაშავემ ანგარების მოტივით ორი პირის მოკვლა განიზრახა, ერთი გაანადგურა, ხოლო მეორემ შემთხვევით მიიღო მსუბუქი დაზიანება, მოქმედება დაკვალიფიცირდება 109 მუხლის „ა" პუნქტით და იმავე პუნქტის მცდელობით.

„ბ" განზრახ მკვლელობა ფიზიოლოგიური მდგომარეობით ორსული ქალისა

მკვლელობის საზოგადოებრივი საშიშროება იზომება მოკლის ხერხების, იარაღის სახეობის, ჩრილობათა ოდენობისა და ადგილების ხასიათით.

წინასწარი შეცნობით ორსული ქალის სიცოცხლის ხელყოფა დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევა იმიტომ, რომ დამნაშავე ხელყოფს ორ სიცოცხლეს – სიცოცხლეს ქალისას და ნაყოფისას. ამასთანავე, კანონმდებელი ითვალისწინებს სუბიექტური მხარის იმ შეუბრალებლობის ელემენტსაც, რასაც ნაყოფის მიმართ იჩენს დამნაშავე. მომეტებული საფრთხე დანაშაულისა მდგომარეობს იმაში, რომ ქალი განიცდის ორმაგ ტანჯვას, რაც გამოწვეულია პირადი და შვილის სიცოცხლის განადგურებით.

„ასეთი მკვლელობის მიკუთვნება კვალიფიციურ მკვლელობათა რიცხვისათვის სავსებით მიზანშეწონილი და გამართლებულია. ორსულობის მდგომარეობა, განსაკუთრებით ბოლო თვეებში, ქალს უფრო ნაკლებად მოძრავს, ნაკლებად ძლიერს ხდის. ამ დროს მისთვის უფრო ძნელია, თავი აარიდოს თავდასხმას, წინააღმდეგობა გაუწიოს დამნაშავეს. ეს ხელს უწყობს მკვლელს განახორციელოს თავისი დანაშაულებრივი განზრახვა და განსაკუთრებით საშიშს ხდის მკვლელობას, ჩადენილს ამგვარ გარემოებებში".[1]

დანაშაულებრივი ქმედების ამ ნაწილით კვალიფიკაციისათვის

1. მ. ღეკეშვილი. სისხლის სამართალი. თბ., 1996 გვ. 49

აუცილებლად უნდა დადგინდეს ის, რომ დამნაშავემ ნამდვილად იცოდა დაზარალებულის ორსულობა.

თუ დამნაშავემ წინასწარ იცის, რომ ქალი ფეხმძიმეა და მოკლავს ანგარებით, რათა მისი ოჯრომორთულობა ან ფული მიითვისოს, მისი მოქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს განსახილველი მუხლის „ბ“ და „ი“ პუნქტებით.

თუ დამნაშავე წინასწარ დარწმუნებულია მსხვერპლის ფეხმძიმობაში, მაგრამ ეს რწმენა შემცდარი აღმოჩნდება, „ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს განსახილველი მუხლის „ბ“ პუნქტით, ვინაიდან გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა დანაშაულებრივ შედეგს, არამედ დამნაშავის მოქმედების ხასიათს, მისი ქმედების სუბიექტურ მხარეს, მისი განზრახვის შინაარსს და მიმართულებას“.[1]

პროფესორ ე. ფ. პობეგაილოს აზრით, თუ მკვლელობის შემდეგ მცდარი აღმოჩნდება დამნაშავის რწმენა დაზარალებულის ორსულობაზე, მისი მოქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით — მკვლელობისათვის თავდასხმა ფეხმძიმედ წარმოდგენილ ქალზე და დამთავრებული ჩვეულებრივი მკვლელობით (ეჭვიანობა და სხვა), ან დამამძიმებელი მკვლელობის რომელიმე პუნქტით. პროფესორ ს. ვ. ბოროდინის აზრით, ამ მუხლით დაკვალიფიცირდება მკვლელობა, თუ დამნაშავემ იცოდა რაიმე სარწმუნო წყაროდან დაზარალებულის ფეხმძიმობა.

ბ) ბანზრახ მკვლელობა მსხვერპლის ან მისი ახლობლის საშსახურებრივ საქმიანობასთან ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით

ამ დანაშაულს ახასიათებს მეტად გაზრდილი საშიშროება. ის გამოიხატება მსხვერპლის ან მისი ახლობლის (დედ-მამის, მეუღლის, შვილის, ძმის, ბებია-ბაბუის და სხვათა) სიცოცხლის განადგურებაში, რომელიც გამოწვეულია იმით, რომ ის ასრულებს თავის სამსახურებრივ ან საზოგადოებრივ მოვალეობას.

სამსახურებრივი მოვალეობის ცნებაში იგულისხმება ის საქმიანობა, რომელსაც პიროვნება ასრულებს სახელმწიფოსაგან რეგისტრირებულ ორგანიზაციაში ან წარმოებაში ან მის ფარგლებს გარეთ მისი სამსახურებრივი უფლებამოსილების კანონიერ სფერო-

1. ბ. ლეკვეიშვილი, სისხლის სამართალი, თბ., 1996 გვ. 49-50

ში, ან საზოგადოებრივი დავალებით. კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არ აქვს, თუ რა მოვალეობას ასრულებს იგი – ბუღალტრის, ინჟინრის, მუშის თუ სხვას.

საზოგადოებრივი მოვალეობის ცნებაში იგულისხმება ნებისმიერი სამსახურებრივი საქმიანობა, რომელსაც პიროვნება ასრულებს საზოგადოებისაგან სპეციალურად დაკისრებული საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმიანობის სახით. მაგალითად: საზოგადოებრივი კონტროლიორები, საზოგადოებრივი ინსპექტორები ან დროებითი საზოგადოებრივი დავალებების შემსრულებლები და ა.შ. ტიპიურია ამ შემთხვევისათვის მოწმის მკვლელობა მკვლელისათვის არასასურველი ჩვენების მიცემის გამო.

პასუხისმგებლობა განსახილველი პუნქტით დგება მაშინ, თუ, მაგალითად: საზოგადოებრივი დავალების შესაბამისად მოქ. „გ“ ამოწმებდა რა ორგანიზაციის ეკონომიკური ხასიათის დოკუმენტებს, იგი მოკლეს, ხოლო დოკუმენტები დაიტაცეს, ან დაემუქრნენ ახლობლის მოკვლით თუ ხელს არ აიღებდა ამ მოვალეობის შესრულებაზე და აღასრულეს კიდეც დანაშაულებრივი დაპირება.

კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არ აქვს, დანაშაული ამ სამსახურებრივი თუ საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულების დროს განხორციელდება, მანამდე თუ მის შემდეგ. აუცილებელია მხოლოდ იმის დადგენა, რომ დანაშაული ჩადენილია დაზარალებულის სამსახურებრივი ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით, რათა მან ვერ განახორციელოს ეს მოვალეობა ან უკვე განახორციელა.

მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ თუკი დაზარალებულის საზოგადოებრივი და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება ატარებდა სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ ხასიათს, დანაშაული არ დაკვალიფიცირდება განსახილველი მუხლითა და პუნქტით.

საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებას წარმოადგენს ხელისუფლების ორგანოებისათვის დანაშაულის მომზადებისა ან ჩადენის შეტყობინება და ა.შ.

მოტივი დანაშაულისა იქნება შურისძიება დაზარალებულის მიმართ, რადგან მან თავისი საზოგადოებრივი ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებით დაიკავა დამნაშავისათვის არასასურველი პოზიცია.

დ) განზრახ მკვლელობა წინასწარი შეცნობით მცირეწლოვნის ან უმწეო მდგომარეობაში მყოფისა

აქ აღწერილია მკვლელობის ორი შემადგენლობა:

1) წინასწარი შეცნობით მცირეწლოვანის მკვლელობა.

2) უმწეო მდგომარეობაში მყოფის მკვლელობა.

მცირეწლოვნად ითვლება ის, ვისაც მკვლელობის დროს არ შესრულებია 14 წელი.

მცირეწლოვნის მკვლელობა კანონმდებელმა დამამძიმებელ გარემოებად ჩათვალა იმდენად, რამდენადაც მსხვერპლი მოუმწიფებელია და ანგარიშს ვერ უწევს საჭირო ურთიერთობებსა და ცხოვრებისეულ მოვლენებს.

მცირეწლოვნის მკვლელობა შეიძლება მოხდეს სხვა დანაშაულის დაფარვის ან სხვა მოტივით.

უმწეო მდგომარეობაში ყოფნა ნიშნავს იმას, რომ დაზარალებულს აღკვეთილი აქვს შესაძლებლობა, ეფექტური და შესატყვისი წინააღმდეგობა გაუწიოს დამნაშავეს. ეს მდგომარეობა შეგნებული აქვს რა დამნაშავეს, ახორციელებს დანაშაულებრივ ჩანაფიქრს.

განსახილველი პუნქტით დაკვალიფიცირდება მკვლელობა, როდესაც დაზარალებული იმყოფება გულწასული, უგონო მდგომარეობაში, მძიმედ მთვრალი, ავადმყოფი, მძინარე და ა.შ. კვალიფიკაციისათვის მთავარია ის, რომ დამნაშავე ნამდვილად დარწმუნებული უნდა იყოს დაზარალებულის უმწეობაში, რის გამოც გაბედა თავისი დანაშაულებრივი ჩანაფიქრის განხორციელება.

ე) განზრახ მკვლელობა მძევლად ხელში ჩაგდებასთან დაკავშირებით

მძევლად ხელში ჩაგდების ცნებაში იგულისხმება პიროვნების უკანონოდ შეპყრობა გარკვეული პირობით (იხ. მ. 144). ხშირ შემთხვევაში დამნაშავე მძევლად ხელში ჩაგდებას ახორციელებს სახელმწიფოსაგან, საერთაშორისო ან რელიგიური ორგანიზაციისაგან ან სამხედრო ხელმძღვანელობისაგან მისთვის რაიმე სასარგებლო მოქმედების შესრულების ან რაიმე მოქმედებისაგან თავის შეკავების მოტივით.

დანაშაული დამთავრებულად ითვლება მძევლად ხელში ჩაგდებულის სიცოცხლის მოსპობისთანავე.

დანაშაული შესაძლებელია დაკვალიფიცირდეს 109-ე, 144-ე, ან 329-ე მუხლების ერთობლიობით. რადგან სიცოცხლის

მოსპობის პროცესში დაზარალებული უმწეოა, გამორიცხული არ არის მოქმედება განსახილველი მუხლის „ე“ და „დ“ პუნქტებითაც დაკვალიფიცირდეს.

3) განზრახ მკვლელობა განსაკუთრებული სისასტიკით

როცა ერთი ადამიანი კლავს მეორეს, ეს თავისთავად სისასტიკეა. მიუხედავად ამისა, კანონმდებელმა ცალკე გამოჰყო მკვლელობა, რომელიც არა მარტო სიცოცხლის მოსპობით ხასიათდება, არამედ განსაკუთრებული შეუბრალებლობითაც, როდესაც დამნაშავე აუტანელი და ხანგრძლივი ტკივილებით აწორებს დაზარალებულს სიცოცხლისაგან, არ კმაყოფილდება მოკვლისათვის საკმარისი დარტყმით, იგი ჩეხავს, ბეგვავს მსხვერპლს, აწამებს, აწვალებს, დასცინის, შეურაცხოფს – პირში რაიმეს სჩრის, ცხვირს, ყურებს აჭრის და ა.შ.

კვალიფიკაციის დროს აუცილებელია, დადგინდეს სუბიექტის განზრახვა იმის თაობაზე, რომ დამნაშავეს სურდა მრავალი ჭრილობით განსაკუთრებული ტკივილი მიეყენებია მსხვერპლისათვის, აბუჩად აეგდო იგი, ფეხქვეშ გაეთელა და ამით თვითონ დამტკბარიყო. ასე რომ, განსაკუთრებული სისასტიკის დადგენისათვის არა მარტო ჭრილობათა ობიექტური მრავლობითობაა საკმარისი, არამედ თვით სუბიექტის განზრახვაც ტანჯვა-წამების მიყენებისა.

პრაქტიკამ იცის შემთხვევა, როდესაც დამნაშავე მხოლოდ ერთ ჭრილობას აყენებს ხეზე მიკრულ დაზარალებულს და უყურებს, თუ როგორ იცლება იგი სისხლისაგან. ცხადია, აქ ჭრილობათა სიმრავლე არ გვაქვს, მაგრამ აშკარაა განსაკუთრებული სისასტიკე. ჭრილობათა მრავლობითობა რომ არ არის ერთადერთი მაკვალიფიცირებელი ნიშანი სისასტიკისა, იქიდანაც ჩანს, რომ ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში მიყენებული ჭრილობათა სიმრავლე სულაც არ მიუთითებს დამნაშავის სისასტიკეზე, არც ის, რომ აუცილებელი მოგერიების დროს დამნაშავემ მრავალი ჭრილობა მიაყენა დაზარალებულს.

მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ განსაკუთრებულ სისასტიკეს ადგენს წინასწარი გამოძიება და სასამართლო. მისი ცნების დასადგენად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სუბიექტურ მხარეს, რომელიც ახასიათებს დამნაშავის და-

მოკიდებულებას არა მარტო შედეგისადმი, არამედ თვით თავისი მოქმედებისადმი, გარემოებისადმი.

განსაკუთრებული სისასტიკე შეიძლება გამოიხატოს მკვლელობის დროს დაზარალებულის ახლობლების დასწრებით, როცა დამნაშავე გრძნობს, რომ ამით ტანჯვას აყენებს ორივეს.

ასე რომ, ,,განსაკუთრებული ტანჯვის მიყენების ქვეშ უნდა გავიგოთ დაზარალებულის არა მარტო ფიზიკური, არამედ ზოგიერთ შემთხვევაში ფსიქიკური, ზნეობრივი ტანჯვაც. მაგალითად, თუ მის წინ კლავენ ბავშვს, ცოცხლად წვავენ ცოლს ან დაზარალებულს კლავენ ბავშვების თანდასწრებით და სხვა".[1]

განსაკუთრებული სისასტიკის, დამნაშავის სადისტური ხასიათის, წამებით მოკვლის სურვილის ნათელი დადასტურებაა ისიც, რომ დამნაშავეს ჰქონდა შესაძლებლობა ცივი იარაღის ერთი ან ორი დარტყმით მოეკლა დაზარალებული, მაგრამ თავი აარიდა, რადგან მისი განსაკუთრებული წამებით, სისასტიკით მოკვლის სურვილი ჰქონდა და მკვლელობა განახორციელა ადამიანის ცოცხლად ნაწილ-ნაწილ დაჭრით, დაჩხვლეტით და ა.შ.

უნდა შევნიშნოთ, დაზარალებულის სიკვდილის შემდეგ გვამის დაჩეხვა და დამახინჯება დამნაშავის განსაკუთრებულ სისასტიკეს არ მოწმობს, როდესაც ეს მოქმედება ხდება დანაშაულის კვალის დაფარვის მიზნით.

ზ) განზრახ მკვლელობა ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას

განსახილველი შემადგენლობა არსებობს მაშინ, როდესაც დამნაშავემ წინასწარ იცის, რომ მის მიერ გამოძებნილი და შემუშავებული განზრახ მკვლელობის ჩადენის იარაღი და საშუალება გაანადგურებს არა მარტო მისთვის სასურველ პირს, არამედ საფრთხეს უქმნის სხვის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას.

მკვლელობის ასეთ საშუალებებს მიეკუთვნება აფეთქება, ხანძრის გაჩენა, რაიმე ნაგებობის დანგრევა, სადაც დაზარალებულთან ერთად სხვა პირებიც ცხოვრობენ. მასვე მიეკუთვნება ცეცხლსასროლი იარაღის გასროლა ადამიანთა ჯგუფში ერთი ადამიანის მოკვლის მიზნით, ავტოავარიის მოწყობა, როცა დაზარალებულთან ერთად სხვა პირებიც მგზავრობენ და ა.შ. განსახილველი მუხლით

1. მ. ლეკვეიშვილი, სისხლის სამართალი, თბ., 1996, გვ. 52-53

მოქმედების კვალიფიკაციისათვის სავალდებულო არ არის სხვა პირთა დაღუპვა. დანაშაული დამთავრებულად ითვლება, როდესაც დამნაშავისათვის გამიზნული დაზარალებულის სიცოცხლე განადგურდა, ხოლო სხვათა სიცოცხლეს საფრთხე შეექმნა. კვალიფიკაციისათვის საკმარისია ისიც, თუნდაც ერთ ადამიანს შეექმნას სიცოცხლის საფრთხე. ძირითადი განმსაზღვრელი ამ დანაშაულის შემადგენლობისა არის ის, თუ რა საშუალებით ჩადის დამნაშავე მკვლელობას და არიან თუ არა იმ გარემოში სხვა ადამიანები, რომელთაც საფრთხე შეექმნებათ.

„აღნიშნული მკვლელობის გაზრდილი საზოგადოებრივი საშიშროება იმაში მდგომარეობს, რომ ასეთი საშუალებით მკვლელობისას შეიძლება სიცოცხლეს გამოესალმოს რამდენიმე პირი, ამიტომ მკვლელობის ეს ხერხი ნათლად მოწმობს თვით მკვლელის პიროვნების გაზრდილ საშიშროებას“.[1]

სხვა ადამიანის სიცოცხლისათვის საშიში საშუალებით მკვლელობა არსებობს შემდეგი ვითარების დროს:

1) როდესაც დამნაშავე მკვლელობას ახორციელებს ისეთი საშუალებებით, რომელიც იქვე ახლოს მყოფის სიცოცხლისათვის საშიშია.

2) გარდა მისთვის სასურველი პირისა, სხვისი სიცოცხლის განადგურებით დამნაშავე დაინტერესებული არ არის, მაგრამ უშვებს ასეთს.

კონკრეტულ შეთხვევაში სუბიექტური მხარე გამოკვეთილია ძირითადი მსხვერპლის მიმართ როგორც პირდაპირი განზრახვა, ხოლო სხვის მიმართ — როგორც არაპირდაპირი.

აქედან გამომდინარე, კანონმდებელმა სწორად განსაზღვრა დისპოზიციის შინაარსი:

„განზრახ მკვლელობა ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას“.

დისპოზიციის ამ ტექსტიდან სრულიად ნათელია, რომ დამნაშავე წინასწარი განზრახვით მოქმედებს ძირითადი მსხვერპლის მოსაკლავად და სხვისი სიცოცხლის ან ჯანმრთელობის საფრთხის შესაქმნელად; სხვისი სიცოცხლის განადგურება მას მიზნად დასახული არ აქვს, მაგრამ თუ მოხდება, მოხდეს — უშვებს იგი.

„ზ“ პუნქტით კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არ აქვს,

1. ჭ. ლეკვეიშვილი, სისხლის სამართალი, თბ., 1996, გვ. 54

ძირითადი მსხვერპლის გარდა ფაქტობრივად განადგურდება თუ არა სხვა ადამიანის სიცოცხლე. დანაშაული ჩადენილია, როდესაც ძირითადი მსხვერპლის მოკვლის საშუალებებით თუნდაც ერთი ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას შეექმნას საფრთხე. ხოლო თუ ძირითად მსხვერპლთან ერთად სხვა მოქალაქის სიცოცხლეც (თუნდაც ერთის) განადგურდა, ქმედება დაკვალიფიცირდება ამავე მუხლის „ზ“ და „ა“ პუნქტებით.

მაგალითად, პეტრემ განიზრახა პავლეს მოკვლა, რომელიც ხილის ბაღში მორიგეობდა და თივის კარავში ეძინა. როცა პეტრე ხანძრის გაჩენას შეუდგა, იგრძნო, რომ კარავში სხვა ადამიანიც იყო. გარკვეული ყოყმანის შემდეგ პეტრემ კარავს ცეცხლი მაინც წაუკიდა. უცხო პირმა გამოასწრო კარვიდან. პეტრე დაიღუპა. ასეთ ვითარებაში დამნაშავის მოქმედება გამოიხატება პავლეს სიცოცხლის განადგურების პირდაპირ განზრახვაში, ხოლო უცხო პირის სიცოცხლის განადგურების განზრახვა ევენტუალურია.

„ზ“ პუნქტის ძირითადი მაკვალიფიცირებელი ნიშანი არის ის, რომ დამნაშავეს ძირითადი მსხვერპლის განადგურებასთან ერთად უნდა შეეძლოს გაითვალისწინოს, რომ მისი მოქმედებით შეიძლება მისთვის სულ უცნობი ადამიანის სიცოცხლეც განადგურდეს. თუ ამის გათვალისწინება დამნაშავეს არ შეუძლია, მოქმედება ვერ დაკვალიფიცირდება „ზ“ პუნქტით.

სუბიექტური მხარე გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში.

ობიექტი არის ადამიანის სიცოცხლე, ობიექტური მხარე – სიცოცხლის მოსპობა.

თ) განზრახ მკვლელობა ჯგუფურად

კანონმდებელი ამ სათაურს იმდენად ზოგადად ხმარობს, უნდა ვიგულისხმოთ, რომ მკვლელობა ჩაიდინა რამდენიმემ, – ორმა ან მეტმა დამნაშავემ, როგორც წინასწარი შეთანხმებით, ასევე მის გარეშე, ან ორგანიზებულმა ჯგუფმა.

პირთა ჯგუფის მიერ ჩადენილი ნებისმიერი დანაშაულებრივი ქმედება დამამძიმებელ გარემოებად ითვლება.

მკვლელობა ჯგუფურად ნიშნავს იმას, რომ იგი რამდენიმე პირის თანამონაწილეობით არის ჩადენილი, მის განხორციელებაში, წინასწარ შეუთანხმებლად, ერთობლივად მონაწილეობდა ორი ან მეტი პირი, ანდა მკვლელობა ჩადენილია პირთა ჯგუფის მიერ

წინასწარი შეთანხმებით, როდესაც მასში მონაწილენი თავიდანვე შეკავშირდნენ და მოილაპარაკეს დანაშაულის ერთობლივად ჩადენა.

აქვე უნდა განვიხილოთ ისეთი მკვლელობაც, როდესაც ის განხორციელებულია ორგანიზებული ჯგუფის, ე. ი. პირთა მყარად შეკავშირებული ჯგუფის მიერ, რომლებიც წინასწარ შეკავშირდნენ ერთად რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად (იხ. მ. 27).

სამივე შემთხვევაში საქმე გვაქვს თანამონაწილეობის პრინციპთან, როდესაც დამნაშავენი გარკვეულ, ცალკეულ მოქმედებებს ასრულებენ პირის სიცოცხლის მოსასპობად. კერძოდ: ხელმძღვანელობდა დანაშაულის მომზადება-განხორციელებას, აქეზებდა და იყოლიებდა დანაშაულის ჩადენაში, ეხმარებოდა და ხელს უწყობდა განზრახვის განხორციელებას, ასრულებდა უშუალოდ სიცოცხლის მოსპობის ფუნქციას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „თ“ პუნქტით ქმედების დაკვალიფიცირება ცალკეულად იშვიათად თუ მოხდება, რადგან მკვლელობა ჯგუფურად პრაქტიკაში ხშირად დაკავშირებულია თითქმის ყველა იმ პუნქტთან, რომელიც დამამძიმებელ გარემოებას მოიცავს. კერძოდ: ანგარებით, ხულიგნური ქცენა გრძნობით, რასობრივი ან ეთნიკური შეუწყნარებლობით და ა.შ. ასეთი ფაქტების არსებობის დროს ქმედება დაკვალიფიცირდება ხსენებული პუნქტების ერთობლიობით.

ჯგუფური მკვლელობა შეიძლება ჩადენილი იქნეს როგორც პირდაპირი, ასევე ირიბი განზრახვით.

მკვლელობა ჯგუფურად, როგორც წინასწარი შეთანხმებით, ასევე შეთანხმების გარეშე, დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევა, რადგან ყოველი მონაწილე მხარს უჭერს და ამაგრებს, სტიმულსა და გაბედულებას მატებს მეორეს. ამდენადვე, ერთობლივი ძალის გამო, უმწეო ხდება დაზარალებული და სრულიად ეცლება თავის გადარჩენის შესაძლებლობა.

ჯგუფური მკვლელობით კვალიფიკაცია შეიძლება იმ შემთხვევაში, როდესაც მკვლელობაში მონაწილე ყოველი პირი შეთანხმებულად მოქმედებდა დაზარალებულის მიმართ და ყველა მათგანის გონება მოცული იყო მკვლელობაში ურთიერთხელშეწყობით. ამასთანავე ჯგუფურად უნდა დაკვალიფიცირდეს არა მარტო იმ პირთა მოქმედება, რომელთაც უშუალოდ გამოიწვიეს დაზარალებულის სიკვდილი, არამედ მათი მოქმედებაც, რომლებიც ფიზიკურად ზემოქმედებდნენ დაზარალებულზე.

მაგალითად: რამდენიმე პირი დაზარალებულს ხელ-ფეხს უბორკავდა, ხოლო სხვებმა სასიკვდილო ჭრილობები მიაყენეს.

ამრიგად, სუბიექტები ჯგუფური მკვლელობისა არიან თანაამსრულებლები, ე. ი. ის პირები, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობაში და ახდენდნენ მასზე ფიზიკურ ზემოქმედებას.

ისეთ შემთხვევაში, როდესაც მკვლელობის განხორციელება ხდება თანამონაწილეთა შორის როლების განაწილებით (ორგანიზატორი, წამქეზებელი, დამხმარე, რომლებსაც ფიზიკური ძალადობა არ გამოუყენებიათ დაზარალებულის მიმართ, მაგრამ სხვაგვარად უწყობდნენ ხელს მკვლელობის განხორციელებას), მათი მოქმედება არ დაკვალიფიცირდება განსახილველი პუნქტით, არამედ თანამონაწილეობით (მ.მ. 23,24).

რაც შეეხება მკვლელობის ჩადენას ორგანიზებული ჯგუფისაგან, აქ საუბარია ისეთ მყარ გაერთიანებაზე, რომელიც ადრიდანვე შექმნილია სხვადასხვა დანაშაულის ჩასადენად, არა აუცილებლად მკვლელობისათვის, არამედ უფრო მეტწილად ქონებრივი დანაშაულების განსახორციელებლად, მაგრამ თავისი საქმიანობის პროცესში არ გამორიცხავს და თავისუფლად ახორციელებს მკვლელობებსაც. ამიტომ ყველა მათგანის როლი, მიუხედავად მოქმედების ხასიათისა, მიიჩნევა თანაამსრულებლობად და ამიტომ კვალიფიკაციის დროს 23 და 24 მუხლები (თანამონაწილეობისა) არ გამოიყენება.

ი) განზრახ მკვლელობა ანგარებით ან შეკვეთით

ანგარების ცნებაში კანონმდებელი გულისხმობს დამნაშავის მისწრაფებას, ლტოლვას, რათა დაეუფლოს სხვის კუთვნილ ქონებას უკანონოდ და მიისაკუთროს ის პირადი გამდიდრების მიზნით. დანაშაულის დამამძიმებელ გარემოებად ითვლება დამნაშავის უსულგულო დამოკიდებულება დაზარალებულის მიმართ, როდესაც იგი ვერ გრძნობს მეორე ადამიანის სიცოცხლის ღირებულებას, მის საზოგადოებრივ და მოქალაქეობრივ როლს, არაფრად მიაჩნია მისი სიცოცხლე და ოჯახის ტანჯვა. სწორედ დამნაშავის ამგვარი უსულგულობა ქმნის ამ დანაშაულის დამამძიმებელი გარემოების არსს.

მკვლელობას დამნაშავე ახორციელებს სხვადასხვა ხერხით, კერძოდ: მიპარვით, პირისპირ, მოწამვლით და ა.შ.

ქონებრივი დაინტერესება დამნაშავისა სხვადასხვა ფორმით

გამოიხატება. დამნაშავე ჰკლავს დაზარალებულს, რათა მისი ჩანთიდან ფული, ხოლო სხეულიდან — ოქროს ნივთები დაიტაცოს. ჰკლავს, რომ აღარ მოთხოვოს საწილო თანხა ან ვალი, ან დაეუფლოს მის საცხოვრებელ ბინას, აღარ სურს, ჰყავდეს თავის კმაყოფაზე (ავადმყოფი მეუღლე ან მშობელი) და ა.შ.

მკვლელობა ანგარებით სახეზეა მაშინ, თუ მკვლელობის მიზანი ქონების დაუფლება იყო, კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არ აქვს, დაზარალებული ქონების მესაკუთრე იყო თუ დამცველი.

სუბიექტური მხარე ანგარებითი მკვლელობის დროს თავის თავში მოიცავს გამორჩენის მიზანს. ე. ი. ძირითადი მიმართულება განზრახვისა არის ქონების დაუფლება მისაკუთრების მიზნით, ხოლო მკვლელობა ქონების ხელში ჩასაგდებად წინააღმდეგობის გადალახვის საშუალებაა. ამდენად, მკვლელობა ე. წ. დამატებითი მიზან-განზრახული მოქმედებაა, რომელი განზრახვაც წარმოიშობა მაშინ, როდესაც ვერ გადაილახება ქონებასთან მისვლის და მისი მოპოვების ბარიერი და ძირითადი მიზნის მისაღწევად დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა აუცილებელი გახდება.

თუ დამნაშავემ მაღაზიიდან ქონების დატაცების მიზნით განიზრახა გუშაგის მოკვლა და შემდეგ ქონების ხელში ჩაგდება, მაგრამ გუშაგის არყოფნის გამო შესძლო ქონების დატაცება, რის შემდეგაც დამთავრებულ დანაშაულზე მოუსწრო გუშაგმა, ხოლო დამნაშავემ გაუხმაურებლობის გამო მოჰკლა იგი, ქმედება დაკვალიფიცირდება ქურდობით და განსახილველი მუხლის „ლ“ პუნქტით.

„ი“ პუნქტით დამამძიმებელ გარემოებად მიჩნეულია აგრეთვე განზრახ მკვლელობა „შეკვეთით“.

შეკვეთა არის რაიმე ნივთის მოპოვებაზე ან მოქმედების შესრულებაზე დავალების მიცემა და შეთანხმება მეორე პირთან სანაცვლოდ შესატყვისი ფულის გადახდით ან რაიმე საქმიანობის შესრულებით. მკვლელობის ეს სახეობაც სრულიად ახალია ჩვენს კანონმდებლობაში. შეკვეთით მკვლელობა შეიძლება განხორციელდეს არა მარტო თანხის აღებით, არამედ სხვა სასურველი სარგებლობის მიღებით, სამსახურში მოწყობით, საყვარლად გახდომით და ა.შ. მაგალითად, ქალი შეკვეთას აძლევს დამნაშავეს, მოჰკლას მისი მეუღლე და გახდება მკვლელის საყვარელი. შეკვეთით მკვლელობა იმიტომაც არის დამამძიმებელი გარემოება, რომ დამნაშავე იღებს შეკვეთას და სიცოცხლეს უსპობს ისეთ ადამიანს, რომელთანაც მას

არავითარი საქმიანი ან რაიმე ურთიერთობა არასოდეს ჰქონია, რაც მეტად საშიშ სახეს აძლევს დამნაშავის პიროვნებას.

სასამართლო პრაქტიკაში გვხვდება შემთხვევები, როცა წამქეზებელი აძლევს შეკვეთას ამსრულებელს და მოაკვლევინებს თავის მტერს. წამქეზებელი ამისათვის ამსრულებელს უხდის რაიმე თანხას. ეს არის 109-ე მუხლის „ი“ პუნქტით ანგარების მოტივით და შეკვეთით მკვლელობის კომბინაცია. წამქეზებელი პასუხს არ აგებს ანგარებითი მკვლელობის თანამონაწილეობისათვის.[1]

ამსრულებლის მოქმედება ამ შემთხვევაში დაკვალიფიცირდება 109-ე მუხლის „ი“ პუნქტით („ანგარება“), ხოლო წამქეზებელი დაისჯება ამავე პუნქტით, შეკვეთით მკვლელობის თანამონაწილეობისათვის. ამსრულებელი, მართალია, მოქმედებს ანგარების მოტივით, მაგრამ ის, ამავე დროს, შეკვეთასაც ასრულებს.

კ) ხულიგნური ქვენაგრძნობით

მკვლელობას ხულიგნური ქვენაგრძნობით დამნაშავე ჩადის საზოგადოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის აშკარა უპატივცემულობის ატმოსფეროში. როგორც კანონის შინაარსიდანაც მკვეთრად ჩანს, ხულიგანი განზრახ მოქმედებით, „უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და გამოხატავს აშკარა უპატივცემულობას საზოგადოებისადმი.“

ხულიგნური ქვენაგრძნობით მოქმედება გამოიხატება დამნაშავის სწრაფვაში, დაუპირისპიროს თავისი საქციელი საზოგადოებრივ ინტერესს, საქვეყნოდ გამოხატოს ცინიკური დამოკიდებულება საზოგადოების მიმართ, მკაცრად შეურაცხყოს ის, თუნდაც სულ მცირედი, მაგრამ ობიექტური მითითებისათვის, მისი უკანონო საქციელის გამო. ხშირად ასეთ ნიადაგზე უმიზეზო და უმიზნო მკვლელობაც კი ხდება. დამნაშავე ხელაღებით იყენებს რაიმე იარაღს ან სპეციალურად მომარჯვებულ საგანს.

ეს არის ის მოტივი, რომელსაც საფუძვლად უდევს დამნაშავის უდისციპლინობა, თანაცხოვრების წესების უარყოფა, ადამიანთა უსიყვარულობა და უპატივცემულობა, სუბიექტის გაბოროტება, რაც გამომდინარეობს მისი თავახსნილობიდან, კანონებისა და ქცევის წესების არად ჩაგდებიდან, საერთო ცხოვრებისადმი განაწყე-

1. იხ. ამ საკითხზე დაწვრილებით ო. გამყრელიძე, ბრძოლა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის, პირველი წიგნი, 1998, გვ. 234-238.

ნებიდან. რის გამოც არად აგდებს ადამიანის ღირსებას. საზოგადოებრივ წესრიგს. ქონებას. ადამიანის ჯანმრთელობას. სიცოცხლეს და იმის გამო. რომ მას კანონიერად მოუწოდეს წესრიგისაკენ. თავს ესხმის საზოგადოებას და სასიკვდილოდაც იმეტებს მის რომელიმე ან რამდენიმე წევრს. ამ დროს დამნაშავისათვის სულ ერთია. კის შეურაცხყოფს ან კის ავნებს. ოღონდ თავისი დანაშაულებრივი აფეთქება დაიოკოს. როდესაც არ არსებობს რაიმე საამისო გარემოება. სწორედ ეს არის ხულიგნური ქვენა გრძნობა და მისი მამოძრავებელი მოტივი. ამრიგად. ასეთი ქმედებით გამოწვეული მკვლელობა წარმოადგენს ისეთ დანაშაულს.როდესაც დამნაშავე პირდაპირი განზრახვით უშვებს როგორც საზოგადოებრივი წესრიგის უხეშ დარღვევას. ასევე ადამიანის სიცოცხლის მოსპობას.

იმისათვის. რომ დამნაშავის მოქმედება განსახილველი პუნქტით დავაკვალიფიციროთ. მკვლელობას სხვა მოტივი არ უნდა ედოს საფუძვლად. გარდა ხულიგნობისა. თუნდაც რაიმე სხვაგვარი მოტივით ჩადენილ მკვლელობას საზოგადოების ხულიგნური უპატივცემულობაც რომ თან სდევდეს. მოქმედება ამ პუნქტითა და მუხლით მაინც არ დაკვალიფიცირდება.

პრაქტიკაში ხშირად საჭიროებს ძნელად გასარჩევი ხდება ხოლმე ხულიგნური ქვენა გრძნობით ჩადენილი მკვლელობა ჩხუბისა და შეხლა-შემოხლის დროს ჩადენილი მკვლელობისაგან. მაგრამ ეს სირთულეც იოლად დაიძლევა. თუკი გამოძიება ობიექტურად და განსაკუთრებული სიზუსტით დაადგენს სუბიექტურ მხარეს. ისიც არის გასათვალისწინებელი. დამნაშავე სპეციალურად ხომ არ ხულიგნობს სხვა მოტივით — განზრახ მკვლელობის ჩადენის მიზნით. ასეა თუ ისე. ხულიგნობა ისეთი მოქმედებაა. რომელიც ნაკლებად. ან სულაც არ არის დაკავშირებული რაიმე პირად მოტივთან.

მკვლელობა ხულიგნური ქვენა გრძნობით შეიძლება ჩადენილი იქნეს როგორც პირდაპირი. ასევე ირიბი განზრახვითაც. ეს უკანასკნელი იმას ნიშნავს. რომ დამნაშავეს პირადად რომელიმე მოქალაქის მოკვლის სურვილი არ გაუჩნია. მაგრამ ითვალისწინებს. რომ მის მოქმედებას შედეგად მოჰყვება საზოგადოების რომელიმე წევრის დაღუპვა. მაგრამ უშვებს ასეთს.

ლ) სხვა დანაშაულის დაფარვის ან მისი ჩადენის გაადვილების მიზნით

განსახილველი პუნქტი განზრახ მკვლელობისა ორ მოტივს შეიცავს. პირველ შემთხვევაში დამნაშავე ჰკლავს პიროვნებას ჩა-

დენილი დანაშაულის დაფარვის. ხოლო მეორე შემთხვევაში — მისთვის სასურველი დანაშაულის იოლად განხორციელების მიზნით. დანაშაულის ორივე სახეს დამნაშავე ჩადის მხოლოდ პირდაპირი განზრახვით.[1] პირველ შემთხვევაში დამნაშავე ფიქრობს. რომ მოწმე. რომელმაც იგი დაინახა დაზარალებულის ბინიდან გამოსვლის დროს (სადაც საყაჩაღოდ შევიდა). უდავოდ ამხელს მას. ამიტომ ჰკლავს მოწმეს. მაგალითად: დაზარალებულმა ნიღაბი ჩამოჰხადა რა დამნაშავეს. იცნო მისი ნათესავი. ამ უკანასკნელმა დანაშაულის დაფარვის მიზნით მოჰკლა დაზარალებული. თუკი დამნაშავე მოწმეს მოჰკლავს იმისათვის. რომ მან უკვე განაცხადა ჩადენილი დანაშაული სამართალდამცავ ორგანოებში. ამ შემთხვევაში მოქმედება დაკვალიფიცირდება ამავე მუხლის „გ" პუნქტით. როგორც დაზარალებულის განზრახ მკვლელობა საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით.

განსახილველი პუნქტით უნდა დაკვალიფიცირდეს არა მარტო ისეთი შემთხვევები. როდესაც მკვლელი ამით ფარავს თავის დანაშაულს. არამედ ისიც. როდესაც ამ მკვლელობით იგი ფარავს სხვის დანაშაულს. რათა მას პასუხისმგებლობა ააცილოს.

თუ მკვლელმა წინასწარ პირობა მისცა დამნაშავეს. რომ საჭიროების შემთხვევაში მის დანაშაულს. ვთქვათ. ყაჩაღობას. იგი დაფარავს იმით. რომ მოჰკლავს იმ მოქალაქეს. რომლისგანაც მოსალოდნელი იქნება გათქმა და შეასრულებს ამ პირობას. მკვლელის მოქმედება დაკვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობით (განსახილველი პუნქტით და ყაჩაღობაში თანამონაწილეობით).

განზრახ მკვლელობა სხვა დანაშაულის ჩადენის გაადვილების მიზნით არის მაშინ. როდესაც დამნაშავე კლავს პირს. რათა გაიადვილოს მომავალში გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა ან მკვლელობას ჩადის ძირითადი დანაშაულის განხორციელების საწყის პროცესში იმიტომ. რომ დაზარალებულს ნამდვილად შეეძლო ხელი შეეშალა მისთვის.

კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არ აქვს. მკვლელობა მოხდება რამდენიმე ხნით ადრე თუ ძირითადი დანაშაულის განხორციელების დასაწყისში (პროცესში).

---

1. ვ. მაჯაშვილი. მ. მაჭავარიანი. თ. წერეთელი. თ. შავგულიძე. დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ. გვ. 37.

ორივე შემთხვევაში (დაფარვა, გაადვილება) მკვლელობა ხდება პირდაპირი განზრახვით.

კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არ აქვს ნამდვილად დაიფარა თუ მართლაც გაადვილდა ის დანაშაული, რისთვისაც მკვლელობა მოხდა.

მ) განზრახ მკვლელობა ეროვნული, რასობრივი, რელიგიური ან ეთნიკური შეუწყნარებლობის გამო

მსოფლიოს, კაცობრიობას მხოლოდ მაშინ აქვს შესაძლებლობა იცხოვროს მშვიდობიანი ურთიერთობით, თუ ის სიყვარულითა და პატივისცემით მოეპყრობა ეროვნების, რასების, ეთნოჯგუფების, რელიგიების ყოველ სახეობას, შთაუნერგავს ადამიანებს იმ რწმენას, რომ ყველა ადამიანი დედამიწის ბინადარია, ღვთის შვილია, თანაბრად უნდა გავინაწილოთ მზისა და დედამიწის მშვენიერება და არავის აქვს უფლება, გალანძღოს და დასცინოს, აბუჩად აიგდოს და ჩირქი მოსცხოს განსხვავებულ ეროვნულ და რასობრივ წარმოშობას, რელიგიურ მრწამსს. ამ ფენომენთა ხელშეუხებლობას არა მარტო კანონის ძალა იცავს, არამედ იგი განპირობებულია თითოეული ერის კულტურით, ენით, ტრადიციებით, რომელიც საკაცობრიო სიმდიდრეა. ყოველი რელიგია აღუწერელ-აღუნუსხავი სიბრძნით არის აღსავსე და ყოველი მათგანი კაცობრიობის ნათელი აზროვნებისა და განუწყვეტელი ძიების შედეგია. სწორედ ამ შეგონების არცოდნაა ამ დანაშაულის მიზეზი, რომელიც თავისი დიდი საზოგადოებრივი საშიშროებით წარმოგვიდგება.

უმნიშვნელოვანესი პირობა რწმენის თავისუფლებისა არის საქართველოს კონსტიტუცია, რომლის მეცხრამეტე მუხლის პირველ პუნქტში ნათქვამია: „ყველა ადამიანს აქვს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება“. ადამიანის დაბადებით თავისუფლებაზე, მის ეროვნულ და ეთნიკურ ხელშეუხებლობასა და თანასწორობაზე გვითითებს კონსტიტუციის მეთოთხმეტე მუხლი. სწორედ ეს დოკუმენტი განაპირობებს პასუხისმგებლობას იმ მკვლელობისათვის, რაც ეროვნული, რასობრივი, ეთნიკური და რელიგიური შეუწყნარებლობით არის გამოწვეული.

განსახილველი მუხლით კვალიფიკაციის დროს უეჭველად უნდა დადგინდეს კონკრეტული, სპეციალური მოტივი კანონში ჩამოთვლილი მოტივებიდან. გამორიცხული არ არის, რომ სამივე მოტივიც ერთდროულად ფიგურირებდეს.

ადამიანის დანაშაულისაკენ ლტოლვისა და მისი სისრულეში მოყვანის დომინირებული მოტივი არის მისი და დაზარალებულის ეროვნული, რასობრივი, რელიგიური და ეთნიკური სხვაობა, რის გამოც დამნაშავე სიცოცხლის მოსპობით უსწორებს ანგარიშს დაზარალებულს. ამასთანავე დანაშაულის საშიშროება მდგომარეობს მასშიც, რომ შესაძლებელია გამოიწვიოს ერთა შორის დამოკიდებულების გამწვავება, მასობრივი არეულობა და ა.შ. მსგავს ფაქტებს არაერთხელ ჰქონდა ადგილი ოსებთან და აფხაზებთან კონფლიქტის დროს, როცა ორივე მხარე მწვავედ უსწორდებოდა ტყვეებს ქართველობისა თუ რელიგიური რწმენის გამო.

სუბიექტური მხარე ასეთი მკვლელობისა პირდაპირი განზრახვაა.

ნ) განზრახ მკვლელობა მსხვერპლის სხეულის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის გადანერგვის ან სხვაგვარი გამოყენების მიზნით

განსახილველი დანაშაული ჩვენი საუკუნის სრულიად ახალი მოვლენაა. მას საფუძველი ჩაეყარა 60-იანი წლებიდან, როდესაც მედიცინამ თავისი კოლოსალური მიღწევებით შესძლო ერთი ადამიანის სხეულის ან ქსოვილის გადანერგვა მეორეზე.

დღევანდელი მედიცინა, შეიძლება ითქვას, თავისუფლად ახერხებს გულის, თვალის, თირკმლის, კანის რომელიმე ნაწილის გადანერგვას.

ეს გარემოება ქმნის იმის პირობებს, რომ შესაძლებელია, დამნაშავემ ჩაიდინოს მკვლელობა დაზარალებულის ორგანოს ან ქსოვილის ტრანსპლანტაცია მისი რეალიზაციისა და მოგების მიღების მიზნით.

თავისთავად ცხადია, რომ ამ დანაშაულის ჩადენა შეუძლებელია წინასწარი განზრახვის გარეშე.

დანაშაულის ჩადენის მოტივი შეიძლება იყოს როგორც გამორჩენა, ასევე ახლობლისათვის დახმარების გაწევა. როდესაც დამნაშავე მკვლელობას ჩადის, რათა გაჰყიდოს დაზარალებულის სხეულის ნაწილი, ამ შემთხვევაში ქმედება დაკვალიფიცირდება განსახილველი (109) მუხლის „ი“ და „ნ“ პუნქტებით, ხოლო ახლობლის გადარჩენის მოტივით ჩადენილი მკვლელობის დროს – მხოლოდ „ნ“ – პუნქტით.

კანონმდებელმა გაითვალისწინა ისიც, რომ მკვლელობის მიზეზი შეიძლება იყოს კანიბალიზმი (ადამიანის ხორცი გამოიყენონ საკვებად, სამრეწველოდ და ა.შ.). ამაზე მიუთითებს სიტყვები: „ან სხვაგვარად გამოყენების მიზნით“.

კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არ აქვს, რისთვის გამოიყენებს დამნაშავე ადამიანის სხეულის ნაწილებს.

ო) განზრახ მკვლელობა არაერთგზის

ტერმინი „არაერთგზის“ ნიშნავს რამდენჯერმე, ორჯერ ან მეტჯერ. ე. ი. დამნაშავე მკვლელობას ჩადის ორჯერ ან მეტჯერ.

კოდექსის მეთხუთმეტე მუხლი აღნიშნავს, რომ „არაერთგზისი დანაშაული ნიშნავს ამ კოდექსის ერთი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ორი ან მეტი დანაშაულის ჩადენას“.

„ამ კოდექსის სხვადასხვა მუხლით გათვალისწინებული ორი ან მეტი დანაშაული არაერთგზის დანაშაულად შეიძლება ჩაითვალოს იმ შემთხვევაში, თუ ამის შესახებ მითითებულია ამ კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამის მუხლში“.

მითითებული მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, არაერთგზის მკვლელობად ჩაითვლება ისეთი მოქმედება, როდესაც დამნაშავემ უკვე მეორედ ან მეტჯერ ჩაიდინა განსახილველი მუხლის რომელიმე პუნქტით გათვალისწინებული დანაშაული, ე. ი. განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში.

კანონი ხაზს უსვამს, რომ მკვლელობა განსახილველი მუხლის „ო“ პუნქტით (არაერთგზის) არ დაკვალიფიცირდება, თუ დამნაშავეს ადრე ჩადენილი აქვს მკვლელობა მსხვერპლის დაჟინებული თხოვნით (მ. 110), განზრახ მკვლელობა უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში (მ. 111), დედის მიერ ახალშობილის განზრახ მკვლელობა (მ. 112), მკვლელობა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით (მ. 113) და მკვლელობა დამნაშავის შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილებით (მუხლი 114);

განზრახ მკვლელობა არაერთგზისად ჩადენილად მიიჩნევა არა მარტო მაშინ, როცა ადრე ჩადენილი ქმედება 109-ე მუხლის სხვა რომელიმე პუნქტით დაკვალიფიცირდა, არამედ მაშინაც, როცა ადრე ჩადენილი მკვლელობა დაკვალიფიცირდა 108-ე მუხლით და დამნაშავემ კვლავ ჩაიდინა განზრახ მკვლელობა.

განსახილველი პუნქტით კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არ აქვს, დამნაშავე პირველი მკვლელობისათვის (დამამძიმებელ გარემოებაში) ნასამართლევი არის თუ არა.

მკვლელობა არ დაკვალიფიცირდება განსახილველი მუხლით, თუ ადრე ჩადენილი ამგვარი დანაშაული ამნისტიით ეპატია დამნაშავეს ან მოხსნილია ან გაქარწყლებულია ნასამართლეობა.

მკვლელობა მსხვერპლის თხოვნით – მუხლი 110

ეს დანაშაული ახალია სისხლის სამართლის კანონმდებლობაში. კანონის დისპოზიცია ასეთია: „მკვლელობა მსხვერპლის დაჟინებული თხოვნით და მისი ნამდვილი ნების შესაბამისად, ჩადენილი მომაკვდავის ძლიერი ფიზიკური ტკივილისაგან გათავისუფლების მიზნით“.

კანონმდებელი დისპოზიციაში სამ მნიშვნელოვან მომენტს უსვამს ხაზს.

1) ბრალდებულის შთაგონებას დაზარალებულის მიერ;
2) მომაკვდავის დაჟინებულ თხოვნას;
3) დაზარალებულის ნების შესაბამისობას.

ჩამოთვლილი სამი მომენტი არის განმსაზღვრელი დამნაშავის სუბიექტური მხარისა, რამაც განაპირობა ამ განზრახ მკვლელობის შემამსუბუქებელი ხასიათი.

დამნაშავე განზრახ კლავს ავადმყოფს, მაგრამ ეს განზრახვა, სურვილი დაზარალებულისაგან არის შთაგონებული და აღძრული.

მომაკვდავის დაჟინებული თხოვნა, რომ მოუსპონ ტანჯული, გაწამებული, ორიოდე დღის სიცოცხლე, გარკვეულ სიბრალულსაც იწვევს სუბიექტში, რადგან ავადმყოფს სრულიად აღარ გააჩნია ყოფითი სიტკბოების გრძნობა, შესაბამისი ემოციები და აუტანელ წამებაში იმყოფება. ყოველივე ეს განაპირობებს გადაწყვეტილების მიღებას – სიკვდილით იხსნას იგი ტანჯვისაგან და ეს გადაწყვეტილება არის დაზარალებულის ნების შესაბამისი.

ნების შესაბამისობა ნიშნავს იმას, რომ დაზარალებულს ნამდვილად აღარ უნდა სიცოცხლე, ამოიწურა ყოველგვარი იმედი და სურს, ჩქარა დაუდგეს აღსასრული. ეს ნამდვილი ნება უნდა იყოს და არა მოჩვენებითი, უბრალოდ, სიტყვით გამოთქმული დაზარალებულის მიერ.

ქმედების საზოგადოებრივად საშიშროება (სიცოცხლის ნაადრევად, ძალით მოსპობა) მდგომარეობს ასევე მასშიაც, რომ პიროვნებას შეუძლია სიცოცხლე მოუსპოს ადამიანს, ამიტომ „სიცოცხლის ხელყოფა, თუნდაც დაზარალებულის დაჟინებითი თხოვნით და თანხმობით ვერ განიხილება ქმედების მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ და სოციალურად მისაღებ გარემოებად. ასეთ ვითარებაში ჩადენილი ქმედება წინააღმდეგობაშია მთელი საზოგადოების ინტერესებთან და იგი ძირს უთხრის სხვისი სიცოცხლის ხელუხლებლობის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპს".[1]

ამრიგად, მკვლელობა, შეიარაღებული მომაკვდავის დაჟინებული თხოვნით, სრულიადაც არ წარმოადგენს პასუხისმგებლობის შეწყვეტის მოტივს და კანონის მოთხოვნა ქმედების დასჯადობის შესახებ გამომდინარეობს კონსტიტუციური პრინციპიდან „სიცოცხლე ადამიანის ხელშეუხებელი უფლებაა და მას იცავს კანონი".[2]

დანაშაული ძირითადად ხორციელდება იმის გამო, რომ დამნაშავე დარწმუნებულია დაზარალებულის სენის განუკურნელობაში, რომელიც სასტიკი ტკივილებით ტანჯავს მას და ათავისუფლებს წამებისაგან, მაგრამ ყურადღებას არ აქცევს იმას, რომ ყველაზე სანუკვარისაგან — სიცოცხლისაგან ათავისუფლებს, რაც დანაშაულია.

დანაშაულის სუბიექტური მხარე გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში: სუბიექტს ავადმყოფის ორგანიზმში შეჰყავს ნივთიერება და იცის, რომ ამით მისი სიცოცხლე განადგურდება. ასეთია მიზანიც.

სიკეთე, რომელსაც ხელყოფს დამნაშავე, არის განუკურნებელი სენით დაავადებული ადამიანის სიცოცხლე.

ობიექტური მხრივ დანაშაული გამოიხატება ადამიანის სიცოცხლის მოსპობაში.

განზრახ მკვლელობა უეცარი ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში — მუხლი 111

განსახილველი მუხლი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი ითვალისწინებს, „განზრახ მკვლელობას უეცარი ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში, რაც გამოიწვია დამნაშავის

1. ლ. სურგულაძე, სისხლის სამართალი, თბ., 1997, გვ. 282
2. საქ. კონსტ. მუხ. 15, პუნ. 1.

ან მისი ახლო ნათესავის მიმართ მსხვერპლის მიერ მართლსაწინააღმდეგო ძალადობამ, მძიმე შეურაცხყოფამ ან სხვა მძიმე ამორალურმა ქმედებამ, აგრეთვე მსხვერპლის არაერთგზის მართლსაწინააღმდეგო ან ამორალური ქცევით ფსიქიკურმა ტრამვამ". ამ დანაშაულის შემამსუბუქებელი გარემოების საფუძვლად ითვლება დაზარალებულისაგან ბრალდებულის ან მისი ახლობლების მიმართ უკანონო, ამორალური საქციელი, რამაც გამოიწვია ბრალდებულის მძიმე ფსიქიკური აფეთქება. პიროვნების ამ მდგომარეობას უწოდებენ ფიზიოლოგიურ აფექტს.

ფიზიოლოგიური აფექტი მწვავედ მოზღვავებული ემოციების ერთბაშად აფეთქებაა, რომელიც ასუსტებს საქციელის კონტროლის უნარს, ამოატივტივებს განუზომელ და დაუოკებელ ლტოლვას შეურაცხმყოფელის მიმართ შურისძიების სახით და რომლის შეკავება აღარ შეუძლია სუბიექტის გონიერ ძალას. სწორედ ეს მდგომარეობა ქმნის პირობებს, დამნაშავე ჩაითვალოს საზოგადოებრივად ნაკლებად საშიშად იმასთან შედარებით, როდესაც დამნაშავე ყოველგვარი აფექტის გარეშე წყნარად, მშვიდად დაგეგმავს დანაშაულის ჩადენის მთელ მსვლელობას.

ფიზიოლოგიური აფექტი რადიკალურად განსხვავდება პათოლოგიური აფექტისაგან. ამ უკანასკნელ გარემოებაში დაბნელებული გონების ფსიქიკა საერთოდ ნულოვან ზღვარზეა დასული და ადამიანს სრულიად ეკარგება უნარი უხელმძღვანელოს თავის საქციელს. მაშასადამე, თუ ფიზიოლოგიური აფექტის დროს სუბიექტის მოქმედება გამიზნული და გონივრულია, მაგრამ შესუსტებულია საქციელის კონოტროლის ძალა, პათოლოგიური აფექტის დროს იგი საერთოდ არ არსებობს და პიროვნება თითქმის შეურაცხადობის მდგომარეობაშიც კი ვარდება.

იმის დასადგენად, თუ რომელი მოვლენის პირობებში იქნა ჩადენილი დანაშაული, საჭიროა, დაინიშნოს ფსიქოლოგიური ექსპერტიზა.

მკვლელობა აფექტის მდგომაეობაში ჩადენილად ჩაითვლება მაშინ, თუ მას ახლავს შემდეგი მნიშვნელოვანი და განმსაზღვრელი მომენტები:

1. დაზარალებულის მოქმედება ბრალდებულის მიმართ, რამაც ამ უკანასკნელის ფიზიოლოგიური აფექტის პირობები შექმნა, აუცილებლად უნდა იყოს გამოხატული უკანონო ძალადობაში, მძიმე შეურაცხყოფაში ან სხვა ამორალურ ქმედებაში;

2. ბრალდებულის მოქმედება, რაც გამოიხატება დაზარალებულის სიცოცხლის დანაშაულებრივ ხელყოფაში, უნდა იყოს უეცარი, იმწამიერი, დაზარალებულის მოქმედებაზე გადაბმული.

უეცარი სულიერი აღელვება მდგომარეობს მასში, რომ იგი წარმოიშობა დაუყონებლივ, დაზარალებულისაგან ბრალდებულის მიმართ ჩადენილი უკანონო მოქმედების საპასუხო რეაქციის სახით. მკვლელობა აფექტის მდგომარეობაში ჩაითვლება მაშინ, როდესაც არსებობს შემამსუბუქებელი გარემოებების შემდეგი პირობები:

1. უეცარი ძლიერი სულიერი აღელვება და ასევე უეცარი განზრახვა მოძალადე შეურაცხმყოფელის მოკვლისა;

2. ეს ყოველივე გამოწვეული უნდა იყოს მსხვერპლის კანონსაწინააღმდეგო ან ამორალური საქციელით დამნაშავის მიმართ.

სულიერი აღელვების უეცრობა მდგომარეობს მასში, რომ იგი წარმოიშობა დაუყოვნებლივ, მსხვერპლის უკანონო ან ამორალური მოქმედების ჩადენისთანავე, როგორც მისი საპასუხო გაგრძელება. ამ უეცარ აღელვებას თანვე მოჰყვება მოკვლის უეცარი განზრახვა. მკვლელობა და მსხვერპლის პროვოკაციული მოქმედება, რამაც გამოიწვია ფიზიოლოგიური აფექტის მდგომარეობა და განზრახვა მოკვლისა, უმრავლეს შემთხვევებში, ერთმანეთს დროში არ შორდებიან. მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც აფექტი მსხვერპლის უკანონო საქციელის გამო დროის გავლის შემდეგაც წარმოიშობა. მაგალითად, პირი ქუჩაში შეხვდა მოულოდნელად იმ პირს, ვინც მისი მამა მოკლა.

მსხვერპლის პროვოკაციული საქციელი, რომელიც იწვევს უეცარ ძლიერ სულიერ აღელვებას, შეიძლება გამოიხატოს ა) ფიზიკურ ძალადობაში, ბ) აბუჩად აგდებაში, გ) მძიმე შეურაცხყოფაში, დ) ამორალურ მოქმედებაში, ე) ისეთ უკანონო საქციელში, რომელიც სისტემატურად მწვავე ზეგავლენას ახდენს პიროვნების ნერვიულ სისტემაზე და სხვა კანონსაწინააღმდეგო მოქმედებაში.

ფიზიკური ძალადობა მსხვერპლის მხრიდან შეიძლება გამოიხატოს გარტყმით, გაწვალებით, უკანონო თავისუფლების აღკვეთით და ა.შ. რამაც შეიძლება სხვადასხვა სახის ფიზიკური ზიანი გამოიწვიოს. გამოძიების პროცესში ყურადღების გამახვილება ჭირდება იმას, რომ უეცარი სულიერი აღელვების მდგომარეობაში ჩადენილი მკვლელობა ფიზიკური ძალადობის დროს არ უნდა იყოს

გამოწვეული აუცილებელი მოგერიებით, როცა პირი მსხვერპლს კლავს აქტიური ფიზიკური ძალადობის პროცესში. განსახილველი მუხლით კვალიფიკაციის დროს საუბარი არის ისეთ მომენტზე, როდესაც დაზარალებულის მხრიდან ფიზიკური ძალადობა დამთავრდა, პირს ამ ძალადობის გაგრძელება აღარ ემუქრება, მაგრამ კანონსაწინააღმდეგო ფიზიკური ძალადობის გამო იმყოფება მწვავე სულიერი აღელვების მდგომარეობაში.

აბუჩად აგდება, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს უეცარი ძლიერი სულიერი აღელვება, გამოიხატება ბოროტ დაცინვაში, მასხრად აგდებაში, გაქირდავაში. მძიმე შეურაცხყოფისაგან განსხვავებით, რომელიც ყოველთვის მიუღებელი ფორმით გამოიხატება, აბუჩად აგდება, გაქირდვა შეიძლება გამოიხატოს ზრდილობიან შეფარულ ფორმაშიც, მაგრამ იმდენად ასხივებს დაცინვას, რომ აფეთქებს პირის ფსიქიკას. აბუჩად აგდება შეიძლება გაგრძელდეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში – დღეობით, კვირაობით და განაწყენებამ ერთბაშად იფეთქოს.

მძიმე შეურაცხყოფის ცნებაში იგულისხმება უხეში დაცინვა, სახელისა და ღირსების ღრმად დამცირება, რომელიც გამოიხატება უწესო ფორმაში. საკითხი იმის თაობაზე, თუ რომელი შეურაცხყოფა ითვლება მძიმედ, უნდა გადაწყდეს კონკრეტულ შემთხვევაში მთელი პირობების შესწავლით, ვითარების გათვალისწინებით და ა.შ. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ შეურაცხყოფა მშობლების, ეროვნების, მრწამსის მისამართით მეტად მძიმედ მოქმედებს, ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია თვით დამნაშავის ინდივიდუალური ფსიქიკა, აღზრდა, პირადი თვისებები, შეხედულებანი და ა.შ.

ამორალური საქციელის ცნება გულისხმობს მორალური ნორმების საწინააღმდეგო ქმედებას, რომელიც მიიჩნევა უეცარი ძლიერი სულიერი აღელვების ობიექტურ საფუძვლად. მაგალითად: მეუღლისაგან ღალატი, გამცემლობა, ახლობლისაგან გამცემლობა და ა.შ.

შეურაცხყოფა, ფიზიკური თუ სიტყვიერი, შესაძლებელია გრძელდებოდეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში, მაგრამ გარკვეული გარემოებისა და თავშეკავების გამო ითმენდეს მას სუბიექტი, მაგრამ, როცა აღივსება მოთმინების ფიალა, ფეთქდება იგი და ეს აფეთქება მთავრდება შეურაცხმყოფელის სიკვდილით.

„სხვა მართლსაწინააღმდეგო მოქმედებად“, რამაც სუბიექტის უეცარი მძიმე სულიერი აღელვება გამოიწვია, უნდა მივიჩნიოთ

ისეთი აქტი, რომელიც არ გამოხატავს ძალადობას, არც აბუჩად აგდებას და არც მძიმე შეურაცხყოფას, მაგრამ ხასიათდება სამართლის უხეში დარღვევით და ბრალდებულის ან მისი ახლობლის კანონიერი ინტერესების მიუღებელი შელახვით. შეიძლება გამოიხატოს თვითნებობით, შანტაჟით, ღალატით, ქონების დაზიანებით, ცილისწამებით და ა.შ.

სუბიექტური მხარე დანაშაულისა გამოიხატება პირდაპირი განზრახვით.[1] განზრახვა ყოველ შემთხვევაში მხოლოდ უეცარია, მაგრამ ეს მდგომარეობა ზოგჯერ არ გამორიცხავს მხარეთა შორის არსებულ შორიდან მომდინარე ფარულ მტრულ დამოკიდებულებას, მაგრამ მკვლელობის ფაქტი კონკრეტულ შემთხვევაში აუცილებლად განპირობებული უნდა იყოს ძლიერი სულიერი აღელვებით და დაზარალებულის უკანონო ქმედების ზედნაშენი იყოს.

მუხლის მეორე ნაწილის შემადგენლობა ანუ დანაშაულის კვალიფიციური სახე გვაქვს მაშინ, როდესაც დამნაშავე ძლიერი სულიერი აღელვების გამო ჰკლავს ორ ან მეტ მოქალაქეს. აქ საუბარია ისეთ ფაქტზე, როდესაც აფექტის მდგომარეობაში მყოფი მოქალაქე, ერთდროულად ან უმცირესი დროის დაშორებით, კლავს რამდენიმე პირს. კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არ აქვს, თუ როგორი მოტივითაა მოკლული თვითეული დაზარალებულთაგანი. მთავარი ამ ნაწილით კვალიფიკაციისათვის არის ის, რომ ყოველი მათგანის მოქმედება ბრალდებულის მიმართ უნდა იყოს მართალსაწინააღმდეგო და ძლიერი სულიერი აღელვების გამომწვევი.

დედის მიერ ახალშობილის განზრახ მკვლელობა – მუხლი 112

განსახილველი მუხლი ერთი ნაწილისაგან შედგება და მისი შინაარსი ასეთია:„დედის მიერ ახალშობილის განზრახ მკვლელობა მშობიარობისას ან უმალვე მშობიარობის შემდეგ“.

განსახილველი დანაშაული თავისი დისპოზიციით მეტად მკაცრად და მიუტევებლად გამოიყურება. თითქოს უცნაურიც კი არის, რომ შვილის მკვლელ დედაზე შეღავათი გავრცელდეს და მისი

1. ვ. მაყაშვილი, მ. მაჭავარიანი, თ. წერეთელი, თ. შავგულიძე, დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ, გვ. 51.

მოქმედება შემამსუბუქებელ გარემოებებში იქნეს განხილული. ყოველივე ეს განპირობებულია შემდეგი მოვლენების გამო: უპირველეს ყოვლისა, ფეხმძიმობა, როგორც მოვლენა (და განსაკუთრებით მაშინ, თუ იგი არასასურველია), დაბადების მოლოდინი და დაბადება მეტად რთულ ფსიქიკურ ცვლილებებს ახდენს დედის ცენტრალურ ნერვულ სისტემაში. არცთუ იშვიათად იწყება შიშის განცდები, აკვიატებული აზრების მოწოლა. დაბადება იქცევა კატასტროფულ მოვლენად დედის ორგანიზმისათვის. ქალი განიცდის მკვეთრ ფიზიკურ და ფსიქიკურ მოშლილობას. დედის ეს პათოლოგიური მდგომარეობა (ზოგჯერ არ არის გამორიცხული შეურაცხაობაც) კიდევ უფრო რთულდება, როდესაც ორსულობა არასასურველია დედისათვის, როცა ფეხმძიმობა მოხდა შეცდომით, გაუთვალისწინებლად, უკანონოდ, როცა ქალის ფსიქიკას ტანჯავს მომავალი დამოკიდებულების სირცხვილი, აშლილობა მშობლებთან, ახლობლებთან, საზოგადოებასთან, მოლოდინი ოჯახიდან გაძევებისა, ეკონომიკური და სულიერი მარტოობა და ა.შ. სწორედ ეს გარემოებანი იძლევა საფუძველს, ახალშობილის მკვლელობა დედისაგან განხილული იქნეს როგორც მკვლელობა შემამსუბუქებელ გარემოებაში. დაზარალებულად ითვლება ახალშობილი.

ობიექტური მხარე დანაშაულისა გამოიხატება დედის მიერ ჩადენილი კანონსაწინააღმდეგო მოქმედებით - ახალშობილის მოკვლით. დანაშაული შეიძლება განხორციელდეს როგორც აქტიური მოქმედებით (დარტყმით, მოგუდვით), ასევე უმოქმედობით (საკვების, წამლის მიუცემლობით და ა.შ.).

დაბადების პროცესად ითვლება დრო, როდესაც ბავშვი დედის სხეულისაგან განშორების პროცესშია და მშობიარობა ჯერ არ დასრულებულა.

„უმალვე მშობიარობის შემდეგ“ ნიშნავს დედის სხეულს განშორებიდან ხანმოკლე დროის შემდეგ მკვლელობას. იმ საკითხის გადასაწყვეტად, თუ რამდენი ხნის დაბადებულია ახალშობილი, საჭიროა სასამართლო სამედიცინო კრიტერიუმები.

ორი ან მეტი ახალშობილის მოკვლა დედის მიერ არ იწვევს კვალიფიკაციის შეცვლას.

სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარება ყოველი შემთხვევის დროს აუცილებელია.

განსახილველი დანაშაულის სუბიექტური მხარე ხასიათდება განზრახი ბრალით.

ქმედების ამ მუხლით დაკვალიფიცირება, მისი დადგენა-დაზუსტება, მეტად ფაქიზ და დახვეწილ გამოძიებას მოითხოვს, რადგან ეს დანაშაული ხშირად შეიცავს ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში ჩადენილი მკვლელობის ნიშნებსაც.

28-ე მუხლი მკაფიოდ განმარტავს, რომ აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილება ნიშნავს – „მომგერიებლის მიერ თავდაცვის აშკარა შეუსაბამობას მასზე თავდასხმის ხასიათთან და საშიშროებასთან“, როდესაც თავდამსხმელს საამისო აუცილებლობის გარეშე, განზრახ უსპობენ სიცოცხლეს ან მძიმედ უზიანებენ ჯანმრთელობას. ამასთან, მხედველობაში მიიღება დასაცავი სიკეთის ღირებულება, საფრთხის ხასიათი და ხარისხი, თავდამსხმელის მიზანი და ზრახვა, თავდასხმის და დაცვის ხერხები და საშუალებები, მათი გამოყენების ინტენსიურობა, მომგერიებლის ფსიქიკური მდგომარეობა, ძალა და შესაძლებლობა თავდასხმის მოსაგერიებლად და საქმის სხვა კონკრეტული გარემოებანი. როგორც მუხლიდან ჩანს, დანაშაული სახეზეა მაშინ, როდესაც თავდამსხმელის მკვლელობა განხორციელდება მომგერიებლისაგან განზრახ, უპირატესი იარაღისა და საშუალებების გამოყენებით. ეს იმას ნიშნავს, რომ მომგერიებელი აშკარად გრძნობს თავისი მოქმედებისა და იარაღის უპირატესობას, გადაჭარბებულობას, რითაც შეიძლება მოკვდეს თავდამსხმელი, მაგრამ უშვებს ამას და სურს ასეთი შედეგი. ამ გადაჭარბებულობას, მის დაშვებასა და სურვილს მომგერიებლის გონსა და შეგნებაში, განზრახვაში წარმოშობს სწორედ ის ემოციური გრძნობის გადაჭარბებულად მოზღვავება, რასაც ჰქვია გარკვეულწილად შიშისა და გარკვეულწილად აფექტის, ე. წ. გაბრაზების ფაქტორი.

კანონმდებელი მრავალი ნიუანსის მქონე უპირატესობისა და გადაჭარბებულობის ფაქტორებს განიხილავს მომგერიებლის მხრიდან. კერძოდ, „აშკარად გაცნობიერებული თავდაცვის ხასიათსა და საშიშროებაში“ კანონმდებელი გულისხმობს, რომ მომგერიებელი ნათლად გრძნობს, ხელკეტით მოსული თავდამსხმელის მოგერიებისათვის თოფის გამოყენება როდია საჭირო, გრძნობს იმასაც, თავდამსხმელი ფიზიკურადაც არ წარმოადგენს მისთვის დიდად

მოჭარბებულ საშიშროებას. მაგრამ იგი მაინც იყენებს შეუფარდებელ ძალასა და იარაღს.

ამასთანავე, მომგერიებელი იმასაც კარგად გრძნობს, რომ თავდამსხმელისაგან გამოწვეული ზიანი თუ ზარალი ბევრს არაფერს წარმოადგენს თავისი ღირებულებით, მაგრამ იგი უფრო მეტი საფრთხითა და ზიანით უზღავს თავდამსხმელს. იცის თავისი ძალის, მოქმედების ხერხებისა და საშუალებების მძაფრი უპირატესობა და მომაკვდინებლობა, მაგრამ უშვებს ამას, სურს კიდევაც ეს.

მაგალითად, ქურდის მოკვლა, რომელიც უიარაღოდ და იპარავდა არცთუ ისე მნიშვნელოვან ქონებას, ან ხულიგნის მოკვლა ცეცხლსასროლი იარაღით, რომელიც ყოველგვარი იარაღის გარეშე ლანძღავდა და აგინებდა, თან იწვევდა ადამიანთა დიდი ჯგუფის საცემად.

ამ კატეგორიის საქმეთა შესწავლა-გამოძიების დროს სამართალდამცავმა ორგანოებმა პროცესუალურ დოკუმენტებში უნდა განსაზღვრონ აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილების მომენტი არა ზოგადად ყოვლისმომცველი ფრაზებით, არამედ კანონის შესაბამისად უნდა დააკონკრეტონ, რაში გამოიხატებოდა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილება. ე. ი. კონკრეტულად 28-ე მუხლის რომელი დეტალი დაირღვა მოგერიების დროს და რომელ მტკიცებულებას ეყრდნობა ეს მოსაზრება.

ამასთანავე, უნდა დადგინდეს თავდასხმის საშიშროების ხასიათი: რით ემუქრებოდა იგი მომგერიებელს, რა სიკეთეს ხელყოფდა ან რა ხელჰყო თავდამსხმელმა, იყო თუ არა თავდასხმა დაკავშირებული ძალადობასთან და რა ძალით, ასევე რა საშუალებით მოხდა ამ თავდასხმის მოგერიება, რა ძალები და საშუალებები გამოიყენა მომგერიებელმა, რა შეიძლებოდა გამოეყენებინა, რით გადააჭარბა მოგერიების ფარგლებს, რით უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს თავდამსხმელისა და მომგერიებლის ძალები და საშუალებები (ოდენობა თავდამსხმელისა და მომგერიებლისა, მათი ასაკი, ფიზიკური განვითარება, იარაღის სახეობა, თავდასხმის დრო და ადგილი, პოზიციები და ა.შ.).

საკითხების გადაწყვეტის დროს მხედველობაშია მისაღები ის მდგომარეობაც, რომ აუცილებელი მოგერიების საზღვრის გადაცილების პროცესში დამნაშავეზე ზემოქმედებს როგორც სულიერი აღელვების, ასევე შიშის ფაქტორები.

მართლზომიერი დაცვით თავდასხმის მოგერიება უნდა ემთხვეოდეს დროის მიხედვით საზოგადოებრივად საშიშ თავდასხმას. როდესაც თავდასხმა არ მომხდარა, არც ამის საშიშროება ყოფილა, ან როცა უკვე თავდასხმა დამთავრდა, თავისთავად ცხადია, აუცილებელი მოგერიების შესახებ საუბარიც აღარ შეიძლება და ასეთი გარემოების დროს მკვლელობა თავდამსხმელისა სრულიად სხვა მუხლით დაკვალიფიცირდება.

ისეთ შემთხვევაში, თუ მკვლელობა მოხდა თავდასხმის დამთავრებისთანავე, მოქმედება დაკვალიფიცირდება 111-ე მუხლით.

სუბიექტური მხარე დანაშაულისა ხასიათდება არაპირდაპირი განზრახვით.[1] დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ იცავს რა სიკეთეს საშიში თავდასხმისაგან, თვითონაც ჩადის დანაშაულს, არ სურს ასეთი შედეგი, მაგრამ შეგნებულად უშვებს მის დადგომას.

მოქმედება მაშინ ჩაითვლება აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებად, როდესაც მომგერიებელმა შეიცნო თავდამსხმელის შესაძლებლობა და საშუალებები, ამის შესაბამისადვე დაიწყო მისი მოგერიება, მაგრამ ზედმეტ-ნაკლებად, გაუმართლებლად გამოიყენა უფრო მკაცრი საშუალებები, რასაც მძიმე შედეგი მოჰყვა.

სისხლის სამართლის კოდექსის 28-ე მუხლი აუცილებელი მოგერიების საჭიროებას ხედავს არა მარტო სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე თავდასხმის დროს, არამედ ყოველი სამართლებრივი სიკეთის დაცვისას — ეს სიკეთე მომგერიებლის სამართლებრივი საკუთრებაა თუ სხვისი.

მკვლელობა დამნაშავის შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილებით — მუხლი 114

განსახილველი მუხლის დისპოზიცია პასუხისმგებლობას აკისრებს პირს, რომელმაც ჩაიდინა „მკვლელობა დამნაშავის შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილებით".

როცა ვსაუბრობთ დამნაშავისათვის ძალდატანების გამოყენების აუცილებლობაზე, ეს იმას ნიშნავს, რომ კანონი იძლევა ძალის გამოყენების უფლებას, თუ ეს აუცილებლობით არის გამოწვეული

1. ვ. მაყაშვილი, მ. მაჭავარიანი, თ. წერეთელი, თ. შავგულიძე, დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ, გვ. 52-53

და ეს უკიდურესი ზომა ჩატეულია კანონის მოთხოვნათა ფარგლებში, ხოლო სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ითვალისწინებს ის მოქმედება, როდესაც დამნაშავის შეპყრობისათვის ზომის გამოყენება და ხერხები სცილდება კანონის ფარგლებს და აშკარად არ შეესატყვისება დამნაშავის დაკავების რეალურ პირობებს და არავითარი აუცილებლობით არ იყო გამოწვეული იმ ღონისძიებათა გამოყენება, რამაც გამოიწვია დაკავებულის სიკვდილი.

ამ საკითხთან დაკავშირებით კოდექსის 30-ე მუხლი აღნიშნავს:

1) არ მოქმედებს მართლსაწინააღმდეგოდ ის, ვინც ხელისუფლების ორგანოში წარსადგენად შეიპყრობს დამნაშავეს, თუ გადაცილებული არ არის საამისოდ აუცილებელი ღონისძიების ზომა;

2) დამნაშავის შესაპყრობად აუცილებელი ღონისძიების ზომის გადაცილება ნიშნავს მის აშკარა შეუსაბამობას შესაპყრობის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმესა და საშიშროებასთან, აგრეთვე შეპყრობის გარემოებებთან, როდესაც მას განზრახ აზიანებენ იმ ზომით, რაც აშკარად არ იყო გამოწვეული შექმნილი ვითარებით. ასეთი გადაცილება პასუხისმგებლობას გამოიწვევს მხოლოდ განზრახ დაზიანების შემთხვევაში.

განსახილველი მუხლით პასუხისმგებლობის საკითხი დადგება მაშინ, თუ დაკავებულის სიკდილის მიზეზი გახდება დაკავების ის ხერხები, საშუალებები და მეთოდები, რომელიც მისი დაკავებისათვის საჭირო არ იყო და მისი დაკავება უფრო მსუბუქი ხერხებითა და მეთოდებით შეიძლებოდა.

დაკავების პროცესში პირის სიკვდილი თუ შეპყრობის ნორმების გადაცილებით არ მომხდარა და დაკავებისათვის გამოყენებული იყო დამნაშავისა და დანაშაულის ხარისხის და საშიშროების შესატყვისი ზომები, პასუხისმგებლობის საკითხი არ დადგება.

სუბიექტური მხარე დანაშაულისა შეიძლება გამოიხატოს არაპირდაპირ განზრახვაში. დამნაშავე შეგნებულად უშვებს, რომ შეპყრობის ამ ხერხმა და მეთოდმა შეიძლება გამოიწვიოს სიკვდილი, მაგრამ მისთვის სულერთია, არ ენაღვლება შედეგი.

განსახილველი მუხლი ერთი ნაწილისაგან შედგება. მისი შინაარსი ასეთია:

„თვითმკვლელობამდე ან თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანა მსხვერპლისადმი მუქარით ან სასტიკი მოპყრობით, ანდა მისი პატივის ან ღირსების სისტემატური დამცირებით“.

განსახილველი დანაშაული მნიშვნელოვან საზოგადოებრივ საშიშროებას წარმოადგენს, რაც იმით აიხსნება, რომ ის ხელყოფს მეორე ადამიანის სიცოცხლის უსაფრთხოებას, ხასიათდება გამოკვეთილი უზნეობით, პირუტყვული შეუბრალებლობით, მზაკვრობით, ადამიანის ღირსებისადმი ცინიკური დამოკიდებულებით.

დანაშაულის ობიექტი არის საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის სიცოცხლის დაცვას. უშუალო ობიექტი, ადამიანის სიცოცხლე. ამ დანაშაულის გამო დაზარალებული შეიძლება აღმოჩნდეს ნებისმიერი მოქალაქე. ამდენად, კანონმდებელი მართლაც სამართლიანად მოიქცა, როცა მუხლიდან ამოიღო დაზარალებულის დამნაშავეზე მატერიალური ან სამსახურებრივი დამოკიდებულების პირობა. ამით დაზარალებულთა სფერო საკმაოდ გაფართოვდა, რადგან დამნაშავემ თვითმკვლელობამდე შეიძლება მიიყვანოს ნაცნობიც, მეზობელიც და ა.შ.

დანაშაულის ობიექტური მხარე უპირატესად მოქმედებით გამოიხატება. ის მოქმედებს, რომ დაზარალებული თვითმკვლელობამდე მიიყვანოს. დანაშაულის შემადგენლობა მატერიალურია და დამთავრებულად ითვლება თუ დამნაშავის მოქმედებას შედეგად მოჰყვა დაზარალებულის თვითმკვლელობა ან ასეთის მცდელობა.

მუხლის დისპოზიციაში ჩამოყალიბებულია თვითმკვლელობამდე მიყვანის სამი ხერხი, საშუალება:

1. მსხვერპლისადმი მუქარა;
2. სასტიკად მოპყრობა;
3. პატივისა და ღირსების დამცირება.

მუქარაში კანონმდებელი გულისხმობს საშიშ დაპირებებს (მოკვლის, ცემის, გაუპატიურების, სახლიდან გაგდების, შიმშილის), რომელსაც მსხვერპლი სინამდვილედ აღიქვამს.

სასტიკ მოპყრობაში კანონმდებელი გულისხმობს აუტანელ უხეშობას, სისტემატურ ცემას, შეუბრალებელი შრომით დატვირთვას და სხვა.

ღირსების სისტემატურ დამცირებაში კანონმდებელი გულისხმობს განუწყვეტელ, თანმიმდევრულ შეურაცხყოფას, დაცინვას, რომლითაც ამდაბლებს მსხვერპლის წარსულს, ფიზიკურობას, ჰკუა-გონებას, დამსახურებას, ცოდნას და ა.შ.

პასუხისმგებლობის საკითხი განსახილველი მუხლით არ დადგება, თუ დაზარალებულს თვითმკვლელობისაკენ უბიძგა რაიმე კანონიერმა მოქმედებამ. მაგალითად, დაზარალებულის მწვავე ამორალური მოქმედების გამოაშკარავებამ და ღონისძიების გატარებამ.

ყოვლად აუცილებელია მიზეზობრივი კავშირის დადგენა ბრალდებულის მოქმედებასა და შედეგს შორის, ე. ი. თუ თვითმკვლელობა ან თვითმკვლელობის ცდა პირდაპირი შედეგი არ არის ბრალდებულისაგან სასტიკი მოპყრობის, მუქარის ან პატივისა და ღირსების სისტემატური დამცირებისა, პასუხისმგებლობის საკითხი არ დადგება.

თვითმკვლელობის მცდელობამდე მიყვანისათვის პასუხისმგებლობის საკითხი დგება მაშინ, თუ მცდელობა რეალური იყო და არა ინსცენირებული.

დანაშაულის სუბიექტური მხარის ირგვლივ ჯერ კიდევ კამათია იურიდიულ ლიტერატურაში, მაგრამ რადგან კანონის დისპოზიციაში ნახსენებია ტერმინი „თვითმკვლელობამდე ან თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანა“, უნდა ვიფიქროთ, რომ კანონმდებელი სუბიექტურ მხარეში გულისხმობს განზრახვას, რომელიც შეიძლება იყოს როგორც პირდაპირი, ასევე ევენტუალური. დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ ის დაზარალებულისადმი სასტიკი მოპყრობით ან მისი პატივისა და ღირსების სისტემატური დამცირებით უეჭველად მიიყვანს მას თვითმკვლელობამდე (პირდაპირი განზრახვა), ან შეგნებულად უშვებს, რომ მისი მოქმედებიდან გამომდინარე, დაზარალებულმა შეიძლება თავი მოიკლას, მაგრამ მისთვის ეს სულერთია (ირიბი განზრახვა).

მიუხედავად იმისა, რომ კანონი გაუფრთხილებლობით თვითმკვლელობამდე მიყვანას არ ითვალისწინებს, ჩვენის აზრით, ეს მომენტიც მხედველობაშია მისაღები, რადგან დამნაშავე თავისი მძიმე ხასიათის გამო ობიექტურად ღანძღავს და სისტემატურად ახსენებს დაზარალებულს თავის წარსულ ამორალურ საქციელს და ვერ ეგუება მას. ამავე დროს ვერ ითვალისწინებს ამით დაზარალე-

ბულის ფსიქიკაში მომხდარ ცვლილებებს და თვითმკვლელობის შესაძლებლობას. ამ საკითხზე ალბათ კვლავ გაგრძელდება პაექრობა.

სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით – მუხლი 116

სისხლის სამართლის კოდექსის მე-10 მუხლი განმარტავს, რომ ,,გაუფრთხილებლობით დანაშაულად ჩაითვლება ქმედება, რომელიც ჩადენილია თვითიმედოვნებით ან დაუდევრობით.“ (1)

ქმედება თვითიმედოვნებითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა წინდახედულობის ნორმით აკრძალული მოქმედების (უმოქმედობის) საშიში ხასიათი, ზოგადად ითვალისწინებდა მისი საშიში შედეგის დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ უსაფუძვლოდ სჯეროდა, რომ ამ შედეგს თავიდან აიცილებდა. (2)

ქმედება დაუდევრობითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული არ ჰქონდა წინდახედულების ნორმით აკრძალული ქმედება, არ ითვალისწინებდა შედეგის დადგომის შესაძლებლობას, თუმცა ამის გათვალისწინება მას ევალებოდა და შეეძლო კიდევაც“. (3)

მუხლის დისპოზიცია ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი ეხება ისეთ მოქმედებას, როდესაც დამნაშავე ზოგადად ითვალისწინებს, რომ მისი მოქმედება არ არის მიზანშეწონილი, რადგან მას შეიძლება შედეგად მოჰყვეს ადამიანის დაღუპვა, მაგრამ გადაჭარბებულად სჯერა თავისი მოჭრილობისა და პროფესიონალიზმისა. უსაფუძვლოდ ვარაუდობს მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილებას, რომელიც საბოლოოდ ვეღარ შეძლო და გამოიწვია მძიმე შედეგი.

მაგალითად: სუბიექტი ახდენდა ელექტროშედუღებას იქ, სადაც სწრაფად აალებადი მასალა ეწყო. გაითვალისწინა ნაპერწკლის გადავარდნით მოსალოდნელი ხანძრის წარმოშობა, იმედოვნებდა, შესძლებდა მის დასაწყისშივე ჩაქრობას, მაგრამ იმდენად წინდაუხედავად და გაუთვლელად ფიქრობდა ამას, რომ ვეღარ შესძლო მძიმე შედეგის (ადამიანის დაღუპვის) თავიდან აცილება.

მუხლის მეორე ნაწილი ეხება დამნაშავის ისეთ ქმედებას, როდესაც იგი, თავისი წინდაუხედაობის გამო, საერთოდ ვერ ითვალისწინებს საკუთარი მოქმედების საშიშ ხასიათს და ამით გამოწ-

ვეული მძიმე შედეგის შესაძლებლობას იმ დროს, როდესაც ვალდებული იყო და შეეძლო გაეთვალისწინებინა. მაგალითად, მოქალაქე ნადირობდა რა სიმინდის ყანაში, გაისროლა სანადირო თოფით ფრინველის მოსაკლავად, სრულიად მოულოდნელად მოჰკლა მოქალაქე, რომელიც ყანაში მუშაობდა.

ამგვარი ხასიათის დანაშაული ძირითადად, როგორც უკვე ითქვა, სამეურნეო ურთიერთობების სფეროში ხდება და იმდენად ხშირად, რომ კანონმდებელმა ზოგიერთი უკანონო გაუფრთხილებელი ხასიათის მოქმედების დროს, მძიმე შედეგის გარეშეც კი, დააწესა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა (მაგალითად, მაღაროს აალებად უბანზე შედუღებითი სამუშაოების წარმოება უსაფრთხოების წესების დარღვევაა, რაც მძიმე შედეგის გარეშეც იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას).

ჭალბატონი ლ.სურგულაძე აღნიშნავს, რომ „საზოგადოებრივად საშიში მოქმედების (უმოქმედობის) გათვალისწინება წარმოადგენს დანაშაულებრივი თვითიმედოვნების ინტელექტუალურ ელემენტს, ხოლო მათი თავიდან აცილების ჭარაფშუტული ვარაუდი მისი ნებელობითი ელემენტია....“ „ინტელექტუალური ელემენტის მიხედვით – განაგრძობს ავტორი – თვითიმედოვნება ემსგავსება არაპირდაპირ განზრახვას, მაგრამ თუ არაპირდაპირი განზრახვისას დამნაშავე ითვალისწინებს მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში საზოგადოებრივად საშიში შედეგების დადგომის რეალურ შესაძლებლობას, თვითიმედოვნების დროს საზოგადოებრივად საშიში შედეგის დადგომის შესაძლებლობა გათვალისწინებულია აბსტრაქტულად“.[1]

მკვლელობა და გაუფრთხილებლობით სიკვდილი რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისაგან. საზოგადოებრივ ცნობიერებაში მკვლელობა ასოცირდება, როგორც განზრახი მოქმედების მიზეზით გამოწვეული სიკვდილი. მართლაც ასეა, მოკვლა მხოლოდ განზრახ შეიძლება.

გაუფრთხილებლობით გამოწვეული სიკვდილი კი არის უხეში უდისციპლინობისა, უყურადღებობისა და წინდაუხედაობის შედეგი და, მიუხედავად შედეგის ერთნაირობისა, ამ უკანასკნელის საზოგადოებრივად საშიში ხასიათი ერთობ დაბლა დგას განზრახ მკვლელობასთან შედარებით.

---

1. ლ. სურგულაძე, სისხლის სამართალი, თბ., 1997, გვ. 59

სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის პირობებში იგრძნობა მკვეთრი ზრდა გაუფრთხილებლობით გამოწვეული სიკვდილიანობისა. აქედან გამომდინარე, არ შეიძლება გულდასმით არ იქნეს შეფასებული ამგვარი შემთხვევები.

ობიექტური მხარე დანაშაულისა გამოიხატება მოქმედებით ან უმოქმედობით, რომლითაც ირღვევა მოძრაობის ან შრომის წესები და რაც იწვევს ადამიანის დაღუპვას როგორც თვითმედოვნების, ასევე წინდაუხედაობის დროს.

თვითმედოვნების მიზეზით გამოწვეული სიკვდილი თავისი შინაარსით უფრო საშიშია, ვიდრე წინდაუხედაობით გამოწვეული. ეს იმით აიხსნება, რომ პირველ შემთხვევაში დამნაშავე შეგნებულად არღვევს მოქმედების წესებს, რომელიც იცავს ადამიანის უსაფრთხოებას, მაგრამ მძიმე შედეგი განპირობებულია დამნაშავისაგან მოვლენის არაჯეროვნად გაანგარიშების გამო. მეორე შემთხვევაში, ე. ი. წინდაუხედაობისას, დაზარალებულის სიკვდილი გამოწვეულია იმის გამო, რომ დამნაშავე ვერ ითვალისწინებს მის მიერ წესის დარღვევით მოსალოდნელ შედეგს. მუხლის მეორე ნაწილი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ითვალისწინებს მაშინ, თუ დამნაშავის გაუფრთხილებლობითი ბრალის გამო ორი ან მეტი ადამიანი დაიღუპა.

ისეთ შემთხვევაში, როდესაც დამნაშავის გაუფრთხილებლობით ბრალს შედეგად მოჰყვა ერთი მოქალაქის სიკვდილი, ხოლო მეორის მძიმე დაზიანება, მოქმედება დაკვალიფიცირდება 116-ე და 124-ე მუხლების მე-2 ნაწილით.

მე-20 თავი

დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ

(ზოგადი დახასიათება)

ადამიანის ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული საკმაოდ გავრცელებული მართლსაწინააღმდეგო მოქმედებაა. ჯანმრთელობის დაზიანება ხშირად მორალურ და მატერიალურ ზიანსაც იწვევს. დაზიანებული ჯანმრთელობა რომ აღდგეს, საამისოდ საჭიროა საკმაო თანხა.

კანონმდებლობამ სხეულის სხვადასხვა სახის დაზიანება გამოჰყო და ჩამოთვალა. დაზიანების ხარისხის სასამართლო-სამედიცინო განსაზღვრა ხდება ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სპეციალური დებულების მიხედვით, რომელიც დაზიანების ხარისხს ადგენს მისი ხასიათისა და საშიშროების შესაბამისად. სხეულის დაზიანების ცნებაში იგულისხმება ანატომიური მთლიანობის დარღვევა, ფიზიოლოგიური ფუნქციის მოშლა და სხვა, რომელიც წარმოიშობა მასზე ფიზიკური ზემოქმედების შედეგად: ცემით, ბლაგვი, ბასრი ან ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით და სხვა. ასევე განიზომება დანაშაულებრივი ხელყოფით გამოწვეული ფსიქიკური დაზიანებაც.

სხეულის დაზიანება, თავისი ხარისხის მიხედვით, იყოფა სამ სახედ: მძიმე, ნაკლებად მძიმე და მსუბუქი.

ობიექტურის მხრივ, სხეულის დაზიანება ხასიათდება ადამიანის ჯანმრთელობაზე მართლსაწინააღმდეგო ზემოქმედებით, რომელიც შეიძლება გამოიხატოს მოქმედებით ან უმოქმედობით. დამნაშავემ შეიძლება დააზიანოს ვინმე მექანიკური ზემოქმედებით და საამისოდ გამოიყენოს სხვადასხვა ფიზიკური საგნები, ბიოლოგიური და ქიმიური საშუალებანი და სხვა, ან ფსიქიკური ზემოქმედების გზით (შეშინებით, ცუდი ამბის მოულოდნელი შეტყობინებით და ა.შ.).

ჯანმრთელობის დანაშაულებრივი ხელყოფა შეიძლება დამთავრებულად ჩაითვალოს, თუ მან უკვე გამოიწვია მავნე შედეგი, ხოლო მისი ხარისხი დადგინდება დაზიანების სიმძიმის მიხედვით. შედეგის ხარისხი განისაზღვრება შრომის უნარის დაკარგვის ხანგრძლიობით, სხეულის დამახინჯების სიმკვეთრით და სხვა. აუცილებლად უნდა დადგინდეს მიზეზობრივი კავშირი დანაშაულებრივ ქმედებასა და შედეგს შორის.

ყოველი დაზიანება, რაგინდ მძიმეც უნდა იყოს იგი, ყოველთვის როდი ატარებს დასჯად ხასიათს. მაგალითად: აუცილებელი მოგერიების, აუცილებელი მკურნალობის (ამპუტაცია-მოკვეთა სხეულის ატროფირებული ან მოყინული ნაწილისა), ქირურგიული ოპერაციების, სპორტული შეჯიბრების დროს, როცა არ არის დარღვეული შეჯიდების ნორმები (მაგ. კრივის დროს ტვინის მძიმე შერყევა და ა.შ.).

სხეულის დაზიანება, სუბიექტური მხრივ, ხასიათდება პირდაპირი განზრახვით, ირიბი განზრახვით ან გაუფრთხილებლობით.

ხშირ შემთხვევაში, პიროვნება განზრახვის დროს ვერ ითვალისწინებს დაზიანების ხარისხს, ე. ი. ვერ საზღვრავს, რა შედეგი მოჰყვება მის მოქმედებას, არადა დანაშაულებრივი მოქმედება მიმართულია დაზარალებულის ფიზიკური ვნებისაკენ. მაგალითად: დამნაშავე ქვას ესვრის გაქცეულს, სურს, რომ მოახვედროს მას და ავნოს, მაგრამ თავში მოხვდება თუ ფეხზე, ეს არ იცის. მოტეხავს ფეხს თუ დაუზიანებს, ამის გათვალისწინების საშუალება არ აქვს, არც ფიქრობს ამაზე, ე. ი. დამნაშავეს თავისი მოქმედების შედეგი დაკონკრეტებული არა აქვს და კვალიფიკაცია მოქმედებისა განისაზღვრება ფაქტიური ზიანის მიხედვით. მიზნისა და ზიანის დაკონკრეტების შემთხვევაში დამნაშავე პასუხს აგებს შედეგისათვის. კვალიფიკაცია რომ კანონიერი იქნეს, აუცილებელია სამი მნიშვნელოვანი მომენტის შეფასება და აწონ-დაწონა:

1) განზრახვა;
2) იარაღის სახეობა;
3) დაზარალებულის სხეულის ნაწილი.

მაგალითად, თუ დამნაშავე ცეცხლსასროლ იარაღს ფეხების არეში ესვრის, მოქმედება დაკვალიფიცირდება ფაქტიური ზიანის მიხედვით, მაგრამ თუ თავის ან გულმკერდის არეში ესვრის, მაგრამ დამნაშავისათვის დამოუკიდებელი მიიზეზების გამო დაზარალებული მიიღებს მსუბუქ დაზიანებას, მოქმედება დაკვალიფიცირდება მკვლელობის მცდელობად. სხეულის დაზიანების შემთხვევაში სუბიექტის მიზანი და მოტივი ყოველთვის არ არის ერთადერთი და აუცილებელი ნიშანი კვალიფიკაციის განსაზღვრისათვის. მაგალითად: შელაპარაკების ნიადაგზე გაქცეულ დაზარალებულს ქვა ესროლა რა დამნაშავემ, იგი მხარში მოხვდა მას და გამოიწვია სხეულის მსუბუქი დაზიანება. ასეთ ვითარებაში თქმა იმისა, რომ დამნაშავეს სურდა, ქვის მოხვედრებით მძიმე ზიანის გამოწვევა, არ იქნება სამართლებრივი. ამიტომ მიზნის დაკონკრეტებას აქ ყურადღება არ ექცევა (როგორი ზიანი სურდა) და კვალიფიკაცია განისაზღვრება ფაქტიური დაზიანების მიხედვით. ვერც იმას ვიტყვით, რომ ქვის სროლის დროს დამნაშავის მიზანი იყო, თავში მოხვედროდა იგი დაზარალებულს და მოეკლა, მაგრამ რადგან გადარჩა, მისი მოქმედება მკვლელობის მცდელობით დავაკვალიფიციროთ. ასე რომ, სხეულის დაზიანების დროს განზრახვამ, იარაღის სახეობამ, მისი გამოყენების ინტენსიურობამ, რეალურმა საშიშროებამ, შედეგის გათვალისწინე-

ბის შესაძლებლობამ, ობიექტურმა შედეგმა ურთიერთშეთანაწყობის კვალობაზე უნდა მოგვცეს იმ გარემოების სწორი შეფასება, რომელიც განაპირობებს დანაშაულის სწორ კვალიფიკაციას.

ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება – მუხლი 117

სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება საკმაოდ საშიში დანაშაულია. იგი მწვავედ ხელყოფს ადამიანის ჯანმრთელობის უსაფრთხოებას. ჯანმრთელობა ადამიანის ორგანიზმის ბუნებრივი მდგომარეობაა, რომელიც გამორიცხავს მასში რაიმე პათოლოგიის არსებობას.

მუხლის პირველი ნაწილის შინაარსი ასეთია: „ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, ე. ი. სხეულის დაზიანება, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის ანდა გამოიწვია მხედველობის, სმენის, მეტყველების ან რომელიმე ორგანოს ან მისი ფუნქციის დაკარგვა, ფსიქიკური ავადმყოფობა, ორსულობის შეწყვეტა, წარუშლელი დამახინჯება ან ჯანმრთელობის სხვაგვარი ისეთი დაზიანება, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის და დაკავშირებულია საერთო შრომისუნარიანობის მყარ, არანაკლებ ერთი მესამედით დაკარგვასთან ან წინასწარი შეცნობით პროფესიული შრომისუნარიანობის სრულ დაკარგვასთან.“

ობიექტი დანაშაულისა არის საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა. სისხლისსამართლებრივ დაცვას ექვემდებარება ადამიანის ფიზიკური და ფსიქიკური მთლიანობა მისი დაბადებიდან აღსასრულამდე.

ობიექტური მხარე გამოიხატება სხეულის მართლსაწინააღმდეგო დაზიანებით, რომელიც მოიცავს:

ა) საზოგადოებრივად საშიშ მოქმედებას (ან უმოქმედობას);

ბ) დანაშაულებრივ შედეგს ადამიანის მძიმე დაზიანების სახით;

გ) მიზეზობრივი კავშირის არსებობას დანაშაულებრივ მოქმედებასა და შედეგს შორის.

დამნაშავის მოქმედება შეიძლება გამოიხატოს მექანიკური ზემოქმედებით, ქიმიური საშუალებების ხმარებით, ფსიქიკური ზე-

გავლენით და ა.შ. მძიმე დაზიანება შეიძლება უმოქმედობითაც, თუკი დამნაშავე არ შეასრულებს მასზე დაკისრებულ სავალდებულო მოქმედებას, რომელიც უნდა შეესრულებინა და შეეძლო შეესრულებინა.

ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება ხასიათდება მრავალი ნიშნებით, რომელიც ჩამოთვლილია კანონის დისპოზიციაში. მათგან ერთის არსებობაც კი საკმარისია, რათა მუხლი გამოყენებული იქნეს კვალიფიკაციისათვის. ამ კატეგორიის საქმეთა გადაწყვეტა აუცილებლად საჭიროებს სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნას.

ადამიანის სიცოცხლისათვის საშიშ ქმედებად ითვლება სხეულის ისეთი დაზიანება, რომელიც სიკვდილით ემუქრება დაზარალებულის სიცოცხლეს ან სიკვდილით მთავრდება.

სიცოცხლისათვის საშიშს მიეკუთვნება ისეთი დაზიანება, როგორიც არის თავის ქალაში შემავალი ჭრილობა ან მისი ღია და დახურული მოტეხილობა, თავის ტვინის მძიმე და ნაკლებად მძიმე შერყევა, გულმკერდისა და მუცლის არეში შემავალი ჭრილობა; სისხლის მიმოქცევის არტერიების დაზიანება, დიდი ოდენობით სისხლის დაკარგვა, მე-3 და მე-4 ხარისხის დამწვრობა, თუ მან სხეულის ზედაპირის 15% მოიცვა და ა.შ. სხეულის განზრახ დაზიანება, რომელიც საშიშია სიცოცხლისათვის, დაკვალიფიცირდება როგორც სხეულის მძიმე დაზიანება, მიუხედავად იმისა, გამოიწვია თუ არა მან შრომის უნარის ხანგრძლივი დაკარგვა, დროული სამედიცინო ჩარევის გამო, რადგან ზიანის საშიშროება იზომება არა მკურნალობის შემდეგ, არამედ დაზიანების საწყისში.

მხედველობის დაკარგვა გულისხმობს ორივე თვალის მხედველობის სრულ მოშლას ან ისეთ დაკარგვას, როცა თითს ერთი მეტრიდან ხედავს.

სმენის დაკარგვა დაკვალიფიცირდება მძიმე დაზიანებით, როდესაც სრულად დაიხშობა სმენა ან ხმის გაგონებას შეძლებს ჩვეულებრივი საუბრის დროს ყურის ნიჟარიდან 3-5 სმ-ის მოშორებით.

მძიმე დაზიანებას მიეკუთვნება სხეულის ზოგიერთი ნაწილის ფუნქციის მოშლა ან იმავე ნაწილის დაკარგვა. ასეთ ნაწილებად ითვლება ის ორგანო, რომელიც ასრულებს რამდენიმე ფუნქციას და აქვს ადამიანისათვის არსებითი მნიშვნელობა (ფეხი, ხელი, ენა).

მძიმე დაზიანებაში შედის ფსიქიკური სიმყარის მოშლა,

რომელიც გამოწვეული იყო ფიზიკური ან ფსიქოტრავმით, ინფექციის შეჭრით, მოწამვლით და სხვა.

ნებისმიერი სულიერი დაავადება ითვლება მძიმედ, მიუხედავად განვითარების სტადიებისა, ხანგრძლივობისა და განკურნებადობისა.

სხეულის მძიმე დაზიანების დროს პრაქტიკაში უფრო ვხვდებით ფაქტებს, რომელიც დაკავშირებულია შრომის უნარის არანაკლებ ერთი მესამედის დაკარგვასთან.

შრომის უნარის დაკარგვა იანგარიშება სპეციალური ცხრილების შესაბამისად.

ორსულობის შეწყვეტა, რაც გამოწვეულია ჭალზე ფიზიკური ან სხვაგვარი განზრახი ზემოქმედებით, ითვლება მძიმე დაზიანებად. ფეხმძიმობის ხანგრძლივობას კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არ აქვს. კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა აქვს იმას, რომ დამნაშავე ნამდვილად დარწმუნებული იყო ფეხმძიმობის რეალობაში.

სახის წარუხოცელი დამახინჯება ისეთი დაზიანებაა, რომელიც იწვევს ადამიანის სახის უსიამოვნო, ზიზღისმომგვრელ სახეცვლილებას, რომელიც შეიძლება გამოიხატოს ცხვირის, ტუჩის, ყურის მოშორებაში, სახის დაწვაში. იგი არ იწვევს შრომის უნარის დაკარგვას, მაგრამ სამუდამო სიმახინჯესა და სულიერ ტრავმას უტოვებს დაზარალებულს. ამ ზიანის კვალიფიკაცია არცთუ ისე იოლია. მისი პირველი ნიშანია წარუხოცელობა, ხოლო მეორე — სახის დამახინჯება. წარუხოცელ დამახინჯებად არ ითვლება დაზიანება, თუ იგი სიმახინჯეს არ აჩენს სახეს, ე. ი. არც მძიმედ ჩაითვლება. მაგალითად: სახეზე ნახმლევი წარუხოცელია, მაგრამ ხშირ შემთხვევაში ვაჟკაცურ, მიმზიდველ იერს აძლევს ადამიანს.

წარუხოცელობის ცნებაში იგულისხმება ბუნებრივი მდგომარეობის დაბრუნების შეუძლებლობა თავისთავად, ან პლასტიკური ოპერაციის გარეშე, ხოლო სიმახინჯეში - სახის არასასიამოვნო ასიმეტრია, მახინჯი ცვლილებების განუკურნებლობა. აღნიშნული საკითხები უნდა გადაწყვიტოს სასამართლომ.

სამედიცინო სამსახური არკვევს საკითხს იმის თაობაზე, დაემორჩილება თუ არა მკურნალობას დაზიანება და დაუბრუნდება თუ არა სახეს ბუნებრივი მდგომარეობა, სასამართლო კი იმას, რამდენად ამახინჯებს დაზიანება დაზარალებულის სახეს.

მძიმეს მიეკუთვნება სხეულის ისეთი დაზიანება რომელიც დაკავშირებულია დაზარალებულის პროფესიული შრომის უნარის დაკარგვასთან. ეს მძიმე ვნება მაშინ ითვლება დამნაშავეს ბრალად, თუ მან იცოდა დაზარალებულის პროფესია და დანაშაულებრივი ზემოქმედებით განზრახ მოუსპო შესაძლებლობა გაეგრძელებინა პროფესიული საქმიანობა. მაგალითად: პიანისტს მოაჭრა თითები ხელზე. პროფესიული საქმიანობის დაკარგვის განსაზღვრა არ წარმოადგენს სასამართლო მედიცინის პრობლემას. ასეთი დაზიანება, სამედიცინო თვალსაზრისით, შეიძლება ნაკლებად მძიმე დაზიანებასაც არ მიეკუთვნებოდეს, სამართლებრივი მხრიდან კი რთული და მძიმეა იმდენად, რამდენადაც ადამიანმა სამუდამოდ დაჰკარგა პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობა. ეს უკვე მისი ჯანმრთელობის განსაკუთრებულ დაზიანებად ითვლება.

უნდა გავიმეოროთ პროფესორ მზია ლეკვეიშვილის მოსაზრება, რომ „შრომისუნარიანობის სიმძიმის შეფასების კრიტერიუმი სადავო საკითხია მეცნიერი იურისტებისათვის, ზოგიერთი მეცნიერი სავსებით სამართლიანად მიუთითიებს, რომ ეს კრიტერიუმი ამოღებული უნდა იქნეს იმ მუხლიდან, რომელიც სხეულის მძიმე დაზიანებას ითვალისწინებს".[1]

სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება, როგორც თვით კანონის შინაარსიდანაც ჩანს, ხასიათდება განზრახი ბრალით. განზრახვა შეიძლება იყოს როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი. პირდაპირი განზრახვის დროს პირს შეგნებული აქვს, რომ მისი მოქმედება (ან უმოქმედობა) საშიშია მეორე ადამიანის ჯანმრთელობისათვის, ითვალისწინებს მისი მძიმედ დაზიანების შესაძლებლობას და სურს ეს, ანდა მძიმედ დაზიანების განზრახვა არ აქვს, მაგრამ გრძნობს, რომ მის მოქმედებას მეორე ადამიანის დაზიანება მოჰყვება, მაგრამ უშვებს ამ საქციელს და არ ენაღვლება მისი შედეგი (არაპირდაპირი განზრახვის დროს).

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, თითქმის ყოველთვის დამნაშავის განზრახვას სხეულის დაზიანების დროს აქვს არაკონკრეტული ხასიათი. ე. ი. დამნაშავეს არ აქვს განზრახული ერთი დაზარალებული მძიმედ დაზიანოს, ხოლო მეორე ნაკლებად მძიმედ. დამნაშავე სვრის, ცემს დაზარალებულს იმისათვის, რომ შური იძიოს, გაბრაზება დაიოკოს. დაზიანების ხარისხი მის შეგნებაში არ

1. მ. ლეკვეიშვილი, სისხლის სამართალი, თბ., 1996, გვ. 83

არის. ამდენად, ქმედება განზრახ მოქმედების მავნე შედეგით კვალიფიცირდება.

მოტივი ჩადენილი ქმედებისა მრავალგვარია (ეჭვიანობა, შურიანობა, სიძულვილი და მრავალი სხვა).

პროფესორი ფ. პობეგაილო გამოთქვამს აზრს იმის თაობაზე, რომ თუ დამნაშავის მოქმედების შედეგი დაზარალებულის ნაკლებად მძიმე დაზიანებაა, ხოლო გამოძიებით დადასტურდება, რომ დამნაშავეს მძიმე ხარისხის დაზიანება სურდა, მოქმედება დაკვალიფიცირდება ნაკლებად მძიმე დაზიანებით და მძიმე დაზიანების მცდელობით. ეს გამონათქვამი არ შეეფერება პრაქტიკულ ჰეშმარიტებას და ვფიქრობთ, რომ მსგავსი შემთხვევა არც არასოდეს იქნებოდა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სათანადო მოტივის არსებობის დროს, თუ დამნაშავის მოქმედება ვერ დაკვალიფიცირდა მკვლელობის მცდელობად, იგი ყოველთვის ფაქტიური შედეგით კვალიფიცირდება, რადგან დამნაშავეს არასგზით არ შეუძლია თქვას ან განსაზღვროს მძიმე დაზიანების გამომწვევი დარტყმის მიყენება.

განსახილველ დანაშაულს კვალიფიციური სახე აქვს მაშინ, თუ იგი ჩადენილია:

ა) ორი ან მეტი პირის მიმართ;

ბ) წინასწარი შეცნობით ორსული ქალის მიმართ;

გ) დაზარალებულის ან მისი ახლო ნათესავის სამსახურებრივ საქმიანობასთან და საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით;

დ) წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის, უმწეო მდგომარეობაში მყოფის, ანდა დამნაშავეზე მატერიალურად ან სხვაგვარად დამოკიდებულის მიმართ;

ე) განსაკუთრებული სისასტიკით;

ზ) ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას;

თ) ანგარებით ან შეკვეთით;

ი) ხულიგნური ქვენაგრძნობით;

კ) სხვა დანაშაულის დაფარვის, ან მისი ჩადენის გაადვილების მიზნით;

ლ) რასობრივი, რელიგიური ან ეთნიკური შეუწყნარებლობის გამო;

მ) მსხვერპლის სხეულის ორგანოს ან ქსოვილის გადანერგვის ან სხვაგვარი გამოყენების მიზნით;

ნ) არაერთგზის;

ო) იმის მიერ, ვისაც ადრე ჰქონდა ჩადენილი განზრახ მკვლელობა (მუხ. 108) ან განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში (მუხ. 109).

არაერთგზის მძიმე დაზიანება იქნება მაშინ, როდესაც დამნაშავემ ასეთი ქმედება ჩაიდინა სხვადასხვა დროს, ორი ან მეტი დაზარალებულის მიმართ, ან ერთი დაზარალებულის მიმართ სხვადასხვა დროს, სხვადასხვა მოტივით.

ქმედება ვერ დაკვალიფიცირდება განსახილველი პუნქტით, თუ პირველი დანაშაულის ჩადენიდან გასულია ხანდაზმულობის ვადა ან გაჭარწყულებულია ნასამართლევობა, ან ეპატია ამნისტიით.

სხვა პუნქტების ანალიზს აქ აღარ შევუდგებით, რადგან მასზე ვისაუბრეთ 109-ე მუხლის განხილვისას.

ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება – მუხლი 118

განსახილველი კანონი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველის შინაარსი ასეთია:

„ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება, რომელიც სიცოცხლისათვის არ არის სახიფათო და არ გამოუწვევია ამ კოდექსის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შედეგი, მაგრამ დაკავშირებულია ჯანმრთელობის ხანგრძლივ მოშლასთან ან საერთო შრომისუნარიანობის მყარ ერთ მესამედზე ნაკლებად დაკარგვასთან“. ამ ხარისხის დაზიანება ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებისაგან განსხვავდება იმით, რომ ის არ არის ადამიანის სიცოცხლისათვის საშიში და არც ჯანმრთელობის ისეთი შერყევაა მოსალოდნელი, როგორიც მძიმე დაზიანებისათვის არის დამახასიათებელი, მაგრამ იწვევს ჯანმრთელობის ხანგრძლივად მოშლას ან დაკავშირებულია შრომის უნარის მნიშვნელოვან, მყარ დაკარგვასთან, არანაკლებ ერთი მესამედისა, ან შეიძლება ორივე ერთდროულად მოხდეს.

ობიექტური მხარე განსახილველი დანაშაულისა გამოიხატება ადამიანის მართლსაწინააღმდეგო, ნაკლებად მძიმე დაზიანებით. ობიექტური მხარე მოიცავს: ა) ქმედებას; ბ) შედეგს; გ) მიზეზობრივ კავშირს ქმედებასა და შედეგს შორის.

ნაკლებად მძიმე დაზიანების ხარისხი მდგომარეობს იმაში, რომ დაზარალებულს ხანგრძლივი დროით შეეძყა ჯანმრთელობა, ან დაჰკარგა შრომის უნარი ერთი მესამედის ოდენობით ან ორივე ზიანი მოხდა ერთდროულად.

სუბიექტური მხარე შეიძლება გამოიხატოს განზრახი ბრალით (პირდაპირი, ევენტუალური).

განსახილველი დანაშაულის კვალიფიციური სახე გვაქვს მაშინ, როცა პირველ ნაწილში გათვალისწინებული ქმედების შედეგი განხორციელდა:

ა) ორი ან მეტი პირის მიმართ;

ბ) წიანასწარი შეცნობით ორსული ქალის მიმართ;

გ) დაზარალებულის ან მისი ახლო ნათესავის სამსახურებრივ საქმიანობასთან ან საზოგადოებრივ მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით;

დ) წინასწარი შეცნობით არასრულწლოვანის, უმწეო მდგომარეობაში მყოფის ან დამნაშავეზე მატერიალურად ან სხვაგვარად დამოკიდებულის მიმართ;

ე) დაკავშირებულია მძევლად ხელში ჩაგდებასთან;

ვ) განსაკუთრებული სისასტიკით. აქ იგულისხმება აუტანელი, მწვავე ტკივილის მიყენება დაზარალებულისადმი, რასაც დამნაშავე ხანგრძლივად აგრძელებს სპეციალურად;

ზ) ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას (ცეცხლის წაკიდებით, აფეთქებით და ა.შ.);

თ) ჯგუფურად;

ი) ანგარებით ან შეკვეთით;

კ) ხულიგნური ქვენა გრძნობით;

ლ) სხვა დანაშაულის დაფარვის ან მისი ჩადენის გაადვილების მიზნით;

მ) რასობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური შეუწყნარებლობის გამო;

ნ) დაზარალებულის სხეულის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის გადანერგვის ან სხვაგვარი გამოყენების მიზნით;

ო) არაერთგზის;

პ) იმის მიერ, ვისაც ადრე ჰქონდა ჩადენილი განზრახ

მკვლელობა 108-ე მუხლით, ან განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში 109-ე მუხლით.

მუხლის ამ ნაწილში ჩამოთვლილი კვალიფიციური სახეების იურიდიული ნიშნები ჩვენ განვიხილეთ 108-ე და 109-ე მუხლზე საუბრის დროს და აღარ გავიმეორებთ.

ჯანმრთელობის დაზიანება სასიკვდილო შედეგით – მუხლი 119

განსახილველი მუხლი ერთი ნაწილისაგან შედგება. იგი ასეთი შინაარსისაა: „ჯანმრთელობის განზრახ მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება, რამაც გაუფრთხილებლობით გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა“. ეს მუხლი თავისი ერთიანობით ახალია ჩვენს კანონმდებლობაში, როგორც დამოუკიდებელი ნორმა. ადრინდელ სისხლის სამართლის კოდექსში (1960 წ.) 110-ე მუხლის მეორე ნაწილი ასეთი რედაქციით იყო წარმოდგენილი: „სხეულის მძიმე დაზიანება, თუ მან სიკვდილი გამოიწვია...“ ამჟამად კანონმდებელმა განსახილველ მუხლში ორივე დაზიანება – მძიმე და ნაკლებად მძიმე – გააერთიანა, თუკი ამ დაზიანებას დაზარალებულის სიკვდილი მოჰყვა გაუფრთხილებლობით. ამ შინაარსიდან უნდა ვიფიქროთ, რომ დაზიანება იმდენად განვითარდა ან გადაულახავი მიზეზების გამო იმდენად გართულდა, რომ მისი განკურნება ვეღარ მოხერხდა და დაზარალებული დაიღუპა. ზიანის გართულების მიზეზს მნიშვნელობა არ აქვს კვალიფიკაციისათვის. მთავარი ის არის, რომ დამღუპველი გართულების საფუძველი მასზე მიყენებული მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება უნდა იყოს. 1990 წელს ჩიგოგიძემ ტყეში, შელაპარაკების ნიადაგზე, ბარძაყში ჯიბის დანით დაჰრა ლევიძე ისე, რომ მან არ იცოდა, თუ დანა არტერიას გაჰრიდა. დამნაშავე შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. რაკი ლევიძემ დროულად ვერ მიიღო სამედიცინო დახმარება, იგი სისხლის დენით დაიღუპა. ცხადია, ჩიგოგიძის მოქმედება ვერ დაკვალიფიცირდება ვერც განზრახ მკვლელობად და ვერც მკვლელობის მცდელობად. სწორედ განსახილველი მუხლი არის მისი მოქმედების სწორი იურიდიული შესატყვისი, რადგან ადგილი არ ჰქონია მოკვლის

განზრახვას, ხოლო დაზარალებულის სიკვდილი ნაკლებად მძიმე დაზიანებამ გამოიწვია.

ობიექტური მხარე — მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება, რამაც გაუფრთხილებლობით დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

სუბიექტური მხარე დაზიანების მიმართ არის განზრახვა, ხოლო სიკვდილი გამოწვეულია გაუფრთხილებლობით.

ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება — მუხლი 120

მუხლში გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა „ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანებისათვის, რამაც მისი ხანმოკლე მოშლა ან საერთო შრომის უნარის უმნიშვნელო ან არამყარი დაკარგვა გამოიწვია.“

ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლაში კანონმდებელი გულისხმობს, რომ .შრომის უნარი ნაწილობრივ შერყეულია და ეს გაგრძელდა ექვსი დღის განმავლობაში, მაგრამ არა უმეტეს — ოცდაერთი დღისა.

შრომის უნარის არამყარ დაკარგვაში იგულისხმება მისი ათი პროცენტით შემცირება.

აღნიშნული ორი შედეგიდან ერთ-ერთის არსებობა აუცილებელია, რომ გვექნეს 120-ე მუხლის შემადგენლობა.

მსუბუქ დაზიანებას მიეკუთვნება სხეულზე არსებული მრავალი სისხლნაჭღენთი, დაჟეჟილობანი, მხედველობის, სმენის შესუსტება, რომელიც უმნიშვნელოა შრომისუნარიანობისათვის, ხელის თითის დაკარგვა — გარდა შუა და საჩვენებელისა და ა.შ.

ობიექტური მხრივ დანაშაული მდგომარეობს მასში, რომ მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით ადამიანის ჯანმრთელობა მსუბუქად დაზიანდა.

სუბიექტური მხარე დანაშაულისა მდგომარეობს პირდაპირ განზრახვაში. კვალიფიკაციის დროს აუცილებელია იმის განსაზღვრა, დამნაშავის განზრახვაში ხომ არ იყო სხვა უფრო მძიმე დაზიანების ან მოკვლის სურვილი.

პრაქტიკამ ცოტა როდი იცის ისეთი ფაქტი, როცა დამნა-

შავის მოქმედება, მიმართული მეორე მოჭალაქის სიცოცხლის მოსპობისაკენ, გარეშე ძალების ზემოქმედების გამო მსუბუქი დაზიანებით მთავრდება. ასეთი ფაქტი ჩვენ საშუალებას არ გვაძლევს, მიუხედავად შედეგის სიმსუბუქისა, განსახილველი მუხლით დავაკვალიფიციროთ სუბიექტის მოქმედება. მეტად გულდასმითი მუშაობა ჭირდება გამოძიებასა და სასამართლოს, რომ მკაფიოდ გამოიკვეთოს დამნაშავის მიზანი, იარაღის სახეობა, სურვილი, მოტივი.

მსუბუქი დაზიანება გაუფრთხილებლობით არ იძლევა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძველს.

მოტივი დანაშაულისა მეტად მრავალნაირია. იგი ძირითადად წარმოიშობა საყოფაცხოვრებო ურთიერთობის (შელაპარაკების, ეჭვიანობის, შურისძიების, მეზობლური დავის და ა.შ.) ნიადაგზე.

ჯანმრთელობის განზრახ მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება უეცარი ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში – მუხლი 121

კანონის შინაარსი ასეთია: „ჯანმრთელობის განზრახ მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება უეცარი ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში, რაც გამოიწვია დამნაშავის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ დაზარალებულის მიერ მართლსაწინააღმდეგო ძალადობამ, მძიმე შეურაცხყოფამ ან სხვა მძიმე ამორალურმა ქმედებამ, აგრეთვე დაზარალებულის არაერთგზისი მართლსაწინააღმდეგო ან ამორალური ქცევით განპირობებულმა ფსიქიკურმა ტრავმამ“.

წინამდებარე მუხლში განიხილება პასუხისმგებლობა მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანებისათვის, რომელიც პროვოცირებულია დაზარალებულის მიერ ბრალდებულისა ან მისი ახლობლისადმი მართლსაწინააღმდეგო ან ამორალური მოქმედებით.

მართლსაწინააღმდეგო, ამორალური საქციელისა და მძიმე შეურაცხყოფის ცნებებზე ჩვენ ვისაუბრეთ 111-ე მუხლის განხილვის დროს. 121-ე მუხლის გამოყენების პირობებიც იგივეა.

ობიექტური მხარე დანაშაულისა გამოიხატება მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანებით უეცარი ძლიერი სულიერი აღელვების დროს.

მძიმე და ნაკლებად მძიმე დაზიანების ხარისხის განსაზღვრის

ირგვლივაც გვქონდა საუბარი 117-ე და 118-ე მუხლებზე მსჯელობისას.

სუბიექტური მხარე გამოიხატება განზრახი ბრალით. განზრახვა შეიძლება იყოს როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი და წარმოშობილი აფექტის გამო. ფიზიოლოგიური აფექტის რაობაზე ჩვენ ზემოთ ვისაუბრეთ. მოტივი ამ დანაშაულისა მართლაც რომ მრავალია. გამოძიებამ ისიც დეტალურად უნდა ახსნას, თუ რამდენად ჩააყენებდა ის გარემოება დამნაშავეს უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში.

ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით – მუხლი 122

აღნიშნული მუხლი გამოიყენება იმ დამნაშავეთა მიმართ, რომლებიც მოქმედებენ დაზარალებულის თავდასხმის მოსაგერიებლად, მაგრამ მოგერიებისათვის იხმარეს არასაჭირო, მეტად გადაჭარბებული საშუალებები თავისი სახეობით, მოქმედებით, გამოყენების ინტენსიურობით, რამაც მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება გამოიწვია.

მუხლის დისპოზიციაში არსებული მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანების განსაზღვრაზე და მოგერიების ფარგლების გადაცილების რაობაზე საუბარი გვქონდა 113-ე მუხლის განხილვის დროს, ამდენად აქ აღარ შევჩერდებით.

ობიექტური მხარე დანაშაულისა მდგომარეობს მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანებით, აუცილებელი მოგერიების საზღვრების გადაცილების ვითარებაში, ე. ი. დაზარალებულისაგან თავდასხმის მოცულობისა და საშიშროების აშკარა შეუსაბამობით. მოგერიების აშკარა შეუსაბამობაზე უკვე ვისაუბრეთ, მაგრამ კვლავ ვიმეორებთ, რომ ფარგლების გადაცილება ნიშნავს, როდესაც მომგერიებელი აშკარად გრძნობს, მის მიერ გამოყენებული იარაღი და საშუალება თვალნათლივ ზედმეტია და საჭირო არ არის თავდამსხმელის მოგერიებისათვის, მაგრამ იგი მაინც იყენებს თავისი იარაღის უპირატესობას, რითაც მძიმედ აზიანებს თავდამსხმელს, ან გრძნობს იმას, რომ დაზარალებულისაგან გამოწვეული ვნება, რაც მის ქონებას

ემუქრება, არ არის მნიშვნელოვანი ღირებულების, მაგრამ თვითონ მაინც მძიმე ან ნაკლებად მძიმედ აზიანებს თავდამსხმელს, თუმცა აშკარად შეეძლო მისი მოგერიება იოლ ფორმებში.

მაგ: მოჭალაქე „ა“ თავს დაესხა მოჭალაქე „ო“-ს და დაუწყო ჭამრით ცემა, ამ უკანასკნელმა კი მოსაგერიებლად საკმაოდ მძლავრი კეტი გამოიყენა, თანაც ფიზიკურადაც აშკარად ძლიერი იყო თავდამსხმელზე და მძიმედ დააზიანა.

სუბიექტური მხარე დანაშაულისა პირდაპირ განზრახვაში გამოიხატება – როდესაც სუბიექტი გრძნობს მისი იარაღის ძალის უპირატესობას, იცის, რომ მძიმედ დააზიანებს თავდამსხმელს, მაგრამ უშვებს ასეთს და სურს კიდევაც ასეთი შედეგი.

ობიექტი დანაშაულისა არის ადამიანის ჯანმრთელობა.

სუბიექტი დანაშაულისა შეიძლება იყოს ნებისმიერი მოჭალაქე, კანონით დადგენილი ასაკის მქონე და შერაცხადი.

ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება დამნაშავის შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილებით – მუხლი 123

მუხლის დისპოზიცია სათაურის იდენტურია და აღარ გავიმეორებთ.

შეპყრობა ნიშნავს პიროვნების ფიზიკურ შებოჭვას, თავისუფალ ნებაზე მოძრაობის აღკვეთას, ფიზიკურ დამორჩილებას. ეს მოქმედება განსახილველი მუხლის მიხედვით ხორციელდება დამნაშავის მიმართ დანაშაულის ჩადენის მომენტში ან მის შემდეგ. დამნაშავის შეპყრობის უფლება-მოვალეობა გააჩნია სამართალდამცავ ორგანოებს, ხოლო უფლება – ნებისმიერ მოჭალაქეს.

შეპყრობის ცნება გულისხმობს დამნაშავის ისეთ პირობებში დაჭერას, როცა იგი აქტიურად ცდილობს თავის დახსნას (ფიზიკურად, იარაღით, აშკარა გაქცევით, მიმალვით და ა.შ.).

ობიექტური მხარე დანაშაულისა მდგომარეობს დაკავებულის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანებაში დაკავების საშუალებათა გამოყენების გადაჭარბებით, ე. ი. როდესაც ასეთი დაზიანება აშკარად არ შეესაბამება დამნაშავის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს და არც მისი დაკავების პირობებს. თუ როგორ შესაბამისო-

ბაში უნდა იმყოფებოდეს დამნაშავის წინააღმდეგობის ძალასთან და საშუალებასთან დაკავების ძალა და საშუალება, განხილულია 114-ე მუხლის გაცნობის დროს.

შესაბამისობის განსაზღვრისას უნდა დაზუსტდეს დანაშაულის სიმძიმე, რომელსაც დამნაშავე ჩადის ან რომლის ჩადენისთვისაც იმალება, დამნაშავის წინააღმდეგობა ან მოსალოდნელი ძალადობა, იარაღის გამოყენების შანსი ან მცდელობა, იარაღის სახეობა და ა.შ.

სუბიექტური მხარე დანაშაულისა ხასიათდება განზრახვით, რომელიც შეიძლება იყოს როგორც პირდაპირი, ასევე ირიბი.

დაკავების დროს სხეულის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება გაუფრთხილებლობით არ წარმოადგენს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძველს.

მიზანი სუბიექტის მოქმედებისა – დააკავოს დამნაშავე, რომელიც მიმალვას აპირებს და წარადგინოს სამართალდამცავ ორგანოებში, სრულიად კანონიერია და სწორედ ეს არის სასჯელის შემამსუბუქებელი გარემოების საფუძველი.

ობიექტი დანაშაულისა არის ადამიანის ჯანმრთელობა, ობიექტური მხარე კი სხეულის განზრახ მძიმე ან ნაკლებად მძიმე ხარისხის დაზიანება შეპყრობის განხორციელების დროს, შეპყრობისათვის საჭირო ზომების გადაჭარბებით.

დაკავებისას შეპყრობისათვის აუცილებელი ზომების გადაცილებით ორი პირი დაზიანდა თუ მეტი, კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არ აქვს.

ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება გაუფრთხილებლობით – მუხლი 124

განსახილველი მუხლი ორი ნაწილისაგან შედგება და შეიცავს ორ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ დანაშაულს: ა) პირველი ნაწილი განიხილავს გაუფრთხილებლობით გამოწვეულ ადამიანის სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანებას. ბ) მეორე ნაწილი კი სხეულის გაუფრთხილებლობით დაზიანებას მძიმე შედეგით.

გვარობითი ობიექტი განსახილველი დანაშაულისა არის საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელიც უზრუნველყოფს ადამია-

ნის ჯანმრთელობის უსაფრთხოებას. უშუალო ობიექტი — ადამიანის ჯანმრთელობა.

ობიექტური მხარე გამოიხატება მოქმედებით ან უმოქმედობით, რომელიც არღვევს ქცევის წესებს და რამაც შეიძლება გამოიწვიოს სხვა ადამიანის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება. ასეთ გარემოებებს, როგორც ამაზე წინაც ვთქვით, უფრო ხშირად ადგილი აქვს საყოფაცხოვრებო და პროფესიული საქმიანობის წესების დაცვისადმი გაუფრთხილებელი მოპყრობის დროს.

ადამიანის მძიმე დაზიანების ცნების ირგვლივ ჩვენ საუბარი გვქონდა 117-ე მუხლის განხილვისას.

სუბიექტური მხარე დანაშაულისა გამოიხატება, ხასიათდება გაუფრთხილებელი ბრალით, კერძოდ, წინდაუხედაობით ან დაუდევრობით.

წინდაუხედაობას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც სუბიექტს გაცნობიერებული აქვს თავისი მოქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებს ამ მოქმედებით საშიში შედეგის დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ, წინდაუხედაობის გამო ვერ აკეთებს მისი თავიდან აცილების რეალურ ანალიზს, უსაფუძვლოდ სჯერა, რომ ამას არ მოჰყვება მძიმე შედეგი, ან, თუ ეს მოსალოდნელი გახდა, შეძლებს მის თავიდან აცილებას.

მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანების შემთხვევას დაუდევრობით მაშინ აქვს ადგილი, როდესაც სუბიექტს (დამნაშავეს) გაცნობიერებული არ აქვს თავისი მოქმედების საშიში ხასიათი, ვერ ითვალისწინებს მოსალოდნელი საშიში შედეგის დადგომის შესაძლებლობას, მაშინ, როდესაც ვალდებული იყო, გაეთვალისწინებინა და შეეძლო კიდეც გათვალისწინება.

გაუფრთხილებლობის ძირითადი საკითხები განხილულია 116-ე მუხლზე საუბრის დროს.

სხეულის მსუბუქი დაზიანება გაუფრთხილებლობით არ ითვალისწინებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.

ცემა — მუხლი 125

მუხლის დისპოზიცია ასეთი შინაარსის არის: „ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, მაგრამ არ მოჰყოლია ამ კოდექსის 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი“.

განსახილველი მუხლი 120-ე მუხლისაგან განსხვავდება იმით, რომ აქ არ აღინიშნება დაზარალებულს სხეულზე მსუბუქი დაზიანების ნიშნები. ცემაში კანონმდებელი გულისხმობს ისეთ მოქმედებას, როდესაც დამნაშავე დაზარალებულს მრავალჯერ დაარტყამს განზრახ, რითაც ცდილობს, ტკივილი აგრძნობინოს მას. დარტყმები შეიძლება ხელით, ფეხით, სხვადასხვა საგნებით და ა.შ.

„სხვაგვარ ძალადობაში“ კანონმდებელი გულისხმობს ისეთ მართლსაწინააღმდეგო მოქმედებას, რომელიც ცემასთან არ არის დაკავშირებული, მაგრამ ტკივილსა და უსიამოვნებას კი განაცდევინებს დაზარალებულს. მაგალითად, თმების ჩეჩვა, მკლავის გადაგრეხა, კისრის ძალით მოღუნვა, ჭანჩის მოჭერა, მძიმე საგნით სხეულზე დაწოლა და ა.შ.

თუ ამგვარმა მოქმედებამ დაზარალებული ფიზიკურად დააზიანა, რა თქმა უნდა, მოქმედება დაკვალიფიცირდება ზემოთ განხილული რომელიმე შესაბამისი მუხლით, დაზიანების მიხედვით.

განსახილველი დანაშაული განზრახ ხელყოფს ადამიანის ჯანმრთელობას, მაგრამ არ აზიანებს ორგანიზმის ანატომიურ ან ფიზიოლოგიურ მთლიანობას. იწვევს ფიზიკურ ტკივილს, მწვავე ფსიქოლოგიურ განცდას, ღრმა შიშს და უსიამოვნებას.

ობიექტური მხარე მდგომარეობს ადამიანის ხელშეუხებლობის დარღვევაში, რაც გამოიხატება ცემასა ან სხვაგვარ ძალადობაში, რომელიც ტკივილს განაცდევინებს დაზარალებულს.

სუბიექტური მხარე მდგომარეობს პირდაპირ განზრახვაში.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ფიზიკური, თუნდაც მეტად მწვავე ტკივილის გამოწვევა გაუფრთხილებლობით არ წარმოადგენს პასუხისმგებლობის საფუძველს.

დანაშაული წარმოიშობა დაზარალებულისა და ბრალდებულის საყოფაცხოვრებო, შრომითი ან სხვა ურთიერთობის დროს განაწყენების, ეჭვიანობის და სხვა ნიადაგზე.

სისხლის სამართლის საქმე ასეთი დანაშაულის დროს აღიძვრება მხოლოდ დაზარალებულის საჩივრით და შეწყდება მხარეთა შერიგებისთანავე.

კანონის დისპოზიცია ასეთი შინაარსისაა: „სისტემატური ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ან ფსიქიკური ტანჯვა გამოიწვია, მაგრამ არ მოჰყოლია ამ კოდექსის 117-ე ან 118-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი".

წამების ცნებაში იგულისხმება ფიზიკური ან ფსიქიკური ტანჯვის მიყენება.

როდესაც წამებაზე ლაპარაკობს კანონმდებელი, ის ძირითადად აქცენტს აკეთებს დაზარალებულისადმი ფიზიკური ზემოქმედებით მიყენებულ ტკივილსა და ტანჯვაზე, ამ დანაშაულის ცნებაში ძირითადად გულისხმობს სისტემატურ ცემას ან სხვაგვარ ზემოქმედებას დაზარალებულზე, რომელიც წამებით ხასიათს ატარებს და გარკვეული ხანგრძლივობით ან პერიოდული განმეორებით ხასიათდება.

წამების ერთ-ერთი და გავრცელებული ხერხი არის ფიზიკური ან ფსიქიკური ტკივილით ტანჯვის მიყენება სისტემატიურად.

სისტემატიურობის განსაზღვრა არცთუ ისე იოლია, მაგრამ პრაქტიკაში სისტემატურად იწოდება ისეთი ტანჯვის გამომწვევი ზემოქმედება, როდესაც ის დამნაშავისაგან დღეში ორჯერ-სამჯერ მეორდება. მრავალი მეცნიერისა და პრაქტიკოსის აზრით, წამება სისტემატიურად ჩაითვლება მაშინაც, თუ იგი ყოველდღიურად მეორდება, დღეში თუნდაც ერთხელ.

იურიდიული მეცნიერება იმასაც აღნიშნავს, რომ ფიზიკური ტკივილი, როდესაც ის ყოველდღიურად მეორდება, მომდევნო დღეების ლოდინით ფსიქიკურ ტკივილსა და ტანჯვას განაცდევინებს დაზარალებულს.

ტანჯვა-წამების ხერხებად ზემოქმედების სხვა საშუალებებიც გამოიყენება. კერძოდ: საკვების მიღების ხანგრძლივად აკრძალვა, წყლის არმიცემა, სითბოს აღკვეთა, აუტანელი საცხოვრებელი პირობების შექმნა, გაწკეპვლა, ხმაური, ელდენით ჩქმეტა და ა.შ.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ შეზღუდულად არ შეიძლება წამების გამომწვევი მოქმედების ჩამოთვლა. ბევრი მოქმედებაა ისეთი, რომელიც ერთ ადამიანზე არ მოქმედებს, მაგრამ მეორეს აუტანელ უსიამოვნებას აგრძნობინებს და შეიძლება დიდ ტანჯვასაც იწვევდეს.

მთავარი ის არის, რომ გამოძიებით დადგინდეს მოქმედება,

რომელსაც განზრახ ჩადიოდა დამნაშავე დაზარალებულის ტანჯვა-წამების გამოსაწვევად.

დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება დაზარალებულის ფიზიკური ან ფსიქიკური ტანჯა-წამებით სისტემატურად.

სუბიექტური მხარე გამოიხატება განზრახ მოქმედებაში. დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ თავისი მოქმედებით აწამებს დაზარალებულს, უშვებს ამას და სურს იგი.

მოტივი დანაშაულისა მრავალნაირია: ეჭვიანობა, საყოფაცხოვრებო ურთიერთობის ნიადაგზე წარმოშობილი მტრობა და ა.შ.

კვალიფიციური სახე დანაშაულისა გვაქვს მაშინ, თუ პირველ ნაწილში გათვალისწინებული ქმედება განხორციელდება:

ა) ორი ან მეტი პირის მიმართ;

ბ) წინასწარი შეცნობით ორსული ქალის მიმართ;

გ) დაზარალებულის ან მისი ახლო ნათესავის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით;

დ) წინასწარი შეცნობით არასრულწლოვანის, უმწეო მდგომარეობაში მყოფის ანდა დამნაშავეზე მატერიალურად ან სხვაგვარად დამოკიდებულის მიმართ;

ე) მძევლად ხელში ჩაგდებასთან დაკავშირებით;

ვ) შეკვეთით;

ზ) ეროვნული, რასობრივი, რელიგიური ან ეთნიკური შეუწყნარებლობის გამო;

თ) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით.

დამნაშავეზე მატერიალურად ან სხვაგვარად დამოკიდებულება ნიშნავს ბრალდებულის კმაყოფაზე დაზარალებულის მთლიანად ან ნაწილობრივ ყოფნას, როდესაც დაზარალებულის მატერიალური მდგომარეობა (ბინა, საკვები, ტანსაცმელი, გადასახადი და სხვა) დამოკიდებულია დამნაშავეზე.

წამება სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით გულისხმობს ხელმძღვანელის უხეშ და უდიერ დამოკიდებულებას ხელქვეითისადმი, როდესაც უფროსი თუ ხელმძღვანელი თავისი უფლებამოსილების გამოყენებით შეუბრალებლად ტვირთავს ხელქვეითს, მუდმივად და უღირსად დებს წუხს მის მიერ შესრულებულ სამუშაოს, დასცინის, ცემს და ა.შ. ასეთი დამოკიდებულება შეიძლება წარმოიშვას მწვრთნელსა და სპორტსმენს, ოსტატსა და შეგირდს შორის და ა.შ.

დანარჩენი პუნქტების რაობაზე ჩვენ ვისაუბრეთ წინა მუხლების განხილვის დროს და აქ აღარ გავიმეორებთ.

21-ე თავი

ადამიანის სიიცოცხლისა ან ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნა (ზოგადი მიმოხილვა)

განსახილველი თავი მეშვიდე კარის შემადგენელი ნაწილია, იმ კარისა, რომელიც განიხილავს ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ განზრახ დანაშაულებს, როდესაც დამნაშავე სრული შეგნებით ემზადება ან აფექტით აშკარად ილტვის, სიცოცხლე მოუსპოს მეორე ადამიანს, მძიმედ ან სხვაგვარად დააზიანოს და ამ მოქმედებებს ასრულებს პირადად, უშუალოდ ან ჯგუფთან ერთად, ან წინასწარი შეთანხმებით პირთა ჯგუფთან ერთად, ან ორგანიზებულ ჯგუფთან ერთად თავისი ფუნქციის უშუალო შესრულებით.

განსახილველი თავი სრულიად ახალი მოვლენაა ჩვენს კანონმდებლობაში. ეს სიახლე მდგომარეობს არა ახალ დანაშაულობათა წარმოშობასა და სისტემატიზაციაში, არამედ მის სუბიექტურ მხარეში. ის დანაშაულობანი, რომელიც განსახილველ თავშია გაერთიანებული, ყოველთვის იყო ცნობილი ჩვენი კანონმდებლობისათვის ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად და დღესაც ასეა, მაგრამ ახლა მისი ცალკე თავად გამოყოფა სრულიად მიზნობრივია და განაპირობა დანაშაულის სუბიექტური მხარის თავისებურებამ, კანონის დახვეწილმა და მეცნიერულმა სისტემატიზაციამ. სუბიექტური მხარის ეს თავისებურება გამოიხატება მასში, რომ დამნაშავის ძირითადი მიზანი არ არის დაზარალებულის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის აშკარა მოსპობა, მაგრამ მასთან ქმნის ისეთ ურთიერთობრივ ატმოსფეროს, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა ან ჯანმრთელობის დაზიანება და უშვებს ასეთს.

დანაშაულთა ეს სახეობანი პირობითად შეიძლება ორ წრედ გავყოთ:

1) ქმედებანი, რომლითაც დამნაშავე უშუალოდ კი არ სპობს სხვის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას, არამედ განზრახ ან გაუფრთხილებლობით ქმნის ისეთ პირობებს, რომლითაც ადამიანი შეიძლება დაიღუპოს ან ჯანმრთელობა დაუზიანდეს;

2) შექმნილია პირობები, რომლითაც შეიძლება განადგურდეს ადამიანის სიცოცხლე ან ჯანმრთელობა, დამნაშავე კი განზრახ ან გაუფრთხილებლობის გამო არ განმუხტავს ამ საშიშროებას, თუმცა ვალდებული იყო, განემუხტა და შეეძლო განემუხტა.

აღნიშნული თავის განხილვის დროს უნდა შევნიშნოთ დადებითი ტენდენცია იმისკენ, რომ მოქალაქემ თავის სისხლხორცეულ ვალდებულებად უნდა იგრძნოს მეორე პირისადმი დახმარების აუცილებლობა და განახორციელოს ყოველი შესაძლებელი ღონისძიება სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მყოფის გადასარჩენად. ამიტომ კანონმდებელმა ეს მომენტი სამ შესაძლებლობად ჩამოაყალიბა:

1) სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მყოფი პირის მიტოვება იმისაგან, ვისაც ევალებოდა მასზე ზრუნვა და ჰქონდა დახმარების აღმოჩენის შესაძლებლობა (129-ე);

2) სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მყოფი პირისათვის აშკარად გადაუდებელი დახმარების აღმოუჩენლობა ნებისმიერი პირისაგან, რომელსაც ყოველგვარი საშიშროების გარეშე შეეძლო დახმარების აღმოჩენა;

3) ავადმყოფისათვის დახმარების აღმოუჩენლობა მედიცინის მუშაკის მიერ.

21-ე თავში განხილულია აგრეთვე ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემქმნელი ისეთი დანაშაულობები, როგორიც არის შიდსის, სხვა განსაკუთრებით საშიში ინფექციური დაავადების შეყრა, უკანონო აბორტი, ადამიანის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის აღების იძულება, სისხლით ან მისი კომპონენტებით უკანონო ვაჭრობა, საშიშ მდგომარეობაში ჩაყენება, განსაცდელში მიტოვება, დახმარების აღმოუჩენლობა, ავადმყოფისათვის დახმარების აღმოუჩენლობა. შევეცდებით ჩამოთვლილ დანაშაულობათა ცალ-ცალკე განხილვას.

სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენება – მუხლი 127

განსახილველი მუხლი ერთი ნაწილისაგან შედგება. მისი დისპოზიცია ასეთია: „სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში იმის ჩაყენება, ვისაც შესაძლებლობა არ აქვს მიიღოს ზომები თავის გადასარჩენად“. როგორც ვხედავთ, დანაშაული მართლაც დაზარალებულის დაღუპვის განზრახვას შეიცავს იმ განსხვავებით, რომ დამნაშავე თვითონ არ ჰკლავს უშუალოდ, მაგრამ, სამაგიეროდ, უტყუარ პირობებს ქმნის თავისი შეგნებით იმისათვის, რომ დაზარალებული დაიღუპოს.

მაგალითად: მოქალაქე „გ“-მ ზამთრის ყინვიან ღამეს უგონოდ დაათრო მისთვის არასასიამოვნო პიროვნება „ბ“, რომელსაც სიარული სრულიად აღარ შეეძლო. „გ“-მ იგი გადაიყვანა ჭუჩის ბნელ კუთხეში, გაჰხადა ქურთუკი და დასტოვა იმ ვარაუდით, რომ „ბ“ გაცივდებოდა და ამით მის სიცოცხლეს სერიოზული საფრთხე შეექმნებოდა.

დამნაშავემ შეგნებულად ჩააყენა დაზარალებული სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში, სადაც ამ უკანასკნელს არ ჰქონდა შესაძლებლობა, მიეღო ზომები თავის გადასარჩენად. დანაშაული დამთავრებულად ითვლება საშიშ მდგომარეობაში ჩაყენებისთანავე.

დაზარალებულის შემთხვევით გადარჩენა კვალიფიკაციაზე ზეგავლენას ვერ ახდენს.

სუბიექტური მხარე მდგომარეობს მასში, რომ დამნაშავე განზრახ, შეგნებულად ქმნის დაზარალებულის სიცოცხლისათვის საშიშ პირობებს, რათა მან ვერ მიიღოს ზომები თავის გადასარჩენად.

ობიექტი დანაშაულისა არის ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა.

ობიექტურის მხრივ დანაშაული გამოიხატება ადამიანის სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში შეგნებულად ჩაყენებით.

კანონის დისპოზიცია ასეთია: ,,დაუხმარებლად იმის მიტოვება, ვინც სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში იმყოფებოდა და შესაძლებლობა არ ჰქონდა, მიეღო ზომები თავის დასაცავად, თუ მიმტოვებელს ევალებოდა მასზე ზრუნვა და შეეძლო მისი დახმარება".

ეს ტექსტი მოიცავს შინაარსს იმის თაობაზე, რომ დამნაშავეს კარგად აქვს შეგნებული და იცის, რომ დაზარალებულის სიცოცხლეს აშკარა საფრთხე ელის, იცის თავისი ვალდებულებაც დახმარების გაწევის აუცილებლობის შესახებ, მაგრამ არ აღმოუჩინა. დახმარება შეიძლება გამოიხატოს დაზარალებულის ტანზე ცეცხლის ჩაქრობით, წყლიდან ამოყვანით, დამხმარე ძალებისათვის შეტყობინებით და ა.შ.

პასუხისმგებლობა ამ მუხლით დგება შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით:

ა) თუ ნამდვილად არსებობდა დაზარალებულის სიცოცხლის დაღუპვის პირობები.

ბ) თუ ნამდვილად არ გაუწია დამმნაშავემ დახმარება და საშიშროების მიხედვით ეს გადაუდებელი იყო.

გ) თუ დახმარება შეიძლებოდა გაწეულიყო დამხმარე პირის სიცოცხლის ან ჯანმრთელობის საფრთხეში ჩაგდების გარეშე.

დ) თუ მიმტოვებელს ევალებოდა მასზე ზრუნვა.

ე) თუ ჰქონდა დახმარების რეალური შესაძლებლობა.

ობიექტი მოცემული დანაშაულისა არის მოქალაქის სიცოცხლე და ჯანმრთელობა, რომელსაც არა აქვს შესაძლებლობა, მიიღოს ზომები თავის გადასარჩენად.

ობიექტური მხარე მოცემული დანაშაულისა მდგომარეობს უმოქმედობაში. ე. ი. დანაშაული გამოიხატება დაზარალებულის მიმართ აუცილებელი დახმარების გაუწევლობაში, იმ დროს, როდესაც დამნაშავეს ევალებოდა დაზარალებულზე ზრუნვა და შეეძლო კიდეც ეს.

მაგალითად, ავტოსაგზაო შემთხვევის დროს მძღოლი (თუკი ამისი შესაძლებლობა აქვს) ვალდებულია, მიიღოს ზომები სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მყოფ მგზავრთა თუ სხვა პირთა გადასარჩენად.

დანაშაული დამთავრებულად ითვლება დაზარალებულის სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მიტოვებისთანავე. მიუხედავად იმისა. დაზარალებულთა მდგომარეობა დამთავრდა თუ არა მძიმე შედეგით (სიკვდილით).

პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს თვით ფაქტი სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მიტოვებისა.

სუბიექტი დანაშაულისა შეიძლება იყოს ნებისმიერი მოქალაქე. რომელიც ვალდებულია. აღმოუჩინოს დახმარება სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მყოფ პირს და გააჩნია კიდევაც ამის შესაძლებლობა.

მოტივი დანაშაულისა შეიძლება იყოს შიში. სასჯელისათვის თავის არიდება. განაწყენება. შურისძიება და ა. შ.

სუბიექტური მხარე გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში. დამნაშავეს შეგნებული აქვს. რომ ის ვალდებულია. დაზარალებულს. რომლის სიცოცხლე საშიშ მდგომარეობაშია. აღმოუჩინოს დახმარება. მაგრამ სურვილი აქვს. აერიდოს. მიიმალოს და იმალება კიდეც.

დაუხმარებლობა – მუხლი 129

მუხლი ერთი ნაწილისაგან შედგება. კანონმა ჩათვალა. რომ ყოველი მოქალაქე ვალდებულია. დახმარება აღმოუჩინოს მეორეს. მით უმეტეს მაშინ. როცა მისი სიცოცხლე განსაცდელშია.

კანონმდებელმა იმდენად აუცილებლად მიიჩნია ერთი პირისაგან მეორის სიცოცხლის შენარჩუნებისათვის ბრძოლა. რომ ასეთ შემთხვევაში უმოქმედობა დანაშაულად ჩათვალა და კანონის დისპოზიცია ასე ჩამოაყალიბა:

„სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მყოფი პირისათვის აუცილებელი და აშკარად გადაუდებელი დახმარების აღმოუჩენლობა. თუ ამ დახმარების აღმოჩენა დამნაშავეს შეეძლო თავისი თავისათვის ან სხვა პირისათვის სერიოზული საშიშროების გარეშე. აგრეთვე სათანადო დაწესებულების ან პირისათვის დახმარების საჭიროების შეუტყობინებლობა“.

მოცემული დანაშაულის ობიექტი არის მოქალაქის სიცოცხლე და ჯანმრთელობა. რომელიც საშიშ მდგომარეობაშია და საჭიროებს აუცილებელ და გადაუდებელ დახმარებას.

ობიექტური მხარე დანაშაულისა გამოიხატება უმოქმედებაში, რაც მდგომარეობს მასში, რომ მოქალაქე არ ასრულებს თავის მოქალაქეობრივ და კანონიერ მოვალეობას - არ უწევს დახმარებას სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეს, როცა მისთვის ასეთი დახმარება სერიოზული საშიშროების გარეშე შეიძლებოდა, არც ამ ფაქტის შესახებ ატყობინებს სათანადო დაწესებულებას ან პიროვნებას.

სუბიექტური მხარე დანაშაულისა გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში. დამნაშავემ იცის, რომ დახმარება აუცილებელი და გადაუდებელია, მაგრამ არ ღებულობს ზომებს დახმარებისათვის. მიზანი დანაშაულებრივი ქმედებისა არის თავის შეუწუხებლობა, უდარდელობა, იმედი იმისა, რომ სხვა დაეხმარება და ა.შ.

დაზარალებულის გადარჩენას კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არ აქვს.

ავადმყოფის განსაცდელში მიტოვება – მუხლი 130

მუხლი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი ასეთი შინაარსისაა: „სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მყოფი ავადმყოფისათვის არასაპატიო მიზეზით მედიცინის მუშაკის მიერ გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაუწევლობა.“

კანონმდებელი ხაზს უსვამს მედიცინის მუშაკის უმოქმედობას, როდესაც მას შეგნებული აქვს, რომ ავადმყოფი სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში იმყოფება და, მიუხედავად ამისა, სუბიექტი არ ასრულებს პროფესიულ ფიცს, მოვალეობას, არ ეხმარება დაზარალებულს, გადაარჩინოს მისი სიცოცხლე, რომელიც საფრთხეშია.

მაგალითად, მოქალაქე რობაქიძეს ცუდად გაუხდა გული. გამოძახებით გამოცხადდა ექიმი, გადაიყვანა ავადმყოფი საავადმყოფოში და მოახსენა განყოფილების გამგეს კიკვიძეს ავადმყოფის ჰოსპიტალიზირების აუცილებლობის შესახებ. კიკვიძემ ერთი საათის განმავლობაში არ გაუწია დახმარება ავადმყოფს. ეს უკანასკნელი ინფარქტისაგან გარდაიცვალა.

კანონის პირველი ნაწილის მიხედვით პასუხისმგებლობა ეკისრება პირს - მედიცინის მუშაკს, რომელმაც არასაპატიო მიზეზით არ გაუწია სათანადო დახმარება ავადმყოფს.

დახმარების აღმოუჩენლობის მოტივი უმრავლეს შემთხვევაში არის დაზარება, დაღლილობა, გულგრილობა. კანონი დახმარების გაუწევლობის სურვილში არ გულისხმობს იმას, რომ მედიცინის მუშაკს სურს, ამ უმოქმედობით დაიღუპოს დაზარალებული. ასეთი განზრახვის დროს, რამაც დაზარალებულის დაღუპვა გამოიწვია, დამნაშავის ქცევა არ დაკვალიფიცირდება 130-ე მუხლით.

განსახილველი მუხლის სუბიექტი არის ის, ვინც ვალდებულია, სამედიცინო დახმარება გაუწიოს ავადმყოფს. ასეთი ვალდებულება არის ავადმყოფობის წინააღმდეგ ბრძოლა სამედიცინო განათლებით, ტექნიკით, მედიკამენტებით და ეს შეუძლია ექიმს, ექთანს, ბებიაქალს და ა.შ.

სუბიექტური მხარე დანაშაულისა გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში, როცა დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ ავადმყოფს დახმარება სჭირდება, მაგრამ თავს არიდებს ამ აშკარა ვალდებულებას.

მედიცინის მუშაკის განზრახვაში ამ მუხლის შესაბამისად იგულისხმება ავადმყოფის მკურნალობაზე თავის არიდების განზრახვა. რაც შეეხება დაზიანებას ან სიცოცხლის მოსპობას მკურნალობის ჩაუტარებლობის გამო, იგი მიეწერება გაუფრთხილებლობით ბრალს და ამ მუხლის მეორე ნაწილშია გათვალისწინებული.

ობიექტი დანაშაულისა არის ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა.

როგორც ვხედავთ, მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს მხოლოდ დახმარების აღმოუჩენლობის გამო პასუხისმგებლობას. დანაშაული დამთავრებულად ითვლება დახმარების გაუწევლობისთანავე. პირველი ნაწილით კვალიფიკაციის დროს შედეგს მნიშვნელობა არ აქვს.

მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას, როდესაც მედიცინის მუშაკი არ გაუწევს დახმარებას ავადმყოფს და ამის გამო მას განუვითარდა მძიმე დაზიანება ან დაიღუპა.

შიდსის შეყრა – მუხლი 131

შიდსი მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეულის საშიში სენია. ის მეტად შეუბრალებლად ემუქრება კაცობრიობის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას. შიდსის ინფექციით დაავადება წარმოადგენს უდიდეს

საშიშროებას, რადგან იგი მეტად ვერაგულად ვრცელდება. მედიცინა ჯერჯერობით უძლურია მის წინააღმდეგ და ყველა რეგისტრირებული შემთხვევა ავადმყოფთა დაღუპვით მთავრდება.

მუხლი ოთხი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი პასუხისმგებლობას აწესებს „სხვისთვის შიდსის განზრახ შეყრის საფრთხის შექმნისათვის“.

როგორც სამედიცინო სამსახური გვასწავლის, შიდსის ინფექცია ვრცელდება მხოლოდ მოქმედებით, რადგან იგი შედეგია სქესობრივი კავშირისა, ასევე ნემსების არარეკომენდირებული სტერილიზაციისა და მათი ერთჯერადი ხმარების მოთხოვნის უგულებელყოფისა.

ამიტომ, როგორც სამედიცინო პერსონალი, ასევე თვით დაავადებულნი ვალდებულნი არიან, არ ჩააგდონ მეორე ადამიანი შიდსის შეყრის საფრთხეში. ვირუსი არ გადადის ადამიანთა ფიზიკური სიახლოვის გარეშე.

მაგალითად, შიდსით დაავადებულისაგან სქესობრივი კავშირის დამყარება ჯანმრთელ მოქალაქესთან ერთ-ერთი პირობაა შიდსის ვირუსის შეყრის საფრთხეში ჩაგდებისა.

მოცემული დანაშაული დამთავრებულად ითვლება, როგორც კი დამნაშავე მეორე პირს ჩააყენებს დაავადების შეყრის მდგომარეობაში. მუხლის პირველი ნაწილით ქმედების დაკვალიფიცირებისათვის სენის შეყრა არ არის აუცილებელი. ჯანმრთელი პირის თანხმობა შიდსით დაავადებულთან სქესობრივი კავშირის დამყარებაზე (როცა დაავადებულმა იცის თავისი დაავადების სირთულე და მის შესახებ კიდევაც ესაუბრა მეორეს) არ ათავისუფლებს დამნაშავეს პასუხისმგებლობისაგან.

მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს დამამძიმებელ გარემოებას, რაც იმაში გამოიხატება, რომ დამნაშავემ იცის თავისი დაავადების სირთულე და განზრახ შეყარა იგი მეორე მოქალაქეს.

პირდაპირი განზრახვა შიდსის შეყრისა დამნაშავის მხრიდან მდგომარეობს მასში, რომ დამნაშავემ უწყის თავისი დაავადების შესახებ და ცდილობს დაამყაროს დაზარალებულთან სქესობრივი კავშირი, რათა შეჰყაროს მას თავისი დაავადება და სურს ასეთი შედეგი.

მუხლის მესამე ნაწილი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს იმ პირის მიმართ, რომელმაც მუხლის 1 და მე-2 ნაწილის მიხედვით

შიდსის დაავადება გაავრცელა ორ ან მეტ პირზე ან არასრულწლოვანზე.

მუხლის მეოთხე ნაწილის მიხედვით პასუხისმგებლობა ეკისრება იმ პირებს, ვინც შიდსის დაავადება შეჰყარა პროფესიული მოვალეობის არაჯეროვნად შესრულების გამო, ე. ი. არ დაიცვა ჰიგიენის წესები, არ მოახდინა „შპრიცების“ (ნემსების) ნორმალური სტერილიზაცია, უგულებელყო ერთჯერადობის პრინციპი და ა.შ.

სუბიექტი მეოთხე ნაწილისა შეიძლება იყოს ექიმი, მედდა და ა.შ.

განსაკუთრებით საშიში ინფექციური დაავადების შეყრა – მუხლი 132

განსახილველი მუხლი ახალია სისხლის სამართლის კანონმდებლობაში. ადრეული კოდექსები ითვალისწინებდნენ პასუხისმგებლობის საფუძვლად მხოლოდ ისეთი ინფექციური დაავადების შეყრას, როგორიც არის ვენერიული სენი. კანონმდებელი მართებულად მოიქცა, როდესაც ამ მუხლით პასუხისმგებლობა დააკისრა ყველას, ვინც კი განსაკუთრებით საშიში ინფექციური დაავადების შეყრის საფრთხეს შეუქმნის მეორე ადამიანს ან შეჰყრის მას.

ინფექცია ლათინური სიტყვაა და ნიშნავს ორგანიზმის დასნებოვანებას გადამდები დაავადების გამომწვევი მიკრობებით. ავადმყოფობის გამომწვევი მიკროორგანიზმი შეიჭრება ჯანმრთელ ორგანიზმში და იწვევს მისთვის დამახასიათებელ დაავადებებს. თანამედროვე მედიცინა მრავალი სახის ინფექციურ დაავადებას იცნობს. ინფექციური მას იმიტომ ჰქვია, რომ ამ დაავადების გადასვლა ერთი ადამიანიდან მეორეზე ხდება ინფექციის გავრცელებით, თუკი არ იქნება დაცული მისი გადადების აღკვეთის სათანადო სამედიცინო პირობები.

ასეთ დაავადებებია ვენერიული სენი, ყვავილი, ქოლერა, ტიფი და მრავალი სხვა. დაავადების გავრცელება მეტად სწრაფად მიმდინარეობს და შესაძლებელია ფართო მასშტაბიც მიიღოს, თუკი არ იქნება დაცული სამედიცინო მოთხოვნები.

კანონი სწორედ იმ პირთა წინააღმდეგ იბრძვის, ვინც

შექმნის ასეთი დაავადებების გამომწვევი ინფექციების გავრცელებისა და დაავადების შეყრის პირობებს, ან შეყრის ასეთ დაავადებას.

კანონი სამი ნაწილისაგან შედგება. პირველი ასეთი შინაარსის არის:

„სხვისთვის განსაკუთრებით საშიში ინფექციური დაავადების შეყრის საფრთხის შექმნა".

ამ შინაარსში კანონმდებელი გულისხმობს ისეთი გარემოპირობების, ურთიერთობის შექმნას, სადაც ჯანმრთელი ორგანიზმისათვის სერიოზული საფრთხეა ინფექციური სენით დაავადებისა. მაგალითად, მედიცინის მუშაკი ხმარობს ერთჯერად შპრიცს და დაავადებულზე ნახმარს იყენებს სხვა ადამიანზე, არ ქმნის დაავადებულისათვის იზოლირებულ გარემოს, არ აწარმოებს მისი ნახმარი ინვენტარის სტერილიზაციას და ა.შ.

. მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული დამთავრებულად ითვლება იმ გარემოების შექმნისთანავე, რითაც შეიძლება გავრცელდეს დაავადება.

კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არ აქვს, პიროვნება დაავადდა თუ არა.

მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას აწესებს მაშინ, როდესაც დამნაშავე სხვას განსაკუთრებით საშიშ ინფექციურ დაავადებას შეჰყრის.

სუბიექტურის მხრივ მეორე ნაწილის შემადგენლობა შეიძლება განხორციელდეს როგორც განზრახ, ასევე გაუფრთხილებლობით.

ობიექტი დანაშაულისა არის ადამიანის ჯანმრთელობა.

ობიექტური მხარე გამოიხატება ინფექციური დაავადების შეყრის საფრთხეში ჩაგდებით, ან ასეთი დაავადების შეყრით.

132-ე მუხლის მესამე ნაწილი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს, თუ ამ მუხლის პირველი ან მეორე ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ორი ან მეტი პირის ან, წინასწარი შეცნობით, არასრულწლოვანის მიმართ განხორციელდა.

აბორტი დედის ორგანიზმში ნაყოფის იძულებით მოშლაა, რომლის გაკეთების უფლება შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ექიმ-სპეციალისტს – შესატყვისი სამედიცინო პირობებისა და მედიკამენტების არსებობის ვითარებაში.

აბორტის გაკეთება მეტად გავრცელებული სამედიცინო მოვლენაა ქალთა შორის და დაკავშირებულია მეტად რთულ ბიოლოგიურ და ფიზიოლოგიურ ცვლილებებთან. ამდენად, მისი განხორციელება აუცილებლად უნდა მოხდეს ყოველგვარი პირობების დაცვით, რათა სრულიად იქნეს შენარჩუნებული როგორც ქალის ჯანმრთელობა, ასევე მისი მომავალი გამრავლების ბიოლოგიური უნარი.

პრაქტიკამ ცოტა როდი იცის აბორტის გაკეთების წესების დაუცველობით გამოწვეული მწვავე გართულებები თვით მშობიარის დაღუპვამდეც კი. ამდენად კანონმდებლობამ სრულიად ნორმალური მოთხოვნები დააყენა სამართალდამცავი და სამედიცინო დარგის მუშაკების წინაშე, რათა თავიდან იქნეს აცილებული აბორტის უკანონოდ გაკეთება და მისი გამოუსწორებელი შედეგები.

კანონი, უპირველეს ყოვლისა, ხაზს უსვამს, მკვეთრად კრძალავს და დანაშაულად თვლის აბორტს თუნდაც ექიმი სპეციალისტის მიერ არასამედიცინო პირობებში, სპეციალური სტაციონარული საავადმყოფოსა და სამშობიარო სახლის გარეშე. ასევე დასჯად მოქმედებად მიიჩნევს არაგინეკოლოგი ექიმის მიერ აბორტს თუნდაც მისთვის სპეციალურად განკუთვნილ სტაციონარში, რომელიც აღჭურვილია საჭირო მედიკამენტებით, ისტრუმენტებით, სრული სანიტარული პირობებით, სადაც არის საშუალება ოპერაციისა და ორსულობის ხელოვნურად მოკვეთისათვის და ა.შ.

განსახილველი მუხლი სამი ნაწილისაგან შედგება და მეტად გულდასმით ეხება ამ დანაშაულის თუნდაც მცირედ ნიუანსს. პირველი ნაწილი ასეთი შინაარსის არის: „უკანონო აბორტი“. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აბორტი უკანონოა, თუ იგი კეთდება არასპეციალიზირებულ დაწესებულებაში ან არასპეციალისტი ექიმის მიერ.

სუბიექტური მხარე გამოიხატება განზრახი მოქმედებით. დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ იგი აბორტს აკეთებს უკანონოდ, მაგრამ სურს და ახორციელებს მას.

ობიექტი დანაშაულისა არის ორსული ქალის ჯანმრთელობა.

ობიექტური მხარე მდგომარეობს უკანონოდ აბორტის გაკეთებაში, ე. ი. მოქმედებაში ორსულობის ხელოვნურად მოშლისათვის, რომელიც ჩატარდა სამედიცინო მოთხოვნების დარღვევით.

მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას აწესებს მაშინ, როდესაც აბორტი უკანონოდ გაკეთდა ასეთივე ქმედებისათვის ადრე მსჯავრდებული პირის მიერ ან რასაც, გაუფრთხილებლობით, ორსულობის უნარის სამუდამო მოშლა ან სხვა მძიმე შედეგი მოჰყვა. როგორც ჩანს, კანონის მეორე ნაწილში სამი შემადგენლობაა გაერთიანებული:

1) უკანონო აბორტი ამ დანაშაულისათვის ადრე მსჯავრდებული პირის მიერ;

2) გაუფრთხილებლობით შვილოსნობის უნარის სამუდამოდ მოშლა;

3) ან რაიმე სხვა მძიმე შედეგი.

პირველ შემადგენლობაში კანონმდებელი ხაზს უსვამს იმას, რომ მეორე ნაწილით კვალიფიკაციისათვის საჭიროა უკანონო აბორტის არა მარტო განმეორება, არამედ მისი ჩამდენი მსჯავრდებული უნდა იყოს ასეთი დანაშაულებრივი ქმედებისათვის.

შვილოსნობის უნარის სამუდამოდ მოშლაში იგულისხმება გამრავლების უნარის სრული დაკარგვა.

„სხვა მძიმე შედეგში“ იგულისხმება საშვილოსნოს პერფორაცია, ქრონიკული ანთებითი პროცესები და ა. შ.

მუხლის მესამე ნაწილი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს, როდესაც უკანონო აბორტს შედეგად მოჰყვა გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობა.

ადამიანის ორგანოს ან ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის აღების იძულება — მუხლი 134

განსახილველი მუხლი ორი ნაწილისგან შედგება. პირველის დისპოზიცია ასეთია:

„სამკურნალოდ, გადასანერგად, ექსპერიმენტისთვის ან სამკურნალო პრეპარატის დასამზადებლად ადამიანის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის აღების იძულება“.

დამნაშავეს ადამიანის სხეულისა თუ ქსოვილის ნაწილი ჰირდება გადასანერგად. დანაშაული გამოიხატება მასში, რომ ადამიანის სხეულის ან ქსოვილის ნაწილი დანაშაულებრივი მოქმედებით - იძულებით ამოიკვეთება ნამდვილი პატრონის სხეულიდან მეორე ადამიანის სხეულზე სამკურნალოდ – ტრანსპლატაციისა (გადანერგვის) თუ ექსპერიმენტისათვის ან სამკურნალო პრეპარატის დასამზადებლად.

თანამედროვე მედიცინა თავისუფლად ახერხებს ერთი ადამიანის სხეულის ნაწილის გადანერგვას მეორე ადამიანის სხეულზე (მაგ.თირკმლის, თვალის, კანის, სისხლის გადასხმის და ა.შ.).

ადამიანებს ნებაყოფლობით არ ეკრძალებათ თავიანთი სხეულის ნაწილის გაღება მეორე ადამიანის ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად, მაგრამ მისი ნებისმიერი ხასიათის იძულება – მოიკვეთოს თავისი სხეულის რომელიმე ნაწილი სხვის სასარგებლოდ, ქმნის განსახილველი მუხლის შემადგენლობას.

იძულება ნიშნავს პიროვნების იძულებით, ძალდატანების ხერხით დაყოლიებას, შეასრულოს ესა თუ ის, მისთვის არასასურველი მოქმედება – მოიკვეთოს თავისი სხეულის ნაწილი.

იძულება შეიძლება გამოიხატოს პიროვნების მოტაცებით, ცემით ან მოკვლის მუქარით, რათა იგი დათანხმდეს დამნაშავეს, მოიკვეთოს, ან არ დათანხმდეს, მაგრამ შებორკონ და ისე ამოჭკვეთონ სხეულის რომელიმე ნაწილი (ქსოვილი, თვალი და ა.შ.).

დანაშაულის კვალიფიკაცია უნდა მოხდეს განსახილველი მუხლისა და იმ მუხლის გაერთიანებით, რა დაზიანებაც მიიღო დაზარალებულმა სხეულის ნაწილის ან ქსოვილის ამოკვეთის შედეგად.

სუბიექტური მხარე დანაშაულისა ხასიათდება პირდაპირი განზრახვით. დანაშაულის მოტივი არის მეორე ადამიანის გაჯანსაღების სურვილი, რომელსაც უნდა შეუნარჩუნდეს ჯანმრთელობა და შეიძლება სიცოცხლეც კი, ან სხეულის ნაწილის რეალიზაციით გამორჩენის მიღება.

ობიექტი დანაშაულისა არის ადამიანის ჯანმრთელობა.

ობიექტური მხარე გამოიხატება დაზარალებულის სხეულის ნაწილის მოკვეთაში, რომელიც დამნაშავეს სურს სამკურნალოდ. მაგალითად, დაავადებული კანის დასაფარავად სხვა ჯანმრთელი კანით, ერთი ადამიანის თვალის ამოკვეთა მეორე ადამიანზე გადა-

ნერგვისათვის, ან ექსპერიმენტისათვის, ე.ი. სამედიცინო ცდის ჩატარებისათვის; პრეპარატის დამზადებაში შეიძლება ვიგულისხმოთ ადამიანის სხეულის უჯრედების გამოყენება პათომორფოლოგიური გამოკვლევისათვის, ე. ი. გამოსაკვლევი პრეპარატის დასამზადებლად და ა.შ.

მუხლის მეორე ნაწილი შედარებით დამამძიმებელ გარემოებად თვლის იგივე ქმედებას, თუ ჩადენილია წინასწარი შეცნობით ორსული ქალის, უმწეო მდგომარეობაში მყოფის, არასრულწლოვანის ანდა დამნაშავეზე მატერიალურად ან სხვაგვარად დამოკიდებული პირის მიმართ. უმწეოდ პირი შეიძლება ჩაითვალოს მაშინ, თუ იგი არის ფსიქიკურად უწონასწორო მდგომარეობაში, ე.ი. ვერ ერკვევა პრაქტიკულ საყოფაცხოვრებო სიტუაციებში ან უგონო ავადმყოფია და სხვა.

დაზარალებულის მატერიალურ ან სხვაგვარ დამოკიდებულებაში კანონმდებელი გულისხმობს ისეთ ვითარებას, როდესაც დაზარალებული მთლიანად ან ნაწილობრივ იმყოფება დამნაშავის კმაყოფაზე ბინით, საკვებით, ტანსაცმლით, სითბოთი და ა.შ. „ან სხვაგვარ დამოკიდებულებაში“ კანონმდებელი გულისხმობს სამსახურებრივ და სხვა ამგვარ ურთიერთობას.

სისხლით ან სისხლის კომპონენტებით უკანონო ვაჭრობა – მუხლი 135

განსახილველი მუხლი ერთი ნაწილისგან შედგება – „სისხლით ან სისხლის კომპონენტებით უკანონო ვაჭრობა, ჩადენილი ანგარებით“. მუხლის მიზანია, ბრძოლა გამოუცხადოს უკანონო ტრანსფუზიოლოგიას, ე.ი. მედიცინის წესების დარღვევით სისხლის გადასხმას.

საქართველოს ჯანმრთელობის სამინისტრომ გააანალიზა რა სისხლის გადასხმის კანონიერების მიმდინარეობა, აღმოჩნდა, რომ საქართველოში ჯერ კიდევ არც თუ იშვიათად ხდება როგორც სისხლით ვაჭრობის, ასევე მისი გადასხმის წესების უხეში დარღვევის ფაქტები.

ბოლო წლებში ქვეყანაში შექმნილი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო სისხლის გამოკვლევა-გადასხმის სამსა-

ხური მნიშვნელოვნად დაზარალდა. მკვეთრად გაიზარდა უხარისხო სისხლის, მისი კომპონენტების, პრეპარატებისა და სისხლის შემცვლელობის გამოკვლევის წარმოება არაკომპეტენტურ, არაცენზირებულ დაწესებულებებში და სათანადო დოკუმენტაციის გარეშე. უმრავლეს დაწესებულებებში არ არსებობს დონორის სისხლის კომპონენტებად ფრაქციონირების ელემენტარული შესაძლებლობა. „ექსტრემალური სიტუაციის დროს იწყება არა მარტო დონორების მომენტალური ძებნა (რაც, ხშირ შემთხვევაში, წარუმატებლად მთავრდება), არამედ სისხლის გადასხმა ხდება უცხო პირებისგანაც კი, რის გამოც საქართველოში შექმნილია შიდსის, სიფილისისა და სისხლის გადასხმით გადამდები სხვა ინფექციური დაავადებების გავრცელების საფრთხე. ასეთი ვითარების გამო 1998 წლის განმავლობაში საშიში ვირუსით ინფიცირების 1035 შემთხვევა გამოვლინდა“[1] და ეს ყოველივე გამოწვეულია შეუმოწმებელი (უკანონო) სისხლის გადასხმით.

გარდა მთლიანი სისხლისა, არსებობს სისხლის კომპონენტებით უკანონო ვაჭრობა. ეს იმაში გამოიხატება, რომ მოვაჭრე იძენს სისხლს დონორისაგან, ამზადებს ერიტროციტულ მასას და ყიდის მას მოგების მისაღებად.

1969 წლიდან ჰემატოლოგიისა და სისხლის გადასხმის ინსტიტუტის ბაზაზე საქართველოში შეიქმნა სისხლის კომპონენტებისა და სისხლის შემცვლელობის საკონტროლო ლაბორატორია.

1997 წლის საქართველოს ჯანმრთელობის სამინისტროს მიერ დამტკიცდა სისხლის კომპონენტების, პრეპარატების, სისხლის შემცვლელებისა და საკონსერვაციო სახსრების კონტროლის წესი.

დანაშაული გამოიხატება მასში, რომ დამნაშავე, ლაბორატორიული შემოწმების გარეშე, უკანონოდ ვაჭრობს სისხლით ან მისი კომპონენტებით, ე. ი. სისხლის გადასხმის სპეციალური სადგურის გვერდის ავლით და მისი მიზანია ანგარება, გამორჩენის მიღება.

ობიექტი დანაშაულისა არის ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა.

ობიექტური მხარე გამოიხატება ლაბორატორიულად შეუმოწმებელი სისხლით ან მისი კომპონენტებით უკანონო ვაჭრობაში სისხლის მომზადებისა და გადასხმის დაწესებულების გარეშე, რაც საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას.

სუბიექტური მხარე გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში.

---

1. საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის ბრძანება N 91/25. III. 99 წ.

განსახილველი მუხლი სრულიად ახალია სისხლის სამართლის კოდექსში. მისი დისპოზიცია ასეთი შინაარსისაა: ,,გენეტიკური მანიპულაცია, ესე იგი ადამიანის მსგავსი არსების შექმნა''.

სანამ მუხლის დისპოზიციის ირგვლივ და მის მნიშვნელობაზე ვისაუბრებდეთ, მანამ მოკლედ შევეხებით გენეტიკის ძირითად ცნებებსა და კანონებს და მისი განვითარების მნიშვნელობას თანამედროვე მედიცინის მიღწევებში.

გენეტიკა ბერძნული სიტყვაა, გაჩენას, წარმოშობას ნიშნავს. გენეტიკამ, როგორც მეცნიერებამ, ფართო განვითარებას მიაღწია მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან და მეოცე საუკუნის მთელ სივრცეში. იგი არის მეცნიერება ორგანიზმთა მემკვიდრეობითობისა და მისი ცვალებადობის კანონების შესახებ. მისი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, შეიმუშაოს მემკვიდრეობითობის მართვისა და მემკვიდრული ცვალებადობის მეთოდები იმ მიზნით, რომ მიღებული იქნეს ადამიანისათვის საჭირო ფორმები ან სასურველი მიმართულებით წარიმართოს მათი ინდივიდუალური განვითარება.

ისტორიულად გენეტიკა პრაქტიკის მოთხოვნილების საფუძველზე ვითარდებოდა. ორგანიზმთა მემკვიდრეობისა და ცვალებადობის თვისებებს ადამიანი უძველესი დროიდან იყენებდა, თუმცა მათი არსი არ იცოდა - იგი ცდილობდა, გაეუმჯობესებინა მცენარეთა და ცხოველთა ჯიშები.

თანამედროვე გენეტიკის მიხედვით, მემკვიდრეობა ყველა ორგანიზმის თვისებაა და უზრუნველყოფს მშობელთა ნიშანთვისებების შთამომავლობაში გადაცემას. ორგანიზმის მემკვიდრულ თავისებურებათა განმაპირობებელი ფაქტორები ძირითადად თავმოყრილია უჯრედის ბირთვის სტრუქტურებში – ქრომოსომებში. უჯრედში მიმდინარეობს ბიოქიმიური პროცესები, რომლებიც სიცოცხლის საფუძველს შეადგენენ.

დღევანდელი მედიცინა ძალმოსილია მოახდინოს ორგანიზმის გენური ცვლა იმ უჯრედებსა, ქრომოსომებსა და მჟავებზე გავლენით, რომელიც გენეტიკურ ჭაში არიან განლაგებული. გენების შეცვლას ანუ მუტაციას ხელს უწყობს გარემო პირობების შეცვლაც.

ცვლილება შეიძლება შეეხოს სასქესო უჯრედის ყველა გენს. ამ პროცესებს უაღრესად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება. გენეტიკის მეთოდები და კანონზომიერებები გამოიყენება სელექციაში — მცენარეთა, ცხოველთა და მიკროორგანიზმთა ახალი მაღალპროდუქტიული ფორმების შესაქმნელად. სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება მას ადამიანის მემკვიდრეობის კვლევაში, მემკვიდრულ დაავადებათა თავიდან აცილებასა და მკურნალობაში. განსაკუთრებით ეფექტური აღმოჩნდა გენეტიკის მიღწევების გამოყენება მიკროორგანიზმთა ისეთი ჯგუფების შესაქმნელად, რომელთაგანაც მიიღება მძლავრი სამკურნალო პრეპარატები.

ამასთანავე შესწავლილია ქცევის გენეტიკა, რომელიც გენეტიკურ კანონებზე დაყრდნობით სწავლობს ქცევის დამოკიდებულებას მემკვიდრულ ფაქტორებზე. საბოლოოდ მეცნიერებამ შესძლო გენეტიკური ანალიზის გაკეთება ჰიბრიდოლოგიური, ე. ი. შეჯვარებითი, ციტოგენეტიკური ე. ი. მემკვიდრულობის და სხვა მეთოდებით, მიიღო დიდი ცოდნა მემკვიდრულ სტრუქტურებში ჩაწერილი ინფორმაციების, ორგანიზმის შემადგენელ ნივთიერებათა (ცილებისა და ნუკლეინის მჟავების) აგებულებისა და ცვლის ხასიათის შესახებ და ა.შ.

გენეტიკურ კოდში, ნუკლეინის მჟავების მოლეკულებში მემკვიდრული ინფორმაციის დაშიფვრის სისტემამ მეცნიერებას საშუალება მისცა, შეეღწია გენეტიკური ფსიქოლოგიის დარგში, რაც შეისწავლის ადამიანის ფსიქიკის განვითარების კანონზომიერებას და შესაძლებლობას იძლევა, დადგინდეს შეგრძნების, აღქმის, აზროვნების, ნებელობის და ა.შ. წარმოშობისა და განვითარების კანონზომიერებანი. სწორედ ამ უკანასკნელმა, და საერთოდ გენეტიკური პრობლემების ესოდენ ღრმა გაანალიზებამ, განაპირობა ჩვენს კოდექსში განსახილველი მუხლის შეტანა. ამით კანონმდებელი ცდილობს, წინ გადაუდგეს და ბრძოლა გამოუცხადოს იმ დამნაშავეებს, რომლებიც შეეცდებიან, შექმნან გენეტიკურად და ფსიქოლოგიურად განსხვავებული ადამიანის მსგავსი ორგანიზმები, რათა არ მოხდეს ადამიანის ბუნებრივი სახის, მისი ფსიქიკის, აზროვნებისა და ნებელობის ბიოლოგიურ-ანატომიური უარყოფითი სახეცვლილება.

ობიექტი დანაშაულისა არის თანამედროვე ადამიანის ბუნებითი ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, აზროვნებითი, ნებელობითი სახე.

ობიექტური მხარე გამოიხატება ამ ბუნებრივ თვისებათა დამახინჯებაში.

სუბიექტური მხარე შეიძლება გამოიხატოს განზრახ ბრალში.

აქვე მინდა დავსძინო, რომ ამ მუხლის შემოღება შეიძლება ნაადრევადაც მოგვეჩვენოს, რადგან ამის საშიშროება საქართველოში ჯერჯერობით არ არსებობს. რაც შეეხება გენეტიკური კოდების შექმნას და ახალი უჯრედისა და ორგანიზმების მიღებას, იგი აუცილებლად საჭირო მოვლენებია და ის წინ აღუდგება მრავალი დაავადების გავრცელებას. ამასთანავე, ისიც მინდა აღვნიშნო, რომ მუხლის შინაარსიც არ არის აზრობრივად გამართული, რადგან გენეტიკური მანიპულაცია ყოველთვის არ ნიშნავს ადამიანის მსგავსი არსების შექმნას. ეს ოინი შესაძლებელია სხვა რამისაკენაც იყოს მიმართული, ამიტომ მუხლის რედაქცია უფრო მიგნებულ ჩამოყალიბებას საჭიროებს.

22-ე თავი

დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ.

(მოკლე მიმოხილვა)

მოქალაქის ხელშეუხებლობა თავისუფლების ნაწილია, რომელიც გულისხმობს მის ფიზიკურ, ქონებრივ და სოციალურ ხელშეუხებლობას.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის პირველი მუხლი აცხადებს: „ყოველი ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი თავისი ღირსებითა და უფლებებით...“

„ყოველ ადამიანს აქვს სიცოცხლის, თავისუფლების, პირადი ხელშეუხებლობის უფლება“ (იქვე, მუხლი 3).

„არავის მიმართ არ უნდა იქნეს გამოყენებული წამება ან სისასტიკე, არაადამიანური თუ მისი ღირსების დამამცირებელი მოპყრობა, სასჯელი“ (იქვე, მუხლი 5).

„საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს გარანტირებული

აქვთ პიროვნების ხელშეუხებლობა“ (საქართველოს კონსტიტუცია).

„საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს აქვთ პატივისა და ღირსების, პირადი თავისუფლების დაცვის უფლება“ (საქართველოს კონსტიტუცია).

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე თავი აწესებს პასუხისმგებლობას იმ დანაშაულთა წინააღმდეგ, რომლებიც ხელყოფენ პიროვნების სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის პრინციპებს, მკაცრ სასჯელს აწესებს იმ პირთა მიმართ, რომლებიც ეწევიან გარყვნილ ცხოვრებას, ან სქესობრივ ჟინს იკმაყოფილებენ გაუკუღმართებული ფორმით, ეწევიან მამათმავლობას და ა.შ.

თავში შემავალი თითოეული მუხლი განიხილება ცალ-ცალკე.

გაუპატიურება – მუხლი 137

გაუპატიურება ერთ-ერთი მძიმე დანაშაულია. დისპოზიციის შინაარსი ასეთია: „გაუპატიურება, ე. ი. სქესობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით“. ობიექტი დანაშაულისა არის ქალის სქესობრივი თავისუფლება და მოქალაქის ხელშეუხებლობა. ქალი, როგორც სრულუფლებიანი, თავისუფალი მოქალაქე, თავისი ნება-სურვილით წყვეტს სქესობრივი ურთიერთობის საკითხს.

გაუპატიურების დროს, გარდა ღირსებისა, დანაშაულის ობიექტი შეიძლება გახდეს ქალის სიცოცხლე ან ჯანმრთელობა.

გაუპატიურების ცნება ჭართულ სამრთალწარმოებაში ყოველთვის მოიცავდა მამაკაცისაგან ქალთან იძულებითი სქესობრივი კავშირის დაჭერის შინაარსს და ეს დღესაც ასეა.

სუბიექტური მხრივ ეს ძალადობა ყოველთვის აშკარა, განზრახი მოქმედებაა, ფორმები ძალადობისა – ფიზიკურ, ფსიქიკურ, ზემოქმედებაში გამოიხატება.

სასამართლო პრაქტიკა სქესობრივ კავშირს გულისხმობს არა მარტო ბუნებრივს, არამედ გაუკუღმართებულსაც.

გაუპატიურებად არ შეიძლება ჩაითვალოს მოქმედება, თუ

მამაკაცი ქალთან ნებაყოფლობით სქესობრივი კავშირის დამყარებას მიაღწევს ცოლად შერთვის ცრუ დაპირებით.

ფიზიკური ზემოქმედება — ე. ი. ძალადობა ნიშნავს მამაკაცისაგან ქალის წინააღმდეგობის დაძლევას. ქალის წინააღმდეგობა მოძალადის მიმართ ხშირად მამაკაცის სხეულზე მსუბუქი დაზიანებებით აღინიშნება.

ქალის სხეულის დაზიანება გაუპატიურების დროს კვალიფიცირდება შესაბამისი მუხლებით.

ფსიქიკური ზემოქმედება ქალზე გამოიხატება მის დაშინებაში მოკვლით, ცემით, ან თვით დაზარალებულის ან მისი ახლობლის მიმართ. ამასთანავე საგულისხმოა ისიც, რომ მუქარა უნდა იყოს რეალური. საკითხი, ესა თუ ის მუქარა რამდენად რეალური იყო და რაოდენ შეძლებდა ქალის ნებისყოფის გატეხას, უნდა გადაწყვიტოს სასამართლომ ყოველი კონკრეტული შემთხვევის პირობების გათვალისწინებით.

უმწეო მდგომარეობა ნიშნავს ქალის გონგამოცლილობას ან ფიზიკური ძალის უკმარისობას, გაერკვეს მის ირგვლივ შექმნილ ვითარებაში და გაუწიოს მოძალადეს შესაფერისი წინააღმდეგობა. ასეთი უმწეო მდგომარეობის შექმნას იწვევს ქალის მცირეწლოვანობა, ფიზიკური ნაკლი, სულიერი მოშლილობა, ავადმყოფობა დიდი ტემპერატურით, ალკოჰოლური სასმელის ან ნარკოტიკული საშუალებებით გაბრუება და ა.შ.

კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არ აქვს, დამნაშავემ დაზარალებული თვითონ ჩააგდო ასეთ მდგომარეობაში თუ შემთხვევით წააწყდა ასეთს.

გაუპატიურება დამთავრებულად ითვლება სქესობრივი აქტის დასაწყისშივე. აქტის დამთავრებას კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არ აქვს.

გაუპატიურების მცდელობად ითვლება ფიზიკური ძალის გამოყენება ან ასეთის მუქარა დაზარალებულთან სქესობრივი კავშირის დამყარების მიზნით —მისი სურვილის საწინააღმდეგოდ. მაგალითად, დაზარალებულისათვის ტანსაცმელის გახდა იძულებით, გარტყმა, ცემა და ა.შ.

ძალადობის ან უმწეო მდგომარეობაში ჩაგდების დანაშაულებრივი საქმიანობა თუკი შეწყვეტილი იქნება გარეშე ძალის ჩარევით, დამნაშავის მოქმედება დაკვალიფიცირდება გაუპატიურების

მცდელობად, ხოლო, თუკი დამნაშავე დამოუკიდებლად აიღებს ხელს დანაშაულზე, მაშინ მას პასუხისმგებლობა არ დაეკისრება დანაშაულის მცდელობისათვის.

სუბიექტური მხარე დანაშაულისა გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში. დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ ის ქალთან მისი სურვილის გარეშე, ძალადობის გამოყენებით ამყარებს სქესობრივ კავშირს და სურს ასეთი. ასევე შეგნებული აქვს, რომ მისმა ძალადობამ ან რომელიმე სხვა ძალადურმა ხერხმა გასტეხა ქალის წინააღმდეგობის გაწევის უნარი.

მოტივი ამ დანაშაულისა, ხშირ შემთხვევაში, არის სქესობრივი ჟინი დაზარალებულის მიმართ, ზოგიერთ შემთხვევაში ისიც, რომ ამ აქტით მამაკაცი ცდილობს, იძულებული გაჰხადოს ქალი, გაჰყვეს მას ცოლად, ზოგიერთ შემთხვევაში – შური, ან იმისი სურვილიც, რომ სახელი გაუტეხოს ქალს.

ობიექტი დანაშაულისა არის მოქალაქის სქესობრივი თავისუფლება და ხელშეუხებლობა.

ობიექტური მხრივ დანაშაული ამ უფლებათა დარღვევაში გამოიხატება ქალის გაუპატიურების სახით.

მოქმედება დაკვალიფიცირდება განსახილველი მუხლის მეორე ნაწილით, თუ გაუპატიურება ჩადენილია:

ა) არაერთგზის;

ბ) იმის მიერ, ვისაც ადრე ჩადენილი ჰქონდა ამ კოდექსის 138 – 141-ე მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული.

მუხლის მესამე ნაწილი პასუხისმგებლობას აწესებს მაშინ, თუ გაუპატიურება ჩადენილია:

ა) ჯგუფურად;

ბ) დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალისა ან არასრულწლოვანისა;

გ) განსაკუთრებული სისასტიკით დაზარალებულის ან სხვა პირის მიმართ;

დ) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით;

ე) რამაც გაუფრთხილებლობით გამოიწვია დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა;

ვ) რამაც გაუფრთხილებლობით გამოიწვია დაზარალებულისათვის შიდსის შეყრა, მისი ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება ან სხვა მძიმე შედეგი.

განსაკუთრებულ სისასტიკეში, რომლის შინაარსსაც „გ“ პუნქტის დისპოზიცია მოიცავს, იგულისხმება დაზარალებულის წინააღმდეგობის უხეში დათრგუნვა, სადისტური გამოვლინებანი სხეულზე ტკივილის მიყენებით ან იმ პირის მიმართ ასეთივე მოქმედება, რომელიც წინ აღუდგა დამნაშავეს.

„ე“ პუნქტი გულისხმობს სიცოცხლის მოსპობას უეცარი სისხლის დენით, ანთებითი პროცესების განვითარებით, ფსიქოდაავადებით და ა.შ. დანარჩენი პუნქტების ირგვლივ წინა თავებში ვისაუბრეთ.

წინასწარი შეცნობით არასრულწლოვანის გაუპატიურებაში კანონმდებელი გულისხმობს, რომ დამნაშავე დარწმუნებული იყო, იცოდა, რომ პირს, რომელსაც აუპატიურებდა, არ ჰქონდა შესრულებული 14 წელი.

სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით გაუპატიურებაში იგულისხმება იძულებით სქესობრივი კავშირის დაჭერა სამსახურებრივი მდგომარეობის გავლენით, მაგალითად, დირექტორის მიერ ზემოქმედება ხელქვეით ქალზე სამსახურიდან მოხსნის მუქარით, ხელფასის შემცირებით და ა.შ.

მუხლის მეოთხე ნაწილი პასუხისმგებლობას აწესებს იმის მიმართ, ვინც გააუპატიურა 14 წლის ასაკს მიუღწეველი ქალი. ამ მუხლით კვალიფიკაცია მოითხოვს იმის დადგენას, დამნაშავემ უდავოდ იცოდა თუ არა დაზარალებულის ასაკი – რომ მას არ ჰქონდა შესრულებული 14 წელი.

სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედება – მუხლი 138

განსახილველი მუხლი ორი ნაწილისგან შედგება. პირველის დისპოზიცია ასეთია: „მამათმავლობა, ლესბიანობა, ან სხვაგვარი სექსუალური კონტაქტი გაუკუღმართებული ფორმით, ჩადენილი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით“.

მამათმავლობა არის მამაკაცისაგან მამაკაცთან სქესობრივი კავშირის დამყარება. სამედიცინო ენაზე მას ჰომოსექსუალიზმი ეწოდება. ეს ტერმინი ბერძნულისა და ლათინურის შენაერთია

(ბერძნულად ჰომოს და ლათინურად – სექსუალის) და ნიშნავს არაბუნებრივ ლტოლვას თავისივე სქესის მქონე პირისადმი.

საქართველოში მამათმავლობა ოდითგანვე ითვლებოდა დანაშაულად. უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში იგი, თუკი ის მხარეთა შეთანხმებით ხდება, არ ითვლება დანაშაულად.

ცნება ლესბიანობა წარმოშობილია ძველი საბერძნეთის კუნძულის ლესბოსის სახელის მიხედვით. ლესბოსური სიყვარული – ქალის არაბუნებრივი სქესობრივი ლტოლვა ქალისადმი, იგივე გაუკუღმართებული სქესობრივი კავშირია ქალთან, ბუნებრივი ადგილებისა და მოვლენების გვერდის ავლით, გამოხატული სხვადასხვა ფორმით. ასეთი სექსუალური სიახლოვის დროს დამნაშავე გვერდს უვლის ბუნებრივს და სქესობრივ ჟინს იკმაყოფილებს ქალის სხეულის სხვადასხვა ადგილის გამოყენებით.

ამ კონტაქტს დამნაშავე დაზარალებულთან ამყარებს ფიზიკური ძალადობით ან სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის მუქარით ან სარგებლობს დაზარალებულის უმწეობით.

მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას აწესებს იგივე მოქმედებისათვის, როდესაც ის ჩადენილია: ა) არაერთგზის; ბ) იმის მიერ, ვისაც ადრე ჩადენილი ჰქონდა ამ კოდექსის 137-ე, 139-ე, 140-ე და 141-ე მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული; გ) დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის ან არასრულწლოვანის მიმართ.

მუხლის მესამე ნაწილი პასუხისმგებლობას აწესებს სექსუალური ხასიათის ძალმომრეობისათვის:

ა) ჯგუფურად;

ბ) რამაც გამოიწვია დაზარალებულის სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობა;

გ) განსაკუთრებული სისასტიკით;

დ) რამაც გაუფრთხილებლობით გამოიწვია დაზარალებულისათვის შიდსის შეყრა, მისი ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, ან სხვა მძიმე შედეგი;

ე) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით.

ობიექტი დანაშაულისა არის ადამიანის სქესობრივი თავისუფლება და ხელშეუხებლობა.

ობიექტური მხარე გამოიხატება სექსუალური ხასიათის ძალმომრეობაში.

სუბიექტური მხარე განზრახი ბრალია.

მუხლი ერთი ნაწილისაგან შედგება. კანონის დისპოზიცია ასეთი შინაარსისაა: „სქესობრივი კავშირის, მამათმავლობის, ლესბიანობის ან სხვაგვარი სექსუალური კონტაქტის იძულება სახელგამტეხი ცნობის გახმაურების ან ქონებრივი დაზიანების მუქარით, ანდა მატერიალური, სამსახურებრივი ან სხვაგვარი დამოკიდებულების გამოყენებით“.

ამ დისპოზიციის მიხედვით, დამნაშავე სექსუალური ხასიათის კავშირის დამყარებას აღწევს დაზარალებულის დაშინებით იმის თაობაზე, რომ გაახმაურებს მისი სახელისა და ღირსების გამტეხ ცნობებს, რომელიც სინამდვილეს უნდა შეეფერებოდეს, რის გამოც დაზარალებული იძულებით ეთანხმება დამნაშავის შემოთავაზებულ წინადადებას სექსუალური ურთიერთობის დამყარების თაობაზე.

ქონებრივი ზარალის მუქარაში კანონმდებელი გულისხმობს ისეთ მოქმედებას, როდესაც დამნაშავე აშინებს, ვთქვათ, ავტომანქანის წართმევით, მის სახელზე აშენებული ბინის გადაუფორმებლობით და ა.შ.

„ან მატერიალური, სამსახურებრივი ან სხვაგვარი დამოკიდებულების გამოყენებით“ – აქ კანონმდებელი გულისხმობს იმას, რომ დაზარალებული მატერიალურად დამოკიდებულია დამნაშავეზე და ეს უკანასკნელი აშინებს მას იმით, რომ შეუწყვეტს მატერიალურ უზრუნველყოფას; სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებაში, როგორც ზემოთაც ვთქვით, ნაგულისხმევია დამოკიდებულება ხელმძღვანელ მუშაკსა და ხელქვეითს შორის, როდესაც დაზარალებულს ემუქრება დამნაშავე სამსახურებრივი გავლენით (მოხსნით, დაქვეითებით, ხელფასის შემცირებით), თუ არ დაამყარებს მასთან სასურველ სქესობრივ კონტაქტს.

„ან სხვაგვარი დამოკიდებულების გამოყენებაში“ კანონმდებელი გულისხმობს ბრალდებულისა და დაზარალებულის ისეთ ურთიერთობას, როდესაც დამნაშავე ამ ურთიერთობის გავლენით ცდილობს, დათრგუნოს დაზარალებულის წინააღმდეგობა (ოსტატისა და შეგირდის, მასწავლებლისა და მოსწავლის, ლექტორისა და სტუდენტის დამოკიდებულება და ა.შ.).

დანაშაულის ობიექტი სქესობრივი თავისუფლება და ხელშეუხებლობაა.

ობიექტური მხარე სქესობრივი კავშირის ან სექსუალური ხასიათის მოქმედების იძულებაა.

სუბიექტური მხარეა პირდაპირი განზრახვა.

სექსუალური კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება 16 წლის ასაკს მიუღწეველთან – მუხლი 140

მუხლი ერთი ნაწილისაგან შედგება. მისი შინაარსი ასეთია: „სრულწლოვანის სქესობრივი კავშირი, მამათმავლობა, ლესბიანობა ან სხვაგვარი სექსუალური კონტაქტი გაუკუღმართებული ფორმით დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით 16 წლის ასაკს მიუღწეველთან".

მამათმავლობა, სქესობრივი კავშირი, ლესბიანობა ან სხვაგვარი სექსუალური კონტაქტი გაუკუღმართებული ფორმით განმარტებულია 138-ე მუხლის განხილვის დროს და აქ აღარ გავიმეორებთ.

კანონმდებელმა სათანადო ასაკს მიუღწეველ პირთან გაუკუღმართებული სქესობრივი კავშირი დანაშაულად ჩათვალა იმდენად, რამდენადაც ამ ასაკის მქონე პირს ბიოლოგიურად თუ ფიზიოლოგიურად არ მიუღწევია სქესობრივი ურთიერთობის იმ ზღვრისათვის, როდესაც ქალის თუ მამაკაცის სქესობრივი ორგანოების ჰორმონალური ფუნქციონირება დასრულებულია, აქვს უნარი შეასრულოს თავისი ფუნქცია და არ განიცადოს ნაადრეობის გამო პათოლოგიური ცვლილებები. მით უმეტეს, როდესაც ეს მოქმედება არაბუნებრივად ხდება და რყვნის ახალგაზრდას.

სქესობრივად მოუმწიფებელ პირთან სქესობრივი კავშირის დამყარება, თუნდაც ორმხრივი თანხმობის შედეგად, სავსებით იძლევა პასუხისმგებლობის საფუძველს, რადგან კანონმდებელი, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას არასრულწლოვანთან სქესობრივი კავშირისათვის, დანაშაულებრივ საზომად მიიჩნევს მხოლოდ პირის კანონიერ ასაკამდე მიუღწევლობას და გაუკუღმართებულ სქესობრივ კავშირს.

მიღწეული აქვს თუ არა პირს სქესობრივ სიმწიფემდე, საჭიროების შემთხვევაში განისაზღვრება ექიმ ექსპერტის მიერ.

სქესობრივი სიმწიფე დაკავშირებულია ორგანიზმის განსაზღვრულ ფიზიოლოგიურ მდგომარეობასთან, რომელიც ხასიათდება სქესობრივი ფუნქციის შესრულების უნარით.

16 წლამდე ასაკის ორივე სქესის ახალგაზრდა სქესობრივად მოუმწიფებლად მიიჩნევა.

დანაშაული დამთავრებულად ითვლება სქესობრივი ურთიერთობის დაწყებიდანვე.

სუბიექტური მხრივ, დანაშაული გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში. დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ იგი სქესობრივ კავშირს ამყარებს პირთან, რომელსაც არ მიუღწევია სქესობრივი სიმწიფის ასაკისათვის და სურს სწორედ ამ პირთან სქესობრივი კავშირი.

დანაშაულის ობიექტი არის სქესობრივი თავისუფლების ხელშეუხებლობა.

ობიექტური მხარე გამოიხატება მამათმავლობასა, ლესბიანობასა ან სხვაგვარი სექსუალური კონტაქტის გაუკუღმართებელი ფორმით დამყარებაში 16 წელს მიუღწეველ პირთან.

გაუკუღმართებული ფორმის რაობაზე ჩვენ ვილაპარაკეთ 137-ე მუხლის განხილვის დროს.

განყენილი ქმედება – მუხლი 141

მუხლის დისპოზიცია ასეთია: „ძალადობის გარეშე გარყვნილი ქმედება დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველთან.“

გარყვნილი ქმედება ისეთი ფიზიკური და ინტელექტუალური მოქმედებაა არასრულწლოვანი გოგონების ან ვაჟების მიმართ, რომლითაც დამნაშავე იკმაყოფილებს არაბუნებრივ სქესობრივ სურვილებს. იგი გამოიხატება როგორც ფიზიკურ, ასევე ინტელექტუალურ მოქმედებაში. დამნაშავე ფიზიკურად გარყვნილ მოქმედებას გამოხატავს თავისი სასქესო ორგანოს დაზარალებულისათვის ჩვენებით, მისი სხეულის სხვადასხვა ადგილზე შეხებით, ხახუნით, ან პირიქით, ასევე უცენზურო, გამაღიზიანებელი სიტყვების ხმარებით, პორნოგრაფიული სურათების ან ვიდეოფირების ჩვენებით და ა.შ.

დანაშაულებრივი ხასიათი ამ მოქმედებისა მდგომარეობს

მასში, რომ იგი აზიანებს არასრულწლოვანის გონებისა და სქესობრივი განვითარების ნორმალურ მსვლელობას.

სუბიექტური მხარე მდგომარეობს პირდაპირ განზრახვაში, როდესაც სუბიექტს შეგნებული აქვს, რომ დაზარალებული არ არის ჯერ 16 წლის ასაკისა.

მოტივი დანაშაულისა არის დამნაშავის სურვილი, დაიკმაყოფილოს გარყვნილი ლტოლვა 16 წელს მიუღწეველ პირთან სექსუალური მოქმედებით.

23-ე თავი

დანაშაული ადამიანის უფლებისა და თავისუფლების წინააღმდეგ

(ზოგადი მოხსენება)

ადამიანთა საზოგადოებრივი განვითარების პროცესები მიმდინარეობს ობიექტური კანონზომიერების საფუძველზე. კაცობრიობამ ცხოვრების დიდი გზა განვლო. იგი განვითარების ერთი ფორმაციიდან თანდათანობით გადავიდა მეორეზე, უფრო ახალსა და პროგრესულზე, ამასთან, გულდასმით სწავლობდა ცალკეული პროცესის კონკრეტულ შინაარსს, მის დამახასიათებელ ნიშნებს, აკვირდებოდა, როგორ ვლინდებოდნენ და მოქმედებდნენ ისინი კონკრეტულ გარემოებებში, როგორ უთავსებდნენ ადამიანები მათ არსებობას პრაქტიკულ ცხოვრებას და ა.შ.

ადამიანთა უფლებებისა და თავისუფლების დაცვა ყველაზე უფრო ჰირველულად და მოგვიანებით დაადგა განვითარების გზას და ახლა, მეოცე საუკუნის ბოლოს, თანდათან მიიწევს აღმავლობისაკენ.

შეიქმნა საკაცობრიო მასშტაბების საზოგადოებანი, რომლებიც თვალყურს ადევნებენ ამ საქმეს, შეიმუშავებენ ოფიციალურ რეკომენდაციებს, ქმნიან მიმართულებებს, აძლევენ ადამიანს კანონიერი უფლებებისა და თავისუფლების მოპოვების შესაძლებლობას. ჩვენი პლანეტის მრავალი ქვეყანა, ადამიანთა კონსტიტუციური თავისუფლების დაცვისა და განვითარების ფართო გზაზეა და უახლოვდება მსოფლიო ცივილიზაციის სტანდარტებს.

ცალკეული ქვეყნები კონსტიტუციებში დიდ ადგილს უთმობენ არა მარტო თავიანთი მოქალაქეების უფლებებისა და თავისუფლებების, არამედ იმისი უფლებების დაცვასაც, ვინც არ არის მათი ქვეყნის მოქალაქე, ან არის მოქალაქეობის არმქონე.

კაცობრიობა მკვეთრად დარწმუნდა, რომ ადამიანის უფლებათა უგულებელყოფამ და „აბუჩად აგდებამ გამოიწვია ბარბაროსული აქტები, რაც აღაშფოთებს კაცობრიობის სინდისს.“

„ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი თავისი ღირსებითა და უფლებებით“.

„არავის დაპატიმრება, დაჭერა ან გაძევება არ შეიძლება თვითნებურად“.[1]

საქართველოს კონსტიტუციაში სპეციალური თავია მიძღვნილი საქართველოს მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლების საკითხებისადმი.

სისხლის სამართლის კოდექსის განსახილველი თავი პირდაპირი და უტყუარი დაცვის იარაღია მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებისა.

ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა – მუხლი 142

განსახილველი მუხლი თავისი შინაარსით იდენტურია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის იმ მუხლისა, სადაც ნათქვამია:

ამ დეკლარაციით გამოცხადებული ყველა უფლება, ყველა თავისუფლება მინიჭებული უნდა ჰქონდეს ყოველ ადამიანს, განურჩევლად რაიმე განსხვავებისა, სახელდობრ: „რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა რწმენის, ეროვნული თუ სოციალური წარმომავლობის, ქონებრივი, წოდებრივი თუ სხვა მდგომარეობისა“.[2]

„ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია“.[3]

1. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, თბ., 1992, გვ. 5, 6, 8.
2. იქვე, მ. 2
3. საქ. კონსტიტუცია, თბ., 1995, მ. 14

მუხლი 142 ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილის დისპოზიციის შინაარსი ასეთია:

„ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა მათი რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, აღმსარებლობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, ეროვნული, ეთნიკური, სოციალური, რომელიმე წოდებისადმი თუ საზოგადოებრივი გაერთიანებისადმი კუთვნილების, წარმოშობის, საცხოვრებელი ადგილის ან ქონებრივი მდგომარეობის გამო, რამაც არსებითად ხელყო ადამიანის უფლება“.

როგორც ვხედავთ, სისხლის სამართლის კანონი მკაფიოდ იცავს ყოველი ადამიანის თანასწორუფლებიანობას, მიუხედავად მასში ჩამოთვლილი განსხვავებებისა. საქართველოს კონსტიტუცია და სისხლის სამართლის კანონი ხელმძღვანელობს იმით, რომ ადამიანები ერთნაირნი არიან ადამიანობის განმსაზღვრელი მაღალღვთიური თვისებებით და სრულიად არ აქვს მნიშვნელობა, რომელი რასის, ეროვნების წარმომადგენელნი იქნებიან ისინი, რომელ ენაზე საუბრობენ, როგორი პოლიტიკური და რელიგიური მრწამსი გააჩნიათ და ა.შ.

სისხლის სამართლის კანონის მიზანი ის არის, რომ არ მისცეს დამნაშავეს საშუალება, კანონში ჩამოთვლილი განსხვავების გამო შეზღუდოს ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დეკლარაციული და საკონსტიტუციო პრინციპები.

პირის დანაშაულებრივი ქმედება იმაში მდგომარეობს, რომ ცრუ და მიუღებელი, აკვიატებული შეხედულებების გამო, სხვა რელიგიისა და აღმსარებლობის მქონე ადამიანი ეშმაკეული და უწმინდური ჰგონია, არ მიირთმევს მის მიერ დამზადებულ კერძს, ან არ შეიყვარებს მას, არ გატარდება საქორწინო რეგისტრაციაში და ა.შ. უფრო მეტიც, ძულს ის, აშკარა მტრობას ამჟღავნებს და შეეცდება დათრგუნოს, რადგან განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებები აქვს და მის ქვეყანაში სხვა ენაზე საუბრობს, დაცინვით უცქერის, ზიზღს გამოხატავს მისი ეროვნული ტანსაცმელის ან დღესასწაულის მიმართ და ა.შ.

დანაშაული შეიძლება გამოვლინდეს მრავალი სახის ქმედებაში. მაგალითად: იმის გამო, რომ მოქალაქე მაჰმადიანია, მაღაზიის მეპატრონემ მაღაზიაში არ შეუშვა და არ მიჰყიდა პროდუქტი, იმის გამო, რომ მოქალაქე აფხაზი აღმოჩნდა, ტაქსის მძღოლმა ჩამოაგ-

დო ავტომანქანიდან, იმის გამო, რომ მოქალაქე სხვა ეროვნების წარმომადგენელია, არ მისცა საარჩევნო ყუთთან მისვლისა და თავისი პოლიტიკური უფლების გამოხატვის შესაძლებლობა და ა.შ.

დანაშაული დამთავრებულად ითვლება უფლებების დარღვევისთანავე.

კვალიფიკაციის განსაზღვრის დროს ყურადღება აუცილებლად უნდა მიექცეს მოტივს. თუ კონსტიტუციური უფლებების დარღვევა არ მომხდარა სისხლის სამართლის კანონში ჩამოთვლილი მოტივების ნიადაგზე და პირმა სხვა ეროვნების წარმომადგენელს სრულიად სხვა მიზეზით არ მისცა თავისი კანონიერი წადილის განხორციელების უფლება, მაშინ მოქმედება 141-ე მუხლით არ დაკვალიფიცირდება.

სუბიექტური მხრივ დანაშაული ხორციელდება პირდაპირი განზრახვით — დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ ის თავისი მოქმედებით ხელყოფს ადამიანის კონსტიტუტუციურ უფლებას და კანონიერ ინტერესს განსხვავებული რწმენის, ენის, აღმსარებლობის და სხვათა გამო, მაგრამ განგებ ჩადის ამას და სურს ასეთი შედეგი.

მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას აწესებს იმ დამნაშავის მიმართ, რომელმაც პირველ ნაწილში ჩამოთვლილი დანაშაულებრივი საქციელი ჩაიდინა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ანდა რასაც მძიმე შედეგი მოჰყვა. მუხლის ამ ნაწილში გამოკვეთილია ორი შემადგენლობა.

1) დანაშაულის განხორციელება სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით;

2) დანაშაულებრივი მოქმედების მძიმე შედეგი.

პირველი გამოიხატება მასში, რომ დამნაშავე თანასწორუფლებიანობის პრინციპებს არღვევს სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით. მაგალითად, ელჭელების სამსახურის უფროსმა არ მისცა ელექტროენერგია განსხვავებული ეროვნებით დასახლებულ უბანს, როცა მათ მნიშვნელოვანი ეროვნული დღესასწაული ჰქონდათ.

პოლიციის უფროსის ბრძანებით გადაიკეტა სალოცავში მისასვლელი გზა, სადაც განსხვავებული რწმენისა და აღმსარებლობის ადამიანები გროვდებოდნენ რელიგიური ლოცვების აღსავლენად.

ინსტიტუტის რექტორმა გამოცდებზე არ დაუშვა არცერთი შავკანიანი განსხვავებული კანის ფერისა და პოლიტიკური შეხედულების გამო და ა.შ.

თანამდებობის პირთა დანაშაულებრივი ქმედება შეიძლება გამოიხატოს განსხვავებული ეროვნების ან რელიგიური მრწამსის ადამიანთა სამსახურიდან დათხოვნით, ღირსეულ დაწინაურებაზე უარის თქმით, საშტატო ერთეულის განზრახ შემცირებით და ა. შ.

მძიმე შედეგი შეიძლება გამოიხატოს ეროვნებათა შორის შეტაკებით, თვითმკვლელობით და ა. შ.

ობიექტი დანაშაულისა არის მოქალაქის კონსტიტუციური უფლებები.

ობიექტური მხარე გამოიხატება ამ უფლებათა დარღვევაში.

თავისუფლების უკანონო აღკვეთა – მუხლი 143

განსახილველი მუხლი 3 ნაწილისგან შედგება. პირველი ზოგადი ხასიათისა არის – „თავისუფლების უკანონო აღკვეთა".

უშუალო ობიექტი დანაშაულისა არის ადამიანის პირადი თავისუფლება. ზოგიერთ შემთხვევაში, დამატებითი ობიექტის სახით სიცოცხლე და ჯანმრთელობაც წარმოგვიდგება ხოლმე.

დაზარალებული ამ დანაშაულით შეიძლება იყოს ნებისმიერი მოქალაქე.

ობიექტური მხარე გამოიხატება ადამიანის თავისუფლების აღკვეთაში, ე. ი. დროსა და სივრცეში გადაადგილების, პირადი კონტაქტების დამყარების, თავისი ყოფნის ადგილის შერჩევის და სხვათა აღკვეთაში. მაგალითად, პიროვნების დამწყვდევა შენობაში, სადაც იგი მოწყვეტილია ზემოთ ჩამოთვლილ და სხვა სასურველ ურთიერთობებს.

ამ დანაშაულის ჩადენის საშუალებებია ფიზიკური ან ფსიქიკური ძალადობა, ან ორივე ერთდროულად. ფსიქიკური ზემოქმედება ხორციელდება პიროვნების ან ახლობლების მიმართ ფიზიკური ძალის გამოყენების მუქარით, რათა დაშინებით მაქსიმალურად შეიზღუდოს ან სრულიად გაქრეს დაზარალებულის წინააღმდეგობის უნარი.

თვით პიროვნების თხოვნა და თანხმობა გარკვეული დროით თავისუფლების აღკვეთის თაობაზე გამორიცხავს დანაშაულის შემადგენლობას. თავისუფლების უკანონო აღკვეთაა დამნაშავის ყოველი მოქმედება, როდესაც იგი ზღუდავს პიროვნების ნებას დაზარა-

ლებულის სურვილის საწინააღმდეგოდ. რუსულ ლიტერატურაში ისიც კია აღნიშნული, რომ გზააბნეული მოქალაქის დაკავებაც კი, მისი ნების საწინააღმდეგოდ, უკანონო აღკვეთაა თავისუფლებისა.

პიროვნების თავისუფლების აღკვეთა აუცილებელი თავდაცვის, უკიდურესი აუცილებლობის, დანაშაულში ეჭვმიტანილობისას არ განიხილება დანაშაულად.

სუბიექტური მხარე ამ დანაშაულისა განიხილება როგორც პირდაპირი განზრახვა. დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ იგი პიროვნებას აკავებს დაზარალებულის ნების წინააღმდეგ და სურს ასეთი. მოტივი დანაშაულისა შეიძლება იყოს ეჭვიანობა, სიძულვილი, დაცინვა, ხულიგნური საქციელი და ა.შ.

თანამდებობის პირისაგან სამსახურის გავლენით პიროვნების თავისუფლების აღკვეთა არ მოიცავს ამ დანაშაულის ნიშნებს.

კვალიფიციური სახე ამ დანაშაულისა გვაქვს მაშინ, თუ თავისუფლების უკანონო აღკვეთა ჩადენილია დამნაშავეთა მიერ:

ა) ჯგუფურად;

ბ) არაერთგზის;

გ) ორი ან მეტი პირის მიმართ;

დ) დაზარალებულის საზღვარგარეთ გაყვანით;

კანონი არ აღნიშნავს თავისუფლებააღკვეთილის საზღვარგარეთ გაყვანის მიზეზს. ამდენად, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამას კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არ აქვს;

ე) წინასწარი შეცნობით ორსული ქალის ან უმწეო მდგომარეობაში მყოფის მიმართ;

ვ) უცხოეთის დიპლომატიური ან ოფიციალური წარმომოადგენლის ან საერთაშორისო სამართლის დაცვის ქვეშ მყოფის მიმართ; აქ კანონმდებელი გულისხმობს ელჩებს და სხვა მუშაკებს. ოფიციალურ წარმომადგენლებში იგულისხმება სახელმწიფოს მეთაური, პარლამენტის თავმჯდომარე და სხვები. საერთაშორისო სამართლის დაცვის ქვეშ – წითელი ჯვრის საზოგადოების წარმომადგენლები, გემები ღია ზღვაში, ხომალდები კოსმოსში და ა.შ;

ზ) სხვა დანაშაულის დაფარვის ან მისი ჩადენის გაადვილების მიზნით;

თ) სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ან ასეთი ძალადობის მუქარით.

მუხლის მესამე ნაწილი პასუხისმგებლობას აწესებს მაშინ,

თუ ამ მუხლის პირველი ან მეორე ნაწილის რომელიმე პუნქტით გათვალისწინებული ქმედება ჩადენილია ორგანიზებული ჯგუფის მიერ ან ამან გაუფრთხილებლობით გამოიწვია დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა თუ სხვა მძიმე შედეგი. სხვა მძიმე შედეგში შეიძლება ვიგულისხმოთ სახელმწიფოთა შორის საერთაშორისო ურთიერთობის გამწვავება და სხვა.

დანაშაულის ობიექტი არის ადამიანის უფლებები და თავისუფლება.

ობიექტური მხარე ამ უფლებებისა და თავისუფლების უკანონოდ დაკავებაში გამოიხატება. სუბიექტი დანაშაულისა შეიძლება იყოს ნებისმიერი მოქალაქე. სუბიექტური მხარე განზრახი ბრალით ხასიათდება.

მძევლად ხელში ჩაგდება – მუხლი 144

მძევლად ხელში ჩაგდება ერთ-ერთი მძიმე დანაშაულია. ის მიმართულია საზოგადოებრივი უშიშროების, სიცოცხლის, ჯანმრთელობის, პირადი თავისუფლების და ადამიანის ხელშეუხებლობის წინააღმდეგ. მძევლად ხელში ჩაგდებამ, როგორც მრავალმხრივი ვნების მომტანმა დანაშაულმა, ქვეყანას შეიძლება მიაყენოს როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური ზიანი. ბრძოლა მძევლად ხელში ჩაგდების წინააღმდეგ ფართო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე საზრუნავია. კანონმდებელმა მუხლი სამ ნაწილად ჩამოაყალიბა. პირველი ნაწილის დისპოზიცია ასეთი შინაარსისაა:

„მძევლად ხელში ჩაგდება იმ მიზნით, რომ მძევლის გათავისუფლების პირობით აიძულონ ორგანიზაცია ან პირი შეასრულოს ან არ შეასრულოს ესა თუ ის მოქმედება.“

ამ დანაშაულის დაგმობამ მსოფლიო საზოგადოების ყურადღება მიიპყრო და მკვეთრი გამოხატულებაც ჰპოვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დოკუმენტებში.

მძევლად ხელში ჩაგდება დამნაშავისაგან ხორციელდება პირის ფიზიკური თავისუფლების მკვეთრი შეზღუდვით. მძევალი მოკლებულია ყოველივეს, გარდა იმ ბიოლოგიური მოთხოვნების დაკმაყოფილებისა, რომელიც განაპირობებს ორგანიზმის ფუნქციონირებას. თავისუფლების შემდგომი დაბრუნება დამოკიდებულია

დამნაშავის მოთხოვნის შესრულებაზე, რომელსაც ის უყენებს სახელმწიფოს, ორგანიზაციას, ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს.

მძევლად ხელში ჩაგდება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც საიდუმლოდ, ასევე აშკარად, ფიზიკური ძალის გამოყენებით ან უამისოდ, სიცოცხლისათვის საშიში ხერხებით ან უამისოდ და ა.შ.

აფხაზეთში კონფლიქტის დროს, აფხაზურმა მხარემ ქართველი თანამდებობის პირები მოსალაპარაკებლად მიიწვია და მძევლად აიყვანა ჩვეულებრივი საყოფაცხოვრებო პირობების შექმნით.

ადგილი ჰქონდა ისეთ ფაქტებსაც, როდესაც ცეცხლსასროლი იარაღისა და ფიზიკური ძალის გამოყენებით ქართული მხარის წარმომადგენლები ფიზიკურად შებოჭეს და მძევლად აიყვანეს.

სიცოცხლისათვის საშიში ხერხებით მძევლად აყვანა ხდება, როდესაც დამნაშავე სცემს და ამით წინააღმდეგობის გაწევის საშუალებას უსპობს მძევალს.

დამნაშავისაგან მძევლად ხელში ჩაგდებულის გათავისუფლების სანაცვლოდ წამოყენებული მოთხოვნა ფიზიკური ან იურიდიული პირის ან სახელმწიფოს მიმართ შეიძლება სხვადასხვა ხასიათის იყოს (პოლიტიკური, ეკონომიკური, გაცვლითი და ა. შ.). მოთხოვნის სიმძიმეს თუ სიმსუბუქეს კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არ აქვს.

მძევლად ხელში ჩაგდებული სუბიექტი შეიძლება იყოს სახელმწიფო ან საზოგადო მოღვაწე, შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილი ხელმძღვანელი, რომლის საქმიანობასაც სერიოზული მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოსათვის, აგერთვე რიგითი მოქალაქე ან მოქალაქეთა ჯგუფი, სამხედრო პირები და ა.შ. ამ მომენტს კვალიფიკაციაზე გავლენა არ აქვს.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ დამნაშავე ხშირად სახელმწიფოს წაუყენებს სხვადასხვა მოთხოვნებს. მაგალითად, დათმოს ქვეყანამ რაიმე ტერიტორია, პოლიტიკური პოზიცია, გაათავისუფლოს მძიმე დანაშაულისათვის დაპატიმრებული პირი, გადაიხადოს დიდი ოდენობის თანხა, ან სხვა მატერიალური სიმდიდრე, გასცეს ტრანსპორტი, იარაღი, ფეთქებადი მასალები, აღუთქვას, რომ მოხდება შეხვედრა მასობრივი ინფორმაციის მუშაკებთან და ა.შ.

ზოგიერთ შემთხვევაში დამნაშავე ჩუმად, გაუხმაურებლად წამოაყენებს ასეთ მოთხოვნებს, ზოგიერთ შემთხვევაში კი იგი

აძლევს ამ ქმედებას ფართო პოლიტიკურ რეზონანსს ხმამაღალი განცხადებით, ღია ულტიმატუმით და ა.შ.

დანაშაული დამთავრებულად ითვლება დაზარალებულის ფიზიკური დაკავებისა და თავისუფლების აღკვეთისთანავე.

მძევლად ხელში ჩაგდების უშედეგოდ დამთავრება დაკვალიფიცირდება როგორც მცდელობა.

მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას აწესებს პირველ ნაწილში ჩამოთვლილი დანაშაულისათვის, როდესაც იგი ჩადენილია:

ა) წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ;

ბ) არარერთგზის;

გ) ორი ან მეტი პირის მიმართ;

დ) დაზარალებულის საზღვარგარეთ გაყვანით;

ე) შვიდ დღეზე მეტი ხნით;

ვ) ანგარებით;

კანონმდებელი ანგარებაში გულისხმობს იმას, რომ დამნაშავემ მატერიალური სახსრების გამოძალვის მიზნით ჩაიგდო ხელში დაზარალებული, რათა სასურველი ფულადი ან სხვა ქონებრივი სარგებლობა მოთხოვოს ორგანიზაციას ან კერძო პირს.

ზ) დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის, არასრულწლოვანი ან უმწეო მდგომარეობაში მყოფის მიმართ;

თ) უცხოეთის ოფიციალური წარმომადგენლის ან საერთაშორისო სამართლებრივ დაცვას დაქვემდებარებულის მიმართ;

აქ კანონმდებელი გულისხმობს სახელმწიფოს მეთაურს და სხვა ოფიციალურ პირებს, ხოლო საერთაშორისო სამართლის დაცვის ქვეშ იგულისხმება წითელი ჯვრის მსოფლიო ორგანიზაციის, ჰუმანიტარული ორგანიზაციების, გაეროს სპეციალური და რეგიონალური ორგანიზაციის წარმომადგენლები და სხვა.

ი) სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ან ასეთი ძალადობის მუქარით.

მუხლის მესამე ნაწილი პასუხისმგებლობას აწესებს მაშინ, თუ მუხლის პირველი და მეორე ნაწილის რომელიმე პუნქტში აღნიშნული ქმედება ჩადენილი იქნება ორგანიზებული ჯგუფის მიერ ან რამაც გამოიწვია გაუფრთხილებლობით ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი.

ორგანიზებული ჯგუფის განმარტება მოცემულია 177-ე მუხლის განხილვაში.

გაუფრთხილებლობით დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა შეიძლება საყოფაცხოვრებო პირობების აუტანლობით, სამკურნალო საშუალებათა მიუცემლობით, ნერვიულობით, რომელსაც დამნაშავე ვერ ითვალისწინებდა, არადა უნდა გაეთვალისწინებინა და შეეძლო გაეთვალისწინებინა, ან ითვალისწინებდა, მაგრამ იმედოვნებდა, რომ მძიმე შედეგი არ მოჰყვებოდა. ან სხვა მძიმე შედეგში კანონმდებელი გულისხმობს, თვითმკვლელობას, ადამიანთა ჯგუფებს შორის შეტაკებას და ა.შ.

დანაშაულის პროვოკაცია – მუხლი 145

პროვოკაცია ლათინური სიტყვაა (პროვოკაციო – გამოწვევა). მას აქვს ალტერნატური მნიშვნელობა, მაგრამ დანაშაულის პროვოცირება, როგორც საზოგადოებრივად საშიში ქმედება, ასე გაიგება: ,,ცალკეული პირის, პირთა ჯგუფის, ორგანიზაციების, სახელმწიფოების წაქეზება ისეთი მოქმედებისათვის, რასაც მოჰყვება მათთვის მძიმე შედეგები".

ეს კანონი, როგორც ცალკე დისპოზიცია, როგორც დამოუკიდებელი დანაშაულის შემადგენლობა, ახალია სისხლის სამართლის კოდექსში. მისი შინაარსი ასეთია:

,,დანაშაულის პროვოკაცია, ესე იგი, სხვისი დაყოლიება დანაშაულის ჩასადენად მისი პასუხისგებაში მიცემის მიზნით".

აქვე მოვიტანოთ თანამონაწილის ერთ-ერთი სახეთაგანის – წამქეზებლის განმარტება.

,,წამქეზებელია ის, ვინც დაიყოლია სხვა პირი განზრახი დანაშაულის ჩასადენად".

ამ ორ წინადადებას შორის განსხვავება, ერთი შეხედვით, თითქოს არც არის და მუხლი – ,,დანაშაულის პროვოკაცია" წამქეზებლის იდენტურად გამოიყურება, მაგრამ ეს სრულიადაც არ არის ასე, თუმცა, ცუდი არ იქნებოდა, ეს ორი განსხვავებული იურიდიული შინაარსი ტექსტობრივადაც მკვეთრად განგვესხვავებინა.

სისხლის სამართლის კოდექსის 24-ე მუხლის მეორე ნაწილის განმარტება – ,,წამქეზებელია ის, ვინც დაიყოლია სხვა პირი განზრახ დანაშაულის ჩასადენად", გვეუბნება იმას, რომ დამნაშავეს

თვითონ აქვს გადაწყვეტილი ჩაიდინოს კონკრეტული დანაშაული და აქეზებს სხვას, რომ მანაც მიიღოს მონაწილეობა ამ დანაშაულის ჩადენაში და შეასრულოს ესა თუ ის ფუნქცია, რომელიც ხელს შეუწყობს დანაშაულებრივი ჩანაფიქრის განხორციელებას, ხოლო ,,დანაშაულის პროვოკაცია, ე.ი. სხვისი დაყოლიება დანაშაულის ჩასადენად, მისი პასუხისგებაში მიცემის მიზნით", მოიცავს იმ შინაარსს, როცა დამნაშავე ცდილობს, მეორე პირი წააქეზოს, აამხედროს, ააგულიანოს, აღანთოს ამა თუ იმ კონკრეტული დანაშაულის ჩასადენად, რათა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცეს ის.

დისპოზიციის შინაარსის მიხედვით, დამნაშავის მიზანია, მისთვის სასურველ პირს იმგვარი აგიტაცია გაუწიოს, დანაშაული ჩაადენინოს და ამით სამართალში მისცენ. მიზანი დამნაშავისა არის პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა და მისი დასჯა.

სუბიექტური მხარე დანაშაულისა ხასიათდება პირდაპირი განზრახვით. დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ მისი რჩევა-დარიგებით პირი ჩაიდენს დანაშაულს, რისთვისაც მას სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცემენ და სურს ასეთი.

პროვოკატორის განზრახვა ევენტუალურია იმ ობიექტის მიმართ, რომელიც დანაშაულებრივად ხელყო დაყოლიებულმა პირმა, რადგან ამ ობიექტის დაზიანების სურვილი პროვოკატორს სრულებითაც არ აქვს, მაგრამ რადგან ამით მისთვის სასურველი პირი სამართალში მიეცემა, ამიტომ აღარ ენანება მისი დაზიანება და უშვებს ასეთს.

ობიექტი დანაშაულისა არის ადამიანის თავისუფლება.

ობიექტური მხარე გამოიხატება პირის პასუხისგებაში მიცემით.

უდანაშაულო პირის განზრახ მიცემა სისხლის სამართლის პასუხისგებაში – მუხლი 146

საქართველოს კონსტიტუცია ხმამაღლა აღიარებს: ,,ადამიანის თავისუფლება ხელშეუხებელია". ,,დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისგებაში მიცემის შესახებ, საბრალდებო დასკვნა და გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ

უტყუარ მტკიცებულებებს...“ (მე-40 მ., ნაწ. 3). აქედან გამომდინარე, კანონმდებელმა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დააკისრა იმ პირს, ვინც „წინასწარი განზრახვით უდანაშაულო პირს მისცემს სისიხლის სამართლის პასუხისგებაში.“ დისპოზიციაში კანონმდებელი გულისხმობს ისეთ მომენტს, როდესაც დაზარალებულს არავითარი ბრალეული ქმედება არ ჩაუდენია, ისე მისცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს იგივე ქმედებას, თუ მას თან ერთვის ბრალდება მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულში.

საზოგადოებრივი საშიშროება მოცემული დანაშაულისა მდგომარეობს მასში, რომ თანამდებობის პირი (პროკურორი, გამომძიებელი, მომკვლევია, ბოროტად იყენებს თავის თანამდებობას და გამორჩენის ან სხვა პირადი მოტივით სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას აკისრებს პირს, რომელსაც ბრალი არ მიუძღვის.

განსახილველი დანაშაულებრივი ქმედება არღვევს სამართალდამცავი ორგანოების მუშაობის პრინციპებს, პრესტიჟს, მოქალაქის კონსტიტუციურ უფლებას, საზოგადოებას უქმნის დაუცველობის გრძნობას და, რაც მთავარია, დაზარალებულს მძიმედ ავნებს.

ობიექტი დანაშაულისა არის ადამიანის კონსტიტუციური უფლება და თავისუფლება, სამართალდამცავი ორგანოების ნორმალური მუშაობის პრინციპები. მოქალაქეობრივი უფლება, მისი ხელშეუხებლობის პრინციპი, თავისუფლება და ა.შ. ობიექტური მხარე დანაშაულისა გამოიხატება უდანაშაულო პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემით.

პირის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი დგება მაშინ, როდესაც არსებობს საამისო მასალები, როცა შეგროვილი მტკიცებულება იძლევა პირის დანაშაულში მონაწილეობის უტყუარ საფუძველს.

საპროცესო კანონმებლობის 28-ე მუხლში ჩამოთვლილია ის აუცილებელი პირობები, რომლის არსებობის დროსაც „სისხლის სამართლის საქმე არ შეიძლება აღიძრას, ხოლო აღძრული საქმე უნდა შეწყდეს“. ერთადერთი საფუძველი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისა არის ის, რომ ჩადენილი უნდა იყოს სისხლის სამართლის დანაშაული (იხ. საქართველოს სსკ-ის მე7 მ.).

მტკიცებულება ბრალეულობისათვის შეიძლება ჩავთვალოთ

საკმარისად მაშინ, თუ პირს, რომელიც ატარებს გამოძიებას ან მოკვლევას, ხელთ ექნება ისეთი მასალები, რომელიც იძლევა მტკიცე რწმენას პირის დანაშაულის ჩადენაში მხილების შესახებ. ამასთან ერთად, მტკიცებულებანი გამომდინარეობენ ერთმანეთისაგან და ქმნიან მტკიცებით ჯაჭვს. ასეთ მტკიცებულებათა არარსებობის შემთხვევაში პასუხისმგებლობის დაკისრება შეუძლებელია. პროცესუალური კანონი შეიცავს მითითებას პირის უდანაშაულობის არსებობის შემთხვევაში საქმის შეწყვეტის შესახებ — დანაშაულის არარსებობის გამო. ამრიგად, ობიექტური მხარე მოცემული დანაშაულისა გამოიხატება მას'ში, რომ დამნაშავე ბოროტად იყენებს რა თავის თანამდებობრივ მდგომარეობას, პასუხისმგებლობას აკისრებს იმ პირს, რომელსაც დანაშაული არ ჩაუდენია.

უდანაშაულო პირად ითვლება ის, ვისაც საერთოდ არ ჩაუდენია დანაშაული ან აქვს ჩადენილი გარკვეული დასჯადი ქმედება, მაგრამ არა ის, რომლისთვისაც განზრახ აძლევენ პასუხისგებაში. მაგალითად, პირმა ჩაიდინა დანაშაული, რითაც მეორე მოქალაქე მსუბუქად დააზიანა, ხოლო გამომძიებელი მას პასუხისგებაში აძლევს ყაჩაღობის მუხლით და ცდილობს, ბრალი დასდოს ამისათავის.

ეს დანაშაული დამთავრებულად ითვლება იმავე მომენტიდან, როდესაც თანამდებობის პირი დაზარალებულს ბრალს წარუდგენს და მისცემს სისხლის სამართლის პასუხისგებაში, რის შემდეგაც შესაძლებელია, შერჩეული იქნეს აღკვეთის ღონისძიება.

სუბიექტური მხრივ დანაშაული ხორციელდება მხოლოდ პირდაპირი განზრახვით, როდესაც თანამდებობის პირმა იცის, რომ სუბიექტი არ არის ამ დანაშაულის ჩამდენი და განზრახ, განგებ აძლევს მას პასუხისგებაში.

ამ მოქმედების მოტივი სხვადასხვაა: ანგარება, პირადი მტრობა და ა.შ.

ამ დანაშაულის ამსრულებელი არის თანამდებობის პირი, რომელსაც კანონის შესაბამისად დაკისრებული აქვს გამოძიების ან მოკვლევის ჩატარების უფლებამოსილება (პროკურორი, გამომძიებელი, მომკვლევი) და ვისაც გააჩნია უფლებამოსილება, ეჭვმიტანილი ბრალდებულის სახით მისცეს პასუხისგებაში.

ამ დანაშაულის თანამონაწილე შეიძლება იყოს ნებისმიერი პიროვნება.

მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს შედარებით დამამძიმებელ გარემოებას, როდესაც უდანაშაულო პირს ბრალს სდებენ მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენაში (გაუპატიურებაში, ყაჩაღობაში, დივერსიაში და სხვა).

განზრახ უკანონო დაკავება ან დაპატიმრება — მუხლი 147

განსახილველი მუხლი სამი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილის შინაარსი ასეთია: „განზრახ უკანონო დაკავება".

აღნიშნულ მუხლში განიხილება ერთ-ერთი უმძიმესი დანაშაული, რომელიც ხელყოფს ადამიანის ძირითად უფლებას — თავისუფლებას. ადამიანის ხელშეუხებლობა განმტკიცებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ 1948 წლის 10 დეკემბრის „ადამიანის უფლებათა დაცვის დეკლარაციით", რომლის მესამე მუხლში ნათქვამია: „ყოველ ადამიანს აქვს სიცოცხლის, თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება".[1]

„არავის დაპატიმრება, დაჭერა ან დაკავება არ შეიძლება თვითნებურად".

საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლი აღნიშნავს: „ადამიანის თავისუფლება ხელშეუხებელია".

„ადამიანის დაკავება დასაშვებია კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში..." რამდენიმე საათით დაკავებაც კი უნდა მოხდეს კანონის შესაბამისად, „არავინ არ შეიძლება დაპატიმრებულ იქნეს თუ არა სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე".[2]

დაკავება და დაპატიმრება, რომელიც განხორციელებულია წინასწარი განზრახვით, პროცესუალური ნორმების იგნორირების საფუძველზე, ითვლება დანაშაულად.

ობიექტი ამ დანაშაულისა არის ადამიანის კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლება.

ობიექტური მხარე მდგომარეობს დაკავებისა და დაპატიმრების ღონისძიების უკანონოდ გამოყენებაში.

1. ადამიანის უფლებათა დაცვის დეკლარაცია, მუხ. 3, 9.
2. საქ. რესპ. კონსტ. მუხ. 18.

მუხლის მეორე ნაწილი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას აწესებს ,,განზრახ უკანონო დაპატიმრებისათვის". პატიმრობა არის აღკვეთის ღონისძიების მეტად მკაცრი საშუალება. იგი წარმოადგენს პასუხისგებაში მიცემულის თავისუფლების აღკვეთას, რომელსაც მკაცრად ექნება შეზღუდული ადამიანის ზოგიერთი უფლება. დაპატიმრება კონკრეტულად შეიძლება გამოყენებული იქნეს დანაშაულებრივი საქმის გამოძიების დროს. ამ მეტად საპასუხისმგებლო მომენტს განსაზღვრავს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 160-ე მუხლი. ეს ღონისძიება გამოიყენება სასამართლოს ბრძანებით. ამ დროს წერილობით უნდა დასაბუთდეს დანაშაულის სოციალური საშიშროება, შედეგის სიმძიმე, ბრალდებულის პიროვნება, წარსული, წლოვანება, დამსახურება, ოჯახური პირობები, დანაშაულის ჩადენის გამომწვევი გარემოებანი, სიტუაცია და სხვა.

ფორმები უკანონო პატიმრობისა მრავალგვარია, კერძოდ: დაპატიმრება პირისა, ვინაც ჩაიდინა გარკვეული დანაშაულებრივი ქმედება, მაგრამ ამ ქმედებისათვის კანონი არ ითვალისწინებს პატიმრობას. დაპატიმრება პირისა, რომელზედაც არ არსებობს მოსამართლის ბრძანება, დაპატიმრება პირისა, რომლის ქმედებაშიაც არ არის დანაშაულის შემადგენლობა, პირის პატიმრობის ვადის გაგრძელება ხელოვნურად, როცა ასეთი ვადა ამოწურულია.

დაკავება არის სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულებითი ღონისძიების ერთ-ერთი სახე. როგორც თავისუფლების აღკვეთის გარკვეულ პროცესუალურ მოკლევადიან ღონისძიებას, იგი გამოიყენება დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილ პირთა მიმართ და ხორციელდება დანაშაულის ცხელ კვალზე გახსნის მიზნით, რათა დამნაშავემ ვერ შეძლოს მიმალვა, დანაშაულის კვალთა წაშლა ან სხვა გამოძიებისათვის ხელის შემშლელი მიზნის განხორციელება. ამ ღონისძიების გამოყენების კანონიერება, შესაძლებლობა და საფუძვლები მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული საპროცესო კანონმდებლობის 134 – 136-ე მუხლებში. აუცილებელი პირობები ამ ღონისძიების გამოყენებისა მოცემულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 133-ე მუხლით.

დაკავება ჩაითვლება უკანონოდ მაშინაც, როდესაც იგი ჩატარებულია კანონის მოთხოვნათა უხეში დარღვევით (არ შედგენილა ოქმი, სწორად არ შევსებულა რეკვიზიტები, დაკავების დრო,

მიზეზი, მოტივი და ა.შ.). ამ მუხლით პასუხისმგებლობას არ ექვემდებარება ადმინისტრაციული სახდელისათვის პირის უკანონოდ დაკავების შემთხვევა.

დანაშაული დამთავრებულად ჩაითვლება უკანონო დაპატიმრებისა თუ დაკავებისთანავე.

სუბიექტური მხარე დანაშაულისა მდგომარეობს მხოლოდ პირდაპირ განზრახვაში. დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ იგი ბოროტად იყენებს თავის სამსახურებრივ მოვალეობას და აკავებს ან აპატიმრებს პირს ყოველგვარი კანონიერი საფუძვლების გარეშე ან უხეშად არღვევს დაკავება-დაპატიმრების კანონის მოთხოვნებს და სურს ასეთი.

მოტივი დანაშაულისა შეიძლება იყოს ანგარება, შური, მტრობა, კარიერიზმი და სხვა.

ამსრულებელი ამ დანაშაულისა არის სამართალდამცავი ორგანოების თანამდებობის პირი, რომლის სამსახურებრივი მოვალეობის უფლებამოსილებაში შედის დაკავების ფუნქცია. თანამონაწილე (დამხმარე, წამქეზებელი) შეიძლება იყოს ნებისმიერი ადამიანი.

მუხლის მესამე ნაწილი პასუხისმგებლობას აწესებს მაშინ, თუკი პირველი ან მეორე ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებას მძიმე შედეგი მოჰყვა. მძიმე შედეგში კანონმდებელი გულისხმობს დაკავებულის ან დაპატიმრებულის თვითმკვლელობას უკანონობის პროტესტის ნიშნად, თუ დაპატიმრებული, დაკავებული მძიმე განცდების გამო ფსიქიურად დაზიანდა და ა.შ.

ცილისწამება – მუხლი 148

განსახილველი მუხლი ერთი ნაწილისგან შედგება. მას სრულიად ახალი სახე მისცა კანონმდებელმა, რაც იმაში გამოიხატება, რომ თუ ადრინდელ კოდექსებში ცილისწამება, როგორც კანონის ნორმა, ზოგად ხასიათს ატარებდა, დღეს იგი სრულიად განსხვავებულია, ამიტომ კანონმდებელმა დააკონკრეტა, როგორი სახის ცილისწამება ჩაითვლება დასჯად ქმედებად. მუხლი ასეთი შინაარსისაა: „ცილისწამება დანაშაულის ბრალდებით“. ამით მან განსაზღვრა, რომ ცილისმწამებელს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაეკისრება მაშინ, როცა იგი გაავრცელებს მონაჭორს მეორე

პირზე დანაშაულის ჩადენის შესახებ. რაღა თქმა უნდა, ამ სახის მონაჭორით სახელისა და ღირსების შელახვაც ხდება. საქართველოს კონსტიტუცია პირდაპირ აღნიშნავს, რომ ადამიანის პატივი და ღირსება ხელშეუხებელია.

ობიექტური მხრივ დანაშაული გამოიხატება აქტიურ მოქმედებაში. დამნაშავე წინასწარი შეცნობით ავრცელებს მონაჭორს და პიროვნებას აბრალებს რაიმე სახის დანაშაულის ჩადენას, რაც სრულიად არ შეეფერება სინამდვილეს. კანონმდებელი არ უთითებს დანაშაულის სახეობას, მაგრამ ჩვენ უნდა ვიგულისხმოთ, რომ იგი აქ ნავარაუდევია ნებისმიერ დანაშაულზე. მაგალითად: მექრთამეობა, ქურდობა, თაღლითობა და ა.შ.

ჭორის გავრცელება შეიძლება განხორციელდეს ადამიანთა თავყრილობაზე გამოცხადებით, რადიოთი, პრესით, ტელევიზიით და ა.შ.

დანაშაულის საშიშროება მდგომარეობს მასში, რომ ის საზოგადოების თვალში სახელს უტეხს პიროვნებას და შესაძლებელია მას სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაც დაეკისროს.

სუბიექტური მხარე ცილისწამებისა ხასიათდება პირდაპირი განზრახვით. გამოძიებით დადგენილი უნდა იქნეს, რომ დამნაშავემ წინასწარვე იცოდა, იგი ყალბ ცნობებს ავრცელებდა, რათა დაერწმუნებინა საზოგადოება მის დამნაშავეობაში, რაც მის სახელსა და ღირსებას ჩირქს ცხებს. თუ დამნაშავე მის მიერ გავრცელებული ინფორმაციების სინამდვილეში დარწმუნებულია და ფიქრობს, რომ ავლენს დანაშაულს და ამით იხდის მოქალაქეობრივ ვალს, პასუხისმგებლობის საკითხი არ დადგება.

ამსრულებელი ამ დანაშაულისა შეიძლება იყოს ნებისმიერი მოქალაქე.

ობიექტი - ადამიანის პატივი და ღირსებაა.

უკანონო მოთავსება ფსიქიატრიულ საავადმყოფოში – მუხლი 149

მუხლი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი განიხილავს დამნაშავის მიერ „ადამიანის უკანონოდ მოთავსებას ან დაკავებას ფსიქიატრიულ საავადმყოფოში“. მეორე ნაწილი მუხლისა განიხი-

ლავს „იგივე ქმედებას, როდესაც იგი ჩადენილია სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ან რამაც გამოიწვია გაუფრთხილებლობით დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი.“

ფსიქიატრიული საავადმყოფო ის დაწესებულებაა, სადაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში სტაციონალურად მკურნალობენ ფსიქიკურად დაავადებულ ადამიანებს.

ავადმყოფების ჰოსპიტალიზაცია ასეთ საავადმყოფოში ხდება ავადმყოფის პირადი, ან ახლობლების განცხადებით და ექიმი ფსიქიატრის ამბულატორიული კვლევის შედეგად მიღებული დასკვნის საფუძველზე, ან სამართალდამცავი ორგანოების დადგენილებით იძულებითი ხასიათის სამკურნალო ღონისძიების შეფარდების შესახებ, რომელსაც საფუძვლად უდევს სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნა.

ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ჯანმრთელი მოქალაქის მოთავსება იძულებით, უკანონოდ ხელყოფს როგორც მის თავისუფლებას, ასევე ღირსებასაც.

ობიექტური მხარე დანაშაულისა გამოიხატება ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ჯანმრთელი პირის უკანონოდ იძულებით მოთავსებაში, ან იმ პირის მოთავსებაში, რომლის ფსიქიკაში არის გარკვეული მცირედი ცვლილებები, მაგრამ სტაციონალურ მკურნალობას არ საჭიროებს. ასეთი დანაშაულებრივი ქმედება შეიძლება განხორციელდეს ყალბი დიაგნოზის საფუძველზე ან თვით დაზარალებულის დარწმუნებით, შეგონებით, რომ იგი უეჭველად საჭიროებს სტაციონალურ მკურნალობას ან ამ შეგონების გარეშე — ფიზიკური ძალდატანების გამოყენებით.

ფსიქიატრიულ საავადმყოფოში უკანონო დაკავებაში კანონმდებელი გულისხმობს დამნაშავის მიერ განკურნებული მოქალაქის ჰოსპიტალიზაციის ვადის ყალბად გაგრძელებასაც.

დანაშაული დამთავრებულად ითვლება დაზარალებულის შესახლებისა და შესატყვისი დოკუმენტაციის გაფორმებისთანავე, ან უკვე განკურნებული პირის დამატებითი ვადით დაკავებისთანავე.

მავნე შედეგი დანაშაულისა გამოიხატება მასში, რომ დაზარალებულს ეკრძალება თავისუფლება — ნათესაური თუ საზოგადოებრივ-სამსახურებრივი ურთიერთობა და, რაც მთავარია, შესაძლებელია თითქმის მთელი ცხოვრების განმავლობაში იგი

მიჩნეული იქნეს ფსიქიკურად გაუწონასწორებელ პიროვნებად, რომელთანაც საზოგადოება გარკვეულწილად ერიდება ურთიერთობის დამყარებას.

ობიექტი დანაშაულისა არის ადამიანის თავისუფლება.

მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს შემთხვევას, როდესაც პირველ ნაწილში გათვალისწინებული ქმედება ჩადენილია სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ან რამაც გამოიწვია დაზარალებულის გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი.

გაუფრთხილებლობით დაზარალებულის დაღუპვის მიზეზი შეიძლება იყოს ზედმეტი ნერვო-ფსიქოლოგიური ზეწოლის გამო განვითარებული მწვავე ინფარქტი, იძულებით დაკავების შედეგად გამოწვეული ზიანი, წამლის ზედმეტი დოზირება და ა.შ.

ან სხვა მძიმე შედეგში შეიძლება ვიგულისხმოთ დაზარალებულის თვითმკვლელობა.

სუბიექტური მხრივ დანაშაული გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში — დამნაშავემ იცის, რომ პიროვნება სრულიადაც არაა ავადმყოფი ან იმდენად მსუბუქად არის, რომ არ საჭიროებს ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოთავსებას ან უკვე განკურნებულია და ყალბად უგრძელებს მკურნალობის ვადას და სურს ასეთი.

ამსრულებელი დანაშაულისა არის ექიმი ფსიქიატრი, რომელმაც წინასწარი შეცნობით დასვა ყალბი დიაგნოზი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოსათავსებლად ან უშუალოდ მოახდინა ჰოსპიტალიზაცია. ასევე, ზოგჯერ ამსრულებელი შეიძლება იყოს ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების თანამდებობის პირიც (განყოფილების გამგე, მთ. ექიმი, სამმართველოს უფროსი და ა.შ.).

იძულება — მუხლი 150

განსახილველი მუხლი ასეთი შინაარსისაა: „ადამიანისათვის ქმედების თავისუფლების უკანონო შეზღუდვა, ე. ი. მისი ფიზიკური ან ფსიქიკური იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს მოქმედება, რომლის განხორციელება, ან რომლისგანაც თავის შეკავება მის უფლებას წარმოადგენს, ანდა საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება.“

იძულება არის ადამიანის მიერ რაიმე მოქმედების შესრულებაზე ან მოქმედებისაგან თავის შეკავებაზე ძალდატანება შემსრულებლის სურვილის საწინააღმდეგოდ.

დამნაშავე მეორე პირს, მისი სურვილის საწინააღმდეგოდ, ასრულებინებს მის უფლება-მოვალეობაში შემავალ საქმიანობას დაშინებით, ფიზიკური ან ფსიქოლოგიკური ზემოქმედების გავლენით.

იძულების ფორმებად შეიძლება გამოყენებული იქნეს ცემა, ან ასეთის მუქარა, მოკვლის მუქარა, შემსრულებლის ან მისი ახლობლის ჭრილობების განადგურების დაპირება და ა.შ.

იძულება შეიძლება გამოყენებული იქნეს როგორც ფიზიკური პირის მიმართ რაიმე საქმიანობის შესრულების ან მისი შესრულებისაგან თავის შეკავებისათვის, ასევე თანამდებობის პირის მიმართ საზოგადოებრივი თუ სახელმწიფოებრივი საქმის დამნაშავის სურვილის მიხედვით შესრულებისა ან ამ მოქმედებისაგან თავის შეკავებისათვის.

აღნიშნული დანაშაულით დაზარალებული შეიძლება იყოს როგორც კერძო, ასევე თანამდებობის პირი.

მაგალითად, ავტოსატრანსპორტო საწარმოს ექსპლოატაციის უფროსი რაიმე ზემოქმედებით აიძულებს, არ გავიდეს ავტობუსები N 1 მარშრუტზე.

ობიექტი დანაშაულისა არის ადამიანის კანონიერი უფლება.

ობიექტური მხარე გამოიხატება ამ უფლების განხორციელების შეზღუდვაში ან საერთოდ — აკრძალვაში.

სუბიექტური მხარე გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში. დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ იძულება დაზარალებულის მოქმედებაზე ან ამ მოქმედებისაგან თავის შეკავებაზე, უკანონოა, მაგრამ შეგნებულად სჩადის ამას და სურს ასეთი შედეგი.

დანაშაული დამთავრებულად ითვლება დაზარალებულისაგან იძულებითი მოქმედების ან უმოქმედობის განხორციელებისთანავე.

მუქარა — მუხლი 151

მუხლის დისპოზიცია ასეთი შინაარსის არის: „სიცოცხლის მოსპობის ან ჯანმრთელობის დაზიანების ანდა ქონების განადგურების მუქარა, როდესაც იმას, ვისაც ემუქრებიან, გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში“.

მუქარა არის დაზარალებულისათვის დაზიანების ან განადგურების დაპირება. დამნაშავე იმუქრება სიტყვიერად, პირის-პირ, ტელეფონით, წერილობით, მეორე პირისთვის დაბარებით და ა.შ.

„მუქარა ხელყოფს პიროვნების მნიშვნელოვან სიკეთეს — სულიერი სიმშვიდისა და უშიშროების გრძნობას" — წერს ვ. მაყაშვილი.[1]

დაზარალებული შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური პირი.

კანონი დისპოზიციაშივე ითხოვს იმის დადგენას, რომ მუქარა უეჭველად უნდა იყოს რეალურად განხორციელებადი. ეს არის სწორედ დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელი ნიშანი, რაც გარკვეულ სიძნელეებსაც ქმნის სწორი კვალიფიკაციის განსაზღვრის დროს. ამ საკითხის გადაწყვეტისას უნდა გამოვიდეთ იქიდან, რომ მუქარის რეალურობა, უპირველეს ყოვლისა, უნდა უკავშირდებოდეს მისი განხორციელების რეალურ შესაძლებლობას, რომელმაც დაზარალებულს საფუძვლიანი შიში შეუქმნა.

მუქარის რეალურობის დადგენისათვის მრავალი ფაქტორის გათვალისწინებაა საჭირო. კერძოდ: მუქარის სახე, კონკრეტული ფორმა, მისი შინაარსი, ხასიათი, თანმხლები კონკრეტული სიტუაცია, თვით მოტივი მუქარის წარმოშობისა, მხარეთა დღევანდელი და ადრეული ურთიერთდამოკიდებულება, დამნაშავის ხასიათი (ბოროტი, ანტისაზოგადოებრივი, აკვიატებული, პატივმოყვარე, მძულვარე, მკაცრი, გულღრძო, დამოკიდებულება ალკოჰოლთან, ადრეული ნასამართლეობანი და მათი ხასიათი, ფსიქიკური წონასწორობა, ემოციურობა და ა.შ.). ამასთანავე, გარემოების შესწავლა უნდა მოხდეს ცალკეული შემთხვევების ხასიათის გათვალისწინებით და მათი კრიმინალისტური პროგნოზირებით ყოველი კონკრეტული ფაქტისათვის.

დანაშაული დამთავრებულად ითვლება მუქარის რეალურობის დადგენისთანავე.

მუქარა შეიძლება განხორციელდეს ეჭვიანობის, შურისძიების, არაკეთილგანწყობილების და სხვათა გამო.

სუბიექტური მხარე დანაშაულისა ხასიათდება პირდაპირი განზრახვით. დამნაშავემ იცის, რომ იგი ჟესტით თუ სიტყვით, მიწერით თუ ტელეფონით გამოთქვამს მუქარას დაზარალებულის მიმართ და თვითონაც ფიქრობს, რომ ეს მუქარა რეალურია.

---

1. იხ. ვ. მაყაშვილი, მ. მაჭავარიანი, თ. წეროველი, თ. შავგულიძე, დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ, გვ. 163

ადგილსამყოფელის თავისუფლად არჩევის უფლების ხელყოფა – მუხლი 152

კონსტიტუციის 22-ე მუხლმა დააკანონა, რომ „ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, აქვს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევის უფლება".

„ასევე შეუძლია თავისუფლად გავიდეს საქართველოდან, თავისუფლად შემოვიდეს საქართველოში".

განსახილველი მუხლი სწორედ კონსტიტუციის ამ პრინციპის განუხრელად დაცვის მიზნით შექმნა კანონმდებელმა. მუხლი ორი ნაწილისაგან შედგება.

პირველი ნაწილი ასეთი შინაარსისაა: „საქართველოში კანონიერად მყოფისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავისუფლად გადაადგილების, საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევის ან საქართველოდან თავისუფლად გასვლის უფლების, აგრეთვე საქართველოს მოქალაქისათვის საქართველოში თავისუფლად შემოსვლის უფლების განხორციელებაში უკანონოდ ხელის შეშლა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია."

განსახილველი მუხლი გამოჰყოფს მოქალაქეებს, რომლებიც კანონიერად იმყოფებიან საქართველოს ტერიტორიაზე, თუმცა არ არიან მისი მოქალაქეები (მივლინებით, ტურისტული მისიით, სასწავლებლად და ა.შ.) და საქართველოს მოქალაქეებს.

კანონი მოიცავს შემდეგ დანაშაულებრივ შემადგენლობებს:

ა) თავისუფლად გადაადგილებაში, ე. ი. ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში თავისუფალი მიმოსვლის შესაძლებლობაში ხელის შეშლას;

ბ) საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად შერჩევაში ხელის შეშლას, ე. ი. დაზარალებულს ეზღუდება უფლება საქართველოში ყოფნის დროს დასახლდეს მისთვის სასურველ რაიონში, ქალაქში, უბანში, ქუჩაზე და ა.შ;

გ) საქართველოდან თავისუფლად გასვლის უფლებაში – აქ კანონმდებელი გულისხმობს პიროვნების შეზღუდვას მისთვის სასურველ დროს გავიდეს საქართველოდან, სასურველი ტრანსპორტით, სასურველ დღეს, სასურველი ქალაქიდან;

დ) საქართველოს მოქალაქეს, რომელიც ქვეყნის ფარგლებს გარეთ იმყოფება, უკანონოდ ეზღუდება საქართველოში შემოსვლა.

საქართველოს ტერიტორიაზე კანონიერად მყოფი მოქალაქეები მრავალ სასარგებლო პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, ჰუმანიტარულ და სხვა საქმიანობას ეწევიან, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს განვითარებადი ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური აღორძინებისათვის. იდება მრავალი ხელშეკრულება, მიმდინარეობს ქვეყნის ტერიტორიის, მისი ეკონომიკური რესურსების შემოწმება-შესწავლა (გეოლოგიური, საკურორტო, სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, ტურიზმი და ა.შ.).

ხელის შეშლა შეიძლება გამოიხატოს დამნაშავისაგან სხვადასხვა პირადი მოტივით, ისეთი საშუალებებით, როგორიც არის სატრანსპორტო და სამიმოსვლო გზის გაუვარგისება, საბუთების გაუფორმებლობა, დაშინება, შანტაჟი, საცხოვრებელი და სამუშაო პირობების შეუსაბამობა და ა.შ.

დანაშაულით გამოწვეულ ზიანში კანონმდებელი გულისხმობს გათვალისწინებული პოლიტიკური თუ ეკონომიკური გეგმის განუხორციელებლობას ან დაბრკოლებას, მატერიალურ ზარალს და ა.შ.

საქართველოს პარლამენტის 1993 წლის 7 დეკემბრის N364 კანონით „საქართველოს მოქალაქეების საქართველოს რესპუბლიკიდან დროებითი გასვლის და საქართველოს რესპუბლიკაში შემოსვლის წესების შესახებ“ ნათქვამია: „საქართველოს მოქალაქეს უფლება აქვს დროებით დატოვოს თავისი ქვეყანა და თავისუფლად დაბრუნდეს უკან“.

ზემოთ მითითებული კანონის შესაბამისად საქართველოს მოქალაქეები საქართველოდან დროებით გადიან და საქართველოში შემოდიან პასპორტით, რომელსაც გასცემენ შ. ს. სამინისტროს ორგანოები (საქართველოს კანონი, 1993, 7.12, მ.5).

პასპორტი ერთიანი ნიმუშისაა და ძალა აქვს საქართველოდან მსოფლიოს ყველა ქვეყანაში გასვლისა და საქართველოში შემოსვლისათვის. იგი ვარგისია გაცემის დღიდან 5 წლის მანძილზე.

ობიექტური მხარე გამოიხატება ქვეყნის ტერიტორიაზე მიმოსვლის, დასახლების, საქართველოდან გასვლის, საქართველოში შემოსვლის შეზღუდვაში, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს იგივე ქმედებისათვის, თუ იგი ჩადენილია ძალადობით, ძალადობის მუქარით ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით.

ძალადობა შეიძლება განხორციელდეს პირადი დოკუმენტების ან სხვა აუცილებელი ნივთების წართმევით, ან ცემით, ან სხვაგვარი ძალადობის მუქარით. სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ხელის შეშლა შეიძლება განხორციელდეს სათანადო საბუთების გაცემაზე უსაფუძვლოდ უარის თქმით, გამზადების გაჭიანურებით და სხვა ამგვარით. ამ შემთხვევაში დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს როგორც ნებისმიერი მოქალაქე, ასევე საპასპორტო თუ სხვა სამსახურის მუშაკი.

სუბიექტური მხარე გამოიხატება პრდაპირ განზრახვაში.

სიტყვის თავისუფლების ხელყოფა – მუხლი 153

„პირველად იყო სიტყვა“ – ქადაგებს წიგნთა-წიგნი ბიბლია.

„ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება“ (კონსტიტუცია, მ.19).

„ყოველ ადამიანს აქვს უფლება, თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავისუფალია. ცენზურა დაუშვებელია“ (საქ.კონსტ.მ.24).

სიტყვის თავისუფლება ნიშნავს მოქალაქის უფლებას, გამოთქვას თავისი აზრი ცხოვრების ნებისმიერ სფეროზე, მეცნიერების ნებისმიერ დარგში. აზრის გამოთქმა შესაძლებელია განხორციელდეს ადამიანთა თავყრილობის წინაშე, პრესით, რადიოთი, ტელევიზიით და ა.შ.

პიროვნება უფლებამოსილია, მიიღოს ინფორმაცია საჯარო სამსახურის ნებისმიერი თანამდებობის პირისაგან ქვეყნის ცხოვრების სხვადასხვა საკითხზე, თუ იგი არ ეხება სამხედრო და ოპერატიული საქმიანობის საიდუმლო გამონაკლისს. ამასთანავე, მოქალაქე უფლებამოსილია, გაავრცელოს ეს ინფორმაცია სიტყვიერად, პრესით, სხვა საინფორმაციო საშუალებებით.

ზემოთ ჩამოთვლილი კონსტიტუციური უფლებების შეუზღუდველად დაცვის მიზნით კანონმდებელმა სისხლის სამართლის კოდექსში შეიტანა 153-ე მუხლი, რომელიც ერთი ნაწილისაგან შედგება და მისი დისპოზიცია ასეთი შინაარსის არის:

„სიტყვის თავისუფლების ანდა ინფორმაციის მიღების ან გავრცელების უფლების განხორციელებისათვის უკანონოდ ხელის შეშლა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ანდა ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით“.

სიტყვის თავისუფლების დანაშაულებრივი შეზღუდვა შეიძლება გამოიხატოს მასში, რომ დამნაშავე აშინებს დაზარალებულს ცემით, ქონების განადგურებით, თუკი დაბეჭდავს სტატიას, გამოვა მიტინგზე, რადიოთი, ტელევიზიით, ან გზას გადაუკეტავს და არ შეუშვებს ამ უწყებებში და ა.შ.

ინფორმაციის მიღებაში ხელის შეშლა ისიცაა, რომ დამნაშავემ არ შეუშვას პიროვნება დაწესებულებაში სათანადო ცნობების მისაღებად, ასევე არ მისცეს უფლება, შევიდეს დარბაზში ინტერვიუს ასაღებად და ა.შ. ეს მოქმედება ამსრულებლის მხრიდან შეიძლება განხორციელდეს როგორც ფიზიკური ძალის გამოყენებით, ასევე მუქარით.

ინფორმაციის გავრცელებაში ხელის შეშლაც ასეთივე მოქმედებით შეიძლება განხორციელდეს, როდესაც პირს აღეკვეთება თავისი ინფორმაციის საზოგადოებაზე გადაცემის უფლება სიტყვით თუ სხვა საინფორმაციო საშუალებებით.

სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ხელის შეშლა შეიძლება გამოიხატოს იმაში, რომ თანამდებობის პირი თავისი თანამდებობრივი უფლებამოსილების გავლენით აშინებს პირს სამსახურიდან მოხსნით, შტატის შემცირებით, დაქვეითებით, ხელფასის დაკლებით და ა.შ. რითაც უზღუდავს მოქალაქეს სიტყვის თავისუფლებას, ინფორმაციის მიღების თუ გავრცელების საშუალებას და ა.შ.

ობიექტური მხარე გამოიხატება ამ უფლებათა დარღვევაში, ე.ი. სიტყვის თავისუფლად თქმასა თუ ინფორმაციის მიღებასა ან გავრცელებაში ხელის შეშლით.

სუბიექტური მხარე ხასიათდება პირდაპირი განზრახვით.

ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა – მუხლი 154

ჟურნალისტი ის პიროვნებაა, რომელიც თავისი პროფესიული მოვალეობის, ასევე სახელმწიფოს ძირითადი კანონის მოთხოვნის შესაბამისად უფლებამოსილია, მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია

ნებისმიერი კანონიერი წყაროდან და გადასცეს იგი პრესის ან სხვა საინფორმაციო საშუალებებით ქვეყნის ან რომელიმე ადმინისტრაციული რაიონის ფარგლებში. ჟურნალისტი ვალდებულია, მისი პუბლიკაცია, საინფორმაციო მასალა თუ სიუჟეტი ემყარებოდეს ჟურნალისტის მოქალაქეობრივ სინდისს, მასალების ობიექტურობას და მისი გაშუქების ჰეშმარიტ გზებს, არ იყოს დამძიმებული ემოციებითა და გულისწყრომით, გადაჭარბებული შეფასებებითა და დასკვნებით.

154-ე მუხლი ორი ნაწილისაგან შედგება.

პირველი ნაწილი ითვალისწინებს ისეთ დანაშაულებრივ ქმედებას, როდესაც დამნაშავე ხელს უშლის ჟურნალისტს განახორციელოს თავისი პროფესიული საქმიანობა, ე. ი. აიძულებს, თავი შეიკავოს მის ხელთ არსებული ობიექტური მასალის გამოყენებაზე, ან პირიქით, აიძულებს ჟურნალისტს, გაავრცელოს ამა თუ იმ ყალბი ცნობის შემცველი ინფორმაცია, რომლითაც დამნაშავე რაიმე მატერიალურ თუ მორალურ სარგებლობას მოიპოვებს. ან დამნაშავე თვითონ აწვდის ჟურნალისტს მასალებს, რომელიც სიყალბეს შეიცავს.

მაგალითად, ორგანიზაციის ხელმძღვანელი აიძულებს ჟურნალისტს, რაიმე ხერხების მოშველიებით გამოაქვეყნოს პრესაში მისი წარმოების მიერ გამოშვებული პროდუქციის სარგებლიანობის დამადასტურებელი მასალა. ან პირიქით, არ გამოაქვეყნოს მის წარმოებაში არსებული მახინჯი მოვლენების — პროდუქციის ფალსიფიკაციის, ადამიანის უფლება-მოვალეობის შელახვის და დამცირების ფაქტები და ა.შ.

მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას იგივე ქმედებისათვის, თუ იგი ჟურნალისტის მიმართ განხორციელდება ძალადობის მუქარით ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით.

ძალადობის მუქარაში კანონმდებელი გულისხმობს ჟურნალისტის დაშინებას მოკვლით ან სხეულის დაზიანებით, ან ქონების განადგურებით, რომელიც მიმართულია პირადი ან ახლობლების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ან ქონების წინააღმდეგ.

სამსახურებრივი მდგომარეობით ხელის შეშლაში კანონმდებელი გულისხმობს, როცა ამ დანაშაულს ახორციელებს თანამდებობის პირი თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილების გავლენით,

მაგალითად: რადიო და ტელემაუწყებლობის განყოფილების გამგემ არ გადააცემინა ჟურნალისტს რაიმე სიუჟეტი, რომელიც ამხელდა ამა თუ იმ დაწესებულების ან კერძო პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედებას.

მოტივი დანაშაულისა შეიძლება იყოს ანგარება ან სხვა პირადი ინტერესი.

ობიექტი დანაშაულისა არის ჟურნალისტის კონსტიტუციური უფლება და თავისუფლება.

ობიექტური მხარე გამოიხატება ამ უფლების დარღვევაში.

სუბიექტური მხრივ დანაშაული გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში. დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ ის აშკარად უკანონოდ უშლის ხელს ჟურნალისტს პროფესიულ საქმიანობაში და სურს ეს.

რელიგიური წესის აღსრულებისათვის უკანონოდ ხელის შეშლა – მუხლი 155

საქართველოს მოქალაქეებს კონსტიტუციის ძალით გააჩნიათ უფლება, აღიარებდნენ ნებისმიერ რელიგიას, აღასრულებდნენ მის შესაბამის რიტუალებს.

საქართველოში მრავალი სახის რელიგიური მრწამსის მოქალაქე ცხოვრობს და ყოველი მათგანი უფლებამოსილია, ჩაატაროს ამ რელიგიის შესაფერისი ლოცვა, მარხვა, ღამისთევა, პირუტყვის, ნივთების, ფასეულობის შეწირვა და ა.შ.

სისხლის სამართლის კოდექსის 155-ე მუხლი პირდაპირ ბრძოლას უცხადებს იმ დამნაშავეებს, რომლებიც ხელს უშლიან ამ წესების აღსრულებას.

მუხლი ორი ნაწილისაგან შედგება.

პირველი ნაწილი პასუხისმგებლობას აკისრებს იმ პირს, ვინც უკანონოდ უშლის ხელს ღვთისმსახურების რომელიმე რელიგიური წესის აღსრულებას, ფიზიკური ძალის გამოყენებით ან ასეთი ძალადობის მუქარით, ანდა თუ ამ მოქმედებას ახლდა მორწმუნის ან ღვთისმსახურის რელიგიური გრძნობის შეურაცხყოფა.

დანაშაულებრივი მოქმედება გამოიხატება მორწმუნეთა რელიგიური წესის აღსრულებისათვის თავყრილობის გაფანტვაში.

დამნაშავე ფიზიკური ძალის გამოყენებით წინ ეღობება მორწმუნეთა და ღვთის მსახურთა სარიტუალო შეკრებას, ან შლის შეკრებილებს, მათ რწმენას შეურაცხყოფს მიუღებელი სიტყვებით და ა.შ.

მუხლის მეორე ნაწილი განიხილავს იგივე ქმედებას, თუ მას დამნაშავე ახორციელებს სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით. მაგალითად: პოლიციის უფროსის ბრძანებით გადაკეტეს სალოცავისაკენ მიმავალი გზა, სადაც ღვთისმსახურების რიტუალი უნდა გამართულიყო.

სუბიექტური მხარე გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში — დამნაშავე შეგნებულად მოქმედებს რელიგიური წესების აღსრულების ჩაშლის მიზნით და სურს ეს შედეგი.

ობიექტი არის მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებები რელიგიური რიტუალების განხორციელების საქმეში.

ობიექტური მხარე გამოიხატება ამ უფლებების დარღვევაში.

დევნა — მუხლი 156

„დაუშვებელია ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, აღმსარებლობის, ან რწმენის გამო“.[1]

ადამიანის დევნა არის მისი გადაადგილების მიხედვით ფეხდაფეხ აწკარა ან საიდუმლო მიყოლა, მიდევნება, თანსვლა. დევნა შეიძლება განხორციელდეს დევნილის საქმიანობისა და ახლობელთა კავშირების დადგენა-დაფიქსირების მიზნით, ან თვით დევნილის დაკავების მიზნით, საამისოდ მომარჯვებული ადგილისა და დროის მოხელთებისთანავე და ა.შ.

განსახილველი მუხლის მიხედვით, დევნა ოდნავ სხვაგვარად უნდა გავიგოთ. კერძოდ, მუხლის პირველი ნაწილი მას ასე განმარტავს:

„ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობის, რწმენის ან მრწამსის გამო, ანდა მის პოლიტიკურ, საზოგადოებრივ, პროფესიულ, რელიგიურ და მეცნიერულ მოღვაწეობასთან დაკავშირებით“.

აქ დევნა უფრო სხვა ჭრილშია გაგებული — დამნაშავე მართლაც თვალყურს ადევნებს და კვალდაკვალ დასდევს დაზარალე-

1. საქ. კონსტ. მუხ. 1, 1995

ბულს, რათა მან ვერ შესძლოს დაიცვას და განახორციელოს თავისი რელიგიური რწმენა, საზოგადოებრივი მრწამში, პოლიტიკური შეხედულებანი, მეცნიერული მოღვაწეობის ნაყოფი და ა.შ. მაგრამ ამ მოქმედებას ჩადის ისეთი ხერხებით, როგორიც არის სამეცნიერო დაწესებულებებში ნაშრომის განხილვისა და გამოქვეყნების გზების გადაღობვა რაიმე მოტივით, რედაქციაში ამა თუ იმ მასალის დაწუნება მოძველებულობის ან სხვ. მომიზეზებით, პროფესიული ნაშრომის ან ნოვატორული წინადადების განხორციელების განზრახ დამუხრუჭებით, რელიგიური აზრის ქადაგების აკრძალვით იმ მოტივით, თითქოს ის მავნებელია საზოგადოებისათვის და ა.შ.

დანაშაულის მოტივი შეიძლება იყოს პირადი ინტერესი, შურისგება, სიხარბე, პოლიტიკური პოზიციების, რელიგიური მრწამსის სხვადასხვაობა და ა.შ.

მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს იგივე ქმედებისათვის, როდესაც დამნაშავე მას სჩადის ძალადობით ან ასეთი ძალადობის მუქარით, აგრეთვე სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ან თუ ასეთმა მოქმედებამ მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. ფიზიკური ძალადობა შეიძლება გამოიხატოს დაზარალებულის ცემით, დაკავებით, ტრიბუნისაკენ გზის გადაკეტვით, გაგდებით ან ასეთის დამუქრებით, ან დამნაშავე იშველიებს თავის სამსახურებრივ მდგომარეობას და აშინებს დაზარალებულს დაკავებით, სამუშაოდან გაგდებით, დაქვეითიებით და ა.შ. ან თუ დევნილი მნიშვნელოვნად დაზიანდა. ე.ი. ამავე ნაწილში კანონმდებელი ხაზს უსვამს დევნილისადმი დევნის გამო მნიშვნელოვან დაზიანებას. აქ იგულისხმება ფიზიკური, სულიერი ან ქონებრივი ზიანი. ეს უკანასკნელი შეიძლება გამოიწვიოს სრულყოფილი მეცნიერული შრომის გამოცემისათვის ხელის შეშლამ და ა.შ.

სუბიექტური მხარე გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში.

ობიექტური მხარე გამოიხატება კონსტიტუციურ უფლებათა დარღვევაში.

პირადი ან ოჯახური საიდუმლოს ხელყოფა – მუხლი 157

მოქალაქის პირადი ცხოვრების საიდუმლოების დაცვა კონსტიტუციური უფლებაა.

სისხლის სამართლის კანონი 157-ე მუხლით იცავს მოქალაქის ამ წმინდა უფლებას. იგი სამი ნაწილისაგან შედგება.

პირველი ნაწილი პასუხისმგებლობას აკისრებს იმ პირს, რომელიც „პირადი ან ოჯახური ცხოვრების საიდუმლოებას უკანონოდ მოიპოვებს, შეინახავს ან გაავრცელებს.“

ოჯახი მეტად რთული ერთეულია და უმთავრესად ორი ან მეტი წევრისაგან შედგება (ცოლი და ქმარი, შვილები, მშობლები, და-ძმანი და ა.შ.). ოჯახური ცხოვრება თავის მშვენიერ და ხინჯიან მომენტებს შეიცავს და ოჯახის წევრებს სრულიადაც არ სურთ მისი გახმაურება. „ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრება, პირადი საქმიანობის ადგილი, პირადი ჩანაწერი, მიმოწერა, საუბარი სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებით და სხვა, ხელშეუხებელია“.[1]

გარდა ოჯახის საიდუმლოებისა თითოეულ წევრს პირადი საიდუმლოებანიც გააჩნიათ. ყველა ეს საიდუმლო საიმედოდ არის დაცული კონსტიტუციით და სისხლის სამართლის კანონმდებლობით. არავისა აქვს მისი მოპოვებისა და გახმაურება-გამოყენების უფლება.

ოჯახის საიდუმლოებას წარმოადგენს მისი ეკონომიკური შემოსავალი, წევრთა კონფლიქტური დამოკიდებულება, მომავალი ეკონომიკური და სულიერი ცხოვრების გეგმები და ა.შ.

პირად საიდუმლოებას წარმოადგენს ოჯახის წევრის პირადი თვისებები, ჩვევები, დაავადება, ხასიათი, ვალი, ინტიმური კავშირი და მრავალი სხვა.

განსახილველი მუხლის პირველი ნაწილი სასჯელს აწესებს იმ პირის მიმართ, რომელმაც მოახდინა სხვისი „პირადი ან ოჯახური ცხოვრების საიდუმლოების უკანონოდ მოპოვება, შენახვა ან გავრცელება“. კანონი მკვეთრად უსვამს ხაზს დასჯად მომენტებს — საიდუმლოების მოპოვებას, შენახვას, გავრცელებას. მოპოვებაში იგულისხმება დამნაშავისათვის საინტერესო პირის, ან ოჯახის საიდუმლო ცნობების შეგროვება, მასში გაცნობიერება და დაზუსტება. შენახვაში იგულისხმება მისი საიდუმლოდ დაცვა, გაუმჟღავნებლობა, შეიძლება ითქვას საჭიროებისათვის შემონახვა.

გავრცელებაში კანონმდებელი გულისხმობს საიდუმლო ცნობების სხვისთვის მოყოლას თუნდაც ერთ რომელიმე პირზე. მაგალითად, დამნაშავემ, მტრული დამოკიდებულების გამო, მის ნაცნობ

1. საქ. კონსტ. მუხ. 20, 1995 წ.

ოჯახზე მოიპოვა ოჯახისათვის მეტად საიდუმლო ცნობა. კერძოდ ის, რომ ოჯახის ქალიშვილი დაავადებულია ეპილეფსიით და შეინახა ის, მერე კი გაავრცელა, ე. ი. უამბო ერთ ან რამდენიმე პირს რაიმე მიზანდასახულობის გარეშე. მუხლის პირველი ნაწილით კვალიფიკაციისათვის საიდუმლოს გავრცელების მიზანს მნიშვნელობა არ აქვს. ცნობების შეგროვებაში არ შედის, თუ პირმა შემთხვევით მოჰკრა ყური სხვის საიდუმლოს.

დანაშაული დამთავრებულია ოჯახის ან მისი რომელიმე წევრის პირადი საიდუმლოს მოპოვებისთანავე, ასევე ამ საიდუმლოს შენახვის გამო, ასევე გავრცელებისას.

მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს ,,პირადი ან ოჯახური ცხოვრების საიდუმლოების უკანონო გამოყენებას, ასევე მის გავრცელებას საჯარო გამოსვლით, ბეჭდვითი სიტყვის ან მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით და ა.შ.“

გამოყენებაში იგულისხმება საიდუმლოების განთქმა დამნაშავისაგან საიდუმლოს მფლობელის სახელის გატეხის მიზნით.

საჯარო გამოსვლაში კანონმდებელი გულისხმობს საიდუმლო ცნობების გაცხადებას ორგანიზაციის წევრთა საერთო კრებაზე, სხვა თავყრილობაზე და ა.შ.

ბეჭდვითი სიტყვითა და მასობრივი საშუალებებით ინფორმაციის გავრცელებაში იგულისხმება პირადი და ოჯახური საიდუმლოს გამჟღავნება გაზეთით, ჟურნალით, რადიოთი, ტელევიზიით.

მუხლის მესამე ნაწილი ითვალისწინებს საიდუმლოს გამჟღავნებას, როცა იგი ჩადენილია ანგარებით, არაერთგზის, ან თუ საიდუმლო გასცა მან, ვისაც სამსახურებრივი და პროფესიული საქმიანობის გამო ევალებოდა მისი დაცვა, ან თუ მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

ანგარებას მაშინ აქვს ადგილი, როცა დამნაშავე მისგან მოპოვებულ მოქალაქის ან ოჯახის საიდუმლოებას გასცემს დაინტერესებულ პირზე ფულადი, მატერიალური ან სხვა რამ საქმიანი სარგებლობის სანაცვლოდ.

პიროვნებისა და ოჯახის საიდუმლოების დაცვა ევალება სამართალდამცავ ორგანოებს (თუ ეს საიდუმლოება დანაშაულებრივი არ არის), შემნახველი სალაროს, ჯანმრთელობის დაცვის და სხვა მუშაკებს.

ობიექტი – მოქალაქის კონსტიტუციური უფლება.

ობიექტური მხარე გამოიხატება საიდუმლოს შეგროვებაში, გამჟღავნებაში, გამოყენებაში და ა.შ.

სუბიექტური მხარე — პირდაპირი განზრახვა.

კერძო საუბრის საიდუმლოების დარღვევა — მუხლი 158

განსახილველი მუხლი იცავს ადამიანის კერძო საუბრის საიდუმლოებას, როგორც კონსტიტუციურ პრინციპს. იგი პასუხისმგებლობას აკისრებს პირს, რომელიც, სხვისი კერძო საუბრით დაინტერესებული, უკანონოდ ჩაიწერს მას ან მიაყურადებს ტექნიკური საშუალებების გამოყენებით.

დამნაშავეს კერძო საუბრის ჩაწერა შეუძლია როგორც ხელით, ასევე მაგნიტოფონრების საშუალებით, ხოლო მოსმენა ტელეფონით, ფაქსით, ტელექსით და სხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით.

აღნიშნული ქმედება დამნაშავემ შეიძლება ჩაიდინოს უბრალო ცნობისმოყვარეობით, ან შემდგომი გახმაურების მიზნით. ე. ი. პირველი ნაწილი კერძო საუბრისა მხოლოდ მიყურადებისა და დაფიქსირებისათვის სჯის დამნაშავეს.

სუბიექტი დანაშაულისა შეიძლება იყოს ნებისმიერი მოქალაქე ან თანამდებობის პირი, ვისაც ამის საშუალება გააჩნია, კერძოდ: სატელეფონო-კავშირგაბმულობის მუშაკები, სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლები და სხვა.

მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას აწესებს იმ პირის მიმართ, რომელმაც ზემოთ მითითებული წესით მოპოვებული ინფორმაციები უკანონოდ გამოიყენა და გაავრცელა. უკანონო გავრცელებაში იგულისხმება ინფორმაციის შინაარსის გადაცემა სხვა მოქალაქეებისადმი, ხოლო უკანონო გამოყენებაში კანონმდებელი ითვალისწინებს დამნაშავისაგან ამ ინფორმაციით პირადი ან სხვისი ინტერესის დაკმაყოფილებას (ინტიმური საკითხების გარკვევა, სამსახურებრივი მდგომარეობის დაზუსტება, ეკონომიკური საიდუმლოებანი და ა.შ.).

მუხლის მესამე ნაწილი პასუხისმგებლობას აწესებს მაშინ, როდესაც დამნაშავე პირველი ან მეორე ნაწილით გათვალისწინე-

ბულ ქმედებას ჩადის ანგარებით, ე.ი. პირადი სარგებლობის მიზნით, არაერთგზის, ე.ი. ორჯერ ან მეტჯერ.

სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებაში კანონმდებელი გულისხმობს სატელეგრაფო და სატელეფონო ან სხვა მუშაკს, რომელმაც თავისი სამსახურებრივი მდგომარეობით უკანონოდ მოიპოვა ინფორმაცია კერძო პირის საუბრის დროს, ჩაიწერა და ისარგებლა იმდაგვარად, რომ გამოიყენა იგი, მნიშვნელოვნად დააზიანა პიროვნების კანონიერი ინტერესები, ე.ი. დაზარალებულმა განიცადა მატერიალური ან მორალური ზიანი. მაგალითად, ოჯახში არსებული ქონების ოდენობის გახმაურების გამო გაქურდეს მისი ბინა და სხვა.

სუბიექტური მხარე გამოიხატება აშკარა განზრახვაში. დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ უკანონოდ, უფლების დარღვევით იწერს მოქალაქის პირად საუბარს და უკანონოდ იყენებს მას, მაგრამ უშვებს ასეთს და სურს ამ მოქმედების შედეგი.

ობიექტი დანაშაულისა არის მოქალაქის კონსტიტუციური უფლება. ობიექტური მხარე კი ამ უფლების დარღვევაში მდგომარეობს.

პირადი მიმოწერის, ტელეფონით საუბრის ან სხვაგვარი ხერხით შეტყობინების საიდუმლოების დარღვევა — მუხლი 159

მუხლის პირველი ნაწილი ასეთი შინაარსისაა: „პირადი მიმოწერის ან საფოსტო გზავნილის, ტელეფონით ან სხვა ტექნიკური საშუალებით საუბრის ანდა ტელეგრაფით, ფაქსით ან სხვა ტექნიკური საშუალებით მიღებული ან გადაცემული შეტყობინების საიდუმლოების უკანონოდ დარღვევა“.

მოცემული დანაშაული ხელყოფს მოქალაქის კონსტიტუციურ უფლებას — დაცული იქნეს მისი სატელეფონო საუბრის, პირადი მიმოწერის, საფოსტო გზავნილის ან სხვა ურთიერთობის საიდუმლოება.

მოქმედება დანაშაულებრივ სახეს იძენს მაშინ, როდესაც სუბიექტი ზემოთ აღნიშნულ გზავნილობებს, მიმოწერებს თუ საუბრებს ადრესატის ნებართვის გარეშე გააცნობს უცხო მოქალაქეებს,

ამ საიდუმლოებით დაინტერესებულ თუ დაუინტერესებელ პირებს. კერძოდ, გახსნის ამანათს ან ბარათს და შიგ მოთავსებულ ნივთებს ან წერილის შინაარსს გააცნობს სხვას, ან სატელეფონო აპარატით უცხო პირს მოასმენინებს დამკვეთის საუბარს.

როცა ვლაპარაკობთ საიდუმლოების უკანონო გაცნობაზე, უნდა ვიგულისხმოთ, რომ გაცნობის კანონიერი საზღვრებიც არსებობს.

გაცნობა კანონიერად ითვლება მაშინ, როდესაც კორესპონდენცია, გზავნილობა თუ საუბარი ამოღებული იქნება სასამართლოს თუ გამომძიებლის მოტივირებული დადგენილებით და სანქციით ამა თუ იმ საგამოძიებო საქმესთან დაკავშირებით, დანაშაულის გახსნის მიზნით, დამნაშავის გამოვლინებისა და დაკავებისათვის.

განსახილველი დანაშაული დამთავრებულად ითვლება მიმოწერის თუ სხვა საიდუმლოების გაცნობისთანავე.

დანაშაულის ჩადენა ხდება მხოლოდ პირდაპირი განზრახვით. დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ ის უკანონოდ აცნობს, ახმაურებს გზავნილობების თუ კორესპონდენციების საიდუმლოებას, რითაც არღვევს მოქალაქის კონსტიტუციურ უფლებას და ა.შ.

მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს იგივე ქმედებისათვის, რომელიც ჩადენილია:

ა) ანგარებით, ე. ი. რაიმე გამორჩენის მიღების მიზნით;

ბ) არაერთგზის, ე. ი. ორჯერ ან მეტჯერ;

გ) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით (ამ დანაშაულის ჩადენა შეუძლიათ ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკებს);

დ) რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია;

მნიშვნელოვან ზიანში იგულისხმება მატერიალური ან სულიერი ვნება.

სულიერ ზიანში შეიძლება ვიგულისხმოთ დაზარალებულის ინტიმური სატრფიალო საუბრის გახმაურება, რამაც ჩაშალა ეს დამოკიდებულება.

მატერიალური ზიანი შეიძლება გამოიწვიოს საიდუმლოების გახმაურებით გამოწვეულმა გაძარცვამ და ა.შ.

ობიექტი · დანაშაულისა არის ადამიანის კონსტიტუციური უფლებები პირადი მიმოწერის ან საფოსტო გზავნილის, ტელეგრაფით ან სხვა ტექნიკური საშუალებით მიღებული და გადაცემული საიდუმლოება.

ობიექტური მხარე გამოიხატება ამ საიდუმლოებათა დარღვევაში.

სუბიექტური მხარე გამოიხატება განზრახ მოქმედებაში — დამნაშავემ შეგნებულად იცის, რომ არღვევს მოქალაქის მიმოწერისა და გზავნილობის საიდუმლოების დაცვის უფლებას, მაგრამ სურს და უშვებს მას. მოტივი დანაშაულისა შეიძლება იყოს ანგარება, შური, სიძულვილი, ცნობისმოყვარეობა, ეჭვიანობა და ა.შ.

ბინის ან სხვა სამფლობელოს ხელშეუხებლობის დარღვევა — მუხლი 160

„არავის არ აქვს უფლება შევიდეს საცხოვრებელ ბინაში და სხვა მფლობელობაში მფლობელ პირთა ნების საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ჩაატაროს ჩხრეკა, თუ არ არის სასამართლოს გადაწყვეტილება ან კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობა“ (კონსტ.მუხ.20).

მოქალაქის ამ უფლებას დანაშაულებრივი ხელყოფისაგან იცავს სისხლის სამართლის კანონი.

მუხლი სამი ნაწილისაგან შედგება — პირველი ნაწილი ასეთი შინაარსისაა:

„ბინაში ან სხვა სამფლობელოში მფლობელის ნების საწინააღმდეგოდ უკანონო შესვლა, აგრეთვე უკანონო ჩხრეკა ან სხვა მოქმედება, რომელიც არღვევს ბინის ან სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობას“.

ბინა არის ადამიანის დროებითი ან მუდმივი საცხოვრებელი სახლი, ოთახი, რომელშიაც ცხოვრობს მოქალაქე და რომელიც სპეციალურად მოწყობილია საცხოვრებლად.

ბინაში ცხოვრების სახეს, ფორმას (დაგირავება, დაქირავება, ნათხოვრობა) და ცხოვრების ხანგრძლივობას კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არ აქვს.

სხვა სამფლობელოში კანონმდებელი გულისხმობს მოქალაქის განკარგულებაში მყოფ სხვა ფართსაც — საკუთარ სავაჭროს, საამქროს, შემორაგვულ ეზოს, ფერმას და ა.შ.

დანაშაულებრივი მოქმედება გამოიხატება მასში, რომ დამნაშავე მფლობელის ნებართვის გარეშე, უკანონოდ შედის ბინაში

ან სამფლობელოში მისი გაჩხრეკის, დათვალიერების, მისთვის საინტერესო გარემოებათა შესწავლა-გარკვევის მიზნით (თუ რა აქვს მფლობელს ბინაში ან სამფლობელოში — ნივთები, იარაღები, ავეჯი, მატერიალური და სხვა სიმდიდრე, რას წარმოადგენს საამქრო, რა სახის ნედლეული შეაქვს, რას ამზადებენ და ა.შ.).

კანონის პირველი ნაწილი, ამასთან ერთად, ითვალისწინებს ბინის ან სხვა სამფლობელოს უკანონო ჩხრეკას, ე. ი. ისეთ ჩხრეკას, რომელიც ხდება მოსამართლის დასაბუთებული დადგენილების გარეშე (თუ არ მივიღებთ მხედველობაში ჩრეკის კანონიერ გადაუდებლობას).

„ან სხვა მოქმედებაში“ კანონმდებელი გულისხმობს ბინის ან სხვა სამფლობელოს შესწავლას სხვა მოგზავნილი პირისაგან ფარულად დათვალიერებით და ა.შ.

ბინაში ან სხვა სამფლობელოში შესვლა უკანონოდ არ ჩაითვლება, თუ იგი გამოწვეულია მათი დაცვის აუცილებლობით (ხანძარი, წყლის ჭავლისაგან და ა.შ.).

დანაშაული დამთავრებულად ჩაითვლება უნებართვოდ შესვლის, დათვალიერების, ჩხრეკისთანავე.

მოცემული დანაშაულის ჩადენა ხდება მხოლოდ პირდაპირი განზრახვით. დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ არღვევს მოქალაქის ბინის ან სხვა სამფლობელოს ხელშეუხებლობის კონსტიტუციურ მოთხოვნას, მაგრამ სურს და ჩადის მას. მოტივი და მიზანი შეიძლება მრავალნაირი იქნეს.

მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს დანაშაულის შედარებით კვალიფიციურ სახეს — როდესაც პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებას დამნაშავე ჩადის ფიზიკური ძალადობით ან ასეთი ძალადობის მუქარით, ანდა რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. ამ შინაარსში კანონმდებელი გულისხმობს ბინისა თუ სამფლობელოს მეპატრონის წინააღმდეგობის დაძლევას ფიზიკური ძალის გამოყენებით და ამ საშუალებით მის ბინასა თუ სამფლობელოში შეღწევას. ძალადობა შეიძლება გამოიხატოს მეპატრონის ცემაში, შებოჭვაში, ხელისკვრით გვერდზე მიგდებაში, დამწყვდევა-დაკავებაში და ა.შ.

თუ ასეთი მოქმედებით დაზარალებული ფიზიკურად დაზიანდა, დამნაშავის მოქმედება დაკვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობით.

ძალადობის მუქარა გამოიხატება მასში, რომ დამნაშავე წინასწარ ემუქრება დაზარალებულს ცემით ან სხვაგვარი ძალადობით თუკი იგი წინ აღუდგება დამნაშავის წადილს ბინასა თუ სხვა სამფლობელოში უკანონოდ შესვლაზე.

მნიშვნელოვანი ზიანი დაზარალებულმა შეიძლება განიცადოს მისი ქონებისა და სხვა ეკონომიკური სიმდიდრის გახმაურების შედეგად (გაჭირდვით, გაძარცვით, ყაჩაღური თავდასხმით და ა.შ.).

მუხლის მესამე ნაწილი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს მაშინ, თუ პირველი ან მეორე ნაწილით გათვალისწინებული ქმედება ჩადენილია ჯგუფურად, ან იარაღით, ანდა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით.

ჯგუფურად, ე. ი. ორი ან მეტი პირის მიერ მათ წინასწარ შეთანხმებას თუ შეთანხმების გარეშე მოქმედებას კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არ აქვს.

იარაღის გამოყენებაში კანონმდებელი გულისხმობს ბინაში ან სამფლობელოში შეღწევისათვის, მეპატრონის დაშინების მიზნით, იარაღის მომარჯვებას, გასროლასაც კი, რათა დაითრგუნოს მეპატრონის წინააღმდეგობის უნარი.

სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებაში კანონმდებელი გულისხმობს დამნაშავისაგან თავისი თანამდებობრივი დოკუმენტის წარდგენას ბინის მფლობელისადმი, რათა ამით კანონიერად მოაჩვენოს მას ბინაში თუ სამფლობელოში უკანონო შესვლა ან მისი ჩხრეკა (პროკურატურის, პოლიციის, მუნიციპალიტეტის მუშაკი, სასტუმროს დირექცია და ა.შ.).

დანაშაულებრივ ქმედება არ არის, როდესაც სასტუმროს დირექცია ოთახებს ათვალიერებს სისუფთავის, მოშსახურებისა და სხვა საკითხების შესწავლის თვალსაზრისით, ან როცა სტუდენტთა საერთო საცხოვრებელ ბინებს კომენდატურა ათვალიერებს მომავალი შეკეთების საკითხის გადასაწყვეტად და ა.შ.

ობიექტი დანაშაულისა არის მოქალაქის უფლება და თავისუფლება, ობიექტური მხარე გამოიხატება კანონში ჩამოთვლილი უფლებების დარღვევაში.'

შეკრების ან მანიფესტაციის უფლების ხელყოფა – მუხლი 161

კონსტიტუციის 25-ე მუხლი აღიარებს: ,,ყველას, გარდა იმ პირებისა, რომლებიც არიან სამხედრო ძალების, პოლიციისა და უშიშროების სამსახურის შემადგენლობაში, უფლება აქვს წინასწარი ნებართვის გარეშე შეიკრიბოს საჯაროდ და უიარაღოდ როგორც ჭერქვეშ, ისე გარეთ".

1997 წლის 31 ივლისის კანონი ,,შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" არეგულირებს კონსტიტუციით აღიარებული უფლებების განხორციელებას, კერძოდ, შეკრებებისა და მანიფესტაციის ჩატარების ორგანიზაციის წესებს, გაფრთხილების შეტანის ვადებს, ჩატარების ადგილს, მიზანს, ფორმას, დაწყებისა და დამთავრების დროს და ა.შ.

კონსტიტუციითა და ამ კანონით განხორციელებული შეკრებისა და მანიფესტაციისათვის ხელის შეშლა კანონმდებელმა დანაშაულად ჩათვალა და გაითვალისწინა განსახილველ მუხლში. იგი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველის დისპოზიცია ასეთია: ,,შეკრების ან მანიფესტაციის, აგრეთვე მასში მონაწილეობის უფლების განხორციელებისათვის უკანონოდ ხელის შეშლა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, აგრეთვე ფიზიკური ძალადობით ან ასეთი ძალადობის მუქარით".

დანაშაულის ამსრულებელი არის მოხელე – თანამდებობის პირი (სამართალდამცავი ორგანოების ან მმართველობის ხელმძღვანელი მუშაკი).

კანონი პირველ ნაწილში ხაზს უსვამს ადამიანთა შეკრებისაა ან მანიფესტაციისათვის საერთოდ ხელის შეშლას, აგრეთვე თითოეული პირის მონაწილეობის უფლების განხორციელებისათვის უკანონოდ ხელის შეშლას, რომელსაც დამნაშავე ახერხებს სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ასევე აღწევს ფიზიკური ძალადობის განხორციელებით, ან ასეთი ძალადობის მუქარით.

შეკრებაში კანონმდებელი გულისხმობს მრავალ ადამიანთა შეგროვებას სოლიდარობის, პოლიტიკური, ეკონომიკური აზრის გამოთქმის მიზნით.

მანიფესტაცია არის მასობრივი მსვლელობა ქუჩაში სოლიდარობის ან პროტესტის გამოსახატავად. იგი შეიძლება მიმართული

იყოს ქვეყნის ან ადგილობრივი ხელმძღვანელობის თუ ცალკეული ხელმძღვანელი პირის მიმართ და ა.შ.

მანიფესტაცია თუ შეკრება მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებაა, თუკი იგი მიმართული არ არის ქვეყნის ძირის გამოსათხრელად, არ მოუწოდებს ადამიანებს ერთა შორის ურთიერთობის გამწვავებისა და ახალი კონფლიქტების გასაჩაღებლად.

დანაშაულად ითვლება ისეთი შეკრებისა თუ მანიფესტაციისათვის ხელის შეშლა, რომელიც დასაბუთებულად აღიარებს ამა თუ იმ რელიგიურ აღმსარებლობას, რომელიმე პოლიტიკური პარტიის პროგრამას, მოიცავს არსებული ეკონომიკური და პოლიტიკური საფუძვლების ობიექტურ კრიტიკას და ა.შ.

შეკრებისა ან მანიფესტაციისათვის ხელის შეშლა შეიძლება ორგანიზატორზე მიწერით, გაფრთხილებით — არ მოაწყოს ღონისძიება, შეკრების ადგილზე სათანადო ძალებისა და საშუალებების გამოყვანით, რათა არ დაუშვან მონაწილენი, გააფრთხილონ ცალკეული პირები, არ გამოცხადდნენ შეკრებაზე და ა.შ.

ფიზიკურ ძალადობაში კანონმდებელი გულისხმობს შეკრების მონაწილეთა ფიზიკური ძალით, ხელის კვრით განდევნას, ცემას და ა.შ. თუკი ამ მოქმედებას რომელიმე ხარისხის დაზიანება მოჰყვა, მოქმედება დაკვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობით.

ძალადობის მუქარაში კანონმდებელი გულისხმობს შეკრების მონაწილეთა დაშინებას ფიზიკური საშუალებების გამოყენების მუქარით. სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებაში იგულისხმება სამართალდამცავი ორგანოების მიერ შეკრებისა და მანიფესტაციის ადგილებამდე მისასვლელების გადაკეტვა, ხერგილების მოწყობა და ა.შ.

მუხლის მეორე ნაწილი დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევს, თუ შეკრების ან მანიფესტაციის მოწყობისათვის ხელის შეშლას თან სდევდა იარაღის გამოყენება, ან თუ ამ ხელის შეშლამ გამოიწვია მასობრივი არეულობა, გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი.

იარაღის გამოყენებაში კანონმდებელი გულისხმობს ცეცხლსასროლი იარაღის მომარჯვებას, გასროლას შეკრების ან მანიფესტაციის მონაწილეთა დაშინების მიზნით.

მასიურ არეულობაში იგულისხმება დამნაშავის უკანონო

მოქმედებით შეკრების მონაწილეთა საპროტესტო აღელვება, აზვირთება, ქუჩებისა და მოედნების გადაკეტვა, დარბევა და ა.შ. რასაც შეიძლება მოჰყვეს ადამიანის დაღუპვა ან სხვა მძიმე შედეგი. მძიმე შედეგში კანონმდებელი გულისხმობს ღონისძიებათა ჩაშლას, მუშაობის შეჩერებას, მატერიალურ ზარალს და ა.შ.

მოტივი დამნაშავისა შეიძლება იყოს პოლიტიკური, კარიერისტული, მტრული და ა.შ.

სუბიექტური მხარე გამოიხატება პირდაპირ გაზრახვაში — დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ იგი თავისი მოქმედებით არღვევს მოქალაქეთა კონსტიტუციურ უფლებას და უკანონოდ უშლის ხელს შეკრების მოწყობას, მაგრამ უშვებს ასეთს და სურს იგი.

ობიექტი დანაშაულისა არის შეკრებისა და მანიფესტაციის მოწყობის კონსტიტუციური უფლება, ხოლო ობიექტური მხარე ამ უფლების დარღვევაში გამოიხატება.

არჩევნებში, რეფერენდუმში ან კლებისციტში ნების განხორციელებისათვის ხელის შეშლა — მუხლი 162

რეფერენდუმი ლათინური სიტყვაა და საერთო, საყოველთაო კენჭისყრით გამოკითხვას ნიშნავს.

პლებისციტში თავისუფალი მონაწილეობა საქართველოს მოქალაქის კონსტიტუციური უფლებაა (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 28). მოქალაქის ეს უფლება დაცულია სისხლის სამართლის კოდექსის 162-ე მუხლით.

მუხლის პირველი ნაწილის დისპოზიცია ასეთია: „არჩევნებში, რეფერენდუმში ან პლებისციტში ნების განხორციელებისათვის ხელის შეშლა“.

დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება მასში, რომ დამნაშავე ხელს უშლის მოქალაქეს თავისი ნების მიხედვით მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში, რეფერენდუმსა ან პლებისციტში. ხელის შეშლა შეიძლება გამოვლინდეს მოქალაქის მოტყუებაში (კანდიდატის პიროვნების, შეკრების ჩატარების დროის, ადგილის ან სხვა მომენტების ფაქტიური მდგომარეობის დამალვით, რათა მოქალაქემ მონაწილეობა ვერ მიიღოს არჩევნებში, რეფერენდუმში ან პლე-

ბისციტში, ხმა ვერ მისცეს სასურველ კანდიდატს), მისასვლელი გზების გადაკეტვაში, საარჩევნო ყუთებთან უწესრიგობაში, დაშინებასა და ა.შ. რაც შეუძლებელს ხდის, მოქალაქემ განახორციელოს თავისი კონსტიტუციური უფლება.

იძულება შეიძლება გამოიხატოს მოქალაქის დაშინებით, სამსახურიდან მოხსნით, დაქვეითებით, ხელფასის შემცირებით და ა.შ.

მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს, როდესაც იგივე ქმედება ჩადენილია: ა) სამსახურებრივი მდგომარეობის ან იარაღის გამოყენებით; ბ) მოტყუებით; გ) ძალადობით ან ასეთის მუქარით; დ) ჯგუფურად.

სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებაში კანონმდებელი გულისხმობს იმას, რომ დამნაშავემ ხელისშემშლელი ღონისძიება განახორციელა, მაგალითად: მონაწილეობა არ მიაღებინა მთელს კოლექტივს თავისი თანამდებობრივი მდგომარეობის გავლენის გამო და ა.შ.

ძალადობა გამოიხატება ნებისმიერი ფიზიკური ზემოქმედების გამოყენებაში (ცემა, დაზიანება, დაკავება და ა.შ.).

მოტყუებაში შეიძლება ვიგულისხმოთ ამომრჩეველთა შეცდენა საარჩევნო დღის გადადების ყალბად გამოცხადებით.

მუქარა შეიძლება განხორციელდეს დაზარალებულის სახელის გამტეხი ცნობების გახმაურების მუქარით ან ქონების დანაშაულებრივი ხელყოფით (განადგურებით, დაზიანებით და ა.შ.).

სუბიექტური მხარე გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში: დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ იგი უკანონოდ უშლის ხელს მოქალაქეს რეფერენდუმსა ან პლებისციტში მონაწილეობის ან საარჩევნო უფლების განხორციელებაში და სურს.

ობიექტი – მოქალაქის კონსტიტუციური უფლება. პირთა ჯგუფის თაობაზე საუბარი იყო 109-ე მუხლის განხილვის დროს.

საარჩევნო ან სარეფერენდუმო კომისიის მუშაობისათვის ხელის შეშლა – მუხლი 163

არჩევნები ეწყობა საყოველთაო თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლებების საფუძველზე ფარული კენჭისყრით. არჩევის უფლება აქვს საქართველოს მოქალაქეს, რომელსაც სათანადო ასაკი შეუსრულდა.

არჩევნების და რეფერენდუმის ჩასატარებლად იქმნება კომისიები.

არჩევნების ჩატარების ორგანიზაციულ-სამართლებრივი უზრუნველყოფის მიზნით ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან შეიძლება შეიქმნას სამუშაო ჯგუფები.

საარჩრევნო კომისია, თავისი უფლებამოსილებისა და კომპეტენციის ფარგლებში, თავის სამოქმედო ტერიტორიაზე აკონტროლებს კონსტიტუციისა და არჩევნების შესახებ ორგანული კანონის შესრულების უზრუნველყოფას, აქვეყნებს საარჩევნო ღონისძიებათა დაწყებისა და დამთავრების თარიღებს, რეგისტრაციაში ატარებს არჩევნებში მონაწილე პარტიებსა და საარჩევნო ბლოკებს, დამოუკიდებლად მონაწილე პარტიებს, ისმენს მათ ინფორმაციებს. ცენტრალური საარჩრევნო კომისია ამოწმებს საარჩევნო კომისიების გადაწყვეტილებათა კანონიერებას, ზომებს იღებს საარჩევნო კამპანიაში პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების, პარლამენტის წევრობის კანდიდატების მონაწილეობის თანაბარი პირობების უზრუნველსაყოფად. ადგენს არჩევნების შედეგებს პარტიული სიების მიხედვით, საჭიროების შემთხვევაში ნიშნავს ხელახალ ხმის მიცემას.

შესატყვისი უფლებები გააჩნია საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებს და ა.შ.

კომისია ყურადღებას ამახვილებს ამომრჩეველთა სიების შედგენასა და დაზუსტებაზე. არჩევნების დღეს აწყობს კენჭისყრის დროულობის ორგანიზაციას, ქმნის ამომრჩეველთათვის სათანადო პირობებს, უზრუნველყოფს ფარულობისა და საიდუმლოების სრულ დაცვას, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს კენჭისყრის დამთავრების შემდეგ ბიულეტენების დათვლას, მათს ვარგისად ცნობას, რეკვიზიტების შემოწმებას, ახარისხებს და ითვლის ყოველი პარტიის ხმათა ოდენობას, აჯამებს შედეგებს და ა.შ. კომისიის მუშაობა მიჩნეულია რა მეტად სერიოზულ პოლიტიკურ კამპანიად, მისი ხარისხობრივი და ობიექტური ჩატარება მნიშვნელოვნად განაპირობებს ღირსეულთა არჩევას და ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ წინსვლას. სწორედ ამიტომ შემოიღო კანონმდებელმა სპეციალური მუხლი სისხლის სამართალში, რათა არ მოხდეს საარჩევნო ან სარეფერენდუმო კომისიის მუშაობისათვის დანაშაულებრივი ხელის შეშლა.

განსახილველი მუხლი ერთი ნაწილისაგან შედგება. მისი

შინაარსი ასეთია: საარჩევნო ან სარეფერენდუმო კომისიის მუშაობისათვის ხელის შეშლა, რამაც არჩევნების, რეფერენდუმის ან პლებისციტის ჩაშლა გამოიწვია.

დანაშაული ხელყოფს კანონით დადგენილ კომისიის სამუშაო წესებს. ეს ხელყოფა შეიძლება გამოიხატოს მასში, რომ დამნაშავემ კომისიას არ მისცეს ნორმალური მუშაობის საშუალება, კერძოდ: სცადა, დაარღვიოს ბიულეტენების შევსების ფარულობა, არ მისცეს ხმის დათვლის თანმიმდევრობის შესაძლებლობა, ცალკეული ბიულეტენების დათვლის, პაკეტებად შეკვრის, ყუთებში არსებული სხვადასხვა ფერის ბიულეტენის გადარჩევის, დახარისხების საშუალება და ა.შ. ყოველივე ეს დამნაშავემ შეიძლება განახორციელოს ძალადობით, ან ასეთის მუქარით, მოსყიდვით, თანამდებობის მოშველიებით და სხვა.

სუბიექტური მხარე გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში. დამნაშავეს შეგნებული აქვს მისი საქციელის უკანონობის ხასიათი, მაგრამ უშვებს მას შეგნებულად და სურს ეს.

მოტივი დანაშაულისა შეიძლება მრავალი სახის იქნეს: რომელიმე პარტიის მხარის დაჭერა, საერთო განაწყენება საარჩევნო კომისიაზე და ა.შ.

ობიექტი დანაშაულისა არის ადამიანთა უფლებები და თავისუფლება.

ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა, ხმების არასწორად დათვლა ან არჩევნების შედეგების არასწორად შეჯამება – მუხლი 164

რეფერენდუმებსა და სახელმწიფო თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის უფლება და ამომრჩეველთა ნების თავისუფალი გამოვლინება დაკანონებულია საქართველოს კონსტიტუციის 28-ე მუხლით.

ამ კონსტიტუციური უფლებამოსილების განხორციელების უზრუნველყოფა აკისრია სისხლის სამართლის კოდექსის 164-ე მუხლს. ის ერთი ნაწილისაგან შედგება. დისპოზიციის შინაარსი ასეთია:

„არჩევნებში, რეფერენდუმებში ან პლებისციტში მონაწილის ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა, საარჩევნო ან სარეფე-

რენდუმო კომისიის წევრის ან ასეთ კომისიაში რწმუნებულად ან მეთვალყურედ დანიშნულის მიერ საარჩევნო, სარეფერენდუმო ან საპლებისციტო დოკუმენტების გაყალბება, ხმების განზრახ არასწორად დათვლა ან შეგნებულად არჩევნების ანდა რეფერენდუმის ან პლებისციტის შედეგების არასწორად დადგენა, შედეგების არასწორად შეჯამება.“

დემოკრატიულ სახელმწიფოში, სადაც ადამიანთა ნება თავისუფალ გასაჭანს პოულობს, არჩევნები ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური ერთიანობისა და სიმტკიცის საფუძველს წარმოადგენს.

კანონიერი არჩევნები საზოგადოების ფართო მასების ინტერესების გამარჯვების საწინდარია, რითაც საფუძველი ეყრება მოწინავე პარტიებისა და ღირსეული დეპუტატების არჩევას, ეს კი მთლიანი ღერძია ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური მიმართულებების წარმატებული მართვისა, საგარეო და საშინაო პოლიტიკის აღმავლობისა, ქვეყნის აღმშენებლობისა და ა.შ.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, არჩევნებში, რეფერენდუმსა და პლებისციტში მონაწილეობის ფარულობის დარღვევა, ხმების არასწორად დათვლა და არჩევნების შედეგების არასწორად შეჯამება შეიძლება სავალალო იქნეს ქვეყნისათვის.

საარჩევნო დოკუმენტების, ასევე რეფერენდუმის საბუთების გაყალბება გამოიხატება მასში ცრუ ცნობების შეტანით, რიცხვების გადასწორებით, გადაშლით, ასევე სრულიად სხვა ყალბი შინაარსის დოკუმენტების შედგენით და ა.შ.

საარჩევნო დოკუმენტებს მიეკუთვნება საარჩევნო ბიულეტენი, ამომრჩეველთა სიები, ხმის მიცემის მიმნიშებელი პირადობის მოწმობები და ა.შ. ამ დოკუმენტებისა და რეფერენდუმის საიდუმლოების დარღვევა - ფალსიფიკაცია ამახინჯებს ამომრჩეველთა ნების გამომხატველ ცნობებს და ხმის მიცემის საერთო შედეგებს.

წინასწარი შეცნობით ხმების არასწორად დაანგარიშება წარმოადგენს რეფერენდუმის ან ხმის მიცემის რეალური სახის განზრახ დამახინჯებას, რომელიც შეიძლება გამოიხატოს მიცემული ხმების როგორც ყალბად გადიდებაში, ასევე შემცირებაში, რაც მიმართული იქნება დეპუტატის, პარტიის, ან ერთი გადასაწყვეტი საკითხის წინააღმდეგ.

ამდაგვარ დანაშაულებრივ ხასიათს განეკუთვნება წინასწარი

განზრახვით რეფერენდუმის საერთო მონაცემების გაყალბება, რითაც დამნაშავე მისთვის სასურველ ერთ დეპუტატს ან ერთ პარტიას გამოაცხადებს არჩეულად, ხოლო მეორეს – დამარცხებულად და ა.შ.

ხმის დათვლის საიდუმლოების დარღვევა ხორციელდება სხვადასხვა მოქმედებებით, რაც ხელს უშლის რეალური ხმების ობიექტურად დათვლის შესაძლებლობას.

ასევე სერიოზულ დარღვევას წარმოადგენს ხმის მიცემის ადგილზე კაბინების შესაფერისად მოუწყობლობა, რის გამოც ამომრჩეველს საშუალება არ ექმნება, ნორმალურად შეავსოს საარჩევნო ბიულეტენი.

დანაშაული დამთავრებულად ითვლება ზემოთ ჩამოთვლილი რომელიმე ფაქტის დადგომისთანავე.

სუბიექტური მხარე დანაშაულისა ხასიათდება პირდაპირი განზრახვით: დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ ის არღვევს ხმის მიცემის საიდუმლოების პირობებს, არასწორად ითვლის ხმებს, აყალბებს საარჩევნო, სარეფერენდუმო ან საპლებისციტო დოკუმენტებს, რითაც არჩევნების გაყალბებულ შედეგებს აჩვენებს და სურს ასეთი.

მოტივი და მიზანი დანაშაულისა სრულიად სხვადასხვა შეიძლება იყოს (როგორც სახელმწიფო, ასევე პირადი). მათი სახეობის დადგენა კვალიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს.

დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს საარჩევნო კომისიის წევრი, რეფერენდუმის მომწყობი, კომისიაში დანიშნული რწმუნებული ან მეთვალყურე, ასევე სხვა თანამდებობის პირი, რომელსაც პირდაპირ ან გარკვეულწილად საქმე აქვს საარჩევნო სამუშაოების საიდუმლოების დაცვასთან.

გაფიცვის უფლების ხელყოფა – მუხლი 165

„გაფიცვის უფლება აღიარებულია. ამ უფლების განხორციელების წესი განსაზღვრულია კანონით...“ (კონსტიტუციის მუხლი 33). მოქალაქეს სრული უფლება გააჩნია, მკაფიოდ გამოხატოს თავისი კანონიერი უკმაყოფილება ქვეყნის საკანონმდებლო თუ

აღმასრულებელი ხელისუფლების, ასევე ცალკეული საწარმოსა, დაწესებულების ხელმძღვანელობის მიმართ.

უკმაყოფილების გამოხატვა მრავალი ფორმით შეიძლება და მათ შორის — გაფიცვითაც. გაფიცვა პროტესტის ნიშანია და იგი გამოიხატება გარკვეული დროით მუშაობის შეჩერებაში, სანამ დაკმაყოფილებული არ იქნება გაფიცულთა მოთხოვნა, ან არ მოხდება შეთანხმება მხარეთა შორის.

გაფიცვა შეიძლება იყოს მცირე ან ფართომასშტაბიანი, ე. ი. შეიძლება გაფიცვა მოაწყოს ერთმა რომელიმე საამქრომ ან მთელმა ქარხანამ მოკლე დროით (რამდენიმე საათით) ან ხანგრძლივი დროის განმავლობაში (რამდენიმე დღით).

იგი საზოგადოებრივი პროტესტია ხელმძღვანელი მუშაკების ამა თუ იმ მოქმედების ან უმოქმედობის წინააღმდეგ, ან ამა თუ იმ პრეტენზიის დაკმაყოფილებისათვის.

გაფიცულნი წერილობით ან სიტყვიერად წარადგენენ თავიანთ მოთხოვნას ხელმძღვანელობის წინაშე. გაფიცვა უნდა შეწყდეს ურთიერთ-შეთანხმებით, მოთხოვნის შესრულებისა და დათმობის, მხარეთა პოზიციების ურთიერთშერწყმისა და რეგულირების კანონიერი გზით. არავისა აქვს უფლება, ხელი შეუშალოს გაფიცვის განხორციელებას ფიზიკური ან სხვაგვარი ძალადობით ან მუქარით, აგრეთვე ზემოქმედების სხვა საშუალებებით. მოქალაქეთა ეს უფლება თავისუფლების შემადგენელი ნაწილია და დაცულია სისხლის სამართლის კანონმდებლობის 165-ე მუხლით. მისი დისპოზიცია ასეთი შინაარსის არის:

„გაფიცვის უფლების განხორციელებისათვის უკანონოდ ხელის შეშლა ფიზიკური ძალადობით, ან ძალადობის მუქარით, ანდა მატერიალური, სამსახურებრივი ან სხვაგვარი დამოკიდებულების გამოყენებით პირის იძულება, თავი შეიკავოს გაფიცვისაგან“.

გაფიცულებს ეკრძალებათ ისეთი საამქროებისა და წარმოების პროცესების შეჩერება, რომელიც იწვევს დიდ მატერიალურ ზარალს, წარმოების ციკლის ჩაშლას, რომლის განახლება დაკავშირებულია მეტად ხანგრძლივ პროცესთან.

საგაფიცვო თავკაცობა ვალდებულია, გაფიცვის მოწყობამდე გააცნოს ხელმძღვანელობას (რომლისკენაც გაფიცვაა მიმართული) საგაფიცვო მოძრაობის მიზანი, მოთხოვნის დედაარსი და ა.შ.

მოტივი გაფიცვისა მრავალი შეიძლება იყოს: პოლიტიკური,

ეკონომიკური და ა. შ. მაგალითად, საკითხის რეფერენდუმის წესით გადაწყვეტის მოთხოვნა, ხელფასის მომატების მოთხოვნა, საწარმოში ტექნიკური და ტექნოლოგიური პროცესების აუტანლობა და მრავალი სხვა.

დანაშაულებრივი მოქმედება გამოიხატება მასში, რომ დამნაშავე ფიზიკურად უსწორდება გაფიცულთ: ცემს, ერეკება ან ასეთი მოქმედებით ემუქრება ან აშინებს ჰუმანიტარული დახმარების მიუცემლობით, ან ხელფასის შემცირებით, ან სამსახურიდან გათავისუფლებით, თუკი ხელს არ აიღებს გაფიცვის მოწყობაზე ან მოწყობილს დაშლის და ა.შ.

ობიექტი დანაშაულისა არის მოქალაქის კონსტიტუციური უფლება და თავისუფლება.

ობიექტური მხარე გამოიხატება ამ უფლებათა შეზღუდვაში, დარღვევაში.

სუბიექტური მხარე მდგომარეობს პირდაპირ განზრახვაში. დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ ის უკანონოდ კრძალავს გაფიცვას, რითაც ბღალავს მოქალაქის კანონიერ უფლებამოსილებას, მაგრამ მაინც სჩადის ასეთ უკანონობას და სურს იგი.

პოლიტიკური, საზოგადოებრივი ან რელიგიური გაერთიანების შექმნისათვის თუ საქმიანობისათვის ხელის შეშლა – მუხლი 166

„ყველას აქვს საზოგადოებრივი გაერთიანებების, მათ შორის პროფესიული კავშირების შექმნის და მათში გაერთიანების უფლება.

საქართველოს მოქალაქეებს უფლება აქვთ ორგანული კანონის შესაბამისად შექმნან პოლიტიკური პარტია, სხვა პოლიტიკური გაერთიანება და მონაწილეობა მიიღონ მის საქმიანობაში“ (კონსტ.მუხლი 26).

ამ უფლებათა განხორციელებისათვის ხელის შეშლა კანონმდებელმა დანაშაულად ჩათვალა და სისხლის სამართლის კოდექსში ჩამოაყალიბა 166-ე მუხლი. იგი ერთი ნაწილისაგან შედგება. მისი დისპოზიცია ასეთი შინაარსისაა:

„პოლიტიკური, საზოგადოებრივი ან რელიგიური გაერთიანების შექმნისა თუ ასეთი გაერთიანების საქმიანობისათვის უკანო-

ნოდ ხელის შეშლა ფიზიკური ძალადობით ან ძალადობის მუქარით, ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით".

პოლიტიკურ გაერთიანებად იწოდება ისეთი ერთიანობა, რომელსაც გააჩნია თავისი პოლიტიკური პლატფორმა ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური მართვის მეცნიერული სტრუქტურის სფეროში, სადაც ჩამოყალიბებულია მოძღვრება სახელმწიფოებრივი მიზნების მისაღწევ საშუალებათა შესახებ და რეგისტრირებულია სახელმწიფოს მიერ. ის შეიძლება თავისი მიმართულებებით, პოლიტიკურ-ეკონომიკური ფორმითა და მართვის სტილით სრულიად განსხვავდებოდეს მმართველი პარტიის პლატფორმისაგან, მაგრამ ითვალისწინებდეს ქვეყნის აღმშენებლობის განსხვავებულ მოდელსა და მისი განხორციელების სრულიად სხვაგვარ წესებსა და ნორმებს.

არავისა აქვს უფლება, ხელი შეუშალოს ახალი პოლიტიკური პარტიის შექმნას და საქმიანობას, თუკი იგი მტრულად არ ეწინააღმდეგება ხალხისა და ქვეყნის ძირითად სახელმწიფოებრივ აღმშენებლობით მიმართულებას.

საზოგადოებრივი გაერთიანების ცნებაში კანონმდებელი გულისხმობს წებაყოფლობით შექმნილ კოლექტივს, სადაც გაერთიანებულია ორი ან მეტი მოქალაქე და საქმიანობენ ეკონომიკის, მშენებლობის, პროფესიულ კავშირთა თუ სხვა სახით, რეგისტრირებულია სახელმწიფოს მიერ და ჩართულია სახელმწიფო მშენებლობის ეკონომიკურ ციკლში.

რელიგიური გაერთიანება არის ღვთის მორწმუნეთა კავშირი, რომელიც აღიარებს რელიგიური მიმდინარეობის რომელიმე აღმსარებლობას, ქადაგებს ღვთისმოსაობას და სწრაფვას სიკეთისა და კაცთმოყვარეობისაკენ.

დანაშაული ორი სახის შემადგენლობით გამოიხატება:

1. დამნაშავე ხელს უშლის პოლიტიკური, საზოგადოებრივი ან რელიგიური გაერთიანების შექმნას (არ აძლევს გაერთიანების საშუალებას, რეგისტრაციის უფლებას, ოფისის მოპოვების შესაძლებლობას და ა.შ.);

2. დამნაშავე ხელს უშლის გაერთიანებას მუშაობის წარმართვაში (მოიწვიოს სხდომები, კრებები, ფარულად არბევს ბინას, აზიანებს ან ანადგურებს ინვენტარს, დოკუმენტებს და ა.შ. მაგალითად: 1995 წელს დაარბიეს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის შენობა).

კანონმდებელი „უკანონო ხელის შეშლას“ იმიტომ მოიხსენიებს, რომ კონსტიტუციის 26-ე მუხლის „ვ“ პუნქტის მიხედვით, დაუშვებელია ისეთი საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაერთიანების შექმნა და საქმიანობა, რომლის მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა ან რომელიც ეწევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს.

ხელის შეშლის ეს ორი სახე ხორციელდება:

1) ფიზიკური ძალის გამოყენებით (ცემით, გარეკვით, დარბევით და ა.შ. ან ასეთი ძალადობის მუქარით, დაშინებით);

2) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით (თანამდებობის პირი უსაფუძვლოდ არ აძლევს გაერთიანებას რეგისტრაციის საშუალებას, უმიზეზოდ უწუნებს დოკუმენტაციას და ა.შ.).

ობიექტი დანაშაულისა არის მოქალაქის კონსტიტუციური უფლება.

ობიექტური მხარე ამ უფლების ზემოთ მინიშნებულ დარღვევაში გამოიხატება.

სუბიექტური მხარე გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში.

ინფორმაციის გაცნობაზე უარის თქმა ან არასწორი ინფორმაციის წარდგენა – მუხლი 167

საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებებში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტს, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას.

ეს კონსტიტუციური უფლება ერთხელ კიდევ ადასტურებს ქვეყანაში ადამიანთა უფლებებისა და თავისიუფლების გამარჯვებას.

ეს პრინციპი დაცულია სისხლის სამართლის კანონის 167-ე მუხლით, რომლის დისპოზიცია ასეთი შინაარსის არის:

„პირისათვის უკანონო უარის თქმა მასზე არსებული ინფორმაციის ან ოფიციალური დოკუმენტის გაცნობაზე ანდა იმ დოკუმენტის ან მასალის წარდგენაზე, რომელიც უშუალოდ შეეხება

მის უფლებებსა და თავისუფლებებს, აგრეთვე ასეთი ინფორმაციის, დოკუმენტის ან მასალის არასრულად ან დამახინჯებულად წარდგენა, ანდა მის გასაცნობად სხვაგვარად უკანონოდ ხელის შეშლა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.“

დანაშაულის ამსრულებელი ის ოფიციალური პირია, რომელიც სამსახურებრივი უფლება-მოვალეობით ფლობს მოქალაქეზე შესულ ამა თუ იმ ინფორმაციას, ან ოფიციალურ დოკუმენტს.

დისპოზიცია მოიცავს დანაშაულის ოთხ შემადგენლობას:

1. როდესაც დამნაშავე (თანამდებობის პირი) ფლობს მოქალაქეზე ინფორმაციას ან ამგვარივე ხასიათის ოფიციალურ დოკუმენტს და უკანონოდ ეუბნება უარს ადრესატს მათ გაცნობაზე, რათა ამ უკანასკნელმა ვერ მოახდინოს სათანადო კანონიერი რეაგირება (თავი იმართლოს, დაადასტუროს, გააქარწყლოს, საპირისპირო დოკუმენტები წარმოადგინოს და ა.შ.).

მაგალითად, მოკვლევის ორგანოს ხელმძღვანელმა მიიღო ინფორმაცია ან ოფიციალური დოკუმენტი მოქალაქის ამორალური საქციელის გამო და არ აცნობს მას მოქალაქეს, ისე იწყებს შემოწმებას;

2. დამნაშავე უარს ეუბნება მოქალაქეს იმ დოკუმენტის ან მასალის წარდგენაზე, რომელიც უშუალოდ ეხება მის უფლებებსა და თავისუფლებას.

მაგალითად: ეკონომისტმა არ გააცნო, არ წურუდგინა მოქალაქეს კანონი, რომლითაც იგი უფლებამოსილია, მოითხოვოს ხელფასის დამატებითი ანაზღაურება შესრულებული სამუშაოს მიხედვით;

3. დამნაშავე მოქალაქეს ზემოთ ჩამოთვლილ ინფორმაციას, მასალას ან დოკუმენტს წარუდგენს არა იმ სახით, რა შინაარსსაც მოიცავს ობიექტურად, არამედ სახეშეცვლილად, დამახინჯებულად;

4. ან სხვაგვარად უშლის ხელს მის გაცნობას.

სხვაგვარად ხელის შეშლაში კანონმდებელი გულისხმობს დოკუმენტის დამალვას, გაცნობის ვადების უმიზეზოდ გადადებას, დაკარგვის მომიზეზებას და ა.შ.

ზემოთ ჩამოთვლილი ქმედებებისათვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი დგება მაშინ, თუ რომელიმე მათგანის არსებობამ დააზიანა დაზარალებული.

სუბიექტური მხარე გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში.

დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ იგი უხეშად არღვევს მოქალაქის კონსტიტუციურ უფლებას — არ აცნობს მასზედ არსებულ ინფორმაციას და უფლებამოსილების ამსახველ დოკუმენტებს, შეგნებულად უშვებს ასეთს და სურს იგი.

მოტივი დანაშაულისა შეიძლება იყოს ანგარებითი, ან გამოწვეული მტრობით, სიხარბით და ა.შ.

ობიექტი დანაშაულისა არის მოქალაქის კონსტიტუციური უფლება, იცნობდეს მის ირგვლივ არსებულს მასალებს.

შრომის თავისუფლების ხელყოფა — მუხლი 168

საქართველოს მოქალაქის შრომის თავისუფლება განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლით. ამავე უფლებებში შედის ისიც, რომ მოქალაქე გარანტირებულია სახელმწიფოებრივი ხელისშეწყობით — განავითაროს თავისუფალი მეწარმეობა, კონკურენცია, დაცული იქნეს მისი შრომითი საქმიანობა და უფლებები, ასევე ანაზღაურების პრინციპი, შრომის პირობები და ა.შ.

სისხლის სამართლის კოდექსის 168-ე მუხლის დისპოზიცია, რომელიც იცავს კონსტიტუციის ზემოთ აღნიშნულ პრინციპს, ასეთი შინაარსისაა:

„შრომის თავისუფლების ხელყოფა, ე. ი. ნებისმიერი სახის კანონიერ შრომით საქმიანობაში ხელის შეშლა ძალადობით ან ძალადობის მუქარით“.

კონსტიტუციის შესაბამისად, მოქალაქე უფლებამოსილია, აირჩიოს პროფესია, საქმიანობისა და სამუშაოს სახეობა, მოწოდების, უნარის, პროფესიული მომზადების შესაბამისად, ასევე საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა გათვალისწინებით. გახსნას საწარმო, სავაჭრო ობიექტი, ინტელექტუალური შრომითი საქმიანობის წარმოება და ა.შ. ასევე — მოითხოვოს სამუშაო თავისი პროფესიისა და შესაძლებლობის მიხედვით.

ობიექტური მხარე დანაშაულისა გამოიხატება მასში, რომ დამნაშავე არ აძლევს დაზარალებულს უფლებას, გახსნას საწარმო თავისი სურვილის შესაბამისად, ადგილისა და სახეობის შერჩევით, ან არ ღებულობს მას შესაფერის სამუშაოზე, ან აიძულებს, შეწყვიტოს საწარმოო ან სავაჭრო საქმიანობა, ან თავი მიანებოს სამუშაო მოვალეობის შესრულებას და ა. შ.

მაგალითად: დამნაშავე უკანონოდ არ აძლევს დაზარალებულს უფლებას, მისი სავაჭროს გვერდით გახსნას სასურსათო მაღაზია, ან აიძულებს, რომ თავი დაანებოს თავის საქმეს ობიექტის განადგურების მუქარით და ა.შ.

ობიექტი დანაშაულისა არის მოქალაქის შრომის თავისუფლების კონსტიტუციური უფლება.

სუბიექტური მხრივ დანაშაული გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში — დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ იგი უკანონოდ უზღუდავს მოქალაქეს შრომის თავისუფლებას, ხელს უშლის კანონიერად განახორციელოს თავისი საქმიანობა, მაგრამ უშვებს ასეთ ქმედებას და სურს იგი.

მოტივი დანაშაულისა მრავალი სახისაა: კონკურენციის შიში, შური, ანგარება და ა.შ.

კანონმდებელი დანაშაულებრივი ქმედების ხერხად მიიჩნევს მხოლოდ ძალადობით ფორმას ან ასეთის მუქარას.

ძალადობა შეიძლება გამოიხატოს დაზარალებულის ფიზიკურ ზემოქმედებაში ცემით, საწარმოო ობიექტიდან განდევნით, მუშაობის საშუალების შეზღუდვით ან აკრძალვით და ა.შ.

მუქარა შეიძლება გამოიხატოს ფიზიკური ზემოქმედებით, დაშინებით (ცემით, დაზიანებით).

შრომის კანონმდებლობის დარღვევა — მუხლი 169

საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლი მკაფიოდ აღიარებს, რომ „შრომა თავისუფალია".

კონსტიტუციის ეს პრინციპი ფართოდ არის გაშლილი საქართველოს შრომის კანონმდებლობაში და იგი არეგულირებს შრომითი ურთიერთობის, შრომის უსაფრთხოების, ანაზღაურებისა და სხვა მნიშვნელოვან პირობებს.

კანონმდებელმა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დააკისრა იმ პირს, რომელიც ჩადის ისეთ კანონსაწინააღმდეგო ქმედებებს, როგორიც არის მოქალაქის სამუშაოდან უკანონოდ დათხოვნა ან სამუშაოზე აღდგენის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობა.

მუხლი 169 ერთი ნაწილისაგან შედგება და მისი დისპოზიცია ასეთი შინაარსისაა: „სამუშაოდან უკანონოდ დათხოვნა, სამუშაოზე აღდგენის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობა ან შრომის კანონმდებლობის სხვა არსებითი დარღვევა".

კანონი განიხილავს დანაშაულის სამ შემადგენლობას:

1) სამუშაოდან უკანონოდ დათხოვნა, ე.ი. დამნაშავე წერს ბრძანებას და პირს დაითხოვს სამუშაოდან, როცა ამის საფუძველი არ არსებობს.

დანაშაულის ეს შემადგენლობა შეიძლება განხორციელდეს განზრახ;

2) სამუშაოზე აღდგენის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობა.

დანაშაულის ეს შემადგენლობა გამოიხატება მასში, რომ სასამართლომ განიხილა მასალები პიროვნების სამუშაოდან დათხოვნის შესახებ, უკანონოდ ჩათვალა ხელმძღვანელი მუშაკის ასეთი ბრძანება და დასაბუთებული გადაწყვეტილება გამოიტანა სამსახურიდან დათხოვნის ბრძანების გაუქმებისა და პირის სამუშაოზე დაუყოვნებლივ აღდგენის თაობაზე, ორგანიზაციის ხელმძღვანელი კი არ ასრულებს სასამართლოს კანონიერ გადაწყვეტილებას, უკანონოდ გათავისუფლებულ პირს დაუყოვნებლივ არ აღდგენას სამუშაოზე.

3) შრომის კანონმდებლობის სხვა არსებითი დარღვევა შეიძლება იყოს, მაგალითად, ორსული ქალის დათხოვნა სამუშაოდან, ქალის სამუშაოზე მიუღებლობა და სხვა.

სუბიექტური მხარე დანაშაულისა გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში. დამნაშავეს შეგნებული აქვს მისი საქციელის უკანონობა, რომ იგი ვალდებულია, განახორციელოს სასამართლოს გადაწყვეტილება, მაგრამ განზრახ არ ასრულებს მას და სურს ეს.

ობიექტი დანაშაულისა არის მოქალაქის უფლებები.

ობიექტური მხარე გამოიხატება სამუშაოდან უკანონოდ დათხოვნასა და სამუშაოზე აღდგენის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობაში.

შრომა საქართველოს მოქალაქის კანონიერი უფლებაა. სახელმწიფოს ძირითად კანონს მხედველობიდან არც ის გამორჩენია, რომ შრომითი საქმიანობა უნდა განხორციელდეს სათანადო მეცნიერული გაანგარიშებისა და პირობების დაცვით, რაც ითვალისწინებს შრომის უსაფრთხოების, ჰიგიენისა და სხვა პირობების უზრუნველყოფას. გარდა კონსტიტუციისა, შრომის პირობების ნორმალიზაციას გვავალებს შრომისა და სამოქალაქო კანონმდებლობა, ხოლო მისი უხეში დარღვევისათვის პასუხისმგებლობას აწესებს სისხლის სამართალი.

შრომის პირობებისა და წესების დაცვა უზრუნველყოფს როგორც შრომის ნაყოფიერების ზრდა-განვითარებას, ასევე იძლევა მუშაკის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის მყარ გარანტიას.

მუხლი სამი ნაწილისაგან შედგება.

პირველი ნაწილი შრომის უსაფრთხოების ტექნიკის ან შრომის დაცვის სხვა წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობას აკისრებს იმ პირს, ვისაც ამ წესების დაცვა ევალებოდა და თუ ამ დარღვევას, გაუფრთხილებლობით, სხეულის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება მოჰყვა.

მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას აკისრებს მაშინ თუ პირველ ნაწილში გათვალისწინებულ გაუფრთხილებლობით დარღვევას ადამიანის დაღუპვა მოჰყვა.

მესამე ნაწილი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს თუ პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებას შედეგად მოჰყვა ორი ან მეტი ადამიანის დაღუპვა.

დანაშაულის ობიექტი არის შრომის უსაფრთხოების პირობები. დაზარალებული შეიძლება იყოს წარმოებისა თუ ორგანიზაციის ძირითადი მუშაკი ან დროებით დაქირავებული პირი, რომელიც იგივე სამუშაოს ასრულებს, როგორსაც ძირითადი მუშაკი.

თუ შრომის უსაფრთხოების წესების დარღვევამ ავნო ვინმე სხვა ნეიტრალურ, შემთხვევით მოსულ პირს, ეს მოქმედება არ დაკვალიფიცირდება განსახილველი მუხლით. ამდენად, როდესაც საუბარია უსაფრთხოების ტექნიკის ან შრომის დაცვის სხვა წესების დარღვევაზე, აქ იგულისხმება სწორედ ამ შრომით პროცესში ჩართული მუშის დაზიანება. მაგალითად: მაღაროს სანგრევ

გაუმაგრებელ უბანში მუშის შესვლა, რასაც ყურადღება არ მიაქცია ოსტატმა და მიიღო სხეულის დაზიანება.

ობიექტური მხარე დანაშაულისა გამოიხატება შრომის უსაფრთხოების წესების დარღვევაში, რასაც შედეგად მოჰყვა ადამიანის სხეულის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება, ან სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით.

ფორმის მიხედვით დანაშაული შეიძლება განხორციელდეს როგორც მოქმედებით, ასევე უმოქმედობით. ფაქტიური შინაარსი, სახე მოქმედებისა თუ უმოქმედებისა განისაზღვრება დარღვევის ხასიათით, სიმძიმით, შედეგით.

მოცემული დანაშაულის დისპოზიცია ბლანკეტურია, ამდენად დარღვევის განმარტებისათვის უნდა გამოვიყენოთ შრომის პირობებისა და წესების საწარმოო დებულება, რომლითაც განისაზღვრება შრომის ან უსაფრთხოების რომელი კონკრეტული წესი იქნა დარღვეული, ან ტექნიკური სანიტარიის რომელი ნორმა არ შესრულდა და ა.შ.

უსაფრთხოების ტექნიკის წესების დარღვევას მიეკუთვნება სამუშაოს იმგვარი შესრულება ან შეუსრულებლობა, რომელიც არღვევს საინჟინრო ნორმებით გათვალისწინებულ პირობებს და არ გამორიცხავს შრომის მონაწილის ჯანმრთელობის დაზიანებას, ან მის დაღუპვას. მაგალითად, ელექტრო ანძაზე სადენების შეკეთება რეზინის ხელთათმანებისა და სხვა დამცავი მოწყობილობების გამოყენების გარეშე.

„შრომის სხვა წესების დარღვევაში“ შეიძლება ვიგულისხმოთ პროცესის ციკლის აღრევა, ანტისანიტარია, სწრაფად აალებადი მასალების არასწორად შენახვა. ქალის მიღება მისთვის შეუფერებელ მძიმე, სატვირთო სამუშაოზე, არასრულწლოვანის დატვირთვა მისთვის დაუძლეველი საქმიანობით და ა.შ.

სანიტარული წესების დარღვევა ნიშნავს ისეთ მოქმედებას, როგორიც არის შხამიან ნივთიერებათა გამოყენების ნორმების დარღვევა საამქროში და საერთოდ შენობაში, რაც მავნედ ზემოქმედებს სასუნთქ ორგანოებზე და ა.შ.

სუბიექტური მხარე დანაშაულისა გამოიხატება გაუფრთხილებლობაში, როცა დამნაშავე ითვალისწინებს ადამიანის დაზიანების მომეტებულ საფრთხეს, მაგრამ რაღაც იმედით წინდაუხედავად ფიქრობს მის თავიდან აცილებას, ან საერთოდ ვერ ითვალისწინებს

შედეგს, იმ დროს, როდესაც შეეძლო გაეთვალისწინებინა და ვალდებულიც იყო გაეთვალისწინებინა.

საინტერესოა, რატომ ჩადის ამას წარმოების მუშაკი, რატომ სწევს რისკს? ცხადია, მოტივი დანაშაულისა, სარისკო საფრთხის შექმნა, ხშირ შემთხვევაში გამოწვეულია წარმოების ციკლის შემოკლების, მეტი შედეგის მიღების სურვილით, ასევე — წარმოების გაუმართაობით, ტექნოლოგიური პროცესების არასრულყოფილებით, შრომის არასწორი ორგანიზაციით და სხვა. მაგალითად: ქიმიურ საამქროში, სადაც მომწამლავი აირები გროვდებოდა, მთავარი ინჟინრის მითითებით გააგრძელეს საწარმოო პროცესი, როდესაც მწყობრიდან იყო გამოსული სავენტილიაციო მოწყობილობა, რის გამოც მძიმედ მოიწამლა რამდენიმე მუშა.

ამსრულებელი დანაშაულისა არის თანამდებობის პირი, რომელსაც, სათანადო ინსტრუქციის შესაბამისად, ევალება დაიცვას წარმოების უსაფრთხოების წესები იმ უბანზე, სადაც იგი დანიშნულია ან წარმოების ხელმძღვანელად ან უსაფრთხოების წესების დაცვის მეთვალყურედ. ასეთ თანამდებობის პირები არიან წარმოების ინჟინერი, მთ. ინჟინერი, ტექნიკური უსაფრთხოების ხაზის ოსტატი და ა.შ.

მეორე ნაწილი მუხლისა ითვალისწინებს დანაშაულის კვალიფიციურ სახეს, რაშიაც იგულისხმება არა უსაფრთხოების წესების დარღვევის რაიმე განსხვავებული ფორმა, არამედ შედეგის სიმძიმე, ე. ი. იგივე ქმედება, რასაც გაუფრთხილებლობით დაღუპვა მოჰყვა.

სწორი კვალიფიკაციისათვის აუცილებელია, დადგინდეს მიზეზობრივი კავშირი უსაფრთხოების წესების დარღვევასა და შედეგს შორის.

პრაქტიკამ იცის შემთხვევები, როდესაც მუშა თვითონ არღვევს უსაფრთხოების წესებს, მიუხედავად იმისა, რომ საკმაო ღონისძიებები იყო გატარებული დარღვევის თავიდან ასაცილებლად (სწავლება, გამოცდები, ყოველდღიური ინსტრუქტაჟი და ა.შ.). ამ შემთხვევაში პასუხს არ აგებს თანამდებობის პირი.

24-ე თავი

დანაშაული ოჯახისა და არასრულწლოვნის წინააღმდეგ

(გოგლე მიმოხილვა)

ოჯახი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეკონომიკური ერთეულია, რომელიც იქმნება ორი საწინააღმდეგო სქესის ადამიანის სიყვარულისა და ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. ოჯახი თავის წევრთა მიმართ კისრულობს ვალდებულებას და აქვს გარკვეული უფლება. იგი ვალდებულია, იზრუნოს თვითეული წევრის სიცოცხლეზე, ჯანმრთელობაზე, აღზრდაზე, მოვლა-პატრონობაზე მისი ცხოვრების ყველა ეტაპზე. ასევე უფლებამოსილია, თითოეული წევრისაგან მოითხოვოს ერთგულება, სიყვარული, მხარდაჭერა, შრომითი შემოსავლის გაერთიანება, ოჯახის ტრადიციების დაცვა და ა.შ.

თითოეული წევრი ვალდებულია, იცავდეს ოჯახის ერთიანობას, მის ტრადიციებს, საიდუმლოებას, იზიარებდეს მის ჭირსა და ლხინს, იყოს მონაწილე საერთო ოჯახური შრომისა და ა.შ. ოჯახი გამრავლების შემთხვევაში იყოფა რამდენიმე ოჯახად, ოჯახის წევრთა ურთიერთ შეთანხმებითა და ქონების სამართლებრივი განაწილების გათვალისწინებით.

ოჯახის საერთო ვალდებულებაა გამრავლება, შვილების აღზრდა მაღალმორალური თვისებებითა და შრომითი ჩვევებით, იმის შეგნებით — იყოს ჩაბმული საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში და სხვ.

ოჯახი განსაკუთრებულ და გამორჩეულ ყურადღებას აქცევს არასრულწლოვანთა აღზრდას. კანონმდებელი სრულიად ლოგიკურად თვლის რა ოჯახს მომავალი თაობის აღზრდის საიმედო კერად, საზოგადოებისა და ქვეყნის სასიცოცხლო უჯრედად, სისხლის სამართლის წესით იცავს მის ხელშეუხებლობას.

აღნიშნული თავი აერთიანებს იმ ქმედებებს, რომელიც დანაშაულად ითვლება, ვნებას აყენებს საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვან სფეროს, საჭიროებს სისხლის სამართლებრივ დაცვას.

ანტი (anti) ბერძნული სიტყვაა და საწინააღმდეგოს ნიშნავს. აქედან გამომდინარე, ანტისაზოგადოებრივი საქმიანობა განიმარტება საზოგადოებისათვის საწინააღმდეგო ქმედებად, ე. ი. ისეთ საქციელად, რომელიც საზოგადოებისათვის მიუღებელია.

მუხლის პირველი ნაწილი დანაშაულად მიიჩნევს არასრულწლოვნის ჩაბმას პროსტიტუციაში, ან სხვა სექსუალურ გარყვნილებაში, დაყოლიებას მათხოვრობასა ან სხვა ანტისაზოგადოებრივ ქმედებებზე.

პროსტიტუციაში ჩაბმა ნიშნავს ქალიშვილის დაყოლიებას, რათა მან სქესობრივი კავშირი დაამყაროს ნებისმიერ მამაკაცთან. ამ მიზანს დამნაშავე ხშირად აღწევს დაზარალებულის ეკონომიკური სივიწროვის გამოყენებით – საჩუქრებით, მამაკაცთან ხშირად შეხვედრით და ა.შ. „სხვა სექსუალურ გარყვნილებაში“ კანონმდებელი გულისხმობს არასრულწლოვნის სქესობრივ კავშირს მოპირისპირე სქესის მქონე მოქალაქესთან არა ბუნებრივი ადგილიდან.

მათხოვრობაზე დაყოლიება გულისხმობს დამნაშავისაგან არასრულწლოვანის წაქეზებას და იმის ჩაგონებას, რომ მათხოვრობა იოლი გზაა თავის რჩენისა და არასრულწლოვანი იწყებს უცხო პირებისა და ოჯახებისათვის ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, ფულის, საკვების მოთხოვნას. ასეთი დაყოლიებისათვის დამნაშავემ შეიძლება ფიზიკური ძალადობა – ცემა ან ასეთის მუქარაც გამოიყენოს.

„ან სხვა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში დაყოლიებად“ კანონმდებელი გულისხმობს არასრულწლოვანის ჩაბმას ლოთობაში. ეს მოქმედება დამნაშავისა გამოიხატება მასში, რომ იგი ნელნელა აჩვევს არასრულწლოვანს ალკოჰოლის მიღებას. ხერხი დაყოლიებისა არის მოტყუება, რომ სასმელი ტკბილია, რომ იგი ვაჟკაცების საქმეა და ა.შ.

მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას აკისრებს პირს, თუ იგი არასრულწლოვანს ჩააბამს გამაბრუებელ ან სამკურნალწამლო საშუალებათა არასამედიცინო ხმარებაში.

გამაბრუებელ საშუალებებს მიეკუთვნება ნარკოტიკული საშუალებანი (ანაშა, ხაშხაში და ა.შ.).

სამკურნალწამლო საშუალებებში იგულისხმება ის მედიკა-

მენტები, რომლებიც გამოიყენებიან სხვადასხვა დაავადებათა სამკურნალოდ, ექიმის მითითების შესაბამისად და გააჩნიათ გამაბრუებელი თვისებები (მაგალითად: ანალგინი, პრომედოლი და ა.შ.).

დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატება მასში, რომ სუბიექტი ითრევს, იყოლიებს, აჩვევს არასრულწლოვანს მიიღოს ეს წამლები, არა როგორც მისთვის საჭირო და სამკურნალო, არამედ როგორც გამაბრუებელი საშუალება.

ობიექტი დანაშაულისა არის არასრულწლოვანი და მისი ნორმალური აღზრდა, როგორც ფიზიკურად, ასევე სულიერად.

ობიექტური მხრივ დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატება არასრულწლოვნის ჩათრევით ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში (პროსტიტუციაში, გარყვნილებაში, მათხოვრობაში, გამაბრუებელ საშუალებათა მიღებაში და ა.შ.).

სუბიექტური მხრივ, დანაშაული გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში. დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ დანაშაულებრივია მისი საქციელი არასრულწლოვნის მიმართ მის პროსტიტუციაში, გარყვნილებაში, გამაბრუებელი საშუალებების მიღებაში, ჩათრევის გამო, მაგრამ ჩადის მას და სურს ასეთი.

არასრულწლოვნით ვაჭრობა – მუხლი 172

არასრულწლოვნებით ვაჭრობა სრულიად ახალი მუხლია საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში. იგი ოთხი ნაწილისაგან შედგება.

პირველი ნაწილი პასუხისმგებლობას აწესებს იმ პირის მიმართ, რომელიც „არასრულწლოვანს ყიდულობს ან სხვა გარიგებას განახორციელებს შვილად აყვანის მიზნით“.

ყიდვაში უნდა ვიგულისხმოთ გარკვეული თანხის გადახდევინება არასრულწლოვნის მფლობელისათვის ბავშვის სანაცვლოდ. „ან სხვა გარიგების განხორციელებაში“ იგულისხმება რაიმე სამუშაოს შესრულება, სამუშაოზე მოწყობა, სამსახურებრივი დაწინაურება და ა.შ.

მუხლის პირველი ნაწილის დისპოზიციაში მყიდველის მიზანი არასრულწლოვნის შვილად აყვანაა, რითაც უხეშად ირღვევა შვილად აყვანის წესი და რიგი.

მუხლის მეორე ნაწილი არ გამოკვეთს არც მყიდველის, არც გამყიდველის მიზანს. მეორე ნაწილის დისპოზიცია ზოგადად კრძალავს არასრულწლოვნის ყოველგვარი მოტივით ყიდვასა და გაყიდვას, ან სხვაგვარი გარიგების განხორციელებას. მუხლი მიუთითებს — „არასრულწლოვნის ყიდვა ან გაყიდვა ან სხვა უკანონო გარიგების განხორციელება“. აქ უნდა ვიგულისხმოთ, რომ კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არ აქვს, დამნაშავემ თავისი შვილი გაყიდა, ნაყიდი, ნანახი თუ მოპარული, ასევე არ აქვს მნიშვნელობა, მყიდველმა რა მიზნით იყიდა არასრულწლოვანი (გარდა შვილად აყვანისა) — გადაყიდვის, გაჩუქების თუ სხვა მიზნით.

მუხლის მესამე ნაწილი შეიცავს არასრულწლოვნის ყიდვა-გაყიდვის დამამძიმებელ გარემოებას.

ა) არაერთგზის;

ბ) როცა ყიდულობენ ან გაყიდიან ორ ან მეტ არასრულწლოვანს, ე.ი. გამყიდველმა ერთსა და იმავე დროს ორი არასრულწლოვანი გაყიდა, ან მყიდველმა ერთსა და იმავე დროს ორი არასრულწლოვანი იყიდა;

გ) როცა ეს დანაშაული წინასწარი შეთანხმებით ჩაიდინა პირთა ჯგუფმა. პირთა ჯგუფის წინასწარ შეთანხმებაში კანონმდებელი გულისხმობს, როცა არასრულწლოვანის ყიდვამდე ან გაყიდვამდე ამის თაობაზე წინასწარ მოილაპარაკა ორმა და მეტმა პირმა. მოლაპარაკება შეიძლება გაიმართოს ბავშვის შერჩევაზე, თანხის შოვნაზე, ყიდვის მიზანზე, სასურველ გამოყენებაზე და ა.შ;

დ) „სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით“;

ამ ტექსტში კანონმდებელი გულისხმობს ისეთ მყიდველს ან გამყიდველს, როგორიც არის ბავშვთა სახლის, სამშობიაროს დირექტორები, განყოფილების გამგეები და სხვა, რომელთაც იოლად შეუძლიათ ჩაიდინონ ასეთი დანაშაული.

ე) „საზღვარგარეთ უკანონოდ გაყვანის მიზნით“;

ბავშვი საზღვარგარეთ დამნაშავეს უფრო ხშირად გაჰყავს მისი მოგებით გადაყიდვის მიზნით. ეს მომენტი დამამძიმებლად იმიტომაც ითვლება, რომ საზღვარგარეთ გაყვანა ამცირებს ერს რიცხობრივად.

ვ) დანაშაულებრივ ან სხვა ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში ჩაბმის მიზნით;

ამ მოქმედებას დამნაშავე მიმართავს იმ განზრახვით, რომ

არასრულწლოვანმა მატერიალური სარგებლობა მოუტანოს.

ზ) სხეულის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის გადანერგვის ან სხვაგვარი გამოყენების მიზნით.

მეოთხე ნაწილი ითვალისწინებს ისეთ ქმედებას, როდესაც პირველ, მეორე და მესამე ნაწილში ჩამოთვლილ ქმედებას არასრულწლოვანის დაღუპვა მოჰყვა გაუფრთხილებლობით (მაგალითად: რაიმე დაავადების შეყრით, მოუვლელობით და ა.შ.).

შვილად ან შვილობილად აყვანის წესის დარღვევა – მუხლი 173

1997 წლის 11 ნოემბრის კანონმა „შვილად აყვანის წესების შესახებ“ პრეამბულაში აღნიშნა: „ბავშვის ერთ-ერთი უმთავრესი უფლებაა, სრული და ჰარმონიული განვითარებისათვის იცხოვროს და აღიზარდოს ოჯახურ გარემოში და თუ იგი დარჩენილია მშობლების მზრუნველობის გარეშე, სახელმწიფო ვალდებულია, ხელი შეუწყოს ამ უფლების რეალიზაციას. შვილად აყვანა არის მშობლების მზრუნველობის გარეშე დარჩენილ ბავშვთა მოვლის ყველაზე მისაღები ფორმა, შვილად აყვანისათვის ზრუნვა სახელმწიფოს განსაკუთრებული პრეროგატივაა“.

კანონის მიზანია, შვილად აყვანის აქტიური განხორციელება ბავშვის ინტერესებისა და საერთაშორისო სამართლით აღიარებული ბავშვთა უფლებების საფუძველზე. ზემოთ მითითებული კანონი აწესრიგებს შვილად აყვანის მსურველთა აღრიცხვას, მათი ეკონომიკური, სულიერი, ინტელექტუალური, მორალური პირობების შემოწმებას, შვილად ამყვანი მოითხოვს ამ კეთილშობილური აქტის საიდუმლოების დაცვას და ეს მართლაც რომ სრულიად ნორმალური სურვილია.

შვილად აყვანა მეტად საპატიო მოვალეობაა და დაიშვება, როგორც ერთი პირისაგან, ასევე ცოლქმრული ურთიერთობის დროს. შვილად აყვანის უფლება გადაწყდება, როცა მშობლებს გააჩნიათ საამისო ეკონომიკური და ფიზიკური ძალა, ბავშვის აღსაზრდელად საჭირო ქმედუნარიანობა. გაშვილება შეიძლება ისეთი ბავშვისა, ვისაც არ ჰყავს მომვლელი, აღმზრდელი და იმყოფება ბავშვთა სახლში მშობლების რაიმე მიზეზით არყოლის გამო, ან

ნამდვილ მშობლებს აღარ სურთ ბავშვი და აღარ ცხოვრობენ მასთან, არ ღებულობენ მონაწილეობას მის აღზრდაში და, მიუხედავად სათანადო ორგანოებიდან გაფრთხილებისა, არ იჩენენ ბავშვის მიმართ მშობლიურ ზრუნვასა და ყურადღებას და წერილობითი ფორმით გასცეს ბავშვის გაშვილების ნებართვა. გაშვილება ხდება არასრულწლოვანის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით — ქალაქის, რაიონის ადმინისტრაციის მიერ სათანადოდ დასაბუთებული დადგენილებით. შვილობილად აყვანის დროს ამყვანი არ მალავს მისი აყვანის ფაქტს და ცნობილია თვით ბავშვისთვისაც, რომ ის არ არის გამზრდელის ღვიძლი შვილი, აყვანილია და ითვლება ოჯახის წევრად.

შვილად ან შვილობილად აყვანა ნებადართულია როგორც ადგილობრივ მოქალაქეთათვის, ასევე უცხოელთათვისაც.

შვილად აყვანა უკანონოდ ითვლება მაშინ, როდესაც ირღვევა საამისო დებულების ნორმები.

განსახილველი მუხლი ორი ნაწილისგან შედგება. პირველის შინაარსი ასეთია:

„შვილად ან შვილობილად აყვანის დადგენილი წესების დარღვევა, რამაც მძიმე შედეგი გამოიწვია“.

დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს ბავშვთა სახლის რიგითი მუშაკი, რომელმაც არ შეამოწმა შვილად ამყვანის მატერიალური და მორალურ-ზნეობრივი ცხოვრების სფერო, რის გამოც ბავშვი დაავადდა რაიმე მწვავე სნეულებით და სხვა.

მუხლის მეორე ნაწილი შედარებით მკაცრ პასუხისმგებლობას აწესებს იგივე ქმედებისათვის, როდესაც იგი ჩადენილია სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით. აქ უკვე დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს ბავშვთა სახლის დირექტორი, მოადგილე, მუნიციპალიტეტის ან ჯანმრთელობის დარგის ხელმძღვანელი მუშაკი, რომელმაც თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით დაარღვია შვილად აყვანის დადგენილი წესი.

ამ დანაშაულის თანამონაწილე (წამქეზებელი, დამხმარე, ორგანიზატორი) შეიძლება იყოს ნებისმიერი ადამიანი.

სუბიექტური მხარე გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში.

მოტივი დანაშაულისა შეიძლება იყოს როგორც ანგარება, ასევე ნაცნობობა და სხვა.

ობიექტი დანაშაულისა არის არასულწლოვანი, ობიექტური მხარე კი მძიმე შედეგში გამოიხატება.

სწორი კვალიფიკაციისათვის აუცილებელია, დადგინდეს მიზეზობრივი კავშირი გაშვილების წესების დარღვევასა და მიღებულ შედეგს შორის.

ბავშვის შეცვლა – მუხლი 174

განსახილველი მუხლი ერთი ნაწილისაგან შედგება. მისი დისპოზიცია ასეთია:

„ბავშვის შეცვლა ანგარებით ან სხვა ქვენაგრძნობით“.

ბავშვის შეცვლა, როგორც წესი, შეიძლება მოხდეს სამშობიარო სახლში, ჩვილ ბავშვთა სალონში, ქუჩაში, პარკში ჩვილი ბავშვების საბავშვო ეტლებით სეირნობის დროს, უნივერმაღების მისადგომებზე და სხვა. ბავშვის შეცვლა შეუძლია თვით დედას, ბებიაჭალს, ექთანს, ექიმს, სალონის მომვლელს და ა.შ.

დედა ბავშვს ცვლის იმ მოტივით, რომ დატოვოს ვაჟი და წაიყვანოს გოგონა, ან პირიქით, ხოლო სხვა პირი – ანგარების მოტივით, ან სხვა ქვენაგრძნობით. ანგარებაში იგულისხმება გარკვეული თანხის ან ნივთის მიღება, ან სანაცვლოდ რაიმე სასარგებლო საქმის გაკეთება. სხვა ქვენაგრძნობაში იგულისხმება სამსახურში მიღება, დაწინაურება და სხვა მსგავსი.

სუბიექტური მხარე შეიძლება გამოიხატოს პირდაპირ განზრახვაში.

ობიექტი დანაშაულისა არის ბავშვი, ხოლო ობიექტური მხარე – შეცვლაა.

შვილად აყვანის საიდუმლოების გამჟღავნება – მუხლი 175

შვილად აყვანის საიდუმლოების გამჟღავნება მეტად სერიოზულ დანაშაულად არის მიჩნეული სისხლის სამართლის კანონმდებლობაში. ის, როგორც მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ხშირ შემთხვევაში მწვავე შედეგებით მთავრდება.

ამ მოქალაქეობრივი აქტის საიდუმლოების დაცვა აუცილე-

ბელია ნორმალური ოჯახის შექმნისა და წყნარი საოჯახო ვითარების ჩამოყალიბებისათვის, თვით ბავშვის კეთილგონიერი განვითარებისათვის, მეუღლეთა მშვიდი თანაცხოვრებისათვის. არავისა აქვს უფლება ამ საიდუმლოს გამჟღავნებისა. პირიქით, ყოველი პირი, ვინც მონაწილეობას ღებულობს შვილად აყვანის, გაფორმებისა და დაკანონების საქმეში, კანონითაა ვალდებული, მტკიცედ დაიცვას ეს საიდუმლო.

საიდუმლოს გამჟღავნება გამოიხატება ნებისმიერ პირთან ამ ფაქტის გამხელაში — სიტყვიერად თუ წერილობით.

დანაშაული ფორმალური ხასიათის არის. იგი დამთავრებულად ითვლება საიდუმლოს გამჟღავნებისთანავე. თუკი დადგინდება, რომ ამ საიდუმლოს გამჟღავნების თანახმანი იყვნენ ისინი, ვინც შვილად აიყვანა ბავშვი, დანაშაულის შემადგენლობა არ იარსებებს.

მუხლის პირველი ნაწილი სწორედ ასეთი შინაარსისაა: „შვილად აყვანის საიდუმლოების გამჟღავნება მშვილებლის ნებასურვილის გარეშე“.

მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს იგივე ქმედებას, როცა შვილად აყვანის საიდუმლოება გამჟღავნდება „იმის მიერ, ვინც ვალდებულია, დაიცვას შვილად აყვანის ფაქტი, როგორც სამსახურებრივი ან პროფესიული საიდუმლოება, ან რასაც მძიმე შედეგი გამოიწვია“.

საიდუმლოების დაცვის სამსახურებრივ და პროფესიულ შესრულებას კანონმდებელი აკისრებს ჩვილ ბავშვთა სახლის, მედიცინის ან სხვა მუშაკებს, სასამართლოს მოხელეებს და სხვა პირებს, ვინც პროფესიულად და სამსახურებრივად მიიღო მონაწილეობა შვილად აყვანის ორგანიზაციაში და იცის ამ ფაქტის შესახებ.

კანონმდებელი მძიმე შედეგში გულისხმობს შვილად ამყვანის ან აყვანილის თვითმკვლელობას, ოჯახიდან უგზოუკვლოდ წასვლას, ოჯახში მწვავე განხეთქილებას, საიდუმლოების გამცემის მოკვლას ან მძიმედ დაზიანებას მშობლებისაგან და ა.შ.

სუბიექტი დანაშაულისა შეიძლება იყოს ნებისმიერი მოქალაქე, ან ის პირი, ვინც სამსახურებრივად მიიღო მონაწილეობა შვილად აყვანის საქმის მოგვარება-ორგანიზაციაში.

სუბიექტური მხარე ხასიათდება განზრახი მოქმედებით. დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ იგი დანაშაულებრივად ამჟღავნებს შვილად აყვანის საიდუმლოს და სურს ასეთი.

ობიექტი დანაშაულისა არის ოჯახი და შვილად აყვანილი.

ობიექტურის მხრივ დანაშაული გამოიხატება შვილად აყვანის საიდუმლოების გამჟღავნებაში.

ალიმენტის გადახდისათვის ჯიუტად თავის არიდება – მუხლი 176

საქორწინო და საოჯახო კანონმდებლობის მიხედვით რეგლამენტირებულია მშობლებისაგან არასრულწლოვანი შვილების რჩენისა და მოვლა-პატრონობის, ასევე შრომის უნარს მოკლებული სრულწლოვანი შვილების მატერიალური დახმარებისა და მოვლის ვალდებულება.

ალიმენტი ლათინური სიტყვაა და საზრდოს, საკვებს, ხარჯს ნიშნავს, რომელსაც ოჯახს მოშორებული დედა ან მამა კანონის ძალით უხდის სარჩენად თავის არასრულწლოვან ან შრომისუნარმოკლებულ შვილებს ან მშობლებს, ან მეუღლეს.

დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროება გამოიხატება მასში, რომ სარჩენად დაკისრებული თანხის გადახდაზე ჯიუტად თავის არიდება აუარესებს ბავშვების სასიცოცხლო პირობებს, უარყოფით გავლენას ახდენს მათ ჯანმრთელობაზე.

მუხლი ერთი ნაწილისაგან შედგება და დისპოზიცია ასე ყალიბდება: ,,სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებული ალიმენტის გადახდისათვის ჯიუტად თავის არიდება".

როგორც მუხლის დისპოზიციიდან ჩანს, მოქმედება მაშინ იკვეთება დანაშაულად, როდესაც პიროვნება თავს არიდებს ალიმენტის გადახდას სასამართლოს კანონიერი გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შემდეგ.

დანაშაულებრივი ქმედებით დაზარალებულნი არიან არასრულწლოვანი ან თუნდაც წლოვანი შვილები, მაგრამ, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, შრომის უნარს მოკლებულნი, ასევე მოხუცი მშობლები, ავადმყოფი მეუღლე.

დანაშაული შეიძლება გამოიხატოს აშკარა უარით ან თავის არიდებით, როდესაც დამნაშავე დამალავს თავის საცხოვრებელ ადგილს, სამსახურს, შემოსავალს და ა.შ.

შრომისუნარმოკლებულად ითვლებიან ის პირები, რომელ-

თაც კანონიერად აქვთ მინიჭებული პირველი ან მეორე ჯგუფის ინვალიდობა და არ შეუძლიათ თავიანთი შრომით მოიპოვონ საკუთარი სარჩო-საბადებელი.

დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს მშობელი. მშობლებად მიიჩნევიან ის პირები, რომლებიც დაბადების მოწმობაში მინიშნებული არიან დედად და მამად.

ᲙᲐᲠᲘ VIII

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘ

25-Ე ᲗᲐᲕᲘ

ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘ ᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒ
(ᲛᲝᲙᲚᲔ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ)

ეკონომიკა საზოგადოების სასიცოცხლო არტერიაა. წარმოების ნებისმიერი წესის პირობებში ეკონომიკა ქმნის საწარმოო ურთიერთობათა ერთიან სისტემას, რომელშიაც მთავარი და განმსაზღვრელია წარმოების საშუალებებთან მწარმოებლის დამოკიდებულების ხასიათი. ეკონომიკა, როგორც სახალხო მეურნეობის დარგთა ერთობლიობა, ასახავს წარმოების წესის დამახასიათებელ ნიშანს. იგი წარმოებისა და განაწილების წესია. საზოგადოება დოვლათს აწარმოებს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგების სპეციფიკური წესის მიხედვით, შრომითი ურთიერთდამოკიდებულების შედეგად. დოვლათის წარმოებით იქმნება ადამიანის ბედნიერების მატერიალური მხარე, რომელიც ცხოვრების თითქმის ყველა სექტორს განსაზღვრავს. სისხლის სამართლის დანაშაულის დაახლოებით 80 პროცენტი ეკონომიკური ხასიათის ფესვებზე აღმოცენდება. ეკონომიკური დანაშაულის არსი მდგომარეობს მასში, რომ იგი მიმართულია სამეწარმეო და სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ, ხელყოფს საკუთრებას, ფულად-საკრედიტო სისტემას, ქვეყნის ფინანსებს... კარი იწყება 25-ე თავით და აერთიანებს ყველა იმ ერთგვაროვან დანაშაულებს, რომლებიც მიმართულია საკუთრების წინააღმდეგ.

საკუთრება, როგორც სოციალური და ეკონომიკური მოვლენა, არის ტრიადა იმ სამი უზარმაზარი ფენომენისა, რომელიც ფლობის, გამოყენების, განკარგვის კატეგორიებს აერთიანებს.

საკუთრების სამართლებრივი რეგულირებისას ეს ურთიერთობა იძენს იურიდიულ ფორმას, რომლითაც კანონიერად დაცული და მონოლითური ხდება მესაკუთრის უფლებამოსილება მოძრავი და უძრავი ქონების ფლობასა და განკარგვაზე.

სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობა გამოჰყოფს და არეგულირებს საკუთრების შემდეგ ფორმებს:

1. ფიზიკური და იურიდიული პირების საკუთრება;
2. სახელმწიფო საკუთრება;
3. მუნიციპალური საკუთრება.

ძველისაგან განსხვავებით, ახალმა კანონმდებლობამ, ხელყოფისაგან დაცვის თვალსაზრისით, გაათანაბრა საკუთრების ყველა ფორმა და მათი სამართლებრივი დაცვა ამ პრინციპულად აუცილებელ მოვლენას თვით კონსტიტუციამ დაუდო საფუძველი.

საკუთრება, როგორც სოციალ-ეკონომიკური კატეგორია, ყოველთვის მოიცავს საგნობრივ, მატერიალურ სფეროს. საკუთრების უფლება ყოველთვის გულისხმობდა და გულისხმობს უფლებას ღირებულებით საგანზე, ამდენად, დანაშაული, რომელიც საკუთრების წინააღმდეგ არის მიმართული, ნივთობრივი, ქონებრივი დანაშაულის სახელით იხსენიება.

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, როგორც წესი, ბოლოვდება მისი განადგურებით ან დაუფლებით მითვისების მიზნით. განადგურების დროს დამნაშავის მიზანი პიროვნების მატერიალური დაზარალებაა, ხოლო მითვისების დროს - პირადი გამდიდრება. ეს მოქმედებანი ხორციელდება კანონსაწინააღმდეგოდ. მითვისებაში ყოველთვის იგულისხმება ნივთობრივ-თანხობრივი მისაკუთრება. ახალმა სისხლის სამართლებრივმა კანონმდებლობამ ქონების ნაცვლად შემოიტანა ნივთის ცნება.

მითვისების საგანია ის მოძრავი ნივთი, რომელსაც შინაგანად გააჩნია ეკონომიკური თვისება და ღირებულება, როგორც მატერიალური სამყაროს გარკვეულ საგანს, რომელიც შეიცავს რაღაც ნატურალურ, ფიზიკურ პარამეტრებს – მოცულობას, წონას, ოდენობას და ა.შ. ამიტომ ანგარებითი დაუფლება იმ ღირებულებისა, რომელთაც ეს თვისებები არ გააჩნია, არ იწოდება სხვისი ნივთის დაუფლებად. ისინი განიხილებიან როგორც სხვა დანაშაულების შემადგენლობები კოდექსის მომდევნო თავებში. ასე რომ, ჩვენს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში დაუფლების საგნად ითვლე-

ბა მხოლოდ სასაქონლო მატერიალური ღირებულება – ნებისმიერი სახითა და მდგომარეობით, რომელიც ფლობს ეკონომიკურ, მატერიალურ თვისებებს და ღირებულებას. დაუფლების საგნად ითვლება ფული, როგორც ღირებულების საყოველთაო ექვივალენტი, როგორც განსაკუთრებული საქონელი და ნებისმიერი ქონების ღირებულების გამომხატველი.

როგორც ვთქვით, მითვისების საგანი შეიძლება იყოს მხოლოდ მოძრავი ნივთი.

საქმეთა წარმოების დროს, უმრავლეს შემთხვევებში, სწორედ მოძრავი ნივთი ფიგურირებს.

უძრავ ნივთში იგულისხმება მიწის ნაკვეთი წიაღისეულით, მიწაზე აღმოცენებული მცენარეები, ასევე შენობა-ნაგებობანი, რომლებიც მყარად დგანან მიწაზე (იხ. საქ. სამოქ. კოდექსი, მ. 148).

მითვისების საგნად ითვლება ფასიანი ქაღალდები, რომელიც წარმოადგენს ქონების ფლობის დამადასტურებელ დოკუმენტს. ფასიან ქაღალდს მიეკუთვნება სახელმწიფო ობლიგაცია, თამასუქები, ჩეკი, დეპოზიტური შემნახველი სალაროს სერთიფიკატები, კონოსამენტები, აქციები და ა.შ.

მითვისების საგნად არ ითვლება ისეთი დოკუმენტი, რომელიც არ შეიცავს ქონებრივ უფლებას. მაგალითად: ანგარიში, რომელიც ექვემდებარება გადახდას, სავაჭრო ორგანიზაციის სასაქონლო ჩეკი და ა.შ.

ობიექტური ნიშანი ნებისმიერი მითვისებისა არის სხვისი მოძრავი ნივთის უსასყიდლოდ ხელში ჩაგდება. უსასყიდლოში იგულისხმება ისეთი დაპატრონება, რომ ნამდვილ მესაკუთრეს სანაცვლოდ არ ეძლევა არც ფული და არც ტოლფასი ნივთი.

სხვისი ნივთის მითვისება მატერიალური დანაშაულია. ობიექტური მხარის აუცილებელი დამახასიათებელი ნიშანია საკუთრების მართლსაწინააღმდეგო ხელყოფა. იგი გამოიხატება სისხლის სამართლის წესით დაცული ობიექტის ხელშეუხებლობის დარღვევაში.

დაუფლება დამთავრებულად ითვლება ნივთის ფაქტიური განკარგვის შესაძლებლობის შემდეგ.

სუბიექტური მხარე მითვისებისა გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში. დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ უკანონოდ, უსასყიდლოდ ეუფლება სხვის ნივთს, გაცნობიერებული აქვს მოქმედების

მართლწინააღმდეგობა, მაგრამ მაინც სჩადის ამას და სურს ეს შედეგი.

მე-8 კარი 25-ე თავით იწყება. ის აერთიანებს ნორმებს, რომელთა დისპოზიციებში ასახულია საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის მთელი სისტემა. თითოეული მუხლი ჩამოყალიბებული და განლაგებულია ქმედების განხორციელების საშიშროებისა და დაუფლებული ნივთის ოდენობის გათვალისწინებით.

ფლობა არის განკარგვის შესაძლებლობა. ფლობა შეიძლება იყოს კანონიერი და უკანონო.

განკარგვა კანონიერია, თუ მას საფუძვლად უდევს ფლობის კანონიერება და, თუ ფლობა უკანონოა, ცხადია, განკარგვაც უკანონო იქნება.

საკუთრების კანონიერი ფლობა განისაზღვრება საგნის მოპოვებისათვის გაწეული კანონიერი შრომით.

ახალმა კანონმდებლობამ მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებების ამსახველი მუხლების სტრუქტურებში. ამასთანავე, თუ ადრეულ კოდექსებში სახელმწიფო ქონების დაცვა მეტი პრიორიტეტით სარგებლობდა და დაცვის ეს პრიორიტეტი თვით სასჯელის ზომებშიაც მკვეთრად შეიმჩნეოდა, დღეს ასეთი დაყოფა უგულებელყოფილია და კანონი თანაბრად იცავს ყოველი სახის საკუთრებას.

25-ე თავი აერთიანებს და აყალიბებს დანაშაულთა ყველა სახეობას, რომელიც მიმართულია საკუთრების წინააღმდეგ.

ქურდობა – მუხლი 177

მუხლი სამი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილის დისპოზიცია ასეთია: „ქურდობა, ესე იგი სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართალსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით“.

ობიექტური მხარე ქურდობისა სხვისი მოძრავი ნივთის ფარულ დაუფლებაში გამოიხატება მისაკუთრების მიზნით. დანაშაულის არსებითი შინაარსი, როგორც ობიექტური, ასევე სუბიექტური მხრივ, გამოიხატება მასში, რომ ნივთის დაუფლების დროს დამნაშავე ცდილობს, გაექცეს ყოველგვარ კონტაქტს ნებისმიერ

პირთან, თუნდაც მას ხელის შეშლაც არ შეეძლოს დანაშაულის ჩადენაში.

სხვისი ნივთის დაუფლების სხვა ფორმებთან შედარებით (ყაჩაღობა, ძარცვა, გამოძალვა) ქურდობა ნაკლებად საშიში დანაშაულია, რაც იმაში გამოიხატება, რომ არ ახასიათებს ფიზიკური ან ფსიქიკური ძალადობა, ან ასეთის მუქარა, არც თავდასხმით სიცოცხლისა თუ ჯანმრთელობისათვის საშიში ხელყოფა და ა.შ.

აუცილებელი ობიექტური ნიშანი ამ დანაშაულისა გამოიხატება მის ფარულობაში, როგორც ნივთის მეპატრონის, ასევე სხვა პირის მიმართ.

დანაშაულის საიდუმლოდ განხორციელება შეიძლება ასეთი ფორმებით ხასიათდებოდეს:

1. როცა მეპატრონე ბინაში არ არის და დამნაშავე მის ნივთს ეუფლება ფარულად;

2. როცა დაზარალებული ბინაშია, მაგრამ ვერ გებულობს, თუ როგორ ეუფლება დამნაშავე მის ნივთს;

3. დამნაშავე დაზარალებულს ჯიბიდან ან ჩანთიდან იპარავს ნივთს.

სამივე შემთხვევაში შედეგი ერთმანეთის მსგავსია და გამოიხატება მასში, რომ ნივთი ნამდვილი მფლობელიდან უკანონოდ გადადის დამნაშავის ხელში.

ობიექტი დანაშაულისა არის საკუთრება, უშუალოდ კი ის ნივთი, რომელსაც იპარავენ.

ფარულობის არსებობას და რეალობას წყვეტს დამნაშავის სუბიექტური დამოკიდებულება ქმედებასთან – დაზარალებული კიდეც რომ უცქერდეს მისი ნივთის მოპარვის ფაქტს, თუკი ამ ცქერას დამნაშავე ვერ გრძნობს, მოქმედება ფარულად ჩაითვლება.

სუბიექტური მხარე ხასიათდება პირდაპირი განზრახვით – დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ უკანონოდ, ფარულად ეუფლება სხვის მოძრავ ნივთს და იცის, რომ ამ მოქმედებით ქონებრივად აზიანებს მფლობელს, მაგრამ უშვებს ასეთ მოქმედებას და სურს ეს შედეგი. დანაშაულის მიზანი სხვისი ნივთის მისაკუთრებაა.

ქურდობა, თავისი ჩადენის ხერხების, მეთოდების და სხვა დამამძიმებელი გარემოებების შესაბამისად, იყოფა ჩვეულებრივ და კვალიფიციურ ქურდობად.

კვალიფიციური მოქმედება განსაზღვრულია მუხლის მეორე

და მესამე ნაწილში. მისი ძირითადი ნიშნებია: ა) ქურდობა, ჩადენილი „წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ“. ეს იმას ნიშნავს, რომ დანაშაულში მონაწილეობს ორი ან მეტი პირი და დანაშაულის ჩადენამდე ისინი მოილაპარაკებენ მისი უფრო მოქნილად და შეუცდომლად განხორციელებისათვის.

თანამონაწილეობა არის ორი ან მეტი პირის ურთიერთშეთანხმებული მოქმედებით (ან უმოქმედობით) ერთი და იგივე დანაშაულის ჩადენა.

ა) ქურდობა ჯგუფის მიერ წინასწარი მოლაპარაკებით ჩადენილად ჩაითვლება მაშინ, თუ მის განხორციელებაში მონაწილე ორი ან მეტი პირი დანაშაულის ჩადენამდე წინასწარ მოილაპარაკებენ მის ერთობლივ ჩადენაზე;

ბ) არაერთგზის ნიშნავს იმას, რომ დამნაშავეს ქურდობამდე ჩადენილი აქვს 177-186-ე, 224-ე (ბანდიტიზმი), 231-ე (ბირთვული ან რადიაქტიური მასალების ხელში ჩაგდება), 237-ე (იარაღის ან ფეთქებადი მასალების), 264-ე (ნარკოტიკული ნივთიერებების მისაკუთრება ან გამოძალვა) მუხლებით გათვალისწინებული დანაშაული;

გ) რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

როგორც კანონის შინაარსიდან ჩანს, პუნქტის მაკვალიფიცირებელი ნიშანი არის თანხის ის ოდენობა ან ნივთის ის ღირებულება, რომლის დაკარგვამაც მნიშვნელოვნად დააზარალა მეპატრონე. აქ საუბარია მეპატრონის ფაქტიურ, რეალურ ზარალზე.

მნიშვნელოვანი ზარალი ნიშნავს ზარალს მეტად შესამჩნევს, საგულისხმოს თავისი ოდენობით ან დანიშნულებით. ის გაშიფრული არ არის კანონში და სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვანაირად განისაზღვრება.

მუხლის მესამე ნაწილით პასუხისმგებლობა დგება მაშინ, როდესაც ის ჩადენილია:

ა) ორგანიზებული ჯგუფის მიერ.

ორგანიზებული ჯგუფი თანამონაწილეთა ისეთი ერთიანობაა, რომელიც არსებითად განსხვავდება დამნაშავეთა ჩვეულებრივი ჯგუფისაგან.

ორგანიზებული ჯგუფის არსებითი ნიშანია სიმყარე, რაც იმას ნიშნავს, რომ ჯგუფის წევრები „წინასწარ შეკავშირდნენ

რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად" (იხ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლი).

ორგანიზებული ჯგუფი არის დამნაშავე თანამონაწილეთა ერთიანობა, რომელიც შექმნილია ქონებრივ დანაშაულთა ჩასადენად უშრომელი შემოსავლის მიღებით გამდიდრების მიზნით. მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნებია — თანამოსაქმეთა სპეციალური შერჩევა ფიზიკური და გონებრივი ძალის, მჭიდრო საქმიანი კონტაქტების, გაბედულებისა და ნებისყოფის გამორჩეულობით, სიჯიუტისა და დაუმორჩილებლობის, ურყეობისა და სიმტკიცის პათოსით, უღალატობის ფიცით, სუბორდინაციის მჭიდრო და განუხრელი დაცვით, საქმიანობის დაგეგმვითა და ფუნქციების ზუსტი განაწილებით, უფროსისადმი უსიტყვო მორჩილებით, დამახასიათებელია ისიც, რომ თანამონაწილენი ცალკეული გუნდების სახით მოქმედებენ სხვადასხვა რაიონისა და ქალაქის ტერიტორიაზე „ცენტრზე" ანუ ხელმძღვანელ ბირთვზე დამორჩილებით. თავიანთ რიგებში იზიდავენ და აერთიანებენ სხვადასხვა პროფესიისა და საქმიანობის პირებს (საფუძვლიანი შემოწმებისა და ფიცის მიღების შემდეგ): იურისტებს, ექიმებს, სპორტსმენებს, მძიმე დანაშაულებისათვის მსჯავრდებულებს, ხელისუფლების მმართველობისა და საკანონმდებლო ორგანოებში დასაქმებულებს, გააჩნიათ საუკეთესო შეიარაღება, საბრძოლო, საცეცხლე და კრიმინალისტური მომზადება, დატაცებულ თანხას აბანდებენ სხვადასხვა ეკონომიკურ სფეროებში.

ბ) დიდი ოდენობით ნიშნავს მატერიალურ ზარალს, რომელიც აჭარბებს ათი ათას ლარს (იხ. შენიშვნა 1);

გ) ბინაში, სადგომში ან სხვა საცავში უკანონო შეღწევით. ბინა არის შენობა, ნაგებობა, რომელსაც ადამიანი იყენებს დროებით ან მუდმივ საცხოვრებლად (საკუთარი სახლი, საერთო საცხოვრებლის ბინა, ოთახი სასტუმროში, სანატორიუმში, აგარაკი, ბაღის პატარა ქოხი, სადაც ადამიანი სადილობს თუ იძინებს შრომის შემდეგ). ბინად და სადგომად ითვლება საცხოვრებელი ბინის ის შემადგენელი ნაწილები, რომელსაც იყენებს მეპატრონე ქონების შესანახად ან სხვა საჭიროებისათვის (აივანი, შუშაბანდი, საკუჭნაო და ა.შ.). ბინად არ შეიძლება ჩაითვალოს ის ფართი ან ნაგებობა, რომელსაც საცხოვრებლად არ იყენებს ადამიანი და განცალკევებით დგას საცხოვრებელი ბინიდან მოშორებით. მაგალითად: ბოსელი, გარაჟი, ნალია და სხვა ამგვარი შენობა.

„სადგომში" კანონმდებელი გულისხმობს სპეციალურად მოწყობილ სათავსოს, რომელიც გამოიყენება ქონების დროებით ან მუდმივად შესანახად, დატაცებისაგან, გაფუჭებისა და განადგურებისაგან, ან სტიქიური მოვლენებისაგან დასაცავად და ა.შ. მაგალითად: კონტეინერი, ავტორეფრეჟერატორი, სარკინიგზო ვაგონი და ა.შ.

საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკაში „სხვა საცავებში"

იგულისხმება ადგილის, ტერიტორიის ნაწილი, რომელიც მოწყობილია რაიმე მატერიალური ღირებულების შესანახავად. მაგალითად: შემოღობილი ტერიტორია ხორბლის, პირუტყვის, თივის ან სხვა ქონების დასაცავად და ა.შ.

პირთა ჯგუფის მონაწილეობის დროს სავალდებულო არ არის ყველა მონაწილე შეკიდეს სადგომში ან სათავსოში. ყველა მათგანის მოქმედება დაკვალიფიცირდება „შელწევით". თუ მათ წინასწარ მოილაპარაკეს იმის თაობაზე, ვინ რა მოქმედება უნდა შეასრულოს, ვინ გატეხოს კარები, ვინ ამოიღოს მინა და ა.შ. რამაც ბინაში თუ სადგომში შელწევის პირობები მოამზადა.

ჩვენი აზრით, შელწევად უნდა ჩაითვალოს ბინაში შესვლა ღია კარიდანაც. რადგან აქ წინაღობად ითვლება კანონის ძალა, ბარიერი, რომელიც კრძალავს სხვის ბინაში შესვლას კანონიერი მეპატრონის ნებართვის გარეშე. შელწევად ჩაითვლება ის მოქმედებაც. როდესაც დამნაშავემ ღია ფანჯარაში კაუჭის გამოყენებით გამოიტანა ოთახიდან პალტო ისე, რომ თვითონ ბინაში ფიზიკურად არ შესულა.

როცა პიროვნება ბინაში მოხვდა სრულიად სხვა მიზეზის გამო და შემდგომ მოუვიდა აზრად ქონების მოპარვა, მოქმედება დაკვალიფიცირდება 177-ე მუხლის პირველი ნაწილით, თუკი მისი ღირებულება არ გადააჭარბებს ათიათას ლარს, რადგან მას არ ჩაუდენია ქურდობა ბინაში შელწევით — იგი მიპატიჟებული იყო;

დ) იმის მიერ, ვინც ორჯერ და მეტჯერ იყო ნასამართლევი სხვისი მოძრავი ქონების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის.

გვარობითი ობიექტი — საკუთრება.

უშუალო ობიექტი — ის მოძრავი ნივთი, საგანი, რომელიც მოიპარეს.

ძარცვა — მუხლი 178

ძარცვა საშიში დანაშაულია. იგი ხასიათდება დამნაშავისაგან სხვისი მოძრავი ნივთის აშკარა დაუფლებით მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით.

დაუფლება ითვლება აშკარად, თუ დამნაშავემ იცის, რომ ამას ჩადის ქონების მეპატრონის, ან იმ პირის თანდასწრებით, ვისაც ჩაბარებული აქვს ნივთი რაიმე მიზნით (შესანახად, შესაკეთებლად და ა.შ). ობიექტური მხარე დანაშაულისა ხასიათდება დამნაშავის მოქმედებით, როგორც ძალის გამოყენებით, ასევე უიმისოდ.

იმისათვის, რომ დანაშაულებრივი ქმედება ძარცვად დაკვალიფიცირდეს, საჭიროა:

1. ქონების დაუფლების მომენტს უყურებდეს თვით მეპატრონე. ან პირი, ვისაც ჩაბარებული აქვს ქონება;

2. დამნაშავემ უნდა იცოდეს, რომ ქონებას ეუფლება მეპატრონის თვალწინ.

ტერმინს „მეპატრონის თვალწინ" ხაზი გაესმის, როგორც ძარცვის მაკვალიფიცირებელ ნიშანს, რადგან დამნაშავე დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მეპატრონე ხედავს ქონების დატაცების ფაქტს.

გვარობითი ობიექტი დანაშაულისა არის საკუთრება. უშუალო ობიექტი კი ნივთი.

გასათვალისწინებელია ის, რომ ძარცვა, როგორც თვით კანონი ითვალისწინებს, შეიძლება ჩადენილი იქნეს ძალადობის გამოყენებით ან მუქარით, მაგრამ არც ძალადობა და არც მუქარა არ უნდა იყოს სიცოცხლისათვის საშიში.

მაგალითად, დამნაშავე თხოვს დაზარალებულს ქუდს და დასძენს, რომ თუ არ მიცემს, ხელიდან გამოჰგლეჯს და წაართმევს. ეს აშკარა მაგალითია გაძარცვის მუქარისა.

დამნაშავემ დაზარალებულს ხელი ჰკრა და ისე გამოგლიჯა ჩანთა და ჩანთიანად მიიმალა. ამ მაგალითში საქმე გვაქვს ძალადობასთან, მაგრამ იგი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში არ არის. რაც ძარცვის პირდაპირი მაკვალიფიცირებელი ნიშანია.

გაძარცვის ობიექტური მხარე გამოიხატება სხვისი ნივთის აშკარა დაუფლებაში. იგი ნათელია დამნაშავეთათვის. მძარცველი აშკარად, თავხედურად არღვევს შექმნილი საკუთრებითი ურთიერთობის კანონიერ ფორმას, ფიზიკურ და ამით ფსიქოლოგიურ ზეგავლენასაც ახდენს პიროვნებაზე და დემონსტრაციულად, დაზარალებულის თვალწინ ეუფლება მის ქონებას.

პრაქტიკამ იცის შემთხვევები, როდესაც ქონების ფარულად დაუფლების საწყისი აშკარად დაუფლებით დამთავრებულა. ე.ი. ქურდობა გადაზრდილია ძარცვაში. მაგალითად დამნაშავე შეიპარა ბინაში ქურდობის მიზნით, მაგრამ ნივთის დაუფლების დროს მას თვალი მოჰკრა ბინის პატრონმა. დამნაშავემ ნივთი მაინც წაიღო და მიიმალა.

დანაშაული დამთავრებულად ითვლება იმ მომენტიდან, როდესაც დამნაშავე ფაქტიურად შეძლებს განკარგოს დატაცებული ქონება თავისი სურვილის მიხედვით. სწორი კვალიფიკაცია ითვალისწინებს მიზეზობრივი კავშირის დადგენას მოქმედებასა და შედეგს შორის.

სუბიექტური მხარე ხასიათდება პირდაპირი განზრახვით, როცა დამნაშავემ იცის, რომ უკანონოდ ეუფლება სხვის ქონებას

მეპატრონის თვალწინ. აშკარად და მოფიქრებულად ახორციელებს საამისო ღონისძიებებს და სურს ასეთი.

მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს დამამძიმებელ გარემოებებს. როდესაც ძარცვა ჩადენილია:

ა) წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ;

ბ) არაერთგზის;

გ) რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია;

დ) ძალადობით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლისა ან ჯანმრთელობისათვის, ან ასეთი ძალადობის მუქარით.

პირველი სამი ნიშნის ირგვლივ საუბარი იყო ქურდობის შემადგენლობის განხილვის დროს და რადგან ძარცვის შემადგენლობაშიაც ამ ნიშნებს იგივე მნიშვნელობა აქვთ, ამდენად მათზე აღარ შევჩერდებით.

რაც შეეხება „დ" პუნქტს, ამის თაობაზე ნაწილობრივ უკვე აღინიშნა ზემოთ და კვლავ დავსძენთ, რომ ძარცვის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი არის ისეთი ძალადობა ან ძალადობის მუქარა, რომელიც საფრთხეს არ უქმნის დაზარალებულის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას.

ამ სახის ძალადობა გულისხმობს ისეთ ფიზიკურ ზემოქმედებას, როგორიც არის ცემა, ხელის გადაგრეხა, გარტყმა, ხელის კვრა და ა.შ. რითაც დაზარალებულმა შეიძლება ტკივილი განიცადოს, მაგრამ სიცოცხლისათვის არ არის საშიში.

მესამე ნაწილი მუხლისა ითვალისწინებს დანაშაულის განსაკუთრებით კვალიფიციურ ნიშნებს, როდესაც იგი ჩადენილია:

ა) ორგანიზებული ჯგუფის მიერ;

ბ) დიდი ოდენობით;

გ) ბინაში, სადგომში ან სხვა საცავში უკანონო შეღწევით;

დ) იმის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლევი სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის ან გამოძალვისათვის.

ჩამოთვლილ პუნქტებზე ჩვენ ვისაუბრეთ 177-ე მუხლის განხილვის დროს, ამიტომ აღარ გავიმეორებთ.

ყაჩაღობა - მუხლი 179

ყაჩაღობა ერთ-ერთი მძიმე დანაშაულია. იგი არის თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის დასაუფლებლად მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რომელიც დაკავშირებულია დაზარალებულის სიცოცხლისა ან ჯანმრთელობის საშიშ ხელყოფასთან, ან

ასეთის მუქარასთან. აღნიშნული დანაშაული საშიშია იმის გამო, რომ ხელყოფს ერთდროულად ორ სიკეთეს — ქონებას და ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას.

თავდასხმაში იგულისხმება დამნაშავის მიერ დაზარალებულისადმი ძალადობის გამოყენება, ან ასეთის გამოყენებით დამუქრება. ქონების ხელში ჩაგდებას დამნაშავე ითხოვს იქვე, იმავე მომენტში.

ძალადობა მოქმედებაა, რომელიც ფიზიკურ ზემოქმედებას ახდენს დაზარალებულზე. დამნაშავის მოქმედება შეიძლება ხასიათდებოდეს აუტანელი, სიცოცხლისიათვის საშიში მწვალებლობით, როგორიც არის სუნთქვის პერიოდული შეწყვეტა, ცივი წყლის ჭავლის ქვეშ დაყენება, ცხელი საგნების სხეულზე დადება, კიდურების გრეხა და ა.შ.

ჯანმრთელობისათვის საშიშ ძალადობაში იგულისხმება ისეთი მოქმედება, რომელმაც დაზარალებული მძიმედ, ნაკლებად მძიმედ ან მსუბუქად დააზიანა, და რომელიც თავისთავად იწვევს ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლას ან შრომის უნარის საფუძვლიან ან უმნიშვნელო დაკარგვას. ასევე, ძალადობას შეიძლება არც გამოუწვევია ამგვარი შედეგი, მაგრამ იყო ამისი რეალური შესაძლებლობა.

ასეთ შემთხვევაში მოქმედება შესატყვისი დამატებითი მუხლებით დაკვალიფიცირდება. თუ მძიმე დაზიანებას სიკვდილი მოჰყვა, ქმედება დაკვალიფიცირდება განსაზილველი და 119-ე მუხლით — ჯანმრთელობის დაზიანება სიკვდილის შედეგით.

ისეთ შემთხვევაში, როდესაც დამნაშავემ განახორციელა დაზარალებულის სიცოცხლისათვის საშიში ძალადობა, მაგრამ ამას ზიანი არ მოჰყოლია, მოქმედება დაკვალიფიცირდება მხოლოდ ყაჩაღობის მუხლით, ასევე დაკვალიფიცირდება ყაჩაღობის დროს მსუბუქი დაზიანების შემთხვევაც, რადგან ეს უკანასკნელი არაა სიცოცხლისათვის საშიში.

ძალადობის ხასიათი არის პირდაპირი საზომი კვალიფიკაციისა, რომლითაც დგინდება, მოქმედება მიეკუთვნება ძარცვას თუ ყაჩაღობას.

მოჩვენებითი (მაკეტი) იარაღის გამოყენება კვალიფიკაციას არ ცვლის, თუ მას დაზარალებული ნამდვილ იარაღად აღიქვამს.[1]

1. განსხვავებულ აზრს გამოთქვამს ამ საკითხზე ო. გამყრელიძე, იხ. მისი „ბრძოლა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის", პირველი წიგნი, გვ. 209-212.

ყაჩაღობა ხასიათდება ფსიქიკური ზეგავლენითაც, რომელიც გამოიხატება დაზარალებულის ან ოჯახის წევრის სიცოცხლის მოსპობის მუქარაში. ფსიქიკური ზემოქმედების გავლენის განსაზღვრის დროს უნდა დადგინდეს, რამდენად რეალური იყო მუქარა და რამდენად გავლენიანი და დამარწმუნებელი დაზარალებულის მიმართ.

ძალადობა შეიძლება გამოიხატოს ასევე დაზარალებულზე აშკარა ან ფარული ნერვულ-პარალიტიკური, ტოქსიკური ან სხვა გამაბრუებელი საშუალებით.

სუბიექტური მხარე გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში - დამნაშავემ იცის, რომ იგი თავს ესხმის დაზარალებულს, უნდა გამოიყენოს მის მიმართ ფიზიკური ძალადობა ან დაშინება, დამუქრება და ამ გზით მიითვისოს დაზარალებულის კუთვნილი ნივთი.

მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს ყაჩაღობის დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენისათვის. კერძოდ, როცა დანაშაული ხორციელდება:

ა) ჯგუფურად;

ბ) არაერთგზის;

ე) დიდი ოდენობით ქონების დაუფლების მიზნით;

ვ) იმის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლევი სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის ან გამოძალვისათვის.

თალლითობა – მუხლი 180

ეს დანაშაული სხვისი საკუთრების ხელყოფის სრულიად თავისებური ფორმაა. იგი არ ითვალისწინებს არც საიდუმლო, არც აშკარა მოქმედებას, არც თავდასხმასა და დაზარალებულის ფიზიკურ ძალადობას, არც მისი ღირსების დამცირებას. მისი ფორმა და მეთოდი უაღრესად თავისებური, რბილი, მოფერებითი და იმგვარად უეჭველია, რომ დამნაშავე დაზარალებულის მოწონებასა და პატივისცემასაც კი იმსახურებს, სანამ შედეგი არ გამოვლინდება. ყოველივე ზემოთ აღწერილი მოქმედებით დამნაშავე ატყუებს დაზარალებულს, იმსახურებს მის ნდობას და ყოველივე ამას იყენებს ბოროტად, რითაც ხელთ იგდებს სხვის საკუთრებას, ე.ი. როგორც კანონი აღნიშნავს, დამნაშავე ახდენს სხვისი ნივთის მართლსაწინა-

აღმდეგო მისაკუთრებას ან ჭონებრივი უფლების მიღებას მოტყუებით.

მოტყუება, როგორც სხვის ნივთზე დაუფლების ერთ-ერთი ხერხი, ორი განსხვავებული ფორმისაა: აქტიური და პასიური.

აქტიური ისეთი მოტყუებაა, როდესაც დამნაშავე სიტყვიერად ან წერილობით წარუდგენს დაზარალებულს ისეთ ყალბ დოკუმენტაციას ან შეტყობინებას, რომლითაც დაუყონებლივ რწმუნდება დაზარალებული დამნაშავისათვის ნივთის გადაცემის საჭიროებაში და ამ გადაცემის სრულ კანონიერებაში.

პასიური მოტყუება მდგომარეობს დამნაშავის მდუმარებაში, ფაქტიური იურიდიული მდგომარეობის დაზარალებულისათვის დამალვაში, რის გამოც დამნაშავე ღებულობს ნივთის უკანონოდ დაუფლების შესაძლებლობას.

მოტყუება, როგორც თაღლითობის გზით სხვისი ნივთის უკანონოდ დაუფლების ხერხი, წარმოადგენს აუცილებელ, ფაქტიურ წინაპირობას იმისას, რომ მფლობელიდან ნივთი გადავიდეს დამნაშავის ხელში.

თაღლითობის გზით ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება დაზარალებულის შეგნებაში უნდა ქმნიდეს კანონიერების ილუზიას. დაზარალებულისა და დამნაშავის ურთიერთობაში უნდა ფიგურირებდეს სწორედ ის ნივთი, რომლის დატაცებასაც ცდილობს დამნაშავე.

მოტყუებით ნივთის დაუფლება ისეთი ქმედებაა, როდესაც დამნაშავე დაზარალებულს არწმუნებს თავისი ცრუ საუბრის სინამდვილეში. მაგალითად, ერთ-ერთმა ბოშამ ერთი წლის განმავლობაში ოცდათორმეტი თითბრის ბეჭედი გაჰყიდა სხვადასხვა დროს სხვადასხვა მოქალაქეზე, ვითომც ოქროსი იყო. ის თავისი ლოგიკით, მოქმედებით, მოტყუებით არწმუნებდა დაზარალებულებს, რომ ბეჭედი მისი პირადი საკუთრებაა, შეიცავს ოქროს დიდ პროცენტს, მაგრამ გარკვეული გასაჭირის გამო ჰყიდის მას.

მოტყუების მაგალითად ასევე შეიძლება მოვიყვანოთ: ფულის სესხება იმ მოტივით, რომ აღარ დაუბრუნოს მეპატრონეს და მიიმალოს, მაღაზიის მუშაკისაგან უკომპლექტო საქონლის გაყიდვა სრული კომპლექტის ფასად, დამკვეთისათვის საგნის ფალსიფიცირებულად დამზადება და ა. შ.

თაღლითობის შემადგენლობა მატერიალურია. მისი აუცილე-

ბელი ნიშანი, ობიექტური მხრივ, გამოიხატება დაზარალებულის ქონებრივ დაზიანებაში.

სუბიექტური მხარე გამოიხატება განზრახვაში. მიზანი დანაშაულისა არის ქონებრივი სარგებლობის მიღება.

კვალიფიციური მხარე დანაშაულისა გათვალისწინებულია მუხლის მეორე ნაწილში. იგი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს, თუ თაღლითობა ჩადენილია:

ა) წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ;

ბ) არაერთგზის;

გ) რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია;

დ) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით.

„დ“ პუნქტის მიხედვით დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს, როგორც სახელმწიფო, ასევე კომერციული სტრუქტურის თანამდებობის პირი. ამ პუნქტით კვალიფიკაციისათვის დადგენილი უნდა იქნეს, რომ დამნაშავემ დაზარალებული მოატყუა თავისი თანამდებობის მოშველიებით. ასეთ შემთხვევაში მოქმედება შეიძლება დანაშაულთა ერთობლიობით დაკვალიფიცირდეს, როგორც თაღლითობით, ასევე თანამდებობის ბოროტად გამოყენებით.

მუხლის მე-3 ნაწილი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს, თუ თაღლითობა ჩადენილია:

ა) ორგანიზებული ჯგუფის მიერ;

ბ) დიდი ოდენობის ღირებულების;

გ) იმის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლევი სხვისი ქონების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის.

აღნიშნულ პუნქტებზე საუბარი გვქონდა 177-ე მუხლის განხილვის დროს.

ᲒᲐᲛᲝᲫᲐᲚᲕᲐ – ᲛᲣᲮᲚᲘ 181

გამოძალვა ქონებრივი დანაშაულია, მაგრამ იგი არ არის დაკავშირებული აშკარა, პირდაპირ ფიზიკურ ძალადობასთან, არც თაღლითური მოტყუებით ხასიათდება. აქ დამნაშავე ქონების მოპოვების სრულიად სხვა ხერხსა და ფორმას ირჩევს, ერიდება დაზარალებულთან პირისპირ შეხვედრას, არ აჩვენებს სახეს, ხშირ შემთხვევაში ხმასაც იცვლის, კონტაქტს ამყარებს ან წერილობით,

ან ტელეფონით, ირჩევს რბილ, შემპარავ ტონს, რომელიც მუქარით ხასიათდება, არ უმალავს დაზარალებულს თავის სურვილს და განზრახვას. მუქარა, უმეტეს წილად, მიმართულია თვით დაზარალებულის ან ოჯახის წევრების სიცოცხლისა და ჯანმრთელობისაკენ, ან მათი ქონების განადგურებისა ან დაზიანებისაკენ. ხშირად დამნაშავე დაზარალებულს ემუქრება მისი სახელის გამტეხი ცნობების გახმაურებით, ან ისეთი ცნობების გავრცელებით, რამაც შეიძლება დააზიანოს მისი უფლებები. სახელის გამტეხი ცნობები შეიძლება შეეხებოდეს დაზარალებულის პირად თვისებებს, განათლებას, ჯანმრთელობას, ოჯახის ერთიანობას, სამსახურებრივ საქმიანობას, დანაშაულში მხილებას და ა.შ. თუმცა ამის შესრულება არც იმწამიერია და არც უთითებს დამნაშავე, როდის შეასრულებს ამას. იმუქრება ზოგადად, თუკი დაზარალებული არ შეასრულებს მის მოთხოვნას.

დანაშაულის ობიექტია საკუთრება, პიროვნების სიცოცხლე, ჯანმრთელობა, ღირსება.

ობიექტური მხარე დანაშაულისა არის გამომძალველის მოთხოვნა, აიძულოს ქონების მფლობელი, გადასცეს მას მოთხოვნილი ნივთი ან ქონებრივი უფლება, ან ქონებრივი სარგებლობა.

იმ დანაშაულთაგან განსხვავებით, როდესაც დამნაშავე უშუალოდ თვითონ ეუფლება ნივთს (ქურდობა, ყაჩაღობა), გამოძალვისას დაზარალებული თვითონ გადასცემს გამომძალველს ნივთს. ნივთის გადაცემა ხდება პირისპირ, შუამავლის მეშვეობით, მინიშნებულ ადგილზე მიტანით და ა.შ. ნივთის ან ქონებრივი უფლების გადაცემა შეიძლება მოხდეს დამუქრებიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ.

„ქონებრივი უფლების გადაცემაში“ კანონმდებელი გულისხმობს დაზარალებულის ისეთ მოქმედებას, როდესაც იგი რაიმე დოკუმენტის დამნაშავის სახელზე გაფორმებით აძლევს მას ქონებრივ უფლებას. მაგალითად, დამნაშავის მოთხოვნით დაზარალებულმა გაანადგურა ვინმესაგან ვალის კუთვნილების ხელწერილი, გადააფორმა საკუთარი ავტომანქანა ან ბინა დამნაშავის სახელზე, მის საკუთრებად და ა. შ.

კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს, დამნაშავე ნამდვილად განახორციელებს თუ არა მუქარას. მთავარია, დაზარალებულმა აღიქვა ის რეალურ მუქარად.

დანაშაული დამთავრებულად ითვლება დამუქრებისთანავე. მუქარის რეალური განხორციელება დანაშაულთა ერთობლიობით დაკვალიფიცირდება, იმის გათვალისწინებით, თუ როგორია მუქარა – დამნაშავე მოკვლით დაემუქრა თუ ჭრილობის განადგურებით.

თუ დამნაშავემ იმჯერად ვერ შეძლო მუქარით ნივთის ხელში ჩაგდება და შემდეგ მიაღწია ამას დაზარალებულის გაძარცვით, ქმედება ორივე მუხლით დაკვალიფიცირდება.

სუბიექტური მხარე დანაშაულისა ხასიათდება მხოლოდ პირდაპირი განზრახვით, როდესაც დამნაშავემ იცის, რომ მას არავითარი წილი, კუთვნილება, კანონიერი პრეტენზია არ გააჩნია დაზარალებულისადმი, მაგრამ უნდა, უკანონოდ ჩაიგდოს ის ხელში და ამას აღწევს მეპატრონის დაშინებით და სურს სწორედ ეს მოქმედება და მისი შედეგიც.

მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას აწესებს მაშინ, თუ გამოძალვა ჩადენილია:

ა) ჯგუფურად;

ბ) არაერთგზის;

გ) დიდი ოდენობის ქონების მიღების მიზნით;

დ) იმის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლევი სხვისი ქონების მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრებისათვის.

მითვისება ან გაფლანგვა – მუხლი 182

განსახილველი მუხლის პირველი ნაწილი ასეთი შინაარსის არის:

„სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მითვისება ან გაფლანგვა, თუ ეს ნივთი იმყოფებოდა მიმთვისებლის ან გამფლანგველის მართლზომიერ მფლობელობაში ან გამგებლობაში.“

მოცემული მუხლი განიხილავს დანაშაულის ორ შემადგენლობას: მითვისებასა და გაფლანგვას. განსახილველი მუხლის ინდივიდუალური, დამახასიათებელი ნიშანი ის არის, რომ დამნაშავეს ქონება აქვს ნამდვილი მეპატრონისაგან მინდობილი მართლზომიერ მფლობელობაში ან გამგებლობაში. მართლზომიერ მფლობელობაში იგულისხმება ის, რომ დამნაშავე სარგებლობს ისეთი უფლებით, რაც გამოიხატება ქონების მოვლა-პატრონობაში, დაცვაში, მწარმოებლურ მოძრაობაში, ისე, რომ

ვერავინ შეედავება და ეს ფლობა დაკანონებულია ხელშეკრულებით, წერილობით ან სიტყვიერად.

გამგებლობაში ნიშნავს იმას, რომ დამნაშავეს, შეთანხმების თანახმად, უფლება აქვს განაგოს ქონება, აწარმოოს, გაუკეთოს რეალიზაცია საქონელს და თანხა განკარგოს ხელშეკრულების შესაბამისად. ასეთი ურთიერთობის დროს დამნაშავის მიერ ქონების უკანონოდ თავის კუთვნილებაში მოქცევას კანონმდებელმა მითვისება დაარქვა, ხოლო ქონების სხვაგვარ მიმოფანტვას, სხვისთვის ჩუქებას, დახმარების გაცემას, გასესხებას და სხვა ამგვარს, როდესაც ქონება უმიზნოდ და მეპატრონისათვის არასაჭიროდ გაიხარჯა, გაფლანგვა უწოდა.

მითვისება ქონების უკანონოდ გადასვლაა ნამდვილი მეპატრონიდან დამნაშავის ხელში ისე, როგორც ყაჩაღობისა და ქურდობის დროს, მაგრამ ფორმითა და მეთოდით სრულიად განსხვავებული. მთავარი ის არის, რომ თუ ქურდობისა, ძარცვისა და ყაჩაღობის დროს დამნაშავეს არავითარი კავშირი, მიდგომა, მფლობელობა და განკარგვის უფლება არ გააჩნია ქონებისადმი, აქ ქონება მას აქვს მინდობილი მართლზომიერ მფლობელობაში და განმგებლობაში. განსხვავებულია მითვისების ფორმაც: თუ ძარცვისა და ყაჩაღობის დროს დამნაშავე ერთბაშად მოიპოვებს ქონებას მეპატრონის თვალწინ, აშკარად, ძალადობის გამოყენებით ან ასეთის მუქარით, მითვისება და გაფლანგვა ხდება სრულიად უხმაუროდ, ფარულად.

ქონების მითვისება მოქმდებაა, მაგრამ დამნაშავე ცდილობს, მისი მოქმდება შეუმჩნეველი იყოს. ქონების მიმართ დამნაშავეს განსაზღვრული უფლებამოსილება გააჩნია, ე. ი. ქონების მესაკუთრის დავალებით თუ ხელშეკრულების ძალით ამ ქონების გამოყენების, დაცვის, ბრუნვის უფლება აქვს.

მაგალითად, მიწის მეპატრონემ იჯარით გასცა რამდენიმე ჰექტარი მიწა სათანადო ხელშეკრულებით, რითაც დაუკანონა მიწის მფლობელობა და მისი გამოყენება ვინმეს. მოიჯარემ მეპატრონის კუთვნილი სიმინდიდან მიითვისა გარკვეული ოდენობის მოსავალი.

რაც შეეხება გაფლანგვას, ის დამნაშავემ შეიძლება ჩაიდინოს თანხის უყაირათო ხარჯვით, ნედლეულისა და მზა პროდუქციის მოუვლელობით, დაუცველობით, შეუფერებელი ტრანსპორტირებით, გაჩუქებით და ა. შ.

გაფლანგვის დროს დამნაშავე არ ითვისებს ქონებას. ისე კი,

პრაქტიკაში გვხვდება ორივე დანაშაულის ჩადენა ერთი და იგივე პირის მიერ, ერთსა და იმავე დროს.

ქონების გამგებლობა არ უნდა ავურიოთ დაცვის ფუნქციაში, ამდენად გუშაგისაგან მისი დაცვის ქვეშ მყოფი ქონების მისაკუთრება არ შეიძლება ამ მუხლით დაკვალიფიცირდეს, იგი ქურდობის შემადგენლობას მოიცავს. ასევე დაკვალიფიცირდება ექსპედიტორის ქმედებაც, ვინც ერთი ადგილიდან მეორეზე გადაზიდვის დროს მისაკუთრა ხორბალი ან სხვა სახის საქონელი.

ამ დანაშაულის ამსრულებელი ძირითადად თანამდებობის პირია. სუბიექტური მხარე პირდაპირი განზრახვით ხასიათება.

დანაშაულის ობიექტია საკუთრება.

ობიექტური მხარე გამოიხატება სხვისი მინდობილი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მითვისებასა ან გაფლანგვაში.

მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს იგივე ქმედებას, როცა ის ჩადენილია: ა) ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით; ბ) არაერთგზის; გ) რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია; დ) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით.

სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებაში კანონმდებელი გულისხმობს სხვისი ქონების მითვისებას იმის მეშვეობით, რომ ამსრულებელი თანამდებობის პირია და სწორედ ამ გარემოების გამო მიუწვდება ხელი სხვის ქონებაზე, რომელიც არის მის მფლობელობაში ან განმგებლობაში და მითვისებს ან გაფლანგავს მას.

მაგალითად: მეპატრონემ თავისი კუთვნილი საკონსერვო ქარხნის მურაბების საამქროს უფროსად დანიშნა პირი სათანადო ხელშეკრულებით და უფლებამოსილებით. ამ უკანასკნელმა მურაბის ქილებში ოდენობისა და კომპონენტების განზრახ შემცირებით შექმნა ზედმეტი პროდუქცია და მისი რეალიზაციით მიღებული თანხა მიითვისა.

მუხლის მესამე ნაწილი პასუხისმგებლობას აწესებს, თუ ამ მუხლის პირველი ან მეორე ნაწილის რომელიმე პუნქტით გათვალისწინებული ქმედება ჩადენილი იქნა:

ა) ორგანიზებული ჯგუფის მიერ;

ბ) დიდი ოდენობით;

გ) იმის მიერ, ვინც ორჯერ და მეტჯერ იყო ნასამართლევი ქონების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის ან გამოძალვისათვის.

განსაკუთრებული ისტორიული, კულტურული, მეცნიერული ან ეროვნული ღირებულების ნივთის ან დოკუმენტის დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით – მუხლი 183

დანაშაული, რომელიც ხელყოფს ერისათვის განსაკუთრებული ისტორიული ღირებულების მქონე კულტურის ან მეცნიერული მნიშვნელობის ნივთებს ან დოკუმენტებს მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებით, ერთ-ერთი სერიოზული დანაშაულთაგანია.

დანაშაული დამთავრებულად ითვლება ნივთის თუ დოკუმენტის ნამდვილი მეპატრონის ხელიდან და გამგებლობიდან დამნაშავის ხელში გადასვლისთანავე, მნიშვნელობა არ აქვს, დამნაშავეს შეუძლია თუ არა მისი განკარგვა თავისი სურვილის შესაბამისად.

განსაკუთრებული ისტორიული, კულტურული, მეცნიერული ან ეროვნული ღირებულების ნივთებად და დოკუმენტებად ითვლება ისეთი საგნები ან კომპლექსები, რომლებიც წარმოდგენას იძლევა ერის ცხოვრების რომელიმე ისტორიულ მონაკვეთზე, მის პოლიტიკურ და სამხედრო ხელოვნებაზე, მუსიკაზე, ფერწერაზე, სკულპტურაზე, არქიტექტურაზე და მათ მოღვაწეებზე. აქ იგულისხმება იშვიათი ხელნაწერები, ძეგლები, არქივები, ფოტოები, კინოფილმები, ხმის ჩანაწერები, უნიკალური და იშვიათი ინსტრუმენტები, რომელზედაც გამოჩენილი კომპოზიტორები და შემსრულებლები მუშაობდნენ, საფოსტო მარკები, ძველი მონეტები, ორდენები, გამოჩენილ მხედართმთავართა იარაღები, ტანსაცმელი და ა.შ.

უკანონოდ დაუფლებული ნივთების შეფასება აუცილებელია არა მარტო მისი ფულადი, არამედ ეროვნული ღირებულების განსაზღვრითაც, როგორც კაცობრიობის აზროვნების ნიმუშისა. ამ შეფასებას იძლევა ექსპერტი სპეციალისტი.

ობიექტი დანაშაულისა არის საკუთრება.

ობიექტური მხარე დანაშაულისა მდგომარეობს ეროვნული, ისტორიული მნიშვნელობის მქონე ნივთის ან დოკუმენტების უკანონოდ უსასყიდლოდ დაუფლებაში (ყაჩაღობით, ქურდობით, ძარცვით, მითვისებით და სხვა). რეალური მატერიალური დაზარალება მესაკუთრისა არის ამ დანაშაულის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი. თუმცა გარკვეულწილად თითქოს სადაოა, მაგრამ დანაშაული დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს, როცა სუბიექტი ქონებას დაეუფლა და თავის ან სხვის სარგებლობაში მოაქცია.

სუბიექტური მხარე დანაშაულისა გამოიხატება განზრახ ბრალში. დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ იგი უკანონოდ ეუფლება ეროვნული, ისტორიული მნიშვნელობის მქონე ნივთს ან დოკუმენტს და სურს ასეთი. თუკი დამნაშავემ დაუფლებული ნივთის ისტორიული, კულტურული, მეცნიერული, ეროვნული ღირებულება არ იცის, დაუფლების დროს მისი ქმედება განსახილველი მუხლით ვერ დაკვალიფიცირდება.

მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს მაშინ, თუ ქმედება ჩადენილია:

ა) ჯგუფურად;

ბ) არაერთგზის.

ავტომობილის ან სხვა მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართლსაწინააღმდეგო დაუფლება მისაკუთრების მიზნის გარეშე – მუხლი 184

განსახილველი მუხლი პასუხისმგებლობას აწესებს ყველა სახის ავტომობილის, ტრაქტორის, ტრამვაი-ტროლეიბუსის, მოტოციკლის ან სხვა მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების მართლსაწინააღმდეგო დაუფლებისათვის. სხვა სატრანსპორტო საშუალებად მიიჩნევა ნებისმიერი თვითმავალი მანქანა, სკრეპერი, გრეიდერი, ბულდოზერი და ა. შ., რომელთაც გააჩნიათ შიგაწვის ძრავა ან ელექტრული მუხტი.

დაუფლება არის იძულების გარეშე სატრანსპორტო საშუალების დროებითი უკანონო მფლობელობა და მით თვითნებური სარგებლობა, სატრანსპორტო საშუალების მითვისების განზრახვის გარეშე. ე. ი. დამნაშავის მიზანია, დროებით გამოიყენოს სხვისი კუთვნილი სატრანსპორტო საშუალება (გადაადგილდეს, გაისეირნოს, ტვირთი გადაზიდოს და ა.შ.). სატრანსპორტო საშუალებების დაუფლება შეიძლება როგორც ფარულად, ასევე აშკარად ან მოტყუებით.

დანაშაული დამთავრებულად ითვლება იმ მომენტიდან, როგორც კი დამნაშავემ დგომის ადგილიდან წაიყვანა სატრანსპორტო საშუალება თავისი სასურველი მიმართულებით, მეპატრონის ნებართვის გარეშე.

ობიექტი დანაშაულისა არის ავტომანქანის გამოყენების უფლება. რასაც დროებით ჰკარგავს ნამდვილი მფლობელი. საგანი დანაშაულისა არის სატრანსპორტო საშუალება.

ობიექტური მხარე დანაშაულისა გამოიხატება სატრანსპორტო საშუალებათა დროებით გამოყენებაში დამნაშავის სასარგებლოდ.

სუბიექტური მხარე გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში. როდესაც დამნაშავეს შეგნებული აქვს. რომ იგი სატრანსპორტო საშუალებას მართალსაწინააღმდეგოდ ეუფლება მისაკუთრების მიზნის გარეშე. დროებითი გამოყენებისათვის. ნამდვილი მფლობელის ნებართვის საწინააღმდეგოდ და სურს ასეთი.

თუ პიროვნებამ გაიტაცა სატრანსპორტო საშუალება და გარკვეული მანძილის გავლის შემდეგ მისგან მოიპარა სასურველი დეტალები. ხოლო ავტომანქანა იქვე დასტოვა. ან მოახდინა ავარია. რასაც მძიმე შედეგი მოჰყვა. მისი მოქმედება დაკვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობით.

მუხლის მეორე ნაწილი. როგორც კვალიფიციური ქმედება. ითვალისწინებს სატრანსპორტო საშუალების გატაცებას პირთა ჯგუფის მიერ. აქვე უნდა აღინიშნოს. რომ ასეთ შემთხვევაში კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არ აქვს. თუ რომელი დამნაშავე უჯდა საჭეს. იგივე ნაწილი ითვალისწინებს დამამძიმებელ გარემოებად ისეთ მომენტს. როდესაც სატრანსპორტო საშუალების გატაცება ჩადენილია არაერთგზის. ან ძალადობით. რომელიც საშიში არ არის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის.

ძალადობის გამოყენება ნიშნავს ფიზიკური ძალის მოშველიებას (მფლობელზე. კანონიერ დროებით მოსარგებლეზე ან გუშაგზე. ვისაც მინდობილი აქვს სატრანსპორტო საშუალების დაცვა) სატრანსპორტო საშუალების დროებით წართმევისათვის ან მარშრუტის შეცვლისათვის. ძალადობაში კანონმდებელი გულისხმობს მფლობელის საჭიდან გადმოგდებას. გასაღების წართმევას ხელის გადაგრეხვით ან გამოგლეჯვით. ან სხვაგვარი მოქმედებით.

მუქარა ნიშნავს ფიზიკური ძალადობის გამოყენებით დაშინებას. თუ სატრანსპორტო საშუალების გადაცემაზე უარს იტყვის მფლობელი.

ძალადობის გამოყენების დროს დაზარალებულის დაზიანების შემთხვევაში მოქმედება კვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობით.

მუხლის მესამე ნაწილი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს, თუკი დამნაშავე მუხლის პირველი და მეორე ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებას ჩაიდენს დაზარალებულის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ან ასეთი ძალადობის მუქარით.

კანონმდებელი შენიშვნაში აღნიშნავს, რომ თუ ოცდაოთხი საათის განმავლობაში დამნაშავე ნებაყოფილობით, დაუზიანებლად დააბრუნებს სატრანსპორტო საშუალებას, მას გაუნახევრდება სასჯელი.

ქონებრივი დაზიანება მოტყუებით – მუხლი 185

აღნიშნული მუხლი ახალია სისხლის სამართლის კანონმდებლობაში. იგი პასუხისმგებლობას აწესებს იმ პირის მიმართ, რომელმაც ქონების მესაკუთრეს ან ქონების კანონიერ მფლობელს მოტყუებით მიაყენა ქონებრივი ზარალი.

კანონმდებელი ამ მუხლით ქმედების კვალიფიკაციის დროს გამორიცხავს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს.

მესაკუთრე ის ფიზიკური ან იურიდიული პირია, რომელიც კანონიერად წარმოადგენს ნივთის მფლობელს და განმკარგულებელს.

ქონების სხვაგვარ კანონიერ მფლობელად ითვლება პირი, რომელიც მესაკუთრის უფლებით არ სარგებლობს, მაგრამ მესაკუთრესთან დადებული კანონიერი ხელშეკრულებით სარგებლობს ამ ქონების სამეურნეო გამოყენებით – მთელი ცხოვრების ან გარკვეული პერიოდის განმავლობაში.

ობიექტური მხრივ დანაშაული გამოიხატება მასში, რომ დამნაშავე მესაკუთრის ან მფლობელის ნდობას იყენებს ბოროტად, ატყუებს და ამით აზიანებს მას ქონებრივად. ამ დანაშაულს ახასიათებს ზოგიერთი მსგავსება თაღლითობასთან (180-ე მუხლი). მაგრამ, რა თქმა უნდა, მკვეთრად განსხვავდება მისგან საერთო მექანიზმით, დამნაშავისაგან ქონებრივი გამორჩენის მიღების მეთოდითა და ხასიათით. თუ თაღლითობისა და დაუფლების ნებისმიერი ფორმის განხორციელების დროს დამნაშავე პირდაპირ იღებს მესა-

კუთრისაგან ან კანონიერი მფლობელისაგან ქონების უშუალო ნაწილს. აქ მდგომარეობა სხვაგვარად არის. მაგალითად, თუ თაღლითობის დროს დამნაშავე თავიდანვე წინასწარი განზრახვით ცდილობს დაზარალებულის მოტყუებით დაეუფლოს სასურველ ქონებას, აქ შრომითი ხელშეკრულების დადების შემდეგ უჩნდება დამნაშავეს სურვილი ქონების მეპატრონეს დააკლოს კუთვნილი საგადასახადო თანხა.

განსახილველი დანაშაული ხასიათდება განსაკუთრებული თავისებურებებით, რომელიც მკვეთრად ანსხვავებს მას დაუფლების სხვა ფორმებისაგან.

დამნაშავე შესაძლებელია წარმოებით ურთიერთობაშიაც იყოს ქონების მესაკუთრესთან ან კანონიერ მფლობელთან და ამ დროს წარმოებითი შემოსავლის დიდ პროცენტს მოტყუებით მიაქცევს თავის სასარგებლოდ იმ დროს, როცა იგი უნდა მოხვედრილიყო მესაკუთრის ან კანონიერი მფლობელის ქონებრივ ფონდში.

ქონებრივი ზიანის ფაქტიური მდგომარეობა შეიძლება გამოიხატოს მოტყუების სხვადასხვა ფორმით: მაგალითად, ელექტროენერგიის, გაზის, წყლის ხარჯის მცირე ოდენობით ჩვენება და ა. შ.

დანაშაული დამთავრებულად ითვლება, როცა დამნაშავემ თანხა არ გადაიხადა, არ დაუბრუნა ნამდვილ მეპატრონეს მისი კანონიერი საკუთრება და ამით მიაყენა ქონებრივი ზარალი, თუით დამნაშავემ გამოიყენა თუ არა მითვისებული ქონება, კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არ აქვს.

სუბიექტური მხარე დანაშაულისა გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში. დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ ის არ უხდის, ან ნაწილობრივ უხდის მესაკუთრეს გადასახადს, იყენებს მის ნდობას, ატყუებს მას და ამ გზით აზარალებს.

მუხლის მეორე ნაწილით დანაშაულის კვალიფიციურ შემადგენლობად ითვლება იგივე ქმედების ჩადენა პირთა ჯგუფის მიერ ან არაერთგზის, ან კიდევ რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

ამ მოქმედებების განმარტება მოცემულია 177-ე მუხლის განხილვის დროს.

მუხლის მესამე ნაწილი პასუხისმგებლობას აწესებს, თუ ამ მუხლის პირველი ან მეორე ნაწილით გათვალისწინებული ქმედება ჩადენილი იქნება:

ა) ორგანიზებული ჯგუფის მიერ;

ბ) დიდი ოდენობით;

გ) იმის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლევი სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგოდ მითვისებისა ან გამოძალვისათვის.

წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთის შეძენა ან გასაღება – მუხლი 186

მუხლის დისპოზიცია ითვალისწინებს ისეთ შემადგენლობას, როდესაც დამნაშავე პირადი საჭიროებისათვის ან გასაღების მიზნით შეიძენს დანაშაულებრივი გზით მოპოვებულ ნივთს, როდესაც ამ უკანასკნელმა შეძენამდე იცოდა, რომ იგი დანაშაულებრივი გზით იყო მოპოვებული (ქურდობით, ყაჩაღობით, ძარცვით, გამოძალვით და ა.შ.).

როცა კანონმდებელი აღნიშნავს ,,წინასწარი შეცნობით'', აქ იგულისხმება - დამნაშავემ ნივთის შესყიდვამდე გაიგო სარწმუნოდ, რომ იგი გამყიდველს დანაშაულებრივი გზით ჰქონდა მოპოვებული. ასეთ შემთხვევაში ქმედება შეიძლება დაკვალიფიცირდეს იმ მუხლითაც, რომლის მიხედვითაც განუცხადებლობაც ისჯება კანონით.

თუ დამნაშავე ნივთს დანაშაულებრივი გზით შემძენს შეძენამდე შეუთანხმდება მის ყიდვასა თუ გასაღებაში დახმარებაზე, ქმედება დაკვალიფიცირდება თანამონაწილეობად.

შეძენაში იგულისხმება დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთის ყიდვა სათანადო თანხის გადახდით. შესყიდვა შეიძლება მოხდეს უშუალოდ, ნივთის უკანონო მფლობელისაგან ან მეორე პირისაგან.

გასაღებაში იგულისხმება დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთის გაყიდვა ან გაცვლა. დანაშაულის ობიექტია საკუთრებითი ურთიერთობა, ხოლო საგანი ის ნივთი, რომელიც დანაშაულებრივი გზითაა მოპოვებული.

სუბიექტური მხარე მდგომარეობს პირდაპირ განზრახვაში, როდესაც დამნაშავემ საგნები შეიძინა თუ გაასაღა იმის ცოდნით და შეგნებით, რომ ისინი დანაშაულებრივი გზით იყო მოპოვებული და სურდა ეს.

მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს მაშინ, თუ იგივე ქმედება ჩადენილია:

ა) წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ;

ბ) არაერთგზის;

გ) ავტომობილისა;

დ) დიდი ოდენობით;

ე) იმის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლევი სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების ან გამოძალვისათვის.

კანონმდებელმა დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ავტომობილის შეძენას საგანგებოდ გაუსვა ხაზი, როგორც დამამძიმებელ გარემოებას, რადგან ეს დანაშაული მეტად ინტენსიურად ხდება ქვეყანაში და რეალიზაციაც იოლად მიმდინარეობს.

მესამე ნაწილი პასუხისმგებლობას აკისრებს მაშინ, თუ პირველი ან მეორე ნაწილით გათვალისწინებული ქმედება ჩადენილია:

ა) ორგანიზებული ჯგუფის მიერ;

ბ) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით. ამგვარად დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთის შეძენა დაკვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობით.

ნივთის დაზიანება ან განადგურება – მუხლი 187

ზოგადი ობიექტი ამ დანაშაულისა არის საკუთრებითი ურთიერთობა, ხოლო გვარობითი ობიექტი – საკუთრება, საგანი კი ის ფასეულობაა, რომლისკენაც უშუალოდ მიმართულია დანაშაულებრივი ვნება (სახლი, ავტომანქანა და ა.შ.). ობიექტური მხარე მდგომარეობს სხვისი ნივთის ფაქტიურ განადგურებაში ან დაზიანებაში, რამაც მნიშვნელოვნად დააზარალა ფიზიკური ან იურიდიული პირი.

განადგურება შესაძლებელია დაჩეხვით, დამსხვრევით, ქიმიური საშუალებების ზემოქმედებით და ა.შ.

დაზიანების ცნებაში იგულისხმება საგნის თვისებების იმგვარი დაკარგვა, როცა მას იძულებით უკარგავენ აუცილებელ დამახასიათებელ თვისებას და გამოყენებით ღირებულებას, რომლის

ალდგენა შესაძლებელია (დაზიანებული სურათის რესტავრაცია. ავტომანქანის შეკეთება. ნაცემი ცხოველის მკურნალობა და ა.შ.).

საგანი ამ დანაშაულისა შეიძლება იყოს ნებისმიერი ნივთი, რომელსაც მატერიალური ღირებულება გააჩნია.

ობიექტური მხარის აუცილებელი ნიშანია საზოგადოებრივად საშიში შედეგი — ნივთის განადგურებით ან დაზიანებით გამოწვეული მნიშვნელოვანი ზარალი.

კანონმდებელი მნიშვნელოვანი ზარალის ოდენობის განსაზღვრებას არ იძლევა. ამდენად იგი უნდა გაიზომოს კონკრეტული მგომარეობის მიხედვით, როგორც ნივთის ფულადი ღირებულებით, ასევე დაზარალებულის საერთო ეკონომიკური მდგომარეობით და ოჯახისათვის ამ საგნის მნიშვნელობით.

დანაშაული დამთავრებულად ითვლება ნივთის განადგურების ან დაზიანებისთანავე.

სუბიექტური მხარე მდგომარეობს პირდაპირ განზრახვაში.

პირდაპირი განზრახვის დროს დამნაშავე სრული შეგნებით მოქმედებს, რათა გაანადგუროს ან დააზიანოს სხვისი ქონება და სურს ასეთი შედეგი.

მოტივი სხვისი ქონების განზრახ განადგურებისა შეიძლება იყოს სიძულვილი, მტრობა, შური, ეჭვიანობა, ხულიგნობა და ა.შ.

მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს ამ დანაშაულის კვალიფიციურ სახეს, კერძოდ:

როდესაც იგი ჩადენილია ცეცხლის წაკიდებით, აფეთქებით ან სხვა საყოველთაოდ საშიში საშუალებით.

ცეცხლის წაკიდებით ნივთის განადგურებას საყოველთაოდ საშიში ხასიათი გააჩნია იმდენად, რამდენადაც შესაძლებელია, ხანძარი გავრცელდეს სხვა იურიდიულ თუ ფიზიკურ პირთა ქონებაზედაც. ცხადია, ამ მუხლით ვერ დაკვალიფიცირდება ნივთის განადგურება ან დაზიანება მაშინ, როდესაც დამნაშავე მიზნად ისახავს საზოგადოებრივი უშიშროების ხელყოფას, მოსახლეობის დაშინებას და ა. შ.

..ან სხვა საყოველთაოდ საშიშ საშუალებებში" კანონმდებელი გულისხმობს წყლის ნაკადის მიშვებას და ა. შ.

მუხლის მესამე ნაწილი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს მაშინ, თუკი ამ მუხლის მეორე ნაწილში აღნიშნულმა ქმედებამ გაუფრთხილებლობით გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი.

ნივთის დაზიანება ან განადგურება გაუფრთხილებლობით – მუხლი 188

განსახილველი მუხლი სამი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილის დისპოზიცია ასეთია: „სხვისი ნივთის დაზიანება ან განადგურება გაუფრთხილებლობით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია“.

კანონმდებელი დასჯად ქმედებად მიიჩნევს მნიშვნელოვანი ზიანის გამომწვევ გაუფრთხილებელ მოქმედებას.

მაგალითად, მრავალსართულიან ბინაში წყლის ონკანის შემთხვევით ღიად დატოვებით გამოწვეული ჰავლით მნიშვნელოვნად დაზიანდა ქვედა სართულის კედლები და ავეჯი.

გაუფრთხილებლობა მდგომარეობს მასში, რომ დამნაშავე ითვალისწინებს მისი მოქმედების შედეგს, მაგრამ იმედი აქვს ზიანის თავიდან აცილებისა, რადგან წინდაუხედავად უყურებს მოსალოდნელი მოვლენების განვითარებას ან საერთოდ ვერ ითვალისწინებს ასეთს, არადა, ვალდებული იყო, გაეთვალისწინებინა და შეეძლო, გაეთვალისწინებინა.

მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს იგივე ქმედებას, თუ იგი განხორციელდა ცეცხლთან ან მომეტებული საფრთხის წყაროსთან გაუფრთხილებელი მოპყრობით.

მომეტებულ საფრთხეში კანონმდებელი გულისხმობს ელექტრო და შესადუღებელ მექანიზმებთან და აპარატებთან გაუფრთხილებელ დამოკიდებულებას, რასაც შეიძლება მოჰყვეს აფეთქება ან სხვა.

გაუფრთხილებელ დამოკიდებულებაში იგულისხმება არასწორი ექსპლოატაცია ტექნიკისა, უსაფრთხოების წესების დარღვევა და ა.შ.

ობიექტი დანაშაულისა არის საკუთრება, საგანი კი ნივთი. ობიექტური მხარე გამოიხატება გაუფრთხილებლობით მის განაგურებასა ან დაზიანებაში.

ამსრულებელი ამ დანაშაულისა შეიძლება იყოს ნებისმიერი მოქალაქე. სუბიექტური მხარე მდგომარეობს გაუფრთხილებლობაში.

მუხლის მესამე ნაწილი პასუხისმგებლობას აწესებს მაშინ, თუ მეორე ნაწილში გათვალისწინებულმა მოქმედებამ გაუფრთხილებლობით გამოიწვია ადამიანის დაღუპვა ან სხვა მძიმე შედეგი.

ადამიანები, რომლებიც ქმნიან ინტელექტუალური შრომის შედეგებს – მეცნიერულ, ლიტერატურულ, სახვითი ხელოვნების ნაწარმოებებს, გამოგონებებს, სასარგებლო მოდელებს, კონსტრუქციებს, არქიტექტურულ ნიმუშებს და სხვას, იწოდებიან ამ ნაწარმოებების ავტორებად და გააჩნიათ საავტორო უფლებამოსილება.

ამ მეტად მნიშვნელოვან საქმიანობას არეგულირებს 1999 წლის 22 ივნისის „საქართველოს კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ". კანონის მიზანია, დაიცვას და მოაწესრიგოს საავტორო ქონებრივი და არაქონებრივი უფლებები, რომლებიც წარმოიშობა მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა შექმნისა და გამოყენების დროს. ე.ი. საავტორო უფლების წარმოქმნის დროს.

იმისათვის, რომ არ მოხდეს საავტორო უფლების დარღვევა და სისხლის სამართლის წესით დაისაჯოს ამ უფლების დანაშაულებრივი დამრღვევი, სისხლის სამართლის კოდექსი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს იმ პირის მიმართ, რომელიც მიითვისებს სხვის მეცნიერულ, ლიტერატურულ ან ხელოვნების ნაწარმოებზე, გამოგონებაზე, სასარგებლო მოდელზე, სამრეწველო ნიმუშზე ან ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის სხვა შედეგზე საავტორო უფლებას, ან მის მომიჯნავე უფლებას, ანდა ავტორის ნებართვის გარეშე გაავრცელებს, განკარგავს, საჯაროდ შეასრულებს, მოახდენს მის იმპორტირებას, ექსპორტირებას თუ სხვაგვარ გამოყენებას.

მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას აკისრებს იმას, ვინც სხვისი ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგით – ნაწარმოებით უკანონოდ ისარგებლა ან სხვაგვარად, უკანონოდ გამოიყენა ავტორის ან საავტორო უფლების მფლობელის თანხმობის გარეშე, ან გამოგონების, სასარგებლო მოდელის ან სამრეწველო ნიმუშის მონაცემები გაახმაურა.

ავტორი არის ის ფიზიკური პირი, რომლის ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგადაც შეიქმნა ნიმუში.

საავტორო უფლების მომიჯნავე უფლებაში კანონმდებელი გულისხმობს ნაწარმოების გამოყენებას, მაგალითად, მუსიკალური ნაწარმოების საჯაროდ შესრულებას, ფონოგრამის ან ვიდეოგრამის დამზადებას და ა.შ.

„საავტოორო უფლება ვრცელდება მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე, განურჩევლად ნაწარმოების დანიშნულებისა, ავკარგიანობისა, ჟანრისა, მოცულობისა, გამოხატვის ფორმისა და საშუალებისა. საავტორო უფლება ვრცელდება როგორც გამოქვეყნებულ, ასევე გამოუქვეყნებელ ნაწარმოებებზე, რომელიც არსებობს რაიმე ობიექტური სახით“ (კანონი საავტორო უფლების შესახებ, მუხლი 5).

საავტორო უფლება ჩნდება ნაწარმოების შექმნის მომენტიდან. ნაწარმოები შექმნილად ითვლება, როდესაც იგი გამოხატულია რაიმე ობიექტური ფორმით, რაც მისი აღქმისა და გაგების საშუალებას იძლევა.

სისხლის სამართლის კანონის პირველი ნაწილი დანაშაულად მიიჩნევს:

1) საავტორო უფლების მითვისებას;

2) ნაწარმოების გამრავლებას გავრცელების მიზნით, ავტორის თანხმობის გარეშე;

3) გავრცელებას;

4) საჯარო შესრულებას;

5) იმპორტირებას;

6) ექსპორტირებას ან სხვაგვარ გამოყენებას.

მუხლის მეორე ნაწილი დანაშაულად მიიჩნევს:

1) უკანონოდ სარგებლობას ან სხვაგვარ გამოყენებას;

2) სასარგებლო მოდელის ან სამრეწველო ნიმიუშის მონაცემების გახმაურებას.

მუხლის მესამე ნაწილი პასუხისმგებლობას აკისრებს იმას, ვინც ამ მუხლის პირველი ან მეორე ნაწილით გათვალისწინებული ქმედება ჩაიდინა არაერთგზის, ან ვინც მნიშვნელოვნად დააზიანა ავტორი, საავტორო უფლების სხვა მფლობელი ან მომიჯნავე უფლების მფლობელის ინტერესი. აგრეთვე იმას, ვინც აიძულებს ავტორს, რაიმე საშუალებით გაიხადოს ის თანაავტორად. იძულება შეიძლება განხორციელდეს თანამდებობის გამოყენებით, ან სხვაგვარი ქმედებით.

დანაშაულის ზოგადი ობიექტი არის საკუთრებითი ურთიერთობა, უშუალო ობიექტი, საგანი — ინტელექტუალური ნაწარმოები.

ობიექტური მხარე გამოიხატება ინტელექტუალური საკუთ-

რების მიმართ ზემოთ ჩამოთვლილ მართლსაწინააღმდეგო ქმედებაში.

სუბიექტური მხარე გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში.

26-ე თავი

დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ

(ზოგადი მიმოხილვა)

სამეწარმეო საქმიანობად მიიჩნევა მართლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების მიზნით, დამოუკიდებლად ან ორგანიზებულად. სამეწარმეო საქმიანობა ნამდვილად დადებითი და საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობაა, მაგრამ ყოველი საქმიანობა როდია სამეწარმეო საქმიანობა. უპირველეს ყოვლისა, სამეწარმეო საქმიანობის პირველი ნიშანი არის ის, რომ იგი უნდა იყოს მართლზომიერი, არ ეწინააღმდეგებოდეს მოქმედი სამართლის ნორმებს.

არამართლზომიერად შეიძლება ჩაითვალოს საქმიანობა, რომელიც პირდაპირ აკრძალულია სისხლის სამართლის კანონით. მაგალითად, ნარკოტიკულ ნივთიერებათა ან სხვა ძლიერმოქმედ და შხამიან ნივთიერებათა უკანონო დამზადება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება – მუხლი 260; უკანონო ექიმობა – მუხლი 246 და ა.შ. ან ისეთი საქმიანობა, რომელიც თუმცა არ არის კანონით აკრძალული, მაგრამ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე არაეთიკურ ქმედებად იქნება მიჩნეული და ამის გამო ჩაითვლება არამართლზომიერად. არაერთჯერად საქმიანობაში იგულისხმება ის, რომ მეწარმეობითი საქმიანობა უნდა ხორციელდებოდეს არა ერთჯერადად, არამედ სისტემატურად, თანმიმდევრულად და გეგმაზომიერად.

„არაერთჯერადობა ნიშნავს ასევე ანალოგიური, მსგავსი საქმეების წარმართვის განზრახვას. იგი არ გულისხმობს საქმიანობას განუსაზღვრელი ვადით. ეს არ არის აუცილებელი. მოკლევადიანი საქმიანობაც შეიძლება დაკვალიფიცირდეს მეწარმეობად (კერძოდ,

სეზონური მუშაობა) და პირიქით, მრავალჯერადი, ოღონდ სხვადასხვა ხასიათის მოქმედებები ჯერ კიდევ არ ნიშნავს სამეწარმეო საქმიანობას".[1]

მეწარმეთა კანონი აღნიშნავს იმასაც, რომ სამეწარმეო საქმიანობა აუცილებლად უნდა ხორციელდებოდეს მოგების მიზნით. აქ იგულისხმება მეწარმის სურვილი. პრაქტიკულად მან მიიღო თუ არა მოგება, საქმიანობის სამეწარმეო საქმიანობად ჩათვლისათვის მნიშვნელობა არ აქვს.

დამოუკიდებლობასა და ორგანიზებულობაში კანონმდებელი გულისხმობს სამართლებრივ დამოუკიდებლობას, ხოლო ორგანიზებულობაში რამდენიმე ასპექტია გათვალისწინებული. პირველი - საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: ინდივიდუალური საწარმო, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, კომანდატური საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის, სააქციო საზოგადოება თუ კოოპერატივი.

მეწარმეობის არაერთჯერადობა გულისხმობს საწარმოს მოქმედებების სისტემატურობას, ჯაჭვურობას და გეგმაზომიერებას.

„საწარმო არის სამეწარმეო საქმიანობაში მეწარმეთა ორგანიზაციის უნივერსალური ფორმა. იგი ერთდროულად არის, როგორც სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი, ასევე ამ ურთიერთობათა ობიექტიც".[2]

საწარმო თავისი თეორიულ-დოკუმენტური ერთიანობის შექმნის შემდეგ საჭიროებს რეგისტრაციას: „რეგისტრაცია არის მოვლენების შეტანა, გატარება სპეციალურ სახელმწიფო რეესტრში. როგორც წესი, რეგისტრაციას ორგვარი მნიშვნელობა აქვს: ერთი, როგორც ფაქტის, მოვლენის აღნიშვნისა და მეორე, კონსტიტუციური მნიშვნელობა. კანონი მეწარმეთა შესახებ განამტკიცებს სწორედ მეორე სახის რეგისტრაციას".

განსახილველი თავი აერთიანებს იმ დანაშაულთა ერთობლიობას, რომელიც მიმართულია სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ.

ქვემოთ შევეცდებით მათ იურიდიულ დახასიათებას.

---

1. ლ. ჭანტურია, თ. ნინიძე, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, მეორე გამოცემა, გვ. 2-3, 1998 წ.

2. იხ. მითითებული ნაშრომი, გვ. 11

კანონიერი სამეწარმეო საქმიანობისათავის ხელის შეშლა – მუხლი 190

სამეწარმეო საქმიანობა სრულიად კანონიერი და რთული კონსტიტუციური, მიზანმიმართული მოქმედებაა და მისი საქმიანობისათვის ხელის შეშლა შეუძლია მხოლოდ იმ თანამდებობის პირს, ვისაც გარკვეული კანონიერი უფლება-მოვალეობა აკავშირებს ამ საქმიანობასთან. საწარმო პირველად ყალიბდება დოკუმენტალურად, თავისი საწარმოო კაპიტალით და სტრუქტურით და რომ ის ცნობილი იქნეს კანონიერად, უნდა მოხდეს მისი რეგისტრაცია, დაფიქსირდეს როგორც ფაქტის არსებობა – კონსტიტუციური ეკონომიკური ერთეული. კანონი პასუხისმგებლობას აკისრებს სწორედ იმ პირს, რომელიც ხელს უშლის საწარმოს რეგისტრაციას და საწარმოს სამეურნეო საქმიანობას. დანაშაულის ობიექტია მოქალაქის კონსტიტუციური უფლება სამეწარმეო საქმიანობის გამართვის შესახებ.

დანაშაულის ობიექტური მხარე მდგომარეობს მასში, რომ მოხელე სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით დაუსაბუთებლად ეუბნება უარს საწარმოო საქმიანობის სუბიექტს საწარმოს რეგისტრაციაზე, ან თავს არიდებს, გასცეს ნებართვა (ლიცენზია) საწარმოზე, რათა იგი შეუდგეს მუშაობას და ჩადგეს ქვეყნის ეკონომიკური წინსვლის სამსახურში, ან ზღუდავს მეწარმის უფლებას, კანონიერ ინტერესს, არ აძლევს მოქმედების თავისუფლებას, უკანონოდ ერევა მის საქმიანობაში და ამ მოქმედებით აზიანებს საწარმოს, ქვეყანას. დანაშაული მატერიალურია და დამთავრებულად ითვლება მაშინ, თუ დამნაშავის მოქმედებამ მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

საზოგადოებრივი საშიშროება დანაშაულისა მდგომარეობს მასში, რომ იგი შლის ეკონომიკის ერთიან სისტემას, მართლწესრიგს, არღვევს სახელმწიფოს მიერ დადგენილ ეკონომიკურ დისციპლინას, სახელმწიფოს ინტერესი დაჰყავს მის პირად ინტერესამდე, ხელყოფს საზოგადოებისა და სახელმწიფოს საერთო ეკონომიკურ ინტერესს, ასევე ცალკეულ იურიდიულ პირთა სასარგებლო საქმიან მონაწილეობას ქვეყნის ეკონომიკურ ციკლში და ა.შ.

კანონიერება თანამდებობის პირების მოღვაწეობისა ეკონომიკის სფეროში და თვით მეწარმეობითი საქმიანობა განსაზღვრულია კონსტიტუციით, საქართველოს სამოქალაქო სამართლით სხვა

მრავალი კანონით და კანონქვემდებარე აქტებით, რომლითაც კანონიერი მიმართულება ეძლევა სამეწარმეო საქმიანობას, მეწარმისა და სახელმწიფოს ურთიერთდამოკიდებულებას და პასუხისმგებლობას.

დანაშაული დამთავრებულად ითვლება, როგორც კი თანამდებობის პირი შექმნის იმის პირობებს, რომ ხელი შეეშალოს მეწარმეს კომერციულ საქმიანობაში, ისარგებლოს სამართლებრივი შესაძლებლობით სამეწარმეო საქმიანობის მიმდინარეობის დროს და ა.შ.

საწარმოს რეგისტრაციაზე დაუსაბუთებელ უარს, განსახილველი მუხლის მიხედვით, ადგილი აქვს მაშინ, როდესაც თანამდებობის პირი მიიღებს სრულ კანონიერ დოკუმენტაციას საწარმოს იურიდიული სახის გაფორმებისათვის და უარს იტყვის მის რეგისტრაციაზე უსაფუძვლოდ, არაობიექტური მოტივით.

საწარმოს იურიდიული გაფორმების წესი მოცემულია მეწარმეთა კანონის მეოთხე და მეხუთე მუხლებში.

საწარმო რეგისტრაციას ახორციელებს სასამართლო სამეწარმეო რეესტრში სათანადო ჩანაწერებით. სამეწარმეო რეესტრს უძღვება სასამართლო. ეს მეწარმეთა კანონის უმნიშვნელოვანესი მოთხოვნაა.

„სპეციალური ნებართვის (ლიცენზიის) გაცემაზე თავის არიდებაა“, როდესაც სრული საფუძველი და დოკუმენტაცია გააჩნია ლიცენზიის აღებისა, მაგრამ შესაბამის ორგანოს გამოაქვს უკანონო გადაწყვეტილება ნებართვის გაცემაზე უარისთქმის შესახებ.

ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის კანონიერი საფუძველი არის დოკუმენტებში გარკეული ობიექტური ეჭვის შეტანა, უარყოფითი დასკვნა ექსპერტისა, შეუსაბამობა დოკუმენტებსა და ფაქტიურ მდგომარეობას შორის, სამუშაოს პირობების უკმარისობა, საწარმოო უსაფრთხოების წესების გაუთვალისწინებლობა და ა.შ.

მეწარმის უფლების, კანონიერი ინტერესის ან თავისუფლების შეზღუდვა შეიძლება გამოიხატოს ცალკეულ საწარმოებზე უკანონო ზემოქმედებაში — დამოუკიდებლად დადოს სამეწარმეო ხელშეკრულებები საქონლის რეალიზაციისა თუ ნედლეულის შემოტანისა, საწარმოს გაფართოებისა თუ დამატებითი დარგის შექმნისა და ა.შ.

საწარმოს კანონიერი ინტერესების ან თავისუფლების შეზ-

ღუდვა დამნაშავემ შეიძლება განახორციელოს საქმის უკანონოდ მართვის ზოგიერთი ძალდატანებითი ეკონომიური სანქციის გამოყენებით, დაშინებით, უკანონო საწარმოო საქმიანობის განხორციელებით და ა.შ.

ამსრულებელი მოცემული დანაშაულისა არის თანამდებობის პირი, რომელიც ფლობს სპეციალურ კომპეტენციას, აქვს განსაზღვრული უფლებამოსილება ინდივიდუალური საწარმოს ან კომერციული გაერთიანების რეგისტრაციისა ან სპეციალური ნებართვის (ლიცენზია) გაცემისა, აგრეთვე ზოგიერთი გადაწყვეტილების მიღებისა, რაც პირდაპირ ან ირიბად არეგულირებს სამეწარმეო საკონტროლო ან საზედამხედველო საქმიანობას.

სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება გამოიხატება მასში, რომ მოხელე უკანონოდ იყენებს მას და ასაბუთებს როგორც სამსახურის ინტერესს.

სუბიექტური მხარე გამოიხატება მხოლოდ პირდაპირ განზრახვაში. დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ მისი მოქმედება ან უმოქმედობა ხელს უშლის, აბრკოლებს კანონიერ სამეწარმეო საქმიანობას და სურს ეს.

მიზანი დამნაშავისა შეიძლება მრავალი სახის იყოს. კერძოდ: გამორჩენის მიღება, შურისგება და ა.შ.

როგორც კანონი აღნიშნავს, დანაშაულს საზოგადოებრივად საშიში შედეგი გამოიხატება მნიშვნელოვან ზარალში, მას გაიანგარიშებს სასამართლო.

მიწასთან დაკავშირებული გარიგების უკანონო რეგისტრაცია – მუხლი 191

აღნიშნული მუხლი სრულიად ახალია ჩვენი კანონმდებლობისათვის. იგი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს სპეციალური თანამდებობრივი დანაშაულისათვის და უზრუნველყოფს მიწის დამუშავებისათვის დაწესებული კანონიერი გარიგებებისა და შემოსავლების სისხლის სამართლებრივ დაცვას. მიწასთან დაკავშირებული გარიგებების წესები მოცემულია საქართველოს კანონში „სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრების უფლების შესახებ“ (1996, 23/3) და საქართველოს კანონში „მიწის რეგისტრაციის შესახებ.“

კანონის დისპოზიცია ასეთი შინაარსისაა:

„მიწასთან დაკავშირებული გარიგების უკანონო რეგისტრაცია, სახელმწიფო მიწის კადასტრის სააღრიცხვო მონაცემის დამახინჯება, ანდა მიწის გადასახადის შემცირება ანგარებით ან სხვა პირადი მოტივით“.

კანონის დანიშნულებაა, უზრუნველყოს სახელმწიფო აპარატის კანონიერი დამოკიდებულება მიწის საშემოსავლო ბრუნვასთან, როგორც საკუთრებისა და ღირებულების ობიექტთან. აღნიშნული ნორმის დისპოზიცია მოიცავს სამ მომენტს:

ა) მიწასთან დაკავშირებული გარიგების უკანონო რეგისტრაცია;

ბ) სახელმწიფო მიწის კადასტრის სააღრიცხვო მონაცემების დამახინჯება;

გ) მიწის გადასახადის შემცირება ანგარებით.

დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროება გამოიხატება სახელმწიფოს ეკონომიკური ინტერესებისა და მიწის საკუთრების თანასწორუფლებიანობის ხელყოფაში.

მიწასთან დაკავშირებული გარიგების კანონიერება დაშვებულია კონსტიტუციით, სამოქალაქო კოდექსით, მიწის კოდექსით და სხვა კანონქვემდებარე დოკუმენტებით. მიწის რეგისტრაციას საჯარო რეესტრში განახორციელებს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი, შესაბამის ტერიტორიულ ორგანოებთან ერთად სამოქალაქო კოდექსის ნორმების დაცვით.

უკანონო გარიგება მიწასთან დაკავშირებით შეიძლება მოხდეს სასოფლო-სამეურნეო ბრუნვიდან მიწის გამოყოფით, ერთ ხელში მისი კონცენტრაციით, ეკონომიკური სპეკულაციის მიზნით, რითაც ირღვევა მიწის მესაკუთრეთა კანონიერი უფლებები და ინტერესები. ამ დანაშაულისათვის მოხელის სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში მისაცემად საჭიროა დადგინდეს, რაში გამოიხატება გარიგების უკანონობა. დანაშაული დამთავრებულია უკანონო გარიგებისთანავე.

ფაქტობრივად, დამნაშავის მოქმედება გამოიხატება მასში, რომ ის, როგორც თანამდებობის პირი, ფლობს რა სახელმწიფო მიწის ხელშეკრულებით გაცემისათვის საერთო რაოდენობრივი და ხარისხობრივი აღრიცხვის უფლებამოსილებას, განზრახ ამცირებს სახელმწიფო მიწის ციფრობრივ ოდენობას, ხარისხობრივ სიკეთეს

და სახელმწიფოსაგან მიჩქმალვით იყენებს მას პირადი შემოსავლის მიზნით.

საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობის მიხედვით ნებადართულია მიწასთან დაკავშირებული გარიგების მრავალი ფორმა. ფიზიკურ ან იურიდიულ პირს შეუძლია მოიპოვოს მიწაზე საკუთრების უფლება, მთელი ცხოვრების მანძილზე, შთამომავლობაზე გადაცემით, გარკეული ვადით სასარგებლოდ და ა.შ. ამდაგვარი ურთიერთობის დროს ფორმდება კანონით გათვალისწინებული ხელშეკრულებები. გარდა ამისა, მიწის ნაკვეთი შეიძლება გადაიცეს გირაოში, სესხის ნაცვლად და ა.შ.

ყოველი კანონიერი გარიგება მიწასთან დაკავშირებით ექვემდებარება სახელმწიფო რეგისტრაციას და იგი ფორმდება სამოქალაქო კოდექსის სათანადო ნორმების დაცვით.

სახელმწიფო მიწის კადასტრის (აღრიცხვის) საქმიანობას აწარმოებენ მიწათაღრიცხვისა და მიწათმოწყობის სახელმწიფო ორგანოები, როგორც ცენტრში, ასევე ადგილზე.

მიწის რეგისტრაცია წარმოებს სათანადო დებულების მიხედვით, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს მიერ.

სახელმწიფო მიწის კადასტრის დამახინჯება მდგომარეობს მიწის ოდენობისა და ხარისხის აღწერის ფაქტიური დოკუმენტების რეალური ციფრების უგულებელყოფაში, რომელიც დაკანონებულია დებულებით „მიწის აღრიცხვის შესახებ საქართველოს რესპუბლიკაში“, ასევე სხვა კანონქვემდებარე აქტებით.

დამახინჯება შეიძლება შეეხოს მიწის ზომას - ფაქტიური საჰექტარო ოდენობის განზრახ შემცირებას, ხარისხს, გამოყენების სამართლებრივ რეჟიმს და ა.შ.

ეს დამახინჯება მდგომარეობს ხელშეკრულებაში გათვალისწინებული საგადასახადო თანხის ოდენობის შემცირებაში.

საგადასახადო ვალდებულების ოდენობას ამცირებენ მიწის ფართობის განზრახ არასწორი აღრიცხვით (ნაკლების ჩვენებით), მისი მოსავლიანობის ხარისხის დამალვით და სხვა.

მუხლში გათვალისწინებული დანაშაულის ყოველი სახე ხდება თანამდებობის პირის მიერ, რომელიც სამსახურებრივ მდგომარეობას იყენებს.

სუბიექტური მხარე გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში –

დამნაშავემ იცის, შეგნებული აქვს თავისი მოქმედების უკანონობა, მაგრამ შეგნებულად აკეთებს მას და სურს ასეთი შედეგი.

მოტივი დანაშაულისა პირადი გამორჩენაა.

ობიექტი დანაშაულისა არის სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობა. ობიექტური მხარე გამოიხატება გარიგების უკანონო რეგისტრაციაში, აღრიცხვის დამახინჯებაში, გადასახადის ყალბად შემცირებაში.

უკანონო სამეწარმეო საქმიანობა — მუხლი 192

მუხლი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს, როდესაც დამნაშავე იწყებს „სამეწარმეო საქმიანობას რეგისტრაციის ან სპეციალური ნებართვის (ლიცენზიის) გარეშე ანდა ლიცენზირების პირობის დარღვევით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ან რასაც თან ახლდა დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება“.

მიზანი ამ მუხლისა არის ის, რომ ფაქტიურად მოხდეს გადასვლა რეალურ სამეწარმეო მოღვაწეობაზე და ამის შესაბამისად მეწარმეობა რეალურად ჩაერთოს ქვეყნის მატერიალური წარმოების ციკლში. კანონი მეწარმეთა შესახებ სამეწარმეო საქმიანობად მიიჩნევს მართლზომიერ და არაერთჯერად საქმიანობას, რომელიც ხორციელდება მოგების მიღების მიზნით, დამოუკიდებლად ან ორგანიზებულად. ყოველი სამეწარმეო საქმიანობისათვის სავალდებულოა სახელმწიფო რეგისტრაცია.

უკანონო მეწარმეობაში კანონმდებელი გულისხმობს, როდესაც მწარმოებელი საწარმოს ხსნის რეგისტრაციისათვის გვერდის ავლით, ე. ი. მისი წარმოების არსებობა არ არის რეგისტრირებული — გატარებული სასამართლო სარეგისტრაციო წიგნში „მეწარმეთა შესახებ კანონის“ მეოთხე მუხლის შესაბამისად. მეწარმე თავს არიდებს სამეწარმეო დოკუმენტაციის სასამართლოში წარდგენას, აქტების ჩაწერას რეესტრის ფორმულარებში, რითაც იგი მალავს თავის არსებობას.

სამეწარმეო ლიცენზიისათვის თავის არიდებაში კანონმდებელი გულისხმობს მწარმოებლის მიერ საწარმოს გახსნას რეგისტრაციისათვის გვერდის ავლით, ან იღებს ლიცენზიას, მაგრამ არ იცავს

მასში გათვალისწინებულ სამეწარმეო პირობებს – წარმოების ფართს, სამეწარმეო ფორმას, სახეობას, ოდენობას, სანიტარულ აღჭურვილობას, სათანადო ტექნიკას, უსაფრთხოების წესებს და ა.შ. ლიცენზიის პირობები ირღვევა მაშინ, როცა ლიცენზიაში განსაზღვრულ საქმიანობას გვერდს უვლის მეწარმე და აკეთებს სხვა საქმეს.

დანაშაული დამთავრებულად ითვლება, როგორც კი ამ მოქმედებას შედეგად მოჰყვება მოქალაქის, ორგანიზაციის, ან სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ზიანი.

სუბიექტური მხარე გამოიხატება როგორც პირდაპირ, ასევე ირიბ განზრახვაში.

სამეწარმეო საქმიანობის რეგისტრაციის გარეშე დატოვება თავისთავად გულისხმობს საბანკო რეგისტრაციის უგულებელყოფასაც, მაგრამ არის სხვა პირობებიც, რომლისთვისაც დგება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. საბანკო რეგისტრაციის გარეშე არსებულ მეწარმეს საშუალება ეძლევა, შეცდომაში შეიყვანოს მოქალაქე, ორგანიზაცია და სახელმწიფო თავისი საწარმოო საქონელბრუნვისა და საშემოსავლო სფეროში, წარმოშვას უკანონო, არაკეთილსინდისიერი კონკურენცია ლეგიტიმური საწარმოების კრედიტებთან, მიაყენოს ზარალი სახელმწიფოსა და საერთო საფინანსო სისტემას, როგორც უკანონო საკრედიტო ემისიით, ასევე სხვა ხერხებით.

იმისათვის, რომ სწორად განხორციელდეს საბანკო ოპერაციები და საერთოდ საბანკო მოღვაწეობა, საჭიროა, ბანკმა მიიზიდოს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ანაბრები მოთხოვნამდე და გარკვეული დროით დაალაგოს და გაანაწილოს მითითებული სახსრები თავისი სახელისა და ანგარიშის მიხედვით; გახსნას და წარმართოს საბანკო ანგარიშები ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, განახორციელოს ანგარიშმიმოქცევა მათგან, მოახდინოს ფულადი სახსრების ინკასაცია, უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვა ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორებით და ა.შ.. ყველა საკრედიტო ორგანიზაცია ექვემდებარება საქართველოს სახელმწიფო ბანკში აღრიცხვას, რომელიც უნდა გატარდეს საკრედიტო ორგანიზაციათა სარეგისტრაციო წიგნში (კანონი ბანკისა და საბანკო ოპერაციების შესახებ, მუხლი 2).

ობიექტი დანაშაულისა არის ის ურთიერთობანი, რომელიც

აწესრიგებს სამეწარმეო საქმიანობას და სახელმწიფოს ფინანსური ინტერესები.

დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება მასში, რომ დამნაშავე მალავს თავის საწარმოს, არ იღებს წარმოების ნებართვას, არ აკეთებს მის სამეწარმეო და საბანკო რეგისტრაციას, რათა მიიღოს მოგება და თავი აარიდოს სახელმწიფო კანონიერ გადასახადს, რითაც აზიანებს ქვეყანას და მის საფინანსო სისტემას.

მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს იგივე ქმედებას, თუ იგი ჩადენილია:

ა) ჯგუფურად;

ბ) არაერთგზის;

გ) იმის მიერ, ვინც ადრე მსჯავრდებული იყო ამ დანაშაულისათვის.

ცრუ მეწარმეობა – მუხლი 193

განსახილველი მუხლი ახალია. ამ მუხლით კანონმდებელი აწესებს პასუხისმგებლობას იმ პირის მიმართ, რომელმაც დოკუმენტურად შექმნა საწარმო, მაგრამ ფაქტობრივად არ აწარმოებს დოკუმენტაციით გათვალისწინებულ სამეწარმეო საქმიანობას. არსებითად აქ არის ფუჭი, თვალთმაქცური სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობა.

მიზანი ამ მუხლისა არის ის, რომ უზრუნველყოს რეალური, საიმედო სამეურნეო ბრუნვა-საქმიანობა, დაიცვას საბაზრო მოქმედების წესები, საზოგადოების ეკონომიკური ინტერესები, ეკონომიკურად არ დაზიანდეს ქვეყანა, ორგანიზაცია ან ცალკეული მოქალაქე საგადასახადო და საკრედიტო საქმიანობის სფეროში.

კანონის მოქმედების სფეროა ის, სადაც განხორციელდება ფორმალური, მოჩვენებითი კომერციული ორგანიზაციების შექმნა, რომლის მიზანია, განამტკიცოს თავისი ეკონომიკური ბაზა იმით, რომ აიღოს სესხი ბანკიდან ან სხვა საკრედიტო ორგანიზაციიდან და დაიწყოს აკრძალული საქმიანობა, ასევე განახორციელოს კონტროლი სახელმწიფო ეკონომიკური სტრუქტურების მოღვაწეობაზე. საბაზრო პოლიტიკის განხორციელების პრაქტიკა ბევრ ასეთ ცრუ სამეწარმეო ორგანიზაციებს იცნობს, რომლებმაც მიიღეს საკმაო

ოდენობით კრედიტი, იმოქმედეს თვალთმაქცურად, გარკვეული დროით დადეს თავიანთი სასარგებლო ხელშეკრულებები და მიიმალნენ. განსახილველი დანაშაულის ობიექტია ის ურთიერთობები, რომელიც არეგულირებს სამეწარმეო და სხვა კომერციულ საქმიანობას, დამატებითი ობიექტია მოქალაქეთა ორგანიზაციებისა და სახელმწიფოს ინტერესი.

ობიექტური მხარე ცრუ მეწარმეობისა გამოიხატება ორგანიზაციის ფორმალურად შექმნაში, რომელიც ფაქტობრივად არ მისდევს რეალურ სამეწარმეო და საბანკო მოღვაწეობას. იგი მოქმედებს დადებული კანონიერი ხელშეკრულების საწინააღმდეგოდ, რითაც დიდად ვნებს ქვეყნის ეკონომიკას.

კომერციული ორგანიზაციის შექმნა, როგორც წესი, წარმოებს იმ ფორმითა და საფუძვლებით, რომელიც გათვალისწინებულია სამოქალაქო და სხვა კანონმდებლობით. კომერციული ორგანიზაცია იქმნება როგორც იურიდიული პირი სამეურნეო საქმიანობისათვის, ამხანაგობის, საზოგადოების, სამეწარმეო კოოპერაციის, სახელმწიფო ან მუნიციპალური დაწესებულებების სახით და ტარდება სახელმწიფო რეგისტრაციაში კანონით დადგენილი წესით.

კომერციული და საბანკო მუშაობის უარყოფასთან მაშინ გვაქვს საქმე, როცა საწარმო გახსნილია ყალბად, მოჩვენებით და არ ფუნქციონირებს ხელშეკრულების მიხედვით. ქმედების საზოგადოებრივი საშიშროება იმაში გამოიხატება, რომ დამნაშავემ მიიღო კრედიტი ხელშეკრულებაში მითითებული საწარმოს გასახსნელად, მაგრამ თანხა სრულიად სხვა პირადი საქმისაკენ მიაქცია და ჩამოაცილა საბანკო ბრუნვას, მოგების მიღებას და, რაღა თქმა უნდა, საწარმოს გახსნით ნავარაუდევი გადასახადის გადახდას. რეალურად სუბიექტს არ აქვს სურვილი ნამდვილი სამეწარმეო საქმიანობისა.

სუბიექტური მხარე ხასიათდება პირდაპირი განზრახვით, რომელიც გამოიხატება დიდი ოდენობის კრედიტის მიღებით, გადასახადისათვის თავის არიდებით, მიღებული კრედიტით სხვა, პირადი შემოსავლების ამოძრავება-ამოღებით, თავისი აკრძალული საქმიანობის დაფარვით. ზიანის ოდენობას განსაზღვრავს სასამართლო ყოველი კონკრეტული შემთხვევის მიხედვით. კერძოდ: თანხის ოდენობის, დაზარალებულის ეკონომიკური შემოსავლების დადგენით და ა.შ. დანაშაული დამთავრებულად ითვლება სახელმწიფოს დიდი ოდენობით დაზარალების მომენტიდან.

1990 წლის 8 ნოემბერს ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების მეთაურთა სხდომაზე სტრასბურგში მიიღეს კონვენცია დანაშაულებრივი გზით შეძენილი ქონების გამოვლინებისას მისი ამოღებისა და კონფისკაციის შესახებ. კონვენციის მონაწილე ქვეყნები შეთანხმდნენ, რომ ყოველი ქვეყანა მიიღებს შესაბამის საკანონმდებლო აქტს, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის სისხლის სამართლის დანაშაულად ცნობის შესახებ, თუ:

ა) დამნაშავე შეეცდება, უკანონოდ მიღებული ქონება კანონიერად გადააქციოს, ჩართოს ბრუნვაში, რათა მიჩქმალოს მისი შეძენის უკანონობა;

ბ) დამნაშავე დამალავს იმ გარემოს, სადაც ეს დანაშაულებრივი მატერიალური ფასეულობანი წარმოიშვა, ე.ი. სადაც არის განლაგებული ობიექტები, ვისი კანონიერი საკუთრებაა და ა.შ.

უკანონო შემოსავლის წყაროები მეტად მრავალფეროვანია (აზარტული თამაში, პორნობიზნესი, ნარკობიზნესი და ა.შ.). ასევე მრავალნაირია ამგვარი სახსრების ლეგალიზაციის ხერხები. კერძოდ: ქონების საქართველოს ან უცხოეთის ბანკში შეტანა, საწარმოო ბრუნვაში ჩაშვება, მატერიალურ საწარმოთა შეძენა, ექსპორტირება და ა.შ.

განსახილველი მუხლის მიზანია, შეწყვიტოს ნებისმიერი უკანონო საფინანსო ოპერაცია და გარიგება, უკანონოდ შეძენილი სახსრების გამოყენება კანონიერი სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის განსახორციელებლად.

თუ ასეთი მოქმედება მცირე მოცულობის თანხებს მოიცავს, განსახილველი მუხლი მას არ განიხილავს.

დანაშაული დამთავრებულად ითვლება საფინანსო ოპერაციის მოხდენის ან სხვა გარანტიების მიღებისთანავე (ლეგალიზაციის ხერხები მრავალია: ნაღდი ფული გარდაიქმნება სხვა ღირებულებად – საბანკო ანაბრად, ან უძრავ ქონებად, უძრავი ქონება შემდეგ იყიდება და მიღებული შემოსავალი თითქოსდა კანონიერად იქცევა, ან თანხა გადაირიცხება რომელიმე ქვეყანაში, ან მოახდენს მრავალჯერად საბანკო ოპერაციებს, შეიძენს კონვერტირებულ ვალუტას და ა.შ.).

ქონების შეძენის უკანონობა გამოიხატება შეძენის წესების დარღვევაში.

კანონმდებელი მუხლის პირველ ნაწილში ყურადღებას ამახვილებს ისეთ დანაშაულებრივ ქმედებაზე, როდესაც დამნაშავე ახდენს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციას, ე. ი. მის გამოჩენასა და ჩაბმას ღია სამეურნეო ბრუნვაში, ასევე უკანონო შემოსავალს მალავს, არ ამხელს, რა გზით, საიდან მიიღო ეს შემოსავალი ან სად არის განლაგებული შემოსავლის ობიექტი, რა მეთოდებით მიმდინარეობს საფინანსო ოპერაციები, ვინ არის ამ ობიექტის კანონიერი მესაკუთრე და ა.შ.

სუბიექტური მხრივ დანაშაული გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში — დამნაშავეს შეგნებული აქვს თავისი მოქმედების ანტისაზოგადოებრივი ხასიათი, რომ ფულადი სახსრები მიიღო კანონის დარღვევით და ახდენს მის ლეგალიზაციას.

ობიექტი დანაშაულისა არის სამეწარმეო საქმიანობა, რომელიც არეგულირებს ეკონომიკური საქმიანობის სფეროში ფულად-საკრედიტო მიმოქცევას.

ობიექტური მხარე გამოიხატება მასში, რომ უკანონოდ მიღებული თანხა მოექცევა კანონიერ მფლობელობასა და ბრუნვაში.

მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას, თუ დანაშაული ჩადენილია პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით ან არაერთგზის, ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ან რასაც თან ახლდა დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება.

მონოპოლიური საქმიანობის ან კონკურენციის შეზღუდვა — მუხლი 195

მონოპოლია ბერძნული სიტყვაა — რაიმე საქმეში უპირატესობის მოპოვებას ნიშნავს. ამასთანავე ახასიათებს მაქსიმალური მოგების მიღების მიზანი. საბაზრო ეკონომიკა, უპირველეს ყოვლისა, ბაზრის თვითრეგულირების კანონების მოქმედებაა, სადაც კანონიერი კონკურენცია ბაზრის ფუნქციონირებისა და განვითარების აუცილებელი პირობაა.

განსახილველი მუხლი სამი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილის შინაარსი ასეთია: მონოპოლიური საქმიანობა, „მონოპო-

ლიური მაღალი ან მონოპოლიური დაბალი ფასების დაწესებით, აგრეთვე კონკურენციის შეზღუდვა ბაზრის გაყოფის, ბაზარზე გავლენის შენარჩუნების ან ეკონომიკური საქმიანობის სხვა სუბიექტის ბაზრიდან გაძევების, მაღალი ან ერთიანი საბაზრო ფასის დადგენის ან შენარჩუნების გზით".

მონოპოლია არის „სახელმწიფოს, ორგანიზაციის, ფირმის მიერ კანონიერად მოპოვებული განსაკუთრებული უფლება რომელიმე სფეროში (წარმოებაში, ვაჭრობაში და ა.შ.)".[1] იგი მიიღწევა კანონიერი კონკურენციის გზით, წარმოების პროდუქციის ხარისხის ამაღლების, ფასების ხელმისაწვდომობის და თვითღირებულების შემცირების ხარჯზე. იკვლევს გზას მასობრივი წარმოების პირობებში.

კონკურენცია ბაზარზე სამეურნეო სუბიექტების შეჯიბრებაა, იგი განსაზღვრავს საქონლის ხარისხს, ფასის დაკლების, მოგების ამაღლების, კაპიტალის დაგროვების და სხვა პირობების გაუმჯობესებას. რაღა თქმა უნდა, იგი განაპირობებს მეორე საწარმოს დამარცხებასაც, რომელმაც თავისი წარმოებითი და საფინანსო საქმიანობის კონკურსში ვერ გაუძლო შეჯიბრს.

მუხლის შემოღების მიზანია ის, რომ დაცული იქნეს სისხლის სამართლის წესით სასაქონლო ბაზრის სამართლებრივი ფუნქციონირება და ეფექტიანობა, აღიკვეთოს არაკეთილსინდისიერი მონოპოლისტური საქმიანობა და კონკურენცია, რომელიც ხელს უშლის ამა თუ იმ მეურნეობრივ სუბიექტებს განახორციელონ თავიანთი კანონიერი უფლებები.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ კანონი მოქმედებს იმ სფეროში, სადაც ურთიერთობა დაკავშირებულია საბაზრო კონკურენციასთან და სადაც მონაწილეობენ როგორც საქართველოს, ასევე საზღვარგარეთის ქვეყნების სამეურნეო საქმიანობის სამართლის სუბიექტები.

კონკურენცია არის ბაზარზე დამოუკიდებლად მოქმედი მეწარმე სუბიექტების (აგენტების) მეტოქეობა, რომელ პროცესშიც თითოეული მათგანის ქმედება ზღუდავს მეტოქის შესაძლებლობას, უპირატესობა მოიპოვოს ბაზარზე საქონლის უპირატესობაზე დაყრდნობით.

იგი წარმოიშობა მაშინ, როდესაც ბაზარზე ერთდროულად

1. ქ. ს. ენციკლოპედია, ტ. 7, გვ. 99.

გამოდის რამდენიმე მეწარმე (ეკონომიკური აგენტი), ხდება ურთიერთშეცვლებადი საქონლის მიწოდება. მოხმარების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება ფასის, ხარისხის, შეფუთვის, სერვისის და სხვა ეკონომიკური პარამეტრების გათვალისწინებით.[1]

„კანონი მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ" კრძალავს არაკეთილსინდისიერ კონკურენციას. კერძოდ:

ა) კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალების გამოყენებით საქონლის შესახებ ისეთი ინფორმაციის გადაცემას, რომელიც ადრესატზე ქმნის არასწორ წარმოდგენას;

ბ) ეკონომიკური აგენტის მიერ კონტრაგენტის შეცდომაში შეყვანის სურვილით გარიგების ნამდვილი მიზნის დამალვას და ამით კონკურენციაში უპირატესობის მოპოვებას;

გ) კონკურენციაში უპირატესობის მიღწევას დემპინგური ფასების გამოყენებით და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის გზით, ე. ი. ისეთი ფასებით, რომელიც თვითღირებულებაზე ნაკლებია, მაგრამ ამას აკეთებს კონკურენტის ბაზრიდან გაძევების მიზნით;

დ) ეკონომიკური აგენტის მიერ კონკურენტის რეპუტაციის შელახვას (საწარმოზე, პროდუქციაზე, სამეწარმეო და სავაჭრო საქმიანობაზე არასწორი შეხედულების შექმნას), მის უსაფუძვლო კრიტიკას ან დისკრედიტირებას;

ე) კონკურენტის ან მესამე პირის სასაქონლო ნიშნისა და საფირმო დასახელების თვითნებურ გამოყენებას;

ვ) კონკურენტის ან მესამე პირის საქონლის ფორმის, შეფუთვის ან გარეგნული გაფორმების მითვისებას;

ზ) სამეცნიერო-ტექნიკური, საწარმოო, სავაჭრო ინფორმაციისა და კომერციული საიდუმლოების მიღება-მოპოვებას, გამოყენებას ან გავრცელებას მისი მფლობელის თანხმობის გარეშე".[2]

როდესაც ლაპარაკია კეთილსინდისიერ კონკურენციაზე, აქ იგულისხმება უმჯობესი ან თანაბარი ხარისხის მქონე საქონლის შედარებით დაბალ ფასებში რეალიზაცია, როდესაც თანაბარ სამეურნეო სუბიექტს ეზღუდება შესაბამის ბაზარზე თავისი პროდუქციის ბუნებრივად გასაღება.

კანონი კრძალავს მონოპოლისტურად მაღალი ფასების ან

1. კანონი მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ, პარლამენტის უწყებები, 1996, N 22, გვ. 19-20.

2. იგივე კანონი, გვ. 21

მონოპოლიურად დაბალი ფასების დაწესებით ბაზარზე მონოპოლიის მოპოვებას. ეს მოქმედება აკრძალულია იმდენად, რამდენადაც დამნაშავე ბაზარზე საქონლის ფასებისა და რეალიზაციის უპირატესობის მოპოვებას ახდენს არა საქონლის ღირსებითა და მომხმარებლისათვის ხელსაყრელი ფასების დადებით, არამედ ყალბი მაჭინაციებით, კერძოდ: დაშინებით, ბაზრიდან გაძევებით, ერთიანი საბაზრო ფასის დადგენისა და შენარჩუნების გზით და ა.შ.

ერთიანი საბაზრო ფასის დადგენაში იგულისხმება დამნაშავისაგან მოცემულ ბაზარზე ერთგვაროვან საქონელზე ფასების დაწესება, ე.ი. ის საშუალებას არ აძლევს სხვა სუბიექტებს, თავიანთი წარმოების ეფექტიანობის მიხედვით არეგულირონ საქონლის ფასი და დამნაშავე ინარჩუნებს ბაზარზე არსებულ მისთვის ხელსაყრელ ერთ ფასს, რომლის შეცვლას, აწევის თუ დაწევის თვალსაზრისით, ბაზრის სხვა მონაწილე ვერ ახერხებს, რა დროსაც კონკურენტს შეექმნება პირობები ან გაყიდოს საქონელი დადგენილ, მისთვის არახელსაყრელ ფასში, ანდა მიატოვოს ის ბაზარი. მაგალითად, 1995 წელს დამნაშავეთა ერთმა ჯგუფმა ავტომატით დააშინა ბენზინის გასამართი სადგურების თანამშრომლები, რათა ბენზინის ფასი არ დაეწიათ 42 თეთრზე ქვემოთ, რითაც შეინარჩუნეს მისთვის ხელსაყრელი ფასი.

„ეკონომიკური აგენტი ჩაითვლება მონოპოლიური მდგომარეობის მქონედ, თუ მისი წილი კონკრეტულ სასაქონლო ბაზარზე პირდაპირ ან არაპირდაპირ (ფილიალის, შვილობილი საწარმოს მეშვეობით ან სხვაგვარად) აღემატება ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ დადგენილ ზღვრულ ოდენობას“.[1]

მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ეკონომიკურ აგენტს ეკრძალება თავისი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება ბაზრის სხვა მონაწილეთა დისკრიმინაციის მიზნით. ასეთ გამოყენებად ჩაითვლება მოქმედება, რომელიც იწვევს ან შეუძლია გამოიწვიოს სხვა ეკონომიკური აგენტის თუ მომხმარებლის ინტერესების შელახვა, როგორიცაა:

ა) წარმოების შემცირება ან შეწყვეტა, საქონლის ამოღება სამეურნეო ბრუნვიდან და მისი დაგროვება დეფიციტის შექმნის ან შენარჩუნების მიზნით, ფასებზე ზემოქმედებისათვის;

1. კანონი მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ, პარლამენტის უწყებები 1996, N 22-23, გვ. 21.

ბ) სხვა ეკონომიკური აგენტისათვის ბაზარზე შეღწევის, აგრეთვე ბაზარზე უკვე მოქმედი ეკონომიკური აგენტის საქმიანობისათვის ხელშემშლელი პირობების შექმნა;

გ) ბაზრის მონაწილისათვის დისკრიმინაციული პირობების შექმნა, რომლებიც მას თავს ახვევენ შესყიდვის ან გაყიდვის შეუსაბამოდ დაბალ ან მაღალ ფასებს, აგრეთვე, როდესაც ხელშეკრულების დადებას უკავშირებენ ისეთი დამატებითი პირობების შესრულებას, რომლებიც არც საგანგებოდ და არც ვაჭრობის წესებით არ არის დაკავშირებული ხელშეკრულებასთან;

დ) ხელშეკრულების დადების მიზნით ნებისმიერი სახის იძულება;

ე) მონოპოლიურად მაღალი ან დაბალი ფასების დაწესება, რომელიც გარკვეული დროის განმავლობაში მნიშვნელოვნად განსხვავდება ჰროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციაზე გაწეული დანახარჯებისაგან;

ვ) საქონლის წარმოების შემცირება ან შეწყვეტა, რომელზეც არის მოთხოვნილება ან მომხმარებელთა დაკვეთა, თუკი არსებობს მისი ზარალის გარეშე წარმოების შესაძლებლობა;

ზ) დემპინგური ფასების გამოყენება და სხვა (დემპინგი - იმპორტის დაბალ ფასებში გაყიდვა).

მონოპოლიურად მაღალი ფასების ცნებაში იგულისხმება საქონლის ის ფასები, რომელსაც ადგენს სასაქონლო ბაზარზე გავლენიანი დომინირებული პოზიციის მქონე სუბიექტი.

მონოპოლიურად დაბალი ფასი არის საქონლის ფასი ბაზარზე, რომელიც დაწესებულია დომინირებული სამეურნეო სუბიექტის მიერ. ეს სავაჭრო მდგომარეობა ხელს აძლევს სუბიექტს იმდენად, რამდენადაც მისი საქონელი თავისუფალი კონკურენციის პროცესში უეჭველად დამარცხდება, ამდენად, იგი იყენებს ისეთ დანაშაულებრივ მაქინაციებს, რომლითაც უნდა განდევნოს ბაზრიდან ამგვარი საქონლის სახეობა, რის შემდეგაც შეძლებს ფასის თავისუფალ რეგულირებას კონკურენტების არსებობის გარეშე.

დაბალი ფასებით მონოპოლიას სუბიექტი აღწევს თავისი საქონლის ფასის იმგვარი დაცემით, რომ უკარგავს მსგავსი საქონლით მოვაჭრეებს საქონლის რეალიზაციის უნარს, რის გამოც ისინი ტოვებენ ბაზარს, ხოლო ეს უკანასკნელი ყიდულობს მათ საქონელს, რა თქმა უნდა, სასურველ ფასში, და როგორც კი სუბიექტი

ბაზარს დაეუფლება ამგვარი საქონლის სფეროში, იგი თანდათანობით აუწევს ფასს თავის საქონელს და იღებს მოგებას.

დომინირება ნიშნავს გაბატონებას, უპირატესობას, ბაზრის ფლობას.

ბაზარზე გაბატონებულ მდგომარეობაში კანონმდებელი გულისხმობს სამეურნეო სუბიექტის განსაკუთრებულ მდგომარეობას, რომელსაც არ ჰყავს შემცვლელი, შესწევს უნარი, გადამწყვეტი გავლენა მოახდინოს საქონელბრუნვაზე, ფასების რეგულირებაზე და ა.შ.

კონკურენციის შეზღუდვა განიხილება მონოპოლიური საქმიანობის სახედ, რომელიც ხორციელდება ბაზრის მონაწილე პირთა უფლებების დარღვევით ან სახელმწიფო ორგანოების მიერ გამოცემული კანონქვემდებარე აქტების დარღვევით.

ობიექტური მხარე მონოპოლისტური ქმედებისა, მონოპოლისტური ფასების დაწესების გზით, გამოიხატება ფასების ზომების დაწესების გადაწყვეტილების მიღებაში, მყიდველების მიმართ დადგენილი ფასების საზღვრების გამოცხადებაში და ამ ფასის რეალურ განხორციელებაში.

დანაშაულის ჩადენა ხდება პირდაპირი განზრახვით. დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ იგი თავისი მოქმედებით ზღუდავს, ხელს უშლის ნამდვილ, ობიექტურ კონკურენციას, ე.ი. საქონლის ხარისხის გაზრდისა და თვითღირებულების შემცირების ნაცვლად იძულებით ზღუდავს თავისუფალ ვაჭრობას, რათა თვითონ ნახოს მოგება.

ობიექტი დანაშაულისა არის ქვეყნის სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობა.

დანაშაული დამთავრებულად ითვლება ყალბი მონოპოლისტური მაღალი ფასების ან დაბალი ფასების დადგენისთანავე.

ობიექტური მხარე ბაზრის გაყოფის გზით კონკურენციის შეზღუდვით გამოიხატება:

ა) სამეურნეო სუბიექტებს შორის შეთანხმებაში, რომელიც მიმართულია, დაადგინოს თავისი წილის ოდენობა ტერიტორიული პრინციპით, გასასაღებელი საქონლის ასორტიმენტით;

ბ) მიზეზობრივი კავშირის არსებობაში სუბიექტის მოქმედებასა და ბაზრის მდგომარეობას შორის.

ბაზრის გაყოფა გამოიხატება მასში, რომ ბაზრის გარკვეუ-

ლი ტერიტორია უპირავს სამეურნეო სუბიექტს, ასევე გარკვეული სახეობის საქონელს მხოლოდ ის ჰყიდის, ჰყავს თავისი ჯგუფი გამყიდველებისა და შესაძლებელია — კლიენტებიც.

სუბიექტებს შორის შეთანხმება ბაზრის გაყოფის თაობაზე შეიძლება გამოიხატოს:

ა) სხვა სუბიექტების მიმართ დისკრიმინაციული პირობების შექმნით — ბაზრიდან გაძევების მიზნით;

ბ) მომდევნო სამეურნეო სუბიექტის მიღების აკრძალვით.

ბაზრიდან სხვა სუბიექტების განდევნაში კანონმდებელი გულისხმობს, როდესაც გაბატონებული სუბიექტი ბაზარზე არ დაუშვებს სხვა მოვაჭრეებს, როგორც ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებების განხორციელებით, ასევე ცრუ დასმენით მათი საქონლის უვარგისობის თაობაზე, ფიზიკური ძალის ან ასეთის მუქარის გზით და ა.შ.

ერთიანი ფასების დადგენაში კანონმდებელი გულისხმობს სამეურნეო სუბიექტებს შორის შეთანხმებულ მოქმედებას, განსაზღვრონ ერთი და იგივე ფასი საქონელთა გარკვეულ ჯგუფზე ან მომსახურებაზე.

ერთიანი ფასების შენარჩუნებაში იგულისხმება ის, რომ სამეურნეო სუბიექტები, მიაღწიეს რა სასურველი ფასების დადგენას, მეთვალყურეობენ მას, რათა არ მოხდეს შეცვლა. ამას აღწევენ საქონლის განსაზღვრული ხარისხით, განსაზღვრული ოდენობით, პერიოდული გამოჩენით, ყალბი რეკლამირებით და ა.შ.

დანაშაული კონკურენციის შეზღუდვის სფეროში ხდება პირდაპირი განზრახვით — კონკურენციაზე უკანონო ზემოქმედების გზით.

მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას აწესებს პირველ ნაწილში გათვალისწინებული ქმედებისათვის მაშინ, თუ იგი ჩადენილია ჯგუფურად, არაერთგზის.

მუხლის მესამე ნაწილი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას, როდესაც პირველი ან მეორე პუნქტით გათვალისწინებული დანაშაული ჩადენილია ძალადობით, ძალადობის მუქარით, ნივთის განადგურებით ან მისი განადგურების მუქარით.

1999 წლის 5 თებერვლის კანონი „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ აწესრიგებს სასაქონლო, მომსახურებისა და კოლექტიური ნიშნების რეგისტრაციასა და დაცვასთან, აგრეთვე მათ გამოყენებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, სასაქონლო ნიშნებზე განსაკუთრებული უფლების მოპოვებასა და შენარჩუნებას, მისი გამოყენების უფლებებს, კოლექტიური ნიშნის უფლებას, ამ უფლებათა დაცვის უზრუნველყოფას და ამ უფლების დარღვევისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.

ეს კანონი გამომდინარეობს სასაქონლო ნიშნების დაცვის ძირ. საერთაშორისო კონვენციებიდან, როგორიც არის 1983 წლის 20 მარტის პარიზის კონვენცია, 1989 წლის 27 ივნისის მადრიდის შეთანხმების პროტოკოლი, 1957 წლის 15 ივნისის ნიცის შეთანხმებით მიღებული სასაქონლო და მომსახურების საერთაშორისო კლასიფიკატორი და სხვა მრავალი.

მუხლის დისპოზიცია დანაშაულად თვლის და პასუხისმგებლობას აკისრებს პირს, რომელმაც ჩაიდინა სხვისი საწარმოს სასაქონლო (მომსახურების) ნიშნის ან რეგისტრირებული საფირმო სახელწოდების უკანონოდ გამოყენება, ან საქონლის უკანონო ნიშანდება, ან დამზადების ადგილის არასწორად მითითება, რამაც მნიშვნელოვანი ზარალი გამოიწვია.

მუხლის დანიშნულება არის ის, რომ დაიცვას კეთილსინდისიერი კონკურენცია ბაზარზე, ასევე მომხმარებელთა ინტერესი, რათა ის არ შეაცდინონ და არ შეიძინოს ყალბიარლიყიანი საქონელი, რომელსაც მომხმარებლის სასურველი მხოლოდ ნიშანდება გააჩნია, ასევე დაიცვას სახელმწიფოს საფინანსო ინტერესი.

სასაქონლო ნიშანი არის საწარმოს ან ფირმის მიერ შემუშავებული, დამტკიცებული და რეგისტრირებული ემბლემა, რაიმე იდეის სიმბოლო, რომლითაც მეწარმე სახელდებას აძლევს თავის მიერ დამზადებულ საქონელს ან მომსახურებას და ამით თავის ნაწარმს განასხვავებს სხვა საწარმოს საქონლისაგან ან მომსახურებისაგან.

ნიშანდება არის საწარმოს ან ფირმის მიერ შემუშავებული ემბლემური ხასიათის გამოსახულების (რეგისტრირებული სახელმწიფოს მიერ) მიკვრა გამოშვებულ პროდუქციაზე, რომლითაც იგი

უნდა განასხვავოს მომხმარებელმა სხვა საწარმოს მიერ დამზადებული საქონლისაგან.

დამზადების ადგილის არასწორად მითითება გამოიხატება მასში, რომ დამნაშავე მალავს თავის საწარმოო ადგილს, რაიონს, ქალაქს, ქვეყანას და პროდუქციაზე აწერს პრესტიჟული ქალაქის ან სახელმწიფოს სახელს, რომელიც ფართოდ არის სახელგანთქმული მომხმარებელთა შორის.

სხვა სასაქონლო ნიშნის თუ დამზადების ადგილის უკანონო გამოყენება გამოიხატება ნიშნის სასაქონლო პროდუქციაზე, შეფუთვაზე, საქონლისა თუ მომსახურების სარეკლამო აფიშაზე გამოხატვით, ან ბლანკებზე ფიქსირებით ან კედლის აბრებზე ამოტვიფრით, პროდუქციის დემონსტრირების ან ბაზრობებზე გამოტანის დროს გამოყენებით და ა.შ.

სასაქონლო ან მომსახურების ემბლემური ნიშნის გამოყენება უკანონონდ ითვლება, თუ მით სარგებლობენ ნამდვილი მფლობელის ნებართვის გარეშე. ამასთანავე უკანონოდ ითვლება ისიც, თუ სასაქონლო ან სამომსახურეო ნიშანი შემუშავდება და გამოიყენება სახელმწიფო სანქციის გარეშე (საქონლის გაყიდვა ამგვარი ნიშნით ან გასაყიდლად გამზადება და ა.შ.).

სასაქონლო ნიშანი სხვისად იწოდება მაშინ, როცა იგი რეგისტრირებულია სახელმწიფოს მიერ ნამდვილ მფლობელ პირსა და საწარმოზე, სინამდვილეში კი იყენებს არა მფლობელი.

საქონლის დამზადების ადგილის უკანონო გამოყენება გამოიხატება ისევე, როგორც სასაქონლო ნიშნისა (საქონელზე, რეკლამაზე, იარლიყზე გამოხატვით და ა.შ.).

აქ კანონმდებელი მიუთითებს ისეთ სასაქონლო ნიშანზე, რომელიც საქართველოში რეგისტრირებული არ არის. ადგილწარმოების ან გეოგრაფიული აღნიშვნის უფლების დარღვევა ნიშნავს საქართველოში ნაწარმოებ საქონელზე სხვა ფირმის, მისი დამზადების ადგილის (ქალაქის, ქარხნის, სახელმწიფოს) აღნიშვნას, რომელიც პრესტიჟულია და საქონელს აძლევს სწრაფად რეალიზების საშუალებას, ამით კი ნამდვილი ფირმის საქონლის რეალიზაცია ფერხდება.

მუხლის მესამე ნაწილი პასუხისმგებლობას აწესებს, როდესაც ამ მუხლის პირველი ან მეორე ნაწილთ გათვალისწინებული ქმედება ჩადენილია არაერთგზის.

არაერთგზის ნიშნავს სხვისი სასაქონლო ნიშნის უკანონოდ

გამოყენებას დამნაშავის მიერ (ორჯერ და მეტჯერ) სხვადასხვა სასაქონლო პარტიებზე.

სასაქონლო ნიშნის კანონიერი მეპატრონე, ასევე მომხმარებელი, შეიძლება მნიშვნელოვნად დაზიანდეს. ზიანის სიდიდე შეიძლება განისაზღვროს საქონლის ღირებულებით ან ფასთა სხვაობის გაანგარიშებით.

სუბიექტური მხარე გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში.

ობიექტი დანაშაულისა არის ქვეყნის სამეწარმეო და ეკონომიკური საქმიანობა.

ფალსიფიკაცია – მუხლი 197

ფალსიფიკაცია ლათინური სიტყვაა და ნიშნავს – ვაყალბებ. იგი გაიგება, როგორც რაიმე ნამდვილის, ჰეშმარიტის შეცვლა მცდარით, ყალბით, მისი ხარისხის გაუარესებით. ფალსიფიცირება ძირითადად საგნის შინაგანი ცვლილებაა, მისი გარეგნული იერისა და თვისებების შენარჩუნებით იმგვარად, რომ ძნელი გახდეს მისი გარჩევა ნამდვილისაგან.

კანონი, რომელიც ბრძოლას უცხადებს ფალსიფიკატორებს, სამი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი ასეთი შინაარსისაა:

„ფალსიფიკაცია, ესე იგი მოტყუებით ნივთის თვისობრიობის შეცვლა მწარმოებლის ან გამშაღებლის მიერ, ჩადენილი ანგარებით.“

აქედან ჩანს, რომ დამნაშავე მის მიერ დამზადებულ პროდუქციას, სასმელს ან საკვებს, აკლებს ძირითად მახასიათებელ ნამდვილ კომპონენტებს და მის ნაცვლად პროდუქტში შეაქვს სხვა, რომელსაც სრულებითაც არ აქვს ნამდვილის რაციონალური თვისება. მაგრამ ჰგავს ნამდვილს და კიზუალურად თუ გემოთი ძნელი გასარჩევია.

დამნაშავის მიზანია, ნამდვილი კომპონენტები შეცვალოს სრულიად სხვა, იაფი საშუალებებით, მზა პროდუქცია გაჰყიდოს, როგორც ნამდვილი და მიიღოს მოგება.

1977 წელს საჩხერის ხილის წვენების ქარხანაში დაამზადეს ასკილისა და მაყვლის წვენები, რომელსაც ნამდვილი ხილის ნაცვლად მისცეს სხვა მასალა და მათ შორის ნივთიერება მჟაუნ-მჟავა.

რომლის ზემოქმედებით გამოწვეული მოწამვლის გამო რამდენიმე მოქალაქე გარდაიცვალა.

კანონი აღნიშნავს, რომ ფალსიფიკაციის ამსრულებელი შეიძლება იყოს არა მარტო საქონლის დამამზადებელი, არამედ გამსაღებელიც. ეს მაშინ, როდესაც დამნაშავე შეიძენს რა ნამდვილ პროდუქციას, ოდენობის გაზრდის მიზნით ამატებს მას არასაჭირო კომპონენტს, ამას გამსაღებელი ჩადის ანგარების მიზნით.

მიზანი, როგორც ნივთის მწარმოებლისა, ასევე გამსაღებლისა, ფალსიფიკაციის დროს არის ანგარება.

მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს იგივე ქმედებისათვის, თუ იგი ჩადენილია არაერთგზის, ორჯერ ან მეტჯერ.

მუხლის მესამე ნაწილი მკაცრ პასუხისმგებლობას აკისრებს დამნაშავეს, თუ პირველი ან მეორე ნაწილით გათვალისწინებულმა ქმედებამ საფრთხე შეუქმნა ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას, ანდა რამაც გაუფრთხილებლობით გამოიწვია ადამიანის დაღუპვა.

ფალსიფიკაცია, როგორც დანაშაულებრივი ქმედება, შეიძლება განხორციელდეს არა მარტო საკვები პროდუქტების დამზადებისას, არამედ სამრეწველო საქონლის წარმოების დროსაც.

ადამიანის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში პროდუქციის დამზადება, შემოტანა ან რეალიზაცია – მუხლი 198

საბაზრო პოლიტიკას და თავისუფალ ეკონომიკურ გაცვლას მთლიანად უჭირავს მსოფლიო საქონელბრუნვის სივრცე. განუწყვეტლივ მიმდინარეობს მსოფლიოს ყველა სახის ტრანსპორტით ყველა სახის სამრეწველო და სასურსათო საქონლის გაცვლა-შესყიდვა. სხვადასხვა ფირმები და გაერთიანებები გამუდმებით მისდევენ პროდუქციის დამზადებას, შემოტანას, რეალიზაციას და ა.შ.

1996 წლის 6 სექტემბრის კანონი „პროდუქციისა და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ“ ადგენს ამ საქმიანობის სამართლებრივ საფუძვლებს, რათა მომსახურებისა და პროდუქციის სახე შესაბამისობაში იყოს წაყენებულ მოთხოვნებთან. სერტიფიკაციის მიზანია, „შეუქმნას ფიზიკურ და იურიდიულ პირებს საქართველოს

ერთიან სასაქონლო ბაზარზე საქმიანობის, აგრეთვე საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობისა და საერთაშორისო ვაჭრობაში მონაწილეობის პირობები, დაეხმაროს მომხმარებელს პროდუქციის არჩევაში, დაიცვას იგი პროდუქციის დამამზადებლის არაკეთილსინდისიერებისაგან, გააკონტროლოს პროდუქცია ადამიანის სიცოცხლის, ჭონების და გარემოს დასაცავად.

განსახილველი კანონის მიზანი ის არის, რომ ბრძოლა გამოუცხადოს ადამიანის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში პროდუქციის დამზადებას, შემოტანას ან რეალიზაციას, ანდა ასეთ პროდუქციაზე ეტიკეტის უკანონო გამოყენებას.

სპეციალური სამსახურები ამოწმებენ პროდუქციის ხარისხს და საზოგადოებას საინფორმაციო საშუალებებით აწვდიან ცნობებს პროდუქციის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მავნე შემადგენლობის შესახებ.

მუხლის პირველი ნაწილის შინაარსი ასეთია: „ადამიანის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში პროდუქციის დამზადება, შემოტანა ან რეალიზაცია ანდა ასეთ პროდუქციაზე ეტიკეტის უკანონოდ გამოყენება.“ მუხლი განიხილავს სამ შემადგენლობას: სიცოცხლისათვის საშიში პროდუქციის დამზადებას, შემოტანას, რეალიზაციას ან მასზე ეტიკეტის უკანონოდ გამოყენებას.

პროდუქცია გამოსაყენებლად შეიძლება უვარგისი გახდეს დამზადების ტექნოლოგიაში ხარვეზების, სიძველის, შენახვის წესების დარღვევის გამო და ა.შ.

ობიექტი დანაშაულისა არის სამეწარმეო და ეკონომიკური საქმიანობა, ასევე, ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა.

ობიექტური მხარე გამოიხატება ჯანმრთელობისათვის უვარგისი საქონლის დამზადებასა, შემოტანასა და რეალიზაციაში.

სუბიექტური მხარე გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში – დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ იგი კონსერვს ათავსებს არასაკმარისად დამუშავებულ ქილებში, მაგრამ უშვებს მას, ან საქონლის შემომტანმა იცის, რომ მას სარეალიზაციოდ შემოაქვს გამოყენებისათვის ვადაგასული ძეხვი, მაგრამ მაინც შემოაქვს იგი და სურს კიდევაც მისი შემოტანა. ასევე, დამნაშავე ჰყიდის პროდუქციას და იცის, რომ იგი საშიშია ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, მაგრამ უშვებს და სურს კიდევაც მისი რეალიზაცია. კანონ-

მდებელი მუხლის ამავე ნაწილში დანაშაულად მიიჩნევს ასეთ პროდუქციაზე ეტიკეტის უკანონოდ გამოყენებას.

მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას აწესებს იმ შემთხვევაში, თუკი პირველ ნაწილში განხილულმა ქმედებამ მძიმე შედეგი გამოიწვია. მძიმე შედეგში კანონმდებელი გულისხმობს ადამიანის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებას ან დაღუპვას.

ეკომარკით უკანონოდ სარგებლობა – მუხლი 199

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ხაზგასმით ევალება ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სახელმწიფო რეგულირება, აღრიცხვა, ლიცენზირება, კონტროლი, გარემოზე ზღვრულად დასაშვები დატვირთვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ნორმების დაგენა.

1996 წლის საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ მეოთხე მუხლში აღნიშნავს, რომ „გარემო – ადამიანის მიერ შექმნილი ხელოვნური და ბუნებრივი გარემოს ერთობლიობაა, რომელიც წარმოადგენს ურთიერთდამოკიდებულებაში მყოფ ცოცხალ და არაცოცხალ, შენარჩუნებულ და ადამიანის მიერ სახეცვლილ ბუნებრივ ელემენტებს (ჰაერი, წყალი, ნიადაგი, წიაღი, მცენარეული საფარი, ცხოველთა სამყარო), ბუნებრივ და ანთროპოგენულ ლანდშაფტებს.“

ადამიანის მიერ შექმნილი გარემო არის საერთო გარემოს ნაწილი, რომელიც მოიცავს ადამიანის გემოვნებით შეცვლილ ბუნებით გარემოს.

გარემოს დაცვა ითვალისწინებს სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ღონისძიებათა ერთობლიობას, მიმართულს გარემოში არსებული წონასწორობის დაცვის შენარჩუნებისა და აღდგენისაკენ.

იმისათვის, რომ სამეწარმეო საქმიანობის დროს მტკიცედ იქნეს დაცული როგორც ბუნებრივი, ასევე სამეწარმეო ტექნოლოგიური პირობები, კანონმა შემოიღო ლიცენზირების პრინციპი გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში.

კანონი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს წარმოების გახსნის ლიცენზირებას, რომელმაც უნდა შექმნას ეკოლოგიურად

სუფთა პროდუქცია. ასეთ პროდუქციაზე გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან შექმნილია ეკომარკის, ე. ი. ეკოლოგიური სრულყოფილების მიმნიშებელი უწყებათაშორისი კომისია, რომელსაც ჰყავს თავისი შემადგენლობა და მუშაობის ორგანიზაციის წესი. აღნიშნული სამსახურის ფუნქციაა, შეამოწმოს ბუნების დაცვისა და წარმოების ტექნოლოგია და, მისი ნორმალური პირობების არსებობის შემთხვევაში, გასცეს სპეციალური მარკა, რომელიც მიანიშნებს პროდუქციის ეკოლოგიურ სისუფთავესა და სრულყოფილებაზე. 1996 წლის 6 სექტემბრის კანონი პროდუქციისა და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ მეორე მუხლში განმარტავს, რომ კანონის მიზანია ,,დაეხმაროს მომხმარებელს პროდუქციის არჩევაში, დაადასტუროს მომხმარებლის მიერ გაცხადებული პროდუქციის ხარისხის მაჩვენებლები".

ეკომარკა წარმოადგენს ნიშანს, რომელიც მიენიჭება საქართველოში წარმოებულ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციას მომხმარებელთა უკეთ ორიენტირებისა და აღნიშნული პროდუქციის წარმოების სტიმულირების მიზნით.

ორგანიზაციას არ აქვს უფლება, აწარმოოს პროდუქცია, თუ იგი ეკოლოგიურად უსაფრთხო არ არის.

გარემოს დაცვის საქართველოს კანონის მეცხრამეტე მუხლის განმარტებით, ორგანიზაცია ან საწარმო, თუკი ამჩნევს, რომ ირღვევა ბუნების რაციონალური გამოყენებისა და ეკოლოგიური სისუფთავის ნორმები, ვალდებულია, მოიწვიოს გარემოს დაცვითი აუდიტი ამ საკითხის გადასაწყვეტად.

მუხლი ასეთი შინაარსისაა: ,,ეკომარკით უკანონოდ სარგებლობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია". როგორც ვხედავთ, პასუხისმგებლობის საკითხი ამ შემთხვევაში მხოლოდ ზიანის გამო დგება.

დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატება მასში, რომ დამნაშავე უკანონოდ იყენებს, ე. ი. თავის პროდუქციას უკანონოდ აკრავს ნიშანს, როგორც ეკომარკირებულს და ჰყიდის მას.

დანაშაული დამთავრებულად ითვლება, თუკი ეკომარკით უკანონო სარგებლობამ გამოიწვია მნიშვნელოვანი ზიანი. ზიანი შეიძლება გამოიხატოს ეკოლოგიურად მავნე პროდუქციით ადამიანთა მოწამვლით, დაავადებით და ა.შ.

დანაშაულის ობიექტი არის სამეწარმეო და სხვა ეკონომი-

კური საქმიანობა, ასევე ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა. საგანი – უკანონოდ ეკონიშნით მარკირებული პროდუქცია.

დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება ეკონიშნით უკანონოდ სარგებლობაში, რამაც მნიშვნელოვანი ზარალი გამოიწვია.

ამსრულებელი იქნება მეწარმე.

სუბიექტური მხარე გამოიხატება განზრახი ბრალით.

მარკირებას დაქვემდებარებული უცხოური საქონლის აქციზური მარკის გარეშე გამოშვება, შენახვა, რეალიზაცია ან გადაზიდვა – მუხლი 200

საქართველოში ალკოჰოლიანი სასმელების, ლუდის და თამბაქოს ნაწარმის წარმოებაზე, იმპორტსა და რეალიზაციაზე აქციზური მარკების შემოღების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 28 მაისის N 554 ბრძანებულებით, 1999 წლის 1 თებერვლიდან საქართველოს ტერიტორიაზე იკრძალება აქციზური ნიშნებით მარკირებას დაქვემდებარებული ალკოჰოლიანი სასმელების, ლუდისა და თამბაქოს ნაწარმის იმპორტირება და წარმოება შიდა მოხმარებისათვის, ხოლო 1999 წლის 1 მარტიდან – აღნიშნული საქონლის რეალიზაცია აქციზური მარკების გარეშე.

1999 წლის 28 იანვარს გამოიცა საქართველოში აქციზური მარკების აღრიცხვის, რეალიზაციისა და კონტროლის წესების დებულება. იგი აწესრიგებს, განსაზღვრავს საქართველოში შემოტანილ და თავისუფალ მიმოქცევაში ჩართვის მიზნით საქართველოში წარმოებული ალკოჰოლიანი სასმელების, ლუდის და თამბაქოს ნაწარმის აქციზური მარკების გარეშე რეალიზაციის აკრძალვისა და კონტროლის წესს.

მეწარმეს ხსენებული დებულებით ეკრძალება შიდა ბაზარზე სარეალიზაციოდ განკუთვნილი, მარკირებას დაქვემდებარებული ალკოჰოლიანი სასმელების და თამბაქოს ნაწარმის წარმოება, შემოტანა თავისუფალ მიმოქცევაში და რეალიზაცია აქციზური მარკებით ნიშანდების გარეშე, გარდა კერძო პირთათვის დაწესებული ზღვრული მოცულობისა.

აქციზი რეალიზაციის უფლებას ნიშნავს. აქციზური მარკა

აქციზური საქონლის ტარაზე (ბოთლზე, ქილაზე, კოლოფზე და ა.შ.) ეკვრება და ითვლება მათი რეალიზაციის სავალდებულო პირობად.

აქციზურ საქონელს მიეკუთვნება სხვადასხვა მარკის შამპანური, ღვინოები, — ყურძნის, ხილის და ა.შ. ვისკი, ჯინი, რომი, არაყი, ლიქიორი და ა.შ.

აქციზურ მარკას გასცემს ფინანსთა სამინისტრო მესაკუთრის დაკვეთის მიხედვით.

ჩამოთვლილ საქონელზე აქციზური მარკები, ე.ი. სარეალიზაციო ნებართვა, გაიცემა მას შემდეგ, რაც მესაკუთრე ფინანსთა სამინისტროში შეიტანს დასახელებული საქონლის რეალიზაციის სურვილის განაცხადს, შემდეგ კი გადაიხდის საჭირო გადასახადს, მიიღებს აქციზს, მიაკრავს საქონელზე და იწყებს რეალიზაციას.

მუხლის მიზანია, საქართველოში აკრძალოს „აქციზური მარკების სავალდებულო დართვას დაქვემდებარებული საქონლის აქციზური მარკის გარეშე გამოშვება, შენახვა, რეალიზაცია ან გადაზიდვა.“ მუხლის ეს შინაარსი ისე გაიგება, რომ ზემოთ ჩამოთვლილი საქონლის სარეალიზაციოდ გამოშვება, შენახვა, რეალიზაცია ან გადაზიდვა შეუძლებელია აქციზური მარკის გარეშე. პირველი ნაწილით სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი დგება თუ უაქციზო საქონლის ღირებულება აღემატება ორას ლარს.

მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას აწესებს, თუ პირველ ნაწილში გათვალისწინებული ქმედება ჩადენილია:

ა) არაერთგზის;

ბ) დიდი ოდენობით, ე. ი. ორი ათასიდან ათი ათას ლარამდე.

მუხლის მესამე ნაწილი პასუხისმგებლობას აწესებს, თუ პირველი ან მეორე ნაწილით გათვალისწინებული ქმედება ჩადენილია განსაკუთრებით დიდი ოდენობით, ე. ი. ათი ათასი ლარის ზევით.

დანაშაულის ობიექტი არის ქვეყნის სამეწარმეო ან ეკონომიკური საქმიანობა.

ობიექტური მხარე გამოიხატება ისეთი საქონლის უაქციზოდ გამოშვებაში, შენახვაში, რეალიზაციაში, გადაზიდვაში, რომელიც ექვემდებარება აქციზური მარკების მიკვრას.

ამსრულებელი შეიძლება იყოს ფიზიკური პირი, რომელიც ახდენს აქციზურ მარკირებას დაქვემდებარებული საქონლის რეალიზაციას, დამზადებას ან გადაზიდვას აქციზური მარკის გარეშე.

სუბიექტური მხარე გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში.

ყალბი რეკლამა – მუხლი 201

1998 წლის 18 თებერვლის რეკლამის კანონმა ნათლად დააკონკრეტა რეკლამის როლი და მნიშვნელობა, ზოგადი მოთხოვნები რეკლამისადმი, აკრძალა რეკლამირების ის საშუალებები და მეთოდები, რომელიც არღვევს ამ კანონის მოთხოვნებს. განსაზღვრა რეკლამის დამკვეთის, მწარმოებლისა და გამავრცელებლის უფლება-მოვალეობანი, სახელმწიფო კონტროლი რეკლამის სფეროში და ის, რომ ამ კანონის დარღვევა იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.

მუხლი სისხლის სამართლის წესით იცავს რეკლამის კანონის მოთხოვნებს. იგი სრულიად ახალი სამართლებრივი ნორმაა ქართულ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, თუმცა ძველი კანონმდებლობაც იცავდა მომხმარებელთა ინტერესებს სამომხმარებლო სფეროში ამა თუ იმ კუთხით, მაგრამ აღნიშნული ინტერესი სუსტად იყო დაცული.

მუხლის ესოდენ დაკონკრეტება გამოიწვია იმან, რომ წინა პერიოდში ყოველი სახის რეკლამირება მხოლოდ სახელმწიფო საქონელზე იყო და კერძო რეწვა დაუშვებელ, დანაშაულებრივ მოვლენად ითვლებოდა. დღეს კანონიერია თავისუფალი მეწარმეობა და, ცხადია, ამ პროცესმა განაპირობა განსახილველი მუხლის შემოღებაც, რომლის მიზანია მეწარმეთა საქმიანობის მოწესრიგება ბაზრის ვითარებაში და მომხმარებელთა დაცვა ყალბი რეკლამირების გავლენით დაბალი ხარისხისა და თვისებების მქონე საქონლის შეძენისაგან. მუხლის შინაარსი ასეთია: რეკლამის დამკვეთის, მწარმოებლის ან გამავრცელებლის მიერ მომხმარებლის განზრახ შეცდენა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

რეკლამირების ცნების ქვეშ იგულისხმება ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ, ნებისმიერი საშუალებების გამოყენებით, ინფორმაციის მიწოდება საზოგადოებისადმი ამა თუ იმ საქონლის ან

მომსახურების სარგებლიანობის შესახებ. 1996 წლის 6 სექტემბრის კანონი „პროდუქციის და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ“ მეორე მუხლის „ბ“ და „ე“ პუნქტებით განმარტავს, რომ მისი ერთ-ერთი ვალდებულებაა, დაეხმაროს მომხმარებელს პროდუქციის არჩევაში, დაადასტუროს მომხმარებლის მიერ განცხადებული პროდუქციის ხარისხის მაჩვენებლები.

ცრუ რეკლამირება გამოიხატება მასში, რომ რეკლამატორი თავის ინფორმაციაში განზრახ იძლევა ცრუ, შეუსაბამო ინფორმაციებს საქონლის, სამუშაოს, მომსახურების, საგნის, მისი დამზადების, ოსტატობის შესახებ, რითაც შეცდომაში შეჰყავს მომხარებელი და აზარალებს მას.

ყალბი რეკლამა, ე. ი. რეკლამით ცრუ ინფორმაციის გავრცელებაში იგულისხმება არასწორი ცნობების მიწოდება მომხმარებელზე საგნებისა და მოვლენების ირგვლივ.

რეკლამაში ყალბი ინფორმაცია შეიძლება შეიტანოს რეკლამის დამკვეთმა, მწარმოებელმა ან რეკლამის გამავრცელებელმა.

ყალბად ჩაითვლება რეკლამა, რომელშიც არ მოიპოვება ჰეშარიტება საქონლის, სამუშაოს, მომსახურების რაობის ირგვლივ, როდესაც არ შეეფერება სინამდვილეს საქონლის ისეთი თვისებები, როგორიც არის მისი კომპონენტური შემადგენლობა დამზადების დროს, ტექნოლოგია, შენახვის ხანგრძლივობა, დანიშნულება, გამოყენებითი თვისებები, შესაბამისობა სერთიფიკატთან, შეფარდება სახელმწიფო სტანდარტებთან, ოდენობა, წარმოების ადგილი, მისი შეძენის შესაძლებლობა და ა.შ.

განსახილველი დანაშაულით შეიძლება დაზიანდეს მომხმარებელი, რომელმაც ყალბი რეკლამის საფუძველზე შეიძინა საქონელი და მას ფაქტიურად არ აღმოაჩნდა მისთვის სასურველი თვისებები. ზიანის მოცულობას განსაზღვრავს სასამართლო.

ობიექტი დანაშაულისა არის სამეწარმეო და ეკონომიკური საქმიანობა. ობიექტური მხარე გამოიხატება რეკლამის სიყალბეში.

დანაშაული განხორციელდება პირდაპირი განზრახვით. დანაშაულის მოტივი ანგარებაა (გამორჩენის მიღება).

დანაშაული დამთავრებულად ითვლება ცრუ რეკლამის შედეგად მნიშვნელოვანი ზიანის გამოწვევის მომენტიდან.

კომერციული ან საბანკო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის უკანონოდ შეგროვება ან გავრცელება – მუხლი 202

კომერციული და საბანკო საქმიანობა აგებულია მეპატრონის განათლების, უნარის, ეკონომიკური და საფინანსო ნიჭიერებისა და მოქნილობის, ტექნოლოგიისა და საქონელბრუნვის ინდივიდუალური აღმოჩენითი სიახლეების, ნედლეულის წყაროებისა და გასაღების ბაზრებისაგან მიღებული ფულადი შემოსავლის საიდუმლოებაზე და ა.შ.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული მოვლენა იწვევს როგორც შემოსავლის სწრაფ ზრდას, ასევე კონკურენციაში თვალსაჩინო წარმატებებსაც. ამდენად, სწორედ ჩამოთვლილი მომენტების გახმაურება აზიანებს საბანკო და სამეწარმეო საქმიანობას და მუხლის შემოღებაც ამ საიდუმლოებათა დაცვის აუცილებლობამ განაპირობა. ეს მუხლი სრულიად ახალია ჩვენს კანონმდებლობაში. მისი ძირითადი მიზანია დაიცვას სახელმწიფოსაგან დაწესებული სამეწარმეო და საბანკო საქმიანობა მთლიანად. პირველ რიგში კი მათ საქმიანობაში იმ პირთა შეღწევისაგან, რომელთაც სურთ, დანაშაულებრივად გამოიყენონ ან გაახმაურონ ამ ეკონომიკურ ერთეულთა საქმიანობა.

მუხლის დისპოზიცია ასეთი შინაარსის არის:

1. ,,კომერციული ან საბანკო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციების შეგროვება უკანონოდ გახმაურების ან უკანონოდ გამოყენების მიზნით;

2. კომერციული ან საბანკო საიდუმლოების უკანონოდ გახმაურება ან გამოყენება მისი მფლობელის უნებართვოდ, ანგარებით ან სხვა მოტივით, რამაც მნიშვნელოვანი ზარალი გამოიწვია".

კომერციული ინფორმაცია საიდუმლოებას წარმოადგენს მაშინ, როდესაც იგი შეიცავს არსებით კომერციულ ღირებულებას, რომელთანაც გარეშე ანუ თავისუფალ პირს არ აქვს საქმე და არც შეიძლება ჰქონდეს, ხოლო ინფორმაციის მფლობელი იცავს მის კონფიდენციალურობას.

საბანკო საიდუმლოების ჩამონათვალი მოცემულია საქართველოს კანონში ,,ბანკისა და საბანკო საქმიანობის შესახებ".

ამ კანონის შესაბამისად, ბანკი იძლევა კლიენტების საბანკო

ანგარიშისა და ანაბრის გაუთქმელობის გარანტიას. ცნობა, რომელიც შეიცავს საბანკო საიდუმლოებას, შეიძლება მიეცეს მხოლოდ კლიენტს ან მის კანონიერ წარმომადგენელს, ასევე სახელმწიფო ორგანოსა და მის თანამდებობის პირს მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევაში. ბანკი ასევე გარანტიას იძლევა, დაიცვას ორგანიზაციების საიდუმლოებანი საბანკო ოპერაციების ჩატარების თაობაზე. კომერციულ საიდუმლოებას მეწარმე განსაზღვრავს, მაგრამ ძირითადად კომერციული საიდუმლო არის მეცნიერულ-ტექნიკური სიახლეები, ტექნოლოგიური პროცესები, წარმოების განვითარების გეგმები, ცნობები პარტნიორებზე, ბაზრებზე და ა. შ.

დანაშაულის ობიექტური მხარე, მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, გამოიხატება მასში, რომ დამნაშავე კომერციული და საბანკო საიდუმლოებას აგროვებს უკანონოდ, იმ პირის მოსყიდვით ან დაშინებით, ვინც ამ ცნობებს სამსახურებრივად ფლობს, ან სხვა უკანონო საშუალებებით.

დანაშაულის ჩადენა ხდება პირდაპირი განზრახვით, იმ მიზნით, რომ უკანონოდ გაახმაუროს ან სხვაგვარად გამოიყენოს იგი.

გახმაურებაში იგულისხმება საიდუმლო ცნობების გაცემა, გამჟღავნება, რის გამოც იგი ცნობილი ხდება ნებისმიერი უცხო პირისათვის, ვისაც არ შეიძლებოდა იგი გაცნობოდა.

უკანონო გამოყენება შეიძლება გამოიხატოს მასში, რომ დამნაშავემ ხელი შეუშალოს მეწარმეს ბაზიდან ნედლეულის შეძენაში, საქონლის დამზადების ტექნოლოგიურ პროცესში, რეალიზაციაში და ა.შ..

დანაშაული დამთავრებულად ითვლება საიდუმლო ცნობების შეგროვების დაწყებისთანავე. კვალიფიკაციისათვის შედეგს მნიშვნელობა არ აქვს.

მუხლის მეორე ნაწილში გათვალისწინებულია ისეთი ქმედება, როდესაც დამნაშავე კომერციულ ან საბანკო საიდუმლოების შემცველ ინფორმაციას გაახმაურებს ანგარებით ან სხვა პირადი მოტივით, რამაც დიდი ზარალი გამოიწვია.

საიდუმლო ცნობების გახმაურებაში შედის თანხის საერთო ოდენობის, საბრუნავი კაპიტალის, საწარმოს შემოსავლის ან გადასახადის ოდენობის გათქმა და ა.შ.

დამნაშავის ქონებრივი გამორჩენის სურვილი შეიძლება გამო-

იხატოს ფულადი ან ნივთიერი საჩუქრის აღებით, ან ახლობლის, ნათესავის (კონკურენტის) მდგომარეობის გაუმჯობესებით, პირადი რეპუტაციის ამაღლებით და ა.შ.

ობიექტი დანაშაულისა არის კომერციული ან სხვა ეკონომიკური საქმიანობა.

პროფესიული სპორტული შეჯიბრის ან კომერციულ-სანახაობითი კონკურსის მონაწილის ან ორგანიზატორის მოსყიდვა – მუხლი 203

მუხლი ოთხი ნაწილისაგან შედგება და სრულიად ახალი დისპოზიციაა ჩვენს კანონმდებლობაში. იგი პასუხისმგებლობას აკისრებს პირს, რომელიც მოისყიდის პროფესიული სპორტული შეჯიბრის მონაწილეს, ან მსაჯს, ან მწრთვნელს, ან გუნდის ხელმძღვანელს, ან შეჯიბრის ორგანიზატორს, ან ჟიურის წევრს იმისათვის, რომ რომელიმე მათგანმა ისეთი გავლენა მოახდინოს შეჯიბრის მიმდინარეობაზე, რომელიც სასურველ სარგებლობას მოუტანს დამნაშავის ინტერესს.

მუხლის მიზანი ის არის, რომ წინ აღუდგეს სპორტული შეჯიბრების ობიექტურობის დამახინჯებას, შედეგების ფალსიფიცირებას ქონებრივი ან სხვაგვარი მოსყიდვით.

მოსყიდვაში კანონმდებელი გულისხმობს მუხლის პირველ ნაწილში – სპორტულ შეჯიბრში მონაწილე რომელიმე პირის მიმართ პირდაპირ ან შუამავლის მიერ ფულის ან ფასიანი ნივთის გადაცემას, ან სათანადო მომსახურების გაწევას იმ პირობით, რომ მან, ფასეულობის გამცემის სასარგებლოდ, შეთანხმებაში გათვალისწინებული გავლენა მოახდინოს სპორტული შეჯიბრის შედეგებზე.

პიროვნების მიერ ფულის ან ფასიანი ნივთის გადაცემა იმისათვის, რომ სპორტსმენის მომზადებისა და წვრთნისათვის უკეთესი პირობები შეიქმნას, არ მოიცავს განსახილველი მუხლის დისპოზიციას.

მოსასყიდი საშუალება არის ფულადი სახსრები ან ქონება, ან ქონებრივი ხასიათის მომსახურება, რომელიც ექვემდებარება გადახდას მოსყიდულის სასარგებლოდ.

მოსყიდვა დამთავრებულად ითვლება ფულის ან ქონების გადაცემის ან ფასიანი მომსახურების გაწევისთანავე.

სუბიექტური მხარე გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში.

მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს იმ შემთხვევაში, თუ პირველი ნაწილის დისპოზიცია განხორციელდება:

ა) ორგანიზებული ჯგუფის მიერ;

ბ) არაერთგზის.

მუხლის მესამე ნაწილი პასუხისმგებლობას აწესებს მაშინ, თუკი ფულს, ფასიან ქაღალდს აიღებს ანდა ქონებრივი მომსახურებით ისარგებლებს პროფესიული სპორტული შეჯიბრის მონაწილე და ამით უარყოფით ზეგავლენას მოახდენს შეჯიბრის ან კონკურსის შედეგებზე.

ამ შემთხვევაში დანაშაულის ამსრულებელი თვითონ სპორტსმენია, სუბიექტური მხარე კი პირდაპირ განზრახვაში გამოიხატება.

მეოთხე ნაწილი მუხლისა პასუხისმგებლობას ითვალისწინებს, თუ პროფესიული სპორტული შეჯიბრის მსაჯი, მწვრთნელი, გუნდის ხელმძღვანელი, შეჯიბრის ორგანიზატორი, კომერციული სანახაობითი კონკურსის ორგანიზატორი ან ჟიურის წევრი უკანონოდ მიიღებს ფულს, ფასიან ქაღალდს, სხვა ქონებას, ან ისარგებლებს ქონებრივი ხასიათის მომსახურებით და ამას გააკეთებს იმიტომ, რომ ფულის გადამხდელის ან მომსახურების გამწევის სასარგებლოდ, შეთანხმებაში გათვალისწინებული ზეგავლენა მოახდინოს შეჯიბრების შედეგებზე. ამ პუნქტში მითითებულ პირებად ითვლებიან სუბიექტები, რომლებიც სათანადო ცოდნით ხასიათდებიან და ოფიციალურად არიან გამოყოფილი სათანადო სტატუსით, სამოქალაქო სამართლის ნორმების შესაბამისად დადებული ხელშეკრულებით ან დებულებით, რათა შეკრების ნორმალური წარმართვისათვის შეასრულონ თავიანთი ორგანიზაციულ-განმკარგულებელი ფუნქცია, ან უშუალოდ მიიღონ მონაწილეობა შეჯიბრში.

ორგანიზატორები და კომერციულ სანახაობათა ჟიურის წევრები არიან პირები, რომელთაც გააჩნიათ ამ უფლებამოსილების ოფიციალური სტატუსი.

შეჯიბრების შედეგებზე ზეგავლენის მოხდენაში კანონმდებელი გულისხმობს შეჯიბრების მსვლელობის დროს სპორტსმენის ან

მონაწილის წაქეზებას ისეთი მოქმედების ჩადენისაკენ, რომელსაც შეუძლია, შეცვალოს შეჯიბრების შედეგები მომსყიდველის ინტერესების სასარგებლოდ. მაგალითად, მოჯიდავის წაქეზება, წააგოს ჭულებით მოწინააღმდეგესთან, მოლაპარაკება მეკარესთან — გაუშვას ერთი ბურთი და ა.შ.

ამსრულებელი დანაშაულისა არის მსაჯი, გუნდის ხელმძღვანელი, შეჯიბრის ორგანიზატორი, კონკურსის ორგანიზატორი, ან ჟიურის წევრი. სუბიექტური მხარე, როგორც პირველი, მეორე, ასევე მესამე ნაწილისათვის ხასიათდება პირდაპირი განზრახვით.

გვარობითი ობიექტი დანაშაულისა არის ქვეყნის სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობა. უშუალო ობიექტი სპორტული შეჯიბრი და კომერციული სანახაობითი კონკურსი.

203-ე მუხლს აქვს წამძღვარებული ნორმა, რომლის მიხედვითაც პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება ის, ვინც ნებაყოფილობით განუცხადებს ხელისუფლების ორგანოებს, რომ ამ მუხლის პირველ ნაწილში მითითებულ რომელიმე პირს გადასცა ფული, ფასიანი ქაღალდი ან სხვა ქონება, ანდა გაუწია ქონებრივი მომსახურება.

საბუღალტრო წიგნის წარმოების წესის დარღვევა — მუხლი 204

ბუღალტრული აღრიცხვა წარმოების ეკონომიკური მართვის უპირველესი ბერკეტია. არ არის აღრიცხვა — ეს ნიშნავს იმას, რომ არ არსებობს წარმოება. მოიშლება აღრიცხვა — მოიშლება წარმოება.

ბუღალტრული აღრიცხვა ნიშნავს საწარმოს საფინანსო და ფულად-საკრედიტო საქმიანობის გამართულ მუშაობას. იგი წინ უძღვის საქონელბრუნვისა და კვლავწარმოების მომგებიან, ყაირათიან მართვას. არცერთი მეურნეობრივი ოპერაცია არ შეიძლება წარიმართოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშის, შესაბამისი საბუთის წარმოებისა და რეგისტრაციის გარეშე, ამიტომ ყოველი მეურნეობრივი ოპერაციის ანგარიშებში გატარებას წინ უნდა უძღოდეს მისი სათანადო საბუთით გაფორმება. ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველმა წარმოებითმა საქმიანობამ, რომელიც გარკვეული მოგებით

ან წაგებით მთავრდება, ასახვა უნდა ჰპოვოს დოკუმენტში და გაფორმება-რეგისტრაცია საბუღალტრო რეესტრებში.

ბუღალტრული საბუთი წარმოადგენს წერილობით გაფორმებულ მეურნეობრივი ოპერაციის ასახვას. იგი ერთსა და იმავე დროს წარმოადგენს, როგორც მეურნეობრივი ოპერაციის რეალურად ჩატარებას, ისევე მისი კანონიერების დადასტურებას. რადგან საბუთს ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ მისი შედგენა და რეგისტრაცია, მისი აღრიცხვა და გატარება წარმოებს განსაკუთრებული წესის მიხედვით. ყოველ საბუთს უნდა ჰქონდეს შემდეგი სავალდებულო რეკვიზიტები: საბუთის დასახელება, ნომერი, შედგენის თარიღი, ოპერაციის თარიღი, ოპერაციის დასახელება, ოპერაციაში მონაწილე მხარეთა დასახელება, ოპერაციის შინაარსი და მისი საფუძველი, რაოდენობა და ღირებულება, ოპერაციაზე პასუხისმგებელ პირთა ხელმოწერა და სხვა. ბუღალტრული აღრიცხვის საბუთები ჯგუფდება შედგენის ადგილის, დანიშნულების, მოცულობის და სხვათა მიხედვით. საბუთების ამდაგვარად გაფორმება დაინტერესებულ პირს აძლევს საშუალებას, იცოდეს ოპერაციის მიზანი და შემოსავალ-გასავალის ავი და კარგი.

წიგნებს — სპეციალურ ფორმებს — რომლებშიც წარმოებს ბუღალტრული ჩანაწერები, აღრიცხვის რეგისტრები ეწოდება.

აღრიცხვის რეგისტრი წარმოადგენს ქაღალდის ფურცლებზე დახაზულ სპეციალურ ფორმას და გამოიყენება მეურნეობრივი საშუალებებისა და წყაროების მოძრაობის და მათთან დაკავშირებული ოპერაციების ჩასაწერად, აგრეთვე — მეურნეობრივი ოპერაციების გარკვეული სისტემით დასაგროვებლად, რომლითაც უნდა მოხდეს სინთეზური და ანალიზური აღრიცხვა.

ჩვენ ვახსენეთ სინთეზური და ანალიზური აღრიცხვა. სინთეზური აღრიცხვა ცნობებს გვაძლევს გაერთიანებულად და წარმოების შედეგებს ფულად ერთეულებში გამოსახულს. ანალიზური აღრიცხვა კი დაწვრილებით, ამა თუ იმ სამეურნეო საშუალებების რაოდენობის შესახებ, ნატურალური საზომით, აგრეთვე ფასისა და მთლიანი ღირებულების მიხედვით.

სინთეზურ-ანალიზურ ანგარიშებში წარმოებული ჩანაწერების, ე.ი. ყოველი შემოსავალ-გასავლის და მათი სახეობების ზუსტი დაფიქსირების საფუძველზე დგება ბრუნვითი უწყისები, რომლებიც წარმოადგენენ ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემების დაზუსტება-

განზოგადებისა და შემოწმების საშუალებას, რომელიც საბოლოოდ უზრუნველყოფს ზუსტად გამოიხატოს როგორც შემოსავლის, ასევე გასავლის სურათი.

მუხლი ერთი ნაწილისაგან შედგება. მისი დისპოზიცია ასეთი შინაარსისაა: „ეკონომიკური საქმიანობის ამსახველი საბუღალტრო წიგნის ან აღრიცხვის სხვა დოკუმენტის წარმოების წესის დარღვევა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია“.

მითითებული დოკუმენტების დანაშაულებრივი წარმოება გამოიხატება მასში, რომ დამნაშავეს არ აქვს ბუღალტრული ციკლის ამსახველი ფულადი და მატერიალური მოძრაობის სწორი, ობიექტური დოკუმენტაცია, ე.ი. ზუსტად არ აღრიცხავს ნედლეულის შემოსავალს, წარმოების პროცესს, მიღებულ ფულად სახსრებს, მოგებას და ა.შ. მიზანი დამნაშავისა არის, დაუმალოს შემოსავლები სახელმწიფო აღრიცხვას, რათა მინიმუმამდე დაიყვანოს საგადასახადო ვალი ან დაიტაცოს ქონება და ა.შ.

დანაშაულის ობიექტი არის სამეწარმეო და სააღრიცხვო ეკონომიკური საქმიანობა.

ობიექტური მხარე გამოიხატება ეკონომიკური საქმიანობის ამსახველი საბუღალტრო წიგნის აღრიცხვის ან სხვა დოკუმენტის წარმოების წესების დარღვევაში.

დანაშაულის ამსრულებელი არის საბუღალტრო აღრიცხვის მუშაკი (მთ. ბუღალტერი, ბუღალტერი, მოანგარიშე და ა.შ.).

სუბიექტური მხარე გამოიხატება განზრახ ქმედებაში. დამნაშავეს შეგნებული აქვს მისი დანაშაულებრივი საქმიანობის არსი, სპეციალურად არღვევს ეკონომიკური საქმიანობის ამსახველი საბუღალტრო დოკუმენტების წარმოების წესებს და სურს ასეთი.

უკანონო ქმედება გაკოტრებისას – მუხლი 205

განსახილველი მუხლი ახალია სისხლის სამართლის კანონმდებლობაში. ის გარკვეულ სინათლეს მატებს საბაზრო ეკონომიკურ ცვლილებებს. მიზანი მისი შემოღებისა არის ის, რომ არ დაუშვას გაკოტრების ყალბი შემთხვევები, რომელიც ხელს უშლის ეკონომიკის გაჯანსაღების აუცილებელ პირობებს, იცავს მესაკუთრეთა კანონიერ უფლებებს, რათა არ მოხდეს მათ მიერ გაცემული კრედიტის გადაუხდელობა.

მუხლის შინაარსი ასეთია: ,,გადახდისუუნარობის ან ზედავალიანების დროს ქონების იმ ნაწილის განკარგვა ან დამალვა კრედიტორისათვის ხელმიუწვდომლობის მიზნით, რომელიც გაკოტრების წარმოების გახსნის შემთხვევაში მოექცეოდა გაკოტრების მასაში, აგრეთვე მეურნეობის სწორად გაძღოლის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ მისი დაზიანება, გაუარესება ან განადგურება.“

კანონის გამოყენების სფეროა იურიდიულ და ფიზიკურ პირთა სამეწარმეო საქმიანობა — მიუხედავად საკუთრების ფორმებისა.

გაკოტრება არის ეკონომიკური ერთეულის საქმიანობაში (კერძო საწარმო, გაერთიანება, ფირმა და სხვა) კვლავწარმოების საშუალებათა მოსპობა შემოსავლების დაქვეითების ხარჯზე, რომელიც სრულ შეჩერებამდე მიდის, რის გამოც მეწარმეს აღარ აქვს შესაძლებლობა, შეიძინოს ნედლეული, დაამზადოს საქონელი და მოახდინოს მისი რეალიზაცია, ე. ი. მიდის სრულ უმოქმედობამდე — ბანკროტობამდე.

ბანკროტი ფრანგული სიტყვაა და ვალის გადახდის უნარმოკლებულობას ნიშნავს. ვალაუვალობის ცნების ქვეშ იგულისხმება ის, რომ მეწარმე კარგავს ეკონომიკურ უნარს, დააკმაყოფილოს კრედიტორის კანონიერი მოთხოვნა ვალის გადახდის თაობაზე, ე. ი. გადაიხადოს სავალდებულო გადასახადი ბიუჯეტის და სხვა არასაბიუჯეტო ფონდების სფეროში, რადგან გაიზარდა ვალის ოდენობა მის ქონებასა და შემოსავლებს ზემოთ არადამაკმაყოფილებელი, სუსტი საბალანსო სტრუქტურის გამო.

ვალაუვალობის (ბანკროტის) შინაგანი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნებია ძველი ვალების გადახდის შეჩერება, როდესაც საწარმო ვერ უზრუნველყოფს, ან განზრახ არ ასრულებს კრედიტორის მოთხოვნას სამი თვის განმავლობაში ვალის გასტუმრების ვადის დადგომის ბოლო დღიდან.

საწარმოდ ითვლება მეწარმე — იურიდიული პირი, ანდა ის სუბიექტი, რომელიც არ არის ცნობილი იურიდიულ პირად, მაგრამ ეწევა მეწარმეობას. კანონის შესაბამისად, მეწარმე, იურიდიული პირი ან კერძო პირი, რომელმაც საწარმო გახსნა კრედიტორებისა და მევალეების დახმარებით, ვალდებულია, ხელშეკრულებაში დაფიქსირებული დროის და პერიოდების შესაბამისად გადაიხადოს ვალები, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც წარმოება შეჩერდება

იმდენად, რომ მეწარმეს უმძიმს კვლავწარმოება და გაზრდილი შემოსავლის მიღება, იგი ვალდებულია, დროულად შეამჩნიოს ეს და მიიღოს ზომები მდგომარეობის გამოსასწორებლად. თუკი იგი ვერ შემოაბრუნებს სამეწარმეო საქმეს, ხდება ვალაუვალი, გადახდის უუნარო.

„გადახდისუუნარობად ჩაითვლება მოვალის მიერ დადგენილ ვადაში ვალდებულებათა შესრულების უუნარობა“.[1]

დავალიანებად ჩაითვლება, როდესაც მოვალის ქონება (აქტივები) ვეღარ ფარავს მის ვალდებულებებს (პასივებს). ასეთი პირობების მოახლოვება დროულად უნდა შეიტყოს მეწარმემ და მიიღოს ზომები გაკოტრებულად ცნობისათვის. „მოვალემ გაკოტრების საქმის განმხილველ სასამაროლოს უნდა წარუდგინოს თავისი: ა) ქონების სრული ნუსხა ცალკეული ობიექტების შეფასებითი ღირებულების მითითებით, ბ) კრედიტორების ნუსხა, არსებული ვალდებულებების, აგრეთვე კრედიტორების სახელებისა და მისამართების მითითებით, გ) მევალეების ნუსხა, არსებული მოთხოვნილების, აგრეთვე მოვალის სახელებისა და მისამართების მითითებით“.[2]

ორგანიზაციის გაკოტრებულად გამოცხადების თაობაზე საქმის წარმოება შეიძლება გაიხსნას მოვალის განცხადების საფუძველზე.

სასამართლოს უფლებებში შედის, გამოიტანოს გადაწყვეტილება წარმოების შეჩერების ან შიგა რეზერვების გამოძებნის შემთხვევაში — საწარმოს გადარჩენის შესახებ.

დანაშაულის ობიექტური მხარე არის არაკანონზომიერი მოქმედება, რომელიც გამოიხატება მასში, რომ მეწარმე მალავს ქონებას, მის ადგილსამყოფელს, ოდენობას, ან სხვაგვარ რეალურ ინფორმაციებს, გადააქვს ქონება სხვის მფლობელობაში, მალავს ან აყალბებს ეკონომიკური საქმიანობის ამსახველ საბუღალტრო ან აღრიცხვის სხვა დოკუმენტაციას. ამას მეწარმე ან საწარმოს ხელმძღვანელი ჩადის გაკოტრების წინ, რათა ვალაუვალობის გამო, სასამართლოს გადაწყვეტილებით, არ ჩამოართვან და არ გადასცენ კრედიტორებსა და მევალეებს მისი ქონება.

გაკოტრების საქმეთა წარმოების კანონის მეექვსე მუხლის

1. კანონი გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ, პარლამენტის უწყებანი, 1996 წ.
2. იქვე.

მიხედვით ,,გაკოტრების საქმის წარმოება შეიძლება გაიხსნას მხოლოდ განცხადების საფუძველზე. განცხადების შეტანის უფლება აქვს მოვალეს, აგრეთვე ნებისმიერ კრედიტორს, რომელსაც გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის მომენტისათვის მოვალის მიმართ აქვს დასაბუთებული პრეტენზიები".[1]

ტერმინი მეწარმის მიერ წინასწარ განჭვრეტა გაკოტრებისა მოცემულია ,,კანონში გაკოტრების შესახებ". ამ კანონის შესაბამისად მოვალემ შესაძლებელია გაგზავნოს განცხადება დანიშნულებით საწარმოს ვალაუვალად ცნობის თაობაზე.

წინასწარი გაკოტრების მოსალოდნელობის უტყუარი ნიშნები შეიძლება მევალის განცხადებაშიაც აისახოს, კერძოდ: კრედიტორების წინაშე კანონიერი ვალდებულების შეუსრულებლობა, პარტნიორების ვალის გადაუხდელობა, ხელშეკრულებების მიხედვით ვალდებულებათა შესრულებაზე უარის თქმა და ა.შ.

ზემოთ ხსნებული კანონის შესაბამისად, სასამართლოს შეუძლია, გამოიტანოს გადაწყვეტილება ცალკეული კრედიტორების ვადაზე ადრე დაკმაყოფილების შესახებ.

,,ქონების ან ქონებრივი ვალდებულების დამალვაში" კანონმდებელი გულისხმობს, როდესაც საწარმოს მფლობელი თავისი საკუთრებიდან მოხსნის ამა თუ იმ ქონებას, ან შესანახად გადასცემს სხვა პირს, ან დაამახინჯებს ცნობებს საკუთრების შესახებ, რომელიც აღბეჭდილია ვალდებულებით დოკუმენტებში.

ქონების სხვა პირზე გადაცემაში იგულისხმება ქონების გასხვისება. განზრახ მისი ოდენობის შემცირება შეიძლება განხორციელდეს გაყიდვით, არენდით, გაცემით და ა.შ.

ეკონომიკური საქმიანობის ამსახველი საბუღალტრო ან ანრიცხვის სხვა დოკუმენტის დამალვა, განადგურება ან გაყალბება შეიძლება განხორციელდეს იმ დოკუმენტების მიმართ, სადაც ფიქსირებულია ვალის, ქონების ოდენობა და ღირებულება, გადახდის შესაძლებლობა და ა.შ.

როგორც წესი, ამ მოქმედებით ზარალდებიან კრედიტორები, სახელმწიფო. ზარალის დიდი ოდენობის ხარისხი განისაზღვრება სასამართლოს მიერ – საქმის სხვადასხვა გარემოების გათვალისწინებით.

დანაშაულის უშუალო ობიექტია კრედიტორთა კანონიერი

1. კანონი გაკოტრების საქმეთა შესახებ, პარლამენტის უწყებანი, 1996 წ.

უფლება, დანაშაულის საგანი შეიძლება იყოს ნივთი – როგორც მოძრავი, ასევე უძრავი.

დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს საწარმოს ხელმძღვანელი ან კერძო მფლობელი – მეწარმე.

ობიექტური მხარე დანაშაულისა გამოიხატება ცალკეული კრედიტორის კანონიერი მოთხოვნების სრულ ან ნაწილობრივ უარყოფასა და მათ დაზარალებაში.

დანაშაული გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში, პირს შეგნებული აქვს თავისი საწარმოს მდგომარეობა და უკანონოდ მალავს ქონებას, რათა ნაწილობრივადაც არ გადაიხადოს ვალი ან დარჩენილი ქონება არ ჩამოართვას სასამართლომ ვალის ნაწილობრივ ანაზღაურებისათვის, ე. ი. ქონება არ მოექცეს გაკოტორების მასაში, როდესაც გაიხსნება საქმის წარმოება, ე. ი. როდესაც მასალების შეგროვება დაიწყება გაკოტრებისას უკანონო ქმედების გამო.

საბუღალტრო წიგნის წარმოების წესის დარღვევა გაკოტრებისას – მუხლი 206

მუხლის დისპოზიციის შინაარსი ასეთია: გადახდისუუნარობის ან ზედავალიანების დროს საბუღალტრო წიგნის წარმოების წესის დარღვევა, რამაც რეალური ქონებრივი მდგომარეობის შეფასება გაართულა.

მეწარმე უეჭველად ხედავს კვლავწარმოების უნარის შეწყვეტას, მზა პროდუქციის რეალიზაციის შეუძლებლობას ხელსაყრელ ფასებში, რითაც კარგავს მევალეთა გასტუმრების უნარს, კრედიტორებისათვის გადახდა აღარ შეუძლია. ამ პროცესის საწყისის გამოჩენისთანავე მეწარმე ვალდებულია, დააყენოს ანგარიში. გაარკვიოს, შეძლებს თუ არა კვლავწარმოებას, განახლებას, მოგების მიღებას და კრედიტორების ვალების გადახდას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ე. ი. იმ შემთხვევაში, თუკი მეწარმე ვერ მუშაობს, ვეღარ ანაზღაურებს თვითღირებულებასაც კი და უდაოდ გაკოტრება ელოდება, იგი ვალდებულია, დროულად განაცხადოს ეს ფაქტი, რათა მიეცეს შესაძლებლობა დამკრედიტებელს, აინაზღაუროს თავისი ვალი იმ ქონებიდან, რაც შემორჩა. მაგრამ მეწარმე ნაცვლად ამისა, გადახდისუუნარობის, ზედავალიანების დროს არღვევს საბუღალტრო წიგ-

ნის წარმოების წესს, რაც იმაში გამოიხატება, რომ საბუღალტრო დოკუმენტებში არ შეაქვს ძირითადი ფონდები, წარმოების საშუალებანი, ნედლეული, მზა პროდუქცია და სხვა, რაჟია სასამართლოს არ ეჭნეს საშუალება, დააკმაყოფილოს მისი ჭონებით მევალეები. მეწარმე მალავს რა ჭონებას, უკვე აღარ ხერხდება მისი რეალური მდგომარეობის შეფასება და აღწევს ვალების გასტუმრების გადავადებას, რითაც იგი ინარჩუნებს თავის ჭონებას და ჭონებრივი ზიანი ადგება კრედიტორს.

ობიექტი დანაშაულისა არის სამეწარმეო ეკონომიკური საქმიანობაში კრედიტორთა ინტერესები, ხოლო საგანი — აღრიცხვის წიგნები.

ობიექტური მხარე გამოიხატება საწარმოს გადახდის უუნარობის დროს საბუღალტრო წიგნის არასწორ წარმოებაში, რეალური ჭონების დამალვაში, რის გამოც ვერ ხერხდება მისი ჭონების რეალურად შეფასება და მევალეების გასტუმრება.

ამსრულებელი დანაშაულისა არის საწარმოს ხელმძღვანელი ან ბუღალტერი. სუბიექტური მხარე გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში — პირს შეგნებული აქვს, რომ გაკოტრების წინა პერიოდშია, გამოსავალი არ არის, მისი ჭონებით დააკმაყოფილებენ კრედიტორს, ამდენად შეგნებულად ცდილობს დამალოს ჭონება და სურს ასეთი.

განცხადების შეუტანლობა გაკოტრებისას — მუხლი 207

განსახილველი მუხლი ერთი ნაწილისაგან შედგება. მისი შინაარსი ასეთია:

„ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე პირის ან ლიკვიდატორის მიერ გადახდისუუნარობის ან ზედავალიანების დროს განცხადების შეუტანლობა გაკოტრების წარმოების გახსნის შესახებ".

როგორც უკვე ვთქვით, გაკოტრების საქმის წარმოების წესი გამოიყენება ფიზიკური ან იურიდიული პირის გადახდისუუნარობისას, როდესაც სასამართლოსათვის მყარად დასაბუთებულია, რომ მოვალეს აღარ აქვს ვალის გადახდის შესაძლებლობა.

კანონი „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" მეექვსე

მუხლით აწესებს, რომ გაკოტრების საქმის წარმოება შეიძლება გაიხსნას მხოლოდ განცხადების საფუძველზე. განცხადების შეტანის უფლება აქვს მოვალეს, აქ უნდა შევნიშნოთ, რომ მოვალის მხრიდან განცხადების შეტანის არა უფლებაზე უნდა იყოს საუბარი კანონში, არამედ – ვალდებულებაზე.

კანონი ავალებს მევალეს, რომ მან დროულად მიიღოს ზომები თავისი ვალაუვალობის განცხადებისათვის, რათა გაკოტრების საქმის წარმოება გახსნას სასამართლომ. ამით კანონი იცავს კრედიტორს, რათა აანაზღაუროს მის მიერ გაცემული კრედიტის ოდენობა მევალის ხელთ არსებული სახსრებიდან. ამით კანონი მევალეს აიძულებს, დროულად აღიაროს მისი ვალაუვალობა, რათა სასამართლომ იმსჯელოს და ობიექტურად გადაწყვიტოს ვალაუვალი მოვალის ეკონომიკური და ფინანსური სირთულეების გადაწყვეტა. მოსამართლე ამ დროს ვალდებულია, გადასინჯოს მეწარმის საწარმოო განახლების რეზერვები, უკიდურეს შემთხვევაში კი – მოახდინოს საწარმოს ლიკვიდაცია და კრედიტორის დაკმაყოფილება.

დანაშაულის ობიექტი არის სამეწარმეო ეკონომიკური საქმიანობა, კერძოდ, კრედიტორთა ფინანსები და ეკონომიკური სიძლიერე, მათი ინტერესები.

ობიექტური მხარე გამოიხატება მეწარმის მიერ ვალაუვალობის ფაქტის განუცხადებლობაში, რითაც ზარალდება კრედიტორი.

გაკოტრების საქმეთა წარმოების კანონს მეექვსე მუხლი კრედიტორის უფლებებსაც ეხება ვალაუვალობის განცხადების უფლებით, თუკი ამისი დასაბუთებული პრეტენზია აქვს მას.

დანაშაულის ამსრულებელი არის ვალაუვალი მეწარმე, სამეწარმეო საზოგადოების ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე პირი.

აქვე დავძენთ, რომ არ არის გამორიცხული ვალაუალ მეწარმესთან ერთად კრედიტორიც იყოს დანაშაულის სუბიექტი სახელმწიფო ვალის გადახდისაგან თავის არიდების თანამონაწილეობითი მანიპულაციის საქმეში.

სუბიექტური მხარე გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში – დამნაშავემ იცის, რომ იგი ვალაუვალია, მაგრამ ამას არ აცხადებს, რათა არ მოხდეს მისი საწარმოს ლიკვიდაცია და ხმარობს სხვადასხვა ხერხებს, რომ თავიდან აიცილოს შემორჩენილი ქონების კრედიტორზე გადაცემა.

27-ე თავი

დანაშაული ფულად-საკრედიტო სისტემაში

(მოკლე მიმოხილვა)

საქართველოს ეკონომიკის მომავალი განვითარებისათვის განუზომელი მნიშვნელობა აქვს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პერიოდში ფულად-საკრედიტო საქმიანობის სწორად წარმართვას. იგი განაპირობებს თანხების მიზნობრივ განაწილებას, მათ მომგებიან და ყაირათიან ხარჯვას, რაც ამკვიდრებს სამეწარმეო საქმიანობას და მის საწარმოო და საგადასახადოუნარიანობას, კრედიტორული ვალების დაფარვას, ეკონომიკური ზარალის თავიდან აცილებას, საბრუნავი სახსრებისა და ძირითადი კაპიტალის საფუძვლიან დამსხვილებას და ა.შ.

სწორედ ამ მიზანს ემსახურება საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 25 სექტემბრის განკარგულება „საქართველოს საფინანსო სისტემისა და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განმტკიცების, ქვეყნის ეკონომიკის გარეშე ფაქტორების უარყოფითი გავლენებისაგან დაცვის საგანგებო ღონისძიებათა შესახებ". განკარგულებაში დაკონკრეტებულია საკითხები, რომლის განხორციელებაც გადაუდებლად გააჯანსაღებს ქვეყნის ფულად-საკრედიტო სისტემას და პოლიტიკას.

ამასთანავე, არსებითად ზრდის სამართლებრივი რეგულირების როლს იმ საზოგადოებრივი ურთიერთობის სფეროში, რომელიც მართავს სამეწარმეო და საკრედიტო საქმიანობას. როგორც ცნობილია, პირადი საკუთრების სხვადასხვა ფორმებმა და მისი განვითარების მიმართულებებმა, ასევე სამეწარმეო საქმიანობის განვითარებამ, რომელიც ადრე დანაშაულად ითვლებოდა, სრულიად დაკარგა საზოგადოებრივი საშიშროების ძალა. მაგალითად, კოდექსიდან ამოვარდა ის მუხლები, რომელიც რაიმე სახის კერძო ან ამხანაგობრივ სამეწარმეო საქმიანობას დანაშაულად თვლიდა. შეუძლებლად მიაჩნდა ასეთ საწარმოთა არა თუ სახელმწიფოს მიერ დაკრედიტება, არამედ სრულიად თავისთავადი არსებობაც. დანაშაულებრივი ძალა დაკარგა და კანონთა კრებულიდან ამოვარდა ისეთი ქმედებანი, როგორიც არის უსტანდარტო და უკომპლექტო პროდუქციის გამოშვება, მიწერები გეგმების შესრულებაში, სპირტიანი სასმელებით ვაჭრობის წესების დარღვევა და სხვა. მრავალმა კანონმა შეიცვალა სახე და უფრო დახვეწილი და ცხოვრებისეული გახდა. კანონმდებლობაში

შემოვიდა ისეთი ახალი მუხლები, რომელიც სრულიად შეესატყვისება და გამომდინარეობს დღევანდელი სახელმწიფოებრივი და საერთო სახალხო ეკონომიკური მოთხოვნებიდან.

ამასთან დაკავშირებით, საზოგადოების სისხლხორცეული მოთხოვნილება გახდა ფინანსებისა და კრედიტების მართვის სრულიად ახალი სისტემის ჩამოყალიბება იმგვარად, რომ ყველა მეწარმემ შესძლოს ნებისმიერი პირადი და საზოგადოებრივი საწარმოო საქმიანობით (თუ ის არ ეწინააღმდეგება კანონს) ხელი შეუწყოს დოვლათის უხვად წარმოებასა და დაგროვებას.

ამასთან დაკავშირებით 27-ე თავს, რომელიც ფულად-საკრედიტო სისტემას მოიცავს, გააჩნია სრულიად დამოუკიდებელი ობიექტი და განსხვავებული ნიშნები. იგი ჩამოყალიბდა ცალკე თავად და გამოეყო სამეურნეო ხასიათის დანაშაულთა სისტემას.

დღეს მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობა ადგენს პასუხისმგებლობას ფულად-საკრედიტო სისტემაში მოსალოდნელი ექვსი დამოუკიდებელი დანაშაულებრივი ქმედებისათვის, ამ კანონებს შეუძლია, მყარად დაიცვას ფულად-საკრედიტო ურთიერთობათა სფერო და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დააკისროს იმ პირებს, რომლებიც კრედიტს მიიღებენ უკანონოდ (208), სჩის ძვირფასი ლითონის სინჯის აღმნიშვნელი სახელმწიფო დამღის დამზადების ან გამოყენების წესების დარღვევისათვის – 209, ყალბი საკრედიტო ან საანგარიშსწორებო ბარათის დამზადებას ან გასაღებას – 210, ჩეკის ან საკრედიტო ბარათის ბოროტად გამოყენება – 211, ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდის დამზადებას ან გასაღებას – 212, ფასიანი ქაღალდის ბაზრის წესის დარვევას – 213.

გვარობითი ობიექტი ჩამოთვლილი დანაშაულობებისა არის ურთიერთობა, რომელიც მოიცავს ფულად-საკრედიტო სისტემის მართვის კანონიერებას.

უშუალო ობიექტია კონკრეტული საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელიც წარმოიშობა რომელიმე კონკრეტული საფინანსო საკრედიტო ურთიერთობის დროს, კერძოდ, იმ მუხლების შესაბამისად, რომელიც ზემოთ ჩამოვთვალეთ.

დანაშაული ფულად-საკრედიტო სისტემაში განსხვავდება სხვა დანაშაულობებისაგან, რომელსაც ადგილი აქვს ეკონომიკური დანაშაულის სისტემაში და რომელსაც შეუძლია ზიანი მიაყენოს საწარმოს თუ კერძო პირის ინტერესებს.

ფულად-საკრედიტო სისტემაში მომხდარი დანაშაულობანი მჭიდრო კავშირშია საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულობებთან. რადგან ორივე ზარალს აყენებს პიროვნების ან პირთა ჯგუფის ეკონომიკურ ინტერესებს, ამასთანავე, განსხვავდებიან ერთმანეთისაგან თავიანთი ობიექტებით, მოქმედების ხასიათით და სუბიექტური მხარის სტრუქტურით.

სუბიექტური მხარე განსახილველ თავში გათვალისწინებული დანაშაულობებისა ჩაიდინება პირდაპირი განზრახვით.

სუბიექტად წარმოგვიდგება საწარმოს ხელმძღვანელი ან მესაკუთრე, მიღწეული სათანადო ასაკს, შერაცხადი. ქვემოთ განვიხილავთ ფულად-საკრედიტო სისტემაში მომხდარ დანაშაულობა ცალკეულ სახეებს მისი სისტემის მიხედვით.

კრედიტის უკანონოდ მიღება — მუხლი 208

აღნიშნული მუხლი ორი ნაწილისაგან შედგება. იგი პირველად შევიდა სისხლის სამართლის კოდექსში. მისი პირველი ნაწილის შინაარსი ასეთია: ბანკისათვის ან კრედიტორისათვის სამეურნეო ან ფინანსური მდგომარეობის შესახებ ყალბი ცნობების მიწოდება კრედიტის მიღების ან მისი ოდენობის გაზრდის, ანდა შელავათიანი კრედიტის მიღების მიზნით, აგრეთვე მიზნობრივი კრედიტის არადანიშნულებისამებრ გამოყენება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

საბაზრო ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების დროს ფართოდ იშლება რა სამეწარმეო საქმიანობა, კერძო პირები, სააქციო საზოგადოებანი, საწარმოს მფლობელები ახალი საწარმოო სიმძლავრეების ათვისების და, საერთოდ, სამეწარმეო საქმიანობის გაშლისა და გაძლიერების მიზნით, უფლებამოსილნი არიან, მიიღონ კრედიტი სახელმწიფოსაგან გარკვეული ოდენობით. კრედიტის მოთხოვნის დოკუმენტებით დასაბუთებული უნდა იქნეს საწარმოს რეალურად არსებობა, მისი უძრავი და მოძრავი კაპიტალი, საწარმოს მოცულობა და სახეობა და ამისათვის საჭირო თანხა. დამაკრედიტებელი ორგანიზაცია კრედიტს გასცემს იმ შემთხვევაში, თუ იგი დარწმუნდება საწარმოს მომავალი მუშაობის რენტაბელობაში. კრე-

დიტის გაცემის შემთხვევაში ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია თანხის გადახდის ვადები, შესა-ძლებლობანი, ასევე თანხის გამოყენების დანიშნულება მეწარმის მიერ და ა.შ.

მეწარმის დანაშაულებრივი ქმედება მდგომარეობს მასში, რომ მას კრედიტი გამოტანილი აქვს არა პირდაპირი, დოკუმენტში აღნიშნული საქმიანობის შესრულების, არამედ სრულიად სხვა მიზნით და ამას აღწევს იმით, რომ ატყუებს კრედიტორს ყალბი დოკუმენტებით, სადაც სრულიად შეცვლილია ან დიდი გადაჭარბებით არის ასახული საწარმოს სამეურნეო და საფინანსო მდგომარეობა (თანხის საჭიროება, სამეურნეო საქმიანობის შინაარსი და ა.შ.), ან მეწარმე ითხოვს კრედიტის ოდენობის გაზრდას, როცა ასეთი საწარმოს ძირითადი საქმიანობისათვის საჭირო არ არის, ან ითხოვს შეღავათიან კრედიტს და ა.შ.

დანაშაული სახეზეა, როგორც კი დამკრედიტებელ ორგანიზაციას მიეწოდება ყალბი ცნობები, ვერ მიიღებს ძირითად თანხას და ვერც პროცენტს მოვალისაგან.

მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას აკისრებს პირს, რომელმაც უკანონოდ მიიღო მიზნობრივი კრედიტი და არადანიშნულებით გამოიყენა ის.

აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატება მასში, რომ მეწარმემ დოკუმენტაცია შეადგინა შალის საკოსტიუმე ჭრილის წარმოებისათვის, სინამდვილეში თანხა გამოიყენა ვალების დასაფარავად. არსი დანაშაულისა ისაა, რომ თანხა კრედიტორისაგან გამოყოფილი და დაგეგმილია წარმოების გაშლისა და გაფართოებისათვის, აქვე განსაზღვრულია წარმოებისაგან მიღებული მოგების წილი, მაგრამ ყოველივე ეს გაყალბებულია, რითაც ზარალდება კრედიტორი. პასუხისმგებლობა, როგორც პირველი, ასევე მეორე ნაწილის შემადგენლობის არსებობისას, დადგება მაშინ, თუ დანაშაულებრივმა მოქმედებამ მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. ამ საკითხის დაზუსტება კი სასამართლოს პრეროგატივაა.

ობიექტი დანაშაულისა არის ფულად-საკრედიტო სისტემა.

ობიექტური მხარე დანაშაულისა გამოიხატება კრედიტორზე მნიშვნელოვანი ზარალის მიყენებაში.

სუბიექტური მხარე გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში.

ძვირფასი ლითონების სინჯის აღმნიშვნელი სახელმწიფო დამღის დამზადების ან გამოყენების წესის დარღვევა – მუხლი 209

1998 წლის 17 სექტემბრის კანონი „ძვირფასი ლითონებისა და ძვირფასი ქვების სახელმწიფო კონტროლის, ანალიზისა და დადამღვის შესახებ“ აწესებს ერთიან სახელმწიფო სასინჯ კონტროლს ძვირფას ლითონებთან, ძვირფას ქვებთან და მათი გამოყენებით დამზადებულ ნაწარმთან დაკავშირებულ საქმიანობაზე, არეგულირებს ამ საქმიანობით დაკავებულ პირთა უფლება-მოვალეობებსა და პასუხისმგებლობას. მისი მიზანია, ძვირფას ლითონებსა და ძვირფას ქვებთან დაკავშირებული საქმიანობის სამართლებრივი რეგულირება, მწარმოებლის, რეალიზატორისა და მომხმარებლის ინტერესების დაცვა.

მუხლი, რომელიც ამ კანონის მოთხოვნებს იცავს სისხლის სამართლის წესით, პირველად შევიდა ჩვენს კანონმდებლობაში. პირველი ნაწილის დისპოზიცია ასეთია:

„ძვირფასი ლითონის სინჯის აღმნიშვნელი სახელმწიფო დამღის უკანონო დამზადება, გამოყენება ან გასაღება, ანდა სახელმწიფო დამღის გაყალბება ანგარებით ან სხვა პირადი მოტივით“.

ძვირფას ლითონებად კანონმდებელი გულისხმობს ოქროს, პარადიუმს, პლატინას, ვერცხლს და ა. შ., რომლის პროცენტული ოქროს შემცველობა სპეციალური აღბეჭდვის საშუალებით აღინიშნება ლითონზე. აღბეჭდვის ამ საშუალებას დამღა ეწოდება. დამღას აკეთებს სპეციალური სახელმწიფო ორგანო. ძვირფასი ლითონების შენადნობების ხარისხი, რომლისგანაც დამზადებულია ნაწარმი, განისაზღვრება სინჯით. იგი გამოხატავს ძვირფასი ლითონის ოდენობას შენადნობის წონით ერთეულში. სინჯის აღმნიშვნელი სახელმწიფო დამღის გამოყენების უფლება აქვს სინჯის ზედამხედველობის ინსპექციას. იგი ხელმძღვანელობს თავისი დებულებებით და ისეთი კანონქვემდებარე აქტებით, როგორიცაა: „ძვირფასი ლითონების ნაკეთობათა დადამღვის წესები“ და მრავალი სხვა.

დამღა არის ბეჭდური სახის ტვიფარი ანუ ლითონზე ამოკვეთილობა, რომელსაც გარკვეული ინდივიდუალური ფორმა გააჩნია და გამოხატავს დამღის დამსმელის გარკვეულ ინდივიდუალურ ნიშანს, სადაც გამოსახულია მეპატრონის ინტერესი. ჩვენს შემთხვე-

ვაში საქმე გვაქვს ისეთ ანაბეჭდთან — ნიშანთან, რომელსაც მხოლოდ სპეციალური კომპეტენტური სახელმწიფო ორგანო ამზადებს და იგი წარმოადგენს ძვირფასი შენაერთის ოდენობის ზუსტ განმსაზღვრელს. დადამღვა რეგულირდება 17 სექტემბრის კანონით „ძვირფასი ლითონებისა და ძვირფასი ქვების სახელმწიფო კონტროლის, ანალიზისა და დადამღვის შესახებ".

როგორც კანონმდებელი განმარტავს, აღნიშნული დამღის უნებართვოდ დამზადების, გამოყენების ან გასაღების უფლება არავისა აქვს.

დამღის უნებართვოდ დამზადებაში კანონმდებელი გულისხმობს დამღის ნიშნის მიმსგავსებას სახელმწიფო ნიშანზე სახელმწიფოს ნებართვის გარეშე.

გასაღებაში იგულისხმება ამგვარი სადამღო ნიშნის გაყიდვა სხვა პირებზე სათანადო ღირებულების აღებით ან რაიმე ნივთზე გაცვლით.

გამოყენებაში კანონმდებელი გულისხმობს უნებართვოდ დამზადებული სინჯის ნიშნის დასმას ოქროს ზოდსა ან ნივთზე, რათა სარწმუნოდ მიიჩნიონ ლითონში ოქროს შემცველობითი პროცენტის აღნიშვნა (56%-იანი, 92%-იანი და ა.შ.).

სახელმწიფო დამღის გაყალბებაში იგულისხმება მაღალი სინჯის დამღის დამზადება უნებართვოდ და მისი გამოყენება ოქროს საგნის მაღალპროცენტული შემცველობის მაჩვენებლად.

ობიექტი დანაშაულისა არის ქვეყნის ფულად-საკრედიტო სისტემა, უშუალო ობიექტი კი — დამღის დამზადების წესი.

სუბიექტური მხარე გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში — დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ იგი უნებართვოდ ამზადებს ოქროს სინჯის აღმნიშვნელ დამღას, ან იყენებს მას, ან ასაღებს, ან აყალბებს ნამდვილ სახელმწიფო დამღას და სურს ასეთი შედეგი.

დანაშაულის მოტივი, როგორც წესი, ანგარებაა.

მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას, როდესაც მუხლის პირველი ნაწილის დისპოზიცია განხორციელდება: ა) ჯგუფურად, ბ) არაერთგზის. მეორე ნაწილით კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არ აქვს პირის ნასამართლევობას.

დასახელებული მაკვალიფიცირებელი გარემოებების კომენტარი ჩვენ ზემოთ მოვიტანეთ, ამდენად აღარ გავიმორებთ.

ყალბი საკრედიტო ან საანგარიშსწორებო ბარათის დამზადება ან გასაღება – მუხლი 210

მუხლი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი პასუხისმგებლობას აკისრებს იმ პირს, რომელმაც „გასაღების მიზნით დაამზადა ან გაასაღა ყალბი საკრედიტო ან საანგარიშსწორებო ბარათი, ან სხვა საგადასახადო დოკუმენტი, ან ქონებრივი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც არ არის ფასიანი ქაღალდი.“ კანონი მიზნად ისახავს საანგარიშსწორებო ურთიერთობის მონაწილე ფიზიკური და იურიდიული პირების ქონებრივი ინტერესების, აგრეთვე, უნაღდო ანგარიშსწორების წესების დაცვას.

დამნაშავის მოქმედება მიმართულია იქით, რომ მიიღოს მატერიალური გამორჩენა. საკრედიტო ბარათი არის დოკუმენტი, რომლითაც ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორება. ასეთ დოკუმენტებს მიეკუთვნება: ჩეკი, აკრედიტივი, ინკასო, თამასუქი და სხვა.

უნაღდო ანგარიშსწორება არის ფულადი ბრუნვის ერთ-ერთი სახე, რომლის დროსაც, გადარიცხვების გზით, ხორციელდება ფულის მიმოქცევა. ეს იმას ნიშნავს, რომ მომწოდებელს გადაერიცხება მყიდველის ანგარიშიდან, ე. ი. მომსახურე ბანკიდან, კუთვნილი თანხა მიღებული საქონლის სანაცვლოდ.

ჩეკი არის ფასიანი ქაღალდი, რომელიც შეიცავს ჩეკის გამცემის წერილობით დავალებას საკრედიტო დაწესებულებებისადმი, გაანაღდოს მასში აღნიშნული თანხა, ე. ი. ბანკმა ამ დოკუმენტის პატრონს უნდა მისცეს იმდენი ლარი, რამდენიც ჩეკშია აღნიშნული. ჩეკის წარდგენისას ბანკი ვალდებულია, მოითხოვოს ჩეკის მფლობელის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

აკრედიტივი არის უნაღდო ანგარიშსწორების ერთ-ერთი ფორმა, რომელიც გამოიყენება ტრანსპორტირების ხარჯების ანაზღაურებლად.

ინკასო უნაღდო ანგარიშსწორების ფორმაა, რომლითაც მომწოდებლის მომსახურე ბანკი თხოვს მყიდველის მომსახურე ბანკს თავისი კუთვნილი თანხის გადარიცხვას.

თამასუქი არის ვალის ვადიანი ვალდებულება, რომლის მფლობელიც ვალდებულია, თამასუქში მითითებულ ვადაში გადაიხადოს თანხა – პირადად ან სხვა პირს ავალებს ამ თანხის გადახდას.

საანგარიშსწორებო ბარათი არის დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც და ბანკის მეშვეობით ორგანიზაციები აწარმოებენ საკალდებულო ანგარიშსწორებას.

ჭრნებრივი უფლებამოსილების დოკუმენტი არის საკუთრების მაჩვენებელი ფურცელი, რომელიც აღნიშნავს პიროვნების ანგარიშზე ბანკში არსებულ ანაბარს ან ორგანიზაციის ანგარიშზე არსებულ თანხას, ან სხვა რაიმე საკუთრების ფლობის მოწმობაა.

უნაღდო ანგარიშსწორება ნიშნავს იმას, რომ ბანკი ფულის მომთხოვნს ჩეკის წარდგენის შემდეგ ფულს ხელზე ნაღდად კი არ აძლევს, არამედ გადაურიცხავს.

დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება მასში, რომ დამნაშავე გასაღების მიზნით ამზადებს ან ასაღებს პირველ ნაწილში ჩამოთვლილ რომელიმე დოკუმენტს.

დამზადებაში კანონმდებელი გულისხმობს ჩამოთვლილი დოკუმენტის მიმსგავსებული ფორმის გაკეთებას, ან ნამდვილ ფორმაში თანხის ოდენობის ყალბად ჩვენებას, ან ნამდვილ დოკუმენტში რომელიმე რეკვიზიტის გადასწორებას, გადაშლას.

ზემოთ მითითებული დოკუმენტი ყალბად ითვლება მაშინ, როცა იგი დამზადებულია არაკომპეტენტური ორგანოს მიერ და არ იმყოფება სახელმწიფო აღრიცხვაზე.

დანაშაულის ობიექტი არის ქვეყნის ფულად-საკრედიტო სისტემა.

სუბიექტური მხარე გამოიხატება განზრახ ბრალში — დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ ის ანგარების ან სხვა პირადი მოტივით ამზადებს ყალბ საკრედიტო, საანგარიშსწორებო ან სხვა დოკუმენტს გასაღების მიზნით ან ასაღებს.

დოკუმენტის გასაღების მიზნით დამზადება ნიშნავს მისთვის მზა ფორმის მიცემას, რათა იგი გაყიდოს ფულზე, გაცვალოს ნივთზე ან გასცეს გარკვეული სამუშაოს შესრულების სანაცვლოდ.

გასაღება ნიშნავს დოკუმენტის გაყიდვას ან სხვაგვარ გასხვისებას მორიგების მიხედვით, სანაცვლო საზღაურის მიღების მიზნით.

მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს მაშინ, თუ პირველ ნაწილში ჩამოთვლილი ქმედება ჩადენილია: ა) ჯგუფურად, ბ) არაერთგზის.

დანაშაული დამთავრებულად ითვლება ყალბი დოკუმენტის დამზადების ან გასაღებისთანავე.

ჩეკის ან საკრედიტო ბარათის ბოროტად გამოყენება – მუხლი 211

210-ე მუხლის განხილვის დროს [illegible] ჩეკის ან საკრედიტო ბარათის გაყალბებაზე, [illegible] ამოუკიდებელ დანაშაულებრივ შემადგენლობაზე. 211-ე მუხლი ეხება ამ დოკუმენტების ბოროტად გამოყენების საკითხებს.

მუხლი ერთი ნაწილისაგან შედგება. მისი შინაარსი ასეთია: „ჩეკის ან საკრედიტო ბარათის ბოროტად გამოყენება, რამაც გამნაღდებელი მნიშვნელოვნად დააზიანა". კანონის მიზანია, არ მოხდეს ჩეკის ან საკრედიტო ბარათის დანაშაულებრივი გამოყენება, რითაც დაზარალდება ორგანიზაცია ან კერძო პირი.

ჩეკი არის ფასიანი დოკუმენტი, რომელსაც ფლობს ორგანიზაცია და რომლის მეშვეობითაც იგი ახდენს ბანკში შენახული თავისი თანხის მიმოქცევას ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორებით.

ჩეკს და საკრედიტო ბარათს აქვს თავისი სპეციალური ფორმა, სადაც ჩაწერილია სათანადო რეკვიზიტები (წარმოება, ორგანიზაცია, შევსების თარიღი, მთ. ბუღალტერი, წარმოების ხელმძღვანელი და ა.შ.), რომელსაც შეავსებს ბუღალტერი, დაამოწმებს ბეჭდით, თავისი და დირექტორის ხელმოწერით და წარადგენს ბანკში. ჩეკში აღნიშნულია ის, თუ რამდენ თანხას ითხოვს ჩეკის ავტორი, ხელზე თუ გადარიცხვის წესით. ბანკი ასრულებს ჩეკის მეპატრონის მოთხოვნას.

ნაღდი ანგარიშსწორება არის ისეთი ურთიერთობა, როდესაც თანხის მეპატრონე, სათანადო ჩეკის წარდგენით, ფულს ბანკიდან მიიღებს ხელზე.

უნაღდო ანგარიშსწორება არის ისეთი ურთიერთობა, როდესაც ჩეკის ამომწერი თანხას მიიღებს გადარიცხვით. ასეთივე დანიშნულებას ასრულებს საკრედიტო ბარათიც, მაგრამ თანხის მიმოქცევის უფრო სხვა წესით.

ბოროტად გამოყენება ნიშნავს დოკუმენტით სარგებლობის ისეთ ფორმას, გამოყენების ისეთ სახეს, რომელსაც კრძალავს კანონი და მიიჩნევს დანაშაულად, რითაც მნიშვნელოვნად ზიანდება ფულის გამნაღდებელი, გამცემი. მაგალითად, დამნაშავემ ამ დოკუმენტით შეიძლება შეიტანოს ისეთი თანხა, რომელიც მას არ

ეკუთვნის, წარუდგინოს ბანკს, მიიღოს და მიითვისოს, ან არადანიშნულებისამებრ გამოიყენოს.

მაგალითად, 1975 წელს ელექტრომექანიკური ქარხნის ბუღალტერმა ბოროტად გამოიყენა რა ჩეკის ზემოთ აღწერილი შესაძლებლობა, კუთვნილი თანხის ხელოვნურად გაზრდით მიითვისა 35 ათასი მანეთი.

დანაშაულის ობიექტი არის ქვეყნის ფულად-საკრედიტო სისტემა, კონკრეტულად კი ის ობიექტი, რომელიც ფულს იძლევა ჩეკის მოთხოვნის შესაბამისად.

დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება ჩეკის ან საკრედიტო ბარათის ბოროტად გამოყენებით, თანხის გამნაღდებელის მნიშვნელოვნად დაზიანებით.

სუბიექტური მხარე გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში — დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ იგი ბოროტად იყენებს ჩეკს ან საკრედიტო ბარათს, ამით აზარალებს გამნაღდებელს და სურს ეს. მიზანი დამნაშავისა არის მატერიალური გამორჩენის მიღება.

ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდის დამზადება ან გასაღება — მუხლი 212

განსახილველი მუხლი ოთხი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი პასუხისმგებლობას აწესებს ყალბი საბანკო ბილეთის, ლითონის, მონეტის, ფასიანი ქაღალდის გასაღების მიზნით დამზადებისა ან გასაღებისათვის.

საქართველოს ფულადი ერთეული არის ლარი.

ფასიანი ქაღალდია დოკუმენტი, დადგენილი ფორმით და აუცილებელი რეკვიზიტებით, რომელიც ადასტურებს ქონებაზე გარკვეულ სამართლებრივ უფლებას.

ფასიან ქაღალდებს განეკუთვნება: სახელმწიფო ობლიგაციები, თამასუქები, ჩეკები, სადეპოზიტო და შემნახველი სერთიფიკატები, საბანკო შემნახველი წიგნაკი წარმომდგენზე, კონოსამენტები, აქციები, საპრივატიზაციო ფასიანი ქაღალდები და სხვა დოკუმენტები.

მონეტა არის ლითონის ფულის ნიშანი. კონოსამენტი — დოკუმენტი, რომელიც შეიცავს საზღვაო გადაზიდვის ხელშეკრულების პირობებს.

ვალუტა არის უცხო სახელმწიფოს ფული.

დანაშაულის ობიექტია საქართველოს ფულად-საკრედიტო სისტემა. ამ სისტემის ხელყოფა გამოიხატება მასში, რომ იგი აფერხებს სახელმწიფო თანხის მიმოქცევას, იწვევს ფულის ინფლაციას, ყალბად ადიდებს სახელმწიფოს ქონებრივ ვალდებულებას კერძო პირთა მიმართ და ა.შ.

დანაშაულის საგნად ითვლება ყალბი საბანკო ბილეთი, მონეტა, სახელმწიფო ან სხვა ფასიანი ქაღალდი, ვალუტა.

ვალუტის სახით დამნაშავე ამზადებს უცხოურ, გავლენიანი ქვეყნის ქაღალდის ფულს ან ლითონის მონეტებს.

პასუხისმგებლობა ვალუტის დამზადებისათვის გათვალისწინებულია 1929 წლის 20 აპრილის საერთაშორისო კონვენციით. ამ დოკუმენტის შესაბამისად ყველა ქვეყანამ იკისრა სათანადო ვალდებულება.

დანაშაულის ობიექტური მხარე ორი ფორმით გამოიხატება:

1) ყალბი მონეტის, ფასიანი ქაღალდის, ვალუტის ან უცხოური ფასიანი ქაღალდის ყალბად დამზადება როგორც მექანიკური ხერხების გამოყენებით, ასევე ხელით, კუსტარულად. კვალიფიკაციისათვის დამზადების ხერხსა და მეთოდს მნიშვნელობა არ აქვს. ეს მომენტი მხედველობაში მიიღება სასამართლოში სასჯელის განსაზღვრის დროს.

დანაშაული დამთავრებულად ითვლება ყალბი მონეტის ან სხვა მუხლში ჩამოთვლილი ფასიანი ქაღალდის დამზადებისთანავე. მოასწრო თუ არა პირმა დამზადებული ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდის გასაღება, არც ამას აქვს კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა.

2) „ყალბი ფასიანი ქაღალდების გასაღება გულისხმობს მათ ბრუნვაში მოქცევას. ობიექტურად ეს შეიძლება გამოიხატოს საქონლის შეძენის დროს ღირებულების ყალბი ფულით გადახდაში, ვალის დაბრუნებაში, ჩუქებაში, საგირავნო გადასახადის დაფარვაში, რაიმეს ყიდვაში და ა.შ. ე.ი. ისეთ მოქმედებაში, როდესაც ყალბი ფული ან ფასიანი ქაღალდი ასრულებს ნამდვილის მოვალეობას“.[1]

გამსაღებელთა წრე უფრო ფართოა, ვიდრე დამამზადებელთა, რადგან ის პიროვნებაც კი, რომლის ხელშიც შემთხვევით მოხვდა ყალბი ფული, ცდილობს მის გამოყენებას სათანადო ბრუნ-

1. Дьяков, уголовное право, М. 1995, стр. 75.

ვით. ეს დანაშაული კი (გასაღება) დამთავრებულად ითვლება ყალბი საგნის ბრუნვაში მოქცევისთანავე. ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდების დამზადების მცდელობად ითვლება მომზადება იმისათვის, რომ დამნაშავემ საამისოდ შეიძინოს დაზგები, ქაღალდი, საღებავი და ა.შ.

დანაშაული სუბიექტური მხრივ არის პირდაპირი განზრახვა, რადგან ამ დანაშაულის მომზადებისა თუ განხორციელების ყოველი ნაბიჯი მხოლოდ განზრახი, წინასწარ მოფიქრებული და გამიზნული საქციელით ხასიათდება, მოქმედების მიზანი ჭონებრივია — დამნაშავეს სურს, გამდიდრდეს უკანონო გზით.

მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს მაშინ, თუ პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება ჩადენილია დიდი ოდენობით ან ამ დანაშაულისათვის ნასამართლევი პირის მიერ.

მესამე ნაწილი პასუხისმგებლობას აწესებს მაშინ, თუ პირველი ან მეორე ნაწილით გათვალისწინებული ქმედება ჩადენილია ორგანიზებული ჯგუფის მიერ, ხოლო მეოთხე ნაწილი — როდესაც დამნაშავემ მოახერხა ყალბი საბანკო ბილეთის, ლითონის მონეტის, ფასიანი ქაღალდის ან ვალუტის დასამზადებელი ნებისმიერი სახის საბეჭდი ფორმის, მატრიცის, ქაღალდის, საღებავის და სხვა საგნის ან ნივთიერების უკანონო დამზადება, შეძენა, შენახვა ან გადაზიდვა გასაღების მიზნით, ან გასაღება.

დანაშაულის ობიექტი არის ფულად-საკრედიტო სისტემა.

ობიექტური მხრივ ქმედება გამოიხატება ყალბი ბანკნოტის, მონეტის, ან ფასიანი ქაღალდის დამზადებასა ან გასაღებაში.

სუბიექტური მხარე გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის წესის დარღვევა — მუხლი 213

1998 წლის კანონის ,,ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ'' მიზანია საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება, ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ინვესტორთა ინტერესების დაცვა, ემიტენტთა მიერ ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზებისას მათი ინფორმაციის, აგრეთვე ფასიანი ქაღალდებით საჯარო ვაჭრობის

ღიაობის უზრუნველყოფა, ფასიანი ქაღალდებით საჯარო ვაჭრობაში სამართლიანი წესებისა და თავისუფალი კონკურენციის დამკვიდრება.

კანონი განსაზღვრავს ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზებას, ვაჭრობის პროცედურას, ლიცენზირებას, ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებად მონაწილეთა რაობას და ფუნქციებს, ფასიანი ქაღალდების გარიგებაში გაყალბებისა და მანიპულაციების აკრძალვას, ბაზრის ზედამხედველობას და პასუხისმგებლობას ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობის დარღვევისათვის.

მუხლი, რომელიც სისხლის სამართლის წესით იცავს ამ კანონის მოთხოვნებს, ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილის დისპოზიცია ასეთია: „განზრახ, სათანადო ნებართვის მიუღებლად, ფასიანი ქაღალდის საჯარო შეთავაზება ემისიის პროსპექტის გარეშე ან შეჩერებული ემისიის პროსპექტით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია“.

მუხლის შინაარსი რომ ნათლად გავშალოთ, ერთხელ კიდევ გავიხსენოთ, რომ ფასიანი ქაღალდი არის დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს საკუთრებრივ უფლებას, იგი არის ქონებრივი, ფულადი დოკუმენტი. ფასიან ქაღალდებს მიეკუთვნება: აქციები, ობლიგაციები, ჩეკები, თამასუქები და ა.შ. მაგალითად, როდესაც პიროვნება ყიდულობს აქციას, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი ხდება ქონების მესაკუთრე იმდენი წილის შემცველობით, რამდენიც მის მიერ შეძენილ აქციაშია მოცემული.

ფასიანი ქაღალდების ბაზარი არის ადგილი, სადაც ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობენ. როგორ ხდება ეს ვაჭრობა? ვისაც რა სურს და როგორც სურს? რა თქმა უნდა, არა. სისხლის სამართლის კანონი სწორედ ასეთი თვითნებობის აკრძალვას ისახავს მიზნად.

კანონიდან ნათლად ჩანს, რომ ფასიანი ქაღალდის შეთავაზება სათანადო ნებართვის მიუღებლად დაუშვებელია. ვინ უნდა გასცეს ეს ნებართვა? ფასიანი ქაღალდის გამყიდველს ემიტენტი ჰქვია. იგი ამზადებს ფასიანი ქაღალდების ჩამონათვალს სპეციალურ დოკუმენტში, რომელსაც ფასიანი ქაღალდების ემისიის (გამოშვების) პროსპექტი ეწოდება. ეს პროსპექტი იგივე წერილობითი შეტყობინებაა ფასიანი ქაღალდების გამოშვების ნებართვის თაობაზე. ემიტენტი ამ პროსპექტს დასამტკიცებლად მიმართავს ფინანსთა სამინისტროს სათანადო კომისიას და წარადგენს შემდეგ დოკუ-

მენტებს: ა) განაცხადს განსაზღვრული ფორმის მიხედვით. ბ) წინასწარი პროსპექტის სამ ასლს. გ) ემიტენტის დემოგრაფიულ მონაცემებს. დ) კომერციული საქმიანობის დახასიათებას და სხვას.

ნებართვის მიღების შემდეგ მას აქვს აქციის გაყიდვის საჯარო შეთავაზების უფლება. კომისიის ნებართვა იმიტომ არის საჭირო, რომ ემიტენტს დაედოს სათანადო გადასახადის ვალდებულება. ქმედების დანაშაულებრიობა მდგომარეობს მასში, რომ ემიტენტი თავს არიდებს ამ დოკუმენტების აღრიცხვას და ამით გადასახადის გადახდას, ამიტომ ცდილობს, ემისიის პროსპექტის გარეშე ივაჭროს ფასიანი ქაღალდებით.

პასუხისმგებლობის საკითხი დგება მაშინ, თუ მოქმედებამ მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

მუხლის მეორე ნაწილი ასეთი შინაარსის არის: „ემისიის პროსპექტში არსებითი ფაქტის ან მოვლენის გამოტოვება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია". აქ დამნაშავე სხვაგვარად მოქმედებს. კერძოდ: იგი აკეთებს ემისიის პროსპექტს, ითხოვს ფასიანი ქაღალდების გამოშვების ნებართვას, მაგრამ პროსპექტში განზრახ გამოტოვა არსებითი ფაქტი ან მოვლენა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

დანაშაულის ობიექტი არის ქვეყნის ფულად-საკრედიტო სისტემა.

ობიექტური მხარე. გამოიხატება ფასიანი ქაღალდების სარეალიზაციოდ შეთავაზებაში, ემისიის ნებართვის დამტკიცების გარეშე ან ემისიის პროსპექტში არსებითი ფაქტის ან მოვლენის განზრახ გამოტოვებაში.

ამსრულებელი არის ფასიანი ქაღალდების გამომშვები პირი.

სუბიექტური მხარე გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში.

28-ე თავი

დანაშაული საფინანსო საქმიანობის სფეროში
(მოკლე მიმოხილვა)

საფინანსო საქმიანობა სახელმწიფოს ეკონომიკური ძლიერების ძირითადი ბერკეტია. დღეს, როდესაც ფართოდ გაიშალა საბაზრო ეკონომიკის განვითარების ჰორიზონტი, ქვეყნის ეკონომიკური ძლიერების ძირითადი ბაზები გადავიდა კერძო პირთა და საზოგადოებ-

რივი გაერთიანებების ხელში. ამიტომ სახელმწიფოს საფინანსო სფერო თითქმის მთლიანად დამოკიდებულია საბაზრო პოლიტიკის რკალში ჩართულ ინდივიდუალურ და სხვადასხვა გაერთიანებათა საკუთრების პერსპექტივებზე.

აღნიშნულ თავში გაერთიანებულია ის დანაშაულები, რომელიც ხელყოფს სახელმწიფოს ფინანსურ სიძლიერეს, ამუხრუჭებს ქვეყნის ეკონომიკისათვის გაანგარიშებული ფინანსების ნორმალურ მიმოქცევას, დაბანდებას, ბრუნვას, მის მომგებიანობას, აფერხებს მეწარმეობის განვითარებას, საბანკო მუშაობის ნორმალიზაციას.

განსახილველმა თავმა მრავალი მუხლი განდევნა კოდექსიდან და მრავალი ახალი შემოიტანა, რაც განპირობებულია ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობათა შექმნა-ჩამოყალიბებით. მაგალითად, დანაშაულთა წრიდან ამოღებულია ისეთი მოქმედებანი, როგორიც არის კერძო მეწარმეობა, კომერციული საქმიანობა, სპეკულაცია და მრავალი სხვა. შემოვიდა ისეთი დისპოზიციები, როგორიცაა: საზღვარგარეთიდან უცხოურ ვალუტაში თანხის დაუბრუნებლობა, საბაჟო წესების დარღვევა.

აღნიშნული თავის მიზანია, დასჯადი გახადოს ის ქმედებები, რომელიც ასუსტებს ქვეყნის ეკონომიკურ შესაძლებლობებს.

უშუალო ობიექტი დანაშაულისა არის საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელიც აწესრიგებს ქვეყნის ეკონომიკაში სახელმწიფოებრივ საქმიანობას.

ხშირ შემთხვევაში დამოუკიდებელ ობიექტებად გვევლინება ცალკეულ მოქალაქეთა სამეურნეო-საფინანსო ინტერესებიც.

დანაშაული საფინანსო სფეროში მკვეთრად განსხვავდება სხვა დანაშაულებებისაგან და ასევე მათგანაც, რომლებიც ხელყოფენ ფულად-საკრედიტო სისტემას. მართალია, სრულიად სხვადასხვა ხერხით, მაგრამ ორივე დანაშაული ქვეყნის ეკონომიკას აზიანებს.

დანაშაული საფინანსო საქმიანობის სფეროში მჭიდროდ უკავშირდება საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა სისტემასაც, მაგრამ განსხვავდება მისგან ხელყოფის კონკრეტული ობიექტით, მოქმედების ხასიათით, ასევე, ხშირ შემთხვევაში, სუბიექტური მხარითაც.

ობიექტური მხრივ, დანაშაულთა დიდი უმრავლესობა ხორციელდება უმოქმედობით, მაგალითად: საქართველოს ან უცხო ქვეყნის ხალხთა კუთვნილი მხატვრული, ისტორიული ან არქეოლოგიური ღირებულების მქონე ნივთის საქართველოში დაუბრუნებ-

ლობა, საზღვარგარეთიდან ვალუტის დაუბრუნებლობა (217), გადასახადისათვის თავის არიდება (218) და სხვა, ზოგიერთი დანაშაულის ჩადენა კი ხდება მოქმედებით. კერძოდ: საბაჟო წესის დარღვევა (214), მომხმარებლის მოტყუება (219).

მუხლების მეტი წილი ბლანკეტურია.

აღსანიშნავია, რომ დანაშაულთა ყველა სახეობის ჩადენა ხდება პირდაპირი განზრახვით. თავი მოიცავს ექვს მუხლს, რომელთაც განვიხილავთ მათთვის ინდივიდუალურად დამახასიათებელი ნიშნების გათვალისწინებით.

საბაჟო წესის დარღვევა – მუხლი 214

214-ე მუხლით პასუხისმგებლობის საკითხი დგება მაშინ, როდესაც დამნაშავე საქართველოს საბაჟო საზღვარზე დიდი ოდენობით მოძრავ ნივთს უკანონოდ გადაიტანს ან გადმოიტანს საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით, მისგან მალულად, საბაჟო ან სხვაგვარი დოკუმენტის მოტყუებით გამოყენებით, დეკლარაციაში ყალბი მონაცემის შეტანით ანდა მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით.

დანაშაულის საშიშროება მდგომარეობს მასში, რომ იგი მრავალგზის აზიანებს საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესებს, ასევე საფრთხეს უქმნის ქვეყნის ეკონომიკას, ფინანსებს.

კანონის ძირითადი მიზანია, დაიცვას საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე საქონლის გადატანა-გადმოტანის დადგენილი წესები და პირობები, განამტკიცოს სახელმწიფოს, იურიდიულ და კერძო პირთა კანონიერი უფლებები და ინტერესები.

საქართველოს რესპუბლიკის საბაჟო კოდექსის მეორე მუხლის შესაბამისად ,,საქართველოს რესპუბლიკის საბაჟო ტერიტორია შეიცავს საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკურ ზონაში შექმნილ, ხელოვნური კუნძულების, დანადგარებისა და ნაგებობების ტერიტორიებს, რომელთა მიმართაც საბაჟო საქმის მხრივ საქართველოს რესპუბლიკას საგანგებო იურისდიქცია აქვს".[1]

საქართველოს რესპუბლიკის საბაჟო კოდექსის მეთორმეტე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით ,,საქართველოს რესპუბლიკაში

1. საქართველოს რესპუბლიკის საბაჟო კოდექსი, მუხ. 2.

შემოტანა და საქართველოს რესპუბლიკიდან გატანა ნიშნავს საქონლისა და სხვა საგნების ფაქტობრივ გადაადგილებას საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვარზე".

ამავე მუხლის მესამე პუნქტი განმარტავს:

„საქართველოს რესპუბლიკის საბაჟო საზღვარზე გადაადგილება ნიშნავს საქონლისა და სხვა საგნების საქართველოს რესპუბლიკის საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანას ან ამ ტერიტორიიდან გატანას, ან საქართველოს რესპუბლიკის ტრანსპორტისა და ელექტრო გადამცემი ხაზების ჩათვლით".[1]

საბაჟო კონტროლი წარმოებს საქართველოს საბაჟო ორგანოს თანამდებობის პირის მიერ დოკუმენტებისა და ცნობების შემოწმების გზით, საბაჟო დათვალიერებით, საქონლის დათვლით, ტრანსპორტის შემოწმებით, ფიზიკურ თუ თანამდებობის პირთა ზეპირი გამოკითხვით, ანგარიშისა და აღრიცხვის შემოწმებით, ადგილების დათვალიერებით (სადაც შეიძლება აღმოჩნდეს საბაჟო კონტროლის ობიექტი) ან სხვა საშუალებით, მაგრამ ეს მოქმედება არ უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო.

განსახილველი მუხლი ოთხი ნაწილისაგან შედგება. როგორც დისპოზიცია განმარტავს, პირველი ნაწილი ითვალისწინებს საქართველოს საბაჟო საზღვარზე დიდი ოდენობით საქონლის უკანონო გადატანა-გადმოტანას საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით ან მისგან მალულად, დოკუმენტის ან საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალების მოტყუებით გამოყენებით, დეკლარაციაში ყალბი მონაცემების შეტანით ანდა მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით. უკანონობაში კანონმდებელი გულისხმობს რაიმე მაქინაციებით საბაჟო შემოწმებისათვის გვერდის ავლას, მაკონტროლებელი პირის მოტყუებას, ყალბი საბუთების წარდგენას, დეკლარაციაში საქონლის ოდენობის და სახეობის დამალვას.

საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალებების მოტყუებით გამოყენება ნიშნავს ბეჭდის, შტამპის ან მარკირების სხვა საშუალებების გაყალბებისას მსგავსი ფალსიფიცირებული ნიშნების დასმას გადასატან ან გადმოსატან ნივთებზე.

დანაშაული შეიძლება ჩაიდინოს თვით საბაჟოს თანამშრომელმა — თანამდებობის პირმა სამსახურებრივი მოვალეობის გამოყე-

1. საქართველოს რესპუბლიკის საბაჟო კოდექსი, მუხ. 12, პუნ. 1, 3.

ნებით ან სხვისთვის დახმარების გაწევით, ანდა იმან, ვისაც მებაჟესთან გათანაბრებული უფლებამოსილება გააჩნია.

მუხლის პირველ ნაწილში გამოყენებულია ტერმინი „დეკლარაცია“, რაც წარმოადგენს კანონიერ აქტს, განაცხადს, რომელიც დაშვებულია საბაჟო კოდექსის 54-ე მუხლით და გამოიყენება საქონლის სახეობისა და ოდენობის დაფიქსირებისათვის, განცხადებისათვის.

კანონის პირველი ნაწილი დანაშაულად მიიჩნევს სუბიექტის მიერ დეკლარაციაში საქონლის შეუტანლობას დამახინჯებულად, შეცვლით ან შემცირებულად შეტანას.

მალულად გადმოტანაში კანონმდებელი გულისხმობს საქონლის ან საგნების იმდაგვარად შენახვას გადატანის ან გადმოტანის დროს, რომ იგი შეუმჩნეველი ხდება მაკონტროლებელი პირისათვის.

გადაადგილებული ქონება დიდი ოდენობისაა მაშინ, როცა მისი ღირებულება აღემატება ხუთი ათას ლარს.

ობიექტი დანაშაულისა არის სახელმწიფოს საფინანსო საქმიანობა. საგანი – აღურიცხავი, გაუფორმებელი საქონელი, რომელიც განბაჟების გარეშე გადაიტანეს ან გადმოიტანეს საზღვარზე.

ობიექტური მხარე გამოიხატება საქონლის ან საგნების საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე უკანონოდ გადატანასა ან გადმოტანაში, იმ წესის დარღვევით, რაც მუხლის პირველ ნაწილშია ასახული.

სუბიექტური მხარე გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში. დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ უკანონოდ გადააქვს ან გადმოაქვს ნივთი (ან ნივთები) საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე და სურს ეს.

მუხლის მეორე ნაწილის დისპოზიციის მართლწინააღმდეგობა გამოიხატება მასში, რომ დამნაშავეს საქართველოს საბაჟო საზღვარზე, საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით, გადააქვს ან გადმოაქვს შხამიანი, მომწამლავი, რადიაქტიური ან ფეთქებადი ნივთიერება, ასაფეთქებელი მოწყობილობა, ცეცხლსასროლი იარაღი, საბრძოლო მასალა ან სამხედრო საჭურველი, ბირთვული, ბიოლოგიური, ქიმიური ან სხვა სახის მასობრივი განადგურების იარაღი, ის მასალები და მოწყობილობები, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნეს მასობრივი განადგურების იარაღის შესაქმნელად, სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ნედლეული, საქართველოს ან უცხო ქვეყნის ხალხთა კუთვნილი მხატვრული, ისტორიული,

არქეოლოგიური ღირებულების მქონე ნივთი, ხელოვნების ნიმუში, ძვირფასი ლითონი ან მათგან დამზადებული საიუველირო ნაკეთობანი.

რადიოაქტიური ნივთიერებები ისეთი საგნებია, რომლებიც მაიონიზებელი გამოსხივებით ზეგავლენას ახდენს გარე სამყაროზე.

ბიოლოგიური იარაღი ბაქტერიოლოგიური ხასიათისაა, თუ გამოყენების შედეგად ავრცელებს სხვადასხვა მასობრივი განადგურების გამომწვევ დაავადებებს — შავ ჭირს, ჭოლერას, ტიფს, ყვავილს და ა.შ.

მუხლის მესამე ნაწილი პასუხისმგებლობას აწესებს მაშინ, თუ ამ მუხლის პირველი ან მეორე ნაწილით გათვალისწინებული ქმედება ჩადენილია:

ა) არაერთგზის;

ბ) საბაჟო კონტროლის განმახორციელებლის მიმართ ძალადობით. ძალადობა შეიძლება გამოიხატოს მებაჟის მიმართ ძალადობით. ძალადობაში კანონმდებელი გულისხმობს ფიზიკური ძალის გამოყენებას — ხელის კვრას, შებოჭვას და მისთ.

მუხლის მეოთხე ნაწილი სასჯელს ითვალისწინებს თუ პირველი, მეორე ან მესამე ნაწილით გათვალისწინებული რომელიმე ქმედება ჩადენილია ორგანიზებული ჯგუფის მიერ.

ობიექტი დანაშაულისა არის ქვეყნის საფინანსო საქმიანობა.

ობიექტური მხარე გამოიხატება მასში, რომ დამნაშავე არ აძლევს საშუალებას საბაჟო სამსახურს, მოახდინოს შემოსატანი ან გასატანი საქონლის განბაჟება და მის მეპატრონეს დაეკისროს კანონიერი გადასახადი.

სუბიექტური მხარე გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში.

საქართველოს ან უცხო ქვეყნის ხალხთა კუთვნილი მხატვრული, ისტორიული ან არქეოლოგიური ღირებულების მქონე ნივთის საქართველოში დაუბრუნებლობა — მუხლი 215

ნივთი, საგანი, რომელსაც აქვს ერის ისტორიის, ღირსების, კულტურისა და წარსულის ამსახველი მნიშვნელობა, ეროვნული საჭიროების გამო საზღვარგარეთ გატანის შემდეგ, დადგენილი დროის ფარგლებში უნდა დაბრუნდეს საქართველოში.

დაბრუნების ვალდებულება გადაწყდება იმ კანონის შესაბამისად, რომელიც არეგულირებს კულტურისა და ისტორიული ღირებულების მქონე საგნების სახელმწიფოს საზღვარზე მოძრაობის კანონიერებას.

მუხლი ბლანკეტურია. იგი ასეთი შინაარსისაა: საზღვარგარეთ გატანილი საქართველოს ან უცხო ქვეყნის ხალხთა კუთვნილი მხატვრული, ისტორიული ან არქეოლოგიური ღირებულების მქონე ნივთის დადგენილ ვადაში საქართველოში დაუბრუნებლობა.

კვალიფიკაციისათვის საჭიროა ვისარგებლოთ საქართველოს რესპუბლიკის საბაჟო დეპარტამენტის 1995 წლის 31 იანვრის N 16 ბრძანებით „კულტურულ ფასეულობათა საქართველოს რესპუბლიკის საბაჟო საზღვარზე გადაადგილების წესების შესახებ".

საქართველოში მოქმედებს 1999 წლის 25 ივნისის კანონი „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ", რომლის მიზანია ამ სფეროში წარმოშობილი ურთიერთობის მოწესრიგება.

„კულტურულ ფასეულობათა ზოგადი ცნების ქვეშ იგულისხმება სახვითი, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების, ხალხური შემოქმედების ნიმუშები, მუსიკალური საკრავები, პოლიგრაფიული ნაწარმი, საფოსტო მარკები, გრამფირფიტები და სხვა მოძრავი საგნები ან მათი კოლექციები, რომლებიც გარკვეულ ან მხატვრულ ფასეულობას წარმოადგენენ".[1]

კანონის გარდამავალ დებულებებში მითითებულია, რომ მიღებული უნდა იქნეს კანონი „კულტურულ ფასეულობათა საზღვარგარეთ გატანისა და საქართველოში შემოტანის შესახებ."

ისტორიული მნიშვნელობის მქონე საგნებად ითვლება ის ისტორიული ღირებულებანი, რომლებიც გვაცნობენ ერის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საბრძოლო ეპოპეას (კერძოდ, სამეცნიერო, გამოჩენილ ისტორიულ მოღვაწეთა ჩანაწერები, საკანონმდებლო აქტები და ა.შ.).

არქეოლოგიური ღირებულების მქონე ნივთებს მიეკუთვნებიან გათხრების შედეგად მოპოვებული სხვადასხვა ნივთები (ჭურჭლები, სამკაულები და სხვა).

ამ ღირებულებათა დაბრუნების ვადა განისაზღვრება თვით იმ პიროვნების მიერ, რომელსაც მინდობილი აქვს ნივთის საზღვარგარეთ გატანა იმ ორგანოსთან შეთანხმებით, რომელიც წყვეტს ნივთის

1. საბაჟო სქმე, თბ., 1997, ტ. 2, გვ. 162.

საზღვარგარეთ გატანის საკითხს. გატანის ნებართვასთან ერთად დგინდება შემოტანის, დაბრუნების ვადაც. კულტურულ ფასეულობათა გატანა შეიძლება ხელშეკრულების საფუძველზე, გატანის მიზნისა და უკან დაბრუნების ვადის მითითებით.

დანაშაულის ობიექტია კულტურულ ფასეულობათა შემოტანისა და გატანის წესი, საგანი კი — ფასეულობანი.

ობიექტური მხარე დანაშაულისა გამოიხატება უმოქმედობაში, ე. ი. ვალდებულების შეუსრულებლობაში — დააბრუნოს გატანილი ნივთი.

დანაშაულის სუბიექტური მხარე გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში — დამნაშავემ იცის, რომ იგი არღვევს ნივთის დაბრუნების დროს, არ ასრულებს ხელშეკრულების მოთხოვნას და სურს ასეთი.

დანაშაული დამთავრებულად ითვლება, როცა გავა დაბრუნების ვადა და დამნაშავე არ აბრუნებს ქონებას.

საქართველოს ტერიტორიაზე მიმოქცევაში არსებული ეროვნული ვალუტის გამოყენების წესის დარღვევა — მუხლი 216

განსახილველი მუხლი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილის შინაარსი ასეთია: „საქართველოს ტერიტორიაზე მიმოქცევაში არსებული ეროვნული ვალუტის გამოყენების წესის დარღვევა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.“

მსოფლიოს თვალსაჩინო ეკონომისტების განმარტების მიხედვით, ფული არის განსაკუთრებული სახის ფენომენი, საზოგადოებრივი მოვლენა, საქონლის საყოველთაო ექვივალენტი, მიმოქცევის, გადახდის, დაგროვების საშუალება და ა.შ.

ეროვნული ვალუტა არის დამოუკიდებელი სუვერენული ქვეყნის ფულის ერთეული, რომლითაც აწარმოებს უცხო ქვეყანასთან საერთაშორისო ანგარიშსწორებას და ქვეყნის შიგნით საქონელბრუნვას.

„საქართველოს ფულის ერთეულია ლარი. ლარი არის ერთადერთი კანონიერი საგადასახადო საშუალება საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე“.[1]

ეროვნული ბანკი ადგენს და არეგულირებს ლარის გაცვლის

1. საქ. საბანკო კანონმდებლობა, თბ., 1996, გვ. 40.

კურსს უცხოური ვალუტის მიმართ. თუ ეროვნული ბანკი არ გამოაცხადებს ლარის კურსს უცხოური ვალუტის მიმართ, მაშინ იგი განისაზღვრება ბაზარზე თავისუფალი მოთხოვნისა და მიწოდების საფუძველზე.

ლარი მიმოქცევაში არსებული ნაღდი ფულია, მიმდინარე, ვადიანი და საბანკო ანგარიშია. იგი უზრუნველყოფილია ოქროს მარაგით, უცხოეთის ქვეყნების სავალუტო და ეროვნული ბანკის კრედიტებით.

ლარის გამოყენებაში კანონმდებელი გულისხმობს:

1) ლარის გამოყენებას სხვა სახელმწიფოს მიმართ როგორც ნომინალური ღირებულების, ასევე კერძო ვალის დასაფარავად საქართველოს ტერიტორიაზე.

2) საქართველოს ტერიტორიაზე მიმოქცევაში მხოლოდ ლარი გამოიყენება. ეს იმას ნიშნავს, რომ საქონლის ყიდვა ან გაყიდვა სხვა ქვეყნის ფულზე (დოლარზე, ლირაზე, მარკაზე და ა.შ.), საქართველოს ტერიტორიაზე არ დაიშვება.

3) მიმოქცევაში გაშვებული ფულის საერთო ოდენობა ეროვნული ბანკის ანგარიშებზე აღირიცხება ეროვნული ბანკის ვალდებულების სახით.

4) ფული წარმოადგენს სარეზერვო მარაგს, რომლის შემცირება არ შეიძლება.

5) საქართველოს ტერიტორიაზე ლარის მიმოქცევიდან ამოღება შეუძლებელია ეროვნული ბანკის დადგენილების გამოქვეყნების გარეშე, რომელშიაც კონკრეტულად უნდა იყოს მითითებული გამოსაცვლელად ჩაბარების ვადები და ადგილები და სხვა. დანაშაულის ობიექტური მხარის განსაზღვრისათვის უნდა მივმართოთ შესაბამის ნორმატიულ აქტს, რომელიც ეროვნული ვალუტის გამოყენების წესს ადგენს.

დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება ზემოთ მითითებული ეროვნული ვალუტის გამოყენების წესის დარღვევაში, თუკი მას მნიშვნელოვანი ზიანი მოჰყვა.

სუბიექტური მხარე გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში. დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ იგი არღვევს საქართველოს ტერიტორიაზე მიმოქცევაში არსებული ვალუტის გამოყენების წესს, მისი მოქმედება მნიშვნელოვნად დააზიანებს ქვეყნის ფინანსებს და სურს ეს.

ობიექტი არის ქვეყნის საფინანსო საქმიანობა.

მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს მაშინ,

როდესაც პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება ჩადენილია ჯგუფურად ან იმ პირის მიერ, ვისაც ასეთი დანაშაულისათვის მსჯავრი ჰქონდა დადებული.

საზღვარგარეთიდან უცხოურ ვალუტაში თანხის დაუბრუნებლობა – მუხლი 217

ეს დანაშაული სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ახალია. იგი მიზნად ისახავს, დაიცვას დანაშაულებრივი ხელყოფისაგან სავალუტო ოპერაციების კანონიერება, სავალუტო ბაზრის სტაბილურობა და სახელმწიფოთა კანონიერი საფინანსო ინტერესები. საქართველოს საბანკო კანონმდებლობის ოცდამერვე მუხლი განმარტავს, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი მთლიანად პასუხისმგებელია ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შემუშავებისა და გატარებისათვის. „იმავე კანონის 47 მუხლის მიხედვით ეროვნული ბანკი შეიმუშავებს და ახორციელებს სავალიუტო პოლიტიკას“.[1]

სავალუტო მოძრაობის რეგულირებისა და კონტროლის სფეროში ბანკი ვალდებულია, იცოდეს სრული ანგარიში – რა საქონელი მიდის საზღვარგარეთ, რა მომსახურებას ვასრულებთ იქ და ამის საფასურად რა რაოდენობის ვალუტა უნდა გადმოიგზავნოს საქართველოში.

საზღვარგარეთის ვალუტა, რომელიც მიიღო ორგანიზაციამ შესრულებული სამუშაოს საფასურად და იმყოფება უცხოეთის ბანკში, სათანადო დროისა და სახელშეკრულებო პირობების შესაბამისად, უნდა გადმოიგზავნოს საქართველოს ბანკში.

საქართველოდან უცხოეთში საქონლის გადაზიდვა-გადაგზავნის წესს ადგენს საქართველოს ცენტრალური ბანკი ფინანსთა სამინისტროსთან ერთად, ასევე დამოუკიდებლადაც.

სავალუტო კონტროლის აგენტი არის ორგანიზაცია, რომელიც ასრულებს სათანადო ფუნქციას საქართველოს საკანონმდებლო აქტის შესაბამისად.

დანაშაული გამოიხატება მასში, რომ დამნაშავე საქართველოდან უცხოეთში გაგზავნილი საქონლის ან შესრულებული სამუშაოს საფასურის შესატყვის თანხას (ვალუტას) არ აბრუნებს საქართველოში, როდესაც საქართველოს კანონმდებლობით სავალდებუ-

1. საქ. საბანკო კანონმდებლობა, თბ., 1996.

ლოა მისი გადმორიცხვა საქართველოს უფლებამოსილი ბანკის ანგარიშზე.

ობიექტური მხარე დანაშაულისა გამოიხატება უმოქმედობაში, ე.ი. დამნაშავე თავს იკავებს და არ აგზავნის ვალუტას უცხოეთიდან. გადმოურიცხაობა შეიძლება დაკავშირებული იყოს ვალუტის გარკვეული დროით დამალვასთან, მისი დროებით სხვა მიზნით გამოყენებასთან.

ობიექტი დანაშაულისა არის საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელიც მოიცავს სახელმწიფოს საფინანსო სფეროს, მის მართვასა და რეგულირებას.

საგანი დანაშაულისა არის ვალუტა, რომელიც დევს უცხო სახელმწიფოს ფულის სისტემაში.

პასუხისმგებლობის საკითხი განსაკილველი მუხლით დადგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც კონკრეტული პირი ვალდებულია, დააბრუნოს ვალუტა საქართველოში და აქვს ამისი რეალური შესაძლებლობა. ეს იმას ნიშნავს, რომ ვალუტა იმყოფება უცხოეთის რომელიმე კონკრეტულ ბანკში ან სხვა ადგილზე. პირი გამოყოფილია თავისი უფლებამოსილებით და აქვს შესაძლებლობა, გადაწყვიტოს თანხის გადმოგზავნა საქართველოს ბანკში; თუკი უფლებამოსილმა პირმა ეს ვერ მოახერხა უცხოელი პარტნიორის გამო, მაშინ პასუხისმგებლობა არ დადგება.

დანაშაული დამთავრებულად ითვლება ვალუტის დაბრუნების ვადის გადაცილებისთანავე. პასუხისმგებლობისათვის ოფიციალური დოკუმენტების გამოყენებით უდაოდ უნდა დაზუსტდეს ხელშეკრულებაში გათვალისწინებული დაბრუნების დრო და პირობები და ისიც მან მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. მნიშვნელოვანი ზიანის სახეს ადგენს სასამართლო.

სუბიექტური მხარე დანაშაულისა გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში — პირს შეგნებული აქვს, რომ ის არ აბრუნებს თანხას უცხოეთიდან საქართველოს ბანკში. იცის, რომ თანხა ნამდვილად ექვემდებარება გადარიცხვას მოქმედი კანონმდებლობით და სურს, რომ არ დააბრუნოს იგი.

საქართველოს საგადასახადო სისტემა მოიცავს კანონით გათვალისწინებული გადასახადების გადახდევინების პრინციპების, ფორმებისა და მეთოდების, საგადასახადო ორგანოებისა და საგადასახადო კონტროლის, აგრეთვე საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის პასუხისმგებლობის სახეების ერთობლიობას.

საგადასახადო სისტემის კანონიერი რეგლამენტირება წარმოადგენს ქვეყნის საფინანსო მდგომარეობის გაუმჯობესების ერთ-ერთ ბერკეტს. 218-ე მუხლი ორი ნაწილისაგან შედგება: პირველი ნაწილის შინაარსი ასეთია: ,,დიდი ოდენობით გადასახადისაგან თავის არიდება".

საგადასახადო სისტემა ერთხელ კიდევ მიუთითებს მასზე, რომ ყოველი შრომა უნდა შეფასდეს თავისი ზუსტი ღირებულებით და ყოველმა ფიზიკურმა თუ იურიდიულმა პირმა უნდა გადაიხადოს წლიური შემოსავლის კანონით გათვალისწინებული გადასახადი.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მეექვსე მუხლში მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული საერთო სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახადები.

განსახილველი მუხლი ახალია და იგი განკუთვნილია მოქალაქეებისა და ორგანიზაციების მიერ კუთვნილი გადასახადების გადახდის მოწესრიგებისაკენ. იგი ეხება ეკონომიკის ყველა სფეროს, სადაც კი შემოსავალი არსებობს და საიდანაც, კანონის შესაბამისად, წარმოიშვება ვალდებულება საშემოსავლო დეკლარაციის ჩამოყალიბებისა, ე. ი. იმ განაცხადის გაკეთებისა, რომელიც გვამცნობს თვითეული ფიზიკური და იურიდიული პირის შემოსავლების ოდენობას.

დეკლარაცია შემოსავლების შესახებ არის დოკუმენტი თავისი სტრუქტურული ფორმითა და რეკვიზიტებით, რომელიც ივსება საათანადო გრაფებში და იძლევა სრულ წარმოდგენას ფიზიკური პირის ზუსტი შემოსავლებისა და მოგების მიღების თაობაზე.

დეკლარაციას წარადგენს ფიზიკური პირი. კანონი ავალებს გადამხდელს წარადგინოს საგადასახადო ორგანოში შევსებული და ხელმოწერილი ეს დოკუმენტი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ფიზიკური პირი შიგ უთითებს ყველა წლიურ შემოსავალს, მათ წყაროებს და იმ თანხას, რომელიც მან უნდა გადაიხადოს ამ შემოსავლებზე.

ობიექტი საგადასახადო კალდებულებისა არის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც აქვს მუდმივი ადგილსამყოფელი საქართველოში, ასევე აქვს შემოსავლის ერთობლიობა და საამისო წყაროები საქართველოში და შეიძლება მის ფარგლებს გარეთაც.

შემოსავლების ერთობლიობა, როგორც გადასახადის დაკისრების ობიექტი, გაიანგარიშება მოქმედი კანონმდებლობით და სხვა კანონქვემდებარე აქტებით. მასში შედის: ძირითადი სამსახურის შემოსავალი, (გამომუშავების ანაზღაურება, დამატებითი საათები, პრემია და ა.შ.). ასევე სხვა შემოსავალი. რომელიც მოიპოვა დამატებითი სამუშაოებიდან (ლექციები, კონსულტაციები, სამეწარმეო საქმიანობა და სხვა).

დანაშაულის ობიექტია სახელმწიფოს საფინანსო ინტერესები.

ობიექტური მხარე დანაშაულისა გამოიხატება მასში, რომ დამნაშავეს არ აქვს წარდგენილი დეკლარაცია კანონის მოთხოვნის შესაბამისად ან დამახინჯებულად შეაქვს მასში თავისი რეალური შემოსავლები, რითაც გარკვეულ თანხას აკლებს სახელმწიფოს ბიუჯეტს. კანონი მიუთითებს, რომ პასუხისმგებლობა დგება მაშინ, თუ დანაშაულებრივმა მოქმედებამ გამოიწვია დიდი ოდენობით გადასახადისაგან თავის არიდება, ე. ი. თუ თანხა აღწევს ორი ათასიდან ათი ათას ლარამდე.

დანაშაულის ჩადენა ხდება განზრახვით — დამნაშავე შეგნებულად ამახინჯებს შემოსავლების ოდენობას, რათა თავი აარიდოს საგადასახადო ბეგარას ან მნიშვნელოვნად შეამციროს იგი და სურს ასეთი. ობიექტი დანაშაულისა არის საქართველოს საფინანსო სისტემა.

იურიდიული პირების მიერ გადახდისაგან თავის არიდებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება ორგანიზაციის ხელმძღვანელს, რომელსაც, საგადასახადო კანონის შესაბამისად, აკისრია კალდებულება საანადო საწარმოო-საშემოსავლო ბეგარის გადახდისა და განზრახ დიდი ოდენობით შეამცირებს მას ან მალავს სადაბეგრო საფუძვლებს ან საერთოდ არ იხდის ბეგარას.

საშემოსავლო ობიექტების დამალვა მიიღწევა იმით, რომ დამნაშავე ობიექტის რეგისტრაციის დროსვე არ აჩვენებს ობიექტებს სრული ოდენობით, ასევე არ შეაქვს ობიექტის ნაწილი დეკლარაციაში.

გადასახადის გადაუხდელობა გულისხმობს გადახდის მთლიან უგულებელყოფას. ამას შეიძლება დამნაშავემ მიაღწიოს ობიექტის ყალბად გაუქმებით, აღრიცხვიდან მოხსნით.

დანაშაულის ჩადენა ხდება პირდაპირი განზრახვით – დამნაშავემ იცის, რომ მისი მოქმედება უკანონოა, მაგრამ გადასახადის თავიდან აცილების ან შემცირების მიზნით სჩადის ქმედებას და სურს კიდეც მისი ჩადენა.

სუბიექტი დანაშაულისა არის გადასახადის გადახდის ვალდებულების მქონე ფიზიკური, ასევე იურიდიული პირი. თანამონაწილენი შეიძლება იყვნენ საგადასახადო ან საბაჟო სამსახურის მოხელეები, რომლებიც ეხმარებიან დამნაშავეს გადასახადისათვის თავის არიდებაში.

დანაშაული დამთავრებულად ითვლება, როდესაც დამნაშავე გაყალბებულ დოკუმენტებს წარადგენს შესაბამის ორგანოში და შემცირებულად გადაიხდის გადასახადს ან სრულიად არ გადაიხდის.

მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას აკისრებს იმ პირს, რომელმაც პირველ ნაწილში გათვალისწინებული ქმედება ჩაიდინა არაერთგზის გამოიწვია განსაკუთრებით დიდი ოდენობით დასაბეგრი თანხისაგან თავის არიდება.

განსაკუთრებით დიდ ოდენობაში კანონმდებელი გულისხმობს, როცა დამნაშავე თავს აარიდებს ათი ათას ლარს ზევით თანხის გადახდას.

მომხმარებლის მოტყუება – მუხლი 219

ამ მუხლით პასუხისმგებლობის საკითხი დგება მომხმარებელთა ზომაში, წონაში, თანხის ანგარიშში, სამომხმარებლო ხარისხში, მასალის სახეობაში და სხვაგვარი მოტყუებისათვის, რომელიც შეიძლება მოხდეს მაღაზიაში, სასადილოში ან სხვა დაწესებულებაში, სადაც ხორციელდება პროლუქციის რეალიზაცია ან სხვა მომსახურება დამოუკიდებლად იმისა, როგორი ფორმა არსებობს საკუთრებისა.

მუხლის დისპოზიცია ასეთი შინაარსისაა: მომხმარებლის მოტყუება ზომაში, წონაში ან ანგარიშში, ანდა მისთვის მცდარი წარმოდგენის შექმნა საქონლის სამომხმარებლო თვისებასა ან ხარისხზე, აგრეთვე მისი სხვაგვარი მოტყუება მომსახურებისას, რამაც მომხმარებელი მნიშვნელოვნად დააზიანა.

მოცემული დანაშაული ხელყოფს საზოგადოებრივ ურთიერთობას, რომელიც განსაზღვრავს ამა თუ იმ ორგანიზაციის მოღვაწეობას და მოქალაქის მატერიალურ ინტერესს. საგანი დანაშაულისა არის სა-

ქონელი, რომელსაც ყიდულობს მომხმარებელი, ან ფული, რომელსაც ზედმეტად ართმევენ მას.

219-ე მუხლში ჩამოთვლილია მოტყუების სხვადასხვა ხერხი, მათგან ყველაზე უფრო გავრცელებული სახეა ზომასა და წონაში მოტყუება, ე. ი. ნაკლები საქონლის გაცემა, ვიდრე კლიენტს ეკუთვნოდა გადახდილ თანხაში ისეთი საქონლის რეალიზაციის დროს, რომელიც გრძივი და მოცულობითი ერთეულებით იზომება (ხე-ტყე, ჭოვილი და ა.შ.).

წონაში მოტყუებისათვის დამნაშავე იყენებს სხვადასხვა ხერხს. მაგალითად: საწონებს ამოჭრის და შიგ სიცარიელეებს შექმნის, რაც ნაკლებ პროდუქტს მეტად წარმოსახავს, ამცირებს დაფასოებული პროდუქციის ოდენობას, გადააკეთებს სასწორის ზამბარებს და ა.შ.

ფასში მოტყუება — ეს არის კლიენტისაგან ზედმეტი თანხის მიღება, ვიდრე უნდა გადაეხადა ნაყიდ საქონელში. მომხმარებლის მოტყუებაში შედის აგრეთვე დამკვეთის საქონლის ხარისხის განზრახ დაქვეითება ფაქტიური ღირებულების შემცირების მიზნით. მაგალითად: ოსტატი ამზადებს ფეხსაცმელს დაბალი ხარისხის მასალისაგან და ყიდის მაღალი ხარისხის ფასით. საქონელზე მცდარი წარმოდგენის შექმნაში კანონმდებელი გულისხმობს დამნაშავისაგან საქონლის ისეთი თვისებების პროპაგანდას მის დადებით თვისებებზე, რომელიც ფაქტიურად მას არ გააჩნია.

მომხმარებელთა სხვაგვარი მოტყუება არის დამნაშავის ნებისმიერი მოქმედება, რითაც იგი იღებს მოქალაქეებისაგან თანხას, რომელიც ჰარბობს შესრულებული სამუშაოს ნამდვილ ღირებულებას.

მოტყუებაში ასევე შედის ფასდაკლებული საქონლის გაყიდვა ძველ ფასებში, საკვებ ულუფებში ან პროდუქტებში რომელიმე კომპონენტის შემცირება ან მთლიანად ამოღება და ა.შ.

დანაშაულის ობიექტი არის მომხმარებლის ეკონომიკური ინტერესი. ობიექტური მხრივ, იგი გამოიხატება მომხმარებლის მოტყუებაში.

განსახილველი მუხლის პირველი ნაწილი გავრცელდება იმ დამნაშავეთა მიმართ, რომელთა მოქმედებითაც გამოწვეული იყო მნიშვნელოვანი ზარალი.

დანაშაული დამთავრებულად ითვლება დაზარალებულის რეალურად დაზიანების მომენტიდან. დანაშაულის შემადგენლობა მატერიალურია.

დანაშაულის ჩადენის ადგილად ითვლება, როგორც წესი, სავაჭრო დაწესებულება, საზოგადოებრივი კვების და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები, კომუნალური მეურნეობა და ა.შ. ამასთანავე იგი შეიძლება მოხდეს ნებისმიერ სხვა ორგანიზაციაში, რომელიც საქონლის რეალიზაციას ან სხვაგვარ მომსახურებას ეწევა.

219-ე მუხლით პასუხისმგებლობა დაეკისრებათ სარკინიგზო, აეროფლოტის და ავტობუსების სალაროების მუშაკებს, კინოთეატრების, თეატრების მოლარეებს, მატარებლებისა და ავტობუსების კონდუქტორებს, რომლებიც დაამახინჯებენ ბილეთის ნამდვილ ღირებულებას და ზედმეტს აილებენ მომხმარებლისაგან და ა. შ.

თუ გამყიდველი ან მწარმოებელი ფასმომატებით ან ხელშეკრულების ნორმების დარღვევით დაბალი ხარისხის პროდუქციას დაამზადებს, მაგრამ ამ ფაქტს აუწყებს მომხმარებელს, ხოლო ეს უკანასკნელი მაინც იყიდის საქონელს, ასეთი მოქმედება არ დაკვალიფიცირდება 219-ე მუხლით.

სუბიექტური მხარე დანაშაულისა მდგომარეობს მხოლოდ და მხოლოდ წინასწარ მოფიქრებულ პირდაპირ განზრახვაში — მოატყუოს მომხმარებელი. პიროვნებას მსჯავრი არ დაედება ზომა-წონასა და ანგარიშში მოტყუებაში, თუ ეს წინასწარი განზრახვის გარეშე, შეცდომით ხდება — ვთქვათ, ხურდის მიცემა დაავიწყდა და ა.შ.

ამსრულებლები დანაშაულისა არიან სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების ობიექტების, კომუნალური მომსახურეობის და სხვა დაწესებულებების მუშაკები, რომლებიც აწარმოებენ საქონლის რეალიზაციას ან სხვა ფასიან მომსახურეობას უწევენ მოსახლეობას.

მუხლის შინაარსის მიხედვით მოქალაქენი, რომლებიც არ არიან რეგისტრირებულნი როგორც მეწარმენი და უამისოდ მისდევენ საქონლის რეალიზაციას ან მოსახლეობის სხვაგვარად მომსახურეობას და ატყუებენ კლიენტებს ზომა-წონაში, ხარისხში ან ანგარიშში, არ ითვლებიან წინამდებარე მუხლის სუბიექტებად. მათი მოქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს თაღლითობით.

219-ე მუხლით დაკვალიფიცირდება მათი მოქმედებაც, ვინც ოფიციალურად არ არის ამ დარგის მუშაკი, მაგრამ ადმინისტრაციისაგან დროებით წერილობით ან სიტყვიერად დაევალათ ამ საქმიანობის შესრულება და მოატყუეს მომხმარებელი.

დანაშაულის ობიექტია მომხმარებლის მატერიალური

ინტერესები, ამსრულებელი — ვაჭრობის ან მომსახურების მუშაკი.

აღნიშნული მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას, როდესაც იგი ჩადენილია:

ა) წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ;

ბ) დიდი ოდენობით;

გ) ასეთი დანაშაულისათვის ადრე მსჯავრდებულის მიერ.

29-ე თავი

დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში სამსახურის ინტერესის წინააღმდეგ

(ზოგადი მიმოხილვა)

სამეწარმეო საქმიანობა სახელმწიფოს ერთ-ერთი ეკონომიკური ბერკეტია. იგი თანდათან ფართოვდება და ფეხს იკიდებს, როგორც სამეურნეო სისტემის ერთ-ერთი საუკეთესო ფორმა, რომელიც თავისი მნიშვნელობით სერიოზულ კვალს აჩენს საბაზრო პოლიტიკის შემდგომი განვითარების საქმეს. სამეწარმეო და საერთოდ ეკონომიკური პროფილის სხვა ორგანიზაციები, რომელნიც შეიქმნენ და გამყარდნენ, გაერთიანდნენ და გამოძებნეს ადგილი ქვეყნის ერთიან ეკონომიკაში, ქმნიან მატერიალური დოვლათის დაგროვების, ქვეყნის საფინანსო მსდგომარეობის გაძლიერების ერთიან ბაზას. სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა ის, რომ სისხლის სამართლის განსაკუთრებულ ნაწილში რამდენიმე თავია მიძღვნილი ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის დაცვისა და განმტკიცებისათვის. სისხლის სამართლის ახალი კანონმდებლობა გულდასმითა და თანმიმდევრობით განიხილავს ქვეყნის საფინანსო საქმიანობაში ჩაბმული ყველა სახის საწარმოს თუ ორგანიზაციის საქმიანობას და სპეციალურ თავებსა და მუხლებს უძღვნის მათი ნორმალური და ნაყოფიერი მუშაობის დაცვას ყოველგვარი ხელყოფისაგან. სწორედ ამ დიდ საქმეს ემსახურება სისხლის სამართლის კერძო ნაწილის ოცდამეცხრე თავიც — დანაშაული სამეწარმეო და სხვა ორგანიზაციაში სამსახურის ინტერესის წინააღმდეგ.

განსახილველი თავი აერთიანებს მუხლებს, რომელთა მოქ-

მედება უშუალოდ ებრძვის დამნაშავეთა იმ წრეს, ვინც ხელყოფს, აფერხებს, ამუხრუჭებს მეწარმეთა ნორმალურ საქმიანობას, მათ რენტაბელურობას, ეკონომიკურ ჭაელში კანონიერ ურთიერთობას, კვლავწარმოების განვითარებას, ფულისა და საკონლის დაბანდებას, ბაზრების შეძენას და ა.შ. კერძოდ, ებრძვის ისეთ დანაშაულობებს, როგორიც არის, ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, საწარმოს ან ორგანიზაციის ხელმძღვანელის კომერციული მოსყიდვა. ქვემოთ ვეცდებით თვითეული მუხლის განხილვას.

უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება – მუხლი 220

საბაზრო პოლიტიკის განვითარებამ შექმნა უზარმაზარი ჭაელი სამეწარმეო და სხვა ეკონომიკური ხასიათის საქმიანობის განვითარებისა, რომელიც ჩართულია ქვეყნის ეკონომიკურ სისტემაში და ირჩევს თავისი მოქმედების, საქმიანობისა და ხელმძღვანელობის ფორმას, ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას და იღებს მოგებას. ორგანიზაციები და გაერთიანებები ირჩევენ და თანხმდებიან ფუნქციათა განაწილების თაობაზე და წარმართავენ ეკონომიკურ საქმიანობას როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

1996 წლის მეწარმეთა კანონის 2.1 და 2.3. მუხლების შესაბამისად, საქმიანობის ორგანიზებულად განხორციელება რამდენიმე ასპექტს გულისხმობს და მათ შორის ერთ-ერთი მთავარია, რომ მეწარმეებს და ორგანიზაციებს ჰქონდეთ მმართველობის ორგანოები, ჰყავდეთ დირექტორები და ა.შ. მუდმივად ან დროებით, ან სპეციალური უფლებამოსილებით ასრულებდენ ორგანიზაციულ-განმკარგულებელ ან ადმინისტრაციულ-სამეურნეო ვალდებულებებს.

განსახილველი მუხლი სრულიად ახალია სისხლის სამართლის კოდექსში. იგი პასუხისმგებლობას აწესებს იმ პირთა მიმართ, რომლებიც ამ ორგანიზაციაში აღჭურვილნი არიან ხელმძღვანელის უფლებამოსილებით და ამ უფლებებს გამოიყენებენ საწარმოს ან კერძო პირთა ან სახელმწიფოს ინტერესების საზიანოდ.

მუხლის შინაარსი ასეთია: ,,სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში ხელმძღვანელობითი, წარმომადგენლობითი ან სხვა სპეციალური უფლებამოსილების გამოყენება ამ ორგანიზაციის კანონიერი

ინტერესების საწინააღმდეგოდ, თავისთვის ან სხვისთვის გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია".

ამ დანაშაულებრივ მოქმედებას სუბიექტი აღწევს სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში ხელმძღვანელობითი, წარმომადგენლობითი ან სხვა უფლებამოსილების გამოყენებით, მოქმედებს საწარმოს, ორგანიზაციის კანონიერი ინტერესების საწინააღმდეგოდ, თავისთვის ან სხვისთვის გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით. საბოლოო ანგარიშით, ობიექტური მხარე დანაშაულისა გამოიხატება შემდეგში:

ა) ამსრულებელი მართალსაწინააღმდეგო ქმედებას ჩადის უფლებამოსილების გამოყენებით;

ბ) უარყოფითად მოქმედებს ორგანიზაციის კანონიერ ინტერესებზე;

გ) დანაშაულებრივად მოქმედებს ორგანიზაციის კანონიერი ინტერესების საწინააღმდეგოდ, თავისთავის ან სხვისთვის გამორჩენის ან უპირატესობის მიღებისათვის;

დ) ზიანი უდავოდ უნდა იყოს ხელმძღვანელი მუშაკის დანაშაულებრივი ქმედების შედეგი.

ხელმძღვანელის მიერ ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების გამოყენება იშიფრება შემდეგნაირად:

უფლებამოსილების განხორციელება ნიშნავს თანამდებობის პირის მიერ გადაწყვეტილების მიღებას და მოქმედებას თავის ხელთ არსებული სამართლებრივი და ფაქტიური უფლებებისა და მმართველობითი რწმუნების განსახორციელებლად.

სამართლებრივ შესაძლებლობებში იგულისხმება:

1) მოცემული სუბიექტის სამართლებრივი მიზნები, დაკავშირებული ორგანიზაციის ან საწარმოს სტრატეგიული განვითარების ამოცანებთან, თითოეული მუშაკის საქმიანი თვისებების და შესაძლებლობების გამოყენებასთან;

2) ცალკეული უფლებები, დაკავშირებული მის რწმუნებასთან, რომელშიაც შედის გარიგებები, შტატების დამტკიცება, ბრძანების გამოცემა.

3) ვალდებულებები, რომლითაც აქვს შესაძლებლობა ან გააფართოოს, ან შეზღუდოს საწარმოს მოქმედების სამართლებრივი უფლება, შეაფასოს თანამშრომელთა შრომისუნარიანობა;

4) თვალყური ადევნოს საერთო საწარმოო წესრიგს, რწმუ-

ნებისა და უფლებამოსილების კანონიერი განხორციელების ხარისხს და მიმდინარეობას;

5) თვალყური ადევნოს კანონიერების დაცვას და საკონტროლო სისტემის მუშაობას;

6) განახორციელოს იურიდიული პასუხისმგებლობა სახელმწიფოს, ორგანიზაციისა და მოქალაქეთა მიმართ.

საწარმოს კანონიერი ინტერესების განხორციელებაში შედის საწარმოს ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების განხორციელება. კერძოდ: საწარმოს საქმიანი შემოსავალ-გასავლითი ბრუნვა და მისი შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოება, რათა არ დაირღვეს საწარმოს ან სხვისი სამართლებრივი და სამეურნეო ინტერესი. მთავარი მათ შორის არის წარმოების ეფექტიანობა, რეალიზაცია, მოგება, გადახდისუნარიანობა, მოქმედების ზონების გაფართოება, კანონიერების განუხრელი დაცვა, წარმოების სტაბილურობა და უსაფრთხოება.

კანონიერ ინტერესებში შედის ასევე ყველა ფიზიკური პირის ნორმალური შრომითი და დისციპლინირებული დამოკიდებულება საწარმოსადმი. სამეწარმეო ორგანიზაციებში ხელმძღვანელობითი, წარმომადგენლობითი, ან სხვა სპეციალური უფლებამოსილებები განსაზღვრულია შესაბამისი დებულებებით, წესდებით და ა. შ.

ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების დარღვევად ითვლება ის, რომ ამ უფლებამოსილების მქონე პირი კეთილსინდისიერად არ ახორციელებს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს, მალავს მის პირად დაინტერესებულობას, იკავებს გაურკვეველ პოზიციებს ამა თუ იმ გლობალური საკითხის გადაწყვეტისას, თავის უფლებამოსილებას იყენებს ორგანიზაციის წინააღმდეგ, არღვევს სამართლებრივ წესრიგს და ცდილობს, იგი გადააბრალოს სხვას, ან ცდილობს, დაამციროს ორგანიზაციის საქმიანი რეპუტაცია. მთავარი ის არის, რომ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებამ მნიშვნელოვანი ზიანი უნდა გამოიწვიოს, რათა დანაშაული სახეზე იქნეს. ეს შეფასებითი საქმიანობაა კონკრეტული ვითარებიდან გამომდინარე და სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს.

სუბიექტური მხარე დანაშაულისა გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში, რომლის მიზანია, თავისთვის ან სხვისთვის სარგებლობის ან უპირატესობის მიღება, რითაც დაზიანდა სხვა პირი, ორგანიზაცია, საზოგადოება ან სახელმწიფო.

ზიანს შეიძლება ჰქონდეს ქონებრივი ხასიათი ან ხელყოს მოქალაქის უფლება და თავისუფლება, ან ორგანიზაციისა და სახელმწიფოს ინტერესები.

როდესაც კანონში ლაპარაკია ხელმძღვანელის უფლებამოსილების მქონე პირისაგან თავისთვის ან სხვისთვის სარგებლობის ან უპირატესობის მიღებაზე, აქ იგულისხმება ქონებრივი ხასიათის სარგებლობა. დანაშაულის სუბიექტი არის პირი, რომელიც ასრულებს მმართველის როლს, ე.ი. აღჭურვილია ხელმძღვანელობითი უფლებამოსილებით. ამ უფლებამოსილების განმხორციელებლად ითვლება ის, ვინც მუდმივად, დროებით ან სპეციალური უფლებამოსილებით ასრულებს ორგანიზაციულ-განმკარგულებელ ან ადმინისტრაციულ-სამეურნეო ფუნქციებს.

სუბიექტური მხარე გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში.

დანაშაულის ობიექტია სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციის ეკონომიკური ინტერესი. ობიექტური მხარე გამოიხატება მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანის მიყენებაში.

კომერციული მოსყიდვა – მუხლი 221

განსახილველი მუხლი ახალია სისხლის სამართლის კოდექსში. იგი ოთხი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილის დისპოზიცია ასეთია:

„სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში ხელმძღვანელობითი, წარმომადგენლობითი ან სხვა სპეციალური უფლებამოსილების განმხორციელებლისათვის ფულის, ფასიანი ქაღალდის ან სხვა ქონების უკანონოდ გადაცემა ან ქონებრივი ხასიათის მომსახურების უკანონოდ გაწევა, რათა თავისი სამსახურებრივი მდგომარეობა გამოიყენოს მომსყიდველის ინტერესებისათვის.“

მუხლი იურიდიული, სტრუქტურული აგებულებით მსგავსია იმ ნორმისა, რომელიც პასუხისმგებლობას აწესებს ქრთამის მიცემა-აღებისათვის, მაგრამ მკვეთრად განსხვავდება მისგან. ეს განსხვავება ძირითადად შემდეგში გამოიხატება: ქრთამის აღება არის სპეციფიკური ქმედება უფლებამოსილებით აღჭურვილი პირისა, რომელიც მოქმედებს და გამოდის სახელმწიფოს სახელით, ხოლო ის პირი, რომლის მიმართაც ხორციელდება კომერციული მოსყიდვა, არის სუბიექტი, კერძო სახელშეკრულებო, შეთანხმებითი ურთიერთობი-

სა, რომელიც იქმნება და ყალიბდება სამოქალაქო უფლებრივი ურთიერთობის პროცესში, მაგრამ ემორჩილება საერთო სამართალს.

განსახილველი მუხლის მოქმედების სფერო არის კომერციული ან სხვა არასახელმწიფოებრივი ორგანიზაციები, რომლებიც ახორციელებენ სხვადასხვა სამეწარმეო ურთიერთობებს და ეს ურთიერთობა არ არის აკრძალული კანონის მიერ.

განსახილველი მუხლის მიზანია სისხლის სამართლებრივი დაცვა კომერციული და არასახელმწიფოებრივი ორგანიზაციებისა თუ იმ ფიზიკური პირების უფლება-უნარიანობისა, რომელიც დაკავშირებული არიან ამ საქმიანობასთან.

დანაშაულის ობიექტი არის სამეწარმეო ურთიერთობათა სფერო, მისი საფინანსო და სხვა ინტერესები.

ობიექტური მხარე დანაშაულისა მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით გამოიხატება: ა) ფულის, ფასიანი ქაღალდების ან სხვა ქონების მიცემაში, ან ღირებულების მქონე საქმიანობის შესრულებაში, ბ) ფულის, ფასიანი ქაღალდის გადაცემის ან სასარგებლო სამუშაოს შესრულების პირობების გამოძებნაში და მომზადებაში.

მომსყიდველის ინტერესების სასარგებლოდ ჩაითვლება მოქმედება:

1) თუ მოსყიდული დააკმაყოფილებს მომსყიდველის სურვილს – მოუტანს მას სარგებლობას ან უპირატესობას შეთანხმების მიხედვით;

2) თუ მოსყიდულის მოქმედება აზიანებს იმ ორგანიზაციას, სადაც იგი აღჭურვილია ხელმძღვანელის უფლებამოსილებით.

მაგალითად, მოსყიდულ პირს მომსყიდველთან შეთანხმების საფუძველზე არ გააქვს თავისი წარმოების საქონელი ბაზარზე, რითაც საშუალებას აძლევს მომსყიდველს დაიკავოს მონოპოლიური პოზიცია, რითაც მოსყიდულმა შეაფერხა თავისი პროდუქციის რეალიზაციის კურსი და დაჰკარგა გარკვეული მოგება, ან მოსყიდულმა მომსყიდველის სასარგებლოდ გასცა შეღავათიანი კრედიტი და ა. შ.

მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს მაშინ, როდესაც პირველ ნაწილში გათვალისწინებული ქმედება ჩადენილი იქნება:

ა) ჯგუფურად.

ბ) არაერთგზის.

როგორც ვხედავთ, მუხლის პირველი და მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს მომსყიდველთა მიმართ.

დანაშაული დამთავრებულად ითვლება ფულის, ფასიანი ქაღალდის ან ნივთის გადაცემისთანავე, ან ღირებულების მქონე მომსახურების გაწევისთანავე.

ამსრულებელი მუხლის ამ ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაულისა შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი.

სუბიექტური მხარე ხასიათდება პირდაპირი განზრახვით. დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ მან მოისყიდა კომერციული ორგანიზაციის თანამდებობის პირი, რათა ჩაადენინოს მისთვის სასარგებლო მოქმედება და სურს ასეთი, თუმცა ეს მოქმედება აზიანებს მოსყიდულ ორგანიზაციას.

მუხლის მესამე ნაწილი პასუხისმგებლობას აკისრებს იმ პირს, რომელიც საწარმოს ან ორგანიზაციის ხელმძვანელია ან სხვა სპეციალური უფლებამოსილების განმხორციელებელია და იღებს ფულს, ფასიან ქაღალდს ან სხვა ქონებას ან სარგებლობს ქონებრივი ხასიათის უკანონო მომსახურეობით, რათა თავისი სამსახურებრივი საქმიანობის საწინააღმდეგოდ განახორციელოს ზოგიერთი მოქმედება მომსყიდველის ინტერესებისათვის.

ობიექტური მხარე დანაშაულისა აქ გამოიხატება: ა) ფულის, ქონების ან ქონებრივი მომსახურების უკანონოდ მიღებაში, რათა ჩაიდინოს მომსყიდველის სასარგებლო მოქმედება ან უმოქმედობა.

დანაშაულის ამსრულებელი არის პირი, რომელიც კომერციულ ან სხვაგვარ ორგანიზაციაში განახორციელებს ხელმძღვანელობით, წარმომადგენლობით ან სხვა სპეციალურ უფლებამოსილებას.

დანაშაული დამთავრებულია ფულის, ნივთის ან ღირებულებითი მომსახურების მიღებისა და ამის სანაცვლოდ მომსყიდველის სასარგებლო მოქმედების განხორციელებისთანავე.

მუხლის მეოთხე ნაწილი პასუხისმგებლობის საფუძვლად მიიჩნევს მესამე ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებას, თუკი ის ჩადენილია: ა) ჯგუფურად. ბ) არაერთგზის. გ) გამოძალვით.

კანონმდებელი ბოლოს ასეთ შენიშვნას აკეთებს: ის, ვინც ჩაიდენს ამ მუხლის პირველი ან მეორე ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებას, გათავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ მას გამოსძალეს ქონება, ან თუ ნებაყოფილობით განუცხადა ხელისუფლების ორგანოს ამის თაობაზე.

მეცხრე კარი

დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ

30-ე თავი

დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ

(მოკლე მიმოხილვა)

საზოგადოებრივი წესრიგისა და უშიშროების წინააღმდეგ მიმართული ქმედებანი დანაშაულთა ის წრეა, რომელიც თავისი სიმწვავითა და მავნე ფორმით აზიანებს არა მარტო მას, ვისკენაც უშუალოდ არის მიმართული, არამედ აღაშფოთებს საზოგადოების ფართო ფენებს, უკარგავს მას შრომის ენთუზიაზმს და მოსვენებას. კაცობრიობა დიდი ხანია აღიარებს, რომ ადამიანთა ურთიერთობა და ღირსება, უფლება და თავისუფლება უმაღლესი ღირებულებებია და მისი ღირსეულად დაცვა ქმნის კეთილსასურველი ურთიერთობის ფორმას, რომელიც თავის თავში მოიცავს შრომის, დასვენების, აღზრდის, სწავლების მაღალნაყოფიერ პერსპექტივებს.

მეცხრე კარი სრულიად ახალი კონსტრუქციული სახეა, როგორც სისტემით, ასევე შინაარსობრივი ერთიანობით. იგი მკვეთრად განსხვავდება ძველი შესატყვისი თავისაგან. ძირეული განსხვავებები ის არის, რომ მეცხრე კარი ექვს მონათესავე დანაშაულთა თავს აერთიანებს, რომელიც მიმართულია საზოგადოებრივი წესრიგისა და უშიშროების წინააღმდეგ; ოცდამეათე თავში შესულია დანაშაულთა ის წრე, რომელიც უშუალოდ მიმართულია საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ. 31-ე თავი – სამუშაოთა წარმოებისას უსაფრთხოების წესების დარღვევა; 32-ე თავი – დანაშაული მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი ზნეობის წინააღმდეგ; 33-ე – ნარკოტიკული დანაშაული; 34-ე – სატრანსპორტო დანაშაული, ხოლო 35-ე – ნარკოტიკული დანაშაული.

ტელერადიომაუწყებლობის ან კავშირგაბმულობის დაწესებულების ანდა სტრატეგიული ან განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტის ხელში ჩაგდება ან ბლოკირება – მუხლი 222

აღნიშნული მუხლი სსრ კავშირის დაშლის და მის ბაზაზე წარმოშობილ პარტიათა, ფრაქციათა და ბლოკთა შორის ხელისუფლების მოპოვებისათვის ბრძოლის პირმშოა. იგი 1991 წლის 29 მარტს მიიღო რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ. ეს ის პერიოდია, როცა მაშინდელი უზენაესი საბჭო სწორედ ამგვარი საშუალებებით მივიდა ხელისუფლების სათავეებში (ბლოკირება, პიკეტი, აქცია, მიტინგი, გადაკეტვა და ა.შ.).

მუხლი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილის დისპოზიცია ასეთი შინაარსისაა: „ტელერადიომაუწყებლობის ან კავშირგაბმულობის დაწესებულების ანდა სტრატეგიული ან განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტის ხელში ჩაგდება ან ბლოკირება, რამაც შეაფერხა ან შეეძლო შეეფერხებინა ამ დაწესებულების ან ობიექტის ნორმალური მუშაობა.“

ბლოკირება ნიშნავს სამოქმედო და საურთიერთობო არეალის, სფეროს გადაკეტვას, როდესაც ობიექტი კავშირს წყვეტს საკონტაქტო გარემოსთან. დამნაშავე ისეთ ობიექტებს თიშავს საერთო მართვის სისტემიდან, როგორიც არის საქართველოს ტელევიზიის, რადიომაუწყებლობის დეპარტამენტის, სატელევიზიო და რადიოპროგრამების მომზადებისა და მაუწყებლობის ობიექტების, ასევე ტელეგრაფისა და საფოსტო ცენტრალური და სარაიონო კვანძები.

სტრატეგიულ და განსაკუთრებულ ობიექტებს წარმოადგენს საჰაერო და სარკინიგზო მიმოსვლის კვანძები, კვების მნიშვნელოვანი ობიექტები, ბანკები და ა.შ.

დამნაშავე ობიექტების ბლოკირებას ახდენს სხვადასხვა სპეციალური დაბრკოლებების შექმნით (დაზიანებით, ხელში ჩაგდებით, პიკეტირებით, გადაკეტვით და ა.შ.) და არ აძლევს საშუალებას შეასრულოს თავისი სახელმწიფოებრივ-საზოგადოებრივი ფუნქცია. კანონმდებელი დანაშაულებრივ შედეგად მიიჩნევს სამუშაოს ჩაშლას, შეფერხებას ან გარკვეული დროით შეწყვეტას. მუშაობის ჩაშლაში იგულისხმება ფუნქციის შეწყვეტა, ხოლო შეფერხებაში – მუშაობის ხანმოკლე მოშლა ან ხარვეზებით მუშაობა.

კავშირგაბმულობის ობიექტებად ითვლება ფოსტა-ტელეგრაფი, მათი საკვანძო და დამხმარე ბლოკები.

კანონმდებელი არ აღნიშნავს ბლოკირების ხერხებსა და მეთოდებს, მოწყობის ორგანიზატორებს და გამოწვეულ ან მოსალოდნელ ზიანს. იგი ხაზს უსვამს მხოლოდ ბლოკირების იმ დონეს, რამაც შეაფერხა ან ჩაშალა მუშაობა ან შეეძლო გამოეწვია ასეთი. კანონი არ მოიხსენიებს ბლოკირების მონაწილეების მიზანს, შედეგს, მაგრამ უნდა ვიგულისხმოთ, რომ მიზანს კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს. დანაშაული შეიძლება ჩადენილი იქნეს მთავრობისა ან სხვისი საწინააღმდეგო პროპაგანდისათვის, წაყენებული მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის და ა. შ.

აქვე დავსძენთ, რომ დანაშაული მხოლოდ და მხოლოდ თანამონაწილეობით ჩაიდინება.

სიკეთე, რომელსაც ხელყოფს ეს დანაშაული, არის კავშირგაბმულობისა და ტელერადიომაუწყებლობის ან სხვა მნიშვნელოვანი სტრატეგიული ობიექტების ნორმალური ფუნქციონირება.

ობიექტური მხარე მდგომარეობს ამ ობიექტების ნორმალური მუშაობის ჩაშლასა ან შეფერხებაში.

დანაშაულის აშრულებელი შეიძლება იყოს ნებისმიერი მოქალაქე, რომელიც ორგანიზაციას უკეთებს ბლოკირებას, ხელმძღვანელობს დანაშაულის მიმდინარეობას, ან მონაწილეობს დანაშაულში.

სუბიექტური მხარე მდგომარეობს პირდაპირ განზრახვაში.

მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს მაშინ, თუ პირველ ნაწილში გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედება ჩადენილია

ა) ჯგუფურად.

ბ) არაერთგზის.

უკანონოდ შეიარაღებული ფორმირების შექმნა ან ხელმძღვანელობა ანდა მასში მონაწილეობა – მუხლი 223

როგორც თვით დანაშაულის დასახელება მიუთითებს, სუბიექტის ქმედება გამოიხატება მასში, რომ ის ქმნის კანონგარეშე შეიარაღებულ ფორმირებას, ე.ი. გარკვეული სამხედრო ნაწილების

მსგავსი ფორმის ლაშქარს, გაერთიანებას, რაზმს და ჯგუფს, რომელსაც ჰყავს ხელმძვანელი, აქვს სუბორდინაციის გარკვეული სახე, გააჩნია ნაწილის სტრუქტურული ფორმა, თანამედროვე შეიარაღება და ყოველივე ეს შექმნილია კანონის გვერდის ავლით.

საშიშროება ამ ქმედებისა გამოიხატება მასში, რომ შეიარაღებული რაზმი არ კონტროლდება სახელმწიფოს მიერ, რის გამოც მათ მოეპოვებათ შესაძლებლობა, გამოიყენონ შეიარაღება მართლსაწინააღმდეგო მოქმედებისათვის.

განსახილველი მუხლი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველის შინაარსი ასეთია: უკანონო შეიარაღებული ფორმირების (ლაშქრის, გაერთიანების, რაზმის ან სხვა ჯგუფის) შექმნა ან ხელმძღვანელობა.

დისპოზიცია გამოიხატება შემდეგ დანაშაულებრივ ქმედებაში:

1) შეიარაღებული ფორმირების უკანონოდ შექმნა.
2) შეიარაღებული ფორმირების ხელმძღვანელობა.

შეიარაღებული ფორმირების შექმნაში იგულისხმება ორგანიზაციული მუშაობა, რათა შეიქმნას ფორმირების სახე, სტრუქტურა, ფორმა, ფუნქციონალური მიმართულება, სუბორდინაციული სისტემა.

შეიარაღებული ფორმირების მართვა გულისხმობს სამოქმედო ამოცანების განსაზღვრას, მისი განხორციელების საშუალებების გამოძებნას და შესრულების კონტროლს, სწავლებას, მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებას, შეიარაღებას და ა.შ. ასეთი ფორმირება შეიძლება არსებობდეს რომელიმე საზოგადოებრივი ორგანიზაციის სახელით ან თვითმარქვიობით, ე. ი. თვით დამნაშავის მიერ გამოგონილი სახელწოდებით.

მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს „უკანონო შეიარაღებულ ფორმირებაში მონაწილეობისათვის“.

შეიარაღებულ ფორმირებაში მონაწილეობა ნიშნავს პირის მიერ იმ საქმიანობის განხორციელებას, რომელიც შეესაბამება ამ ფორმირების მიზანსა და გეგმას.

ფორმირება შეიძლება სხვადასხვა მასშტაბისა იყოს და მის შემადგენლობაში შედიოდეს ჯგუფები, რაზმები. რაზმი ისეთი შემადგენელი ნაწილია ფორმირებისა, რომელიც ერთობლივად ასრულებს გარკვეულ ფუნქციას. რადგან ფორმირება არასახელმწიფოებრივი, უკანონო გაერთიანებაა, არ არის გამორიცხული, თავისებური, ინდივიდუალური, განსხვავებული დასახელებითა და ნიშნით ხასიათდებოდეს.

შეიარაღების ცნებაში კანონმდებელი გულისხმობს იმ საგნებსა და მოწყობილობებს, ცივ თუ ცეცხლსასროლ იარაღებს, რომელიც გამოიყენება ცოცხალი ძალის გასანადგურებლად. იარაღი შეიძლება იყოს ჭარხნული, ასევე კუსტარული (პისტოლეტები, ავტომატები, შაშხანები, ყუმბარები, ტყვიამფრქვევები და ა.შ.).

სუბიექტური მხარე დანაშაულისა გამოიხატება აშკარა, პირდაპირ განზრახვაში — დამნაშავემ იცის, რომ იგი ქმნის უკანონო შეიარაღებულ ფორმირებას და სურს ასეთი. შექმნის მიზანი ზოგჯერ შეიძლება იყოს მართლაც კეთილშობილური — პოლიტიკური, სოციალურ-საყოფაცხოვრებო (ქალაქის ან ქვეყნის საზღვრის გარკვეული ნაწილის ან რომელიმე დასახლებული პუნქტის დაცვის მიზნით, კრიმინალური ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლის და ა.შ.), მაგრამ ეს მიზანი და მოტივი კვალიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს. რაიმე დადებითი საქმიანობის განხორციელებამ შეიძლება გავლენა იქონიოს მხოლოდ სასჯელის განსაზღვრის დროს, როგორც შემამსუბუქებელმა გარემოებამ.

ობიექტური მხარე გამოიხატება ასეთი შეიარაღებული ფორმირების შექმნაში, მის ხელმძღვანელობასა ან საქმიანობაში მონაწილეობით.

თუ შეიარაღებული ფორმირების მიზანი საქართველოს კონსტიტუციური წყობილების წინააღმდეგ ბრძოლაა, მოქმედება დაკვალიფიცირდება სხვა მუხლებით.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება უკანონო ფორმირების მონაწილე, რომელიც ნებაყოფილებით შეწყვეტს ამ ფორმირებაში მონაწილეობას, თუ მის ქმედებაში არ არის სხვა დანაშაულის ნიშნები.

ბანდიტიზმი — მუხლი 224

ბანდიტიზმი ერთ-ერთი საკმაოდ საშიში დანაშაულია. იგი საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში დიდი ხნიდან ფიგურირებს. გარკვეული პერიოდების წინ ბანდიტიზმში პოლიტიკური დანაშაულის ჩადენის შინაარსიც იგულისხმებოდა, მაგრამ დღეს ასეთ ჯგუფებს იურისპრუდენციამ სხვა სახელი მოუძებნა. ბანდა ხასიათითა და სტრუქტურული ფორმით ჰგავს წინასწარი შეთანხმების პირთა ჯგუფს, ამასთანავე აქვს ორგანიზებული ჯგუფის ცოტაოდენი ნიშან-

წყალიც, მაგრამ როგორც პირველისაგან, ასე მეორისაგან რადიკალურად განსხვავდება. ადრინდელ კოდექსებში ბანდას არ აღწერდნენ თავისი ინდივიდუალური დამახასიათებელი ნიშნებით და მისი ბანდად „მონათვლის“ ძირითადი მახასიათებელი შეიარაღება იყო. იარაღი შეიძლებოდა ჰქონოდათ ცეცხლსასროლი — როგორც თვითნაკეთი, ასევე — ქარხნული.

დღეს კანონმდებლობამ ბანდა მკვეთრად გაარჩია როგორც წინასწარი შეთანხმებით შექმნილ პირთა ჯგუფისაგან, ასევე ორგანიზებული ჯგუფისაგან.

თუ წინასწარი შეთანხმებით მოქმედი დამნაშავეთა ჯგუფი შეიძლება შეიქმნას ერთი დანაშაულის ჩასადენად და მისთვის არ არის გამოკვეთილი ხანგრძლივობა და დანაშაულებრივი საქმიანობის მყარი მიზანი, ბანდისათვის ეს მომენტები შედარებით გამოკვეთილი და დახვეწილია. თუ ორგანიზებული ჯგუფი სპეციალურად შერჩეულ დამნაშავეთა, დარგობრივ სპეციალისტთა და ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოებში ფეხმოკიდებული ადამიანებისაგან ყალიბდება მუდმივი და მონოლითური არსებობის გათვლით, სუბორდინაციული დამორჩილებითა და სტრუქტურული მართვით, ბანდა ამ ნიშნებს მოკლებულია.

ბოლოსდაბოლოს, იგი არის საერთო აზრით გაერთიანებულ პირთა მყარი ჯგუფი, რათა გარკვეულ ზონაში ჩაიდინონ რამდენიმე დანაშაული (იხ. საქართველოს სს კოდექსის 27-ე მუხლი, ს. 3.).

ჩვენს კოდექსში ბანდიტიზმის დისპოზიცია ერთი ნაწილისაგან შედგება და მისი შინაარსი ასეთია:

„მყარი შეიარაღებული ჯგუფის (ბანდის) შექმნა ან ხელმძღვანელობა პირზე ან ორგანიზაციაზე თავდასხმის მიზნით, აგრეთვე ასეთ ჯგუფში (ბანდაში) ან მის მიერ მოწყობილ თავდასხმაში მონაწილეობა“.

ბანდა აუცილებლად ითვალისწინებს შეიარაღებას. შეიარაღება არის ცეცხლსასროლი იარაღის ქონება, თუნდაც ის გააჩნდეს ბანდის ერთ-ერთ წევრს და ამის შესახებ ინფორმირებული იყვნენ დანარჩენი წევრები და იცოდნენ, რომ საჭირო შემთხვევაში იგი მათ გამოადგებათ.

იარაღის ცნებაში იგულისხმება როგორც ცივი, ასევე ცეცხლსასროლი საშუალებანი — როგორც კუსტარულად, ასევე ქარხნულად დამზადებული.

თუ იარაღი არ არის ნამდვილი და იგი წარმოადგენს იმიტაციას (მოდელი ხის, პლასტმასის, სათამაშო და ა.შ.), ჯგუფი არ ჩაითვლება ბანდად. ასეთ შემთხვევაში მათი მოქმედება ჩაითვლება ყაჩაღობად, ხოლო მათი წევრები — ყაჩაღებად.

მიზანი ბანდისა არის თავდასხმა როგორც კერძო პირებზე, ასევე ორგანიზაციებზე. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საბჭოთა წყობილების დამყარების წლებში და შემდგომ ეტაპებზეც, ბანდები იქმნებოდა პოლიტიკური მიზნებითაც, მაგრამ ამ ბოლო წლებში ბანდიტიზმმა შეინარჩუნა მხოლოდ მატერიალური გამორჩენის მიზანი და თავის მოქმედებაში ავლენს ჯგუფურ შეიარაღებულ თავდასხმებსა და რეკეტს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ბანდის შექმნაში იგულისხმება მოქმედება, რის საფუძველზედაც ჩამოყალიბდა, შეიქმნა მყარი შეიარაღებული ჯგუფი, რომლის მიზანია თავდასხმა მოქალაქეებზე, წარმოებებზე, ორგანიზაციებზე. შეიძლება ამ ჯგუფის შექმნას თან ახლდეს წინასწარი მოლაპარაკება, მონაწილეთა შერჩევა, დაძებნაც, იარაღის შეძენა, გეგმების მოხაზვა-შედგენა, როლების განაწილება წევრთა შორის და ა.შ.

ბანდის ხელმძღვანელობა ნიშნავს სამოქმედო საქმიანობის დაგეგმვას, ობიექტების შერჩევას, წევრებზე როლების განაწილებას მათი ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობის შესაბამისად და ა.შ. როგორც წესი, ბანდას ყავს თავისი ლიდერი, ხელმძღვანელი, რომელიც შეიძლება არ მონაწილეობდეს თავდასხმაში, მაგრამ თავისი გამოცდილების, მოხერხების და გონიერების გამო არჩეული იყოს ხელმძღვანელად და დანარჩენები ემორჩილებოდნენ მას.

თავდასხმაში მონაწილეობა გამოიხატება მასში, რომ დამნაშავე ასრულებს თავდასხმის ოპერაციის რომელიმე შემადგენელ ნაწილს. კვალიფიკაციისათვის აქტიურ თუ პასიურ მონაწილეობას მნიშვნელობა არ აქვს.

თავდასხმა ისეთი მოქმედებაა, რომელიც მიმართულია დანაშაულის მიზნის განხორციელებისაკენ ძალადობის, იარაღის გამოყენების ან ასეთის მუქარის გზით, რაც თრგუნავს დაზარალებულის წინააღმდეგობას და აიძულებს, დაუყოვნებლივ შეასრულოს დამნაშავეთა მოთხოვნა.

სუბიექტური მხარე ბანდიტიზმისა ხასიათდება პირდაპირი განზრახვით. სუბიექტს შეგნებული უნდა ჰქონდეს, რომ იგი ორგანიზაციას უკეთებს შეიარაღებული ბანდის შექმნას, რომლის მიზანია მოქალაქეებზე ან ორგანიზაციებზე თავდასხმა, ან რომ

ხელმძღვანელობს ასეთ ბანდიტთა ჯგუფს, ან მონაწილეობს მათთან ერთად თავდასხმების განხორციელებაში.

პირს, რომელმაც შექმნა შეიარაღებული ბანდა, შემდეგ კი ხელმძღვანელობს მას და თან მონაწილეობს შეიარაღებულ თავდასხმებში, ბრალი დაედება სამივე მოქმედებისათვის.

ობიექტური მხარე გამოიხატება სხვისი ქონების უკანონოდ ხელში ჩაგდებაში.

მასობრივი არეულობა – მუხლი 225

განსახილველი დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროება აიხსნება იმით, რომ მას შეუძლია სახელმწიფო მმართველობითი აპარატის პარალიზება, გამოიწვიოს ადამიანთა დაზიანება, მსხვერპლი, მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზარალი. მასობრივი არეულობის დამახასიათებელი დანაშაულებრივი ნიშნებია ფიზიკური ძალადობა მოქალაქეთა მიმართ, ცემა, აბუჩად აგდება, ეკონომიკური სიკეთის დარბევა, დანგრევა-გადათელვა, ცეცხლის წაკიდება ან ხელისუფლების წარმომადგენლისათვის შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევა და სხვა.

განსახილველი მუხლი ორი ნაწილისაგან შედგება.

პირველი ნაწილის დისპოზიცია ასეთი შინაარსისაა: „მასობრივი არეულობის ორგანიზება ან ხელმძღვანელობა, რასაც თან ახლავს ძალადობა, რბევა, ცეცხლის წაკიდება, იარაღის ან ასაფეთქებელი მოწყობილობის გამოყენება, ანდა ხელისუფლების წარმომადგენლისადმი შეიარაღებული წინააღმდეგობა.“

როგორც ვხედავთ, დისპოზიცია პასუხისმგებლობას აწესებს:

ა) მასიური არეულობის ორგანიზებისათვის.

ბ) ხელმძღვანელობისათვის.

გ) ხელისუფლების წარმომადგენლის მიმართ შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევისათვის.

საერთო ობიექტი დანაშაულისა არის საზოგადოებრივი უშიშროება და წესრიგი, უშუალო ობიექტი – პიროვნების სიცოცხლე და ჯანმრთელობა, ქონება.

მასიური არეულობის ორგანიზაცია გამოიხატება: დამნაშავის მოქმედებაში – მოძებნოს ხალხის აზვირთების მომენტი და კუთხე,

შეარჩიოს მოტივი მათი აღგზნებისა. აღელვებისა. შეაერთოს მოქალაქეთა ჯგუფები. დაარწმუნოს. რომ ნამდვილად საჭიროა მათი ხმა და ძალა ამა თუ იმ მნიშვნელოვანი საკითხის გადასაწყვეტად ან საპროტესტოდ. დასარბევად. ცეცხლის წასაკიდებლად. დასანგრევად და ა.შ. ხელმძღვანელობა მასიური არეულობისა ნიშნავს: დამნაშავემ უჩვენოს ხალხს მოქმედების მიმართულება. სახეობა. განავითაროს სიმწვავე და ა.შ.

ხელისუფლების წარმომადგენლისათვის წინააღმდეგობის გაწევა ნიშნავს მათ დაკავებას. ცემას. იზოლაციას და ა. შ.

მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას აწესებს პირველი ნაწილით გათვალისწინებულ მოქმედებაში მონაწილეობისათვის.

არეულობაში მონაწილეობა ნიშნავს იმას. რომ დამნაშავე ასრულებს ხელმძღვანელის მოწოდებას: არბევს. ანგრევს. ცეცხლს უკიდებს. ცემს. აბუჩად იგდებს საზოგადოებას და ა.შ.

არეულობის მოწყობის ხერხი მრავალი სახისაა: ორგანიზატორი. ხელმძღვანელი მიმართავს ხალხს ამაღელვებელი წინადადებებით. ხმოვანი სიგნალებით. სხვადასხვა პეტიციების გამოცხადებით. პროკლამაციების გაკრცელებით. ხელმძღვანელობისადმი რაიმე ულტიმატუმის წაყენების მოშველიებით და ა.შ. მაგალითად. 1967 წელს ქ. ქუთაისის ფეხბურთის სტადიონზე. იმის გამო. რომ ფეხბურთის გუნდს „ტორპედოს" წარუმატებლობა ჰქონდა და იმ დღის შეხვედრაც წააგო. რასაც მაყურებელი მტკივნეულად განიცდიდა. სტადიონის სხვადასხვა კუთხიდან გაისმა ხმამაღალი მოწოდებანი: „ქუთაისის „ტორპედო" არ არის სტადიონის ღირსი. ის უნდა დაიწვას". ხმას მოჰყვა რამდენიმე გასროლა ჰაერში. აღელვებულმა ადამიანებმა ცეცხლი გაუჩინეს სტადიონს. დაარბიეს შენობები. დაწვეს სახელმწიფო და პირადი ავტომანქანები. ცემეს პოლიციის მუშაკები. ალმასკომის წარმომადგენლები. იყო მსხვერპლი. სხეულის მძიმე და სხვა დაზიანების მრავალი შემთხვევა. დიდი მატერიალური ზარალი.

დარბევაში იგულისხმება მატერიალური სიკეთის გადათელვა. დანგრევა. ცეცხლის წაკიდება.

კანონი იშველიებს გამოთქმას — ან სხვაგვარი მოქმედება. მასში იგულისხმება ცეცხლსასროლი იარაღის. ფეთქებადი ნივთიერების გამოყენება და ა.შ.

ხელისუფლების წარმომადგენლებისადმი შეიარაღებული წინააღ-

მდეგობის გაწევაში იგულისხმება სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებაში ხელის შეშლა, პოლიციისა და საზოგადოებრივი წესრიგის დამცველთა წინააღმდეგ იარაღის გამოყენებით, დაშინებით, დამიზნებით, ჰაერში გასროლით და ა.შ.

სუბიექტური მხარე დანაშაულისა გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში, როდესაც მასიური არეულობის ორგანიზატორსა და ხელმძღვანელს, მონაწილეს გააზრებული აქვთ თავიანთი მოქმედების მიზანი, შედეგი და სურთ ეს.

დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება მასობრივი არეულობის ორგანიზებაში, ხელმძღვანელობაში, დარბევაში, ცეცხლის წაკიდებაში და ა. შ.

ჯგუფური მოქმედების ორგანიზება, რომელიც არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს ან მასში აქტიური მონაწილეობა – მუხლი 226

განსახილველი მუხლი ერთი ნაწილისაგან შედგება. მისი დისპოზიცია ასეთი შინაარსისაა:

„ჯგუფური მოქმედების ორგანიზება, რომელიც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს ან დაკავშირებულია ხელისუფლების წარმომადგენლის კანონიერი მოთხოვნისადმი აშკარა დაუმორჩილებლობასთან ან რამაც ტრანსპორტის, საწარმოს, დაწესებულების ან ორგანიზაციის მუშაობის შეფერხება გამოიწვია, აგრეთვე ასეთ მოქმედებაში აქტიური მონაწილეობა“.

მუხლის დისპოზიციის მიხედვით დანაშაულებრივი ვნება, რომელიც გამოიხატება მასში, რომ დამნაშავე უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს, თითქმის გავს ხულიგნობას, მაგრამ მკვეთრად განსხვავდება მისგან. ხულიგნობა საერთო განაწყენების გამო ერთბაშად ნერვიული აფეთქებით გამოწვეული პირის ან პირთა ჯგუფის მოქმედებაა, რომლის მიზანია საზოგადოებისადმი უპატივცემულობის გამოხატვა, ხოლო განსახილველი მუხლი სრულიად სხვა მიზნით, სხვა ორგანიზებით იქმნება და განხორციელების მხრივაც მკვეთრად განსხვავდება ხულიგნობისაგან.

პირველი განმასხვავებელი ნიშანი ამ დანაშაულთა შორის ის არის, რომ დამნაშავე ორგანიზაციას უკეთებს იმ საქმის განხორცი-

ელებას, რომლითაც ასეთი დანაშაულებრივი ჯგუფი უნდა შეიქმნას. კერძოდ: ორგანიზატორი არჩევს ადამიანებს, რომლებიც საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევას შეძლებენ. ასეთ პირებს იგი პოულობს იმ ადამიანთა წრეებში, რომლებიც განაწყენებულნი არიან ხელისუფლებაზე, ცხოვრებაზე, ადამიანებზე და ა.შ. აცნობს მათ ორგანიზების მიზანს, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის დროს, ადგილს, თუ როგორი წესითა და რა საზომებით უნდა დაარღვიონ საზოგადოებრივი წესრიგი.შეიძლება ორგანიზატორს ისიც · ქონდეს დაგეგმილი, როგორ უნდა შეუშალონ ხელი საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობას, საწარმოს, დაწესებულების ან ორგანიზაციის მუშაობას და ა.შ.

წესრიგის დარღვევა შეიძლება გამოიხატოს ქუჩაში მასიური გამოსვლით, გზის გადაკეტვით, რითაც შეიძლება ტრანსპორტის მოძრაობას შეეშალოს ხელი, ორგანიზაციაში ან საწარმოში მასიურად შესვლით, საამქროებისა და სათავსოების კარებების ჩაკეტვით. ამასთანავე, იგი შეიძლება გადაიზარდოს სამართალდამცავი ორგანოებისადმი დაუმორჩილებლობაში და ა.შ.

მუხლის ამავე ნაწილში კანონმდებელი, გარდა ორგანიზატორისა, პასუხისმგებლობას აკისრებს ჯგუფის აქტიურ მონაწილეს, რომელიც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს, წინააღმდეგობას უწევს წესრიგის დამცველს, საამქროში გამორთავს დაზგებს, დააზიანებს მანქანებს და ა. შ.

მოტივი დანაშაულის ჩადენისა არის საერთო განაწყენება. იგი შეიძლება გამოწვეული იყოს ხელფასის ან პენსიის დაგვიანების გამო, არჩევნებთან დაკავშირებით, განაწყენების ან სხვა მოტივით და ა.შ.

მიზანი დამნაშავისა არის თავისი განაწყენების გამოხატვა, რაც იწვევს საზოგადოებრივი წესრიგის უხეშ დარღვევას და ორგანიზაციათა მუშაობის შეფერხებას.

სუბიექტური მხარე გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში — დამნაშავემ, როგორც ორგანიზატორმა, იცის, შეგნებული აქვს, რომ იგი ჯგუფს იმიტომ ქმნის, რათა საზოგადოებრივი წესრიგის უხეში დარღვევით გამოხატოს თავისი განაწყენება და სურს ამისი შედეგი.

ობიექტური მხარე გამოიხატება მუხლის დისპოზიციის შინაარსის პრაქტიკულ განხორციელებაში.

განსახილველი დანაშაულის საშიშროება იმაში გამოიხატება, რომ ის პარალიზებულს ხდის სატრანსპორტო სამიმოსვლო საქმიანობას, ქვეყნის ტვირთბრუნვას, რითაც ეკონომიკურად ზარალდება ქვეყანა. ამასთან, ეს დანაშაული საფრთხეს უქმნის თვით ტრანსპორტს და ადამიანებს, რომლებიც ამ ტრანსპორტში იმყოფებიან ან მათ სავალ ტრასებზე მოძრაობენ. საფრთხის მოსალოდნელობა დაკავშირებულია ავარიასთან, კატასტროფასთან, რომელიც, უმეტეს შემთხვევაში, დიდი ზარალითა და მსხვერპლით მთავრდება.

განსახილველი მუხლი სამი ნაწილისაგან შედგება. პირველის ობიექტური მხარე გამოიხატება რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის, საჰაერო ხომალდის ან წყლის ტრანსპორტის მართლსაწინააღმდეგო დაუფლებაში.

დაუფლება ნიშნავს ხელში ჩაგდებას ნებისმიერი საშუალებით, უკანონო დაპატრონებას დაზარალებულის ნების საწინააღმდეგოდ.

ამ ქმედებას დამნაშავე ჩადის იმიტომ, რომ შეძლოს სხვა დანაშაულთა ჩადენა: გადაიტანოს დატაცებული ქონება, უკანონოდ გადაკვეთოს სახელმწიფო საზღვარი, გადაიყვანოს დამნაშავეთა ჯგუფები და ა.შ.

საჰაერო ტრანსპორტს განეკუთვნება: თვითმფრინავი, ვერტმფრენი, პლანერი, საჰაერო ბურთი, დირიჟაბლი და სხვა.

წყლის ტრანსპორტს მიეკუთვნება: გემები, სამხედრო კატერები, მოდიფიცირებული ბორნები, პლატფორმები, მოტორიანი ნავები და ა.შ.

სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალებებია: ლოკომოტივი, ვაგონი, ელექტრო და თბომავლები, ურიკები და ა.შ.

ზემოთ ჩამოთვლილი ღირებულებანი ხელში ჩაგდებულად ითვლება მაშინ, როდესაც დამნაშავე მათი გამოყენებისა და განკარგვის განხორციელებას შეძლებს თავისი სურვილის შესატყვისად, ნამდვილი მეპატრონის ნების საწინააღმდეგოდ.

სუბიექტური მხარე დანაშაულისა ხასიათდება პირდაპირი განზრახვით – დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ ის უკანონოდ ეუფლება, ხელთ იგდებს სარკინიგზო, საზღვაო, საჰაერო ტრანსპორტს და სურს ასეთი.

მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს, თუ პირველ ნაწილში ჩამოთვლილი ქმედება განხორციელდება:

ა) წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ.

ბ) არაერთგზის.

გ) სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ან ასეთი ძალადობის მუქარით.

სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობა, როგორც უკვე განვმარტეთ, გამოიხატება ყოველგვარი წინააღმდეგობის ფიზიკურ დათრგუნვაში სხვადასხვა იარაღებითა და საშუალებებით, რომელიც საშიშ ზემოქმედებას ახდენს დაზარალებულის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე, ცემა თავისა და მუცლის არეში, გადაგდება მოძრავი ტრანსპორტიდან და ა. შ.

მუხლის მესამე ნაწილი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს მაშინ, თუ პირველი ან მეორე ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებას მოჰყვა გაუფრთხილებლობით ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი.

მეკობრეობა – მუხლი 228

დანაშაული ახალია როგორც ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ასევე კანონმდებლობაში. იგი ორი ნაწილისაგან შედგება.

პირველი ნაწილის შინაარსი ასეთია: „მეკობრეობა, ესე იგი წყლის ხომალდზე ან სხვა მცურავ საშუალებაზე თავდასხმა სხვისი ნივთის დაუფლებისათვის მისი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი ძალადობით, ან ძალადობის მუქარით.“

მეკობრეობა ნიშნავს საზღვაო ან სამდინარო გემებზე, მათ ეკიპაჟებსა და მგზავრებზე თავდასხმას ქონების დაუფლებისათვის, თავდასხმა ხორციელდება გემების გამოყენებით. საქართველოში მეკობრეობა წარსულ საუკუნეებში ყაჩაღობასა და ძარცვას ერქვა, მიუხედავად იმისა სად მოხდებოდა – ზღვასა თუ ხმელეთზე. საერთაშორისო სამართლის მიხედვით, მეკობრეობა გემზე თავდასხმას, მის ხელში ჩაგდებას ნიშნავს, ჩაძირვასაც გულისხმობს, რომელიც შეიძლება მიმართული იყოს როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო გემისადმი.

ობიექტი დანაშაულისა არის საზოგადოებრივი უშიშროება,

რომელშიაც შედის მეტად ფართო სპექტრის საზოგადოებრივი სიკეთე - ადამიანის სიცოცხლე, ჯანმრთელობა, დიდი ოდენობის მატერიალური ზარალი ტვირთისა და თვით გემის სახითაც, გამორიცხული არ არის, ამ დანაშაულმა სახელმწიფოთა შორის გარკვეული დაძაბულობაც გამოიწვიოს, ჩაშალოს პოლიტიკური, ეკონომიკური ან სავაჭრო ურთიერთობა, გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ეკონომიკური, ჰუმანიტარული დახმარების მიწოდების შეწყვეტა და ა.შ.

მიზანი დამნაშავისა არის მატერიალური სიმდიდრის ხელში ჩაგდება და მისაკუთრება. დანაშაული ყოველთვის ხორციელდება შეიარაღებული ძალადობით ან ასეთის მუქარით.

დანაშაული დამთავრებულად ითვლება თავდასხმისთანავე, მიუხედავად იმისა, დამნაშავემ მიაღწია თუ არა მიზანს.

კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არ აქვს გემის საკუთრებით ფორმას, არც იმას, რომელი ქვეყანისა თუ რომელი კლასის გემია, რაოდენი წყალწყვისა და ა.შ.

მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას, როდესაც მეკობრეობა ჩადენილია:

ა) არაერთგზის.

ბ) ან რამაც გაუფრთხილებლობით გამოიწვია ადამიანის დაღუპვა ან სხვა მძიმე შედეგი.

გაუფრთხილებლობით უბედური შემთხვევა შეიძლება მოხდეს გემების შეჯახებით და სხვა.

სუბიექტური მხარე მეკობრეობისა გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში.

აფეთქება – მუხლი 229

განსახილველი დანაშაული ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილის შინაარსი ასეთია: „გაზის, ბენზინის, ნავთის ან სხვა ნივთიერების განზრახ აფეთქება და ამით შეგნებულად სიცოცხლისათვის, ჯანმრთელობისათვის ან ქონებისათვის საფრთხის შექმნა“.

აღნიშნული დანაშაული ჰგავს ტერორისტულ აქტს, რადგან ტერორის დროსაც დამნაშავე თავისი მიზნის მისაღწევად ხშირად აფეთქებას აწყობს, მიზანი კი მოსახლეობის შეშფოთება და

პარალიზებაა, ხოლო განსახილველი დანაშაულებრივი ქმედების დროს დამნაშავეს ასეთი მიზანი არ აქვს. იგი აფეთქებს იმ მოტივით, რომ განაწყენებულია და ამის გამო თითქოს ანგარიშს უსწორებს ორგანიზაციას, კოლექტივს ან სახელმწიფოს და ა. შ. ასეთი აფეთქების დროს დამნაშავე ითვალისწინებს, რომ მისი მოქმედება საფრთხეს უქმნის სხვის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან ქონებას, მაგრამ შეგნებულად უშვებს ასეთს, თუმცა ვინმეს ჯანმრთელობის შერყევა, სიცოცხლის მოსპობა ან ქონების განადგურება მიზნად არ აქვს დასახული. ასე რომ, დანაშაულის შემადგენლობა სახეზეა მაშინ, როდესაც აფეთქებით ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან ქონებას საფრთხე შეექმნება. თუ აფეთქების დროს დამნაშავის მიზანი ვისიმე სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ან ქონების განადგურებაა, მოქმედება სრულიად სხვა მუხლებით დაკვალიფიცირდება.

მუხლის მეორე ნაწილით პასუხისმგებლობის საკითხი დგება მაშინ, როდესაც პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებას გაუფრთხილებლობით მოჰყვა ადამიანის დაღუპვა ან სხვა მძიმე შედეგი (სხეულის მძიმე დაზიანება, მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანი და ა. შ.).

ამ დანაშაულის ამსრულებელია ნებისმიერი მოქალაქე, სუბიექტური მხარე აფეთქებისა პირდაპირი განზრახვაა, ხოლო ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის მიმართ — გაუფრთხილებლობა.

ბირთვული მასალის ან მოწყობილობის, რადიაქტიური ნარჩენის, რადიაქტიური ნივთიერების ან მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროსადმი უკანონო მოპყრობა — მუხლი 230

განსახილველი მუხლი ორი ნაწილისაგან შედგება. მისი შემოღება მიზნად ისახავს რადიაქტიური იზოტოპებისაგან ბიოსფეროს გაჭუჭყიანების ან სხვა უბედურების თავიდან აცილებას.

კანონის პირველი ნაწილის დისპოზიციის მიხედვით, დანაშაულად ითვლება ბირთვული მასალების ან მოწყობილობის, რადიაქტიური ნარჩენის (გამოყენებული ბირთვული საწვავის ჩათვლით), რადიაქტიური ნივითიერების ან მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროს, აგრეთვე ნებისმიერი სახისა და დანიშნულების

მოწყობილობის, დანადგარის, ხელსაწყოს, ნაკეთობის (რომელიც რადიაქტიურ ნივთიერებას შეიცავს) ან მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროს უკანონო შეძენა, შენახვა, ფლობა ან განკარგვა, გამოყენება, გადამუშავება, გამოცდა, გადაცემა, გადაზიდვა, ექსპორტ-იმპორტი, კაჭრობა, აგრეთვე მათდამი სხვა უკანონო მოპყრობა, აგრეთვე მათთან დადებული სხვა გარიგება.

ობიექტური მხარე გამოიხატება მუხლის პირველ ნაწილში ჩამოთვლილი რადიაქტიური მასალის ან მოწყობილობის უკანონო შეძენაში, შენახვაში, ფლობაში, განკარგვაში, გამოყენებაში, გადამუშავებაში, გამოცდაში, გადაცემაში, გადაზიდვაში, ექსპორტ-იმპორტში ან მათდამი სხვა უკანონო მოპყრობაში.

დანაშაულის საგანია ბირთვული მასალები ან მისი დასამუშავებელი მოწყობილობანი, რადიაქტიური ნივითიერებანი ან სხვა წყაროები.

რადიაქტიური წყარო არის ბირთვული იარაღის წარმოების კომპლექსი, დანადგარები, მოწყობილობები, აპარატები, აღჭურვილობანი, ნაკეთობანი, ე. ი. ყოველივე ის, რასაც შეუძლია მაიონებელი გამოსხივება.

ბირთვული მასალებია ყოველივე ის, რაც შეიცავს, ან რასაც შეუძლია გამოიმუშაოს, გამოსცეს ბირთვული გამოსხივების ელემენტები.

რადიაქტიური ნარჩენები არის ბირთვული მასალები და რადიაქტიური საგნები, რომელიც დამუშავების შემდეგ რჩება, აღარ გამოიყენება წარმოებისათვის, მაგრამ კვლავ გააჩნიათ მაიონებელი, რადიაქტიური გამოსხივების უნარი.

დანაშაულებრივი ქმედების ჩადენა გამოიხატება უკანონო შეძენაში, შენახვაში, ფლობაში, განკარგვაში, გამოყენებაში, გადამუშავებაში, გადაზიდვაში, ექსპორტ-იმპორტში და სხვაგვარად მოპყრობაში.

შეძენად ითვლება რადიაქტიური ნივთიერების მოპოვება და საკუთრებაში მოქცევა ყიდვით, გაცვლით, სამუშაოს შესრულების სამაგიეროდ და ა.შ.

შენახვის უკანონობა ნიშნავს შენახვის, დაცვის წესების დარღვევას, იგი ითვალისწინებს ისეთ დაცვას, რომელიც ნივთიერებას არ მისცემს გამოსხივების საშუალებას, ის შეიძლება იყოს როგორც საკუთარი, ასევე სახელმწიფოებრივი.

გადაცემაში კანონმდებელი გულისხმობს მის გასხვისებას გაყიდვით, გაჩუქებით ან შესანახად და ა.შ.

დანაშაულს გააჩნია ფორმალური შემადგენლობა. დამთავრებულად ითვლება კანონში ჩამოთვლილი რომელიმე მოქმედების უკანონოდ განხორციელებისთანავე (გასხვისება, შენახვა, შეძენა და ა.შ.).

სუბიექტური მხარე ხასიათდება პირდაპირი განზრახვით. დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ იგი კანონის დარღვევით (იძენს, ინახავს, გასცემს და სხვა) ეპყრობა რადიაქტიურ ნივთიერებებს, მაგრამ უშვებს ამას და სურს კიდევაც ეს.

დანაშაულის კვალიფიციურ სახედ ითვლება პირველ ნაწილში ჩამოთვლილი რომელიმე შემადგენლობის ჩადენა: ა) არაერთგზის. ბ) რამაც გამოიწვია ადამიანის დაღუპვა ან სხვა მძიმე შედეგი.

1998 წლის 30 ოქტომბრის ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების კანონი მეორე თავის მე-6 მუხლში განმარტავს, რომ საქართველოს უმაღლესი სახელმწიფო ორგანოების „კომპეტენცია ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სფეროში განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციით, ამ კანონით და სხვა ნორმატიული აქტებით“.

დასახელებული კანონი განსაზღვრავს ბირთვული და რადიაციული წარმოების მოვლა-პატრონობის ძირითად პრინციპებს. ეს პრინციპებია: ბირთვული ენერგიის მშვიდობიანი მიზნებისათვის გამოყენება, ბირთვული იარაღის ან სხვა ასაფეთქებელ მოწყობილობათა იმპორტ-ექსპორტი, ტრანზიტი, რეექსპორტი, წარმოება, კვლევა, გამოცდა, ფლობა და სხვა მრავალი. ამავე კანონის მე-12 მუხლში ჩამოყალიბებულია უსაფრთხოების მოთხოვნები ბირთვული და რადიაციული საქმიანობისას, იქვე აღნიშნულია ის, რომ ბირთვული და რადიაციული საქმიანობისათვის, აგრეთვე ასეთი საქმიანობის დაგეგმარებისათვის, დაპროექტებასა და მშენებლობასთან დაკავშირებით, კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოები ადგენენ უსაფრთხოების წესებს. ამ წესების შემუშავების, შეთანხმების, დამტკიცების, მათ შესრულებაზე ზედამხედველობის, აგრეთვე მათი შეუსრულებლობისათვის ან დარღვევით შესრულებისათვის დგება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი.

ბირთვული მასალის, რადიაქტიური ნივთიერების ან მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროს ხელში ჩაგდება – მუხლი 231

განსახილველი მუხლი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილის დისპოზიცია და მუხლის სათაური ერთი და იგივეა, ამიტომ აღარ გავიმეორებთ. დანაშაულის ობიექტური მხარე იმაში გამოიხატება, რომ დამნაშავე მართლსაწინააღმდეგო ქმედებით ახერხებს, ხელში ჩაიგდოს სხვისი კუთვნილი ბირთვული მასალა, რადიაქტიური ნივთიერება ან მაიონებელი გამოსხივების სხვა წყარო.

კანონი არ ჩამოთვლის დამნაშავის მიერ ამ ნივთიერებათა ხელში ჩაგდების ხერხებსა და მეთოდებს. იგულისხმება, რომ იგი დანაშაულად მიიჩნევს ყველა ქმედებას (ქურდობას, ძარცვას, მითვისებას, თაღლითობას და სხვას), რომელსაც იგი გამოიყენებს სხვისი კუთვნილი ნივთიერების უკანონოდ ხელში ჩასაგდებად. ხელში ჩაგდების ამ ფორმებზე ჩვენ ვისაუბრეთ 177-ე, 178-ე, 180-182-ე მუხლების განხილვის დროს და აქ აღარ შევჩერდებით.

კანონმდებელი დამამძიმებელ გარემოებად თვლის და მეორე ნაწილით პასუხისმგებლობას აკისრებს პირს, თუ პირველ ნაწილში მითითებულ ქმედებას იგი ჩაიდენს სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის მუქარით.

ასეთი ხერხის გამოყენების რაობა განხილულია ყაჩაღობის ირგვლივ საუბრის დროს და აღარ გავიმეორებთ.

დანაშაულის ობიექტია ბირთვული მასალები, რადიაქტიური ნივთიერება და მაიონებელი გამოსხივების სხვა წყარო.

ობიექტური მხარე გამოიხატება ამ მასალების ხელში ჩაგდებაში.

დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს ნებისმიერი მოქალაქე.

სუბიექტური მხარე ხასიათდება განზრახი ბრალით.

ბირთვული იარაღის ან სხვა ბირთვული ასაფეთქებელი მოწყობილობის დამზადება – მუხლი 232

მუხლი ორი ნაწილისაგან შედგება.

პირველი ნაწილის შინაარსი ასეთია: „ბირთვული იარაღის ან სხვა ბირთვული ასაფეთქებელი მოწყობილობის დამზადება.“

კანონმდებელი მეტად ფრთხილად უდგება ბირთვულ იარაღთან და მასალებთან დაკავშირებულ ყველა ქმედებას. პირველი ნაწილი მხოლოდ ასაფეთქებელი მოწყობილობის დამზადებისათვის ითვალისწინებს საკმარისად მკაცრ სასჯელს. ეს იმითაც არის გამოწვეული, რომ ბოლო წლებში მეტად ხშირია დანაშაულებრივი აფეთქებანი, რომლითაც დიდად ზარალდება როგორც ქვეყნის ეკონომიკა, ასევე ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა.

ამფეთქებელი მოწყობილობა შედგება ასაფეთქებელი ნივთიერებისა და კონსტრუქციული ნაკეთობისაგან.

ასაფეთქებელი ნივთიერება არის ქიმიური შენაერთი, რომელსაც შესწევს უნარი სწრაფი ქიმიური თვითგარდაქმნისა და აალებისა.

ფეთქებად ნივთიერებებს მიეკუთვნება ტროტილი, ამონიტი, პლასტიტი, ელასტიტი, კვამლიანი და უკვამლო წამალი, სარაკეტო საწვავი და ა.შ.

ასაფეთქებელი მოწყობილობა შეიძლება დამზადდეს ქარხნული წესით, ასევე კუსტარულად.

საგანი მოცემული დანაშაულისა არის ფეთქებადი ნივთიერებანი და შესაბამისი კონსტრუქციული ნაკეთობა. ამ დანაშაულის საგნად არ შეიძლება ჩაითვალოს გაზის, სასიგნალო, სასტარტო, სამშენებლო-სამონტაჟო პისტოლეტები და რევოლვერები, პატრონები, გლუვლულიანი თოფები და ა.შ.

მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს იგივე ქმედებისათვის, თუ იგი ჩადენილია ჯგუფურად ან არაერთგზის.

დანაშაულის ობიექტი არის საზოგადოებრივი უშიშროება და წესრიგი.

ობიექტური მხარე გამოიხატება ასაფეთქებელი მოწყობილობების დამზადებაში.

დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს ნებისმიერი მოქალაქე.

სუბიექტური მხარე გამოიხატება ქმედების პირდაპირ განზრახვაში.

ბირთვულ ან რადიაქტიურ ობიექტებზე ავარიის ან უბედური შემთხვევის შესახებ ინფორმაციის დაფარვა ან დამახინჯება – მუხლი 233

ბირთვული ენერგია დღეს ფართოდ გამოიყენება სახალხო მეურნეობასა თუ სამხედრო საქმეში. ესაა ბირთვული, რაკეტული ძრავების წარმოება, ბირთვული რეაქტორი, რომელშიაც მიმდინარეობს ზოგიერთი მძიმე ელემენტის გამოყოფისთვის ხელშემწყობი ჯაჭვური რეაქცია – გამოწვეული ნეიტრონებით და სხვა.

მეოცე საუკუნის მეცნიერებამ მიაღწია იმას, რომ მძიმე ბირთვების გაყოფის შედეგად წარმოიქმნება უფრო მსუბუქი ბირთვები, გამოიტყორცნება ნეიტრონები, გამოსხივდება კვანტები და გამოიყოფა მნიშვნელოვანი რაოდენობის ენერგია – კინეტიკური ენერგიის სახით. დღევანდელმა მეცნიერებამ შექმნა უზარმაზარი ენერგიის ბირთვული საწვავი. ქიმიის მეცნიერების ახალი დარგია ბირთული ქიმია, რომელიც შეისწავლის ატომთა თვისებებსა და მათი ბირთვების გარდაქმნებს, ატომებისა და მოლეკულების ელექტრონული გარსების ისეთ ცვლილებებს, რომელიც განპირობებულია ატომური ბირთვებისა და ელექტრონული ნაწილაკების გარდაქმნით. დღეს მეცნიერება ილტვის იქით, რომ დადგინდეს ნივთიერების ატომ-მოლეკულური სტრუქტურა, რეაქციების მექანიზმი და სხვა მრავალი. მუხლის შინაარსი ასეთია: „ბირთვულ ან რადიაქტიურ ობიექტზე ავარიის ან უბედური შემთხვევის შესახებ ინფორმაციის დაფარვა ან დამახინჯება, რასაც შეეძლო გამოეწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი“.

განსახილველი კანონის მიზანია, ბირთვულ და რადიაქტიურ ობიექტზე ავარიის ან უბედური შემთხვევის არცერთი ფაქტი არ დარჩეს უცნობი სათანადო ორგანოებისათვის, ან არ დამახინჯდეს ინფორმაცია და განსაკუთრებით კი ისეთი ავარიის ან უბედური შემთხვევის ფაქტები, რასაც შეეძლო, გამოეწვია ადამიანთა დაღუპვა თუ სხვა მძიმე შედეგი. 1998 წლის 20-21 ნოემბრის კანონის მე-16 მუხლი პირდაპირ ავალებს ბირთვული და რადიაციული წარმოების მფლობელს „უზრუნველყოს შეტყობინების (კავშირის) სისტემის არსებობა ბირთვული ავარიის შემთხვევაში უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების დაუყოვნებლივი ინფორმირებისათვის“.

მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს მაშინ, თუ პირველ ნაწილში ნაჩვენებ ბირთვულ ან რადიაქტიურ ობიექტზე ავარია ან უბედური შემთხვევა გამოიწვევს ადამიანის დაღუპვას ან სხვა მძიმე შედეგს. სხვა მძიმე შედეგში იგულისხმება ადამიანის სხეულის მძიმე დაზიანება ან დიდი მატერიალური ზარალი და ა. შ.

დანაშაულის ობიექტია საზოგადოებრივი უშიშროება და წესრიგი, ხოლო კონკრეტული ობიექტი – ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა.

ობიექტური მხარე პირველი ნაწილის მიხედვით გამოიხატება ავარიის ან უბედური შემთხვევის შესახებ ინფორმაციის გადაუცემლობაში, ან დამახინჯებულად გადაცემაში, ხოლო მეორე ნაწილის მიხედვით – იგივე ქმედებაში, რამაც ადამიანის დაღუპვა ან სხვა მძიმე შედეგი გამოიწვია.

დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს პირი, რომელსაც აკისრია ვალდებულება, ბირთვულ და რადიაქტიურ ობიექტებზე დაიცვას უსაფრთხოება და ავარიის მოხდენის შემთხვევაში გადასცეს ინფორმაცია სათანადო ორგანოებს. გადაცემის მიზანი ის არის, რომ მოხდეს შემთხვევის მიზეზების მეცნიერული გაანალიზება და მისი განმეორების თავიდან აცილება.

სუბიექტური მხარე პირველი ნაწილის მიხედვით გამოიხატება განზრახი ბრალით, ხოლო მეორე ნაწილის მიხედვით – გაუფრთხილებელი ბრალით.

საქართველოს ტერიტორიაზე რადიაქტიური, ტოქსიკური სამრეწველო ან საყოფაცხოვრებო ნარჩენის ტრანზიტი ან იმპორტი – მუხლი 234

1998 წლის 20 ნოემბრის კანონის ,,ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ" მე-5 მუხლში მითითებულია, რომ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების ძირითადი პრინციპებია: ბირთვული, რადიაციული და ტოქსიკური ნივთიერებების უსაფრთხო ექსპორტ-იმპორტი, ტრანზიტი, წარმოება, ფლობა, კვლევა და სხვა მრავალი.

განსახილველი მუხლი, რომელიც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ითვალისწინებს საქართველოს ტერიტორიაზე რადიაქტიური, ტოქსიკური სამრეწველო ან საყოფაცხოვრებო ნარჩენებთან დაკავში-

რებით, ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილის შინაარსი ასეთია: „საქართველოს ტერიტორიაზე რადიაქტიური, ტოქსიკური სამრეწველო ან საყოფაცხოვრებო ნარჩენის ტრანზიტი საქართველოში უტილიზაციის, გაუვნებელყოფის, გადამუშავების, დამარხვის ან ნებისმიერი სხვა მიზნით, სხვა სამრეწველო ან საყოფაცხოვრებო ნარჩენების იმპორტი მათი გაუვნებელყოფის, დაწვის ან დამარხვის მიზნით.“

ტოქსიკურ ნივთიერებებში იგულისხმება სხვადასხვა სახის მწვავე მომწამლავი შენაერთები. რადიაქტიური მასალების რაობა განმარტებულია 230-ე მუხლის განხილვის დროს და აღარ გავიმეორებთ.

ტრანზიტი საქონლის მოძრაობაა თვით სახელმწიფოს ტერიტორიაზე ერთი პუნქტიდან მეორეში შუალედური პუნქტების გავლით ან ერთი სახელმწიფოდან მესამეში შუალედური სახელმწიფოს გავლით, იმპორტი კი სხვა სახელმწიფოს ტვირთია, რომელიც ჩვენს ქვეყანაში შემოდის.

კანონმდებელმა მკვეთრად გაუსვა ხაზი მხოლოდ იმ საქონლის ტრანზიტსა და იმპორტს, რომელიც რადიაქტიურია, ტოქსიკურია და შესაძლებელია, მათმა უტილიზაციამ, გაუვნებელყოფამ, გადამუშავებამ, დამარხვამ ან ნებისმიერმა სხვა მოქმედებამ გამოიწვიოს მძიმე შედეგი.

უტილიზაცია ნიშნავს იმას, რომ რადიაქტიური მასალები თავისთავად, როგორც საქონელი, უვარგისია, მაგრამ გადამუშავების შემდეგ ნედლეულად გამოდგება. გაუვნებელყოფა ნიშნავს სათანადო გადამუშავების შემდეგ განმუხტვას, რადიაქტიკურ-ტოქსიკურ თვისებებისაგან გათავისუფლებას.

გადამუშავება ითვალისწინებს ნივთიერებებისადმი სხვა სასარგებლო თვისებების მიცემას.

მაშასადამე, პირველი ნაწილით სისხლის სამართლის პ/მგებლობა დგება რადიაქტიური, ტოქსიკური ნივთიერებების, სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების მხოლოდ შემოზიდვაზე ან ტერიტორიის გავლით გატარებაზე ზემოთ ჩამოთვლილი დამუშავება-განმუხტვის მიზნით.

მეორე ნაწილი მუხლისა პასუხისმგებლობას ითვალისწინებს, თუ პირველი ნაწილის დისპოზიციას გაუფრთხილებლობით მოჰყვა მძიმე შედეგი (ადამიანთა მსხვერპლი, დაავადება, გარემოს მოწამვლა და ა.შ.).

სუბიექტური მხრივ დანაშაული, პირველი ნაწილის მიხედვით, პირდაპირი განზრახვით ხასიათდება, ე. ი. დამნაშავეს შეგნებული

აქვს, რომ ამგვარი მასალების შეტანა ან გატარება საქართველოს ტერიტორიაზე აკრძალულია, მაგრამ მაინც ჩადის ამას და სურს ასეთი, ხოლო მეორე ნაწილის მიხედვით დანაშაულებრივი შედეგი გაუფრთხილებლობის ბრალია.

დანაშაულის გვაროვნობითი ობიექტი არის ჩამოთვლილი ნივთიერებების შემოტანა-გატანის წესი, საზოგადოებრივი უშიშროება, ხოლო კონკრეტული ობიექტი — ადამიანთა სიცოცხლე და ჯანმრთელობა, გარემო და მატერიალური დოვლათი.

ობიექტური მხარე — რადიაქტიური ან ტოქსიკური ნივთიერებების ან საწარმოო ნარჩენების შემოზიდვა ან გატარება საქართველოს ტერიტორიაზე უტალიზაციის, გაუვნებელყოფის, გადამუშავების ან დამარხვის მიზნით.

მასობრივი განადგურების იარაღის, შეიარაღების ან სამხედრო ტექნიკის შესაქმნელი ტექნოლოგიის, მეცნიერულ-ტექნიკური ინფორმაციის ან მომსახურების უკანონო ექსპორტი — მუხლი 235

აღნიშნული მუხლი, გარკვეული დოზით, განსხვავებულია კოდექსის სხვადასხვა თავში. როგორც ცალკე კანონი, იგი სრულიად ახალია სისხლის სამართლის კანონმდებლობაში. ის ერთი ნაწილისაგან შედგება და მიზნობრივად იცავს ინტელექტუალური ობიექტების კანონიერ მიმოქცევას და მომსახურებას, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისა და საერთაშორისო მშვიდობის განმტკიცებისათვის.

მუხლის შინაარსი ასეთია: „მასობრივი განადგურების იარაღის ან მისი გადაზიდვის საშუალების, შეიარაღების ან სამხედრო ტექნიკის შესაქმნელი ტექნოლოგიის, მეცნიერულ-ტექნიკური ინფორმაციის ან მომსახურების უკანონო ექსპორტი, რომლის მიმართაც დადგენილია სპეციალური საექსპორტო კონტროლი“.

მუხლი დანაშაულად მიიჩნევს მასობრივი განადგურების იარაღების უკანონო ექსპორტს. აქ იგულისხმება ქიმიური, ბაქტერიოლოგიური, რადიაქტიური, სამხედრო ტექნოლოგია და სხვა მისთანები. შეიარაღების ან სამხედრო ტექნიკის შესაქმნელი ტექნოლოგიის ექსპორტში კანონმდებელი გულისხმობს კონსტრუქცი-

ულ-თეორიულ და სამეცნიერო მასალებს, რომელიც საფუძვლად უდევს შეიარაღების სპეციფიკას, სახეობას ან სამხედრო ტექნიკის შექმნას. აღნიშნული ინტელექტუალური სამეცნიერო ტექნოლოგიის ექსპორტისათვის დადგენილია სპეციალური სამართლებრივი ნორმები და კონტროლი.

სპეციალური საექსპორტო კონტროლი მოქმედებს თვით ქვეყნის შიგნით, შეიარაღების შიგა სავაჭრო წესების განხორციელების მიზნით და ხორციელდება კონკრეტული ობიექტების იმ ნომენკლატურაზე, რომელიც უშვებს საექსპორტო კონდიციის საქონელს და განსაზღვრავს მის სამართლებრივ სტატუსს.

სპეციალური საექსპორტო კონტროლი ხორციელდება ნორმატიულ-სამართლებრივ აქტებზე დაყრდნობით.

სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და მომსახურეობის საქმიანობა, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნეს მასიური განადგურების იარაღის დასამზადებლად, ხორციელდება სპეციალური ნორმატიულ-სამართლებრივი აქტებით.

დანაშაულის ამსრულებელი არის ის პირი, რომელსაც შეუძლია თავისი კომპეტენციით გადაწყვიტოს და განახორციელოს ქიმიური, ბაქტერიოლოგიური, რადიაქტიური ტექნოლოგიის, ინფორმაციის, მომსახურების და სხვა მისთანების უკანონო ექსპორტი.

სუბიექტური მხარე დანაშაულისა გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში. დამნაშავემ იცის, რომ ქონების ექსპორტი უკანონოა, შეგნებული აქვს ამ მოქმედების მართლსაწინააღმდეგო შედეგი და სურს ის.

დანაშაული დამთავრებულად ითვლება იარაღების და სამხედრო ტექნიკის, შესაქმნელი ტექნოლოგიის და სამეცნიერო ინფორმაციის საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე გადატანის მომენტიდან.

ცეცხლსასროლი იარაღის (გარდა გლუვლულიანი სანადირო თოფისა), საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება, დამზადება, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება – მუხლი 236

განსახილველი კანონი სამი ნაწილისაგან შედგება. მუხლის სათაურია შინაარსი განაწილებულია სამივე მათგანში.

ობიექტი დანაშაულისა არის საზოგადოებრივი უშიშროება. ბოლო წლებში ეს დანაშაული მეტად უცნაურად გაიზარდა, რაც განაპირობა ჭაოსურმა წლებმა, როცა ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოებში შეაღწიეს დამნაშავეთა ჯგუფებმა, რომლებმაც იარაღებისაგან გაძარცვეს პოლიციის განყოფილებები და სამხედრო ნაწილები.

მოსახლეობაში უნებართვოდ იარაღის შენახვა და ტარება მარტო განსახილველი მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს კი არ მოიცავს, არამედ იგი ზრდის ძარცვას, ყაჩაღობას, გამოძალვას და სხვა ისეთ დანაშაულობებს, რომელთა ჩადენაც პირდაპირ კავშირშია ცეცხლსასროლი იარაღის შეძენასა და შენახვასთან.

მუხლის პირველი ნაწილი ასეთი შინაარსისაა: ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა ან შენახვა.

დანაშაულის საგანი არის ცეცხლსასროლი იარაღი, საბრძოლო მასალა, ფეთქებადი ნივთიერება, ასაფეთქებელი მოწყობილობა, რომელიც მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა და შეინახა დამნაშავემ.

მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას აწესებს ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო ტარებისათვის.

მუხლის მესამე ნაწილი პასუხისმგებლობას აკისრებს პირს, რომელმაც ცეცხლსასროლი იარაღი, საბრძოლო მასალა, ფეთქებადი ნივთიერება ან ასაფეთქებელი მოწყობილობა მართლსაწინააღმდეგოდ დაამზადა, გადაზიდა, გადაგზავნა ან გაასაღა.

იმის დასადგენად, იარაღი ნამდვილად არის თუ არა ცეცხლსასროლი ან საბრძოლო მასალა, რეალურად აქვს თუ არა საბრძოლო

თვისებები, ან ამოღებული ნივთიერება ნამდვილად არის თუ არა ფეთქებადი, ან მოწყობილობა ნამდვილად არის თუ არა ისეთი კონსტრუქციისა, რომ დამუხტვის შემდეგ მოახდინოს აფეთქება, აუცილებლად საჭიროა ექსპერტიზის დასკვნა.

იარაღი არის საგანი, რომელიც თავისი კონსტრუქციული აგებულებით, მექანიზმით განკუთვნილია ცოცხალი ძალის გასანადგურებლად.

ცეცხლსასროლი იარაღი არის მექანიკური საგანი, რომელსაც თავისი სპეციალური კონსტრუქციული აგებულებით გააჩნია მექანიკური საშუალება, ააფეთქოს წამლით დამუხტული სათავსო, გაისროლოს ჭურვი ადამიანისათვის სასურველი მიმართულებით გარკვეულ მანძილზე და გაანადგუროს ან დააზიანოს ცოცხალი ძალა.

ზემოთ მითითებული იარაღები დამზადებულია როგორც სამსახურებრივი, ასევე სამოქალაქო გამოყენებისათვის, როგორც ქარხნული წესით, ასევე კუსტარულად.

ცეცხლსასროლ იარაღებს მიეკუთვნებიან შაშხანა, კარაბინი, პისტოლეტი, რევოლვერი, ავტომატი, ტყვიამფრქვევი, ყუმბარმტყორცნი, ზარბაზანი და სხვა, მიუხედავად მისი ყალიბისა.

საბრძოლო მასალა არის შეიარაღების საგანი, რომელიც დამზადებულია მექანიკური აფეთქებითი ტყორცნისათვის, რათა დააზიანოს, გაანადგუროს ან შეანგრიოს სამიზნე.

საბრძოლო მასალების კატეგორიებს განეკუთვნებიან საარტილერიო ჭურვები და ნაღმები, სამხედრო საინჟინერო ასაფეთქებელი ჭურვები და ნაღმები, ხელით სატყორცნი ტანკსაწინააღმდეგო ჭურვები, საბრძოლო რაკეტები, ავიაბომბები და ა.შ.

ფეთქებადი ნივთიერებებია ისეთი ქიმიური ან მექანიკური შენაერთები, რომელთაც შესწევთ სწრაფად აალებისა და აფეთქების თვითგარდაქმნის უნარი.

ფეთქებად მოწყობილობაზე ვისაუბრეთ 232-ე მუხლის განხილვის დროს.

განსახილველი დანაშაულის საგანს არ განეკუთვნება გრძელი და გლუვლულიანი იარაღები, გარდა ისეთი გამონაკლისისა, როგორიც არის 800 მმ. სიგრძისა და გადაჭრილი სანადირო თოფები.

იარაღის ტარებაში იგულისხმება, რომ იგი დამნაშავეს თან აქვს ჭუჩაში ან ტრანსპორტში — ტანზე მიკრული, ჯიბეში ან ჩანთაში ჩადებული.

უკანონოდ ითვლება ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალების და ფეთქებადი ნივთიერებების შენახვა და ტარება, თუ ეს ნებადართული არ არის შინაგან საქმეთა ორგანოებისაგან. ამავე ორგანოების სპეციალური ნებართვა ჭირდება მათ დამზადებას, შეძენას, გადაზიდვას, გადაგზავნას, გასაღებას.

შეძენაში კანონმდებელი გულისხმობს ზემოთ ჩამოთვლილი საგნების ყიდვას, ვალში მიღებას, ნივთში გაცვლას და ა.შ.

ცეცხლსასროლი იარაღის და სხვათა შეძენა, შენახვა და ტარება დაკვალიფიცირდება მუხლის ნაწილთა ერთობლიობით.

შენახვაში კანონმდებელი გულისხმობს იარაღის ან სხვა საბრძოლო მასალებისა და საგნების მოთავსებას საიდუმლო ადგილზე, სადაც მასზე ხელი ვერ მიუწვდება სხვა პირს — სამსახურის შენობაში, საცხოვრებელ ბინაში, საკუჭნაოში, გარაჟში, თივის ზვინში და ა.შ.

დამზადებაში იგულისხმება ჩამოთვლილი საგნების შექმნა, აწყობა, შეკეთება, გადაკეთება (მაგ. რაკეტსასროლი პისტოლეტის გადაკეთება საბრძოლო იარაღად), ასაფეთქებელი შენაერთების დამზადება, შერევა და საბრძოლო კონდიციაში მოყვანა შ.ს. ორგანოს სათანადო ნებართვის გარეშე.

გადაზიდვაში იგულისხმება იარაღის გადატანა ერთი ადგილიდან მეორეზე (ერთი ქუჩიდან მეორეზე, ერთი ქალაქიდან მეორეში და ა.შ.) ნებისმიერი ტრანსპორტით, თუნდაც ხელით.

გაგზავნაში იგულისხმება ჩამოთვლილი საგნების ფოსტის საშუალებით გადაადგილება ერთი ქალაქიდან მეორეში ან ერთი დასახლებული პუნქტიდან მეორეში.

გასაღებაში კანონმდებელი გულისხმობს იარაღების გაყიდვას ფულის, ნივთების ან სხვა სასარგებლო სამუშაოს სანაცვლოდ. გასაღებაში იგულისხმება, აგრეთვე, გაცვლა და სხვა.

დანაშაული დამთავრებულად ითვლება ჩამოთვლილ ქმედებათა განხორციელებისთანავე.

სუბიექტური მხარე გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში.

ობიექტი არის საზოგადოებრივი უშიშროება და წესრიგი.

ობიექტური მხარე გამოიხატება მუხლის სამივე ნაწილში ჩამოთვლილი რომელიმე მოქმედების განხორციელებაში.

მუხლის ბოლოს კანონმდებელმა შენიშნა: ის, ვინც ნებაყოფლობით ჩააბარებს ამ მუხლში ჩამოთვლილ საგნებს, გათავისუფლდება ამ მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

ნებაყოფილობით ჩაბარებაში კანონმდებელი გულისხმობს იარაღებისა და დანაშაულის სხვა საგნების თავისი სურვილით და ინიციატივით გადაცემას ხელისუფლების ორგანოებისათვის, რასაც წინ არ უძღოდა ამავე ორგანოებისაგან წინადადების მიცემა, გაფრთხილება და ა.შ.

იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება მისაკუთრების მიზნით ან გამოძალვა – მუხლი 237

განსახილველი მუხლი ოთხი ნაწილისაგან შედგება. ქმედება, რომელიც დაკავშირებულია ცეცხლსასროლი იარაღის, ფეთქებადი მასალებისა და სხვათა შეძენასთან თუ შენახვასთან, მუდამ იპყრობდა და იპყრობს კანონის ყურადღებას, მაგრამ წინამდებარე მუხლი სრულიად სხვაგვარი შინაარსის შემცველობისაა. პირველი ნაწილი პასუხისმგებლობას აკისრებს პირს, რომელიც ცეცხლსასროლ იარაღს, მის მაკომპლექტებელ დეტალს, საბრძოლო მასალას, ფეთქებად ნივთიერებას ან ასაფეთქებელ მოწყობილობას მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლა მისაკუთრების მიზნით ან გამოსძალა მეპატრონეს.

ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების, ასაფეთქებელი მოწყობილობის რაობაზე საუბარი გვქონდა 236-ე მუხლის განხილვის დროს. აქ შევჩერდებით მხოლოდ მაკომპლექტებელ დეტალებსა და მათი მისაკუთრება-გამოძალვის საშიშროებაზე. პრაქტიკამ გვაჩვენა, რომ დამნაშავეთაგან ამოღებული ტაბელური სახეობის იარაღები ხშირად თავისი სახელმწიფო ნომრითა და სახეობით არ ემთხვევა ხოლმე შ. ს. ორგანოებში რეგისტრირებულ იარაღებს. გამოძიებით დადგინდა, რომ იარაღი აწყობილია სხვადასხვა დროს უკანონოდ შეძენილი დეტალებისაგან.

მაკომპლექტებელი დეტალი არის იარაღის ის საჭირო შემადგენელი ნაწილი, რომელიც განსაზღვრავს იარაღის საბრძოლო

ფუნქციონირებას და წარმოადგენს მისი კონსტრუქციული მთლიანობის შემადგენელ ერთეულს. იარაღის შემადგენლობაში არჩევენ უშუალოდ გასროლის მექანიზმსა და ზოგად შემადგენელ ნაწილებს, მაგრამ ამას კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არ აქვს.

მართლსაწინააღმდეგო დაუფლებაში კანონმდებელი გულისხმობს ყველა ხერხით დაუფლებას, რომელიც კი მართლსაწინააღმდეგოდ არის მიჩნეული: ქურდობა, თაღლითობა, ყაჩაღობა და სხვა აქედან გამომდინარე. დისპოზიციის პირველ ნაწილზე „ან გამოძალვა“-ს დამატება, ჩვენის აზრით, საჭირო არ იყო.

გამოძალვის იურიდიულ ნიშნებზე აქ არ შევჩერდებით, რადგან მასზე ვისაუბრეთ 181-ე მუხლის განხილვის დროს.

მუხლის მეორე ნაწილი, ობიექტური მხრივ, პირველის იდენტურია, ხოლო დანაშაულის საგნებად აქ კანონმდებელი ჩამოთვლის ბირთვულ, ქიმიურ, ბიოლოგიურ ან მასობრივი განადგურების სხვა იარაღს ანდა ასეთი იარაღის დასამზადებელ მოწყობილობას.

მაკვალიფიცირებელი ნიშანი მუხლის ამ ნაწილისა გამოიხატება მასში, რომ დამნაშავე მართლსაწინააღმდეგოდ ეუფლება ან გამოსძალავს ბირთვულ, ქიმიურ, ბიოლოგიურ ან მასობრივი მოსპობის სხვა იარაღს ან ასეთი იარაღების დასამზადებელ მოწყობილობას მითვისების მიზნით.

დასახელებული დანაშაულის საშიშროება მდგომარეობს მასში, რომ იგი ქმნის ცხოველთა და მცენარეთა საფარის მასიური განადგურების საფრთხეს.

ქიმიური იარაღის გამოყენება ნებისმიერ დროს ითვლებოდა და ითვლება საშიშ დანაშაულად. 1925, ხოლო შემდეგ 1933 წელს ხელმოწერილი იქნა კონვენციები ქიმიური იარაღების დამზადებისა და გამოყენების წინააღმდეგ, ხოლო 1977 წელს – ბაქტერიოლოგიური იარაღის წარმოებისა და გამოყენების წინააღმდეგ.

ბირთვული ენერგია – ეს არის ატომის ბირთვში თავმოყრილი ენერგია, რომელიც შეიძლება გამოიყოს ბირთვული გარდაქმნების პროცესში.

„ბირთვულ საბრძოლო მასალებს განეკუთვნება რაკეტების საბრძოლო ნაწილები, საავიაციო ბომბები, ტორპედოები, ფუგასე-

ბი, საარტილერიო ჭურვები, ბირთვული ან თერმობირთვული მუხტები. საბრძოლო მასალების აფეთქების სიმძლავრე რამდენიმე ასეული ტონიდან ასეულ მილიონამდე ტონა ტროტილის აფეთქებას უდრის, რაც ათასჯერ და მილიონჯერ აღემატება ჩვეულებრივი საარტილერიო ჭურვისა და საავიაციო ბომბების სიმძლავრეს".[1]

მასიური განადგურების ქიმიური იარაღებია მაღალმომწამვლელობითი თვისებების მქონე ქიმიური საშუალებები და შენაერთები, რომლებიც განკუთვნილია სამხედრო საბრძოლო დანიშნულებისათვის ცოცხალი ძალის განადგურების მიზნით. აღნიშნული იარაღი ხასიათდება მაღალი მომწამვლელი თვისებებით, იწვევს მოწინააღმდეგის ორგანიზმის მრავალ სასიცოცხლო ფუნქციაზე კომპლექსური ტოქსიკური ზემოქმედებით, კანის ნასვრეტებში დაუყოვნებლივი შეჭრით და სასუნთქი ორგანოების მკვეთრი დაბზობით გადაუდებელ სასიკვდილო დაზიანებას. ახასიათებს უფერობა, უსუნობა, ამოსაცნობად ძნელია.

მასიური განადგურების ბიოლოგიურ იარაღია ის ბიოლოგიური საშუალებები, რომელიც სპეციალურად არის შექმნილი სამხედრო საბრძოლო დანიშნულებისათვის ცოცხალი ძალის მასობრივად დაავადებისა და განადგურების მიზნით (ქოლერა, ჟამი, შავი ჭირი და სხვა). მათი გავრცელება, გადაფრქვევა ხდება საავიაციო და საარტილერიო ჭურვებით და ა.შ.

მასიური მოსპობის სხვა იარაღებში იგულისხმება ყველა სხვა იარაღი და საშუალება, რომლებიც თავიანთი თვისებებით გვანან ზემოთ განხილულ იარაღთა სახეობებს.

დასამზადებელ მასალებსა და მოწყობილობებში იგულისხმება ის ნედლეული, ქიმიური პრეპარატები, ტექნიკური დამუშავებითი საინჟინერო, ფიზიკური კონსტრუქციები, სადაც მიმდინარეობს ქიმიური რეაქციები ქიმიური და ბიოლოგიური იარაღების დასამზადებლად.

დანაშაულის განსაკუთრებული კვალიფიციური ნიშნები ჩამოყალიბებულია მუხლის მესამე ნაწილში, როდესაც 1 და მე-2 ნაწილში აღწერილი დანაშაული ჩადენილი იქნება:

ა) პირთა ჯგუფის მიერ, წინასწარი შეთანხმებით.

ბ) არაერთგზის.

---

1. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 2, გვ. 400.

გ) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით.

დ) ძალადობით, რაც საშიში არ არის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, ან ასეთის მუქარით.

სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენების ცნებაში იგულისხმება მდგომარეობა, როდესაც პირს ჩამოთვლილი იარაღები მინდობილი ჰქონდა სამსახურებრივი უფლებამოსილებით საგუშაგოდ საწყობში, სამოსწავლოდ და ამ მდგომარეობის გამოყენებით მიისაკუთრა.

„დ“ პუნქტის ცნების შესწავლის დროს უნდა ვიხელმძღვანელოთ 178-ე მუხლის განხილვაში არსებული მასალებით.

მუხლის მეოთხე ნაწილი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას მაშინ, თუ პირველი, მეორე ან მესამე პუნქტით გათვალისწინებული ქმედება ჩადენილია:

ა) ორგანიზებული ჯგუფის მიერ.

ბ) სიცოცხლისა ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენებით ან ასეთი ძალადობის მუქარით.

„ბ“ პუნქტის გარკვევისათვის უნდა ვიხელმძღვანელოთ 179-ე მუხლის განხილვის მასალებით.

ობიექტი დანაშაულისა არის საზოგადოებრივი უშიშროება და წესრიგი, ასევე საკუთრება.

ობიექტური მხარე გამოიხატება ჩამოთვლილი იარაღების უკანონოდ მისაკუთრებაში ნებისმიერი ფორმით.

ამსრულებელი დანაშაულისა შეიძლება იყოს ნებისმიერი მოქალაქე და ასევე პირი, რომელსაც იარაღი მინდობილი აქვს სამსახურებრივი უფლებამოსილებით.

სუბიექტური მხარე გამოიხატება პირდაპირი განზრახვით.

ცეცხლსასროლი იარაღის დაუდევრად შენახვა – მუხლი 238

მუხლის შინაარსი მდგომარეობს მასში, რომ კანონმდებელი დანაშაულად თვლის არა იარაღის შენახვას, როგორც ეს 238-ე მუხლშია მოცემული, არამედ იმას, რომ პიროვნება, რომელსაც იარაღის ტარების უფლება გააჩნია, დაუდევრად ინახავს მას. დაუდევრობა მდგომარეობს მასში, რომ გარეშე პირს ექმნება შესაძ-

ლებლობა, მიაგნოს იარაღს და გამოიყენოს დანაშაულებრივად. კანონმდებელი სასჯელს ითვალისწინებს მაშინ, თუ ამ გამოყენებას, ან დაუდევრად შენახვას გაუფრთხილებლობით მოჰყვა ადამიანის დაღუპვა ან სხვა მძიმე შედეგი.

მუხლი ასეთი შინაარსისაა: „ცეცხლსასროლი იარაღის, მათ შორის – გლუვლულიანი სანადირო თოფის, დაუდევრად შენახვა, რითაც შექმნილი იყო პირობა მისი სხვა პირის მიერ გამოყენებისათვის, რამაც გაუფრთხილებლობით გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი.“

გვარობითი ობიექტია საზოგადოებრივი უშრიშროება, უშუალო ობიექტი კი – ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა.

შენახვა გულისხმობს იარაღის ისეთ საცავში მოთავსებას, რომელიც გამორიცხავს სხვა პირის მასთან დამოკიდებულებას:. აღებას, ხმარებას და ა.შ.

დაუდევრად შენახვა სწორედ იმ წესების დარღვევაა, რომელიც სპეციალური დებულებით არის გათვალისწინებული. დარღვევით შენახვა აძლევს უცხო პირს საშუალებას, ნახოს და გამოიყენოს იარაღი. ერთი სიტყვით, დანაშაულის ჩადენა ხდება უმოქმედობით.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ არ უნდა აგვერიოს დაუდევრად შენახვა მართლსაწინააღმდეგოდ შენახვაში. ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგოდ შენახვაზე საუბარია სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლში და იგი ითვალისწინებს შენახვის უფლების არქონას, ხოლო დაუდევრად შენახვა გულისხმობს კუთვნილი იარაღის შენახვის წესების დარღვევას.

განსახილველი დანაშაულის შემადგენლობა მატერიალურია, რადგან ქმედება, კერძოდ – დაუდევრად შენახვა მაშინ ისჯება, თუკი ამ შენახვის შედეგი მძიმეა.

ზუსტი კვალიფიკაციისათვის აუცილებელია, გათვალისწინებული იქნეს:

1) იარაღის შენახვის რომელი წესები დაირღვა.

2) გამოიყენა თუ არა მეორე პირმა ეს იარაღი პირდაპირი დანიშნულებით.

3) როგორია იარაღის გამოყენების შედეგი.

4) მიზეზობრივი კავშირი დაუდევრობასა და მძიმე შედეგს შორის.

ამსრულებელი დანაშაულისა არის პირი, რომელიც კანონიერად ატარებს იარაღს.

სუბიექტური მხარე მდგომარეობს გაუფრთხილებლობაში(თვითმიმედოვნება ან დაუდევრობა). თვითმიმედოვნების დროს დამნაშავე გრძნობს, რომ ის იარაღს არ ინახავს საიმედოდ, მაგრამ იმედი აქვს, არავინ აიღებს, დაუდევრობის დროს კი ვერ ითვალისწინებს იარაღის უგულისყუროდ შენახვის შედეგს, არადა, ვალდებული იყო, გაეთვალისწინებინა და შეეძლო გაეთვალისწინებინა.

ხულიგნობა – მუხლი 239

ხულიგნობა ერთ-ერთი მძიმე დანაშაულია. იგი არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და გამოხატავს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობას, რასაც თან ერთვის ლანძღვა-გინება, ძალადობა მოქალაქეთა მიმართ ან ძალადობის მუქარა.

მუხლი სამი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილის შინაარსი ასეთია: ,,ხულიგნობა, ე. ი. მოქმედება, რომელიც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და გამოხატავს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობას, ჩადენილი ძალადობით ან ძალადობის მუქარით". ერთი სიტყვით, ხულიგნობა სამი ძირითადი ნიშნით ხასიათდება:

ა) საზოგადოებრივი წესრიგის უხეში დარღვევით.

ბ) საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობის გამოხატვით.

გ) მოქალაქეთა მიმართ ძალადობით, ან ძალადობის მუქარით.

საზოგადოებრივი წესრიგის უხეშ დარღვევაში იგულისხმება ისეთი მოქმედება, რომელიც არღვევს საზოგადოებრივ მორალს, ურთიერთპატივისცემის ნორმებს, დამოკიდებულების წესებს, სიმშვიდეს, წამლავს და ამღვრევს ადამიანის გუნება-განწყობილებას და ა.შ.

საზოგადოების უპატივცემულობაში კანონმდებელი გულისხმობს მოქალაქეთადმი უწმაწური, მიუღებელი სიტყვებით მიმართვას, დაცინვას, სარცხვენელი ადგილების ჩვენებას და ა.შ.

ძალადობაში იგულისხმება ადამიანისათვის ხელის კვრა, ჭვის თუ სხვა ნივთების სროლა, ცემა და სხვა.

თუმცა კანონმდებელი დისპოზიციაში არ მიუთითებს, მაგრამ ხულიგნობის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი ქონებრივი ზარალიც, როდესაც დამნაშავე ამსხვრევს ფანჯრებს, კარებს, ღობეებს, აბრუნებს მერხებს, აზიანებს ავტომანქანებს და ა.შ. საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა და საზოგადოების მიმართ უპატივცემულობის გამოხატვა ტიპიურად ხდება საზოგადოების თავშეყრის, საქმიანობის ან ცხოვრების ადგილებზე (ქუჩაში, დაწესებულებაში, პარკში, კინო-თეატრში, რესტორანში, ტრანსპორტში და ა.შ.).

მაგრამ არ არის გამორიცხული ხულიგნობა სხვაგანაც (მაგალითად, ტყეში, მინდორში და სხვ. მარტო კაცის მიმართ).

მუხლის მეორე ნაწილით, ხულიგნობის მაკვალიფიცირებელ ნიშნებს მიეკუთვნება: ჯგუფის მიერ ხულიგნობის ჩადენა წინასწარი შეთანხმებით, ან იმ პირისადმი, რომელიც მოქმედებდა ხულიგნობის აღსაკვეთად. წინააღმდეგობის გაწევა გულისხმობს იმ პირთა საწინააღმდეგოდ მოქმედებას, რომლებიც ასრულებენ სახელმწიფოებრივ, საზოგადოებრივ ან მოქალაქეობრივ ვალს წესრიგის დაცვის დროს. წინააღმდეგობის გაწევაში კანონმდებელი გულისხმობს მათი კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობას, დაუმორჩილებლობას.

თუ წინააღმდეგობის გაწევა ხელისუფლების წარმომადგენლისადმი ან საზოგადოებრივი წესრიგის დამცველისადმი მოხდა ხულიგნობის ფაქტის დამთავრების შემდეგ, ქმედება კვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობით.

იურიდიულ ლიტერატურაში იყო აზრი, თითქოს ხულიგნობა უმოტივო დანაშაულებრივ ქმედებას წარმოადგენდეს, მაგრამ ეს მოსაზრება ვერ დამკვიდრდა, რადგან უმოტივო საქციელი შეურაცხადობისაკენ უფრო იხრება, ხოლო ხულიგნობას აშკარად გამოკვეთილი მოტივი და ბიძგი უდევს საფუძვლად — ეს არის მწვავე გაღიზიანება და ეგოისტური დამოკიდებულება თვით საზოგადოების მიმართ, რომელიც დამნაშავის ფსიქიკაში რომელიმე ცხოვრებისეულმა მწვავე მომენტმა განაპირობა.

მაგრამ ისიც უნდა ვთქვათ, რომ ხულიგნობა გამორიცხავს პირად მოტივს რომელიმე დაზიანებული პიროვნების მიმართ.

მუხლის მესამე ნაწილი ითვალისწინებს ისეთ ქმედებას, როდესაც დამნაშავე მუხლის პირველი ან მეორე ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენის დროს იყენებს ცეცხლსას-

როლ იარაღს (რევოლვერს, პისტოლეტს ან სხვა რამ საგანს). გამოყენებაში კანონმდებელი გულისხმობს იარაღის გასროლას ადამიანის მსხვერპლის ან დაზიანების გარეშე, მაგრამ თუ გასროლას მძიმე შედეგი მოჰყვა, მოქმედება კვალიფიცირდება როგორც ხულიგნობით, ასევე დაზიანების ან მოკვლის შესატყვისი მუხლით.

ამსრულებელი დანაშაულისა შეიძლება იყოს ნებისმიერი მოქალაქე, სუბიექტური მხარე გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში.

ობიექტი არის საზოგადოებრივი უშიშროება და წესრიგი. ობიექტური მხარე გამოიხატება საზოგადოებრივი წესრიგის უხეშ დარღვევაში, იარაღის გამოყენებაში და ა.შ.

31-ე თავი

სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესების დარღვევა

სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევა – მუხლი 240

განსახილველი მუხლი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი პასუხისმგებლობას აწესებს, როდესაც დამნაშავემ ჩაიდინა: ,,უსაფრთხოების წესის დარღვევა სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოს წარმოებისას და რამაც გაუფრთხილებლობით გამოიწვია ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება.“

გვარობითი ობიექტი დანაშაულისა არის საზოგადოებრივი უშიშროება და წესრიგი, ხოლო უშუალო ობიექტი – ადამიანთა სიცოცხლე და ჯანმრთელობა.

ობიექტური მხარე დანაშაულისა გამოიხატება სამთო-მოპოვებითი მშენებლობის, ან სხვა სამუშაოების წარმოებისათვის დადგენილი უსაფრთხოების წესების დარღვევაში.

სამთო სამუშაოებში იგულისხმება სამთო მოპოვებითი საქმიანობა, რომელიც მოიცავს მადნეულის მოპოვებისათვის გათხრების, აფეთქების ან სხვა სამუშაოების წარმოებას. ეს საქმიანობა

დაკავშირებულია რა რთულ და საბიფათო პროცესთან, ყოველი კონკრეტული სამუშაო უნდა შესრულდეს უსაფრთხოების დადგენილი წესების განუხრელი დაცვით.

სამშენებლო სამუშაოებში კანონმდებელი გულისხმობს საწარმოო კომპლექსების, საცხოვრებელი სახლების ან სამეურნეო, ადმინისტრაციული შენობის აგება-შეკეთებას და სხვა ამგვარს.

ან სხვა სამუშაოებში იგულისხმება ყველა ის მშენებლობა, რომელიც ხორციელდება განსაკუთრებული საწესდებო ნორმებით (აფეთქებითი სამუშაოები გზების, მისასვლელების გაყვანისათვის და ა.შ.) ან სხვა ნებისმიერი საწარმოო საქმიანობა.

ზემოთ ჩამოთვლილ სამუშაოთა უსაფრთხო წარმოება დაკავშირებულია როგორც შრომის კანონმდებლობის ნორმების დაცვასთან, ასევე კონკრეტული უსაფრთხოების ნორმების განუხრელად განხორციელებასთან, რაც გარანტირებულს ხდის მუშა-მოსამსახურე პერსონალის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვას.

მუხლი ბლანკეტურია და ამიტომ იმის განსაზღვრისათვის, უსაფრთხოების რომელი ნორმა დაირღვა, საჭიროა უსაფრთხოების წესების დებულების გამოყენება. სამთო-მოპოვებითი თუ სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე აუცილებელია სამუშაოთა იზოლირება შერაგვით, ხარაჩოების გამაგრებით, აფეთქებითი სამუშაოების წარმოების დროს გამაფრთხილებელი ღონისძიების გატარებით, ჭაბურღილების დახურვით, ელექტროქსელების იზოლაციით, სასიგნალო ნიშნებით, სათანადო ინსტრუქტაჟის ჩატარებით, სპეციალისტების მომზადება-გადამზადებით და ა.შ.

როგორც მუხლის პირველი ნაწილი მიუთითებს, პასუხისმგებლობის საკითხი დგება მაშინ, თუ უსაფრთხოების წესების დარღვევას შედეგად მოჰყვა მოქალაქის ჯანმრთელობის მძიმე ან ნკლებად მძიმე დაზიანება. დაზარალებული შეიძლება იყოს სამუშაო ობიექტის თანამშრომელი ან სხვა გარეშე პირი.

უსაფრთხოების წესები შეიძლება დაირღვეს როგორც მოქმედებით, ასევე უმოქმედობით.

დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს პირი, რომელიც სამსახურებრივი უფლებამოსილებით ვალდებული იყო, დაეცვა უსაფრთხოების წესები.

სუბიექტური მხარე დანაშაულისა გამოიხატება გაუფრთხილებლობაში, ან პირი ხედავს და შეგნებული აქვს, რომ ირღვევა

უსაფრთხოების წესები ამა თუ იმ კონკრეტული სამუშაოს ჩატარების დროს, მაგრამ რაიმე მოსაზრებით ფიქრობს, რომ ამას არ მოჰყვება უარყოფითი შედეგი, შეძლებს მის თავიდან აცილებას, ან საერთოდ ვერ ითვალისწინებს, რა მოჰყვება შედეგად ამ კონკრეტული სამუშაოს ასეთ ფორმებში წარმოებას, არადა, ვალდებული იყო, გაეთვალისწინებინა და შეეძლო გაეთვალისწინებინა.

მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას აწესებს, როდესაც პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებას შედეგად მოჰყვება გაუფრთხილებლობით ადამიანის დაღუპვა ან სხვა მძიმე შედეგი.

სხვა მძიმე შედეგში იგულისხმება დიდი ოდენობით მატერიალური ზარალი (მაგ. მშენებლობის დროს ელექტროქსელის მოუწესრიგებლობის გამო გაჩენილი ხანძრით შენობა-ნაგებობათა განადგურება ან დაზიანება), კვალიფიკაციის საკითხის გადაწყვეტის დროს აუცილებელია მიზეზობრივი კავშირის დადგენა დარღვევასა და შედეგს შორის.

ატომური ენერგეტიკის ობიექტზე უსაფრთხოების წესის დარღვევა – მუხლი 241

ბირთვული ენერგია თანამედროვე ადამიანის აზროვნების უნიკალური შედეგია. ეს ის ენერგიაა, რომელზედაც უტყუარად ამყარებს იმედს თანამედროვე მსოფლიო. დღეს დიდი წარმატებით იყენებენ ბირთვულ საწვავს, რომლიც ბირთვული რეაქტორებისათვის საჭირო ენერგიის უპირველესი წყაროა.

ბირთული ტექნიკა ახალი დარგია, რომელიც ენერგეტიკის, მრეწველობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის, მედიცინის და სხვა მეცნიერებათა რიგ მნიშვნელოვან ამოცანებს წყვეტს ატომის ბირთვის ენერგიის გამოყენებით. ამ სფეროში შედის ბუნებრივად ხლეჩვადი ელემენტების მოპოვება, ხელოვნურად ხლეჩვად ნივთიერებათა შექმნა, ბირთვული რეაქტორების აგება და ექსპლოატაცია, სატრანსპორტო, ატომური ძრავების შექმნა, ბირთვული რეაქტორების სითბოს გამომყოფი ელემენტების დამზადება, გამოსხივებათა საზომი ხელსაწყოების შექმნა და ა.შ. განსაკუთრებით დაიძრა წინ ბირთვული ფიზიკა, ბირთვული ქიმია და ა.შ.

ზემოთ ჩამოთვლილი მეცნიერული ტექნოლოგიების გან-

ვითარება უშუალოდ დაკავშირებულია შესაბამის შენობა-ნაგებობათა მშენებლობასთან.

განსახილველი მუხლის მიზანია, ატომური ენერგეტიკის ობიექტების განლაგების, დაპროექტების, მშენებლობის ან ექსპლოატაციის დროს წინ აღუდგეს უსაფრთხოების წესების დარღვევას, რასაც შეიძლება შედეგად მოჰყვეს ადამიანის დაღუპვა გაუფრთხილებლობით ან გარემოს რადიაქტიური დაბინძურება.

მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება გვაქვს მაშინ, როდესაც ასეთი მშენებლობის დროს ან ექსპლოატაციის პროცესში უსაფრთხოების წესების დარღვევამ გამოიწვია ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება.

მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას აწესებს მაშინ, თუ პირველ ნაწილში გათვალისწინებულ მშენებლობისა თუ ექსპლოატაციის წესების დარღვევას შედეგად მოჰყვა ადამიანის დაღუპვა ან სხვა მძიმე შედეგი.

ან სხვა მძიმე შედეგში იგულისხმება რამდენიმე ადამიანის დაღუპვა ან მძიმე დაზიანება და ა. შ.

მშენებლობის დროს უსაფრთხოების წესების დარღვევის გამო კედლის ან სახურავის ჩამონგრევით ადამიანის დაღუპვა არ დაკვალიფიცირდება განსახილველი მუხლით.

უსაფრთხოების ტექნიკის დარღვევა შეიძლება გამოიხატოს დანადგარების არასწორად დამონტაჟებაში, ბირთვის გახლეჩვის ტექნოლოგიის დარღვევაში, გამოსხივების შემზღუდავი საშუალებების მოწყობის წესების დაუცველობაში და ა.შ.

დანაშაულის ობიექტი არის სამუშაოს წარმოების უსაფრთხოების წესები. ობიექტური მხარე მშენებლობის ან ექსპლოატაციის წესების დარღვევაში გამოიხატება, რასაც შედეგად ადამიანის მძიმედ ან ნაკლებად მძიმე დაზიანება ან დაღუპვა მოჰყვა.

დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს მშენებლობის მწარმოებელი პირი ან ის პირი, რომელიც ბირთვის დამუშავებისათვის შესაბამისი დანადგარების ექსპლოატაციას უძღვება (ინჟინერი, ტექნოლოგი და ა.შ.).

სუბიექტური მხარე გამოიხატება გაუფრთხილებელი ბრალით.

აფეთქებასაშიშ საწარმოში ან საამქროში უსაფრთხოების წესების დარღვევა – მუხლი 242

1997 წლის 10 დეკემბრის კანონი „საშიში საწარმოო ობიექტების უსაფრთხოების შესახებ“ მკაფიოდ განმარტავს თავის პრეამბულაში, რომ „ფეთქებადი ნივთიერებებია, რომელთაც გარკვეული სახის გარე ზემოქმედებისას უნარი აქვთ თვით გავრცელდნენ და განიცადონ ქიმიური გარდაქმნა“ და ა. შ. დასახელებული კანონი ამასთანავე განსაზღვრავს ასეთი საწარმოების დაპროექტება-მშენებლობის, წარმოება-გამოყენების, ექსპლოატაციის, მუშაობის პროცესში უსაფრთხოების პირობების შექმნას (მუხლი 10) და ა. შ.

განსახილველი მუხლი ორი ნაწილისაგან შედგება. დისპოზიცია ასეთი შინაარსისაა:

„აფეთქებასაშიშ საწარმოში ან საამქროში საწარმოო-ტექნიკური უსაფრთხოების წესის დარღვევა, რასაც გაუფრთხილებლობით შეეძლო გამოეწვია მძიმე შედეგი.“

დისპოზიცია ბლანკეტურია, რადგან დანაშაულის შემთხვევაში სპეციალურმა დებულებებმა და ინსტრუქციებმა უნდა მიგვითითოს საწარმოო-ტექნიკური დისციპლინის თუ უსაფრთხოების წესების რომელი ნორმები დაირღვა და რაში გამოიხატება ის.

აფეთქებასაშიშად ითვლება ამონალის ან სხვა ფეთქებად ნივთიერებათა წარმოებისა და დამუშავების საამქროები, ნავთობპროდუქტების, საწვავი მასალების, ნახშირის, გაზის, ჟანგბადის და სხვათა საწარმოები და ა.შ.

„საწარმოო-ტექნიკური და უსაფრთხოების წესის დარღვევაში“ იგულისხმება ნივთიერებათა ქიმიური დაუმუშავების, კომპონენტური შეერთების, რეაქციებისა და ურთიერთშეჯიდულობის საინჟინრო-მეცნიერული პროცესების დარღვევა.

„წარმოების წესების დარღვევაში“ იგულისხმება ნივთიერებათა მიღება-დამუშავების დროს საქმიანობის პროცესების, გადაზიდვის წესების, ხახუნის, ტემპერატურის, ტენიანობის და სხვა პირობების გაუთვალისწინებლობა.

როგორც მუხლის მეორე ნაწილი მიუთითებს, სწორედ ამას შეიძლება მოჰყვეს გაუფრთხილებლობით აფეთქება, ხანძარი, ადამიანის სიკვდილი ან სხვა მძიმე შედეგი.

„ან სხვა შედეგში“ კანონმდებელი გულისხმობს დიდი ოდენობით მატერიალურ ზარალს ან მრავალი ადამიანის დაზიანებას. დაზარალებული შეიძლება იყოს როგორც საამქროს მუშაკი, ასევე გარეშე პირი.

ამსრულებელი დანაშაულისა არის როგორც რიგითი მუშაკი, ასევე თანამდებობის პირი, ვისაც სამსახურებრივად ევალება საწარმოო-ტექნიკური დისციპლინის ან წარმოების უსაფრთხოების წესების დაცვა.

სუბიექტური მხარე გამოიხატება გაუფრთხილებლობითი ბრალის ფორმით.

დანაშაულის ობიექტი არის სამუშაოს წარმოების უსაფრთხოების წესები.

დანაშაულის ობიექტური მხარე უსაფრთხოების წესის დარღვევაში გამოიხატება.

სახანძრო უსაფრთხოების წესის დარღვევა – მუხლი 243

სახალხო მეურნეობის მშენებლობა მჭიდრო კავშირშია სახანძრო წესების განუხრელ დაცვასთან. მათი დარღვევა საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, მატერიალურ დოვლათს. მატერიალური წარმოებისა თუ მოპოვების ყოველი დარგის წარმატებითი მუშაობა მჭიდროდ არის დაკავშირებული სახანძრო წესების განუხრელ დაცვასთან.

1998 წლის 12 მაისის კანონი „სახანძრო უსაფრთხოების შესახებ“ ადგენს სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სამართლებრივ, ეკონომიკურ და სოციალურ საფუძვლებს, აწესრიგებს ამ სფეროში სახელმწიფო ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების ურთიერთობას ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან. ეს კანონი და საერთოდ უსაფრთხოების კანონმდებლობა სახანძრო ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციას, შედგება ამ კანონისა და სხვა ნორმატიული აქტებისაგან, რომლებითაც უნდა ვიხელმძღვანელოთ ხანძარსაწინააღმდეგო წესების დანაშაულებრივი დარღვევის დროს კვალიფიკაციის განსაზღვრისათვის.

ობიექტი განსახილველი დანაშაულისა არის სახანძრო უშიშ-

როება, ე. ი. ადამიანისა და ქონების დაცვა ხანძრისაგან. კონკრეტულად — ადამიანის სიცოცხლე, ჯანმრთელობა, ქონება.

მუხლი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილის შინაარსი ასეთია: სახანძრო უსაფრთხოების წესების დარღვევა იმის მიერ, ვისაც ამ წესების დაცვა ევალებოდა, რამაც გაუფრთხილებლობით გამოიწვია ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება.

ობიექტური მხარე დანაშაულისა გამოიხატება სახანძრო წესების დარღვევაში, რომელმაც გაუფრთხილებლობით გამოიწვია ადამიანის ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება (პირველი ნაწილის მიხედვით).

სახანძრო უსაფრთხოების წესები საკმაოდ ვრცელი დებულებაა და ნორმების მთელ კომპლექსს მოიცავს, იგი ადგენს იმ სტანდარტებს, რომლის განუხრელად გატარებას სრულიად საიმედოდ შეუძლია დაიცვას ხანძრით განადგურებისაგან ადამიანის სიცოცხლე, ჯანმრთელობა, მატერიალური სიკეთე, ქალაქები, სოფლები, დასახლებული პუნქტები.

მუხლის დისპოზიცია ბლანკეტურია. კვალიფიკაციის დროს აუცილებლად უნდა იქნეს გამოყენებული სახანძრო უსაფრთხოების წესების შესახებ არსებული სპეციალური ლიტერატურა.

დანაშაულებრივი მოქმედება შეიძლება ჩადენილი იქნეს როგორც მოქმედებით, ასევე უმოქმედობით.

კვალიფიკაციის სწორად გადაწყვეტისათვის აუცილებელია კავშირის დადგენა ხანძრის გაჩენის გამომწვევ მიზეზსა და შედეგს შორის.

ხანძარსაწინააღმდეგო წესების დაცვა მეტად ფართო ცნებაა და იგი მოქმედებს და ეხება სახალხო მეურნეობის ყველა სფეროს: წარმოებას, მშენებლობას, სოფლის მეურნეობას, საყოფაცხოვრებო პირობებს და ა.შ. ძირითადი ბაზა ხანძრის წარმოშობისა არის ელექტრომეურნეობის მოუწესრიგებლობა, შედუღებითი და აფეთქებითი სამუშაოების წარმოება სათანადო წესების დარღვევით, სწრაფაალებადი ნივთიერებების დაუცველობა ან არაჯეროვნად მოვლა-პატრონობა, სატყეო მეურნეობების სათანადოდ დაუცველობა და მრავალი სხვა.

დანაშაულის ამსრულებლად გვევლინება პიროვნება, რომელსაც უშუალოდ, სამსახურებრივად აკისრია ამ წესების დაცვა,

ასევე ის პირები, რომლებიც მეთვალყურეობენ ელექტრომეურნეობას, აწარმოებენ შედუღებითს სამუშაოებს ან ხელმძღვანელობენ მათ.

სუბიექტური მხარე ხასიათდება გაუფრთხილებელი ბრალით.

მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას აწესებს, თუ პირველ ნაწილში გათვალისწინებული სახანძრო უსაფრთხოების წესების დარღვევამ გამოიწვია ადამიანის დაღუპვა ან სხვა მძიმე შედეგი.

ფეთქებადი, ადვილაალებადი, მწვავე ნივთიერების ან პიროტექნიკური ნაკეთობის, აღრიცხვის, შენახვის, გადაზიდვის, გამოყენების ან გაღაბზავნის წესის დარღვევა – მუხლი 244

მუხლი მეტად სპეციფიკურია თავისი სტრუქტურის მიხედვით. ის ჩამოთვლის რა ფეთქებად და ადვილად აალებად მასალებთან დამნაშავის დამოკიდებულებას, დასჯად ქმედებად მიიჩნევს „ფეთქებადი, ადვილადაალებადი, მწვავე ნივთიერების ან პიროტექნიკური ნაკეთობის აღრიცხვის, შენახვის, გადაზიდვის ან გამოყენების წესის დარღვევა, აგრეთვე მისი უკანონო გადაგზავნა ფოსტით ან ბარგით, რამაც გაუფრთხილებლობით გამოიწვია მძიმე შედეგი“.

მძიმე შედეგში კანონმდებელი გულისხმობს ადამიანის დაღუპვას ან დიდ მატერიალურ ზარალს.

ობიექტი დანაშაულისა არის საზოგადოებრივი უშიშროება, კონკრეტული ობიექტი – ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა, ან მატერიალური დოვლათი. ობიექტური მხარე დანაშაულისა გამოიხატება სხვადასხვა სახის ქმედებებში, კერძოდ: არასწორ აღრიცხვაში, შენახვის წესების დარღვევაში, უკანონო გადაზიდვაში და სხვა ყველა იმ დარღვევით მოქმედებაში, რაც ჩამოთვლილია მუხლის დისპოზიციაში.

ფეთქებადი, ადვილაალებადი და მწვავე ნივთიერებები სპეციფიკური თვისებების ქიმიური შემადგენლობის მქონე საგნებია, რომელიც სწრაფად აალდებიან, ფეთქდებიან და გამოსცემენ დამანგრეველ ძალას, კინეტიკურ ენერგიას (მაგალითად: ნაბშირი, ტროტილი, დინამიტი, ჟანგბადი, მეთანი, ამონალი და ა.შ.).

სწრაფაალებად ნივთიერებებს განეკუთვნებიან ის მასალები,

რომლებიც ტემპერატურას წვას იწყებენ მექანიკური გახახუნებისა ან მცირედი ნაპერწკლის მიღებისთანავე (მაგ: აცეტონი, ბენზინი, სპირტი, ეთილი, ნავთი და ა.შ.).

პიროტექნიკურ მასალას კანონმდებელი მწვავე ნივთიერებას უწოდებს. ის იგივე ასაფეთქებელი ნივთიერებაა, რომელიც დამზადებულია აალებადი მინარევებისაგან და მკვეთრი მანათობლების მისაღებად გამოიყენება (მაგ. მანათობელი რაკეტები).

პიროტექნიკა ბერძნული სიტყვაა და ცეცხლს და ტექნიკას ნიშნავს.

მუხლის დისპოზიცია ბლანკეტურია და ზემოთ ჩამოთვლილ ნივთიერებებთან დანაშაულებრივი მოპყრობის გარკვევაში აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ სპეციალური ლიტერატურა ინსტრუქციებისა და დებულებების სახით, რომელიც გვაცნობს ამ ნივთიერებათა მოვლის, აღრიცხვის, შენახვის, გადაზიდვის ან სხვაგვარი დამოკიდებულების მარეგულირებელ ნორმებს. კვალიფიკაციის დროს აუცილებლად უნდა დაკონკრეტდეს, სახელდობრ რა ნორმა დაირღვა, რაში გამოიხატა ეს დარღვევა, როგორ გამოიწვია მან ესა თუ ის მავნე შედეგი და სხვა.

დანაშაული უფრო ხშირად აქტიური მოქმედებით განისაზღვრება, როდესაც დამნაშავე კანონის დარღვევით გადაზიდავს ან გამოიყენებს. გვხვდება უმოქმედობით გამოწვეული დანაშაულებრივი შემთხვევებიც, როდესაც დამნაშავე სწრაფად აალებადი ნივთიერებების შენახვის გარემოში არ არეგულირებს ტემპერატურის ნორმების პროცესს და ა.შ.

უკანონო შეძენაში კანონმდებელი გულისხმობს ამგვარი ნივთიერების დაუფლებას ყიდვით, რაიმე ნივთში გაცვლით, გარკვეული სამუშაოს შესრულების სანაცვლოდ და სხვა.

უკანონო შენახვაში იგულისხმება იმ ნორმების დარღვევა, რომელიც ითვალისწინებს ნივთიერებათა დაცვას, მოვლა-პატრონობას, სათავსოს შესაფერისად მოწყობას და ა.შ.

გადაზიდვაში იგულისხმება ნივთიერებათა გეოგრაფიული გადაადგილება ნებისმიერი ტრანსპორტით. გადაზიდვის წესების დარღვევა გამოიხატება სპეციალური ტრანსპორტის უგულებელყოფაში, რხევადობის, ტემპერატურის დაუცველობაში და ა.შ.

უკანონო გადაგზავნაში იგულისხმება ნივთიერებათა გადაადგილება ყუთებით, ბანდეროლებით, ბაგაჟით, საფოსტო ან სხვა მსგავსი სამსახურის მიერ. მუხლის მიხედვით, ქმედება მხოლოდ

მაშინ არის დასჯადი, თუკი მას მოჰყვა ადამიანის დაღუპვა ან სხვა მძიმე შედეგი. ამასთანავე, აუცილებლად უნდა დადგინდეს მიზეზობრივი კავშირი დარღვევასა და შედეგს შორის.

ან სხვა მძიმე შედეგში იგულისხმება აფეთქება, ხანძარი, დიდი მატერიალური ზარალი, სატრანსპორტო საშუალებათა მიმოსვლის მოშლა, წარმოებისა და დაწესებულების მუშაობის ხანგრძლივი შეფერხება და ა.შ.

ამსრულებელი დანაშაულისა არის ის, ვისაც დავალებული აქვს ჩამოთვლილ ნივთიერებებთან დამოკიდებულების წესის დაცვა სამსახურებრივი უფლებამოსილებით ან დროებითი ბრძანებით.

სუბიექტური მხრივ დანაშაული გამოიხატება გაუფრთხილებლობით ბრალში.

ბირთვული მასალის, რადიაქტიური ნარჩენის, რადიაქტიური ნივთიერების ან მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროსადმი მოკყრობის წესის დარღვევა – მუხლი 245

თანამედროვე მსოფლიო ფართოდ იყენებს ბირთვული ენერგიის შესაძლებლობებს. მისი წარმოება მიმდინარეობს როგორც სამხედრო, ასევე სამოქალაქო მშენებლობის დანიშნულებით. ცნობილია, რომ ბირთვული იარაღის აფეთქებისას გამოიყოფა შემდეგი დამაზიანებელი ფაქტორები: დარტყმის ძალა, სინათლის გამოსხივება, შემღწევი რადიაცია და რადიაციული დასნებოვნება. შემღწევი რადიაცია, რენტგენის სხივების მსგავსად, დიდი შემღწევი უნარით ხასიათდება და იწვევს ცოცხალი ორგანიზმის სხივურ დაავადებას. რადიაციული დასნებოვნება ხდება ადგილმდებარეობის მიხედვით, რის შემდეგაც აქ მოწეული პროდუქტები მავნებელია ადამიანისათვის.

ბირთვული რეაქტორი არის ისეთი მოწყობილობა, რომელშიაც მიმდინარეობს ზოგიერთი მძიმე ელემენტის (ბირთვული საწვავის) გაყოფის თვითხელშემწყობი ჯაჭვური რეაქცია. რეაქტორის მთელი სისტემა ემსახურება იმას, რომ ბირთვის დაშლა მოხდეს შენელებულად და მივიღოთ სასურველი ენერგია. ეს პროცესები შემოფარგლულია სპეციალური დამცავით, რომელიც მომსახურე პერსონალს იცავს აქტიური ზონიდან გამოტყორცნილი ნეიტრონე-

ბისა და სხივების ზემოქმედებისაგან. როცა დანადგარები სტაციონალურია, დამცავი კედლები იგება მძიმე ბეტონისაგან, რომლის სისქე შეიძლება რამდენიმე მეტრს უდრიდეს. ბირთვულმა რეაქტორებმა უკვე ჰპოვა დიდი გამოყენება მეცნიერებისა და ტექნიკის ისეთ დარგებში, როგორიც არის: ბირთვული ფიზიკა, მყარი სხეულების ფიზიკა, რადიაციული ქიმია, ბიოლოგია, მედიცინა, იზოტოპების წარმოება, ატომური ენერგეტიკა, რაკეტული ძრავები, დედამიწის თანამგზავრების კვების წყაროები და ა.შ.

ბირთვული ქიმიის მეთოდების გამოყენებით შეიძლება დადგინდეს ნივთიერების ატომ-მოლეკულური სტრუქტურა, ფიზიკურ-ქიმიური თვისებები და ქიმიური მექანიზმები, ქიმიური მოვლენები, ატომებისა და მოლეკულების იონიზაცია. აღგზნება და ქიმიური რეაქციები საშუალებას იძლევა, შევისწავლოთ ბირთვულ რეაქციაში მონაწილე ატომის ელექტრონული გარსის გარდაქმნის ბუნება და ა.შ. ასე რომ, რადგან ჩვენი საუკუნე ატომის საუკუნედ იწოდება, იგი ადამიანთა დასხივებისაგან დაცვის საუკუნედაც უნდა იქცეს.

მეცნიერებამ დაადასტურა, რომ ბირთვების დაშლა-დამუშავების პროცესი არა მარტო აქტიური მოქმედების დროს გამოყოფს დამზიანებელ გამოსხივებას, არამედ გადამუშავების შემდეგ მიღებულ ნარჩენებსაც იგივე თვისებები გააჩნიათ. ამიტომ მეცნიერების მიერ შემუშავებულია ბირთვულ მასალებთან, რადიაქტიურ ნარჩენებთან, მაიონებელი გამოსხივებისა და სხვა წყაროებთან მუშაობის უსაფრთხოების, მათი გადაზიდვის, შენახვის, დამარხვის წესები, რომლის დაუცველობა იწვევს მეტად მძიმე შედეგებს.

განსახილველი მუხლის მიზანია, წინ აღუდგეს ამ ნივითიერებებთან ზერელე დამოკიდებულებას, რათა არ დაირღვეს „ბირთვული მასალის, რადიაქტიური ნარჩენის, რადიაქტიური ნივთიერების ან მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროს შეძენის, შენახვის, დამარხვის, ფლობის, გამოყენების, გადამუშავების, გამოცდის, გადაცემის, აღრიცხვის, გადაზიდვის, ექსპორტ-იმპორტის ან მისდამი მოპყრობის სხვა წესის დარღვევა, რასაც შეეძლო გამოეწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი.“

კანონის პირველი ნაწილი, როგორც ვხედავთ, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ითვალისწინებს ბირთვულ და მაიონებელ მასალებთან მხოლოდ მოპყრობის წესების დარღვევისათვის რაიმე შედეგის გარეშე.

კვალიფიკაციის განსაზღვრის დროს აუცილებელია ექსპერტი-სპეციალისტების მოწვევა.

განსახილველი დანაშაულის ობიექტი არის შრომის უსაფრთხოების წესები.

ობიექტური მხარე გამოიხატება რადიაქტიურ ნივთიერებებთან, მაიონებელ მასალებთან მოპყრობის იმ წესების დარღვევაში, რომელიც ჩამოთვლილია მუხლის პირველ ნაწილში.

მუხლის პირველი ნაწილი ფორმალური ხასიათისაა, იგი დამთავრებულად ითვლება მოპყრობის წესების დარღვევისთანავე.

ბირთვული მასალები არის ის ფიზიკური სხეულები, რომლებიც შეიცავენ ან აქვთ უნარი აწარმოონ, აღადგინონ და მოახდინონ რადიაქტიური გამოსხივება (იოდი, ცეზიუმი და სხვა).

რადიაქტიური არის ის ნივთიერებები, რომელთაც შესწევთ უნარი, გამოსცენ მაიონებელი სხივები (რადიუმი, ურანი, პლუტონი, კობალტი, სტრონციუმი და ა.შ.).

რადიაქტიულ ნარჩენებს მიეკუთვნებიან ის ნივთიერებანი, რომლებიც სათანადო გამოყენება-დამუშავების შემდეგ დარჩნენ, წარმოებითი ვარგისიანობა აღარ გააჩნიათ, მაგრამ მავნე გამოსხივების უნარი შემორჩენილი აქვთ.

გამოსხივების სხვა წყაროს მიეკუთვნება ატომურ-რადიაქტიური დანადგარებისა და აპარატების კომპლექსი, მოწყობილობა, ნაკეთობა, რომელიც შეიცავს რადიაქტიულ ნივთიერებებს და გენერირებულია მაიონებელი გამოსხივებით.

მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს იგივე ქმედებისათვის, რაც პირველ ნაწილშია აღწერილი, თუ მან გამოიწვია ადამიანის დაღუპვა ან სხვა მძიმე შედეგი.

მუხლის მესამე ნაწილი პასუხისმგებლობას აწესებს პირველ და მეორე ნაწილში გათვალისწინებული ქმედებისათვის, თუ იგი ჩადენილია: ა) ჯგუფურად. ბ) არაერთგზის.

დანაშაულის ამსრულებელი არის ბირთვული მასალებისა და რადიაქტიური ნივთიერებების დამუშავება-გამოყენების ის მუშაკი, რომელიც პასუხისმგებელია მისი უსაფრთხოების დაცვაზე.

სუბიექტური მხარე ხასიათდება გაუფრთხილებელი ბრალით.

32-ე თავი

დანაშაული მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი ზნეობის წინააღმდეგ

მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის ზრუნვა სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

მოქალაქის ჯანმრთელობის დანაშაულებრივი ხელყოფა სერიოზული საზოგადოებრივი საშიშროების შემცველი ქმედებაა.

„ზნეობის სფერო საკუთრივ სინდისის სფეროა“, მაგრამ იგი ვლინდება გარეგნულ ობიექტურ მოქმედებაშიც.[1]

დანაშაულთა ამ ჯგუფის გვარობითი ობიექტია ადამიანთა ჯანმრთელობა და ზნეობა. ყოფიერების ეს კუთხე, როგორც სისხლის სამართლებრივი დაცვის ობიექტი, ბიოსოციალურია, ხოლო მისი შემადგენელი კომპონენტებია სიცოცხლე, ჯანმრთელობა, მშვენიერების პატივისცემა, ჩვეულება, როგორც სპეციფიური საზოგადოებრივი ურთიერთობა და ა.შ. როდესაც საქმე ეხება მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი ზნეობის დაცვას, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ის, რომ საჭიროა მოსახლეობის მთელ მასას შეექმნას რეალური შესაძლებლობა, დაუბრკოლებლად გამოიყენოს თავისი ჯანმრთელობა და ცხოვრებისეული, ტრადიციული წესები, როგორც პიროვნული, ასევე საერთო საზოგადოებრივი ინტერესის შესაბამისად.

საგულისხმოა ისიც, რომ თავში განხილულია ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული მხოლოდ ისეთი დანაშაულობები, რომელიც მხოლოდ გაუფრთხილებელი ბრალის ფორმითაა ჩადენილი. კერძოდ: უკანონო საექიმო ან ფარმაცევტული საქმიანობა (246); ადამიანის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემქმნელი გარემოების შესახებ ინფორმაციის დამალვა (247); სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური წესის დარღვევა (248); შხამის ბრუნვის წესის დარღვევა (249), შხამის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება ან გამოძალვა (250); უსაფრთხოების მოთხოვნებთან

1. გ. ბანძელაძე, ეთიკა, თბ., 1967, გვ. 85.

შეუსაბამო უხარისხო საქონლის გამოშვება ან გაყიდვა, ანდა უხარისხო სამუშაოს შესრულება, ან უხარისხო მომსახურების გაწევა (251); უკანონო გაერთიანების შექმნა ან ხელმძღვანელობა, ანდა მასში მონაწილეობა (252); პროსტიტუციაში ჩაბმა (253); პროსტიტუციის ბინის მოწყობა ან შენახვა (254); პორნოგრაფიული ნაწარმოების ან სხვა საგნის უკანონოდ დამზადება ან გასაღება (255); ისეთი ნაწარმოების დამზადება ან გავრცელება, რომელიც პროპაგანდას უწევს ძალადობის ან სისასტიკის კულტს (256); ისტორიის, კულტურის ან ბუნების ძეგლის დაზიანება ან განადგურება (257); მიცვალებულის უპატივცემულობა (258); ცხოველისადმი სასტიკი მოპყრობა (259);

უკანონო საექიმო ან ფარმაცევტული საქმიანობა – მუხლი 246

განსახილველი დანაშაულის ამსრულებელია ის, ვინც კერძო საექიმო ან ფარმაცევტულ საქმიანობას ეწევა სათანადო ნებართვის (ლიცენზიის) გარეშე, თუ ამ მოქმედებას შედეგად მოჰყვა გაუფრთხილებლობით პაციენტის ჯანმრთელობის დაზიანება. ძველი კანონი პასუხისმგებლობას აწესებდა იმ შემთხვევაში, როცა დამნაშავეს არ ჰქონდა სამედიცინო განათლება და ამ საქმიანობას ეწეოდა პროფესიის სახით.

მუხლი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილის შინაარსი ასეთია: „უკანონო საექიმო ან ფარმაცევტული საქმიანობა, რამაც გაუფრთხილებლობით გამოიწვია ჯანმრთელობის დაზიანება".

მოცემული დანაშაული მიზნად ისახავს საზოგადოების ჯანმრთელობის დაცვას. ამასთანავე, უკანონო ფარმაცევტული საქმიანობისათვის პასუხისმგებლობის ახალი ნორმის შემოღების აუცილებლობა იმითაც არის განპირობებული, რომ მეტად ფართოდ გაიშალა ფარმაცევტული და სამედიცინო მომსახურების კერძო პრაქტიკა.

ობიექტური მხარე დანაშაულისა გამოიხატება მოსახლეო-

ბისადმი უკანონო სამედიცინო და ფარმაცევტული მომსახურების გაწევაში, რასაც ადამიანის დაზიანება მოჰყვა შედეგად.

კერძო სამედიცინო პრაქტიკა ნიშნავს მოსახლეობისადმი რეგულარულ სამედიცინო და ფარმაცევტულ დახმარებას მედიცინისა და ფარმაკოლოგიის მუშაკის მიერ.

კანონმდებელი მუხლის პირველი ნაწილის დისპოზიციაში ყურადღებას არ ამახვილებს სუბიექტის სამედიცინო განათლების აუცილებლობაზე, რადგან დაკანონებულია, რომ სათანადო დიპლომის გარეშე სახელმწიფო სალიცენზიო ორგანო არ იძლევა კერძო პირის მიერ რეგულარული სამედიცინო და ფარმაცევტული მომსახურების წარმოების ნებართვას.

სამედიცინო და ფარმაცევტული მომსახურების კერძო სისტემას მიეკუთვნება სამედიცინო-პროფილაქტიკური და ფარმაცევტული დაწესებულებანი თავისი მატერიალური კერძო საკუთრებით და მომსახურე პერსონალით.

კერძო სამედიცინო პრაქტიკად ითვლება მოსახლეობისათვის გაწეული მომსახურება მედიცინის მუშაკის მიერ, რომელიც არ ეკუთვნის სახელმწიფო და მუნიციპალურ ჯანმრთელობის დაცვის სისტემას, მომსახურება მიმდინარეობს ან კერძო პირთა ფულადი გადასახადით, ან წარმოებებთან და ორგანიზაციებთან ხელშეკრულებით.

ლიცენზია გაიცემა ადგილობრივი ორგანოების მიერ, პროფესიულ-სამედიცინო ასოციაციებთან შეთანხმებით, რომლებიც საუწყებო ტერიტორიაზე თვითონვე ახორციელებენ კონტროლს სამედიცინო მომსახურების ხარისხზე.

კერძოს მიეკუთვნება ჯანმრთელობის დაცვის ის სამკურნალო-პროფილაქტიკური და სააფთიაქო დაწესებულებანი, საკუთარი სახსრებით რომ აწარმოებენ კერძო სამედიცინო და ფარმაცევტულ პრაქტიკას.

ფარმაცევტული საქმიანობა არის ყოველი სახის მედიკამენტის დამზადების შესაძლებლობა, როგორც კერძო პირის, ასევე დაწესებულებათა მოთხოვნის შესაბამისად.

არასწორი სამედიცინო მომსახურებით გამოწვეული ჯანმრთელობის დაზიანება შეიძლება იყოს ნებისმიერი სიმძიმის.

ამსრულებელი დანაშაულისა არის ის, ვინც ეწევა სამედიცინო ან ფარმაცევტულ მომსახურებას.

სუბიექტური მხარე გამოიხატება გაუფრთხილებელი ბრალით.

კანონის მეორე ნაწილით პასუხისმგებლობის საკითხი დგება, თუ პირველ ნაწილში გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედება გაუფრთხილებლობით გამოიწვევს ადამიანის დაღუპვას.

სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემქმნელი გარემოების შესახებ ინფორმაციის დამალვა ან გაყალბება – მუხლი 247

განსახილველი მუხლი სრულიად ახალია სისხლის სამართლის კანონმდებლობაში.

იგი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილის დისპოზიცია ასეთია: „იმ გარემოების, ფაქტის ან მოვლენის შესახებ ინფორმაციის დამალვა ან გაყალბება, რომელიც საფრთხეს უქმნის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან გარემოს, ჩადენილი იმის მიერ, ვინც ვალდებული იყო, მიეწოდებინა ეს ინფორმაცია მოსახლეობისათვის.“

მისი შემოღება განპირობებულია იმით, რომ ბოლო მოეღოს ბუნების დაბინძურების გამომწვევ სამეშაოთა მოურიდებლად წარმოებას, რომელიც რადიაქტიული და ქიმიური ნარჩენებითა და სხვა მომწამლავი წარმონაქმნებით საფრთხეს უქმნის ფლორას, ფაუნას და საერთოდ – ადამიანის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს.

კანონის მოქმედების არეალი არის სამრეწველო, სამეცნიერო-ტექნიკური, სამხედრო საქმიანობის მომცველი პროცესები და ამ საქმიანობის მწარმოებელი საზოგადოება, რომელთა მოქმედებით წარმოიშობა გარემოსა და ადამიანის დაზიანების ან განადგურების პირობები.

მიზანი მუხლის შემოღებისა არის, გააკონტროლოს და აღკვეთოს ყოველი მოქმედება (სახელმწიფო ორგანიზაციებისა თუ სხვა გაერთიანებებისა), რომელმაც შეიძლება საბედისწეროდ

დააზიანოს ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა, ან გარე ბუნება.

ინფორმაციის გადაცემის წესი, რიგი, მოცულობა, დროულობა და სხვა რეგლამენტირებულია მრავალი სხვადასხვა საკანონმდებლო აქტით, რომელიც მრავალჯერ საბედისწეროდ დაირღვა და სწორედ ამიტომ კანონმდებელმა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დააწესა იმის მიმართ, ვინც უგულვებელყოფს კანონის ამ აუცილებელი სასიცოცხლო მოთხოვნის შესრულებას.

თვით კონსტიტუციის 37-ე მუხლი მკაფიოდ აღნიშნავს, რომ ,,ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად, საზოგადოების ეკოლოგიური და ეკონომიკური ინტერესების შესაბამისად, ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით, სახელმწიფო უზრუნველყოფს გარემოს დაცვას და რაციონალურ ბუნებათსარგებლობას. ადამიანს უფლება აქვს, მიიღოს სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია მისი სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობის შესახებ".

ობიექტური მხარე დანაშაულისა ხორციელდება როგორც მოქმედებით, ასევე უმოქმედობით. უმოქმედობა გამოიხატება მასში, რომ დამნაშავე არ იძლევა ცნობებს მისთვის ცნობილი იმ ფაქტების, მოვლენებისა და მდგომარეობის შესახებ, რომელიც ქმნის ბუნების დაბინძურების ან განადგურების პირობებს, ხოლო დანაშაული მოქმედებით გამოიხატება მაშინ, როდესაც დამნაშავე ამახინჯებს ინფორმაციას, ე. ი. არ აჩვენებს მის მოცულობას, მასშტაბებს და ა. შ.

ინფორმაციის დამალვისა თუ დამახინჯებულად გადაცემისათვის პასუხს აგებენ სათანადო თანამდებობის პირები. ინფორმაციის დამალვაში იგულისხმება ცნობების მიუწოდებლობა იმ პირებისადმი, რომლებიც უფლებამოსილნი არიან მიიღონ ასეთი ინფორმაცია და სამართლებრივი პოზიციიდანაც სავალდებულოა მისი მიწოდება, რათა თავიდან იქნეს აცილებული ადამიანისა და გარემოს განადგურების ან დაზიანების საფრთხე.

ინფორმაციის დამახინჯებაში იგულისხმება ოფიციალური პროგნოზებისა და შეფასებების არასრულად ან არასწორად გადაცემა.

მოვლენებსა და ფაქტებს, რომლებიც საფრთხეს უქმნიან

ადამიანებსა და გარემოს, მიეკუთვნებიან ბუნებრივი ტექნოგენური და სამრეწველო პროცესები, რომელთაც სათანადო კონტროლისა და მეთვალყურეობის გარეშე შეუძლიათ გამოიწვიონ არაკეთილსასურველი შედეგები, როგორც ადამიანებისათვის, ასევე გარემოს მიმართ. ისინი შეიძლება განვითარდნენ როგორც ადამიანთა ნებით, ასევე მათ გარეშე.

საგანი განსახილველი დანაშაულისა არის ინფორმაცია, ე.ი. ცნობა ამა თუ იმ ფაქტისა და მოვლენის შესახებ, რომელსაც მალავს ფიზიკური ან იურიდიული პირი, სახელმწიფო ხელისუფლების ან მმართველობის ორგანო.

ასეთი ინფორმაციები რთული და თავისებურია თავისი შინაარსითა და სტრუქტურით. ისინი განირჩევიან წარმოშობის წყაროების, შინაარსის, წარმომდგენი სუბიექტის, განზოგადების ხარისხის, სისრულის და სხვა კრიტერიუმების მიხედვით.

დანაშაულის ამსრულებელია ის, ვინც კანონის შესაბამისად ვალდებულია, ინფორმაცია მიაწოდოს საზოგადოებას და სათანადო ორგანოებს საფრთხის შექმნელი მოვლენების ირგვლივ (ჰაერის, წყლის დაბინძურების, რადიაციული მოწამვლის მოსალოდნელობისა და სხვა მისთანების შესახებ). ასეთი პირები არიან სუბიექტები, რომლებიც ვალდებულნი არიან გააგზავნონ შესაბამისი ინფორმაციები დანიშნულებისამებრ.

სუბიექტური მხარე გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში: პირმა იცის და შეგნებული აქვს, რომ იგი მალავს ან ამახინჯებს ინფორმაციას და სურს ეს.

დანაშაული დამთავრებულად ითვლება ინფორმაციის დამალვის ან დამახინჯებით გაგზავნისთანავე.

მაკვალიფიცირებელი გარემოება მოცემულია კანონის მეორე ნაწილში, რომელიც პასუხისმგებლობას აწესებს მაშინ, როდესაც პირველი ნაწილით გათვალისწინებული მოქმედება ჩადენილია მოხელის მიერ ან რამაც გაუფრთხილებლობით დააზიანა ადამიანის ჯანმრთელობა ან გამოიწვია სხვა მძიმე შედეგი. სხვა მძიმე შედეგში შეიძლება ვიგულისხმოთ რამდენიმე ადამიანის დაღუპვა და სხვა.

სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური წესის დარღვევა – მუხლი 248

მუხლი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ითვალისწინებს სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური წესის დარღვევას, რამაც გაუფრთხილებლობით გამოიწვია ადამიანთა მასობრივი დაავადება ან მოწამვლა, მეორე ნაწილი კი იგივე ქმედებას, თუკი მას შედეგად მოჰყვა ადამიანის დაღუპვა გაუფრთხილებლობით.

მუხლის მიზანია, სისხლის სამართლის წესით გამოუცხადოს ბრძოლა ყველა იმ მოვლენას, რომელიც უგულებელყოფს მოსახლეობის სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური მომსახურების განხორციელებას, რათა თავიდან იქნეს აცილებული მოქალაქეთა დაავადება სხვადასხვა სახის ეპიდემიებით (ქოლერა, ყვავილი, ჟამი და მრავალი სხვა).

საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის და ჰიგიენური ნორმების დეპარტამენტის 1996 წლის 14 მაისის დებულებაში მითითებულია, რომ ეს სამსახური უფლებამოსილია „უზრუნველყოს სამოქმედო ტერიტორიაზე ფიზიკური და იურიდიული პირების (განურჩევლად უწყებრივი დაქვემდებარებისა და საკუთრების ფორმისა) საქმიანობის შესაბამისობა სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებთან და სანიტარულ-ეპიდემიოლოგიურ წესებთან“, მოახდინოს საზედამხედველო ობიექტების ჰიგიენური სერტიფიცირება, განახორციელოს კონტროლი „ნედლეულისა და პროდუქციის შემოტანაზე, გარემოს დაცვაზე, საკარანტინო წესების შემოღებასა და გაუქმებაზე“.

„მიიღოს სისტემატიური ინფორმაციები ქვეყანაში მოქმედი სანიტარულ-ჰიგიენური ნორმებისა და სანიტარულ-ეპიდსაწინააღმდეგო წესების დაცვის შესახებ“.[1]

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები არის წესების ერთობლიობა, რომლის შესრულება უზრუნველყოფს დაუბუკიანების თავიდან აცილებას, როგორც კერძო პირთა, ასევე ცალკეული დაწესებულების, წარმოების და ორგანიზაციების მხრიდან.

ობიექტური მხარე დანაშაულისა გამოიხატება როგორც მოქმედებაში, ასევე უმოქმედობაში, რა დროსაც დამნაშავე არღვევს რა დადგენილ სანიტარულ ეპიდემიურ ნორმებს, წარმოიშობა მასობრივი

1. ჯანდაცვის სამინისტროს სანიტარული ზედამხედველობისა და ჰიგიენური ნორმების დეპარტამენტის 1996 წლის 14 მაისის დებულება, გვ. 2, 3.

დაავადების კერა – რაიმე დაავადების გავრცელება ან ასეთის შესაძლებლობა.

დამნაშავის მოქმედება გამოიხატება მასში, რომ იგი მასობრივი კვების პროდუქტებს დაამზადებს დაბინძურებული წყლით, რითაც არღვევს მეცნიერულ-ტექნოლოგიურ პროცესს.

უმოქმედობად ითვლება სუბიექტის ისეთი დამოკიდებულება სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებთან, როდესაც იგი თავისი უმოქმედობით არ ასრულებს ამ ნორმების მოთხოვნას, თუკი ეს ვალდებულება აკისრია და აქვს შესრულების შესაძლებლობა.

მასობრივ დაავადებად ითვლება ადამიანთა გარკვეული ჯგუფის, გარკვეული გეოგრაფიული მონაკვეთის ფარგლებში დაავადების გავრცელება.

მასიური მოწამვლა არის მწვავე ქიმიური ტოქსიკური ბაცილების შეჭრა ორგანიზმში, რომელიც ვრცელდება დაბინძურებული საკვების ან წყლის მიღებით.

მიზეზობრივი კავშირი მოქმედებასა და შედეგს შორის იქნება მაშინ, როდესაც დაავადება გავრცელდება იმ ფაქტორებით, რომელიც წარმოიშობა სანიტარულ-ეპიდემიური წესების დარღვევის შედეგად.

სუბიექტურის მხრივ დანაშაულის ჩადენა ხდება გაუფრთხილებლობით. დამნაშავემ იცის, რომ იგი არ ამოწმებს საყოფაცხოვრებო ობიექტებში სანიტარულ-ეპიდემიური წესების დაცვის მიმდინარეობას და კიდევაც ვარაუდობს დაავადების გამავრცელებელი ბაქტერიის არსებობას, მაგრამ უანგარიშოდ და უანალიზოდ იმედოვნებს მის თავიდან აცილებას. მაგალითად, სუბიექტი – სანიტარულ-ეპიდემიური სადგურის კომპეტენტური პირი – თვეების განმავლობაში არ ამოწმებდა ხორცკომბინატში საამქროების ტექნოლოგიურ პროცესებს, რამაც გამოიწვია ბაქტერიის გავრცელება და დაავადების წარმოშობა, რომელიც ნახევარფაბრიკატს გაჰყვა სავაჭრო ქსელში.

დანაშაულის ამსრულებელია ის, ვისაც სამსახურებრივად დაკისრებული აქვს სანიტარულ-ეპიდემიური წესების დაცვა და საამისო სამედიცინო ხასიათის ღონისძიების გატარება.

მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას აწესებს იმ შემთხვევაში, თუ პირველი ნაწილით გათვალისწინებულმა ქმედებამ გაუფრთხილებლობით გამოიწვია ადამიანის დაღუპვა.

შხამიან ნივთიერებათა ბრუნვის წესების დარღვევის მომეტებული საფრთხე გამოიხატება მას'ში, რომ იგი სერიოზულად ემუქრება ადამიანის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს. ამიტომ მისი ბრუნვა – დამზადება, გადამუშავება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა და გასაღება შეიძლება მხოლოდ სპეციალური ნებართვით, სამეცნიერო, სამედიცინო და სხვა საზოგადოებრივი საქეთის მიზნით. შხამების ბრუნვისათვის აუცილებელია ისეთი პირობების შექმნა, რომლითაც გარანტირებული იქნება მოქალაქეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა მწვავე მოწამვლისა და დაღუპვისაგან.

დანაშაულის უშუალო ობიექტი ძირითადად არის მოსახლეობის სიცოცხლე და ჯანმრთელობა.

დანაშაულის საგანი არის შხამი.

განსახილველი მუხლის პირველი ნაწილი ასეთი შინაარსისაა: „გასაღების მიზნით შხამის უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა ან გასაღება".

შხამი შეიძლება იყოს როგორც ბუნებრივი, ასევე სინთეტიკური წესით მიღებული. შხამების სია დაახლოებით სამოცამდე ნივთიერებას ჩამოთვლის. მათ შორის: მეთილის სპირტი, ფუტკრის შხამი, ზოგიერთი ტუტეების შენაერთი, ლილის მჟავა, სტრიქნინი, ფენოლი, კალიუმის ციანიდი, გველის შხამი და ა. შ. ისინი ადამიანის ორგანიზმში თუნდაც მცირე დოზით მოხვედრის დროს იწვევენ მძიმე მოწამვლას და დაღუპვას.

ობიექტური მხარე გამოიხატება გასაღების მიზნით შხამის უკანონოდ დამზადებაში, წარმოებაში, შეძენაში, შენახვაში, გადაზიდვაში ან გასაღებაში.

დამზადებაში იგულისხმება ნებისმიერი მოქმედება, რომლის შედეგადაც მიღებული იქნა შხამი.

წარმოებაში იგულისხმება სპეციალური დამამზადებელი ტექნოლოგიის შექმნა შხამის ციკლური დამზადებისათვის.

შეძენა ნიშნავს ფულით ყიდვას ან ნივთში გაცვლას, ან გარკვეული სამუშაოს შესრულების სანაცვლოდ მიღებას.

შენახვაში კანონმდებელი გულისხმობს ნივთის მოთავსებას სპეციალურ ადგილზე ისე, რომ ის მისაწვდომი არ იყოს სხვისთვის (ბინაში, ჯიბეში, კარადაში ან სხვა სათავსოში და ა.შ.).

გადაზიდვაში იგულისხმება შხამის ერთი ადგილიდან მეორეზე გადატანა ნებისმიერი ტრანსპორტით.

გასაღებაში იგულისხმება შხამის გასხვისება ფულის, ნივთის ან სამუშაოს შესრულების სანაცვლოდ.

მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს, თუ პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება ჩადენილი იქნება: ა) ჯგუფურად. ბ) არაერთგზის. გ) დიდი ოდენობით.

დანაშაულის ამსრულებელი მუხლის 1 და 2 ნაწილისათვის შეიძლება იყოს ნებისმიერი მოქალაქე. სუბიექტური მხარე ხასიათდება განზრახი ბრალით.

მესამე ნაწილი დანაშაულად მიიჩნევს მოქმედებას, როდესაც დამნაშავეს გააჩნია კანონიერი უფლება შხამების წარმოების, შეძენის, შენახვის, აღრიცხვის, გაცემის, გადაზიდვის ან გადაგზავნისა, ვალდებულია დაიცვას საამისოდ დადგენილი წესები, მაგრამ დაარღვია ის, რის გამოც შხამი მოექცა უკანონო ბრუნვაში ან სხვა მძიმე შედეგი გამოიწვია (მოიწამლა, დაიღუპა ადამიანი).

შხამის საბეობის დადგენისა თუ უკანონო ბრუნვის ან ბრუნვის წესების დარღვევის განსაზღვრისათვის აუცილებლად მოწვეული უნდა იქნეს ექსპერტი-სპეციალისტი.

დანაშაულის ამსრულებელი მუხლის მესამე ნაწილისათავის შეიძლება იყოს პირი, რომელსაც უფლება აქვს შხამების ბრუნვისა.

სუბიექტური მხარე გამოიხატება გაუფრთხილებელ ბრალში.

შხამის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება ან გამოძალვა – მუხლი 250

განსახილველი მუხლი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილის დისპოზიცია ასეთი შინაარსისაა: „შხამის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება ან გამოძალვა“. მუხლის მეორე ნაწილი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას აწესებს, თუ პირველ ნაწილში გათვალისწინებული ქმედება ჩადენილია: ა) ჯგუფურად. ბ) არაერთგზის, დიდი ოდენობით. დ) სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით, ანდა ძალადობის მუქარით.

პირველ ნაწილში კანონმდებელი გულისხმობს დამნაშავისაგან შხამის ხელში ჩაგდებას ნებისმიერი დანაშაულებრივი ფორმით: ქურ-

დობით, ძარცვით, თაღლითობით, გაფლანგვით ან გამოძალვით. ამ ქმედებათა განმარტება მოცემულია 177, 178, 180, 181, 182-ე მუხლების განხილვაში, ხოლო შხამების რაობის შესახებ ჩვენ ვისაუბრეთ 249-ე მუხლის შესწავლის დროს. რაც შეეხება მუხლის მეორე ნაწილს, როდესაც შხამს მართლსაწინააღმდეგოდ მიისაკუთრებს პირთა ჯგუფი, ან ასეთ ქმედებას დამნაშავე ჩადის არაერთგზის, ან დიდი ოდენობით, ან სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით, ანდა ასეთი ძალადობის მუქარით, ამ საკითხებზეც გვქონდა საუბარი ზემოთ მითითებული მუხლების განხილვის დროს.

დანაშაულის ობიექტი არის მოსახლეობის ჯანმრთელობა და საზოგადოებრივი უშიშროება.

ობიექტური მხარე გამოიხატება შხამის ნებისმიერი ფორმით მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებაში.

სუბიექტური მხარე გამოიხატება განზრახ ბრალში.

უსაფრთხოების მოთხოვნებთან შეუსაბამო, უხარისხო საქონლის გამოშვება ან გაყიდვა ანდა უხარისხო სამუშაოს შესრულება ან უხარისხო მომსახურების გაწევა – მუხლი 251

მუხლის პირველი ნაწილი პასუხისმგებლობას აწესებს ისეთი ქმედებისათვის, როდესაც დამნაშავე უშვებს ან ჰყიდის უხარისხო საქონელს, ასევე უხარისხოდ ასრულებს რაიმე სამუშაოს ან უხარისხო მომსახურებას უწევს მოქალაქეს, რაც იმდენად არ პასუხობს შესრულების მოთხოვნებს, რომ გაუფრთხილებლობით ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობის დაზიანება გამოიწვია. აქვე შედის ისეთი დოკუმენტის გაცემა ან გამოყენება, რომელიც ადასტურებს ამ საქონლის, სამუშაოს ან მომსახურების შესაბამისობას უსაფრთხოების მოთხოვნებთან, რამაც გაუფრთხილებლობით გამოიწვია ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანება.

განსახილველი მუხლის მნიშვნელობა დღეს განსაკუთრებულია, როცა მრავალმა მოქალაქემ დამოუკიდებლად დაიწყო სხვადასხვა საქონლის გამოშვება და რეალიზაცია, როცა ბევრი მათგანი უხეშად არღვევს პროდუქციის დამზადების ტექნოლოგიურ პროცესს, უხარისხოდ ემსახურება მომხმარებელს, არ პასუხობს ჯანმრთელობის დაცვის მოთხოვნებს და ა.შ.

ობიექტი დანაშაულისა არის ადამიანის ჯანმრთელობა.

დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება მასში, რომ სუბიექტი ამზადებს ისეთ საქონელს ან ჰყიდის ან უხარისხოდ ასრულებს სამუშაოს ან იმგვარ მომსახურებას უწევს მომხმარებელს, რომ ამ უკანასკნელის ჯანმრთელობა გაუფრთხილებლობით ზიანდება ან დოკუმენტით უკანონოდ დაადასტურა საქონლის, სამუშაოს ან მომსახურების შესაბამისობა უსაფრთხოების მოთხოვნებთან.

მაგალითად, მრეწველმა დაამზადა ხილის წვენი კომპონენტების იმგვარი შერჩევით, რომ ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანება გამოიწვია.

ან ისეთი ძეხვი გაყიდა მოვაჭრემ, რომელმაც მოქალაქე მოწამლა.

ან იმგვარად უხარისხოდ შეუკეთა ავტომანქანა, მეპატრონემ ველარ დაიმორჩილა, მართვის დროს გადავიდა სავალი გზიდან და საფრთხე შეექმნა ადამიანთა ჯანმრთელობას და ა.შ. ან კომპეტენტურმა პირმა გასცა უვარგისი საქონლის, წუნდებული სამუშაოს ან უხარისხო მომსახურების უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის ცნობა.

საგანი დანაშაულისა არის უხარისხო საქონელი ან უხარისხო მომსახურება, რომელიც არ პასუხობს ადამიანის უსაფრთხოების მოთხოვნას და იწვევს მისი ჯანმრთელობის დაზიანებას, გაუფრთხილებლობით ან ყალბი ცნობით შეცდომაში შეჰყავს სხვა პირი.

საქონლად ითვლება მზა პროდუქცია, დამზადებული ნედლეულისა ან ნახევარფაბრიკატებისაგან, საყოფაცხოვრებო საქონელი, ტანსაცმელი, ავეჯი, სათამაშოები, დაზგები, ინსტრუმენტები, საკვები პროდუქტები, ცალკეული მაკომპლექტებელი დეტალები და ა.შ.

მზა პროდუქციის დამზადებისა და გასაღებისათვის აუცილებელი ხარისხი განსაზღვრულია სათანადო საკანონმდებლო აქტებში.

სამრეწველო პროდუქციის ხარისხი განსაზღვრულია სახელმწიფო სტანდარტებით და ყოველი სარეალიზაციო პროდუქტი უნდა პასუხობდეს მის აუცილებელ მოთხოვნებს.

აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ პროდუქცია უხარისხოდ ჩაითვლება არა მარტო მისი გამოშვების ტექნოლოგიის ან სხვა პრო-

ცესების დარღვევის გამო, არამედ მაშინაც, თუ ის დაზიანდება შენახვისა თუ გადაზიდვის წესების დარღვევის შედეგად. თუკი საქონელი იმდენად დაბალი ხარისხისაა, რომ ჯანმრთელობისათვის საზიანო არ არის, შეიძლება მისი რეალიზაცია ღირებულების დაქვეითებით – მაღლიდან დაბალ ხარისხში გადაყვანით, ასეთი შემთხვევა არ იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.

გამოშვებაში იგულისხმება საქონლის დამზადება სარეალიზაციო დონემდე, თუნდაც იგი ჯერ არ იყოს ბაზარზე გატანილი რეალიზაციისათვის. მაგალითად: როდესაც საქონელმა დამზადების შემდეგ გაიარა ტექნიკური კონტროლი, მიღებული იქნა იგი როგორც პროდუქცია და გაფორმდა საამისო დოკუმენტი.

პროდუქცია გასაყიდად ითვლება, როდესაც იგი გატანილია სავაჭრო ადგილებსა და სათავსოებში სათანადო ღირებულებითა და იარლიყით. ამასთანავე, არ აქვს მნიშვნელობა, საქონელი გაიცვლება ფულზე თუ სხვა საქონელზე.

დანაშაული დამთავრებულად ითვლება ჯანმრთელობის ხელყოფისთანავე. კვალიფიკაციისათვის ჯანმრთელობის დაზიანების სიმძიმეს მნიშვნელობა არ აქვს.

სუბიექტური მხარე დანაშაულისა გამოიხატება საქონლის გამოშვების, რეალიზაციის და მომსახურების ისეთ ხარისხში, რომელიც იწვევს ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანებას, აგრეთვე ისეთი ოფიციალური დოკუმენტის უკანონოდ გაცემაში ან გამოყენებაში, რაც ადასტურებს ამ საქონლის, სამუშაოს, მომსახურების შესაბამისობას უსაფრთხოების მოთხოვნებთან.

დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს უხარისხო საქონლის დამამზადებელი, მომსახურების გამწევი, ცნობის გამცემი, ექიმი, სანეპიდ-სადგურის თანამშრომელი, საქონელმცოდნე და ა. შ.

მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს მაშინ თუ პირველ ნაწილში მითითებულმა მოქმედებამ გამოიწვია ადამიანის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება ანდა ორი ან მეტი ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანება.

მუხლის მესამე ნაწილი პასუხისმგებლობას აწესებს, თუ პირველი ნაწილით გათვალისწინებულმა ქმედებამ გაუფრთხილებლობით გამოიწვია ადამიანის დაღუპვა.

უკანონო გაერთიანების შექმნა ან ხელმძღვანელობა ანდა მასში მონაწილეობა – მუხლი 252

1997 წლის 31 ოქტომბრის კანონი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ განმარტავს, რომ „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება არის საერთო მსოფლმხედველობრივ და ორგანიზაციულ საფუძველზე შექმნილი მოქალაქეთა ნებაყოფლობითი დამოუკიდებელი გაერთიანება, რომელიც რეგისტრირებულია ამ კანონით დადგენილი წესით და თავის საქმიანობას ანხორციელებს საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის ფარგლებში“. კანონი განსაზღვრავს გაერთიანების შექმნის წესებს, საქმიანობას, მათ ხელმძღვანელ ორგანოს და ა. შ.

1994 წლის მაისის კანონი „აღმსარებლობისა და რელიგიური გაერთიანებების შესახებ“ მე-10 მუხლში განმარტავს, რომ რელიგიური ორგანიზაცია მოქალაქეთა ნებაყოფილობითი გაერთიანებაა ერთობლივი აღმსარებლობის განხორციელების მიზნით. კანონი ამკვიდრებს ამ გაერთიანებების შექმნის წესს, მათს ფინანსურ ურთიერთობებს, გაერთიანებებზე სახელმწიფო კონტროლის წესს და ა. შ.

განსახილველი მუხლი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველის დისპოზიცია ასეთი შინაარსის არის: ისეთი რელიგიური ან პოლიტიკური ან საზოგადოებრივი გაერთიანების შექმნა, რომლის საქმიანობას თან ერთვის ძალადობა ადამიანის მიმართ, ანდა ასეთი გაერთიანების ხელმძღვანელობა.

პირველი ნაწილის დისპოზიციაში დანაშაულის რამდენიმე შემადგენლობაა: 1) ორგანიზაციის შექმნა. 2) ძალადობა ადამიანის მიმართ. 3) ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელობა.

რელიგიური ან ასეთი საზოგადოებრივი გაერთიანების ცნებაში იგულისხმება ნებაყოფილობითი, თვითმმართველობითი ფორმირება, რომელიც შექმნილია რელიგიის მიმდევარ მორწმუნეთა ან სხვა მოქალაქეთა ინიციატივით, ინტერესების ერთიანობის საფუძველზე. ასეთი ორგანიზაცია არ შეიძლება რეგისტრირებული, ლეგალიზებული იქნეს, რადგან იგი კანონსაწინააღმდეგო ამოცანებს უსახავს თავისთავს.

შექმნა ნიშნავს მოქმედებას, რითაც ორგანიზატორი ახდენს წევრების შერჩევას, გადმობირებას, ორგანიზაციული სტრუქტურის ჩამოყალიბებას, მიზნის დასახვას და მისი განხორციელების შესაძლებლობათა გამოძებნას.

ძალადობაში იგულისხმება ფიზიკური ან ფსიქოზემოქმედება,

რომელიც შეიძლება განხორციელდეს ცემით, თავისუფლების უკანონოდ აღკვეთით ან ასეთის მუქარით და ა.შ.

ასეთი გაერთიანების ხელმძღვანელობა ნიშნავს მისი საქმიანობის მიზნის დასახვას, ფუნქციების განაწილებას შემსრულებელთა ცოდნისა და უნარის მიხედვით, შესრულების სწავლებას, კონტროლის, დასჯითი და წახალისებითი პოლიტიკის გატარებას და ა.შ.

ობიექტი დანაშაულისა არის მოსახლეობის ჯანმრთელობა და საზოგადოებრივი ზნეობა.

ობიექტურის მხრივ ქმედება გამოიხატება გაერთიანების შექმნაში, მის ხელმძღვანელობაში, მოქალაქეთა მიმართ ძალადობაში.

სუბიექტური მხარე პირდაპირი განზრახვით გამოიხატება.

მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს გაერთიანებაში მონაწილეობისათვის.

მონაწილეობა ნიშნავს გაერთიანების დანაშაულებრივი საქმიანობის განხორციელებაში გარკვეული ფუნქციის, საქმიანობის, როლის შესრულებას.

პროსტიტუციაში ჩაბმა – მუხლი 253

მუხლის პირველი ნაწილის დისპოზიცია ასეთია: „პროსტიტუციაში ჩაბმა ძალადობით, ძალადობის ან ქონების განადგურების მუქარით, შანტაჟით ან მოტყუებით“.

პროსტიტუციის ცნებაში იგულისხმება სქესობრივი კავშირი ქალისა მამაკაცთან სიმპათიისა და ჭორწინების გარეშე ფულით ან ნივთით გადახდის სამაგიეროდ. პროსტიტუციის დამახასიათებელ ნიშნად მიიჩნევა სისტემატური სქესობრივი კავშირი სხვადასხვა მამაკაცთან, იგივე მიზნით, როგორც წინასწარი მოლაპარაკებით, ასევე მოლაპარაკების გარეშე. პროსტიტუცია ლათინური სიტყვაა და ქალის მიერ საკუთარი სხეულით ვაჭრობას ნიშნავს.

პროსტიტუციაში ჩაბმა შეიძლება განხორციელდეს ფიზიკური ძალადობით ან ასეთის მუქარით, შანტაჟით ან მოტყუებით. თუ ქალის პროსტიტუციაში ჩაბმას თან ახლავს წამება, ცემა, რითაც მან მიიღო სხეულის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება, მოქმედება დაკვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობით.

შანტაჟი ნიშნავს სახელის გამტეხი ფაქტების (ნამდვილის) გამომჟღავნებით დაშინებას.

ქონების განადგურების მუქარაში იგულისხმება ქონების მოსპობის რეალური მუქარა, რომლის შიშითაც დაზარალებული ებმება პროსტიტუციაში.

მოტყუებით პროსტიტუციაში ჩაბმა გულისხმობს მამაკაცისაგან ქალისათვის ცრუ დაპირებას, რის გამოც ქალი ებმება პროსტიტუციაში, ხოლო მამაკაცი აღარ ასრულებს დანაპირებს. დაპირება შეიძლება რაიმე ნივთის ყიდვისა, სამსახურში მოწყობისა, გარკვეული თანხის გადახდისა და ა.შ.

სუბიექტური მხარე გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში — დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ იგი მიმართავს ქალზე ფიზიკურ ძალადობას ან ასეთის მუქარას, ან მოტყუებას, ან შანტაჟს, რათა დაიყოლიოს იგი პროსტიტუციაში ჩასაბმელად და სურს ასეთი.

მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს, თუ პირველ ნაწილში ნაჩვენები რომელიმე ქმედება ჩადენილი იქნება ორგანიზებული ჯგუფის მიერ.

პროსტიტუციის ბინის მოწყობა ან შენახვა — მუხლი 254

დანაშაული ერთი ნაწილისაგან შედგება და მისი შინაარსი ასეთია: „პროსტიტუციის ბინის მოწყობა ან შენახვა“.

ბინის მოწყობაში იგულისხმება ისეთი სადგომის გამოძებნა და პროსტიტუციისათვის სამომხმარებლო ხარისხის მიცემა, რომელიც დაფარული იქნება უცხო თვალთაგან, უზრუნველყოფილი იქნება ავეჯითა და წყლით და სხვა იმ აუცილებელი პირობებით, რომელიც ამ დანაშაულის განხორციელებისათვის არის საჭირო. დამნაშავემ პროსტიტუციისათვის ბინა შეიძლება გამოყოს და მოაწყოს საკუთარ სახლში, ან დაიქირაოს საამისო ფართობი.

ქალების მიწვევა ხდება რაიმეს შეთავაზებით (ფული, ნივთი და ა.შ.), რითაც ქალი ინტერესდება და ღებულობს მიწვევას.

პროსტიტუციის ბინის შენახვაში იგულისხმება პროსტიტუციისათვის საჭირო პირობების დაცვა, რითაც გრძელდება მისი არსებობა. კერძოდ: ბინის ხელშეუხებლობა, ჰიგიენა, მიმდინარე შეკეთება, თანხაზე მოლაპარაკება, ურთიერთობის პირობების შექმნა, სამედიცინო-

ჰიგიენური მომსახურება, კომუნალური პირობების უზრუნველყოფა და ა.შ.

სუბიექტური მხარე გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში — დამნაშავემ იცის, შეგნებით აწყობს ბინას პროსტიტუციისათვის, ან ინახავს მას და სურს ასეთი.

ობიექტი დანაშაულისა არის ადამიანის ჯანმრთელობა.

სუბიექტური მხრივ იგი გამოიხატება ბუნაგის მოწყობაში პროსტიტუციისათვის და მის შენახვაში.

პორნოგრაფიული ნაწარმოების ან სხვა საგნის უკანონო დამზადება ან გასაღება — მუხლი 255

ბოლო წლებში პორნოგრაფიული საგნების გავრცელებამ მეტად მასიური ხასიათი მიიღო. პრესაც ნაკლებად ერიდება მის გამოქვეყნებას ლიტერატურული, ფერწერული, გრაფიკული თუ ფოტო ნაწარმოების სახით.

მუხლი ერთი ნაწილისაგან შედგება. მისი შინაარსი ასეთია: პორნოგრაფიული ნაწარმოების, ნაბეჭდი გამოცემის, გამოსახულების ან პორნოგრაფიული ხასიათის სხვა საგნის უკანონო დამზადება, გავრცელება ან რეკლამირება, აგრეთვე ასეთი საგნებით ვაჭრობა, ანდა მისი შენახვა გაყიდვის ან გავრცელების მიზნით.

პორნოგრაფია სქესობრივი აღვირახსნილობისა და გარყვნილობის გამოხატვაა ლიტერატურასა თუ ხელოვნებაში. პორნოგრაფიული საგნები იწვევენ არაჯანსაღ სექსუალურ, ეროტიკულ ინტერესს, სქესობრივი კავშირის გარყვნილი ფორმით ჩატარებისაკენ სწრაფვას, რაც მწვავე ბიოლოგიური გამოფიტვითა და დაუძლურებით ემუქრება ადამიანის ორგანიზმს და სასქესო ფუნქციას. სწორედ ამიტომ აქვს პორნოგრაფიული ნაწარმოებების დამზადებას, შენახვას თუ გავრცელებას დანაშაულებრივი, საზოგადოებრივად საშიში ხასიათი.

ობიექტი დანაშაულისა არის საზოგადოების ჯანმრთელობა და ზნეობა, საგანი დანაშაულისა — ის ნივთები, რომელთაც გააჩნიათ პორნოგრაფიული უხამსობისა და ცინიზმის გამოხატულება, სიტყვიერ თუ სახეობრივ შემადგენლობაში.

ობიექტური მხარე დანაშაულისა მდგომარეობს პორნოგრაფიული ხასიათის ნივთების — ნახატებისა და ნაბეჭდი გამოცემების დამზა-

დებასა, შენახვასა და გავრცელებაში, რეკლამირებაში, გაყიდვაში, გასასყიდად შენახვაში და ა.შ.

დამზადებაში იგულისხმება ნახატების, ფოტოების ან ნაბეჭდი ტექსტების დამუშავება, სადაც აღწერილი და გამოხატულია სქესობრივი კავშირის გარყვნილი, დამცინავი ფორმა.

გავრცელებაში იგულისხმება ამგვარი ნივთების გადაცემა სხვადასხვა პირებისათვის.

რეკლამირება ეწოდება ისეთ საქციელს, როდესაც პორნოგრაფიულ ნივთებს აჩვენებენ ადამიანთა გარკვეულ ჯგუფებს და უმტკიცებენ მის სარგებლიანობას.

ვაჭრობა ნიშნავს, როცა ასეთ ნივთებს დამნაშავე გადასცემს მეორე პირს გარკვეული ღირებულების გადახდევინებით.

აღნიშნული დანაშაული ფორმალურია და დამთავრებულად ითვლება კანონში მითითებული რომელიმე მოქმედების განხორციელების მომენტიდან.

დანაშაულის ჩადენა ხდება პირდაპირი განზრახვით. პირს შეგნებული აქვს, რომ პორნოგრაფიული სურათების დამზადება, გასაღება, შანახვა, გავრცელება თუ რეკლამირება დანაშაულებრივი ქმედებაა, მაგრამ სურს ამ მოქმედების შედეგი.

ისეთი ნაწარმოების დამზადება ან გავრცელება, რომელიც პროპაგანდას უწევს ძალადობის და სისასტიკის კულტს – მუხლი 256

ბოლო წლებში საქართველოში არსებულმა პოლიტიკურმა მერყეობამ და საზოგადოებრივი ცხოვრების დეზორგანიზაციამ საგრძნობლად შეარყია საზოგადოებრივი წესრიგი და მასზე მეთვალყურეობის სპეცსტრუქტურების მუშაობა. ნაკლები ყურადღება ეთმობა მოქალაქეთა ესთეტიკური აღზრდის პრინციპების ნორმალიზაციას. ფეხი მოიკიდა გათიშვის, მოყვასის დავიწყების ტენდენციამ. ცოტა როდი შემოვიდა უცხოეთიდან ისეთი კინო და ვიდეო ფილმები, რომელთა მიზანია, გადააგვაროს ადამიანთა გონება მოყვასის სიყვარულის პოზიციებიდან კანიბალიზმისაკენ, სიკეთიდან ბოროტებისაკენ, სიყვარულიდან სიძულვილისაკენ და ა.შ. სწორედ ამგვარი მდგომარეობის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით კანონმდე-

ბელმა 256-ე მუხლის დისპოზიცია შემდეგნაირად ჩამოაყალიბა: „დამზადება, გავრცელება, ჩვენება ან შენახვა გავრცელებისა და ჩვენების მიზნით კინოფილმისა, ვიდეოფილმისა ან სხვაგვარი ნაწარმოებისა, რომელიც პროპაგანდას უწევს ძალადობის ან სისასტიკის კულტს“.

უშუალო ობიექტი მოცემული დანაშაულისა არის მოსახლეობის ჯანმრთელობა და საზოგადოებრივი ზნეობა. საგანი დანაშაულისა — კინო, ვიდეოფილმები და სხვა ნაწარმოებები, რომლებიც პროპაგანდას უწევენ ძალადობისა და სიმკაცრის კულტს. ასეთი ნაწარმოებებია ნებისმიერი საინფორმაციო წყარო, რომელიც შეიცავს წერილობით, გრაფიკულ ან სიმბოლურ გამოხატულებებს (წიგნები, სტატიები, სლაიდები, მაგნიტური ჩანაწერები, ფოტოები, ვიდეოჩანაწერები და ა.შ.).

ძალადობისა და სიმკაცრის კულტის ცნებაში იგულისხმება უგრძნობლობისა და შეუბრალებლობისადმი თავის მოხრა, თაყვანისცემა, დამორჩილება, მისი მოთხოვნის გაზიარება. შეუბრალებელი, ულმობელი გამოყენება ფიზიკური ძალისა და შესაძლებლობისა, პროპაგანდა იმისა, რომ სიმკაცრე და შეუბრალებლობა ბადებს გამარჯვებას, ადამიანის დათრგუნვა და მისი მორჩილებაში ყოფნა წარმოშობს განდიდებას და ა.შ.

ობიექტური მხარე დანაშაულისა მდგომარეობს ამგვარი ხასიათის ნაწარმოებთა დამზადებაში, გავრცელებაში და დემონსტრირებაში.

ნაწარმოებების დამზადებაში იგულისხმება მათი დახატვა, ვიდეო და ტელეფილმების გადაღება, ტექსტების შემუშავება, დაბეჭდვა, გამრავლება, რედაქტირება და ა.შ.

გავრცელებაში იგულისხმება მათი გადაცემა სხვადასხვა პირებზე მუდმივ ან დროებით სარგებლობაში, ხოლო დემონსტრირებაში — სახალხოდ ჩვენება ან ტექსტის წაკითხვა ფართო საზოგადოების წინაშე და ა.შ.

სუბიექტური მხარე დანაშაულისა მდგომარეობს პირდაპირ განზრახვაში. პირს შეგნებული აქვს, რომ ამზადებს, ავრცელებს, აჩვენებს კინო და ვიდეოფილმს ან სხვა რომელიმე ნაწარმოებს, რომელიც ადამიანებს აქეზებს ძალადობისა და სიმკაცრისაკენ და სურს ეს.

ისტორიის, კულტურის ან ბუნების ძეგლის დაზიანება ან განადგურება – მუხლი 257

კულტურის ძეგლების შენახვისა და დაცვის საქმეს სახელმწიფო აკონტროლებს. ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის არსებობის დროს გამოიცა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება კულტურის ძეგლთა დაცვის მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ.

განსახილველი მუხლი ოთხი ნაწილისაგან შედგება. პირველი მუხლის შინაარსი ასეთია: ,,ისტორიის, კულტურის ან ბუნების ძეგლის ანდა ისტორიული ან კულტურული ფასეულობის მქონე საგნის ან დოკუმენტის დაზიანება ან განადგურება".

კულტურის ძეგლებად ითვლება საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული ობიექტები, რომელთაც გააჩნიათ სამეცნიერო, ისტორიული ან მხატვრული ღირებულება. ასეთს მიეკუთვნებიან არქიტექტურული ნაგებობანი (შენობები, ხიდები, მემორიალები და სხვა), ხელოვნების ძეგლები: ფერწერის, სკულპტურისა და სხვათა სახით, არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული საისტორიო წყაროები, ისტორიული ძეგლები, რომლებიც მეტყველებენ ქვეყნის მიერ განვლილ ღირსშესანიშნავ მოვლენებზე, ხალხის ცხოვრებაზე, ისტორიულ ბრძოლებზე (მემორიალური კომპლექსები, გმირთა ძეგლები) და ა.შ.

ბუნების ძეგლებად ითვლება დამახასიათებელი ლანდშაფტები, იშვიათ, ღირსშესანიშნავ მცენარეთა და ცხოველთა ჯიშები, როგორც დამახასიათებელი და უნიკალური ნიმუშები, სამეცნიერო და სამკურნალო მნიშვნელობის, გეოგრაფიული ინდივიდუალობის მქონე ბუნების ნაკრძალები და ა.შ.

ობიექტი დანაშაულისა არის ერის ისტორიული ცხოვრება, საგანი კი კულტურის ძეგლები და ისტორიული ღირებულების კონკრეტული შენობები, მხატვრული ტილოები, არქიტექტურული კომპლექსები, სკულპტურული ძეგლები, ბუნებრივი ობიექტები, დოკუმენტები, რომელთაც სამეცნიერო და ისტორიული ღირებულება გააჩნიათ.

მუხლის პირველი ნაწილი პასუხისმგებლობას აწესებს ობიექტების განადგურებისა და დაზიანებისათავის.

განადგურებაში იგულისხმება საგნის სრული ლიკვიდაცია, როდესაც აღარ არსებობს ის, როგორც ძეგლი. დაზიანება ითვა-

ლისწინებს ობიექტის ბუნებრივი სახის მნიშვნელოვან შერყევას, მხატვრული, ისტორიული და სამეცნიერო ღირებულების დაქვეითებას და რომლის რესტავრაცია შესაძლებელია.

დანაშაულის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს იგივე ქმედებისათვის, როდესაც დამნაშავე გაანადგურებს ან დააზიანებს განსაკუთრებული ღირებულების ობიექტს. მაგალითად, მუზეუმში შემონახულ ისტორიულ წერილებს, ნივთებს, რომელიც ძველი საუკუნეების მაღალმხატვრულ გემოვნებაზე მიუთითებს ან რომელიმე მეფის პირად თუ სადარბაზო მორთულობას ამშვენებდა, ან სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დოკუმენტია, ან უძველესი დროის არქიტექტურისა თუ ხელოვნების ნიმუშია და ა.შ.

ამსრულებელი დანაშაულისა შეიძლება იყოს ნებისმიერი მოქალაქე. სუბიექტური მხარე გამოიხატება განზრახ ბრალში.

მუხლის მესამე და მეოთხე ნაწილი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს მაშინ, თუ პირველ და მეორე ნაწილში ჩამოთვლილი რომელიმე ქმედება ჩადენილია გაუფრთხილებლობით. მაგალითად, ინჟინერი მოპოვებითი სამუშაოების წარმოების დროს ახდენს მიწისქვეშა აფეთქებას, რითაც დაზიანდა ან განადგურდა ისტორიისა თუ კულტურის ძეგლი ან განსაკუთრებული ღირებულების ობიექტი.

მიცვალებულისადმი უპატივცემულობა – მუხლი 258

მუხლი სამი ნაწილისაგან შედგება. პირველი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს, როდესაც დამნაშავემ წაბილწა ცხედარი ან საფლავი, აგრეთვე დაანგრია ან დააზიანა საფლავის ძეგლი თუ მისი სხვაგვარი მიწისზედა ნაგებობა.

საქართველოში მიცვალებული და საფლავი მუდამ პატივითა და მოკრძალებით მოიხსენიება და მათდამი დამოკიდებულება სითბოთი და მოწიწებით გამოიხატება. ქართველი კაცი უცხო მიცვალებულთან მიახლოებისა თუ უცხო საფლავთან მისვლისასაც ქუდის მოხდით გამოხატავს რიდსა და მოწიწებას. სწორედ ზემოთ აღნიშნული და ბევრი სხვა გარემოება გახდა მიზეზი იმისა, რომ კანონმდებელმა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დააკისრა

პირს, რომელიც მიცვალებულის უპატივცემულობას ცხედრის ან საფლავის შებილწვით ან ძეგლის ან სხვაგვარი ნაგებობის დანგრევითა და დაზიანებით ამჟღავნებს.

წაბილწვაში კანონმდებელი გულისხმობს მიცვალებულის დასახიჩრებას, სიბინძურით დასვრას, ნაგვის მიყრას და ა.შ. საფლავის ძეგლად მიჩნეულია მიცვალებულის პორტრეტი (ქანდაკება, ბარელიეფი, გორელიეფი, აღმართული რაიმე სვეტი ან გამოსახულება, წარწერა და ა.შ.).

სხვაგვარ მიწისზედა ნაგებობაში კანონმდებელი გულისხმობს კვარცხლბეკს, ბორდიურს, შემოღობვას, რაიმე ორნამენტებს, რომელიც ამშვენებს მას, გამოხატავს მიცვალებულის პატივისცემას.

დანაშაული გამოვლინდება შებილწვასა, დანგრევასა და დაზიანებაში.

ობიექტი დანაშაულისა არის საზოგადოებრივი ზნეობა. საგანი —საფლავი და მისი ზედაპირული ნაგებობა, მორთულობანი, მიცვალებული.

ობიექტური მხარე გამოიხატება მათ შებილწვაში, დანგრევაში, დაზიანებაში.

სუბიექტური მხარე გამოიხატება აშკარა, პირდაპირ განზრახვაში.

მოტივი დანაშაულისა შეიძლება იყოს შური, სიძულვილი, განაწყენება და ა.შ.

მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ისეთი მძიმე ქმედებისათვის, როგორიც არის „საფლავში ჩატანებული ან საფლავზე არსებული საგნის გატაცება“ (მაგალითად, დამნაშავე საფლავიდან იტაცებს ტანსაცმელს, ნივთებს, ფულს და ა.შ. ასევე საფლავზე არსებულ საღობავს, გრანიტისა თუ მარმარილოს ფილებს, ვაზებს, უნიკალურ ვარდებს და ა.შ.).

მუხლის მესამე ნაწილი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს მაშინ, თუ პირველ ან მეორე ნაწილში გათვალისწინებული ქმედება ჩადენილია ა) ჯგუფურად. ბ) რასობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური შეუწყნარებლობის გამო. გ) ძალადობით ან ძალადობის მუქარით.

ძალადობა ან ძალადობის მუქარა შეიძლება განხორციელდეს

მიცვალებულის პირისუფლის, საფლავის დამცველის, ან ვინმე გარეშეს მიმართ, ვინც წინ აღუდგა სუბიექტის დანაშაულებრივ ქმედებას.

ცხოველისადმი სასტიკი მოპყრობა – მუხლი 259

ცხოველი უმნიშვნელოვანესი სიმდიდრეა და საკმაოდ მნიშვნელოვანი ძალაა სახალხო მეურნეობასა და ეკონომიკაში. იგი შეუცვლელი ნედლეულია, როგორც მსუბუქი, ასევე კების მრეწველობისათვის. ცხოველთა მოშენება და გაზრდა-გამრავლება სახალხო მეურნეობის ერთ-ერთი დარგია, გარდა ამისა, ცხოველი მეგობარია ადამიანისა თავისი ერთგულებითა და სიყვარულით. სწორედ აქედან გამომდინარე, კანონმდებელმა მკვეთრად აკრძალა და დანაშაულად მიიჩნია ცხოველებისადმი სასტიკი მოპყრობა, რასაც მათი დაღუპვა ან დასახიჩრება მოჰყვება, აგრეთვე ცხოველების წვალება ან ასეთი მოქმედება მცირეწლოვანის თანდასწრებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კანონმდებელი დისპოზიციაში მხოლოდ შინაურ და სამეურნეო ცხოველებს კი არ გულისხმობს, არამედ გარეულსაც.

ცხოველი, ბიოლოგიური თვალსაზრისით, გულისხმობს ორი სახის არსებას: 1. ძუძუმწოვარი, 2. ფრინველი.

სასტიკად მოპყრობა არის ცემა, გადაჭარბებული შრომით დატვირთვა და სხვა, ხოლო გაწვალება ისეთი მოპყრობა, რომელიც ცხოველს აყენებს ტკივილს, უსიამოვნებას, ჰგვრის შიშს და ა.შ. მაგალითად, ცხენის განუზომელი ჭენება, ღრმა წყალში ან ლაფში ჩაგდება, ზოოპარკის ცხოველების გაჯავრება, გაღიზიანება, დაშინება და ა.შ.

სუბიექტური მხარე პირდაპირი განზრახვით ხასიათდება.

ობიექტი – საზოგადოებრივი ზნეობა.

საგანი – ცხოველები.

ობიექტური მხარე გამოიხატება ცხოველებისადმი სასტიკად მოპყრობასა ან გაწვალებაში, რამაც მათი დაღუპვა ან დასახიჩრება გამოიწვია.

მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას მაშინ, თუ პირველ ნაწილში ჩამოთვლილ რომელიმე შემადგენლობას ჩაიდენენ დამნაშავენი: ა) ჯგუფურად. ბ) არაერთგზის. გ)

მცირეწლოვნის თანდასწრებით. ასეთი ქმედების საშიშროება მდგომარეობს მასში, რომ თვით ბავშვი განიცდის მწვავე გულისტკივილს.

დანაშაული დამთავრებულად ითვლება სასტიკი. მოპყრობის გამო ცხოველის დაღუპვის ან დასახიჩრებისთანავე, ან გაწვალებისთანავე.

33-ე თავი

ნარკოტიკული დანაშაული

საქართველოს საკანონმდებლო ხელისუფლებამ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებზე, რათა ის მეტად მოქნილი იარაღი გამხდარიყო საზოგადოებისათვის ამ საშიში სენის წინააღმდეგ საბრძოლველად.

კანონმდებელმა პასუხისმგებლობის დიფერენციაცია მოახდინა ნარკოტიკის დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობის გათვალისწინებით. ასევე სპეციალური მუხლები დაუთმო საქართველოში ნარკოტიკის შემოტანის, გატანის და საერთაშორისო გადაზიდვის წინააღმდეგ ბრძოლას. შემუშავდა სრულიად ახალი მუხლები, რომლებიც ითვალისწინებენ ნარკოტიკის ან მისი ანალოგის წარმოებისათვის ფარული ლაბორატორიის შექმნას.

აუცილებელ ღონისძიებად უნდა ჩაითვალოს ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვის, მოყვანისა და კულტივირების წინააღმდეგ ბრძოლა, რომელიც გათვალისწინებულია კოდექსის 265-ე მუხლში. სრულიად ახალი მუხლია ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარებისათვის ბინის ან სხვა სადგომის დათმობა – 271, ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარებაზე დაყოლიება – 272 და სხვა.

„გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ გაითვალისწინა რა ნარკოტიკების ზემოქმედებისაგან საზოგადოების, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ინტერესების დაცვის აუცილებლობა, 1961 და 1971 წლებში მიიღო კონვენციები ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებების შესახებ. მანვე 1988 წელს მიიღო კონვენცია ნარკოტიკული საშუალებების და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“.[1]

1. საქართველოში ნარკოტიკების უკანონოდ ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული პროგრამა, თბ., 1996, გვ. 5

კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები, თავიანთი კანონმდებლობით, შესაბამის ღონისძიებებს ატარებენ ამ დანაშაულის წინააღმდეგ, როგორც თავიანთი ქვეყნის ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ, ხელშეკრულებებზე დაყრდნობით.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია საქართველოს პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილი 1998 წლის 21 აგვისტოს „საქართველოში ნარკომანიისა და ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის 1998-2000 წლების სახელმწიფო პროგრამა," რომლის მიზანია ქვეყანაში ნარკომანიის, ნარკობიზნესის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება.

საქართველოში დატრიალებულმა სისხლიანმა კონფლიქტებმა, სამოქალაქო ომმა, ქაოსმა და გაუნკითხაობამ, მძიმე სოციალურ-ეკონომიკურმა პირობებმა, პოლიტიკურმა არასტაბილურობამ, კრიმინოგენური ვითარების გამწვავებამ, სასაზღვრო და საბაჟო კონტროლის შესუსტებამ ნარკომანიის გავრცელებას ფართო ასპარეზი მისცა. სწორედ ამ პროგრამაში გამოიხატა ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკური და სამართლებრივი დასაბუთება, სტრუქტურა, საერთაშორისო თანამშრომლობა რეგიონალური და საერთაშორისო ნარკობიზნესის წინააღმდეგ და ა. შ.

სწორედ ეს დოკუმენტებიც იქნა გათვალისწინებული, როცა საქართველოს კანონმდებლობამ ესოდენ დახვეწა და ქმედითი გახადა ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები და განსაკუთრებით — სისხლის სამართლებრივი კანონმდებლობა, რომლის ცალკეული მუხლების განხილვას ქვემოთ შევეცდებით.

ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება — მუხლი 260

განსახილველი მუხლი სამი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილის დისპოზიცია ასეთი შინაარსისაა:

„ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება".

ნარკოტიკულ საშუალებებად მიჩნეულია მცენარეული, ბუნებრივი ან ხელოვნური (სინთეტიკური) წარმოების სამკურნალწამლო პრეპარატი, რომელიც შეიცავს ნარკოტიკულ ნივთიერებას და გამოირჩევა ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე სპეციალური ზემოქმედებითი თვისებით (სტიმულირებით, აღგზნებადობით, დაბეჩავებით, ჰალუცინაციით).

დღევანდელი მდგომარეობით ნარკოტიკულ ნივთიერებათა სახეობანი სამ სიაში ჩამოითვლება. პირველში შედის ის ნივთიერებანი, რომლებიც 1961 წლის ერთიანი კონვენციით მიჩნეულია ნარკოტიკულ ნივთიერებებად. ესენია: ჰაშიში (ანაშა), ჰეროინი, კანაფი (მარიხუანა), კოდეინი, კოკაინი, ეფედრინი, მესკალინი, მეტადონი, მორფი, პრომიდოლი და სხვა მრავალი, სულ 240 დასახელებისა.

N 2 ჩამონათვალში მითითებულია უმთავრესად სამკურნალწამლო საშუალებები, რომლებიც გამოიყენებიან ავადმყოფთა მკურნალობისათვის და გაიცემა ინდივიდუალურად, ექიმის სპეციალური რეცეპტით. ამ სიაში ჩამოთვლილი ნარკოტიკული ნივთიერებანი, ფაქტობრივად, პირველ ჩამონათვალშიც შედის, მაგრამ სხვათაგან განსხვავებით, ისინი სამკურნალოდ გამოიყენება.

მესამე სია ჩამოგვითვლის ისეთ ნარკოტიკულ ნივთიერებებს, რომლებიც აკრძალულია წარმოებისათვის და, მით უმეტეს, ადამიანისათვის. ასევე აკრძალულია მათი დათესვა და მოყვანა. მათ შორისაა ინდური, სამხრეთ ჩუვაშეთის, სამხრეთ მანჯურიის, სამხრეთ კრასნოდარის მხარის კანაფი, ყაყაჩო და მათი წარმოება.

ნარკოტიკის ანალოგი არის ბუნებრივი და სინთეტიკური მასალით დამზადებული, ძირითად ჩამონათვალში მოცემული ნივთიერებების მსგავსი ნივთიერებანი, რომლებიც მათგან განსხვავდებიან ძირითადი შემადგენლობით, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ნარკოტიკულ ნივთიერებებს მიეკუთვნებიან.

„პრეკურსორი არის ნარკოტიკული ნივთიერების ნახევარპროდუქტები, რომლებიც ნარკოტიკულ საშუალებათა დამზადებისას მთლიანად ან ნაწილობრივ ხდებიან მისი მოლეკულის ნაწილი“, ე. ი. ნივთიერება, რომელიც ნახევარფაბრიკატია, იხმარება ნარკოტიკული საშუალების დასამზადებლად და გადამუშავების პროცესში მთლიანად ან ნაწილობრივ გარდაიქმნება ნარკოტიკულ ნივთიერებად.

დამზადებაში კანონმდებელი გულისხმობს ისეთ მოქმედებას, რომლის მეშვეობითაც მიიღება კონდიცირებული, სრულყოფილი ნარკო-

	ნარკოტიკული საშუალებების დასახელება	ნარკოტიკული საშუალებების ოდენობა		
		მკრეხ	დიდი	განსაკუთრებით დიდი
1	ბარბამილი	0,6 გრ.	30 გრ.	300 გრ.
2	კოკაინი	0,2 გრ.	10 გრ.	100 გრ.
3	კოდეინი	0,2 გრ.	10 გრ.	100 გრ.
4	ნოჭაირონი	0,5 გრ.	25 გრ.	250 გრ.
5	ოპიუმი	0,5 გრ.	50 გრ.	500 გრ.

(ცხრილი შეკვეცილია)

ტიკული ნივთიერება. დამნაშავე მას უფრო ხშირად ღებულობს ბუნებრივი ნედლეულისაგან. მაგალითად, ანაშას იღებს ინდური კანაფის დამუშავებით და ა.შ. ნივთიერების აქტივობასა და კონცენტრაციის ხარისხს კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არ აქვს.

წარმოებაში კანონმდებელი გულისხმობს ნარკოტიკული ნივთიერების დამზადების სრულ ციკლს, თვით ნედლეულის მიღებიდან მზა პროდუქციის დაფასოება-შეფუთვამდე.

შეძენაში ნაგულისხმევია ნარკოტიკული ნივთიერების ყიდვა ფულით, გაცვლა საგანში, მიღება ვალში ან გარკვეული სამუშაოს შესრულებაში, ან ნარჩენების შეგროვებაში და ა.შ. შეძენა შეიძლება იყოს სასყიდლიანი ან უსასყიდლო.

შენახვაში იგულისხმება ნარკოტიკული ნივთიერების ისეთ საიმედო ადგილზე მოთავსება, რომელიც შეუმჩნეველია სხვა პირისაგან და დაცულია დაზიანების, განადგურების ან დატაცებისაგან. შენახვა უკანონოა, თუ პიროვნებას სათანადო სახელმწიფო ნებართვა არ გააჩნია. შენახვისათვის პასუხს აგებს არა მარტო მეპატრონე, არამედ ის, ვინც მიიბარა შესასანახად და შეინახა.

გადაზიდვაში იგულისხმება ერთი გეოგრაფიული წერტილიდან მეორეზე გადატანა ნებისმიერი ტრანსპორტით, თუნდაც ფეხით, შენახვის, გადამუშავების ან სხვა მიზნით.

ნარკოტიკული ნივთიერების გადაგზავნაში იგულისხმება მეპატრონის სურვილით, მისი თანხლების გარეშე გადატანა ერთი ადგილიდან მეორეზე – ფოსტით, კერძო პირის ტრანსპორტით თუ სხვა საშუალებით (ადამიანის, ძაღლის, ფრინველის დახმარებით და ა.შ.).

მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას აწესებს პირველ

ნაწილში ჩამოთვლილი რომელიმე ქმედებისათვის თუ იგი ჩადენილია: ა) დიდი ოდენობით. ბ) წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ. გ) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით. დ) არაერთგზის. ე) იმის მიერ, ვისაც წინათ ჩადენილი აქვს კოდექსის ამ თავით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული.

დიდი ოდენობა დგინდება ექსპერტის დასკვნით, სადაც გათვალისწინებულია როგორც წონა, ასევე გავლენის თვისებები. ამასთან ერთად, საქართველოს ჯანმრთელობის დაცვისა და შ.ს. სამინისტროების 1994 წლის 21 დეკემბრის N 418/ო/813 ბრძანებით არსებობს დასკვნა, რომლითაც განსაზღვრულია ნარკოტიკული საშუალებების მცირე, დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობის ცნებები.

არაერთგზის ნიშნავს, 260-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების ორჯერ ან მეტჯერ ჩადენას. იყო თუ არა ის რომელიმე მათგანისათვის ნასამართლევი, კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არ აქვს.

სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებაში კანონმდებელი გულისხმობს იმ პირის მიერ დანაშაულის ჩადენას, რომელსაც უჭირავს გარკვეული თანამდებობა სახელმწიფო ან საფირმო-სამედიცინო დაწესებულებაში (დირექტორი, მთავარი სპეციალისტი, მთავარი ფარმაკოლოგი და სხვა), ან არ არის ამ თანამდებობის პირი, მაგრამ თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამო საქმე აქვს ნარკოტიკულ ნივთიერებებთან მათი გამოყენებისათვის, დასაცავად და სხვა. ასეთი შეიძლება იყოს მედიცინის მუშაკი - ექიმი, ფელდშერი, საწყობის პასუხისმგებელი მუშაკი, დაცვის, ხელისუფლების ორგანოების თანამშრომლები და ა.შ. წინასწარი შეთანხმებით პირთა ჯგუფის რაობა განხილულია 177-ე მუხლის განხილვის დროს.

არაერთგზის ნიშნავს ისეთ შემთხვევას, როცა დამნაშავეს ადრე ჩადენილი ჰქონდა ამავე მუხლით გათვალისწინებული ქმედება.

რაც შეეხება „ე“ პუნქტით გათვალისწინებულ კვალიფიციურ ნიშანს, იქ იგულისხმება ისეთი შემთხვევა, როცა დამნაშავეს ადრე ჩადენილი ჰქონდა ამ კოდექსის 33-ე თავის რომელიმე მუხლით გათვალისწინებული ქმედება, გარდა იმ ქმედებისა, რომელიც აღწერილია 260-ე მუხლით.

მუხლის მესამე ნაწილით პასუხისმგებლობის საკითხი დგება მაშინ, თუ პირველი ან მეორე ნაწილით გათვალისწინებული

რომელიმე ქმედება ეხება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკს ან ჩადენილია ორგანიზებული ჯგუფის მიერ. ორგანიზებული ჯგუფის რაობაზე საუბარი იყო 177-ე მუხლის განხილვის დროს.

დამნაშავის მიზანი არის მატერიალური გამორჩენის მიღება.

ობიექტი - მოსახლეობის ჯანმრთელობა.

ობიექტური მხარე გამოიხატება მუხლის პირველ ნაწილში ჩამოთვლილი დანაშაულის რომელიმე შემადგენლობის ჩადენით.

სუბიექტური მხრივ დანაშაული ხასიათდება პირდაპირი განზრახვით.

მუხლის ბოლოს კანონმდებელი შენიშნავს: „ამ თავით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება ის, ვინც ნებაყოფილობით ჩააბარებს ნარკოტიკულ საშუალებას, მის ანალოგს, პრეკურსორს, ფსიქოტროპულ ნივთიერებას, მის ანალოგს ან ძლიერმოქმედ ნივთიერებას, თუ მის ქმედებაში არ არის სხვა დანაშაულის ნიშნები.“

ნარკოტიკულ ნივთიერებათა დამზადების, გადაზიდვის, შენახვის, გასაღების თუ სხვა მოქმედებათა უკანონობაში კანონმდებელი გულისხმობს ასეთ მოქმედებათა ჩადენას სახელმწიფო რეგისტრაციის ნებართვის გარეშე.

ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება – მუხლი 261

განსახილველი მუხლი ოთხი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილით კანონი პასუხისმგებლობას აკისრებს მას, ვინც ფსიქოტროპიული ნივთიერება ან მისი ანალოგი უკანონოდ დაამზადა, აწარმოა, შეიძინა, შეინახა, გადაზიდა, გადააგზავნა ან გაასაღა.

ფსიქოტროპიულ ნივთიერებებში იგულისხმება ბუნებრივი ან სინთეტიკური მასალები, რომლებსაც გააჩნიათ ადამიანის ცენტრალური ნერვული სისტემის როგორც სტიმულიზაციისა და აღგზნების, ასევე დეპრესიის უნარი და რომლებიც დადგენილია ნარკოტიკული ნივთიერებათა უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ ვენის 1971 წლის საერთაშორისო კონვენციით. ამ ნივთიერ-

ბებს მიეკუთვნებიან: ამობარბიტალი, ფენმეტრაზინი, ცენტობარბიტალი, დეკსტრომეტორფანი, ეტამინალის ნატრიუმი, ტრიაზოლამი, ციპერპროლი, ფენტარმინი, ამინორექსი, ფტოროტონი და სხვა.

ნარკოტიკული ნივთიერების სახეობისა და ზემოქმედების ხარისხის დადგენა-განსაზღვრა მეტად საჭირო ამოცანაა ამ კატეგორიის საქმის გამოძიების დროს, როგორც სწორი კვალიფიკაციის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება. ეს საკითხი წყდება სათანადო ექსპერტიზის ჩატარებით.

ფსიქოტროპული ნივთიერების ანალოგის თაობაზე ჩვენ ვისაუბრეთ 260-ე მუხლის განხილვის დროს.

დანაშაულის საგანი არის ფსიქოტროპიული ნივთიერება ან მისი ანალოგი, რომელსაც გააჩნია საკუთარი წონა და ფიზიკური სახე, კონკრეტული რაოდენობრივ-ხარისხობრივი მაჩვენებელი. ამ ნივთიერების ოდენობის განსაზღვრას არსებითი მნიშვნელობა აქვს მოქმედების სამართლებრივი შეფასებისათვის.

მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს, თუ დამნაშავე ძლიერმოქმედ ნივთიერებას უკანონოდ დაამზადებს, აწარმოებს, შეიძენს, შეინახავს, გადაზიდავს, გადაგზავნის ან გაასაღებს.

ძლიერმოქმედების ცნებაში იგულისხმება ნივთიერების თვისება, მკვეთრი მასტიმულირებელი და მადეპრესირებელი გავლენა მოახდინოს ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე, გამოიწვიოს ჰალუცინაცია, დაარღვიოს ტვინის მოტორული ფუნქცია და აზროვნება, ქცევა, აღქმის უნარი, უარყოფითად შეცვალოს გუნება-განწყობა (ინდური კანაფი, მანჯურიის კანაფი და სხვები).

ამ ნაწილში მოცემული დანაშაულის სხვა შემადგენლობებზე საუბარი გვქონდა 260-ე მუხლის განხილვის დროს.

მუხლის მესამე ნაწილი პასუხისმგებლობას აკისრებს, თუ პირველი ან მეორე ნაწილით გათვალისწინებული ქმედება ჩადენილია: ა) დიდი ოდენობით. ბ) წინასწარი შეთანხმებით პირთა ჯგუფის მიერ. გ) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით. დ) არაერთგზის. ე) იმის მიერ, ვისაც წინათ ჩადენილი აქვს ამ თავით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული.

მუხლის მეოთხე ნაწილი პასუხისმგებლობას აწესებს მაშინ, თუ პირველი ან მეორე ნაწილით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული ჩადენილია: ა) განსაკუთრებით დიდი ოდენობით. ბ) ორგანიზებული ჯგუფის მიერ. განსაკუთრებით დიდ ოდენობაზე

საუბარი იყო 260-ე მუხლის განხილვის დროს, ხოლო ორგანიზებული ჯგუფის რაობაზე – 177-ე მუხლის შესწავლისას.

დანაშაულის ობიექტი არის ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა.

ობიექტური მხარე გამოიხატება იმ მოქმედებებით რომელიც ჩამოთვლილია მუხლის პირველ ნაწილში.

სუბიექტური მხარე გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში.

საქართველოში ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონოდ შემოტანა, საქართველოდან უკანონოდ გატანა ან ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვა – მუხლი 262

განსახილველი მუხლი ახალია ჩვენს კანონმდებლობაში. იგი სამი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილის შინაარსი ასეთია: „საქართველოში ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონოდ შემოტანა, საქართველოდან უკანონოდ გატანა ან ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვა.“

უკანონოდ შემოტანა-გატანაში კანონმდებელი გულისხმობს რომელიმე ქვეყნიდან საქართველოს ტერიტორიაზე ნარკოტიკული საშუალების ან მისი ანალოგის ან პრეკურსორის შემოზიდვას ან პირიქით – საქართველოს ტერიტორიიდან სხვა ქვეყანაში გადაზიდვას ნებისმიერი ტრანსპორტით. უკანონობა გამოიხატება სახელმწიფო ნებართვისა და საბაჟო სამსახურის გვერდის ავლაში. დამნაშავის მიზანია, ფარულად აწარმოოს ნარკობიზნესი და მიიღოს მატერიალური გამორჩენა.

რაც შეეხება ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვას, იგი გამოიხატება მასში, რომ დამნაშავეს ნარკოტიკი გადააქვს ერთი ქვეყნიდან მეორეში, შუალედური სახელმწიფოს გავლით, იქ გადატვირთვის გარეშე. მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს, თუ დამნაშავემ საქართველოს ტერიტორიიდან უკანონოდ გაიტანა ან შემოიტანა, ან საერთაშორისო ტრანზიტით გადაზიდა დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება, ან ეს მოქმედება ჩადენილია წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით„ ან არაერთგზის, ან იმ პირის მიერ, ვისაც წინათ ჩადენილი აქვს ოცდამეცამეტე თავით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული, გარდა 262-ე მუხლით

გათვალისწინებული დანაშაულისა. ჩამოთვლილი ცალკეული დანაშაულის რაობა განხილულია 260-ე მუხლზე საუბრის დროს და აღარ გავიმეორებთ.

მუხლის მესამე ნაწილი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს, თუ პირველ ან მეორე ნაწილში ჩამოთვლილი რომელიმე დანაშაული ჩადენილია განსაკუთრებით დიდი ოდენობით, ნარკოტიკული საშუალებების საქართველოს საზღვარზე გადატანა-გადმოტანით ან ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვით ან თუ ეს მოქმედება განახორციელა ორგანიზებულმა ჯგუფმა.

დანაშაულის ობიექტი არის მოსახლეობის ჯანმრთელობა და ნარკოტიკულ ნივთიერებათა მიმოქცევის სახელმწიფო წესი. ეს წესი დადგენილია საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1994 წლის 21 აპრილის N 130 ბრძანებით, რომელიც, ამავე დროს, საფუძვლად დაედო საქართველოს სახელმწიფო საბაჟო საზღვარზე ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებების გადაადგილების კონტროლის გაძლიერების სამსახურის შექმნას და ა.შ.

დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება ნარკოტიკული საშუალებების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის საქართველოში უკანონოდ შემოტანაში ან გატანაში ან ტრანზიტში საერთაშორისო გადაზიდვაში.

სუბიექტური მხარე გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში — დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ მას უკანონოდ შემოაქვს საქართველოში ან გააქვს ნარკოტიკული საშუალებები, მისი ანალოგი ან პრეკურსორი, ან აწარმოებს ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვას, მაგრამ უშვებს ასეთს და სურს ამ მოქმედების შედეგი.

საქართველოში ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების დიდი ოდენობით უკანონოდ შემოტანა, საქართველოდან უკანონოდ გატანა ან ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვა — მუხლი 263

განსახილველი მუხლი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილის დისპოზიცია ასეთი შინაარსისაა: საქართველოში ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების დიდი

ოდენობით უკანონოდ შემოტანა, საქართველოდან უკანონოდ გატანა ან ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვა.

მიუხედავად იმისა, რომ წინათ განხილულ მუხლებში განვმარტეთ ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის რაობა, ერთხელ კიდევ გავიმეორებთ, რომ ფსიქოტროპულ ნივთიერებებად ითვლება ბუნებრივი ან სინთეტიკური ნივთიერებანი, რომლებიც, გარკვეული დოზით მიღების შემდეგ, მასტიმულირებლად მოქმედებს ადამიანის ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე, ხოლო ხანგრძლივი მიღების შემთხვევაში კი იწვევს ცენტრალური ნერვული სისტემის დეპრესიას. ისინი ჩამოთვლილია 1971 წლის ვენის კონვენციის სიაში ფსიქოტროპული ნივთიერებების შესახებ და 1988 წლის გაეროს კონვენციის დოკუმენტებში ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ. ეს ნივთიერებანი ჩვენ დავასახელეთ 261-ე მუხლზე საუბრის დროს.

განსახილველი მუხლის პირველი ნაწილი დანაშაულად მიიჩნევს: ა) ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების დიდი ოდენობის უკანონოდ გატანას საქართველოდან მის საზღვრებს გარეთ. ბ) ამავე ნივთიერების დიდი ოდენობით უკანონოდ შემოტანას სხვა ქვეყნიდან საქართველოს ტერიტორიაზე. გ) ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვას.

უკანონოდ ითვლება ყოველგვარი სახის გადაზიდვა, გადმოზიდვა და ტრანზიტი, თუ იგი ლიცენზირებული არ არის სახელმწიფოს მიერ და ხდება საბაჟო სამსახურის გვერდის ავლით. დიდი ოდენობის თაობაზე საუბარი გვქონდა 260-ე მუხლის განხილვისას.

დანაშაულის სწორი კვალიფიკაციისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ნივთიერებათა სახეობისა და ოდენობის დადგენას. ამდენად, აუცილებლად უნდა ჩატარდეს ბიოლოგიური ან ქიმიური (ან ორივე კომპლექსურად) ექსპერტიზა. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის, რომ ექსპერტიზის დასკვნას ვერ შეცვლის აგრონომიული თუ სამედიცინო დაწესებულებების მიერ გაცემული ცნობები ამ ნივთიერებათა რაობაზე, ვერც დამნაშავის აღიარება ნივთიერების ნარკოტიკულ შეუცველობაზე.

ძლიერმოქმედად იწოდება ნივთიერება, რომელიც, მნიშვნელოვანი დოზის მიღების შემთხვევაში, საშიშია სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის. ისინი, უპირველეს ყოვლისა, მოქმედებენ ადამიანის ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე, როგორც მასტიმულირებელი და მადეპ-

რესირებელი, იწვევენ ჰალუცინაციებს ან გულის მოტორული ფუნქციის მოშლას და მძიმე შედეგს – ადამიანის ჯანმრთელობის სრულ მოშლას ან დაღუპვას.

ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვის რაობა განხილულია 262-ე მუხლის შესწავლის დროს და აქ აღარ გავიმეორებთ.

მუხლის მეორე ნაწილი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ითვალისწინებს, თუ პირველ ნაწილში ჩამოთვლილი ქმედება ჩადენილია: ა) განსაკუთრებით დიდი ოდენობით. ბ) ჯგუფურად. გ) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით. დ) არაერთგზის. ე) იმის მიერ, ვისაც წინათ ჩადენილი აქვს კოდექსის ამ თავით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული, გარდა ამ მუხლით აღწერილი ქმედებისა.

განსაკუთრებით დიდი ოდენობა მითითებულია 260-ე მუხლის განხილვაში.

მეორე ნაწილის „ბ“ პუნქტი მაკვალიფიცირებელ ნიშნად მიიჩნევს პირველ ნაწილში მითითებული მოქმედების განხორციელებას ჯგუფურად. ამ კოდექსის 27-ე მუხლი განმარტავს, რომ დანაშაული ჯგუფის მიერაა ჩადენილი, თუ მის განხორციელებაში წინასწარ შეუთანხმებლად ერთობლივად მონაწილეობდა ორი ან მეტი ამსრულებელი.

ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის, ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება ან გამოძალვა – მუხლი 264

განსახილველი მუხლი სამი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი პასუხისმგებლობას აწესებს მაშინ, როდესაც დამნაშავე ნარკოტიკულ საშუალებას, მის ანალოგს ან პრეკურსორს, ფსიქოტროპულ ნივთიერებას, მის ანალოგს ან ძლიერმოქმედ ნივთიერებას მართლსაწინააღმდეგოდ მიისაკუთრებს ქურდობით, ძარცვით, თაღლითობით, გაფლანგვით ან გამოძალვით. დატაცების ამ ხერხებზე ჩვენ ვისაუბრეთ 177, 178, 180, 181, 182-ე მუხლების განხილვის დროს და აქ ალარ გავიმეორებთ.

შენიშვნის სახით მინდა აღვნიშნო, რომ მისაკუთრება და მითვი-

სება, განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, ერთი და იგივე მოქმედების შედეგს გამოხატავს.

ტერმინის - მისაკუთრების ხმარება უფრო მოქნილად დამნაშავის ისეთ მოქმედებას გამოხატავს, როდესაც საგანი მას რაიმე მოტივით, კანონიერად ჰქონდა მინდობილი (შესანახად, სახმარად და ა.შ.) და, მართლსაწინააღმდეგოდ, გამოაცხადა თავის საკუთრებად, თავისად. განსახილველ მუხლში, ნარკოტიკული ნივთიერების მართლსაწინააღმდეგოდ განკარგვის შესაძლებლობაში მოქცევა ჯობდა გამოგვეხატა ტერმინით – ხელში ჩაგდება.

გამოძალვაში კანონმდებელი გულისხმობს დამნაშავის მიერ ნარკოტიკული ნივთიერების გადაცემის მუქარით მოთხოვნას დაზარალებულისაგან (მისი ან ახლო ნათესავის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ან ქონების განადგურების, ან სახელისა და ღირსების შემარცხვენელი ინფორმაციის გავრცელების), რათა აიძულოს დაზარალებული, გადასცეს მას მუხლის პირველ ნაწილში ჩამოთვლილი ნარკოტიკული ნივთიერება.

264-ე მუხლით ქმედების კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არ აქვს, ვის მისცა სუბიექტმა ასეთი დანაშაულებრივი წინადადება – სახელმწიფო, საზოგადოებრივ, კერძო დაწესებულებას, წარმოებას თუ ცალკეულ პირს, რომლებიც ნივთიერებებს კანონიერად თუ უკანონოდ ფლობენ.

ამ დანაშაულის ზოგად ობიექტად ითვლება მოსახლეობის ჯანმრთელობის უსაფრთხოება, დამატებით ობიექტად გამოიყურება საკუთრება.

დანაშაულის საგანი არის ნარკოტიკული, ფსიქოტროპული ძლიერმოქმედი ნივთიერება, პრეკურსორი ან მათი ანალოგი.

საყურადღებოა ის, რომ ხშირად პრაქტიკაში ძნელდება მოქმედების დაკვალიფიცირება, როდესაც მისაკუთრება ეხება ნარკოტიკული ნივთიერების მცენარეული არსებობის მომენტს. ამ შემთხვევაში მოქმედება არ · შეიძლება დაკვალიფიცირდეს განსახილველი მუხლით, რადგან ამ დროს დატაცების საგანს საკმაოდ ბევრი გადამუშავება ჭირდება ნარკოტიკული ნივთიერების მიღებამდე.

დანაშაული დამთავრებულად ითვლება ნივთიერებების მისაკუთრებისთანავე, ხოლო გამოძალვა – მოთხოვნის წაყენებისთანავე.

განსახილველ დანაშაულს კვალიფიციური სახე აქვს მეორე ნაწილში, როდესაც ის ჩადენილია: ა) დიდი ოდენობით. ბ) წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ. გ) სამსახურებრივი მდგომა-

რეობის გამოყენებით. დ) არაერთგზის. ე) იმის მიერ, ვისაც წინათ ჩადენილი აქვს 33-ე თავით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული. ვ) ძალადობით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლისა ან ჯანმრთელობისათვის, ანდა ასეთი ძალადობის მუქარით.

მუხლის მესამე ნაწილი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს მაშინ, როდესაც პირველი ან მეორე ნაწილით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული ჩადენილია: ა) განსაკუთრებით დიდი ოდენობით. ბ) ორგანიზებული ჯგუფის მიერ. გ) სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ან ასეთი ძალადობის მუქარით.

სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ეს დანაშაული შეიძლება ჩაიდინოს იმ პირმა (მიითვისოს ან გაფლანგოს), რომელიც სამსახურებრივად იყენებს ამ ნივთიერებებს ოფიციალური სახელმწიფო ნებართვით (ექიმი, ფარმაცევტი), ან სამსახურებრივი კავშირი აქვს ამ ნივთიერებებთან (დაცვა, აღრიცხვის კონტროლი და ა.შ.).

ობიექტური მხარე მდგომარეობს ნივთიერებების ნებისმიერი გზით მისაკუთრებაში.

სუბიექტური მხარე გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში. დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ დანაშაულებრივი ხერხით ისაკუთრებს ნარკოტიკულ ნივთიერებას და სურს ეს. მისაკუთრების მიზანს კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არ აქვს.

ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვა, მოყვანა ან კულტივირება – მუხლი 265

მუხლის პირველი ნაწილი ასეთი შინაარსის არის: „ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვა, მოყვანა ან კულტივირება“.

ნარკოტიკის შემცველ მცენარეებად ითვლება კანაფი, ხაშხაში, ყაყაჩო და სხვა. ნარკოტიკული ნივთიერებების დამზადების ან სხვა მიზნით ნარკოშემცველი მცენარეების უკანონო დათესვა, მოყვანა ან კულტივირება მომეტებულ საფრთხეს წარმოადგენს საზოგადოებისათვის. იგი ხელს უწყობს ნარკომაფიის გავრცელებას, ამარაგებს მას ნარკონედლეულით, სტიმულს აძლევს მოსახლეობის

გარკვეულ ნაწილს, გახდნენ მისი მყიდველნი და გადამყიდველნი, ზრდის ნარკომანიის გავრცელების ტემპს და ა.შ.

მუხლის დისპოზიციაში კანონმდებელი ხმარობს შემდეგ ტერმინებს: „დათესვა“, „მოყვანა“, „კულტივირება“.

დათესვაში იგულისხმება სათანადოდ დამუშავებულ ნიადაგში ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი მცენარის თესლის ჩაყრა ან ჩითილის დარგვა.

კულტივირებას ლექსიკონი განგვიმარტავს, როგორც მცენარის ძირებში ნიადაგის გაფხვიერებას.

მოყვანაში იგულისხმება მოქმედებათა მთელი ციკლი. ნიადაგის დამუშავებიდან დათესვის, მოვლა-პატრონობის და საბოლოო მოსავლის მიღების ჩათვლით. ჩვენს შემთხვევაში ტერმინი კულტივაციაც მოვლა-პატრონობასა და გაზარდა-გაუმჯობესებას ნიშნავს. ამრიგად, ობიექტური მხარე დანაშაულისა გამოიხატება ნარკოშემცველი მცენარის უკანონოდ დათესვაში, კულტივირებაში, მოყვანაში.

დანაშაულის შემადგენლობა ფორმალურია, რამდენადაც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი აქ დაკავშირებული არ არის განსაზღვრული შედეგის დადგომასთან. დანაშაული დამთავრებულად ითვლება დათესვის, კულტივირების და მოყვანისთანავე.

სუბიექტური მხარე დანაშაულისა გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში. დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ იგი ნარკოშემცველი მცენარის თესლს უკანონოდ თესავს, უვლის მოჰყავს და სურს ასეთი შედეგი.

კვალიფიკაციისათვის დათესვის, კულტივირებისა და მოყვანის მიზანს მნიშვნელობა არ აქვს, ე.ი. ნარკოშემცველ მცენარეთა უკანონოდ დათესვა და მოყვანა-კულტივაცია არ ხსნის პასუხისმგებლობას მაშინაც, როდესაც ასეთ მცენარეთა მოყვანა სუბიექტს გამიზნული აქვს პირადი კეთილშობილური მეურნეობისათვის.

თუ ნარკოშემცველ მცენარეთა მოყვანას თან დაერთო იმავე სუბიექტისაგან მისი გადაზიდვა, შენახვა და სხვა, მოქმედება დაკვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობით.

უნდა აღინიშნოს, რომ მინდვრიდან მოწეული ნედლეულის საცხოვრებელ ბინაში გადატანა არ ითვლება გადატანის მაკვალიფიცირებელ დანაშაულად, იგი მოყვანაში შედის.

დანაშაულის კვალიფიციური სახე გამოიხატება მუხლის

მეორე ნაწილში, როდესაც დამნაშავე ნარკოტიკული ნივთიერების შემცველ მცენარეს უკანონოდ დათესავს, მოიყვანს ა) დიდი ოდენობით, ბ) წინასწარი შეთანხმებით პირთა ჯგუფთან ერთად, გ) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, დ) არაერთგზის.

განსახილველი მუხლისათვის დიდი ოდენობის ცნებაში შედის ნარკოშემცველი მცენარის ნათესის სიდიდე. დიდი ოდენობის დაზუსტებისათვის აუცილებელია ექსპერტის მოწვევა.

კანონის მიერ უცნაურად არის გადაწყვეტილი ამ დანაშაულის არაერთგზისობის საკითხი. ორ ნაკვეთზე ნარკოშემცველ მცენარეთა დათესვა არ ითვლება არაერთგზის ჩადენილად, მაგრამ მოქმედება განმეორებითად ჩაითვლება, თუ დამნაშავე კულტივირებას მოახდენს ორჯერ ან მეტჯერ, ან ერთჯერადად სხვადასხვა ნაკვეთზე.

როდესაც ერთი სუბიექტი ნარკოშემცველ მცენარეს დათესავს, ხოლო მეორე მას მოუვლის, სამუშაოს განაწილების ამგვარი შეთანხმებით მათი მოქმედება დაკვალიფიცირდება დანაშაულში თანამონაწილეობით.

მუხლის მესამე ნაწილი პასუხისმგებლობას აწესებს თუ პირველი ან მეორე ნაწილით გათვალისწინებული ქმედება ჩადენილია ორგანიზებული ჯგუფის მიერ ან განსაკუთრებით დიდი ოდენობით.

ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის, ფსიქოტროპული ნივთიერების ან მისი ანალოგის უკანონო წარმოებისათვის ფარული ლაბორატორიის მოწყობა ან შენახვა – მუხლი 266

განსახილველი მუხლი ახალია ჩვენს კანონმდებლობაში. იგი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილით პასუხისმგებლობის საფუძველი არის სწორედ იმ საიდუმლო, ფარული ლაბორატორიის მოწყობა-აღჭურვა და შენახვა, რომელიც ნარკოტიკულ საშუალებებს დაამუშავებს. იგი ასეთი შინაარსისაა: „ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის, ფსიქოტროპული ნივთიერების ან მისი ანალოგის უკანონო წარმოებისათვის ფარული ლაბორატორიის მოწყობა ან შენახვა“.

თანამედროვე მსოფლიოში საკმაოდ მოიკიდა რა ფეხი

ნარკობიზნესმა, იგი თავგამოდებით ცდილობს, გადააქციოს ეს საქმიანობა დიდი ოდენობით ფულადი შემოსავლის წყაროდ, ამისათვის ნარკობიზნესის მიმდევარნი ხმარობენ ყოველ ღონისძიებას, რაც შეიძლება იაფად და დიდი ოდენობით დაამზადონ ეს ნივთიერებანი, მოსძებნონ ნედლეულის წყაროები, შექმნან მათი გადამუშავების, დახვეწისა და სრულ კონდიციაში მოყვანის ქიმიური და ბიოლოგიური ხასიათის ლაბორატორიები და ა.შ.

განსახილველი მუხლის პირველი ნაწილი სწორედ ამდაგვარ დანაშაულებრივ ქმედებას ითვალისწინებს. მისი შინაარსი იმაში გამოიხატება, რომ დამნაშავე აწყობს ფარულ ლაბორატორიას, შეაქვს მასში საჭირო მოწყობილობები, ქიმიური და ბიოლოგიური ტექნიკა-აღჭურვილობები, რეაქტივები, რომლის მიზანია დაამზადოს სხვადასხვა სახის ნარკოტიკი ქიმიური თუ ბუნებრივი საშუალებებით, შეიმუშაოს განსაკუთრებით საშიში ნარკოტიკის ქიმიური შემადგენლობა და მედიკამენტური თვისებები, დაამზადოს ნარკოტიკის ანალოგი და შეინახოს ასეთი ლაბორატორია.

ობიექტი დანაშაულისა არის ადამიანის ჯანმრთელობა.

ობიექტური მხარე გამოიხატება ლაბორატორიის შექმნასა და მის აღჭურვა-შენახვაში.

სუბიექტური მხარე გამოიხატება განზრახ მოქმედებაში. დამნაშავემ იცის, შეგნებული აქვს, რომ მან უკანონოდ მოაწყო ნარკოტიკულ ნივთიერებათა დამზადებისა და წარმოებისათვის ფარული ლაბორატორია, ინახავს მას და სურს ასეთი შედეგი.

დამზადებაში კანონმდებელი გულისხმობს ნახევარფაბრიკატების დახვეწა-გასუფთავებასა და ქიმიურ-ბიოლოგიურ კონდიციამდე მიყვანას, ხოლო წარმოება ნიშნავს წმინდა ნედლეულის საფუძვლიან დამუშავებას და დამზადებას.

შენახვაში კანონმდებელი გულისხმობს ლაბორატორიის ფიზიკურ მოვლა-პატრონობას, საიდუმლოების დაცვას, თანამშრომელთა მატერიალურ დაკმაყოფილებას და ა.შ.

მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას აწესებს იგივე ქმედებისათვის, თუ იგი ჩადენილია: ა) ჯგუფურად. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ლაბორატორიის შექმნა, მოქმედება და შენახვა არ შეიძლება მოხერხდეს წინასწარი შეთანხმებით პირთა ჯგუფის გარეშე. ბ) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით. გ) იმის

მიერ, ვისაც წინათ ჩადენილი აქვს კოდექსის 33-ე თავით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული.

ამ დანაშაულის ჩადენისათვის სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება სპეციფიკურ ხასიათს ატარებს. იგი შეიძლება განახორციელოს ისეთმა პირმა, რომელიც ხელმძღვანელობს სამედიცინო სამსახურს, ნარკოჭარხანას, ფარმაკოლოგიურ დაწესებულებას ან არის ამ ორგანიზაციის სხვა თანამდებობის პირი.

ნარკოტიკული საშუალების შესაძენად ყალბი რეცეპტის ან სხვა დოკუმენტის დამზადება გასაღების მიზნით ან გასაღება – მუხლი 267

ნარკომანიის წინააღმდეგ მწვავე ბრძოლის გამოცხადებაზე მეტყველებს სწორედ ამ მუხლის ცალკე შემოღებაც. იგი სამი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი ასეთი შინაარსისაა: „ნარკოტიკული საშუალების შესაძენად ყალბი რეცეპტის ან სხვა დოკუმენტის დამზადება გასაღების მიზნით ან გასაღება“. ეს ტექსტი მოიცავს დანაშაულის ორ შემადგენლობას:

1) ნარკოტიკის შესაძენად ყალბი რეცეპტის ან სხვა დოკუმენტის დამზადებას გასაღების მიზნით.

2) ნარკოტიკის შესაძენი ყალბი რეცეპტის ან სხვა დოკუმენტის გასაღებას.

რეცეპტი არის ლათინური სიტყვა. იგი აფთიაქში წარსადგენად ექიმის მიერ შედგენილი დოკუმენტია, რომელშიც აღნიშნულია წამლის შემადგენლობა, აგრეთვე ავადმყოფის მიერ მისი მიღების წესები ან სხვა. დოკუმენტში ნაგულისხმევია ავადმყოფობის ისტორია, კლინიკური ბარათი და ა.შ.

სიყალბე გამოიხატება შემდეგში:

ა) რეცეპტი ან სხვა დოკუმენტი თავისი ფორმით ყალბია, მაგრამ ჰგავს ნამდვილს.

ბ) რეცეპტში ან სხვა დოკუმენტში შეტანილი მონაცემები ყალბია.

გ) რეცეპტი ან სხვა დოკუმენტი ნამდვილია, მაგრამ გააყალბეს გადასწორებით ან ამოფხეკით..

ასეთი ყალბი დოკუმენტებით ნარკოტიკის შეძენა ხორცი-

ელდება ფარმაკოლოგიურ ან სხვა დაწესებულებებში (საავადმყოფო, ამბულატორია).

ნარკოტიკის შესაძენად ყალბი რეცეპტის ან სხვა დოკუმენტის გასაღებაში კანონმდებელი გულისხმობს ამ დოკუმენტის გაყიდვას ფულზე ან სხვა ქონებაზე თვით დამამზადებლის ან სხვა პირის მიერ.

დანაშაული დამთავრებულად ითვლება დოკუმენტის გაყალბების, ან გასაღებისთანავე. ყალბი რეცეპტის ან სხვა ამგვარი დოკუმენტის დამზადებისა და გასაღებისათვის ქმედების დაკვალიფიცირების დროს მნიშვნელობა არ აქვს, მოხდა თუ არა ამ დოკუმენტებით ნარკოტიკული ნივთიერების შეძენა.

სუბიექტური მხარე დანაშაულისა გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში — პირს შეგნებული აქვს, რომ იგი აკეთებს ყალბ რეცეპტს ან სხვაგვარ დოკუმენტს, გაასაღებს მას და ამით საშუალება მიეცემა მოქალაქეს, მიიღოს ნარკოტიკული ნივთიერება სპეციალური დაწესებულებიდან და სურს ეს.

ობიექტური მხარე გამოიხატება ყალბი რეცეპტის ან სხვა დოკუმენტის მომზადებაში, რომლითაც შესაძლებლობა ეძლევა პირს, მიიღოს ნარკოტიკული ნივთიერება.

მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას აწესებს მაშინ, როდესაც დამნაშავე იგივე ქმედებას ჩადის არაერთგზის ან სხვისთვის მომსახურების გაწევის მიზნით (მეგობრულად, ნათესაურად) ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით.

სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებაში კანონმდებელი გულისხმობს დამნაშავის მოქმედებას, როდესაც ეს უკანასკნელი, თავისი თანამდებობის შეწევნით დაამზადებს ან გაასაღებს ყალბ რეცეპტს.

მუხლის ამ ნაწილის მიხედვით დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს როგორც ნებისმიერი მოქალაქე, ასევე სპეციალური უფლებამოსილებით აღჭურვილი სამედიცინო დაწესებულების პასუხისმგებელი მუშაკი, ექიმი და ა. შ.

მუხლის მესამე ნაწილი პასუხისმგებლობას აკისრებს მაშინ, როდესაც პირველი ან მეორე ნაწილით გათვალისწინებული რომელიმე შემადგენლობა ჩადენილია წინასწარი შეთანხმებით პირთა ჯგუფის მიერ, ან თუ იგი ეხება დიდი ოდენობით ნარკოტიკს.

ფსიქოტროპული ან ძლიერმოქმედი ნივთიერების შესაძენად ყალბი რეცეპტის ან სხვა დოკუმენტის დამზადება გასაღების მიზნით ან გასაღება – მუხლი 268

განსახილველ მუხლზე ვრცელი საუბარი არ მოგვიწევს, რადგან აქ დასახელებულ ნივთიერებათა შესახებ უკვე ვისაუბრეთ. 267-ე მუხლის განხილვის დროს დავახასიათეთ რეცეპტისა და მისი სიყალბის რაობა, სხვა დოკუმენტის ცნება, გასაღების მიზანი და გასაღება. აქ მხოლოდ ზოგადად აღვნიშნავთ, რომ მუხლის პირველი ნაწილი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას აწესებს იმ პირის მიმართ, ვინც ყალბ რეცეპტს ან სხვა დოკუმენტს დაამზადებს გასაღების მიზნით ან გაასაღებს, რათა მისმა შემძენმა პირმა შესძლოს ფსიქოტროპული ან სხვა ძლიერმოქმედი ნარკოტიკული ნივთიერების შეძენა.

მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას აწესებს მაშინ, თუ პირველ ნაწილში გათვალისწინებულ ბრალეულ ქმედებას დამნაშავე ჩაიდენს: ა) არაერთგზის, ან სხვისთვის მომსახურების გაწევის მიზნით. ბ) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით.

სხვისთვის მომსახურების გაწევაში კანონმდებელი გულისხმობს დამნაშავისაგან ფსიქოტროპული ან ძლიერმოქმედი ნივთიერების შესაძენად ყალბი დოკუმენტის დამზადებას ან გასაღებას უანგაროდ – მეგობრისათვის, ნათესავისათვის ან ნაცნობისათვის.

მუხლის მესამე ნაწილი პასუხისმგებლობას აწესებს, თუ პირველ ან მეორე ნაწილში გათვალისწინებული ქმედება ჩადენილია: ა) დიდი ოდენობით, ე. ი. გამოწერილია დიდი ოდენობით რეცეპტი, რათა შეიძინონ დიდი ოდენობით ნარკოტიკის შემცველი ნივთიერება. ბ) წინასწარი შეთანხმებით პირთა ჯგუფის მიერ.

ნარკოტიკული საშუალების ან პრეკურსორის დამზადების, წარმოების, მიღების, აღრიცხვის, გაცემის, შენახვის, გადაზიდვის, გადაგზავნის ან შემოტანის წესის დარღვევა – მუხლი 269

განსახილველი მუხლი ორი ნაწილისაგან შედგება. მისი შინაარსი ასეთია: ,,ნარკოტიკული საშუალების ან პრეკურსორის დამზადების, წარმოების, მიღების, აღრიცხვის, გაცემის, შენახვის,

გადაზიდვის, გადაგზავნის ან შემოტანის წესის დარღვევა, რამაც მისი უკანონო ბრუნვაში მოქცევა გამოიწვია". ეს ტექსტი ისე უნდა გავიგოთ, რომ სახელმწიფოსაგან ნებადართულია, ლიცენზირებულია სათანადო ორგანიზაციების მიერ ნარკოტიკული საშუალების ან პრეკურსორის დამზადება, წარმოება, მიღება, აღრიცხვა, გაცემა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან შემოტანა, ამასთანავე, სათანადო წესების მიხედვით, მკაცრად რეგლამენტირებული და განსაზღვრულია წესები და პირობები ჩამოთვლილი პროცედურების ჩასატარებლად. ამ შემთხვევაში განსახილველი მუხლის მიზანია, წინ აღუდგეს და არ დაუშვას ჩამოთვლილი წესების დარღვევა. კანონი დამნაშავედ თვლის და სასჯელს ითვალისწინებს იმ პირის მიმართ, რომელმაც ჩამოთვლილი საქმიანობა განახორციელა დადგენილი წესების დარღვევით და მას შედეგად მოჰყვა ნარკოტიკულ საშუალებათა უკანონო ბრუნვაში მოქცევა. აქვე მინდა შეგახსენოთ, რომ თუ 260-ე მუხლი ჩამოთვლილ საქმიანობას კრძალავს სახელმწიფო აღრიცხვის და ლიცენზიის გარეშე, ამ მუხლით ასეთი საქმიანობა ნებადართულია და მხოლოდ აკრძალულია ასეთი საქმიანობის მომწესრიგებელი, დადგენილი წესების დარღვევა. ეს საქმიანობა რეგლამენტირებულია საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის 1996 წლის 22 ნოემბრის N 506/ო და იმავე წლის 13 მაისის N 64 ბრძანებებით, რომლებიც ნებას რთავს სპეციალურ სამსახურებს, სათანადო ნორმების დაცვით „შეიძინონ ნარკოტიკული საშუალებები ან ძლიერმოქმედი ნივთიერებები, რითაც უნდა დამზადდეს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ ნებადართული კომბინირებული სამკურნალო საშუალებები და აწარმოონ მათი საცალო რეალიზაცია".[1]

ბრძანებაში ნათქვამია ისიც, რომ „ნარკოტიკული სამკურნალო საშუალებების შეძენაზე, ნარკოტიკულ ძლიერმოქმედ შხამიან ნივთიერებათა შემცველი კომბინირებული წამლის დამზადებაზე, მათ გაცემაზე და საცალო რეალიზაციაზე ნებართვის გაცემის საკითხი წყდება ინდივიდუალურად, ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით".[2]

საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს 1996 წლის 30 ოქტომბრის N 506/ო ბრძანებით გათვალისწინებულია ნარკოტი-

1. საქ. ჯანდაცვის სამინისტროს 1996 წლის N 506-ო ბრძანება, მუხ. 1 – 2.
2. იქვე. ბრძანება.

კულ ნივთიერებათა ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სალიცენზიო კომისიის მუშაობა, რომელიც უზრუნველყოფს ნარკოტიკული ნივთიერების მიმღები, გამცემი და დამამზადებელი ორგანიზაციების სამუშაო პირობების შემოწმებასა და ლიცენზირებას, ასევე სარეალიზაციო პუნქტებისა და ობიექტების პირობების შემოწმებას. ამავე ბრძანებით გათვალისწინებულია შ.ს. განყოფილების მიერ ობიექტების დაცვის უზრუნველყოფა და ა.შ.

ბრძანება განსაზღვრავს იმ წესებს, რომლის შესრულება უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ნარკოტიკულ ნივთიერებათა გაცემის, შენახვის და სხვა საქმიანობის განხორციელების დროს. იქვე ჩამოთვლილია ა , ბ, გ, აფთიაქთა ის კატეგორიები, რომლებიც ლიცენზირებულნი არიან საჭირო დასახელების ნარკოტიკულ ნივთიერებათა რეალიზაციისათვის და ა.შ.

ამავე ბრძანებებით გათვალისწინებულია დამზადების, წარმოების, მიღების, აღრიცხვის, შენახვის, გაცემის, გადატანის, ტრანსპორტირების ან გადაგზავნის წესები.ამ წესების ზუსტად და განუხრელად დაცვა სავსებით უზრუნველყოფს ნარკოტიკის უკანონო ბრუნვაში მოქცევის თავიდან აცილებას.

უკანონო ბრუნვაში მოქცევა ნიშნავს შეძენის, გაყიდვის, გადამუშავების, გამოყენების სახელმწიფოს ნებართვის გარეშე განხორციელებას.

მუხლის მეორე ნაწილი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ითვალისწინებს იგივე მოქმედებისათვის, თუ მას შედეგად მოჰყვა დიდი ოდენობით ნარკოტიკის ან პრეკურსორის უკანონო ბრუნვაში მოქცევა ან სხვა მძიმე შედეგი.

ობიექტი დანაშაულისა არის ადამიანის ჯანმრთელობა.

ობიექტური მხარე გამოიხატება სამკურნალო ფარმაცევტულ ან სხვა ნებადართულ საქმიანობასთან დაკავშირებით ნარკოტიკის ან პრეკურსორის დამზადების, წარმოების, მიღების, აღრიცხვის, შენახვის, გაცემის, გადატანის, ტრანსპორტირების ან გადაგზავნის წესების დარღვევაში.

ამსრულებელი დანაშაულისა არის ის, ვისაც სახელმწიფოს სპეციალური სალიცენზიო კომისიის შესაბამისად მიცემული აქვს ლიცენზია (ნებართვა) პირველ ნაწილში ჩამოთვლილი საქმიანობისათვის.

სუბიექტური მხარე გამოიხატება როგორც განზრახვაში, ასევე გაუფრთხილებლობაში.

ფსიქოტროპული ან ძლიერმოქმედი ნივთიერების დამზადების, წარმოების, მიღების, აღრიცხვის, გაცემის, შენახვის, გადაზიდვის, გადაგზავნის ან შემოტანის წესის დარღვევა – მუხლი 270

განსახილველი მუხლი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილის შინაარსი ასეთია: ,,ფსიქოტროპული ან ძლიერმოქმედი ნივთიერების დამზადების, წარმოების, მიღების, აღრიცხვის, გაცემის, შენახვის, გადაზიდვის, გადაგზავნის ან შემოტანის წესის დარღვევა, რამაც მისი უკანონო ბრუნვაში მოქცევა გამოიწვია“. იგი დანაშაულად მიიჩნევს სახელმწიფოსაგან ნებადართული ფსიქოტროპული ან ძლიერმოქმედი ნივთიერების დამზადების, წარმოების, მიღების, აღრიცხვის, გაცემის, შენახვის, გადაზიდვის, გადაგზავნის ან შემოტანის წესების დარღვევას, რის გამოც ეს ნივთიერებანი უკანონო ბრუნვაში მოექცა.

მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს მაშინ, თუ პირველ ნაწილში ჩამოთვლილი საქმიანობის განხორციელების წესების დარღვევამ ფსიქოტროპული და ძლიერმოქმედი ნივთიერების უკანონო ბრუნვაში მოქცევა ან სხვა მძიმე შედეგი გამოიწვია.

იმის გამო, რომ განსახილველი მუხლი 269-ე მუხლის მსგავსია, მის გაანალიზებას აქ აღარ შევუდგებით, ხოლო ფსიქოტროპიული და ძლიერმოქმედი ნივთიერების თაობაზე ჩვენ ვისაუბრეთ 261-ე და 268-ე მუხლების განხილვის დროს.

დანაშაული ბლანკეტურია და დარღვევის ნორმების დაზუსტებისათვის უნდა ვიხელმძღვანელოთ სპეციალური ლიტერატურითა და დახმარება ვთხოვოთ ექსპერტ სპეციალისტს.

ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის უკანონოდ მოხმარებისათვის ბინის ან სხვა სადგომის დათმობა – მუხლი 271

განსახილველმა მუხლმა შეცვალა ძველი კოდექსის 252[1] მუხლი, რომელიც განიხილავდა ნარკოტიკულ საშუალებათა მოხმარების ბუნაგის მოწყობას ან შენახვას. 271-ე მუხლმა მოხსნა ის სიძნელეები, რასაც ქმნიდა ,,ბუნაგის“ მოწყობის კვალიფიკაციის განსაზღვრა, გაა-

მარტივა დისპოზიციის შინაარსი და უფრო მეტი ეფექტურობით გამოუცხადა ბრძოლა იმ პირებს, რომლებიც შეეცდებიან, ნარკოტიკის ან მისი ანალოგის ფსიქოტროპული ნივთიერების ან მისი ანალოგის, უკანონოდ მოხმარებისათვის ხელი შეუწყონ ნარკომანებს საცხოვრებელი ბინის ან სხვა სადგომის დათმობით.

მუხლი ოთხი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი ასეთი შინაარსისაა: „ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის უკანონოდ მოხმარებისათვის ბინის ან სხვა სადგომის დათმობა“. ამ შინაარსში კანონმდებელი გულისხმობს ისეთ მოქმედებას, როდესაც, თხოვნის ან შეთანხმების საფუძველზე, დამნაშავე თავის საცხოვრებელ ბინას ან სათავსოს (სარდაფს, გარაჟს, ნალიას ან სხვა საკუთნაოს) უთმობს ნარკომანს (ნარკომანებს), რათა მან ნარკოტიკი ან მისი ანალოგი უკანონოდ, უშიშრად და თავისუფლად გამოიყენოს ცალკეული შემთხვევების დროს.

მუხლის მეორე ნაწილში მოცემულია ამ დანაშაულის კვალიფიციური სახე, რომელიც უფრო მეტ საშიშროებას უქმნის საზოგადოებას. იგი პასუხისმგებლობას აწესებს შემდეგი დანაშაულებრივი ქმედებისათვის:

ა) თუ დამნაშავემ ნარკოტიკის ან მისი ანალოგის უკანონოდ ხმარებისათვის ბინა ან სხვა სათავსო დათმო არაერთგზის, ე. ი. ორჯერ და მეტჯერ.

ბ) თუ დამნაშავემ იგი დათმო ანგარებით, ე. ი. ფულადი ან სხვა მატერიალური ღირებულების მიღების მოტივით.

გ) თუ ასეთი დათმობა განხორციელდა იმ პირის მიმართ, ვინც გადის დეზინტოქსიკაციური, თერაპიული მკურნალობის კურსს. ეს იმას ნიშნავს, რომ ნარკომანი — ავადმყოფი მკურნალობს და ღებულობს ნარკოტიკის მიღების მოთხოვნილების წინააღმდეგ საჭირო პრეპარატს და ეს გარემოება იცის დამნაშავემ.

დათმობაში კანონმდებელი გულისხმობს იმ კონკრეტულ ცალკეულ შემთხვევას, როცა ნარკომანს ნარკოტიკის მიღება სჭირდება და დამნაშავე აძლევს, ათხოვებს ამისათვის ბინას — დროებით გამოყენების მიზნით.

მუხლის მესამე ნაწილი ასეთი შინაარსისაა: „ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის უკანონოდ მოხმარებისათვის სპეციალური სადგომის მოწყობა ანდა ასეთ სადგომში მისი უკანონო მოხმარების ორგანიზება“.

ეს შინაარსი პასუხისმგებლობას აკისრებს იმ დამნაშავეს, რომელიც:

ა) ნარკოტიკის ან მისი ანალოგის, ფსიქოტროპული ნივთიერების ან მისი ანალოგის უკანონოდ მოხმარებისათვის მოაწყობს სპეციალურ სადგომს, ე. ი. გარკვეული ფართობის მქონე ოთახს ან ოთახებს, რომელიც იზოლირებულია სხვა სათავსოებისაგან და სადაც ხდება ნარკოტიკული ნივთიერების ან მისი ანალოგის უკანონოდ ხმარება, აგრეთვე ორგანიზაციას უკეთებს ნარკომანთა მოზიდვას. მოზიდვის ორგანიზაციაში იგულისხმება დამნაშავის მიერ ნარკომანთა დარწმუნება ბინის კონსპირაციაში, ხმარების პირობების მომარჯვებულობაში და ა.შ.

მუხლის მეოთხე ნაწილი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს მესამე ნაწილში გათვალისწინებული ქმედებისათვის, თუ იგი ჩადენილია:

ა) ორგანიზებული ჯგუფის მიერ.

ბ) არაერთგზის.

ობიექტი - ადამიანის ჯანმრთელობა.

ობიექტური მხარე - საცხოვრებელი ბინის ან სათავსოს დათმობა ან მუდმივ სარგებლობაში გაცემა ნარკოტიკული ნივთიერების ან მისი ანალოგის მოხმარებისათვის, აგრეთვე ამ საქმიანობის ორგანიზება.

სუბიექტური მხარე გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში, დამნაშავეს შეგნებული აქვს მისი მოქმედების საზოგადოებრივად საშიში ხასიათი, მაგრამ შეგნებულად ჩადის ამას და სურს ასეთი.

ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის მოხმარებაზე დაყოლიება – მუხლი 272

განსახილველი მუხლი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილის დისპოზიცია ასეთია: „ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის მოხმარებაზე დაყოლიება“.

სიტყვა დაყოლიება ნიშნავს დათანხმებას, გადმოყვანას, გადმობირებას. აქვე უნდა დავსძინოთ, რომ დამნაშავე არ მიმართავს არავითარ ძალდატანებას, ფიზიკურ და ფსიქიკურ ზეგავლენას, იგი მეორე პირის

მიმართ ატარებს ისეთ ღონისძიებებს, რომელიც მათ მიიყვანს ნებაყოფილობით თანხმობამდე — მიიღოს ნარკოტიკული ნივთიერება ერთხელ ან რამდენჯერმე. კანონმდებელი არ გამოჰყოფს ნარკოტიკული ნივთიერების თუ რამდენჯერ მოხმარებას გულისხმობს, მაგრამ, ტექსტის მიხედვით იგულისხმება თუნდაც ერთხელ მოხმარებაზე დაყოლიება.

დამნაშავე მიზანს აღწევს თხოვნით, ნარკოტიკის დადებითი გავლენის სარგებლიანობაზე აგიტაციით, დარდების გაფანტვის იმედით მოხიბვლით და სხვა მსგავსი წაქეზებით.

მუხლის მეორე ნაწილში მოცემულია ამ დანაშაულის კვალიფიციური სახე, რომელიც ორ შემადგენლობას მოიცავს, ესენია: ა) არაერთგზის. ბ) როცა დამნაშავე ნარკოტიკის მიღებაზე დაიყოლიებს ორ ან მეტ პირს ან არასრულწლოვანს.

ობიექტი დანაშაულისა არის ადამიანის ჯანმრთელობა.

ობიექტური მხარე — დაყოლიება ნარკოტიკის მოხმარებისათვის.

სუბიექტური მხარე — პირდაპირი განზრახვა, დამნაშავეს შეგნებული აქვს მისი მოქმედების მართლწინააღმდეგობა, მაინც დაიყოლიებს პიროვნებას ნარკოტიკის ხმარებაზე და სურს ეს.

ᲙᲘᲠᲐᲓᲘ ᲛᲝᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲜᲐᲠᲙᲝᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲘᲡ, ᲛᲘᲡᲘ ᲐᲜᲐᲚᲝᲒᲘᲡ ᲐᲜ ᲞᲠᲔᲙᲣᲠᲡᲝᲠᲘᲡ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲝᲓᲔᲜᲝᲑᲘᲗ ᲣᲙᲐᲜᲝᲜᲝ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ, ᲨᲔᲫᲔᲜᲐ, ᲨᲔᲜᲐᲮᲕᲐ ᲐᲜᲓᲐ ᲔᲭᲘᲛᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲣᲙᲐᲜᲝᲜᲝᲓ ᲛᲝᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ — ᲛᲣᲮᲚᲘ 273

მუხლი ერთი ნაწილისაგან შედგება. იგი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას აკისრებს იმ პირს, ვინც პირადი მოხმარებისათვის მცირე ოდენობით დაამზადებს, შეიძენს, შეინახავს ანდა ექიმის დანიშნულების გარეშე, პირადი საჭიროებისათვის, უკანონოდ მოიხმარს ნარკოტიკულ საშუალებას, მის ანალოგს ან პრეკურსორს, როდესაც ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციული სახდელი დადებული ჰქონდა.

ნარკოტიკული ნივთიერების მცირე ოდენობად კანონი მიიჩნევს, მაგალითად, სუფთა კოდეინს - 02 გრ. ოპიუმს - 05 გრ და ა.შ.

ნარკოტიკულ ნივთიერებათა ხმარებაში იგულისხმება დალევა, ნემსით შეშხაპუნება, სიგარეტით მოწევა.

უკანონოდ ხმარებაში იგულისხმება ნარკოტიკული ნივთიერების მიღება ექიმის დანიშნულების გარეშე.

დანაშაულის ობიექტი არის მოსახლეობის ჯანმრთელობა.

საგანი — მცირე ოდენობის ნარკოტიკული ნივთიერება.

ობიექტური მხარე გამოიხატება ნარკოტიკულ ნივთიერებათა მცირე ოდენობით შეძენასა ან შენახვაში, დამზადებასა ან ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარებაში.

სუბიექტური მხარე გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში.

დანაშაული ფორმალური ხასიათისაა. იგი დამთავრებულად ითვლება შეძენის, შენახვის ან მიღებისთანავე.

იძულებითი მკურნალობისათვის თავის არიდება — მუხლი 274

განსახილველი მუხლი ერთი ნაწილისაგან შედგება. მისი დისპოზიცია ასეთი შინაარსისაა: სპეციალიზებულ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებაში ნარკომანის მიერ იძულებით მკურნალობისათვის ჯიუტად თავის არიდება.

დანაშაული ერთ შემადგენლობას მოიცავს: კერძოდ, ნარკომანის მიერ დანიშნულ მკურნალობაზე თავის არიდებას.

ნარკომანისათვის იძულებითი მკურნალობის დანიშვნა ხდება ავადმყოფობის გართულების გამო, სასამართლოს სათანადო გადაწყვეტილების საფუძველზე. მკურნალობისათვის არსებობს შესატყვისი პრეპარატები, ფსიქო-სამკურნალო თერაპიის კურსი და რეჟიმი. რეჟიმში იგულისხმება სამკურნალო ღონისძიებათა ჩატარების აუცილებლობა, თანმიმდევრობა და დროულობა.

ნარკომანი ეწოდება ნარკოტიკული ნივთიერების მიღების ავადმყოფურად მიმდევარს.

რეჟიმის დარღვევაში იგულისხმება მკურნალობის არასწორად ჩატარება, მკურნალობასთან ერთად კვლავ მიღება ნარკოტიკული და ალკოჰოლური ნივთიერებებისა და ა.შ.

ობიექტი დანაშაულისა არის ადამიანის ჯანმრთელობა.

ობიექტური მხარე — მკურნალობისათვის თავის არიდება.

სუბიექტური მხარე გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში, როცა დამნაშავეს შეგნებული აქვს მკურნალობაზე თავის არიდების ან რეჟიმის დარღვევის საზოგადოებრივი საშიშროება, მაგრამ წინასწარი შეცნობით ჩადის ამ დანაშაულებრივ საქციელს და სურს ეს.

დანაშაული დამთავრებულად ითვლება თავის არიდებისა და მკურნალობის რეჟიმის ჯიუტად შეწყვეტისთანავე.

34-ე თავი

სატრანსპორტო დანაშაული
(მოკლე მიმოხილვა)

სატრანსპორტო სფერო მეტად ფართო ცნებაა და საკითხთა ერთობლიობას მოიცავს. ის სახელმწიფოს სტრუქტურის ერთერთი უმნიშვნელოვანესი მონაკვეთია და მჭიდროდ არის დაკავშირებული ქვეყნის ეკონომიკასთან და საზოგადოების უსაფრთხოებასთან.

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა აქტიურად უწყობს ხელს სატრანსპორტო საქმიანობის ნორმალიზაციისა და უსაფრთხოდ მოძრაობის საქმეს.

ტრანსპორტზე უსაფრთხოების წესების უგულებელყოფა განსაკუთრებულ საშიშროებას ჰქმნის, კანონმდებელმა ცალკე ამიტომაც გამოჰყო ეს თავი და შიგ გააერთიანა ნებისიმიერი სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისა და ექსპლოატაციის წესების დაცვის აუცილებელი მოთხოვნა.

დანაშაულთა ამ ჯგუფის გვარობით ობიექტს წარმოადგენს სატრანსპორტო წესები.

საყურადღებოა ის, რომ კანონმდებელმა განსახილველ თავში გააერთიანა ტრანსპორტის ყველა სახეობა და მათი მართვისა და ექსპლოატაციის წესების დარღვევა, ასევე მათ უსაფრთხო მოძრაობასთან დაკავშირებული გზებისა და ტრანსპორტის უხარისხო რემონტი.

თავი ზედმიწევნით ამომწურავად მოიცავს ყველა სატრანსპორტო ხასიათის დარღვევას, მათ დანაშაულებრივ დახასიათებასა და მისი აღკვეთისათვის საჭირო სასჯელთა ღონისძიებებს.

კოდექსის ამ თავში დანაშაულად მიჩნეულია შემდეგი საზოგადოებრივად საშიში მოქმედებანი:

რკინიგზის, წყლის, საჰაერო ან საბაგირო ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოებისა და ექსპლოატაციის წესის დარღვევა (275), ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლოატაციის წესის დარღვევა (276), სატრანსპორტო საშუალების უხარისხო რემონტი, ტექნიკურად გაუმართავი ტრანსპორტის საექსპლოატაციოდ გაშვება (277), სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციის გაუარესება (278), გემის კაპიტნის მიერ განსაცდელში მიტოვება (279), ფრენის საერთაშორისო წესის დარღვევა (280), ტრანსპორტის უსაფრთხოების მოძრაობის წესის დარღვევა (281), მატარებლის თვითნებური გაჩერება (282), მაგისტრალური მილსადენის მშენებლობის, ექსპლოატაციის ან რემონტის უსაფრთხოების წესის დარღვევა (283).

რკინიგზის, წყლის, საჰაერო ან საბაგირო ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოებისა ან ექსპლოატაციის წესის დარღვევა – მუხლი 275

1994 წლის 12 მაისის კანონი რკინიგზის ტრანსპორტის შესახებ, ამავე წლის 11 დეკემბრისა – საჰაერო მიმოსვლის თაობაზე, ასევე კანონები საზღვაო ან სახმელეთო ტრანსპორტის შესახებ, განსაზღვრავენ ტრანსპორტის სამართლებრივ და ორგანიზაციულ საფუძვლებს, მათ როლს ქვეყნის სამეურნეო სისტემაში, აწესებენ ურთიერთობის რეგლამენტს სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოებთან, მგზავრებთან, ტვირთის გადაზიდვა-მიღებასთან და ა. შ.

განსახილველი მუხლი ოთხი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი პასუხისმგებლობას აწესებს იმ პირთა მიმართ, ვინც დაარღვია რკინიგზის, წყლის, საჰაერო ან საბაგირო ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოებისა ან ექსპლოატაციის წესები და ევალებოდა მათი დაცვა, თუ ამ დარღვევას გაუფრთხილებლობით შედეგად მოჰყვა ადამიანის ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება. პასუხისმგებლობის დაკისრება განპირობებულია იმით, რომ სატრანსპორტო საშუალებათა მართვისა და ექსპლოატაციისათვის არსებობს მეცნიერულად დამუშავებული წესების მთელი სისტემა, რომლის დაცვაც სრულ გარანტიას

იძლევა. თავიდან იქნეს აცილებული ყოველი დანაშაულებრივი შედეგი.

კანონმდებელი ხაზს უსვამს რკინიგზის. წყლის. საჰაერო. საბაგირო ტრანსპორტს.

სარკინიგზო ტრანსპორტის ცნება გულისხმობს ყოველი სახის სალიანდაგო ტრანსპორტს. ამასთანავე. აქ არ იგულისხმება სპეციალური დანიშნულების ვიწროლიანდაგიანი რკინიგზები (საშახტო. საამქროთაშორისი) და ამ სატრანსპორტო ურიკებზე ექსპლოატაციისა და მოძრაობის წესების დარღვევა. რომლებიც არ არიან დაკავშირებული წარმოების ფართო პროცესებთან და მოძრაობენ მარტივი მექანიკური გამწეების საშუალებებით. განიხილება როგორც შრომის უსაფრთხოების წესების დარღვევა.

საჰაერო ტრანსპორტში იგულისხმება საჰაერო სამოქალაქო მიმოსვლის ყოველი საშუალება: თვითმფრინავები. ვერტმფრენები. პლანერები. დირიჟაბლები. აეროსტატები და ა.შ.

საზღვაო ტრანსპორტს მიეკუთვნება ყველა თვითმავალი გემი. მიუხედავად საკუთრებისა. რომელიც ექვემდებარება სამდინარო ან საზღვაო სავაჭრო პორტებში რეგისტრაციას. არათვითმავალი სანაოსნო საშუალებები არ წარმოადგენენ განსახილველი მუხლის მსჯელობის საგანს. აქედან გამომდინარე. გასაგებია ის. რომ მუხლი განიხილავს ყველა სახის თვითმავალ საზღვაო გემებს. მიუხედავად მათი წყალწყვითი მოცულობისა და ცურვის ადგილისა (ზღვა. ოკეანე. ტბა. მდინარე და ა.შ.).

საბაგირო ტრანსპორტის ცნებაში იგულისხმება „ბაგირზე მცოცავი კაბინები. რომლებიც ჰაერში გაჭიმული ბაგირის სპეციალური მქაჩავი და დამხვევი მექანიზმებით გადაადგილდებიან. ისინი განკუთვნილნი არიან როგორც ადამიანთა. ასევე ტვირთების ტრანსპორტირებისათვის და გამოიყენებიან მთიან და კლდოვან ადგილებში გაშენებული წარმოებებისა და დასახლებისათვის" (მაგალითად. ქ. ჰითურაში საწარმოო გადაზიდვისა და მუშა-მოსამსახურეთა გადაადგილების 88% სრულდება საბაგირო ტრანსპორტით).

ობიექტური მხარის განსაზღვრის დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული:

1) რკინიგზის, საჰაერო. საზღვაო და საბაგირო ტრანსპორტის მუშაკების მიერ მოძრაობისა და ექსპლოატაციის წესების დარღვევა.

2) თუ ამ დარღვევას გაუფრთხილებლობით შედეგად მოჰყვა ადამიანის მძიმე და ნაკლებად მძიმე დაზიანება.

3) მიზეზობრივი კავშირი დარღვევასა და შედეგს შორის.

4) დარღვევის დაზუსტების მიზნით საჭიროა სპეციალური ლიტერატურის გამოყენება, რომელიც ასახავს დასახელებული ტრანსპორტის ნორმალური მოძრაობისა და ექსპლოატაციის წესებს. ეს მარეგლამენტირებელი საკანონმდებლო აქტები იყოფა სამ ნაწილად და აწესრიგებს სატრანსპორტო საშუალების ა) უსაფრთხო მოძრაობას. ბ) ნორმალურ ექსპლოატაციას. გ) იმ პირთა მომზადებას, რომლებსაც ეძლევათ ტრანსპორტის მართვისა და ექსპლოატაციის უფლება.

დასახელებული ნორმატიული აქტები განსაზღვრავენ ტრანსპორტის მართვისა და ექსპლოატაციის მეცნიერულად გაანგარიშებულ და დადგენილ წესებს. კვალიფიკაციის დროს აუცილებელია დადგინდეს, რამდენად ასცდა დამნაშავის მოქმედება ნორმის მოთხოვნებს.

სარკინიგზო ტრანსპორტზე დარღვევა შეიძლება გამოიხატოს სიჩქარის გადაჭარბებაში, სასიგნალო ნიშნებისადმი უყურადღებობაში, თვითნებურ გადაადგილებაში, მოძრაობის პირობების შეუტყობინებლობაში მეზობელი სადგურის მიმართ და ა.შ.

საჰაერო ტრანსპორტზე იგი გამოიხატება ფრენის სქემის დარღვევაში, პილოტირების წესების დაუცველობაში, ტრასის, სიმაღლის აღრევაში, აეროდრომების სიგნალების უგულვებელყოფაში, ექსპლოატაციის წესების დარღვევაში (ტვირთის, სიმაღლის, სიჩქარის ნორმებისა და ა.შ.).

წყლის ტრანსპორტზე იგი გამოიხატება ტრასის არაჯეროვან მეთვალყურეობაში, რის გამოც შეიძლება გვიან, ან სრულიად ვერ შეამჩნიოს დაბრკოლება, უყურადღებობაში სასიგნალო და მეტეოროლოგიური აპარატურისადმი, გადაჭარბებულ სიჩქარესა და შეუფერებელ ადგილზე გასწრებაში, გემის წამყვანის არასწორი ვარაუდისა და სიტუაციის მცდარ ანალიზში, საშიშროების გვიან შემჩნევაში და ღონისძიების შეუფერებლად გატარებაში, გარემო პირობებისადმი უყურადღებობაში და ა.შ.

საბაგირო გზის მოძრაობისა და ექსპლოატაციის წესების დარღვევაში იგულისხმება: გადაჭარბებული სიჩქარე, მკვეთრი აჩქარება და შეჩერება, ბაგირის რომელიმე გრეხილის გაწყვეტის დროს გამოცვლის დაგვიანება, კაბინის გადატვირთვა და სხვა.

მითითებული დარღვევები შეიძლება შედეგად მოჰყვეს როგორც მოქმედებას, ასევე უმოქმედობას.

უმოქმედობისათვის დამნაშავე მაშინ აგებს პასუხს, თუკი რაიმე მოქმედების განხორციელებით შეეძლო თავიდან აეცილებინა დანაშაულებრივი შედეგი და ეს მოქმედება დაკანონებულია სათანადო ნორმატიული აქტებით.

მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევასთან ერთად კანონში ლაპარაკია ექსპლოატაციის წესების დარღვევაზეც. ექსპლოატაციის წესებში იგულისხმება როგორც თვით ტრანსპორტის გამოყენების, ასევე იმ აგრეგატების ექსპლოატაციის წესები, რომელიც უზრუნველყოფს საჰაერო, საზღვაო, საბაგირო და რკინიგზის ტრანსპორტის უავარიო ფუნქციონირებას.

ექსპლოატაცია შედარებით ფართო ცნებაა, ვიდრე მოძრაობა. იგი გამოიხატება აგრეგატების, ელექტროგადამცემების, საწვავის მიწოდების, სამართავი მექანიზმების სისტემების სწორ მუშაობაში, ნორმალურ ფუნქციონირებაში, რომლის დარღვევამაც შეიძლება გამოიწვიოს ტრანსპორტის როგორც კატასტროფა, ასევე მწყობრიდან გამოყვანა. მუხლის პირველი ნაწილი პასუხისმგებლობას აწესებს, თუკი ასეთ დარღვევას შედეგად მოჰყვა მოქალაქის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება.

სუბიექტური მხარე გამოიხატება გაუფრთხილებლობით ბრალში: დამნაშავე გრძნობს მოძრაობის ან ექსპლოატაციის წესების დარღვევის დანაშაულებრივ შედეგს, მაგრამ ფიქრობს, რომ თავისი სიმარჯვისა და მოქნილობის წყალობით ან სხვაგვარად შეძლებს შედეგის აცილებას. მეორე შემთხვევაში — დამნაშავე ვერ ითვალისწინებს მოძრაობის ან ექსპლოატაციის წესების დარღვევის შედეგს, არადა, ვალდებული იყო გაეთვალისწინებინა და რაც მთავარია, შეეძლო გაეთვალისწინებინა.

ამსრულებელი დანაშაულისა შეიძლება იყოს პირი, რომელიც სამსახურებრივად ვალდებული იყო დაეცვა მოძრაობისა და ექსპლოატაციის წესები სარკინიგზო, საჰაერო, საზღვაო, საბაგირო ტრანსპორტზე.

ამსრულებლები განსახილველი დანაშაულისა იყოფა ორ კატეგორიად. პირველი — რომელიც ორგანიზაციას უკეთებს ტრანსპორტის ნორმალურ ფუნქციონირებას, მეორე — ვინც უშუალოდ აწარმოებს მის მოძრაობასა და ექსპლოატაციას.

მაგალითად: საჰაერო ხომალდების მოძრაობის დროს მოძრაობისა

და ექსპლოატაციის საერთო პირობებსა და მიმართულებებს ხელმძღვანელობს სადისპეტჩერო სამსახური (შტურმანი, ფრენის ხელმძღვანელი, ბორტის კაპიტანი და სხვა).

ის პირები, რომლებიც უშუალოდ მართავენ ან ექსპლოატაციას უწევენ ტრანსპორტს, არიან: მფრინავები, კაპიტნები, მექანიკოსები, ელექტრომექანიკოსები, მექანიკოსის თანაშემწეები, რადიოოპერატორები, რადისტი და ა.შ.

კვალიფიკაციის დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს ის გარემოება, რომ რიგ შემთხვევაში დანაშაულებრივი მოქმედებისათვის პასუხს აგებენ არა მარტო ისინი, რომლებიც უშუალოდ მოქმედებენ მართვისა და ექსპლოატაციის პულტთან, არამედ ისინიც, ვინც იმ მომენტში უშუალოდ ვახტზე არ დგანან, მაგრამ სრული პასუხისმგებლობა აკისრიათ უსაფრთხო მოძრაობისა და ექსპლოატაციისათვის. მაგალითად: კაპიტანი განსაკუთრებულ სიტუაციაში ვალდებულია, თვითონ მართოს ხომალდი და განკარგოს მისი მართვისა და ექსპლოატაციის კანონიერი მიმართულება. ასეთ შემთხვევაში, დანაშაულებრივი შედეგის დროს, თუ კაპიტანი არ შეასრულებს თავის სამსახურებრივ ვალდებულებას, იგი პასუხს აგებს ამავე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის.

თუ ამ ტრანსპორტის მუშაკი არ იყო ვალდებული, შეესრულებინა სამსახურებრივი მოვალეობა, შემთხვევის მომენტში იგი პასუხს არ აგებს შედეგისათვის. მაგალითად: შვებულებაში ყოფნის დროს სარკინიგზო ტრანსპორტის მუშაკმა შეამჩნია ელმავალზე რომელიმე ნაწილის მოშლილობა, მაგრამ არ განაცხადა ამის შესახებ, როდესაც ამ დარღვევამ დანაშაულებრივი შედეგი გამოიწვია.

მუხლის მეორე ნაწილის ჩამოყალიბების დროს კანონმდებელმა რაღაც ორიგინალური სტრუქტურული სახე მისცა მას და დასწერა, რომ მეორე ნაწილი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ითვალისწინებს მაშინ, თუ იგი ჩადის პირველ ნაწილში გათვალისწინებულ დარღვევებს, მაგრამ მას არ მოჰყოლია პირველ და მესამე ნაწილში გათვალისწინებული შედეგი – ე.ი. გაუფრთხილებლობით ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება (I ნაწილი) ან ადამიანის დაღუპვა, აზრის ამგვარი წმინდა მანიპულაცია გვეუბნება, რომ თურმე მეორე ნაწილი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას აწესებს პირველ ნაწილში გათვალისწინებული მხოლოდ დარღვევისათვის. უმჯობესი

იქნებოდა. დარღვევისათვის პასუხისმგებლობა პირველ ნაწილში მოგვეთავსებინა. ხოლო შემდგომი ნაწილები აგვეგო ზიანის სიმძიმის მიხედვით.

მუხლის მესამე ნაწილი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ითვალისწინებს თუ პირველი ნაწილით განსაზღვრულ დარღვევას შედეგად მოჰყვა გაუფრთხილებლობით ადამიანის დაღუპვა.

მეოთხე ნაწილი პასუხისმგებლობას აწესებს, თუ პირველ ნაწილში გათვალისწინებულმა დარღვევებმა გამოიწვია ორი ან მეტი ადამიანის დაღუპვა.

ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლოატაციის წესის დარღვევა – მუხლი 276

განსახილველი მუხლი სამი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილის შინაარსი ასეთია: „ავტომობილის, ტრამვაის, ტროლეიბუსის, ტრაქტორის ან სხვა მექანიკური ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოებისა ან ექსპლოატაციის წესის დარღვევა იმის მიერ, ვინც ამ სატრანსპორტო საშუალებას მართავს, რამაც გაუფრთხილებლობით გამოიწვია ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება". აქ კანონმდებელი ხაზს უსვამს იმას, რომ კვალიფიკაციისა და პასუხისმგებლობისათვის მნიშვნელობა არ აქვს, დამნაშავე არის თუ არა ტრანსპორტის სპეციალისტი ან ტრანსპორტის სამართავად დაშვებულია ბრძანებით, მინდობილობით ან საკუთრების უფლებით, თუ ტრანსპორტს მართავს დანაშაულებრივი თვითნებობით.

ობიექტი დანაშაულისა არის სატრანსპორტო საშუალებათა მოძრაობისა და ექსპლოატაციის წესები. იგი რეგულირდება საქართველოს ქუჩებსა და გზებზე მოძრაობის წესებით, რომელიც მიღებულია საერთაშორისო კონვენციის ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისად.

უშუალო ობიექტია ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა.

საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება არის საგზაო პროცესის მდგომარეობა და პირობები. სადაც მისი მონაწილეების მიერ, მოძრაობისა და ექსპლოატაციის წესების დაცვის ხარისხით თავიდან იქნება აცილებული საგზაო შემთხვევები და მისი მავნე შედეგები.

საგანი დანაშაულისა არის ავტომობილი, ტრამვაი ან სხვა მექანიკური სატრანსპორტო საშუალება. სხვა სატრანსპორტო სა-

შუალებებში ითვლება მოტოციკლი, მოტოროლერი, ელექტრო ურიკები, თვითმავალი მექანიზმები, მექანიკური სატრანსპორტო საშუალებანი და ა.შ.

აუცილებლად უნდა განვასხვაოთ ტერმინები თვითმავალი და მექანიკური სატრანსპორტო საშუალებები.

მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებებში იგულისხმება ნებისმიერი საშუალება, მოპედისა და ველოსიპედის გარდა.

სხვა თვითმავალ საშუალებებში შედის ნებისმიერი საგზაო, სამშენებლო, სასოფლო-სამეურნეო ან სხვა სპეციალური მანქანები (ექსკავატორები, გრეიდერები, ავტოამწეები, სკრეპერები, მტვირთავი მოძრავი მექანიზმები და ა.შ).

ობიექტური მხარე დანაშაულისა გამოიხატება სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის ან ექსპლოატაციის წესების დარღვევაში, რასაც შედეგად მოჰყვება ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება.

საგზაო მოძრაობა არის საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთობლიობა, რომელიც წარმოიშობა სატრანსპორტო საშუალებებით ტვირთის ან მგზავრთა გადაადგილების დროს.

უსაფრთხოებაში გამოიხატება მოქალაქეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, მატერიალური სიკეთის, სახელმწიფო უსაფრთხოების წესების დაცვის პრიორიტეტი.

საგზაო მოძრაობა, როგორც ურთიერთობის საკმაოდ რთული ფორმა, მოიცავს ყველა სახის სატრანსპორტო საშუალებათა და ადამიანთა მოძრაობით ურთიერთობას, რომლის ყოველი წუთი და მანძილი რეგლამენტირებულია სახელმწიფო კანონით და რომელთა მაქსიმალური დაცვა ქმნის სრულ გარანტიას, ავიცილოთ საგზაო შემთხვევა.

მოძრაობის წესების დარღვევა შეიძლება გამოიხატოს სიჩქარის გადაჭარბებაში, არასწორად გასწრებაში, რკინიგზის გადასასვლელების და გზაჯვარედინების გაუფრთხილებლად გადაკვეთაში, შუქნიშნებისადმი უყურადღებობაში, მუხრუჭების გამოყენებისა და დისტანციის მცდარად გაანგარიშებაში და ა.შ.

ექსპლოატაციის წესების დარღვევა არანაკლებ საფრთხეს უქმნის ადამიანსა და მატერიალურ სიკეთეს, ამიტომ სატრანსპორტო საშუალებათა ექსპლოატაცია არ შეიძლება, თუ ნორმალურად არ მუშაობს სამუხრუჭე სისტემა, საჭის მექანიზმი, გადამცემი წევა, თუ არ არის დაცული ტვირთზიდვისა და გაბარიტის ნორმები და ა.შ.

მოძრაობისა და ექსპლოატაციის წესების დარღვევა გამოხატულებას პოულობს სატრანსპორტო საშუალებათა ერთმანეთზე ან საგანზე მიჯახებაში, გადაბრუნებაში და სხვა.

დაბრკოლებებზე შეჯახება ხდება როგორც სავალ ნაწილზე (ავტომანქანაზე, ორთვალაზე, ადამიანზე). ასევე სავალი ნაწილიდან გადასვლის შემთხვევაში (ხეზე, ქვაზე, კლდეზე, პირუტყვზე და ა.შ.).

მუხლის პირველი ნაწილით პასუხისმგებლობა დგება მაშინ, თუ მას შედეგად მოჰყვა ადამიანის ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება.

დარღვევასა და შედეგს შორის აუცილებლად უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი.

სუბიექტური მხარე გამოიხატება გაუფრთხილებელ ბრალში.

მოტივი დარღვევისა აუცილებლად უნდა იქნეს დადგენილი, რათა სასამართლომ იგი გაითვალისწინოს სასჯელის განსაზღვრის დროს.

მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს იგივე ქმედებისათვის, თუ მან გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა".

მუხლის მესამე ნაწილი პასუხისმგებლობას აწესებს თუ პირველი ნაწილით გათვალისწინებულმა ქმედებამ გაუფრთხილებლობით გამოიწვია ორი ან მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა.

სატრანსპორტო საშუალების უხარისხო რემონტი, ტექნიკურად გაუმართავი ტრანსპორტის საექსპლოატაციოდ გაშვება – მუხლი 277

განსახილველი მუხლი სამი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილის შინაარსი ასეთია: „სატრანსპორტო საშუალების, გზის, სიგნალიზაციის, კავშირგაბმულობის საშუალების ან სხვა სატრანსპორტო მოწყობილობის უხარისხო რემონტი, აგრეთვე ტექნიკურად გაუმართავი ტრანსპორტის საექსპლოატაციოდ გაშვება, ჩადენილი სატრანსპორტო საშუალების ტექნიკური მდგომარეობისათვის პასუხისმგებლის მიერ, რამაც გაუფრხილებლობით გამოიწვია ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება."

სატრანსპორტო საშუალებებში კანონმდებელი გულისხმობს ყველა სახის სატრანსპორტო საშუალებას (სახმელეთო, საზღვაო, საჰაერო). გზად იწოდება ის სავალი მარშრუტები, რომელზედაც მოძრაობს ნებისმიერი ტრანსპორტი.

სიგნალიზაცია არის სატრანსპორტო საშუალებებზე და გზებზე დამონტაჟებული ნებართვითი და ამკრძალავი სასიგნალო საშუალება, რომლითაც გადაიცემა და მიიღება მოძრაობის მომწესრიგებელი ფერადი და ხმოვანი სიგნალები.

კავშირგაბმულობის საშუალებებში იგულისხმება სახაზო და საჰაერო კავშირის აპარატურა, რომლებიც დამონტაჟებულია სატრანსპორტო შენობა-ნაგებობებსა და თვითმოძრავ საშუალებებში და გამოიყენება ინფორმაციათა მისაღებად და გადასაცემად.

სხვა სატრანსპორტო მოწყობილობებში კანონმდებელი გულისხმობს საგზაო ნიშნებს, მიმართულების მაჩვენებელ და გადამრთავ საშუალებებს, ისრებს და ა.შ.

რემონტი ნიშნავს იმ დაზიანებული ნაწილების აღდგენას, რომელიც ექსპლოატაციის ან ხანდაზმულობის გამო გამოვიდა მწყობრიდან და შეკეთდა საექსპლოატაციო ვარგისიანობამდე.

უხარისხო შეკეთება მდგომარეობს მასში, რომ ტრანსპორტი თუ გზა შეკეთების საგარანტიო პერიოდშიაც ვერ ასრულებს თავის დანიშნულებას (ჩამოინგრევა, მოძვრება, გატყდება, გამოირთვება და ა.შ.).

ტექნიკურად გაუმართავი ტრანსპორტის საექსპლოატაციოდ გაშვება ნიშნავს ისეთი ტრანსპორტის სამუშაოდ განწესებას, რომელსაც წუნის გამო, დებულების მიხედვით, საექსპლოატაციოდ გასვლა არ ეკუთვნის და აუცილებელ შეკეთებას საჭიროებს (სამართავი მექანიზმის, სამუხრუჭე სისტემის, მაშუქი ხელსაწყოების ფუნქციის მოშლა და ა.შ.).

საექსპლოატაციოდ გაშვებაში იგულისხმება ტრანსპორტის გამოყენების ნებართვა დანიშნულების შესაბამისად.

ნებართვა შეიძლება იყოს როგორც წერილობითი, ასევე სიტყვიერი.

დანაშაული შეიძლება განხორციელდეს როგორც მოქმედებით, ასევე უმოქმედობით.

დანაშაული დამთავრებულად ითვლება, როგორც კი დადგება მუხლის პირველ ნაწილში გათვალისწინებული შედეგი.

ობიექტური მხარის აუცილებელი ნიშანი არის მიზეზობრივი კავშირის დადგენა, ე. ი. რამდენად განაპირობა დანაშაულებრივი შედეგი უხარისხო რემონტმა და გაუმართავი ტრანსპორტის საექსპლოატაციოდ გაშვებამ.

სპეციფიკა დანაშაულისა გამოიხატება მასში, რომ პასუხისმგებლობა ეკისრება იმ პირს, ვისი ნებართვითაც გავიდა სატრანსპორტო საშუალება საექსპლოატაციოდ გაუმართავ ან არაჯეროვნად გარემონტებულ მდგომარეობაში.

სუბიექტური მხარე გამოიხატება გაუფრთხილებელ ბრალში.

პასუხისმგებლობა უხარისხო შეკეთებისათვის ეკისრება პირს, რომელმაც შეასრულა ეს სამუშაო. გაუმართავი ტრანსპორტის საექსპლოატაციოდ გაშვებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება იმას, ვისაც სამსახურებრივად ევალება, არ დართოს ნება ტექნიკურად გაუმართავი ტრანსპორტი გავიდეს სამუშაოდ.

მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას აწესებს, თუ პირველი ნაწილით გათვალისწინებულ დარღვევებს გაუფრთხილებლობით მოჰყვა ადამიანის დაღუპვა.

მესამე ნაწილი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს, თუ ზემოთ ჩამოთვლილ დარღვევებს შედეგად მოჰყვა ორი ან მეტი ადამიანის დაღუპვა.

სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციისათვის გაუვარგისება – მუხლი 278

დისპოზიცია ითვალისწინებს დანაშაულებრივი მოქმედების ისეთ შედეგს, როგორიც არის სატრანსპორტო საშუალების (იგულისხმება ნებისიმიერი სატრანსპორტო საშუალება), გზის, სიგნალიზაციის ან კავშირგაბმულობის ან სხვა სატრანსპორტო საშუალებათა და მოწყობილობათა განადგურება, დაზიანება ან სხვა გზით ექსპლოატაციის გაუვარგისება, ანდა სატრანსპორტო კომუნიკაციების ბლოკირება, რომელსაც შედეგად მოჰყვა გაუფრთხილებლობით ადამიანთა ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება. დანაშაულის სრულყოფილი კვალიფიკაცია მოითხოვს შედეგების დეტალურ დაზუსტებას და ასევე მოქმედების საზოგადოებრივი საშიშროების თანმიმდევრულ დასაბუთებას.

დანაშაულის ობიექტი არის სატრანსპორტო საშუალებათა უსაფრთხო მოძრაობა.

დანაშაულის საგანია სატრანსპორტო საშუალებები, გზები,

სიგნალიზაცია, კავშირგაბმულობა, სატრანსპორტო აღჭურვილობა, კომუნიკაციები და ა.შ.

განსახილველი მუხლი გულისხმობს სარკინიგზო, საჰაერო, წყლის, სატრანსპორტო საშუალებებს, მათი მიმოსვლის გზებსა და ნაგებობებს. სარკინიგზო სამიმოსვლო ხაზებია სარკინიგზო სიბრტყე, ლიანდაგი, შპალები, მიწაყრილი, საჰაერო კი — ასაფრენ-დასაფრენი ბილიკები, აეროდრომებზე განლაგებული გადასაადგილებელი ხაზები. წყლის ტრანსპორტისათვის — ერთი პორტიდან მეორემდე არსებული სამიმოსვლო ხაზი, ხელოვნური და ბუნებრივი ყურეები და ა.შ.

სიგნალიზაციის საშუალებებში იგულისხმება მოწყობილობანი, რომლითაც წარმოებს ინფორმაციის გაცვლა-გადაწოდება: განკარგულების, ცნობის, მზადყოფნის, ამოცნობის, მართვის და ა.შ. სიგნალიზაცია შეიძლება იყოს როგორც სმენითი, ასევე მხედველობითი, რომელიც თავისი პირობითი ნიშნების მიხედვით გარკვეულ ინფორმაციას აწვდის სათანადო ობიექტს (სანიშნე შუქფარები, შუქურები, საგზაო ნიშნები და სხვა).

კავშირგაბმულობის საშუალებებს მიეკუთვნება ტექნიკური მოწყობილობანი, რომლის საშუალებითაც მიიღება და გადაიცემა სხვადასხვა შეტყობინება — ტელეფონი, ტელეგარაფი, ტელეკოდი, ტელეფაქსი, რადიოკავშირი, რადიოსარელეო, კოსმოსური, ოპტიკური და მრავალი სხვა.

სატრანსპორტო აღჭურვილობაში იგულისხმება მექანიზმები, მოწყობილობანი, რომლებიც აუცილებელია ტრანსპორტის მართვისას, გზის პროფილებისა და დაბრკოლებათა დასაძლევად.

სატრანსპორტო კომუნიკაციებში კანონმდებელი გულისხმობს გზებზე განლაგებულ ნებისმიერ ტექნიკურ და ელექტრომოწყობილობებს.

მოცემული სატრანსპორტო აღჭურვილობები და საშუალებები, მოწყობილობები და მექანიზმები თავისი კონსტრუქციულობით სხვადასხვა სახისაა და ასრულებენ მათთვის დამახასიათებელ ტექნიკურ ფუნქციებს, მაგრამ ხასიათდებიან ერთიანი ტექნიკური ნიშნებითაც. კერძოდ: ხელი შეუწყონ და განაპირობონ უსაფრთხო მოძრაობა.

ობიექტური მხარე დანაშაულისა გამოიხატება სატრანსპორტო საშუალებების, გზის, სიგნალიზაციის, კავშირგაბმულობის ან

სხვა სატრანსპორტო მოწყობილობების განადგურებაში ან დაზიანებაში, ან კომუნიკაციების ბლოკირებაში, რასაც შედეგად მოჰყვა მოქალაქის მძიმე, ნაკლებად მძიმე დაზიანება, მიზეზობრივი კავშირი ამ დაზიანებასა და დანაშაულებრივ შედეგს შორის.

განადგურებაში იგულისხმება საგნის იმგვარი მოქცევა, რომლის დროსაც ის სრულიად კარგავს თავის ფუნქციას და მისი შეკეთება-აღდგენა შეუძლებელია.

დაზიანება ნიშნავს ფუნქციის ნაწილობრივ მოშლას, რომლის შეკეთება-აღდგენა შესაძლებელია. ან სხვა გზით ექსპლოატაციისათვის გაუვარგისებაში იგულისხმება ისეთი დაზიანება, როდესაც აღჭურვილობა, მოწყობილობა ასრულებს თავის ფუნქციას, მაგრამ საშიშია მოძრაობისათვის. ამგვარ დაზიანებაში შეიძლება ვიგულისხმოთ ტელეგრაფის ბოძების, შპალების, სამუხრუჭე ბალიშების და სხვა ამგვართა დაზიანება.

სატრანსპორტო კომუნიკაციების ბლოკირებაში კანონმდებელი გულისხმობს რკინიგზის ან აეროდრომის დასაფრენ-ასაფრენი ან წყლის ტრანსპორტის მისადგომის მოწყვეტას თავისი ფუნქციონალური კონტაქტებიდან. მაგალითად, რკინიგზის მაგისტრალის გადაკეტვა, ასაფრენ-დასაფრენი ხაზის დაკავება, რათა შეფერხდეს მისი ფუნქციონალური გამოყენება და ა.შ.

სუბიექტური მხარე დანაშაულისა სატრანსპორტო საშუალებებისა და გზის გაუვარგისების ან დაზიანების სფეროში პირდაპირი განზრახვით ხასიათდება, ხოლო ადამიანთა დაზიანებისა და ზარალის მხრივ — გაუფრთხილებლობით.

მუხლის მეორე ნაწილი განიხილავს ამავე დარღვევებს, როდესაც მას შედეგად მოჰყვა გაუფრთხილებლობით ადამიანის სიცოცხლის მოსპობა.

მესამე ნაწილი ეხება დარღვევას, რამაც გამოიწვია ორი ან მეტი ადამიანის დაღუპვა.

გემის კაპიტნის მიერ განსაცდელში მიტოვება – მუხლი 279

მუხლი ერთი ნაწილისაგან შედგება. მისი დისპოზიცია ასეთია: ,,გემის კაპიტნის მიერ განსაცდელში მიტოვება იმისა, ვინც ზღვაში ან წყალსავალ გზაზე იღუპებოდა, თუ კაპიტანს შეეძლო მისი დახმარება გემის, ეკიპაჟის ან მგზავრებისათვის სერიოზული საფრთხის შექმნის გარეშე".

გვარობითი ობიექტი დანაშაულისა არის ქვეყნის სატრანსპორტო უსაფრთხოება, რომლითაც ივარაუდება ადამიანის დაღუპვის ან ასეთის დადგომის სერიოზული საფრთხის თავიდან აცილება.

გემის კაპიტნის ვალდებულებაა გადაარჩინოს დაღუპვის საფრთხის წინაშე მყოფი ადამიანები. ეს ვალდებულება დადგენილია როგორც საერთაშორისო კონვენციით, ასევე ნაციონალური კანონმდებლობით.

ობიექტური მხარე დანაშაულისა გამოიხატება უმოქმედობაში, ე. ი. გემის კაპიტანი არ ასრულებს ზემოთ მითითებულ დაკისრებულ მოვალეობას.

განსახილველი მუხლით პასუხისმგებლობის დაკისრება მოითხოვს, რომ დადგინდეს:

1) ზღვაში თუ სხვა წყლებში ადამიანთა სიცოცხლე აშკარა საფრთხეში იყო.

2. ეს მდგომარეობა სარწმუნოდ ეცნობა გემის კაპიტანს (ხედავს, ან იღებს სიგნალებს ან სხვა შეტყობინებებს და ა.შ.).

3) გემის კაპიტანს აქვს რეალური შესაძლებლობა, დაეხმაროს დასაღუპავად განწირულებს (არის საამისო სიტუაცია, ადგილი, მეტეოპირობები, ფიზიკო-ტექნიკური შესაძლებლობა და ა.შ.). და, მიუხედავად ამისა, არ ღებულობს ღონისძიებებს მათ გადასარჩენად.

დანაშაულს აქვს ფორმალური ხასიათი და დამთავრებულად ითვლება დახმარების გაწევისაგან თავის შეკავებისთანავე. განწირულთა საფრთხის მიზეზს და მათ გამოყვანას განსაცდელიდან სხვა ძალების მიერ გემის კაპიტნის დანაშაულებრივი კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არ ეძლევა.

განსახილველი მუხლით პასუხისმგებლობა გამორიცხულია მაშინ, თუკი დახმარების ღონისძიების განხორციელება საფრთხეს უქმნის გემის კაპიტანს, მის ეკიპაჟს და მგზავრებს, ეს საფრთხე

უნდა იყოს სერიოზული და რეალური, მიმართული მათი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ან ხომალდის წინააღმდეგ.

გემის კაპიტნის პასუხისმგებლობის საკითხი იხსნება, თუ მის დახმარებაზე უარი თქვეს დაზარალებულებმა.

სუბიექტური მხარე დანაშაულისა გამოიხატება განზრახ ბრალში, როგორც პირდაპირი, ასევე ევენტუალური განზრახვის ფორმით.

დანაშაულის ამსრულებელი გემის კაპიტანია. განსახილველი მუხლით პასუხს არ აგებენ მოტორიანი ნავების, კატერებისა და მისთანების მძღოლები.

ფრენის საერთაშორისო წესის დარღვევა – მუხლი 280

1996 წლის 29 ოქტომბრის „საქართველოს საჰაერო კოდექსი“ უზრუნველყოფს საქართველოს ავიაციის საქმიანობის სამართლებრივ მოწესრიგებას საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვისა და სხვა საავიაციო სახეობებში.

„საჰაერო სივრცით სარგებლობის წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობის, საერთაშორისო სამართლებრივი აქტებისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე“ (საჰაერო კოდექსი, მუხლი 4).

ფრენის საერთაშორისო წესები ზედმიწევნით მკაცრად რეგლამენტირებულია. მისი დარღვევა არ მთავრდება რაიმე საშუალო სიმძიმით, ამდენად ისეთი დანაშაული, როგორიც არის დაწესებული, ნებადართული მარშრუტის დარღვევა, ფრენის სიმაღლის ნორმების თვითნებური შეცვლა (სიმაღლის დაკლების თუ მომატების თვალსაზრისით), საჰაერო ჰიშკრის გადაადგილება ან საერთაშორისო წესების სხვა დარღვევა, მკაცრად აკრძალულია და ისჯება სისხლის სამართლის წესით.

განსახილველი მუხლი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი ასეთი შინაარსისაა: „ნებადართული მარშრუტის, მითითებული ფრენის სიმაღლის, დაჯდომის ადგილის, საჰაერო ჰიშკრის დაუცველობა ან ფრენის საერთაშორისო წესის სხვა დარღვევა“.

ობიექტი დანაშაულისა არის საჰაერო მიმოსვლის უსაფრთხოება.

ობიექტური მხარე გამოიხატება ზემოთ მითითებულ დარღვევებში (მარშრუტის შეცვლა, საფრენი სიმაღლის დარღვევა, საჰაერო ჰიშკრის გადაადგილება და ა.შ.).

როდესაც ვლაპარაკობთ საერთაშორისო ფრენის წესების დარღვევაზე, იგულისხმება ყოველგვარი საჰაერო მომოსვლა, რომლის დროსაც გადაიკვეთება საქართველოს სახელმწიფო საზღვარი.

საქართველოს საჰაერო ხომალდები საერთაშორისო ფრენას ახორციელებენ მხოლოდ სათანადო ნებართვის შესაბამისად. უცხოეთის თვითმფრინავები საქართველოს ტერიტორიაზე ფრენას ახორციელებენ საერთაშორისო შეთანხმებების მიხედვით.

საერთაშორისო ფრენა წარმოებს:

ა) რეგულარული განრიგის მიხედვით.

ბ) სპეციალური რეისებით.

გ) დაკვეთით.

დ) ეპიზოდური რეისების მიხედვით.

თავისი სუვერენული უფლებამოსილების შესაბამისად, ყოველი სახელმწიფო თვითონ აწესებს ფრენის წესებსა და განრიგს ნებისმიერი თვითმფრინავისათვის, რომლებიც იმყოფებიან მისი ტერიტორიის ფარგლებს გარეთ. ეს წესი საერთოდ მიღებული კანონია, რომელიც დამტკიცებულია საერთაშორისო შეთანხმებებით და განმტკიცებულია მრავალი სახელმწიფოს შიგასახელმწიფოებრივი კანონებით.

„დღეს იმდენად მჭიდრო გახდა მსოფლიოს სახელმწიფოთა შორის პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობანი, მეტად ინტენსიურია მიმოსვლა მათ შორის, რამაც უდაოდ განაპირობა დამუშავება და შემოღება საერთაშორისო ფრენის ერთგვაროვანი ნორმებისა. წესდება შემუშავებული იქნა საერთაშორისო ავიაციის ორგანიზაციის მიერ და წარმოდგენილი იქნა საერთაშორისო სტანდარტებში. ყოველი სახელმწიფო გაცნობილია რა დასახელებულ ზოგად ნორმებს, ის თავისი ქვეყნისა და ინტერესების მიხედვით ახდენს საჰაერო მიმოსვლის შეთანწყობას მსოფლიო სამიმოსვლო სტრუქტურასთან“.[1]

კანონი ჩამოთვლის საერთაშორისო ფრენის წესების დარღვევის ისეთ ფაქტებს, რაც წარმოაჩინა საერთაშორისო ფრენის პრაქტიკამ და როდესაც საჭიროა კვალიფიკაციის დადგენა წინამდებარე მუხლით,

1. საჰაერო მიმოსვლის ძირითადი დებულება, თბ., 1978, გვ. 38.

აუცილებლად უნდა მოვიმარჯვოთ ის ნორმატიული აქტები, რომელიც მოიცავს ფრენის დადგენილ წესებს, ამიტომ საქართველოს საჰაერო ხომალდები საერთაშორისო ფრენის განხორციელების დროს ემორჩილებიან როგორც საქართველოს, ასევე საერთაშორისო ავიაციის ორგანიზაციის მიერ შემუშავებულ ფრენის ნორმებს.

უცხოეთის თვითმფრინავები საქართველოში შემოდიან საერთაშორისო ტრასების გავლით და საქართველოს საჰაერო სივრცეც, საიდანაც უცხოეთის თვითმფრინავი შემოდის, ითვლება საერთაშორისო ტრასად ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ფრენის ზონების განლაგებას ჰორიზონტალურ სფეროში. იგი განსაზღვრულია სახელმწიფოს საფრენი წესების მიხედვით. ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველი ფრენა ხორციელდება მისთვის განკუთვნილი სიმაღლის დონეზე. ამ პროცესს საავიაციო სამსახური ეშელონირებას უწოდებს — ე. ი. ეშელონებად, რიგებად დაყოფს.

ყოველ წესს, რომელიც ფრენის კანონიერებას იცავს, მიზანი ის აქვს, რომ დაცული იქნეს საჰაერო წესრიგი.

იმ შემთხვევაში, როდესაც ირღვევა ეშელონირების წესები, ფრენის მარშრუტი, დაფრენის ადგილი, სიმაღლე, საჰაერო ჰიშკარი, საჰაერო სივრცის საზღვრები რაიმე სტიქიური მოვლენების გამო, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი არ დგება.

საერთაშორისო ფრენის სხვა წესებში იგულისხმება ვადაგასული ნებართვით ფრენის განხორციელება, სხვა ტიპის ხომალდით გაფრენა, ვიდრე ეს ნებართვაში იყო აღნიშნული, ზედმეტი ტვირთისა და მგზავრების აყვანა, ბილეთების წესების ან სატვირთო ზედდებულების აღრევა და ა.შ.

დანაშაული დამთავრებულად ითვლება რომელიმე წესის დარღვევისთანავე. შედეგს კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს.

საქართველოს საჰაერო საზღვრების დარღვევის შემთხვევაში მფრინავს ეძლევა წინადადება დაფრენისა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ხდება მისი იძულებითი დაფრენა კომპეტენტური ორგანოების მიერ. დამრღვევი უნდა დაფრინდეს მხოლოდ მითითებულ ადგილზე. მის მიერ ჩადენილი დარღვევის საკითხის გარკვევის შემდეგ გატარდება სათანადო ღონისძიებები.

სუბიექტური მხარე დანაშაულისა ხასიათდება პირდაპირი განზრახვით.

მუხლის მეორე ნაწილი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას აწესებს მაშინ, როდესაც პირველი ნაწილით გათვალისწინებულმა ქმედებამ სერიოზული საფრთხე შეუქმნა დასახელებულ უბანს.

აქ კანონმდებელი გულისხმობს მარშრუტის შეცვლის, სიმაღლის აღრევის, ჰიშკრის დაუცველობის შემთხვევაში დაჯდომის ადგილის მიუგნებლობის ან საჰაერო კატასტროფის საფრთხეს, რის გამოც საჰაერო მანქანებმა შეიძლება მშვიდობიანად დაფრენა ვეღარ მოახერხონ.

ტრანსპორტის უსაფრთხო მოძრაობის წესის დარღვევა – მუხლი 281

განსახილველი მუხლი სამი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილის დისპოზიცია ასეთია: „მგზავრის, ფეხით მოსიარულის ან მოძრაობის სხვა მონაწილის მიერ, გარდა ამ კოდექსის 275 ან 276 მუხლებში აღნიშნული პირებისა, ტრანსპორტის უსაფრთხო მოძრაობის წესის დარღვევა, რამაც გაუფრთხილებლობით გამოიწვია ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება.“

განსახილველი მუხლის სუბიექტები ის მოქალაქენი არიან, რომელთაც საქმიანობა უხდებათ სატრანსპორტო საშუალებათა მოძრაობის ზონებში და ხელს შეუშლიან მათი მოძრაობის ნორმალიზაციას.

ობიექტი განსახილველი დანაშაულისა არის სარკინიგზო, საჰაერო, საზღვაო, საავტომობილო და ქალაქის ელექტრო მოტოტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოება.

ობიექტური მხარე დანაშაულისა გამოიხატება სატრანსპორტო საშუალებათა ნორმალური მოძრაობისა და ექსპლოატაციისათვის ხელის შეშლაში, რასაც შედეგად მოჰყვა გაუფრთხილებლობით ადამიანის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება.

მაგალითად, მოქალაქეს ეკრძალება თვითნებურად გააღოს შლაგბაუმი, გადავიდეს რკინიგზის გადასასვლელზე მორიგის ნებართვის გარეშე ურმით, ორთვალათი, გადარეკოს პირუტყვი, აძოვოს ჯოგი რკინიგზის ლიანდაგებში, აეროდრომზე, ავტოსტრადებზე და ა.შ.

საჰაერო ტრანსპორტის მგზავრებს კატეგორიულად ეკრძალებათ ბაჭანზე მორიგის გარეშე გასვლა, რადგან ამით საფრთხე ექმნება ფრენის წესების ნორმალურ განხორციელებას და ა.შ. კონკრეტული გამოვლინება ამგვარი ხელის შეშლისა მრავალი სხვადასხვა სახით შეიძლება ჩამოყალიბდეს, რომლის ჩამოთვლა მეტად ძნელია.

ტრანსპორტზე მოქმედი წესების დარღვევა ფეხით მოსიარულეთაგან უფრო ხშირია საავტომობილო მოძრაობის ზონებში, ველოსიპედისტებისაგან — როდესაც ისინი მკვეთრი სიჩქარითა და მოულოდნელად გადაურბენენ წინ მოძრავ სატრანსპორტო საშუალებას იმ ადგილებში, სადაც ეს, მოძრაობის წესების მიხედვით, დაუშვებელია.

ამ კატეგორიის სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისა და განხილვის დროს აუცილებლად უნდა დადგინდეს, კონკრეტულად რომელი ნორმა დაარღვია სუბიექტმა და რაში გამოიხატა ეს.

მუხლის სამივე ნაწილში დანაშაულის შემადგენლობა მატერიალურია, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა რომ დადგეს, აუცილებელია მოქალაქის დაზიანება ან დაღუპვა.

სუბიექტური მხარე დანაშაულისა გამოიხატება გაუფრთხილებლობით ბრალში.

დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს ნებისმიერი მოქალაქე, მგზავრი, ფეხით მავალი ან სხვა მონაწილე საერთო მოძრაობისა (ინვალიდები ურიკებით, თვითმავალი ველოსიპედით მოსიარულენი, ციგებით მოსრიალენი, საბავშვო ურიკების მატარებელნი, საჰაპანო ტრანსპორტის მგზავრები და ა.შ.).

მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს, თუ პირველი პუნქტით გამოწვეულ დანაშაულებრივ ქმედებას შედეგად მოჰყვა ადამიანის დაღუპვა, ხოლო მესამე ნაწილით — თუკი იგივე დარღვევას შედეგად მოჰყვა ორი ან მეტი ადამიანის დაღუპვა.

მატარებლის თვითნებური გაჩერება — მუხლი 282

მატარებელი თავისი მოცულობით, შემადგენლობით, გზის პროფილით მეტად თავისებური ტრანსპორტია. ეს სპეციფიკურობა განაპირობებს იმას, რომ მისი მართვა, დაძვრა თუ გაჩერება მოითხოვს სპეციალურ ცოდნასა და დახელოვნებას, პროფესიულ მომზადებას.

კანონის მიზანია, არ მოხდეს მატარებლის თვითნებური გაჩერება, რადგან ეს შეიძლება მძიმე შედეგით დამთავრდეს.

განსახილველი მუხლი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველის დისპოზიცია ასეთია: ,,მატარებლის გაჩერება საჭიროების გარეშე, რამაც გაუფრთხილებლობით გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი".

გაჩერება საჭიროების გარეშე გულისხმობს ისეთ გაჩერებას, რომელიც დაკავშირებული არ არის სამინისტროს მიერ დადგენილ სადგურებსა და პლატფორმებთან გაჩერებასთან. დამნაშავე თვითნებურად აჩერებს მატარებელს, პირადი საჭიროების ან ხულიგნური საქციელის გამო. მატარებლის თვითნებური გაჩერების ხერხებად და საშუალებებად იგი იყენებს სამუხრუჭე ონკანს, საჰაერო-სამუხრუჭე მაგისტრალს, წითელი დროშის ჩვენებას და ა.შ.

პასუხისმგებლობა მუხლის პირველი ნაწილით დაწესებულია მაშინ, თუ თვითნებურ გაჩერებას შედეგად მოჰყვა ადამიანის დაღუპვა ან სხვა მძიმე შედეგი. ან სხვა მძიმე შედეგში შეიძლება ვიგულისხმოთ: მატერიალური ზარალი, მსხვრევა, მატარებლის ლიანდაგიდან გადავარდნა და ა.შ.

ცუდი არ იქნებოდა, თუ კანონმდებელი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას მატარებლის თვითნებური გაჩერებისათვის მსხვერპლის გარეშეც გაითვალისწინებდა, ასევე თუკი მუხლის რომელიმე ნაწილში მიუთითებდა ადამიანის დაზიანების შედეგზედაც.

მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას აწესებს, თუ პირველი ნაწილით გათვალისწინებულმა ქმედებამ გამოიწვია გაუფრთხილებლობით ორი ან მეტი ადამიანის დაღუპვა.

დანაშაულის უშუალო ობიექტი არის ადამიანის სიცოცხლე.

ობიექტური მხარე გამოიხატება გაუფრთხილებლობით ადამიანის დაღუპვაში.

სუბიექტური მხარე გამოიხატება გაუფრთხილებელი ბრალით.

მაგისტრალური მილსადენის მშენებლობის, ექსპლოატაციის ან რემონტის უსაფრთხოების წესის დარღვევა – მუხლი 283

აღნიშნული მუხლი სამი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილის შინაარსი ასეთია: ,,მაგისტრალური მილსადენის მშენებლობის, ექსპლოატაციის ან რემონტის უსაფრთხოების წესის დარღვევა, რამაც გაუფრთხილებლობით გამოიწვია ჯანმრთელობის

ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება.“ იგი პასუხისმგებლობას აკისრებს იმ პირს, ვინც მაგისტრალური მილსადენის მშენებლობის დროს დაარღვევს ამ სამუშაოების წარმოებისათვის დადგენილ წესს, თუ ამ დარღვევამ გაუფრთხილებლობით გამოიწვია ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება.

აღნიშნული ნორმა დღევანდელი საქართველოსათვის მეტად აქტუალურია, ვინაიდან ხელს შეუწყობს ქვეყნის ამ ერთ-ერთი საშემოსავლო არტერიის დაცვას და ნორმალურ ფუნქციონირებას.

ობიექტი დანაშაულისა არის მაგისტრალური მილსადენის მშენებლობის უსაფრთხო ფუნქციონირება.

საგანი დანაშაულისა არის მაგისტრალური მილსადენის მთელი კომპლექსი, რომლითაც ხდება ნავთობპროდუქტის, ასევე გაზის გადაზიდვა მისი მოპოვების ადგილიდან გადამუშავების ადგილამდე.

დანაშაულის საგანი ასეთია:

1) მილგაყვანილობა თავისი ტრასებითა და განშტოებებით, დამაქაჩავებელ-სატუმბავი საშუალებებით, გაშვებისა და მიღების პუნქტებით და ა.შ.

2) ელექტრო-ქიმიური საშუალებები, ტექნიკური კავშირებით, ტელემექანიკური საშუალებებით და სხვა.

3) ელექტროგადამცემი ხაზები.

4) ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობათა და ეროზიისაგან დაცვის სისტემა.

5) გაზებისა და ნავთობის რეზერვუარები.

6) სხვადასხვა სახის შენობა-ნაგებობები.

7) სარკინიგზო და საავტომობილო გზები, შვეულმფრენების დასაფრენი მოედნები, მილების საწყობები და მისასვლელი ჩიხები.

8) ნავთისა და ნავთობპროდუქტების შესათბობი პუნქტები.

9) მიმთითებელი, გამაფრთხილებელი, ელექტრომანიშნებელი და მრავალი სხვა საშუალებები.

ერთი სიტყვით, ეს არის მთელი სივრცე ტექნიკისა და მშენებლობისა, რომელიც თავისი მრავალტაქტიანი და სახეობრივი სამუშაოებით წარმოადგენს უზარმაზარ სამშენებლო მეურნეობას და, რაღა თქმა უნდა, მოითხოვს უსაფრთხოების ტექნიკის მაქსიმალურ დაცვას, როლის უგულებელყოფაც საფრთხეს უქმნის ადამიანთა სიცოცხლეს და ჯანმრთელობას.

მილგაყვანილობითი საქმიანობის წარმოება დაკავშირებულია დიდ

რისკთან, ამის მიზეზია ის, რომ წესების დარღვევა იოლად იწვევს ფართო მასშტაბის ხანძრებსა და გამანადგურებელ აფეთქებებს, რაც სპობს მატერიალურ დოვლათს და სხვა სიკეთეს.

ობიექტური მხარე დანაშაულისა მდგომარეობს მშენებლობის, ექსპლოატაციის, რემონტის წესების დარღვევაში, მისივე უცვლელი ატრიბუტია მიზეზობრივი კავშირი დარღვევასა და შედეგს შორის.

კანონის ნორმა ბლანკეტურია, რაც აუცილებლად მოითხოვს სამუშაოს სპეციფიკისათვის განკუთვნილი წესებით ხელმძღვანელობას იმის გარკვევისათვის, თუ კონკრეტულად რა დაარღვია დამნაშავემ.

მაგისტრალური მილგაყვანილობა გულისხმობს არამარტო მშენებლობასა და პროექტირებას, არამედ მის გამოცდას სიმტკიცის, ჰერმეტიულობის და სხვა ნორმების შემოწმების თვალსაზრისით, რაც კი პროექტით არის გათვალისწინებული.

მილგაყვანილობის ექსპლოატაციის წესების დაუცველობაც არანაკლებ საშიშროებასთან არის დაკავშირებული და მოითხოვს მისი ფუნქციონირების წესების განუხრელად შესრულებას.

ასეთსავე სირთულეებთან არის დაკავშირებული მილგაყვანილობის შეკეთებითი სამუშაოებიც, იგი ნიშნავს დაზიანებულის აღდგენას და იყოფა მიმდინარე, კაპიტალურ, საავარიო-აღდგენით სამუშაოებად.

დანაშაული შეიძლება ჩადენილი იქნეს როგორც მოქმედებით, ასევე უმოქმედობით. მაგალითად: ოსტატმა შედუღებითი სამუშაო აწარმოა ნავთობის დაუცველ რეზერვუართან, ან არ შეადუღა მილზე არსებული ბზარი.

დანაშაულს მატერიალური ხასიათი აქვს და დამთავრებულად ითვლება, თუ ადამიანმა მიიღო მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება.

მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას აწესებს მაშინ თუ ამ დარღვევამ გაუფრთხილებლობით გამოიწვია ადამიანის დაღუპვა, ხოლო მესამე ნაწილი პასუხისმგებლობას აკისრებს მაშინ, თუ პირველ ნაწილში გათვალისწინებულმა ქმედებამ გაუფრთხილებლობით გამოიწვია ორი ან მეტი ადამიანის დაღუპვა.

დანაშაულის ამსრულებელია ის, ვისაც სამსახურებრივად ევალება უსაფრთხოების წესების დაცვა.

სუბიექტური მხარე გამოიხატება გაუფრთხილებელი ბრალით.

35-ე თავი

კომპიუტერული დანაშაული

კომპიუტერიზაცია ჩვენი ქვეყნის მომავალია. საქართველოს ეკონომიკის თუ საწარმოო სიმძლავრეების ავტომატური მართვა, სამეურნეო საქმიანობათა დაგეგმვა და მოქნილი ეკონომიკური გაანგარიშება ზუსტად და დაუბრკოლებლად წარმოებს ამ უნიკალური მანქანების საშუალებით. იგი ხანგრძლივად და უტყუარად, ზუსტად და მკაფიოდ ინახავს სახალხო მეურნეობის, მეცნიერების ყველა დარგის მონაცემებს და დაუზიანებლად გადასცემს შთამომავლობას. დღეს თანდათანობით და თანმიმდევრულად ინერგება იგი ტექნიკის, მეცნიერების, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, სამხედრო ხელოვნების და ადამიანთა ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში, მათი დაგეგმვისა და მართვის ამოცანათა გადასაწყვეტად.

კომპიუტერული სივრცე ახალ დანაშაულთა ჩადენის შესანიშნავი გარემოც გახდა. არსებობს გამოკვლევები, რომელთა თანახმად, ერთი კომპიუტერის დაზიანებას უსწრაფესად შეუძლია (სამ დღე-ღამეში) გავლენა მოახდინოს ეკონომიკაზე ისეთ სივრცეში, როგორიც არის ამიერკავკასიის ორი რესპუბლიკა. ჭალბატონი მარიამ ცაცანაშვილი თავის წერილში „კომპიუტერული დანაშაულის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით“ (ჟურნალი „საქართველოს მეცნიერებათა აღორძინების ფონდი“, გვ.149) აღნიშნავს, რომ ასეთი სწრაფგავრცელებადი უარყოფითი გავლენები დაკავშირებულია „კომპიუტერულ ვირუსთან“. იგი, როგორც ადამიანის ვირუსი, გადადის ერთი კომპიუტერიდან მეორეზე და აზიანებს მას. როცა ლაპარაკია ეგმ სისტემის დამაზიანებელი პროგრამის შექმნის დანაშაულებრიობაზე, ჭალბატონი მარიამ ცაცანაშვილს ასეთი მაგალითი მოჰყავს: „პროგრამა „ჭია“, რომელიც კორნელის უნივერსიტეტის სტუდენტმა დაწერა, შემთხვევით ინტერნეტში გაუშვეს და რამდენიმე საათის განმავლობაში 6000 კომპიუტერი დააზიანა. სტუდენტი 1986 წელს გაასამართლეს კომპიუტერული თაღლითობისათვის.“

კომპიუტერული დანაშაული მიმართულია იქით, რომ დამნაშავე დაეუფლოს მანქანა-მატარებელზე და ელექტრო გამომთვლელ დანადგარებზე დაფიქსირებულ სხვადასხვა საიდუმლოებას, ან დაამახინჯოს გამოთვლილი და დამუშავებული ეკონომიკური პროგრამები, ან დაარ-

ღვიოს კომპიუტერების მთელი ქსელის ექსპლოატაციის წესები, რითაც ვნებას მოუტანს ფარიო და მრავალმხრივი ეკონომიკური პროგრამების დროული და მიზნობრივი განხორციელების საქმეს.

განსახილველი თავი მთლიანად ახალი მოვლენაა ჩვენს კანონმდებლობაში. იგი სამი დანაშაულისაგან შედგება. განსახილველი თავი პასუხისმგებლობას აკისრებს ასევე იმ პირებს, რომლებიც მართლსაწინააღმდეგოდ ეუფლებიან მანქანა-მატარებელზე, ელექტროგამომთვლელი მანქანის (ეგმ) სისტემაში ან მის ქსელში კანონით დაცულ ინფორმაციებს, თუკი ამ ქმედებამ გამოიწვია ინფორმაციის განადგურება, ბლოკირება, მოდიფიცირება, გადაღება, ეგმ-ის სისტემის ან მისი ქსელის მუშაობის მოშლა (284).

მუხლი დანაშაულად მიიჩნევს ეგმ-ის პროგრამებში უკანონო ცვლილებების შეტანას, ინფორმაციის განადგურებას, ბლოკირებას და სხვა (285).

თავი განიხილავს ეგმ-ისა და მისი სისტემის ან მთელი ქსელის ექსპლოატაციის წესების დარღვევას იმის მიერ, ვისაც ხელი მიუწვდება ეგმ-სა და მის სისტემაზე და რამაც გამოიწვია კანონით დაცული ინფორმაციის განადგურება, ბლოკირება, მოდიფიცირება და ა.შ. (286).

კომპიუტერულ ინფორმაციასთან არამართლზომიერი შეღწევა – მუხლი 284

განსახილველი მუხლი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილის დისპოზიცია ასეთი შინაარსისაა: ,,კანონით დაცულ კომპიუტერულ ინფორმაციასთან, ე. ი. მანქანა-მატარებელზე, ელექტროგამომთვლელ მანქანაზე (ეგმ), ეგმ-ის სისტემაში ან მათ ქსელში ასახულ ინფორმაციასთან არამართლზომიერი შეღწევა, რამაც ინფორმაციის განადგურება, ბლოკირება, მოდიფიცირება ან მოპოვება ანდა ეგმ-ის, ეგმ-ის სისტემის ან მათი ქსელის მუშაობის მოშლა გამოიწვია".

ინფორმაციის ცნების ქვეშ იგულისხმება ცნობები საგნების, ფაქტების, მოვლენების, პროცესების შესახებ, მიუხედავად მათი გადმოცემის ფორმებისა და მეთოდებისა.

კომპიუტერული ინფორმაცია ისეთი ინფორმაციაა, რომელიც დაფიქსირებულია მანქანა-მატარებელზე ტელეკომუნიკაციური არხის მეშვეობით.

განსაკუთრებულობა კომპიუტერული ინფორმაციისა გამოიხატება მის მარტივად წარმოსახვაში, ჩვენებაში, გადაცემაში, გამრავლებაში, იგი იოლად ინახება და ინარჩუნებს პირველი წყაროს სახეს და ინფორმაციის სისრულეს, ერთი და იგივე დროის მონაკვეთში შეიძლება ეყოლოს რამდენიმე გამომყენებელი.

მოცემული მუხლით გათვალისწინებულ საქმეებზე დადგენილი უნდა იქნეს, რომ კომპიუტერული ინფორმაცია, რომელიც ხელყვეს, დაცული იყო კანონით „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ", ასევე კანონით საკუთრების შესახებ ან კანონით საავტორო უფლების შესახებ და სხვა. თვით ფაქტი კომპიუტერული მასალების გაცნობისა უნდა არღვევდეს სახელმწიფოს პრეროგატივას ან მესაკუთრის უფლებას ან საავტორო უფლებას, იურიდიული და ფიზიკური პირის კანონით დაცულ სხვაგვარ უფლებას და ა.შ.

ინფორმაცია, საინფორმაციო რესურსები არის იურიდიულ და ფიზიკურ პირთა საკუთრება და იგი რეგულირდება სამოქალაქო კანონმდებლობით. ინფორმაციის მესაკუთრე სათანადო დაცვას ითხოვს სამოქალაქო უფლებების სფეროში, სამოქალაქო სამართლის 147, 155, 170, 1017 მუხლების შესაბამისად.

განსახილველი მუხლი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას აწესებს კომპიუტერული ინფორმაციების უკანონო დაუფლების, ბლოკირების, მოდიფიცირების ან გადაღებისათვის, თუ იგი აღბეჭდილია მანქანა-მატარებელ, ელექტროგამომთვლელ მანქანაზე და მათ ჭიელში, ან თუ მან გამოიწვია ეგმ-ის სისტემის ან მათი ჭიელის მოშლა.

მანქანა-მატარებელი (ყოველი სახის მაგნიტური დისკო, მაგნიტური ლენტა, მაგნიტური დოლი, პერფობარათები, სქემები და ა.შ.) კლასიფიცირდება ფიზიკურ და კონსტრუქციულ თავისებურებათა მიხედვით.

კომპიუტერული ინფორმაცია შეიძლება გადაიცეს ტელეარხებით, ერთი ელექტრო გამომთვლელი მანქანიდან მეორეზე გადატანით და ა.შ.

ობიექტური მხარე განსახილველი დანაშაულისა არის არამართლზომიერი შეღწევა კანონით დაცულ კომპიუტერულ ინფორმაციასთან თუ ამ მოქმედებამ გამოიწვია ინფორმაციის განადგურება, ბლოკირება, მოდიფიკაცია, კოპირება, ეგმ-ის მუშაობის მოშლა და ა.შ.

კომპიუტერულ ინფორმაციებთან მისვლის უკანონობაში იგულისხმება მასთან დამოკიდებულების მიღწევის ყოველგვარი ფორმა და მათი გამოყენება, რომლითაც შეიძლება მოხდეს ინფორმაციის მანიპუ-

ლირება, განადგურება, ბლოკირება, მოდიფიცირება, კოპირება.

თუ ელექტრო მანქანების კვების წყაროს, ასევე მანქანა-მატარებლის დანაშაულებრივი დაუფლება არ განიხილება, როგორც ინფორმაციასთან შესვლის უფლების დარღვევა, ასეთ შემთხვევაში პასუხისმგებლობის საკითხი შეიძლება დადგეს საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის კვალიფიკაციით ან თვითნებობით.

კომპიუტერულ ინფორმაციებთან უკანონო შესვლად ითვლება თუ პირს არ აქვს ამის სათანადო უფლება, ან თუ პირს აქვს უფლება მოცემულ ინფორმაციებთან შესვლისა, მაგრამ იგი ხორციელდება შესვლის წესების გვერდის ავლით.

კომპიუტერული ინფორმაციის დაცვის საშუალებანი მრავალნაირია, კერძოდ: დაცვის საერთო წესები (საშვის სისტემა, სიგნალიზაცია, გასამხედროებული დაცვა), ასევე დაცვის სხვადასხვა ინტელექტუალური საშუალებანი (ინდივიდუალური დაშვების კოდები) და ა.შ.

როგორც მუხლის პირველი ნაწილი გვასწავლის, დანაშაულის ობიექტური მხარის შემადგენლობა არის ინფორმაციის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება, რასაც შედეგად უნდა მოჰყვეს:

ა) ინფორმაციის განადგურება;

ბ) ბლოკირება;

გ) მოდიფიცირება;

დ) გადაღება;

ე) ეგმ-ის სისტემის ან მათი ქსელის მუშაობის მოშლა.

ინფორმაციის განადგურება ნიშნავს მისი რეალური სახის მოსპობას. კერძოდ, მანქანის მეხსიერებიდან მის იმგვარ ამოშლას, რომლის გამო ინფორმაცია გამოუყენებელი ხდება.

განადგურებული ინფორმაციის რაიმე საშუალებით აღდგენა დამნაშავის მიერ არ უხსნის მას პასუხისმგებლობას.

კომპიუტერული ინფორმაციის ბლოკირებაში იგულისხმება მასთან უფლებამოსილი პირების არდაშვება ან ასეთი დაშვების გაძნელება დამნაშავის მიერ.

მოდიფიკაციაში კანონმდებელი გულისხმობს ინფორმაციის შინაარსში ცვლილებების შეტანას.

გადაღებაში იგულისხმება ზუსტად იგივე ინფორმაციის განმეორება მსგავს მანქანაზე ან სხვაგვარ მანქანა-მატარებელზე ერთ ან რამდენიმე პირად.

ეგმ-ის სისტემის ან მათი ქსელის მუშაობის მოშლა ნიშნავს

მანქანის ან მთელი აპარატურის მუშაობის შესაძლებლობის, ფუნქციონირების დროებით შეწყვეტას. ეგმ-ს მუშაობის მოშლა შეიძლება გამოიხატოს:

ა) კომპიუტერული ინფორმაციის დაზიანებაში.

ბ) კომპიუტერული ტექნიკის მთლიანობის დარღვევაში, რომელზედაც დამოკიდებულია საპროგრამო უზრუნველყოფა.

გ) კავშირის სისტემის დაზიანებაში - აქ საუბარი ეხება არა მარტო მანიპულაციების არასწორ მუშაობას, არამედ თვით ეკრანის მიმართებაში არსებული კავშირის გაწყვეტასაც.

„ეგმ" — ეს არის ელექტროგამომთვლელი მანქანა, რომელიც ინფორმაციას გადაამუშავებს მის რიცხობრივ ფორმაში. ტერმინი კომპიუტერიც იგივე აზრით იხმარება, როგორც „ეგმ".

ელექტროგამომთვლელი მანქანების ჭალი — ეს არის ხერხი სხვადასხვა სიშორეზე მდგომ მანქანათა ტექნიკური კავშირის შესაძლებლობისა. ასეთი კავშირი, გამომთვლელ ტექნიკასთან ერთად, წარმოადგენს ინფორმაციის შეგროვების, გადამუშავების, აკრების აუცილებელ ბაზას.

კომპიუტერული ინფორმაციის დაუფლების ორი მიზეზი არსებობს:

1) მისი რაობის სპორტული ინტერესი, ე. ი. პირადი ცნობისმოყვარეობა.

2) ინფორმაციის მოპოვება სხვა რომელიმე დანაშაულის ჩადენის მიზნით.

ობიექტი დანაშაულისა არის კომპიუტერული ინფორმაციების საიდუმლოება.

სუბიექტური მხარე — პირდაპირი განზრახვა, როცა დამნაშავე შეგნებულად ეუფლება კომპიუტერული ინფორმაციის საშუალებას, ანადგურებს, ახდენს მის ბლოკირებას, მოდიფიცირებას, გადაღებას ან ჭალის მოშლას.

მუხლის მეორე ნაწილი კვალიფიციურად მიიჩნევს პირველ ნაწილში გათვალისწინებულ ქმედებას, თუ კი რომელიმე შემადგენლობა ჩადენილი იქნება:

ა) წინასწარი შეთანხმებით პირთა ჯგუფის მიერ.

ბ) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით.

გ) იმის მიერ, ვისაც ხელი მიუწვდება ეგმ-ზე, მის სისტემასა თუ ჭალზე.

პირთა ჯგუფისა და ორგანიზებული ჯგუფის ცნებების განმარტებებზე აქ აღარ შევჩერდებით, რადგან მათზე სხვა მუხლების განხილვის დროს ვისაუბრეთ. რაც შეეხება სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებას, აქ იგულისხმება ეგმ-ის მანქანებთან სამსახურებრივი მისვლის უფლება, რომელიც ხორციელდება შრომითი ხელშეკრულებით, ან დამნაშავის სამსახურებრივი გავლენით იმ პირებზე, რომელთაც აქვთ ასეთი უფლება. მოცემულ შემთხვევაში აუცილებელი არ არის დამნაშავე თანამდებობის პირი იყოს.

ეგმ-თან დაშვების უფლების მქონედ წარმოგვიდგება ის პირი, რომელიც კანონიერ საფუძველზე მუშაობს ამ მანქანებზე (პროგრამისტი, ეგმ-ის მეხსიერებაში ცნობების შემტანი, ინჟინერ-ელექტრიკოსი, შემკეთებელი, გამომოთვლელი მანქანების სპეციალისტი). ის პირები, რომლებიც იმ შენობაში შესვლის უფლებით სარგებლობენ, სადაც აპარატურა დგას, არ ითვლებიან მანქანებთან დაშვების უფლების მქონედ (დამლაგებლები, მეკუჭნავეები, შენობის სხვა მომსახურენი).

ეგმ-ის დამაზიანებელი პროგრამის შექმნა, გამოყენება ან გავრცელება – მუხლი 285

მუხლის დისპოზიცია ასეთი შინაარსის არის: „ეგმ-ის დამაზიანებელი პროგრამის შექმნა ან არსებულ პროგრამაში ცვლილებების შეტანა, რაც განზრახ იწვევს ინფორმაციის არასანქცირებულ განადგურებას, ბლოკირებას, მოდიფიცირებას ან გადაღებას, ანდა ეგმ-ის, ეგმ-ის სისტემის ან მათი ქსელის მუშაობის მოშლას, აგრეთვე ასეთი პროგრამის ან ასეთი პროგრამის შემცველი მანქანა-მატარებლის გამოყენებას ან გავრცელებას“.

როგორც დისპოზიციიდან ჩანს, დამნაშავის მიერ დანაშაულებრივი ქმედებით გამოწვეული ზიანი აქაც თითქმის იგივეა, როგორც 284-ე მუხლის დისპოზიციაში იყო მინიშნებული, ოღონდ აქ დამნაშავე განზრახვის შედეგს აღწევს არა ეგმ-ის და მის სისტემაზე ან მის ქსელზე კანონით დაცულ ინფორმაციაზე მართლსაწინააღმდეგო დაუფლებით, არამედ ეგმ-ის ახალი პროგრამის შექმნით ან არსებულ პროგრამაში ცვლილებების შეტანით, რითაც იგი იწვევს ეგმ-ში უკვე არსებული ინფორმაციის განადგურებას, ბლოკირებას, მოდიფიცირებას, ანდა გადაღებას, ეგმ-ის მუშაობის მოშლას, მისი პროგრამების გამოყენებას ან გავრცელებას.

ობიექტი მოცემული დანაშაულისა არის გამომთვლელი ტექნიკის ნივთიერი და ინტელექტუალური საშუალებები.

ობიექტური მხარე დანაშაულისა გამოიხატება მასში, რომ დამნაშავეს ეგმ-ში შეაქვს ისეთი პროგრამა, რომელიც აზიანებს ან სახეს უცვლის მასში არსებულ კანონიერ პროგრამას, ან ანადგურებს მას და იწვევს ეგმ-ის ან მისი სისტემის, ქსელის მოშლას.

ეგმ-ის პროგრამა — ეს არის წარმოდგენილი ობიექტური ფორმა იმ მონაცემებისა და მითითებებისა, რომელიც დანიშნული და დაფიქსირებულია ეგმ-ის ფუნქციონირებისათვის, რათა მიღებული იქნეს მუშაობის განსაზღვრული გამიზნული შედეგი.

ეგმ-ის პროგრამის შექმნა არის მის ალგორითმში ჩაწერილი თანმიმდევრული, ლოგიკური მითითებანი (ბრძანება), რომელსაც შემდგომში გადმოსცემს მისი მანქანური ენა.

ამ პროგრამაში ცვლილებების შეტანა ნიშნავს მის ალგორითმში არსებული განმკარგულებელი პროგრამის ფრაგმენტების გადაკეთებას, შეცვლას ან სხვა მონაცემების დამატებას.

არასანქცირებული განადგურება, ბლოკირება, მოდიფიკაცია, ინფორმაციის კოპირება არის დამნაშავისაგან ამ მოქმედების უკანონოდ ჩადენა, ინფორმაციის მესაკუთრის ან სხვა კანონიერი გამომყენებლის ნებართვის გარეშე. რაც შეეხება განადგურებას, ბლოკირებას, მოდიფიცირებას, კოპირებას, ჩვენ მათზე ვისაუბრეთ 284-ე მუხლის განხილვის დროს.

„ან ასეთი პროგრამის გამოყენებაში“ კანონმდებელილი გულისხმობს მის გამოყენებას წარმოებისა ან სხვა სამეურნეო ბრუნვისათვის მოდიფიცირებულ ფორმაში ან თავისი დანიშნულებისამებრ.

ობიექტური მხარე დანაშაულისა გამოიხატება მასში, რომ დამნაშავეს ეგმ-ში შეაქვს ისეთი ცვლილებები, რომელიც იწვევს მასში დაფიქსირებული პროგრამის უნებართვო განადგურებას, გადაკეთებას ან ბლოკირებას.

„ეგმ-ის პროგრამის გავრცელება“ — ეს არის გაცემა უფლებისა, გამოყენებული იქნეს ნებისმიერი მატერიალური ფორმა ეგმ-ის პროგრამისა, მათ შორის: გაყიდვის, გაქირავების, დაგირავების და სხვა.

„მანქანა-მატარებლის გამოყენება-გავრცელებაში“ იგულისხმება მისი გადაცემა სხვა პირზე და პროგრამებით გარკვეული სამუშაოების შესრულება.

სუბიექტური მხარე შეიძლება გამოიხატოს განზრახ ქმედებაში.

მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს იგივე მოქმედებისათვის, რამაც გაუფრთხილებლობით მძიმე შედეგი გამოიწვია. მძიმე შედეგში კანონმდებელი გულისხმობს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ღირებულების მქონე ინფორმაციის დაკარგვას, რომლის აღდგენა ძნელად ხდება ან შეუძლებელია, ან მწყობრიდან გამოდის მეტად მნიშვნელოვანი ტექნიკური მოწყობილობა (მაგ. სამხედრო თავდაცვითი მნიშვნელობის ტექნიკური პროგრამა).

ეგმ-ის, ეგმ-ის სისტემის ან მათი ქსელის ექსპლოატაციის წესის დარღვევა – მუხლი 286

განსახილველი მუხლი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილის შინაარსი ასეთია: „ეგმ-ის, ეგმ-ის სისტემის ან მათი ქსელის ექსპლოატაციის წესის დარღვევა იმის მიერ, ვისაც ხელი მიუწვდებოდა ეგმ-ზე, ეგმ-ის სისტემაზე ან მათ ქსელზე, რამაც გაუფრთხილებლობით გამოიწვია ეგმ-ის კანონით დაცული ინფორმაციის განადგურება, ბლოკირება, მოდიფიცირება ან გადაღება, ანდა რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია“.

განსახილველი მუხლით პასუხისმგებლობა ეკისრება იმ პირს, რომლმაც დაარღვია ეგმ-ის ან მისი სისტემის ან მათი ქსელის ექსპლოატაციის წესები. აქ კანონმდებელი გულისხმობს იმ პირებს, ვისაც სამსახურებრივად მიუწვდება ხელი ამ საქმიანობაზე, თუ ამ დარღვევამ გამოიწვია ეგმ-ის კანონით დაცული ინფორმაციის განადგურება, ბლოკირება ან მოდიფიცირება და თუ ამ ქმედებას არსებითი ზიანი მოჰყვა.

ობიექტი ამ დანაშაულისა არის გამომთვლელი ტექნიკის ინტელექტუალური და მატერიალური საშუალებების უსაფრთხო გამოყენება.

ეგმ-ის ექსპლოატაციის წესები განსაზღვრულია შესაბამისი ტექნიკური ნორმატიული აქტებით და ინსტრუქციებით, რომელიც თან ერთვის ამ ტექნიკას. ეს ინსტრუქციები შეიძლება აღბეჭდილი იყოს, როგორც ქაღალდის ფორმაში, ასევე მანქანა-მატარებლის ფირფიტებზე.

ამრიგად ეგმ-ის ექსპლოატაციის წესების დარღვევა შეიძლება დავყოთ ფიზიკური და ინტელექტუალური წესების დარღვევად.

ფიზიკურ დარღვევაში შედის მოწყობილობის არასწორი

დაყენება, ტემპერატურის რეჟიმის დარღვევა, კვების წყაროს არასწორი ჩართვა და გამოყენება, არარეგულარული ტექნიკური გამართვა-მომსახურება, დაცვის არასერტიფიცირებული პირობები და ა.შ.

ინტელექტუალური წესების დარღვევაში კანონმდებელი გულისხმობს არასწორი დიალოგის გამართვას კომპიუტერულ პროგრამასთან, მასში მონაცემების არასწორად შეტანას.

მუხლის პირველი ნაწილის დანაშაულებრივ შედეგში კანონმდებელი გულისხმობს კანონით დაცული ინფორმაციის გაუფრთხილებლობით განადგურებას, ბლოკირებას, მოდიფიცირებას, ანდა სხვას, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

ეგმ-ს სისტემის ქსელის შესახებ საუბარი იყო 285-ე მუხლის განხილვის დროს და აქ აღარ გავიმეორებთ.

მნიშვნელოვან ზიანში კანონმდებელი გულისხმობს მეტად მნიშვნელოვანი ინფორმაციების დაკარგვას, საწარმოო მოქმედების წყვეტილებას ან ეგმ-ებს შორის ხანგრძლივად კავშირის გაწყვეტას და ა.შ.

მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას აწესებს პირველ ნაწილში გათვალისწინებული ქმედებისათვის, თუ მან გაუფრთხილებლობით გამოიწვია მძიმე შედეგი.

გაუფრთხილებლობით მძიმე შედეგში კანონმდებელი გულისხმობს განსაკუთრებული ინფორმაციის აღუდგენელ დაკარგვას, მნიშვნელოვანი ტექნიკური მოწყობილობის მწყობრიდან გამოსვლას და ა.შ.

ეგმ-ის ექსპლოატაციის წესების დარღვევა შეიძლება მოხდეს როგორც განზრახ, ასევე გაუფრთხილებლობით.

ᲙᲐᲠᲘ ᲛᲔᲐᲗᲔ

ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘ ᲑᲐᲠᲔᲛᲝᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲬᲔᲡᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ

36-Ე ᲗᲐᲕᲘ

ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘ ᲑᲐᲠᲔᲛᲝᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲬᲔᲡᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ

ეკოლოგია მეცნიერების დამოუკიდებელ დარგად აღიარეს 1910 წელს ბოტანიკოსთა საერთაშორისო კონგრესზე ბრიუსელში. იგი შეისწავლის როგორც ცხოველთა და მცენარეთა ცალკეულ გარემოს, ასევე მათ სტრუქტურულ და ფუნქციურ ურთიერთობას გარე სამაყუროსთან. ბუნებაში მცენარეებსა და ცხოველებზე მოქმედებს მრავალი ფაქტორი: წყალი, სინათლე, ტემპერატურა, მინერალური მარილები და სხვა. თანამედროვე ეკოლოგიის მიზანია ცოცხალი და არაცოცხალი ბუნების ფუნქციური ურთიერთდამოკიდებულების შესწავლა. ტერმინ „ეკოლოგიის“ პირველი განმარტება მოგვცა ე. ჰეკელმა 1866 წელს. ბუნების ცოცხალი და არაცოცხალი სამყაროს ურთიერთდამოკიდებულების საკითხები ფართო გეოგრაფიულ ფონზე განიხილა გერმანელმა ბუნებისმეტყველმა ა. ჰუმბოლდტმა. ამ საკითხებს მრავალი საინტერესო შრომა მიუძღვნეს მსოფლიოს სახელმოხვეჭილმა ბოტანიკოსებმა, ზოოლოგებმა, ბიოლოგებმა.

საქართველოში ეკოლოგიური კვლევის ფუძემდებელია ვ. გულისაშვილი. მის ნაშრომებში გაშუქებულია მცენარეულობისა და ნიადაგის ურთიერთდამოკიდებულების საკითხების ეკოლოგიური ანალიზი.

ეკოლოგიასთან მეტად სისხლხორცეულად არის დაკავშირებული სასოფლო- სამეურნეო კულტურების აგროტექნიკა და მცენარეთა აკლიმატიზაცია.

ეკოლოგიური მეცნიერების დიდი ძალისხმევით ღრმად იქნა შესწავლილი ეკოლოგიურ-ბიომორფოლოგიური, ეკოლოგიურ-ფიზიოლოგიური, ეკოლოგიურ-ციტოლოგიური პრობლემები.[1]

ეკოლოგიური დაცვა გარე სამყაროსი პირდაპირ განაპირობებს ადამიანთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობის უზრუნველყოფას.

სწორედ ზემოთ მითითებულ გარემოებათა გამოა, რომ საქართველოს კანონმდებლობამ ღირსეული ადგილი დაუთმო ბუნების სასიცოცხლო იმპულსების, ფლორისა და ფაუნის სიჯანსაღის განუხრელ დაცვას.

ამავე საკითხთან დაკავშირებით საქართველოს უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1995 წლის 3 აგვისტოს N 2 დადგენილებაში ნათქვამია: ,,გარემოს დაცვის შესახებ კანონმდებლობის შესრულება, ბუნებრივი რესურსების მომჭირნე, რაციონალური გამოყენება ერთერთი უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო ამოცანაა, რომლის გადაწყვეტაზე დიდად არის დამოკიდებული ადამიანის ჯანმრთელობა და კეთილდღეობა, ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ამოცანების გადაწყვეტა".[2] განსაკუთრებით ბოლო წლებში ბარბაროსული ძალები ესხმიან რა თავს ქვეყნის ფლორასა და ფაუნას, დაუზოგავად ანადგურებენ მის უკვდავ და განუმეორებელ მცენარეთა და ცხოველთა სამყაროს. აქედან გამომდინარე, კანონმდებლობამ საჭიროდ ჩათვალა, მწვავე ბრძოლა გამოუცხადოს ბუნების სიმდიდრეთა გამჩანაგებლებს, შეიძლება ითქვას, ეკოლოგიურ მტრებს.

1996 წლის 27 ივნისის კანონი ,,გარემოს დაცვის შესახებ" განსაზღვრავს ძირითად სამართლებრივ ურთიერთობებს, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს, საწარმოებს, ორგანიზაციებს, დაწესებულებებსა და მოქალაქეებს შორის გარემოსა და მისი რესურსების გამოყენებასა, რეგულირებასა და დაცვაში საქართველოს მთელს ტერიტორიაზე.

მეათე კარის - ,,ეკოლოგიური დანაშაულის" მიზანია, გადაწყვიტოს ყველა ის საკითხი, რაც დაკავშირებულია ბუნების სისხლის სამართლებრივ დაცვასთან, დაახასიათოს და მეცნიერულად გააანალიზოს ის მავნებლური მოქმედებანი, რაც ვნებს გარემომცველ ბუნებას

1. ჭ. ს. ეციკლოპედია, ტ. 4, გვ. 70.

2. საქ. უზენაესი სასამართლოს პლენუმის 1955 წლის 3 აგვისტოს N 2 დადგენილება, მართლმსაჯულების მაცნე N 3, მუხ. 1; იხ. აგრეთვე ო. გამყრელიძე, ბრძოლა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის, გვ. 239-241

და განსაზღვროს მისი ხელყოფის ყოველი ფორმა და ხერხი, ის სამართალდარღვევები, რომლებიც საჭიროა ვცნოთ ეკოლოგიურ დანაშაულად. აქედან გამომდინარე, მეცნიერული გაგება და დამუშავება ეკოლოგიური დანაშაულისა იქნება მეთოდოლოგიური ბაზა ამ დანაშაულის წინააღმდეგ სამართალშემოქმედებითი პროცესისა. ამ დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების არსის სწორად შემეცნების გარეშე შეუძლებელია სასჯელის სტრუქტურების აგება, სისხლის სამართლის ნორმის მიზნისა და თვით პროფილაქტიკური მუშაობის ფარგლების განსაზღვრა.

გულახდილად უნდა ითქვას, რომ ძველი საკანონმდებლო ნორმები, დაუხვეწელობისა და რაოდენობრივი სიმცირის გამოც, ვერ პასუხობდა ეკოლოგიური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მოთხოვნებს.

ეკოლოგიური დანაშაულის არსის შემეცნება სხვა არაფერია, თუ არა მისი გვარობითი მოცულობის ღრმად შესწავლა, რომელიც მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ნიშნებით ხასიათდება. ადრეულ ლიტერატურაში და სისხლის სამართლებრივ ნორმებში იყო განსაზღვრული ბუნების ხელყოფის ობიექტები, მაგრამ ისინი სრულიად სქემატურად, შერჩევით იცავდნენ ბუნების განუზომელ მშვენიერებას, ვერ ამოსწურავდნენ ობიექტის სიღრმესა და საჭიროებით განზომილებას. ეს ალბათ იმდენადაც იყო ბუნებრივი, რამდენადაც ამ სფეროში სწავლულთა შორისაც აზრთა მკვეთრი სხვადასხვაობა არსებობდა ეკოლოგიური დანაშაულის ობიექტის რაობაზე. თუ ბუნებას განვიხილავთ მხოლოდ როგორც ობიექტს, რაღაც საკუთრებად, რომელიც შეიძლება ხელყოს დამნაშავემ ტყის მოჭრის, თევზის დაჭერის, უკანონო ნადირობის, ნათესებისა და ნარგავების განადგურების ან დაზიანების, წყლით სარგებლობის უფლების, სავეტერინარო, შხამქიმიკატების ხმარების წესების დარღვევისა და სხვა ამგვარის სახით, მაშინ ეკოლოგიური დანაშაული სრულიად ვერ იქნება დაძლეული, და არა მარტო დაძლეული, მინიმალური ღონისძიებაც კი არ იქნება გატარებული ეკოლოგიური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ხაზით.ეკოლოგიური დანაშაული არ შეიძლება ასეთ ვიწრო ჩარჩოებში განვიხილოთ. ეკოლოგიური სივრცე დედამიწის ბუნებრივ მშვენიერებას მოიცავს თავის საჰაერო სივრცესა და წიაღისეულ სიღრმეში და წარმოადგენს კაცობრიობის სასიცოცხლო ბელტს, რომლის დაცვა და ნორმალური გამოყენება ნამდვილად უნდა იყოს არა მარტო რომელიმე ერისა და ქვეყნის, არამედ დედამიწის

მოაზროვნე ბინადართა სისხლხორციული და თანაბრად საზრუნავი საერთო საქმე. მისი დაცვა საჭიროებს არა მხოლოდ რომელიმე შემადგენელი კომპონენტის ხელყოფის აკრძალვას, არამედ ამ ბრძოლამ უნდა მოიცვას ყველა ის სფერო, სადაც ადამიანის გონება მისწვდება დედამიწას ბოროტული ხელყოფის განზრახვით.

რამდენადაც მეცნიერთა შორის ეკოლოგიური დანაშაულის ობიექტის თაობაზე აზრი სხვადასხვაა, მათი განმარტებაც, რაღა თქმა უნდა, სხვადასხვა იქნება. თუ ეკოლოგიური დანაშაულის „ობიექტი განისაზღვრება საკუთრებით ურთიერთობად ბუნებრივ რესურსებზე, მაშინ მოცემული დანაშაული ხასიათდება საზოგადოებრივად საშიში ქმედებით, რომელიც გამოიხატება მის დაუფლებაში, დაზიანებაში, განადგურებაში და ა.შ.“[1]

რიგი მეცნიერებისა ობიექტად თვლიან ბუნების რესურსების სამეურნეო გამოყენებას და ამდენად ამ დანაშაულსაც სამეურნეო დანაშაულად მიიჩნევენ.

ეკოლოგიური დანაშაულის კონცეფცია, უპირველეს ყოვლისა, მოითხოვს, გაშუქებული იქნეს ეკოლოგიური ურთიერთობის ცნება.

„იგი მოიცავს ადამიანის მოღვაწეობის სამ სახეს:

1) კონსერვატიული დაცვა ბუნებისა.

2) მისი სიმდიდრის რაციონალური გამოყენება, როგორც ბუნების დაცვის ერთერთი აუცილებელი ხერხი.

3) ჯეროვანი დაცვა ადამიანის სიცოცხლისათვის ხელსაყრელი ბუნებრივი პირობებისა.

ეკოლოგიური დანაშაულის განხილვა, როგორც ბუნების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ნაირსახეობისა, არ მოგვცემს საშუალებას ჯეროვნად აიხსნას ეკოლოგიური დანაშაულის სპეციფიკა“.[2]

ზემოთ ჩამოთვლილი სამივე სახეობა თვით ბუნების ერთიანობაა, მისი გარემოცვა და შემადგენლობაა. ყოველივე ეს არ წარმოადგენს ადამიანთა სახალხო მეურნეობას, რადგან მეურნეობა მატერიალური დოვლათის წარმოების სფეროა, ხოლო ბუნება თვითონ იძლევა თავის ნაწარმოებ სიმდიდრეს უსასყიდლოდ, თავის წარმოებაში ჩვენი ჩართვის გარეშე. ამდენად სიმძიმის ცენტრის გადატანა მატერიალურ ზარალზე არ იქნება სწორი ახსნა იმ ურთიერთობისა, როგორიც არის ადამიანსა და გარემო ბუნებას შორის. ამის დადასტურებაა ისიც, რომ ანტარქტიდა თუ სხვა

1. Ляпунов Ю. Уголовно-правовая ахрана природы СССР, М., 1974
2. Повелицина П. Уголовно-правовая ахрана природы в СССР, М., 1981

მსგავსი ფლორა და ფაუნა არ ეკუთვნის ვინმეს საკუთრებაში, მაგრამ მისი კანონიერი დაუცველობა ზიანს მოუტანს ყველას. ასევეა ატმოსფერო, სივრცე გაშლილი ზღვებისა და ა.შ.

საერთაშორისო შეთანხმებები კანონიერ მეთვალყურეობას უწევს არა მარტო ზემოთ ჩამოთვლილ დედამიწის სიკეთეს, არამედ თვით უნიკალურ ცხოველთა და ფრინველთა ერთეულებსაც.

ეკოლოგიური სიმდიდრის ხელყოფა როდი გამორიცხავს ეკონომიკური სფეროს დანაშაულებრივ ხელყოფასაც, მაგრამ ეკოლოგიური დანაშაულის გაიგივება ეკონომიკურ და სამეურნეო დანაშაულობათა წრესთან, მეტად ავიწროებს ეკოლოგიური სიკეთის სივრცეს და განუზომელ ზარალს უქადის კაცობრიობას ეკოლოგიური სისტემის ბიოლოგიური პროდუქტიულობის დაცემით.

,,ეკოლოგიური სისტემის ელემენტებია:

ა) ბუნებრივი ობიექტები: მიწა, წიაღი, წყალი, ტყე, ველური ფაუნა, ატმოსფერული ჰაერი.

ბ) ბუნებრივი კომპლექსები, საკურორტო ადგილები, განსაკუთრებული მნიშვნელობის ლანდშაფტები (ნაკრძალები, აღკვეთილები, ეროვნული პარკები და სხვა).

გ) ბუნებრივი თვისებები: ნიადაგის ტენიანობა, რეჟიმი, წყლის ჰიდროლოგიური რეჟიმი, ველური ფაუნის ცხოველმოქმედების სასარგებლო თვისება.

დ) ბუნებრივი პროცესები: ქვირითის დაყრის პერიოდი, ცხოველთა მიგრაციის პერიოდი და სხვა".[1]

სწორედ ეს არის ის განუზომელი სიკეთე, რომელიც ,,ადამიანის მიმართ ასრულებს სამ მნიშვნელოვან ფუნქციას:

1) ეკოლოგიურს, რომელიც უზრუნველყოფს სიცოცხლისათვის საჭირო ბიოლოგიურ რეჟიმს.

2) ეკონომიკურს, რომელიც წარმოადგენს ადამიანების მატერიალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების წყაროს.

3) ზნეობრივს, რომელიც გავლენას ახდენს ადამიანის სულიერი სამყაროს ფორმირებაზე".[2]

საქართველოს კონსტიტუციის მესამე მუხლის ,,ს"- პუნქტის შესაბამისად, მხოლოდ ,,საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ განმგებლობას მიეკუთვნება მიწის, წიაღისეულისა და ბუნებრივი რესურსების კანონმდებლობა".[3]

თანამედროვე საქართველოს კანონმდებლობამ სრულიად შეცვა-

1. ა. ლაბარტყავა, ეკოლოგიური სამართალი, თბ., 1996, გვ. 5.
2. თ. ურუშაძე, ვ. ლორია, ეკოლოგიური სამართალი, თბ., 1996, გვ. 70.
3. საქ. კონსტიტუცია, მუხ. 3, პუნ. ,,ს", 1996

ლა და მართებულადაც მოიქცა, როცა ეკოლოგიური დანაშაული გამოჰყო სამეურნეო დანაშაულის ოჯახიდან და ცალკე კარად ჩამოაყალიბა ოცი მუხლით. გამორიცხული არ არის, რომ კვლავ დარჩა კანონის დაცვის გარეშე ეკოლოგიური სფეროს ხელყოფა რომელიმე ჭრილიდან, მაგრამ მას მომავალი ცხოვრება შეავსებს.

კანონმდებელმა გაითვალისწინა რა ეკოლოგიური დანაშაულის დიდი სივრცე – მიწის ზედაპირი თავისი ფლორით და ფაუნით, მისი სასიცოცხლო ძალა და კონტაქტი ადამიანთა საზოგადოებასთან, ზღვებისა და საჰაერო სივრცის სიწმინდის გავლენების მნიშვნელობა კაცობრიობის მომავალზე, გარკვეულწილად დაიცვა კანონის საფარველით – დანაშაულებრივი ხელყოფისაგან.

36-ე თავში შეტანილია ისეთი დისპოზიციები, როგორიც არის სამუშაოს წარმოებისას გარემოს დაცვის წესის დარღვევა - 287, გარემოსათვის საშიში ნივთიერების ან ნარჩენებისადმი მოპყრობის წესის დარღვევა – 288, მიკროლოგიური ან სხვა ბიოლოგიური აგენტებისადმი ან ტოქსინისადმი მოპყრობის წესის დარღვევა 289, სავეტერინარო ან მცენარის დაავადებასთან ან მავნებლებთან ბრძოლის წესის დარღვევა – 290, წყლით სარგებლობის წესის დარღვევა – 291, წყლის დაბინძურება – 292, ზღვის დაბინძურება – 293, ადამიანის ჯანმრთელობისათვის ან ზღვის ცოცხალი ორგანიზმებისათვის მავნე ნივთიერების ანდა სხვა ნარჩენის ან მასალის ზღვაში ჩაყრის შესახებ შეუტყობინებლობა იმ თანამდებობის პირის მიერ, რომელსაც ეს ევალება – 294, ატმოსფერული, ჰაერის დაბინძურება – 295, საქართველოს კონტინენტური შელფის, ტერიტორიული წყლების ან განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის კანონმდებლობის დარღვევა – 296, მიწის გაუვარგისება – 297, წიაღისეულის გამოყენების ან დაცვის წესის დარღვევა – 298, წიაღით უკანონოდ სარგებლობა – 299, თევზის ან წყლის სხვა ცოცხალი ორგანიზმის უკანონოდ მოპოვება – 300, უკანონო ნადირობა – 301, საქართველოში წითელ ნუსხაში შეტანილი, საფრთხის წინაშე მყოფი, ველური მცენარის ან გარეული ცხოველის ადგილსამყოფლის მოშლა – 302, ხეგუჩქნარის უკანონოდ გაჩეხვა – 303, ტყის ან ნარგავის დაზიანება ან განადგურება – 304, დაცული ტერიტორიის რეჟიმის დარღვევა – 305, პირველი კატეგორიის საქმიანობის განხორციელება გარემოს დაცვითი ნებართვის გარეშე – 306.

განსახილველი მუხლი ახალია. იგი ზოგადად განიხილავს სამეურნეო საქმიანობის დროს წარმოშობილ ისეთ დარღვევებს, რომელმაც გაუფრთხილებლობით შეიძლება გამოიწვიოს გარემოს დაზიანება.

მუხლი ერთი ნაწილისაგან შედგება და ასეთი შინაარსისაა: „სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო, სამეცნიერო ან სხვა ობიექტის დაპროექტების, განლაგების, რეკონსტრუქციის, მშენებლობის, საექსპლოატაციოდ გადაცემის ან ექსპლოატაციის დროს გარემოს დაცვის წესის დარღვევა, რამაც გაუფრთხილებლობით გამოიწვია რადიაციული ფონის არსებითი გაუარესება, ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანება, ცხოველთა ან მცენარეული სამყაროს მასობრივი განადგურება, ან სხვა მძიმე შედეგი“.

მუხლის შემოღების მიზანი ის არის, რომ არ მოხდეს: საწარმოო, სასოფლო-სამეურნეო, სამეცნიერო ან სხვა ობიექტების დაპროექტების, განლაგების, მშენებლობის, საექსპლოატაციოდ გადაცემის ან ექსპლოატაციის დაცვის წესების დარღვევა იმის მიერ, ვისაც მისი დაცვა ევალებოდა. განსახილველი მუხლით პასუხისმგებლობა ეკისრება მაშინ, თუ ამ მოქმედებას გაუფრთხილებლობით მოჰყვა რადიაქტიური ფონის არსებითი ცვლილება, ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანება, ცხოველთა მასობრივი განადგურება ან სხვა მძიმე შედეგი.

კანონის ამ განმარტებიდან ჩანს, რომ სამუშაოს შემსრულებელი სამუშაოს ჩატარების წესების დარღვევისათვის კი არ ისჯება, არამედ თუ ამ დარღვევას მოჰყვა ზიანი. აქედან გამომდინარე, ყველა ჩამოთვლილ სამუშაოთა მწარმოებელმა უნდა მართოს ტექნოლოგიური პროცესი ისე, რომ არ ავნოს გარემოს.

„გარემო“ არის ბუნებრივი გარემოსა და ადამიანის მიერ სახეცვლილი (კულტურული) გარემოს ერთობლიობა, რომელიც მოიცავს ურთიერთდამოკიდებულებაში მყოფ ცოცხალ და არაცოცხალ, შენარჩუნებულ და ადამიანის მიერ სახეცვლილ ბუნებრივ ელემენტებს, ბუნებრივ და ანთროპოგენურ ლანდშაფტებს“.

„გარემოს დაცვა არის ადმინისტრაციულ, სამეურნეო, ტექნოლოგიურ, პოლიტიკურ-სამართლებრივ და საზოგადოებრივ ღონისძიებათა ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს გარემოში

არსებული ბუნებრივი წონასწორობის შენარჩუნებას და აღდგენას".[1]

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გარემოს დაცვის ნორმატიული აქტები სრულიად განსხვავდებიან თავიანთი ხასიათით, შინაარსითა და მიზნით უსაფრთხოების წესების დაცვის ნორმებისაგან.

პროექტირებაში კანონმდებელი გულისხმობს ტექნიკური პროცესების ერთობლიობას, რომელიც ხორციელდება სპეციალური გადაწყვეტილების საფუძველზე იმ პირის მიერ, რომელიც ფლობს საამისო უფლებამოსილებას და ითვალისწინებს თეორიულ-არქიტექტურულ სისტემას.

ობიექტების განლაგებაში იგულისხმება საქმიანობა, რომლითაც განისაზღვრება ნაგებობათა თანმიმდევრული, პროექტისეული გაშენება სიბრტყეზე. მაგალითად: სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის, დასახლებული პუნქტის, საწარმოო კომპლექსის ან სხვა ობიექტების მშენებლობა.

მშენებლობაში იგულისხმება ახალ შენობა-ნაგებობათა გაშენება, ძველის რეკონსტრუქცია, გადაიარაღება, გადაკეთება და ა.შ.

ექსპლოატაციაში შეყვანა ნიშნავს აგებულ, ხმარება-გამოყენებისათვის გამზადებულ და დამტკიცებულ შენობა-ნაგებობათა ფუნქციონალური დანიშნულების მოქმედების დასაწყისს.

ექსპლოატაცია ობიექტისა არის მისი ფუნქციონალური ციკლის რიტმული გაგრძელება – პროდუქციის მიღების მიზნით.

ექსპლოატაციის გარემო არის ის ტერიტორია, სადაც წარმოებითი შენობა-ნაგებობანია განლაგებული და სადაც ობიექტის სრული ფუნქციონირებისათვის მიმდინარეობს ძირითადი და დამხმარე სამუშაოების შესრულება.

როგორც მუხლი მოითხოვს, ზემოთ ჩამოთვლილი სამუშაოები უნდა შესრულდეს იმგვარად, რომ მან არ გამოიწვიოს გაუფრთხილებლობით:

ა) რადიაქტიური ფონის არსებითი ცვლილება.

ბ) ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანება.

გ) ცხოველთა მასობრივი გაჟლეტა, აგრეთვე სხვა მძიმე შედეგი.

რადიაქტიური ფონის არსებითი ცვლილება, როგორც დანაშაულებრივი შედეგი, მდგომარეობს მის გაუარესებაში ბუნებრივ

1. კანონი გარემოს დაცვის შესახებ, მუხ. 4. პ. „ა", „დ", პარ. უწყებანი, 22, 01, 1997

სახესთან შედარებით. იგი გამოიხატება წყლის, ჰაერის შემადგენლობაში მავნებელი ნაწილაკების შერევაში, მწვანე ნარგავებზე უარყოფით გავლენაში, იონიზებული გარემოს რადიაქტიული დოზირების დარღვევაში და ა.შ.

ადამიანის ჯანმრთელობის დარღვევა შეიძლება განხილული იქნეს, როგორც ჯანმრთელობის შერყევა, რამაც გამოიწვია შრომის უნარის დროებითი დაკარგვა, ქრონიკული დაავადებანი, ფუნქციონალური მოშლილობა ორგანიზმის რომელიმე ნაწილისა და სხვა.

ცხოველთა მასიურ გაჟლეტაში კანონმდებელი გულისხმობს ცხოველთა ერთი ან რამდენიმე სახეობის ერთდროულად მოსპობას გარკვეულ ტერიტორიაზე ან რამდენიმე ადგილზე.

„აგრეთვე სხვა მძიმე შედეგში“ – კანონმდებელი გულისხმობს გარემო პირობების ხარისხის საერთო გაუარესებას ან ბუნების ცალკეული ობიექტების მდგომარეობის გართულებას, რომელთა აღდგენა დაკავშირებულია დიდ ფინანსურ სახსრებთან ან გამოიწვია მიწის მასივების დეგრადაცია და სხვა.

„კანონი გარემოს დაცვის შესახებ“ მკვეთრად განსაზღვრავს ცალკეული პირებისა თუ სახელმწიფო ორგანიზაციების კომპეტენციას.

მეცამეტე მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით, ყოველი „სამინისტრო პასუხისმგებელია გარემოს დაბინძურების ინტეგრირებული კონტროლის სისტემის რეგულირებასა და ზედამხედველობაზე, როგორც ქვეყნის, ასევე რეგიონალურ, ადგილობრივ და საქმიანობის ობიექტთა დონეებზე.“ მაგალითად, „გარემოს დაცვის სფეროში საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კომპეტენციას განეკუთვნება სანიტარულ-ჰიგიენური ნორმებისა და სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური წესების დაცვისადმი სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობა“.[1]

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მიზეზობრივი კავშირის დადგენას გარემოს დაცვის წესების დარღვევასა და შედეგს შორის.

კვალიფიკაციის დროს აუცილებლად უნდა ვიხელმძღვანელოდ იმ ნორმატიული აქტებით, რომლებიც არეგულირებენ მუხლებში ჩამოთვლილ საკითხებს.

დანაშაული დამთავრებულად ითვლება მუხლში მითითებული რომელიმე ვნების გამოვლენისთანავე.

სუბიექტური მხარე ხასიათდება გაუფრთხილებლობით. დამ-

1. კანონი გარემოს დაცვის შესახებ, მუხ. 13, პ. 2, 3, პარ. უწყებანი, N 1-2, გვ. 27-28, 1997

ნაშავე ითვალისწინებს გარემოს დაცვის წესების დარღვევის შედეგს, მაგრამ წინდაუხედავად ფიქრობს მის თავიდან აცილებას ან ვერ ითვალისწინებს, ვალდებული კი იყო გაეთვალისწინებინა და შეეძლო გაეთვალისწინებინა.

ამსრულებელი დანაშაულისა არის სამსახურებრივი მდგომარეობის მქონე პირი, ვისაც ევალება სამუშაოს წარმოებისას გარემოს დაცვის წესების უზრუნველყოფა.

ობიექტი – ქვეყნის ეკოლოგია.

გარემოსათვის საშიში ნივთიერებისადმი ან ნარჩენებისადმი მოპყრობის წესის დარღვევა – მუხლი 288

აღნიშნული მუხლი ახალია ჩვენს კანონმდებლობაში. იგი დანაშაულად მიიჩნევს რადიაქტიური, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური თუ ეკოლოგიურად საშიში სხვა ნივთიერების ან ნარჩენებისადმი მოპყრობის წესის დარღვევას მათი წარმოების, ტრანსპორტირების, შენახვის, ჩამარხვის ან გამოყენების დროს.

1996 წლის 10 ოქტომბრის საქართველოს კანონი ბუნების დაცვის შესახებ 34-ე მუხლში მიუთითებს, რომ „საქმიანობის სუბიექტი ვალდებულია უზრუნველყოს სამრეწველო, საყოფაცხოვრებო და სხვა სახის ნარჩენების შემცირება, გაუვნებელყოფა, უტილიზაცია, განთავსება და დამარხვა გარემოს დაცვის, სანიტარულ-ჰიგიენური, ეპიდემიოლოგიური ნორმებისა და წესების დაცვით.“

განსახილველი მუხლი (288) სამი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს მაშინ, თუ დამნაშავემ დაარღვია ტოქსიკური, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური ან გარემოსათვის საშიში სხვა ნივთიერებისადმი ან ნარჩენისადმი მოპყრობის წესები მისი წარმოების, ტარნსპორტირების ან განთავსების, შენახვის, ჩამრხვის ან გამოყენების დროს, რასაც გაუფრთხილებლობით შეეძლო გამოეწვია ადამიანის ჯანმრთელობის ან გარემოს არსებითი დაზიანება ან სხვა მძიმე შედეგი.

მუხლის პირველი ნაწილი მიუთითებს იმ ნივთიერებებს, რომელთა მიმართაც მოპყრობის წესების დარღვევამ შეიძლება გამოიწვიოს ადამიანის ჯანმრთელობის ან გარემოს არსებითი დაზიანება ან სხვა მძიმე შედეგი. ამ ჯგუფს მიეკუთვნება ყველა სახის ტოქსიკური ნივთიერებანი:

ბაქტერიოლოგიური, ქიმიური და სხვა მრავალი. ამის შემდეგ კანონი განგვიმარტავს, თუ სად, როდის უნდა იქნეს განსაკუთრებული სიფრთხილე გამოჩენილი, რომ თავიდან ავიცილოთ დანაშაულებრივი შედეგი. ესენია:

ა) ამ ნივთიერებათა წარმოება

ბ) ტრანსპორტირება

გ) შენახვა

დ) ჩამარხვა

ე) გამოყენება და ა.შ.

და ბოლოს, კანონი განგვიმარტავს, ამ დარღვევებს როდის ექნება დანაშაულებრივი ხასიათი და ჩამოთვლის — თუ ამ ნივთიერებებისადმი მოპყრობის წესების დარღვევამ გამოიწვია:

ა) გარემოს არსებითი დაზიანება, მოწამვლა.

ბ) ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანება ან სხვა მძიმე შედეგი.

გარემოს არსებით დაზიანებაში კანონმდებელი გულისხმობს ბუნების პირობების შეცვლას, მწვანე საფარისა და ცხოველების მწვავე დაავადებას, მოსავლიანობის შემცირებას და ა.შ.

ობიექტური მხარე დანაშაულისა გამოიხატება რადიაქტიური, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური თუ ეკოლოგიურად საშიში სხვა ნივთიერების ან ნარჩენებისადმი მოპყრობის წესების დარღვევის შედეგად გარემოს არსებით დაზიანებაში, მოწამვლაში ან ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანებაში.

საშიშ ნარჩენებს განეკუთვნება ის პროდუქცია, რომელიც წარმოებისათვის ვარგისი არ არის, ან დაკარგული აქვს ნედლეულისათვის დამახასიათებელი თვისებები; საწარმოო მონარჩენები, გამონაყოფები, რომელიც წარმოიშვა ტექნიკური და ტექნოლოგიური პროცესების განხორციელების შედეგად როგორც მყარი, ასევე თხევადის — პასტის, გაზის და სხვათა სახით და რომელთაც შესწევთ უნარი, გამოიწვიონ მოწამვლა ან სხვა დაზიანება, როგორც ცოცხალი, ასევე არაცოცხალი ბუნებისა.

საშიში ნარჩენები იყოფა მომწამლავ და რადიაქტიურ თვისებათა მქონედ.

ტოქსიკური ნარჩენები — ეს ის ნარჩენებია, რომელიც არ ექვემდებარება გადამუშავებას, უტილიზაციას და შეიცავენ მომწამლავ თვისებებს.

მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს იგივე

ქმედებისათვის, თუ მან გაუფრთხილებლობით გამოიწვია გარემოს დაბინძურება, მოწამვლა ან დასნებოვნება, ან ადამიანის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, ანდა ცხოველთა და მცენარეული სამყაროს მასობრივი განადგურება, — აგრეთვე ჩადენილი საგანგებო ეკოლოგიური მდგომარეობის დროს ან ეკოლოგიური უბედურების ზონაში.

საგანგებო ეკოლოგიური ვითარება ან ეკოლოგიური ზონა არის სპეციალური ნაკრძალები, უნიკალურ მცენარეთა და ცხოველთა საცავები, ბუნებრივი სამკურნალო ადგილები, წყლები და ა.შ.

ეკოლოგიური უბედურების ზონად ითვლება ის ტერიტორია, რომელიც რადიაქტიური ან ბიოლოგიური, ქიმიური თუ ეკოლოგიურად საშიში სხვა ნივთიერებებით მოიწამლა (მაგ. ჩერნობილის ტერიტორია).

დანაშაული დამთავრებულად ითვლება მუხლში ჩამოთვლილი რომელიმე შემადგენლობის დადგომისთანავე.

საგანი დანაშაულისა არის ტოქსიკური, ბაქტერიოლოგიური (ბიოლოგიური), ქიმიური ნივთიერებანი და ნარჩენები, რომელთანაც საქმიანობითი შეხება აკრძალული არ არის, მაგრამ საჭიროებს კანონის მიხედვით ფრთხილ დამოკიდებულებასა და მოპყრობას.

საშიში ნივთიერების ცნების ქვეშ იგულისხმება ყველა ქიმიური, ორგანული თუ არაორგანული ნივთიერება ან პროდუქტი ისეთი ნივთიერებებისა, რომელიც ორგანიზმებთან კონტაქტის ან გარემოსთან ურთიერთობის დროს იწვევს ზიანს.

ქიმიური ნივთიერებანი თავიანთი საშიშროებით იყოფა ოთხ კლასად: განსაკუთრებით საშიში, ძლიერ საშიში, ზომიერად საშიში და ნაკლებად საშიში.

სპეციალური წესდებები განსაზღვრავენ რადიაქტიური, ქიმიური, ბიოლოგიური და სხვა ეკოლოგიურად საშიშ ნივთიერებებთან დამოკიდებულების, მათი დამუშავების, შენახვის, ტრანსპორტირების, დამარხვის და ა.შ. ნორმებს.

ობიექტი დანაშაულისა არის გარემომცველი ბუნება მიწის ზედაპირით, მისი მცენარეულითა და ცხოველთა სამყაროთი წიაღითა და საჰაერო სივრცით.

სუბიექტი დანაშაულისა შეიძლება იყოს პირი, რომელსაც ევალება, სამსახურებრივად დაიცვას ზემოთ ჩამოთვლილ ნარჩენებთან მოპყრობის წესები მათი შენახვის, ტრანსპორტირების თუ ჩამარხვის დროს და ა.შ.

სუბიექტური მხარე გამოიხატება გაუფრთხილებელ ბრალში.

მესამე ნაწილი განსახილველი დანაშაულისა გვაქვს მაშინ, თუკი პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებას შედეგად მოჰყვა გაუფრთხილებლობით ადამიანის დაღუპვა ან ადამიანთა მასობრივი დაავადება. მასობრივ დაავადებაში იგულისხმება დაავადების გავრცელება რაიონის, ზონის და ა. შ. ტერიტორიაზე.

მიკრობიოლოგიური ან სხვა ბიოლოგიური აგენტისადმი ან ტოქსინისადმი მოპყრობის წესის დარღვევა – მუხლი 289

განსახილველი მუხლი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი პასუხისმგებლობას აწესებს იმ სუბიექტის მიმართ, რომელმაც მოახდინა „მიკრობიოლოგიური ან სხვა ბიოლოგიური აგენტისადმი ან ტოქსინისადმი მოპყრობისას წესის დარღვევა, რამაც გაუფრთხილებლობით გამოიწვია ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანება, ეპიდემიის ან ეპიზოოტიის გავრცელება ან გარემოსათვის სხვა მძიმე შედეგი.“

როგორც წინა, ასევე ამ მუხლის მიზანი ის არის, რომ აღიკვეთოს მის დისპოზიციაში ჩამოთვლილ ნივთიერებებთან წარმოებითი ურთიერთობის დროს მოპყრობის უსაფრთხოების წესების ისეთი დარღვევა, რომელიც საფრთხეს უქმნის გარემოს.

მიკრობიოლოგიურ ან სხვა ბიოლოგიურ ნივთიერებებს ან ტოქსინებს ძირითადად იყენებს მედიცინის, ფარმაკოლოგიური დაწესებულებები, სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიები, სამხედრო წარმოებანი და სხვა, მათ შორის – ის ორგანიზაციები, რომლებიც ამ ორგანიზმების მიღებაზე მუშაობენ.

მიკრობიოლოგიური ან სხვა ბიოლოგიური აგენტის ან ტოქსიკური ნივთიერების დამუშავებისა თუ გამოყენების დროს მათდამი მოპყრობის წესები მრავალ საკანონმდებლო დოკუმენტებშია განთავსებული და საკმაოდ ფართო წრეს მოიცავს. მაგალითად, 1996 წლის 10 ოქტომბრის კანონი გარემოს დაცვის შესახებ 30-ე მუხლში განმარტავს, რომ გარემოს მავნე ნივთიერებათა ემისიისა და მიკროორგანიზმებით დაბინძურების ზღვრულად დასაშვები ნორმები მუშავდება იმგვარად, რომ ემისიური ნივთიერებების და მიკროორგანიზმების კონცენტრაციამ ადგილზე არ გადააჭარბოს ზღვრულად დასაშვებ დონეს.

საგანი მოცემული დანაშაულისა არის მიკრობიოლოგიური ან სხვა ბიოლოგიური ნივთიერება ან ტოქსინები, ე. ი. მიკროორგანიზმები, მცენარეული და ცხოველური წარმოშობის რთული შენაერთები, რომლებსაც გააჩნიათ თვისება, მცენარეთა, ცხოველთა თუ ადამიანის ორგანიზმში მოხვედრის დროს გამოიწვიონ დაავადება ან დაღუპვა. ისინი, პათოგენების მიხედვით, შემდეგი თანმიმდევრობით ლაგდებიან: საშიში ადამიანისა და ცხოველებისათვის, საშიში მარტო ცხოველებისათვის, საშიში მცენარეულთათვის.

ყველა ეს პათოგენი წარმოადგენს ვირუსს, ბაქტერიას — გენეტიკურ ელემენტს, რომელიც შეიცავს შთამომავლობით თანმიმდევრულად მომწამლავ მჟავეებს. ამასთანავე, არიან მიკროსკოპიული სოკოები, გენეტიკურად სახეშეცვლილი მიკროორგანიზმები.

ობიექტური მხარე დანაშაულისა გამოიხატება იმ წესების დარღვევაში, რომელიც დაცული უნდა იქნეს მიკრობიოლოგიურ და სხვა ტოქსიკურ ორგანიზმებთან მოპყრობის დროს - შენახვის, ტრანსპორტირების, საწარმოო თუ სამეცნიერო საქმიანობისას.

ამ წესების დარღვევა შეიძლება გამოიხატოს როგორც მოქმედებით, ასევე უმოქმედობით. მოქმედებაში დარღვევა გამოვლინდება არასათანადო მეთოდების გამოყენებაში — მისი აზომვა-აწონის, გადაზიდვის თუ შენახვის დროს, ან ექსპერიმენტისათვის აკრძალული ცდებისა და მეთოდების გამოყენებით და ა.შ.

უმოქმედობა გამოიხატება მასში, როცა დამნაშავე ვალდებულია, შეასრულოს თავისი მოვალეობა ამ მიკრობიოლოგიური აგენტებისა და ტოქსინების აუცილებელი კონტროლის, მოვლა-პატრონობის, ვენტილიაციის და სხვა მიმართულებით და არ ასრულებს მას, ან არაჯეროვნად ასრულებს.

ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანებაში კანონმდებელი გულისხმობს მის დაავადებას რომელიმე ინფექციური სენით, რომელი ხარისხისაც უნდა იყოს იგი ან თუ თვალსაჩინოდ, მყარად დააკარგვინა შრომის უნარი.

ეპიდემიის ცნებაში იგულისხმება ინფექციური დაავადების სწრაფი და შეუფერხებელი გავრცელება, რომელიც მოედო გარკვეულ ტერიტორიას ან რომელიმე რეგიონს. შედარებით მწვავე ფორმებად ითვლება ისეთი დაავადების გავრცელება, როგორიც არის გრიპი, ქოლერა, შავი ჭირი და სხვა.

ეპიზოოტიის ცნებაში იგულისხმება დაავადების გავრცელება

ერთდროულად ცხოველთა დიდ რიცხვზე (როგორც შინაურზე, ასევე გარეულზე), ერთ ან რამდენიმე სახეობაზე, ერთ ან რამდენიმე რაიონში, ან გამოიხატება სხვა მძიმე შედეგში, იგულისხმება მასიური გაჟლეტა შინაური ან გარეული ცხოველებისა, ასევე მწვანე ნარგავების სივრცეების დაავადება ინფექციით, რომელიც შეიძლება მოედოს რეგიონს, ქვეყანას ან რამდენიმე მხარეს და ა.შ.

მოცემული დანაშაული დამთავრებულად ითვლება მუხლში ჩამოთვლილი რომელიმე შემადგენლობის დადგომისთანავე.

ამსრულებელი დანაშაულისა შეიძლება იყოს მოქალაქე, რომელსაც კანონით ევალება, უზრუნველყოს და დაიცვას მიკრობიოლოგიური ან სხვა ბიოლოგიური აგენტების ან ტოქსინებისადმი დამოკიდებულების წესები. ასეთ პირებად გვევლინებიან სპეციალისტები, რომელთაც შესწევთ უნარი, შეასრულონ დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობა.

სუბიექტური მხარე გამოიხატება გაუფრთხილებლობაში – დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ მისგან მიკრობიოლოგიური ორგანიზმებისადმი მოპყრობა არ შეესატყვისება წესდების ნორმებს, მაგრამ უშვებს ასეთს და, წინდაუხედაობის გამო, ფიქრობს დანაშაულებრივი შედეგის თავიდან აცილებას, ან ვერ ითვალისწინებს, როცა ვალდებული იყო, გაეთვალისწინებინა და შეეძლო გაეთვალისწინებინა.

მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს დამამძიმებელ გარემოებას, როცა იგივე ქმედებას მოჰყვა გაუფრთხილებლობით ადამიანთა დაღუპვა.

საველტერინარო წესის ანდა მცენარის დაავადებასთან ან მავნებელთან ბრძოლის წესის დარღვევა – მუხლი 290

განსახილველი მუხლი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილის შინაარსი ასეთია: „საველტერინარო წესის დარღვევა, რამაც გაუფრთხილებლობით გამოიწვია ეპიზოოტიის გავრცელება ან სხვა მძიმე შედეგი“.

მიზანი განსახილველი მუხლისა არის იმ საფრთხის თავიდან აცილება, რომელიც შეიძლება მოჰყვეს საველტერინარო წესების დარღვევას. საველტერინარო სამსახურის შესრულება რეკომენდირებულია 1996 წლის 26 იანვრის კანონით „ცხოველთა სამყაროს შესახებ“. საქართველოს

სოფლის მეურნეობის სამინისტროს 1967 წლის „მეთოდური მითითებებით დეზინფექციის, დეზინსექციის და დერატიზაციის ჩატარების შესახებ მეცხოველეობაში“, სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეცნიერებისა და პროპაგანდის მთავარი სამმართველოს დებულებით „ცხოველთა მოწამვლისა და მასთან ბრძოლის შესახებ“ (1978, ქ. თბილისი), სოფლის მეურნეობის სამინისტროს 1958 წლის მეთოდური მითითებით „პირუტყვის საძოვრებსა და გადასარეკ გზებზე ვეტერინარული მომსახურების შესახებ“, 1994 წლის 12 ოქტომბრის კანონი მავნე ორგანიზმებისაგან მცენარეთა დაცვის შესახებ, 1998 წლის 25 ივნისის კანონი „საქართველოს ტერიტორიაზე ტყით სარგებლობის მოწესრიგების შესახებ, რომლის მიზანია ტყეების დაცვითი (ეკოლოგიური) ფუნქციების შენარჩუნება და გაუმჯობესება, ასევე საერთაშორისო შეთანხმებებით, რომელიც ადგენს პირუტყვის გადაყვანის, მოვლა-პატრონობის, პროფილაქტიკის, გაზრდის, კვების, მესაქონლეობის პროდუქტების დამზადების, მათი სატრანზიტო გადაზიდვის ნორმებს და ა.შ.

სავეტერინარო წესებად იწოდება ის ნორმები, რომელიც მოწოდებულია ეპიზოოტიის სხვადასხვა გადამდებ დაავადებათა საწინააღმდეგოდ, როგორც შინაურ, ასევე გარეულ ცხოველებში, ასევე ეს ნორმები არეგულირებს ვეტერინალურ-სანიტარულ, ვეტპროფილაქტიკურ, სამკურნალო ღონისძიებებს, საკარანტინო წესებს, დაავადებათა წარმოშობის სალიკვიდაციო ღონისძიებებს და ა.შ.

ობიექტური მხარე მოცემული დანაშაულისა მდგომარეობს ვეტერინალური წესების დარღვევაში, მოქმედებით ან უმოქმედობით, შედეგითა და მიზეზობრივი კავშირით.

ვეტერინარული წესების დარღვევა მოქმედებით ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც სუბიექტი ატარებს კანონით აკრძალულ პროცედურებს და ოპერაციებს, რომელიც დაკავშირებულია ავადმყოფი საქონლის მოვლა-პატრონობასთან, გადაზიდვასთან, კვებასთან და ა.შ.

სავეტერინარო წესების დარღვევას უმოქმედობით მიეკუთვნება სუბიექტის მიერ პროფილაქტიკური ღონისძიების ჩაუტარებლობა, კერძოდ: საკარანტინო ვადისადმი უყურადღებობა, დაავადების ფაქტის სათანადო ორგანოებისადმი შეუტყობინებლობა, დაავადების წყაროს წინააღმდეგ ღონისძიების გაუტარებლობა და სხვა.

მაგალითად: „ვეტპერსონალმა უნდა ჩაატაროს გეგმით გათვალისწინებული პროფილაქტიკური დამუშავებები ქეცის ჰემოსპორიდიოზების წინააღმდეგ, აგრეთვე შემოწმება ბრუცელიოზზე. აღნიშნული დაავადებების საწინააღმდეგო ღონისძიებები ტარდება პერიოდულად ადგილზე, ასევე საზაფხულო საძოვრებზე გადარეკვის წინ".[1]

აქვე ისიც შეიძლება ითქვას, რომ პირუტყვთა დაკვლაც დადგენილი წესების დარღვევაა, თუ დაკვლამდე არ იქნება გასინჯული ცხოველთა ჯანმრთელობა და მოხდება ხორცის რეალიზაცია ან არ იქნება დაცული დაფასოების სანიტარული ნორმები და ა. შ.

ვეტერინალურ-სანიტარული წესები შეიძლება დაირღვეს პირუტყვის ტყავის, ბეწვის და სხვა ნედლეულის დამუშავების დროსაც.

შედეგი ჩამოთვლილი დარღვევებისა მოსალოდნელია იყოს დაავადების გავრცელება ან სხვა რომელიმე მძიმე გამოვლენა, ცხოველების მასიური გაქლეტა, როგორც შინაურთა, ასევე გარეულის.

დანაშაული დამთავრებულად ითვლება მუხლის პირველ ნაწილში ჩამოთვლილი რომელიმე ქმედების განხორციელებისთანავე.

დანაშაული ხასიათდება გაუფრთხილებლობით.

დამნაშავე არღვევს ვეტერინალურ წესს არა იმიტომ, რომ სურს მისი მძიმე შედეგი, არამედ, სურს, საქმე იოლად გადაწყვიტოს. იქვე ითვალისწინებს მოქმედების შესაძლო მძიმე შედეგსაც, მაგრამ უანგარიშოდ იმედოვნებს მის თავიდან აცილებას, ანდა საერთოდ ვერ ითვალისწინებს დარღვევის შედეგს, როცა ვალდებული იყო გაეთვალისწინებინა და შეეძლო გაეთვალისწინებინა.

მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას აწესებს მცენარის დაავადებასთან ან მავნებელთან ბრძოლის წესების დარღვევის გამო, რასაც მძიმე შედეგი მოჰყვა.

მცენარის დაავადებისა და მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლა რეგულირდება მრავალი ნორმატიული აქტით და მათ შორის – საბაჟო კანონმდებლობითაც, რაც დაკავშირებულია მწვანე ნერგებისა და თესლის გადაზიდვა-გადმოზიდვასთან, ასევე იმ კანონმდებლობით, რომელიც აწესრიგებს შხამქიმიკატების, სპეციალური ტექნიკისა და საშუალებების გამოყენებას, რათა ლოკალიზებული იქნეს ნერგთა დაავადება და მავნებლები.

1. პირუტყვის ვეტერინარული მომსახურეობა საძოვრებსა და გადასარეკ გზებზე, გვ. 10, 1958 წ.

ამ საქმეს მეტად შეუწყობს ხელს საქართველოს 1997 წლის „კანონი გარემოს დაცვის შესახებ“ და პრეზიდენტის 1997 წლის 15 სექტემბრის ბრძანებულება N 518 – „სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“. დებულება პირდაპირ განსაზღვრავს დეპარტამენტის ამოცანებს „ტყის ფონდის დაცვის, ტყეების აღდგენა-განახლების, ტყის რესურსებით სარგებლობის, სატყეო დარგის განვითარების იურიდიულ-სამართლებრივი მომსახურების ორგანიზაციის სწორად წარმართვისა და სხვა საკითხებზე“.[1]

ობიექტური მხარე დანაშაულისა გამოიხატება მწვანე ნარგავთა მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის წესების დარღვევაში. ამ ნორმების დარღვევა შეიძლება განხორციელდეს მოქმედებით – საქართველოს ტერიტორიაზე დაავადებული ნარგავებისა ან თესლის შემოტანით (ხორბლის, კარტოფილის, სიმინდის, ბალახის), ასევე ამ დაავადებათა წინააღმდეგ საბრძოლო წამლებისა და ქიმიკატების შემოტანით, რომელიც უვარგისია დანიშნულებისათვის.

უმოქმედობით მაშინ, როდესაც ვალდებული პირი არ ასრულებს მცენარეთა დაავადებისა და მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის დადგენილ წესებს (შეწამვლა, შეღებვა, დაავადებულთა ლოკალიზება და ა. შ.).

მძიმე შედეგში კანონმდებელი გულისხმობს ისეთ დაავადებათა მასობრივ გავრცელებას, რომელმაც გაანადგურა ტყეთა მასივები, ცხოველები, გამოიწვია ადამიანთა დაავადებანი, გამოიყვანა მწყობრიდან სავარგულები და ა.შ.

დანაშაული დამთავრებულად ითვლება ჩამოთვლილთაგან რომელიმე შედეგის დადგომისთანავე.

სუბიექტური მხარე განიხილება იმგვარად, როგორც პირველი ნაწილისას.

ამსრულებელი დანაშაულისა არის ის, ვისაც რომელსაც სამსახურებრივად დავალებული აქვს იმ წესების განხორციელება, რომელიც მიმართულია მცენარეთა დაავადებისა და მავნებლების წინააღმდეგ (მწვანე ნარგავთა დაცვის სადგურის მუშაკები, სატყეო მეურნეობათა პასუხისმგებელი პირები, აგრონომები, მეტყევეები და სხვა), ასევე ის პირები, რომლებიც დასაქმებულნი არიან სასოფლო-სამეურნეო წარმოებით, მებაღეობით, მებაღჩეობით, მემინდვრეობით და სხვ. და რომელთა მუშაობა დაკავშირებულია მცენარეთა დათესვასთან, დარგვასთან, სელექციასთან და ა.შ.

1. საქ. სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის დებულება, გვ. 3, მუხ. 6, 1997 წ. თბ.

წყალი ადამიანის სასიცოცხლო ენერგიაა. იგი მრავალ ქვეყანაში დეფიციტია. იგი უაღრესად მომჭირნეობით უნდა გამოიყენოს ყველა წარმოებამ, თითოეულმა ადამიანმა. მისი მოპოვება და სახარჯო კონდიციამდე დამუშავება მეტად დიდ შრომასა და ხარჯებთან არის დაკავშირებული, ამდენად, წყლის ხარჯვა ეკონომიურად, ყაირათიანად და სათანადო ღირებულების გადახდით უნდა წარიმართოს.

განსახილველი მუხლის მიზანია, დაიცვას წყალი თვითნებური მიტაცებისაგან, არ დაირღვეს წყლით სარგებლობის წესები.

მუხლი ერთი ნაწილისაგან შედგება. მისი შინაარსი ასეთია: ,,წყლის თვითნებური მიტაცება ან ჰიდროტექნიკურ სამუშაოთა თვითნებური წარმოება საერთო სარგებლობის ქსელზე, აგრეთვე წყლით სარგებლობის წესის სხვა დარღვევა,რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.“

წყლის თვითნებურ მიტაცებაში იგულისხმება ღირებულების გადახდის გარეშე წყლის გამოყენება. იგი შეიძლება განხორციელდეს მილების თვითნებური გადაბმით ცენტრალურ მაგისტრალზე, არხის გადაყვანით საერთო სარგებლობის ქსელიდან ჰიდრავლიკური სამუშაოს წარმოებისათვის, ფართობების მოსარწყავად და ა.შ.

სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი დგება მაშინ, თუ ამ ქმედებამ მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

დანაშაულის ობიექტი არის გარემო და მისი სიკეთე.

ობიექტური მხარე გამოიხატება წყლით სარგებლობის წესების დარღვევაში, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

ამსრულებელი დანაშაულისა შეიძლება იყოს ნებისმიერი მოქალაქე.

სუბიექტური მხარე გამოიხატება განზრახ ბრალში.

წყლის დაბინძურება – მუხლი 292

წარმოდგენილი მუხლი შინაარსითა და სტრუქტურით სავსებით განსხვავდება ძველი კოდექსის მონათესავე მუხლისაგან. იგი სამი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი პასუხისმგებლობას აწესებს, თუ დამნაშავემ ჩაიდინა წყლის ობიექტის დაბინძურება, დანაგვიანება, დაშრეტა ან მასზე სხვა ისეთი უარყოფითი ზემოქ-

მედება, რომელმაც შეიძლება დააზიანოს მოსახლეობის ჯანმრთელობა, შეამციროს თევზის მარაგი, გააუარესოს წყალმომარაგების პირობები, გამოიწვიოს წყლის ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური თვისებების გაუარესება, ბუნებრივი თვითგაწმენდის უნარის დაქვეითება, ჰიდროლოგიური და ჰიდროგეოლოგიური რეჟიმის დარღვევა".

კანონმდებლის მიზანი ის არის, რომ ბრძოლა გამოუცხადოს იმას, ვინც ჩაიდენს ამ მუხლით აღწერილ დანაშაულს.

იგი რთული და ფართო შემადგენლობისაა. კანონმდებელი ზოგადად ახსენებს წყლის დაბინძურებას და მასში გულისხმობს ისეთ წყლებს, როგორიც არის მდინარეები, ტბები, ნაკადულები, წყალსაცავები, წყაროები, მიწისქვეშა წყლები და ა.შ.

დაბინძურებაში იგულისხმება წყალში მავნე ბაქტერიების შერევა ისე, რომ ის საკვებად გამოყენებისათვის უვარგისია. მაგალითად, 1997 წელს ქ. ქუთაისის სანეპიდსადგურმა აკრძალა რიონის წყლის საკვებად გამოყენება მოკლე დროით მავნე ბაქტერიებით მისი დაბინძურების გამო.

დანაგვიანებაში კანონმდებელი გულისხმობს წყალში ნაგვის, სამშენებლო ნარჩენების, საწარმოო გამონაყოფის, რეზინის ნაკეთობების გადაყრას და ა.შ.

ქმედების დანაშაულებრივ შედეგში კანონმდებელი ჩამოთვლის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაზიანებას, თევზის მარაგის შემცირებას, წყალმომარაგების პირობების, წყლის ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური თვისებების გაუარესებას, ჰიდროლოგიური და ჰიდროგეოლოგიური რეჟიმის დარღვევას.

„მიწისქვეშა წყლები არის წიაღისეული სტატიკურ თუ დინამიკურ მდგომარეობაში არსებული წყალი".[1]

მიწისზედა წყლებად იწოდება მდინარეები, ნაკადულები, არხები, ბუნებრივი და ხელოვნური ტბები, ჭაობები.

„წყალსარგებლობა არის წყლის რესურსების გამოყენება სასმელი, საყოფაცხოვრებო-კომუნალური, სამრეწველო, ენერგეტიკული, სასოფლო-სამეურნეო, სატრანსპორტო, სამეცნიერო-კულტურული, რეკრეაციული, ბალნეოლოგიური, სპორტის, ტურიზმის და სხვა მიზნებისათვის ტექნიკური საშუალებებით ან უამისოდ".[2]

1. საქ. კანონი წყლის შესახებ, „საქართველოს რესპუბლიკა", 20/XI – 97 წ.
2. იგივე კანონი, მუხ. 2

სასმელი წყლით მომარაგების წყაროები არის წყალსაცავები, რომლებიც იკავებენ წყლის მარაგს, პასუხობენ დადგენილ სანიტარულ მოთხოვნებს და სათანადო სადინარი ქსელით გამოიყენებიან კვების პროდუქტების დასამზადებლად და სასმელად.

წყლის დაცვის წესები მოცემულია მრავალ საკანონმდებლო დოკუმენტში. მათგან მთავარი არის 1997 წლის 20 ნოემბრის „კანონი წყლის შესახებ“, საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმის 1995 წლის 3 აგვისტოს N 2 დადგენილება, 1974 წლის 5 ივნისის კანონი წყლის შესახებ, რომლის პირველ მუხლში ნათქვამია: „წყლის კანონმდებლობის ამოცანებია საწყლო ურთიერთობათა მოწესრიგება ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების შესაბამისად, მოსახლეობისა და სახალხო მეურნეობის საჭიროებისათვის, წყლის მეცნიერულად დასაბუთებული რაციონალური გამოყენების, გაჭუჭყიანების, დანაგვიანებისა და დაშრობისაგან წყლის დაცვის, წყლის მავნე ზემოქმედების თავიდან აცილებისა და ლიკვიდაციის, წყლის ობიექტების მდგომარეობის გაუმჯობესებისა და სხვა მიზნით ...“[1]

ობიექტური მხარე დანაშაულისა მოიცავს:

1) მოქმედებას ან უმოქმედობას, რომელიც ითვალისწინებს დაბინძურებას, დანაგვიანებას ან სხვა უარყოფითი ცვლილებების შეტანას ბუნებრივი სასმელი წყლების შემადგენლობაში.

2) დანაშაულებრივ შედეგს.

3) მიზეზობრივ კავშირს მოქმედებასა და შედეგს შორის.

წყლის ობიექტების დაბინძურებაში კანონმდებელი გულისხმობს ისეთი სისტემის წყლებში მავნებელ ნივთიერებათა გადაყრას ან შერევას, რომელიც აუარესებს წყლის ბუნებრივ, ნორმალურ შემადგენლობას (მიწისქვეშა თუ მიწისზედა).

დანაგვიანებაში იგულისხმება წყლის საცავებში ან სხვაგვარ ობიექტებში საგნების ან საწარმოო ნარჩენების ჩაყრა.

წყლის დაშრეტაში იგულისხმება ისეთი მოქმედება (გათხრები, აფეთქება და სხვა), რომლითაც სრულიად ან ნაწილობრივ იკარგება წყლის ოდენობა, ან იმღვრევა სხვადასხვა შენარევებით და კარგავს მოხმარებით კონდიციას.

წყლის ბუნებრივი პირობების სხვაგვარ შეცვლაში კანონმდებელი გულისხმობს მისი ბუნებრივი ბიოლოგიური და ფიზიკური

1. საქ. წყლის კოდექსი, მუხ. 1, 5/VI, 74 წ.

შემადგენლობის ნეგატიურ სხვაობას (ელექტრომაგნიტური, სამკურნალო, რადიაციული და სხვა), რაც შეიძლება გამოწვეული იქნეს გათხრების წარმოებით, გეოლოგიური აფეთქებებით, გაბურღვით და ა.შ.

ჰიდროლოგიური რეჟიმის დარღვევა ნიშნავს წყლის სივრცეების შემცირებასა და მიმოქცევა-გავრცობის პირობების გაუარესებას.

ჰიდროგეოლოგიური რეჟიმის დარღვევა ნიშნავს მიწისქვეშა წყლების წარმოშობისა და მოძრაობის რეჟიმის დარღვევას.

მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს, თუ პირველ ნაწილში ჩამოთვლილმა ქმედებებმა გამოიწვია ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანება, ანდა ცხოველთა ან მცენარეული სამყაროს მასობრივი განადგურება, აგრეთვე თუ იგი ჩადენილია სახელმწიფო ნაკრძალის ან აღკვეთილის ტერიტორიაზე, ანდა საგანგებო ეკოლოგიური მდგომარეობის დროს, ან ეკოლოგიური უბედურების ზონაში.

ნაკრძალი არის ის ტერიტორია, სადაც ბინადრობს და ცხოვრობს ფლორისა და ფაუნის ის უნიკალური ცხოველები და მცენარეები, რომელთაც სიმცირის გამო გადაშენება ემუქრებათ და აკრძალულია ნადირობა გარკვეული ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში.

აღკვეთილი ის ტერიტორიაა, სადაც მთლიანად აკრძალულია ნადირობა ან მცენარეთა დამზადება.

მუხლის მესამე ნაწილი პასუხისმგებლობას აწესებს მაშინ, თუ მუხლის პირველი და მეორე ნაწილით გათვალისწინებულმა დანაშაულებრივმა ქმედებამ გაუფრთხილებლობით გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი.

დანაშაულის ობიექტი არის გარემო და ბუნებრივი რესურსები, უშუალო ობიექტი – წყალი.

ობიექტური მხარე გამოიხატება წყლის დაბინძურება-დანაგვიანებაში.

სუბიექტური მხარე გამოიხატება დაბინძურება-დანაგვიანების მხრივ განზრახი ბრალით, ხოლო მეორე და მესამე ნაწილში – გათვალისწინებული შედეგების მიმართ გაუფრთხილებლობით.

ზღვის დაბინძურება – მუხლი 293

განსახილველი მუხლის ძირითადი დანიშნულებაა ზღვისა და მისი ბინადრისა, მისი სისუფთავისა და მიზანმიმართული გამოყენების სისხლის სამართლებრივი დაცვა.

საგანი დანაშაულისა არის ზღვის შიგა წყლები, ზღვის ტერიტორიული წყლები, ღია ზღვა და მათი ცოცხალი გარემო.

საქართველოს წყლის კოდექსი სწორედ იმ კეთილშობილ მიზანს ემსახურება, რომ თავიდან იქნეს აცილებული ზღვის წყლების დაბინძურება-დაჭუჭყიანება.

„ტერიტორიული წყლები ეწოდება ზღვის ზოლს, რომელიც სახელმწიფოს (კუნძულების, შიდა წყლების სახით) აკრავს და მისი სუვერენიტეტის ქვეშ იმყოფება“.

„შიდა ზღვა ისეთი ზღვაა, რომელიც გარემოცულია მხოლოდ ერთი სახელმწიფოს ტერიტორიით“.

სანაპირო ზოლი არის ტერიტორია, რომელიც გასწვრივ, მიჯრით მიჰყვება შიგა და ტერიტორიულ ზღვის წყალს.

ღია ზღვის ცნება იგულისხმება ზღვის ყველა ნაწილი, რომელიც არ შედის არც ერთი სახელმწიფოს არც ტერიტორიულ, არც შიდა წყლებში და თავისუფალია ყველა ქვეყნის გემების ნაოსნობისათვის. არც ერთ სახელმწიფოს არა აქვს უფლება მოაქციოს ღია ზღვა თავისი სუვერენიტეტის ქვეშ. საქართველოს წყლის კოდექსის 97-ე მუხლი პირდაპირ მიუთითებს, რომ: წყალი (წყლის ყველა ობიექტი) დაცული უნდა იქნეს გაჭუჭყიანების, დანაგვიანების, დაშრობისაგან, რასაც შეუძლია დააზიანოს მოსახლეობის ჯანმრთელობა და აგრეთვე შეამციროს თევზის მარაგი, გააუარესოს პირობები და გამოიწვიოს სხვა არასასურველი მოვლენები – წყლის ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური თვისებების შეცვლა...

ზღვის ცოცხალი რესურსი არის წყლის ბიორესურსი, რომელშიაც გაერთიანებულია ცხოველთა და მცენარეთა მთელი სამყარო.

ზღვის გარემოს დაცვა რეგულირდება საერთაშოროსო და ცალკეულ სახელმწიფოთა საკანონმდებლო ნორმებით. საქართველოს წყლის კოდექსი ადგენს ზღვის მოხმარების ზოგად წესებს, მისი მოვლა-პატრონობისა და დაცვის საფუძვლებს, ასევე კანონი ზღვის ცხოველთა შესახებ არეგულირებს მათი დაცვისა და გამოყენების სფეროებს.

განსახილველი მუხლი სამი ნაწილისაგან შედგება, პირველი ნაწილი ასეთი შინაარსისაა: „ხმელეთიდან, გემიდან, სხვა მცურავი საშუალებიდან, საჰაერო ხომალდიდან, პლატფორმიდან ან ზღვაში ხელოვნურად აგებული სხვა კონსტრუქციიდან ადამიანის ჯანმრთელობისათვის ან ზღვის ცოცხალი ორგანიზმისათვის მავნე ნივთიერების ანდა სხვა ნარჩენის ან მასალის ზღვაში უკანონო ჩაყრა, აგრეთვე მათი

ჩამარხვის წესის დარღვევით გაუფრთხილებლობით ზღვის დაბინძურება, რაც საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას ან ზღვის ცოცხალ ორგანიზმს ან ხელს უშლის ზღვის მართლზომიერ გამოყენებას".

ზღვის გარემოს გაბინძურებაში კანონმდებელი გულისხმობს ზღვის წყალში ისეთი ნივთიერების შერევას, რომელიც ზღვის წყალს უკარგავს ბუნებრივ სახეს და აუარესებს მის შემადგენლობას, ასევე უარყოფითად მოქმედებს ცოცხალ გარემოზე, აავადებს ან ანადგურებს მას. ასეთ ნივთიერებებს შეიძლება მიეკუთვნოს, ნამწვავი საცხებ საწვავი ნივთიერებისა და ქიმიური ქარხნების ნარჩენები. ზღვის მართლზომიერ გამოყენებაში იგულისხმება მისი ხმარება საკურორტოდ, სამკურნალოდ და ა. შ.

ობიექტური მხარე დანაშაულისა გამოიხატება ზღვის დაბინძურებაში, ე. ი. მასში ადამიანისა და ზღვის ცოცხალი ორგანიზმებისათვის მავნე ნივთიერებათა ან ნარჩენების უკანონო ჩაყრით, რამაც ცოცხალი ორგანიზმებისათვის საფრთხე შექმნა ან ხელი შეუშალა ზღვის გამოყენებას.

მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს, თუ პირველ ნაწილში გათვალისწინებულმა მოქმედებამ გაუფრთხილებლობით გამოიწვია ადამიანის ჯანმრთელობის მნიშვნელოვანი დაზიანება ან დაზიანა მცენარეულობა, თევზის მარაგი ან სხვა ცოცხალი ორგანიზმი, აგრეთვე დასვენების ზონა ან კანონით დაცული სხვა სიკეთე.

ადამიანის ჯანმრთელობის მნიშვნელოვნად დაზიანებაში იგულისხმება ჯანმრთელობის შერყევა ან შრომის უნარის მუდმივი დაკარგვა (ქიმიური მოწამვლით რადიაქტიური დაბინძურებით და ა.შ.).

მცენარეულობის, ცხოველთა სამყაროს და თევზის მარაგის მნიშვნელოვანი დაზიანება გამოიხატება ზღვის ბიორესურსების, თევზისა და სხვა ცხოველთა მასიურ განადგურებაში, იმ ადგილთა დაზიანებაში, სადაც ქვირითს ყრის თევზი, სამრეწველო მნიშვნელობის ზღვის ცხოველთა განადგურებასა ან შემცირებაში და ა.შ.

დასვენების ზონაში კანონმდებელი გულისხმობს ზღვის გარკვეულ სივრცეს, რომელიც თავისი პლაჟით, წყლის შემადგენლობით, ჰაერით, სამედიცინო მნიშვნელობით გამოირჩევა როგორც დასვენებისა და მკურნალობის ზონა. მათი დაზიანება ნიშნავს ზღვაში ისეთი ქიმიური ან რადიაქტიური ნივთიერებებისა თუ საგნების ჩაყრას, რომელიც დასცემს ან სავსებით გაანადგურებს მის დასასვენებელ და სამკურნალო თვისებებსა და ხარისხს.

დანაშაული დამთავრებულად ითვლება დაბინძურების შედეგად

თუნდაც ერთი რომელიმე მავნე შედეგის დადგომისთანავე, რომელიც ჩამოთვლილია მუხლში.

ობიექტი დანაშაულისა არის ის საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელიც იცავს ზღვის სისუფთავეს, მის მცენარეთა და ცხოველთა სამყაროს დაბინძურებისაგან.

ობიექტური მხარე დანაშაულისა გამოიხატება გემებიდან ან სხვა მცურავი საშუალებებიდან მავნე ნარჩენების გადაყრაში.

სუბიექტური მხარე დანაშაულისა, პირველი ნაწილის მიხედვით, გამოიხატება გაუფრთხილებლობაში, რაც იმაში მდგომარეობს, რომ დამნაშავე იშორებს რა მისთვის უკვე ზედმეტ ნარჩენებს, საგნებსა თუ ნივთებს, ყრის მას ზღვაში კანონის დარღვევით. იგი ითვალისწინებს, რომ ამ მოქმედებას მოჰყვება ზღვის დაბინძურება, მაგრამ ფიქრობს, რომ რაიმე გარეშე მიზეზებით მძიმე შედეგი არ დადგება.

მუხლის მესამე ნაწილი პასუხისმგებლობას აწესებს მაშინ, თუ ზღვის დაბინძურებას შედეგად მოჰყვა გაუფრთხილებლობით ადამიანის დაღუპვა.

ამსრულებელი მოცემული დანაშაულისა შეიძლება იყოს ის, ვინც სათანადო ნორმატიული აქტის მიხედვით, სამსახურებრივად იყო ვალდებული არ გადაეყარა ზღვაში დამაბინძურებელი ნივთიერებები თუ საგნები.

ადამიანის ჯანმრთელობისათვის ან ზღვის ცოცხალი ორგანიზმისათვის მავნე ნივთიერების ანდა სხვა ნარჩენის ან მასალის ზღვაში ჩაყრის შესახებ შეუტყობინებლობა იმ თანამდებობის პირის მიერ, რომელსაც ეს ევალება – მუხლი 294

კანონმდებელი იმდენად მნიშვნელოვნად მიიჩნევს გარემოს სისუფთავის დაცვას, რომ მისი დაბინძურების განუცხადებლობისათვისაც კი პასუხისმგებლობას აწესებს. გარდა ამისა, კანონის შესაბამისად, ,,საქმიანობის ყველა სუბიექტი ვალდებულია, უზრუნველყოს სამრეწველო, საყოფაცხოვრებო და სხვა სახის ნარჩენების შემცირება, გაუვნებელყოფა, უტილიზაცია, განთავსება და დამარხვა გარემოს დაცვის სანიტარულ-ჰიგიენური და ეპიდემიოლოგიური

ნორმებისა და წესების დაცვით. აკრძალულია ყოველგვარი ნარჩენების განთავსება ზღვაში და წყლის სხვა ობიექტებში".[1]

სისხლის სამართლის კანონი პირდაპირ, ნათლად აკვალიფიცირებს, ისე რომ თითქმის კომენტარიც აღარ ჭირდება, ,,გემის, სხვა მცურავი საშუალების, საჰაერო ხომალდის, პლატფორმის ან ზღვაში ხელოვნურად აგებული კონსტრუქციის სათანადო პასუხისმგებელი თანამდებობის პირის მიერ უახლოესი პორტის ადმინისტრაციისათვის, ხოლო ჩამარხვის მიზნით ჩაყრის შემთხვევაში - აგრეთვე ჩაყრის ნებართვის მიმცემი ორგანიზაციისათვის შეუტყობინებლობას იმისა, რომ საქართველოს შიდა ზღვის ან ტერიტორიული წყლების ფარგლებში, ანდა ღია ზღვაში მზადდება ან უკიდურესი აუცილებლობის გამო ჩაიყარა ადამიანის ჯანმრთელობისა ან ზღვის ცოცხალი ორგანიზმისათვის მავნე ნივთიერება ან ისეთი შენაერთი, რომელიც ასეთ ნივითიერებას დადგენილი ნორმის გადამეტებით შეიცავს, ანდა სხვა ნარჩენები და მასალები, რომელსაც შეუძლია დააზიანოს დასვენების ზონა ან ხელი შეუწყოს ზღვის მართლზომიერ გამოყენებას."

ზღვებსა და ოკეანეებში გამუდმებით დაცურავენ სამრეწველო და სხვა დანიშნულების გემები, რომლებსაც საზღვაო სამუშაოების (საკონსერვო ან სხვა სარეწაო) ჩატარების დროს რჩებათ უვარგისი მასალები. როგორც კანონი გვასწავლის, მცურავ საშუალებებს თან ახლავს თანამდებობის პირები, რომლებიც ვალდებულნი არიან ნარჩენების ჩაყრის შემთხვევაში აცნობონ უახლოესი პორტის ადმინისტრაციას, ხოლო ნარჩენების ჩამარხვის აუცილებლობის შემთხვევაში წინასწარ შეატყობინონ ამის ნებართვის მიმცემ ორგანიზაციას. ამასთანავე, აცნობონ ისიც, რომ საქართველოს შიდა ზღვის ან ტერიტორიული წყლების ფარგლებში ანდა ღია ზღვაში მზადდება ან უკიდურესი აუცილებლობის გამო ჩაიყარა ადამიანისა და სხვა ცოცხალი ორგანიზმებისათვის მავნე ნივთიერებები. პორტები და სპეციალური ორგანიზაციები შეტყობინებისთანავე იწყებენ ნარჩენების გაუვნებელყოფას.

კანონის მიზანია, არ დაუშვას ასეთი ფაქტების დამალვის შემთხვევა, რადგან ეს გამოიწვევს ადამიანის ჯანმრთელობისა და ზღვის ცოცხალი ორგანიზმების დაავადებას ან სხვა უფრო მძიმე შედეგს.

დანაშაულის ობიექტი არის გარემოს სიწმინდე, კონკრეტული ობიექტი კი ადამიანისა და ზღვის ცოცხალი ორგანიზმების სიცოც-

1. კანონი გარემოს დაცვის შესახებ. მუხ. 34.

ხლე და ჯანმრთელობა, ობიექტური მხარე გამოიხატება მათ დაზიანებასა ან განადგურებაში.

ამსრულებელი დანაშაულისა არის თანამდებობის პირი, რომელსაც სამსახურებრივად ევალება მცურავ საშუალებებზე დაგროვილი ნარჩენების გადაყრის ან ასეთის განზრახვის თაობაზე აცნობოს სათანადო ორგანოებს.

სუბიექტური მხარე მდგომარეობს განზრახ ბრალში: თანამდებობის პირს შეგნებული აქვს ინფორმაციის გადაუცემლობის მავნე შედეგი, მაგრამ არ გადასცემს გარკვეული მოსაზრებების გამო.

ატმოსფერული ჰაერის გაბინძურება – მუხლი 295

მუხლი სამი ნაწილისაგან შედგება. პირველის შინაარსი ასეთია: „მავნე ნივთიერების ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევის, ანდა გამწმენდი დანადგარის, ნაგებობის ან სხვა ობიექტის ექსპლოატაციის წესის დარღვევა, რამაც გაუფრთხილებლობით გამოიწვია ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მნიშვნელოვანი გაუარესება“.

მუხლის შემოღების მიზანია, სამართლებრივად აღუდგეს წინ ატმოსფეროს დაბინძურებას, მასში მავნე ნივთიერებების უკანონო გაშვებას, რასაც შეიძლება დანაშაულებრივი მძიმე შედეგი მოჰყვეს.

პირველი ნაწილი განიხილავს შემდეგ ძირითად მომენტებს:

1) დაბინძურებული ნივთიერების ატმოსფეროში გაშვების წესის დარღვევა.

2) დანადგარის, ნაგებობის ან სხვა ობიექტის ექსპლუატაციის წესის დარღვევა, თუ ამას გაუფრთხილებლობით მოჰყვა ჰაერის შემადგენლობის მნიშვნელოვანი გაუარესება. ეს დანაშაულებრივი ქმედება შეიძლება განხორციელდეს მეტალურგიული და ქიმიური ქარხნებიდან ნივთიერების ჰაერში გაფრქვევით, ასევე ატომურ რეაქტორებში ექსპლოატაციის წესების დარღვევით, ნეიტრონებისა და ელექტრონების ჰაერში გაბნევით.

ატმოსფეროს სისუფთავის დაცვა რეგულირდება მრავალი საკანონმდებლო აქტით, რომელთა განსაზღვრის მიხედვით „ატმოსფეროს მდგომარეობის ხარისხობრივი ნორმებია – ატმოსფერულ ჰაერში ადამიანის ჯანმრთელობისა და ბუნებრივი გარემოსათვის მავნე ნივთიერებების კონცენტრაციისა და მიკროორგანიზმების რაოდენობის, ხმაუ-

რის, ვიბრაციის, ელექტრომაგნიტური ველების, რადიაციული ზემოქმედების ზღვრულად დასაშვები ნორმები".[1]

საგანი მოცემული დანაშაულისა არის ატმოსფერული ჰაერი და მისი ბუნებრივი თვისებები.

ატმოსფერული ჰაერი — ეს არის გაზების ნარევი, რომელიც განფენილია მიწის ზედაპირიდან რამდენიმე კმ/მეტრის სიმაღლეზე და წარმოადგენს ცხოველთა და მცენარეთათვის აუცილებელ სასიცოცხლო კომპონენტს.

ატმოსფერო — ეს არის გაზშემადგენლობის პლანეტის ირგვლივი ბურთი, შემდგარი რამდენიმე ფენისაგან, რომელთაგანაც მიწისპირა არის ტროპოსფერო და შეიცავს 80% ატმოსფერულ ჰაერს, განლაგებულ-განფენილს დედამიწის ზედაპირიდან 10-12 კმ-ზე.

ობიექტური მხარე ატმოსფეროს დანაშაულებრივი დაზიანებისა გამოიხატება: ა) როგორც მოქმედებით, ასევე უმოქმედობით. ბ) დანაშაულებრივი შედეგით. გ) მიზეზობრივი კავშირით.

სამართლებრივი აქტების დარღვევა გამოიხატება ატმოსფეროში დანაგვიანებული აირების შეფრქვევით, რაც პირდაპირაა აკრძალული კანონის მოთხოვნით.

დანადგარის, ნაგებობის ან სხვა ობიექტის ექსპლოატაციის წესების დარღვევა გამოიხატება მათი მუშაობის შესაბამისი წესების უგულებელყოფაში და შედგება სხვადასხვა აქტიური მოქმედებისაგან. მაგალითად: გამწმენდ ნაგებობათა გამოთიშვა, ფილტრების არადროული გამოცვლა, არაკანონზომიერი შრომის რეჟიმის განხორციელება, საკონტროლო აპარატურის გამოუყენებლობა და ა.შ.

ატმოსფეროს სიღრმეში დაჭუჭყიანებული ნივთიერების გაფრქვევაში კანონმდებელი გულისხმობს ამ ნივთიერებათა გადასვლას წარმოშობის წყაროდან ატმოსფეროში.

ჰაერის დაჭუჭყიანებაში იგულისხმება მასში ისეთი ნივთიერების შეტანა, რომელიც მკვეთრად აუარესებს მის ბუნებრივ შემადგენლობას.

ესაა ქიმიური ნივთიერებების კონცენტრაციის მომატება, რაც ზეგავლენას ახდენს მის გამჭვირვალობაზე, ოზონის შემადგენლობაზე, ან გამოიწვია მისი სითბური რეჟიმის უარყოფითი შეცვლა, ან შეიცვალა მისი რადიაქტიური ან ელექტრომაგნიტური მაჩვენებელი, ამის შედეგად კი — მისი სანიტარულ-ჰიგიენური და ეკოლოგიური სახე.

1. კანონი გარემოს დაცვის შესახებ. მუხ. 29, პარლამენტის უწყებები, N I-2, 97 წ.

მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას აწესებს იგივე ქმედებისათვის, თუ მან გამოიწვია გაუფრთხილებლობით ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანება. ეს ზიანი გამოიხატება მის ნებისმიერ შერყევაში — მსუბუქიდან ფუნქციონალურ და შრომის მყარ დაკარგვამდე.

მუხლის მესამე ნაწილი პასუხისმგებლობას აწესებს უფრო მძიმე შედეგისათვის — თუ პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებას მოჰყვა გაუფრთხილებლობით ადამიანის დაღუპვა.

დანაშაული დამთავრებულად ითვლება, როდესაც ჰაერის დაბინძურება გამოიწვევს მუხლის პირველ, მეორე ან მესამე ნაწილში ჩამოთვლილ ერთ-ერთ დანაშაულებრივ შედეგს.

სუბიექტური მხარე გამოიხატება გაუფრთხილებელ ბრალში.

ამსრულებელი დანაშაულისა შეიძლება იყოს ის, ვისაც სათანადო ნორმატიული აქტებით ევალება ატმოსფეროს სიწმინდის დაცვა.

საქართველოს კონტინენტური შელფის, ტერიტორიული წყლების ან განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის კანონმდებლობის დარღვევა — მუხლი 296

კანონი „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ“ არეგულირებს კონტინენტური შელფის განსაზღვრის, ფლობისა და მით სარგებლობის საკითხებს.

განსახილველი მუხლი სამი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილის შინაარსი ასეთია: „საქართველოს კონტინენტურ შელფზე, ტერიტორიულ წყლებში ან მიმდებარე ზონაში ნაგებობის უკანონოდ აღმართვა, მის გარშემო ან განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში ხელოვნური კუნძულის, ნაგებობის ან მოწყობილობის ირგვლივ უსაფრთხოების ზონის უკანონოდ დაწესება, აგრეთვე მშენებლობის, რეკონსტრუქციის, ექსპლოატაციის, ნაგებობის დაცვის, ლიკვიდაციის ან კონსერვაციის, ანდა საზღვაო ნაოსნობის უსაფრთხოების წესის დარღვევა“.

მუხლის მიზანი ის არის, რომ დაიცვას კონტინენტალური შელფი და განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა — როგორც გარემო ბუნების უმნიშვნელოვანესი ელემენტი.

„საქართველოს კონტინენტური შელფი მოიცავს ზღვის

ფსკერისა და წყალქვეშა რაიონის წიაღს, რომელიც ვრცელდება საქართველოს ტერიტორიული წყლების ფარგლებს გარეთ, მისი სახმელეთო ტერიტორიის ბუნებრივი გაგრძელების მთელ მანძილზე, ხმელეთის წყალქვეშა კიდის გარე საზღვრამდე, ან ვრცელდება 200 საზღვაო მილის მანძილზე იმ სწორი ამოსავალი ხაზიდან, რომლიდანაც ხდება ტერიტორიული წყლების ათვლა, თუ ხმელეთის წყალქვეშა კიდის გარე საზღვარი არ ვრცელდება ამ მანძილზე".

„განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა არის 200 საზღვაო მილის სიგრძის საზღვაო რაიონი, რომელიც მდებარეობს საქართველოს ტერიტორიული წყლების ფარგლებს გარეთ და აითვლება იმ სწორი ამოსავალი ხაზიდან, რომლიდანაც ხდება ტერიტორიული წყლის ათვლა".[1]

კონტინენტური შელფის ბუნებრივი სიმდიდრე არის მინერალური და სხვა არაცოცხალი რესურსები, ზღვის ფსკერი, მისი სიღრმე, მისი ცოცხალი ორგანიზმები.

უსაფრთხოების ზონად ითვლება ზღვის ხელოვნურად შემოსაზღვრული და დადგენილი ნაწილი, სადაც უნდა წარიმართოს დაზვერვა და გამოკვლევა კონტინენტალური შელფის ბუნებრივი სიმდიდრისა ზონის საზღვარის გარეთ 500 მეტრის მანძილზე.

საქართველოს კონტინენტურ შელფზე ნაგებობების უკანონოდ აღმართვაში იგულისხმება ნებისმიერი შენობის აგება (მიუხედავად მშენებლობის მიზნისა) თუ ეს ნებადართული არ არის სათანადო ორგანოების მიერ, ან თუ მშენებლობა სცილდება ან ჩამორჩება ნებართვის ფარგლებს.

მშენებლობის, ექსპლოატაციის, ნაგებობის დაცვის თუ ლიკვიდაციის, ასევე საზღვაო ნაოსნობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესების დარღვევა შეიძლება როგორც მოქმედებით, ასევე უმოქმედობით. მოქმედებით იგი გამოიხატება მშენებლობის უკანონოდ წარმოებაში, ნაგებობათა არასწორ ექსპლოატაციაში, საზღვაო ნაოსნობის წესების დარღვევაში და ა.შ.

უმოქმედობა მდგომარეობს კანონიერი ექსპლოატაციისაგან თავის შეკავებაში, დაწყებული მშენებლობის უსაფუძვლოდ შეჩერებაში ან შეწყვეტაში.

ჩამოთვლილ მოქმედებათა ჩადენა ხდება განზრახ. დამნაშავეს შეგნებული აქვს თავისი მოქმედების ან უმოქმედობის უკანონობა, მისი შედეგები და სურს ასეთი.

---

1. კანონი სახელმწიფო საზღვრის შესახებ, მუხლი 6, 7.

მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას აწესებს საქართველოს კონტინენტური შელფის ან საქართველოს განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის სათანადო ნებართვის გარეშე გამოკვლევისათვის, დაზვერვისა ან ბუნებრივი სიმდიდრის დამუშავებისათვის. ეს ნიშნავს შელფის სამრეწველო დამუშავებას ან ცოცხალი ორგანიზმების შესწავლას მათი ვარგისიანობის დადგენის მიზნით, ან სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ჩატარებას სიმდიდრის ოდენობისა და სახეობის დადგენისათვის.

აღნიშნული მოქმედების ჩადენა ხდება მხოლოდ განზრახი ბრალით, როცა დამნაშავეს შეგნებული აქვს საკუთარი ქმედების აკრძალულობა და სურს ეს.

ობიექტი დანაშაულისა არის საქართველოს ეკოლოგია.

მიწის გაუვარგისება – მუხლი 297

1994 წლის 12 მაისის კანონი ნიადაგის დაცვის შესახებ განმარტავს, რომ ნიადაგის დაცვის პრობლემა დიდ მნიშვნელობას იძენს საქართველოსათვის, როგორც მცირემიწიანი ქვეყნისათვის. კანონის მიზანია, უზრუნველყოს ნიადაგის საფარის მთლიანობა, ნაყოფიერების ზრდა, განსაზღვროს სახელმწიფოს მოვალეობა ნიადაგის ყოველმხრივ დაცვისა და სუფთა პროდუქციის წარმოების პირობების შესაქმნელად, განსაზღვროს სათანადო ღონისძიებები, აკრძალვები და ა. შ.

მიწა მართლაც რომ დედაა კაცობრიობისა და შემთხვევითი რომია, რომ კანონი მტკიცე იარაღად აღიმართა მის დასაცავად.

აზრი და მიზანი განსახილველი მუხლისა არის მიწის დაცვა გაფუჭება-გაუვარგისებისაგან სამეურნეო ან სხვა მოქმედებათა წესების დარღვევის შედეგად.

მიწის დაცვა და რაციონალური გამოყენება რეგლამენტირებულია მრავალრიცხოვანი საერთო და სპეციალური ნორმატიული აქტით.

მუხლის დისპოზიცია ასეთი შინაარსის არის: „სამეწარმეო, სამეურნეო ან სხვაგვარი საქმიანობისას მავნე ნივთიერებით მიწის მოწამვლა, დეგრადაცია ან მიწის სხვაგვარი გაუვარგისება, განპირობებული სასუქის, მცენარეთა ზრდის სტიმულატორის, შხამქიმიკატის, სხვა ქიმიური ან ბიოლოგიური ნივთიერების შენახვის, გამოყენების ან გადაზიდვის დროს მისდამი მოპყრობის წესის დარღვევით, რამაც

გაუფრთხილებლობით გამოიწვია ადამიანის ჯანმრთელობის ან გარემოს დაზიანება".

დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება მას'ში, რომ დამნაშავე მიწის სამეურნეო სამუშაოების შესრულებისას ნიადაგს აძლევს გარკვეული სახეობის სასუქს, მცენარეთა სწრაფი და ჯანსაღი ზრდის სტიმულიზატორს, შხამ-ქიმიკატს ან სხვა ქიმიურ და ბიოლოგიურ ნივთიერებას, რომელ არაკონდიციური შენახვით, სათანადო ტენიანობისა თუ ტემპერატურის რეჟიმის დაუცველობით ან გადაზიდვის წესების უხეში დარღვევით მწვავედ აქვთ შეცვლილი თავიანთი სასარგებლო თვისება მავნებლურით ან დამნაშავე არ ითვალისწინებს ამ ნივთიერებით ნიადაგის ნორმალურ გაჯერებას, რითაც იგი წამლავს, აბინძურებს მას, რამაც გაუფრთხილებლობით დააზიანა გარემო და ადამიანის ჯანმრთელობა.

ასეთი შედეგების თავიდან აცილება რეგლამენტირებულია მრავალი ნორმატიული აქტით, მრავალი კანონით, მცენარეთა ბიოლოგიური დაცვის ნორმებით, ქიმიკატების შენახვის, გადაზიდვის, გამოყენების წესებით, გარემოს დაცვის სხვა რეკომენდაციებით და ა.შ.

საქართველოს 1994 წლის 12 მაისის კანონის მიხედვით „ნიადაგის დაცვის შესახებ", დაცვით ღონისძიებებს განეკუთვნება „უსაფრთხო ტექნოლოგიის შემუშავება-დანერგვა, ნიადაგის გამოფიტვის მიზეზების შესწავლა, სამელიორაციო მიკრობიოლოგიური, აგროქიმიური, გეობოტანიკური ბონიტირება, კადასტრის პერიოდული შედგენა" და ა.შ.

მიწის გამანაყოფიერებელი, მცენარეთა ზრდის მასტიმულირებელი შხამ-ქიმიკატები ის ნივთიერებებია, რომლებიც სპეციალურადაა განკუთვნილი სოფლის მეურნეობის წარმოებისათვის, მცენარეთა სასელექციოდ თუ მავნებელთა გასანადგურებლად.

შხამ-ქიმიკატებში თუ სხვა საშიშ ნივთიერებებში შედის ყველა ორგანული და არაორგანული ქიმიური ნივთიერება.

სამეურნეო ან სხვაგვარ საქმიანობაში კანონმდებელი გულისხმობს მიწაზე ნებისმიერ მოქმედებას, რომელიც დაკავშირებულია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მოყვანასთან ან ნიადაგის სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებთან, ექსპერიმენტის ჩატარებასთან და ა.შ.

შედეგი მოცემული დანაშაულისა გამოიხატება ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანებაში ნებისმიერი ფორმით (მსუბუქიდან მძი-

მემდე) და გარემოს დაზიანებაში (ცხოველთა დაავადებასა ან განადგურებაში, მცენარეთა დაზიანებაში და ა.შ.).

დანაშაული დამთავრებულად ითვლება მუხლში გათვალისწინებული ერთი რომელიმე შედეგის დადგომისთანავე.

სუბიექტური მხარე გამოიხატება გაუფრთხილებელ ბრალში.

ობიექტი დანაშაულისა არის ქვეყნის ეკოლოგია, გარემო, ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა.

მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს პირველ ნაწილში ჩამოთვლილი ქმედებისათვის, თუ იგი განხორციელდა საგანგებო ეკოლოგიური მდგომარეობის ან ეკოლოგიური უბედურების ზონაში, ე. ი. იმ ტერიტორიაზე, სადაც კატასტროფულად დაზიანებულია გარემო რადიაქტიური ან სხვაგვარი მოწამვლა-დანაგვიანების გამო ან საგანგებო ეკოლოგიურ ზონაში, ე.ი. ქვეყნის ტერიტორიის იმ ნაწილში, სადაც სერიოზული, საშიში ეკოლოგიური ცვლილებებია ნიადაგში თუ ატმოსფეროში და ტარდება სათანადო ღონისძიებები მის გასაწმენდად.

მუხლის მესამე ნაწილი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს, თუ პირველი ან მეორე ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებას გაუფრთხილებლობით ადამიანის დაღუპვა მოჰყვა.

ᲬᲘᲐᲚᲘᲡᲔᲣᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲐᲜ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲬᲔᲡᲘᲡ ᲓᲐᲠᲦᲕᲔᲕᲐ – ᲛᲣᲮᲚᲘ 298

1996 წლის 17 მაისის კანონი „წიაღის შესახებ“, სხვა კანონებთან ერთად, არეგულირებს წიაღის, ნებისმიერი სახის სასარგებლო წიაღისეულის შესწავლასა და გამოყენებას, მომპოვებელ და გადამამუშავებელ წარმოებათა ნარჩენების შენახვის და დაცვის, მიწისქვეშა ნაგებობების მშენებლობის და ექსპლოატაციის პროცესში წარმოქმნილ ურთიერთობებს.

მუხლი, რომელიც ამ კანონის მოთხოვნებს იცავს სისხლის სამართლის წესით, ერთი ნაწილისაგან შედგება. მისი შინაარსი ასეთია: „სამთო-მოპოვებითი საწარმოს, ან მიწისქვეშა ნაგებობის და პროექტების, განლაგების, რეკონსტრუქციის, ლიკვიდაციის, საექსპლოატაციოდ გადაცემის ან ექსპლოატაციის დროს წიაღისეულის გამოყენების ან დაცვის წესის დარღვევა, აგრეთვე თვითნებური მშენებ-

ლობა სასარგებლო წიაღისეულის განლაგების ადგილას, რამაც გაუფრთხილებლობით გამოიწვია მნიშვნელოვანი ზიანი.“

მუხლი გამოკვეთს შემდეგ დანაშაულებრივ შემადგენლობას:

1. წიაღისეულის გამოყენების წესის დარღვევა.
2. წიაღისეულის დაცვის წესის დარღვევა.
3. თვითნებური მშენებლობა სასარგებლო წიაღისეულის განლაგების ადგილას.

დასახელებული სამი შემადგენლობა პასუხისმგებლობას გამოიწვევს მაშინ, როცა რომელიმე მათგანის განხორციელებამ მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

მიზანი განსახილველი მუხლისა არის წიაღისეულის ნორმალური გამოყენება და მისი დაცვა, ასევე თვითნებური მშენებლობის აკრძალვა წიაღისეულის განლაგების ადგილას.

წიაღისეული — ეს არის მიწის სიღრმე, ძირი, განლაგებული ნიადაგის შრეებს ქვემოთ და მიღწევადი გეოლოგიური დამუშავებისათვის.

საქართველოს 1976 წლის 20 ნოემბრის მიწის კოდექსის თანახმად „წიაღისეულის შესწავლა-დამუშავება ხორციელდება გეოლოგიური მეცნიერული ნორმატივების მიხედვით, რომლის განხორციელების წესების დაცვა აუცილებელია წიაღისეულის შესწავლისა თუ დამუშავების, მიწისქვეშა მშენებლობის ან სხვა ნაგებობების გამართვის დროს, თუნდაც არ იყოს დაკავშირებული წიაღისეულის მოპოვებასთან“.

წიაღისეულის დაცვის წესები ასეთი სამუშაოების ჩატარების დროს რეგლამენტირებულია სამთო-ეკოლოგიური კანონმდებლობით. ისინი შეიცავენ ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს და ადგენენ პირობებს, წესებს და სხვა მოთხოვნებს დაპროექტების, განლაგების, მშენებლობის საქმეში. ამ წესების შესრულება აუცილებელია ზემოთ ჩამოთვლილი სამუშაოების განხორციელების დროს. მისი მნიშვნელობა განპირობებულია სამთო-მოპოვებითი ორგანიზაციისა და მიწისქვეშა ნაგებობების სრულყოფილი განლაგება-გაშენებისათვის.

წიაღისეულის დაცვის წესების უგულებელყოფამ შეიძლება გამოიწვიოს წყალმოქცევა, დატბორვა, ხანძარი, წიაღისეულის მოპოვების ხარისხის დაცემა, დამუშავების არასრულყოფილება, მისი დანაგვიანება და ა.შ.

უმოქმედობით დანაშაულებრივი საქციელი შეიძლება გა-

მოიხატოს სამუშაოს შეუსრულებლობასა ან ნაწილობრივ შესრულებაში, პროექტების დაუსრულებლობაში და ა.შ.

სასარგებლო წიაღისეულის განლაგების ადგილას თვითნებური მშენებლობა გამოიხატება ნებისმიერი ნაგებობის აღმართვაში სათანადო კანონიერი ნებართვის გარეშე, მნიშვნელოვან ზიანში, რომელიც დაკავშირებულია ზემოთ ჩამოთვლილ დარღვევებთან (სასარგებლო წიაღისეულის დაკარგვა, მიწის მდგომარეობის (შემადგენლობის, ნაყოფიერების) გაუარესება, წიაღისეულის ექსპლუატაციის გაძნელება და ა.შ.). ყოველივე ეს განსაზღვრული უნდა იქნეს სასამართლოს მიერ.

დანაშაული დამთავრებულად ითვლება მნიშვნელოვანი ზარალის დადგომისთანავე.

სუბიექტური მხარე დანაშაულისა გამოიხატება გაუფრთხილებელი ბრალით.

წიაღით უკანონოდ სარგებლობა – მუხლი 299

მუხლი ერთი ნაწილისაგან შედგება: „წიაღით უკანონოდ სარგებლობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია“.

მუხლის მიზანია, დაიცვას ბუნებრივი რესურსები და კერძოდ – ქვეყნის წიაღისეული სიმდიდრე ყოველგვარი ბოროტი ხელყოფისაგან.

კანონის მოქმედების სივრცე არის ქვეყნის წიაღისეული სიმდიდრის სფერო და მისი კანონიერად მოპოვების წესების დაცვა.

მუხლი თავისი მოცულობით მარტივია. იგი მხოლოდ ერთ შემადგენლობას განიხილავს, კერძოდ: სასარგებლო წიაღისეულის უკანონოდ მოპოვებას, თუკი ასეთ მოქმედებას მნიშვნელოვანი ზარალი მოჰყვა.

საგანი დანაშაულისა არის ნებისმიერი სასარგებლო წიაღისეული, ობიექტი – ქვეყნის ეკოლოგია და წიაღისეული სიმდიდრე.

ობიექტური მხარე გამოიხატება მოქმედებაში, რომელიც მიმართულია წიაღისეული სიმდიდრის უკანონოდ მოპოვებისაკენ.

მოპვებაში იგულისხმება წიაღისეულის გამოღება მისი ბუნებრივი სამყოფელიდან დამუშავებისა და გამოყენების მიზნით.

უკანონო მოპოვებაა ყველა შემთხვევაში, როცა სუბიექტი

არღვევს საერთო აკრძალვის ნორმებს და არ ღებულობს მისი მოპოვების არავითარ ნებართვას, ან არღვევს ნებართვაში გათვალისწინებულ მოპოვების პირობებს.

მნიშვნელოვან ზარალს განსაზღვრავს სასამართლო.

სუბიექტური მხარე დანაშაულისა შეიძლება განხორციელდეს პირდაპირი განზრახვით — დამნაშავე უკანონოდ მოიპოვებს რა წიაღისეულ სიმდიდრეს, შეგნებული აქვს, რომ მის მოქმედებას მოჰყვება მეპატრონის (სახელმწიფოს) მნიშვნელოვანი ეკონომიკური დაზარალება, მაგრამ უშვებს ასეთს. მაგალითად, ტყიბულის მურა ნახშირის საბადოს თვითნებური დამუშავებით დამნაშავეს შეუძლია დიდი ოდენობით მოიპოვოს საწვავი მასალა და ამით მნიშვნელოვნად დააზიანოს ქვეყანა.

მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას აწესებს მაშინ, თუ პირველ ნაწილში გათვალისწინებული ქმედება ჩადენილი იქნა არაერთგზის.

თევზის ან წყლის სხვა ცოცხალი ორგანიზმის უკანონოდ მოპოვება — მუხლი 300

საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოების 1988 წლის წესდება ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „სამეცნიერო-ტექნიკურმა პროგრესმა, მეცნიერების არნახულმა განვითარებამ ყველაზე თამამი ოცნებაც კი სინამდვილედ აქცია და დღის წესრიგში დააყენა ბუნებრივ სიმდიდრეთა დაცვის, აღდგენისა და რაციონალურად გამოყენების აუცილებლობის საკითხი. ცხოველთა სამყარო ჩვენი პლანეტის ბუნებრივ სიმდიდრეთა მნიშვნელოვანი ნაწილია, სურსათისა და სხვა სახის მატერიალურ ღირებულებათა წყაროა“.[1] იგი მტკიცედ მოითხოვს თევზსა ან წყლის სხვა ცხოველებზე ნადირობის ნორმების სრულ დაცვას დროის, ხერხის, საშუალების, თევზის ოდენობის, ჯიშების, ქვირითობის და სხვა პირობების გათვალისწინებით.

თევზის ან წყლის სხვა ცოცხალი ორგანიზმის უკანონოდ მოპოებაა საქართველოს კონტინენტურ შელფზე, ტერიტორიულ წყლებში, განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში ან შიდა წყალსატევში

1. საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოების წესდება, თბ., 1988, გვ. 18

თევზსარეწი იარაღით, მექანიკური სატრანსპორტო საშუალებით, ელექტროდენით ან სხვა აკრძალული იარაღით, ასაფეთქებელი ან მომწამლავი ნივთიერებით ანდა თევზის ან წყლის სხვა ცოცხალი ორგანიზმის მასობრივი განადგურების სხვა საშუალებით.

აკრძალულ დროდ ითვლება წლის ისეთი პერიოდი, როდესაც ხდება თევზის განაყოფიერება, ქვირითის დაყრა, ზრდა-დასრულება და ა.შ. მაგალითად, ქვირითის დაყრის დრო ადგილის ხელშეუხებლობასაც გულისხმობს, რადგან ეს პროცესი სპეციალურად თევზთათვის „მოსაწონ" ადგილზე ხდება და განაპირობებს ამ ადგილზე თევზაობის აკრძალვას.

აკრძალულ ადგილად ითვლება ის წყალსაცავები, სადაც სპეციალური, უნიკალური ჯიშები ბინადრობენ, ან საჭიროა გარკვეული ჯიშის თევზის თუ ცხოველის გამრავლება, ან სადაც, გარკვეული პირობების გამო, დროის ყოველ მონაკვეთში აკრძალულია თევზაობა.

საქართველოს წყალსატევებში ნადირობისა და თევზაობის დროებისა და ადგილების დებულება პირდაპირ მიუთითებს საქართველოში მნიშვნელოვან ადგილებსა და დროებზე, სადაც და როდესაც არ დაიშვება ნადირობა თუ თევზაობა.

„მუხლი 6. აკრძალულია ყოველგვარი თევზაობა.

ა) წყალქვეშა და მაგისტრალურ არხებში, თევზის სარეწაო და სამელიორაციო სისტემებში.

ბ) პლატინებზე, დამბებში, ხიდებქვეშ, ყურეებში, 500 მეტრის სიშორეზე წყლის სიღრმეში.

გ) მდ. რიონის, ხობისწყლის და ენგურის ზღვასთან შეერთების სივრცეებში შეერთების ხაზიდან ზღვისკენ ორი კმ. სიღრმეზე, ხოლო მდინარეში – 1 კმ. სიღრმეზე თევზაობა აკრძალულია 1 მარტიდან 31 აგვისტოს ჩათვლით.

დ) მდინარე მტკვარში და ყველა მის შენაკადში აზერბაიჯანიდან თურქეთის საზღვრამდე თევზაობა აკრძალულია 1 მაისიდან 31 აგვისტომდე"[1] და ა.შ.

„აკრძალულ იარაღად და ხერხად ითვლება ფეთქებადი და მომწამვლელი ნივთიერებანი, ცეცხლსასროლი იარაღები და ასაგები

1. წესდება საქართველოში ნადირობისა და თევზაობის დროებისა და ადგილების განსაზღვრის შესახებ, თბ., 1998, მუხ. 6

ჩანგლები, ხელოვნური ორმოები (ოჩხი), ფაცერი, მდინარეებში საგანგებოდ მიწის ჩამოშვავება, გადაკეტვა და ა.შ.“[1]. როგორც მუხლი მიგვითითებს, პასუხისმგებლობა დგება მაშინ, თუ ამ მოქმედებას შედეგად მოჰყვა მნიშვნელოვანი ზარალი.

ზარალის ამ სახეობაში კანონმდებელი გულისხმობს ძვირად ღირებული თევზის ჯიშების მოპოვებას, ან მნიშვნელოვანი მოცულობით დაჭერას, ლიფსიტების განადგურებას, ქვირითის დაყრის ადგილების დანგრევას და ა.შ.

მექანიკური სატრანსპორტო საშუალებებით თევზის ჭერაში იგულისხმება მაღალწონიანი ავტომანქანებით მდინარის ან დაბალი ტბების ზონებში შესვლა, სადაც ისინი წყლის უბეებისა და ჯილეების დანგრევით აადვილებენ თევზის დაჭერას, ამასთანავე სპობენ თევზის თავშესაფარს, ქვირითის საყრელს და საბუდრებს.

ასაფეთქებელი საშუალებებია დინამიტი და სხვა ფეთქებადი ნივთიერებანი, რომელიც მოქმედების ზონაში მთლიანად ანადგურებს მცირე, საკვებად გამოუყენებელ თევზთა ჯიშებს.

მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს იგივე ქმედებისათვის, რამაც გაუფრთხილებლობით გამოიწვია მნიშვნელოვანი ზიანი, ან ჩადენილია სახელმწიფო ნაკრძალსა ან აღკვეთილში, ანდა აკრძალულ დროს თუ ადგილას, აგრეთვე საგანგებო ეკოლოგიური მდგომარეობის ჟამს ან ეკოლოგიური უბედურების ზონაში ან საქართველოს „წითელ წიგნში“ შეტანილი თევზის ან წყლის სხვა ცოცხალი ორგანიზმის მიმართ.

„ნაკრძალი არის წყლის ისტორიული სამუზეუმო ნაწილი, რომელშიაც არ დაიშვება თევზისა თუ წყლის სხვა ცხოველთა მოპოვება“.[2]

საგანგებო ეკოლოგიურ გარემოდ ითვლება წყლის ის ზონა, რომელიც თავისი ბუნებრივი, სამკურნალო და საკურორტო თვისებებით გამოირჩევა.

აღკვეთილად ითვლება ის ადგილები, სადაც დროის არცერთ მონაკვეთში არცერთი საშუალებით არ შეიძლება თევზის მოპოვება.

ეკოლოგიური უბედურების ზონა ის ადგილია, სადაც რაიმე

---

1. წესდება საქართველოში ნადირობისა და თევზაობის დროებისა და ადგილების განსაზღვრის შესახებ, თბ., 1998, მუხ. 11

2. საქ. სსრ. მინისტრთა საბჭოს N 49 დებულება, თბ., 1968, გვ. 27

მოწამვლისა თუ აფეთქების შედეგად განადგურდა წყლის ბინადარი ბიოლოგიური არსებები და მიმდინარეობს ამ ადგილის სიცოცხლისუნარიანობის განახლება.

საქართველოს „წითელი ნუსხა" არის სპეციალური სარეგისტრაციო ჟურნალი, რომელიც შექმნილია იმ უნიკალურ ცხოველთა და მცენარეთა აღსანუსხავად, რომელთა ჯიშები მცირედი ოდენობით თუღა შემორჩა ქვეყანას და რომლებიც დაცული უნდა იქნეს, როგორც სამუზეუმო ექსპონატი.

მნიშვნელოვან ზიანში კანონმდებელი გულისხმობს „წითელ ნუსხაში" შეტანილ ცხოველთა და თევზთა მოსპობას, უნიკალური ჯიშების დიდი ოდენობით მოპოვებას ან განადგურებას.

ობიექტი დანაშაულისა არის ქვეყნის ეკოლოგიური მდგომარეობა.

სუბიექტური მხარე მდგომარეობს პირდაპირ განზრახვაში, როდესაც დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ იგი თევზებს ან ზღვის ცხოველებს იჭერს აკრძალული ხერხებითა და საშუალებებით და ამით მნიშვნელოვნად აზიანებს ქვეყანას და სურს ეს.

უკანონო ნადირობა – მუხლი 301

საშიშროება ამ დანაშაულისა მდგომარეობს მასში, რომ ადამიანის მიერ მატერიალური დოვლათის მოპოვების ეს ფორმა სრულ განადგურებას უქადის ცხოველთა სამყაროს.

განსახილველი მუხლი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი ასეთი შინაარსისაა: „ნადირობა სათანადო ნებართვის გარეშე, ანდა აკრძალულ ადგილას ან აკრძალულ დროს, ან აკრძალული იარაღით ან საშუალებით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 15 მაისის, 1982 წლის 29 დეკემბრის ბრძანებულებებმა, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 3 აგვისტოს დეკრეტმა დააწესა ნადირობის ვადების, ადგილების, საშუალებების მკაცრი რეგლამენტი – „ამ სფეროში სიტუაციის მართვის, ტყის ბინადართა განადგურების თავიდან აცილების მიზნით".[1]

1. დებულება სანადირო მეურნეობის, ნადირობისა და თევზაობის ვადების შესახებ საქართველოში, თბ., 1958, გვ. 10

ნადირობა არის ადამიანის მიერ ფრინველთა და ცხოველთა მიკვლევა მათი განადგურებისათვის — ხორცის, ტყავის თუ ბეწვისა და ბუმბულის გამოყენების მიზნით.

მუხლი დანაშაულად მიიჩნევს ნადირობას სათანადო ნებართვის გარეშე ან აკრძალულ ადგილებში, აგრძალული იარაღით თუ საშუალებებით, აკრძალულ ვადებში, რასაც მნიშვნელოვანი ზარალი მოჰყვა.

ზარალის მნიშვნელოვნება განისაზღვრება მოკლულ ნადირთა ღირებულებით, ოდენობით, ამ სახის ცხოველთა გავრცელების გათვალისწინებით, იმით, თუ რომელ კატეგორიას მიეკუთვნება ცხოველი (გადაშენების გზაზეა თუ არა, ხომ არ არის შეტანილი „წითელ ნუსხაში“ და ა.შ). ზომა ზარალისა დგინდება სასამართლოს მიერ.

უნებართვო ნადირობაში იგულისხმება ცხოველთა ან ფრინველთა მოპოვება ლიცენზიის გარეშე, ან ვადაგასული ლიცენზიით.

ლიცენზია გაიცემა კანონით განსაზღვრულ დროს, ასევე განსაზღვრულ ცხოველებსა და ფრინველებზე.

ნადირობისათვის აკრძალულ ადგილებად ითვლება ის ტერიტორია, სადაც ნადირობა დაუშვებელია მუდმივად ან დროებით, ნებისმიერი იარაღით, ნებისმიერი სახეობის ფრინველსა და ცხოველზე.

„დროის ყოველ მონაკვეთში აკრძალულია ისეთი ნადირობა, როგორიც არის მაღალი ბალახეულისა და ბუჩქნარების გადაწვა, ფრინველთა კვერცხებისა და ცხოველთა პატარა შვილების შეგროვება, ავადმყოფი ფრინველებისა და ცხოველების უმწეო მდგომარეობის გამოყენება, ბადეების, ფრინველთა დამამაგრებელი წებოების, ფანარების გამოყენება და ა.შ.“

ნადირობის აკრძალულ ვადებში იგულისხმება დრო, როდესაც ნადირობა არ დაიშვება წლის რომელიმე მონაკვეთში. მაგალითად: გადაშენების გზაზე მდგარ ცხოველთა მიმართ ნადირობა ყოველ დროს აკრძალულია, ხოლო წლის გარკვეული პერიოდით არ დაიშვება — ნადირთა განაყოფიერება-გამრავლების, ბეწვის ზრდის, ჭრის დადების ან სხვა პირობების გამო. აკრძალულ იარაღებად ითვლება სამხედრო დანიშნულებისა და სპორტული ბინოკლიანი იარაღები, ცხოველთა მასიური გამორეკვის საშუალებები და ა.შ.

დანაშაული დამთავრებულად ითვლება მნიშვნელოვანი ზარალის დადგომის დროს.

მუხლის მეორე ნაწილის დისპოზიცია ითვალისწინებს ისეთ ქმედებას, როდესაც დამნაშავე უკანონოდ ნადირობს სახელმწიფო ნაკრძალში, ან სხვა დაცულ ტერიტორიაზე, სადაც ნადირობა მთლიანად აკრძალულია ანდა მექანიკური სატრანსპორტო ან მასობრივი განადგურების საშუალებებით, ან საქართველოს „წითელ წიგნში“ შეტანილ ან უმწეო მდგომარეობაში მყოფ ნადირსა თუ ფრინველზე, აგრეთვე საგანგებო ეკოლოგიური მდგომარეობის დროს ან ეკოლოგიური უბედურების ზონაში.

ნაკრძალი – არის ტერიტორიის (აკვატორიის) ნაწილი, სადაც დაცულია მთლიანი ბუნებრივი კომპლექსები. ნაკრძალად ჩვეულებრივად ცხადდება ის ადგილი, რომელიც ტიპობრივია ამა თუ იმ გეოგრაფიული ზონისათვის, ან შეიცავს მეცნიერული თვალსაზრისით ძვირფას ბუნებრივ ობიექტებს (მცენარეებისა და ცხოველების სახეობებს, ლანდშაფტების ტიპებს, მინერალებს და სხვა).

აღკვეთილში კანონმდებელი გულისხმობს ისეთ ადგილს, სადაც რაიმე მიზეზის გამო, ხანგრძლივი ვადით არის აღკვეთილი ნადირობა ნებისმიერ ფრინველსა ან ცხოველზე.

მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებებად ითვლება ავტომანქანები, მოტოციკლები, ვერტმფრენები, რომლებითაც დევნიან და ანადგურებენ ცხოველებს.

მასობრივი განადგურების საშუალებებად ითვლება ფრინველთა და ცხოველთა ისეთი მოწამვლა, როცა ისინი, მიუხედავად ამისა, ვარგისია საკვებად და სამრეწველოდ.

უმწეო მდგომარეობაში მყოფ ნადირ-ფრინველის ცნებაში კანონმდებელი გნულისხმობს მათი განაყოფიერების პერიოდს.

საგანგებო ეკოლოგიური ვითარებაზე და ეკოლოგიური უბედურების ზონის თაობაზე საუბარი იყო მე-300 და ამ მუხლის შესწავლის დროს.

განსახილველი მუხლის მეორე პუნქტით პასუხისმგებლობის დადგომისათვის მნიშვნელობა არ აქვს ზარალის ოდენობას.

დანაშაული დამთავრებულად ითვლება ნადირობის დაწყებისთანავე.

სუბიექტური მხარე დანაშაულისა გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში. დამნაშავემ იცის, რომ ის უკანონოდ ნადირობს და სურს ეს.

საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი, საფრთხის წინაშე მყოფი, ველური მცენარის ან გარეული ცხოველის ადგილსამყოფლის მოშლა – მუხლი 302

მოცემული მუხლი სრულიად ახალია ჩვენს კანონმდებლობაში. ადრე „წითელ წიგნში“ შეტანილი მცენარეთა და ცხოველთა ნიმუშები არ იყო საკმაოდ დაცული, ეს ღონისძიება ხორციელდებოდა მხოლოდ ნადირობის აკრძალვით. თანამედროვე კანონმდებლობამ, მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, პასუხისმგებლობა დააწესა ისეთი მოქმედებისათვის, რომლითაც დამნაშავე საფრთხეს უქმნის „წითელ ნუსხაში“ შეტანილი ცხოველების, ფრინველების ან მცენარეების არსებობას. კანონმდებელმა პასუხისმგებლობის საფუძვლად ჩათვალა მათი ბუნებრივი ბინადრობის ადგილის მოშლა ან იმ ადგილის სხვა დანიშნულებით გამოყენება.

1999 წლის 22 ივნისის კანონი „საქართველოს ტყის კოდექსი“ მესამე მუხლის „გ“ პუნქტში ლაპარაკობს, რომ კანონი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს „ტყეში არსებული კულტურისა და ბუნების ძეგლების მცენარეთა იშვიათი, გადაშენების პირას მყოფი სახეობებისა და სხვათა შენარჩუნებასა და დაცვას“.

განსახილველი მუხლი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი ასეთი შინაარსისაა: „საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი, საფრთხის წინაშე მყოფი, ველური მცენარის ან გარეული ცხოველის ბუნებრივი საბინადრო ან გამრავლების არეალის მოშლა ან იმ ადგილის სხვა დანიშნულებით გამოყენება, სადაც საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი სახეობა ბუნებრივად ხარობს, რამაც გაუფრთხილებლობით ამ ადგილებში ცხოველის ან მცენარის სახეობის გადაშენება გამოიწვია.“

მიზანი განსახილველი მუხლისა არის ის, რომ გადაარჩინოს იშვიათი ცხოველ-ფრინველი და მცენარე სრულ გადაშენებას.

განსახილველი ნორმის მოქმედების არეალი არის ორგანიზაციებისა და წარმოებების მოქმედების სფერო, რომლებსაც, თავიანთი სამეურნეო საქმიანობის გამო, სჭირდებათ გარკვეული ნაწილი ტერიტორიისა. პრაქტიკაში ყოფილა მაგალითები, როცა საწარმოო-სამეურნეო დანიშნულებით გამოუყენებიათ „წითელ წიგნში“ შეტანილ ცხოველთა და მცენარეთა საბინადრო ადგილი, რითაც ხელი შეუწყვეს მათ მთლიან გადაშენებას.

იშვიათ და უნიკალურ ცხოველთა და მცენარეთა დაცვა რეგლამენტირებულია საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით და საქართველოს კანონმდებლობით.

„წითელ ნუსხას“ აწარმოებს შესაბამისი სამინისტრო.

ცხოველთა გარემო-სამკვიდროში კანონმდებელი გულისხმობს ბუნებრივ გარემოს, რომელშიაც ცხოველი თუ მცენარე პოულობს ცხოვრების ბუნებრივ პირობებს (საკვების, გამრავლების, დასვენების, გადაადგილების, შთამომავლობის გაზრდის და სხვა შესაძლებლობებს).

ბუნებრივი ბინადრობის ადგილების მოშლაში კანონმდებელი გულისხმობს საბინადრო პირობების მოსპობას, რაც შეიძლება განხორციელდეს დანაგვიანებით, სამეურნეო საქმიანობის შედეგად, აფეთქებითი სამუშაოების ჩატარებით, ნარჩენების შეტანით, მშენებლობის წარმოებით, ტყეკაფის განადგურებით, ნავთისა და გაზგაყვანილობის სამუშაოებით, რკინიგზის ან სხვა რომელიმე მაგისტრალის გაყვანით, გეოლოგიური სამუშაოების ჩატარებით და ა.შ. ჩამოთვლილი მოქმედებანი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას გამოიწვევს მაშინ, თუ იგი „წითელ ნუსხაში“ შეტანილ ცხოველებს, ფრინველებსა და მცენარეებს უქმნის გადაშენების საფრთხეს.

ობიექტური მხარე გამოიხატება მოქმედებით.

მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს დანაშაულის კვალიფიციურ სახეს, როცა იგივე ქმედებას შედეგად მოჰყვება საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილ ცხოველ-ფრინველთა ან მცენარეთა გადაშენება გაუფრთხილებლობით.

სუბიექტური მხარე განსახილველი დანაშაულისა გამოიხატება გაუფრთხილებელ ბრალში.

ხე-ბუჩქნარის უკანონო გაჩეხვა – მუხლი 303

საქართველოს ხე-ტყე და მისი გამოყენებითი ურთიერთობანი დაცულია და რეგულირებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1982 წლის 29 დეკემბრის ბრძანებულებით, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 3 აგვისტოს დეკრეტით, 1998 წლის 25 ივნისის კანონით „საქართველოს ტერიტორიაზე ტყით სარგებლობის მოწესრიგების შესახებ“, რომელიც

განსაზღვრავს მერქნის დამზადების დროსა და ფარგლებს, 1999 წლის 22 ივნისის კანონით „საქართველოს ტყის კოდექსი“, რომელიც აწესრიგებს საქართველოს ტყის ფონდის და მისი რესურსების მოვლასთან, დაცვათან, აღდგენასა და გამოყენებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს. მისი მიზანია ადამიანის უფლებების დაცვა და კანონიერების განმტკიცება სატყეო ურთიერთობების სფეროში, ტყის მოვლა, დაცვა, აღდგენა, მისი თვისებების შენარჩუნება მცენარეული საფარისა, ბიომრავალფეროვნების, ლანდშაფტის, ტყის კულტურისა და ბუნების ძეგლების, მცენარეთა იშვიათი სახეობებისა და სახვათა შენარჩუნება, ტყით მოსარგებლეთა უფლებამოსილების განსაზღვრა და სხვა მრავალი.

დღეს საქართველოს ტყის ფონდი შედგება ტყეებისა და მიწებისაგან, სადაც მოწყობილია სატყეო მეურნეობანი. საქართველოს ტყის ფონდად ითვლება სრულიად საქართველოს ტერიტორიაზე განფენილი ტყეები და სატყეო მეურნეობები.

რესპუბლიკის ტყის ფონდი იყოფა სამ ჯგუფად. პირველ ჯგუფს მიეკუთვნება ის ტყეები, რომლებიც ასრულებენ საცავის ფუნქციას, ასევე განსაკუთრებული ღირებულების ტყეები, რომელთა გაჩეხვა დაუშვებელია გარდა მისი სანიტარული გამოკაფვისა და ნორმის მიხედვით გამეჩხერებისა.

ტყის მეორე კატეგორიას მიეკუთვნება ის ტყეები, რომელსაც აქვს სამრეწველო დანიშნულება (საავეჯო, სამშენებლო და ა.შ.).

მესამე კატეგორიისაა ტყეები მრავალტყიანი რაიონებისა, რომელსაც ძირითადად აქვს საეკსპლოატაციო დანიშნულება (მოსახლეობაზე სარეალიზაციო, სამშენებლო, სათბობი და სხვა).

გარდა ჩამოთვლილისა არსებობს დარგული ტყეები, რომელიც გაშენებულია დაცვისა და სასოფლო სამეურნეო გამოყენებისათვის, ნარგავები, რომლებიც მიჰყვებიან სარკინიგზო და საავტომობილო ტრასებს, ქმნიან ქარსაცავ ზოლებს, გამწვანებით ხაზებს, დასახლებულ პუნქტებში გაშენებულნი არიან ბაღებსა და დასასვენებელ ადგილებში.

აქვე შედის მეცნიერული, კვლევითი და ისტორიული მნიშვნელობის ტყეები, ბუნებრივი ძეგლები, ტყე-პარკები. ზემოთ ჩამოთვლილ ტყის ზონებში სისხლის სამართლის 303-ე მუხლი კრძალავს უკანონო გაჩეხვას. მუხლის პირველი ნაწილი სასჯელს მოითხოვს მაშინ, თუკი დანაშაულებრივი ქმედებით გამოწვეული ზარალი მნიშვნელოვანია.

რაც შეეხება ზარალის ოდენობის განსაზღვრას, მუხლის ბლანკეტურობის გამო, უნდა მოვიშველიოთ სატყეო მეურნეობათა სახელმძღვანელო დებულებები და საჭიროების შემთხვევაში — სპეციალისტებიც.

მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს ისეთ ქმედებას, როდესაც დამნაშავე არაერთგზის გაჩეხავს ხე-ბუჩქნარს.

დანაშაულის ობიექტია საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელიც იცავს ხე-ტყის რაციონალური გამოყენების წესებს.

საგანი დანაშაულისა არის ხეები და მოზარდი ბუჩქნარი.

ობიექტური მხარე მდგომარეობს ხეებისა და ბუჩქნარის უკანონო გაჩეხვაში.

უკანონო გაჩეხვად მიიჩნევა მოქმედება, როცა დამნაშავე სათანადო ბილეთის გარეშე ჭრის ხეებს. მოჭრის სახეობად მიიჩნევა ხეების გადაჭრა მიწის პირზე.

უკანონოდ ჩაითვლება ისეთი მოჭრაც, როდესაც სუბიექტი ჭრის არა იმ ჯიშის ხეებს, რომელიც ბილეთში უწერია, არამედ სრულიად სხვა ჯიშს ან სხვა ადგილზე, ან მეტი ოდენობით.

ტყის მოვლა-პატრონობა, დაცვა და ნორმირებული მოჭრა რეგლამენტირებულია საქართველოს ტყის კოდექსით, რომლის 52-ე მუხლში განსაზღვრულია ჯგუფების მიხედვით ტყის ჭრის წესები და სახეობანი. იქ ნათქვამია „...ტყის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად ტყეებში ჭრა მიმდინარეობს სათანადო წესების დაცვით, რომელთა მიზანია ტყეების ეფექტიანი ექსპლოატაცია, და რომლებიც ხელს უწყობენ მათ აღდგენას ძვირფასი სამეურნეო ხის ჯიშებით“.

სუბიექტური მხრივ დანაშაული ჩაიდინება როგორც განზრახ ასევე გაუფრთხილებლობით. გაუფრთხილებლობაში შედის ისეთი მოჭრა, როდესაც სუბიექტმა არ მიაქცია ყურადღება ბილეთში (ნებართვაში) აღნიშნულ ხის სახეობას და უყურადღებობის გამო მოჭრა სრულიად სხვა.

დანაშაულის შემადგენლობა მატერიალურია.

ტყის ან ნარგავის დაზიანება ან განადგურება

მუხლი 304

1999წლის 22 ივნისის ,,საქართველოს ტყის კოდექსი" არეგულირებს ტყის გაშენების, მოვლა-პატრონობის საკითხებს, კერძოდ, ტყის ბიოლოგიური და სელექციური საშუალებებით დაცვას, უკანონოდ ტყით სარგებლობის, ექსპლოატაციის თავიდან აცილებას და სხვა საკითხებს.

განსახილველი მუხლი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილის შინაარსი ასეთია: ,,ტყის ან ნარგავის დაზიანება ან განადგურება ცეცხლთან ან მომეტებული საფრთხის წყაროსთან გაუფრთხილებელი მოპყრობით, ანდა მისი დაბინძურება მავნე ნივთიერებით".

მისი მიზანი მდგომარეობს მასში, რომ თავიდან იქნეს აცილებული ტყისა და მისი ნარგავის განადგურება, დაცული იქნეს ნორჩი ნაზარდი, მშვენიერებისა და სამეურნეო საქმიანობის ერთერთი ძირითადი მხარე, როგორც ეროვნული სიმდიდრე.

ტყე-ნარგავის გულდასმით მოვლა-პატრონობა და დაცვა რეგლამენტირებულია მრავალი საკანონმდებლო აქტით, მათშივე გათვალისწინებულია ტყეკაფების დაცვა მავნებელი ბიოსხეულებისა და ქიმიური მოწამვლისაგან.

საქართველოს ტყის კოდექსი ნათლად განმარტავს, რომ ,,პირველი, მეორე ან მესამე ჯგუფის ტყეებში მთავარი სარგებლობის ჭრა ხდება წესებით, რომელთა მიზანია ტყეების ეფექტიანი ექსპლოატაცია და რომლებიც ხელს უწყობენ მათ აღდგენას ძვირფასი სამეურნეო მშენებლობის ხის ჯიშებით, ტყეების დაცვითი და წყალშემნახავი თვისებების შენარჩუნებით, რომლებიც ამასთან მათი ეფექტიანი ექსპლოატაციის საშუალებას იძლევა".

ობიექტური მხარე მუხლის პირველი ნაწილისა გამოიხატება ცეცხლთან ან საფრთხის სხვა წყაროსთან გაუფრთხილებელ მოპყრობაში ან მავნე ნივთიერებებით ტყე-ბუჩქნარის დაბინძურებაში.

ცეცხლთან დაუდევარი დამოკიდებულებით მომეტებული საფრთხის შექმნა მდგომარეობს მასში, რომ დამნაშავემ კოცონის დანთებისა და მისი გამოყენების შემდეგ აღარ ჩააქრო, ან რაიმე დანადგარი ამუშავებულ მგომარეობაში მიატოვა და მის მიერ

ნაპერწკლის გამოყოფის შემდეგ გაჩნდა ხანძარი.

ტყე-ნარგავის დანაგვიანება (როგორც წინა მუხლებშიაც მოვიხსენიეთ) ხორციელდება სამშენებლო და სამეურნეო ნარჩენების, ქიმიური გამონახდელების ტყის ტერიტორიაზე გადაყრით, სანაგვეების მოწყობით და ა.შ.

აღნიშნული გაუფრთხილებელი მოქმედებანი მაშინ გახდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძველი, თუკი მან გამოიწვია ხე-ბუჩქნარის განადგურება ან დაზიანება.

განადგურებაში იგულისხმება მისი მთლიანი მოსპობა მიწის ზევით, ხოლო დაზიანებაში (ცეცხლისაგან) იმგვარი გატრუსვა, რომ მისი ღერო ისევ გამოდგეს შემდეგი დატოტვა-დაფოთლიანებისათვის.

სუბიექტური მხარე დანაშაულისა გამოიხატება გაუფრთხილებელი ბრალით.

მუხლის მეორე ნაწილში მოცემულია დანაშაულებრივი ქმედების კვალიფიციური მხარე – ხე-ნარგავის დაზიანება ან განადგურება ცეცხლის წაკიდებით, აფეთქებით ან სხვა საყოველთაოდ საშიში საშუალებით. შინაარსი პირველი და მეორე ნაწილისა თითქმის ერთნაირია, მათ ერთმანეთისაგან ანსხვავებს სუბიექტური მხარე. თუ პირველ ნაწილში ბრალი გაუფრთხილებლობით დგება, მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით დამნაშავე განზრახ ანადგურებს ან აზიანებს ხე-ბუჩქნარს აფეთქებით, ცეცხლით ან სხვა საყოველთაოდ საშიში საშუალებით. ამ შინაარსში უნდა ვიგულისხმოთ პირდაპირი განზრახვა. პრაქტიკა უფრო ხშირად აწყდება ისეთ ფაქტებს, როდესაც დამნაშავე რაიმე სამეურნეო მოწყობილობათა და ნაგებობათა გასამართავად საჭიროებს რა მიწის ფართობს, ანადგურებს ხე-ბუჩქნარს ცეცხლის წაკიდებით ან ტრაქტორით ზედაპირის გადასწორებით, რათა გაწმინდოს ტერიტორია სამეურნეო მშენებლობისათვის ხელის შემშლელი ხე-ბუჩქნარისაგან. ამ მოქმედებაში კანონმდებელი ხედავს ბრალის განზრახ ფორმას, რაც იმაში გამოიხატება, რომ დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ ჩადის საზოგადოებრივად საშიშ ქმედებას – ანადგურებს ცეცხლით ან სხვა საშუალებით ხე-ბუჩქნარს და სურს ეს.

ობიექტი დანაშაულისა არის გარემო საგანი – ტყე ან ნარგავი.

დაცული ტერიტორიის რეჟიმის დარღვევა – მუხლი 305

მუხლი ერთი ნაწილისაგან შედგება. იგი ახალია ჩვენი კანონმდებლობისათვის. მისი დისპოზიცია ასეთი შინაარსის არის: „სახელმწიფო ნაკრძალის, აღკვეთილის, ეროვნული პარკის, ბუნების

ძეგლის ან დაცული ლანდშაფტის ან სხვა დაცული ტერიტორიის რეჟიმის დარღვევა, რამაც გაუფრთხილებლობით გამოიწვია მნიშვნელოვანი ზიანი."

როგორც ვხედავთ, მუხლის მიზანია, დაიცვას განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ტერიტორიები და ობიექტები თავისი კანონიერი რეჟიმის დარღვევისაგან.

საგანი დანაშაულისა არის საგანგებოდ დაცული ბუნებრივი ტერიტორიები, ე. ი. გარკვეული ნაწილები მიწისა, წყლოვანი ზედაპირი და მათ ზევით მოთავსებული საჰაერო სივრცე, ის ადგილები, სადაც განლაგებულია ბუნებრივი კომპლექსები და ობიექტები, რომელთაც აქვთ განსაკუთრებული საბუნებისმეტყველო, სამეცნიერო, კულტურული, ბუნებრივი, რეკრეაციული და გამაჯანსაღებელი მნიშვნელობა, მთავრობის სათანადო გადაწყვეტილებით ამოღებული არიან ტექნიკურ-სამეურნეო გამოყენებიდან და აქვთ საერთო ეროვნული ღირსება-ღირებულებანი. კანონმდებლობა განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ობიექტებად მიიჩნევს სახელმწიფო ბუნებრივ ნაკრძალებს, ნაციონალურ და ბუნებრივ პარკებს, ბუნების ძეგლებს, დენდროლოგიურ პარკს, ბოტანიკურ ბაღს, სამკურნალო-გამაჯანსაღებელ ადგილებს. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ობიექტისათვის დადგენილია სპეციალური დაცვითი რეჟიმი. ასე მაგალითად: სახელმწიფო თუ ბუნებრივი ნაკრძალების ტერიტორიაზე იკრძალება ნებისმიერი მოქმედება, რომელიც მიმართულია ნაკრძალების დაცვის რეჟიმის საწინააღმდეგოდ, ასევე ცოცხალი ორგანიზმების ინტროდუქცია.

მაგალითად, კურორტ სურამის წიწვოვანი ტყის გვერდით აშენებულმა ქარხანამ საგრძნობლად შეცვალა წიწვიანი, ოზონური ჰაერის რეჟიმი, რითაც დაირღვა ჰაერის შემადგენლობა და მისი დადებითი გავლენა ბავშვის ორგანიზმზე.

ბუნებრივი რეჟიმის მკაცრი დაცვა განაპირობებს სწორედ მუხლში მითითებული, საგანგებოდ დაცული ბუნებრივი ტერიტორიის ან ბუნებრივი ობიექტის ნორმალურ არსებობას და ფუნქციონირებას, ხოლო ამ რეჟიმის დარღვევა, თუკი იგი მნიშვნელოვანი ზარალით ხასიათდება, გამოიწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.

მოცემული დანაშაული შეიძლება განხორციელდეს უმოქმედებითაც, როდესაც ვალდებული პირი არ შეასრულებს ამ რეჟიმით განსაზღვრულ სათანადო ღონისძიებებს.

შედეგი დარღვევისა არის მნიშვნელოვანი ზარალი. იგი შეიძლება გამოიხატოს ცალკეული კომპლექსების და ძეგლების განადგურებაში, ასევე მათი პირობების მწვავედ გაუარესებაში, ცხოველებისა და ფრინველების განადგურებაში და ა.შ.

კვალიფიკაციის წინ უდაოდ უნდა დაზუსტდეს მიზეზობრივი კავშირის არსებობა მოქმედებასა და შედეგს შორის.

სუბიექტური მხარე გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში, როცა დამნაშავეს შეგნებული აქვს მის მიერ რეჟიმის დარღვევის შედეგი და სურს ეს.

დანაშაული დამთავრებულად ითვლება შედეგის დადგომისთანავე.

ობიექტი დანაშაულისა არის გარემო, საგანი – საგანგებოდ დაცული ბუნებრივი ტერიტორიებისა და ობიექტების რეჟიმი.

პირველი კატეგორიის საქმიანობის განხორციელება გარემოს დაცვითი ნებართვის გარეშე – მუხლი 306

განსახილველი მუხლი ერთი ნაწილისაგან შედგება. მისი შინაარსი ასეთია „მასშტაბის, მნიშვნელობისა და გარემოზე ზემოქმედების ხარისხის მიხედვით კანონის საფუძველზე პირველ კატეგორიას მიკუთვნებული საქმიანობის განხორციელება გარემოსდაცვითი ნებართვის გარეშე“.

1996 წლის 15 ოქტომბრის კანონი „გარემოს დაცვითი ნებართვის შესახებ“ აწესებს საქართველოს ტერიტორიაზე საქმიანობის განსახორციელებლად გარემოს დაცვითი ნებართვის გაცემის, ნებართვის გაცემისას სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის, გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა და ასევე, ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოებრიობის მონაწილეობისა და მისი ფორმირების სამართლებრივ საფუძვლებს. ამ კანონის მიზანია, დაიცვას საქმიანობის პროცესში ადამიანის ჯანმრთელობა, ბუნებრივი გარემო, ასევე კულტურული და მატერიალური ფასეულობანი, უზრუნველყოს საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული მოქალაქის ძირითადი უფლება, ჩამოაყალიბოს და დაიცვას ინვესტორის, საზოგადოებრიობისა და სახელმწიფოს უფლება-მოვალეობები საქმიანობაზე გარემოს დაცვითი ნებართვის გაცემის სფეროში.

კანონი „ბუნების დაცვითი ნებართვების შესახებ“ საქმიანო-

ბის განხორციელებისათვის სათანადო ნებართვების გაცემის დროს ითვალისწინებს გარემოს დაცვის აუცილებელ პირობებს და თუ ამ სამუშაოებს ვინმე დაიწყებს გარემოს დაცვითი სამსახურის ნებართვის გარეშე, ის მიეცემა სისხლის სამართლის პასუხისგებაში განსახილველი მუხლით.

306-ე მუხლი მოითხოვს, რომ პირველ კატეგორიას მიკუთვნებული საქმიანობა განხორციელდეს გარემოს დაცვითი ნებართვით.

რომელია ასეთი საქმიანობა?

ასეთ საქმიანობას ჩამოთვლის კანონი ,,გარემოს დაცვის შესახებ". ესენია:

ა) მინერალური ნედლეულის მოპოვება.

ბ) ენერგეტიკული მრეწველობა – ნავთობნედლეულის, ნახშირის, გაზის, ელექტროენერგიის და სხვათა მოსაპოვებლად მშენებლობა, დამუშავება.

გ) სოფლის მეურნეობის საქმიანობა.

დ) კვების მრეწველობა.

ე) ქიმიური მრეწველობა.

ვ) მეტალურგია და სხვა მრავალი.

ამ საქმიანობების განსახორციელებლად ინვესტორი ვალდებულია, განცხადებით მიმართოს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, მის რეგიონალურ ან ადგილობრივ ორგანოებს. სათანადო პირობების არსებობის შემთხვევაში სამინისტრო გასცემს ნებართვას, ურომლისოდაც ჩატარებულ სამუშაოებს განსახილველი მუხლი სისხლის სამართლის დანაშაულად მიიჩნევს, თუნდაც მისგან ქვეყანას ზარალი არ მიეღოს.

დანაშაულის ობიექტი არის საქართველოს გარემო.

ობიექტური მხარე მდგომარეობს მის დამუშავებაში ნებართვის გარეშე.

სუბიექტური მხარე – პირველი კატეგორიის სამუშაოს შესრულება ნებარათვის გარეშე.

მეთერთმეტე კარი

დანაშაული სახელმწიფოს წინააღმდეგ

37-ე თავი

დანაშაული საქართველოს კონსტიტუციური წყობილებისა და უშიშროების საფუძვლების წინააღმდეგ

(მოკლე მიმოხილვა)

სახელმწიფოს კონსტიტუციური მშენებლობისა და უშიშროების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის თანამედროვე ფორმულირება მნიშვნელოვანი სიახლეებით გამოირჩევა.

პირველი სიახლე იმითაც გამოიხატება, რომ აღნიშნულ დანაშაულს მკვეთრად შეეცვალა ადგილი სისხლის სამართლის კერძო ნაწილის სისტემაში.

მეორე — ადრინდელი სისხლის სამართლის კოდექსში თავი - „დანაშაული სახელმწიფოს წინააღმდეგ" იყოფოდა ორ ნაწილად: „სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული განსაკუთრებით საშიში დანაშაული" და „სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული სხვა დანაშაული". ფაქტობრივად, ეს უკანასკნელი თავი სრულიადაც არ მოიცავდა სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულობებს. მასში გაერთიანებული საზოგადოებრივად საშიში ქმედებანი ხელყოფდნენ სახელმწიფოს მმართველობის სხვა ორგანოებს, სხვა სფეროებს (მაგალითად: ბანდიტიზმი, კონტრაბანდა, საერთაშორისო ფრენის წესების დარღვევა და ა.შ.), ამასთან დაკავშირებით ე.წ. „სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული სხვა დანაშაული" სრულიად კანონზომიერად გადანაწილდა კოდექსის შესაბამის თავებში.

მესამე — მუხლებს, რომლებიც ამ კატეგორიის დანაშაულობებს ითვალისწინებს, ჩამოშორდება იდეოლოგიურობის ნიშანდობლივი თვისებები და საბოლოოდ ის თექვსმეტი მუხლი, რომელიც

მოიცავს დანაშაულთა ამ სისტემას, შედარებით უკეთ ამოწურავს სახელმწიფოს კონსტიტუციური წყობილებისა და მისი უშიშროების წინააღმდეგ ბრძოლის ყველა კუთხეს.

ახალმა კანონმდებლობამ ამოიღო ტერმინი „სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული განსაკუთრებით საშიში დანაშაული“ და იგი უბრალოდ და გასაგებად ჩამოაყალიბა, როგორც გვარობითი სფერო კონსტიტუციური წყობილებისა და უშიშროების საფუძვლების მოცულობით, რომელშიაც გააერთიანა თექვსმეტი მუხლი, თითქმის ახალი მიდგომებითა და რედაქციით.

მნიშვნელოვან ცვლილებად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ ახალმა კანონმდებლობამ განსახილველ თავში შეიტანა ისეთი ახალი დისპოზიციები, როგორიც არის საქართველოს ტერიტორიული ხელშეუხებლობის დარღვევა - 308; ანტიკონსტიტუციური ხელშეკრულების დადება ან მოლაპარაკება - 309; საქართველოს საგარეო უშიშროების ხელყოფა - 310 და სხვა.

განსაკუთრებული სიახლე იგრძნობა უცხო სახელმწიფოებთან ურთიერთობის, მათი წარმომადგენლობის სამართლებრივი დაცვის სფეროში. ამ საკითხს რამდენიმე მუხლი მიეძღვნა, რომელმაც უზრუნველყო ამ ურთიერთობის მჭიდრო, სამართლებრივი დაცვა.

დემოკრატიული კანონმდებლობის დიდ ჰუმანურობაზე მიუთითებს 338-ე მუხლი სახელმწიფო დანაშაულის ქმედითი მონანიების თაობაზე, რომელიც დღემდე არ ყოფილა ჩვენს კანონმდებლობაში და სხვა მრავალი.

გვარობითი ობიექტი ამ დანაშაულობებისა არის კონსტიტუციური წყობილება და სახელმწიფოს უშიშროება.

საქართველოს კონსტიტუციური წყობილება განსაზღვრულია კონსტიტუციის პირველ მუხლში, რომელიც ამტკიცებს სახელმწიფოს კონსტიტუციური მშენებლობის ძირითად პრინციპებს, ეკონომიკურ ურთიერთობას, საზოგადოების პოლიტიკურ სისტემას, ცნობს ადამიანის უფლებას და თავისუფლებას როგორც უმაღლეს ღირებულებას, განსაზღვრავს სუვერენიტეტს და სახელმწიფოებრივი ხელისუფლების ძირითად წყაროს; აწესებს საქართველოს სუვერენულ საზღვრებს, აცხადებს და გარანტირებულს ხდის ყველა სახის საკუთრებას და ეკონომიკური მოღვაწეობის ფორმებს და ა.შ.

„სახელმწიფოს უშიშროება შემადგენელი ნაწილია ადამიანთა და საზოგადოებრივი თავისუფლებისა. უშიშროების ცნების ქვეშ იგუ-

ლისხმება ადამიანთა და მთელი საზოგადოების სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ობიექტების დაცვა. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ობიექტებში იგულისხმება მოთხოვნილებათა ერთიანობა, რომლის უზრუნველყოფაც საიმედოდ გარანტირებულს ხდის პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს განვითარებას".[1]

„ტერიტორიული ხელშეუხებლობა – ეს არის სახელმწიფო საზღვრების დაურღვევლობა. სახელმწიფო საზღვარი არის ის ხაზი, რომელიც ჰყოფს სახელმწიფოთა ტერიტორიულ საკუთრებას და რომელიც დამტკიცებულია საერთაშორისო შეთანხმებებითა და ცალკეული სახელმწიფოების კანონმდებლობით".[2]

კანონი სახელმწიფო საზღვრების შესახებ განსაზღვრავს მის არსებობას ხმელეთზე, ზღვაზე, სანაოსნო მდინარეებზე, წყალსაცავებზე, ხიდებზე და ა.შ.

თავი განიხილავს საქართველოს საგარეო უშიშროების ხელყოფას, უცხოეთის სადაზვერვო სამსახურში შესვლას, საქართველოს თავდაცვისუნარიანობის ხელყოფას, სახელმწიფო საიდუმლოების გაცემას, ჯაშუშობას, შეთქმულებას ან ამბოხებას კონსტიტუციური წყობილების შესაცვლელად, ასეთსავე მოქმედებას ხელისუფლების დამხობის ან ხელში ჩაგდების მიზნით, საბოტაჟს, უცხო სახელმწიფოს ან საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელზე თავდასხმას, საქართველოს უცხო სახელმწიფოს ან საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლობაზე თავდასხმას, უცხო სახელმწიფოს, უცხოეთის ორგანიზაციის ან უცხოეთის კონტროლქვეშ მყოფი ორგანიზაციისათვის მტრულ საქმიანობაში დახმარების გაწევას, სახელმწიფო საიდუმლოების გახმაურებას, სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის წესების დარღვევას, სახელმწიფო დანაშაულში ქმედით მონაწილეობას.

შევეცდებით თვითეული მუხლის განხილვას.

სახელმწიფო ღალატი – მუხლი 307

წინამდებარე მუხლი არ შეიცავს დისპოზიციასა და სანქციას. იგი გამოჰყოფს და ჩამოთვლის ოცდამეჩვიდმეტე თავის იმ მუხლებსა და პუნქტებს, რომელთა დისპოზიციის შინაარსი, როგორც დანაშაულებრივი მოქმედება, წარმოადგენს სახელმწიფოს ღალატს.

1. რუსეთის სისხლის სამართალი, 1996, გვ. 300
2. იქვე.

სახელმწიფოს ღალატი არის (მოქმედება ან უმოქმედობა) აქტი გამცემლური ხასიათისა, დახმარება უცხოეთის ან მისი ორგანიზაციის ან სახელმწიფოს წარმომადგენლისათვის, რათა განახორციელოს მტრული, სახელმწიფოს ძირგამომთხრელი საქმიანობა საქართველოს მიმართ.

განსახილველი მუხლის მიხედვით სახელმწიფოს ღალატად ითვლება საქართველოს ტერიტორიული ხელშეუხებლობის დარღვევა (მუხლი 308); ანტიკონსტიტუციური ხელშეკრულების დადება ან მოლაპარაკების წარმოება - 309; საქართველოს საგარეო უშიშროების ხელყოფა - 310; უცხოეთის სადაზვერვო სამსახურში შესვლა - 311; საქართველოს თავდაცვისუნარიანობის ხელყოფა - 312; სახელმწიფო საიდუმლოების გაცემა - 313; ჯაშუშობა - 314; შეთქმულება ან ამბოხება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად - 315; საბოტაჟი - 318; უცხო ქვეყნისათვის, უცხო ორგანიზაციისათვის ან უცხოეთის კონტროლს დაქვემდებარებული ორგანიზაციისათვის მტრულ საქმიანობაში დახმარება - 319, თუ ეს ქმედება ჩაიდინა საქართველოს მოქალაქემ ან საქართველოში მუდმივად მცხოვრებმა მოქალაქეობის არ მქონე პირმა.

შევეცდებით ცალკეული მუხლის განხილვას.

საქართველოს ტერიტორიული ხელშეუხებლობის დარღვევა – მუხლი 308

„ტერიტორიული უზენაესობა განუყოფელი ცნებაა. იგი მოიცავს, როგორც სახელმწიფოს სუვერენულ უფლებებს ტერიტორიაზე მცხოვრებ ადამიანებზე, ასევე თვით ტერიტორიის მიმართ უზენაესი განკარგვის უფლებას. ხმელეთი, მისი წიაღი, შიდა და ტერიტორიული წყლები, ტერიტორიის თავზე მდებარე საჰაერო სივრცე მოცემული სახელმწიფოს სუვერენიტეტის ქვეშ იმყოფება“.[1]

1. „საქართველოს კონსტიტუციის მეორე მუხლის შესაბამისად, „საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორია განსაზღვრულია 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და სახელმწიფო საზღვრების ხელშეუხებლობა დადასტურებულია საქართველოს კონსტიტუციითა და კანონებით, აღიარებულია სახელმწიფოთა მსოფლიო თანამეგობრობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ“.[2]

1. ლ. ალექსიძე, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბ., 1994, გვ. 39
2. საქ. კონსტიტუცია, თბ., 1996, მუხ. 2

2. „საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიის გასხვისება აკრძალულია. სახელმწიფო საზღვრების შეცვლა შეიძლება მხოლოდ მეზობელ სახელმწიფოებთან დადებული ორმხრივი შეთანხმებით".

მუხლის შინაარსის მიხედვით გვაქვს დანაშაულის სამი დამოუკიდებელი შემადგენლობა, რომლის განხორციელებისკენაც არის მიმართული დამნაშავის მოქმედება:

1. საქართველოს მთელი ტერიტორიის უცხო სახელმწიფოს ხელში გადაცემა.

2. საქართველოს ტერიტორიის ნაწილის უცხო ქვეყნის ხელში გადაცემა.

3. საქართველოს ტერიტორიიდან მისი ნაწილის გამოყოფა.

საერთო საშიშროება მოცემული დანაშაულისა გამოიხატება მასში, რომ იგი ამცირებს ქვეყნის ტერიტორიას, შლის მის მთლიანობას ან აუქმებს როგორც სახელმწიფოებრივ ერთეულს.

საქართველოს უახლეს ისტორიაში მსგავსი ფაქტები ცოტა როდია: დამნაშავე მთელი მონდომებით ცდილობს, საქართველოს ტერიტორიიდან გამოჰყოს მისი განუყოფელი ნაწილი აფხაზეთი. ასევე ცდილობდნენ და კვლავაც ცდილობენ, შიგა ქართლი შეუერთონ ოსეთს და ა.შ.

მუხლის პირველ ნაწილში გათვალისწინებული დანაშაულთა შემადგენლობანი დამთავრებულად ითვლება, როგორც კი დამნაშავე წამოიწყებს ამ თავის საშიშ მოქმედებას. ასე რომ, პირველი ნაწილით კვალიფიკაციისათვის შედეგს მნიშვნელობა არ აქვს, ამ საკითხზე მუხლის მეორე ნაწილი ამახვილებს ყურადღებას და პასუხისმგებლობას აწესებს თუ პირველ ნაწილში გათვალისწინებულმა ქმედებამ გამოიწვია საქართველოს მთელი ტერიტორიის ან მისი ნაწილის დაკარგვა ან სხვა მძიმე შედეგი.

ტერიტორიის დაკარგვა ნიშნავს საქართველოს ფარგლებიდან, მისი იურისდიქციიდან რომელიმე ნაწილის ან ცალკე, დამოუკიდებლად გამოყოფას ან გადაცემას სხვა ქვეყნის გამგებლობაში.

საქართველოს მთელი ტერიტორიის დაკარგვა ნიშნავს საქართველოს ტერიტორიის დახლეჩვას ან მისი სახელმწიფოებრიობის მოშლას და მისი ტერიტორიის მთლიან გადასვლას სხვა სახელმწიფოს გამგებლობაში.

ობიექტი დანაშაულისა არის საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლება, მისი კონსტიტუციური წყობილება და უშიშროების საფუძვლები.

დანაშაულის ობიექტური მხარე, პირველი ნაწილის მიხედვით, გამოიხატება საქართველოს წინააღმდეგ მიმართულ მოქმედებაში - უცხო სახელმწიფოსათვის საქართველოს მთელი ტერიტორიის ან მისი ნაწილის გადაცემის ან საქართველოს ტერიტორიიდან მისი ნაწილის გამოყოფის განზრახვაში, ხოლო მეორე ნაწილის მიხედვით – საქართველოს ტერიტორიის ნაწილის ან მთლიანად ტერიტორიის დაკარგვაში.

სუბიექტური მხარე გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში.

ანტიკონსტიტუციური ხელშეკრულების დადება ან მოლაპარაკების წარმოება – მუხლი 309

მუხლი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი განიხილავს „უცხო ქვეყანასთან, უცხოეთის ორგანიზაციასთან ან მათ წარმომადგენელთან ანტიკონსტიტუციური მოლაპარაკების წარმოებას, საქართველოს სუვერენიტეტის შეზღუდვის ან მისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის სხვაგვარ ზიანის მიყენებას“.

მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს „საქართველოს სახელით უცხო ქვეყანასთან ან უცხოეთის ორგანიზაციასთან ისეთი ანტიკონსტიტუციური ხელშეკრულების დადებას, რომელიც ზღუდავს საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას, მის სუვერენიტეტს ან საფრთხეს უქმნის სხვა სახელმწიფოებთან საქართველოს მშვიდობიან თანაარსებობას, აგრეთვე ამგვარი ხელშეკრულების დასადებად სხვისთვის რწმუნების მინიჭებას.“

მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატება ანტიკონსტიტუციურ მოლაპარაკებაში, ე. ი. მხარეთა შორის დანაშაულებრივ სიტყვიერ შეთანხმებაში, რომლის მიზანია შემდეგი დანაშაულებრივი შედეგი: ა) საქართველოს სუვერენიტეტის შეზღუდვა, ბ) მისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ხელყოფა ან სხვაგვარი ზიანი.

„სუვერენიტეტი არის სახელმწიფოს ნიშან-თვისება, რომელიც გვიჩვენებს სახელმწიფოს ხელისუფლების უზენაესობას ქვეყნის საშინაო საქმეებში და დამოუკიდებლობას რომელიმე უცხო სახელმწიფოსაგან საერთაშორისო ასპარეზზე“,[1] რის გამოც, საქართვე-

1. ლ. ალექსიძე. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბ., 1995, გვ. 59

ლოს კონსტიტუციის მესამე მუხლის მიხედვით, უმაღლესი სახელმწიფო ორგანოები უფლებამოსილი არიან, თავის გამგებლობაში ჰქონდეთ სახელმწიფო კანონმდებლობა, საზღვრების სტატუსი, რეჟიმი და დაცვა, ტერიტორიული წყლების, საჰაერო სივრცის, კონტინენტური შელფის დაცვა, კანონმდებლობა საქართველოს მოქალაქეობის შესახებ, სახელმწიფოს თავდაცვა და უშიშროება, სამხედრო ძალები, შეიარაღება, ომისა და ზავის საკითხები, საგარეო პოლიტიკა და საერთაშორისო ურთიერთობანი, საბაჟო და სატარიფო რეჟიმები, ფინანსები, ენერგეტიკული სისტემა, სარკინიგზო და საავტომობილო გზები, ინტელექტუალური საკითხების კანონმდებლობა, წიაღისეული ბუნებრივი რესურსები და ა.შ.

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა არის ქვეყნის კონსტიტუციური უფლებამოსილება, ფლობდეს და განკარგავდეს საქართველოს ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივ მოწყობას, წყვეტდეს ქვეყნის საშინაო და საგარეო საკითხებს ვინმესაგან ჩაურევლად, სახელმწიფოს ძირითადი კანონის – კონსტიტუციის პრინციპების დაცვით.

ობიექტური მხარე დანაშაულისა გამოიხატება სწორედ მასში, რომ დამნაშავე კონსტიტუციის საწინააღმდეგო მოლაპარაკებას აწარმოებს უცხოეთის სახელმწიფოსთან, უცხოეთის ორგანიზაციასთან ან მათ წარმომადგენლებთან იმ საკითხებზე, რომ შეზღუდოს საქართველოს სუვერენიტეტი, ე.ი. კონსტიტუციური, სახელმწიფოებრივი უფლებამოსილება, შეავიწროოს მისი დამოუკიდებლობა, რათა ქვეყანამ თავისი კონსტიტუციური ნების მიხედვით ვეღარ მოახერხოს კონსტიტუციის მეორე მუხლის ჩამონათვალიდან თუნდაც ერთი პუნქტის განხორციელება. კერძოდ: ვერ იქონიოს თავის სრულ გამგებლობაში, ან შექმნას კანონმდებლობა საქართველოს მოქალაქეობის, ადამიანთა უფლებათა და თავისუფლებათა შესახებ, საქართველოს საზღვრების სტატუსის რეჟიმის, დაცვის თაობაზე, ტერიტორიული წყლების, საჰაერო სივრცის, განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის სტატუსის, სახელმწიფოს თავდაცვისა და უშიშროების, სამხედრო ძალების, ომისა და ზავის საკითხების, საგარეო პოლიტიკის, საერთაშორისო ურთიერთობათა და ა.შ.

როგორც ვხედავთ, პირველი ნაწილის შემადგენლობა მხოლოდ მოლაპარაკებით მთავრდება. კვალიფიკაციისათვის შედეგს მნიშვნელობა არ აქვს.

მოლაპარაკების წარმოება შეიძლება პირისპირ, მიმოწერებით, წარმომადგენლის დახმარებით და ა.შ. მოლაპარაკებაში იგულისხმება მხარეთა ურთიერთ აზრის გაცვლა, დანაშაულის განხორციელების შესაძლებლობის, საშუალებებისა და მოსალოდნელი შედეგების შესახებ.

მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს დანაშაულის კვალიფიციურ გარემოებას, რომელიც გამოიხატება უფრო ღია ფორმაში - დამნაშავე უცხო სახელმწიფოებთან ან უცხოეთის ორგანიზაციებთან დებს ხელშეკრულებას, რომელშიაც ღიად ან შეპარვით შეტანილია ისეთი პირობები, რომელიც ზღუდავს საქართველოს დამოუკიდებლობას, მის სუვერენიტეტს ან საფრთხეს უქმნის სხვა ქვეყნებთან მშვიდობიან თანაარსებობას. ამავე ნაწილში კანონმდებელი ითვალისწინებს დანაშაულის კიდევ ერთ შემადგენლობას — სხვა პირისადმი რწმუნების მინიჭებას ამგვარი, ანტიკონსტიტუციური ხელშეკრულების დადების მიზნით.

ანტიკონსტიტუციური ხელშეკრულების დადება ნიშნავს მხარეთა შორის ისეთ შეთანხმებას, რომელიც ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითადი კანონის პრინციპულ სახელმწიფოებრივ ინტერესს, მის დებულებებს. მაგალითად, საქართველოს საზიანოდ გადაწყდეს სახელმწიფოს საზღვრების სტატუსი, თავდაცვისა და უშიშროების პრობლემები და ა.შ.

ობიექტი დანაშაულისა არის საქართველოს კონსტიტუციური წყობილება.

ობიექტური მხრივ დანაშაული გამოიხატება უცხოეთთან ისეთი მოლაპარაკების გამართვასა ან ხელშეკრულების დადებაში, რომელიც ზღუდავს საქართველოს სუვერენიტეტს, სახელმწიფო დამოუკიდებლობას, საფრთხეს უქმნის სხვა ქვეყნებთან მშვიდობიან თანაარსებობას, ანდა რწმუნების მინიჭებაში სხვა პირის მიმართ, რომელიც დადებს ამგვარ ხელშეკრულებას.

სუბიექტი დანაშაულისა შეიძლება იყოს სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელი, რომელსაც აქვს უფლებამოსილება, მოლაპარაკება აწარმოოს ან ხელშეკრულება დადოს უცხო სახელმწიფოებთან ან მათ ორგანიზაციებთან, ან საამისო რწმუნება მიანიჭოს პირს.

ამსრულებელი მხარე გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში — დამნაშავეს შეგნებული აქვს მოლაპარაკებით, ხელშეკრულების დადებით

რწმუნების მინიჭების მიზანი, იცის, რომ ამით შეიზღუდება ქვეყნის სუვერენიტეტი, გართულდება ურთიერთობა სხვა ქვეყნებთან, მაგრამ შეგნებულად ჩადის ამას და სურს ეს.

საქართველოს საგარეო უშიშროების ხელოვნება – მუხლი 310

საქართველოს კონსტიტუციის მესამე მუხლის თანახმად, მხოლოდ საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება საგარეო პოლიტიკის გატარება და მისი უშიშროების დაცვა.

სისხლის სამართლის კოდექსის განსახილველი მუხლი, სამი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილის შინაარსი ასეთია:

„საქართველოს საგარეო უშიშროების საზიანოდ უცხო ქვეყნის ან უცხოეთის ორგანიზაციის სამხედრო სამსახურში შესვლა, აგრეთვე ასეთი ქმედების ჩასადენად სხვისი დაყოლიება“.

„უცხო სახელმწიფოს“ სამსახურში შესვლა გულისხმობს საქართველოს საზიანოდ უცხოეთის ნებისმიერ საინფორმაციო სამსახურთან საქმიანობას, რათა გასცეს მათთვის საჭირო საქართველოს სახელმწიფო საიდუმლოებანი – მისი პოლიტიკური თუ სამხედრო ძლიერების შესუსტების მიზნით.

ტერმინი „შესვლა“ ნიშნავს დათანხმებას, რეგულარულად ან პერიოდულად, წერილობით ან სიტყვიერად ან სხვაგვარად მიაწოდოს მათ ცნობები საქართველოს საშინაო თუ საგარეო საქმიანობის იგრვლივ.

უცხოეთის ორგანიზაციის სამხედრო სამსახურში შესვლა ნიშნავს დამნაშავის მიერ უცხოეთის სამხედრო ორგანიზაციისათვის სამხედრო და სხვა საიდუმლოებათა მიწოდებას, რაც ძირს უთხრის საქართველოს სამხედრო საიდუმლოებასა და ძლიერებას. ცნობები შეიძლება მოიცავდეს ახალი სამხედრო ტექნიკის, ჯარების მანევრირების მდგომარეობის, მისი შეიარაღებისა და განლაგების საკითხებს, ასევე ამა თუ იმ ქვეყანასთან დამოკიდებულების, მომავალი სახელმწიფო გეგმების თაობაზე ინფორმაციებს და ა.შ. რითაც დამნაშავე ცდილობს, უცხო სახელმწიფოსათვის ნათელი გახადოს ქვეყნის ნაბიჯები საქართველოს საგარეო ურთიერთობის სფეროში.

„ასეთი მოქმედების ჩასადენად სხვის დაყოლიებაში“ კანონმდებელი გულისხმობს დამნაშავის მოქმედებას, რითაც იგი აქეზებს საქართველოს მოქალაქეს, უკიჟინებს, აწონებს, უქებს უცხოეთის სახელმწიფოს ან უცხოეთის ორგანიზაციის სამხედრო სამსახურში შესვლას და აღწევს კიდევაც მის გადაბირებასა და თანხმობას.

კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არ აქვს, დამნაშავემ გასცა თუ არა საქართველოს სახელმწიფო და სამხედრო საიდუმლოება ან ასეთი ქმედების ჩასადენად პირის დაყოლიების დროს თვითონ დამყოლიებელი იყო თუ არა ჩაბმული უცხო სახელმწიფოს სამსახურში.

ობიექტი დანაშაულისა არის საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლება, კონსტიტუციური წყობილება.

ობიექტური მხარე დანაშაულისა გამოიხატება საქართველოს საგარეო უშიშროების საზიანოდ უცხო სახელმწიფოს ან უცხოეთის ორგანიზაციის სამხედრო სამსახურში შესვლით ან ასეთი სამსახურში შესვლისათვის სხვისი დაყოლიებით, გადმობირებით.

ამსრულებელი დანაშაულისა შეიძლება იყოს ნებისმიერი მოქალაქე, რომელსაც შესწევს უნარი, შევიდეს უცხო სახელმწიფოს ან უცხოეთის ორგანიზაციის სამხედრო სამსახურში და იმოქმედოს ჩვენი ქვეყნის საგარეო უშიშროების საზიანოდ ან სხვა დაიყოლიოს ასეთი მოქმედების ჩასადენად.

სუბიექტური მხარე გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში — დამნაშავე შედის უცხო სახელმწიფოს სამსახურში, ჩადის საქართველოს საგარეო უშიშროების საზიანო ქმედებას და სურს ეს.

ამავე მუხლის მეორე ნაწილის შინაარსი ასეთია: „უცხო ქვეყანასთან ან უცხოეთის ორგანიზაციასთან ისეთი ურთიერთობის დამყარება, რომლის მიზანია საქართველოს წინააღმდეგ საომარი მოქმედების ან აგრესიის სხვა აქტის მომზადება, განხორციელება, აგრეთვე სხვაგვარი მოქმედება ასეთი აქტის პროვოკაციის მიზნით“. აქ სრულიად სხვა არის სუბიექტის განზრახვა და მიზანი. იგი საქართველოს საზიანოდ შედის უცხო სახელმწიფოსთან ან უცხოეთის ორგანიზაციასთან ისეთ ურთიერთობაში, რაც მიზნად ისახავს საქართველოს წინააღმდეგ საომარი მოქმედებისა თუ აგრესიული აქტის მომზადებას ან განხორციელებას, აგრეთვე სხვაგვარ მოქმედებას ასეთი აქტის პროვოკაციის მიზნით.

აგრესია არის სახელმწიფოს მიერ შეიარაღებული ძალის

გამოყენება სხვა სახელმწიფოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის თუ პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ.

დამნაშავის მოქმედება გამოიხატება მას'ში, რომ იგი უცხო სახელმწიფოს აწვდის ცნობებს საქართველოს სამხედრო პოტენციალის შესახებ. არწმუნებს, რომ მისი სამხედრო სიძლიერე ვერ მოიგერიებს მტრის შეტევებს, რომ საქართველო ისტორიულად შეჰრილია მის ტერიტორიაზე და ა.შ.

აგრესიის მომზადებაში იგულისხმება თავდასხმისათვის სამხედრო ძალებისა და საშუალებების მიზნობრივი განლაგება, შეიარაღებული თავდასხმისა და მისი სტრატეგიულ-ტაქტიკური განვითარების დაგეგმვა. განხორციელებაში კი — საომარი მოქმედების დაწყება და მისი განვითარება გეგმის შესაბამისად და ა.შ.

ობიექტი დანაშაულისა არის საქართველოს საგარეო უშიშროება.

ობიექტური მხარე გამოიხატება საქართველოს წინააღმდეგ რომელიმე ქვეყნისაგან აგრესიული ომის დაწყებაში ან ასეთის მომზადებაში.

ამსრულებელი დანაშაულისა არის საქართველოს მოქალაქე, თანამდებობის პირი, რომელსაც ხელეწიფება ამგვარი მოლაპარაკება და ურთიერთობის დამყარება სხვა ქვეყანასთან (სამხედრო ხელმძღვანელი, საკანონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელი მუშაკი და ა.შ.).

სუბიექტური მხარე დანაშაულისა გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში. დამნაშავეს შეგნებული აქვს უცხო სახელმწიფოსთან საქართველოს საწინააღმდეგო ურთიერთობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათი და სურს ეს.

მუხლის მესამე ნაწილი პასუხისმგებლობას აწესებს, როდესაც პირველი ან მეორე ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულს მოჰყვება მძიმე შედეგი — საომარი მოქმედების განხორციელება საქართველოს წინააღმდეგ, მისი ტერიტორიის მთლიანი ან ნაწილობრივი აგრესია და ა.შ.

უცხოეთის სადაზვერვო სამსახურში შესვლა – მუხლი 311

მუხლი ერთი ნაწილისაგან შედგება და ძალიან მარტივ დისპოზიციას გვთავაზობს. მისი შინაარსი ასეთია: „უცხოეთის სადაზვერვო სამსახურში შესვლა ან საქმიანობა საქართველოს წინააღმდეგ“.

სადაზვერვო სამსახურის ვალდებულებაა, განახორციელოს საიდუმლო ღონისძიებათა ერთობლიობა, რომლის მიზანია სადაზვერვო ობიექტის ყოველმხრივი შესწავლა, მის ირგვლივ საჭირო ცნობების მიღება, მათი ღრმად გაანალიზება, შეფასება და მართებული გადაწყვეტილებების მიღება. სადაზვერვო სამსახურის ძირითადი ყურადღება გამახვილებულია, რათა მოიპოვოს ინფორმაციები სხვა ქვეყნის პოლიტიკური და დიპლომატიური მიმართულებების, ჯარების მდგომარეობის, მათი მოქმედებისა და განზრახვის, ადგილმდებარეობის, ეკონომიკის, ტექნიკური სიახლეების და სხვა გარემოებების შესახებ.

ამსრულებელი, რომელიც უცხოეთის სადაზვერვო სამსახურში შევა, სწორედ მის ხელთ არსებულ საინტერესო ინფორმაციას მიაწოდებს უცხოეთის სადაზვერვო სამსახურს, რათა იმ უცხო ქვეყანამ იოლად განახორციელოს მტრული საქმიანობა საქართველოს წინააღმდეგ.

ობიექტი დანაშაულისა არის საქართველოს კონსტიტუციური წყობილება და უშიშროების საფუძვლები.

ობიექტური მხარე გამოიხატება უცხოეთის სადაზვერვო სამსახურში შესვლით საქართველოს წინააღმდეგ მტრული საქმიანობისათვის.

ამსრულებელი დანაშაულისა შეიძლება იყოს ნებისმიერი მოქალაქე, რომელსაც სურვილი აქვს, შევიდეს უცხოეთის სადაზვერვო სამსახურში საქართველოს წინააღმდეგ მტრული საქმიანობისათვის და შესწევს უნარი ასეთი საქმიანობისა.

კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არ აქვს, დამნაშავემ მოასწრო თუ არა უცხო სახელმწიფოს სადაზვერვო სამსახურისათვის ცნობების მიწოდება ან მათ გამოიყენეს თუ არა მიწოდებული ინფორმაციები.

სუბიექტური მხარე გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში –

დამნაშავეს შეგნებული აქვს მისი მოქმედების საზოგადოებრივი საშიშროება, გამიზნული აქვს საქართველოს წინააღმდეგ მტრული საქმიანობა, ამ მიზნით შედის უცხოეთის სადაზვერვო სამსახურში და სურს ეს.

საქართველოს თავდაცვისუნარიანობის ხელყოფა – მუხლი 312

1997 წლის 31 ოქტომბრის კანონი „საქართველოს თავდაცვის შესახებ“ პირველ მუხლში განსაზღვრავს საქართველოს თავდაცვის საფუძვლებსა და ორგანიზაციას, თავდაცვის სფეროში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა, თანამდებობის პირთა და მოქალაქეთა უფლებებსა და მოვალეობებს.

„საქართველოს თავდაცვა – განმარტავს კანონის მეორე მუხლი – პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამხედრო, სოციალურ, სამართლებრივ და სხვა ღონისძიებათა ერთობლიობაა, რაც უზრუნველყოფს სახელმწიფოს, საქართველოს მოსახლეობის ტერიტორიისა და სუვერენიტეტის დაცვას შეიარაღებული თავდასხმისაგან.

საქართველოს თავდაცვა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების შემადგენელი ნაწილი და მისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა. თავდაცვის ორგანიზაცია ხორციელდება საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს კანონმდებლობისა და საქართველოს სამხედრო დოქტრინის შესაბამისად“.

მუხლი სამი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი პასუხისმგებლობას აწესებს საქართველოს თავდაცვისუნარიანობის საზიანოდ „ქვეყნისათვის, უცხოეთის ორგანიზაციისათვის ან მათი წარმომადგენლისათვის საქართველოს სამხედრო ნაწილის, ტექნიკისა ან თავდაცვის სხვა საშუალების უკანონო გადაცემის“ გამო.

საზოგადოებრივი საშიშროება ამ დანაშაულისა მდგომარეობს მასში, რომ დამნაშავე, საქართველოს სამხედრო სიძლიერის შესუსტების მიზნით, უკანონოდ გადასცემს მის ტექნიკას თუ თავდაცვის სხვა საშუალებას უცხოეთის ორგანიზაციებს.

გაცემა შეიძლება მოხდეს თვალთმაქცურად – ვითომ შესატ-

ყვის საგნებში გაცვლით, ჩუქებით – დახმარების ან რაიმე დღესასწაულის აღნიშვნასთან დაკავშირებით და ა.შ.

სამხედრო ტექნიკაში კანონმდებელი გულისხმობს საბრძოლო საშუალებებს, იარაღებს, ფეთქებად მასალებს, როგორც ცოცხალი ძალის გასანადგურებლად, ასევე სხვა ზიანმისათვის. თავდაცვის სხვა საშუალების უკანონო გაცემაში შეიძლება ვიგულისხმოთ ისეთი სამხედრო ტექნიკა, როგორიცაა სატრანსპორტო საშუალებები, ავტომანქანები, მძიმე საზიდრები, სადაზვერვო ლოკატორები და ა.შ.

ობიექტი დანაშაულისა არის საქართველოს კონსტიტუციური წყობილება, საგანი კი საბრძოლო ან სხვა ტექნიკური აღჭურვილობა.

ობიექტური მხარე გამოიხატება ტექნიკისა და თავდაცვის სხვა საშუალების უკანონო გადაცემაში.

ამსრულებელი დანაშაულისა შეიძლება იყოს სამხედრო ან სახელმწიფო სტრუქტურების სხვა პასუხსაგები თანამდებობის პირი, რომელსაც თანამდებობრივად აქვს შესაძლებლობა გადასცეს სამხედრო, საბრძოლო თუ სხვა ტექნიკა უცხოეთის სახელმწიფო ორგანიზაციებს ან მათ წარმომადგენლებს.

სუბიექტური მხარე დანაშაულისა გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში – დამნაშავეს შეგნებული აქვს მისი ქმედების საშიშროება საქართველოს თავდაცვისუნარიანობის საზიანოდ და სურს ეს.

მუხლის მეორე ნაწილი სასჯელს აწესებს, როცა დამნაშავემ საქართველოს თავდაცვისუნარიანობის შესუსტების მიზნით გაანადგურა ან დააზიანა საქართველოს სამხედრო ტექნიკა ან სამხედრო ობიექტი, მწყობრიდან გამოიყვანა ან გაანადგურა თავდაცვითი მნიშვნელობის სხვა საწარმო, ხელი შეუშალა დაწესებულების, ორგანიზაციის ან სამსახურის ნორმალურ ფუნქციონირებას.

სამხედრო ტექნიკის ან სამხედრო ობიექტის ცნებაში კანონმდებელი გულისხმობს საბრძოლო ან სხვა ტექნიკას, ანდა სამხედრო წარმოების ობიექტს.

განადგურებაში ნაგულისხმევია მისი ფუნქციის სრული, აღუდგენელი მოშლა.

დაზიანებაში იგულისხმება მისი ფუნქციის ნაწილობრივი მოშლა, რომლის აღდგენა შეიძლება მიმდინარე შეკეთებით, მწყობრიდან გამოყვანაში – სამხედრო დანიშნულების განხორციელების შეუძლებლობა.

სამხედრო ან თავდაცვითი მნიშვნელობის სხვა საწარმოში

კანონმდებელი გულისხმობს სამხედრო საჭიროების ხელსაწყოების ან ჰურვების დამამზადებელ საწარმოებს, ასეთივე მნიშვნელობის დაწესებულებებში და ორგანიზაციებში იგულისხმება სხვადასხვა გამომთვლელი, ოპერატიული, ეკონომიკური ხასიათის სამხედრო დაწესებულებანი და ა.შ.

ნორმალური ფუნქციონირებისათვის ხელს შეშლა ისეთი მოქმედებაა სუბიექტისა, რომელიც აფერხებს საწარმოს, ორგანიზაციის ან დაწესებულების მოვალეობის სრული განხორციელების შესაძლებლობას. მაგალითად, სამხედრო რადიო-ლოკატორული ან სინოპტიკური სადგურების მუშაობაში იმგვარი ხელის შეშლა, რომ ამ ორგანიზაციებმა ვერ გამოთვალონ სამხედრო ოპერაციების ჩატარებისათვის საჭირო დრო და ამინდი, ქიმიურმა საწარმომ ვერ დაამზადოს საჭირო თვისებების მასალები და ა.შ.

მეორე ნაწილში გათვალისწინებულ კნებას დამნაშავე სამხედრო ტექნიკისა და სამხედრო ობიექტების პირდაპირი მსხვრევითა და ხანძრით კი არ ჩადის, არამედ თვალთმაქცურად, შეპარვით, კერძოდ: არასწორი მოვლა-პატრონობით, ექსპლოატაციის წესების უხეში დარღვევით და ა. შ.

სამხედრო ან თავდაცვითი მნიშვნელობის სხვა საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ან სამსახურის ნორმალური ფუნქციონირებისათვის ხელის შეშლაში იგულისხმება ნედლეულის მიუწოდებლობა, ტექნოლოგიური პროცესების დაბალი დონე, ელექტროენერგიის ხშირი ამორთვა, სამუშაო პირობების მინიმუმამდე დაქვეითება და ა.შ.

მუხლის მესამე ნაწილი პასუხისმგებლობას აწესებს, თუ პირველი ან მეორე ნაწილით გათვალისწინებული ქმედება ჩადენილია ომიანობის ან შეიარაღებული კონფლიქტის დროს, აგრთვე თუ მას ადამიანთა მსხვერპლი ან სხვა მძიმე შედეგი მოჰყვა.

ომი — ორ ან რამდენიმე ქვეყანას შორის სამხედრო შეიარაღებული შეტაკებაა, სადაც გეგმიურად მონაწილეობს ქვეყნის მთელი შეიარაღებული ძალები.

შეიარაღებული კონფლიქტი მცირე ძალთაშორისი საბრძოლო შეტაკებაა, მცირე დროის მონაკვეთსა და მცირედი ტექნიკის გამოყენებით.

ან სხვა მძიმე შედეგში იგულისხმება მატერიალური ზარალი — ნათესების, ტყეების, შენობების გადაწვა, დანგრევა და ა.შ.

1996 წლის 29 ოქტომბრის კანონი „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს საინფორმაციო სუვერენიტეტთან და ინფორმაციის სფეროში საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო პრინციპებიდან გამომდინარეა. იგი არეგულირებს ინფორმაციის სახელმწიფო საიდუმლოდ მიჩნევასთან, მის დასაიდუმლოებასა და დაცვასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს ქვეყნის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერესების დასაცავად თავდაცვის, ეკონომიკის, საგარეო ურთიერთობის, სახელმწიფო უშიშროებისა და მართლწესრიგის დაცვის სფეროში, რომელთა გამჟღავნებას ან დაკარგვას შეუძლია დააზიანოს საქართველოს სუვერენიტეტი, კონსტიტუციური წყობილება, პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები, რაც ამ კანონით დადგენილი წესით აღიარებულია სახელმწიფო საიდუმლოებად და ექვემდებარება სახელმწიფო დაცვას. კანონი განსაზღვრავს ინფორმაციის საიდუმლოებად მიჩნევის, მათი გამგებლობის, დაცვის და სხვა წესებს. 38-ე მუხლი განმარტავს, რომ პირს, რომელიც დაარღვევს ამ მუხლით განსაზღვრულ სახელმწიფო საიდუმლობის დაცვის ვალდებულებას ან არ დაიცავს სხვა სახელმწიფოსათვის სახელმწიფო საიდუმლოების გადაცემის შეზღუდვებს, დაეკისრება კანონით განსაზღვრული პასუხისმგებლობა.

მუხლი, რომელიც ამ კანონის მოთხოვნებს იცავს სისხლის სამართლის წესით, ორი ნაწილისაგან შედგება.

პირველი ნაწილის შინაარსი ასეთია: „სახელმწიფო საიდუმლოების გაცემა, ე. ი. საქართველოს სახელმწიფო ინტერესის საზიანოდ უცხო ქვეყნისათვის, უცხოეთის ორგანიზაციისათვის ან მათი წარმომადგენლისათვის საქართველოს სახელმწიფო საიდუმლოების მიწოდება ან მისი საჯაროდ გამჟღავნება, აგრეთვე ამავე მიზნით სხვა ქმედება, რომელიც სახელმწიფო საიდუმლოებას გარეშესათვის ხელმისაწვდომს ხდის, ჩადენილი იმის მიერ, ვინც ასეთი საიდუმლოება იცოდა თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამო ან ვისაც ეს გაანდეს განსაკუთრებულ გარემოებასთან დაკავშირებით“.

სახელმწიფოს ღალატის ეს ფორმა წარმოადგენს საქართველოს მოქალაქის მიერ სახელმწიფო და სამხედრო საიდუმლოების შემცველი ცნობების გაცემას, რომელიც სამსახურებრივად ან სხვა მიზეზის გამო მის განმგებლობაში იყო. მუხლის პირველი ნაწილი

პასუხისმგებლობას აწესებს სახელმწიფო საიდუმლოების ნებისმიერი ფორმით გამჟღავნებისათვის, როდესაც სუბიექტი, სახელმწიფოს ინტერესების საზიანოდ, უცხო სახელმწიფოს, უცხოეთის ორგანიზაციებს ან მათ წარმომადგენლებს გადასცემს საქართველოს სახელმწიფო საიდუმლოებას ან საჯაროდ გამოამჟღავნებს მას, ანდა ამავე მიზნით ჩაიდენს სხვა ქმედებას, რომლითაც სახელმწიფო საიდუმლოება გარეშე პირისათვის ხელმისაწვდომი ხდება და როცა ეს საიდუმლოება დამნაშავისათვის ცნობილი იყო სამსახურებრივი მდგომარეობის გამო ან განდობილი ჰქონდა განსაკუთრებულ გარემოებასთან დაკავშირებით. მაგალითად, საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლის მიერ რომელიმე ქვეყანასთან ურთიერთობის საიდუმლოების გაცემა, სამხედრო შენაერთის უფროსის მიერ ჯარების მანევრირების საიდუმლოების თქმა საქვეყნოდ და სხვა.

ცნობებად მიიჩნევა სამხედრო, საგარეო პოლიტიკური, ეკონომიკური, სადაზვერვო, კონტრსადაზვერვო, ოპერატიულ-სამძებრო და სხვა საიდუმლოების შემცველი ცნობები, რომელთა გაბმაურებამ შეიძლება დააზიანოს საქართველოს უშიშროება. ჩამოთვლილი ცნობების და მისთანების საიდუმლოდ აღიარება დამტკიცებულია საქართველოს პრეზიდენტის მიერ. სახელმწიფოში მეცნიერების, ტექნიკის შემდგომი განვითარებიდან გამომდინარე ცნობათა ჩამონათვალი განიცდის ცვალებადობას, მაგრამ ერთი ცხადი და უცვლელია — მისი გამჟღავნება აზიანებს საქართველოს სახელმწიფოს ინტერესებს.

სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ცნობების გადაცემა უცხო სახელმწიფოს წარმომადგენლებისადმი ხორციელდება სხვადასხვა საშუალებებით: ზეპირად, წერილობით, სქემებით, დიაგრამებით, სახეობრივი ნაკეთობებით, ტელე-ვიდეო და აუდიოტექნიკით და ა.შ.

საზოგადოებრივი საშიშროება ამ დანაშაულისა მდგომარეობს სახელმწიფოს ძლიერებისადმი დაზიანებაში.

ჯაშუშობისაგან განსხვავებით, დამნაშავე ცნობებს არ აგროვებს სხვადასხვა წყაროებიდან, რადგან იგი ასეთს ფლობს სამსახურებრივად ან გაანდეს რაიმე გარემოებასთან დაკავშირებით. დანაშაული შეიძლება განავითარდეს შემდეგ სტადიებად:

1) დანაშაულის მომზადება. ეს აქტი გულისხმობს დანაშაულის გეგმის შემუშავებას, თანამონაწილეების შერჩევას, პირობების

შესწავლას, უცხოეთის სახელმწიფოს წარმომადგენლებთან კონტაქტის დამყარებას და ა.შ.

2) დანაშაულის განხორციელება – ეს არის ცნობის გადაცემის აქტი, როდესაც საქართველოს სახელმწიფო საიდუმლოება ცნობილი უნდა გახდეს უცხოეთისათვის.

დანაშაული დამთავრებულად ითვლება ცნობების გადაცემისთანავე.

ობიექტი დანაშაულისა არის საქართველოს უშიშროების საფუძვლები და კონსტიტუციური წყობილება.

ობიექტური მხარე გამოიხატება ცნობების გადაცემაში.

ამსრულებელი დანაშაულისა შეიძლება იყოს პირი, რომელსაც სამსახურებრივად აბარია სახელმწიფო საიდუმლოება ან რაიმე განსაკუთრებული გარემოებების გამო გაანდეს მას.

სუბიექტური მხარე გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში – დამნაშავეს შეგნებული აქვს საიდუმლოების გაცემის საზიანო შედეგი, მისი სიმძიმე და სურს ასეთი.

მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს, თუ პირველ ნაწილში ჩამოთვლილი ქმედება განხორციელდა ომიანობის დროს, ან რამაც მძიმე შედეგი გამოიწვია.

მძიმე შედეგში კანონმდებელი გულისხმობს გაცემული ცნობის საფუძველზე მტრის ძალების მოქნილ მანევრირებას, გამანადგურებელი დარტყმების განვითარებას, სახელმწიფოს პოლიტიკური, ეკონომიკური, დიპლომატიური გეგმების ჩაშლას და ა. შ.

ჯაშუშობა – მუხლი 314

განსახილველი მუხლის დისპოზიცია საგრძნობლად განსხვავდება ძველი კოდექსის შესატყვისი 66-ე მუხლისაგან. იგი მხოლოდ საიდუმლო ცნობების გადაცემის თაობაზე ამახვილებდა ყურადღებას. თანამედროვე 314-ე მუხლი კი ჯაშუშობად თვლის: „უცხო ქვეყნისათვის, უცხოეთის ორგანიზაციის ან მათი წარმომადგენლისათვის საქართველოს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ნივთის, დოკუმენტის, ცნობის ან სხვაგვარი მონაცემის შეგროვება, შენახვა, აგრეთვე საქართველოს ინტერესების საზიანოდ უცხო ქვეყნის დაზვერვის ან უცხოეთის ორგანიზაციის დავალებით სხვა ინფორმაციის შეგროვება ან გადაცემა, ანდა გამოძალვა ან გატაცება მათთვის გადაცემის მიზნით.“

სახელმწიფო საიდუმლოების შემცველად ითვლება ყველა ის

ინფორმაცია, რომელიც მიჩნეულია სახელმწიფო საიდუმლოებად 1996 წლის 29 ოქტომბრის კანონით სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ. იგი ყურადღებას ამახვილებს ისეთი ცნობების საიდუმლოების მტკიცედ დაცვაზე, როგორიც არის სახელმწიფო თავდაცვა და უშიშროება, სამხედრო ძლიერება, სამხედრო მრეწველობა, იარაღით ვაჭრობა, საგარეო და საერთაშორისო ურთიერთობანი და სხვა მრავალი.

იმ ინფორმაციებში რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას, იგულისხმება ნებისმიერი ხასიათის ცნობა, რომელიც შეიძლება შეეხებოდეს ქვეყნის ეკონომიკას, სხვადასხვა სტატისტიკურ მონაცემებს, მსხვილი სარკინიგზო მაგისტრალების განლაგებას, ტრანსპორტის განვითარებას და ა.შ. მსგავსი ცნობები იკრიბება უცხოეთის დაზვერვის სამსახურის მიერ მომავალი ამოცანების გადასაწყვეტად - საჭიროების შემთხვევაში დივერსიისათვის ან სხვა მიზნით.

ჯაშუშობა, გარდა იმისა, რომ ხელყოფს საქართველოს კონსტიტუციურ წყობილებას და სახელმწიფო უშიშროებას, არაიშვიათად ქმნის პირობებს, ჩადენილი იქნეს ისეთი მძიმე დანაშაულობები, როგორიც არის მკვლელობა, გამოძალვა, გატაცება და სხვა.

განსახილველი მუხლის დისპოზიციის მიხედვით, ჯაშუშობაში შედის ,,ცნობების გადაცემა, შეგროვება, შენახვა, გამოძალვა ან გატაცება გადაცემის მიზნით".

ცნობების გადაცემა არის შეტყობინება ადრესატისათვის ნებისმიერი ხერხით (სიტყვით, წერილობით, ტექნიკური ხერხების გამოყენებით და ა.შ.).

შეგროვება არის ცნობების შეძენა და თავმოყრა გადაცემამდე ამა თუ იმ ობიექტის ირგვლივ.

გატაცება - ეს არის ცნობების იძულებითი დაუფლება, როგორც ფარულად, ასევე აშკარად.

შენახვა არის ცნობის საიდუმლო ადგილზე მოთავსება ისე, რომ სხვა ხელი და თვალი ვერ მისწვდეს.

ჯაშუშური ქმედება შეიძლება ჩადენილი იქნეს როგორც დავალებით, ასევე პირადი ინიციატივით. ქმედება დამთავრებულად ჩაითვლება რომელიმე ხსენებული მაკვალიფიცირებელი მოქმედების განხორციელებისთანავე.

კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არ აქვს, ცნობა გამოიყენეს თუ არა საქართველოს საზიანოდ.

სუბიექტური მხარე ჯაშუშობისა ხასიათდება პირდაპირი განზრახვით – ე. ი. სუბიექტს შეგნებული აქვს მისი მოქმედების საზოგადოებრივად საშიში ხასიათი და სურს მისი განხორციელება. მიზანი და მოტივი დანაშაულისა მრავალი სახისა შეიძლება იყოს: ანგარება, მტრობა და ა. შ. მას კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არ აქვს.

ამსრულებელი დანაშაულისა არის მხოლოდ უცხო ქვეყნის მოქალაქე, ან მოქალაქეობის არმქონე პირი.

ობიექტი – საქართველოს სახელმწიფოებრივი უშიშროების საფუძვლები.

ობიექტური მხარე – საქართველოს საზიანოდ საიდუმლო ცნობების გადაცემა უცხოეთის სახელმწიფოსადმი.

მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს იგივე ქმედებისათვის თუ იგი ჩადენილია ომიანობის ან შეიარაღებული კონფლიქტის დროს, ან რასაც საქართველოს ინტერესებისათვის მძიმე შედეგი მოჰყვა.

მძიმე შედეგში შეიძლება ვიგულისხმოთ მიწოდებული ცნობების საფუძველზე საქართველოს ჯარის ნაწილებზე გამანადგურებელი დარტყმები, სამხედრო ტექნიკის ხელში ჩაგდება, პოლიტიკური და დიპლომატიური ურთიერთობების ჩაშლა და ა. შ.

შეთქმულება ან ამბოხება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად – მუხლი 315

მოცემული დანაშაული ხელყოფს იმ ძირითად კონსტიტუციურ საფუძვლებს, რომელზედაც აღმოცენებულია, დაყრდნობილია სახელმწიფო ხელისუფლების ძირითადი პრინციპები.

„საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი. სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში.

ხალხი თავის ძალაუფლებას ახორციელებს რეფერენდუმის, უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმებისა და თავისი წარმომადგენლების მეშვეობით.

არავის არ აქვს უფლება, მიითვისოს ან უკანონოდ მოიპოვოს ხელისუფლება.“[1]

1. საქ. კონსტიტუცია, თბ., 1996, მუხ. 5

განსახილველი მუხლი სამი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი ასეთი შინაარსის არის: „შეთქმულება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად, სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად ან ხელში ჩასაგდებად.“

შეთქმულებაში კანონმდებელი გულისხმობს ფანამაზრეთა თეორიული და პრაქტიკული საქმიანობის გაერთიანებისათვის მოლაპარაკებას და შეთანხმებას, თუ როგორ განახორციელონ საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შეცვლა.

როგორც მუხლის შინაარსიდან ჩანს, პირველი ნაწილის კრიმინალური დამახასიათებელი ნიშანია მხოლოდ შეთქმულება. შეთქმულებას აწყობს ადამიანთა გარკვეული გუნდი. იგი ხორციელდება საიდუმლოდ, იგეგმება კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შეცვლის მიზნით. პრაქტიკული საქმიანობა გამოიხატება ძალების, საშუალებების, დაწყების დროის, გავრცელების ზონის, მოქმედების ხერხების, ფარგლების შერჩევაში და ა. შ.

მუხლის მეორე ნაწილის დისპოზიცია ასეთია: „ამბოხება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად, სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად ან ხელში ჩასაგდებად.“

მუხლის მეორე ნაწილი პირველის პრაქტიკული განხორციელების საწყისია.

ამბოხება არის ადამიანთა მასების აზვირთება, აფეთქება, აბობოქრება, აჯანყება. ასეთი მოქმედება შეიძლება როგორც უიარაღოდ, ასევე იარაღით. რადგან დისპოზიცია ამბოხებას მოიხსენიებს, ცხადია, ჩვენ უნდა ვიგულისხმოთ შეიარაღებული ამბოხება ანუ შეიარაღებული აჯანყება.

კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შეცვლა ნიშნავს არსებული ხელისუფლების ამბოხებითი ძალადობით იძულებას შეცვალოს საქართველოს დემოკრატიული კონსტიტუციური წყობილება რომელიმე სხვა წყობილებით.

კონსტიტუციური წყობილების დამხობა ითვალისწინებს კონსტიტუციური წყობილების მთლიანად შეცვლას, მისი დამცველი სახელმწიფო აპარატისა და ხელისუფლების მთელი სისტემის გაყრას სახელმწიფო მმართველობიდან, ხელში ჩაგდება კი ნიშნავს ძალადობის გამოყენებით სახელმწიფო მართვის სადავეების სრულ დაუფლებას დამნაშავის მიერ.

მუხლის მესამე ნაწილი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს

მაშინ, თუკი მეორე ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებას გაუფრთხილებლობით ადამიანის დაღუპვა ან სხვა მძიმე შედეგი მოჰყვა.

შენიშვნის სახით მინდა გამოვთქვა, რომ არ მგონია ამბოხებას, ძალადობას და დამხობას ადამიანის დაღუპვა გაუფრთხილებლობით მოჰყვეს. ჩვენის აზრით, მუხლის ეს ნაწილი ახლებურად რედაქტირებას საჭიროებს, თუ კანონმდებელი ვინმე ნეიტრალური პირის შემთხვევით დაღუპვას არ ითვალისწინებს.

ობიექტი დანაშაულისა არის საქართველოს კონსტიტუციური წყობილება.

პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული დამთავრებულად ითვლება შეთქმულებისათვის შეკრებისთანავე (შეთქმულების დამთავრებას კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არ აქვს), მეორე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული კი ამბოხების დაწყებისთანავე, ხოლო მესამე ნაწილი — გაუფრთხილებლობით ადამიანის სიკვდილისთანავე. ობიექტური მხარეც ამავე ნიშნებით ხასიათდება.

შეთქმულების ორგანიზაცია ნიშნავს ორგანიზატორის მოქმედებას, შეარჩიოს ადამიანთა მნიშვნელოვანი ოდენობა, შეიძინოს საჭირო იარაღები და საშუალებები, დაგეგმოს ამბოხების მოწყობისა და განხორციელების მიმდინარეობა, დრო, ადგილი, მასშტაბი და ა. შ. აქტიურ მონაწილეობაში იგულისხმება რომელიმე ტერიტორიაზე დამოუკიდებელი თვითმმართველობის გამოცხადება, ხელისუფლების წარმომადგენელთა ხელში ჩაგდება, თანამდებობის პირთა მიმართ რეპრესიული დამოკიდებულება, ნამდვილი ხელისუფლების მოწოდებაზე დაუმორჩილებლობა და ა. შ.

სუბიექტური მხარე გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში, მოტივი შეიძლება იყოს იდეური შეუთანხმებლობა, სიძულვილი ამ კონსტიტუციური წყობისა. თუკი ასეთ მოქმედებას დამნაშავე ჩაიდენს უცხოეთის დაზვერვის დავალებით, მოქმედება დაკვალიფიცირდება სახელმწიფო ღალატით.

სამხედრო ხელმძღვანელობის უკანონოდ ხელში ჩაგდება ან კანონიერი ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობა – მუხლი 316

განსახილველი მუხლი სამი ნაწილისაგან შედგება. იგი დანაშაულის რამდენიმე შემადგენლობას აერთიანებს. პირველი ნაწილის დისპოზიცია ასეთია:

„სამხედრო ხელმძღვანელობის უკანონოდ ხელში ჩაგდება“.

ამ შინაარსში იგულისხმება დამნაშავის მიერ სამხედრო ხელმძღვანელის პოსტის იმგვარი დაპატრონება, რომ იგი ხელმძღვანელობით გავლენას ახდენს სამხედრო ნაწილებსა და შენაერთებზე. ეს დანაშაული შეიძლება მოხდეს როგორც ძალის გამოყენებით, ასევე ძალადობის გარეშე.

ძალის გამოყენებაში კანონმდებელი გულისხმობს ფიზიკური და იარაღის ძალის ხმარებას ან მით დაშინებას, რის გამოც ძველი ხელმძღვანელობა ტოვებს სამართავ პულტს, მას იჭერს მოძალადე და იგი ახორციელებს სამხედრო ნაწილებისა და შენაერთების საქმიანობის განკარგვა-ხელმძღვანელობას.

დანაშაული დამთავრებულად ითვლება ხელმძღვანელობის უკანონოდ ხელში ჩაგდებისთანავე.

კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არ აქვს, დამნაშავემ მოასწრო თუ არა რაიმე ბრძანების განხორციელება.

გარდა ძალადობისა, სამხედრო ხელმძღვანელობის უკანონოდ ხელში ჩაგდება შეიძლება მოხდეს შედარებით მშვიდობიანი გზით, როცა ნამდვილი ხელმძღვანელის ნაცვლად მოვალეობას ბრძანებით ასრულებს სხვა და ეს უკანასკნელი უკანონოდ აცხადებს თავს სამხედრო ხელმძღვანელად.

მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს „სამხედრო ხელმძღვანელის მიერ უკანონოდ სამხედრო ძალების ან ტექნიკის გადაადგილებისათვის, თავმოყრის ან დისლოკაციის შეცვლისათვის, აგრეთვე – კანონიერი ხელმძღვანელობისადმი სხვაგვარი დაუმორჩილებლობისათვის.“

სამხედრო ძალები, ტექნიკა და საბრძოლო საშუალებანი განლაგებულია თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობის მიერ შემუშავებული ერთიანი დისლოკაციის გეგმის შესაბამისად, რომელიც აგებულია სახელმწიფოს გარეშე მტრული ძალებისაგან თავდაცვის საჭიროების

შემთხვევაში მათი სწრაფი და ოპერატიული გამოყენების მიზნით.

სამხედრო ძალების ან ტექნიკის უკანონო გადაადგილებაში იგულისხმება მაღალ ხელმძღვანელობასთან შეთანხმების გარეშე ჯარის ნაწილების ან ტექნიკის ერთი გეოგრაფიული წერტილიდან მეორეზე გადაყვანა. თავმოყრაში იგულისხმება ერთი და იგივე ან სხვადასხვა სამხედრო ნაწილის გაერთიანება ან ერთ გეოგრაფიულ წერტილში განლაგება.

დისლოკაციის შეცვლაში კანონმდებელი გულისხმობს ძალების და საშუალებების, სხვადასხვა საბრძოლო და ოპერატიული ტექნიკის მიზნობრივი განლაგებისა და კავშირის შეცვლას, ძველი ადგილსამყოფელიდან გადაადგილებას სხვა გეოგრაფიულ წერტილებში, ერთიანი დისლოკაციის საწინააღმდეგოდ.

მაგალითად, სამხედრო ხელმძღვანელობამ სენაკის სამხედრო-საავიაციო შენაერთი გადააადგილა სხვა რაიონში მაღალ სამხედრო ხელმძღვანელობასთან ან მთავრობასთან შეთანხმების გარეშე.

კანონიერი ხელისუფლებისადმი სხვაგვარ დაუმორჩილებლობაში კანონმდებელი გულისხმობს ნებისმიერ დაუმორჩილებლობას, რომელიც შეიძლება შეეხოს ახალ სამხედრო მშენებლობას, იარაღის შეძენას, პირადი შემადგენლობის საბრძოლო და სამწყობრო მომზადებას და ა.შ.

დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროება მდგომარეობს მასში, რომ იგი აქვეითებს სამხედრო ძლიერებას, იწვევს გათიშვას სამხედრო ძალებსა და ხელისუფლებას შორის, დისციპლინის, საბრძოლო პოტენციალის მნიშვნელოვან შესუსტებას და ა.შ.

ზოგადი ობიექტი დანაშაულისა არის ქვეყნის კონსტიტუციური წყობილება, სახელმწიფო ხელისუფლება.

ობიექტურის მხრივ იგი გამოიხატება ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობაში.

ამსრულებელია სამხედრო ხელმძღვანელი ან რამდენიმე ხელმძღვანელი მუშაკი.

სუბიექტური მხარე მდგომარეობს აშკარა, პირდაპირ განზრახვაში. დამნაშავეს შეგნებული აქვს მისი მოქმედების საზოგადოებრივი საშიშროება, მაგრამ ჩადის ამას და სურს იგი.

მუხლის მესამე ნაწილი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს იმ შემთხვევაში, თუ პირველ ან მეორე ნაწილში ჩამოთვლილი

დანაშაულის რომელიმე შემადგენლობა განხორციელდება ომიანობის, შეიარაღებული კონფლიქტის, საგანგებო მდგომარეობის დროს, ან თუ ასეთ მოქმედებას მძიმე შედეგი მოჰყვა.

ომისა და შეიარაღებული კონფლიქტის თაობაზე ჩვენ ვისაუბრეთ ამ თავის წინა მუხლების განხილვის დროს. რაც შეეხება საგანგებო მდგომარეობას, სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ დაძაბულობას, იგი შეიძლება იყოს პოლიტიკური ან ეკონომიკური ხასიათისა ან დაკავშირებული ფართომასშტაბიან სტიქიურ უბედურებებთან და ა.შ. (მაგ. წყალდიდობა, მიწისძვრა, მასიური ეპიდემიები და ა.შ.).

მოწოდება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შეცვლისაკენ ან სახელმწიფო ხელისუფლების დამხობისაკენ – მუხლი 317

განსახილველი დანაშაული საფრთხეს უქმნის საქართველოს კონსტიტუციურ წყობილებას და სახელმწიფო ხელისუფლებას.

მუხლი ერთი ნაწილისაგან შედგება, მისი შინაარსი ასეთია: „საქვეყნოდ მოწოდება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შეცვლისაკენ ან სახელმწიფო ხელისუფლების დამხობისაკენ, ანდა ასეთი მოწოდების შემცველი მასალის გავრცელება, აგრეთვე ამავე მიზნით შეიარაღებისაკენ მოწოდება“.

სუბიექტის მოქმედებაში ფიგურირებს შემდეგი დანაშაულებრივი შემადგენლობანი: 1) საქვეყნოდ მოწოდება საქართველოს კონსტიტუ-ციური წყობილების ძალადობით შეცვლისაკენ; 2) სახელმწიფო ხელისუფლების დამხობისაკენ როგორც საქვეყნოდ, ასევე ასეთი მოწოდების შემცველი მასალების გავრცელებით; 3) ამავე მიზნით შეიარაღებისაკენ მოწოდება.

საჯარო მოწოდებაში კანონი გულისხმობს დამნაშავის გამოსვლას ფართო საზოგადოებრიობის წინაშე (მიტინგზე, ყრილობაზე, კრებაზე) სიტყვით, რადიოთი თუ ტელევიზიით როცა იგი ხმამაღლა, აშკარად მოუწოდებს, მიუთითებს, ურჩევს ხალხს იხმარონ ფიზიკური ძალა, იარაღი, სხვა საშუალება, რათა შეცვალონ კონსტიტუციური წყობილება. კვალიფიკაციისათვის სავალდებულო არ არის, დამნაშავე უთითებდეს, რომელი წყობილებით შეიცვალოს

არსებული, მაგალითად, დამნაშავემ მოუწოდა საზოგადოებას საქართველოს კონსტიტუციური დემოკრატიული წყობილება ძალადობით შეცვალონ კომუნისტურით. რაც შეეხება „მოწოდებას სახელმწიფო ხელისუფლების დამხობისაკენ“, აქ უკვე იგულისხმება, როგორც წყობილების, ასევე მისი სტრუქტურებისა და შემადგენლობის დარბევა, განდევნა, დაპატიმრება, მათი ძალაუფლების განადგურება და ა.შ. კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არ აქვს, შესრულდა თუ არა მოწოდება, ის კი აუცილებელია, რომ მოწოდებას ექნეს საჯარო ხასიათი, ე. ი. მოწოდება უნდა იყოს ფართო საზოგადოების წინაშე, ღიად, ხალხისათვის მისაწვდომი, გასაგები ფორმით.

„ასეთივე მოწოდების შემცველი მასალების გავრცელებაში“ კანონმდებელი გულისხმობს მის წერილობით გამრავლებას და მიწოდებას საზოგადოების ფართო წრეებისათვის. ეს მოქმედება შეიძლება განხორციელდეს პრესით, პროკლამაციებით და ა.შ.

ობიექტი დანაშაულისა არის საქართველოს კონსტიტუციური წყობილება და სახელმწიფო ხელისუფლება.

ობიექტური მხარე დანაშაულისა გამოიხატება კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შეცვლისა ან სახელმწიფო წყობილების დამხობისაკენ მოწოდებაში ან ასეთი მოწოდების შემცველი მასალების გავრცელებაში.

სუბიექტური მხარე გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში.

საბოტაჟი – მუხლი 318

საბოტაჟი განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულია, მისი მიზანია ქვეყნის ეკონომიკური ძლიერების შესუსტება.

ლექსიკონის მიხედვით საბოტაჟი არის „რაიმე საქმის წინასწარგანზრახვით ჩაფუშვა, მასში კანონიერი მონაწილეობისაგან თავის არიდებით ან მისი არაკეთილსინდისიერი შესრულებით“.

მუხლის პირველი ნაწილი ასეთი შინაარსისაა: „საქართველოს დასუსტების მიზნით სახელმწიფო ან სხვა საწარმოს დაწესებულების, ორგანიზაციის, ან სამსახურის ნორმალური ფუნქციონირებისათვის ხელის შეშლა“.

ობიექტი დანაშაულისა არის ქვეყნის ეკონომიკა. ობიექტური მხრივ დანაშაული გამოიხატება მასში, რომ დამნაშავე სხვადას-

ხვა მაქინაციებით, ტექნოლოგიური პროცესის თუ სხვა დარღვევით აქვეითებს საწარმოს ან ორგანიზაციის შრომის პოტენციალს, ამცირებს ნაყოფიერებას, უშვებს უხარისხო პროდუქციას, აფერხებს მის რეალიზაციას და ა.შ. რაც ზარალის სახით აწვება ქვეყანას. საგულისხმოა ის, რომ დამნაშავე, დივერსიული საქმიანობის მსგავსად, ერთბაშად როდი ანადგურებს ქონებას, არამედ თანდათან, შეპარვით, შეუმჩნეველად, ხანგრძლივი და თანმიმდევრული ქმედებით.

მაგალითად: დამნაშავემ ავტომობილების ძრავები განზრახ იმგვარი შენაერთებით დაამზადა, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ვერ უძლებს დიდ ტემპერატურულ დატვირთვას.

საკონსერვო ქარხნის მიერ დამზადებული მურაბები აუცილებელი კომპონენტების განზრახ გამოკლების გამო ვერ ინახება განსაზღვრული დროის განმავლობაში, ან კარგავს სათანადო გემოსა და სურნელს, რის გამოც არ ხერხდება პროდუქციის რეალიზაცია.

ამსრულებელი ამ დანაშაულისა აუცილებლად არის ის პირი, რომელსაც პირდაპირი ტექნოლოგიური დამოკიდებულება აქვს ამ სამსახურთან (მთ. ინჟინერი, მთავარი ტექნოლოგი და მისთანები).

სუბიექტური მხარე გამოიხატება წინასწარ განზრახვაში — დამნაშავეს შეგნებული აქვს მოქმედების საზოგადოებრივად საშიში ხასიათი, უშვებს მას და სურს კიდევაც მოქმედების ასეთი შედეგი.

მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით კანონი პასუხისმგებლობას აწესებს იმ შემთხვევაში, როცა დამნაშავე იმ მიზნით, რომ სახელმწიფო ეკონომიკურად დაასუსტოს, აზიანებს, აფუჭებს, მწყობრიდან გამოჰყავს ან ანადგურებს საწარმოს, „სატრანსპორტო, კავშირგაბმულობის ან მასობრივი მაუწყებლობის საშუალებებს — გზას, ნაგებობას, ტექნიკას, დოკუმენტს, დიდი რაოდენობით სტრატეგიულ ნედლეულს, მასალას ან პროდუქციას, მოსახლეობისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის დაწესებულების ან ორგანიზაციის ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელ, საზოგადოებრივი უშიშროების ან წესრიგის დაცვისათვის განკუთვნილი ან სხვა განსაკუთრებული დანიშნულების ობიექტებს.“

განადგურების, დაზიანების, გაფუჭების ან მწყობრიდან გამოყვანის ცნებებზე ჩვენ ვისაუბრეთ სხვა მუხლების განხილვის დროს და აქ აღარ შევჩერდებით. მაგალითად, საკვები პროდუქტების სასაწყობო მეურნეობაში ჰაერისა და ტემპერატურის კონდიცი-

ურობის მოშლის გამო თანდათანობით დაჰკარგა პროდუქტებმა თავისი ხარისხი და ყუათი.

როდესაც ლაპარაკია ობიექტების მწყობრიდან გამოყვანაზე, აქ შეიძლება ვიგულისხმოთ მუშაობის ციკლურობის, თანმიმდევრულობის მოშლა უყურადღებობით, მიმდინარე შეკეთების პერიოდულობის დარღვევით, არანორმალური ექსპლოატაციით, მოვლა-პატრონობის წესების დარღვევით, კოროზიის პირობების ხელოვნურად შექმნით, საცხები მასალების უხარისხოდ ან არადროული გამოყენებით და ა.შ.

მუხლის მესამე ნაწილით კვალიფიცირდება მოქმედება, როდესაც დამნაშავე მეორე ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულებრივ ქმედებას ახორციელებს ,,აფეთქებით, ცეცხლის წაკიდებით ან სხვა საყოველთაოდ საშიში საშუალებით, აგრეთვე ბირთვული ენერგიის კონტროლიდან გამოყვანით, ეპიდემიის ან ეპიზოოტიის გარცელებით, მასობრივი მოწამვლით ანდა სხვა ქმედებით, რომელმაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან მისი ჯანმრთელობის დაზიანება გამოიწვია.

ბირთული ენერგიის კონტროლიდან გამოყვანა ნიშნავს ბირთვული მოქმედების აგრეგატების მუშაობის თვითდინებაზე მიშვებას, რის გამოც ბირთვული ენერგია დაშლილი სახით იფანტება გარემოში, იგი იკარგება როგორც ენერგია, ასევე აზიანებს როგორც სახალხო მეურნეობას, ასევე ბუნებასა და ადამიანს.

ეპიდემიისა და ეპიზოტიის გავრცელებაზე საუბარი იყო წინა თავების განხილვის დროს.

მასობრივ მოწამვლაში შეიძლება ვიგულისხმოთ სასმელი წყლის, გამაგრილებელი წყლების ქიმიური დაბინძურება, საკვებ პროდუქტებში მავნებელი ნივთიერებების შერევა, რომელიც გამოიწვევს ადამიანთა თანდათანობით დაღუპვას ერთ ან რამდენიმე რაიონში, ან მათი ჯანმრთელობის მნიშვნელოვან შერყევას. დანაშაულს ჩადიან პირდაპირი განზრახვით. პირს შეგნებული აქვს თავისი მოქმედების საშიში ხასიათი და სურს ასეთი.

მოტივი დანაშაულისა შეიძლება იყოს სხვადასხვა სახის (პოლიტიკური, სიძულვილი, ანგარება, სხვაგვარი მტრობა და ა.შ.).

სუბიექტური მხარის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია, დააზიანოს ქვეყნის ეკონომიკა, მისი ძლიერება.

განსახილველი მუხლი, გარკვეულწილად, როგორც ქვეყნის

ეკონომიკის ხელყოფა, ჰგავს იმ მუხლებს, რომლის დისპოზიციაშიაც ასახულია ტყის განადგურება, რკინიგზის უხარისხო რემონტი, ქონების განზრახ განადგურება ან დაზიანება, მაგრამ განსხვავება ის არის, რომ მათი ობიექტი სრულიად სხვა ურთიერთობაა, ასევე სხვაგვარია მოქმედების მიზანიც.

თუ 187-ე მუხლის დისპოზიციის განხორციელების დროს დამნაშავის სურვილი მხოლოდ ქონების განადგურებაა მეპატრონის ინტერესის საზიანოდ, განსახილველ მუხლში მიზანი მეტად ფართოა და იგი ქვეყნის ეკონომიკისა და სამხედრო ძლიერების შესუსტებას ესწრაფვის.

უცხო ქვეყნისათვის, უცხოეთის ორგანიზაციისათვის ან უცხოეთის კონტროლს დაქვემდებარებული ორგანიზაციისათვის მტრულ საქმიანობაში დახმარება – მუხლი 319

განსახილველი მუხლი ერთი ნაწილისაგან შედგება. მისი დისპოზიცია ასეთი შინაარსის არის: ,,უცხო ქვეყნისათვის, უცხოეთის ორგანიზაციისათვის ან უცხოეთის კონტროლს დაქვემდებარებული ორგანიზაციისათვის დახმარება ისეთ საქმიანობაში, რომლის მიზანია საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესის ხელყოფა, თუ არ არის ამ კოდექსის 308, 310-314, 318, 322-325 და 329-ე მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე ქმედების ნიშნები".

უცხოეთის ორგანიზაცია არის საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული ნებისმიერი საქმიანი სტრუქტურული ერთეული, რომელსაც გააჩნია თავისი მოღვაწეობის, შტატებისა და ფინანსების ერთიანობა, ეწევა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას და დამოუკიდებელი ურთიერთობა აქვს სხვა ქვეყნებთან თუ ცალკეულ ორგანიზაციებთან (ფირმები, კორპორაციები, გაერთიანებები და ა.შ.).

უცხოეთის კონტროლქვეშ მყოფი ეწოდება იმ ორგანიზაციებს, რომლებიც განლაგებულნი არიან საქართველოს ტერიტორიაზე თავიანთი ქვეყნის წარმომადგენლობითა და კონტროლით

(საელჩოები, ერთობლივი საწარმოები, საინვესტიციო ორგანიზაციები და სხვა).

დანაშაულის შემადგენლობა გამოიხატება ამ სამსახურებისადმი ისეთი დახმარების გაწევაში, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესების ზიანს, მაგრამ არა ისეთს, როგორიც არის საქართველოს ტერიტორიული ხელშეუხებლობა, საქართველოს საგარეო უშიშროების ხელყოფა (უცხოეთის სადაზვერვო სამსახურში შესვლა, საქართველოს თავდაცვისუნარიანობის ხელყოფა, სახელმწიფო საიდუმლოების გაცემა, ჯაშუშობა, საბოტაჟი, ასევე 322, 325 და 329-ე მუხლებით გათავალისწინებული რომელიმე დანაშაული), არამედ სხვაგვარს, მაგალითად: საავიაციო წარმოების ტექნოლოგიურ-საინჟინერო პროცესების გადაცემა, ქვეყნის ფინანსების მიმოქცევისა და შემოსავლების ძირითადი წყაროების გამჟღავნება, სარკინიგზო ქსელებისა და კვანძების მდგომარეობის მიწოდება და სხვა მრავალი.

ობიექტი დანაშაულისა არის ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლება და კონსტიტუციური წყობილება.

ობიექტური მხარე დანაშაულისა მდგომარეობს უცხო სახელმწიფოს, უცხოეთის ორგანიზაციის ან უცხოეთის კონტროლქვეშ მყოფი ორგანიზაციისათვის დახმარების გაწევაში, რომელიც საქართველოს მიმართ მტრულ საქმიანობას ეწევა.

სუბიექტურის მხრივ დანაშაული გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში – დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ იგი დახმარებას უწევს უცხო სახელმწიფოს, უცხოეთის ორგანიზაციას ან უცხოეთის კონტროლქვეშ მყოფ ორგანიზაციებს და ამით აზიანებს საქართველოს სახელმწიფოებრივ ინტერესს და სურს ეს.

სახელმწიფო საიდუმლოების გახმაურება – მუხლი 320

მოცემული მუხლის შინაარსი ასეთია: საქართველოს სახელმწიფო საიდუმლოების განზრახ ან გაუფრთხილებლობით გახმაურება იმის მიერ, ვინც ეს საიდუმლოება იცოდა თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამო ან ვისაც ასეთი გაანდეს, თუ არ არის ამ კოდექსის 313-ე ან 314-ე მუხლებით გათვალისწინებული ქმედების ნიშნები.

ობიექტი მოცემული დანაშაულისა არის საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელიც დაკავშირებულია სახელმწიფო საიდუმლოების დაცვა-შენახვასთან. ამ საიდუმლო ცნობების დაცვის, შენახვის წესები რეგლამენტირებულია სათანადო ნორმატიული აქტებით.

ობიექტური მხარე დანაშაულისა გამოიხატება ცნობების გახმაურებაში, რომელიც შეიცავს სახელმწიფო საიდუმლოებას. გახმაურებაში იგულისხმება მათი გაცნობა გარეშე პირებისათვის. გარეშე პირად ითვლება ნებისმიერი მოქალაქე, რომელსაც თავისი სამსახურებრივი ხასიათის თუ ვალდებულების მიხედვით არა აქვს არავითარი სიახლოვე და მიდგომა სახელმწიფოებრივი საიდუმლოების შემცველ დოკუმენტებთან.

ობიექტურად გახმაურება გამოიხატება სხვადასხვა მოქმედებაში, კერძოდ: ჩვეულებრივი საუბრით სხვა მოქალაქეებთან, სიტყვით გამოსვლის დროს საზოგადოების წინაშე, დოკუმენტებისა და ნახაზების ჩვენებით, საიდუმლო ცნობების ჯიბის წიგნაკში ამოწერით, რომელზედაც ხელი მიუწვდებათ ოჯახის წევრებს და ა.შ.

გახმაურება შეიძლება როგორც მოქმედებით, ასევე უმოქმედობით. მაგალითად: სუბიექტმა სათანადო სამუშაოს შესრულების შემდეგ საიდუმლო დოკუმენტები არ შეინახა, დატოვა სამუშაო მაგიდაზე, რომლის ნახვაც შეძლო ამ ოთახში შემთხვევით შესულმა გარეშე პირმა.

დანაშაული დამთავრებულად ითვლება გარეშე პირისაგან საიდუმლო ცნობის აღქმის, დამახსოვრების ან გადაწერისთანავე. დანაშაულის კვალიფიკაციისათვის საკმარისია თუნდაც საიდუმლო ცნობის ნაწილობრივი აღქმა-გაცნობა.

სუბიექტური მხარე დანაშაულისა გამოიხატება როგორც განზრახი, ასევე გაუფრთხილებელი ბრალით.

პირდაპირი განზრახვის დროს დამნაშავე შეგნებულად ახმაურებს მის ხელთ არსებულ საიდუმლო ცნობებს, თუნდაც იმ მიზეზით, რომ ტრაბახობს, თუ რაოდენ მნიშვნელოვან ინფორმაციას ფლობს იგი სამსახურებივად და რაოდენ დიდია მისი სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობა, ჰგონია, რომ ამით არაფერი დაშავდება.

დანაშაულებრივი თვითიმედოვნება, როგორც ბრალეულობის ფორმა, გამოიხატება მასში, რომ პირი ითვალისწინებს, ამ

წესების დარღვევით. შეიძლება გახმაურდეს სახელმწიფო საიდუმლოება, მაგრამ წინდაუხედავად ჰგონია, თითქოს ეს არ მოხდება.

დანაშაულებრივი დაუდევრობა, როცა პირი არ ითვალისწინებს, რომ გარკვეულ კონკრეტულ სიტუაციაში ცნობები გახმაურდება, არადა, ვალდებული იყო, გაეთვალისწინებინა და შეეძლო გაეთვალისწინებინა. მაგალითად, სუბიექტი მბეჭდავ მემანქანეს აძლევს ისეთ მასალებს დასაბეჭდად, როცა ეს უკანასკნელი არ არის დაშვებული საიდუმლო დოკუმენტებთან.

მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს ქმედების იგივე ხასიათს, თუ საიდუმლოების გახმაურებას მოჰყვა მძიმე შედეგი. სასამართლო პრაქტიკა მძიმე შედეგად მიიჩნევს ცნობების გადასვლას უცხოეთის დაზვერვის ხელში, მნიშვნელოვანი სახელმწიფო ღონისძიებების ჩაშლას და ა.შ.

სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის წესის დარღვევა – მუხლი 321

1996 წლის 27 ოქტომბრის კანონი „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ განსაზღვრავს ინფორმაციის სახელმწიფო საიდუმლოდ მიჩნევის, ინფორმაციის დასაიდუმლოების, განსაიდუმლოების, ამ ინფორმაციის განმგებლობის, მათი დაცვის პასუხისმგებლობას სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ კანონმდებლობის დარღვევისათვის და ა. შ.

კანონის მე-7 მუხლი ჩამოთვლის თუ რომელი ინფორმაცია შეიძლება იყოს საიდუმლო და სახელმწიფო სტრუქტურის რომელი სფეროდან. ესენია: თავდაცვის, ეკონომიკის, საგარეო ურთიერთობის, სახელმწიფო უშიშროებისა და მართლწესრიგის დაცვის სფეროში, კანონის 38-ე მუხლი კი ჩამოთვლის იმ საკითხებს, რისი დარღვევისთვისაც შეიძლება დადგეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი.

321-ე მუხლი სისხლის სამართლის წესით იცავს სახელმწიფო საიდუმლოებას. იგი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი ასეთი შინაარსის არის:

„სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი დოკუმენტისა ან საგნისადმი მოპყრობის დადგენილი წესის განზრახ ან გაუფრთხილებლობით დარღვევა, რამაც ასეთი დოკუმენტის ან საგნის დაზიანება, განადგურება ან დაკარგვა გამოიწვია“.

მოცემული მუხლი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს, თუ პიროვნებამ მასზე მინდობილი ის საგნები ან დოკუმენტები დაჰკარგა, რომელიც სახელმწიფო საიდუმლოებას წარმოადგენს და თანაც პასუხისმგებლობის საკითხი დგება მაშინ, თუ დაკარგვის მიზეზია მათი შენახვისა და მოვლა-პატრონობის წესების დარღვევა.

დაკარგვის ცნებაში იგულისხმება საიდუმლოების შემცველი ცნობების, ნივთებისა თუ საგნების გასვლა მისი კანონიერი მფლობელის ხელიდან გაურკვეველი მისამართით.

საიდუმლოების შემცველ დოკუმენტად ან საგნად იწოდება ის ნივთი ან საბუთი, რომლის შინაარსი შეიცავს ეკონომიკური, პოლიტიკური, მეცნიერულ-ტექნიკური ან სამხედრო ინტერესის მქონე სიახლეს და თავისი სახელმწიფოებრივი ხასიათის გამო სპეციალური სამთავრობო ნორმატიული აქტით, მიჩნეულია საიდუმლო დოკუმენტად ან საგნად.

ობიექტი დანაშაულისა არის სახელმწიფო ხელისუფლება და კონსტიტუციური წყობილება.

დანაშაულის საგანია ის დოკუმენტები ან ნივთები, რომელიც საიდუმლოებას შეიცავს, ან ის ნაკეთობანი, რომელთა შესახებ ცნობები სახელმწიფო საიდუმლოა (თვითმფრინავების, ატომგულთან მუშაობის ახალი კონსტრუქციები და სხვა მრავალი).

ობიექტური მხარე დანაშაულისა შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:

1) საიდუმლოების შემცველი დოკუმენტებისა და საგნების დაცვის წესების დარღვევა.

2) მიზეზობრივი კავშირი საიდუმლოების დაცვის წესების დარღვევასა და შედეგს შორის.

წესების დარღვევა გულისხმობს სუბიექტისაგან ამ წესების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობას, რომელიც საფუძვლად დაედო საიდუმლოების შემცველი დოკუმენტების, საგნების ან ნივთების დაკარგვას.

საიდუმლოების მომცველ საგნებსა და დოკუმენტებთან დამოკიდებულება გულისხმობს მოვლა-პატრონობისა და დაცვის მთელ სერიას: კანონებს, ინსტრუქციებს, წესებს, დარიგებებს, რომლებიც ხელწერილით ბარდება სახელმძღვანელოდ საიდუმლო მასალებთან დაშვებულ პირს.

დოკუმენტი ან ნივთი უფრო ხშირად იკარგება გაბნევით,

მოპარვით, რაც უეჭველად შენახვისა და მოვლა-პატრონობის წესების დარღვევის შედეგია. დანაშაული დამთავრებულად ითვლება დოკუმენტის ან საგნის დაკარგვისთანავე.

სუბიექტური მხარე ხასიათდება გაუფრთხილებლობით.

დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს პირი, რომელსაც მინდობილი აქვს სახელმწიფო საიდუმლოების მქონე დოკუმენტები ან ნივთები.

მეორე ნაწილი მუხლისა პასუხისმგებლობას ითვალისწინებს იმ შემთხვევაში, თუ დოკუმენტის ან ნივთის დაკარგვამ გამოიწვია საიდუმლოს გახმაურება ან სხვა მძიმე შედეგი. სასამართლო პრაქტიკა მძიმე შედეგად მიიჩნევს იმ ფაქტს, როცა საიდუმლოება მოხვდება უცხოეთის დაზვერვის ხელში.

უცხოელთაგან მათი გამოყენების ხარისხს მნიშვნელობა არ აქვს კვალიფიკაციისათვის.

სახელმწიფოს წინააღმდეგ დანაშაულის ქმედითი მოწანიება – მუხლი 322

განსახილველი მუხლი სრულიად ახალია ჩვენს კანონმდებლობაში, მისი შინაარსი ქვეყნის კონსტიტუციურ და სახელმწიფოებრივ ჰუმანურ პრინციპებზე მეტყველებს. იგი პატიებას აღუთქვამს მათ, რომლებმაც ჩაიდინეს ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული ისეთი დანაშაული, როგორიც არის: მუხლი 309-ე – ანტიკონსტიტუციური ხელშეკრულების დადება ან მოლაპარაკების წარმოება, მუხლი 311 - უცხოეთის სადაზვერვო სამსახურში შესვლა, 314-ე და 315-ე მუხლების 1 ნაწილებით – შეთქმულება ან ამბოხება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად, მუხლი 319-ე – უცხო ქვეყნისათვის, უცხოეთის ორგანიზაციისათვის ან უცხოეთის კონტროლს დაქვემდებარებული ორგანიზაციისათვის მტრულ საქმიანობაში დახმარება.

პატიების საფუძვლად კანონმდებელი მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ დამნაშავემ ნებაყოფილობით, ამასთანავე – დროულად განუცხადა ამის თაობაზე სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს, რი-

თაც თავიდან იქნა აცილებული საქართველოს ინტერესებისათვის მოსალოდნელი ზიანი.

ნებაყოფილობით განცხადებაში კანონმდებელი გულისხმობს სხვისი ძალდატანების, სხვისგან რაიმე ფორმით იძულების ან რჩევის გარეშე უშუალოდ სუბიექტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას.

დროულ განცხადებაში იგულისხმება დროის ის ზღვარი, ვიდრე ჩადენილი ქმედება გამოიწვევდა შესატყვის უარყოფით შედეგს.

განსახილველი მუხლის მეორე ნაწილი იმასაც პირდება დამნაშავეს, რომ შეღავათი მაშინაც იქნება გავრცელებული, თუ მოსალოდნელი ზიანი, დამნაშავისაგან დამოუკიდებლად, სხვა მოვლენების გამო იქნა აცილებული, მაგრამ დამნაშავის მიერ მიღებული ზომები დროული და სრულია საზიანო შედეგის თავიდან ასარიდებლად.

თავი 38

ტერორიზმი

(მოკლე მიმოხილვა)

ტერორი ლათინური სიტყვაა და პოლიტიკურ და კლასობრივ მოწინააღმდეგესთან ანგარიშის გასწორებას ნიშნავს ძალადობით (მოკვლითაც კი).

ტერორიზმი წარმოადგენს ცივილიზებული კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს. ეს ერთადერთი სპეციფიკური ხასიათის დანაშაულია, როდესაც დამნაშავის მოქმედება ხელყოფს არა იმ ობიექტს, ვისი მტრობა და სიძულვილიც გააჩნია დამნაშავეს, არამედ იგი სხვა კუთხით არის მიმართული.

დამნაშავეს ამოძრავებს სახელმწიფო ხელისუფლებისადმი მტრობა, სიძულვილი, მაგრამ დამნაშავე ამ ფრონტებზე ბრძოლით ვერაფერს გახდა, დამარცხდა და ახლა სხვაგვარად ცდილობს ანგარიშის გასწორებას. მან აირჩია საზოგადოების დაშინების, პარალიზების ხერხი, ცდილობს, ააფორიაქოს საზოგადოება, ნორმალური მუშაობის საშუალება არ მისცეს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას, სამართალდამცავ ორგანოებს. ამ მიზნით იგი

იყენებს მრავალ ხერხსა და მეთოდს - აფეთქებს და ცეცხლს უკიდებს მნიშვნელოვან ობიექტებს, დატბორავს ნათესებს და ა.შ. ეს მოქმედება გამიზნულია იმისთვის, რომ შიშის ზარი დასცეს საზოგადოებას, სახელი გაუტეხოს მმართველ პარტიას, ქვეყნის აღმასრულებელ და სამართალდამცავ ორგანოებს, დააშინოს, შრომითი ენთუზიაზმი ჩაუკლას ხალხს, პანიკაში ჩააგდოს, პარალიზებული გახადოს მოქალაქის შრომითი საქმიანობა, რითაც ხშირად აღწევს თავის ანტისაზოგადოებრივ მიზანს.

ტერორიზმი აღაშფოთებს კაცობრიობას, სწორედ ამიტომ მრავალი კონვენციაა ხელმოწერილი ტერორიზმთან ბრძოლის ერთობლივი ღონისძიებების გატარების შესახებ. ადრეულ საბჭოურ კოდექსებში ტერორისტული აქტის შეფასება გარკვეულწილად მოწყვეტილი იყო სინამდვილეს, რადგან ტერორისტული აქტის ცნებაში გულისხმობდნენ მხოლოდ სახელმწიფო ან საზოგადო მოღვაწის, ან ხელისუფლების წარმომადგენლის მკვლელობას, ჩადენილს მის სახელმწიფო ან საზოგადოებრივ მოღვაწეობასთან დაკავშირებით, ან უცხო სახელმწიფოს წარმომადგენლის მკვლელობას ომის პროვოცირების ან საერთაშორისო გართულების მიზნით. ცხადია, ეს მოტივებიც არ არის გამორიცხული ტერორისტული აქტის დროს, მაგრამ, ამასთან ერთად, სხვა მოქმედებებისა და მიზეზის, ხერხებისა და მეთოდების უგულებელყოფა დაამახინჯებს ცნების სამართლებრივ გაგებას.

ტერორიზმი მრავალობიექტიანი დანაშაულია. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იგი ხელყოფს საზოგადოებრივ უშიშროებას, ხელისუფლების ორგანოების ნორმალურ ფუნქციონირებას, თავისი აღმაშფოთებელი და ზარდამცემი შედეგებით ზემოქმედებს საზოგადოების ფართო ფენებზე, რამდენიმე ადმინისტრაციული რაიონის ტერიტორიასა და ქვეყნის სივრცეზედაც კი.

1998 წლის 20 თებერვლის კანონმა „ტერორიზმთან ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ ღრმა ცვლილებები შეიტანა სისხლის სამართლის კოდექსში, რითაც მკვეთრად გააააქტიურა ბრძოლა ამ საშიში დანაშაულის წინააღმდეგ.

დღეს კანონმდებელმა ფართოდ განჭვრიტა ტერორიზმის დანაშაულებრივი სივრცე და კანონთა ზღუდეებით გადაღობა იგი. თუ ადრეულ სისხლის სამართლის კოდექსებში მხოლოდ ორი მუხლი მოქმედებდა მის წინააღმდეგ, დღეს ცხრა მუხლი იბრძოლებს. ისინი კონკრეტულად განიხილავენ ტერორისტული აქტების მრავალსახეობას. კერძოდ:

ცეცხლის წაკიდებით, აფეთქებით, მკვლელობით, ბირთვული და ბაქტერიოლოგიური იარაღების გამოყენებით, პოლიტიკური თანამდებობის და საერთაშორისო დაცვით მოსარგებლე პირებზე და დაწესებულებებზე თავდასხმით, ტერორისტული ორგანიზაციების შექმნით, მძევლად ხელში ჩაგდებით და ა.შ.

ქვემოთ შევეცდებით ცალკეულ დანაშაულთა სტრუქტურის დეტალურ განხილვას.

ტერორისტული აქტი – მუხლი 323

ზოგად მიმოხილვაში აღვნიშნეთ, რომ ტერორიზმი მრავალობიექტიანი დანაშაულია, იგი ხელყოფს საზოგადოებრივ უშიშროებას, ხელისუფლების ორგანოების ფუნქციონირებას, მოქალაქეთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, თავისი საშიში ზემოქმედებით გავლენას ახდენს საზოგადოების ფართო მასებზე და ა.შ.

მუხლის დისპოზიცია ასეთი შინაარსისაა: „ტერორისტული აქტი, ე.ი. აფეთქება, ცეცხლის წაკიდება, იარაღის გამოყენება ან სხვა ქმედება, რაც ქმნის ადამიანის სიცოცხლის მოსპობის, მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანის ან სხვა მძიმე შედეგის განხორციელების საშიშროებას და ხელყოფს საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, სახელმწიფოს სტრატეგიულ, პოლიტიკურ ან ეკონომიკურ ინტერესს, ჩადენილი მოსახლეობის დაშინების ან ხელისუფლების ორგანოზე ზემოქმედების მიზნით“.

როგორც ვხედავთ, ობიექტურად ტერორიზმი შეიძლება გამოიხატოს მნიშვნელოვანი ობიექტების აფეთქებაში, ხანძრით განადგურებასა ან ცეცხლსასროლი იარაღით დაცხრილვაში, რომელიმე ობიექტის წყლით დატბორვაში, ჩამონგრევაში, ავარიაში და ა.შ.

დანაშაული დამთავრებულად ითვლება, თუ განხორციელდა ზემოთ ჩამოთვლილი ქმედება, ან შეიქმნა საფრთხე მისი ჩადენისა, ადამიანთა დაღუპვისა ან მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანისა.

სერიოზული საფრთხე განისაზღვრება მოქმედების დროსთან, გარემოსთან, საშუალებებთან ურთიერთობაში – ე. ი. რამდენად იყო მოსალოდნელი კანონით გათვალისწინებული შედეგი, რაში გამოიხატება იგი. ამ ფაქტის დასადგენად შეიძლება გამოყენებული იქნეს სპეციალისტებისა და ექსპერტების დასკვნები.

მოქმედება ადამიანთა დაღუპვის სერიოზულ საფრთხედ დაკვალიფიცირდება მაშინაც, თუნდაც საფრთხე მხოლოდ ერთ ადამიანს ემუქრებოდეს.

ან სხვა მძიმე შედეგში კანონმდებელი გულისხმობს ადამიანისა სხვადასხვა ხარისხით დაზიანებას, პანიკის, დესტაბილიზაციის გავრცელებას მოსახლეობაში და ა.შ.

ტერორისტული აქტი მხოლოდ პირდაპირი განზრახვით ჩაიდინება. აშკარად გამოკვეთილია დამნაშავის მიზანი — დაარღვიოს საზოგადოებრივი უშიშროება, დააშინოს ადამიანები, დესტაბილიზაცია შეიტანოს მოსახლეობაში, გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ზარალი, ხელყოს სახელმწიფოს სტრატეგიული, პოლიტიკური ან ეკონომიკური ინტერესი, უარყოფითი ზემოქმედება მოახდინოს ხელისუფლების ორგანოზე.

მნიშვნელოვანი ზარალი შეიძლება გამოიწვიოს ობიექტების აფეთქებამ, ან ხანძრის წაკიდებამ.

ქვეყნის სტრატეგიულ და პოლიტიკურ ინტერესებში იგულისხმება სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის ჰარმონიული შერწყმა, უცხო ქვეყნებთან მეგობრული, ეკონომიკური, კულტურული, სამეცნიერო და სხვა თანამშრომლობის განვითარება და ა.შ.

ეკონომიკურ ინტერესში შედის შრომის ნაყოფიერების ზრდა, სახელმწიფოს რეზერვების სრული ამოქმედება, საგადასახადო სისტემის მოწესრიგება, საინვესტიციო საქმიანობის გაუმჯობესება და სხვა მრავალი.

მუხლის მეორე ნაწილი ტერორიზმის დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევს იგივე ქმედებას, თუ ის ჩადენილია:

ა) ჯგუფურად.

ბ) არაერთგზის.

გ) მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენებით.

ა და ბ პუნქტების თაობაზე ჩვენ წინა მუხლების განხილვის დროს ვისაუბრეთ და აღარ გავიმეორებთ.

მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენებაში კანონმდებელი გულისხმობს უსულო და სულიერი ორგანიზმების განადგურების საშუალებებს — რადიაქტიურ მასალებს, ბაქტერიოლოგიურ და ქიმიურ იარაღს და ა.შ. რომლებიც გამოყენებიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ სპობს ცოცხალ ორგანიზმებს.

მუხლის მესამე ნაწილი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას აწესებს მაშინ, თუ ამ მუხლის პირველი ან მეორე ნაწილით

გათვალისწინებულმა ქმედებამ გაუფრთხილებლობით გამოიწვია ადამიანის დაღუპვა ან სხვა მძიმე შედეგი.

სხვა მძიმე შედეგში კანონმდებელი გულისხმობს მრავალი ადამიანის სიცოცხლის მოსპობას ან მცენარეთა და ცხოველთა განადგურებას ფართო მასშტაბით და სხვა.

ჩვენის აზრით, აქ კანონი გარკვეულ კორექტირებას საჭიროებს, რადგან მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენების დროს ადამიანის სიცოცხლის განადგურება, არა მგონია, გაუფრთხილებელი ბრალით დაკვალიფიცირდეს.

მუხლის მეოთხე ნაწილი პასუხისმგებლობას აწესებს მაშინ, თუ პირველი ან მეორე ნაწილით გათვალისწინებულმა ქმედებამ ადამიანის დაღუპვა ან სხვა მძიმე შედეგი გამოიწვია.

ამ ნაწილში კანონმდებელი არ ეხება დამნაშავის სუბიექტურ მხარეს, ამიტომ უნდა ვიგულისხმოთ, რომ დამნაშავე თავისი მოქმედების შედეგად უშვებს ადამიანის სიცოცხლის მოსპობას პირდაპირი ან ევენტუალური განზრახვით. ასეთ შემთხვევაში, ჩვენის აზრით, შეცდომა არ იქნება, თუ ქმედება დაკვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობით.

ტერორიზმის თავიდან აცილებისათვის გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება იმ წამხალისებელ ნორმას, რომელიც შენიშვნის სახით ახლავს მუხლს – სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება ტერორისტული აქტის მომზადებაში მონაწილე პირი, რომელიც ხელისუფლების ორგანოს დროული გაფრთხილებით ან სხვაგვარად შეუწყობს ხელს ტერორისტული აქტის თავიდან აცილებაში, თუ მის მოქმედებაში არ არის სხვა დანაშაულის ნიშნები.

დროულ გაფრთხილებაში კანონმდებელი გულისხმობს ისეთ მოქმედებას, როდესაც სამართალდამცავი ორგანოები შეძლებენ აღკვეთონ ტერორისტული აქტი ან მისი შედეგი.

ტერორისტული აქტი მკვეთრად განსხვავდება ამ თავში მოთავსებული სხვა დანაშაულობებისაგან, რომელთა ობიექტი ერთი და იგივეა.

ტერორისტული აქტის მიზანი არ არის ეკონომიკური ზარალი, ასეთ შედეგს შეგნებულად უშვებს დამნაშავე, მაგრამ მას იყენებს იმ ძირითადი მიზნის განსახორციელებლად, რასაც ჰქვია მოსახლეობის დაშინება, ხელისუფლების ორგანოების შეშფოთება, მუშაობაში ხელის შეშლა და ა.შ.

მუხლი ერთი ნაწილისაგან შედგება. მისი შინაარსი ასეთია: „ტექნოლოგიური ტერორიზმი, ე. ი. ბირთვული, რადიოლოგიური, ქიმიური ან ბაქტერიოლოგიური (ბიოლოგიური) იარაღის ან მისი კომპონენტის, პათოგენური მიკროორგანიზმის, რადიაქტიური ან ადამიანის ჯანმრთელობისათვის მავნე სხვა ნივთიერების გამოყენება ან მისი გამოყენების მუქარა, მათ შორის, ბირთვული, ქიმიური ან ძლიერი ტექნოლოგიური ან ეკოლოგიური საშიშროების შემცველი ობიექტის ხელში ჩაგდება, რაც ხელყოფს საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, სახელმწიფოს სტრატეგიულ, პოლიტიკურ ან ეკონომიკურ ინტერესს, ჩადენილი მოსახლეობის დაშინების ან ხელისუფლების ორგანოზე ზემოქმედების მიზნით".

მუხლი მეტად ვრცელი და რთული აგებულებისაა. ამიტომ, ვფიქრობთ, ჯერ ვისაუბროთ მასში გააზრებული შინაარსის შემადგენელ ნაწილებზე.

ტექნოლოგიური მას იმიტომ ეწოდება, რომ ობიექტური მხარე არ ითვალისწინებს აფეთქებით ან ცეცხლის წაკიდებით ერთბაშად რაიმეს ან ვინმეს მოსპობას. დამნაშავე გამოიყენებს ბირთვულ, ბაქტერიოლოგიურ თუ ქიმიურ იარაღს, რომელიც უხმაუროდ, თანდათან გამოიწვევს ეკონომიკური ობიექტების თუ ადამიანთა სიცოცხლის განადგურებას ან დაზიანებას. ბირთვული იარაღი ბუნებისა და ცოცხალი არსების განადგურების ისეთი საშუალებაა, რომელიც ნელი მაიონებელი გამოსხივების პროცესით მოახდენს გამანადგურებელ გავლენას გარემოსა და მის ცოცხალ ორგანიზმებზე. ბირთვული იარაღების რაობაზე საუბარი იყო 230-ე მუხლის განხილვის დროს.

ბაქტერიოილოგიურ იარაღს მიეკუთვნება მძიმე დაავადებათა (ჭოლერა, ყვავილი, ტიფი და ა.შ.) გამავრცელებელი ბაქტერიებით ხელოვნურად მოწამვლის საშუალებანი. დამნაშავე პათოგენური მიკროორგანიზმების გავრცელებით აღწევს ადამიანთა მწვავე დაავადებას ან განადგურებას.

ქიმიური იარაღები ისეთი საშუალებებია, რომლებიც აირების სახით ერევიან ჰაერისა და ოზონის სფეროებში და წამლავენ ადამიანთა სასიცოცხლო გარემოს.

დანაშაული დამთავრებულად ითვლება ასეთი იარაღების გამოყენების მუქარის შემთხვევაშიც.

კანონმდებელი ამავე მუხლში ითვალისწინებს დანაშაულის ისეთ სახეობას, როდესაც დამნაშავე ხელში ჩაიგდებს ბირთვული ან ეკოლოგიური საშიშროების შემცველ ობიექტებს, რითაც მას შეუძლია დანაშაულებრივად ხელყოს საზოგადოებრივი უსაფრთხოება, დიდად დააზიანოს სახელმწიფოს ისეთი სტრატეგიული ინტერესი, როგორიც არის ტყეების მასიური განადგურება, ზღვებისა და წყლების გაუვარგისება, ისეთი პოლიტიკური ინტერესი, როგორიცაა ადამიანთა სიცოცხლე, ისეთი ეკონომიკური ინტერესი, როგორიც არის ლანდშაფტებისა და ცხოველების განადგურება, მოსახლეობასა და ხელისუფლების ორგანოებზე მაპარალიზებელი ზემოქმედება და ა.შ.

დანაშაულის ობიექტი, როგორც აღვნიშნეთ, რამდენიმეა. ეს გახლავთ მოსახლეობის სიცოცხლე და ჯანმრთელობა, ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესი.

ობიექტური მხრივ დანაშაული შეიძლება გამოიხატოს ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური დაზიანებაში, მოსახლეობის პარალიზებაში, ხელისუფლების ორგანოებზე მწვავე უარყოფით ზეგავლენაში.

სუბიექტური მხარე გამოიხატება განზრახი ბრალით – დამნაშავე შეგნებულად, გააზრებულად მოქმედებს, რათა მიაღწიოს ობიექტურ მხარეში აღწერილ შედეგს და სურს ასეთი.

საქართველოს პოლიტიკური თანამდებობის პირზე თავდასხმა – მუხლი 325

განსახილველი მუხლი ერთი ნაწილისაგან შედგება და მისი შინაარსი ასეთია:

„საქართველოს პრეზიდენტის, სხვა პოლიტიკური თანამდებობის პირის ან მისი ოჯახის წევრის სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან საკუთრების ხელყოფა ამ თანამდებობის პირის სახელმწიფოებრივ მოღვაწეობასთან დაკავშირებით“.

მუხლში გათვალისწინებული პირების დაცვა რეგლამენტირებულია 1996 წლის 24 თებერვლის კანონით სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ, „რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს უმაღლესი

საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებათა, აგრეთვე თანამდებობის პირების დაცვას მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან.“ კანონი მე-5 მუხლში ჩამოთვლის იმ სუბიექტებს, რომელთა დაცვა ამ კანონის შესაბამისად ხორციელდება.

საქართველოს სახელმწიფოს ძირითადი კანონი განმარტავს: „საქართველოს პრეზიდენტი არის საქართველოს სახელმწიფოსა და აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური.

საქართველოს პრეზიდენტი წარმართავს და ახორციელებს სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას, იგი უზრუნველყოფს ქვეყნის ერთიანობას და მთლიანობას, სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობას კონსტიტუციის შესაბამისად“.

საქართველოს პოლიტიკური თანამდებობის პირი არის საქართველოს მოქალაქე, რომელიც დაკისრებული თანამდებობრივი მოვალეობით მონაწილეობას ღებულობს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა-განხორციელებაში.

პრეზიდენტისა და საქართველოს პოლიტიკური თანამდებობის პირის ოჯახის წევრებად ითვლებიან: დედა, მამა, ბებია, ბაბუა, შვილები, მეუღლე, და, ძმა.

ობიექტური მხარე დანაშაულისა გამოიხატება თავდასხმაში, რომელიც მიმართულია პრეზიდენტის, პოლიტიკური თანამდებობის პირის, მათი ოჯახის წევრის ან საკუთრების მოსპობისა ან დაზიანებისადმი.

თავდასხმა არის მოულოდნელი მიჯრა, მივარდნა, შევარდნა, შესევა.

„სახელმწიფოებრივ მოღვაწეობასთან დაკავშირებით“ ნიშნავს პრეზიდენტსა ან პოლიტიკური თანამდებობის პირზე თავდასხმას, რათა მან შეაჩეროს, შეწყვიტოს ან შეაფერხოს თავისი სახელმწიფოებრივი საქმიანობა. თავდასხმა შეიძლება ჩადენილი იქნეს უკვე განხორციელებული სახელმწიფოებრივი მოვალეობების გამო სამუშაო ადგილზე, ქუჩაში, საცხოვრებელ ბინაში, ავტომანქანაში და ა.შ.

დანაშაული დამთავრებულად ითვლება თავდასხმის დაწყებისთანავე, რომელიც უშუალოდ მიმართულია ჩამოთვლილ პირთა სიცოცხლის შეწყვეტის, ან ჯანმრთელობის დაზიანების, ან საკუთრების განადგურებისაკენ, მიუხედავად შედეგის დაუდგომლობისა.

მუხლში ჩამოთვლილ პირებზე თავდასხმა სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის მოტივის გარეშე არ დაკვალიფიცირდება 325-ე მუხლით.

სუბიექტური მხარე გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში.

დანაშაულის ობიექტი არის სახელმწიფოს პოლიტიკა, უშუალო ობიექტი კი პრეზიდენტის ან პოლიტიკური თანამდებობის პირის ან მათი ოჯახის წევრის სიცოცხლე, ჯანმრთელობა ან საკუთრება.

საერთაშორისო დაცვით მოსარგებლე პირზე ან დაწესებულებაზე თავდასხმა – მუხლი 326

განსახილველი მუხლი სრულიად ახალი მოვლენაა ჩვენს კანონმდებლობაში. იგი ერთი ნაწილისაგან შედგება და მისი დისპოზიცია ასეთი შინაარსისაა:

,,საერთაშორისო დაცვით მოსარგებლე უცხო ქვეყნის წარმომადგენელზე ან საერთაშორისო ორგანიზაციის თანამშრომელზე ანდა მათ სამსახურებრივ ან საცხოვრებელ შენობაზე ან სატრანსპორტო საშუალებაზე თავდასხმა, აგრეთვე მათი ოჯახის წევრის სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან საკუთრების ხელყოფა პოლიტიკური მოტივით ან საერთაშორისო ურთიერთობის გართულების მიზნით".

საქართველოს კანონი ,,სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ" მე-5 მუხლში ჩამოთვლის იმ უცხოელ წარმომადგენლებს, რომელთა პირადი და ოჯახის წევრის დაცვა უნდა იქნეს უზრუნველყოფილი სახელმწიფოს მიერ.

1973 წლის 14 დეკემბრის საერთაშორისო კონვენციაში, საერთაშორისო დაცვით მოსარგებლე პირებსა ან დაწესებულებებზე თავდასხმის თავიდან აცილების შესახებ ნათქვამია, რომ ეს დანაშაული ემუქრება სახელმწიფოთაშორის ურთიერთობას, მათ თანამშრომლობას, იწვევს საერთაშორისო თანაარსებობის მწვავე შეშფოთოებას. სწორედ ამაში გამოიხატება ამ დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროება და მართლსაწინააღმდეგება.

ობიექტური მხრივ დანაშაული გამოიხატება კანონის დისპოზიციაში ჩამოთვლილი ერთი ან რამდენიმე მართლსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელებით. კერძოდ:

ა) თავდასხმა უცხო ქვეყნის წარმომადგენელზე, რომელიც სარგებლობს საერთაშორისო დაცვით.

ბ) თავდასხმა საერთაშორისო ორგანიზაციის თანამშრომელზე, რომელიც სარგებლობს საერთაშორისო დაცვით.

გ) თავდასხმა მათ სამსახურებრივ შენობაზე.

დ) თავდასხმა საცხოვრებელ შენობაზე.

ე) თავდასხმა სატრანსპორტო საშუალებაზე.

ვ) თავდასხმა ოჯახის წევრზე.

საერთაშორისო დაცვით მოსარგებლე პირებად, ზემოთ მითითებული საერთაშორისო კონვენციის მიხედვით, ითვლება სახელმწიფოს მეთაური, ასევე პირი, რომელიც ასრულებს სახელმწიფოს მეთაურის ფუნქციას, მთავრობის მეთაური, საგარეო საქმეთა მინისტრი, რომელიც იმყოფება სხვა ქვეყანაში, ასევე მათი ოჯახის წევრები, ასევე კონკრეტული თანამდებობის პირები, რომლებიც წარმომადგენლობით იმყოფებიან სხვა სახელმწიფოში, აგრეთვე 1961 წლის ვენის საერთაშორისო კონვენციის მიერ განსაზღვრული საერთაშორისო თანამდებობის პირები და აგენტები, 1969 წლის კონვენციით სპეციალური მისიის მჭონედ მიჩნეული პირები, 1975 წლის საერთაშორისო კონვენციით მიღებული სახელმწიფოს წარმომადგენლობა, რომელთაც ურთიერთობა აქვთ საერთაშორისო უნივერსალურ ორგანიზაციებთან; 1946 წლის გ.ე.ო. კონვენციით პრივილეგიებისა და იმუნიტეტის მჭონე პირებს და ა.შ.

საერთაშორისო კონვენცია მოითხოვს, დაისაჯონ ის დამნაშავენი, რომლებიც ჩაიდენენ:

საერთაშორისო დაცვით მოსარგებლე პირების მკვლელობას, მოტაცებას ან სხვა ქმედებას, რომლიც მიმართულია მათი პიროვნების ან თავისუფლების წინააღმდეგ;

ძალადობით თავდასხმას ოფიციალურ შენობებზე, საცხოვრებელ ბინებზე ან სატრანსპორტო საშუალებებზე;

მუქარას ნებისმიერი ამგვარი თავდასხმის შესახებ;

ამგვარი თავდასხმის მცდელობას.

სამსახურებრივ ან საცხოვრებელ სახლზე თავდასხმაში კანონმდებელი გულისხმობს მითითებულ ადგილებში დამნაშავის აშკარა შეჭრას ან ფარულ შეძრომას, რის შემდეგაც დამნაშავე იწყებს სიცოცხლის ან ჯანმრთელობის ხელყოფას ან საკუთრების დარბევას.

სატრანსპორტო საშუალებებზე თავდასხმაში – მასზე მიჭრას ან მასში შესვლას, რის შემდეგაც დამნაშავე იწყებს სატრანსპორტო საშუალების განადგურებას ან დაზიანებას ან მასში მსხდომ საერთაშორისო დაცვით მოსარგებლე პირების სიცოცხლის ან ჯანმრთელობის ხელყოფას.

მოტივი ამ თავდასხმისა და ხელყოფისა აუცილებლად უნდა იყოს პოლიტიკური ან საერთაშორისო ურთიერთობის გართულების მიზანი.

სუბიექტური მხარე გამოიხატება პირდაპირი განზრახვით.

ტერორისტული ორგანიზაციის შექმნა ან ხელმძღვანელობა, ანდა მასში მონაწილეობა – მუხლი 327

განსახილველი მუხლი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილის დისპოზიცია ასეთი შინაარსისაა – „ტერიტორიული ორგანიზაციის შექმნა ან ხელმძღვანელობა“. ამ შინაარსში დანაშაულის ორი შემადგენლობაა.

1) ტერორისტული ორგანიზაციის შექმნა.

2) ტერორისტული ორგანიზაციის ხელმძღვანელობა.

ტერორისტული ორგანიზაცია არის ადმიანთა ჯგუფის ერთიანობა, რომელიც მიზნად ისახავს ტერორისტული აქტების მოხდენას.

ორგანიზაციის შექმნაში იგულისხმება ის დამაკომპლექტებელი, სტრუქტურულ-შემკრები მუშაობა, რომლის დროსაც ორგანიზატორი გეგმავს დანაშაულებრივ საქმიანობას, არჩევს მისი დაძლევისათვის საჭირო მოქმედ პირთა გუნდს, ჯგუფის წევრთა ოდენობას, მათ ხარისხს, თითოეულის დანაშაულებრივ გამბედაობას, სიმტკიცეს, არჩევს იარაღის სახეობასა და ოდენობას, თავშეყრის ადგილს, მოლაპარაკების დროს და ა.შ.

ორგანიზაცია თავისი ერთიანობით იცავს ურთიერთდამორჩილების ნორმებს.

ორგანიზაციის ხელმძღვანელობა გამოიხატება წევრთა დარწმუნებაში დანაშაულებრივი საქმიანობის აუცილებლობასა და მომგებიანობაში, კონკრეტული საქმიანობის შესრულებისას ფუნქციებისა და როლების განაწილებაში, შესრულების კონტროლში, ხერხებისა და მეთოდების სწავლებაში, დანაშაულის ჩადენის შემდეგ მათ მიმალვაში, კონსპირაციაში.

მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს ტერორისტულ ორგანიზაციაში მონაწილეობისათვის. მონაწილეობა ნიშნავს წევრისაგან ნებაყოფილობით თანხმობას, იყოს ამ ორგანიზაციის წევრი და მიიღოს მონაწილეობა მის დანაშაულებრივ საქმიანობაში, ცნოს ორგანიზაცია და შეასრულოს განაწილებით მიღებული დანაშაულებრივი დავალება.

მონაწილეობა ფართო ცნებაა, ის შეიძლება გამოიხატოს მრავალი ფორმით, კერძოდ: ბინის მიცემაში, როცა ბინის მეპატრონემ წინასწარ იცის ორგანიზაციის მიზანი, კონსპირაციის დაცვაში, ბინის შენილბვაში, იარაღის მიწოდებაში, ტრანსპორტით

მომსახურებაში, საკვების მომზადებაში, დანაშაულის ობიექტის მდგომარეობის დაზუსტებაში, ასაფეთქებელი ნივთიერებისა და აპარატურის მოწყობაში, დაყენებაში, უშუალოდ აფეთქებაში, ცეცხლის წაკიდებაში, წყლით დატბორვაში, კატასტროფის მოწყობაში და ა.შ. მონაწილეობის ხარისხს კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არ აქვს.

სუბიექტური მხარე გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში — დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ ის მონაწილეობს ტერორისტულ ორგანიზაციაში ან ხელმძღვანელობს მას, გაცნობიერებული აქვს ორგანიზაციის არსებობის მიზანი და სურს ეს.

ობიექტი დანაშაულისა არის ტერორისტული ორგანიზაცია, რომელიც შეიქმნა საზოგადოებრივი უსაფრთხოების, სახელმწიფოს სტრატეგიული, პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესის, ხელისუფლების ორგანოების ნორმალური მუშაობის დანაშაულებრივი ხელყოფისათვის.

ობიექტური მხარე გამოიხატება ორგანიზაციის შექმნასა ან ხელმძღვანელობაში, ან მასში მონაწილეობაში.

უცხო ქვეყნის ტერორისტულ ორგანიზაციაში ან უცხოეთის კონტროლს დაქვემდებარებულ ასეთ ორგანიზაციაში გაერთიანება ანდა მისი დახმარება — მუხლი 328

მუხლი ერთი ნაწილისაგან შედგება. მისი შინაარსი სათაურის იდენტურია და დისპოზიციას აღარ გავიმეორებთ.

ტერორისა დ ტერორისტული ორგანიზაციის შექმნის თაობაზე ჩვენ ვისაუბრეთ 323-ე და 327-ე მუხლების განხილვის დროს.

განსახილველი მუხლის შესწავლისას საუბარი გვექნება იმ დანაშაულის ირგვლივ, რომელიც გამოიხატება უცხო ქვეყნის ტერორისტულ ორგანიზაციაში მონაწილეობით ან უცხოეთის კონტროლს დაქვემდებარებულ ორგანიზაციაში გაერთიანებით, ანდა მისი დახმარებით ტერორისტულ საქმიანობაში.

უცხო ქვეყნის ტერორისტული ორგანიზაცია განლაგებულია უცხო ქვეყანაში, რომელიც კოორდინაციას, ხელმძღვანელობას უწევს ტერორისტული აქტების მოწყობას სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე.

უცხოეთის კონტროლს დაქვემდებარებული ტერორისტული ორგანიზაცია მდებაროებს სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე შენილბულად, ფარულად და ხელმძღვანელობის დავალებით აწყობს ტერორისტულ აქტებს.

კანონი დანაშაულის სამ შემადგენლობას მოიცავს:

1) დამნაშავე ხდება უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული ტერორისტული ორგანიზაციის წევრი, ერთიანდება მათთან.

2) დამნაშავე ხდება იმ ტერორისტული ორგანიზაციის წევრი, რომელიც თვით დამნაშავის ქვეყნის ტერიტორიაზეა განლაგებული.

3) დამნაშავე არ არის ტერორისტული ორგანიზაციის წევრი, მაგრამ ეხმარება ამ ორგანიზაციას ტერორისტული საქმიანობის განხორციელებაში.

ორგანიზაციის წევრობა ნიშნავს ორგანიზაციულ-სტრუქტურულად ჩამოყალიბებულ ადამიანთა ჯგუფში ნებაყოფილობით გაერთიანებას, წევრად გახდომას მათს საქმიანობაში თანამონაწილეობის მიზნით.

ასეთი ორგანიზაციისათვის დახმარების გაწევაში კანონმდებელი გულისხმობს, რომ დამნაშავე არ არის მისი წევრი, მაგრამ დახმარებას უწევს ტერორისტულ საქმიანობაში.

დახმარება შეიძლება გამოიხატოს ობიექტების დაზვერვაში და სათანადო ცნობების მიწოდებაში, ასაფეთქებელი მოწყობილობების დამონტაჟებაში, თავშესაფარისა და ბინის მიცემაში, კონსპირაციაში და ა.შ. ტერორიტსული აქტის შედეგს კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს.

სუბიექტური მხარე გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში — დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ ის თავისი სურვილით ერთიანდება უცხოეთის ან უცხოეთს დაქვემდებარებულ ტერორისტული ორგანიზაციის წევრად ან დახმარებას უწევს მათ დანაშაულებრივ საქმიანობაში და სურს ეს.

დანაშაულის ობიექტის თაობაზე წინა მუხლების განხილვის დროს გვქონდა საუბარი და აქ აღარ შევჩერდებით.

ობიექტური მხარე გამოიხატება უცხოეთის ან მათ კონტროლს დაქვემდებარებულ ტერორისტულ ორგანიზაციაში გაერთიანებით ან უამისოდ დახმარების გაწევით ტერორისტული აქტების მოწყობაში.

მძევლად ხელში ჩაგდება ტერორისტული მიზნით – მუხლი 329

განსახილველი მუხლი სამი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილის შინაარსი ასეთია: „მძევლად ხელში ჩაგდება ტერორისტული მიზნით, ე.ი. რათა მძევლის გათავისუფლების პირობით აიძულონ სახელმწიფო ხელისუფლება ანდა საერთაშორისო ან რელიგიური ორგანიზაცია, შეასრულოს ან არ შეასრულოს ესა თუ ის მოქმედება.“

ტერორი „პოლიტიკურ და კლასობრივ მოწინააღმდეგესთან ანგარიშის გასწორებაა სხვადასხვა ფორმით“, რითაც იგი შიშის ქვეშ ამყოფებს საზოგადოებას და უკარგავს ნორმალური მუშაობისა და დასვენების საშუალებას, მატერიალურად აზარალებს ქვეყანას და ა.შ. ხოლო მძევლად ხელში ჩაგდების დროს დამნაშავის მიზანია, სახელმწიფო ხელისუფლებას შეასრულებინოს ესა თუ ის მოქმედება ან თავი შეაკავებინოს ასეთი მოქმედებისაგან. ამასთანავე ეს მოქმედება ტერორისტულ მიზანსაც ასრულებს მოსახლეობის დაშინებისა და ხელისუფლების ორგანოებზე ზემოქმედების კუთხით. განსახილველ მუხლში სწორედ ამაზეა საუბარი. დამნაშავე ხელთ იგდებს პიროვნებას და ამით გარკვეულწილად პარალიზებას უკეთებს საზოგადოებრივი ცხოვრების რიტმს.

მძევლად ხელში ჩაგდება ერთ-ერთი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულია. იგი ხელყოფს საზოგადოებრივ უშიშროებას, სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, თავისუფლებას და ადამიანის ხელშეუხებლობას, რომელიც დაცულია როგორც კონსტიტუციით, ასევე სხვა კანონებით.

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, მძევლად ხელში ჩაგდებამ შეიძლება თავისთავად გამოიწვიოს პოლიტიკური ან ეკონომიკური ზიანი ან ხელყოს ვითარება, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო ურთიერთობისათვის. ამ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა დღეს მთელი მსოფლიო კაცობრიობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა. ამის თაობაზე ყურადღება გამახვილებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1979 წლის კონვენციაშიც.

მძევლად ხელში ჩაგდების ცნებაში კანონმდებელი გულისხმობს მოქალაქის არასამართლებრივ თავისუფლების აღკვეთას, როცა მისთვის თავისუფლების დაბრუნება დამოკიდებულია სუბიექტის იმ სურვილის დაკმაყოფილებაზე, რომელსაც იგი აყენებს სახელმწიფოს, იურიდიული ან ფიზიკური პირის წინაშე.

ხელში ჩაგდება შეიძლება განხორციელდეს როგორც საიდუმლოდ, ასევე აშკარა თავდასხმით, ძალადობით ან ამის გარეშე, სიცოცხლისათვის საშიში ქმედებით ან ასეთის გარეშე.

ხელში ჩაგდებულის (მოტაცებულის) დაკავება ნიშნავს მისი თავისუფლად წასვლის ძალადობით დაბრკოლებას.

დამნაშავის მოთხოვნა შეიძლება იყოს სხვადასხვა შინაარსის, მიმართული სახელმწიფოს, იურიდიული ან კერძო პირის მიმართ. მოთხოვნის სახეობას კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არ აქვს.

პრაქტიკა გვიჩვენებს, მოთხოვნები ძირითადად მიმართულია იქითკენ, რომ ხელისუფლებამ შეცვალოს რაიმე მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადაწყვეტილება ან გააუქმოს ის, ანდა გაათავისუფლოს მნიშვნელოვანი დანაშაულისათვის დაკავებული პირები, გადაიხადოს დიდი თანხა, გამოსცეს ამნისტია ან არ მოითხოვოს არაფერი და ვინმეს მძევლად ხელში ჩაგდებით პარალიზება უყოს საზოგადოებრივი ცხოვრების რიტმს, ამით კი გავლენა მოახდინოს ხელისუფლების ორგანოებზე და ა.შ.

მოთხოვნის წაყენება თითქმის ყოველთვის ხდება ღიად, დამნაშავე ცდილობს, ფართო რეზონანსი მიიღოს მისმა ქმედებამ, ხმამაღლა აყენებს ულტიმატუმს და ა.შ.

დანაშაული დამთავრებულია ფაქტიური გატაცებისთანავე. მოტაცების ჩავარდნა, როდესაც დამნაშავე შეეცადა და ვერ მიაღწია მიზანს, დაკვალიფიცირდება როგორც მცდელობა.

კანონი მძევლად ხელში ჩაგდების დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევს იმას, თუ იგი განხორციელდება:

ა) საქართველოს პოლიტიკური თანამდებობის პირის ან მისი ოჯახის წევრის მიმართ (პარლამენტის წევრი, ქალაქის მერი, პრეზიდენტი, ან მათი ოჯახის წევრი: დედა, მამა, ბებია, ბაბუა, შვილი).

ბ) უცხოეთის ოფიციალური წარმომადგენლის ან საერთაშორისო სამართლებრივ დაცვას დაქვემდებარებულის მიმართ (რომელიმე ქვეყნის სახელმწიფოს მეთაური, პარლამენტის წევრი, ელჩი, კონსული და სხვა).

გ) ჯგუფურად.

დ) არაერთგზის.

ე) ტერორისტული ორგანიზაციის მიერ.

მუხლის მესამე ნაწილი პასუხისმგებლობას მაშინ ითვალისწინებს, თუკი მძევლად ხელში ჩაგდებამ, ე. ი. პირველი და მეორე ნაწილით გათვალისწინებულმა ქმედებამ, გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა.

მძიმე შედეგის დადგომის დროს აუცილებელია, გამომძიებელმა დაადგინოს მიზეზობრივი კავშირი მძევლად ხელში ჩაგდებასა და დაღუპვას შორის.

მძევლად ხელში ჩაგდებულის სიკვდილის მიზეზი შეიძლება იყოს როგორც განზრახ მოქმედება, ასევე გაუფრთხილებელი და დაკვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობით.

დანაშაულის სუბიექტური მხარე გამოიხატება პირდაპირი განზრახვით.

მომტაცებელი, რომელიც დაზარალებულს ხელში ჩაიგდებს და ასევე ის, რომელიც აკავებს, დარაჯობს და არ აძლევს თავისუფლებას მას, ითვლებიან დანაშაულის ამსრულებლად.

სტრატეგიული ან განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტის ხელში ჩაგდება ან ბლოკირება ტერორისტული მიზნით – მუხლი 330

მუხლის პირველი ნაწილის შინაარსი ასეთია: „სტრატეგიული ან განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტის ხელში ჩაგდება ან ბლოკირება ტერორისტული მიზნით“.

სტრატეგიულ ობიექტებად ითვლება სახელმწიფოს პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიკური მნიშვნელობის მქონე ობიექტები და ცენტრები, რომელთაც გლობალური პოლიტიკური და სამხედრო მნიშვნელობა გააჩნიათ, ან განსაკუთრებულ როლს ასრულებს ქვეყნის ენკონომიკური თუ სასიცოცხლო ფართომასშტაბიანი ხასიათის საკითხების გადაწყვეტაში. მაგალითად, სტრატეგიული მნიშვნელობის ჭალაჭი, ყურე, ობიექტი რკინიგზა, ტელე-რადიომაუწყებლობა, კავშირგაბმულობა და ა.შ.

განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტებში კანონმდებელი გულისხმობს ისეთ სამრეწველო ან სხვა ეკონომიკურ, საწარმოო თუ საფინანსო ცენტრებს, რომელთაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ ქვეყნის ეკონომიკაში (ქარხნები, ფაბრიკები, ბანკები

და ა.შ.).მათი ხელში ჩაგდება ნიშნავს დაპყრობას, დაპატრონებას, ეკონომიკური და ტექნიკური მართვის ბერკეტების ხელში ჩაგდებას ნამდვილი მფლობელის ნების საწინააღმდეგოდ.

ბლოკირება ნიშნავს ასეთ ობიექტებთან მომოსვლისა და სხვა კონტაქტების გაწყვეტას, წარმოებითი ურთიერთობისაგან ჩამოშორებას, კავშირების გაწყვეტას, რითაც ხელი ეშლება ობიექტების ნორმალურ მუშაობას.

დანაშაულის სუბიექტური მხარე გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში — დამნაშავე მოქმედებს და ხელში იგდებს სტრატეგიულ და განსაკუთრებით მნიშვნელოვან ობიექტებს ან ბლოკირებას უკეთებს მათ, იმ მიზნით, რომ დააშინოს საზოგადოება, მოახდინოს მისი პარალიზება, დაუკარგოს ადამიანებს ნორმალური შრომისა და დასვენების საშუალება, უარყოფითი გავლენა იქონიოს ხელისუფლების ორგანოების საქმიანობაზე.

ობიექტი დანაშაულისა არის მოსახლეობის მშვიდი შრომა და ცხოვრება, მისი ეკონომიკა.

ობიექტური მხარე გამოიხატება სტრატეგიული და მნიშვნელოვანი ობიექტების ხელში ჩაგდებასა ან ბლოკირებაში ტერორისტული მიზნით.

არ არის გამორიცხული, რომ ტერორისტული მიზნით დამნაშავემ დაანგრიოს, ააფეთქოს, დაწვას, დატბოროს ობიექტი.

მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს მაშინ, როცა ზემოთ აღწერილ ქმედებას შედეგად მოჰყვება ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი. ან სხვა მძიმე შედეგში კანონდებელი გულისხმობს რამდენიმე ადამიანის დაღუპვას ან დიდ მატერიალურ ზარალს.

ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინება — მუხლი 331

მოსალოდნელი ტერორისტული აქტის შესახებ შეგნებულად ცრუ შეტყობინება ნიშნავს იმას, რომ დამნაშავემ მშვენივრად იცის, ასეთი ფაქტი რეალურად არ მოხდება, მაგრამ იგი სპეციალურად, შეგნებულად ცრუობს და ყალბ შეტყობინებას აწვდის სამართალდამცავ ორგანოებს. თითქოს ამგვარ ფაქტს აუცილებლად ექნება ადგილი.

ასეთი ყალბი შეტყობინება მოსალოდნელი ტერორისტული აქტის გამო იწვევს ორგანიზაციების, წარმოების, დაწესებულებების პარალიზებას და სამართალდამცავი ორგანოების მთელი ყურადღება მიეპყრობა ახალი ინფორმაციის მიღებას, მოსალოდნელი მძიმე დანაშაულის თავიდან აცილებას, იმ დახმარებას, რაც უნდა გაეწიოს იმ ობიექტს, სადაც ტერორისტული აქტია მოსალოდნელი. მობილიზებული ხდება სამედიცინო, სახანძრო სამსახურები, აფეთქებითი ტექნიკის სპეციალისტები და ა.შ. წარმოებისა და დაწესებულების ხელმძღვანელები იძულებულნი არიან სრულიად შეწყვიტონ, ან მკვეთრად შეამცირონ მუშაობა, რათა ადამიანთა მცირე ნაწილი იყოს დასაქმებული. ეს იწვევს პანიკას და მწვავე უკმაყოფილებას მოსახლეობაში.

ობიექტური მხრივ დანაშაული გამოიხატება ყალბი ტერორისტული აქტის წინააღმდეგ სამზადისში.

დამნაშავე ზოგადად უთითებს ტერორისტული აქტის თაობაზე. მისი ადრესატი შეიძლება იყოს სახელმწიფო ხელისუფლების, მმართველობის ან სამართალდამცავი ორგანოები, თანამდებობის პირები, წარმოებები, დაწესებულებები, ორგანიზაციები.

ფორმა შეტყობინებისა შესაძლებელია სხვადასხვაგვარი (წერილობითი, სატელეფონო და ა.შ.).

დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება ტერორისტული აქტის თაობაზე შეგნებულად ცრუ შეტყობინებაში.

სუბიექტური მხარე — პირდაპირ განზრახვაში.

მიზანი დამნაშავისა არის, იმ ფიზიკური ან იურიდიული პირების მოტყუება, რომლებიც დანაშაულის ადრესატად ითვლებიან და მათი მუშაობის პარალიზება.

მოტივი დანაშაულისა შეიძლება იყოს ანგარება, ხულიგნობა, ნაციონალური სიძულვილი და ა.შ.

როცა კანონი ლაპარაკობს წინასწარი შეგნებით ცრუ შეტყობინებაზე, იგულისხმება, რომ დამნაშავემ შეტყობინების მიცემამდეც იცოდა, რომ მისი ცნობა ყალბი იყო, მაგრამ მაინც ავრცელებდა მას და სურდა ეს.

თუ შეტყობინების გავრცელების დროს სუბიექტი დარწმუნებული იყო ცნობის ჭეშმარიტებაში, მაგრამ ის ალარ გამართლდა, დანაშაულის შემადგენლობა არ გვექნება.

39-ე თავი

სამოხელეო დანაშაული
(ზოგადი მიმოხილვა)

სამოხელეო დანაშაული ერთ-ერთი მძიმე და საზიფათო მოვლენაა ქვეყნისათვის. იგი საკმაოდ ფეხმოკიდებული, ინტენსიური და მრავალსახეობრივია თავისი ფორმებითა და ჩადენის ხერხებით, ამიტომაც მას სისხლის სამართლის კოდექსში დამოუკიდებლად გამოეყო 39-ე თავი. აქ მოთავსებული ნორმები ითვალისწინებენ მხოლოდ საერთო სამოხელეო დანაშაულობებს, რომლებიც ხელყოფენ სახელმწიფო ხელისუფლების ნებისმიერ სფეროს და შეიძლება ჩაიდინოს ამ სფეროში დასაქმებულმა ნებისმიერმა თანამდებობის პირმა.

გასათვალისწინებელია ის, რომ ასეთი დანაშაულობები ხელყოფენ არა მარტო სახელმწიფო აპარატის ნორმალურ ფუნქციონირებას, არამედ საზოგადოებრივი ურთიერთობის სხვა სფეროებსაც (მართლმსაჯულების განხორციელებას, მოქალაქეთა შრომით უფლებებს, სამეურნეო ინტერესებს და ა.შ.).

სისხლის სამართლის თეორია განსაზღვრავს სამოხელეო დანაშაულს, როგორც მოხელის საზოგადოებრივად საშიშ საქციელს, რომელსაც იგი ჩადის დაკავებული სამოხელეო უფლებამოსილების წყალობით, რითაც არსებითად აზიანებს სახელმწიფოსა და საზოგადოების აპარატის ნორმალურ მუშაობას, ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებამოსილებას ან ქმნის ასეთის დადგომის საფრთხეს. მაშასადამე, სამოხელეო დანაშაული განსხვავდება ყველა სხვა დანაშაულობებისაგან თავისი შინაარსითა და მოცულობით, მაგრამ გამოკვეთილი და ძირითადია სამი ნიშანი:

1) სამოხელეო დანაშაულის ჩადენა ხდება სპეციალური უფლებამოსილებით აღჭურვილი ადამიანის მიერ, ე. ი.მისი ჩამდენი აუცილებლად უნდა იყოს სახელმწიფო მოხელე – გარკვეული თანამდებობის პირი.

2) დანაშაულის ჩადენა ხდება მოხელეობრივი მდგომარეობის გამოყენებით, რომელიც ითვალისწინებს კონკრეტული სამსახურებრივი უფლებამოსილების დარღვევას.

3) დანაშაულებრივი მოქმედება აზიანებს ან დაზიანების

საფრთხეს უქმნის სახელმწიფო ან საზოგადოებრივი აპარატის სწორ მუშაობას.

გვარობითი ობიექტი დანაშაულისა არის ერთიანობა საზოგადოებრივი ურთიერთობისა, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი აპარატის ნორმალურ ფუნქციონირებას და მიმართულებას საბაზრო პოლიტიკის შემდგომი განვითიარებისა და ახალი საზოგადოების ძირეული ჩამოყალიბებისაკენ, ახალი საკანონმდებლო სისტემის შექმნისაკენ.

სახელმწიფო აპარატის ცნება გულისხმობს სახელმწიფოს მთელ მექანიზმს, რომელიც მოიცავს ხელისუფლების და მმართველობის მთელი სისტემის ყველა რგოლს, აზორციელებს აღმასრულებელ-განმკარგულებელ მოღვაწეობას, ასევე მოიცავს წარმოებათა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მართვის მექანიზმს.

საზოგადოებრივ აპარატს განეკუთვნება საზოგადოებრივი მექანიზმი, რომელიც მართავს საზოგადოებრივ სისტემებს (პროფკავშირები, ნებაყოფილებითი სპორტული, სამონადირეო და სხვა კავშირები).

საზოგადოებრივი ორგანიზაციების მართვის ორგანოებია კომიტეტები, პრეზიდიუმები და ა.შ.

უშუალო ობიექტი თანამდებობრივი დანაშაულისა არის აპარატის მუშაობის ცალკეული რგოლი ან ცალკეული ორგანიზაცია, დაწესებულება.

ობიექტური მხარე მოხელეობრივი დანაშაულისა გამოიხატება საზოგადოებრივად საშიშ ქმედებასა ან უმოქმედობაში სამსახურებრივი ინტერესების მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ.

ყველაზე უფრო ტიპიურია სამოხელეო დანაშაულის ჩადენა მოქმედებით, მაგრამ ისეთი დანაშაულობები, როგორიც არის სამსახურებრივი გულგრილობა, ხორციელდება უმოქმედობით.

სამსახურებრივი მდგომარეობა არის ვალდებულებათა ის მოცულობა, უფლებები და მოვალეობანი, რომელსაც პირი ფლობს დაკავებული თანამდებობის გამო ხელისუფლების ფუნქციის განხორციელების უფლებით ან სპეციალური რწმუნებით და რომელიც მან უნდა შეასრულოს.

სამოხელეო დანაშაულობების განხილვის დროს სასამართლო ვალდებულია ზუსტად დაადგინოს მოხელე პირის აუცილებელი თანამდებობრივ-სამსახურებრივი მოვალეობანი, შეისწავლოს დებუ-

ლებები, სადაც ეს მოვალეობანია გაშიფრული და ამის შემდეგ გაარკვიოს, რა იქნა დარღვეული, რომელი მუხლი, რომელი პუნქტი და რა შედეგი მოჰყვა მას.[1]

მოქმედება ჩაითვლება სამსახურებრივი მოვალეობის საწინააღმდეგოდ, თუ ის ობიექტურად ეწინააღმდეგება სახელმწიფოს მოთხოვნებს და ამით არღვევს სახ.აპარატის მუშაობის კანონიერების პრინციპებს.

ნებისმიერი სამოხელეო დანაშაული ყოველთვის არღვევს სამართლებრივ მოთხოვნებს. ამისათვის მოქმედება თუ უმოქმედობა შეიძლება ხშირად ატარებდეს სამსახურებრივი მოვალეობის ფარგლების გადაცილების ფორმალურ ხასიათს.

იმისათვის, რომ დანაშაული დაკვალიფიცირდეს თავისი მატერიალური ნიშნებით, აუცილებელია გამოიკვეთოს მოქმედების არსებითი საზიანო შედეგი და მიზეზობრივი კავშირი.

სუბიექტური მხარე დანაშაულისა, გარდა გულგრილობის შემთხვევისა, გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში.

ისეთ დანაშაულობებს, როგორიც არის სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება და სამსახურებრივი სიყალბე, დამახასიათებელ ნიშნად თან სდევს ანგარების ან სხვა პირადული დაინტერესების მოტივი. მაგალითად, მექრთამეობის აუცილებელი სუბიექტური მახასიათებელი ნიშანი არის გამორჩენის მოტივი.

ამსრულებელი სამოხელეო დანაშაულისა არის სახელმწიფო მოხელე. „მოხელის ცნებაში იგულისხმება ის, ვინც მუდმივად, დროებით ან სპეციალური უფლებამოსილებით ახორციელებს ხელისუფლების წარმომადგენლის მოვალეობას, ანდა ასრულებს ორგანიზაციულ-განმკარგულებელ, ადმინისტრაციულ-სამეურნეო ფუნქციას სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში, სახელმწიფო ან მუნიციპალურ დაწესებულებაში, ასევე საქართველოს შეიარაღებულ ძალებში. დიდმოხელედ ჩაითვლება პირი, რომელსაც შესაბამისად უკავია საქართველოს, აფხაზეთისა და აჭარის კონსტიტუციებით ან კანონით დაწესებული თანამდებობა სახელმწიფოს ორგანოს უფლებამოსილების უშუალოდ განსახორციელებლად“.

განსახილველი მუხლი აღნიშნავს იმასაც, რომ სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მოსამსახურეს, რო-

1. სსრკ უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი, N 3, 1990 წ.

მელიც არ არის მოხელე, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება კოდექსის შესაბამისი მუხლით სპეციალურად გათვალისწინებულ შემთხვევაში.

აღნიშნული განმარტება სახელმწიფო მოხელის ცნებისა მოთავსებულია სისხლის სამართლის კოდექსის 339-ე მუხლში, იგი ითვლება მოქმედ კანონად და ამომწურავად მოიცავს სახელმწიფო მოხელის მეცნიერულ ცნებას.

თანამდებობათა სახეობანი, როგორც სუბორდინაციის, ასევე უფლება-მოვალეობების მხრივ მრავალია, ამდენად მათი კლასიფიკაცია უნდა მოხდეს უფლებამოსილების სფეროში, რომელიც ესადაგება დანაშაულის სახეობათა ჩადენის სამ ძირითად ნიშანს.

1) ხელისუფლების წარმომადგენელი.

2) მუშაკები, რომლებიც ფლობენ თანამდებობებს ორგანიზაციულ-განმკარგულებელ ან ადმინისტრაციულ-სამეურნეო სფეროში.

3) პირები, რომლებიც ფლობენ იგივე მოვალეობებს სპეციალური რწმუნებებით.

ხელისუფლების წარმომადგენლობითობას მიეკუთვნებიან სახელმწიფო ორგანოთა და დაწესებულებათა მუშაკები, რომელთაც მინიჭებული აქვთ უფლებები, თავიანთი სამსახურის ფარგლების გარეთ წარადგინონ მოთხოვნები, მიიღონ გადაწყვეტილებანი, რომელთა შესრულებაც სავალდებულოა მოქალაქეთათვის, წარმოება-დაწესებულებისათვის, ორგანიზაციებისათავის მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა და უფლებამოსილებისა.

ხელისუფლების წარმომადგენლებად ითვლებიან მერიის პირველი ხელმძღვანელები, მათი მოადგილეები, მერიის წევრები, მოსამართლენი, პროკურორები, გამომძიებლები, სახელმწიფო ინსპექტორები, კონტროლიორები და ა.შ.

ამრიგად, ხელისუფლების წარმომადგენლობის ძირითად ნიშნებად შეიძლება ჩავთვალოთ ხელისუფლებრივი რწმუნება და შესაბამისი უფლებამოსილება.

ორგანიზაციულ-განმკარგულებელ უფლებამოსილებაში იგულისხმება ისეთი ვალდებულება (და შესაბამისად – რწმუნებაც), რომელიც გამომდინარეობს იმ სამსახურებრივი მოვალეობიდან, რომელიც მოიცავს შრომითი კოლექტივის ხელმძღვანელობას მთლიანად ან გარკვეულ უბანში. კონკრეტულად ეს ფუნქცია შეიძლება გამოიკვეთოს

კადრების შერჩევა-დასაქმების ვალდებულებაში, მუშაობის დაგეგმვა-განაწილებაში, შრომის ორგანიზაციის ხელმძღვანელობაში, შრომის დისციპლინის დაცვაში და ა.შ. მაგალითად, ასეთი თანამდებობის პირები არიან დეპარტამენტების ხელმძღვანელები, მათი მოადგილეები, უწყებრივი, სახელმწიფოებრივი, კოოპერატიული, საზოგადოებრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელები, მათი მოადგილეები, სტრუქტურულ ქვეგანყოფილებათა ხელმძღვანელები, საამქროს უფროსები, განყოფილების უფროსები, ლაბორატორიის, კათედრის გამგეები, მათი მოადგილეები და ა.შ. სამუშაო უბნის უფროსები (ოსტატები, ბრიგადირები, სამუშაოთა მწარმოებლები), შრომა-გასწორებითი დაწესებულებებისა და საგამოძიებო იზოლატორების კონტროლიორები და სხვა.

ადმინისტრაციულ-სამეურნეო ვალდებულებებში შედის ის ფუნქციები, რომლებიც არეგულირებენ სამეურნეო საქმიანობის ციკლს: წარმოებას, მიღებას, შენახვას, აღრიცხვას, გაცემას, გადამუშავებას, რეალიზაციას, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებას და ა.შ.

ამ ხელმძღვანელთა რიცხვს მიეკუთვნებიან საგეგმო-სამეურნეო განყოფილების უფროსები, მომარაგებისა და საფინანსო სამსახურის ხელმძღვანელები, მათი მოადგილეები, საწყობის, მაღაზიების გამგეები, სარევიზიო სამსახურის უფროსები და ა.შ.

იმისათვის რომ პირი ცნობილი იქნეს თანამდებობრივი დანაშაულის ამსრულებლად, ობიექტურად უნდა გამოიკვეთოს მისი სამსახურებრივი პოსტი, უფლებამოსილება, ამ უფლებებში სუბიექტის გარკვევა და შემდეგ მისი დარღვევის ფარგლები და ხარისხი.

ამასთანავე, არ აქვს მნიშვნელობა კვალიფიკაციისათვის, სუბიექტი ამ მოვალეობას მუდმივად ასრულებს თუ დროებით, ხელფასის ანაზღაურებით თუ უამისოდ, დანიშვნით თუ არჩევით.

თანამდებობის პირის სამსახურებრივი მოქმედების დაწყება ფორმდება დოკუმენტით, რომელსაც აქვს სამართლებრივი, კანონიერი მნიშვნელობა (ბრძანებულება, ბრძანება, გადაწყვეტილება, დადგენილება, შრომითი შეთანხმება და ა.შ.), ამდაგვარი იურიდიული დოკუმენტის გარეშე, რომელსაც უნდა იცნობდეს სუბიექტი თავის თანამდებობრივ უფლება-მოვალეობასთან ერთად, თანამდებობრივი პასუხისმგებლობის საკითხი არ დადგება.

თანამდებობის პირებად ჩაითვლებიან ასევე სახელმწიფოსა

და საკვალიფიკაციო კომისიის წევრები და სხვა ზოგიერთი კატეგორიის მუშაკები (ექიმები, მასწავლებლები, ექსპედიტორები და სხვები), რომლებიც, ზოგიერთ შემთხვევებში, ასრულებენ თანამდებობრივ ფუნქციას, როდესაც კომისიურად განსაზღვრავენ ინვალიდობის ხარისხის ან წოდების მინიჭებას და ა.შ. სწორედ ამ დროს მათ მიერ დაშვებული სიყალბე ჩაითვლება თანამდებობრივ დანაშაულად. მაგ. ექიმმა კ-მ მოქ. ჟ-ს ყალბად მიანიჭა მეორე ჯგუფის ინვალიდობა. კ-ს მოქმედება აბსოლუტურად შეიცავს თანამდებობრივი დანაშაულის ნიშნებს.

დანარჩენ შემთხვევაში, როდესაც ექიმები თუ პედაგოგები ჩვეულებრივად ასრულებენ პროფესიონალურ საქმიანობას და დაუშვებენ გადაცდომას, როგორიც არის პაციენტებისაგან ზედმეტი (ნიხრს ზევით) ფულადი გასამრჯელოს აღება, მოსწავლისათვის არაკუთვნილი ნიშნის დაწერაში გასამრჯელოს მიღება, არ ჩაითვლება არც მექრთამეობად და არც თანამდებობრივ დანაშაულად.

ქვემოთ განვიხილავთ სამოხელეო დანაშაულის ცალკეულ სახეებს.

სამსახურებრივი უფლებამოსილების გოროტად გამოყენება – მუხლი 332

განსახილველი მუხლის პირველი ნაწილი ასეთი შინაარსისაა: „მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება საჯარო სამსახურის მოთხოვნის საწინა-აღმდეგოდ, თავისთვის ან სხვისთვის რაიმე გამორჩენის ან უპირატესობის მისაღებად, რამაც ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლების, საზო-გადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია.“

აღნიშნული მუხლის დისპოზიცია მიიჩნევს, რომ პირის მოქმედება ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად ჩაითვლება მაშინ, როდესაც მოხელე, საჯარო სამსახურის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, არსებითად არღვევს ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლებებს, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერ ინტერესებს, რათა თავისთვის ან სხვისთვის მიიღოს რაიმე გამორჩენა ან უპირატესობა. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სამოხელეო დანაშაული შეიძლება ოთხი ძირითადი ნიშნით გამოვყოთ:

1) თანამდებობის პირის (მოხელის) მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება სამსახურის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ.

2) ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლების, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა.

3) გამორჩენის ან უპირატესობის მიღება.

4) მიზეზობრივი კავშირი დანაშაულებრივ ქმედებასა და შედეგს შორის.

სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ისეთი მოქმედება ან უმოქმედობა, როდესაც იგი განხორციელდება მხოლოდ და მხოლოდ სამსახურებრივი მდგომარეობის მოშველიებით და გამომდინარეობს ამ უფლებებიდან და მოვალეობებიდან. დამნაშავე ამასთან ერთად არღვევს სამსახურებრივი მოვალეობების ნორმებსა და პრინციპებს, ამახინჯებს საქმის არსს. სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება შეიძლება როგორც მოქმედებით, ასევე უმოქმედობით.

სხვა პირს, ჩვეულებრივ რიგით თანამშრომელს, მისი აღსრულება არ ძალუძს, იგი ვერ დაამახინჯებს საქმის არსს, ვერ იმოქმედებს მისი თანამდებობრივი მოვალეობის საწინააღმდეგოდ, რადგან ასეთი არ გააჩნია.

უმაღლესმა სასამართლომ არაერთგზის შეცვალა ან გააუქმა ქვემდგომი სასამართლოების განაჩენები დანაშაულის შემადგენლობის არარსებობის გამო, ძირითადად იმ მოტივით, რომ არ იყო დადგენილი, თანამდებობის პირმა თავისი თანამდებობრივი მდგომარეობა გამოიყენა თუ არა სამსახურის ინტერესების საწინააღმდეგოდ. აქედან გამომდინარე, მივდივართ შემდეგ დასკვნამდე:

1) ამსრულებელი უნდა ფლობდეს თანამდებობრივ უფლებამოსილებას.

2) დანაშაულებრივი მოქმედება ჩადენილი უნდა იყოს ამ უფლებამოსილების დახმარებით, თანამდებობრივ უფლებებში შემავალი კონკრეტული მოვალეობის საწინააღმდეგოდ.

ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება შეიძლება გამოიხატოს საშტატო, საფინანსო დისციპლინის მძიმე დარღვევაში, საბუღალტრო-სარევიზიო საქმიანობისას გაფლანგვა-მტაცებლობის მიჩქმალვაში, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გაფლანგვა-განიავებაში, ხელისუფლების ორგანოების მოხე-

ლეთა მიერ ჭრთამის აღებაში, დანაშაულის აღრიცხვისაგან დამალვაში და ა.შ.

დანაშაულებრივი შედეგი ამ საზოგადოებრივად საშიში ქმედებისა მდგომარეობს მასში, რომ არსებითად აზიანებს სახელმწიფოს, საზოგადოებრივ ან ცალკეულ მოქალაქეთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს.

ობიექტური მხარე მოხელეობრივი დანაშაულისა ხასიათდება სამი აუცილებელი ნიშნით:

1) მოხელის სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელება სამსახურის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ. მაგალითად, შს განყოფილების უფროსმა არ გახსნა სისხლის სამართლის საქმე, არ ამხილა დამნაშავენი, რადგან მასში მისი ძმა მონაწილეობდა.

2) თავისთვის ან სხვისთვის რაიმე გამორჩენისა თუ უპირატესობის მიღებით, რამაც გამოიწვია ფიზიკური ან იურიდიული პირის, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა.

3) მიზეზობრივი კავშირის არსებობით მოქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის.

სუბიექტური მხარე თანამდებობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისა განზრახია. პირს შეგნებული აქვს, რომ იგი ბოროტად იყენებს სამსახურებრივ უფლებამოსილებას გამორჩენის მიზნით და არღვევს ფიზიკური თუ იურიდიული პირის, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერ ინტერესს და არსებითად აზიანებს მას. კანონიერი ინტერესის არსებითი შელახვა უნდა განისაზღვროს ცალკეული შემთხვევების შეფასებით, კერძოდ: მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული დაზარალებულ მოქალაქეთა რიცხვი, მატერიალური, სულიერი, ფიზიკური ზიანის სიმძიმე, ზარალის ხარისხი, წარმოების თუ ორგანიზაციის მუშაობაზე უარყოფითი გავლენის სიმწვავე და ა.შ.

დანაშაულის ჩადენის მოტივის დადგენას აუცილებელი იურიდიული მნიშვნელობა გააჩნია. იგი კანონში მინიშნებულია, როგორც გამორჩენითი, ასევე სხვა პირადი დაინტერესებითი ხასიათის სახით.

გამორჩენაში კანონმდებელი გულისხმობს მხოლოდ მატერიალური ღირებულების მიღებას (ფული, ნივთი და ა.შ.), ან სხვა გამორჩენაში შეიძლება ვიგულისხმოთ თანამდებობის პირის მიერ

რაიმე სამსახურებრივი უპირატესობის მოპოვება, კერძოდ: საზოგადოების მიერ აშენებულ ბინაში კენჭისყრის გარეშე მისთვის სასურველი ბინის და სართულის შერჩევა და ა.შ.

პირადი დაინტერესებულობა შეიძლება გამოიხატოს არაქონებრივი ხასიათის ინტერესში, კერძოდ: რაიმე სიამოვნების მიღებაში, კარიერისტულ წარმატებაში და ა.შ.

სუბიექტი დანაშაულისა აუცილებლად არის თანამდებობის პირი — სათანადო უფლებამოსილებით.

ობიექტი დანაშაულისა არის საზოგადოების, სახელმწიფოს, იურიდიული და ფიზიკური პირის კანონიერი უფლებები და ინტერესები.

მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას აწესებს, თუ პირველ ნაწილში გათვალისწინებული ქმედება ჩაიდინა სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირმა.

ამ თანამდებობაში იგულისხმება სახელმწიფო საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების თანამდებობის პირები და ა.შ.

სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება — მუხლი 333

მუხლი სამი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილის შინაარსი ასეთია: „მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, რამაც ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლების, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია“.

ნებისმიერი სახელმწიფო მოხელე მასზე დაკისრებულ თანამდებობრივ მოვალეობას ახორციელებს იმ ფარგლებში, რომელიც ამ თანამდებობის უფლებამოსილებაში შედის.

თანამდებობის პირთა უფლებამოსილების ნორმები თავიდანვე განსაზღვრულია წესდებებში, დებულებებში, ინსტრუქციებში, ბრძანებებში და ა.შ. ამიტომ, რომ გადაწყდეს საკითხი თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტების შესახებ, აუცილებლად ზუსტად უნდა დადგინდეს თანამდებობის პირის თანამდებობრივი კომპეტენცია ანუ მისი უფლებებისა და ვალდებულებების წრე. როდესაც დადგინდება, რომ თანამდებობის პირის მოქმედება დანაშაუ-

ლებრივად სცილდება მის კანონიერ უფლებებსა და მოვალეობებს, სწორედ მაშინ დადგება 333-ე მუხლით პასუხისმგებლობის საკითხი.

ხელისუფლების ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება შეიძლება გამოიხატოს სხვადასხვა ფორმით, კერძოდ: მოხელე პირმა განახორციელოს ისეთი მოქმედება, რომელიც მისი ზემდგომი თანამდებობის პირის კომპეტენციაში შედის. მაგალითად, საამქროს უფროსი იძლევა წარმოების ტექნოლოგიური პროცესის შეცვლის ბრძანებას, როდესაც ეს საქმე ქარხნის ხელმძღვანელობის კომპეტენციაა. ქარხნის დირექტორი იძლევა ბრძანებას მათი საუწყებო ბინიდან თანამშრომლის გამოსახლების შესახებ, როცა ამ საკითხის გადაწყვეტა სასამართლოს ექვემდებარება.

სასამართლო აღმასრულებელმა სასამართლოს გადაწყვეტილება აღასრულა ქონების კონფისკაციის თაობაზე, როდესაც განაჩენი ჯერ კიდევ არ შესულა კანონიერ ძალაში და ა.შ.

განსახილველი დანაშაული მოიცავს განზომილების ორ ფორმას:

1) უფლებამოსილების ფარგლებს.

2) ამ უფლებამოსილების განხორციელების კანონიერ საშუალებებს.

დანაშაულის შემადგენლობა შეიცავს სამ ძირითად მახასიათებელს:

1) თანამდებობის პირის მოქმედებაში უფლებამოსილების დანაშაულებრივი გადამეტება.

2) დანაშაულებრივი მოქმედების შედეგმა ნამდვილად არსებითად შელახა სახელმწიფო, საზოგადოებრივი ან კერძო პირის ინტერესები.

3) მოცემული დანაშაულებრივი ქმედება ხორციელდება მხოლოდ მოქმედებით.

ხელისუფლების ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისათვის პასუხისმგებლობის აუცილებელი პირობაა აშკარა შეუსაბამობა ნამდვილ უფლებასა და განხორციელებულ ქმედებას შორის. თუ დანაშაულებრივი მოქმედება არ ხდება თანამდებობრივი უფლებების გამოყენების გადამეტებით, მოქმედების კვალიფიკაცია არ მოხდება 333-ე მუხლით. მაგალითად, საამქროს უფროსმა ცემა მუშა ნასესხები ფულის დაგვიანების გამო.

სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ხელისიუფლების ან სამსახურებრივი მოვალეობის გადამეტებისათვის ეკისრება მაშინ, თუ ეს

გადამეტება ატარებს განზრახ ხასიათს, ე. ი. პირმა წინასწარი შეგნებით იცის, რომ მოქმედება, რომელსაც ის ჩადის, აშკარად სცილდება მისი უფლებამოსილების კანონიერ ფარგლებს და სურს ასეთი, რაც იწვევს ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლების, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითად შელახვას.

მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს, როდესაც პირველი ნაწილის დისპოზიციით გათვალისწინებულ დანაშაულს ჩაიდენს სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი, რომლის ცნება განმარტებულია 332-ე მუხლის განხილვისას.

მუხლის მესამე ნაწილი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს მაშინ, თუ პირველი ან მეორე ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებათა რომელიმე შემადგენლობა დამნაშავემ ჩაიდინა არაერთგზის, ძალადობით ან იარაღის გამოყენებით, დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით.

უფლებამოსილების გადამეტების დროს ძალადობა ან იარაღის გამოყენება ნიშნავს გადამეტებული უფლებამოსილების განხორციელებისათვის ფიზიკური ძალის ან იარაღის ხმარებას. მაგალითად: პოლიციის ინსპექტორმა პირადი ინტერესების გამო დააკავა მოქალაქე და მისი დამორჩილებისათვის გამოიყენა ფიზიკური შებოჭვა, იარაღით მუქარა, რითაც დაზარალებულის პირადი ღირსებაც შელახა და შეურაცხყო.[1]

მძიმე შედეგში კანონმდებელი გულისხმობს დაზარალებულს (ფიზიკური პირის მძიმე დაზიანებას, დიდ მატერიალურ ზარალს, უფლებების მწვავედ შელახვას და ა.შ.).

სუბიექტური მხარე დანაშაულისა გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში. სუბიექტს შეგნებული აქვს თავისი მოქმედების მართლწინააღმდეგობა, ისიც, რომ აჭარბებს მის სამსახურებრივ უფლებამოსილებას და სურს ეს, ან დაჟინებით არ სურს, რომ მის მოქმედებას ვინმეს კანონიერი ინტერესების შელახვა მოჰყვეს, მაგრამ რადგან მისი მოქმედება იწვევს ასეთს, უშვებს მას, არ ენაღვლება. ამსრულებელი დანაშაულისა აუცილებლად არის თანამდებობის პირი (მოხელე), სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი.

---

1. საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები N 12, 1982, გვ. 371

ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან უკანონო გათავისუფლება – მუხლი 334

სამართალდამცავი ორგანოების ძირითადი კონსტიტუციური მოვალეობაა ობიექტური, ყოველმხრივი და სრულყოფილი გამოძიების ჩატარება. დღეს საკანონმდებლო ორგანო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მოქალაქეთა უფლებამოსილების სრულ დაცვასა და განხორციელებას. განსაკუთრებული სამართლებრივი ღონისძიებები ტარდება საპროცესო კანონმდებლობის სრულყოფილი ჩამოქნა-ჩამოყალიბებისათვის.

განსახილველი მუხლის მიზანია, რომ თავიდან იქნეს აცილებული ნამდვილად დამნაშავის უკანონო გათავისუფლება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან.

იგი ერთი ნაწილისაგან შედგება. მისი დისპოზიცია ასეთი შინაარსისაა: ,,ბრალდებულის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, აგრეთვე დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილის უკანონო გათავისუფლება".

,,დაკავება თავისუფლების ხანმოკლე აღკვეთაა, რომელიც გამოიყენება თუ არსებობს საკმარისი საფუძველი, ეჭვი მიიტანონ პირზე იმ დანაშაულის ჩადენაში, რომლისთვისაც კანონი ითვალისწინებს სასჯელს თავისუფლების აღკვეთის სახით მისი დანაშაულებრივი საქმიანობის აღკვეთის, მიმალვის ან მტკიცებულებათა მოსპობის თავიდან აცილების მიზნით".

,,ბრალდებული ნიშნავს პირს, რომლის მიმართ გამოძიების მიერ შეკრებილია საკმაო მტკიცებულებები დანაშაულის ჩადენაში მისი ბრალდებისათვის და საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით გამოტანილია დადგენილება მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ ბრალდებულის სახით".[1]

ობიექტი დანაშაულისა არის სახელმწიფო ხელისუფლება.

გვარობითი ობიექტი - სამართალდამცავი ორგანოების კონსტიტუციური უფლებამოსილება.

ობიექტური მხარე გამოიხატება ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან უკანონო გათავისუფლებაში.

1. ა. ფალიაშვილი, საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბ., 1988, გვ. 92

ობიექტური მხარე ხორციელდება დაკავების ობიექტური მასალების ან ბრალდების დამადასტურებელი დოკუმენტების განზრახი გაყალბებით. ბოროტად იყენებს რა თავის სამსახურებრივ უფლებამოსილებას. მომკვლევი პირი, გამომძიებელი ან პროკურორი აძლევს საშუალებას ეჭვმიტანილს თუ ბრალდებულს, დაამახინჯოს ან მოსპოს ბრალდების დამამტკიცებელი იარაღები ან საშუალებანი, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ფასეულობანი, გადაათქმევინოს მოწმეებს ობიექტური ჩვენებები და ა.შ.

სუბიექტური მხარე გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში – დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ ის თავისი მოქმედებით საშუალებას აძლევს დამნაშავეს თავი დაიხსნას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან და სურს ასეთი.

ამსრულებელი დანაშაულისა არის პროკურორი, გამომძიებელი, მომკვლევი პირი. დანაშაული დამთავრებულად ითვლება ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან უკანონოდ გათავისუფლებისთანავე, ე. ი. როგორც კი ამსრულებელი გამოიტანს დადგენილებას ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოების შეწყვეტის ან არაღძრის გამო.

ჩვენების ან დასკვნის მიცემის იძულება – მუხლი 335

განსახილველი მუხლი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილის შინაარსი ასეთია: „პროკურორის, გამომძიებლის ან მომკვლევის მიერ მუქარით ან სხვა უკანონო ქმედებით ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის, დაზარალებულის ან მოწმის იძულება ჩვენების მიცემისათვის, ანდა ექსპერტისა – დასკვნის მიცემისათვის.“

სისხლის სამართლის კანონი არა მარტო კრძალავს ასეთ მოქმედებას, არამედ დანაშაულად თვლის მას და ითვალისწინებს სასჯელის სერიოზულ ღონისძიებასაც.

ობიექტი ამ დანაშაულისა არის სამართალდამცავი ორგანოების უფლებამოსილების კანონიერი განხორციელება, ხოლო კონკრეტული ხელყოფის საგანი – მოქალაქის კანონიერი ინტერესი.

ობიექტურის მხრივ დანაშაული გამოიხატება გამომძიებლის

ან მომკვლევის მიერ ეჭვმიტანილის, დაზარალებულის, მოწმის იძულებაში — გასცეს ჩვენება ან ექსპერტმა დასკვნა.

იძულება, ფაქტიური გაგებით, მოიცავს ჩვენების მიღებას უკანონო მეთოდებით, რითაც ირღვევა მისი ნებაყოფილებით მიცემის კონსტიტუციური პრინციპი, რის შედეგადაც ჩვენება არასრული და უხარისხოა, დამახინჯებულია ფაქტიური მდგომარეობა, სრულიად გამოცლილი აქვს მტკიცებულებითი ძალა.

ჩვენებისა თუ საექსპერტო დასკვნის იძულებით მიღებას ორი ფორმა გააჩნია. მოწმე, რომელმაც ამა თუ იმ ფაქტთან დაკავშირებით არ იცის ჭეშმარიტება და აიძულებს დამნაშავე, გასცეს ჩვენება როგორც ფაქტის დამსწრემ, ან გვერდი აუაროს მის მიერ სინამდვილეში ნანახ ფაქტიურ მდგომარეობას და მის ნაცვლად განაცხადოს სრულიად სხვა, კერძოდ ის, რაც მომკვლევს ან გამომძიებელს სურს.

არასწორი ჩვენების მიცემის ან საექსპერტო დასკვნის არასწორად შედგენის საზოგადოებრივი საშიშროება მდგომარეობს მასში, რომ მას შეიძლება მოჰყვეს უკანონო განაჩენის დადგენა, გასამართლება უდანაშაულო სუბიექტისა ან აშკარა დამნაშავის გამართლება, რითაც სერიოზულად ირღვევა მოქალაქეთა კანონიერი ინტერესები, მართლმსაჯულების კონსტიტუციური პრინციპი და ა.შ.

მუხლის პირველ ნაწილში ჩამოთვლილია ჩვენებისა და დასკვნის იძულებით მიღების დანაშაულებრივი ხერხები — მუქარა ან სხვა უკანონო მოქმედება. მუქარა შეიძლება იყოს ცემის, დაპატიმრების, სამსახურიდან დათხოვნის, ან ასეთივე მოქმედების განხორციელებისა ახლობლების მიმართ და ა.შ. სხვა უკანონო მოქმედებაში შეიძლება ვიგულისხმოთ ნებისმიერი პროვოკაციული ხასიათის მეთოდი. კერძოდ: დაკითხვისას ნარკოტიკული ან ძლიერმოქმედი ნივთიერების ან ალკოჰოლის გამოყენება, სხვადასხვა სახის ყალბი დაპირება (გათავისუფლება, კოლექტივზე თავდებქვეშ გადაცემა, კვალიფიკაციის შეცვლა და სხვა). ექსპერტი შეიძლება დააშინოს რაიმე კომპრომასალის გამოყენების მუქარით, ალკოჰოლის გამოყენებით და ა.შ.

მუხლის მეორე ნაწილი განიხილავს პირველ ნაწილში გათვალისწინებული დანაშაულის დამამძიმებელ ხასიათს, როცა იგივე მოქმედებას დამნაშავე ჩადის ძალადობით, აბუჩად აგდებით ან წამებით.

ძალადობაში იგულისხმება ფიზიკური ზემოქმედების სხვადასხვა ფორმა (ცემა, მსუბუქი ან ნაკლებად მძიმე დაზიანება ან ტკივილის გამომწვევი რაიმე მოქმედება – მკლავის გადაგრეხა, ყელში ხელის მოჭერა და ა.შ.). თუ ძალადობამ გამოიწვია მძიმე დაზიანება, მოქმედება დაკვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობით.

აბუჩად აგდებაში იგულისხმება სპეციფიკური ფორმა ფსიქო ზემოქმედებისა, რომელიც გამოიხატება მასხრად აგდებაში, ბოროტ დაცინვაში, გაჭირდვაში, დამცინავი კითხვების მიცემაში, ირონიაში, ეროვნების მასხრად აგდებაში და ა.შ.

წამებაში კანონმდებელი გულისხმობს ფიზიკურ ტკივილს, მწვავე განცდების გამომწვევი ინფორმაციების გამოგონებას, შიმშილს, წყურვილს და ა.შ.

დანაშაული დამთავრებულად ითვლება მუქარის ან ტანჯვის განხორციელებისთანავე.

სუბიექტური მხარე გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში, როდესაც დამნაშავემ იცის თავისი მოქმედების დანაშაულებრივი ხასიათი, მისი სიმძიმე და სურს ეს.

დანაშაულის ამსრულებელი არის გამომძიებელი, მომკვლევი.

უკანონო განაჩენის ან სხვა სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანა – მუხლი 336

განსახილველი დანაშაული ერთ-ერთი მძიმეა იმათ შორის, რომელიც ხელყოფს მართლმსაჯულებას. მისი განსაკუთრებული საშიშროება მდგომარეობს მასში, რომ უკანონოდ, არასწორად წყდება სისხლის სამართლის ან სამოქალაქო საქმის ბედი, სრულიად უკანონოა გამოტანილი განაჩენი, გადაწყვეტილება ან დადგენილება, რაც გამოიხატება ბრალდების დაუსაბუთებლობასა ან არსებულ მასალებთან შეუსაბამობაში, რითაც ეცემა სასამართლოს ავტორიტეტი, ირღვევა მოქალაქეთა რწმენა სამართლებრივი ორგანოების მიმართ და მძიმე შედეგი მოაქვს მათთვის, ვისაც გამოუტანეს არასწორი განაჩენი თუ განჩინება.

მუხლი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილის

შინაარსი ასეთია: „უკანონო განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანა“.

ობიექტი დანაშაულისა არის სახელმწიფო ხელისუფლება, სამართალდამცავი ორგანოების ნორმალური მუშაობა მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში, კონკრეტული ობიექტი — დაზარალებულის ინტერესი.

ობიექტური მხარე გამოიხატება მოსამართლეთა მიერ არასწორი განაჩენის, განჩინების, დადგენილების, გადაწყვეტილების გამოტანაში.

არასამართლებრივად მიიჩნევა ისეთი სასამართლო აქტები, რომელიც გამოტანილია მატერიალური თუ პროცესუალური კანონმდებლობის მოთხოვნების უხეში დარღვევით ან საქმის ფაქტიური მასალების საწინააღმდეგოდ და ამახინჯებს ჭეშმარიტებას.

სამოქალაქო საქმეთა ხაზით არასწორი განჩინების გამოტანად შეიძლება ჩაითვალოს კანონიერი მოსარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა ან ზარალის ხელოვნურად გადიდება თუ შემცირება, რომელიც გადახდას ექვემდებარება.

უკანონოდ ჩაითვლება ისეთი სამართლებრივი აქტი, დადგენილება თუ გადაწყვეტილება, თუ ამით უსაფუძვლოდ შეწყდა სისხლის სამართლის საქმე პირველი ინსტანციის ან საკასაციო ინსტანციის სასამართლოში.

დანაშაული დამთავრებულად ითვლება გამოტანილ დოკუმენტზე მოსამართლეთა ხელისმოწერისთანავე.

სუბიექტური მხრივ ქმედება გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში. დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ გამოაქვს განაჩენი ან განჩინება — არასამართლებრივი აქტი და სურს ასეთი შედეგი.

კანონის შესაბამისად ჭეშმარიტების ნიშნების დადგენას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. იგი საშუალებას გვაძლევს განისაზღვროს, მოსამართლის ქმედებაში დარღვევაა თუ დანაშაული. სასამართლო აქტი შეიძლება იყოს არასამართლებრივი, მაგრამ თუ იგი გამოტანილია გამოძიების დროს დასმული არასწორი კვალიფიკაციის შემდეგ მოსამართლის საქმისადმი უგულისყურო დამოკიდებულებით, მოქმედება არ დაკვალიფიცირდება განსახილველი მუხლით, ან შეიძლება დამთავრდეს დისციპლინარული სასჯელითაც კი, თუ შედეგი მძიმე არ არის.

განსახილველი დანაშაულის ჩადენის ძირითადი მოტივი არის

გამორჩენა, შური, სხვა პირადი მიზანი, არაკეთილსინდისიერება, რომელიც მრავალი მიზეზით შეიძლება ამოძრავდეს, კარიერიზმი და ა.შ.

დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს მხოლოდ მოსამართლე, ყველა რგოლის, მთელი სასამართლო სისტემისა და არა ამხანაგური სასამართლოს წევრები ან თავმჯდომარე.

მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას აწესებს იგივე ქმედებისათვის, თუ იგი დაკავშირებულია ისეთ უკანონო განაჩენთან, რომელიც ადგენს თავისუფლების აღკვეთას.

უკანონოში კანონმდებელი გულისხმობს ისეთ განაჩენს, რომელიც არ გამომდინარეობს საქმის მასალებიდან.

ამსრულებელი დანაშაულისა არის მოსამართლე.

სამეწარმეო საქმიანობაში უკანონო მონაწილეობა – მუხლი 337

განსახილველი მუხლი სრულიად ახალია ჩვენს კანონმდებლობაში. იგი, თავისი იურიდიული ბუნების გამო, შეიძლება განვიხილოთ როგორც სპეციალური სახე თანამდებობრივი დანაშაულისა.

პირველი ნაწილის შინაარსი ასეთია: „მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ პირადად ან სხვისი მეშვეობით საწარმოს, ორგანიზაციის ან დაწესებულების დაარსება სამეწარმეო საქმიანობის მიზნით ანდა მის მართვაში მონაწილეობა კანონით დადგენილი აკრძალვის მიუხედავად, თუ ეს დაკავშირებულია მისთვის უკანონო შეღავათის ან უპირატესობის დაწესებასთან ან მის სხვა ფორმით მფარველობასთან“.

როგორც ვხედავთ, კანონი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ითვალისწინებს სამი შემადგენლობისათვის:

1. თუ მოხელემ პირადად ან სხვისი მეშვეობით შექმნა, დააარსა საწარმო, ორგანიზაცია ან დაწესებულება სამეწარმეო საქმიანობის მიზნით;

2. თუ მის მართვაში მიიღო მონაწილეობა;

3. თუ ამ მოქმედებით ორგანიზაცია თუ საწარმო იღებს უკანონო შეღავათს, ან უპირატესობას, ან სხვაგვარ მფარველობას.

„სამეწარმეო საქმიანობა არის მოქალაქის ან მოქალაქეთა

დამოუკიდებელი ინიციატორული საქმიანობა, რომელიც მიმართულია ფულადი მოგების მიღებისაკენ".

სამეწარმეო საქმიანობის კანონი არეგულირებს იმ წესებს, თუ როგორ უნდა მოხდეს ასეთი ორგანიზაციის ჩამოყალიბება და რეგისტრაცია, ასევე ლიცენზირება მისი წარმოებითი საქმიანობისა.

სამეწარმეო საქმიანობა ხორციელდება დაქირავებული შრომის გამოყენებით. ასეთი შრომითი ურთიერთობის გარეშე იგი წარმოადგენს ინდივიდუალურ შრომით მოღვაწეობას. ამასთან დაკავშირებით, სრულიად იოლი წარმოსადგენია, რომ ერთი პირის მიერ გამართული საწარმო, სადაც თვითონ არის დასაქმებული, არ მოიცავს 337-ე მუხლის ნიშნებს, რადგან მუხლში ლაპარაკია არა ინდივიდუალურ შრომით საქმიანობაზე, არამედ ორგანიზაციულ წარმოებაზე.

კანონი მოხელეს უკრძალავს სხვა ორგანიზაციის ხელმძღვანელობას ან ხელმძღვანელობაში მონაწილეობას ე.წ. შეთავსებით, თუ ეს დაკავშირებულია მისთვის უკანონო შეღავათის ან უპირატესობის დაწესებასთან ან სხვა ფორმით მფარველობასთან.

მოხელის მოქმედება დანაშაულებრივად ჩაითვლება და დაკვალიფიცირდება 337-ე მუხლით მაშინ, როდესაც იგი პირადად ან სხვისი მეშვეობით დააარსებს რა ორგანიზაციას დამოუკიდებლად ან სხვებთან ერთად, სამსახურებრივი უფლებამოსილების მეშვეობით უწევს მას შეღავათს, ანიჭებს გარკვეულ უპირატესობას ან ეხმარება სხვაგვარი ფორმით.

მაგალითად, პოლიციის განყოფილების უფროსი მონაწილეობს სააფთიაქო საბითუმო ბაზის შექმნა-რეგისტრაციასა და მის შემდგომ ხელმძღვანელობაში, ხელოვნურად ქმნის მისთვის უპირატესობას ტრანსპორტით, მედიკამენტებით უზრუნველყოფით, გადასახადების შემცირებით, აუდიტის ან სხვა უფლებამოსილი ორგანიზაციის მიერ შემოწმებისა და კონტროლის თავიდან აცილებით და ა.შ.

კანონი დამნაშავის მოქმედებას რაიმე მძიმე შედეგს არ უკავშირებს და დამთავრებულად მიიჩნევს უკანონო შეღავათისა და უპირატესობის მიცემის ან სხვა ფორმით მფარველობის გაწევისთანავე. ამჟამად ხშირად გაიგონებთ ქუჩურ ტერმინს „კრიშა", ამას მეწარმეები ხმარობენ და ხშირად გისახელებენ ცნობილ მოხელეს და გამცნობენ, რომ ამ ორგანიზაციას ის მფარველობს და ა.შ.

ზოგადი ობიექტი დანაშაულისა არის სახელმწიფო ხელისუფლება და კონსტიტუციური წყობილება, კონკეტული – მეურნეობრივი საქმიანობა.

ობიექტური მხარე გამოიხატება მოხელის მიერ საწარმოს, ორგანიზაციის ან დაწესებულების შექმნაში, მის მართვაში, ან მის მიმართ უკანონო შეღავათების გაწევაში, უპირატესობის მიცემაში ან სხვაგვარად მფარველობაში.

ამსრულებელი დანაშაულისა არის მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირი.

სუბიექტური მხარე გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში – სუბიექტს შეგნებული აქვს, რომ საწარმო, რომლის მართვაშიაც იგი მონაწილეობს, მისი მეშვეობით ღებულობს უკანონო შეღავათს, უპირატესობას, მფარველობას და სურს ასეთი.

ქრთამის აღება – მუხლი 338

მექრთამეობა ერთ-ერთი მძიმე დანაშაულია და მრავალმხრივ სახის ვნებს ქვეყანას. უპირველეს ყოვლისა, სცემს სახელმწიფოს ავტორიტეტს, წარმოშობს საზოგადოებაში იმის რწმენას, რომ ადამიანს შეუძლია მიაღწიოს ნებისმიერ საწადელს თანამდებობის პირთა მოსყიდვით და რომ მათი დაყოლიება სრულიად იოლი და ჩვეულებრივი საქმეა. მექრთამეობის მავნებლური ხასიათი მდგომარეობს მასშიც, რომ იგი ხშირად უთავსდება სხვა დანაშაულობებს, ითქვიფება მათთან. ხშირად იგი თან სდევს სახელმწიფო ქონების მითვისებას, სავალუტო ოპერაციების უკანონო წარმოებას, თანამდებობრივ დანაშაულობებს და ა.შ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1986 წლის 11 ივნისის ბრძანებულებაში მითითებული იყო, რომ საზოგადოებრივ სფეროებში კორუფციის შეჩერის ვითარებაში დანაშაულის ეს სახე მკვეთრად იზრდება, როგორც რაოდენობრივად, ასევე მოცულობით. მექრთამეობა ხელყოფს სახელმწიფო და საზოგადოებრივ ურთიერთობათა ნორმალურ მუშაობასა და ორგანიზაციას.

მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობა მექრთამეობის ცნებაში გულისხმობს ორ დამოუკიდებელ შემადგენელ ნაწილს. ქრთამის აღებას და ქრთამის მიცემას.

განსახილველი მუხლი სამი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილის შინაარსი ასეთია: „მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ქრთამის აღება ფულის, ფასიანი ქაღალდის, სხვა ქონების ან ქონებრივი სარგებლობის სახით, ქრთამის მიმცემის სასარგებლოდ ამა თუ იმ მოქმედების შესრულებისათვის ან შეუსრულებლობისათვის, რომელიც მოხელეს ან მასთან გათანაბრებულ პირს უნდა შეესრულებინა ან შეეძლო შეესრულებინა თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ან თუ მის თანამდებობრივ ავტორიტეტს შეეძლო ხელი შეეწყო ამგვარი მოქმედებისათვის, აგრეთვე მის მიერ სამსახურებრივი მფარველობის განხორციელება“.

ობიექტური მხარე დანაშაულისა მდგომარეობს თანამდებობის პირის მიერ ნივთის ან გარკვეული თანხის აღებაში, რის გამოც მექრთამე ქრთამის მიმცემის სასარგებლოდ ასრულებს გარკვეულ საქმიანობას სამსახურებრივ მოვალეობის საწინააღმდეგოდ, ან თავს იკავებს რაიმე მოქმედების შესრულებისაგან, რითაც ვნებს ხელისუფლების სახელსა და ინტერესებს.

ქრთამი, როგორც საგანი, წარმოადგენს ქონებრივი გამორჩენის უკანონო ფორმას.

თანამდებობის პირის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით არაქონებრივი გამორჩენის მიღება არ შეიძლება განხილული იქნეს ქრთამის აღებად. საგანი მექრთამეობისა აუცილებლად არის ფული ან ნივთი, რომელსაც ფულადი ღირებულება გააჩნია (ავეჯი, ხალიჩა, ტელევიზორი, მაგნიტოფონი, ბროლის ნაწარმი, ანტიკვარული ნივთი, საკვები პროდუქტი, სასმელები, ტანსაცმელი და მისთანები).

ქრთამის აღება, როგორც დანაშაული, სუბიექტური მხრივ ხორციელდება პირდაპირი განზრახვით, როდესაც დამნაშავემ იცის, რომ იგი მოქალაქისათვის ასრულებს არაკუთვნილ მოქმედებას სამსახურის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ ან თავს იკავებს რაიმე მოქმედებისაგან და ამას ჩადის ფულადი ან მატერიალური გამორჩენის მიზნით და სურს ეს.

პრაქტიკა იცნობს ქრთამის აღების ორ სახეს: პირველი, როდესაც დამნაშავე აშკარად, პირდაპირ იღებს მას, ხოლო მეორე, როცა ქრთამის აღება შენიღბულად განხორციელდება.

პირველი ითვალისწინებს დამნაშავის ისეთ საქციელს, როცა

თანამდებობის პირი ამა თუ იმ თანამდებობრივი მოქმედებისა თუ უმოქმედებისაგან თავის შეკავებისათვის პირდაპირ იღებს გამორჩენას მოქალაქისაგან.

შენიღბულია ისეთი მოქმედება, როდესაც თანამდებობის პირი გარეგნულად კანონიერად მოქმედებს, ხოლო შინაარსი დანაშაულებრივია. მაგალითად, პრემიაში თანამონაწილეობა. დამნაშავე საქმიან მონაწილეობას არ ღებულობს საპრემიო მოღვაწეობაში და უთანხმდება შემოქმედს, პრემიაზე წარდგენისათვის პრემიის ნახევრის მიღების თაობაზე. ასეთი მოქმედება შენიღბული მექრთამეობად კვალიფიცირდება. მაგრამ თუ სამუშაოთა მწარმოებელი ყალბად გამოუწერს მუშებს ზედმეტ თანხას, რომლის ღირებულების სამუშაო მათ არ შეუსრულებიათ და ამ თანხას თვითონ აიღებს, გვაქვს სახელმწიფო ქონების მითვისება. შეიძლება ეს იყოს პირადი ქონების მითვისებაც, თუ სამუშაო კერძო პირს ეკუთვნის.

სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებაში იგულისხმება მოქმედება, რომელიც შედის დამნაშავის უფლებამოსილების თანამდებობრივ კომპეტენციაში (მაგ. დირექტორის უფლებამოსილებაში — პიროვნების სამსახურში მიღება და გათავისუფლება).

დანაშაულის ამსრულებელია თანამდებობის პირი, რომელსაც გააჩნია თანამდებობით განსაზღვრული უფლებამოსილება.

ქრთამის აღება შეიძლება მხარეთა შორის წინასწარი მოლაპარაკებით ან უამისოდ. ამასთანავე, არ აქვს მნიშვნელობა ქრთამს წინასწარ აიღებს თუ მერე — როცა შეასრულებს ქრთამის მიმცემის სასარგებლო მოქმედებას ან უმოქმედებას.

პრაქტიკამ იცის შემთხვევები, როცა არ არსებობს მოლაპარაკება ხელმძღვანელსა და ხელქვეითს შორის, მაგრამ ხელქვეითი ყოველი თვის ბოლოს აძლევს მას გარკვეულ თანხას. მაგალითად, ავტოპარკის დირექტორი ყოველი თვის ბოლოს მძღოლისაგან იღებს გარკვეულ თანხას. ასეთი მოქმედება კვალიფიცირდება მექრთამეობად.

სამსახურებრივი მფარველობის განხორციელებაში კანონმდებელი გულისხმობს იმას, რომ მოხელე თავისი თანამდებობრივი საქმიანობის მეშვეობით და გავლენით იცავს ქრთამის მიმცემს, რისთვისაც იღებს ფულად ან ნივთიერ გასამრჯელოს ქრთამის სახით.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ახალმა კანონმდებლობამ მეტად გულდასმით ჩაიხედა ყოველი დანაშაულის სიღრმეში და მათ შორის

მექრთამეობის შემადგენლობაშიც, ამომწურავად განსაზღვრა ქრთამის აღების ყოველი ხერხი და მეთოდი.

განსაკუთრებით დღეს, საბაზრო ეკონომიკის დროს, გამოვლინდა მექრთამეობის ახალი ფორმები და მეთოდები. მაგალითად, არენდის ან საკუთარი ქონების, ოფისის, ბინის, მიწის ნაკვეთის, წარმოების, პრივატიზაციის ან მოსახლეობის მომსახურების სფეროში არც თუ იშვიათია ქრთამის აღების ფაქტები. ასევე შეიცვალა ქრთამის მიცემის ფორმებიც. მაგალითად, ქრთამის მიმცემს გასაცემი თანხა შეაქვს უცხოეთის ბანკში, ქრთამის მიმცემის სახელზე, რათა მოხელის მიერ ქრთამის აღება საიმედოდ იქნეს კონსპირირებული.

ფულის სახით ქრთამის აღებად ჩაითვლება დამნაშავისათვის იმ ფულის ერთეულის მიცემა, რომელიც ბრუნვაშია (ლარი, მანეთი, დოლარი და ა.შ.).

სხვა ქონების აღებაში კანონმდებელი გულისხმობს ნებისმიერ მატერიალურ ფასეულობას, რომელიც შეიცავს გარკვეულ საცვლელ ღირებულებას.

ფასიანი ქაღალდები ის დოკუმენტებია, რომლებიც თავისი შინაარსით ადასტურებენ ქონების შემცველობას ან სხვა ქონებრივ უფლებას. კერძოდ: სახელმწიფო ობლიგაცია, ვექსილი, ჩეკი და ა.შ.

ქონებრივი ხასიათის სარგებლობაში კანონმდებელი გულისხმობს ისეთი მოქმედების შესრულებას, რომელიც მოიცავს გარკვეულ ფასოვან ღირებულებას, კერძოდ – ავტომანქანის შეკეთება, ბინაზე მიშენება, აგარაკის აგება და სხვა მრავალი.

მუხლის პირველ ნაწილში კანონმდებელი განიხილავს ქრთამის აღების ისეთ ხერხს, როდესაც თანამდებობის პირი თავისი თანამდებობრივი ავტორიტეტით უწყობს ხელს ქრთამის მიმცემის ინტერესის განხორციელებას და საამისოდ იღებს მატერიალურ გამორჩენას. მაგალითად, კათედრის გამგემ გაავრცელა ხმა ერთ-ერთ სტუდენტზე, რომ იგი მისი ახლო ნათესავია. ამის გამო, მისი რიდით, ლექტორებმა დაუმსახურებლად დაუწერეს ნიშნები მას, ხოლო გამგემ საამისოდ სათანადო გამორჩენა მიიღო სტუდენტისაგან.

მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს თუ ქრთამი აიღო სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირმა ან ქრთამის აღება მოხდა დიდი ოდენობით, ან წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ დიდი ოდენობით. ქრთამად ჩაითვლება ფულის,

ფასიანი ქაღალდის ან სხვა ქონების ანდა ქონებრივი სარგებლის სახით გამორჩენა, რომლის ღირებულება აჭარბებს ათი ათას ლარს.

მუხლის მესამე ნაწილში ლაპარაკია ქრთამის აღებაზე მეტად დამამძიმებელ გარემოებებში, როცა პირველი ან მეორე ნაწილით გათვალისწინებული ქმედება ჩადენილია:

ა) იმ პირის მიერ, რომელიც ერთხელ არის ნასამართლევი ანალოგიური დანაშაულისათვის.

ბ) არაერთგზის.

გ) ქრთამის გამოძალვით.

დ) ორგანიზებული ჯგუფის მიერ.

ე) განსაკუთრებით დიდი ოდენობით.

ქრთამის აღება ჯგუფურად ნიშნავს, დანაშაულის ჩასადენად რამდენიმე პირის წინასწარ მოლაპარაკებას. ამ კვალიფიკაციის შესაბამის ქმედებას მაშინ აქვს ადგილი, როცა ქრთამი იღება ორი ან მეტი პირის მიერ, როდესაც მათ შორის წინასწარ ხდება შეთანხმება ქრთამის აღებისათვის სამსახურებრივი მოქმედების ან უმოქმედობის ერთობლივად შესრულების შესახებ. მაგალითად, კადრების სამმართველოს უფროსსა და დირექტორს შორის მოხდა მოლაპარაკება საამქროს უფროსად არასპეციალისტის მიღების თაობაზე.

თუ საამქროს უფროსმა თანამშრომლის მიმართ სასარგებლო მოქმედებისათვის დამოუკიდებლად აიღო ქრთამი და გაუნაწილა იგი დირექტორს ისე, რომ დირექტორმა ამ ქრთამის აღების შესახებ არაფერი იცოდა, დირექტორის მოქმედება არ დაკვალიფიცირდება მითითებული ნაწილითა და პუნქტით.

არაერთგზის ქრთამის აღების ცნებაში იგულისხმება ქრთამის აღება ორჯერ და მეტჯერ, თუკი არ არის გასული ხანდაზმულობის ვადის განსაზღვრული დრო. არაერთგზის ქრთამის აღებად ჩაითვლება მსგავსი საქმეების გაკეთებისათვის სხვადასხვა პირისაგან თუნდაც ერთდროულად ქრთამის აღება.

„არაერთგზის“ არ ჩაითვლება ერთი და იგივე საქმისათვის ნაწილ-ნაწილ, ასევე ერთი და იგივე საქმისათვის რამდენიმე პირისაგან (მაგ. ელექტრო-ენერგიის გაშვებისათვის უბნის რამდენიმე მცხოვრებისაგან) ქრთამის აღება.

ქრთამის გამოძალვად ჩაითვლება თანამდებობის პირისაგან ქრთამის მოთხოვნა მუქარის ნიადაგზე. მაგალითად, წარმოების

დირექტორი ამცირებს საამქროს მეკუპნავის შტატს, თუ ქრთამს არ მისცემს.

თუ დამნაშავე ქრთამს მოითხოვს იმისათვის, რომ დაფაროს მეკუპნავის მატერიალური ფასეულობათა დანაკლისი და არ გადასცეს პროკურატურას, არ დაკვალიფიცირდება გამოძალვად. იგი ქრთამის აღებაა გამოძალვის გარეშე.

ქრთამის გამოძალვა პრაქტიკულად ორ მნიშვნელოვან მომენტს მოიცავს: პირველი — როდესაც დამნაშავე სპეციალურად აზვიადებს მოჭალაქის მოქმედებას, აშინებს მას, რათა რაც შეიძლება მეტი თანხა ან მეტი ღირებულების ნივთი გამოსძალოს. მეორე — როდესაც დაზარალებულმა იცის რა თავისი მოქმედების უკანონობის სიმძიმე, სთავაზობს თანამდებობის პირს ქრთამის გარკვეულ ოდენობას, რაზედაც დამნაშავე უარს ამბობს და ცდილობს, რაც შეიძლება მეტი გამოსძალოს.

განსაკუთრებით დიდი ოდებნობით ქრთამად ითვლება ფულის, ფასიანი ქაღალდის, სხვა ქონების ან ქონებრივი სარგებლობის სახით თანხა ოცდაათი ათას ლარს ზევით.

ობიექტური მხარე დანაშაულისა გამოიხატება თანამდებობის პირის მიერ პირადად ან დამხმარის მეშვეობით ქრთამის აღებაში, რომლის საფასურადაც თანამდებობის პირი ასრულებს სამსახურებრივი უფლებამოსილების გამოყენებით რაიმე მოქმედებას ან თავს იკავებს მოქმედებისაგან ქრთამის მიმცემის სასარგებლოდ.

ამსრულებელი დანაშაულისა არის მხოლოდ და მხოლოდ თანამდებობის პირი — სახელმწიფო მოხელე.

დანაშაული დამთავრებულად ითვლება ქრთამის, თუნდაც ჯერჯერობით მცირე ნაწილის, აღებისთანავე.

სუბიექტური მხარე გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში. დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ ის თავისი თანამდებობრივი მდგომარეობის მოშველიებით, სამსახურებრივი საქმიანობის საზიანოდ, ასრულებს მოქმედებას ან თავს იკავებს მოქმედებისაგან ქრთამის მიმცემის სასარგებლოდ და სურს ასეთი.

ამ მუხლის ახალი რედაქცია სრულიად განსხვავდება ძველისაგან თავისი სტრუქტურითა და შინაარსით.

ძველი მუხლის პირველი ნაწილის დისპოზიცია მხოლოდ ორი სიტყვისაგან შედგება – „ქრთამის მიცემა". ახალი დისპოზიცია კი ასეთი შინაარსის არის: „მოხელისათვის ან მასთან გათანაბრებული პირისათვის ქრთამის მიცემა." ასეთი სხვაობა არ უნდა იყოს გასაკვირი, რადგან ძველ კოდექსში ცალკე იყო მუხლი (189[1]) – შუამავლობა მექრთამეობაში. ახალმა კანონმდებლობამ იგი მთლიანად ამოიღო და ამ ქმედების დანაშაულებრივი ხასიათი გააერთიანა განსახილველ მუხლში.

მეორე ნაწილი განსხვავებული არის როგორც კონსტრუქციულად, ასევე შინაარსობრივად. ძველი კოდექსი დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევდა ქრთამის მიცემის არაერთგზისობას, ხოლო განსახილველი მუხლის მეორე ნაწილი დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევს „მოხელისათვის ან მასთან გათანაბრებული პირისათვის ქრთამის მიცემას უკანონო ქმედების ჩასადენად". რათა დააინტერესოს ის და ჩაადენინოს თანამდებობრივი უფლებამოსილების გამოყენებით უკანონო მოქმედება ან უმოქმედობა.

ქრთამის მიცემა საქართველოს კანონმდებლობაში კარგა ხანია მძიმე დანაშაულად არის მიჩნეული და განსაკუთრებით მაშინ, როცა ამ დანაშაულის ინიციატორი თვითონ ქრთამის მიმცემია, როცა იგი წამქეზებელია ქრთამის მიმღებისა, უიოლებს საქმეს, აინტერესებს თანხით ან დიდი ღირებულების მქონე ნივთით, საიდუმლოების საიმედოდ დაცვით და სხვა ამგვარი საქციელით.

ობიექტი და საგანი მოცემული დანაშაულისა იგივეა, რაც 338-ე მუხლისათვის, ამდენად აქ აღარ გავიმეორებთ.

ქრთამის მიცემა, როგორც დანაშაული, დამთავრებულად ითვლება, როცა მას მიიღებს ქრთამის ამღები თანამდებობის პირი (თუნდაც თანხის ნაწილს) ან ნაწილობრივ შეასრულებს იმ სამუშაოს, რაც პირობაშია ჩადებული.

დანაშაულის შემადგენლობა ითვალისწინებს შეგნებულ დანაშაულებრივ მოქმედებას, როგორც მიმღების, ასევე მიმცემისაგან. აქ კანონმდებელი გულისხმობს, რომ დამნაშავემ იცის, რომ ნამდვილად მისცა ქრთამი (ფული ან სხვა ნივთი ან მისთვის შესრულდა რაიმე სასარგებლო სამუშაო) თანამდებობის პირს და მიიღო კიდევაც ამ უკანასკნელმა.

სუბიექტური მხარე დანაშაულისა გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში. დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ ის მისთვის სასარგებლო საქმიანობის შესრულების მიზნით ქრთამს აძლევს სახელმწიფო მოხელეს და სურს ასეთი. ქრთამის მიცემა არ ითვლება თანამდებობრივ დანაშაულად, რადგან ქრთამის მიცემისათვის არ არის სავალდებულო თანამდებობრივი უფლება-მოვალეობა. ამით იმის თქმა როდი გვსურს, რომ ქრთამი არ შეიძლება გასცეს თანამდებობის პირმა, არამედ ის, რომ ქრთამის მიცემა შეუძლია ნებისმიერ მოქალაქეს და რომ ამ დანაშაულის ჩადენას არ განაპირობებს თანამდებობრივი მდგომარეობა. ქრთამის მიცემა შინაარსის მიხედვით ორი პირობის დაცვით ხდება: პირველი – როდესაც ქრთამის მიმცემი პირადად გადასცემს ქრთამს, მეორე – როდესაც შუამავლის მეშვეობით.

ქრთამის შუამავლის მეშვეობით გადაცემის დროს აუცილებელია გაირკვეს, შეფასდეს შუამავლის როლი, მით უმეტეს, როცა თანამედროვე კანონმდებლობა არ ლაპარაკობს დამხმარესა და შუამავლზე ცალკე მუხლით. ორივე შემთხვევა დაკვალიფიცირდება დახმარებად ქრთამის მიცემაში (სსკ-ის 24-ე და 339-ე მუხლებით.

დანაშაული დამთავრებულად ითვლება ფულის გადაცემისთანავე, ე. ი. როცა მიმღებმა შეგნებულად მიიღო იგი.

ქრთამის მიცემის მოტივი მრავალნაირია, მაგრამ ძირითადად შიგ ჩადებულია პირადი ან ორგანიზაციის ინტერესი, რომელიც უკანონოდ უნდა დაკმაყოფილდეს ქრთამის ხარჯზე. კვალიფიკაციისათვის მოტივს მნიშვნელობა არ აქვს.

მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს, როდესაც დამნაშავე მოხელეს წინასწარ აძლევს ქრთამს უკანონო მოქმედების ჩადენისათვის. ვთქვათ, დირექტორს წინასწარ მისცა ქრთამი მოქალაქემ, რათა იგი დანიშნოს მომარაგების უფროსად.

შენიშვნაში განმარტებულია ქრთამის მიმცემის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების მოტივები:

პირველი – თუ პიროვნებას ქრთამი გამოსძალა მოხელემ.

მეორე – თუ ქრთამის მიმცემმა დროულად და ნებაყოფილებით განაცხადა ქრთამის მიცემის თაობაზე იმ ორგანოებში, რომელთაც საქმის აღძვრის უფლებამოსილება გააჩნიათ. საპატიოა ისიც, თუ ასეთ ორგანოებს პიროვნება ვერ უკავშირდება, მაგრამ

ამის თაობაზე განაცხადებს სხვა თანამდებობის პირთან და თხოვს დაეხმაროს ფაქტის სამართალდამცავ ორგანოსათვის შეტყობინებაში.

ქრთამის მიმცემი, მიუხედავად პატიებისა, დაზარალებულად არ ითვლება.

კანონით აკრძალული საჩუქრის მიღება – მუხლი 340

სამსახურებრივი სიყალბე – მუხლი 341

სამსახურებრივი სიყალბე თანამდებობრივი დანაშაულის ერთერთი საშიში ნაირსახეობაა. იგი ხელყოფს ქვეყნის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა სფეროს.

ობიექტური მხრივ სიყალბე, რომელიც დაკავშირებულია ამა თუ იმ სამსახურებრივ საქმიანობასთან, გამოვლინებას პოულობს ოფიციალური დოკუმენტის გაყალბებაში – ამა თუ იმ ოფიციალურ საბუთში წინასწარი შეგნებით ცრუ მონაცემების შეტანაში, დოკუმენტის გადაკეთებაში და ა.შ. მოცემული დანაშაულის აუცილებელი ობიექტური საგანი არის ოფიციალური დოკუმენტი.

თვით დოკუმენტის ცნებაში იგულისხმება წერილობითი ფორმა შინაარსისა, რომელიც ადასტურებს ამა თუ იმ ფაქტს თუ მოვლენას, აქვს გარკვეული უფლებრივი დანიშნულება, შექმნილია რომელიმე წარმოების, დაწესებულების ან ორგანიზაციისაგან, გააჩნია სათანადო ოფიციალური რეკვიზიტები (ბეჭედი, შტამპი, გაცემის ნომერი) და ხელმოწერილია შესაბამისი თანამდებობის პირის მიერ. ოფიციალური დოკუმენტის დამახასიათებელ ნიშნად მიიჩნევა ის, რომ მისი შინაარსის განხორციელებას მოჰყვება გარკვეული იურიდიული შედეგი და აქვს საამისო კანონიერი პრეტენზია.

დოკუმენტის სიყალბის ცნებაში იგულისხმება მასში ისეთი ცნობების, ციფრების შეტანა, რომელიც არ ასახავს ობიექტურ სინამდვილეს, მაგრამ თავისი ფორმის მიხედვით ტოვებს ნამდვილის შთაბეჭდილებას (შესრულებულია ოფიციალურ ბლანკზე, შეიცავს ყველა

რეკვიზიტს, ასახელებს ორგანიზაციის ხელმძღვანელის გვარს და ა.შ.). დოკუმენტი შეიძლება იყოს მთლიანად ყალბი, ან გარკვეული ნიშნებით არანამდვილი.

დოკუმენტის მთლიანი სიყალბე მდგომარეობს მასში, რომ იგი არ არის გაცემული ადრესირებული ორგანიზაციის მიერ. მაგალითად, ცნობა პიროვნების ორგანიზაციაში ამა თუ იმ საქმიანობაზე მუშაობის შესახებ. აქ შეიძლება ყალბი იყოს როგორც თვით ბლანკი, ასევე მისი შინაარსი.

დოკუმენტის გაყალბება გადაფხეკით, ამოშლით, გადაწმენდით მდგომარეობს მასში, რომ დოკუმენტი თავისი რეკვიზიტებით ნამდვილია, მაგრამ დაინტერესებულმა პირმა მასში განზრახ შეცვალა შინაარსი სხვა ციფრის, სიტყვის ჩამატებით ან გამოკლებით, ან გადააკეთა მისი გაცემის თარიღი, რის გამოც დოკუმენტი უკვე აღარ შეესაბამება ობიექტურ სინამდვილეს.

დოკუმენტის გაყალბების მაგალითია აღრიცხვის წიგნებში ყალბი ჩანაწერების შეტანა, შემოსავალ-გასავალის აღრიცხვაში განზრახ არასწორი ცვლილებების დაფიქსირება. აქ უმეტესად იგულისხმება საბუღალტრო აღრიცხვის წიგნებში, ჟურნალებში, რეესტრებში და ა.შ. წუნდებული პროდუქციის ოდენობის ყალბად გაზრდა ან შემცირება და ა.შ.

განსახილველი მუხლის მიხედვით, სიყალბის, როგორც თანამდებობრივი დანაშაულის, ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი მდგომარეობს მასში, რომ მას დამნაშავე ასრულებს სამსახურებრივი უფლებების გამოყენებით, სამსახურებრივ მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ.

თანამდებობრივი სიყალბე ფორმალური შემადგენლობის დანაშაულია. იგი დამთავრებულად მიიჩნევა კანონში მითითებულ სიყალბედ მიჩნეულ ქმედებათა, თუნდაც ერთის განხორციელებით, თუნდაც ამ სიყალბეს მავნე შედეგი არ მოჰყოლოდეს.

უმთავრესი დამახასიათებელი მაკვალიფიცირებელი ნიშანი დანაშაულებრივი სიყალბისა მდგომარეობს მასში, რომ იგი სუბიექტის მიერ ჩადენილი უნდა იყოს ანგარების ან სხვა პირადი მიზნით.

ანგარებაში კანონმდებელი გულისხმობს მატერიალური გამორჩენის მიღებას, ან სხვა პირად მიზანში კი ისეთ შედეგებს, როგორიც არის გეგმების შესრულების ყალბად ჩვენება, გამოშვებულ პროდუქციაზე მისი შემცველობის ყალბი ცნობების გაცემა და ა.შ.

სუბიექტურის მხრივ სამსახურებრივი სიყალბე ჩაიდინება

მხოლოდ პირდაპირი განზრახვით. დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილების გამოყენებით ქმნის ყალბ ოფიციალურ დოკუმენტს, სურს ასეთის შექმნა და მისი შედეგები.

აუცილებელი სუბიექტური ნიშანი დანაშაულისა (როგორც უკვე აღინიშნა) არის ქონებრივი გამორჩენა ან სხვა პირადი მიზანი, ანგარებითი მიზანი მოცემულ შემთხვევაში ყალიბდება თანამდებობის პირის სურვილში, წადილში, სწრაფვაში იმისა, რომ მის მიერ ყალბი დოკუმენტის შექმნას მოყვეს მატერიალური ღირებულების მოპოვება. ან სხვა პირად მიზანში კი იგულისხმება არა ანგარებითი, მაგრამ სხვა ანტისაზოგადოებრივი მოტივი – პროტექციონიზმი, კარიერიზმი, სამსახურებრივი საქმისა და მონაცემების შელამაზება და ა.შ.

თანამდებობრივი სიყალბე შეიძლება თან ახლდეს სხვა დანაშაულთა ჩადენას, კერძოდ, სახელმწიფო ქონების გაფლანგვა-მტაცებლობას. მაგალითად, დგება ყალბი ორდერი, ბუღალტერსა და მოლარეს გამოაქვთ ბანკიდან არაკუთვნილი თანხა. ამ შემთხვევაში დამნაშავის მოქმედება კვალიფიცირდება როგორც წინამდებარე, ასევე სახელმწიფო ქონების დატაცების მუხლებით.

თანამდებობის პირის მიერ ყალბი საბუთების გაკეთება კერძო პირისათვის იმ მოტივით, რომ მან მიიღოს სახელმწიფო პენსია და ნაწილი პენსიისა თანამდებობის პირზე გასცეს, უნდა დაკვალიფიცირდეს სახელმწიფო ქონების დატაცების და სიყალბის ერთობლიობით.

თუ მოხელეობრივი სიყალბე არის დანაშაულის ჩადენის ან მისი დაფარვის საშუალება, მოქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც თანამდებობრივი სიყალბე და თანამონაწილეობა კონკრეტულ დანაშაულში.

სიყალბე, რომელიც ჩადენილია თანამდებობრივი დანაშაულის დასაფარავად, უნდა დაკვალიფიცირდეს ორივე მუხლის ერთობლიობით (თანამდებობრივი სიყალბით და თანამდებობის ბოროტად გამოყენებით).

ამსრულებელი ამ დანაშაულისა აუცილებლად უნდა იყოს თანამდებობის პირი.

341-ე მუხლის განხილვისას დავინახეთ, რომ თანამდებობის პირი დანაშაულებრივად აჭარბებს მისი უფლებამოსილების ფარგლებს. აქ კი, 342-ე მუხლში, საპირისპირო ვითარება გვაქვს – თანამდებობის პირი არ ასრულებს ან გულგრილად, დაუდევრად ასრულებს თავის სამსახურებრივ მოვალეობას, რითაც ვნებს ქვეყანას, საზოგადოებას, ცალკეულ მოქალაქეთა უფლებებს და კანონიერ ინტერესებს.

განსახილველი მუხლი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილის შინაარსი ასეთია: „სამსახურებრივი გულგრილობა, ესე იგი მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება მისდამი დაუდევარი დამოკიდებულების გამო, რამაც ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლების, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია“.

დაუდევრობა არის მოხელე პირის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება, რომელიც იწვევს მავნე შედეგს.

მოვალეობის შეუსრულებლობა ნიშნავს თანამდებობის პირის უმოქმედებას, ე.ი. ის არ ასრულებს იმ საქმიანობას, რომელიც მას დააკისრა თავისმა სამსახურებრივმა უფლებამოსილებამ და ვალდებული იყო შესრულებინა. მაგალითად, ჭარხნის მთავარმა ბუღალტერმა წლების განმავლობაში არ ჩაატარა საამქროებისა და მატერიალური პასუხისმგებელი პირების რევიზია და ინვენტარიზაცია, რითაც მათ მიეცათ სტიმული და საშუალება ქონების მითვისებისა.

არაჯეროვნად შესრულება ნიშნავს მოვალეობის ნაწილობრივ შესრულებას, რაც ვერ უზრუნველყოფს დაკისრებული მოვალეობის სრულ განხორციელებას. მაგალითად, გამომძიებელმა არაჯეროვნად გამოიძია საქმე, არასრულყოფილად შეკრიბა დამამტკიცებელი საბუთები, დროულად არ დაათვალიერა შემთხვევის ადგილი, რითაც დამნაშავემ შესძლო, ხელიდან დაძრომოდა მართლმსაჯულებას. მაშასადამე, ობიექტური მხრივ მოცემული დანაშაული მოიცავს ოთხ ძირითად ნიშანს:

1) მოხელე არ ასრულებს სამსახურებრივ მოვალეობას.

2) მოხელე არაჯეროვნად ასრულებს დაკისრებულ სამსახურებრივ მოვალეობას.

3) არსებითად აზიანებს ქვეყნის ან კერძო პირის კანონიერ ინტერესებს.

4) მიზეზობრივი კავშირი პირის საქციელსა და დამდგარ შედეგს შორის.

დაუდევრობად განიხილება შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება მხოლოდ იმ მოვალეობისა, რომლის შესრულების აუცილებლობა შედის მოხელის სამსახურებრივი უფლებამოსილების წრეში. ამასთანავე გათვალისწინებული უნდა იქნეს არა მარტო ფორმალური ვალდებულების არსებობა, არამედ ობიექტური შესაძლებლობა ვალდებულების განხორციელებისა და მავნე შედეგის თავიდან აცილებისა. ასეთი შესაძლებლობის უქონლობის შემთხვევაში არ გვექნება გულგრილობის, ე. ი. დაუდევრობის შემადგენლობა.

342-ე მუხლის მიხედვით პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ მოქმედების ან უმოქმედობის შედეგად მნიშვნელოვნად დაზიანდა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესები ან იურიდიული პირის ანდა ცალკეულ მოქალაქეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები.

სამსახურებრივი გულგრილობისათვის პასუხისმგებლობის დაკისრებისას აუცილებლად უნდა დადგინდეს:

1) როგორი უფლებები და მოვალეობები ჰქონდა თანამდებობის პირს და რომელი დოკუმენტებით არის ის განსაზღვრული.

2) რომელი სამსახურებრივი მოვალეობა არ შეასრულა თანამდებობის პირმა ან როგორი არაჯეროვნებით.

3) შეეძლო თუ არა ამ შეუსრულებლობას ან არაჯეროვნად შესრულებას გამოეწვია დანაშაულებრივი შედეგი.

4) შეეძლო თუ არა თანამდებობის პირს შეესრულებინა თავისი სამსახურებრივი მოვალეობა პირნათლად.

არაჯეროვან შესრულებაში იგულისხმება არასრული, არადროული, არაზუსტი შესრულება.

დაუდევრობა გაუფრთხილებელი დანაშაულია. სუბიექტური მხარე ხასიათდება იმით, რომ დაკისრებული მოვალეობა სრულიად არ სრულდება, ან სრულდება ნაწილობრივ. სუბიექტი ან ვერ ითვალისწინებს, რა მოყვება შედეგად მის უმოქმედებას, ვერ ხედავს

საზიანო შედეგს, არადა, უნდა დაენახა, ეგრძნო ასეთი, ან ხედავს, მაგრამ დაუდევრად ეკიდება მას და ფიქრობს, ეს უმოქმედობა ან მოქმედება არ მოიტანს მავნე შედეგს.

გულგრილობა აუცილებლად უნდა განვასხვავოთ თავისი მონათესავე დანაშაულებრივი ქმედებისაგან, როგორიც არის სახელმწიფო საიდუმლოების გახმაურება, სახელმწიფო ქონების გაუფრთხილებლობით დაზიანება ან განადგურება, არასტანდარტული პროდუქციის გამოშვება და ა.შ.

ამსრულებელი დანაშაულისა აუცილებლად თანამდებობის პირია.

ობიექტი დანაშაულისა არის სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესები პოლიტიკური თუ სამეურნეო ხასიათის კონკრეტულ სფეროში, ან იურიდიულ პირთა ან მოქალაქეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები.

მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს მაშინ, თუ სამსახურებრივმა გულგრილობამ, ე. ი. მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულმა ქმედებამ გაუფრთხილებლობით ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი გამოიწვია.

მაგალითად, მთავარი ინჟინერი ვალდებული იყო, მშენებლობის დამთავრების შემდეგ მოეხსნა ამწე. იგი ხანგრძლივი დროის განმავლობაში იდგა უქმად სამშენებლო ობიექტზე და წაქცევის გამო გამოიწვია ადამიანის მსხვერპლი.

მე-40 თავი

დანაშაული მმართველობის წესის წინააღმდეგ

(მოკლე მიმოხილვა)

სახელმწიფოს ორგანიზმი სხვა არაფერია, თუ არა მისი ფორმისა და შინაარსის გამომხატველი სახელმწიფო ორგანოებისა და ორგანიზაციების ერთიანი სტრუქტურული მექანიზმი. ამ სტრუქტურის მუშაობა რეგულირდება სახელმწიფო ადმინისტრაციული, საფინანსო, სამოქალაქო და სხვა სამართლებრივი დარგებით. ამ მექანიზმის ნორმალურ ფუნქციონირებაზე ბევრად არის დამოკიდებული სახელმწიფოს ძლიერება, სახელი და ავტორიტეტი, ამიტომ ამ სფეროს მუშაობის

შემაფერხებელი ხელყოფა კანონმდებელმა დანაშაულად მიიჩნია და საჭიროდ ჩათვალა მისი დაცვა სისხლის სამართლის კანონით.

სისხლის სამართლის საშუალებებითაა დაცული ყველა ის მნიშვნელოვანი ურთიერთობა, რომელიც წარმოშობილია სახელმწიფო აპარატის, საზოგადოებრივი ორგანიზაციების და მათი წარმომადგენლების კანონიერი ურთიერთობის სფეროში.

სახელმწიფოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების, საზოგადოებრივი გაერთიანებებისა და მათი წარმომადგენლების ხელყოფა ხელს უშლის მათი კონსტიტუციური ფუნქციის განხორციელებას, რითაც არსებითად ზიანდება მმართველობითი წესრიგი. ამიტომ კანონმდებელმა შეარჩია ამ სისტემის განსაკუთრებული ობიექტები, რომელთა საშიში შეხება ითვლება მმართველობის წესის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებრივ ქმედებად, რაც აზიანებს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მართლზომიერ მოღვაწეობას, ემუქრება სახელმწიფო მოხელეთა სამართლებრივ საქმიანობას ან მათ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას და ა.შ.

გვარობითი ობიექტი დანაშაულისა არის სახელმწიფო მმართველობის წესი.

სუბიექტური მხარე დანაშაულისა ხასიათდება განზრახი ბრალით, გარდა 358, 363 და 366 მუხლებისა, რომელთა განხორციელება შეიძლება მოხდეს როგორც განზრახ, ასევე გაუფრთხილებლობით.

ამსრულებელი დანაშაულისა შეიძლება იყოს ნებისმიერი მოქალაქე. გამონაკლისია 358, 363 და 366 მუხლები, რომლებშიაც გათვალისწინებული დანაშაულის ამსრულებლობა შეუძლიათ მხოლოდ სპეციალურ სუბიექტებს.

საქართველოს სახელმწიფო გერბისა ან დროშის შებღალვა – მუხლი 343

განსახილველი მუხლი ერთი ნაწილისაგან შედგება. იგი ასეთი შინაარსისაა: „საქართველოს სახელმწიფო გერბის ან დროშის შებღალვა“.

გერბი არის ემბლემა, განმასხვავებელი ნიშანი, საგანგებოდ განლაგებული ფიგურებით და საგნებით, რომელთაც სიმბოლური მნიშვნელობა ენიჭებათ და მფლობელის ისტორიულ ტრადიციებს გამოხატავს.

სახელმწიფო გერბი სახელმწიფოს ოფიციალური ემბლემაა, რომელიც ქვეყნის სახელმწიფოებრივ შინაარსსა და მის ძირითად მიმართულებას ასახავს. გერბი გამოიხატება და აღიბეჭდება სახელმწიფო მნიშვნელობის დოკუმენტებზე, ბლანკებზე, ფულის ნიშნებზე, სახელმწიფო დროშაზე და ა.შ.

დროშა, ალამი, ბაირაღი ერთი ან სხვადასხვა ფერის, გარკვეული ზომის ქსოვილია, რომლის ერთი მხარე ხის ტარზეა დამაგრებული, დროშაზე გამოსახულია ფერთა ან ნიშანთა ერთობლიობა და გამოხატავს ქვეყნის, ხალხის წარსულს, დღევანდელობასა და მომავალს. დროშა ოფიციალური სიმბოლოა, რომელიც განასახიერებს სახელმწიფოს სუვერენიტეტს.[1]

შებღალვა ნიშნავს ღირსების შერყვნას, შელახვას, დამცირებას.

ობიექტი დანაშაულისა არის საქართველოს სახელმწიფო მმართველობის წესი, ავტორიტეტი. დამნაშავე ხელყოფს სწორედ სახელმწიფო საფუძვლების სიმბოლოებს — გერბსა და დროშას. აქედან გამომდინარე, ის დასკვნა უნდა გავაკეთოთ, რომ სხვა გერბისა და დროშის შებღალვა არ იწვევს ამ მუხლით პასუხისმგებლობას. მაგალითად, სპორტული ან რომელიმე საზოგადოების სიმბოლოების (ნიშნისა და დროშის).

ობიექტური მხარე დანაშაულისა მდგომარეობს მხოლოდ მოქმედებაში, რომელიც გამოხატავს ქვეყნის სახელმწიფოებრიობის სიმბოლური ნიშნების შებღალვას. ასეთ მოქმედებას მიეკუთვნება გერბისა და დროშის დაწვა, სიბინძურით დასვრა, დაზიანება, ჩამოტეხა, ჩამოხევა, ფერის დამახინჯება სხვა საღებავით, რაიმე დამამცირებელი საგნების ზედ ჩამოკიდება, დამცინავი წარწერების გაკეთება და ა.შ. დანაშაული შესაძლებელია განხორციელდეს განაწყენების გამო, საერთო არეულობის დროს, აშკარად, სახალხოდ, საიდუმლოდ და ა.შ.

დანაშაულისათვის დამახასიათებელია ის, რომ იგი მიზნად ისახავს სახელმწიფოს უპატივცემულობას, დაცინვას, აბუჩად აგდებას და ა.შ. სუბიექტი სახელმწიფოებრივი ნიშნების შებღალვას ჩადის საზოგადოების ხილვადობის არეში.

თუ სუბიექტის დანაშაულებრივი ქმედება საზოგადოებისათვის შესამჩნევი არ ყოფილა არც ჩადენის პროცესში და არც მის შემდეგ, დანაშაულის შემადგენლობა არ გვექნება.

---

1. ჯ. ს. ენციკლოპედია, ტ. 2, გვ. 775.

სუბიექტური მხრივ დანაშაული გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში. დამნაშავემ იცის, რომ იგი უპატივცემულობას გამოხატავს საქართველოს ან მასში შემავალი რესპუბლიკების მიმართ და ამ მიზნით ბღალავს სწორედ გერბსა და დროშას და სურს ასეთი შედეგი. კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არ აქვს, თუ რა მოტივით ხელმძღვანელობდა დამნაშავე ნიშნების შებღალვის დროს.

თუ დამნაშავე ასეთ ნიშნებს იპარავს, ქმედება დაკვალიფიცირდება ქურდობით, ნიშნების ღირებულების მიხედვით. თუ სახელმწიფო გერბისა და დროშის ჩამოხევა-ჩამომტვრევა ჩადენილია ხულიგნური საქციელის დროს, მისი მოქმედება დაკვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობით.

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთა – მუხლი 344

1997 წლის 17 სექტემბრის კანონი „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ“ არეგულირებს სახელმწიფო საზღვრის სტატუსს, აგრეთვე სახელმწიფო საზღვრის რეჟიმის დადგენასა და დაცვასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს საქართველოს ხმელეთზე, შიგა და ტერიტორიულ წყლებში, საჰაერო სივრცეში, განსაკუთრებულ ეკოლოგიურ ზონაში და კონტინენტურ შელფზე.

კანონი არეგულირებს საქართველოს სასაზღვრო პოლიტიკას, სახელმწიფო საზღვრის დადგენას, საზღვრის რეჟიმს, საზღვრის გადაკვეთის კანონიერებას, ტვირთების გატარებას, ტერიტორიულ წყლებს, განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონას, კონტინენტურ შელფს და სხვა მრავალს.

მუხლი, რომელიც სახელმწიფო საზღვარს იცავს სისხლის სამართლის წესით, ორი ნაწილისაგან შედგება.

პირველი ნაწილი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ითვალისწინებს იმ შემთხვევაში, როდესაც დამნაშავე უკანონოდ გადაკვეთს საქართველოს სახელმწიფო საზღვარს. მოცემული დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროება გამოიხატება მასში, რომ სუბიექტი არღვევს საქართველოს სახელმწიფო საზღვარს, ხელყოფს ქვეყნის სამხედრო თავდაცვისუნარიანობას. უკანონო გადაკვეთა საქართველოს სახელმწიფო საზღვრისა ქმნის პირობებს, ჩადენილი იქნეს სხვა

მძიმე სახელმწიფო დანაშაული, როგორიცაა სახელმწიფოს ღალატი, ჯაშუშობა და ა.შ.

დანაშაულის გვარობითი ობიექტი არის ქვეყნის მმართველობის წესი, დამოუკიდებელი ობიექტი — საქართველოს სახელმწიფო საზღვარის ხელშეუხებლობა.

ობიექტური მხარე დანაშაულისა გამოიხატება საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ დარღვევაში.

უკანონოდ ითვლება საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ისეთი გადაკვეთა, რომელიც ხორციელდება დადგენილი პასპორტის ან სხვა ნებართვის გარეშე (დიპლომატიური, სამსახურებრივი, საერთო სამოქალაქო, საზღვაო პასპორტები ან სხვაგვარი ნებართვა). საზღვარზე გადასვლის ნებართვა გაიცემა უფლებამოსილი ორგანოების მიერ.

საზღვარზე უკანონო გადასვლა ხორციელდება ფარულად, სხვადასხვა ხერხებისა და შენიღბვის გამოყენებით (ყალბი პასპორტებით, საჰაერო ბურთებით, სპეციალური მოწყობილობებით, საჰაერო ხომალდების გატაცებით და ა.შ.).

საქართველოს სახელმწიფო საზღვარი არის ქვეყნის სანაპირო ხაზი და ამ ხაზის შესაბამისად, ვერტიკალური სიმაღლე და ვერტიკალური სიღრმე, ხმელეთი, წიაღი და საჰაერო სივრცე, სადაც მოქმედებს საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი.

დანაშაული დამთავრებულად ითვლება საქართველოს საზღვრის ხაზის პრაქტიკული გადაკვეთისთანავე (სახმელეთო, საზღვაო, საჰაერო).

თუ დამნაშავე ვერ მოასწრებს საზღვარზე გადასვლას და დააკავებენ საკონტროლო პუნქტზე, მოქმედება დაკვალიფიცირდება საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის მცდელობით, ხოლო ყალბი დოკუმენტების გაკეთების პროცესში პიროვნების დაკავება დაკვალიფიცირდება როგორც მომზადება საზღვრის გადაკვეთისათვის.

ამსრულებელი დანაშაულისა არის საქართველოს მოქალაქე.

სუბიექტური მხარე გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში.

მოტივი დანაშაულისა, როგორც წესი, ატარებს პირად, საყოფაცხოვრებო ხასიათს. კერძოდ, საზღვარგარეთ ნათესავების ნახვა, ცხოვრების უკეთესი პირობების ძებნა, სისხლის სამართლის ან სამოქალაქო პასუხისმგებლობისაგან მიმალვა და ა.შ., თუ სახელმწიფო საზღვრის დარღვევა ხდება სახელმწიფო დანაშაულის ჩადენის მიზნით, მოქმედება დაკვალიფიცირდება სხვა მუხლით.

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ შეცვლა – მუხლი 345

სასაზღვრო ნიშანი – ეს არის სპეციალური საგანი იმის აღსანიშნავად, თუ სად გადის სახელმწიფო საზღვრის ხაზი. დადგენა სასაზღვრო ნიშნებისა და მათი აღწერა განისაზღვრება საერთაშორისო შეთანხმებებით და მტკიცდება საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებით.

დანაშაულის ობიექტური მხარე გულისხმობს სახელმწიფო საზღვრის კანონსაწინააღმდეგო შეცვლას, რაც შეიძლება გამოიხატოს თუნდაც ერთი სასაზღვრო ნიშნის მოშლით, გადაადგილებით, ან განადგურებით.

სასაზღვრო ნიშნის მოშლა, გადაადგილება და განადგურება, თუ იგი მიზნად არ ისახავს საქართველოს საზღვრის უკანონო შეცვლას, არ შეიცავს დანაშაულის ნიშნებს.

სასაზღვრო ნიშნის მოშლაში იგულისხმება მისი ამოძრობა მიწიდან ან მოხსნა საყრდენიდან ახალ ადგილზე დაყენების გარეშე.

გადაადგილება არის ერთი ადგილიდან მეორეზე გადატანა საზღვრის დარღვევის მიზნით.

განადგურებაში იგულისხმება მისი იმგვარად მოქცევა, რომ იგი კარგავს ნიშნის სახეს.

სასაზღვრო ნიშნის განადგურება შეიძლება დაშხვრევით, აფეთქებით, ცეცხლის წაკიდებით და ა.შ.

სუბიექტური მხარე გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში, რომელსაც აქვს სპეციალური მიზანი – კანონსაწინააღმდეგოდ შეცვალოს სახელმწიფოს საზღვარი საქართველოს საზიანოდ.

მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს იგივე ქმედებისათვის, თუ იგი ჩადენილია:

ა) ჯგუფურად.

ბ) ძალადობით ან ძალადობის გამოყენების მუქარით.

გ) არაერთგზის.

დ) რამაც მძიმე შედეგი გამოიწვია გაუფრთხილებლობით.

ამ დანაშაულის არაერთგზის ჩადენა გულისხმობს საქართველოს საზღვრის უკანონოდ შეცვლას სხვადასხვა დროს – ორჯერ ან მეტჯერ. ძალადობა გულისხმობს მესაზღვრეთა იარაღით ან ასეთის მუქარით იძულებას, გადასწიონ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ნიშანი.

მძიმე შედეგად შეიძლება ჩაითვალოს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გარკვეული ნაწილის ფუნქციონირების მოშლა, რომელიც გამოწვეულია ამგვარი არსებითი დარღვევით, ან რასაც შეიძლება მოჰყვეს საერთაშორისო ხელშეკრულების ჩაშლა რომელიმე ქვეყანასთან, მძიმე ქონებრივი ზარალი და ა.შ.

გვარობითი ობიექტი დანაშაულისა არის ქვეყნის მმართველობის წესი, ხოლო უშუალო ობიექტი – სახელმწიფოს საზღვარი.

ობიექტური მხარე გამოიხატება საზღვრის უკანონოდ შეცვლაში.

საქართველოს სახელმწიფო ალმის უკანონოდ აღმართვა – მუხლი 346

საქართველოს თავისი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური სისტემისა, ისტორიული წარსულისა და მრწამის გამომხატველად გააჩნია საკანონმდებლო ორგანოების მიერ მიღებული და დამტკიცებული სახელმწიფო დროშა (ალამი).

მუხლის შინაარსი ასეთია: „ხომალდზე საქართველოს სახელმწიფო ალმის ან ამოსაცნობი ნიშნის უკანონოდ აღმართვა".

ჩვენი სახელმწიფო ალამი სამი ფერისაგან შედგება: შავი, წითელი და თეთრი. იგი გამოხატავს ჩვენი ერის მიერ გავლილ ცხოვრების გზას, წარსულს, აწმყოს და მომავალს და დამოუკიდებლობისა და სუვერენული უფლებამოსილების სიმბოლოა. მისი აღმართვა მხოლოდ იქ შეიძლება, სადაც საჭიროა ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრიობისა და სუვერენიტეტის აღიარების ჩვენება (საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების შენობებზე, შორს მცურავ სპეციალურ გემებზე, საქართველოს საელჩოების შენობებზე და ა.შ.).

მუხლის მიზანია, საფირმო-სავაჭრო გემებმა არ ისარგებლონ სახელმწიფო ალმის აღმართვით ყალბი, უკანონო უპირატესობით საქართველოს სახელმწიფოს სახელით.

გვარობითი ობიექტი დანაშაულისა არის სახელმწიფოს მმართველობის წესი.

ობიექტური მხარე მდგომარეობს საქართველოს სახელმწი-

ფო ალმის სავაჭრო გემზე უკანონოდ აღმართვაში. თუ ამ აღმართვით დამნაშავემ რაიმე სხვა დანაშაულებრივი ქმედების განხორციელება შესძლო, ქმედება დაკვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობით.

დანაშაულის შემადგენლობა მატერიალურია და დამთავრებულად ითვლება ალმის აღმართვისთანავე.

დანაშაულის ამსრულებელი გემის ხელმძღვანელი მუშაკია, რომელმაც დაავალა და სხვას შეასრულებინა ან თვითონ აღმართა სავაჭრო გემზე სახელმწიფო ალამი.

შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარების წესის დარღვევა – მუხლი 347

დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის დასაწყისმა საფუძველი ჩაუყარა აზრის თავისუფლად გამოთქმის შესაძლებლობას. ადამიანის ამ უფლებას მკვეთრად გაუსვა ხაზი საქართველოს კონსტიტუციამ, რომლის 25-ე მუხლი გარკვევით ამბობს, რომ „ყველას, გარდა იმ პირებისა, რომლებიც არიან სამხედრო ძალების, პოლიციისა და უშიშროების სამსახურის შემადგენლობაში, უფლება აქვს წინასწარი ნებართვის გარეშე შეიკრიბოს საჯაროდ და უიარაღოდ, როგორც ჭერქვეშ, ისე გარეთ“.[1]

მუხლი ერთი ნაწილისაგან შედგება და მისი შინაარსი ასეთია: „შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარების წესის დარღვევა ამ აქციის ორგანიზატორის მიერ, რამაც გაუფრთხილებლობით გამოიწვია მძიმე შედეგი“.

კანონით დაწესებულია ხელისუფლების წინასწარი გაფრთხილების აუცილებლობა, თუ შეკრება ან მანიფესტაცია ხალხისა და ტრანსპორტის სამოძრაო ადგილს იმართება.

1997 წლის 4 ივლისის „კანონი შეკრებისა და მანიფესტაციის შესახებ“ მეხუთე მუხლში უთითებს:

„შეკრებებისა და მანიფესტაციის ორგანიზაციისა და ჩატარებისათვის სავალდებულოა პოლიტიკური პარტიის, პარტიების, გაერთიანებების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების, აგრეთვე მოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფების რწმუნებულების

1. საქ. კონსტ. მუხ. 25, 1966 წ.

მიერ სათანადო გაფრთხილების შეტანა ადგილობრივი მმართველობის ორგანოში აქციის ჩატარების ადგილის მიხედვით. გაფრთხილებას ხელს აწერენ რწმუნებული და ორგანიზატორი".[1]

შეკრება არის ადამიანთა შეგროვება ჰერქვეშ, ან გარეთ – საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, სოლიდარობის ან პროტესტის გამოხატვის მიზნით.

მანიფესტაცია არის მოქალაქეთა დემონსტრაცია, მასობრივი საჯარო გამოსვლა, ქუჩაში მსვლელობა სოლიდარობის ან პრორტესტის გამოხატვის მიზნით, ან მსვლელობა პლაკატების, ლოზუნგების, ტრანსპარანტების ან სხვა სახვითი საშუალებების გამოყენებით.

1997 წლის კანონი შეკრებებისა და მანიფესტაციის შესახებ პირდაპირ მოითხოვს, რომ შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს აქციის ფორმა, მიზანი, ჩატარების ადგილი, სვლის მიმართულება, დაწყებისა და დამთავრების დრო, თარიღი, მონაწილეთა სავარაუდო ოდენობა, ორგანიზატორისა და სხვა პასუხისმგებელი პირების ვინაობა, სამუშაო და საცხოვრებელი ადგილი, ტელეფონი, მათი პირადობის დამადასტურებელი საბუთები და ა.შ.

კანონი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას აწესებს მაშინ, თუ შეკრება ან მანიფესტაცია მოეწყო სათანადო შეტყობინების გარეშე, ე. ი. კანონის მოთხოვნათა დარღვევით და ამ დარღვევას მოჰყვა მძიმე შედეგი.

მძიმე შედეგში კანონმდებელი გულისხმობს აქციის პროცესში წარმოშობილ არეულობას, რამაც გამოიწვია ტრანსპორტის მიმოსვლის ხანგრძლივი შეწყვეტა, მატერიალური ზარალი, ადამიანთა დაზიანება და ა.შ.

ობიექტი დანაშაულისა არის ქვეყნის მმართველობის წესი.

ობიექტური მხარე გამოიხატება შეკრების ან აქციის მოწყობის წესების დარღვევაში, რასაც მძიმე შედეგი მოჰყვა.

ამსრულებელი დანაშაულისა არის აქციის ორგანიზატორი.

სუბიექტური მხარე გამოიხატება გაუფრთხილებლობით ბრალში.

---

1. კანონი შეკრებისა და მანიფესტაციის შესახებ, მუხ. 5, 1997 წ.

მუხლის დისპოზიცია ასეთია: „გაფიცვის წესის დარღვევა ამ აქციის ორგანიზატორის მიერ, რამაც გაუფრთხილებლობით მძიმე შედეგი გამოიწვია“.

საქართველოს კონსტიტუციის 33-ე მუხლი ნათლად განმარტავს, რომ „გაფიცვის უფლება აღიარებულია. ამ უფლების განხორციელების წესი განისაზღვრება კანონით. კანონი ადგენს აგრეთვე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სამსახურების საქმიანობის გარანტიებს“.

კონსტიტუციის აღნიშნული პრინციპი აძლევს ადამიანებს უფლებას, გულახდილად გამოხატონ თავიანთი გულისწყრომა და პროტესტი იმ ხელმძღვანელთა მიმართ, რომლებიც დაჟინებით არ გაიზიარებენ კოლექტივის კანონიერ მოთხოვნას.

გაფიცვის უფლების კონსტიტუციური აღიარება ნიშნავს იმას, რომ კანონი უშვებს მასიური გულისწყრომის, პროტესტის გამოხატვის საშუალებას გაფიცვის სახით. გაფიცვა ძირითადად სამუშაოს შესრულებაზე კოლექტიურად უარის თქმას ნიშნავს. იგი შეიძლება ისახავდეს ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ მიზანს. იმისათვის, რომ გაფიცვამ მძიმე შედეგები არ გამოიწვიოს, კანონი ადგენს იმ წესებს, რომელიც გაფიცვის ორგანიზატორმა უნდა გაითვალისწინოს გაფიცვის მოწყობის დროს. კერძოდ:

რისთვის, რა მიზეზითა და რა მიზნით ეწყობა გაფიცვა, კანონიერია თუ არა მოთხოვნა, შესრულებადია თუ არა ის, ვინ აწყობს გაფიცვას – ერთი საამქრო, მეტი, თუ მთელი ქარხანა. დაცულია თუ არა ის წესები, რომ არ შეიძლება ძირითადი მამოძრავებელი საამქროების გაჩერება, რომელთა მუშაობა სასიცოცხლო ნერვის ფუნქციას ასრულებს.

მაგალითად, პურის ქარხნის მუშათა გაფიცვა, საავადმყოფოს რეანიმაციის განყოფილების მუშაკების მიერ მუშაობის შეწყვეტა, ან ისეთი საამქროების გაჩერება, რომელთა სამუშაო რიტმში ჩადგომას მეტად დიდი დრო და ხარჯები სჭირდება და ა.შ.

გაფიცვის ორგანიზატორსა და მონაწილეებს უფლება არ აქვთ, გარკვეული უფლებრივი გარანტიების მოპოვებისათვის იბრძოლონ მოვალეობათა უხეში დარღვევით და ა.შ.

სწორედ ამას გამოხატავს კანონის დისპოზიციაც და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას აკისრებს იმ პირს (კერძოდ,

ორგანიზატორს), ვინც ზემოთ ჩამოთვლილ წესებს დაარღვევს.

ამსრულებელი დანაშაულისა შეიძლება იყოს ნებისმიერი მოქალაქე ან თანამდებობის პირი.

სუბიექტური მხარე გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში. დამნაშავემ იცის, რომ კანონის დარღვევით აწყობს გაფიცვას, მაგრამ უშვებს ამას და სურს იგი. რაც შეეხება მძიმე შედეგს, იგი შეიძლება გამოწვეული იყოს როგორც განზრახ, ასევე გაუფრთხილებელი მოქმედებით.

მძიმე შედეგში კანონმდებელი გულისხმობს მატერიალურ ზარალს, რომელიც შეიძლება მივიღოთ წარმოების სამუშაო რიტმის შეწყვეტით, განსაკუთრებული ღონისძიების ჩაშლას და ა.შ.

ობიექტი დანაშაულისა არის მმართველობის წესი.

ობიექტური მხარე გამოიხატება გაფიცვის წესების უხეშ დარღვევაში, რამაც გამოიწვია მძიმე შედეგი.

საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის მოთხოვნის შეუსრულებლობა – მუხლი 349

განსახილველი კანონის არსებობა საქართველოს კონსტიტუციურ საფუძვლებს ემყარება. „საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის შესახებ“ კანონის პირველ მუხლში ნათქვამია: „საქართველოს კონსტიტუციის 56-ე მუხლის შესაბამისად და ამ მუხლით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობისას საქართველოს პარლამენტში იქმნება დროებითი საგამოძიებო კომისია სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობის პირების მიერ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების გამოკვლევისა და შესაბამისი რეაგირების მიზნით“.

„კომისიის შექმნის საფუძველია ინფორმაცია სახელმწიფო ორგანოების, თანამდებობის პირების კანონსაწინააღმდეგო ქმედების შესახებ, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უშიშროებას, სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას, პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ სხვა ინტერესებს“.[1]

იგივე კანონი მესამე თავში აყალიბებს კომისიის უფლებამოსილებას. 24-ე მუხლში ნათქვამია, რომ „კომისიის მოთხოვნით სახელმწიფო ორგანოები, თანამდებობის პირები, იურიდიული და

1. კანონი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის შესახებ, მუხ. 1, მუხ. 24.

ფიზიკური პირები ვალდებული არიან, კომისიის მიერ დადგენილ ვადაში და კანონით დადგენილი წესის შესაბამისად, წარმოადგინონ საკითხის გამოკვლევისათვის აუცილებელი დასკვნები და სხვა საჭირო მასალები".

მასალების მოკვლევის დროს კომისიას უფლება აქვს, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, ამა თუ იმ გარემოების გამო, მოიწვიოს და წერილობითი ახსნა-განმარტება ჩამოართვას ნებისმიერ პირს სათანადო კანონების დაცვით, ამოიღოს მამტკიცებელი დოკუმენტები და ა.შ. სწორედ ამ კომისიისადმი დაუმორჩილებლობა ჩათვალა კანონმდებელმა დანაშაულად და განსახილველი მუხლი ჩამოაყალიბა შემდეგი შინაარსით:

„საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობა".

ობიექტი დანაშაულისა არის ქვეყნის მმართველობის სისტემა, უშუალო ობიექტი — კანონი პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის შესახებ.

ობიექტური მხარე გამოიხატება კომისიისადმი სუბიექტის დაუმორჩილებლობაში (ახსნა-განმარტებაზე უარის თქმა, დოკუმენტის დამალვა და ა.შ.).

დანაშაულის სუბიექტია ქვეყნის მმართველობისა თუ ხელისუფლების ორგანოს სახელმწიფო მოხელე.

სუბიექტური მხარე მდგომარეობს პირდაპირ განზრახვაში. დამნაშავემ იცის, რომ არ აქვს უფლება კომისიისადმი დაუმორჩილებლობისა, რომ ამით არღვევს კანონის მოთხოვნას, მაგრამ განზრახ ჩადის ამას და სურს კიდევაც ასეთი.

თუ კომისიის დაუმორჩილებლობასთან ერთად თანამდებობის პირს დაუმტკიცდა სხვა რომელიმე დანაშაული, მისი მოქმედება დაკვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობით.

საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიისათვის ცრუ ახსნა-განმარტების მიცემა — მუხლი 350

განსახილველი მუხლი ერთი ნაწილისაგან შედგება და მისი დისპოზიცია სათაურის იდენტურია. სუბიექტის დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატება მასში, რომ იგი ცრუ ჩვენებას აძლევს კომისიას, რითაც ცდილობს, არ გამოვლინდეს მისი ან სხვისი

კანონსაწინააღმდეგო ქმედება და შეცდომაში შეიყვანოს კომისია.

კომისიის უფლებამოსილებაზე ჩვენ ვისაუბრეთ 349-ე მუხლის განხილვის დროს და აქ აღარ გავიმეორებთ, მხოლოდ შევიხსენოთ კომისიის უფლებამოსილების 26-ე მუხლი, სადაც ნათქვამია: ,,კომისიას უფლება აქვს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, ამა თუ იმ გარემოების გამო, მოიწვიოს და წერილობითი ახსნა-განმარტება ჩამოართვას ნებისმიერ პირს ...“[1]

ყოველი ფიზიკური პირი ვალდებულია, სწორი ახსნა-განმარტება მისცეს კომისიას. დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება მასში, რომ ფიზიკური პირი ცრუ ახსნა-განმარტებას აძლევს კომისიას.

ობიექტი დანაშაულისა არის მმართველობის წესი.

ობიექტური მხარე გამოიხატება ცრუ ახსნა-განმარტების მიცემაში, რითაც შეცდომაში შედის კომისია.

დანაშაულის ამსრულებელი არის მსხვილი სახელმწიფო მოხელე ან სხვა პირი, რომელიც ჩვენებას იძლევა.

სუბიექტური მხარე გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში — დამნაშავემ იცის, რომ ცრუ ახსნა-განმარტებას აძლევს კომისიას, რითაც ცდილობს მის შეცდომაში შეყვანას და სურს ეს.

საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის მონაცემის გახმაურება — მუხლი 351

საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისია იქმნება სახელმწიფო ორგანოების თანამდებობის პირების მიერ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების გამოკვლევისა და შესაბამისი რეაგირების მიზნით.

კომისია თავისი კანონიერი უფლებამოსილების ფარგლებში აწარმოებს რა გამოძიებას ჰეშმარიტების დადგენის მიზნით, წერილობით ახსნა-განმარტებას ართმევს საჭირო პირებს, ისმენს ინფორმაციებს, იღებს დოკუმენტებს, აკეთებს საჭირო ამონაწერებს, ჩაეროსლებს და ა.შ. ახსნა-განმარტების ჩამორთმევის წინ განუმარტავს პირს, რომ აუცილებელია სწორი ინფორმაციის მიცემა, შეახსენებს განმარტების მიცემაზე უარის თქმისათვის პასუხისმგებლობის შესახებ.

კანონი პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის შესახებ 21-ე მუხლით განმარტავს, რომ ,,კომისიის მიერ მოპოვებული ინფორმაციის (მასალების) გამოქვეყნება, თუ ისინი შეიცავს

1. კანონი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის შესახებ, მუხ. 26.

სისხლის სამართლის საქმის მასალებს, დაიშვება გენერალური პროკურორის თანხმობით".

„კომისიის წევრები, აგრეთვე სხვა პირები, რომლებიც მონაწილეობენ კომისიის საქმიანობაში, ვალდებული არიან, დაიცვან საპარლამენტო გამოძიების საიდუმლოება".

საიდუმლოდ ითვლება ყველა მასალა, რომელიც ინფორმაციას იძლევა სახელმწიფო მოხელის კანონსაწინააღმდეგო მოქმედების თაობაზე.

გახმაურებაში კანონმდებელი გულისხმობს მონაცემების შეტყობინებას გარეშე პირისათვის.

გახმაურება შეუძლია კომისიის ყველა წევრს (თავმჯდომარეს, მოადგილეს, მდივანს და რიგით წევრებს). ეს მოქმედება, როგორც დანაშაული, 351-ე მუხლში ასეთი დისპოზიციითაა წარმოდგენილი:

„საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის მონაცემის სათანადო ნებართვის გარეშე გახმაურება".

გვარობითი ობიექტი დანაშაულისა არის სახელმწიფო მმართველობის წესი.

კონკრეტული ობიექტი – საქართველოს 1996 წლის 17 აპრილის კანონი პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის შესახებ.

ობიექტური მხარე დანაშაულისა გამოიხატება კომისიის მიერ შეგროვილი საგამოძიებო მასალების უნებართვოდ გახმაურებაში.

ამსრულებელი დანაშაულისა შეიძლება იყოს კომისიის წევრი ან ის პირი, ვისაც ხელი მიუწვდება მოკვლევის მასალებზე.

სუბიექტური მხარე შეიძლება გამოიხატოს როგორც განზრახ, ასევე გაუფრთხილებელი ბრალის ფორმით.

საბალხო დამცველზე ზემოქმედება – მუხლი 352

საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 17 მაისის დადგენილება და 1996 წლის 16 მაისის კანონი საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ მეოთხე მუხლში მიუთითებს:

„საქართველოს სახალხო დამცველი თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას დამოკიდებულია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს, რაიმე ზემოქმედება საქართველოს სა-

1. 1996 წლის 17 აპრილის კანონი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის შესახებ, მუხ. 21

ხალხო დამცველზე ან ჩარევა მის საქმიანობაში აკრძალულია და ისჯება კანონით".[1]

სწორედ ეს დებულება დაიდო საფუძვლად სისხლის სამართლის კოდექსში 352-ე მუხლის შეტანას. იგი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ასეთი შინაარსის არის: „ნებისმიერი ფორმით, სახალხო დამცველზე ზემოქმედება მისი სამსახურებრივი საქმიანობისათვის ხელის შეშლის მიზნით."

ზემოქმედებაში კანონმდებელი გულისხმობს სახალხო დამცველზე ისეთი გავლენის მოხდენას, რომელიც ხელს შეუშლის, დააბრკოლებს მას ობიექტურად, ყოველმხრივ და სრულად გამოიძიოს ქცა თუ ის საქმე. ასეთი ზემოქმედება შეიძლება განხორციელდეს ახლობელი პირის მიგზავნით, რაიმე საიდუმლოების გავრცელებით, ფიზიკური ძალადობით ან ასეთი დაშინების გზით.

ხელის შეშლაში კანონმდებელი გულისხმობს არაობიექტურად გამოძიებას, ჭეშმარიტებისათვის გვერდის ავლას, მნიშვნელოვანი მომენტების მიჩქმალვას და სხვა.

გვარობითი ობიექტი დანაშაულის, არის საქართველოს სახელმწიფო მმართველობის წესი, კონკრეტული ობიექტი კი საქართველოს სახალხო დამცველის კანონი.

ობიექტური მხარე გამოიხატება დამცველზე ზემოქმედებაში, რითაც მას ხელი შეეშალა, ან შეიძლებოდა შეშლოდა ჭეშმარიტების დადგენის საქმეში.

დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს თანამდებობის პირი, ვის საქმესაც იძიებს დამცველი, ან მისი ახლობელი, რომელიც დაინტერესებულია, რაიმე მიზეზის გამო ხელი შეუშალოს სახალხო დამცველს საქმეზე ჭეშმარიტების დადგენაში.

სუბიექტური მხარე გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში. დამნაშავე შეგნებულად ზემოქმედებს სახალხო დამცველზე იმ მიზნით, რომ მას ხელი შეეშალოს გამოძიებას საქმეზე ჭეშმარიტების დადგენაში და სურს ასეთი შედეგი.

მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს იგივე ქმედებისათვის , როდესაც სუბიექტი სამსახურებრივი საქმიანობის გავლენით ზემოქმედებს სახალხო დამცველზე, რათა მან ვერ შეძლოს ჭეშმარიტების გამომჟღავნება, ხელი შეეშალოს სამსახუ-

1. კანონი საქ. სახალხო დამცველის შესახებ, მუხ. 4, „საქართველოს რესპუბლიკა" 29. V. 1996 წ.

რებრივი საქმიანობის განხორციელებაში. ზეგავლენა თანამდებობის მქონე პირისაგან შეიძლება განხორციელდეს თხოვნით, ბრძანებით, დაშინებით და ა.შ. მაგალითად, ზეგავლენით პარლამენტის თავმჯდომარისაგან, პრეზიდენ-ტისაგან და სხვა.

წინააღმდეგობა, მუქარა ან ძალადობა საზოგადოებრივი წესრიგის დამცველის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის მიმართ – მუხლი 353

მუხლი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველის დისპოზიცია ასეთია: „პოლიციის მუშაკის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის მიმართ წინააღმდეგობა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის ხელის შეშლის, მისი საქმიანობის შეწყვეტის ან შეცვლის მიზნით, აგრეთვე აშკარა უკანონო ქმედებისათვის მისი იძულება, ჩადენილი ძალადობით ან ძალადობის მუქარით“.

პოლიციის მუშაკად ითვლება პირი, რომელიც დანიშნულია გარკვეულ თანამდებობაზე კომპეტენტური თანამდებობის პირის მიერ და მიღებული აქვს სათანადო ფიცი.

ხელისუფლების წარმომადგენელია სამართალდამცავი, მაკონტროლებელი ან სხვა თანამდებობის პირი, რომელსაც სათანადო წესით დაკისრებული აქვს განმკარგულებელი რწმუნება იმ პირთა მიმართ, რომლებიც არ იმყოფებიან მასთან სამსახურებრივ დამოკიდებულებაში.

ხელისუფლების წარმომადგენელია ნებისმიერი თანამდებობის პირი, რომელიც აღჭურვილია ორგანიზაციულ განმკარგულებელი რწმუნებით, უფლებამოსილებით სახელმწიფო, მუნიციპალურ, საკანონმდებლო, აღმასრულებელ ხელისუფლებაში (დეპუტატი, ქალაქის მერი, პროკურორი, პრეზიდენტი, შს ორგანოების, უშიშროების მუშაკები, ფინანსთა სამინისტროს საკონტროლო-სარევიზიო აპარატის, საგადასახადო სამსახურის მუშაკები, მოსამართლენი და ა. შ.), ან ის პირნი, რომლებიც დროებით ასრულებენ ხელისუფლების მიერ დაკისრებულ ფუნქციას.

დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება:

1) წინააღმდეგობის გაწევა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში ხელის შეშლის მიზნით.

2) სამსახურებრივი საქმიანობის შეწყვეტინების ან შეცვლევინების მიზნით.

3) ძალადობით ან ძალადობის მუქარით რათა ხელისუფლების მუშაკს ჩაადენინონ უკანონო ქმედება.

წინააღმდეგობის გაწევაში კანონმდებელი მიიჩნევს დამნაშავისაგან წესრიგის დამცველის აუცილებელი კანონიერი მითითების ჯიუტად შეუსრულებლობას. მაგალითად, დამნაშავეს სურვილი აქვს, უნებართვოდ შევიდეს კანონით აკრძალულ ზონაში და მიუხედავად წესრიგის დამცველის კანონიერი მოთხოვნისა და მითითებისა, ჯიქურ, ჯიუტად მიიწევს წადილის აღსასრულებლად.

სამსახურებრივი საქმიანობის შეწყვეტინებაში იგულისხმება საქმისათვის თავის დანებებინება, მაგალითად, საგუშაგოს მიტოვებინება.

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების შეცვლევინებაში იგულისხმება იძულება, მოვალეობა შესრულდეს არა კანონის მიხედვით, არამედ დამახინჯებულად, სხვაგვარად, სხვა სახით.

ძალადობის გამოყენებაში იგულისხმება ფიზიკური ძალის ხმარება, რომელიც შეიძლება გამოიხატოს ცემაში, შებორკვაში, დამწყვდევაში და ა.შ.

ძალადობის მუქარაში იგულისხმება ცემის, შებორკვის და მისთანების მუქარა, თუკი მუშაკი არ ჩაიდენს უკანონო ქმედებას.

უკანონო ქმედებაში კანონმდებელი გულისხმობს ხელისუფლების ორგანოს წარმომადგენლის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის საწინააღმდეგო საქციელს, მაგალითად, დამნაშავემ ძალადობით ან ასეთის მუქარით პოლიციის მუშაკს გააშვებინა დაკავებული ეჰვმიტანილი.

სუბიექტური მხარე გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში.

ობიექტი — ქვეყნის მმართველობის წესი, უშუალო ობიექტია საზოგადოებრივი წესრიგი.

მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას აწესებს, როდესაც პირველ ნაწილში გათვალისწინებულმა რომელიმე შემადგენლობამ გაუფრთხილებლობით გამოიწვია მძიმე შედეგი. მაგალითად, ასეთი ძალადობის გამო პოლიციის მუშაკებს ხელიდან დაუსხლტა და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის ძებნილი.

სამართალდამცავი ან მაკონტროლებელი ორგანოს მოხელის მიმართ გამოყენებული დაცვის ზომის შესახებ მონაცემის გახმაურება – მუხლი 354

ახალმა პოლიტიკურმა და სოციალურ-ეკონომიკურმა ცხოვრებამ მრავალ ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ჩამოყალიბებას დაუდო საფუძველი. განსახილველი ურთიერთობაც სწორედ ზემოთ აღნიშნული სიახლეების პირმშოა.

სამართალდამცავი და მაკონტროლებელი ორგანოს მოხელის დაცვა ხორციელდება 1996 წლის 20 თებერვლის კანონით „სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ".

„სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური არის აღმასრულებელი ხელისუფლების სპეციალური დანიშნულების გასამხედროებული შეიარაღებული უწყება, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს უმაღლეს საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებათა, აგრეთვე თანამდებობის პირების დაცვას მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან".[1] ამ სამსახურის საქმიანობის ძირითადი პრინციპებია: კანონიერება, ადამიანთა საყოველთაოდ აღიარებული უფლებების დაცვა და პატივისცემა, რასაც იგი ახორციელებს ორგანიზაციული, დაცვითი, რეჟიმული, ოპერატიული, სამძებრო, ტექნიკური, ღია და ფარული მეთოდების გამოყენებით.

კანონში ჩამოთვლილია დაცვის ობიექტები და პირები, დაცვის სამსახურის სტრუქტურა, უფლებები და მოვალეობები. კანონის მესამე თავი განსაზღვრავს სამსახურის უფლებებსა და მოვალეობებს. სამსახური ინფორმაციებს ღებულობს შ.ს. სამინისტროდან, უშიშროებიდან და მათი გათვალისწინებით ახორციელებს დაცვის პოლიტიკას.

დაცვის უზრუნველყოფა ხორციელდება დასაცავი პირის გადაადგილების თუ ყოფნის დროს მუდმივ და დროებით ადგილებში. სამსახური თავისი კომპეტენციის ფარგლებში იცავს ობიექტს აშკარად და ფარულად. მათი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, შრომისა და დასვენების ნორმალური პირობების შექმნის მიზნით წინასწარ შედგენილი და დამტკიცებული გეგმის მიხედვით, რომლის განხორციელება მიმდინარეობს საიდუმლოდ, შეუცვლელად და განუხრელად. დაცვითი ღონისძიების გახმაურება შეიძლება საფუძ-

1. კანონი სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ, მუხ. 1.

ვლად დაედოს თავდასხმას და სხვა მძიმე შედეგებს, ამიტომ ღონისძიებათა გახმაურება ისჯება სისხლის სამართლის წესით. სწორედ ამ მიზნით შემოიღო კანონმდებელმა 354-ე მუხლი, რომელიც ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილის დისპოზიცია ასეთი შინაარსისაა:

„სამსახურებრივი საქმიანობის ხელის შეშლის მიზნით სამართალდამცავი ან მაკონტროლებელი ორგანოს მოხელის ან მისი ახლონათესავის მიმართ გამოყენებული დაცვის ზომის შესახებ მონაცემის გახმაურება“.

სამსახურებრივ საქმიანობაში კანონმდებელი გულისხმობს სამოხელეო მოვალეობას, რაც მას ფუნქციონალურად ავალია როგორც ხელისუფლების ან მაკონტროლებელი ორგანოს წარმომადგენელს.

ხელის შეშლაში იგულისხმება სამოხელეო უფლებამოსილების შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება.

მოხელის ახლონათესავად ითვლებიან: შვილები, მეუღლე, მშობლები, და, ძმა, ბებია, ბაბუა.

ამსრულებელი დანაშაულისა შეიძლება იყოს როგორც დაცვის სამსახურის მუშაკი, ასევე სხვა პირი, რომელიც უშუალო დაცვით ღონისძიებებს არ ახორციელებს, მაგრამ სამსახურებრივად ხელი მიუწვდება დაცვითი საქმიანობის გეგმაზე (კანცელარიის მუშაკი და ა.შ.).

სუბიექტური მხარე შეიძლება გამოიხატოს როგორც განზრახვით, ასევე გაუფრთხილებლობით.

დაცვის ზომების მონაცემების გახმაურება შეიძლება გამოვლინდეს მარშრუტის, ადგილსამყოფლის, დაცვის ფორმების ან სხვა ინფორმაციების სხვა პირისათვის განდობით.

საიდუმლოება გახმაურებულად ითვლება თუნდაც ერთი პირისათვის მისი განდობის შემთხვევაში.

ობიექტი დანაშაულისა არის ქვეყნის მმართველობის წესი.

ობიექტური მხარე გამოიხატება დაცვის საიდუმლოების გამჟღავნებაში.

მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას აწესებს მაშინ, თუ პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებას მოჰყვა მძიმე შედეგი.

მძიმე შედეგში კანონმდებელი გულისხმობს დასაცავი პირის მძიმედ დაზიანებას, დაღუპვას, ხანძრის გაჩენას და ა.შ.

ქონებრივი მდგომარეობის ან საფინანსო დეკლარაციის წარუდგენლობა ანდა დეკლარაციაში არასრული ან არასწორი მონაცემის შეტანა – მუხლი 355

განსახილველი მუხლი ერთი ნაწილისაგან შედგება. მისი შინაარსი ასეთია: „ქონებრივი მდგომარობის ან საფინანსო დეკლარაციის წარდგენისათვის ჯიუტად თავის არიდება ანდა დეკლარაციაში განზრახ არასრული ან არასწორი მონაცემის შეტანა.“

1997 წლის ოქტომბერში შეიქმნა თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიურო.

1997 წლის 17 ოქტომბერს გამოიცა კანონი „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობის და კორუფციის შესახებ“. ამ კანონის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე 1998 წლის 24 მაისს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით გამოიცა ამ საინფორმაციო ბიუროს დებულება, რომელიც განსაზღვრავს ბიუროს სამსახურებრივ სტატიებს, ფუნქციებსა და უფლებამოსილებას, ბიუროს საქმიანობის წესს, ორგანიზაციულ სტრუქტურას და ა. შ.

ბიუროს ფუნქციებსა და უფლებამოსილებას განეკუთვნება თანამდებობის პირის ქონებრივი მგომარეობის და საფინანსო დეკლარაციების მიღება, აღრიცხვა და შენახვა, დეკლარაციების დადგენილ ვადებში ჩაბარების კონტროლი, ტექნიკური გამართულობა, თანამდებობის პირთა მიერ დეკლარაციის სწორად და სრულად შევსებისა და დეკლარაციების ბიუროში წარდგენის საკითხთა შესწავლა და სხვა მრავალი.

1998 წლის 8 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტის N684 ბრძანებულების მიხედვით გამოქვეყნდა „საჯარო სამსახურთა შემოსავლებისა და ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების წარდგენის, შენახვისა და გამოყენების წესის შესახებ დებულება.“

ამ დებულებით განსაზღვრულია, ვინ უნდა შეავსოს ქონებისა და საფინანსო მდგომარეობის დეკლარაცია.

დებულების მე-4 მუხლი მიუთითებს, რომ „საჯარო მოსამსახურე ვალდებულია თანამდებობაზე ყოფნისას ყოველწლიურად, მომდევნო წლის 1 აპრილამდე, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით საქართველოს საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტის ტერიტორიულ ორგანოში წარადგინოს თავისი და ოჯახის წევრების შემოსავლებისა და ქონებრივი მდგომარეობის ამსახველი დეკლარაცია თანდართული ფორმის შესაბამისად.“

დებულების მე-8 მუხლი განმარტავს, რომ „მოსამსახურე დეკლარაციის წარუდგენლობისათვის პასუხს აგებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.“

მე-10 მუხლი განმარტავს, რომ „დეკლარაციაში საჯარო მოსამსახურის, მისი ოჯახის წევრების ქონებრივი მდგომარეობის შესახებ შეტანილი მონაცემები უნდა შეიცავდეს ამომწურავ ინფორმაციას“ მისი და მისი ოჯახის წევრების სრული ქონებრივი საკუთრების შესახებ.

საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 10 ივლისის ბრძანებულებით დამტკიცდა „თანამდებობის პირის მიერ ქონებრივი მდგომარეობისა და საფინანსო დეკლარაციების ტექნიკურად სწორად შევსების ინსტრუქცია“. ინსტრუქციის მე-12 მუხლი აღნიშნავს, რომ „თანამდებობის პირი ქონებრივი მდგომარეობისა და საფინანსო დეკლარაციების წარუდგენლობისა და დეკლარაციებში შეგნებულად არასწორი მონაცემების შეტანისათვის პასუხს აგებს საქართველოს სისხლის სამართლის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსების შესაბამისად“.

დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატება მასშიდ, რომ დამნაშავე ქონებრივი მგომარეობის ან საფინანსო დეკლარაციის წარდგენას ჯიუტად არიდებს თავს ან დეკლარაციაში არ შეაქვს თავისი და ოჯახის წევრთა ქონების ზუსტი ოდენობა. ქონების ოდენობის დამახინჯება შეიძლება მოხდეს, როგორც ოდენობის განზრახ გაზრდით, ასევე შემცირებით. ამ მომენტს კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არ აქვს. მუხლი ბლანკეტურია. კვალიფიკაციის დადგენისათვის აუცილებლად უნდა ვიხელმძღვანელოთ ზემოთხსენებული და სხვა დოკუმენტებით, რომლებიც საშუალებას მოგვცემს დავადგინოთ, თუ კანონის რომელი მუხლი დაარღვია დამნაშავემ.

დანაშაულის საერთო ობიექტია ქვეყნის მმართველობის წესი, უშუალო ობიექტი კი კანონი დეკლარაციის შევსების შესახებ.

დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება დეკლარაციის შევსებისათვის თავის არიდებაში ან არასწორად შევსებაში.

დანაშაულის ამსრულებელი არის თანამდებობის პირი ან კანდიდატი.

სუბიექტური მხარე ხასიათდება პირდაპირი განზრახვით.

წვევამდელის მიერ სამხედრო ან ალტერნატიული შრომითი სამსახურისათვის თავის არიდება – მუხლი 356

საქართველოს კონსტიტუციის 101-ე მუხლი აღნიშნავს, რომ „საქართველოს დაცვა საქართველოს ყოველი მოქალაქის მოვალეობაა. ქვეყნის დაცვა და სამხედრო ვალდებულების მოხდა

საამისო უნარის მქონე ყველა მოქალაქის ვალია. სამხედრო ვალდებულების მოხდის ფორმას ადგენს კანონი".[1]

„კანონი სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ" მეოცე მუხლში ლაპარაკობს:

„მოქალაქეების და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამხედრო ძალებში გაწვევის საფუძველია საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება, რომელსაც შეიმუშავებს ეროვნული უშიშროების საბჭო თავდაცვის სამინისტროს მიერ წარდგენილი პროექტის საფუძველზე".[2]

„წვევამდელი ვალდებულია სამხედრო კომისარიატის გამოძახებით გამოცხადდეს სამედიცინო შემოწმებისა და გამწვევი კომისიის სხდომაზე, ხოლო კომისიის უწყებით – სამხედრო სამსახურში გასაწვევად".

კანონი „არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ" განმარტავს, რომ „არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახური არის საზოგადოებრივად სასარგებლო სამოქალაქო სამსახური, რომელიც ცვლის სამხედრო სამსახურს"... ეს სამსახური „ხასიათით უნდა შეესაბამებოდეს სამხედრო სამსახურში არსებულ სირთულეებს. მისი ხანგრძლივობა უნდა აღემატებოდეს კანონმდებლობით დადგენილ გაწვევითი სამხედრო სამსახურის ხანგრძლივობას. ამასთანავე, ეს კანონი განსაზღვრავს შრომითი სამსახურის შეცვლის თანმიმდევრობას და ა. შ.

განსახილველი მუხლი სამი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილის დისპოზიცია ასეთია: „წვევამდელის მიერ სამხედრო სამსახურისათვის თავის არიდება". იგი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს სწორედ ზემოთ ჩამოთვლილი წესების დარღვევის გამო – წვევამდელი, რომელიც ვალდებულია შეასრულოს კონსტიტუციისა და კანონის მოთხოვნა სამხედრო ვალდებულების შესახებ, არ ცხადდება სათანადო სამედიცინო შემოწმებისა, რეგისტრაციისა და გაწვევისათვის სამხედრო ხელმძღვანელობის მითითების ადგილზე და იმალება, რათა თავი აარიდოს სამხედრო სამსახურში სავალდებულო გაწვევას.

მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას აწესებს, როცა სუბიექტი თავს არიდებს სამხედრო ვალდებულების შემცვლელ (ალტერნატულ) სამსახურში წასვლას, ე. ი. სამხედრო სამსახურის ტოლფას სამოქალაქო სამსახურში გაწვევას.

შემცვლელ სამსახურად იწოდება ისეთი საზოგადოებრივი

1. საქ. კონსტ. მუხ. 101.
2. კანონი სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ, მუხ. 20, 28.

საქმიანობა, რომელიც დაჯავშნულია სამხედრო გაწვევისაგან და ასრულებს სამხედრო მნიშვნელობის საქმიანობას.

მუხლის მესამე ნაწილი ითვალისწინებს დამამძიმებელ გარემოებას, რაც გამოიხატება მასში, რომ სუბიექტი სამხედრო ან ალტერნატულ სამსახურში გაწვევას თავს არიდებს ომიანობის ან საგანგებო მდგომარეობის დროს. ეს გარემოება, ცხადია, მძიმეა, რადგან პიროვნება არ იზიარებს სამშობლოს ყოფნა-არყოფნის განსაცდელს.

მოტივი დანაშაულისა არის შიში, სიზარმაცე, ზოგიერთ შემთხვევაში — აკვიატებული ფიქრი იმის თაობაზე, რომ სამხედრო სამსახური ამდაბლებს ახალგაზრდის ავტორიტეტს, არ აქვს მიღებული სამხედრო-პატრიოტული აღზრდა და ა.შ.

ობიექტი დანაშაულისა არის ქვეყნის მმართველობის დადგენილი წესი, უშუალო ობიექტი კი — სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის წესები.

ობიექტური მხარე ქმედებისა გამოიხატება სამხედრო-სავალდებულო სამსახურისაგან ან მისი ალტერნატივისათვის თავის არიდებაში.

დანაშაულის ამსრულებელი არის საქართველოს მოქალაქე — სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის ასაკს მიღწეული.

სუბიექტური მხარე მდგომარეობს პირდაპირ განზრახვაში — დამნაშავემ იცის, რომ მას ეკუთვნის სამხედრო-სავალდებულო სამსახურში გაწვევა ან მისი ალტერნატული სამუშაოს შესრულება, მაგრამ შეგნებულად არიდებს თავს გაწვევას და სურს ასეთი.

სამხედროვალდებულის მიერ სასწავლო ან სამხედრო შეკრებისათვის თავის არიდება — მუხლი 357

სამხედრო სამსახური არის სახელმწიფო სამსახურის განსაკუთრებული სახე, რომელსაც საქართველოს მოქალაქე ასრულებს შეიარაღებული ძალების სხვადასხვა ნაწილებში, სახელმწიფო უშიშროებისა და შ.ს.ს. ჯარებში.

„საქართველოს დაცვა საქართველოს ყოველი მოქალაქის მოვალეობაა. ქვეყნის დაცვა და სამხედრო ვალდებულების მოხდა სააშისო უნარის მქონე ყველა მოქალაქის ვალია“.[1]

1. საქ. კონსტ. მუხ. 101

სამხედრო ვალდებულების მოხდის ფორმას ადგენს 1997 წლის 17 სექტემბრის N 860-1-ს „კანონი სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“.[1]

იგი განმარტავს, რომ სამხედრო ვალდებულება ითვალისწინებს: ა) სამხედრო აღრიცხვას; ბ) სამხედრო სამსახურისათვის მომზადებას; გ) სამხედრო სამსახურს; დ) რეზერვს. კანონი განსაზღვრავს გაწვევის საფუძვლებს, სამსახურის მოხდის აუცილებლობას და ა. შ.

18-დან 27 წლამდე ასაკის საქართველოს მოქალაქე, რომელიც იმყოფება ან ვალდებულია იმყოფებოდეს სამხედრო აღრიცხვაზე და არ აქვს სამხედრო სამსახურში გაწვევისაგან განთავისუფლების ან გაწვევის გადავადების უფლება, ექვემდებარება სამხედრო ვალდებულების მოხდას.

„სამხედრო ვალდებულება ითვალისწინებს:

ა) სამხედრო აღრიცხვას.

ბ) სამხედრო სამსახურისათვის მომზადებას.

გ) სამხედრო სამსახურს.

დ) რეზერვს“.[2]

სამხედრო სამსახურში გაწვევა ხდება სათანადო კომისიის მიერ.

განსახილველი მუხლი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილის შინაარსი ასეთია: „სამხედროვალდებულის მიერ სასწავლო ან სამხედრო შეკრებისათვის თავის არიდება“.

თავის არიდება გამოიხატება სამხედრო გამოძახების ადგილზე გამოუცხადებლობაში, აღრიცხვისათვის თავის არიდებაში და ა.შ.

სასწავლო გაწვევა ხდება სამხედრო სამსახურის, სამწყობრო და საბრძოლო მომზადების, კონკრეტული სამხედრო ტექნიკის უკეთ დაუფლებისათვის.

სამხედრო შეკრებებს გადიან ის პირები, რომლებსაც გავლილი აქვთ პირველადი სამხედრო სავალდებულო სამსახური და გაწვეული არიან სამხედრო შეკრებისათვის, რათა დაეუფლონ ახალ სამხედრო ტექნიკას, სტრატეგიულ და ტაქტიკურ სიახლეებს და ა.შ.

დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება სწავლებისა და სამხედრო შეკრებისათვის თავის არიდებაში.

დანაშაულის ამსრულებელი არის სამხედროვალდებული, რო-

1. საქ. კანონი სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ. მუხ. 9

მელიც მოვალეა, გამოცხადდეს სამხედრო სწავლებისა თუ სამხედრო შეკრებისათვის.

სუბიექტური მხარე გამოიხატება განზრახ ბრალში.

კანონის მეორე ნაწილი დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევს პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებას, თუ სუბიექტი სამხედრო სწავლებასა და შეკრებას თავს არიდებს ომიანობის ან საგანგებო მდგომარეობის დროს.

1997 წლის 31 ოქტომბრის კანონი „საომარი მდგომარეობის შესახებ" განმარტავს, რომ საომარი მდგომარეობა გულისხმობს საქართველოზე შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაში ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე განსაკუთრებული წესების გამოცხადებას, რაც შეეხება ქვეყნის თავდაცვის ინტერესებს. საომარი მდგომარეობა ცხადდება კონსტიტუციისა და ამ კანონის მიხედვით და მიზნად ისახავს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის, სახელმწიფო უშიშროებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფას (მუხლი პირველი).

1997 წლის 17 ოქტომბრის კანონი „საგანგებო მდგომარეობის შესახებ" პირველ მუხლში განმარტავს, რომ საგანგებო მდგომარეობა არის დროებითი ღონისძიება, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ცხადდება საქართველოს მოქალაქეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინტერესებისათვის ომიანობის თუ მასობრივი არეულობის და სხვა მწვავე მდგომარეობის დროს. საგანგებო მდგომარეობის მიზანია ვითარების უსაფრთხო ორგანიზაცია, კანონიერებისა და მართლწესრიგის აღდგენა.

მობილიზაციით გაწვევისათვის თავის არიდება – მუხლი 358

მუხლი ერთი ნაწილისაგან შედგება. მისი შინაარსი ასეთია: „მობილიზაციით გაწვევისათვის თავის არიდება".

კანონი მობილიზაციით გაწვევის შესახებ გამოიცა 1999 წლის 23 ივნისს. იგი არეგულირებს საომარი ან საგანგებო მდგომარეობის დროს მობილიზაციის გამოცხადებისას, აგრეთვე მშვიდობიან პერიოდში მობილიზაციისათვის მზადყოფნის წესს, პირობებს და მობილიზაციის რეჟიმთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს, განსაზღვრავს მობილიზაციის არსს, ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართვე-

ლობის ორგანოების უფლებამოსილებას, მობილიზაციისათვის მზადყოფნის საფუძვლებს, მისი დაფინანსების საკითხებს, რეზერვების გაწვევის საიდუმლოების დაცვისა და ა. შ. გარდა ამ კანონისა, საკითხი რეგულირდება მობილიზაციის შესახებ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე. მობილიზაცია ნიშნავს თადარიგის სამხედრო ვალდებულთა გაწვევას ნამდვილ სამხედრო სამსახურში ომის გამოცხადებასთან დაკავშირებით ან მშვიდობიანობის დროს ქვეყნის შეიარაღებული ძალების გადაყვანას საომარ ორგანიზაციასა და შემადგენლობაზე.

მობილიზაცია არა მარტო სამხედრო ძალების თავმოყრასა და ორგანიზებას ნიშნავს. ეს ტერმინი სამოქალაქო ძალებისთვისაც გამოიყენება. მაგალითად: ძალების, საშუალებებისა და სამსახურების თავმოყრა რაიმე ამოცანის, მასობრივი ღონისძიების წარმატებით შესრულებისათვის.

კონკრეტულ შემთხვევაში ჩვენ საკითხს განვიხილავთ სამხედრო მობილიზაციით გაწვევის კუთხით, როცა ამას თავს არიდებს სამხედრო ვალდებული.

„მობილიზაცია არის ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც ითვალისწინებს შექმნილი სამობილიზაციო რესურსებისა და რეზერვების საომარი ანდა საგანგებო მდგომარეობის საჭიროებისათვის გამოყენებას (მობილიზაცია შეიძლება იყოს როგორც საერთო, ისე ნაწილობრივი)“.[1]

საერთო მობილიზაცია არის ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც ხორციელდება საომარი მდგომარეობის დროს და ითვალისწინებს საომარი მდგომარეობის საჭიროებისათვის საქართველოს მთელს ტერიტორიაზე სამობილიზაციო რესურსებისა და რეზერვების სრულ გამოყენებას.

მობილიზაცია მოიცავს სამხედრო ძალების მზადყოფნას, აღმასრულებელი ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების, სახელმწიფო საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაობის რეჟიმის განსაზღვრას და მათ მომზადებას ძირითადი თავდაცვითი თუ შეტევითი სამუშაოს განსახორციელებლად ფრონტსა თუ ზურგში, ეკონომიკური, სამხედრო ძალების მუშაობის გეგმების შემუშავებას და ა.შ.

1. კანონი მობილიზაციის შესახებ, მუხ. 1

კანონის შესაბამისად, მოქალაქენი ვალდებულნი არიან, სამხედრო კომისარიატების გამოძახებით გამოცხადდნენ და მიიღონ განსაზღვრული დავალება მობილიზაციის დროს, შეასრულონ სამობილიზაციო უწყებით განსაზღვრული მოთხოვნები და ა.შ.

მობილიზაციის დროს სამხედრო სამსახურში გაწვევას ექვემდებარებიან საქართველოს სამხედრო ძალების რეზერვში ჩარიცხული მოქალაქენი და მრავალი სხვა.

განსახილველი კანონი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს სწორედ ამგვარი მობილიზაციისაგან თავის არიდებისათვის. თავის არიდება ითვალისწინებს გამოძახების მიხედვით გამოუცხადებლობას.

გამოუცხადებლობა საპატიოდ ჩაითვლება გამოუვალი პირობების არსებობის დროს (პირადი ავადმყოფობა, კატასტროფა, ოჯახის წევრის მძიმე ავადმყოფობა, მეტეოროლოგიური პირობები და ა.შ).

დანაშაულის ობიექტი არის ქვეყნის სამხედრო ძლიერება.

ობიექტური მხარე მდგომარეობს მობილიზაციით გაწვევისათვის თავის არიდებაში.

ამსრულებელი მობილიზაციით გამოძახებული პირი, რომელიც თავს არიდებს გამოცხადებას.

სუბიექტური მხარე ხასიათდება პირდაპირი განზრახვით.

ომიანობის დროს ბეგარის შესრულებისათვის ან გადასახადის გადახდისათვის თავის არიდება – მუხლი 359

ზემორე მუხლის განხილვის დროს აღინიშნა, რომ ომიანობის ან ომისათვის მზადების დროს, კანონის შესაბამისად, მიმდინარეობს როგორც სამხედრო, ასევე სამოქალაქო ძალებისა და საშუალებების მობილიზაცია. მობილიზაციის არსი გამოიხატება მასში, რომ ხდება აღმასრულებელი ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების, სახელმწიფო საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების სპეციალური რეჟიმის განსაზღვრა და მათი მომზადება მობილიზაციის დროს სამუშაოდ.

კანონის შესაბამისად ხდება როგორც შრომითი, ასევე საგადასახადო ბეგარის განსაზღვრა, როგორც ორგანიზაციებზე, ასევე ცალკეულ ფიზიკურ პირებზე.

ბეგარა უსასყიდლო კალდებულებაა. რომელიც ომიანობის ან ომისთვის მზადების დროს შეიძლება გამოიხატოს როგორც შრომითი საქმიანობის სავალდებულოდ დაკისრებით. ასევე ფულადი ან ნივთიერი გადასახადებით. მაგალითად. მოსახლეობას დაეკისრება ძალებისა და საშუალებების მობილიზაცია სამხედრო გზის გასაყვანად. სადაც კონკრეტულად იქნება განსაზღვრული, ცალკეულმა ფიზიკურმა პირმა თუ რა მოცულობის სამუშაო უნდა შეასრულოს. ან რამდენი ღარი გადაიხადოს და ა.შ.

განსახილველი მუხლი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას აკისრებს იმას. ვინც თავს აარიდებს ასეთი სახის ბეგარის გადახდას.

მუხლი ერთი ნაწილისაგან შედგება და მისი შინაარსი ასეთია: ..ომიანობის დროს შრომითი მობილიზაციისათვის ან სხვა ბეგარის შესრულებისათვის ანდა გადასახადის გადახდისათვის თავის არიდება".

თავის არიდება გამოიხატება დაკისრებული შრომითი კალდებულების შეუსრულებლობაში ან სათანადო თანხის გადაუხდელობაში.

დანაშაულის ობიექტი არის ქვეყნის სამხედრო ძლიერება.

ობიექტური მხარე გამოიხატება შრომით ბეგარასა და გადასახადზე თავის არიდებაში.

სუბიექტური მხარე გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში.

თვითნებობა – მუხლი 360

მართვის დადგენილი წესები ითვალისწინებს. რომ სახელმწიფო ორგანიზაციების. დაწესებულებების და მოქალაქეთა უფლებამოსილების განხორციელება ხდებოდეს კონსტიტუციისა და კანონქვემდებარე აქტების მიხედვით და იმის შესაბამისად. რისი კანონიერი უფლებაც გააჩნია იურიდიულ თუ ფიზიკურ პირს.

მუხლის შინაარსი ასეთია: ..თვითნებობა. ე. ი. ნამდვილად თავისი ან თავისად დაგულებული უფლების დადგენილი წესის საწინააღმდეგოდ განხორციელება. რამაც გაუფრთხილებლობით გამოიწვია მნიშვნელოვანი ზიანი".

ამ კანონიერი ფარგლებიდან გადახვევას დეზორგანიზაცია შეაქვს მართვის სისტემაში. ყოველი მოქალაქე უნდა ახორციელებდეს იმ უფლებამოსილებას. რაც მას კანონით აქვს მიკუთვნებული.

განსახილველი მუხლი დასჯადად თვლის ისეთ მოქმედებას, როდესაც პირი დადგენილი წესის საწინააღმდეგოდ განახორციელებს მის კუთვნილ ან თავისად დაგულვებულ ამა თუ იმ უფლებას, რაც მნიშვნელოვნად აზიანებს სახელმწიფოს ან საზოგადოებრივ საწარმოს, დაწესებულებას, ორგანიზაციას ან მოქალაქეთა ინტერესებს. უფრო ნათლად რომ წარმოვიდგინოთ დისპოზიციის შინაარსი, განვმარტავთ, რომ მოქალაქე თავის უფლებამოსილებას ახორციელებს დადგენილი წესის საწინააღმდეგოდ, დამახინჯებულად, მაგალითად, სასამართლოს კანონიერი გადაწყვეტილების გარეშე დაზარალებული მივიდა ბრალდებულის სახლში და ინაზღაურებს ზარალს მისი სახლიდან თვითნებურად წამოღებული ნივთებით ისე, რომ არ დაელოდა სასამართლოს გადაწყვეტილებას.

თვითნებობა შეიძლება გამოიხატოს უმოქმედობაშიც. მაგალითად, სუბიექტი ხელშეკრულებით ვალდებული იყო გადაერიცხა გარკვეული თანხა, მაგრამ ის თვითნებობს და არ გადარიცხავს თანხას.

შემდეგი მომენტი თვითნებობისა არის სუბიექტისაგან თავისად დაგულებული უფლების განხორციელება.

მაგალითად, აღმასრულებელმა მისი ნათქვამის ზარალის ანაზღაურების მიზნით ბრალდებულის ოჯახიდან ამოიღო ნივთი, თუმცა სასამართლოს საამისო გადაწყვეტილება ხელთ არ ჰქონია.

გვარობითი ობიექტი დანაშაულისა არის ქვეყნის მმართველობის წესების დარღვევა. კონკრეტული ობიექტი — პიროვნების კანონიერი უფლებამოსილება.

ობიექტური მხარე გამოიხატება სუბიექტის მიერ თავისი კანონიერი ნამდვილი უფლებამოსილების დადგენილი წესის საწინააღმდეგოდ განხორციელებაში, რამაც არსებითი ზიანი გამოიწვია.

სუბიექტური მხარე ხასიათდება პირდაპირი განზრახვით თვითნებური მოქმედების სფეროში, ხოლო არსებითი ზარალის შემთხვევაში შეიძლება არსებობდეს როგორც განზრახი, ასევე გაუფრთხილებელი ზარალი.

თვითნებობის მეორე ნაწილის დამამძიმებელი გარემოება გვაქვს თუ თვითნებობას მიზნის განსახორციელებლად თან ერთვის ძალადობა ან ძალადობის მუქარა.

ძალადობის დროს მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანების შემთხვევაში მოქმედება დაკვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობით.

თუ ასეთ თვითნებურ მოქმედებას ჩაიდენს თანამდებობის პირი თანამდებობრივი უფლებამოსილების მოშველიებით, მისი მოქმედება დაკვალიფიცირდება თანამდებობრივი დანაშაულით.

ოფიციალური დოკუმენტის ან სახელმწიფო ჯილდოს შეძენა ან გასაღება – მუხლი 361

მუხლი ერთი ნაწილისაგან შედგება. მისი დისპოზიცია ასეთი შინაარსის არის: „ანგარების მიზნით შეძენა ან გასაღება ოფიციალური დოკუმენტის ან სახელმწიფო ჯილდოსი, რომელიც პირს ანიჭებს რაიმე უფლებას ან ათავისუფლებს რაიმე მოვალეობისაგან“.

დოკუმენტი არის ოფიციალური ფორმისა და ინფორმაციის შემცველი ის ნივთი, რომელიც არსებობს იმისათვის, რომ დაადასტუროს რაიმე ფაქტი ან მოვლენა (ქაღალდზე მოთავსებული ინფორმაცია, ფოტო, კინო, ვიდეოჩანაწერი, კომპიუტერული ჩანაწერი ან რაიმე მატერიალური საგანი).

ყოველი დოკუმენტი მაშინ იძენს იურიდიულ სახეს, როცა მას გააჩნია აუცილებელი რეკვიზიტები (ორგანიზაციის დასახელება, მისი ადგილსამყოფელი, კოდი, დამამზადებლის ვინაობა და ა.შ.).

ოფიციალური დოკუმენტი არის გარკვეული შინაარსის მაუწყებელი საგანი, დამზადებული და გაცემული არსებულ და მოქმედ სახელმწიფო ორგანოებში, წარმოებებში, დაწესებულებებში და რომელიც პასუხობს გარკვეულ მოთხოვნებს.

სახელმწიფო ჯილდო არის ის დოკუმენტი, რომელიც აღნიშნავს მოქალაქის დამსახურებას ქვეყნისა და ხალხის წინაშე შრომაში, სამშობლოსათვის ბრძოლაში, ხელოვნებაში, მეცნიერებაში და ა.შ. (ორდენი, მედალი, საპატიო სიგელი, საპატიო ნიშანი და სხვა).

ობიექტური მხარე განსახილველი დანაშაულისა გამოიხატება ოფიციალური დოკუმენტის ან სახელმწიფო ჯილდოს შეძენასა ან გაყიდვაში ანგარების მიზნით, რომელთაც გააჩნიათ უნარი, მისცეს შემძენს საშუალება, აღიჭურვოს გარკვეული სასარგებლო უფლებამოსილებით ან გაათავისუფლოს იგი არასასურველი მოვალეობისაგან.

მაგალითად, დამნაშავემ შეისყიდა უმაღლესი განათლების

დიპლომი, რომლითაც მოიპოვა უფლება ასწავლოს საშუალო სკოლაში ქართული ენა და ლიტერატურა.

ან შეიძინა სპეციალური დოკუმენტი, რომლითაც მოიპოვა უფლება მატარებლით უფასო მგზავრობისა და გაითავისუფლა თავი ბილეთის ყიდვის ვალდებულებისაგან.

კანონმდებელი დანაშაულებრივად სწორედ მაშინ თვლის ასეთ შეძენას ან გასაღებას, თუ არსებობს ოფიციალური დოკუმენტი და მოგების მიღების მოტივი.

დანაშაულის ზოგადი ობიექტი არის ქვეყნის მმართველობის წესი.

სუბიექტური მხარე გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში. დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ იგი იძენს ან ასაღებს სახელმწიფო ოფიციალურ დოკუმენტს ან ჯილდოს, რომელსაც შესწევს ძალა, მისცეს მეპატრონეს სასურველი უფლებამოსილება ან გაათავისუფლოს არასასურველი მოვალეობისაგან.

მოტივი დანაშაულისა არის მატერიალური გამორჩენა.

ყალბი დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადება ან გამოყენება – მუხლი 362

მუხლი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი ასეთი შინაარსისაა: „ყალბი პირადობის მოწმობის ან სხვა ოფიციალური დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადება ან გამოყენება“.

დისპოზიციის მიხედვით, დანაშაულის შემადგენლობა არსებობს მაშინ, როდესაც სუბიექტი ჩაიდენს შემდეგ კანონსაწინააღმდეგო ქმედებას:

ა) დაამზადებს ყალბ პირადობის მოწმობას.

ბ) სხვა ოფიციალურ დოკუმენტს.

გ) ბეჭედს.

დ) შტამპს.

ე) ბლანკს.

თუკი ეს დამზადება გამიზნულია მათი გამოყენების მიზნით ან მოხდა რომელიმე მათგანის გამოყენება.

ამ დანაშაულის მართლწინააღმდეგობა ეხება არის ის, რომ ყალბი დოკუმენტი ამახინჯებს სახელმწიფო ფორმას და ამით ქმნის დანაშაულებრივი მოქმედების განხორციელების საფუძველს, რასაც

შეიძლება მოჰყვეს უფრო მძიმე დანაშაულებრივი შედეგი, როგორც სახელმწიფოს, ასევე წარმოება-ორგანიზაციებისა და ცალკეული პირების მიმართ.

ყალბი დოკუმენტით, ბეჭდით, შტამპით, ბლანკით დამნაშავეს შეუძლია სახელმწიფო ქონების გაფლანგვა, პატიმართა გათავისუფლება და ჩაიდინოს მრავალი სხვა დანაშაული.

ეს დანაშაული ხელყოფს ფაქტების დოკუმენტურ დამოწმებას, რომელსაც აქვს იურიდიული მნიშვნელობა. უმეტეს შემთხვევაში ქმედება ჩაიდინება უფრო მძიმე და შენიღბულ დანაშაულთა ჩასადენად (თაღლითობა, სიყალბე და სხვა).

ნამდვილ დოკუმენტს ახასიათებს ორი ძირითადი ნიშანი:

1. თავისი წარმოშობის მიხედვით, ის დამზადებული და გაცემულია სახელმწიფოებრივად რეგისტრირებული ოფიციალური ორგანიზაციის მიერ, თავისი აუცილებელი ფორმითა და რეკვიზიტებით.

2. დოკუმენტი თავისი შინაარსით მოქალაქეს აძლევს გარკვეულ უფლებამოსილებას ან ათავისუფლებს ვალდებულებისაგან.

ბეჭედი — ეს არის სპეციალური საგანი ორგანიზაციის დასტურის გამომხატველად, რომელსაც აქვს რელიეფური ან ამოღრმავებით ამოკვეთილი გამოსახულება, ტექსტი, ჩანახატი და ასახავს ორგანიზაციის ან ფიზიკური პირის სრულ დასახელებას, გამოხატულებას პოულობს დოკუმენტზე ორგანიზაციის მიერ გაცემის ნიშნად და დასტურად.

შტამპი ბეჭდის ნაირსახეობაა, რომელიც იხმარება დოკუმენტზე ანაბეჭდის შესასრულებლად და შეიცავს იურიდიული პირის სრულ ტექსტუალურ დასახელებას, მის მისამართს, დოკუმენტის გაგზავნის თარიღს. ზოგიერთ შემთხვევაში, შტამპი ატარებს ნაციონალურ გერბს, როგორც ტექსტის შემადგენელ ნაწილს. შტამპი ოთხკუთხედი, განფენილი ფორმისაა.

ბლანკი არის ქაღალდის ფურცელი, რომლის თავსაწყისში აღბეჭდილია შტამპი ან სხვადასხვა ბეჭდური ტექსტი. სათანადო გრაფების შევსების შემდეგ იგი მიიღებს ოფიციალური დოკუმენტის ფორმას. მაგალითად, პირადობის მოწმობა, პასპორტი, დაბადების მოწმობა, საშუალო სკოლის დამთავრების მოწმობა და სხვა.

პრაქტიკა იცნობს და ცალკე გამოყოფს ე.წ. მკაცრი აღრიცხვის ბლანკებს, რომელიც შეიცავს აღრიცხვის ნომერს და აქვს თავისი სპეციალური გამოყენების რეჟიმი.

ზემოთ ჩამოთვლილ ოფიციალურ დოკუმენტებს ამზადებს სახელმწიფო და იმყოფება სათანადო აღრიცხვაზე.

ოფიციალური დოკუმენტის რაობაზე ვისაუბრეთ 361-ე მუხლის განხილვის დროს.

ქმედების დანაშაულებრიობა მდგომარეობს მასში, რომ სუბიექტი ყოველგვარი სახელმწიფო ნებართვის გარეშე ამზადებს პირადობის მოწმობას ან სხვა ოფიციალურ დოკუმენტს, ბეჭედს, შტამპს ან ბლანკს.

ყალბად დამზადება ნიშნავს დოკუმენტის მთლიან დამზადებას ყველა თავისი რეკვიზიტით ან ოფიციალურ დოკუმენტში მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანას (მფლობელის გვარის, სურათის, ჩაწერის შეცვლას და სხვა).

ყალბი ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადება გამოიხატება ამ საგნების ასლების გაკეთებაში ან მათ დამახინჯებულად დამზადებაში არაკომპეტენტური პირებისა და ორგანიზაციის მიერ. კანონის პირველი ნაწილი მიანიშნებს იმაზე, რომ ეს დამზადება გამიზნული უნდა იყოს გამოყენებისათვის, ან უნდა მოხდეს მათი გამოყენება.

სუბიექტური მხარე დანაშაულისა გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში. დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ იგი ყალბად ამზადებს პირადობის მოწმობას ან სხვა ოფიციალურ დოკუმენტს, შტამპს, ბეჭედს ან ბლანკს გამოყენების მიზნით ან გამოიყენა ყალბად დამზადებული საგანი და სურს ასეთი.

მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს დამამძიმებელ გარემოებას, რაც გამოიხატება იმაში, რომ დამნაშავე მუხლის პირველ ნაწილში გათვალისწინებულ ქმედებას ჩაიდენს არაერთგზის, ან თუ მან მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

მნიშვნელოვან ზიანში კანონმდებელი გულისხმობს ყალბი დოკუმენტის გაკეთებით უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენას, რითაც ფიზიკურმა ან იურიდიულმა პირმა მატერიალური ან სხვაგვარი ზარალი განიცადა. მაგალითად, თაღლითობის გზით ქონების დაკარგვა ან ყალბი განაჩენის გზით საკნიდან დაკავებულის გათავისუფლება და ა.შ.

ყალბი დოკუმენტის გამოყენების ობიექტური მხარე ხასიათდება ამ დოკუმენტით ერთხელ ან რამდენჯერმე სარგებლობის მიღებით, საჭიროების დროს მისი წარდგენით, გადაცემით, რითაც მოხდა დამნაშავისათვის სათანადო უფლების მოპოვება. აქაც სუბიექტი განზრახ, შეგნებით ჩადის მას და სურს ასეთი.

მუხლი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი ასეთი შინაარსის არის:

„დოკუმენტის, ბეჭდის ან შტამპის ბლანკის ან მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება, გადამალვა, განადგურება ან დაზიანება, ჩადენილი ანგარებით ან სხვა პირადი მოტივით.“

დოკუმენტის, ბლანკის, ბეჭდის და შტამპის ცნებებზე ჩვენ ვისაუბრეთ 362-ე მუხლის განხილვის დროს.

კანონმდებელი ჩამოთვლის დანაშაულის შემდეგ სახეებს:

ა) მისაკუთრებას.
ბ) გადამალვას.
გ) განადგურებას.
დ) დაზიანებას.

ხოლო ამ კანონსაწინააღმდეგო მოქმედებათა დანაშაულებრივ მოტივად მიიჩნევს ანგარებას ან სხვა პირად მოტივს.

მისაკუთრება ნიშნავს დოკუმენტის ამოღებას მისი ოფიციალური მიმოქცევითი ბრუნვიდან ან მის დაუფლებას, ანდა მის გამოყენებას დამნაშავის ან ვინმე სხვა პირის სასარგებლოდ, ანგარებით ან სხვა პირადი მიზნით. აქ ლაპარაკია ისეთ ბლანკსა თუ ნივთზე, რომელსაც დოკუმენტის სახე აქვს თავისი ფორმითა და შინაარსით და წარმოადგენს მოვლენის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი მომენტის ერთადერთ დადასტურებას.

განადგურება ნიშნავს დოკუმენტის, შტამპის, ბეჭდის, ბლანკის მოსპობას, რომელიც სრულიად უვარგისი ხდება გამოყენებისათვის ან აღარ არსებობს ფიზიკურად.

დაზიანება ნიშნავს ჩამოთვლილი საგნისათვის ისეთ ვნებას, მიყენებას, როდესაც იგი ნაწილობრივ კარგავს ღირებულებას, ძნელად მიმდინარეობს მისი აღდგენა და ურომლისოდაც იგი უვარგისია (დოკუმენტის დასვრა, ქიმიური საშუალებებით გადაფხეკა, ნაწილის მოხევა და ა.შ.).

გადამალვაში კანონმდებელი გულისხმობს დამნაშავისაგან დოკუმენტის ისეთ ადგილზე განზრახ შენახვას, რომლის მიგნებას და დანიშნულებით გამოყენებას ვეღარ ახერხებს მფლობელი, ადრესატი და სხვა.

როგორც კანონი განმარტავს, ამსრულებელი ამ დანაშაულს ჩადის ანგარებით ან სხვა პირადი მოტივით.

ანგარების ანუ გამორჩენის მოტივად ითვლება მიზანი, როდესაც დამნაშავე მოქმედებს მატერიალური სიმდიდრის მისაღებად. ან სხვა პირად მოტივში შეიძლება ვიგულისხმოთ მეგობრისათვის ან ნათესავისათვის ასეთი საქციელის ჩადენა და სხვა.

მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს, თუკი დამნაშავე მოჭალაქის პირადობის დამადასტურებელ მოწმობას ან სხვა დოკუმენტს გაიტაცებს (პასპორტი, ლაურეატობის, მწერალთა, მხატვართა ან ჟურნალისტთა კავშირის წევრობის მოწმობა და ა.შ.).

გატაცება შეიძლება მოხდეს ქურდობით, აშკარად და სხვა.

საერთო ობიექტი დანაშაულისა არის ქვეყნის მმართველობის წესი, უშუალო ობიექტი – მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი საბუთი.

ობიექტური მხარე მუხლის პირველი ნაწილისა გამოიხატება დოკუმენტის, ბლანკის, ბეჭდის, შტამპის მისაკუთრებაში, განადგურებასა ან დაზიანებაში, ხოლო მეორე ნაწილისა – მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ან სხვა მნიშვნელოვანი პირადი დოკუმენტის გატაცებაში. მუხლის მეორე ნაწილში პირადი საბუთების გატაცების მოტივს კანონმდებელი არ აღნიშნავს. უნდა ვიგულისხმოთ ანგარება ან სხვა პირადი მოტივი, კერძოდ, სასტუმროში შესვლა, საზღვარზე გადასვლა, რაიმე უფლების მოპოვება, თავისი პირადობის დამალვა და ა.შ.

სუბიექტური მხარე გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში.

მეთორმეტე კარი

დანაშაული სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ

თავი 41

დანაშაული სასამართლო ორგანოების საქმიანობის წინააღმდეგ

(მოკლე მიმოხილვა)

წინამდებარე თავის განხილვის დროს არ შეიძლება ნაწილობრივ, ზოგადად მაინც არ შევეხოთ კარის სიახლეს, მის უაღრესად დიდ როლსა და ღირსებას, რომელიც ამომწურავად მოიცავს მართლმსაჯულების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა მთელ სისტემას ოთხი თავითა და 18 მუხლით.

სახელმწიფო ხელისუფლების ფართო სტრუქტურებსა და სამართალდამცავი ორგანოების მთელ სისტემაში მართლმსაჯულება ძირითადი ბერკეტია სახელმწიფოს იმ მნიშვნელოვანი ფუნქციის განხორციელებისათვის, რასაც ეწოდება კანონიერების დაცვა და განმტკიცება.

კარი თავისი ოთხი მნიშვნელოვანი თავით ამომწურავად ეხება იმ დანაშაულთა სისტემას, რომელიც ხელყოფს სასამართლო ორგანოების საქმიანობას და, კერძოდ, უფლებამოსილებას, მიმართულს მტკიცებულებათა მოპოვების საპროცესო წესების წინააღმდეგ.

სასამართლო ხელისუფლების განხორციელების ამომწურავი და სრულყოფილი დაცვა მეტად საიმედო გარანტიაა დემოკრატიული ქვეყნის განუხრელი მშენებლობისა, ადამიანთა საზოგადოების უფლება-მოვალეობის აყვავებისა.

კარი იწყება 41-ე თავით – „დანაშაული სასამართლო ორგანოების საქმიანობის წინააღმდეგ“. ის ოთხ მუხლს შეიცავს და ძირითადად განიხილავს ისეთ დანაშაულობებს, რომლებიც ხელყოფს სამართალწარმოების განხორციელებისა და წინასწარი გამოძიების კანონიერად წარმართვის საქმეს; საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის, მოსამარ-

თლის, მსაჯულის სამართალწარმოების ანდა სისხლის სამართლის პროცესის სხვა მონაწილის უსაფრთხოების დაცვის საიდუმლოებას და ა.შ. კარი ასევე განიხილავს მტკიცებულებების მოპოვების, საპროცესო წესის, დანაშაულის დროულად აღკვეთისა და გახსნის, სასამართლო აქტების აღსრულების წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებს. ქვემოთ ცალკეული თავებისა და მუხლების განხილვას შევეცდებით.

სამართალწარმოების განხორციელებისათვის ან წინასწარი გამოძიებისათვის ხელის შეშლა – მუხლი 364

მუხლის დისპოზიცია სამი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილის შინაარსი ასეთი ფორმითაა ჩამოყალიბებული:

„სამართალწარმოების განხორციელებაზე ზეგავლენის მიზნით სასამართლოს საქმიანობაში ამა თუ იმ ფორმით უკანონო ჩარევა.“

საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლის მესამე პუნქტი აღნიშნავს, რომ „სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელია და მას ახორციელებენ მხოლოდ სასამართლოები“.

კონსტიტუციის 84-ე მუხლში ნათქვამია: „მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს. რაიმე ზემოქმედება სასამართლოზე ან ჩარევა მის საქმიანობაში, გადაწყვეტილების მიღებაზე გავლენის მიზნით, აკრძალულია და ისჯება კანონით“.

მართლმსაჯულების განხორციელებაში ამა თუ იმ ფორმით ჩარევა ნიშნავს კოლეგიაზე ან ცალკეულ მოსამართლეზე ზემოქმედებას, რათა ხელი შეეშალოს სასამართლოს კანონიერი განჩინების ან გადაწყვეტილების გამოტანას.

დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროება მდგომარეობს მასში, რომ ასეთი ქმედება არღვევს კონსტიტუციურ მოთხოვნას სასამართლო ხელისუფლების თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შესახებ, ანადგურებს სასამართლოს ავტორიტეტს, აჭარწყლებს საზოგადოების ნდობას მის მიმართ, ჰკარგავს ობიექტურობას, ლახავს მოსამართლის კეთილსინდისიერებას, მოქალაქეთა უფლებებსა და მოვალეობებს. ზემოთ აღნიშნულიდან ნათლად ჩანს, რომ ობიექტი

დანაშაულისა არის სასამართლო ორგანოების საქმიანობა. კერძოდ მართლმსაჯულების განხორციელების სფერო, ინტერესები.

ობიექტური მხარე დანაშაულისა გამოიხატება სასამართლოს საქმიანობაში ჩარევით, ამა თუ იმ ფორმით კანონიერი გადაწყვეტილების ან განჩინების გამოტანაში ხელის შეშლის მიზნით. ეს ჩარევა შეიძლება განხორციელდეს მოსამართლისათვის ცხოვნით, მუქარით, პიკეტების მოწყობით, შიმშილობის გამოცხადებით, დემონსტრაციით, სხვადასხვა ლოზუნგებისა და პლაკატების გამოტანით, დოკუმენტების გადამალვით, განადგურებით, ჩვენებათა გადათქმევინებით და ა.შ.

განსახილველი დანაშაული დამთავრებულად ითვლება ჩარევის განხორციელების ან აქციის დაწყებისთანავე.

ამსრულებელი დანაშაულისა შეიძლება იყოს ნებისმიერი მოქალაქე.

სუბიექტური მხარე დანაშაულისა გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში, ე.ი. პირმა იცის დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროება, უშვებს მას და სურს ასეთი. მოტივი დანაშაულისა შეიძლება იყოს პირადი დაინტერესება, გამორჩენა და ა.შ.

პრაქტიკაში გვხვდება ფაქტები, როდესაც წარმოების თუ ორგანიზაციის ხელმძღვანელი წერილობით ან ტრიბუნიდან სახალხოდ მიმართავს მოსამართლეს ან სასამართლო კოლეგიას ბრალდებულისათვის სასჯელის შემსუბუქების ან კანონის მთელი სიმკაცრით დასჯის შესახებ, მაგრამ ასეთი მოქმედება არ შეიძლება განხილული იქნეს როგორც 364-ე მუხლში გათვალისწინებული დანაშაული.

მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას პროკურორის, გამომძიებლისა ან მომკვლევის საქმიანობაში ამა თუ იმ ფორმით ჩარევისას, რაც მიზნად ისახავს საქმის ობიექტურ, სრულ და ყოველმხრივ გამოძიებაში ხელის შეშლას. დასახელებული თანამდებობის პირების საქმიანობაში ჩარევას კანონმდებელი გულისხმობს ისეთივე ფორმით, როგორც ეს განხილული იქნა სასამართლოს საქმიანობაში ჩარევის დროს. აქაც საზოგადოების თხოვნა თუ ადვოკატის ოფიციალური მოთხოვნა ბრალდებულის მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის ან კვალიფიკაციის შეცვლისათვის, არ შეიძლება მიჩნეული იქნეს 364-ე მუხლში ჩამოყალიბებულ დანაშაულად, რადგან ასეთი მოთხოვნა დაშვებულია სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით.

თუ განსახილველი მუხლის პირველ ნაწილში გათვალისწი-

ნებული დანაშაულის კონკრეტული ობიექტი არის სასამართლოს შემადგენლობა, მეორე ნაწილისა არის პროკურორი, გამომძიებელი, მომკვლევი.

წინასწარი გამოძიებისათვის ხელის შეშლა დამთავრებულად ითვლება მოქმედების დაწყებისთანავე, რომელიც უშუალოდ მიმართულია გამოძიების ობიექტურობის, სრულყოფილების ან ყოველმხრივობის წინააღმდეგ.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა პროკურორის, გამომძიებლისა და მომკვლევის უშუალო კანონიერ ვალდებულებად მიიჩნევს, რომ მიიღონ ყოველგვარი სამართლებრივი ზომები გამოძიების ობიექტური, სრულყოფილი და ყოველმხრივი ჩატარებისათვის, სადაც ნათლად უნდა იქნეს გამოკვეთილი, როგორც ბრალდებულის პიროვნება, ასევე მის მიერ ჩადენილი დანაშაულის მთელი სისრულე და შემამსუბუქებელ-დამამძიმებელი გარემოებანი.

პროკურორის ცნება და უფლებამოსილება განმარტებულია სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის 56-ე მუხლში. გამომძიებელისა – 58-ე მუხლში, მომკვლევისა – 66-ე მუხლის მეორე პუნქტში.

მუხლის მესამე ნაწილი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას პირველი და მეორე ნაწილით გათვალისწინებული ქმედებისათვის, როცა იგი ჩადენილია სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით.

სამსახურებრივი მდგომარეობა განისაზღვრება მისი სამართლებრივი სტატუსით (უფლებათა და მოვალეობათა ერთიანობა), რომელიც დადგენილია კანონით ან რომელიმე კანონქვემდებარე აქტით და წარმოადგენს იმ პირთა კატეგორიას, რომელთაც უჭირავთ საქართველოში სახელმწიფო თანამდებობანი, კერძოდ: ადგილობრივ თვითმმართველობაში, სახელმწიფო და მუნიციპალურ დაწესებულებებში, შეიარაღებულ ძალებში ან კომერციულ თუ სხვა რომელიმე არასახელმწიფოებრივ ორგანიზაციაში.

თანამდებობის პირებად, რომელთაც სამსახურებრივი მდგომარეობით შეუძლიათ ჩაერიონ სასამართლოსა და გამოძიების საქმიანობაში ხელის შემშლელებად, ითვლება არა ყველა პირი, არამედ ისინი, ვისაც თანამდებობით შეუძლიათ ზეგავლენა მოახდინონ გამოძიებასა და სამართალწარმოებაზე, რათა მათ გადაუხვიონ ობიექტურობის, ყოველმხრივობისა და სრულყოფილების პოზიცი-

ებიდან. ესენი, უპირველეს ყოვლისა, არიან საქართველოს სახელმწიფო თანამდებობის პირები, ადგილობრივი მმართველობის თანამდებობის პირები, ხელმძღვანელი მუშაკები და ა.შ.

პროკურორის ან ზემდგომი პროკურორის მითითება გამოძიებისა და მოკვლევის მიმართ, ე. ი. ჩარევა გამოძიებისა და მოკვლევის პროცესებში, რაოდენ სადავოც უნდა იყოს იგი, არ შეიძლება ჩაითვალოს ამ მუხლში გათვალისწინებულ დანაშაულებრივ ქმედებად.

მუქარა ან ძალადმება სამართალწარმოების განხორციელებასთან ან წინასწარ გამოძიებასთან დაკავშირებით – მუხლი 365

გამოძიებისა და მართლმსაჯულების ორგანოების მუშაკთა სიცოცხლის ხელყოფა ან ასეთის მუქარა წარმოადგენს საზოგადოებრივად საშიშ ქმედებას, რამდენადაც ის ხელს უშლის წინასწარი გამოძიებისა და მართლმსაჯულების განხორციელებას, საკონსტიტუციო სასამართლო გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანას. ამდენად ობიექტი მოცემული დანაშაულისა ერთდროულად არის საკონსტიტუციო სამართალწარმოება, მართლმსაჯულება, პიროვნების სიცოცხლე, ჯანმრთელობა და მათი ქონება.

განსახილველი მუხლი ოთხი ნაწილისაგან შედგება.

პირველი ნაწილის შინაარსი ასეთია: „საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის, მოსამართლის მსაჯულის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ სიცოცხლის მოსპობის, ჯანმრთელობის დაზიანების ანდა ქონების განადგურების ან დაზიანების მუქარა სასამართლოში საქმის ან მასალის განხილვასთან დაკავშირებით.“

საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის, მოსამართლის, მსაჯულის ან მისი ახლო ნათესავის სიცოცხლის ჯანმრთელობის ან ქონების ხელყოფაში კანონმდებელი გულისხმობს მათ განზრახ მკვლელობას, სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებას, მათი ქონების განადგურებას ან დაზიანებას. ახლონათესავის ცნებაში კანონმდებელი გულისხმობს შვილებს, მშობლებს, შვილიშვილებს, და-ძმას, ბებია-ბაბუას, მეუღლეს, სხვა სისხლხორცეულ ნათესავს და ა.შ.

მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას აწესებს, როდე-

საც დანაშაული მიმართულია „პროკურორის, გამომძიებლის, მომკვლევის, დამცველის, ექსპერტის, აღმასრულებლის, სამართალწარმოების სხვა მონაწილის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ, მოკვლევასთან, წინასწარ გამოძიებასთან, სასამართლოში საქმის ან მასალის განხილვასთან ანდა განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების ასრულებასთან დაკავშირებით“. ცხადია, როცა კანონმდებელი ამ პირებს ჩამოთვლის, იქვე გულისხმობს იმას, რომ დამნაშავეს მიზნად აქვს დასახული ხელი შეუშალოს სამართალწარმოებას მისი განხორციელების ნებისმიერ ეტაპზე და კერძოდ, იმ სამართლებრივ მოქმედებათა განხორციელებას, რომლებიც ჩამოთვლილი სამართლის სუბიექტების კომპეტენციაში შედის.

კანონი განმარტავს, რომ სიცოცხლის მოსპობა, ჭრილობის განადგურება ან ასეთის მუქარა დაკავშირებული უნდა იყოს მოკვლევასთან, წინასწარ გამოძიებასთან, სასამართლოში საქმის ან მასალების განხილვასთან. ეს იმას ნიშნავს, რომ დანაშაულის სუბიექტი ითხოვს და მისი მუქარა ან ძალადობა მიმართულია იქით, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს, მოსამართლეს, მსაჯულს ან სამართალწარმოების ანდა მართლმსაჯულების სხვა მონაწილეს კონკრეტულ საქმეზე მუშაობის დროს ხელი შეუშალოს საქმის ან მასალების ობიექტურ განხილვაში. დამნაშავის მიზანი შეიძლება იყოს პროცესის რომელიმე მხარის მდგომარეობის შემსუბუქება ან გამკაცრება, აღკვეთის ღონისძიების შეცვლა გაიოლებით ან პირიქით, ექსპერტის დასკვნის შეცვლა და ა.შ.

სიცოცხლის მოსპობის, სხეულის დაზიანების, ჭრილობის განადგურების ან ასეთის მუქარაში იგულისხმება ასეთი მოქმედების დაპირება, თუკი დაზარალებული არ შეასრულებს სუბიექტისაგან მიცემულ წინადადებას. მუქარა შეიძლება გამოითქვას როგორც სახალხოდ, ასევე პირისპირ — დარბაზში, ტელეფონით, წერილობით და ა.შ.

„საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი თავის მოვალეობათა შესრულებისას დამოუკიდებელია. იგი ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, მის საქმიანობაში ჩარევა დაუშვებელია და ისჯება კანონით“.[1]

მსაჯული არის საქართველოს მოქალაქე, რომელიც მონაწილეობას იღებს სხდომებში და მოწოდებულია კანონის შესაბამისად იმოქმედოს საქმის განხილვის დროს. სამართალწარმოების

1. კანონი საკონსტ. სასამართლოს შესახებ, მუხ. 4

ანდა მართლმსაჯულების სხვა მონაწილეში იგულისხმება: საზოგადოებრივი დამცველები, საზოგადოებრივი ბრალმდებლები და ა.შ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოს მდივანი არ ითვლება საქმის ან მასალების განხილვის მონაწილედ, რამდენადაც იგი არ მონაწილეობს საქმის არსებითად გადაწყვეტაში.

გამოძიების ან მართლმსაჯულების განხორციელებაში მონაწილე პროკურორად ითვლება ნებისმიერი რანგის პროკურორი, პროკურორის მოადგილე ან თანაშემწე, რომელიც უშუალო მონაწილეობას იღებს საქმის განხილვაში, როგორც სახელმწიფო ბრალმდებელი ან გამოძიებაში, როგორც ზედამხედველი.

დამცველის ცნებაში იგულისხმება პირი, რომელიც საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად მოწვეულია და დაშვებულია რომელიმე მხარის ინტერესების დასაცავად და თავის უფლებამოსილებას ახორციელებს კანონის შესაბამისად.

ექსპერტი არის პირი, რომელიც ფლობს სპეციალურ ცოდნას მეცნიერების რომელიმე დარგში და საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად მოწვეულია გამოძიებისა თუ სასამართლოს მიერ სპეციფიკური საკითხების გამოსაკვლევად და დასკვნის გასაცემად.

სასამართლოს აღმასრულებელი არის ის პირი, ვინც დადგენილი წესით დანიშნულია ამ თანამდებობაზე, რომლის ძირითად ფუნქციას შეადგენს სისრულეში მოიყვანოს სასამართლოს მიერ კონკრეტულ საქმეზე მიღებული ზოგიერთი გადაწყვეტილება. კერძოდ: ზარალის ანაზღაურება, ყადაღადადებული ქონების რეალიზაცია და ა.შ.

სასამართლო პოლიციელი არის ის პირი, რომელიც დანიშნულია, კანონის შესაბამისად, ამ თანამდებობაზე, რათა დაიცვას წესრიგი შენობასა და სხდომის დარბაზში მუშაობისათვის ნორმალური პირობების შექმნის მიზნით.

მოკვლევის, გამოძიებისა და სასამართლო საქმიანობისათვის ხელის შეშლაში კანონმდებელი გულისხმობს იმ სამოქმედო საშუალების აღკვეთას, რომლითაც უნდა განხორციელდეს ესა თუ ის საპროცესო მოქმედება. მაგალითად, აღკვეთის ღონისძიების არჩევა, დაკავება, ყადაღის დადება და სხვა.

სიცოცხლის ხელყოფაში იგულისხმება განზრახ მოკვლა ან მოკვლის მცდელობა.

კანონის შესაბამისად, ამ დანაშაულში დაზარალებული შეიძლება იყოს ის პირი, რომელიც უშუალოდ ასრულებს ან მონა-

წილეობს საპროცესო კანონით გათვალისწინებულ საგამოძიებო ან სასამართლო მოქმედებათა წარმოებაში.

მაგალითად, დამნაშავემ სიცოცხლისა და ჯანმრთელობის მოსპობის ან ქონების განადგურების მუქარით შეიძლება მოითხოვოს სასამართლოსაგან რომელიმე მხარისათვის შეღავათიანი განაჩენი ან გადაწყვეტილება, პროკურორისა და გამომძიებლისაგან რომელიმე ეპიზოდის გამოკლება, დამცველისაგან დაცვაზე ხელის აღება და ა.შ. ექსპერტისაგან არასწორი დასკვნის გაცემა, სასამართლო აღმასრულებლისაგან აღსრულების გადავადება ან არშესრულება და ა.შ.

მუხლის მესამე ნაწილი ითვალისწინებს იგივე მოქმედებას, როდესაც დამნაშავე დაზარალებულთა მიმართ იყენებს ისეთ ძალადობას, რომელიც არ არის სიცოცხლისათვის საშიში. ასეთ ძალადობას განეკუთვნება ცემა, დროებით თავისუფლების აღკვეთა და ა.შ.

მუხლის მეოთხე ნაწილში კანონმდებელი განიხილავს ისეთ ძალადობას, როცა იგი საშიშროებას უქმნის დაზარალებულის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, მაგალითად, დაზარალებულისადმი ხანგრძლივ თავისუფლების აღკვეთა, წამება შიმშილითა და უწყლოდ, სუნთქვის პერიოდული შეწყვეტით და ა.შ. სიცოცხლისათვის საშიში ძალადობის რაობაზე ჩვენ ვისაუბრეთ ყაჩაღობის განხილვის დროს.

დანაშაული დამთავრებულად ითვლება ძალადობის ან ასეთის მუქარისთანავე.

სუბიექტური მხარე მდგომარეობს პირდაპირ განზრახვაში — დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ იგი უკანონოდ ერევა საკონსტიტუციო სამართალწარმოებისა და მართლმსაჯულების განხორციელების საქმეში, ხელს უშლის მის ნორმალურ ფუნქციონირებას, სურს, მოსამართლე, პროკურორი თუ გამომძიებელი, ან სხვა მონაწილე იძულებით მიიყვანოს იქამდე, რომ დაარღვიოს კანონი და შეასრულოს მისი სასურველი მოქმედება და სურს ასეთი. მოტივი დანაშაულის ჩადენისა შეიძლება იყოს ანგარება ან სხვა გარემოება.

მაგალითად, სუბიექტმა შეიძლება ჩაიდინოს მუხლში ჩამოთვლილი რომელიმე დანაშაულებრივი ქმედება და აიღოს ამისათვის გარკვეული თანხა ან ასეთივე მოქმედება ჩაიდინოს ახლო ნათესავისათვის (შვილი, მეუღლე, დედ-მამა).

განსახილველი მუხლი ერთხელ კიდევ ადასტურებს სასამართლო ხელისუფლების მტკიცე სახელმწიფოებრივ დაცვას, მისი ღირსების ხელშეუხებლობას, რაც მნიშვნელოვანწილად განაპირობებს მართლმსაჯულებისადმი ღრმა პატივისცემას, სასამართლოს ძალისა და ავტორიტეტის ამაღლებას.

საერთო სასამართლოების კანონი მეცხრე მუხლში დაბეჯითებით აღნიშნავს, რომ „მხარეების, საქმეში მონაწილე სხვა პირების, აგრეთვე სასამართლოს სხდომაზე დამსწრე პირთა ისეთი ქმედება, რომელიც სასამართლოსადმი უპატივცემულობას გამოხატავს, იწვევს კანონით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას“.[1]

მუხლი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში გათვალისწინებულია „სასამართლოს უპატივცემულობა, რაც გამოიხატა სამართალწარმოების მონაწილის შეურაცხყოფით“.

მეორე ნაწილი კი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს იგივე მოქმედებისათვის, როცა იგი მიმართულია საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის, მოსამართლის, მსაჯულის მიმართ.

საზოგადოებრივი საშიშროება ამ დანაშაულისა მდგომარეობს მასში, რომ დამნაშავე თავისი შეურაცხმყოფელი მოქმედებით დარბაზში ქმნის დაძაბულ, ნერვიულ სიტუაციას, რაც ხელს უშლის სასამართლოს შემადგენლობას აწარმოოს სრული, ყოველმხრივი და ობიექტური განხილვა, ამცირებს სასამართლოს ავტორიტეტს და მის აღმზრდელობით გავლენას და ა.შ. აქედან გამომდინარე, ობიექტი დანაშაულისა არის სასამართლოს ავტორიტეტი, მისი სახელი და ღირსება, მისი საქმიანობა.

სუბიექტური მხარე დანაშაულისა გამოიხატება სასამართლო საქმის განხილვის მონაწილის შეურაცხყოფის აშკარა განზრახვაში.

მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლო განხილვის მონაწილეებად ითვლებიან: მოსამართლე, პროკურორი, რომელიც სასამართლო პროცესზე ახორციელებს სახელმწიფო ბრალდებას, მსჯავრდებული და მისი დამცველი, არასრულწლოვანი ბრალდებულის კანონიერი წარმომადგენელი, დაზარალებული, სამოქალაქო მოსარჩელე და მოპასუხე, ექსპერტი, თარჯიმანი, მოწმე.

შეურაცხყოფად ითვლება სასამართლოს შემადგენლობის,

1. საქ. კანონი საერთო სასამართლოების შესახებ, მუხ. 9.

სასამართლო განხილვის მონაწილეთა მიმართ უწმაწური, დამცინავი მიმართვა, ფიზიკურ ნაკლზე მითითება, მათი სახელისა და ღირსების დამცირება. ყოველივე ეს შეიძლება გამოიხატოს სიტყვიერად, ჟესტით, ნახატით და ა.შ.

დანაშაულის ჩასადენ ადგილად მიჩნეულია სხდომის დარბაზი, სასამართლოს შენობა (შესვენების გამოცხადების დროს). შეურაცხყოფა უნდა მოხდეს საქმის განხილვასთან დაკავშირებით.

დანაშაული დამთავრებულად ითვლება შეურაცხყოფისთანავე.

დანაშაულის ამსრულებელია როგორც სასამართლო განხილვის მონაწილე, ასევე განხილვის დამსწრე, ან ის, ვინც საქმის განხილვით დაინტერესების გამო იმყოფება სასამართლოს შენობაში ან დარბაზში.

მოტივი დანაშაულისა შეიძლება იყოს სასამართლოს გადაწყვეტილებით განაწყენება ან სხვა პირადი მიზეზი (რელიგიური მრწამსი, ნაციონალური სიძულვილი და ა.შ.).

მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას აწესებს იმგვარივე შეურაცხყოფისათვის, რომელზედაც ზემოთ იყო საუბარი, თუკი იგი მიმართულია საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის, მოსამართლის, ან სამართალწარმოების სხვა მონაწილის მიმართ.

ობიექტური და სუბიექტური მხარე მუხლის პირველი და მეორე ნაწილისათვის ერთი და იგივეა.

გადაწყვეტილების გამოტანის დღიდან რამდენიმე ხნის შემდეგ შეურაცხყოფა არ დაკვალიფიცირდება განსახილველი მუხლით. ასევე არც მაშინ, თუ შეურაცხყოფა მოხდა პირადი საყოფაცხოვრებო ურთიერთობის გამო.

საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის, მოსამართლის, მსაჯულის, სამართალწარმოების ანდა სისხლის სამართლის პროცესის სხვა მონაწილის უსაფრთხოების დაცვის საიდუმლოების გახმაურება – მუხლი 367

კანონი საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ მე-4 მუხლში აღნიშნავს: „სახელმწიფო უზრუნველყოფს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრისა და მისი ოჯახის უსაფრთხოებას“.

კანონის ამ მოთხოვნის განხორციელებისათვის შედგენილია გეგმა სპეციალური სამსახურის მიერ და მისი განხორციელების ხერხებისა და მეთოდების გახმაურება დაუშვებელია.

დაცვა ხორციელდება შენობისა, სადაც სამართალწარმოება და მართლმსაჯულება მიმდინარეობს.

კანონი პასუხისმგებლობას აწესებს დაცვის საიდუმლოების გახმაურებისათვის. დაცვა განკუთვნილია საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის, მოსამართლის, მსაჯულის ან სამართალწარმოების, ანდა მართლმსაჯულების სხვა მონაწილის, სასამართლო პოლიციელის, სასამართლო აღმასრულებლის, ასევე მათი ახლობლის მიმართ.

საქართველოს კანონი მოსამართლეთა, სამართალდამცავი და მაკონტროლებელი ორგანოების თანამდებობის პირთა სახელმწიფო დაცვის შესახებ პირდაპირ უთითებს სასამართლოს წევრის, მოსამართლის, მსაჯულის, სამართალწარმოების, ანდა მართლმსაჯულების სხვა მონაწილის, სასამართლო პოლიციელის, სასამართლო აღმასრულებლის, ასევე მათი ახლობლების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის შესახებ.

საზოგადოებრივი საშიშროება კანონში ჩამოთვლილ პირთა დაცვის წესებისა და მეთოდების საიდუმლოების გათქმისა გამოიხატება მასში, რომ ამან შეიძლება გამოიწვიოს თავისთავად არასასურველი შედეგი დასაცავთა მიმართ (მკვლელობა, დაზიანება, ჭრილობის განადგურება და ა.შ.).

ობიექტური მხარე დანაშაულისა გამოიხატება დაცვის საიდუმლოების გაცემაში. ეს ქმედება შეიძლება განხორციელდეს როგორც სიტყვიერად, ისე წერილობით.

დანაშაული დამთავრებულად ითვლება დაცვის საიდუმლოების მესამე პირზე გადაცემის მომენტიდან.

ამსრულებელი დანაშაულისა შეიძლება იყოს ის პირი, რომელსაც ეს ცნობები განდობილი ჰქონდა, ან ცნობილი გახდა მისთვის სამსახურებრივი მოღვაწეობის გამო – ძირითადად შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკები და ა. შ. ამის გარდა, ამსრულებელი შეიძლება იყოს თანამდებობის პირი, რომელიც ასრულებს მმართველის ფუნქციას და წარმოებასა თუ დაწესებულებაში აგზავნის საკონსტიტუციო სასამართლოთა და სხვათა დაცვის გადაწყვეტილებებს.

სუბიექტური მხარე დანაშაულისა შეიძლება იყოს როგორც პირდაპირი განზრახვა, ასევე გაუფრთხილებლობა.

მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს დანაშაულის კვალი-

ფიციურ ნიშანს, როდესაც პირველი ნაწილით გათვალისწინებულ მოქმედებას გაუფრთხილებლობით მოჰყვა მძიმე შედეგი.

მძიმე შედეგში შეიძლება ვიგულისხმოთ დასაცავი პირის სიცოცხლის მოსპობა ან მძიმე დაზიანება და ა.შ.

ქმედების დაკვალიფიცირება განსახილველი მუხლით მოხდება მაშინ, თუ ჩამოთვლილი შედეგები პირდაპირ მიზეზობრივ კავშირში იქნება დაცვის საიდუმლოების გახმაურებასთან.

42-ე თავი

დანაშაული მტკიცებულების მოპოვების საპროცესო წესის წინააღმდეგ

(მოკლე მიმოხილვა)

განსახილველი თავი მეთორმეტე კარის – „დანაშაული სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ“ – ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თავია. იგი ასე გამოკვეთილად, როგორც მართლმსაჯულების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, არასოდეს ყოფილა ჩვენს კანონმდებლობაში, ცალკე მუხლებად კი შეიდიოდა იმ თავში, რომელსაც სისხლის სამართლის ძველი კოდექსის მიხედვით ერქვა დანაშაული მართლმსაჯულების წინააღმდეგ. როგორც უკვე დავინახეთ, სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული იმდენად მრავალსახეობრივია, რომ ის ოთხ სხვადასხვა თავს შეიცავს და სწორედ მათგან ერთ-ერთია განსახილველი დანაშაულთა ჯგუფი, რომელიც მტკიცებულების მოპოვების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა სახეობებს აერთიანებს. რომ თითოეული მათგანი მიმართულია იქით, რომ დაარღვიოს, ხელი შეუშალოს მართლმსაჯულების ორგანოებს ამა თუ იმ სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულების მოპოვებისათავის საპროცესო წესის განხორციელებაში. ამ თავში შესულია ისეთი დანაშაულებები, როგორიც არის მტკიცებულებათა განადგურება, მტკიცებულებათა ფალსიფიკაცია, ცრუ ჩვენება, ყალბი დასკვნა ან არასწორი თარგმანი, მოწმის ან დაზარალებულის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმა, მოწმის, დაზარალებულის, ექსპერტის ან თარჯიმნის მოსყიდვა ან იძულება, ცრუ დასმენა.

განსახილველი მუხლი ერთი ნაწილისაგან შედგება. მისი შინაარსი ასეთია: „მტკიცებულების განადგურება სამართალწარმოების მონაწილის მიერ“.

სამართალწარმოების მონაწილე ის პირია, რომელიც საპროცესო კანონის შესაბამისად ფლობს უფლებამოსილებას, ახორციელებს მტკიცებულებათა აღმოჩენის დაფიქსირების ან შესწავლა-შეფასების ფუნქციას.

სისხლის სამართლის პროცესში მიღებულია მტკიცებულებათა შემდეგი კლასიფიკაცია: გამამართლებელი და გამამტყუნებელი, პირადი და ნივთიერი, აგრეთვე სხვა მტკიცებულებები, მაგრამ მუხლის განხილვის საჭიროებისათვის მხოლოდ დასახელებულ ოთხ სახეობას გამოვიყენებთ.

გამამართლებელი მტკიცებულებებია ისეთი ფაქტები, რომლებიც გამორიცხავენ პირის ბრალეულობას, მის მონაწილეობას დანაშაულის ჩადენაში ან ადგენენ ბრალის შემამსუბუქებელ გარემოებებს.

გამამტყუნებელი მტკიცებულებებია ისეთი ფაქტები, რომლებიც ადგენენ დანაშაულის შემთხვევას, პირის მონაწილეობას დანაშაულის ჩადენაში, მის ბრალეულობას ან ბრალის დამამძიმებელ გარემოებებს.

პირადი მტკიცებულებებს (ანუ ჩვენებით მტკიცებულებებს) მიეკუთვნება მოწმის, დაზარალებულის, ექსპერტის დაკითხვა და ა.შ.

ნივთიერ მტკიცებულებებს მიეკუთვნება საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებათა შედეგად აღმოჩენილი სხვადასხვა საგნები, ფასეულობა, კვალი, ფული და ა.შ.

განადგურება ნიშნავს მტკიცებულების მთლიანად მოსპობას, როდესაც სრულიად ქრება მისი არსებობის კვალი ან მტკიცებულებითი ვარგისიანობა.

მაგალითად: ხელის კვალის გადაშლა, მოწმის ჩვენების განადგურება ან მოწმისათვის ჭეშმარიტი ჩვენების გადათქმევინება, ან მოწმის გადამალვა ისე, რომ არ გამოცხადდეს წინასწარ გამოძიების ან ასევე სასამართლო განხილვის დროს.

უდანაშაულობის მამტკიცებელი საბუთების განადგურებას კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არ აქვს.

დანაშაული შეიძლება ჩადენილი იქნეს ანგარებით ან სხვა პირადი მოტივით (მეგობრობით, უფროსის დავალებით და ა.შ.).

მტკიცებულება დამნაშავემ შეიძლება გაანადგუროს როგორც მისი მოპოვების პროცესში (მაგ. ავტომანქანის პროტექტორის კვალის გაქარწყლება), ასევე შესწავლა-დამუშავების დროს.

დანაშაულის ამსრულებელი არის სამართლწარმოების მუშაკი.

სუბიექტური მხარე გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში. დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ იგი ანადგურებს ისეთ მტკიცებულებას, რომელიც ბრალდებულის გამამართლებელ ან გამამტყუნებელ ასპექტებზე გვაწვდის ინფორმაციას და სურს ასეთი.

დანაშაულის ობიექტი არის სასამართლო ხელისუფლება, უშუალო ობიექტი კი — მტკიცებულება.

ობიექტური მხარე გამოიხატება მტკიცებულების განადგურებაში.

მტკიცებულების ფალსიფიკაცია — მუხლი 369

მუხლი სამი ნაწილისაგან შედგება.

პირველი განიხილავს „სამოქალაქო საქმის მონაწილის ან მისი წარმომადგენლის მიერ მტკიცებულების ფალსიფიკაციას.“

მეორე ნაწილი — როდესაც პროკურორი, გამომძიებელი, მომკვლევი ან დამცველი სისხლის სამართლის საქმეზე მოახდენს ასეთივე ქმედებას, ხოლო მესამე ნაწილი განიხილავს მტკიცებულების ფალსიფიკაციას მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე სისხლის სამართლის საქმეზე ან თუ ამგვარმა ფალსიფიკაციამ გაუფრთხილებლობით გამოიწვია მძიმე შედეგი.

სამოქალაქო თუ სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერი გადაწყვეტილების თუ განაჩენის გამოტანა შეიძლება ჰეშმარიტი და ობიექტური მტკიცებულებების ერთიანობის საფუძველზე. მტკიცებულებათა დამახინჯება, მათთვის ჰეშმარიტებისა და ფაქტების ობიექტური ასახვის უნარის გამოცლა, ე. ი. ფალსიფიცირება, საფრთხეში აგდებს, ლახავს, ბღალავს, დანაშაულებრივად ხელყოფს სახელმწიფოს, ორგანიზაციის თუ ფიზიკური პირის კანონიერ ინტერესებს. განსაკუთრებით ხაზგასასმელი მდგომარეობა არის ის,

რომ დანაშაული მიმართულია რა მტკიცებულების მოპოვების საპროცესო წესების კანონიერი განხორციელების წინააღმდეგ, იგი ხელყოფს სასამართლო ხელისუფლებას, მის ნორმალურ ფუნქციონირებას და იურიდიულ თუ ფიზიკურ პირთა კანონიერ ინტერესებს.

ობიექტური მხრივ, პირველ ნაწილში გათვალისწინებული დანაშაული ხასიათდება სამოქალაქო საქმეზე მტკიცებულებათა ფალსიფიკაციით.

სამოქალაქო სამართალი განმარტავს, რომ სამოქალაქო საქმეებზე მტკიცებულებას წარმოადგენს ნებისმიერი ფაქტობრივი მონაცემი, რომლის საფუძველზედაც სასამართლო ადგენს, არსებობს თუ არა შესაბამისი გარემოება, დააკმაყოფილოს დაზარალებული მხარე და სხვა. სამოქალაქო საქმეებზე ეს მონაცემები დგინდება შემდეგი საშუალებებით: მხარეთა და მესამე პირთა ახსნა-განმარტებებით, მოწმეთა ჩვენებებით, სხვადასხვა წერილობითი დოკუმენტებით, ნივთიერი მტკიცებულებებით, ექსპერტთა დასკვნებით და ა.შ.

ასეთივე წესით მიმდინარეობს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების გარჩევა. აქ მტკიცებულებებს წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმები, დაზარალებულთა და მოწმეთა განმარტებანი და ა.შ.

დოკუმენტის ფალსიფიკაციის ცნების ქვეშ სამოქალაქო საქმეზე იგულისხმება ე.წ. საგნობრივი დოკუმენტების გადაკეთება ან გადამუშავება. კერძოდ: ნივთიერი მტკიცებულებების, წერილობითი დოკუმენტების განზრახ შეცვლა და დამახინჯება, ობიექტური სახის დაკარგვა დამნაშავის სასარგებლოდ.

წერილობითი დოკუმენტები სამოქალაქო საქმეზე არის: აქტები, ოქმები, სხვადასხვა საქმიანი და პირადი ხასიათის მიმოწერები, შეთანხმებები და ა.შ.

ნივთიერი მტკიცებებია ნივთები, რომლებიც ადგენენ ამა თუ იმ მდგომარეობას და ინფორმაციას იძლევიან ამა თუ იმ საქმეზე გარკვეული გარემოების ირგვლივ.

სუბიექტი დანაშაულისა შეიძლება იყოს მხოლოდ საქმის მონაწილენი ან მათი წარმომადგენლები.

სუბიექტური მხარე გამოიხატება განზრახ ქმედებაში. დანაშაულის მოტივი შეიძლება იყოს გამორჩენა ან სხვა პირადი ინტერესი.

საერთო ობიექტი დანაშაულისა არის სასამართლო ხელისუფლება.

გვარობითი ობიექტი — მტკიცებულებათა მოპოვების საპროცესო წესი.

უშუალო ობიექტი — მტკიცებულება, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საქმეზე ჭეშმარიტების დადგენაში.

ობიექტური მხარე გამოიხატება მტკიცებულების ფალსიფიკაციაში.

დანაშაულის მეორე ნაწილის ობიექტური მხარე გამოიხატება სისხლის სამართლის საქმის მტკიცებულების ფალსიფიკაციაში, მაგალითად: სარევიზიო აქტის, დოკუმენტალური შემოწმების, ნივთიერი მტკიცებულებების, საგამოძიებო ოქმების ან სხვა დოკუმენტების დამახინჯებაში, გადაკეთებაში, შეცვლაში.

სისხლის სამართლის საქმეზე ნივთიერ მტკიცებულებებს წარმოადგენს დანაშაულის ჩადენის იარაღები და ისტრუმენტები, დამნაშავის კვალი, მოპარული ნივთები, ფული და ა.შ.

დოკუმენტებად მიიჩნევა ყველა ქაღალდი, რომელიც იძლევა წერილობით ინფორმაციას ამა თუ იმ ფაქტის შესახებ, ასევე საგამოძიებო ოქმები, აქტები და სხვა.

ოქმი არის გამოძიების ან მომკვლევის მიერ შედგენილი წერილობითი დოკუმენტი, რომელიც შედგენილია საპროცესო კანონის მოთხოვნათა დაცვით და ასახავს საქმის კონკრეტულ გარემოებას, მოწმის დაკითხვის ოქმი, შემთხვევის დათვალიერების ოქმი და ა.შ.

დისპოზიციის მიხედვით, ამ დანაშაულის ამსრულებელი არის პროკურორი, გამომძიებელი ან დამცველი. სუბიექტური მხარე გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში. მოტივი დანაშაულისა შეიძლება იყოს გამორჩენა ან სხვა პირადი ინტერესი. სხვა ინტერესში იგულისხმება ნაციონალური შუღლი, რელიგიური შეუწყნარებლობა, სიძულვილი და ა.შ.

მესამე ნაწილი პასუხისმგებლობას აწესებს, როცა პროკურორი, გამომძიებელი ან ადვოკატი მოახდენს მტკიცებულების ფალსიფიკაციას მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე სისხლის სამართლის დანაშაულის საქმის წარმოების დროს, რამაც გამოიწვია მძიმე შედეგი.

ნაკლებად მძიმე და მძიმე დანაშაულთა კატეგორიები განსაზღვრულია სისხლის სამართლის კოდექსის მე-12 მუხლში.

მძიმე შედეგში კანონმდებელი გულისხმობს მსჯავრდებულისათვის უკანონოდ მძიმე სასჯელის დადებას ან მის თვითმკლელობას და ა.შ.

ცრუ ჩვენება, ყალბი დასკვნა ან არასწორი თარგმანი – მუხლი 370

განსახილველი მუხლი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი პასუხისმგებლობას ,,აწესებს მოწმის და დაზარალებულის მიერ ცრუ ჩვენების მიცემის ან ექსპერტის მიერ ყალბი დასკვნის ან ჩვენების მიცემის ანდა თარჯიმნის მიერ განზრახ არასწორად თარგმნისათვის გამოძიების დროს ან სასამართლოში.

ობიექტური მხარე დანაშაულისა გამოიხატება ჩამონათვალიდან თუნდაც ერთ-ერთის განხორციელებით, სასამართლოს მსვლელობის თუ წინასწარი გამოძიების დროს. კანონი იმ მომენტს უსვამს ხაზს, რომ ცრუ ჩვენების მიცემას დანაშაულებრივი ხასიათი სწორედ მაშინ აქვს, როცა სუბიექტი წინასწარი ან სასამართლო გამოძიების დროს იცრუებს განზრახ.

ჩვენება გარკვეული ინფორმაციაა საქმის ამა თუ იმ ეპიზოდის იგვლივ, რომელიც გაცემულია ოფიციალური დაკითხვის დროს, სათანადო გაფრთხილებით სიცრუისათვის პასუხისმგებლობის შესახებ და ქმედით გავლენას ახდენს საქმის ბედის ობიექტურ გადაწყვეტაზე.

ჩვენება ცრუდ ჩაითვლება მაშინ, როდესაც იგი მთლიანად ან ნაწილობრივ ამახინჯებს ამა თუ იმ ეპიზოდზე ობიექტურ ვითარებას და მკვეთრ უარყოფით გავლენას ახდენს განაჩენის ან გადაწყვეტილების კანონიერებაზე.

ექსპერტის დასკვნის სიყალბე გამოიხატება მასში, რომ იგი განზრახ ზერელე ანალიზს უკეთებს ფაქტებს, რის საფუძველზეც იძლევა არასწორ დასკვნას ან არასწორ ჩვენებას.

არასწორი თარგმნა მდგომარეობს მასში, რომ თარჯიმანი ამახინჯებს ტექსტის ნამდვილ შინაარსს და განზრახ განსხვავებულ აზრს გადასცემს გამოძიებას ან სასამართლოს.

კანონმდებელი შენიშნავს იმას, რომ მოწმის საუბარი მოსამართლესთან, მაგალითად, საქმის განსახილველად მომზადების დროს, არ არის ჩვენების სახე.

ჩვენება. თარგმანი ან დასკვნა. როგორც ცრუ და დანაშაულებრივი. ჩამოყალიბებული იქნება ოფიციალური გაფრთხილებისა და დაკითხვის შემდეგ ოქმზე ხელისმოწერისთანავე. ექსპერტისაგან დასკვნის ხელმოწერით დადასტურებისთანავე.

სუბიექტი დანაშაულისა არის ის, ვინც საქმის გამოძიების პროცესში მონაწილეობს როგორც მოწმე, დაზარალებული, ექსპერტი, თარჯიმანი.

ამ დანაშაულის ამსრულებელი ან თანამონაწილე არ შეიძლება იყოს ბრალდებული თუნდაც მან მისი ბრალდების საქმის მონაწილე სხვა სუბიექტის მიმართ რომელიმე ეპიზოდზე ცრუ ჩვენება გასცეს.

კანონი იმის განმარტებასაც იძლევა, რომ მოწმე კანონით არ არის ვალდებული, დაამოწმოს რაიმე ფაქტი მისი ახლობლის ბრალდების თაობაზე.

ახლობლად ითვლება: მშობლები, შვილები, შვილად აყვანილი, მკვიდრი და-ძმა, ბებია, ბაბუა, შვილიშვილი.

პირი არ შეიძლება პასუხისგებაში იქნეს მიცემული ამ მუხლით იმ შეთხვევაში, თუ იგი დაკითხული იქნა მოწმედ, მისცა ცრუ ჩვენება, მაგრამ დადგინდა, რომ იგი თანამონაწილეა ამ დანაშაულისა.

სუბიექტური მხარე გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში — სუბიექტმა შეგნებით იცის, რომ იგი განზრახ იძლევა ცრუ ჩვენებას ან ცრუ საექსპერტო დასკვნას ან არასწორად თარგმნის. მაგრამ უშვებს ამას და სურს შედეგი.

მოტივი დანაშაულისა შეიძლება იყოს ანგარება, შიში და სხვა. მოტივს კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არ აქვს.

მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას აწესებს იგივე ქმედებისათვის, ..თუ მას თან ერთვის ბრალდება მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულში.''

მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შესახებ საუბარი იყო 370-ე მუხლის განხილვის დროს.

ობიექტი განსახილველი დანაშაულისა არის როგორც წინასწარი და სასამართლო გამოძიების ნორმალური ფუნქციონირება, ასევე ფიზიკურ პირთა კანონიერი უფლებები და ინტერესები.

დანაშაულის სუბიექტი (როგორც ამას კანონი შენიშნავს) თავისუფლდება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ იგი მოკვლევის ან წინასწარი გამოძიების პროცესში, ანდა განაჩენის

თუ სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე ნებაყოფილებით განაცხადებს მის მიერ ცრუ ჩვენების ან ყალბი დასკვნის მიცემის ანდა განზრახ არასწორად თარგმნის შესახებ.

მოწმის ან დაზარალებულის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმა – მუხლი 371

განსახილველი მუხლი ერთი ნაწილისაგან შედგება. მისი შინაარსი ასეთია: „მოწმის ან დაზარალებულის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმა“. იგი პასუხისმგებლობას აწესებს იმ მოწმის ან დაზარალებულის მიმართ, რომელიც უარს ამბობს, წინასწარ გამოძიებასა და სასამართლოს მისცეს ინფორმაცია ამა თუ იმ სისხლის სამართლისა თუ სამოქალაქო სამართლის საქმეზე, მისთვის ცნობილი ეპიზოდის ირგვლივ.

მოწმისა და დაზარალებულის ეს მოქმედება არსებითად აშორებს სასამართლოსა და წინასწარ გამოძიებას ობიექტური ჰეშმარიტებისაგან. ამდენად, ამ დანაშაულის ობიექტი არის მართლმსაჯულების ორგანოების ნორმალური მუშაობა.

ობიექტური მხარე გამოიხატება (მოწმისა და დაზარალებულისაგან) წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო განხილვის დროს ჩვენების მიცემაზე უარის თქმაში.

დანაშაული ჩაიდინება უმოქმედობით. უარის თქმა ჩვენების მიცემაზე ნიშნავს ხმამაღალ განცხადებას იმის თაობაზე, რომ მოწმეს ან დაზარალებულს არ სურს, მისცეს ინფორმაცია გამოძიებასა და სასამართლოს ამა თუ იმ საქმის რომელიმე ეპიზოდზე.

დანაშაული დამთავრებულად ითვლება ჩვენების მიცემაზე უარის თქმის გაცხადებისთანავე.

დანაშაულის ამსრულებელია ის, ვინც გამოძიებისა და სასამართლოს მიერ მიჩნეულია დაზარალებულად ან მოწმედ და ფლობს გარკვეულ ინფორმაციას საქმეზე მთლიანად ან მის რომელიმე ეპიზოდზე.

ამსრულებელი განზრახ იკავებს თავს ჩვენების მიცემისაგან. მოტივი დანაშაულისა შეიძლება იყოს შიში, ანგარება, ნაცნობობა და ა.შ.

მუხლის დისპოზიციის ბოლოს გაკეთებული შენიშვნა მეტ-

ყველებს მასზე, რომ ამ მუხლით სისხლის სამართლის პასუხისგებაში არ მიეცემა პირი (მოწმე და დაზარალებული), რომელიც არ აძლევს ჩვენებას მისი ახლო ნათესავების ბრალდების საქმეზე მათ საზიანოდ.

ახლო ნათესავთა კატეგორია რამდენიმეჯერაა განმარტებული ზემოთ.

მოწმის, დაზარალებულის, ექსპერტის ან თარჯიმნის მოსყიდვა ან იძულება – მუხლი 372

სისხლის სამართლის ძველი კანონმდებლობის მიხედვით, ანალოგიური მუხლი ერთი ნაწილისაგან შედგებოდა და დანაშაულის შემადგენლობა გამოიხატებოდა მოწმის, ექსპერტის ან თარჯიმნის მოსყიდვაში, რათა მოწმეს არასწორი ჩვენება გაეცა, თარჯიმანს დამახინჯებულად ეთარგმნა ნაწერი ან ზეპირი ტექსტი ან ექსპერტს ყალბი დასკვნა შეედგინა. ახალი კანონმდებლობა საკმაოდ რთულ დისპოზიციას გვთავაზობს. მუხლი სამი ნაწილისაგან შედგება.

მუხლის პირველი ნაწილი ასეთი შინაარსისაა: „მოწმის, დაზარალებულის, ექსპერტის ან თარჯიმნის მოსყიდვა ცრუ ჩვენების ან ყალბი დასკვნის მიცემისათვის ანდა არასწორად თარგმნისათვის“.

მოსყიდვაში კანონმდებელი გულისხმობს დამნაშავის მიერ მატერიალური (ფულის, ნივთის ან გარკვეული სასარგებლო სამუშაოს შესრულებას) სახსრების გაღებას მოწმის, ექსპერტის, ან თარჯიმნის დათანხმება-დაყოლიების მიზნით – გასცეს ცრუ ჩვენება, შეადგინოს არასწორი დასკვნა ან თარგმნოს დამახინჯებულად ზეპირი თუ წერილობითი ტექსტი.

დამნაშავის მიზანი შეიძლება იყოს ბრალდებულის მდგომარეობის დამძიმება ან შემსუბუქება.

ზოგადი ობიექტი დანაშაულისა არის ქვეყნის სასამართლო ხელისუფლება, გვარობითი ობიექტი – მტკიცებულების მოპოვების საპროცესო წესი.

დანაშაულებრივი ქმედება ხელს უშლის მტკიცებულებათა მოპოვების საპროცესო წესს და ბოლოს კი სამართალდამცავი ორგანოების ნორმალურ ფუნქციონირებას და ადამიანის კანონიერ უფლებებს.

ობიექტური მხარე დანაშაულისა გამოიხატება მას'ში, რომ დამნაშავემ მოისყიდა მოწმე, გადაათქმევინა ან დაამახინჯებინა ობიექტური გარემოება, მოისყიდა და დაიყოლია თარჯიმანი და დამახინჯებულად ათარგმნინა ზეპირი ან წერილობითი ტექსტი, ხოლო ექსპერტს გააცემინა ყალბი დასკვნა.

ამ დანაშაულისათვის დამახასიათებელია ის, რომ უმეტეს შემთხვევაში დამნაშავის განზრახვა არ გულისხმობს საგამოძიებო და სასამართლო ორგანოების ნორმალურ ფუნქციონირებაში ხელის შეშლას.

მაგალითად, დამნაშავე ჩამოთვლილ პირებს მოისყიდის იმისათვის, რომ ბრალდებულის მდგომარეობა დაამძიმოს ან შეამსუბუქოს. ამ შემთხვევაში იგი ითვალისწინებს მოქალაქის უფლებების შელახვას, მაგრამ ვერ ითვალისწინებს საქმეზე მტკიცებულებათა მოპოვების საპროცესო წესების დარღვევას ან სამართალდამცავი ორგანოების ნორმალური ფუნქციონირებისათვის ხელის შეშლას. ამ სფეროში მოქმედება დაკვალიფიცირდება გაუფრთხილებელი ბრალით.

დანაშაული დამთავრებულად ითვლება მუხლის რომელიმე შემადგენლობის განხორციელებისთანავე.

მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს, როდესაც დამნაშავე პირველ ნაწილში ჩამოყალიბებული მიზნისათვის, ჩვენებაზე უარის თქმისათვის აიძულებს მოწმეს, ექსპერტს, თარჯიმანს, როცა ამას თან ურთავს მისი ან მისივე ახლობლის მოკვლის, ძალადობის გამოყენების, ანდა ქონების დაზიანების ან განადგურების მუქარას.

იძულება ნიშნავს დაზარალებულის აშკარად გამოუვალ მდგომარეობაში ჩაყენებას, რათა შეასრულოს დამნაშავის წინადადება. იძულება შეიძლება განხორციელდეს მისი, ან ახლო ნათესავების მოკვლის, ძალადობის გამოყენების, ქონების განადგურების, პირადი ან ოჯახის საიდუმლოების გახმაურების მუქარით და ა.შ.

მუხლის მესამე ნაწილი პასუხისმგებლობას აწესებს იმ პირის მიმართ, რომელიც ჩაიდენს მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებას აშკარა ძალადობის გამოყენებით. ასეთ ძალადობაში კანონმდებელი გულისხმობს დაზარალებულის ცემას, გატაცებას, დამწყვდევას და ა.შ.

ამსრულებელი დანაშაულისა შეიძლება იყოს · ნებისმიერი მოქალაქე.

კანონი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი მართლსაწინააღმდეგოდ მიიჩნევს დანაშაულის ჩადენის შესახებ ცრუ დასმენას.

მუხლის შინაარსი ასეთია: „დანაშაულის ჩადენის შესახებ ცრუ დასმენა“.

ქმედება გამოიხატება მასში, რომ დამნაშავე დაზარალებულზე მისდამი მტრული დამოკიდებულების გამო, თხზავს სიყალბეს იმის თაობაზე, თითქოს მას ჩაედინოს რაიმე დანაშაული. ამით დამნაშავე ცდილობს, რომ დაზარალებულს ავნოს, მიაღწიოს მის დასჯას, სახელის გატეხას. ამასთანავე ხელს უშლის სასამართლოს ფუნქციის ნორმალურ განხორციელებას. ფაქტობრივად, დანაშაულის ობიექტი არის სასამართლოს ნორმალური ფუნქციონირებაცა და თვით მოქალაქე.

ობიექტური მხარე დანაშაულისა მდგომარეობს როგორც მართლმსაჯულების საქმიანობის აღრევაში, რაც შეიძლება გამოიხატოს არასწორი განაჩენისა და გადაწყვეტილების გამოტანაში, ასევე დაზარალებულის უფლებისა და თავისუფლების შეზღუდვაში.

ამსრულებელი დანაშაულისა შეიძლება იყოს ნებისმიერი მოქალაქე.

რაც შეეხება სუბიექტურ მხარეს, იგი პირდაპირი განზრახვით ხასიათდება, რადგან დამნაშავემ იცის, რომ დაზარალებულს არავითარი დანაშაული არ ჩაუდენია და ცრუობს და სურს ეს. რაც შეეხება ობიექტური მხარის მეორე მომენტს, სასამართლოს ნორმალური ფუნქციონირების ხელყოფას, უმრავლეს შემთხვევაში ევენტუალური განზრახვით ან გაუფრთხილებელი ბრალით ხასიათდება. ყოველივე ეს აიხსნება იმით, რომ ზოგ შემთხვევაში დამნაშავე ითვალისწინებს სასამართლოს ნორმალური ფუნქციონირებისადმი ხელის შეშლას, მის მიერ არასწორი გადაწყვეტილების გამოტანის სიმძიმეს, მაგრამ იმდენად დიდია მისთვის დაზარალებულის დასჯის ინტერესი, უშვებს ამას, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში დამნაშავე ვერ ითვალისწინებს დანაშაულის მეორე მხარეს – სასამართლოს ნორმალური ფუნქციონირების მომენტს, რის გამოც მოქმედება გაუფრთხილებლობას მიეწერება.

კანონმდებელი მუხლის მეორე ნაწილში მიუთითებს დამამძიმებელ გარემოებას, კერძოდ ისეთს, როდესაც დამნაშავე დაზარალებულს

ცრუდ დაასმენს განსაკუთრებით მძიმე ან მძიმე დანაშაულში (მაგ. სამშობლოს ღალატში, დივერსიაში, მკვლელობაში და ა.შ.), ანდა ბრალდების მტკიცებას ქმნის ხელოვნურად.

ამავე ნაწილში კანონმდებელმა დამამძიმებელ გარემოებად შეიტანა დამნაშავის ისეთი მოქმედება, როდესაც იგი, თავისი ცრუ დასმენის დასამტკიცებლად და გასამაგრებლად, თვითონ ქმნის ხელოვნურ მტკიცებულებებს. მაგალითად: იშონის მოწმეს, რომელიც მისცემს მისთვის სასურველ ყალბ ჩვენებას, წერს ანონიმურ წერილებს და ა.შ.

მოტივი განსახილველი დანაშაულისა არის პირადი ინტერესი, ანგარება და ა.შ.

43-ე თავი

დანაშაულის დროულად აღკვეთისა და გახსნის წინააღმდეგ მიმართული ქმედება

(მოკლე მიმოხილვა)

თანამედროვე დემოკრატიულ საქართველოში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დანაშაულის თავიდან აცილებასა და დროულად, ცხელ კვალზე მის გახსნას. ამ საყოველთაო სახალხო საქმეში გულმოდგინედ და აქტიურად საქმიანობს სამართალდამცავი ორგანოები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მთელი საზოგადოებრიობა. საქმიანობის ეს ფართო სპექტრი მეტად მრავალფეროვანია და უეჭველად საჭიროებს სისხლის სამართლებრივ დაცვას, ამიტომ კანონმდებელმა მას ცალკე თავი მიუძღვნა და გამოჰყო მუხლები, რომლებშიც გაითვალისწინა დანაშაულის დროული აღკვეთისა და გახსნისათვის მართლმსაჯულების ორგანოების მუშაობაში ხელის შემშლელი საზოგადოებრივად საშიში ქმედებები. ესენია: მოკვლევის ან წინასწარი გამოძიების მონაცემების გახმაურება (მუხლი 374), დანაშაულის დაფარვა (მუხლი 375) და დანაშაულის შეუტყობინებლობა (მუხლი 376).

ეს თავი ნათელყოფს იმას, რომ დანაშაულის ცხელ კვალზე, დროულ გახსნას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების მასალებისა და მონაცემების საიდუმლოებათა

მტკიცედ, ხელშეუხებლად დაცვა, ასევე ჩადენილი თუ მზადებაში მყოფი დანაშაულის მხილება და დროულად შეტყობინება სათანადო ორგანოებისათვის.

საზოგადოების როლი მეტად დიდი და მნიშვნელოვანია დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში, ეს აზრი ემყარება იმ ჭეშმარიტ თეორიას, რომ დამნაშავე ვერ ცხოვრობს საზოგადოების გარეშე. იგი მოქმედებს საზოგადოების თვალწინ და მისი აქტიური დახმარებით, აქედან გამომდინარე, თუკი საზოგადოება გულდასმით იბრძოლებს დამნაშავეობის წინააღმდეგ, დროულად ამხელს მას, შეატყობინებს სათანადო ორგანოებს, არცერთი დანაშაული გაუხსნელი არ დარჩება. აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, კანონმდებელი სრულიად მართებულად მოიქცა, როცა დასჯად ქმედებად შერაცხა გამოძიებისა და მოკვლევის მონაცემების გახმაურება, დანაშაულის (დამთავრებულის თუ მომზადების პროცესში მყოფის) დაფარვა ან მისი მომზადების, მცდელობის თუ დამთავრების შეუტყობინებლობა.

ამ დანაშაულთა ობიექტი არის დანაშაულის დროული აღკვეთისა და გახსნისათვის სამართლდამცავი ორგანოების საქმიანობა.

მოკვლევის ან წინასწარი გამოძიების მონაცემის გახმაურება – მუხლი 374

განსახილველი მუხლი ერთი ნაწილისაგან შედგება. მისი შინაარსი ასეთია: „მოკვლევის ან წინასწარი გამოძიების მონაცემის გახმაურება იმის მიერ, ვინც კანონით დადგენილი წესით გაფრთხილებული იყო მისი გახმაურების აკრძალვის შესახებ“.

საზოგადოებრივი საშიშროება მოცემული დანაშაულისა გამოიხატება მასში, რომ საქმეზე შეგროვილი მტკიცებულებითი ინფორმაცია მისაღწევი ხდება რა დაინტერესებული პირებისათვის, შესაძლებელია, ხელი შეეშალოს საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას.

წინასწარი და სასამართლო გამოძიების წარმატებით განხორციელებისა და დამთავრების აუცილებელი პირობაა საგამოძიებო საქმესთან დაკავშირებული ყოველგვარი საიდუმლოების მაქსიმალური დაცვა. საიდუმლოების გახმაურება საშუალებას აძლევს დაინტერესებულ მხარეს, მიაღწიოს გამოძიების საწინააღმდეგო მოქმედებათა განხორციელებას.

მოისყიდოს მოწმეები. გაანადგურონ ნივთიერი მტკიცებანი. წაშალოს კვალი და ა.შ.

მონაცემების გახმაურება აბრკოლებს. ხელს უშლის მტკიცებულებათა აღმოჩენასა და დამაგრებას. გამოძიების კანონიერების განხორციელებას. ამ საიდუმლოებათა გახმაურების მკაცრი აკრძალვა ნაკარნახევია თვით საპროცესო კანონმდებლობით, რომლის მიხედვითაც, ვინც კანონით დადგენილი წესით გაფრთხილებული იყო საიდუმლოების გახმაურების აკრძალვის შესახებ, კალდებულია: ..... არ გაამჟღავნოს საქმესთან დაკავშირებით მისთვის ცნობილი გარემოებანი, თუკი იგი ამის შესახებ გააფრთხილა პროცესის მწარმოებელმა ორგანომ". 84-ე მუხლის „ლ" პუნქტი მიუთითებს, რომ დამცველი კალდებულია, ხელი არ შეუშალოს სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას მტკიცებულებათა მოსპობით ან სხვა უკანონო მოქმედებით. „ან სხვა უკანონო მოქმედებაში" ერთ-ერთი სწორედ გამოძიების მონაცემების გახმაურებაა.

საგამოძიებო საიდუმლოება შეიძლება გახმაურდეს იმ პირმა, კისაც საგამოძიებო საქმიანობასთან დაკავშირებით უხდება საქმის საიდუმლოებათა გაცნობა: ექსპერტი, ადვოკატი, დაზარალებული, სპეციალისტი, თარჯიმანი და სხვა, რომლებიც მონაწილეობენ ან ესწრებიან სხვადასხვა საგამოძიებო საქმიანობას და ხელწერილის ჩამორთმევით გაფრთხილებული არიან საგამოძიებო საიდუმლოების გახმაურების შემთხვევაში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ.

გახმაურება საგამოძიებო საიდუმლოებისა შეიძლება მოხდეს ნებისმიერი ფორმით: სიტყვიერად, წერილობით, რადიოთი, ტელევიზიით და სხვა საშუალებებით.

გახმაურებად ითვლება ისეთი ცნობების მიწოდება უცხო პირებისადმი, როგორიც არის: საქმისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ჩვენებები, ექსპერტის დასკვნები, ნივთიერ მტკიცებათა არსებობა, მათი რაობა, ჩხრეკის შედეგები და ა.შ.

როგორც წესი, საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, საგამოძიებო საიდუმლოების გახმაურების თავიდან აცილების მიზნით, საიდუმლოებაზე შემხებ პირებს ჩამოერთმევათ სათანადო ხელწერილები საიდუმლოების დაცვის აუცილებლობის თაობაზე. მაგრამ საიდუმლოების გახმაურებისათვის პასუხისმგებლობის საკითხი დგება და დანაშაულის შემადგენლობა გვაქვს მაშინაც კი, როცა სათანადო პირი სიტყვიერად არის გაფრთხილებული საიდუმლოების დაცვის აუცილებლობის შესახებ.

დანაშაულის ობიექტი არის მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ნორმალური ფუნქციონირება, სრული, ყოველმხრივი და ობიექტური გამოძიების მიღწევა.

დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება მოკვლევისა და გამოძიების მიერ შეგროვილი ცნობების, მონაცემების გახმაურებაში.

დანაშაულის ამსრულებელი არის პირი, რომელიც მონაწილეობს საქმის გამოძიებაში, ხელი მიუწვდება საგამოძიებო მასალებზე და გაფრთხილებულია, არ გაახმაუროს ისინი.

სუბიექტური მხარე გამოიხატება პირდაპირი განზრახვით.

დანაშაულის დაფარვა – მუხლი 375

მიზანი სამართალდამცავი ორგანოების შეთანხმებული საქმიანობისა არის ის, რომ ყოველი დანაშაული გაიხსნას, დადგინდეს დამნაშავის ვინაობა, დაეკისროს კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა და სამოქალაქო სახდელი. ამ მოქმედებაში სამართალდამცავი ორგანოებისათვის ხელის შეშლა ისჯება სისხლის სამართლის წესით.

საშიშროება ამ დანაშაულისა მდგომარეობს მასში, რომ დამნაშავე ხელს უშლის დანაშაულის გახსნას, დამნაშავის დადგენა-დაკავებას, ზარალის ანაზღაურებას, ფარავს, შლის დანაშაულის კვალს, ანადგურებს მტკიცებულებებს და ა.შ. ამასთან დაკავშირებით კანონმდებელმა 375-ე მუხლით დააწესა პასუხისმგებლობა ისეთი ქმედებისათვის, როგორიც არის „განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის დაფარვა წინასწარ შეუპირებლად". აქ იგულისხმება ისეთი შემთხვევა, როდესაც ვინმე დანაშაულის ჩადენამდე, წინასწარი შეთანხმების გარეშე, ე. ი. დანაშაულის ჩადენის შემდეგ დაფარავს თვით დანაშაულს ან დამნაშავეს ანდა დანაშაულის ჩადენის იარაღებს და საშუალებებს, ან კიდევ დანაშაულის კვალს, როდესაც ჩადენილია განსაკუთრებით მძიმე საზოგადოებრივად საშიში ქმედება.

ობიექტი დანაშაულისა არის მოკვლევის, გამოძიებისა და სასამართლოს ნორმალური ფუნქციონირება, ასევე მოქალაქის კანონიერი უფლებები და მოვალეობები.

ობიექტური მხარე გამოიხატება თვით დამნაშავის ან დანაშაულის. ანდა მისი ჩადენის იარაღებისა და ინსტრუმენტების. დანაშაულის კვალის დაფარვაში. დანაშაულებრივი გზით შეძენილი ქონების გადამალვაში და ა.შ.

დაფარვის ცნების ქვეშ იგულისხმება დანაშაულის ჩადენის იარაღების. ნივთებისა და კვალის იმგვარი გადამალვა. რომ ვერ მოხერხდეს მათი მიგნება გამოძიების მიერ და ხელი შეეშალოს ჭეშმარიტების დადგენას. მიიჩქმალოს იგი.

დანაშაული დამთავრებულად ითვლება ზემოთ ჩამოთვლილ საგანთა გადამალვისთანავე.

მოტივი დანაშაულისა შეიძლება იყოს შიში. ახლობლობა. ანგარება. დაზარალებულისადმი სიძულვილი ან დამნაშავისადმი სიყვარული და პატივისცემა და სხვა.

მაშასადამე. როგორც ზემოთ უკვე ითქვა. განზრახვა დანაშაულის დაფარვისა წარმოიშობა დანაშაულის ჩადენის შემდეგ. დანაშაულის კვალის. ნივთების ან თვით დამნაშავის დაფარვის შეპირება ჩადენამდე. ხოლო დაფარვა კვალიფიცირდება დანაშაულში თანამონაწილეობით. ეს განპირობებულია იმით. რომ ყაჩაღობის ჩამდენ დამნაშავეს მისი დაფარვით. ნივთებისა და იარაღების გადამალვით. კვალის გადაშლით. უჩნდება დანაშაულის გაუხსნელობის ილუზია და უმტკიცდება გაბედულება. თუკი დანაშაული დაფარა თანამდებობის პირმა თავისი თანამდებობრივი მდგომარეობის გამოყენებით. მისი მოქმედება დაკვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობით.

დაფარვა ქმედებაა. დამნაშავე მოქმედებს — მალავს. გადაყრის. ანადგურებს. შლის და ა.შ.

დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს ნებისმიერი მოქალაქე. სუბიექტური მხარე გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში — დამნაშავეს შეგნებული აქვს. რომ იგი მოქმედებს იმ მიზნით. რომ შეინილბოს დამნაშავის მოქმედება და სურს ეს.

დანაშაულის შეუტყობინებლობა — მუხლი 376

მუხლი ერთი ნაწილისაგან შედგება. კონსტიტუციური და საერთო მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულების უგულებელყოფა. რაც გამოიხატება მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის

მზადების, მცდელობის ან დამთავრების განუცხადებლობით. ეს უკანასკნელი საშიში დანაშაულებრივი ქმედებაა იმდენად, რამდენადაც იგი ხელს უშლის დანაშაულის გახსნასა და დამნაშავის დადგენა-დაკავებას. თუ დანაშაულის დაფარვა ქმედებაა, შეუტყობინებლობა უმოქმედობაში მდგომარეობს.

მუხლი ერთი ნაწილისაგან შედგება. მისი შინაარსი ასეთია: „შეუტყობინებლობა იმის მიერ, ვინც ნამდვილად იცის, რომ მზადდება მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული".

დანაშაულის ობიექტი არის მოკვლევის, წინასწარი გამოძიებისა და სასამართლოს ნორმალური ფუნქციონირება დანაშაულის დროულად აღკვეთისა და გახსნის საქმეში.

დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მომზადების, მცდელობის, ან ჩადენის განუცხადებლობაში. სუბიექტი არ ატყობინებს მას სამართალდამცავ ან იმ ორგანოს, ორგანიზაციას, დაწესებულებას, მუნიციპალიტეტს და სხვას, რომელსაც შეუძლია მიიღოს ზომები დანაშაულის მომზადების ან ჩადენის საწინააღმდეგოდ.

კანონმდებელმა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დააწესა მხოლოდ მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობისათვის. ამ კატეგორიის დანაშაულთა დაზუსტება შეგვიძლია სისხლის სამართლის კოდექსის მეთორმეტე მუხლის მოშველიებით. იმ დანაშაულთა შეუტყობინებლობისათვის, რომელიც არ არის მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა არ დაეკისრება.

უნდა აღინიშნოს, რომ კანონი არ უთითებს იმ ვადას, რომელშიაც ინფორმაციის მქონე პირმა უნდა განაცხადოს დანაშაულის შესახებ სათანადო ადგილზე. ცხადია, ეს დრო კანონმდებლის მიერ მართლაც ვერ განისაზღვრება მოჯრით ისე, რომ ყველა სიტუაციისათვის ერთი და იგივე იყოს, იგი უნდა გამოირკვეს კონკრეტული საქმისა და სიტუაციის გათვალისწინებით, რითაც დადგინდება, ჰქონდა თუ არა პირს ფაქტის შეტყობინების რეალუ-

რი საშუალება. პასუხისმგებლობა განსახილველი მუხლით მხოლოდ მაშინ ეკისრება, როცა რეალურია შეტყობინების შესაძლებლობა. წინააღმდეგ შემთხვევაში პასუხისმგებლობის საკითხი არ დადგება.

განსახილველ დანაშაულს აქვს ფორმალური შემადგენლობა. იგი დამთავრებულად ითვლება მაშინ, როდესაც სუბიექტმა სარწმუნოდ გაიგო დანაშაულის მომზადების, მცდელობის ან დამთავრების შესახებ, ჰქონდა ამ ფაქტის შეტყობინების რეალური საშუალება და თავი შეიკავა.

სუბიექტური მხარე შეუტყობინებლობისა ხასიათდება მხოლოდ პირდაპირი განზრახვით. დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ დანაშაული მზადდება, შეეცადნენ ჩადენას ან უკვე ჩაიდინეს, მაგრამ არ აცხადებს მას სათანადო ადგილზე და სურს ეს.

დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს ნებისმიერი მოქალაქე. თანამდებობის პირისაგან დანაშაულის შეუტყობინებლობა დაკვალიფიცირდება თანამდებობრივი დანაშაულით, რადგან ის ამ ქმედებით უგულებელყოფს მის თანამდებობრივ მოვალეობას დანაშაულის გახსნაზე სავალდებულო შეტყობინების თაობაზე.

საერთო სამართლებრივი პრინციპების შესაბამისად, პიროვნება პასუხს არ აგებს შეუტყობინებლობისათვის თუ მან იცის, რომ დანაშაული მზადდება ან ჩადენილია მეუღლისაგან, შვილისაგან, მშობლისაგან და ა.შ.

მიუხედავად იმისა, რომ შეუტყობინებლობისა და დაფარვის ხელყოფის ობიექტი ერთი და იგივეა, ობიექტური მხარის ნიშნებით მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ეს განსხვავება მდგომარეობს მასში, რომ, როგორც ზემოთაც ვთქვით, დაფარვა მოქმედების შედეგია, ხოლო შეუტყობინებლობა უმოქმედებით იძენს დანაშაულის სახეს.

თუ დამნაშავე არ ატყობინებს დანაშაულის და ამავე ფაქტზე იძლევა ცრუ ჩვენებას, მისი მოქმედება დაკვალიფიცირდება შესაბამისი მუხლებით დანაშაულთა ერთობლიობის წესით.

44-ე თავი

დანაშაული სასამართლო აქტების აღსრულების წინააღმდეგ

(მოკლე მიმოხილვა)

აღნიშნული თავი სრულიად ახალია ჩვენს კანონმდებლობაში. ცხადია, მასში შემავალი მუხლები ახალი არ არის, მაგრამ ისინი ადრინდელი რედაქციით მოთავსებული იყო მართლმსაჯულების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში. დღეს განსახილველი თავი, რაღა თქმა უნდა, სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ კარში შედის, მაგრამ დანაშაულთა ობიექტის ერთგვაროვნება განაპირობებს მათ ცალკე თავში გაერთიანებას. აქ მოთავსებულია ისეთი დანაშაულებები, როგორიცაა: ,,უკანონო ქმედება აღწერილ, ყადაღადადებულ ან საპროცესო კონფისკაციით განსაზღვრულ ქონებასთან დაკავშირებით", ,,წინასწარი პატიმრობის ან სასჯელაღსრულების დაწესებულების საქმიანობისათვის ხელის შეშლა ან ამ საქმიანობის დეზორგანიზაცია", ,,თავისუფლების აღკვეთის მოხდის ადგილიდან, პატიმრობიდან ან ბადრაგირებისას გაქცევა".

,,თავისუფლების აღკვეთის სახით სასჯელის მოხდისათვის თავის არიდება", ,,განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობა".

უკანონო ქმედება აღწერილ, ყადაღადადებულ ან საპროცესო კონფისკაციით განსაზღვრულ ქონებასთან დაკავშირებით – მუხლი 377

განსახილველი მუხლი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილის ობიექტური მხარე გამოიხატება მასში, რომ ის პირი, რომელსაც მინდობილი ჰქონდა აღწერილი ან ყადაღადადებული ქონება, გაფლანგავს, გაასხვისებს, დამალავს ან უკანონოდ გასცემს მას. ამავე ნაწილში კანონმდებელი დანაშაულად მიიჩნევს საკრედიტო ორგანიზაციის მომსახურის მოქმედებას, თუ ის საბანკო ოპერაციას ჩაატარებს იმ თანხით (ანაბრით), რომელზედაც დადებულია ყადაღა.

ყადაღა ნიშნავს ქონების დამაგრებას. იგი წარმოადგენს როგორც კონფისკაციის, ასევე ქონებრივი ზარალის ანაზღაურების საშუალებას.

დანაშაულებრივი ქმედება იმდენად საშიშია, რამდენადაც სპობს შესაძლებლობას, ანაზღაურებული იქნეს დანაშაულის ან გადაუხდელობის მიზეზით გამოწვეული ზარალი.

377-ე მუხლის პირველი ნაწილის დისპოზიცია ასეთი შინაარსისაა: ,,აღწერილი ან ყადაღადადებული ქონების გაფლანგვა, გასხვისება, დამალვა ან უკანონოდ გადაცემა იმის მიერ, ვისაც ეს ქონება მინდობილი ჰქონდა, ანდა ყადაღადადებული ფულადი საშუალებით (ანაბრით), საბანკო ოპერაციების განხორციელება საკრედიტო ორგანიზაციის მოსამსახურის მიერ". აქ გათვალისწინებულია დანაშაულის შემდეგი მომენტები: ყადაღადადებული ქონების გაფლანგვა, გასხვისება, დამალვა, უკანონოდ გაცემა, საბანკო ოპერაციების ჩატარება მაშინ, როდესაც განაჩენი დადგენილი არ არის ან კანონიერ ძალაში ჯერ კიდევ არ შესულა.

მუხლის პირველი ნაწილი მეტყველებს მასზე, რომ ქონება აღწერილია მოკვლევის, გამოძიების სათანადო დადგენილების საფუძველზე, ჩაბარებული აქვს შერჩეულ პირს და არ შეიძლება მისი გაფლანგვა, გასხვისება, დამალვა ან უკანონოდ გაცემა.

ასევე ბანკში ყადაღადადებულია პირად ან ორგანიზაციის ანგარიშზე არსებული თანხა და არ შეიძლება მისი ბრუნვაში გაშვება.

ობიექტური მხარე დანაშაულისა გამოიხატება ყადაღადადებული ქონების გაფლანგვაში, გასხვისებაში, დამალვაში, უკანონოდ გაცემაში ან ანგარიშზე არსებული თანხის საბანკო ოპერაციებში ჩართვაში.

გაფლანგვის ცნებაში იგულისხმება ქონების უნებართვო გამოყენება ნებისმიერი საჭიროებისათვის.

გასხვისებაში იგულისხმება სხვის განმგებლობაში მოქცევა, გაჩუქება, გაყიდვა, ვალის სანაცვლოდ გაცემა და ა.შ.

დამალვაში იგულისხმება ისეთი ადგილსამყოფელის შერჩევა, რომელიც სხვისთვის მიუწვდომელია.

უკანონოდ გადაცემაში კანონმდებელი ითვალისწინებს ქონების მიცემას მეპატრონეზე სათანადო დოკუმენტის გარეშე, განკარგვის უფლებით.

თანხის საბანკო ოპერაციებში ჩართვა ნიშნავს თანხის ამოძრავებისათვის ეკონომიკური ხასიათის ბრუნვაში კრედიტის სახით, საქონლის შესაძენად და ა.შ.

დანაშაული დამთავრებულად ითვლება გაფლანგვის, გასხვისების, დამალვის, უკანონო გაცემის, თანხის საბანკო ბრუნვაში შესვლის მომენტიდან.

სუბიექტური მხრივ, დანაშაული ხორციელდება მხოლოდ პირდაპირი განზრახვით. პირმა იცის, რომ მას ჩაბარებული აქვს რა ყადაღადადებული ქონება, არ შეიძლება მისი გამოყენება ყადაღის დამდების სპეციალური დადგენილების გარეშე, მაგრამ მაინც ჩადის კანონის საწინააღმდეგო მოქმედებას და სურს ეს.

ამსრულებელი დანაშაულისა არის პირი, რომელსაც კანონის შესაბამისად მინდობილი ჰქონდა ყადაღადადებული ქონება, ასევე თანამდებობის პირი — ბანკის მუშაკი, რომელსაც აქვს საშსახურებრივი უფლებამოსილება ანაბარზე მყოფი თანხა ჩართოს კანონიერ საბანკო ოპერაციებში.

მუხლის მეორე ნაწილის შინაარსი ასეთია: „კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენში მითითებული საპროცესო კონფისკაციას დაქვემდებარებული ქონების დამალვა, ანდა განაჩენის აღსრულებისათვის სხვაგვარად თავის არიდება.“

აქ კანონმდებელი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს მაშინ, როდესაც პირი ყადაღადადებულ და მასზე მიბარებულ ქონებას გადამალავს, ან მითვისებს, რომელიც უკვე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენით ექვემდებარება კონფისკაციას.

ობიექტური მხარე დანაშაულისა მდგომარეობს კონფისკაციაქმნილი საქონლის მითვისებასა ან გადამალვაში.

მუხლის პირველი და მეორე ნაწილის ობიექტურ მხარეებს შორის განსხვავება ის არის, რომ პირველი ნაწილის მიხედვით, ქონება ყადაღადადებულია, მაგრამ, ჯერჯერობით, განაჩენი ძალაში არ არის. მეორე ნაწილის მიხედვით კი, სასამართლოს განაჩენით, დადგენილია მისი კონფისკაცია და ამის შემდეგ გადამალავს დამნაშავე ქონებას ან მითვისებს.

ამ დანაშაულს მატერიალური შემადგენლობა გააჩნია. დამნაშავე თავისი საქციელით ქვეყანას მატერიალურად აზარალებს.

სუბიექტური მხარე გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში.

დანაშაულის მეორე ნაწილის მიხედვით, ამსრულებელი შე-

იძლება იყოს ნებისმიერი მოქალაქე, მათ შორის პირი, რომელსაც დროებით აქვს მიბარებული შესანახად საკონფისკაციო ქონება.

წინასწარი პატიმრობის ან სასჯელაღსრულების დაწესებულების საქმიანობისათვის ხელის შეშლა ან ამ საქმიანობის დეზორგანიზაცია – მუხლი 378

განსახილველი მუხლი მეტად რთული სტრუქტურისაა, რაც იმაში გამოიხატება, რომ დანაშაულის ცხრა შემადგენლობა განლაგებულია ოთხ ნაწილში.

მუხლის პირველი ნაწილი ასეთი შინაარსის არის: „წინასწარი პატიმრობის ან სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომლის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა ანდა ამ დაწესებულების საქმიანობისათვის სხვაგვარი ხელის შეშლა".

როგორც ცნობილია, წინასწარი პატიმრობის ან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებათა მუშაობა, მათი დისციპლინის, შრომისა და დასვენების ყოველი საათი რეგლამენტირებულია მინისტრის ბრძანებებით, ინსტრუქციებით, გენერალური პროკურორის ბრძანებებითა და მითითებებით, რომლებიც გამომდინარეობენ კონსტიტუციიდან და სხვა კანონებიდან.

სასჯელაღსრულებითი დაწესებულებანი რეგლამენტირებულ, აღმზრდელობით და სამეთვალყურეო საქმიანობას ეწევიან იმ პირთა (მსჯავრდებულთა) მიმართ, რომლებიც „მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებისათვის არიან მსჯავრდებულნი, აქვთ მიდრეკილება აკრძალული თამაშებისაკენ, ადმინისტრაციული დაუმორჩილებლობისაკენ, ურჩობისაკენ" და ა.შ.

კანონი ყურადღებას ამახვილებს დაწესებულების თანამშრომელთა მიერ „მათზე დაკისრებული ძირითადი ამოცანის – მსჯავრდებულთა სათანადო იზოლაციისა და მეთვალყურეობის, მათ მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის აღკვეთა- აცილების და სასჯელის აღსრულების უზრუნველყოფაზე".

დიდი ყურადღება ექცევა „ოპერატიული სარეჟიმო სამსახურის დახვეწას, სარეჟიმო ტექნიკური დაცვის ღონისძიებების გაუმჯობესებას, კონტროლიორებისა და დაწესებულების მორიგე თანაშემწეების მიერ სამსახურებრივი მოვალეობის განუხრელ შესრუ-

ლებას, სასაშვისო რეჟიმის დაცვას, მსჯავრდებულებთან აკრძალული ნივთების შელწევის აკრძალვას, საინჟინერო-ტექნიკური დაცვისა და კავშირგაბმულობის გამოყენების სრულყოფას, იზოლატორებსა და საპყრობილეში პერიმეტრის სიგნალიზაციის სისტემებისა და კომუნიკაციებთან სატელეფონო კავშირების სრულყოფას, მავთულხლართებისა და ბადეების, შემნიღბავი ღობის, საკონტროლო საკვალე ზოლის მდგომარეობას და ა.შ.[1]

ამ მოთხოვნათა განხორციელება უზრუნველყოფს სახლმწიფო განაჩენის სწორ, ობიექტურ რეალიზაციას.

შინაგანი წესის მიხედვით, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მსჯავრდებულთა შორის დისციპლინის განმტკიცებას, შრომის სავალდებულო მინიმუმის შესრულებას, ჰიგიენის საერთო წესების დაცვას, უფლებათა და მოვალეობათა განხორციელებას და ა.შ.

გვარობითი ობიექტი დანაშაულისა არის სასამართლოს აქტის აღსრულების უზრუნველყოფა, უშუალო ობიექტი — შრომა-გასწორებით დაწესებულებათა შინაგანაწესი.

ობიექტური მხარე გამოიხატება წინასწარი პატიმრობის ან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების თანამშრომლის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობაში პატიმრის ან მსჯავრდებულის მიერ. დაუმორჩილებლობა გამოვლინდება შინაგანაწესის ნებისმიერ დარღვევაში (შრომის, დასვენების, სისუფთავის, ურთიერთდამოკიდებულების და ა.შ.).

დანაშაულის ამსრულებელი არის პატიმარი ან მსჯავრდებული.

დანაშაულის სუბიექტური მხარე მდგომარეობს პირდაპირ განზრახვაში — დამნაშავემ იცის, რომ თანამშრომლის მოთხოვნის შესრულება, წესდების შესაბამისად, მისთვის სავალდებულოა, მაგრამ შეგნებულად არ ემორჩილება მის კანონიერ მოთხოვნას.

კანონმდებელი ამავე ნაწილში შენიშნავს — „ან მისი საქმიანობისიადმი სხვაგვარად ხელის შეშლა". ამ მსჯელობის შინაარსში იგულისხმება პატიმრის ან მსჯავრდებულის მიერ სხვათა წაქეზება, გააცდინონ სამუშაო დღეები, მოიგონონ ავადმყოფობა და სხვა, რითაც ხელი ეშლება საერთო რეჟიმის დაცვას.

მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს იმ პირთა მიმართ, ვინც სჩადის „წინასწარი პატიმრობის ან

1. საქ. შ.ს. სამინისტროს სასჯელთა აღმასრულებელი მთავარი სამმართველოს 1998 წლის 16 თებერვლის N 23/9–406 მიმართვა.

სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოთავსებულის მიმართ ძალადობას ჩვენების შეცვლის ან უარის თქმის, აგრეთვე მის მიერ მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულებაში მსჯავრდებულისათვის ხელის შეშლის მიზნით.“

ამ ნაწილის მიხედვით დამნაშავე ზემოქმედებს წინასწარი პატიმრის ან მსჯავრდებულის მიმართ ფიზიკური ძალის გამოყენებით, რათა შეაცვლევინოს ჩვენება თავისი სურვილის მიხედვით ან უარი თქვას ჩვენების მიცემაზე ან მსჯავრდებულს ხელი შეუშალოს ადმინისტრაციაზე დახმარებაში.

ძალადობა შეიძლება გამოიხატოს ცემაში, დამწყვდევაში, საჭმელისა და წყლის მიცემის აღკვეთაში და ა.შ.

ჩვენების მიცემაზე უარის თქმა ან მისი დამახინჯება (შეცვლა) მიზნად ისახავს მოკვლევის ან გამოძიების მასალების დამახინჯებას, ხელის შეშლას საქმეზე ჭეშმარიტების დადგენაში.

მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულებაში ხელის შეშლა გამოიხატება მასში, რომ დამნაშავე არ აძლევს საშუალებას პატიმარს ან მსჯავრდებულს, დახმარება გაუწიოს დაწესებულების ადმინისტრაციას შინაგანაწესის დაცვაში, საერთო დისციპლინის განმტკიცებაში, აღზრდის საქმიანობის სწორად წარმართვაში და ა.შ.

მეორე ნაწილის მიხედვით დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს როგორც პატიმარი ან მსჯავრდებული, ასევე დაწესებულების თანამშრომელი.

სუბიექტური მხარე ხასიათდება პირდაპირი განზრახვით.

მუხლის მესამე ნაწილის შინაარსი ასეთია: „წინასწარი პატიმრობის ან სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციაზე თავდასხმა ანდა ამავე მიზნით დანაშაულებრივი დაჯგუფების შექმნა ან ასეთ დაჯგუფებაში აქტიური მონაწილეობა“.

ეს ნაწილი პასუხისმგებლობას აწესებს დანაშაულის სამი სხვადასხვა შემადგენლობისათვის.

1) წინასწარი პატიმრობის ან სასჯელაღსრულებითი დაწესებულებების ადმინისტრაციაზე თავდასხმისათვის.

2) ამავე მიზნით დანაშაულებრივი ჯგუფების შექმნისათვის.

3) ასეთ ჯგუფებში აქტიური მონაწილეობისათვის.

თავდასხმა არის ადმინისტრაციის შენობაში შეჭრა, ხელმძღვანელებზე მივარდნა. შესაძლებელია, ეს მომენტი ხასიათდებო-

დეს მათი შებოჭვით, ცემით ან მუქარით, ფსიქოზეგავლენის მოხდენით, რათა მათ შეასრულონ თავდამსხმელთა მოთხოვნა, დააკმაყოფილონ მათი უკანონო პრეტენზია.

თავდასხმა შეიძლება მოეწყოს როგორც ღიად, ასევე ფარულად. თავდამსხმელთა შეიარაღება მრავალი სახისა შეიძლება იყოს (ცეცხლსასროლი, ცივი იარაღები, სახელდახელოდ მომარჯვებული სხვა საშუალებები).

თავდასხმის მიზნით დანაშაულებრივი ჯგუფების შექმნაში კანონმდებელი გულისხმობს რამდენიმე პირისაგან გუნდის შექმნას, რომელიც წინასწარი შეთანხმების საფუძველზე გეგმავს თავდასხმის ფორმას, მიზანს, მოქმედების სფეროს, სახეს და ა.შ. ჯგუფი შეიძლება შედგებოდეს ორი ან მეტი პირისაგან.

დანაშაულებრივი დაჯგუფების შექმნა ნიშნავს ჯგუფის წევრთა შერჩევა-შეგროვებისათვის გულდასმით ზრუნვას, იარაღების გამოძებნას, თავდასხმის დროისა და ადგილის დაგეგმვას და ა.შ.

ჯგუფში აქტიური მონაწილეობა გულისხმობს დაკისრებული ფუნქციის შესრულებას, სხვათა გამხნევებას, წაქეზებას და ა.შ.

სუბიექტური მხარე განზრახი მოქმედებით ხასიათდება.

მუხლის მეოთხე ნაწილი პასუხისმგებლობას აწესებს მესამე ნაწილში გათვალისწინებული რომელიმე შემადგენლობისათვის, თუ იგი ჩადენილია მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდებული პირების მიერ.

თავისუფლების აღკვეთის მოხდის ადგილიდან, პატიმრობიდან ან გადრაბირებისას გაქცევა – მუხლი 379

მართლმსაჯულების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია სასჯელის აღსრულება. სასჯელი კანონის ის მოთხოვნაა, რომლის განხორციელების გარეშე ფუჭია განაჩენის თუ გადაწყვეტილების გამოტანის აზრი. სახელმწიფოს მიერ დემოკრატიზმისა და კანონის აღსრულების პრინციპი მხოლოდ მაშინ ჰპოვებს განხორციელებას, როდესაც კანონიერ ძალაში შესული განაჩენი განუხრელად აღსრულდება.

სახელმწიფო უზარმაზარ სახსრებსა და ღონისძიებებს ახმარს გამოტანილი მსჯავრის სწორად და განუხრელად განხორციელების საქმეს.

მოცემული დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროება მხოლოდ იმაში არ გამოიხატება, რომ დამნაშავე თავს არიდებს სასჯელის მოხდას. ასეთი პირის თავისუფლად ყოფნა ხშირად იწვევს ახალი დანაშაულის ჩადენას.

პირველი ნაწილის დისპოზიცია ასეთი შინაარსისაა: „გაქცევა დაკავების, პატიმრობის, თავისუფლების აღკვეთის ან ტუსაღობის ადგილიდან ანდა ბადრაგირებისას“.

პატიმართა და მისჯილთა მოვლა-პატრონობა და სარეჟიმო დაცვა რეგლამენტირებულია შ.ს. მინისტრის 1992 წლის N 561 ბრძანების 8.2 მუხლით.

ობიექტი დანაშაულისა არის სასამართლოს აქტი, რომელიც არ შესრულდა პატიმრის ან მსჯავრდებულის გაქცევის გამო.

სასჯელის მოხდის ადგილად ითვლება კოლონია, დასახლება, საერთო რეჟიმის გამასწორებელი კოლონია, მკაცრი რეჟიმის გამასწორებელი კოლონია და ა.შ. საპატიმრო ადგილად – წინასწარი დაკავების საკანი, საგამოძიებო იზოლატორი და ა.შ.

ბადრაგირებისას გაქცევა ნიშნავს პატიმრის ან მსჯავრდებულის აშკარად ან ფარულად მიმალვას ფეხით ან ტრანსპორტით გადაყვანის დროს.

დანაშაული დამთავრებულად ჩაითვლება სასჯელის მოხდის ან პატიმრობის ადგილის მიტოვებისთანავე.

გაქცევაში იგულისხმება პატიმრობის ან სასჯელის მოხდის ადგილის თვითნებურად, აშკარად ან ფარულად მიტოვება სასჯელის მოხდის თავიდან აცილების მიზნით.

სუბიექტური მხარე ხასიათდება პირდაპირი განზრახვით. დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ იგი თვითნებურად, უკანონოდ მიდის საპატიმრო ადგილიდან და სურს ასეთი.

თუ პიროვნება გაიქცევა სასჯელის მოხდის ან საპატიმრო ადგილიდან და იგი კვლავ დაბრუნდება გაუღწევლობის, გზის აღრევის ან მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, დანაშაულის შემადგენლობა არ იცვლება.

ამსრულებელი მხოლოდ ის პირია, რომელსაც რეალურად აქვს მისჯილი აქვს თავისუფლების აღკვეთა ან დაპატიმრებულია.

ადმინისტრაციული წესით დაკავებული პირი არ ითვლება ამ დანაშაულის სუბიექტად.

მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს და მაკვალიფიცირებელ ნიშნად მიიჩნევს სამ მომენტს:

1) როცა გაქცევა მოაწყო პირთა ჯგუფმა წინასწარი შეთანხმებით ან ორგანიზებულმა ჯგუფმა.

2) თუ გაქცევას თან ერთვის მცველებზე სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენებია.

3) გაქცევა მოხდა მცველთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისა წინააღმდეგ მიმართული ძალადობის მუქარით.

ჯგუფურ გაქცევაში კანონმდებელი გულისხმობს დაკავების, პატიმრობის ადგილიდან ან ბადრაგირების დროს ორი ან მეტი დამნაშავის უნებართვოდ წასვლას მიმალვით.

კანონმდებელი არ უთითებს ჯგუფის წევრთა წინასწარ მოლაპარაკებაზე, ამდენად ასეთ მომენტს კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არ აქვს.

სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობა დამნაშავეთა მხრიდან შეიძლება გამოიხატოს დაწესებულების მუშაკთა სხეულის ისეთ ადგილებზე ცემით, როგორიც არის თავი, გულმკერდისა და მუცლის არე, აგრეთვე მოძრავი ტრანსპორტიდან გადაგდება და ა.შ.

ჯანმრთელობისათვის საშიშ ძალადობაში კანონმდებელი გულისხმობს დაზარალებულთა ცემას სხეულის ნებისმიერ ადგილზე.

ძალადობის მუქარაში იგულისხმება ცემის, დამწყვდევის, შებორკვის დაპირება, თუკი ზედამხედველი არ დააკმაყოფილებს დამნაშავის წინადადებას გაქცევის შესახებ.

იარაღის ან სხვა საგნის გამოყენებაში კანონმდებელი გულისხმობს ცეცხლსასროლი ცივი, ბლაგვი საგნების გამოყენებას, გასროლას, მოქნევას და ა.შ.

ზედამხედველთა დაზიანების შემთხვევაში ქმედება დაკვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობით.

სხვა საგნებში იგულისხმება ხელკეტი, კასტეტი, რკინის ნაჭრები, ქვები და ა.შ.

თავისუფლების აღკვეთის სახით სასჯელის მოხდისათვის თავის არიდება – მუხლი 380

მუხლი ერთი ნაწილისაგან შედგება. დისპოზიცია პასუხისმგებლობას აწესებს იმ მსჯავრდებულის მიმართ, რომელსაც თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან მოკლევადიანი გასვლის ნება დაერთო, აღარ დაბრუნდა ვადის გასვლის შემდეგ და თავი აარიდა სასჯელის მოხდას.

დისპოზიცია ასეთი შინაარსისაა: „იმ მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდისათვის თავის არიდება, რომელსაც სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან მოკლევადიანი გასვლის ნებართვა აქვს“.

აღნიშნული დანაშაული ხელყოფს კანონის ნებას – მართლმსაჯულების გადაწყვეტილების განხორციელებას და ხელს უშლის სისხლის სამართლის სასჯელის სისრულეში მოყვანას.

დანაშაული წარმოიშვება მის შემდეგ, რაც დამნაშავე დროებით გათავისუფლების ვადის გასვლის შემდეგ აღარ ბრუნდება სასჯელის მოხდის დაწესებულებაში, თავს არიდებს გამოცხადებას და სასჯელის აღსრულების გაგრძელებას.

სასჯელისაგან განრიდება გამოიხატება უკან დაბრუნებაზე უარის თქმაში. პატივსადები საპატიო მიზეზების გამო დაუბრუნებლობა არ ითვლება დანაშაულად (ავადმყოფობა, ავტოსაგზაო შემთხვევა, სტიქიური დაბრკოლებანი და ა.შ.).

ამსრულებელი დანაშაულისა არის პირი, რომელიც სასჯელს იხდის შრომაგასწორებით დაწესებულებაში ან სასჯელის მოხდის სხვა ადგილზე.

სუბიექტური მხარე გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში – როცა დამნაშავემ იცის, რომ დროებით გათავისუფლების ვადის გასვლის შემდეგ უნდა დაბრუნდეს სასჯელის მოხდის ადგილზე, მაგრამ შეგნებულად ამბობს უარს დაბრუნებაზე და სურს, აღარ გაგრძელდეს თავისუფლების აღკვეთა.

ობიექტი დანაშაულისა არის დაპატიმრებისა და მსჯავრდების სასამართლოს აქტი.

ობიექტური მხრივ დანაშაული გამოიხატება თავისუფლების აღკვეთის კანონიერი რეჟიმისათვის თავის არიდებაში.

განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობა – მუხლი 381

სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის, გადაწყვეტილების თუ სხვა რომელიმე აქტის შეუსრულებლობა სახელმწიფოს ნების განუხორციელებლობაა. განაჩენის აღსრულებაში „რეალიზაციას ჰპოვებს განსასჯელის ბრალეულობისა და უდანაშაულობის, დამნაშავისადმი სასჯელის დანიშვნის, დანაშაულით მიყენებული ზა-

რალის ანაზღაურების, სასამართლო ხარჯების, ნივთიერი მტკიცებების ბედის შესახებ საკითხები და სხვა".[1]

„კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენი, განჩინება და დადგენილება შესასრულებლად სავალდებულოა ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებებისათვის, საწარმოსა და ორგანიზაციისათვის, თანამდებობის პირთა და მოქალაქეთათვის".[2]

განაჩენის აღსრულება ფართო საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი საქმეა. მის რეალიზაციაში მონაწილეობას იღებს როგორც საპატიმრო ადგილები და შრომა-აღმზრდელობითი დაწესებულებანი, ასევე სამოქალაქო ორგანიზაციები, დაწესებულებანი, კერძო პირები და ა.შ.

კანონმდებელი დანაშაულად მიიჩნევს სასამართლო განაჩენის, გადაწყვეტილების ან სხვა აქტის შეუსრულებლობას, ანდა შესრულებისათვის ხელის შეშლას.

მუხლის შინაარსი ასეთია: „ძალაში შესული განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობა ანდა მისი შესრულებისათვის ხელის შეშლა ხელისუფლების წარმომადგენლის, სახელმწიფო, ადგლობრივი თვითმმართველობის ან მმართველობის ორგანოს მოხელის ანდა სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების განმხორციელებლის მიერ".

სუბიექტი დანაშაულისა შეიძლება იყოს ხელისუფლების წარმომადგენელი, სახელმწიფო მოსამსახურე, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, აგრეთვე სახელმწიფო ან მუნიციპალური დაწესებულების, სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციის მუშაკი და ა.შ.

ხელისუფლების წარმომადგენლისაგან განაჩენის შეუსრულებლობა შეიძლება გამოიხატოს მსჯავრდებულის იზოლატორიდან შრომა-აღმზრდელობით დაწესებულებაში გადაუყვანლობაში, პოლიციის მუშაკის მიერ დამნაშავის დაუკავებლობაში, კოლექტივზე აღზრდა-გამოსწორებისათვის გადაცემული პირის უმეთვალყურეობაში, სამსახურიდან უკანონოდ დათხოვნილის ან უდანაშაულობის გამო გამართლებული პირის სამუშაო ადგილზე აღუდგენლობაში და ა.შ.

---

1. ა. ფალიაშვილი, საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესი, გვ. 491
2. იქვე. გვ. 497.

სუბიექტური მხარე გამოიხატება განზრახვაში — დამნაშავემ იცის, რომ იგი ვალდებულია, შეასრულოს სასამართლოს გადაწყვეტილება, მაგრამ არ ასრულებს და სურს ასეთი შედეგი.

ობიექტი დანაშაულისა არის განაჩენი, განჩინება, გადაწყვეტილება.

ობიექტური მხარე გამოიხატება სასამართლოს განაჩენის, განჩინების, გადაწყვეტილების შეუსრულებლობაში ან შესრულების ხელის შეშლაში.

მე- 13 კარი

დანაშაული სამხედრო სამსახურის წინააღმდეგ

45-ე თავი

დანაშაული დაჭვემდებარების წესისა და სამხედრო ღირსების დაცვის წინააღმდეგ

(ძოკლე მიმოხილვა)

სახელმწიფოს თავდაცვა ქვეყნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საზრუნავია.

„საქართველოს დაცვა საქართველოს ყოველი მოქალაქის მოვალეობაა. ქვეყნის დაცვა და სამხედრო ვალდებულების მოხდა საამისო უნარის მქონე ყველა მოქალაქის ვალია. სამხედრო ვალდებულების მოხდის ფორმას ადგენს კანონი“.[1]

საქართველოს ტერიტორიისა, ხალხისა და სახელმწიფოებრიობის დაცვის მიზნით შექმნილია შეიარაღებულ ძალთა მთელი სისტემა, რომლის ვალდებულებაა, მუდამ მზად იყოს ქვეყნის დასაცავად.

საქართველოს კანონმდებლობა, საერთო სამხედრო დებულებები და ბრძანებები დახვეწილად განსაზღვრავენ სამხედრო წესრიგისა და დისციპლინის, სამხედრო სამსახურის გავლისა წესებს, რომელიც გაუხრელად უნდა განახორციელონ სამხედრო ნაწილებმა, სამხედრო საზღვაო ფლოტებმა, შტაბებმა, სამმართველოებმა, ორგანიზაციებმა, სამხედრო განათლების დაწესებულებებმა.

ახალმა კანონმდებლობამ სრულიად ახლებურად ჩამოაყალიბა სამხედრო სამსახურის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული. თუ ის, ძველი კანონმდებლობის მიხედვით, ერთ თავში თავსდებოდა, დღეს მეცამეტე კარი — „დანაშაული სამხედრო სამსახურის წინააღმდეგ“ — თავისი ხელყოფის სფეროებისა და ერთგვაროვნებათა მიხედვით, ორ თავად დაიყო. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ეს სფერო დანაშაულობების ახალი

1. საქ. კონსტ. მუხ. 101

სახეობებით შეივსო, განპირობებულია კანონის დახვეწის, დანაშაულის სახეობათა, მათი ობიექტების, ობიექტური მხარეების და სხვა ერთგვაროვნების საფუძველზე დაჯგუფების საჭიროებით.

ორმოცდამეხუთე თავი, რომლითაც იწყება მეცამეტე კარი, აერთიანებს ისეთ დანაშაულობებს, რომელიც მიმართულია დაქვემდებარების წესისა და სამხედრო ღირსების დაცვის წინააღმდეგ. თავისთავად ცხადია, სამხედრო სამსახურის შესრულება მშვიდობისა თუ ომიანობის დროს მოითხოვს დახვეწილ დისციპლინას, კანონიერებას, ბრძანების უცვლელად და განუხრელად შესრულებას, ურთიერთპატივისცემას და სამხედრო მოსამსახურის ღირსების ხელშეუხებელ დაცვას. ხსენებული თავი საწყისშივე განმარტავს სამხედრო სამსახურის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ცნებას: „სამხედრო სამსახურის საწინააღმდეგო დანაშაულად ჩაითვლება ამ თავით გათვალისწინებული ქმედება, მიმართული საქართველოს სამხედრო ძალებში სამხედრო სამსახურის გავლის დადგენილი წესის წინააღმდეგ, ჩადენილი იმ სამხედრო მოსამსახურის მიერ, რომელიც საქართველოს სამხედრო ძალებში მსახურობს გაწვევით ან კონტრაქტის საფუძველზე, აგრეთვე რეზერვისტის მიერ სამხედრო შეკრებისას“.

ორმოცდამეხუთე თავის სათაურშივე ჩანს, რომ აქ გაერთიანებულია დანაშაულთა ის სახეობანი, რომელიც დანაშაულებრივად არღვევს დაქვემდებარებისა და ღირსების ხელშეუხებლობას. თავში გათვალისწინებულია ისეთი საზოგადოებრივად საშიში ქმედება, როგორიც არის ხელქვეითის მიერ უფროსის ბრძანების შეუსრულებლობა, უფროსისადმი წინააღმდეგობის გაწევა ან მისი იძულება, დაარღვიოს სამსახურებრივი მოვალეობა, ძალადობა უფროსის მიმართ, დაქვემდებარებულ მოსამსახურეთა შორის დამოკიდებულების დადგენილი წესის დარღვევა, სამხედრო მოსამსახურის შეურაცხყოფა, სამხედრო ნაწილის ან სამსახურის სხვა ადგილის თვითნებური მიტოვება, დეზერტირობა, სამხედრო სამსახურისათვის თავის არიდება სიმულაციით ან სხვა მოტივით და სხვა – სულ 15 მუხლი.

ამავე კარის 46-ე თავი აერთიანებს იმ დანაშაულთა ერთობლიობას, რომელიც ხელყოფს სამხედრო ქონების შენახვის ან ექსპლოატაციის წესებს. მასში გაერთიანებულია ისეთი ერთგვაროვანი დანაშაულობები, როგორიც არის სამხედრო ქონების განზრახ განადგურება, გაუფრთხილებლობით განადგურება ან დაზიანება და სხვა. სულ 7 მუხლი.

სამხედრო სამსახურის საწინააღმდეგო დანაშაულის ცნება – მუხლი 382

სამხედრო სამსახურის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად ითვლება ქმედება, რომელიც ბოროტულად ხელყოფს საქართველოს სამხედრო ძალებში სამხედრო სამსახურის გავლის დადგენილ წესს და ჩადენილია იმ სამხედრო მოსამსახურის მიერ, ვინც სამხედრო სამსახურს ასრულებს საქართველოს სამხედრო ძალებში გაწვევით, კონტრაქტის საფუძველზე ან რეზერვისტისაგან სამხედრო შეკრების დროს.

სამხედრო სამსახური სახელმწიფო სამსახურთა შორის განსაკუთრებული სახეობაა, რომლის დანიშნულებაა დაიცვას ქვეყანა სამხედრო აგრესიისაგან. სამხედრო მოსამსახურთა მიერ თავიანთი სამხედრო სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობა ასუსტებს სამხედრო ქვეგანაყოფთა საბრძოლო მზადყოფნას, საერთო სამხედრო ძლიერებას, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას.

დანაშაულის ობიექტი არის სამხედრო სამსახურის მიმდინარეობის წესი, ე. ი. ის ვალდებულება, რომლის შესრულებაც დაკისრებული აქვს სამხედრო შეიარაღებულ ძალებს.

„სამხედრო დისციპლინა არის სამხედრო მოსამსახურეების მიერ საქართველოს კანონებითა და სამხედრო წესდებებით გათვალისწინებული წესრიგისა და წესების მკაცრი და ზუსტი დაცვა“.

„სამხედრო დისციპლინა ეფუძნება სამხედრო მოსამსახურეების მიერ თავიანთი მოვალეობების განუხრელად შესრულებას, პირადი პასუხისმგებლობის მაღალ შეგნებას, მუდმივ საბრძოლო მზადყოფნას საქართველოს ინტერესების დაცვის მიზნით“.[1]

სამხედრო სამსახურის წესები მთლიანად, როგორც ქვეყნის სასიცოცხლო არტერია, შედის იმ პირველ ჩამონათვალში, რომელიც მკაცრად არის დაცული სისხლის სამართლის კანონით.

სამხედრო სამსახური ის მრავალსახეობრივი ურთიერთობაა, რომელიც ურღვევად არის დაკავშირებული სოციალურ კატეგორიებთან – საქართველოს ერთიანობასთან, სიცოცხლესთან, ეკონომიკასთან. თავისთავად სისხლის სამართლის კანონს აქვს თავისი ამოცანები, დაიცვას ადამიანი, საზოგადოება, სახელმწიფო, ამიტომ აუცილებელია დავასაბუთოთ, რა მნიშვნელოვან სამხედრო ღირებე-

1. საქ. შეიარაღებული ძალების სადისციპლინო წესდება, მუხ. 1, 2, 1995

ბულებებს იცავს სისხლის სამართლის კანონი დანაშაულებრივი ხელყოფისაგან.

სამხედრო სამსახური ეწოდება როგორც ყველასაგან შესასრულებელ ერთგვაროვან საერთო საქმიანობას, ასევე სპეციალური, კონკრეტული, ინდივიდუალური ხასიათის სამხედრო-სამომსახურეო მოღვაწეობას.

თითოეული სამხედრო დანაშაულისათვის დამახასიათებელია ის, რომ მათი მავნე შედეგი მიმართულია იმ დიდი სასიცოცხლო ობიექტის წინააღმდეგ, რასაც ეწოდება ქვეყნის სამხედრო ძლიერება. იგი ასუსტებს საბრძოლო უნარიანობას და შესაძლებლობას, აქვეითებს სამხედრო დისციპლინის დონეს, არღვევს სამხედრო ღონისძიებებს, ჰკარგავს სამხედრო ავტორიტეტს და ა.შ.

ამრულებელი სამხედრო დანაშაულისა არის ორი კატეგორიისა:

1) სამხედრო მოსამსახურენი.
2) მოქალაქენი, რომლებიც იმყოფებიან სამხედრო შეკრებებზე.

სამხედრო მოსამსახურედ ითვლება ის პირი, რომელიც გაწვევით ან ნებაყოფილობით ასრულებს ამა თუ იმ სამხედრო სამსახურს.

სამხედრო სამსახურის დაწყების დრო ითვლება დღე, როდესაც პირი ჩაიწერება სამხედრო ნაწილის პირადი შემადგენლობის სიაში, დამთავრებად — სამხედრო სამსახურის ბოლო დღის დასასრული.

მოქალაქენი, რომლებიც გადიან სამხედრო სამსახურს, არიან ის პირები, რომლებიც ძირითადად თადარიგში იმყოფებიან, მაგრამ პერიოდულად, კანონით დადგენილ ასაკამდე, ორი თვით გაიწვევიან სამხედრო შეკრებებზე სამხედრო მომზადებისა და გადამზადებისათვის. შეკრების პერიოდში ისინი გადიან სამხედრო სამსახურს და მათზე ვრცელდება სამხედრო წესდებების მოთხოვნები და დანაშაულის შემთხვევაში ეკისრებათ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა როგორც სამხედრო მოსამსახურეებს. მათი სამსახურის დაწყების დღედ ითვლება შეკრების პირველი დღე, დამთავრებად — შეკრების ბოლო დღე.

სამხედრო სამსახურის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენა შეიძლება როგორც მშვიდობიანობის, ასევე ომის დროს.

ომიანობის ან საომარი მოქმედების დროს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა სამხედრო სამსახურის საწინააღმდეგო

დანაშაულისათვის განისაზღვრება საომარი მდგომარეობის საქართველოს კანონმდებლობით.

საომარ პერიოდად ითვლება ის დრო, როდესაც საქართველო ჩაბმული იქნება მეორე ქვეყანასთან საომარ ვითარებაში. ომის დაწყებად ითვლება ის წუთი, როდესაც მას გამოაცხადებს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანო, ან ის დრო, როდესაც უკვე უშუალოდ ჩაებმება ქვეყნის ძალები საბრძოლო მოქმედებებში.

უფროსის ბრძანების შეუსრულებლობა – მუხლი 383

განსახილველი მუხლი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილის შინაარსი ასეთია: ,,დადგენილი წესით გაცემული უფროსის ბრძანების შეუსრულებლობა ხელქვეითის მიერ, რამაც არსებითად დააზიანა სამხედრო სამსახურის ინტერესი" – ე. ი. მუხლი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს უფროსის ბრძანების შეუსრულებლობისათვის, ე. ი. მოქმედებისათვის, რომელიც გამოირჩევა ისეთი თვითნებობითა და დაუმორჩილებლობით, როდესაც ხელქვეითი აშკარა უარს აცხადებს დადგენილი წესით უფროსის კანონიერი ბრძანების შესრულებაზე, რამაც არსებითად დააზიანა სამხედრო სამსახურის ინტერესები.

,,დისციპლინა სამხედრო მოსამსახურეს ავალდებულებს, მკაცრად დაიცვას საქართველოს კონსტიტუცია და კანონები, ზუსტად შეასრულოს დადგენილი ფიცი, სამხედრო წესდებებითა და ბრძანებებით გათვალისწინებული მოთხოვნები".

,,მაღალი სამხედრო დისციპლინა მიიღწევა: სამხედრო მოსამსახურისათვის მაღალი პატრიოტული, ზნეობრივი, მოქალაქეობრივი და საბრძოლო თვისებების გამომუშავებით, მეთაურისადმი (უფროსისადმი) შეგნებული და უსიტყვო დამორჩილებით".[1]

უფროსის ბრძანების უყოყმანო შესრულება განპირობებულია იმით, რომ იგი ატარებს სრულ პერსონალურ პასუხისმგებლობას იმ ამოცანათა გადასაწყვეტად, რაც დგას მისი სამხედრო განაყოფის წინაშე.

ბრძანება – ეს არის სამხედრო უფროსის კანონიერი მოთხოვნა ხელქვეითისაგან ამა თუ იმ მოქმედების შესრულებაზე, ან შესრულების შეჩერებაზე. ბრძანება ეხება არა მარტო სამხედრო სამსახურებრივი ურთიერთობის დროს წარმოშობილი მოქმედების

1. საქ. შეიარაღებული ძალების სადისციპლინო წესდება, მუხ. 3, 4, 1995

ან უმოქმედების განხორციელებას, არამედ იგი შეიძლება ეხებოდეს სამხედრო პირის პირად ქცევასაც საზოგადოებაში ყოფნის დროს.

უფროსი არის სამხედრო პირი, რომელიც დროებით ან მუდმივად დანიშნულია გარკვეული სამხედრო ნაწილის ხელმძღვანელად, მიცემული აქვს უფლებამოსილება, უბრძანოს ხელქვეითებს სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით ამა თუ იმ კანონიერი მოქმედების შესრულება ან მოქმედებისაგან თავის შეკავება და აკონტროლოს ბრძანების შესრულების სიზუსტე და დროულობა. უფროსი აღჭურვილია თანამდებობრივი უფლებამოსილებით და წოდებით. შეუსრულებლობა გამოიხატება ბრძანების შესრულებაზე აშკარად, უარის თქმაში. დამნაშავე უპირისპირდება უფროსის კანონიერ მოთხოვნას და კატეგორიულად აცხადებს უარს ბრძანების შესრულებაზე, რითაც უარყოფით გავლენას ახდენს სხვა ხელქვეითებზე.

ბრძანების შეუსრულებლობა ნიშნავს მის შინაარსში ჩადებული აზრის მიხედვით მოქმედების განუხორციელებლობას ან მის ნაწილობრივ განხორციელებას.

დანაშაული დამთავრებულად ითვლება ბრძანების შეუსრულებლობის გამოხატვისთანავე, ე. ი. ბრძანების შესრულებაზე უარის თქმისთანავე.

ბრძანება შეიძლება გაცემული იყოს სიტყვიერად, წერილობით, ტელეფონით. შეიძლება ეხებოდეს ჩაცმის, საბრძოლო მოქმედების, საფინანსო და სხვა საკითხებს. ბრძანება ხელქვეითს შეიძლება გადაეცეს პირდაპირ უფროსისაგან ან სხვა პირის მეშვეობით.

კვალიფიკაციის განსაზღვრის შემთხვევაში მნიშვნელობა აქვს იმას, ჰქონდა თუ არა ხელქვეითს ბრძანების შესრულების შესაძლებლობა.

დანაშაულის შემადგენლობა მატერიალურია. მისი აუცილებელი ნიშანია სამსახურისადმი არსებითი ზიანი. სამსახურის ინტერესი — ეს არის ნაწილის წინაშე მდგარი სამსახურებრივი ამოცანა.

არსებით ზიანად ითვლება ადამიანის მძიმედ დაზიანება, მნიშვნელოვანი ქონებრივი ზარალი, საბრძოლო ოპერაციის ჩაშლა და სხვა.

მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს იგივე ქმედებისათვის, რაც პირველ ნაწილში იქნა განხილული, თუ იგი ჩადენილია ჯგუფურად, ან თუ მას გაუფრთხილებლობით მოჰყვა მძიმე შედეგი.

კანონმდებელი ხაზს უსვამს დანაშაულის ორ მომენტს:

1) როდესაც სამხედრო მოსამსახურეთა ჯგუფი არ ასრულებს უფროსის ბრძანებას.

2) თუ ჯგუფის მოქმედებას გაუფრთხილებლობით მძიმე შედეგი მოჰყვა.

მძიმე შედეგში კანონმდებელი გულისხმობს ადამიანის მძიმედ დაზიანებას, დაღუპვას, მნიშვნელოვანი სამხედრო ღონისძიების ჩაშლას, დიდი ოდენობით ქონების განადგურებას და ა.შ.

ამსრულებელი დანაშაულისა არის სამხედრო მოსამსახურე (ოფიცერი, რიგოსანი).

სუბიექტურის მხრივ დანაშაული გამოიხატება განზრახ მოქმედებაში.

დანაშაულის ობიექტი არის სამხედრო დაქვემდებარებისა და ღირსების დაცვის წესი.

ობიექტური მხარე გამოიხატება ამ წესების დარღვევაში. მოტივი დანაშაულისა შეიძლება იყოს უფროსისადმი სიძულვილი, სამხედრო სამსახურის უპატივცემულობა და სხვა.

მუხლის მესამე ნაწილი პასუხისმგებლობას აწესებს მაშინ, როდესაც ხელქვეითი არ ასრულებს დადგენილი წესით გაცემულ ბრძანებას სამსახურისადმი დაუდევარი ან არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულების გამო, რამაც გაუფრთხილებლობით არსებითად დააზიანა სამხედრო სამსახურის ინტერესი.

მუხლის ამ ნაწილში ბრძანების შეუსრულებლობის მოტივი სრულიად სხვაგვარია. დამნაშავე სამსახურებრივ მოვალეობას არ ასრულებს გულგრილობის, არაკეთილსინდისიერების გამო. მაგალითად, სამხედრო მოსამსახურემ მიატოვა საგუშაგო და დათვრა, რის გამოც მოიპარეს რამდენიმე ავტომანქანა, რითაც არსებითად დაზიანდა სამხედრო ნაწილი.

უფროსისადმი წინააღმდეგობა ან მისი იძულება, დაარღვიოს სამსახურებრივი მოვალეობა – მუხლი 384

მაღალი სამხედრო დისციპლინა მიიღწევა:

„სამხედრო მოსამსახურისათვის მაღალი პატრიოტული, ზნეობრივი, მოქალაქეობრივი და საბრძოლო თვისებების გამომუშავებით, მეთაურისადმი (უფროსისადმი) შეგნებული და უსიტყვო დამორჩილებით, სამხედრო ნაწილში (გემებსა და ქვეგანაყოფებში) საწესდებო წესრიგის ზუსტი დაცვით“.[1]

1. საქ. შეიარაღებული ძალების სადისციპლინო წესდება, მუხ. 4.

„მეთაურის (უფროსის) ბრძანება კანონია ხელქვეითისათვის. ბრძანება სრულდება სიტყვის შეუბრუნებლად, ზუსტად და დროულად“.[1]

განსახილველი მუხლი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილის დისპოზიცია ასეთი შინაარსისაა: „ძალადობით ან ძალადობის მუქარით წინააღმდეგობის გაწევა უფროსისათვის ან იმისათვის, ვინც ასრულებს სამხედრო სამსახურის მოვალეობას, ანდა მისი იძულება, დაარღვიოს ეს მოვალეობა“.

უპირველეს ყოვლისა, მუხლი რომ გასაგები იქნეს, ასე გავიაზროთ:

დამნაშავე წინააღმდეგობას უწევს უფროსს ან იმ პირს, რომელიც მისი უფროსი არ არის, მაგრამ ასრულებს სამხედრო სამსახურის მოვალეობას ან ასევე ძალადობითა ან იძულების მუქარით ცდილობს, დაარღვევინოს სამსახურებრივი მოვალეობა.

მუხლში არის დანაშაულის ორი შემადგენლობა.

1) წინააღმდეგობის გაწევა უფროსისათვის ბრძანების შესრულებასთან დაკავშირებით.

2) უფროსის ან სხვა სამხედრო მოსამსახურის იძულება, არ შეასრულოს კანონით დადგენილი სამსახურებრივი მოვალეობა.

წინააღმდეგობის გაწევა ნიშნავს დამნაშავის მოქმედებას ისეთი ხერხებითა და მეთოდებით, რომ დაზარალებულმა ვერ შეძლოს თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება.

მაგალითად, დამნაშავემ დამალა სამხედრო პირი, რომელიც უნდა დაეკავებინა პატრულს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის გამო.

წინააღმდეგობის გაწევა უფროსის ან ნებისმიერი სამხედრო მოსამსახურის მიმართ, სამხედრო სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით, შეიძლება განხორციელდეს როგორც აშკარად, პირდაპირ, ხილულად, ასევე საიდუმლოდ.

აშკარა წინააღმდეგობის ცნებაში იგულისხმება, როდესაც დამნაშავე უფროსს არ უმალავს მის მოსაზრებას ბრძანების შეუსრულებლობის თაობაზე და ჩადის მოქმედებას, რომელიც სცილდება უფროსის ბრძანების შინაარსს. მაგალითად, უფროსმა გასცა განკარგულება, რომ ნაწილი განლაგდეს მდინარიდან 500 მეტრის მოშორებით, ხელქვეითი, რომელმაც ბრძანება უნდა შეასრულოს,

1. საქ. შეიარაღებული ძალების სადისციპლინო წესდება, მუხ. 6.

წინააღმდეგობას უწევს უფროსს და ნაწილს მოაწყობს უშუალოდ მდინარის ნაპირზე.

ძალადობით იძულებაში იგულისხმება დამნაშავის ისეთი მოქმედება, როდესაც ის უფროსს ან ნებისმიერ სამხედრო მოსამსახურეს ფიზიკური ძალის აშკარა გამოყენებით აცლის ხელიდან საშუალებას, შეასრულოს სამსახურებრივი მოვალეობა. მაგალითად, დამნაშავემ ფიზიკურად ჩაჰკეტა და ადგილიდან არ გაუშვა უფროსი ან სხვა სამხედრო მოსამსახურე, რითაც, თავისი სურვილის შესაბამისად, ორი საათით გადასწია საპატრულო სამსახურის დაწყება.

ძალადობის მუქარა ნიშნავს იმას, რომ დამნაშავე აშინებს, ფსიქო ზემოქმედებას ახდენს დაზარალებულზე და ამით აღუკვეთავს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების შესაძლებლობას.

კანონი ყურადღებას ამახვილებს მასზე, რომ მოქმედება მხოლოდ მაშინ დაკვალიფიცირდება განსახილველი მუხლით, როდესაც იგი დაკავშირებულია სამხედრო სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან.

დანაშაულებრივი მოქმედება შეიძლება განხორციელდეს მაშინ, როდესაც უფროსი მოვალეობის შესრულების პროცესშია ან ამ პროცესის დაწყებამდე.

უფროსი თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შემსრულებლად ითვლება მაშინ, როდესაც იგი უკვე შეუდგა ამ ვალდებულების განხორციელებას (ხელმძღვანელობს საპატრულო სამსახურს, სამწყობრო და საბრძოლო სწავლებას და ა.შ.).

კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არ აქვს, დამნაშავემ წინააღმდეგობის გაწევით მიაღწია თუ არა მიზანს. დანაშაული დამთავრებულად ითვლება წინააღმდეგობის გაწევის, ძალადობის გამოყენების ან ასეთის მუქარის განხორციელებისთანავე.

სუბიექტური მხარე დანაშაულისა გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში.

მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს იგივე ქმედებისათვის, რაც მოცემულია პირველი ნაწილის დისპოზიციაში, თუკი ის ჩადენილია ჯგუფურად, იარაღის გამოყენებით, ან თუ მას, გაუფრთხილებლობით, სხეულის ნაკლებად მძიმე, მძიმე დაზიანება ან სხვა მძიმე შედეგი მოჰყვა.

იარაღის ცნებაში კანონმდებელი გულისხმობს საგნებს, რომლებიც დამზადებულია ცოცხალი ძალის გასანადგურებლად (არმიის საშტატო იარაღები - შაშხანა, ავტომატი, ხიშტი, პისტოლეტი და ა.შ.).

იარაღის გამოყენების ცნებაში იგულისხმება მისი ფაქტიური

ხმარება ამოღებით, დემონსტრირებით, გასროლით, მოღერებით, რათა ფსიქიური გავლენა მოახდინოს უფროსზე ან სხვა სამხედრო მოსამსახურეზე.

გაუფრთხილებლობით დაზიანებაში კანონმდებელი გულისხმობს წინდაუხედაობას, როცა დამნაშავე ვერ ზომავს ძალადობის ხერხსა და მეთოდს ან იარაღის გამოყენების ტაქტსა და ხელოვნებას და ამას, ყოველგვარი ნებისა და განზრახვის გარეშე, უფროსის ნაკლებად მძიმე, მძიმე დაზიანება ან სხვა მძიმე შედეგი მოჰყვება.

„ან სხა მძიმე შედეგში“ კანონმდებელი გულისხმობს რაიმე სამხედრო ამოცანის ჩაშლას, სამხედრო ტექნიკის მწყობრიდან გამოყვანას, სამხედრო მოსამსახურეთა სიცოცხლისათვის საშიში პირობების შექმნას, უფროსის ან სხვა პირის დაღუპვას და ა.შ.

უფროსის ან სხვა პირის განზრახ დაზიანების ან მოკვლის შემთხვევაში დამნაშავის მოქმედება დაკვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობით.

განსახილველი დანაშაული შესაძლებელია განვითარდეს ხულიგნურ მოქმედებასთან ერთად, საზოგადოების აშკარა, თავხედური უპიტავცემულობის ფონზე. პრაქტიკაში არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც უფროსის ან მისი შემცვლელის მიმართ ძალადობას წინ ხულიგნური ქმედება უძღვის. ამ შემთხვევაშიაც ორი დანაშაულის ერთიანობა გვაქვს.

ობიექტი დანაშაულისა არის სამხედრო სამსახური, დაქვემდებარების წესი.

ობიექტური მხარე გამოიხატება მუხლის პირველი ან მეორე ნაწილით გათვალისწინებული რომელიმე შედეგის დადგომით.

ამსრულებელია სამხედრო მოსამსახურე.

სუბიექტური მხარე გამოიხატება წინააღმდეგობის გაწევის, ძალადობის გამოყენების ან ასეთის მუქარის განზრახი ბრალით, ხოლო სხეულის ნაკლებად მძიმე, მძიმე ან სხვა მძიმე შედეგის გამოწვევის კუთხით — გაუფრთხილებელი ბრალით.

უფროსის მიმართ ძალადობა — მუხლი 385

„უფროსის ცემა ან მის მიმართ სხვაგვარი ძალადობა სამხედრო სამსახურის მოვალეობის შესრულებისას ან ამ მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით“.

განსახილველი მუხლი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს უფროსის მიმართ ძალადობისათვის შემდეგ ვითარებაში:

ა) როდესაც უფროსი სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებს.

ბ) ან ეს ძალადობა დაკავშირებულია სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან.

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების ცნებაში იგულისხმება თანამდებობით ან დროებით დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელება (დაკისრებული სამხედრო წესდებით, სამხედრო მორიგეობით ან სხვა სპეციალური სამსახურით, ბრძანებით, განკარგულებით ან ამოცანის შესაბამისად).

ცემაში იგულისხმება უფროსისათვის დარტყმა ერთხელ ან რამდენჯერმე, ხელით ან რაიმე საგნით, რითაც მან ტკივილი განიცადა ან დაემჩნა კიდევაც სისხლნაჟღენთების სახით.

სხვაგვარ ძალადობაში შეიძლება ვიგულისხმოთ შებოჭვა, რამდენიმე საათით დამწყვდევა და ა.შ.

ეს მოქმედებანი დამნაშავემ შეიძლება ჩაიდინოს უფროსისადმი წარსულში განაწყენების, უკმაყოფილების ან იმავე მომენტში მისგან კონკრეტული მოქმედების ჩადენის გამო, როცა იგი სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებს, მაგრამ ეს ცემა ან სხვაგვარი ძალადობა არ არის დაკავშირებული სამსახურებრივ მოვალეობის შესრულებასთან, არ გამომდინარეობს იქიდან.

ამ დანაშაულის საშიშროება ორმხრივია: პირველი ის არის, რომ იგი ტკივილს განაცდევინებს ადამიანს, მოქალაქეს, მეორე - უფროსს სცემენ, როცა ის სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებს და ბუნებრივია, ხელი ეშლება ამ მოვალეობის შესრულებას. ასეთ ვითარებაში მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება გამოიწვევს დამნაშავის მოქმედების დაკვალიფიცირებას დანაშაულთა ერთობლიობით.

ამავე ნაწილის მეორე შემადგენლობა იმაში გამოიხატება, რომ დამნაშავე უფროსს ცემს ან სხვაგვარ ძალადობას ახორციელებს მის მიმართ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით. ეს შინაარსი ისე უნდა გავიგოთ, რომ დამნაშავის მიზანია, უფროსმა შეცვალოს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების კანონიერი კურსი ან მისგან გადაუხვიოს. აქ დამნაშავის მოქმედების აქცენტი სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევის მოთხოვნისკენაა მიმართული. თუ უფროსი ამ თხოვნას შეასრულებს, ცემა და ძალადობა არ მოხდება. მაგალითად, ხელქვეითმა დაჟინებით მოთხოვა უფროსს, პატრულირება დაიწყოს ორი საათის დაგვიანებით,

უფროსმა ეს მოთხოვნა არ დააკმაყოფილა, რის გამოც იგი ცემა დამნაშავემ ან იხმარა სხვაგვარი ძალადობა.

მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს მაშინ, თუ იგივე მოქმედება ჩადენილია:

ა) ჯგუფურად.

ბ) იარაღის გამოყენებით.

გ) რამაც ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება ან სხვა მძიმე შედეგი გამოიწვია.

იარაღის გამოყენებაში კანონმდებელი გულისხმობს იარაღის ხმარებას თავისი დანიშნულებით, იმ განზრახვით, რომ დააზიანოს უფროსის ჯანმრთელობა.

კანონი იმდენად ზოგადად ლაპარაკობს იარაღის გამოყენებაზე შეიძლება ვიგულისხმოთ დამნაშავისაგან იარაღის ამოღება, შემართვა, გასროლა, რათა დააშინოს უფროსი და ამით მიაღწიოს თავის საწადელს. ან სხვა მძიმე შედეგში კანონმდებელი გულისხმობს სამსახურის შეწყვეტას, ოპერაციის ჩაშლას და ა.შ.

დანაშაულის ამსრულებელი არის სამხედრო პირი — რიგოსანი ან ოფიცერი, დროებით ან მუდმივად მოსამსახურე.

სამხედრო წესდების შესაბამისად უფროსად იწოდება მეთაური, რომელიც სასწავლო ან საბრძოლო ამოცანის გადასაწყვეტად ასრულებს დავალებას და ამისათვის ემორჩილებიან ხელქვეითები.

სამხედრო წოდების მიხედვით უფროსებად იწოდებიან უმცროსი ოფიცრები - სერჟანტების, ზემდეგების, რიგოსნების, მატროსების მიმართ, სერჟანტები და ზემდეგები — რიგოსნებისა და მატროსების მიმართ და ა.შ.

სუბიექტური მხარე ხასიათდება პირდაპირი განზრახვით: ხელქვეითი გააზრებულად იყენებს ძალადობას უფროსის მიმართ და სურს ეს.

ობიექტი დანაშაულისა არის სამხედრო ხელმძღვანელი, უფროსი, მეთაური, სამხედრო სამსახური.

ურთიერთდაუქვემდებარებელ სამხედრო მოსამსახურეთა შორის დამოკიდებულების წესის დარღვევა — მუხლი 386

საქართველოს შეიარაღებული ძალების წესდება ითვალისწინებს სამხედრო მოსამსახურეთა შორის ურთიერთდამოკიდებულების ზრდილობიან ფორმას, რომლის დაცვა და შესრულება სავალდებულოა თითეული სამხედრო მოსამსახურისათვის.

წესდების მესამე და მეოთხე მუხლები ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „სამხედრო მოსამსახურე ღირსეულად უნდა ატარებდეს საქართველოს მოქალაქის წოდებას, უფრთხილდებოდეს საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო დიდებას, მეომრის ღირსებასა და საკუთარ მხედრულ წოდებას".[1]

„სამხედრო მოსამსახურე პატივს უნდა მიაგებდეს მეთაურს (უფროსს), ხელს უწყობდეს მას წესრიგისა და დისციპლინის დამყარებაში, მკაცრად იცავდეს მხედრული თავაზიანობისა და მისალმების წესებს..."[2]

განსახილველი მუხლი სამი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილის დისპოზიცია ასეთია: „ურთიერთდაუქვემდებარებელ სამხედრო მოსამსახურეთა შორის დამოკიდებულების წესის დარღვევა, რასაც თან ახლდა დაზარალებულის პატივისა ან ღირსების დამცირება, ანდა მისი იძულება".

მუხლი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას აწესებს იმ ურთიერთობის წესების დარღვევისათვის, რომელიც დადგენილია სამხედრო წესდებით და არეგულირებს ურთიერთობებს სამხედრო წოდების მქონე უფროს-უმცროსთა თუ თანაბარი წოდებისა და თანამდებობის პირთა და რიგოსანთა შორის.

ურთიერთობის საწესდებო მოთხოვნათა დარღვევაში კანონმდებელი გულისხმობს უხეშობისა და ძალადობის სხვადასხვა ფორმებს ერთი სამხედრო მოსამსახურისაგან მეორის მიმართ, რაც შეიძლება გამოიხატოს სახელისა და ღირსების დამცირებით, გაჭირდვით, აბუჩად აგდებით.

მიზანი დამნაშავისა არის, წამოსწიოს თავისი ავტორიტეტი და გავლენა, მოიპოვოს პრივილეგიური მდგომარეობა კოლექტივში, შექმნას გავლენის სფერო და ამით შეიმსუბუქოს პირადი თუ სამსახურებრივი შრომის ტვირთი.

განსახილველი დანაშაული, ისე როგორც ყველა სხვა სამხედრო დანაშაული, მიმართულია სამხედრო სამსახურის ნორმალური შესრულებისა და ჯანსაღი ურთიერთობის წინააღმდეგ.

ამ მუხლით შეიძლება დაკვალიფიცირდეს ძალადობა ან სხვა მოქმედება, რომელიც დაკავშირებულია დაზარალებულის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან.

---

1. საქ. შეიარაღებული ძალების წესდება, მუხ. 3, 1997 წ.
2. იქვე, მუხ. 4.

არის ისეთი შემთხვევები, როცა დამნაშავის მოქმედება მეორე მოსამსახურის მიმართ არ არის დაკავშირებული სამხედრო სამსახურის შესრულებასთან, მაგრამ მოქმედებას თან ახლავს პიროვნებისა და თვით კოლექტივის აშკარა უპატივცემულობა, ხელს უშლის განაყოფის ნორმალური მუშაობის თუ დასვენების პირობების უზრუნველყოფას, თავისუფალი დროის გამოყენებას და ა.შ.

განსახილველი მუხლით არ დაკვალიფიცირდება მოქმედება, თუ ის არ არის დაკავშირებული სამხედრო საქმიანობასთან და გამოწვეულია პირადი ურთიერთობების გამწვავებით.

ურთიერთობის მარეგულირებელი წესდების დარღვევა შეიძლება გამოვლინდეს დაზარალებულის იძულებაში, ჩაიდინოს ისეთი მოქმედება, რომელიც ამცირებს მის პირად ღირსებას: მოემსახუროს პირს, რომელსაც ადრე აქვს სამსახური დაწყებული (გაუწმინდოს ფეხსაცმელი, გაურეცხოს საცვალი და ა.შ.); შეასრულოს მის მაგივრად სამხედრო სამსახური (წავიდეს საგუშაგოდ, იმუშაოს სამზარეულოში, დაალაგოს ყაზარმა); მიიღოს მისი ულუფა, ტანსაცმელი. ყოველივე ეს ხორციელდება ძალადობით ან ასეთის მუქარით.

მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას აწესებს იგივე ქმედებისათვის თუ ის განხორციელდა: ა) ჯგუფურად (პირთა ჯგუფის მიერ); ბ) ორი ან მეტი პირის მიმართ; გ) არაერთგზის; დ) იარაღის გამოყენებით; ე) რამაც ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება გამოიწვია.

ჩამოთვლილ დამამძიმებელ გარემოებათა რაობაზე ჩვენ ვისაუბრეთ წინა მუხლების განხილვის დროს.

მუხლის მესამე ნაწილი პასუხისმგებლობას აწესებს, თუ პირველი ან მეორე ნაწილით გათვალისწინებულმა ქმედებამ გამოიწვია მძიმე შედეგი (დაზარალებულის თვითმკვლელობა, სამსახურის მიტოვება, ბრალდებულის მოკვლა ძლიერი სულიერი აღელვების საფუძველზე და ა.შ.).

დანაშაულის ამსრულებელია სამხედრო მოსამსახურე.

სუბიექტური მხარე ხასიათდება პირდაპირ განზრახვაში.

დანაშაულის ობიექტი არის სამხედრო მოსამსახურის ღირსება და სახელი, სამხედრო ურთიერთობის წესდება.

ობიექტური მხარე მდგომარეობს სამხედრო ურთიერთობის წესდების დარღვევაში, სამხედრო მოსამსახურის სახელისა და ღირსების დამცირებაში.

განსახილველი მუხლი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილის შინაარსი ასეთია: „სამხედრო მოსამსახურის მიერ სხვა სამხედრო მოსამსახურის შეურაცხყოფა სამხედრო სამსახურის მოვალეობის შესრულებისას ან ამ მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით“.

შეურაცხყოფის ცნების ქვეშ კანონმდებელი გულისხმობს პატივისა და ღირსების განზრახ დამცირებას, რომელიც გამოხატულია უწესო ფორმაში.

აუცილებელი ნიშანი დანაშაულისა არის ის, რომ შეურაცხყოფა დაკავშირებულია სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან, ან არ არის დაკავშირებული მასთან, მაგრამ ხდება სამსახურის შესრულების დროს.

საქართველოს შეიარაღებული ძალების წესდება მოითხოვს სამხედრო მოსამსახურეთა შორის დახვეწილი ურთიერთობის არსებობას, რომლის განხორციელება სავალდებულოა სამსახურებრივი ურთიერთობის დროს ყველა რანგის სამხედრო მოსამსახურისათვის.

„სამხედრო სამსახურებრივ მოვალეობასთან დაკავშირებით“ გულისხმობს ისეთ მოქმედებას, როდესაც ერთ მოსამსახურეს არ მოსწონს მეორის მიერ მოვალეობის შესრულება, რის გამოც უგნურსა და ჭკუანაკლებს უწოდებს მას. შეურაცხყოფა ხდება სიტყვიერად, ჟესტით, კარიკატურით... დანაშაული შეიძლება ჩადენილი იქნეს როგორც საზოგადოების თვალწინ, ასევე მის დაუსწრებლად, როგორც თანაბარი ჩინისა და თანამდებობის პირის, ასევე უფროსის და უმცროსის მიმართაც. სწორედ მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს უფროსის მიერ ხელქვეითის ან ხელქვეითის მიერ უფროსის შეურაცხყოფას. უფროსისა და ხელქვეითის ცნების შესახებ საუბარი არის 386-ე მუხლში.

სუბიექტური მხარე დანაშაულისა გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში – დამნაშავეს შეგნებული აქვს მისი მოქმედების საშიშროება, რომ ამით იგი ამდაბლებს სამხედრო მოსამსახურის პატივსა და ღირსებას და სურს ასეთი შედეგი.

სუბიექტი – სამხედრო პირი.

ობიექტი დანაშაულისა არის სამხედრო მოსამსახურეთა შორის ურთიერთდამოკიდებულება, სამხედრო მოსამსახურის პატივი და ღირსება.

ობიექტური მხარე მდგომარეობს ურთიერთდამოკიდებულების წესდების დარღვევით, რაც შეურაცხყოფით გამოიხატა.

სამხედრო ნაწილის ან სამსახურის სხვა ადგილის თვითნებურად დატოვება – მუხლი 388

მუხლი ოთხი ნაწილისაგან შედგება.

პირველი ნაწილის შინაარსი ასეთია: „გაწვეული სამხედრო მოსამსახურის მიერ სამხედრო ნაწილის ან სამსახურის სხვა ადგილის თვითნებურად დატოვება, აგრეთვე ნაწილში დანიშვნის, ნაწილიდან დათხოვნის ან გადაყვანის დროს, მივლინებიდან, შვებულებიდან ან სამკურნალო დაწესებულებიდან სამსახურში საპატიო მიზეზის გარეშე დროულად გამოუცხადებლობა ორ დღეღამეზე მეტი ხანგრძლივობით, მაგრამ არა უმეტეს ათი დღეღამისა“.

როგორც ვხედავთ, მუხლი პასუხისმგებლობას აწესებს მაშინ, როდესაც სამხედრო მოსამსახურე თვითნებურად მიატოვებს სამხედრო ნაწილს ან სამსახურის სხვა ადგილს, ან დაინიშნება რა სხვა ნაწილში, არ გამოცხადდება იქ დროულად, ბრძანების შესაბამისად, ასევე სამსახურში დროულად არ დაბრუნდება მივლინებიდან, შვებულებიდან, სამკურნალო დაწესებულებიდან საპატიო მიზეზის გარეშე ორ დღეზე მეტი ხანგრძლივობით, მაგრამ არა უმეტესი ათი დღე-ღამისა.

თვითნებურობის ცნებაში იგულისხმება სამხედრო მოსამსახურის მიერ იმ ტერიტორიის მიტოვება ხელმძღვანელის ნებართვის გარეშე, სადაც იგი სამხედრო სამსახურს იხდის.

სამხედრო ნაწილის ტერიტორია – ეს არის საყაზარმო დასაბანაკებელი ადგილი, სადაც ესა თუ ის სამხედრო განაყოფი იმყოფება არმიის დისლოკაციის შესაბამისად და ითვლება მუდმივ სამსახურებრივ ადგილად.

სამსახურის სხვა ადგილის ცნებაში იგულისხმება ადგილი, სადაც ძირითადი სამხედრო ნაწილის გარკვეული შემადგენლობა იმყოფება დროებით და ასრულებს სამხედრო საქმიანობას, სამხედ-

რო დავალებას. მისი განლაგების ადგილი არ ემთხვევა სამხედრო ნაწილის განლაგების ადგილს.

გამოუცხადებლობა სამხედრო სამსახურის მოხდის ადგილზე მდგომარეობს მასში, რომ სამხედრო მოსამსახურემ გარკვეული დროით კანონიერად დატოვა სამხედრო სამსახურის ადგილი (შვებულებით, მივლინებით, სამკურნალოდ და ა.შ.), რის შემდეგაც ბრძანების, მითითების შესაბამისად, საპატიო მიზეზის გარეშე, აღარ გამოცხადდა ნაწილში ან სამსახურის ადგილზე.

როგორც თვით კანონი აღნიშნავს, გამოუცხადებლობა საპატიოდ ჩაითვლება და თუ იგი მოხდა ისეთი მიზეზების გამო, როგორიც არის პირადი ან უახლოესი ადამიანის ავადმყოფობა, სტიქიური უბედურება, დაკავება ხელისუფლების ორგანოების მიერ გარკვეულ საქმიანობასთან დაკავშირებით ან სხვა.

აუცილებლობა არის ისეთი მდგომარეობა, როდესაც პირმა უეჭველად უნდა ჩაიდინოს ქსა თუ ის მოქმედება, რათა გადაარჩინოს უფრო მეტი სიკეთე. მაგალითად, სამხედრო მოსამსახურე შვებულების ბოლო დღეს ჩაება სტიქიის წინააღმდეგ ბრძოლაში, როგორც სპეციალისტი და რამდენიმე დღის განმავლობაში ცდილობდა ადამიანთა სიცოცხლისა და ქონების გადარჩენას, რის გამოც ვერ გამოცხადდა დროულად სამხედრო ნაწილში ან სამსახურის ადგილზე.

სუბიექტური მხარე მუხლის პირველი ნაწილისა მდგომარეობს პირდაპირ განზრახვაში, ზოგიერთ შემთხვევაში კი შეიძლება განხორციელდეს გაუფრთხილებლობითაც.

დანაშაულის შემადგენლობა მდგომარეობს სამხედრო სამსახურის თვითნებურ მიტოვებაში ან დროულად გამოუცხადებლობაში.

ამსრულებელი დანაშაულისა არის სამხედრო მოსამსახურე, რომელიც სამხედრო სამსახურს გადის გაწვევით.

ეს კანონი, გარდა რიგოსნებისა და სერჟანტებისა, ვრცელდება:

სამხედრო სასწავლებლის სტუდენტებზე, რომლებსაც არ აქვთ გავლილი სამხედრო სავალდებულო სამსახური და ჯერ მათთან კონტრაქტი არ დადებულა — ე. ი. სწავლების პირველი წლის პერიოდში.

იმ პირთა მიმართ, რომლებიც გარიცხულნი არიან სამხედ-

რო სასწავლებლიდან მათთან კონტრაქტის დადებამდე, უდისციპლინობისა და მოუსწრებლობისათვის, მაგრამ იხდიან სამხედრო სავალდებულო სამსახურს კანონით დაწესებულ ვადამდე.

27 წლამდე სამხედრო მოსამსახურეებზე, რომლებიც გადიან სამხედრო სამსახურს კონტრაქტის საფუძველზე და არ აქვთ გავლილი სამხედრო სავალდებულო სამსახური.

განსახილველი მუხლის მოთხოვნა ვრცელდება იმ პირებზეც, რომლებიც სათადარიგო შემადგენლობაში არიან, მაგრამ ამ დანაშაულის ჩადენის დროს იმყოფებიან სამხედრო შეკრებაზე.

მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას აკისრებს იმ სამხედროს, რომელმაც განსახილველი მუხლის პირველი ნაწილის დისპოზიციით გათვალისწინებული დანაშაული ჩაიდინეს სადისციპლინო სამხედრო ნაწილში სასჯელის მოხდის დროს.

სადისციპლინო სასჯელი ინიშნება სათანადო დარღვევისათვის იმ სამხედრო მოსამსახურეთა მიმართ, რომლებიც გადიან სამხედრო სამსახურს გაწვევის შესაბამისად, ასევე იმ მოსამსახურეთა მიმართ, რომლებიც ასრულებენ სამხედრო სამსახურს კონტრაქტის (ხელშეკრულების) შესაბამისად ოფიცრის, რიგოსნის თუ სერჟანტის ვალდებულებით.

მუხლის მესამე ნაწილი პასუხისმგებლობას აკისრებს იმ პირებს, რომლებიც სამხედრო სამსახურში იმყოფებიან გაწვევით ან კონტრაქტით და სამხედრო ნაწილს ან სამსახურის სხვა ადგილს დატოვებენ თვითნებურად, ან არ გამოცხადდებიან სამსახურში საპატიო მიზეზის გარეშე ათ დღეღამეზე მეტი ხანგრძლივობით, მაგრამ არა უმეტეს ერთი თვისა.

მეოთხე ნაწილი ითვალისწინებს ისეთ ქმედებას, როდესაც სამხედრო მოსასახურისაგან სამსახურის მიტოვება ან გამოუცხადებლობა არასაპატიო მიზეზით გაგრძელდა ერთ თვეზე მეტი ხანგრძლივობით.

კანონმდებელმა მუხლი მეტად ჰუმანური შენიშვნით დააბოლოვა. მისი შინაარსი ასეთია:

სამხედრო მოსამსახურე, რომელიც პირველად ჩაიდენს ამ მუხლით გათვალისწინებულ ქმედებას, შეიძლება გათავისუფლდეს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ სამხედრო ნაწილის ან სამსახურის სხვა ადგილის თვითნებურად დატოვება გამოწვეული იყო მძიმე ვითარებით.

ჩვენის აზრით, ცუდი არ იქნებოდა, თუკი კანონმდებელი შენიშვნაში ხაზს გაუსვამდა, რომ ასეთი შეღავათი არ დაიშვება საომარი კონფლიქტების დროს.

განსახილველი მუხლი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილის დისპოზიცია ასეთია: ,,დეზერტირობა, ე. ი. სამხედრო მოსამსახურის მიერ სამხედრო ნაწილის ან სამსახურის სხვა ადგილის თვითნებურად დატოვება სამხედრო სამსახურისათვის თავის არიდების მიზნით ანდა ამავე მიზნით სამსახურში გამოუცხადებლობა". ამ მუხლის პირველი ნაწილი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს მაშინ, როდესაც სამხედრო მოსამსახურე, სამხედრო სამსახურისათვის თავის არიდების მიზნით, თვითნებურად დატოვებს სამხედრო ნაწილს ან სამსახურის სხვა ადგილს ან აღარ დაბრუნდება სამხედრო ნაწილში დროებით გათავისუფლების ვადის გასვლის შემდეგ.

დეზერტირობა ფრანგული სიტყვაა და სამხედრო სამსახურისაგან თავის არიდებას ნიშნავს.

საქართველოს კონსტიტუციის 101-ე მუხლის შესაბამისად: ,,ყოველი მოქალაქე (მამაკაცი) თუ იგი აკმაყოფილებს სამხედრო წესდებით გათვალისწინებული ფიზიკური ჯანმრთელობისა და სრულყოფის სხვა პირობებს, ვალდებულია გაიაროს სამხედრო მომზადება სამშობლოს დასაცავად".

დეზერტირობა სწორედ ის საშიში დანაშაულია, რომლის ჩადენითაც დამნაშავე არღვევს როგორც სისხლის სამართლის კოდექსის, ასევე კონსტიტუციის შესაბამის მუხლებს.

დანაშაული დენადი ხასიათის არის და მანამ მიმდინარეობს, სანამ დამნაშავე არ გამოცხადდება ბრალის აღიარებით ან მას არ დააკავებენ სამართალდამცავი ორგანოები.

დანაშაული დამთავრებულად ითვლება სამხედრო ნაწილის თვითნებურად დატოვებისთანავე ან დროებითი გათავისუფლებიდან უკანდაუბრუნებლობისთანავე.

სუბიექტური მხარე დეზერტირობისა ხასიათდება პირდაპირი განზრახვით, როცა დამნაშავე ფიქრობს, სამუდამოდ აარიდოს თავი სამხედრო სამსახურში ყოფნას.

დეზერტირობის შემადგენლობის არსებობისათვის არ აქვს მნიშვნელობა, დამნაშავე პირდაპირ მიატოვებს სამსახურს, თუ შვებულებიდან ან მივლინებიდან აღარ დაბრუნდება.

დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს მხოლოდ სამხედრო მოსამსახურე (რიგოსანი, სერჟანტი, ზემდეგი), რომელიც

სამხედრო სამსახურს ასრულებს გაწვევით ან კონტრაქტით.

ჰაუპტვახტიდან ან სხვა საპატიმრო ადგილიდან გაქცეულ სამხედრო პირთა მოქმედება, რომლებიც სასჯელს იხდიან ადმინისტრაციული წესით, დაკვალიფიცირდება 388-ე და 389-ე მუხლებით.

თუ სანქცირებული სამხედრო მოსამსახურე გაიქცევა ჰაუპტვახტიდან ან საგამოძიებო იზოლატორიდან, მისი მოქმედება დაკვალიფიცირდება შესაბამისი მუხლით, როგორც საპატიმრო ადგილიდან გაქცევა.

მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს, როდესაც დამნაშავე პირველი ნაწილის დისპოზიციაში გათვალისწინებულ ქმედებას ჩაიდენს სამსახურებრივად მინდობილი იარაღით ან იგი ჩადენილი იქნება პირთა ჯგუფის მიერ.

სამსახურებრივად მინდობილი იარაღით ჩადენილ იგივე ქმედებაში კანონმდებელი გულისხმობს სამხედრო მსახურისაგან გაქცევას იმ იარაღის გაყოლიებით, რომლითაც იგი სამსახურს ასრულებდა.

კანონი აქაც ჰუმანურია და შენიშვნაში ასეთ შეღავათს გვთავაზობს:

სამხედრო მოსამსახურე, რომელიც პირველად ჩაიდენს ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებას, შეიძლება გათავისუფლდეს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ დეზერტირობა გამოწვეული იყო მძიმე ვითარებით.

სამხედრო სამსახურისათვის თავის არიდება ავადმყოფობის სიმულაციით ან სხვაგვარად მოტყუებით – მუხლი 390

აღნიშნული მუხლი ერთი ნაწილისაგან შედგება. იგი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას, როდესაც სამხედრო მოსამსახურე თავს აარიდებს სამხედრო სამსახურის მოვალეობის შესრულებას თავისი სხეულის თვითდაზიანებით ან ავადმყოფობის მოგონებით – სიმულაციით, ან ყალბი დოკუმენტების გაკეთებით ან სხვაგვარი მოტყუებით.

თვითდაზიანება არის სამხედრო მოსამსახურის მიერ თავისი

სხეულის რომელიმე ნაწილის მთლიანობის ხელოვნურად დარღვევა, ჯანმრთელობის დროებით ხელოვნურად შერყევა. იგი ვრცელდება სხეულის რომელიმე ორგანოზე ან მის საერთო ჭოვილზე. იგი შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა ხერხით: ცეცხლსასროლი ან ცივი იარაღით, გამაღიზიანებელი ნივთიერების კანქვეშ შეყვანით და ა.შ. დამნაშავემ ეს შეიძლება მოახერხოს თვითონ, თავისსავე სხეულზე, ან თავისივე ნებართვით განახორციელებინოს სხვა პირს.

სიმულაცია ავადმყოფობისა ნიშნავს რაიმე ავადმყოფობის მოგონებას, მისი თვისებების თავისთავზე მიწერას (მაგ. სიყრუის, თვალნაკლულობის, მუნჯობის და ა.შ.).

ყალბი დოკუმენტი არის ის საბუთი, რომელიც თავის შინაარსში შეიცავს სპეციალურად მოგონილ სიცრუეს, რომელიც სავსებით ან ნაწილობრივ ამახინჯებს ჭეშმარიტებას. მაგალითად, ყალბი დაბადების მოწმობა, რომელიც სახეს უცვლის დაბადების ნამდვილ თარიღს და გარკვეული ვადით გადადებს სამხედრო სამსახურში გაწვევის თარიღს.

„ან სხვაგვარ მოტყუებაში“ კანონმდებელი გულისხმობს სამხედრო პირის მიერ სამსახურის ადგილზე ყალბი ცნობების გაგზავნას მოვლენებისა და მდგომარეობის თაობაზე, რომელიც შეიძლება საფუძვლად დაედოს პირის გათავისუფლებას სამხედრო სამსახურებრივი ვალდებულებისაგან (მაგალითად, უმაღლესი განათლების ცნობა, ავადმყოფობის ცნობა და ა.შ.). თუ ასეთი ცნობის აღება დაკავშირებულია ჭრთამის გაცემასთან, მოქმედება დაკვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობით.

დანაშაული დამთავრებულად ითვლება სამხედრო სამსახურებრივი მოვალეობისაგან განრიდებისთანავე.

სუბიექტური მხარე გამოიხატება დამნაშავის პირდაპირ განზრახვაში, რომ მთლიანად ან ნაწილობრივ აიცილოს სამხედრო სამსახური.

ამსრულებელი დანაშაულისა შეიძლება იყოს რიგოსანი, სერჟანტი, რომელიც სამხედრო სამსახურს გადის გაწვევით ან ხელშეკრულებით, ასევე ის პირი, რომელიც იმყოფება თადარიგში, მაგრამ გაწვეულია სამხედრო შეკრებებზე.

განსახილველი დანაშაული შეიძლება ჩადენილი იქნეს როგორც სამხედრო პირის, ასევე მოქალაქის თანამონაწილეობით.

თანამონაწილის მოქმედება, თუკი მან სხეული თხოვნით

დაუზიანა სამხედრო მსახურს ან შეადგინა ყალბი ცნობები, დაკვალიფიცირდება ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისათვის, სხეულის დაზიანების ხარისხის შესაბამისად და ყალბი დოკუმენტის გაკეთებისათვის.

გვარობითი ობიექტი დანაშაულისა არის სამხედრო სამსახურის გავლის წესები.

ობიექტური მხარე გამოიხატება სამხედრო სამსახურისათვის თავის არიდებაში. დანაშაულის ობიექტია სამხედრო სამსახური.

დასაღუპად განწირული სამხედრო ხომალდის დატოვება – მუხლი 391

სამხედრო სანაოსნო წესდების შესაბამისად, ხომალდის მეთაური ვალდებულია ყოველგვარი ზომები მიიღოს და ამოსწუროს შესაძლებელი ღონისძიებანი, რათა შესძლოს, გადაარჩინოს ხომალდი, რომელსაც დაღუპვის საფრთხე ემუქრება.

მუხლის დისპოზიცია ასეთია:

„დასაღუპავად განწირული სამხედრო ხომალდის დატოვება იმ მეთაურის მიერ, რომელსაც ბოლომდე არ შეუსრულებია სამსახურებრივი მოვალეობა, ან ეკიპაჟის წევრის მიერ მეთაურის სათანადო განკარგულების გარეშე“.

საქართველოს შეიარაღებული ძალების სამსახურის წესდება პირდაპირ ავალებს სამხედრო ხომალდის მეთაურს, იკისროს სრული პასუხისმგებლობა მუდმივმობილიზებული და სამხედრო მზადყოფნაში იყოს სამხედრო ხომალდი. კრიტიკული მდგომარეობის დროს, როცა რაიმე გარემოების გამო გემი განწირულია დასაღუპავად (ქარიშხლის, ხანძრის, დაზიანების ან სხვა რაიმე მიზეზის გამო), სამხედრო სახომალდო წესდების შესაბამისად „ხომალდის მეთაური ვალდებულია, მიიღოს ზომები, გადაარჩინოს ეკიპაჟი, მგზავრები და შემდეგ თვით ხომალდი. მეთაურთა შემადგენლობის არცერთ წევრს არ აქვს უფლება, იყვნენ პასიურნი, თვითნებურად შეწყვიტონ მათზე დაკისრებული მოვალეობის შესრულება მეთაურის ბრძანების გარეშე“.[1] ერთი სიტყვით, როგორც მეთაურის, ასევე მეთაურთა შემადგენლობისა და ეკიპაჟისაგან ამოწურული უნდა იყოს ყოველი

1. სახომალდო სამხედრო სამსახურის წესდება, თავი 1, მუხ. 14, 1992

ღონისძიება, რაც გათვალისწინებულია წესდებით ხომალდის გადასარჩენად.

ამსრულებელი განსახილველი დანაშაულისა არის ხომალდის მეთაური, რომელიც დანიშნულია ამ თანამდებობაზე სათანადო წესითა და ბრძანებით, ასევე პირები მეთაურთა შემადგენლობიდან. მიტოვების ცნებაში იგულისხმება კაპიტნისა და სხვა მეთაურთა შემადგენლობის გადასხდომა სხვა გემებში.

სუბიექტური მხარე გამოიხატება როგორც განზრახი ბრალით, როდესაც კაპიტანმა და ეკიპაჟმა იცის, რომ ჯერ არ ამოწურულა ხომალდის გადარჩენის ღონისძიებანი და ტოვებენ ხომალდს, ასევე გაუფრთხილებლობით, როდესაც ჰგონიათ, რომ მათ ამოსწურეს გადარჩენის ყოველი ღონისძიება.

დანაშაული დამთავრებულად ითვლება დაღუპვის საფრთხეში მყოფი ხომალდის მიტოვებისთანავე, როცა მისი გადარჩენის საშუალებათა სრული განხორციელება ჯერ კიდევ არ ამოწურულა. გემის გადარჩენას სხვა ძალებითა და საშუალებებით კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არ აქვს.

დანაშაული შეიძლება ჩადენილი იქნეს როგორც განზრახ, ასევე გაუფრთხილებლობით.

გვარობითი ობიექტი — სამხედრო სამსახურის გავლის წესი. უშუალო ობიექტი დანაშაულისა არის სამხედრო ხომალდი და მასში არსებული ადამიანთა სიცოცხლე და მატერიალური დოვლათი.

ობიექტური მხარე მდგომარეობს კაპიტნისა და ეკიპაჟისაგან დასაღუპავად განწირული ხომალდის მიტოვებაში, რომლის გადარჩენის საშუალება ჯერ არ ამოწურულა.

საბრძოლო მორიგეობის (საბრძოლო სამსახურის) წესის დარღვევა — მუხლი 392

განსახილველი მუხლი სამი ნაწილისაგან შედგება. პირველის შინაარსი ასეთია: „საქართველოზე უეცარი თავდასხმის დროულად გამოვლენისა და მოგერიების ანდა მისი სახელმწიფო უშიშროების უზრუნველყოფის მიზნით დაწესებული საბრძოლო მორიგეობის (საბრძოლო სამსახურის) წესის დარღვევა, რამაც გაუფრთხილებლობით

გამოიწვია ან შეეძლო გამოეწვია სახელმწიფო უშიშროების ინტერესების ხელყოფა".

საქართველოს შეიარაღებული ძალები ქვეყნის დაცვას უზრუნველყოფენ სხვადასხვა საბრძოლო მორიგეობისა და სასაზღვრო საპატრულო-სამეთვალყურეო საქმიანობის განხორციელების გზით, რათა არ მოხდეს თავდასხმა ქვეყნის ტერიტორიაზე ან რომელიმე მნიშვნელოვან ობიექტზე.

შეიარაღებული ძალების სამხედრო მორიგეობა ორგანიზებულია იმისათვის, რომ დროულად იქნეს აღმოჩენილი მტრის ყოველი გამოხდომა, რომელიც მიმართულია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და ძლიერების წინააღმდეგ.

საბრძოლო მორიგეობა არის საბრძოლო მზადყოფნა, რომელიც ხორციელდება სამორიგეო ძალებითა და საშუალებებით და დანიშნულია სამხედრო ნაწილებისა და ქვეგანყოფილების ხელმძღვანელთა მიერ. სამორიგეო განაწესის შემადგენლობაში შედის საბრძოლო გაანგარიშებით დაკანონებული საბრძოლო ცოცხალი ძალისა და საომარი ტექნიკის გარკვეული ოდენობა, მებრძოლები, საჰაერო და საზღვაო ტექნიკა, სახმელეთო ძალები, სამართავი პულტი და სხვა.

სამხედრო საზღვაო ფლოტის სამხედრო მორიგეობა იწოდება საბრძოლო სამსახურად, რომელიც წარმოადგენს საბრძოლო მზადყოფნის უმაღლეს ფორმირებას, როგორც ომის, ასევე მშვიდობიან ვითარებაში.

სამხედრო მორიგეობის განხორციელება მშვიდობიან თუ საბრძოლო ვითარებაში განსაზღვრულია შეიარაღებული ძალების წესდებით, თავდაცვის მინისტრის, გენერალური შტაბის და მთავარსარდლის ბრძანებებითა და შესაბამისი დებულებებით.

აღნიშნული დოკუმენტებიდან გამომდინარე, ცალკეულ ნაწილთა და ქვეგანაყოფთა უფროსები ადგენენ სამორიგეო საბრძოლო სამსახურის შემადგენლობას, საბრძოლო მზადყოფნის ხარისხს, სამორიგეო სამსახურის ჩატარების წესებს, პირადი შემადგენლობის მომზადებას, საბრძოლო ტექნიკისა და საჭურველის მზადყოფნას და ა.შ.

ჩამოთვლილი სამხედრო საქმიანობის კანონიერი განხორციელება განაპირობებს სამხედრო ძალების მზადყოფნას ქვეყნის დასაცავად, მათ დროულ და ოპერატიულ ჩაბმას აგრესიული თავდას-

ხმის აღკვეთა-აცილებისა და საბრძოლო ოპერაციების წარმატებით განხორციელების საქმეში.

საგულისხმოა ის, რომ დამნაშავე შეგნებულად არღვევს საბრძოლო მორიგეობის, საბრძოლო სამსახურის წესებს. იმასაც ითვალისწინებს, რომ მისი მოქმედება დანაშაულია, რომ მას შეიძლება მძიმე ზიანიც მოჰყვეს, მაგრამ უანგარიშოდ, წინდაუხედავად აფასებს მოსალოდნელ შედეგს, ფიქრობს, რომ არ დადგება იგი ან შეძლებს მის თავიდან აცილებას.

დანაშაულის შემადგენლობის რეალური არსებობისათვის, საკითხი, სამხედრო მორიგეობის წესების დარღვევამ გამოიწვია თუ არა, ან შეეძლო თუ არა გამოეწვია სახელმწიფო უშიშროების ინტერესების ხელყოფა, უნდა გადაწყდეს სპეციალისტების მიერ ყოველი კონკრეტული შემთხვევის გულდასმითი შესწავლით.

თუკი სამორიგეო სასახურის მიტოვება გამოიკვეთა 389-ე და 390-ე მუხლების ნიშნებითაც, მაშინ მოქმედება დაკვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობით.

მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს პირველ ნაწილში ჩამოთვლილი დარღვევებისათვის, თუკი მას გაუფრთხილებლობით მოჰყვა მძიმე შედეგი. მძიმე შედეგში იგულისხმება საქართველოს ტერიტორიაზე უცხოეთის სამხედრო მზვერავი თვითმფრინავის შემოსვლა და საინტერესო ცნობების შეგროვება, საზღვაო საზღვრების (ზღვის ზედაპირზე თუ სიღრმიდან) უხეში დარღვევა, სამხედრო ტექნიკისა და კავშირის მწყობრიდან გამოყვანა და სხვა. მეორე ნაწილში პასუხისმგებლობა მძიმდება შედეგის გამო.

სუბიექტური მხარე მუხლის პირველ და მეორე ნაწილში გათვალისწინებული დანაშაულისა, სამორიგეო საბრძოლო წესების დარღვევის კუთხით, ხასიათდება პირდაპირი განზრახვით, ხოლო შედეგის სფეროში – გაუფრთხილებლობით.

მუხლის მესამე ნაწილი ითვალისწინებს თვით საბრძოლო მორიგეობის წესების გაუფრთხილებლობით დარღვევას, რასაც მძიმე შედეგი მოჰყვა. ამ შემთხვევაში დამნაშავე ასრულებს სამხედრო მორიგეობას – იყენებს ტექნიკას, კავშირს, უთვალთვალებს ობიექტს და ა.შ. წინდაუხედაობის გამო ვერ ითვალისწინებს, რომ სამორიგეო სამსახურის ამგვარი შესრულება არ შეესატყვისება წესდების მოთხოვნებს და ხელმძღვანელობის ბრძანებას, არადა

ვალდებული იყო და შეეძლო კიდევაც სცოდნოდა და გაეთვალისწინებინა სამსახურის უყაირათოდ შესრულების მოსალოდნელი მძიმე შედეგი.

დანაშაულის ამსრულებელი არის მხოლოდ სამხედრო მოსამსახურე, დანიშნული უფროსის ბრძანებით, რათა შეასრულოს სამხედრო მორიგეობა.

სასაზღვრო სამსახურის შესრულების წესის დარღვევა – მუხლი 393

საქართველოს დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სასაზღვრო ჯარების მიერ სამსახურის შესრულების წესების განუხრელ დაცვას. მუხლი სამი ნაწილისაგან შედგება.

პირველი ნაწილის შინაარსი ასეთია: „სასაზღვრო სამსახურის შესრულების წესის დარღვევა იმის მიერ, ვინც სასაზღვრო განაწესის შემადგენლობაში შედის ან ასრულებს სასაზღვრო სამსახურის სხვა მოვალეობას, რამაც გაუფრთხილებლობით გამოიწვია ან შეეძლო გამოეწვია სახელმწიფო უშიშროების ინტერესების ხელყოფა“.

ამ მუხლის პირველი ნაწილი პასუხისმგებლობას აწესებს იმ პირთა მიმართ, რომლებიც სასაზღვრო განაწესში შედიან, ე.ი. დროის გარკვეულ მონაკვეთში ასრულებენ საზღვრის დაცვის სამხედრო ან სხვაგვარ ვალდებულებას.

ქმედებაში დანაშაულის ნიშნებს გამოიკვეთება მაშინ, როდესაც სამხედრო მოსამსახურე არღვევს სასაზღვრო სამსახურის შესრულების წესს, რასაც გაუფრთხილებლობით მოჰყვა ან შეიძლებოდა მოჰყოლოდა სახელმწიფო უშიშროების ინტერესის ხელყოფა.

სასაზღვრო სამსახურის წესების დარღვევაში კანონმდებელი გულისხმობს: სამსახურის თვითნებურ შეწყვეტას, ყურადღების მოდუნებას, კონტრაბანდის საზღვარზე გადატანა-გადმოტანას, ამა თუ იმ დარღვევის რეაგირების გარეშე დატოვებას, საქართველოსა და მეზობელი ქვეყნის მოქალაქეთა საზღვარზე უნებართვო საუბრებისა და ნივთების გაცვლის დაშვებას და სხვა.

ჩამოთვლილი დარღვევების გამო შეიძლება განხორციელდეს სწორედ დანაშაულის ის შემადგენლობა, რასაც სახელმწიფოს უშიშ-

როების ხელყოფა ჰქვია. კერძოდ: სახელმწიფო საზღვრის დაცვის შესუსტება, შეიარაღებული ჯგუფებისა და ბანდების შემოჭრა საქართველოს საზღვრებში, საზღვარზე პროვოკაციების მოწყობა, საზღვრისპირა ქონების დატაცება თუ დაზიანება, ფეთქებადი, რადიაქტიული ან მწვავე მომწამვლელი ნივითიერებების საზღვარზე მოძრაობა და ა.შ.

მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას აწესებს იგივე ქმედებისათვის, რაც პირველ ნაწილშია მითითებული, თუკი მას გაუფრთხილებლობით მძიმე შედეგი მოჰყვა. ეს შინაარსი იმგვარად უნდა გავიგოთ, რომ მესაზღვრე შეგნებულად არღვევს რა სასაზღვრო სამსახურის შესრულების წესებს, ვერ ითვალისწინებს, თუ რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ამ დარღვევას ან ითვალისწინებს, მაგრამ ფიქრობს, იმედოვნებს მის თავიდან აცილებას ან არდადგომას.

მძიმე შედეგში კანონმდებელი გულისხმობს საზღვარზე ჯაშუშების და დივერსანტების მოძრაობას (გადმოსვლა-გადასვლას), სამხედრო და სამოქალაქო ობიექტებზე შეიარაღებული ჯგუფების თავდასხმას, დიდი ოდენობით კონტრაბანდის, საბრძოლო საშუალებების და ნარკოტიკების გადაზიდვა-გადმოზიდვას, ადამიანთა მსხვერპლს და ა.შ.

მუხლის მესამე ნაწილით პასუხისმგებლობა ეკისრება იმ მესაზღვრეს, რომელმაც სასაზღვრო სამსახურის შესრულების წესები დაარღვია მისდამი დაუდევარი ან არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულების გამო, რამაც გაუფრთხილებლობით მძიმე შედეგი გამოიწვია. ამ ნაწილში კანონმდებელი ხაზს უსვამს სასაზღვრო წესების კანონიერი შესრულების დარღვევას მისდამი დაუდევარი, უგულისყურო დამოკიდებულების გამო, ე. ი. მესაზღვრე ასრულებს საზღვრის დაცვის წესებს დარღვევით და ვერ ითვალისწინებს, რომ მისი მოქმედება არ შეესაბამება დებულებით გათვალისწინებულ ნორმებს, რომ კონკრეტული ნორმები ასე არ უნდა შესრულდეს, ან ითვალისწინებს და იცის, რომ კანონის მოთხოვნა სხვაგვარია, ვიდრე მის მიერ შესრულება, მაგრამ საკმარისად მიიჩნევს ამას და ფიქრობს, ამით არაფერი დაშავდება. საბოლოოდ კი კანონის ზუსტად შეუსრულებლობის გამო ვღებულობთ მძიმე შედეგს. ე. ი. მუხლის ამ ნაწილში ხაზი ესმება არა შედეგის მიმართ გაუფრთხილებლობას, არამედ სასაზღვრო წესების დაცვის დარღვევას დაუდევრად

ან არაკეთილსინდისიერად. არაკეთილ-სინდისიერება ითვალისწინებს მოქმედებას, როდესაც დამნაშავე გრძნობს, რომ სამსახურს ასრულებს სამსახურის ნორმებიდან გადახვევით, მაგრამ არ ენაღვლება და სწორედ ამიტომ დგება მძიმე შედეგი. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ დაუდევრობასა და არაკეთილსინდისიერ დამო-კიდებულებას შორის სხვაობა არ არის.

ამსრულებელი დანაშაულისა არის სამხედრო მოსამსახურე — ქვეგანაყოფის უფროსი, ოპერატიულ-ტექნიკური კავშირის მუშაკი ან სამსახურის ტარების კონტროლიორი და ა.შ.

სუბიექტური მხარე გამოიხატება გაუფრთხილებელ ბრალში.

ობიექტი დანაშაულისა არის სახელმწიფო საზღვრის უშიშროების დაცვის წესები, ობიექტური მხარე კი ამ წესების დარღვევაში გამოიხატება.

საყარაულო სამსახურის წესის დარღვევა — მუხლი 394

განსახილველი მუხლი სამი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილის შინაარსი ასეთია: „საყარაულო სამსახურის წესის დარღვევა ყარაულის (ვახტიორის) მიერ, რამაც გაუფრთხილებლობით გამოიწვია ყარაულის (ვახტის) დასაცავი ობიექტის დაზიანება".

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საყარაულო სამსახურის ორგანიზაციასა და კანონიერ შესრულებას.

„საყარაულო სამსახურის შესრულება საბრძოლო ამოცანის შესრულებაა და მოითხოვს პრადი შემადგენლობისაგან ამ წესების ყველა მოთხოვნის ზუსტად დაცვას, დიდ ყურადღებას, შეუდრეკელ გადაწყვეტილებას და ინიციატივას".[1]

„ყარაული არის შეიარაღებული ქვეგანაყოფი, რომელიც განწესებულია საბრძოლო ამოცანის შესასრულებლად საბრძოლო დროში, სამხედრო და სახელმწიფო ობიექტების დაცვისათვის".[2]

საყარაულო დაცვას მიეკუთვნება სავახტო სამსახური სამხედრო გემებზე, სამხედრო საზღვაო ფლოტებში. იგი წარმოადგენს

1, 2. საქ. შეიარაღებული ძალების საგარნიზონო და საყარაულო სამსახურების წესდება, მუხ. 94, 95, 96, 1996

მორიგეობის განსაკუთრებულ ნაწილს, რომელიც გამოიყენება თვით ხომალდის და მასზე განლაგებული საბრძოლო ტექნიკისა და სხვა საშუალებების დასაცავად და მისი მუდმივი საბრძოლო მზადყოფნის უზრუნველსაყოფად. განასხვავებენ სახომალდო ვახტს, სპეციალურ ვახტს. სახომალდო ვახტი ის საყარაულო პოსტია, რომელიც მთელს ხომალდს იცავს, ხოლო სპეციალური ვახტი ის საგუშაგოა, რომელიც ხომალდზე განლაგებულ კონკრეტულ საბრძოლო ობიექტს იცავს.

„საყარაულო დაცვა შეიძლება იყოს საგარნიზონო (საბანაკო) და შინაგანი. ორივე შეიძლება იყოს როგორც მუდმივი, ასევე დროებითი“.[1]

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, საგუშაგო სამსახურში შედის მისჯილთა დაცვა და გადაყვან-გადმოყვანა, რომლებიც სასჯელს იხდიან ან იმყოფებიან დროებით დაკავებულთა საკნებში, იზოლატორებში ან შრომა-გასწორებით დაწესებულებებში და რასაც ახორციელებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარები.

საყარაულო სამსახურის წესი და ორგანიზაცია ხორციელდება სპეციალური „საქართველოს შეიარაღებული ძალების საგარნიზონო და საყარაულო სამსახურის წესდებით“, რომელიც მიღებულია საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1994 წლის 2 სექტემბერს N 296 ბრძანებით. სავახტო სამსახური ხორციელდება „სამხედრო საზღვაო ფლოტის სახომალდო წესდებით“, სისხლის სამართლის დამნაშავეთა დაცვა და გადაყვანა – საქართველოს შ.ს.ს. შინაგანი ჯარების წესდებით.

განსახილველი მუხლით გათვალისწინებული დანაშაული წარმოიშობა საყარაულო (სავახტო) წესების ისეთი დარღვევით, როგორიც არის პოსტზე დაძინება, დასაცავი ობიექტის თვითნებური მიტოვება, ობიექტზე უცხო პირთა დაშვება, იარაღის არასწორი გამოყენება, სასიგნალო მოწყობილობებზე უმეთვალყურეობა და ა.შ.

მუხლის შინაარსის მიხედვით ქმედება განზრახია, ე.ი. საყარაულო (სავახტო) წესებს დამნაშავე შეგნებულად არღვევს და ფიქრობს, ითვალისწინებს, რომ ამ დარღვევას შეიძლება მოჰყვეს შედეგად ობიექტის რაიმე დაზიანება, მაგრამ უანგარიშოდ იმედოვნებს, რომ არ მოჰყვება ასეთი შედეგი, ან საერთოდ ვერ ითვალის-

1. იქვე, საქ. შეიარაღებული ძალების საგარნიზონო და საყარაულო სამს. წესდება

წინებს ამ დარღვევის შედეგს, არადა, ვალდებული იყო, გაეთვალისწინებინა და შეეძლო გაეთვალისწინებინა.

პირველი ნაწილის დისპოზიციის მიხედვით, დანაშაულებრივ შედეგში კანონმდებელი გულისხმობს სამხედრო ტექნიკის დაკარგვას, გაფუჭებას, ობიექტზე უცხო პირის დაშვებას, ხომალდზე და საპატიმრო ადგილებში უწესრიგობას და ა.შ.

მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს „იგივე ქმედებას, რამაც გაუფრთხილებლობით გამოიწვია მძიმე შედეგი“.

მუხლის მეორე ნაწილში არ იცვლება სუბიექტური მხარე. იცვლება მხოლოდ შედეგი, რომელიც კანონმდებელმა მძიმედ ჩათვალა. მასში იგულისხმება დასაცავი ობიექტიდან საბრძოლო მასალის, სამხედრო ტექნიკის დატაცება ან მწყობრიდან გამოყვანა, საბრძოლო დროშის დაკარგვა, დამნაშავეთა გაქცევა და ა.შ.

მუხლის მესამე ნაწილი ხაზს უსვამს საყარაულო (სავახტო) წესებისადმი დაუდევრად ან არაკეთილსინდისიერად დაცვას, რამაც გაუფრთხილებლობით მძიმე შედეგი გამოიწვია. საყარაულო წესებისადმი დაუდევრად ან არაკეთილსინდისიერად დამოკიდებულებაზე საუბარი იყო 393-ე მუხლის განხილვის დროს.

ამსრულებელი დანაშაულისა არის სამხედრო მოსამსახურე, რომელიც იმყოფება საყარაულო (სავახტო) სამსახურის განწესებაში (ყარაულის უფროსი, ცვლის შემცვლელი, თვით გუშაგი და ა.შ.).

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის დროს სამსახურის შესრულების წესის დარღვევა – მუხლი 395

საქართველოს შინაგანი ჯარების ერთ-ერთი საპატიო და აუცილებელი მოვალეობაა, მიიღოს აქტიური მონაწილეობა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და უსაფრხოების უზრუნველყოფის საქმეში შ.ს. სამინისტროს სხვა ძალებთან ერთად. ამ ამოცანას უზრუნველყოფს უშუალოდ შინაგანი ჯარების განაწესები, რომელსაც გამოყოფენ შესაბამისი ნაწილების მეთაურები.

განწესებათა უფლებამოსილება და ვალდებულებანი განსაზღვრულია საქართველოს შ.ს. სამინისტროს შინაგანი ჯარების წესდებით.

ამ ვალდებულებათა შესრულების დროს სამხედრო მოსამსახურენი უფლებამოსილნი არიან, მოსთხოვონ მოქალაქეებს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა ან დარღვევის აღკვეთა. აუცილებელ შემთხვევაში, დამრღვევთა მიმართ გამოიყენონ ფიზიკური ძალა, სპეცსაშუალებანი, განსაკუთრებული საჭიროების დროს — ცეცხლსასროლი იარაღიც კი.

დანაშაულად ითვლება „სამსახურის შესრულების წესის დარღვევა იმის მიერ, ვინც საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველმყოფი სამხედრო განაწესის შემადგენლობაში შედის, რამაც გაუფრთხილებლობით გამოიწვია პირის უფლების კანონიერი ინტერესის დარღვევა.“

ეს დანაშაული შეიძლება გამოიხატოს მოქალაქის პატივისა და ღირსების დამცირებით, უსაფუძვლო დაკავებითა და პოლიციის განყოფილებაში წარდგენით, სხვა უფლებებისა და თავისუფლების შეზღუდვით, ფიზიკური ძალის უკანონოდ გამოყენებით, სპეციალური საშუალებებისა და იარაღის უსაფუძვლოდ გამოყენებით.

სპეციალურ საშუალებებად ითვლება ხელკეტი, ხელბორკილი, „ჩერემუხა“ და ა.შ. მათი უკანონო გამოყენება ნიშნავს მათ ხმარებას, როცა ასეთი საჭირო არ არის.

მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს მაშინ, თუ პირველ ნაწილში ჩამოთვლილ დარღვევებს გაუფრთხილებლობით მძიმე შედეგი მოჰყვა.

მძიმე შედეგში კანონმდებელი გულისხმობს (ფიზიკური ძალის, საშუალებების და იარაღის უკანონოდ გამოყენების შედეგად) მოქალაქის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებას.

წესრიგის დაცვის მონაწილისაგან მოქალაქის განზრახ მძიმე დაზიანების ან მოკვლის შემთხვევაში მოქმედება დაკვალიფიცირდება შესაბამისი მუხლებით.

ამსრულებელი დანაშაულისა არის სამხედრო მოსამსახურე, რომელიც ჩართულია და სათანადო ბრძანებით მონაწილეობს სამხედრო განწესებაში საზოგადოებრივი წესრიგისა და უშიშროების დაცვის მიზნით.

სუბიექტური მხარე გამოიხატება გაუფრთხილებელ ბრალში.

ობიექტი დანაშაულისა არის სამხედრო დაქვემდებარებისა და ღირსების წესები, ობიექტური მხარე ამ წესების დარღვევაში გამოიხატება.

განსახილველი მუხლი ერთი ნაწილისაგან შედგება. მისი დისპოზიცია ასეთი შინაარსის არის: „ნაწილის სადღეღამისო განწესებაში (ყარაულის და ვახტის გარდა) შემავალი პირის მიერ შინაგანი სამსახურის წესდების დარღვევა, ანდა გარნიზონში პატრულირების წესის დარღვევა საპატრულო განწესების შემადგენლობაში შემავალი პირის მიერ, რასაც გაუფრთხილებლობით მძიმე შედეგი მოჰყვა“.

„სადღეღამისო განაწესი ინიშნება შინაგანი წესრიგის დასამყარებლად, ნაწილის (ქვეგანაყოფის) შეიარაღების, საბრძოლო და სხვა ტექნიკის, ასევე საბრძოლო მასალების, შენობა-ნაგებობათა და ჭრონების დასაცავად, აგრეთვე შინაგანი სამსახურის მოვალეობათა შესასრულებლად“.[1]

„სადღეღამისო განაწესის შემადგენლობაში შედის:

– სამხედრო ნაწილის მორიგე.

– სამხედრო ნაწილის მორიგის თანაშემწე.

– მორიგე ქვედანაყოფი.

– ყარაული.

– პარკის მორიგე და მედღეველები, აგრეთვე მორიგე გამწევის მექანიკოს-მძღოლი;

– სამედიცინო პუნქტის მორიგე ფერშალი ან სანიტარ ინსტრუქტორი და მედღეველები.

– საკონტროლო გასაშვები პუნქტის მორიგე და მორიგის თანაშემწეები.

– სადილის მორიგე და მუშები.

– სამხედრო ნაწილის შტაბის მორიგე.

– მორიგე მესიგნალე.

– შიკრიკები.

დასახელებული სამხედრო მოსამსახურეები სამუშაოთა შესასრულებლად ინიშნებიან ბრძანებით, სადაც აღნიშნულია სამუშაოს ადგილი, დრო, სახეობა, დაქვემდებარება“[2] და ა.შ.

განაწესის ყველა მონაწილეს, წესდების მიხედვით, თავიანთი ფუნქცია გააჩნიათ და მტკიცედ ვალდებულნი არიან, განუხრელად განახორციელონ იგი.

1. 2. საქ. შეიარაღებული ძალების შინაგანი სამსახურის წესდება, მუხ. 210, 212, 1995 წ.

შინაგანი სამსახურის წესების დარღვევა დანაშაულებრივად ხელყოფს სამხედრო ნაწილის ან ქვეგანაყოფის პირადი შემადგენლობის ან ცალკეული სამსახურის ბრძოლისუნარიანობას, აქვეითებს საბრძოლო შემართებასა და მზადყოფნას, იწვევს დღის საბრძოლო მომზადების რეჟიმის ჩაშლას, საფუძველს უქმნის იარაღების, საჭურვლის ან სხვა ქონების დატაცებას, სამხედრო სამსახურის შესრულების გვერდის ავლას, წარმოშობს არაწესდებურ დამოკიდებულებას სამხედრო მოსამსახურეთა შორის და ა.შ.

შინაგანი სამსახურის წესების დარღვევა შეიძლება გამოვლინდეს სამსახურის თვითნებურ მიტოვებაში, სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობაში, თანამშრომელთა შორის არაჯანსაღ დამოკიდებულებაში, სატრანსპორტო საშუალებათა გატაცებაში, პატრულირების დროს ალკოჰოლის მიღებაში და ა.შ.

ამ დარღვევათა შედეგებად ითვლება ის დანაშაულებრივი ქმედება, რომლის აცილებაც ამ განაწესების უშუალო მოვალეობა იყო და მძიმე შედეგადაც ითვლება, კერძოდ: მთელი დღის სამუშაო განაწესის ან რომელიმე სამხედრო ღონისძიების ჩაშლა, ჩხუბი სამხედრო მოსამსახურეთა შორის სხეულის ნაკლებად მძიმე ან მძიმე, დაზიანების შედეგით, სამსახურიდან გაქცევა, საბრძოლო მასალების ან დიდი ოდენობით მატერიალური დოვლათის დატაცება და ა.შ.

ამსრულებელი დანაშაულისა შეიძლება იყოს სამხედრო მოსამსახურე, რომელიც ირიცხება სადღეღამისო განწესებაში.

სუბიექტური მხარე გამოიხატება გაუფრთხილებელ ბრალში.

ობიექტი დანაშაულისა არის სამხედრო სამსახურის გავლის წესები. ობიექტური მხარე გამოიხატება სამხედრო განწესების ან პატრულირების დროს შინაგანი სამსახურის წესების დარღვევაში.

46-ე თავი

დანაშაული სამხედრო ქონების შენახვის ან ექსპლუატაციის წესის წინააღმდეგ
(მუხლი მიმოხილვა)

სამხედრო ქონება მეტად სერიოზული ოდენობით განისაზღვრება. იგი მოიცავს მოძრავ და უძრავ ნივთებს, რომლის ღირებულება დიდია სახელმწიფო ბიუჯეტის მოცულობაში. იგი შედგება

შენობა-ნაგებობების, სამხედრო ტექნიკის, საბრძოლო იარაღებისა და საშუალებების, საზღვაო და საჰაერო მოწყობილობების, ტელე-რადიო ტექნიკური და რადიო-ლოკაციური სადგურებისა და სხვა საშუალებებისაგან.

სამხედრო ქონების დაცვა და მოვლა-პატრონობა თითოეუ-ლი სამხედრო მოსამსახურის სისხლხორცეული მოვალეობაა. მისი დაზიანება თუ განადგურება ხელყოფს როგორც ქვეყნის ეკონომი-კას, ასევე მის სამხედრო ძლიერებას. კანონმდებელმა მეტად დახ-ვეწილად ჩამოაყალიბა თითოეული მუხლი, სადაც გათვალისწინებუ-ლი დანაშაულთა სახეობანი თავისებურად ხელყოფენ სამხედრო ქონების შენახვისა და ექსპლოატაციის წესებს.

ორმოცდამეექვსე თავში შეტანილია სამხედრო ქონების განზრახ და გაუფრთხილებლობით განადგურების ან დაზიანების, სამხედრო ქონების დაკარგვის ან გაფუჭების, მანქანის მართვის ან ექსპლოატაციის წესების დარღვევის, ფრენის, ხომალდის მართვის წესების დარღვევის, გარეშე მყოფთათვის მომეტებული საშიშროე-ბის მქონე იარაღთან და საგნებთან მოპყრობის წესების დარღვევის შემთხვევევები.

სამხედრო ქონების განზრახ დაზიანება ან განადგურება – მუხლი 397

განსახილველი მუხლის დისპოზიცია ასეთი შინაარსისაა: ,,იარაღის, საბრძოლო მასალის, სატრანსპორტო საშუალების, სამ-ხედრო ტექნიკის ან სხვა სამხედრო ქონების განზრახ დაზიანება ან განადგურება".

სამხედრო ქონება არის ყოველგვარი ნივთიერი ღირებულე-ბა, რასაც ინდივიდუალური თვისებები გააჩნია და გამოიყენება გარკვეული დანიშნულებისათვის.

იარაღი არის ცოცხალი ძალის გასანადგურებელი ტექნიკუ-რი მოწყობილობა.

საბრძოლო მასალები ეწოდება ასაფეთქებელ ჭურვებს და ნივთიერებებს, რომლებიც გარკვეული ხახუნის შემდეგ აალდებიან, ქმნიან ჰაერის მძლავრ ნაკადს და აქვთ დამანგრეველი მოქმედების უნარი.

მიმოსვლის საშუალებებში შედის ყოველი სახის სატრანსპორტო მექანიკური ტექნიკა, რომელსაც შესწევს უნარი, ერთი ადგილიდან მეორეზე გადაადგილოს ტვირთი ან ადამიანები.

სამხედრო ტექნიკა არის ყოველი სახის ტექნიკური აღჭურვილობა, რომელიც სამხედრო დანიშნულების მექანიკურ საქმიანობას ასრულებს. მაგალითად: სამხედრო ჭარხნები, სამხედრო სინოპტიკური და რადიოლოკატორული მოწყობილობანი და ა.შ.

სხვა სამხედრო ჭონებაში შედის შენობა-ნაგებობანი, აეროდრომები, საზღვაო სანავსადგურო მოწყობილობანი და ა.შ.

სამხედრო ჭონების განადგურებაში იგულისხმება ჭონების ისეთ მდგომარეობაში მოქცევა, რომლის დროსაც შეუძლებელია მისი აღდგენა გამოყენების თვალსაზრისით.

დაზიანება გულისხმობს ჭონების თვისების ნაწილობრივ დაკარგვას, როცა შეკეთებით კვლავ უბრუნდება მას თავისი სახმარი ღირებულება.

განსახილველი დანაშაულის საგანი შეიძლება იყოს ნებისმიერი სამხედრო ჭონება, ე. ი. ის ნივთიერი ღირებულება, რომელიც იმყოფება თავდაცვის სამინისტროს, რომელიმე დაწესებულების ან ნაწილის ბალანსზე (შეიარაღების სახეობანი, სამხედრო ტექნიკა, საწვავ-საცხები მასალები, სამშენებლო საშუალებანი, საკვები, ავეჯი და ა.შ.).

სამხედრო მოსამსახურის მიერ ისეთი ჭონების განადგურება, რომელიც არ იმყოფება სამხედრო ნაწილის ბალანსზე, არ დაკვალიფიცირდება განსახილველი მუხლით.

სუბიექტური მხარე დანაშაულისა ხასიათდება წინასწარი განზრახვით — დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ მის მოქმედებას შედეგად მოჰყვება სამხედრო ჭონების განადგურება ან დაზიანება და სურს ასეთი (რა თქმა უნდა, თუ დამნაშავის მიზანი არ არის ქვეყნის სამხედრო ძლიერების დაქვეითება. ასეთ შემთხვევაში მოქმედება დივერსიით დაკვალიფიცირდება).

მოტივი დანაშაულისა შეიძლება იყოს უფროსზე განაწყენება, სამსახურზე საერთო უკმაყოფილება და ა.შ. დამნაშავე მოქმედებს „სამაგიეროს“ გადახდის სურვილით, რათა რაიმე გამოიყვანოს მწყობრიდან და ვეღარ შესრულდეს გარკვეული საქმიანობა.

დისპოზიციის მეორე ნაწილი ასეთი შინაარსისაა:

„იგივე ქმედება, რამაც გაუფრთხილებლობით გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი“.

მძიმე შედეგში კანონმდებელი გულისხმობს საბრძოლო იარაღის ან ტექნიკის რამდენიმე ერთეულის განადგურებას, საბრძოლო მასალების მნიშვნელოვანი ოდენობით მოსპობას ან სამხედრო ქონების დიდი ოდენობით განადგურებას, განაყოფში საბრძოლო შესაძლებლობის დაქვეითებას და ა.შ.

ობიექტი დანაშაულისა არის სამხედრო ქონების შენახვისა და ექსპლოატაციის წესი, ობიექტური მხარე კი ამ წესის დარღვევაში გამოიხატება.

დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს ნებისმიერი მოქალაქე (სამხედრო, არასამხედრო).

სუბიექტური მხარე ხასიათდება განზრახი ბრალით.

სამხედრო ქონების გაუფრთხილებლობით დაზიანება ან განადგურება – მუხლი 398

მუხლი ერთი ნაწილისაგან შედგება. მისი დისპოზიცია ასეთია: „იარაღის, საბრძოლო მასალის, სატრანსპორტო საშუალების, სამხედრო ტექნიკის ან სხვა სამხედრო ქონების გაუფრთხილებლობით დაზიანება ან განადგურება, რამაც მძიმე შედეგი გამოიწვია“.

დანაშაული მიმართულია საქართველოს შეიარაღებული ძალების, სამხედრო ქონების შენახვისა და ექსპლოატაციის წესის წინააღმდეგ.

საგანი დანაშაულისა არის იარაღი, სამხედრო საჭურველი, საბრძოლო ტექნიკა და სხვა, რომელიც გამოიყენება საბრძოლო ოპერაციებისათვის და ა.შ.

ამსრულებელი დანაშაულისა არის სამხედრო მოსამსახურე. განადგურების ან დაზიანების ცნება განმარტებულია 397-ე მუხლში.

დანაშაულს აქვს გაუფრთხილებლობითი ხასიათი, რაც გამოიხატება მასში, რომ სუბიექტი, რომელსაც მინდობილი აქვს სამხედრო ქონება ან არ აქვს მინდობილი, მაგრამ გარკვეული სიახლოვე გააჩნია მასთან, ჩადის მოქმედებას ისეთი წინდაუხედაობით, რომ ნადგურდება ან ზიანდება სამხედრო ქონება.

მაგალითად, სამხედრო მოსამსახურეთა ბრიგადა აწარმოებს შედუღებით სამუშაოებს, რომლის ახლოსაც არის მატერიალურ ფასეულობათა საკუჭნაო, შედუღებით გამოყოფილმა ნაპერწკალმა გააჩინა ხანძარი, რის გამოც მძიმე შედეგი განიცადა სამხედრო ნაწილმა.

ობიექტი დანაშაულისა არის სამხედრო ქონება.

ობიექტური მხარე გამოიხატება ქონების განადგურებაში ან დაზიანებაში.

ამსრულებელი დანაშაულისა არის სამხედრო მოსამსახურე.

სუბიექტური მხარე მდგომარეობს გაუფრთხილებლობაში.

სამხედრო ქონების შენახვის წესის დარღვევა – მუხლი 399

განსახილველი მუხლი ერთი ნაწილისაგან შედგება. მისი დისპოზიცია ასეთი შინაარსის არის:

„სამსახურებრივი სარგებლობისათვის მინდობილი იარაღის, საბრძოლო მასალის, სატრანსპორტო საშუალების, სამხედრო ტექნიკის ან სხვა სამხედრო ქონების შენახვის წესის დარღვევა, რამაც გაუფრთხილებლობით გამოიწვია მისი დაკარგვა ან გაუვარგისება“.

დანაშაულის სუბიექტური მხარე ხასიათდება გაუფრთხილებლობით, რაც ხორციელდება იმგვარად, რომ დამნაშავე არაჯეროვნად უვლის, ინახავს და მეთვალყურეობს მინდობილ სამხედრო საბრძოლო ტექნიკას, იარაღს ან სატრანსპორტო საშუალებას, რის გამოც იგი იკარგება ან ფუჭდება.

დანაშაულებრივი ქმედება, სუბიექტური მხრივ, აშკარად გაუფრთხილებლობით ხასიათდება, ხოლო შედეგობრივად ორ მომენტს შეიცავს, კერძოდ: სამხედრო ქონების დაკარგვას ან გაფუჭებას. გაფუჭებაში იგულისხმება იარაღის, საბრძოლო მასალის, მიმოსვლის საშუალების, სამხედრო ტექნიკის ან სხვა სამხედრო ქონების თვისებებისა და ფუნქციების ნაწილობრივი მოშლა.

დაკარგვა ნიშნავს იგივე ქონების ნამდვილი მფლობელის ხელიდან გასვლას გაურკვეველი მიმართულებით.

აღნიშნული დანაშაულის ობიექტი არის სამხედრო ქონების

შენახვისა და ექსპლოატაციის წესები, ხოლო საგანი – იარაღები, საბრძოლო მასალები, მიმოსვლის საშუალებები და სხვა.

იარაღებში იგულისხმება ის საბრძოლო საშუალებანი, რომლითაც უნდა მოხდეს მტრის ცოცხალი ძალის განადგურება და დაზიანება (შაშხანა, ტყვიამფრქვევი, ავტომატი და სხვა).

საბრძოლო მასალებში იგულისხმება ყუმბარები, სხვადასხვა ფეთქებადი ჭურვები და ა.შ.

მიმოსვლის საშუალებებია – ავტომანქანები, კატერები, თვითმფრინავები, მატარებლები და ა.შ.

ან სხვა სამხედრო ქონებაში შედის სხვადასხვა ინვენტარი, სამშენებლო მასალები, სამშენებლო ტექნიკა, სათადარიგო ნაწილები და ა.შ.

ამსრულებელი დანაშაულისა არის სამხედრო მოსამსახურე. სუბიექტური მხარე გამოიხატება გაუფრთხილებლობაში.

ობიექტური მხარე დანაშაულისა გამოიხატება სამხედრო ქონების შენახვის წესების დარღვევით, რასაც შედეგად მოჰყვა სამხედრო ქონების დაკარგვა ან გაფუჭება.

მანქანის მართვის ან ექსპლოატაციის წესის დარღვევა – მუხლი 400

მუხლი სამი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილის დისპოზიცია ასეთია: ,,საბრძოლო, სპეციალური ან სატრანსპორტო მანქანის მართვის ან ექსპლოატაციის წესის დარღვევა, რასაც გაუფრთხილებლობით გამოიწვია სხეულის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება".

მანქანებს, რომელზეც ლაპარაკია წინამდებარე მუხლში, მიეკუთვნება ყველა სახის მოძრავი საშუალება, რაც შეიარაღებულ ძალებს გააჩნია (სხვადასხვა დანიშნულების ავტომობილები, ტანკები, თვითმავალი დანადგარები, ჯავშანტრანსპორტიორები, მოტოციკლეტები და ა.შ.). მათ რიცხვში არ შედის საფრენი აპარატები და საზღვაო ხომალდები.

ჩამოთვლილი ტრანსპორტის მოძრაობა რეგულირდება ,,ქუჩებსა და გზებზე მოძრაობის წესების" სათანადო ნორმებით, ამასთანავე, თავდაცვის სამინისტროს სპეციალური აქტებით. ჩამოთვლი-

ლი წესების დარღვევა შეიძლება გამოიხატოს სატრანსპორტო საბრძოლო საშუალებათა ნასვამ მდგომარეობაში ტარებით, სიჩქარის გადაჭარბებით, არასწორი გასწრებით, მანძილის და სხვა წესების დარღვევა-დაუცველობით, სასიგნალო ნიშნებისადმი უყურადღებობით და ა.შ.

რაც შეეხება ავტომანქანების ექსპლოატაციის წესების დარღვევას, იგი გამოიხატება მისი გამოყენებისა და ხმარების წესების დარღვევაში. ექსპლოატაციის წესები მოცემულია სპეციალურ ბრძანებებში, აქტებში და სხვა დოკუმენტებში. მუხლის დისპოზიციაში, სადაც საუბარია ექსპლოატაციის წესების დარღვევაზე, როგორც დასჯად ქმედებაზე, იგულისხმება მხოლოდ ის წესები, რომელიც უზრუნველყოფს უსაფრთხო მუშაობას.

მუხლის პირველი ნაწილის შემადგენლობას იძლევა მოძრაობისა და ექსპლოატაციის წესების დარღვევის ისეთი შედეგი, როგორიც არის ადამიანის სხეულის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება.

მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას იგივე ქმედებისათვის, თუკი მას შედეგად ადამიანის სიცოცხლის მოსპობა მოჰყვა.

მუხლის მესამე ნაწილით პასუხისმგებლობის საკითხი დგება მაშინ, თუ მოძრაობისა და ექსპლოატაციის წესების დარღვევას შედეგად მოჰყვა ორი ან მეტი ადამიანის დაღუპვა.

ამსრულებელი დანაშაულისა არის სამხედრო მოსამსახურე, რომელიც მართავს საბრძოლო, სპეციალურ ან სატრანსპორტო საშუალებას და პასუხისმგებლობა აკისრია მართვისა და ექსპლოატაციის წესების ზუსტად დაცვაზე.

სუბიექტური მხარე მდგომარეობს გაუფრთხილებლობაში — მუხლის ყველა ნაწილის მიხედვით.

ობიექტი დანაშაულისა - ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა და სატრანსპორტო საშუალებათა მოძრაობისა და ექსპლოატაციის წესები.

საფრენი აპარატის მართვის ან ექსპლოატაციის წესის დარღვევა — მუხლი 401

მუხლის დისპოზიცია ასეთი შინაარსისაა: ,,სამხედრო საფრენი აპარატის მართვის ან ფრენისათვის მზადების წესის ანდა მისი ექსპლოატაციის წესის დარღვევა, რამაც გაუფრთხილებლობით გამოიწვია

ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი.“

განსახილველი დანაშაული მიმართულია სამხედრო საფრენი აპარატების ფრენისათვის მზადების ან ფრენის წესების დაცვის წინააღმდეგ.

სამხედრო საფრენ აპარატებს მიეკუთვნებიან ის სამხედრო საფრენი საშუალებები, რომლებიც იმყოფებიან არმიისა და ფლოტის ან სხვა სამხედრო ფორმირების განკარგულებაში, თვითმფრინავების, ვერტმფრენების და სხვათა სახით.

ფრენა მიმდინარეობს სპეციალური ბრძანებებითა და ინსტრუქციებით, რომლებიც დაშვებულია შეიარაღებული ძალების სამინისტროსა და სამხედრო-საავიაციო სარდლობის მიერ. ეს წესები არეგულირებენ პილოტირებას და საჰაერო სროლების მიმდინარეობას. ფრენა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, სათანადო შეთანხმების საფუძველზე, სხვა ქვეყნების ტერიტორიაზედაც საბრძოლო და საბრძოლო-სასწავლო ამოცანების შესასრულებლად.

ფრენის განხორციელებისათვის საჭიროა არა მარტო ფრენის წესების დაცვა, არამედ მოსამზადებელი სამუშაოების წესების დაცვაც. კერძოდ: მფრინავთა შემადგენლობის, საავიაციო ტექნიკის, აეროდრომების, სიგნალიზაციისა და კავშირის მოწესრიგების გადასინჯვა და ა.შ.

ფრენის განხორციელების წესების დარღვევა შესაძლებელია დაკავშირებული იყოს შეცდომებთან.

შეცდომა შეიძლება გამოიხატოს პილოტირების ან მანევრების დროს ორიენტაციის დაკარგვაში, დესანტირების, ბომბარდირების დროს სიჩქარისა და სიმაღლის შეუფარდებლობაში, საფრენი ჰიშკრისადმი უყურადღებობაში და ა.შ.

ფრენის განხორციელების წინა მოსამზადებელი სამუშაოების წესების დარღვევა გამოიხატება თვითმფრინავის არასწორად მომზადებაში, ასევე საფრენი აპარატის ტექნიკურ ხარვეზში, ზოგიერთი დეტალის უხარისხო შეკეთებაში, მარშრუტის არასწორად შერჩევაში, მეტეოპირობების შეურჩევლობაში და ა.შ.

შედეგი, რისთვისაც პასუხისმგებლობა ეკისრება, არის ადამიანთა დაღუპვა. სხვა მძიმე შედეგში იგულისხმება თვითმფრინავის ჩამოვარდნა, მნიშვნელოვანი ობიექტის დანგრევა ან ხანძრით განადგურება და ა.შ.

ამსრულებელი დანაშაულისა არის სამხედრო მოსამსახურე.

სუბიექტური მხარე გამოიხატება გაუფრთხილებლობაში.
ობიექტი დანაშაულისა - ფრენის წესები.
ობიექტური მხარე - ფრენის წესების დარღვევა.

ხომალდის მართვის ან ექსპლოატაციის წესის დარღვევა – მუხლი 402

აღნიშნული მუხლი მიმართულია იმ დანაშაულებრივი ქმედების წინააღმდეგ, რომელიც გამოიხატება ხომალდის მართვის წესების დარღვევით.

განსახილველი მუხლი ერთი ნაწილისაგან შედგება. მისი შინაარსი ასეთია:

„სამხედრო ხომალდის მართვის ან ექსპლოატაციის წესის დარღვევა, რამაც გაუფრთხილებლობით გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი".

ხომალდის მართვის უსაფრთხოებისათვის მოქმედებს მთელი რიგი წესდებები, ინსტრუქციები და დებულებები, რომელიც შემუშავებულია თავდაცვის სამინისტროსა და საზღვაო ფლოტის მიერ. მისი დაცვა სავალდებულოა იმ პირთაგან, რომლებიც ხელმძღვანელობენ სამხედრო საზღვაო მიმოსვლაში ჩაბმული თითოეული ხომალდის მოძრაობას და ექსპლოატაციას.

განსახილველი მუხლი აწესებს პასუხისმგებლობას ამ წესების დარღვევისათვის მხოლოდ სამხედრო ხომალდის ეკიპაჟის მიმართ.

სამხედრო ხომალდად იწოდება ზღვებსა, ოკეანეებსა და წყლებში მცურავი ყოველი სახის მექანიზმი, რომელიც ეკუთვნის სამხედრო საზღვაო ფლოტს, მიუხედავად იმისა, ისინი არიან შეიარაღებულნი თუ არა. ხომალდის მართვის ან ექსპლოატაციის წესების დარღვევა მაშინ გვაძლევს განსახილველი მუხლის შემადგენლობას, როდესაც მან გაუფრთხილებლობით ადამიანის დაღუპვა ან სხვა მძიმე შედეგი გამოიწვია. სხვა მძიმე შედეგად ითვლება: ხომალდის დაღუპვა ან მისი სერიოზულად დაზიანება.

დანაშაულის ამსრულებელი არის პირი, რომელიც უშუალოდ ახორციელებს ხომალდის მართვას (კაპიტანი, შტურმანი).

ობიექტი დანაშაულისა არის ხომალდის მართვის წესები და სამხედრო ტექნიკა, ადამიანთა სიცოცხლე.

ხომალდის მართვის წესების დარღვევა შეიძლება გამოიხატოს კურსის არასწორ განსაზღვრაში, მიმართულებისა და სიჩქარის შეუფარდებლობაში, ფლოტში შესვლის წესების დარღვევაში, არასწორ ბუქსირებაში და ა.შ.

ექსპლოატაციის დარღვევაში იგულისხმება შეცდომების დაშვება ხომალდის მიმდინარე შეკეთების დროს (ძრავი, საქვაბე და სხვა), რომელიც უზრუნველყოფს ხომალდის მოძრაობას, ასევე წყალწყვის გაანგარიშებას და ა.შ.

კვალიფიკაციის განსაზღვრის დროს აუცილებელია ვიხელმძღვანელოთ სამხედრო საზღვაო ფლოტის სათანადო ინსტრუქციებითა და წესდებებით.

ობიექტი დანაშაულისა არის სამხედრო ქონების შენახვის და ექსპლოატაციის წესები.

ამსრულებელია სამხედრო მოსამსახურე, რომელზედაც დაკისრებულია როგორც მართვის, ასევე ექსპლოატაციის წესების უსაფრთხო დაცვა.

სუბიექტური მხარე დანაშაულისა გამოიხატება გაუფრთხილებლობაში.

გარშემომყოფთათვის მომეტებული საშიშროების შემცველ იარაღთან მოპყრობის წესის დარღვევა – მუხლი 403

წარმოდგენილი მუხლი სრულიად ახალია ჩვენს კანონმდებლობაში. ვფიქრობთ, მსგავსი კანონი ალბათ ყველა ქვეყნის კოდექსში იქნება, რადგან მსოფლიოში დაგროვილი იარაღის არსენალი მეტად დიდია და სერიოზულად საშიში. სწორედ ეს პირობები სამართლიანად აყენებს ყველა ქვეყნის წინაშე ამოცანას – სისხლის სამართლის წესით დაიცვას იარაღებთან და ფეთქებად ნივთიერებებთან მოპყრობის წესი.

მუხლის პირველი ნაწილის დისპოზიცია ასეთია: „გარშემო მყოფთათვის მომეტებული საშიშროების შემცველ იარაღთან, საბრძოლო მასალასთან, რადიაქტიურ, ფეთქებად ან სხვაგვარ ნივთიერებასთან, ანდა საგანთან მოპყრობის წესის დარღვევა, რამაც გაუფრთხილებლობით გამოიწვია ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება, სამხედრო ტექნიკის განადგურება ან სხვა მძიმე შედეგი“.

დანაშაული, რომელიც გათვალისწინებულია განსახილველ მუხლში, ხელყოფს იარაღთან, საბრძოლველთან, რადიაქტიულ მასალებთან, ფეთქებად ნივთიერებებთან და სხვა ამგვარ საგნებთან მოპყრობის წესს, რომელიც მომეტებულ საფრთხეს უქმნის ირგვლივ მყოფ გარემოს. მათთან მოპყრობის წესი დადგენილია სამხედრო წესდებებით, ინსტრუქციებით, ბრძანებებითა და სხვა დოკუმენტებით. ამ წესების დარღვევა იწვევს ადამიანთა დაავადებას, დაღუპვას, ქონების განადგურებას, გარემოს ქიმიურ და რადიაქტიულ მოწამვლას, სამხედრო ღონისძიებებისა და განლაგებების მოშლას, მათი ბრძოლისუნარიანობის გაჭარწყლებას და ა.შ.

საბრძოლო იარაღი არის ტექნიკური საშუალება, რომლიც სპეციალურად არის შექმნილი ცოცხალი ძალის განადგურებისა და დაზიანებისათვის. ესაა ცეცხლსასროლი, სარაკეტო, მომწამლავი იარაღი, რომელიც დამზადებულია ჭარხნული წესით, საინჟინერო-სამეცნიერო დასკვნის მიხედვით მიჩნეულია ცოცხალი ძალისა და გარემოს გამანადგურებელ საშუალებად და ირიცხება სამხედრო ნაწილის შეიარაღებაში. თუ იგი არ ერიცხება სამხედრო ნაწილს და არ გააჩნია საბრძოლო დანიშნულება, არ წარმოადგენს ხსენებული დანაშაულის საგანს, მაგალითად, გლუვლულიანი სანადირო თოფები, სამშენებლო, სასიგნალო, სასტარტო პისტოლეტები და სხვები, რომლებსაც არ აქვთ საბრძოლო დანიშნულება.

საბრძოლო მასალა არის ტექნიკური მოწყობილობა, რომელიც დამუხტულია ფეთქებადი ნივთიერებით და გამოიყენება იარაღიდან გასასროლად. ასეთებია საბრძოლო პატრონები, ჭურვები, რაკეტები და ა.შ. სამოსწავლო პატრონები, მანათობელი რაკეტები, იმიტაციური ჭურვები და მისთანები არ ჩაითვლება განსახილველი დანაშაულის საგნად.

ფეთქებად მასალას მიეკუთვნება ის ნივთიერება, რომელიც თუნდაც მცირე ხახუნის გამო აალდება და გამოყოფს ხმასა და ჰაერის დამანგრეველ მიმოქცევას. მაგალითად, ფეთქებადი (მგრგვინავი) ვერცხლისწყალი, მსხვრევადი ტყვია, ტეტრაზენი, ამონალი, სხვადასხვა წამალი და ა.შ.

რადიაქტიული მასალები არის ის ნივთიერებანი, რომლებიც ახდენენ რადიაქტიულ მძაფრ გამოსხივებას. ისინი ინახებიან მკაცრი დაცვითი ჭურჭლებისა და შეზღუდვის სფეროებში. აღნიშნულ ნივთიერებათა მოვლა-პატრონობისა და დაცვითი წესების დარღვევა ქმნის

მომეტებულ საფრთხეს გარემო პირობებისათვის. ასეთებს მიეკუთვნებიან რადიაქტიულად მომწამლავი ნივთიერებანი, მწვავე მჟავეები და ა.შ.

იარაღებისადმი მოპყრობის წესებში იგულისხმება წარმოების მოვლისა და გამოყენების ნორმების თანმიმდევრობის ერთიანობა, რომელიც უზრუნველყოფს მათი მავნე თვისებების დათრგუნვას, მაგალითად, იმ წესების დაცვა, რომელიც გამოიყენება ფეთქებადი ნაღმების წარმოების, დამუხტვის ან განმუხტვის პროცესში და ა.შ.

იარაღებთან და ფეთქებად მასალებთან მოპყრობაში არ შედის მათი არადანიშნულებით გამოყენება.

მუხლის პირველი ნაწილი დასჯად ქმედებად მიიჩნევს ჩამოთვლილ იარაღებთან და ფეთქებად მასალებთან მოპყრობის წესების დარღვევას მაშინ, თუ ამ დარღვევას გაუფრთხილებლობით მოჰყვა სხეულის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება, სამხედრო ტექნიკის განადგურება ან სხვა მძიმე შედეგი, ქონებრივი ზარალი ან რაიმე მნიშვნელოვანი სამხედრო ღონისძიების ჩაშლა.

მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას იგივე ქმედებისათვის (რაც პირველ ნაწილშია გათვალისწინებული), თუ მას შედეგად გაუფრთხილებლობით მოჰყვა ადამიანის დაღუპვა.

მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით პასუხისმგებლობა ეკისრება მაშინ, თუ დარღვევებს შედეგად მოჰყვა ორი ან მეტი ადამიანის დაღუპვა.

დანაშაულებრივი ქმედებით შეიძლება დაზიანდეს ნებისმიერი მოქალაქე ან იურიდიული პირი.

ამსრულებელი დანაშაულისა არის ის სამხედრო პირი, რომელმაც დაარღვია იარაღებთან, ფეთქებად და რადიაქტიულ მასალებთან მოპყრობის წესი.

სუბიექტური მხარე გაუფრთხილებელი ბრალით ხასიათდება.

კარი მეთოთხმეტე

დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ

თავი 47

დანაშაული კაცობრიობის მშვიდობის, უშიშროებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის წინააღმდეგ

ადამიანი დედამიწის ბინადარია და მისი სრულუფლებიანი მესაკუთრე. იგი უფლებამოსილია, თანაბრად სარგებლობდეს მისი სიმდიდრითა და მშვენიერებით. ამასთანავე, ვალდებულია, გულდასმით უვლიდეს, ეფერებოდეს და იცავდეს მას, როგორც ერთადერთ სახლ-კარს აქტიური მოღვაწეობისა თუ მარადიული განსვენებისათვის.

ადამიანთა მეგობრული თანამშრომლობა იმდენი სიკეთის, ბედნიერების, მატერიალური და სულიერი დოვლათის მომტანია, რომლის მეასედიც ვერ შეძლო დაპყრობითმა და ძარცვა-გლეჯვით გამორჩეულმა ომებმა. მიუხედავად ამისა, საუბედუროდ, ადამიანი ჯერ კიდევ ვერ დარწმუნდა, რომ კაცობრიობის ოჯახის ყველა წევრისათვის დამახასიათებელი ღირსებისა და თანასწორი, განუყოფელი უფლებების აღიარება წარმოადგენს თავისუფლების, სამართლიანობისა და საყოველთაო მშვიდობის საფუძველს. ადამიანის უფლებათა უგულებელყოფამ და აბუჩად აგდებამ გამოიწვია გაუგონარი ბარბაროსული აქტები, რაც აღაშფოთებს დღევანდელ და მომავალ კაცობრიობას და რომ ისეთი მსოფლიოს შექმნა, რომელშიაც ადამიანებს ექნებათ სიტყვისა და რწმენის თავისუფლება და რომელშიც ისინი იცხოვრებენ შიშისა და გაჭირვების გარეშე, გამოცხადებულია როგორც მაღალი მისწრაფება.

რომ ვინმეს შეეძლოს კაცობრიობისათვის ბრალის წაყენება

მის მიერ ჩადენილი ნგრევა-აფეთქების, ხოცვა-ჟლეტის, ბოლმა-სიძულვილის, მასიური და საშინელი სიკვდილის იარაღების გამოგონების გამო, ალბათ უმაღლეს სასჯელს ვერ ასცდებოდა.

მეოცე საუკუნის ბოლოს თითქოს დაუბერა სიომ და ბევრმა სახელმწიფომ იკისრა ვალდებულება, გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან თანამშრომლობაში, ხელი შეუწყონ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა საყოველთაო პატივისცემასა და დაცვას.

შეიქმნა მრავალი საზოგადოებრივი ორგანიზაცია და სახელმწიფოთა კავშირი, რომელთა დოკუმენტებში მიზნად დაისახა ადამიანთა უფლებებისა და თავისუფლების პატივისცემისა და მათი საყოველთაო და ეფექტიანი აღიარება-განხორციელების უზრუნველყოფა. შემუშავდა მრავალი დოკუმენტი, რომლებიც თვალსაჩინო წყარო და საფუძველი იქნება კაცობრიობის მოწინავე ნაწილის აქტიური ბრძოლის დაწყებისა საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დასაცავად, რათა გატარდეს და საქმედ იქცეს წმინდა იდეა - „ყოველ ადმიანს აქვს სიცოცხლის, თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება“.

საერთაშორისო სამართალში მშვიდობისა და უშიშროების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის მნიშვნელოვან წყაროდ ითვლება საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის, მეორე მსოფლიო ომთან დაკავშირებული, გერმანიაში მთავარ სამხედრო დამნაშავეთა საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის წესდება.

მშვიდობისა და კაცობრიობის უშიშროების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული იყოფა სამ ჯგუფად:

1) დანაშაული მშვიდობის წინააღმდეგ (აგრესიული ომის დაგეგმვა, მომზადება, გახსნა და წარმართვა).

2) სამხედრო დანაშაული, კერძოდ: ომის წესების ან ტრადიციების დარღვევა, ადამიანთა დამონება, წამება, დაპყრობილ ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანების და სამხედრო ტყვეების უმიზეზო განადგურება, ყაჩაღური დატაცება სახელმწიფო და საზოგადო ქონებისა; უმიზნო დანგრევა სოფლებისა და ქალაქებისა, რაც გამოწვეული არ არის საომარი აუცილებლობით და სხვა.

3) დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ, კერძოდ: განადგურება მოსახლეობისა, რომელსაც ჩადის დამნაშავე რასობრივი, ენობრივი ან ეროვნული ინდივიდუალობის გამო.

ნიურნბერგისა და ტოკიოს პროცესების შემდეგ მიღებული იქნა მთელი რიგი საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტებისა, რომლის მიხედვითაც კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულობებს განეკუთვნა ისეთი ქმედებანი, როგორიც არის გენოციდი, მომწამლავ ნივთიერებათა გამოყენება მასიური მოსპობისათვის, რასიზმი, რასობრივი დისკრიმინაცია, კოლონიალიზმი და ა.შ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო სამართლის კომისიაში მიმდინარეობდა რა მუშაობა მშვიდობისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა კოდექსის შედგენისათვის, გენერალური ასამბლეის 1947 წლის 177-ე რეზოლუციისა და მისი 1991 წლის 43-ე სესიის შესაბამისად, კომისიამ კოდექსის პროექტი განსახილველად გადასცა სახელმწიფოებს, რათა მათ გამოეთქვათ მოსაზრებები და შენიშვნები მისი სრულყოფისა და დახვეწისათვის.

1991 წლის დეკემბერში გენერალურმა ასამბლეამ წინადადება მისცა კომისიას, რათა გააგრძელოს მუშაობა საერთაშორისო სამართლის პრობლემების ანალიზზე, რომელიც ეხება სისხლის სამართლის, იუსტიციისა და სისხლის სამართლის, საერთაშორისო სასამართლოს სტრუქტურას, დაგეგმვასა და მომავალ მუშაობას.

საერთაშორისო სამართლის კომისია, ამასთანავე, მუშაობს მრავალი სამართლებრივი სტატიისა და ნორმის რედაქტირებაზე, მათ ახლებურ შეთანხმებაზე თანამედროვე მსოფლიოს ურთიერთობის ახლებურ პოზიციებთან.

ახალი პროექტის შესაბამისად, მრავალი წინადადება შედის იმის თაობაზე, რომ მშვიდობისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად მიჩნეული იქნეს პირის ნებისმიერი მოქმედება ან უმოქმედობა, რომელიც თავისი საშიშროებით ემუქრება მშვიდობასა და კაცობრიობას.

კაცობრიობა 21-ე საუკუნეს მრავალი პრორობლემით ხვდება, რომელთა შორისაც ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად უნდა ჩაითვალოს საერთაშორისო და არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების, ომების თავიდან აცილება, ხოლო კონფლიქტის წარმოშობისას – მისი სამართლებრივი რეგულირება ისე, რომ მინიმუმამდე იყოს დაყვანილი სისხლისღვრით გამოწვეული ტრაგიკული შედეგები, როგორც ბრძოლაში უშუალოდ მონაწილე პირთა, ასევე უიარაღო, შვიდობიანი მოსახლეობისა.

მე-19-მე-20 საუკუნეებში ჩამოყალიბდა საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების მთელი სისტემა, რომელიც მიმართულია ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის მაქსიმალური დაცვის, ტყვეობაში თუ ოკუპირებულ ტერიტორიაზე ყოფნის დროს მისი უფლებების განსაზღვრისა და განმტკიცებისაკენ.

ასე ჩამოყალიბდა საერთაშორისო სამართლის განსაკუთრებული დარგი — საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი.

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი საერთაშორისო სამართლის დამოუკიდებელი დარგია. მისი მიზანია, მშვიდობის უზრუნველყოფა, სამართლიანობის საფუძველზე ადამიანთა დაცვა და სოციალური პროგრესისათვის ხელის შეწყობა თავისუფლების პირობებში.

დღევანდელ კოდექსში ჩამოთვლილია ცხრა დანაშაული, რომელიც მიჩნეულია კაცობრიობის მშვიდობისა და უშიშროების, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის წინააღმდეგ.

კომისიამ შეიმუშავა წესდების პროექტი საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოსათვის, სადაც კიდევ სხვა ახალ დანაშაულობათა სახეობანია ჩამოყალიბებული. კერძოდ:

1) უხეში დარღვევა 1949 წლის 12 აგვისტოს ჟენევის კონვენციისა (მოქმედ არმიაში მონაწილე დაჭრილების, ავადმყოფების და სამოქალაქო მოსახლეობის ხელშეუხებლობის შესახებ. სამხედრო კონფლიქტების დრო მსხვერპლის თავიდან აცილების თაობაზე).

2) საჰაერო ხომალდების უკანონო დაკავება, 1970 წლის 16 დეკემბრის ჰააგის კონფერენციის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად.

3) სამოქალაქო ავიაციის დანაშაულებრივი ხელყოფა 1971 წლის 23 სექტემბრის მონრეალის კონვენციის მიხედვით.

4) დანაშაული იმ პირთა მიმართ, რომლებიც სარგებლობენ საერთაშორისო დაცვის პირობებით (დიპლომატები და სხვა).

5) 1979 წლის საერთაშორისო კონვენცია მძევლების აყვანის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა თაობაზე. .

6) ადამიანთა ტანჯვა-წამება და ღირსების დამამცირებელი ხერხების ხმარება (1984 წლის კონვენციის მე-4 მუხლის მიხედვით).

7) დანაშაული საზღვაო ნაოსნობის წინააღმდეგ, 1988 წლის კონვენციის მესამე მუხლის მიხედვით.

8) ნარკოტიკულ ნივთიერებათა უკანონო ბრუნვა.

ეს ჩამონათვალი არ წარმოადგენს დანაშაულთა სრულ

აღრიცხვას და სახეობრივ დაზუსტებას. საკითხები კვლავ მუშავდება და მიიღებს საბოლოო დახვეწილ სახეს იმ საერთაშორისო დანაშაულობათა აკრძალვისა და პასუხისმგებლობისათვის, რომელიც გამოსცადა და იწვნია კაცობრიობამ რამდენიმე მსოფლიო ომის დროს. ასე რომ, ჯერ კიდევ არ არის დაზუსტებული იმ საერთაშორისო დანაშაულთა ერთობლიობა, რომელიც მიმართულია ადამიანთა სიცოცხლისა და ღირსების წინააღმდეგ.

გვარობითი ობიექტი დანაშაულისა არის საზოგადოებრივი ურთიერთობა. დანაშაული ხელყოფს მსოფლიოს ადამიანთა ნორმალური პოლიტიკური, ეკონომიკური და სულიერი თანამეგობრობის სფეროებს, არღვევს საერთაშორისო სამართლის ნორმებს სახელმწიფოთა და ერთა ურთიერთდამოკიდებულების შესახებ, ასევე საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების განვითარების პრინციპებს (კერძოდ: მშვიდობიან თანაარსებობას, ტერიტორიულ მთლიანობას, საზღვრების ხელშეუხებლობას, ეროვნული თვითგამორკვევისა და ჩაურევლობის უფლებას, მოქალაქეთა უფლებრივ პატივისცემას და საერთაშორისო ვალდებულებათა კეთილსინდისიერ შესრულებას და სხვა).

ჩამოთვლილი თითქმის ყველა დანაშაული მიმართულია მშვიდობისა და კაცობრიობის წინააღმდეგ და ხორციელდება აქტიური მოქმედებით.

სუბიექტური მხარე დანაშაულისა ხასიათდება პირდაპირი განზრახვით.

ამსრულებელი დანაშაულისა შეიძლება იყოს ნებისმიერი მოქალაქე ან სპეციალური სუბიექტი.

აგრესიული ომის მომზადება, ან წარმოება – მუხლი 404

აგრესიული ომის დაგეგმვა, მომზადება ერთ-ერთი უმძიმესი საზოგადოებრივად საშიში ქმედებაა და საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად ითვლება კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად. მისი საზოგადოებრივი საშიშროება მდგომარეობს მასში, რომ ამსხვრევს ერთა და ქვეყანათა შორის მშვიდობიან თანაარსებობას, იწვევს ადამიანთა აურაცხელ მსხვერპლს, მშვიდობიანი მოსახლეობის აუწერელ ტანჯვას, ანადგურებს ქვეყნების სახალხო მეურნეობას, საკაცობრიო მნიშვნელობის ხელთუქმნელ კულტურას, ამახინჯებს შთამომავლობას და ა.შ.

მუხლი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილის დისპოზიცია ასეთი შინაარსისაა: „აგრესიული ომის დაგეგმვა ან მომზადება“. ობიექტური მხრივ მუხლი ორ შემადგენლობას მოიცავს:

ა) დაგეგმვას.

ბ) მომზადებას.

დაგეგმვაში კანონმდებელი გულისხმობს ომის ძალებისა და საშუალებების მობილიზაციის, ორგანიზაციულ-ტექნიკური გეგმებისა და პროექტების შედგენას, ძალებისა და საშუალებების გათვლას, მატერიალურ-ტექნიკური და სხვა რესურსების გაანგარიშებას, ცალკეული ტაქტიკური და საერთო სტრატეგიული გეგმის შედგენას, კონკრეტული ოპერაციების განხორციელების გაანგარიშებას და ა.შ.

ომის მომზადებაში იგულისხმება გეგმით დასახულ ღონისძიებათა კომპლექსის განლაგება და მზადყოფნა, ე.ი. რეალური განხორციელება სამხედრო-ორგანიზაციული, მატერიალურ-ტექნიკური, საბრძოლო და ოპერატიული ძალების განლაგებისა აგრესიული ომის პორაქტიკული განხორციელებისათვის. მაგალითად, არმიის დისლოკაციის შეცვლა და ნორმირებული განლაგება ძირითადი დარტყმის ცენტრებთან ან საბრძოლო მოქმედების რეგიონებთან, სამრეწველო საწარმოების გადაყვანა სამხედრო ტექნიკისა და საჭურველის დამზადებაზე, არმიის მართვის რეორგანიზაცია და ა.შ.

აგრესია არის ერთი სახელმწიფოს მიერ მეორის მიმართ სამხედრო ძალებისა და საშუალებების გამოყენება სუვერენიტეტის, ტერიტორიული ხელშეუხებლობის, პოლიტიკური დამოუკიდებლობის ან სხვა სახელმწიფოებრიობის მატარებელი ნიშნების წინააღმდეგ.

ამსრულებელი დანაშაულისა არის მხოლოდ ის პირი, რომელსაც არჩევით ან დანიშვნით უჭირავს დიდმოხელის პოსტი და სამსახურებრივი უფლებამოსილებით აქვს შესაძლებლობა, დაგეგმოს და გადაწყვიტოს სამხედრო მნიშვნელობის საკითხები.

სუბიექტური მხარე გამოიხატება აშკარა პირდაპირ განზრახვაში.

მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს „აგრესიული ომის გაჩაღების ან წარმოებისათვის“. ომის გაჩაღებაში კანონმდებელი გულისხმობს საბრძოლო, გამანადგურებელი ოპერაციების რეალურ დაწყებას, საომარი ცეცხლის გაჩაღებას ხმელეთიდან,

ზღვიდან, ჰაერიდან; წარმოებაში – სახელმწიფოს მიერ საბრძოლო, გამანადგურებელი ოპერაციების განხორციელებას, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობს შეიარაღებული ძალების ყველა სახეობა და რომელიც გამოიხატება სხვა სახელმწიფოს ტერიტორიის მთლიანად ან ნაწილობრივ დაპყრობით, მნიშვნელოვანი ობიექტების დაბომბვა-განადგურებით, ტერიტორიის ბლოკადით, სამხედრო ძალებსა და განლაგებებზე გამანადგურებელი თავდასხმით და ა.შ.

ამსრულებელი დანაშაულისა არის პირი, რომელსაც კონსტიტუციური უფლებამოსილებით შეუძლია განახორციელოს აგრესიული ომის წარმოება.

სუბიექტური მხარე ხასიათდება განზრახი ბრალით.

ობიექტი დანაშაულისა არის სახელმწიფოთა შორის მშვიდობიანი თანაარსებობა.

ობიექტური მხარე გამოიხატება დაგეგმვაში, მომზადებაში, გაჩაღებაში (პირველი ნაწილის მიხედვით), აგრესიული ომის წარმოებაში – მეორე ნაწილის მიხედვით.

მოწოდება აგრესიული ომის გაჩაღებისაკენ – მუხლი 405

განსახილველი მუხლი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილის შინაარსი ასეთია: „საქვეყნოდ მოწოდება აგრესიული ომის გაჩაღებისაკენ".

დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროება გამოიხატება მასში, რომ იგი საზოგადოებასა და სახელმწიფოებრივ სტრუქტურებში აყალიბებს სოციალურ-ფსიქოლოგიურ განწყობილებას აგრესიული ომის კანონიერებისას და მზადყოფნის სფეროში თანდათანობით იკრებს ახალ-ახალ ადამიანებს და მათ შორის თანამდებობის პირებსაც, რომლებიც თანადგომას უცხადებენ ამ მოწოდებას და შესაძლებელია კომპეტენტურადაც მიიღონ გადაწყვეტილება ომის დაწყების თაობაზე.

დანაშაული, ობიექტური მხრივ, შეიძლება გამოიხატოს საზოგადოებისადმი წერილობით ან სიტყვიერად მიმართვაში (აუდიტორიაში, ქუჩაში, შეკრებაზე) იმის თაობაზე, რომ აუცილებელია, მიზანშეწონილია ომის გაჩაღება და წარმოება რომელიმე ქვეყანასთან.

ომის გაჩაღებისაკენ მოწოდება შეიძლება განხორციელდეს

როგორც სიტყვიერად, ასევე წერილობით (ფოსტით), რამდენიმე ადამიანისადმი ფოსტის საშუალებით მოწოდებითი ხასიათის წერილების წაგზავნით, ქუჩაში ხალხის წინაშე გამოსვლით და ა.შ.

დანაშაულის ამრულებელი შეიძლება იყოს ნებისმიერი კერძო პირი.

დანაშაულის სუბიექტური მხარე გამოიხატება მხოლოდ პირდაპირი განზრახვით. დანაშაულის მოტივი შეიძლება იქნეს რომელიმე ქვეყნის სიძულვილი ან მისი ტერიტორიის მითვისება, ნაციონალური და რელიგიური შეუწყნარებლობა და ა.შ.

უნდა აღინიშნოს, რომ მოტივს კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არ აქვს, მაგრამ პიროვნების დახასიათებისათვის, მისი საშიშროების წარმოდგენისა და სასჯელის განსაზღვრის დროს მეტად დიდი მნიშვნელობა გააჩნია.

ამ დანაშაულის კვალიფიციური მხარე გამოიხატება, როდესაც დამნაშავე აგრესიული ომის გაჩაღებისაკენ მოუწოდებს მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით ან იმ შემთხვევაში, როცა ამას აკეთებს ის, ვინც ითვლება სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირად.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს მიეკუთვნება პერიოდული გამოცემები, რადიო, ტელევიზია და ა.შ.

მასობრივი ინფორმაციის ცნების ქვეშ იგულისხმება მოწოდების გადაცემა განუსაზღვრელი ოდენობის ადამიანისათვის.

სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირებად ითვლებიან: პრეზიდენტი, სახელმწიფო მინისტრი, პარლამენტის წევრები, მინისტრები, საკონსტიტუციო და სასამართლოს წევრები და სხვა.

აგრესიული ომის გაჩაღების მოწოდება შეიძლება განხორციელდეს როგორც სპეციალური გადაცემების მოწყობით, ასევე სხვა ძირითად საკითხებზე თანდართვით. ამ მომენტს კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არ აქვს.

მასობრივი განადგურების იარაღის დამზადება, შეძენა ან გასაღება – მუხლი 406

მუხლი ერთი ნაწილისაგან შედგება. მისი დისპოზიცია ასეთი შინაარსის არის:

დამზადება, შეძენა ან გასაღება ქიმიური, ბაქტერიოლოგიური ან მასობრივი მოსპობის სხვა იარაღისა, რომელიც აკრძალულია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით.

კანონი გამოჰყოფს მასობრივი მოსპობის იარაღებისადმი დანაშაულებრივი დამოკიდებულების სამ სახეს. ესენია:

დამზადება;

შეძენა;

გასაღება.

ჩამოთვლილ ცნებათა რაობაზე ჩვენ წინა მუხლების განხილვის დროს ვისაუბრეთ.

საზოგადოებრივი საშიშროება იარაღის დამზადების, შეძენისა და გასაღებისა მდგომარეობს მასში, რომ ერთა თუ სახელმწიფოთა შორის კონფლიქტების წარმოშობის დროს იქმნება მათი გამოყენების რეალური შესაძლებლობა, რითაც საზოგადოებას და მის მიერ შექმნილ მრავალ სიკეთეს, ცხოველთა სამყაროს თუ მწვანე საფარს მასიური განადგურება ემუქრება.

ქიმიური იარაღების გამოყენება საომარი მოქმედების დროს ითვლება კანონსაწინააღმდეგო მოქმედებად ჯერ კიდევ 1925 წლიდან. 1993 წელს ხელმოწერილია კონვენცია ქიმიური იარაღების დამზადების, დამუშავების, დაგროვების, აკრძალვის თაობაზე. ,,1925 წლის 10 აპრილის ჟენევის კონვენციით საერთოდ აიკრძალა ბაქტერიოლოგიური იარაღის ყოველგვარი სახის წარმოება, დამზადება, შეგროვება, შენახვა და ა.შ.“[1]

მასობრივი დაზიანების და განადგურების ქიმიურ იარაღს განეკუთვნება სხვადასხვა კომპონენტებისაგან შემდგარი ქიმიური შენაერთი, რომელიც გამოიყენება სამხედრო საჭიროებისათვის, მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალის გასანადგურებლად. ეს იარაღები ხასიათდება დიდი მომწამვლელობით, რომელიც იწვევს ცოცხალი ძალის მწვავე დაზიანებას ან დაღუპვას, გააჩნია მრავალი სახის მავნე და სწრაფი ზემოქმედების უნარი, მკვეთრად იჭრება ტანსაცმელსა და კანში, ზემოქმედებს სასუნთქ ორგანოებზე, გამოირჩევა უსუნობითა და უფერობით.

მასიური დაზიანების ბიოლოგიურ იარაღში იგულისხმება ბაქტერიოლოგიური საშუალებანი, რომელიც განკუთვნილია საომარი მოქმედების დროს მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალისა და მშვიდობიანი მოსახლეობის მწვავედ დაავადებისათვის ჭოლერით, შავი ჭირით ყვავილით, ენცეფალიტით და ა.შ.

მასობრივი მოსპობის სხვა იარაღებში კანონმდებელი გუ-

1. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი, თბ., 1999, გვ. 34

ლისხმობს ყველა სახის მომწამლავ იარაღს, რომელიც ხასიათდება ცოცხალი ძალისა და ბუნების მასიური მოწამვლისა და განადგურების თვისებებით.

ობიექტი დანაშაულისა არის სახელმწიფოთა შორის მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპი.

ობიექტური მხარე გამოიხატება ქიმიური, ბიოლოგიური და სხვა მასობრივი დაზიანების იარაღების დამზადებაში, შეძენაში, გასაღებაში.

ამსრულებელი მოცემული დანაშაულისა შეიძლება იყოს სახელმწიფო თანამდებობის პირი — დიდმოხელე ან ნებისმიერი მოქალაქე.

სუბიექტური მხარე გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში.

გენოციდი — მუხლი 407

გენოციდი კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული ერთერთი უმძიმესი დანაშაულია. ის არის რასობრივი, ეროვნული თუ რელიგიური სიძულვილის მოტივებით მოსახლეობის ფიზიკური მოსპობა ან ცხოვრების ისეთ პირობებში ჩაყენება, რაც მათ განადგურებას გამოიწვევს. დამნაშავის მოქმედება უკავშირდება რეაქციულ თეორიებს, რომლებიც ქადაგებენ რასობრივ და ეროვნულ სიძულვილს, ე. წ. უმაღლესი რასის გაბატონებას „დაბალ“ რასაზე და ა.შ. გენოციდის განუმეორებელი მაგალითია ჰიტლერელებისაგან ებრაელი ერის ათასობით ადამიანის განადგურება,ქართული მოსახლეობის ქლეტა აფხაზეთის ტერიტორიაზე.

„პასუხისმგებლობა გენოციდისათვის გათვალისწინებულია ნიურნბერგისა და ტოკიოს საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალების წესდებებით და სპეციალური კონვენციით „გენოციდის დაუშვებლობის, თავიდან აცილებისა და მისი დასჯადობის შესახებ“ (მოიწონა გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 1998 წლის 9 დეკემბერს).

მუხლი ერთი ნაწილისაგან შედგება. მისი დისპოზიცია ასეთი შინაარსის არის:

„გენოციდი, ესე იგი, ქმედება ჩადენილი შეთანხმებული გეგმის განსახორციელებლად რომელიმე ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური ანდა სხვა რაიმე ნიშნით გაერთიანებული ჯგუფის მთლიანად ან ნაწილობრივ მოსასპობად, რაც გამოიხატა ასეთი ჯგუფის წევრთა მკვლელობით, მათი ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებით, განზრახ ცხოვრების მძიმე პირობებში ჩაყენებით, შობადო-

ბის ძალით შემცირებით ან ბავშვის იძულებით გადაცემით ერთი ეთნიკური ჯგუფიდან მეორეში".

გენოციდი, მიუხედავად იმისა, ჩაიდინება ომის თუ მშვიდობის დროს, წარმოადგენს დანაშაულს, რომელიც არღვევს საერთაშორისო სამართლის ნორმებს. მის წინააღმდეგ საბრძოლველად მტკიცე ვალდებულება ეკისრება ყველა სახელმწიფოს. გენოციდის საზოგადოებრივი საშიშროება მდგომარეობს მასში, რომ ამ დანაშაულის შედეგად სრულად ან ნაწილობრივ წყდება ხალხის ან ერის ან რელიგიური ჯგუფის არსებობა, სასტიკად ირღვევა 1948 წლის 10 დეკემბერს გაეროს გენერალურ ასამბლეაზე მიღებული დეკლარაცია ადამიანთა სიცოცხლისა და ყოფის დაცვის შესახებ.

ობიექტურის მხრივ, დანაშაული ჩადენილად ჩაითვლება, თუ ერთი მოქმედებიც კი აღსრულდა მათგან, რაც დისპოზიციაშია მოცემული. კერძოდ: ადამიანთა ჯგუფის სრული ან ნაწილობრივი განადგურება ეროვნული, რასობრივი, ეთნიკური ან რელიგიური ნიშნის მიხედვით.

ადამიანთა გარკვეულ ერთიანობის, ჯგუფის სხეულის მძიმე დაზიანება იმავე ნიშნის მიხედვით.

შობადობის იძულებით შემცირება. ძალით გადაცემა ბავშვებისა მშობლიური ეროვნებიდან სხვა ერებზე, რათა ისინი გაითქვიფონ სხვა ტრადიციებსა, ზნეჩვეულებასა და რელიგიაში და დაივიწყონ თავისი.

დანაშაულებრივი მოქმედების შედეგი, რომელიც თან ახლავს გენოციდს, არის წინასწარგანსაზღვრული და მომზადებული მოქმედება, რომელიც ანადგურებს ადამიანთა ეროვნულ ან სხვა ერთიანობას მათი ფიზიკური დაზიანებით, მშობლებისადმი იმის შესაძლებლობის ჩამორთმევით, რომ აღზარდონ და კვებონ შვილები, გასცალონ მამაკაცები და ქალები განაყოფიერება-გამრავლების თვისებებისაგან და ა.შ.

ეროვნულ ჯგუფებში იგულისხმებიან ადამიანები, რომლებიც მიეკუთვნებიან გარკვეულ ეროვნებას, მიუხედავად იმისა, თუ რომელ ტერიტორიაზე ცხოვრობენ ისინი. ეროვნების ცნებაში იგულისხმება ისტორიულად ჩამოყალიბებული ადამიანთა წრე, ჯგუფი, რომელიც ხასიათდება ენის ერთიანობით და თავისებურებით, კულტურით, მუდმივი საცხოვრებელი ადგილით და სხვა საყოფაცხოვრებო ჩვევებითა და ტრადიციებით. ეთნიკურ ჯგუფებში იგულისხმება ადამიანთა ის ჯგუფი, რომელიც მიეკუთვნება ამა თუ იმ ხალხთა წრეს.

რასობრივი ჯგუფები არიან ადამიანთა ის წრეები, რომლებსაც თავისი გარეგნული აღწერილობით (კანის ფერით, თმებით, თვალებით, თავის მოხაზულობით, სიმაღლით და ა.შ.) და სხვა ისტორიული, ინდივიდუალური კუთვნილებით თავიანთი დამოუკიდებელი სახე გააჩნიათ.

რელიგიური ჯგუფი — ეს არის ადამიანთა გარკვეული საზოგადოება, რომელსაც აქვს თავისი რელიგიური რწმენა, მკვეთრად განსხვავებული იმ რელიგიისაგან, რომელიც დომინირებს მათ საცხოვრებელ ქვეყანაში.

გამრავლების იძულებითი შეწყვეტის დროს დამნაშავე ჩადის ადამიანთა კანონსაწინააღმდეგო კასტრაციასა და სტერილიზაციას, ქალთა ფეხმძიმობის მოშლას და სხვა დანაშაულებრივ საქციელს, რომელიც აფერხებს ან სრულიად წყვეტს ადამიანთა შობადობას.

ბავშვთა იძულებითი გადაცემის დროს დამნაშავის მიზანია, გააქროს მასში ინდივიდუალური ნაციონალური წარმომნაქმნი, რასაც იგი ახერხებს ბავშვის დედისაგან იძულებით მოწყვეტით და მის სხვა გარემოში, სხვა ერის წარმომადგენლად გაზრდით.

ადამიანთა იძულებით გადასახლებას დამნაშავე ჩადის იმის გათვალისწინებით, რომ მისთვის საძულველი ერი, ჯგუფი თუ სხვა საცხოვრებლად გადაიყვანოს იმ ადგილებში, სადაც არ არის მათთვის ხელსაყრელი ბუნებრივი კლიმატური პირობები, რის გამოც იწყება ამ ადამიანთა დაავადება და დაღუპვა.

ცხოვრების მძიმე პირობების განზრახ შექმნაში კანონმდებელი გულისხმობს დამნაშავისაგან წინასწარ განზრახულ და დაგეგმილ ისეთი ღონისძიებების გატარებას, რომელიც იწვევს ადამიანთა გარდაუვალ დაღუპვას: ბუნებრივი პირობების მოწამვლა-დაავადება, ქიმიური ან ბიოლოგიური შეწამვლა საკვები პროდუქტებისა და წყლისა, აუცილებელი სამეურნეო და შემოქმედებითი სამუშაოების მნიშვნელოვანი შეზღუდვა და ა.შ.

დანაშაული დამთავრებულად ითვლება კანონში ჩამოთვლილი გენოციდის შემადგენელ ნაწილად მიჩნეული მოქმედებების შედეგების დადგომისთანავე.

დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების სათავეებში მყოფი თანამდებობის პირი ან რომელიმე ეროვნული ჯგუფის ლიდერი.

სუბიექტური მხრივ, დანაშაული გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში.

დანაშაული ადამიანურობის წინააღმდეგ – მუხლი 408

კანონმდებლობაში მუხლის შემოღება განაპირობა მე-19 საუკუნის ბოლო წლების მსოფლიოსა და საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმა. საერთაშორისო ჰუმანიტარულმა სამართალმა გარკვეული ნაბიჯები გადადგა შეიარაღებული კონფლიქტების დროს შექმნილი სიტუაციების მოწესრიგებისათვის. ,,თუკი წარმოიქმნება შეიარაღებული კონფლიქტი ორ ან მეტ სახელმწიფოს შორის, ჰუმანიტარული სამართალი ავტომატურად იწყებს მოქმედებას. ჰუმანიტარული სამართლის ძალაში შესვლისათვის ერთადერთი პირობაა შეიარაღებული კონფლიქტი".

408-ე მუხლის შემოღების მიზანი ისაა, რომ დღეს, შეიარაღებული კონფლიქტების დროს, ცოტა როდია შემთხვევები, როდესაც ერთერთი ან ორივე მხარე ახდენს სამოქალაქო მოსახლეობასა ან სამოქალაქო პირებზე გამუდმებულ ფართომასშტაბიან თავდასხმებს.

,,საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის შესაბამისად პირებს, რომლებიც საომარ მოქმედებაში უშუალო მონაწილეობას არ იღებენ, აქვთ მათი სიცოცხლის პატივისცემის, აგრეთვე ფიზიკური და ფსიქიკური ხელშეუხებლობის უფლება. ისინი ყველა გარემოებაში უნდა სარგებლობდნენ დაცვითა და ჰუმანური მოპყრობით".[1]

განსახილველი მუხლი ერთი ნაწილისაგან შედგება, მისი შინაარსი ასეთია:

,,დანაშაული ადამიანურობის წინააღმდეგ, ესე იგი, ნებისმიერი ქმედება, ჩადენილი სამოქალაქო მოსახლეობაზე ან პირებზე ფართომასშტაბიანი ან სისტემატური თავდასხმის ფარგლებში, რაც გამოიხატა მკვლელობით, ადამიანთა მასობრივი განადგურებით, დეპორტაციით და სხვა არაჰუმანური ქმედებით, რომელიც სერიოზულ ზიანს აყენებს ადამიანის ფიზიკურ და ფსიქიკურ მდგომარეობას".

კანონი მწვავე ბრძოლას უცხადებს იმ პირებს, რომლებიც საბრძოლო ოპერაციებს აწარმოებენ მათ მიმართ, ვინც არ არიან ჩაბმული ბრძოლებში (მშვიდობიან მოსახლეობას, ტყვეებს და ა.შ.).

როგორც ვხედავთ, მუხლი (კანონი) კრძალავს სამოქალაქო მოსახლეობაზე თავდასხმას და იმ იარაღების ხმარებას, რომელიც განურ-

1. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი, თბ., 1999, გვ. 34

ჩევლად ანადგურებს სამხედრო და სამოქალაქო ობიექტებს. სამოქალაქო მოსახლეობას. ასევე აკრძალულია ისეთი იარაღების ან ჭურვების გამოყენება. რომლებიც თავიანთი ბუნებით ჰარბი ტანჯვის გამომწვევია.

ფართომასშტაბიანი თავდასხმის ფარგლებად ითვლება მიწის ვრცელი ტერიტორიის დაბომბვა ან ერთი დაბომბვით ვრცელ ტერიტორიაზე ნათესების. სამრეწველო ობიექტების და მოსახლეობის განადგურება.

სისტემატურ თვადასხმებში კანონმდებელი გულისხმობს თავდასხმის რამდენჯერმე განმეორებას მცირე პერიოდის გამოტოვებით. როდესაც ასეთი თავდასხმები ადამიანთა მკვლელობით ან მასობრივი განადგურებით ხასიათდება.

დეპორტაციაში იგულისხმება მტრის მიერ დაპყრობილი ტერიტორიიდან ადგილობრივი. მკვიდრი მოსახლეობის გაძევება.

დანაშაულის სუბიექტი არის ომის მწარმოებელი პირი.

სუბიექტური მხარე გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში.

დანაშაულის ობიექტი არის ხალხი. ხალხთა მასები.

ობიექტური მხარე გამოიხატება ადამიანთა მიმართ ფართომასშტაბიან თავდასხმებსა და განადგურებაში.

ეკოციდი – მუხლი 409

განსახილველი მუხლის შინაარსი ასეთია: ..ეკოციდი. ესე იგი ატმოსფეროს. მიწის. წყლის რესურსების მოწამვლა. ცხოველთა ან მცენარეული სამყაროს მასობრივი განადგურება. ანდა სხვა ქმედება. რასაც შეეძლო ეკოლოგიური კატასტროფა გამოეწვია".

პარლამენტის მიერ 1995 წელს მიღებული გარემოს დაცვის კანონი აღნიშნავს. რომ ბუნება და მისი სიმდიდრე წარმოადგენს ხალხის საერთო საკუთრებას. რომელიც აუცილებელი პირობაა ადამიანთა ეკონომიკური სიმდიდრისა და კეთილდღეობისა. ამავე კანონში მითითებულია. რომ ყოველი მოქალაქე კალდებულია. დაიცვას ბუნება დამაზიანებელი ან გამანადგურებელი ხელყოფისაგან. რითაც უნდა იქნეს ის გამოწვეული – სამეურნეო საქმიანობით. მტრული დამოკიდებულებით თუ სტიქიური ზემოქმედებით.

თანამედროვე ეკოლოგიის მთავარი მიზანია ცოცხალი და არა-

ცოცხალი ბუნების ფუნქციური ურთიერთდამოკიდებულების შესწავლა. ტერმინის – ეკოლოგიის პირველი განმარტება მოგვცა გერმანელმა მეცნიერმა ჰეკელმა 1866 წელს. ამ დარგს მრავალი შრომა მიეძღვნა და კვლავაც გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობს ბუნების საიდუმლო სივრცეების შესაცნობად. მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, ადამიანთა ცალკეული პირები ან დაჯგუფებანი დანაშაულებრივად ხელყოფენ ბუნების მაცოცხლებელ ძალებს, რითაც დიდად აზიანებენ საზოგადოებრივი ყოფიერების ამ მნიშვნელოვან სფეროს.

1996 წლის 10 ოქტომბრის „გარემოს დაცვის კანონი“ 45-ე მუხლში განმარტავს, რომ „ბუნებრივი ეკოსისტემები, ლანდშაფტები და ტერიტორიები დაცული უნდა იყოს დაბინძურების, დარღვევის, დაზიანების, დეგრადაციის, გამოფიტვისა და დაშლისაგან“.

ეკოციდის საზოგადოებრივი საშიშროება მდგომარეობს მასში, რომ იგი აზიანებს ადამიანთა სასიცოცხლო გარემოს.

ობიექტური მხარე მოცემული დანაშაულისა გამოიხატება მასში, რომ ის მასიურად ანადგურებს მცენარეთა და ცხოველთა სამყაროს, ატმოსფეროსა და წყლის რესურსებს, იწვევს ეკოლოგიურ კატასტროფას.

მცენარეული სამყარო არის საქართველოს მიწა, რომელზედაც რეგიონების მიხედვითაა განლაგებული და ხარობს მცენარეთა ნაირსახეობანი თავისი სივრცითი სტრუქტურითა და დინამიკით.

ცხოველთა სამყარო არის საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ და განლაგებულ ცოცხალ ორგანიზმთა ერთიანობა – ყოველი სახის ცხოველი და ფრინველი, მუდმივად თუ დროებით მყოფი საქართველოს ტერიტორიაზე და წარმოადგენს ბუნებრივ რესურსს.

წყლის რესურსი არის მიწის ზედა და მიწისქვეშა წყლის მოცულობა, რომელიც გამოყენებულია ან გამოყენებული იქნება ადამიანთა სარგებლობისათვის.

ატმოსფერო ეს არის საჰაერო სივრცე, რომელიც გარს ერტყმის დედამიწის სიმრგვალეს და სასიცოცხლო პირობებს უქმნის დედამიწის ცოცხალ სამყაროს.

განსახილველი მუხლი დანაშაულებრივ ქმედებად მიიჩნევს გარემო ბუნების – ატმოსფეროს, წყლის რესურსის, მცენარეული საფარისა თუ ცხოველთა სამყაროს მასობრივ განადგურებას, რამაც შეიძლება ეკოლოგიური კატასტროფა გამოიწვიოს.

მცენარეთა და ცხოველთა სამყაროს განადგურებაში კანონმდებელი გულისხმობს საწარმოო ან სხვა მოქმედების შედეგად, გარკვეულ გეოგრაფიულ მონაკვეთში, ერთი ან მრავალი სახეობის მცენარეთა და ცხოველთა ფუნქციონირების შეწყვეტას.

ატმოსფეროსა და წყლის რესურსების მოწამვლაში იგულისხმება მათში ადამიანისა და სხვა ცოცხალი არსებების ჯანმრთელობის საწინააღმდეგო ქიმიური და ბიოლოგიური მავნებლების შერევა, ასევე — რადიაციული ნივთიერებებით გაჯერება-დაბინძურება.

ეკოლოგიურ კატასტროფაში კანონმდებელი გულისხმობს ბუნების წონასწორობის სერიოზულ დარღვევას, რომელიც ბუნებრივ განლაგებასა და სიცოცხლის პირობებს უსპობს ატმოსფეროს, მიწასა და მის ბინადარს გარკვეულ გეოგრაფიულ სივრცეში. მაგალითად, ჩერნობილის კატასტროფა.

ეკოციდი დამთავრებულად ითვლება მუხლში ჩამოთვლილი შემადგენლობებიდან რომელიმე შედეგის დადგომისთანავე (მცენარეთა ან ცხოველთა მასიური განადგურება, წყლის რესურსის მოწამვლა და ა.შ.).

ამსრულებელი დანაშაულისა შეიძლება იყოს საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების მოხელე ან სამხედრო თანამდებობის პირი.

სუბიექტური მხარე დანაშაულისა გამოიხატება როგორც პირდაპირ, ასევე არაპირდაპირ განზრახვაში.

ობიექტი დანაშაულისა არის გარემო, ბუნება.

ობიექტური მხარე გამოიხატება მის განადგურებაში ეკოლოგიურ კატასტროფამდე.

დაჭირავებულის მონაწილეობა შეიარაღებულ კონფლიქტში ან საომარ მოქმედებაში – მუხლი 410

განსახილველი მუხლი სამი ნაწილისაგან შედგება. მისი საზოგადოებრივი საშიშროება გამოიხატება მასში, რომ დამნაშავე თავისი ცხოვრების გარკვეული შემოსავლის წყაროდ ირჩევს, გაქირავებით მონაწილეობა მიიღოს რომელიმე ქვეყნის საბრძოლო მოქმედებაში, რომლის ტერიტორიაზედაც იგი არ ცხოვრობს და არც არავითარი ურთიერთობა მასთან არ გააჩნია.

ასეთი მოქმედება მეტად უზნეო და საშიში საქციელია, რამდენადაც დამნაშავე გამორჩენის მიღების მიზნით ანადგურებს იმ ადამიანთა სიცოცხლესა და სახალხო მეურნეობას, რომელთანაც მის ქვეყანას არავითარი კონფლიქტური სიტუაცია არ აქვს.

მუხლის პირველი ნაწილი ასეთი შინაარსის არის: „შეგროვება, გაწვრთნა, დაფინანსება ან სხვაგვარი მატერიალური უზრუნველყოფა დაქირავებულისა, აგრეთვე მისი გამოყენება შეიარაღებულ კონფლიქტში ან საომარ მოქმედებაში“.

კანონმდებელი დანაშაულს დამთავრებულად მიიჩნევს მუხლის პირველ ნაწილში ჩამოთვლილი მოქმედებისაგან თუნდაც ერთის განხორციელების შემთხვევაში.

დაქირავებულად მიიჩნევა პირი, რომელიც მატერიალური დაინტერესების საფასურად მონაწილეობს დამქირავებელი ქვეყნის სასარგებლოდ შეიარაღებულ კონფლიქტში ან საომარ მოქმედებაში.

ობიექტური მხრივ, დანაშაული გამოიხატება დასაქირავებელ პირთა შეგროვებაში, მათ საბრძოლო გაწვრთნაში, დაფინანსებაში ან სხვა მატერიალურ დაინტერესებაში ან მათ მონაწილეობაში შეიარაღებულ კონფლიქტსა თუ საომარ მოქმედებაში.

შეგროვებაში კანონმდებელი გულისხმობს ადამიანების გარკვეული ჯგუფის შერჩევას თავმოყრა-ქირავნობის მიზნით, რათა მათ მიიღონ მონაწილეობა დამქირავებლის მოპირისპირის წინააღმდეგ გამართულ კონფლიქტში ან საომარ მოქმედებაში. დამქირავებელი და დაქირავებული წინასწარ წერილობით არიან მოლაპარაკებულნი ბრძოლის პირობებისა და ქირავნობის ღირებულების თაობაზე.

სწავლებასა და წვრთნაში იგულისხმება დაქირავებულთა სპეციალური მომზადება ეფექტური და მიზანმიმართული ბრძოლისათვის (იარაღის ხმარება-დაუფლება, საბრძოლო, სამწყობრო და საცეცხლე მომზადება, საბრძოლო ოპერაციების დროული და მიზნობრივი ჩატარება და ა.შ.).

დაფინანსებაში კანონმდებელი გულისხმობს დაქირავებულის უზრუნველყოფას თანხით, ტანსაცმლით, საბრძოლო ტექნიკით, ტრანსპორტით და ა.შ.

დაქირავებულის გამოყენება შეიარაღებულ კონფლიქტში ან საომარ მოქმედებაში გულისხმობს მათთვის დავალების მიცემას, ჩაატარონ საბრძოლო ხასიათის ოპერაციები, როგორც საბრძოლო

მოქმედებათა რაიონში, ასევე მის ფარგლებს გარეთ, მოაწყონ აქციები, პროვოკაციები, ტერორი და ა.შ.

ამსრულებელი მოცემული დანაშაულისა შეიძლება იყოს როგორც სახელმწიფო, ასევე სამხედრო მმართველობის რწმუნებული, ან ამავე სამსახურის სხვა თანამდებობის პირი. სუბიექტური მხარე დანაშაულისა ხორციელდება პირდაპირი განზრახვით.

მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს, როცა იგივე ქმედება ჩადენილია სამსახურებრივი მდგომარეობით ან დამნაშავე დაიქირავებს არასრულწლოვანს. აქ თანამდებობის პირად იგულისხმება სახელმწიფო მოხელის სამსახურებრივი მდგომარეობა ან იმ პირის სამსახურებრივი მდგომარეობა, რომელიც ფლობს რომელიმე კომერციული ორგანიზაციის ხელმძღვანელ პოსტს.

მუხლის მესამე ნაწილი პასუხისმგებლობას აწესებს თვით იმ პირის მიმართ, რომელიც დაქირავებულია და უშუალო მონაწილეობას ღებულობს შეიარაღებულ კონფლიქტში ან საომარ მოქმედებაში. ამ დანაშაულის ამსრულებელი არის დაქირავებული მებრძოლი.

სუბიექტურის მხრივ, მოქმედება გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში.

მუხლში გათვალისწინებული დანაშაულის მაგალითს წარმოადგენს აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტის დროს აფხაზთაგან ჩეჩენი და რუსი მებრძოლების დაქირავება საქართველოს წინააღმდეგ, რის საფასურადაც დაქირავებულებმა მიიღეს ფულადი და მატერიალური გამორჩენა, მიწები, ბინები და ა.შ.

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების განზრახ დარღვევა შეიარაღებული კონფლიქტის დროს – მუხლი 411

„კაცობრიობა ოცდამეერთე საუკუნეს მრავალი პრობლემით ხვდება, რომელთა შორის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად უნდა ჩაითვალოს საერთაშორისო და არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების, ომების თავიდან აცილება, ხოლო კონფლიქტის წარმოშობისას – მისი სამართლებრივი რეგულირება ისე, რომ მინიმუმამდე იყოს დაყვანილი სისხლისღვრით გამოწვეული ტრაგიკული შედეგები, როგორც ბრძოლაში უშუალოდ მონაწილე პირთა, ასევე უიარაღო, მშვიდობიანი მოსახლეობისა“.[1]

1. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი, თბ., 1999, გვ. 8

მე-19-მე-20 საუკუნეებში ჩამოყალიბდა საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების მთელი სისტემა, რომელიც მიმართულია ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის მაქსიმალური დაცვისაკენ, ტყვეობაში თუ ოკუპირებულ ტერიტორიაზე ყოფნის დროს მისი უფლებების განსაზღვრისა და განმტკიცებისათვის.

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი საერთაშორისო სამართლის დამოუკიდებელი დარგია, იგი ცდილობს, შეამსუბუქოს ომის შედეგები, როგორც საომარი მოქმედების წარმოების მეთოდებისა და საშუალებების შეზღუდვით, ასევე მხარეების იძულებით, დაინდონ ის პირები, რომლებიც არ მონაწილეობენ საომარ მოქმედებებში.

საერთაშორისო სამართალს საფუძვლად უდევს ჰააგის, ჟენევისა და სხვა კონვენციები, რომლებმაც წლების განმავლობაში შეიმუშავეს ფართომასშტაბიანი გამანადგურებელი იარაღის აკრძალვის, მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვის, საზოგადოების სასიცოცხლო ობიექტების შენარჩუნებისა და სხვა ნორმები.

განსახილველი მუხლი ერთი ნაწილისაგან შედგება, რომელიც ჩამოთვლის საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმებს, რომელთა დარღვევაც სისხლის სამართლის დანაშაულად ითვლება. ესენია:

ა) სამოქალაქო მოსახლეობაზე ან სამოქალაქო პირებზე თავდასხმა. ეს იმას ნიშნავს, რომ ომის მსვლელობაში მონაწილე შეიარაღებულ ძალებს უფლება არ აქვთ, თავს დაესხან და ცეცხლი დაუშინონ მოსახლეობას ან კერძო პირს, რომელიც არ არის ჩაბმული საომარ მოქმედებაში.

საომარ მოქმედებად ითვლება არა მარტო საბრძოლო გამანადგურებელი ოპერაციების წარმოება და მასში მონაწილეობა, არამედ ისეთ სამხედრო ნაწილებში სამსახური, რომელიც უშუალოდ არ ასრულებს საბრძოლო დავალებებს, მაგრამ ჩართულია ომის წარმოებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში (მებრძოლებზე საკვების, მედიკამენტების, ტანსაცმელის მიწოდება, ავტომანქანების შეკეთება, საწვავით მომარაგება და ა.შ.).

ბ) სამოქალაქო მოსახლეობაზე ან სამოქალაქო ობიექტებზე განურჩეველი თავდასხმა, როცა ცნობილია, რომ ეს გამოიწვევს მსხვერპლს სამოქალაქო მოსახლეობაში ან დააზიანებს სამოქალაქო ობიექტებს.

სამოქალაქო ობიექტებად კანონმდებელი მიიჩნევს სკოლებს, ეკლესიებს, იმ საწარმოო ერთეულებს, რომელიც ემსახურება ქალაქისა და სოფლის მოსახლეობას, უზრუნველყოფს კვების პროდუქტებით, ენერგორესურსებით, წყლით და ა.შ.

გ) მომეტებული საშიშროების შემცველ ნაგებობაზე ან დანადგარზე თავდასხმა, როცა ცნობილია, რომ ეს გამოიწვევს მსხვერპლს სამოქალაქო მოსახლეობაში ან დააზიანებს სამოქალაქო ობიექტებს.

ასეთ ობიექტებად ითვლება: ატომური ელექტროსადგურები, ნავთობსაბადოები, კაშხლები და სხვა, რომელთა დანგრევა-დაშლას შეიძლება მოჰყვეს ცოცხალი ორგანიზმების რადიაციული მოწამვლა ან წყლისა და მწვანე საფარის განადგურება.

დ) დაუცველ ადგილზე ან დემილიტარიზებულ ზონაზე თავდასხმა.

დემილიტარიზებულ ზონად ითვლება ხელშეკრულებით ან შეთანხმებით დადგენილი ტერიტორიის ნაწილი, ზოლი ორი სახელმწიფოს საზღვრის გასწვრივ, სადაც აკრძალულია სამხედრო ძალების ყოფნა.

ე) პირზე თავდასხმა, როცა ცნობილია, რომ მან შეწყვიტა საომარ მოქმედებაში მონაწილეობა.

ვ) წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის ანდა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მიერ აღიარებული, სხვა დაცვითი ნიშნის ან სიგნალის ვერაგულად გამოყენება.

ვერაგულ გამოყენებაში იგულისხმება საბრძოლო საშუალებების შენილბვა, წითელი ჯვრისა და ნახევარმთვარის, ასევე სხვა ჰუმანიტარული ნიშნებით, რითაც მტერი თვალთმაქცურად აჩვენებს თავს, როგორც ჰუმანიტარული ქველმოქმედების განმახორციელებელი, რითაც იგი ატყუებს მოწინააღმდეგეს, შედის გარკვეულ ტერიტორიებზე და ახორციელებს ცოცხალი ძალისა თუ სხვა სიკეთის გამანადგურებელ ქმედებას.

ზ) ოკუპანტი ქვეყნის მიერ თავისი სამოქალაქო მოსახლეობის ოკუპირებულ ტერიტორიაზე გადაყვანა, ანდა ოკუპირებული ქვეყნის სამოქალაქო მოსახლეობის ან სამოქალაქო პირების დეპორტიზაცია ან სხვაგვარი არამართლზომიერი გასახლება ამ ტერიტორიის ფარგლებში ან მის გარეთ.

დისპოზიციის ამ ნაწილის შინაარსი ასე გაიგება: დამპყრობელი ქვეყნის ხელმძღვანელობას თავისი მოსახლეობა გადაჰყავს

საცხოვრებლად დაპყრობილი ქვეყნის ტერიტორიაზე.

დაპყრობილი ქვეყნის სამოქალაქო მოსახლეობის დეპორტაციაში იგულისხმება, დამპყრობლის მიერ დაპყრობილი ტერიტორიიდან მკვიდრი მოსახლეობის გაძევება და სხვა ადგილას იძულებით გადასახლება.

„ან სხვაგვარ არამართლზომიერ გასახლებაში იმავე ტერიტორიის ფარგლებში“ – იგულისხმება იმავე ქვეყნის ტერიტორიაზე, მაგრამ სხვა გეოგრაფიულ მონაკვეთში, სხვა რაიონში გასახლება.

თ) სამხედრო ტყვეების ან სამოქალაქო პირების რეპატრიაციის უსაფუძვლოდ შეფერხება.

ეს იმას ნიშნავს, რომ დამპყრობელი აღარ აბრუნებს საკუთარ სამშობლოში ტყვედ წაყვანილ სამხედრო და სამოქალაქო პირებს, მიუხედავად იმისა, რომ საამისო პირობა არ არსებობს.

ი) აპარტეიდი ან რასობრივ დისკრიმინაციაზე დაფუძნებული სხვა არაჰუმანური მოქმედება, რომელიც ამცირებს ადამიანის ღირსებას.

აპარტეიდი ფრანგული სიტყვაა და ცალ-ცალკე ცხოვრებას ნიშნავს. ჩვენს შემთხვევაში იგი უნდა გავიგოთ ისე, რომ დამპყრობელი აპარტეიდს იყენებს როგორც რასობრივი დისკრიმინაციის ერთ-ერთ სახეობას. კერძოდ: ადამიანები განცალკევებულნი, იზოლირებულნი, მოკლებულნი არიან ცხოვრების საერთო რიტმს, კულტურას, მშვენიერებას, პოლიტიკურ უფლებებს, თავისუფლებას და ა.შ.

კ) ისტორიულ ძეგლზე, ხელოვნების ნიმუშზე ან საკულტო ადგილზე, როგორც ხალხთა კულტურული მემკვიდრეობის ნაწილზე თავდასხმა, რამაც მისი განადგურება გამოიწვია.

ამ პუნქტით კანონმდებელი იცავს ისეთ ისტორიულ ძეგლებსა და ხელოვნების ნიმუშებს, რომლებიც არა მარტო ამ ქვეყნის, არამედ მსოფლიო კაცობრიობის კულტურის ძეგლებს წარმოადგენენ.

მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს მაშინ, თუ დამნაშავე განზრახ დაარღვევს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმებს საერთაშორისო ან შიდასახელმწიფოებრივი შეიარაღებული კონფლიქტების დროს, რაც გამოიხატება იმაში, რომ დამნაშავე ხელყოფს იმ პირებს, რომლებიც არ

მონაწილეობენ საომარ მოქმედებებში ან არ აქვთ თავდაცვის საშუალება ან ასეთი ხელყოფა მიმართულია დაჭრილთა, ავადმყოფთა, სამედიცინო და სასულიერო პერსონალის, სანიტარული ნაწილების, სანიტარული სატრანსპორტო საშუალებების, სამხედრო ტყვეების, სამოქალაქო პირების, სამოქალაქო მოსახლეობის, დევნილების, აპარტეიდების, დაცვით მოსარგებლე სხვა პირების წინააღმდეგ. ამ დანაშაულებრივ ხელყოფაში კანონმდებელი გულისხმობს:

ა) განზრახ მკვლელობას, რომელიც გამოწვეულია მსხვერპლთა ეროვნული სიძულვილისა.

ბ) წამებას ან სხვა არაჰუმანურ მოპყრობას (მტანჯველ შრომას, ცხოველურ ექსპლოატაციას და ა.შ.), მათი სხეულის სამედიცინო ექსპერიმენტისათვის გამოყენებას და სხვა.

გ) განზრახ მძიმე ტანჯვას ან სერიოზულ ტრავმა, რაც საფრთხეს უქმნის პირის ფიზიკურ და ფსიქიკურ მდგომარეობას.

დ) სამხედრო ტყვის ან დაცვით მოსარგებლე სხვა პირის იძულებას, იმსახუროს მოწინააღმდეგის შეიარაღებულ ძალებში.

ე) სასამართლოს მიერ საქმის მიუკერძოებლად წარმოების უფლების ჩამორთმევას სამხედრო ტყვეებისათვის ან დაცვით მოსარგებლე სხვა პირებისათვის.

ვ) დაცვით მოსარგებლე პირის დეპორტაციას ან სხვაგვარ არამართლზომიერ გასახლებას, ანდა დაპატიმრებას.

ზ) მძევლად აყვანას.

თ) თვითნებურ და ფართომასშტაბიან ნგრევას ან ქონების მითვისებას, რაც არ იყო გამოწვეული აუცილებლობით.

თვითნებური ნგრევა ნიშნავს ფიზიკური პირის ამგვარ ქმედებას პირადი სურვილით, რაც დაკავშირებული არ არის გეგმიურ საბრძოლო მოქმედებასთან.

დანაშაულის ობიექტი არის დაპყრობილი ტერიტორიების მოსახლეობა, სამხედრო პირები, ისტორიულ-კულტურული ძეგლები, სიმდიდრე და სხვა.

ობიექტური მხარე გამოიხატება დაპყრობილთა და დატყვევებულთა მოკვლასა თუ წამებაში, ან მატერიალური ობიექტების დარბევა-დანგრევაში.

დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს ის ოკუპანტი, ვისაც შეუძლია ასეთ დანაშაულობათა ჩადენა.

სუბიექტური მხარე მდგომარეობს განზრახ ბრალში. დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ მისი მოქმედება არ არის გამოწვეული საბრძოლო აუცილებლობით, იცის, რომ საერთაშორისო ჰუმანიტარული ნორმების მიხედვით აკრძალულია დაპყრობილი ტერიტორიის მშვიდობიანი მოსახლეობის დეპორტაცია, მათი მოკვლა თუ წამება, ისტორიულ-კულტურული ძეგლების განადგურება და სხვა დანაშაულებრივი საქციელი, მაგრამ მაინც ჩადის ასეთს და სურს იგი.

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების განზრახ დარღვევა სახელმწიფოთაშორისი ან შიდასახელმწიფოებრივი შეიარაღებული კონფლიქტის დროს, ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნით ან ფიზიკური დასახიჩრებით – მუხლი 412

წინა მუხლების განხილვის დროსაც აღვნიშნეთ, რომ საერთაშორისო სამართალი მტკიცედ იბრძვის ომების ტრადიციული ნორმების დარღვევის წინააღმდეგ, რაც ხშირად გამოიხატება დაპყრობილი ტერიტორიის მშვიდობიანი მოსახლეობის დევნასა და განადგურებაში, ისტორიული და კულტურული ძეგლების ნგრევასა და სხვა სამართლებრივი პრინციპების უგულებელყოფაში.

ფართოდ არის ცნობილი, რომ „1949 წლის 12 აგვისტოს შვეიცარიის კონფედერაციის მიერ ჟენევაში მიწვეულმა 48 სახელმწიფოს წარმომადგენლებმა ერთხმად მიიღეს ოთხი კონვენცია (სახელმწიფოთა შორის დადებული ხელშეკრულება) ომის მსხვერპლთა დაცვის შესახებ. ამ კონვენციებიიდან სამი ეძღვნება ცნობილ საკითხებს: სამხედრო ტყვეების, დაჭრილების, ავადმყოფების, ხომალდის კატასტროფაში მოყოლილ პირთა, ასევე სამოქალაქო მოსახლეობის დაცვას თვითნებობისა და ძალადობისაგან, რომლებიც მოწინააღმდეგის ხელში აღმოჩნდებიან".[1]

მომდევნო წლებში ჟენევის კონვენციები უფრო ფართოდ აღიარებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებად იქცა. დღეს 175-მა სახელმწიფომ, თითქმის მთელმა საერთაშორისო თანამეგობრობამ იკისრა მათი შესრულება.

1. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი, თბ., 1999, გვ. 27

სწორედ ამ საერთაშორისო ღონისძიების მხარდაჭერის გამოხატულებაა განსახილველი მუხლიც. მისი დისპოზიცია ერთი ნაწილისაგან შედგება და ასეთი შინაარსისაა:

„მოწინააღმდეგე მხარის ხელისუფლების დაცვით მოსარგებლე დაკავებული ან სხვაგვარად თავისუფლებააღკვეთილი პირის მიმართ ისეთი სამედიცინო პროცედურის ჩატარება, რომელსაც არ მოითხოვს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა და რომელიც არ შეესაბამება საყოველთაოდ აღიარებულ სამედიცინო ნორმებს, თუნდაც ამ პირის თანხმობით“. კერძოდ:

ა) ისეთი მოქმედება, რომელმაც გამოიწვია ფიზიკური დასახიჩრება;

ბ) სამედიცინო ან სამეცნიერო ექსპერიმენტის ჩატარება;

მაგალითად, ცდების ჩატარება იმაზე, თუ როგორ ბიოლოგიურ გავლენას ახდენს ადამიანზე საკვებისა და წყლის მიუცემლობა, ცხოველის (მაიმუნის) სისხლის შეშხაპუნება და ა.შ.

გ) გადანერგვისათვის ოპერაციის ჩასატარებლად ადამიანის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის აღება (კანის, თვალის, თირკმლის გადანერგვა და ა.შ.).

დანაშაულის ობიექტი არის იმ პიროვნებათა სიცოცხლე და ჯანმრთელობა, რომლებიც იმყოფებიან დამპყრობელთა პატიმრობასა თუ ტყვეობაში.

ობიექტური მხარე გამოიხატება მათი სხეულის დასახიჩრებაში სამედიცინო და სამეცნიერო ექსპერიმენტებისათვის.

ამსრულებელი არის დამპყრობელი ქვეყნის წარმომადგენელი, რომელიც ამგვარ სამეცნიერო და ექსპერიმენტულ სამუშაოებს ატარებს.

სუბიექტური მხარე გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში.

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების სხვა დარღვევა – მუხლი 413

განსახილველი მუხლი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას აწესებს საერთაშორისო ჰუმანიტარული ნორმების ისეთი დარღვევისათვის, როგორიც არის:

ა) მაროდიორობა, ესე იგი, საომარი მოქმედების დროს მოკლუ-

ლის ან დაჭრილის ნივთზე დაუფლება, აგრეთვე მოქალაქეთა იმ ქონების დაუფლება, რომელიც დატოვებულია საომარი მოქმედების ზონაში.

ბ) მოქალაქეთა გამოყენება ჯარის ან ობიექტის სამხედრო ოპერაციისაგან დასაცავად.

გ) სამხედრო ოპერაციაში ან შეიარაღებულ კონფლიქტში ისეთი საშუალებების, მასალის ან მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენება, რომელიც აკრძალულია საერთაშორისო ხელშეკრულებით.

შევეცდებით თითოეული პუნქტის განხილვას.

მაროდიორი ფრანგული სიტყვაა და იმ დამნაშავეს ნიშნავს, რომელიც ფრონტზე მოკლულებსა და დაჭრილებს ძარცვავს. მაროდიორად ითვლება ისიც, ვინც საომარი მოქმედების შედეგად განდევნილი მოსახლეობის მიერ მიტოვებულ ქონებას იპარავს.

დამნაშავე ბრძოლის დროს ან ბრძოლის ცეცხლის ჩაწელების შემდეგ იპარავს ნივთებს, ტანსაცმელს, საკვებს და ა.შ. ან შედის იმ ბინებში, სათავსოებსა და საცავებში, რომლებიც მიტოვებულია ომისაგან განდევნილი მოსახლეობის მიერ და იტაცებს სხვის ქონებას.

მოქალაქეთა გამოყენება ჯარის ან ობიექტების სამხედრო ოპერაციებისაგან დასაცავად მდგომარეობს მასში, რომ დამნაშავე საბრძოლო შეტევების დროს მოქალაქეთა მასას (რომელსაც შეიარაღება და ბრძოლის გამოცდილება არ გააჩნია) იყენებს ფარად, რათა თავიდან იქნეს აცილებული რეგულარული არმიის წევრთა განადგურება ან ობიექტების დანგრევა.

მასობრივი განადგურების იარაღებად (რომელიც აკრძალულია საერთაშორისო ხელშეკრულებით) მიჩნეულია ისეთი იარაღები და საბრძოლო მასალები, რომლებიც განურჩევლად ანადგურებენ სამხედრო და სამოქალაქო ობიექტებს, სამოქალაქო მოსახლეობას ან რომლებიც ტანჯვა-წამების გამომწვევია. ჰანს პეტერ გასერი — საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სახელმძღვანელოს ავტორი — აღნიშნავს, რომ ეს ნორმა ხშირად არასწორად ესმით და ცინიკურად მიიჩნევენ, რადგან ნებისმიერი ტანჯვა გადაჭარბებულიაო.

ოპონენტთა შენიშვნა, ვფიქრობთ, ალბათ მართალიცაა.

კანონი ძირითადად კრძალავს ისეთი იარაღებისა და საბრძოლო მასალის გამოყენებას, რომლებსაც მასობრივი განადგურების უნარი გააჩნიათ და რომლებიც „განურჩეველი მოქმედების მქონედ

ითვლებიან", აქ იგულისხმება ისეთი იარაღები და საბრძოლო მასალები, რომლებიც განურჩევლად ანადგურებენ სამხედრო და სამოქალაქო ობიექტებს, სამოქალაქო მოსახლეობას.

1868 წელს სანკტ-პეტერბურგის დეკლარაციით აიკრძალა ადვილადფეთქებადი საბრძოლო მასალების გამოყენება. 1899 წელს ჰააგის პირველმა სამშვიდობო კონფერენციამ უკანონოდ სცნო საწამლავებისა და მომწამვლელი იარაღების გამოყენება.

1907 წელს ჰააგის მეორე სამშვიდობო კონფერენციამ მიიღო საზღვაო ომის წარმოების შეზღუდვები დანაღმვასთან დაკავშირებით, მათი დებულებებით აკრძალულია მცურავი ნაღმები. აკრძალულად ითვლება ისეთი ნაღმების გამოყენება, რომლის ნამსხვრევებიც არ არის აღმოჩენადი ადამიანის ორგანიზმში.

ჟენევის 1925 წლის კონვენციით აიკრძალა ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენება და სხვა მრავალი.

დანაშაულის ობიექტი არის ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა, ასევე — მცენარეთა და ცხოველთა სამყარო.

ობიექტური მხარე გამოიხატება ცოცხალი ორგანიზმების მოწამვლა-განადგურებაში.

დანაშაულის ამსრულებელია ის, ვინც იყენებს ასეთ მასობრივი განადგურების იარაღს.

სუბიექტური მხარე გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში.

ს ა რ ჩ ე ვ ი

რედაქტორისაგან 3

შ ე ს ა ვ ა ლ ი - სისხლის სამართალი დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი იარაღია .

სისხლის სამართლის კერძო ნაწილი 4

დანაშაულის კვალიფიკაცია 10

სისხლის სამართლის კერძო ნაწილის სისტემა 13

VII ᲙᲐᲠᲘ - ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ

მე-19 თავი - დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ 17

განზრახ მკვლელობა – მუხლი 108 20

განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში – მუხლი 109 21

მკვლელობა მსხვერპლის თხოვნით – მუხლი 110 40

განზრახ მკვლელობა უეცარი ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში – მუხლი 111 41

დედის მიერ ახლშობილის განზრახ მკვლელობა – მუხლი 112 45

მკვლელობა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით – მუხლი 113 47

მკვლელობა დამნაშავის შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილებით – მუხლი 114 49

თვითმკვლელობამდე მიყვანა – მუხლი 115 51

სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით – მუხლი 116 53

მე-20 - თავი დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ (მოკლე მიმოხილვა) 55

ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება – მუხლი 117 58

ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება – მუხლი 118 63

ჯანმრთელობის დაზიანება სასიკვდილო შედეგით – მუხლი 119 65

ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება – მუხლი 120 66

ჯანმრთელობის განზრახ მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება უეცარი ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში – მუხლი 121 67

ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით – მუხლი 122 68

ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება დამნაშავის შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილებით – მუხლი 123 69

ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება გაუფრთხილებლობით – მუხლი 124 70

ცემა – მუხლი 125 71

წამება – მუხლი 126 73
21-ე თავი - ადამიანის სიიცოცხლისა ან ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნა (ზოგადი მიმოხილვა) 75
სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენება – მუხლი 127 77
განსაცდელში მიტოვება – მუხლი 128 78
დაუხმარებლობა – მუხლი 129 79
ავადმყოფის განსაცდელში მიტოვება – მუხლი 130 80
შიდსის შეყრა – მუხლი 131 81
განსაკუთრებით საშიში ინფექციური დაავადების შეყრა – მუხლი 132 83
უკანონო აბორტი – მუხლი 133 85
ადამიანის ორგანოს ან ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის აღების იძულება – მუხლი 134 86
სისხლით ან სისხლის კომპონენტებით უკანონო ვაჭრობა – მუხლი 135 88
გენეტიკური მანიპულაცია – მუხლი 136 90
22-ე თავი - დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ (მოკლე მიმოხილვა) 92
გაუპატიურება – მუხლი 137 93
სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედება – მუხლი 138 96
სქესობრივი კავშირის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედების იძულება – მუხლი 139 98
სექსუალური კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება 16 წლის ასაკს მიუღწეველთან – მუხლი 140 99
გარყვნილი ქმედება – მუხლი 141 100
23-ე თავი - დანაშაული ადამიანის უფლებისა და თავისუფლების წინააღმდეგ (ზოგადი მიმოხილვა) 101
ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა – მუხლი 142 102
თავისუფლების უკანონო აღკვეთა – მუხლი 143 105
მძევლად ხელში ჩაგდება – მუხლი 144 107
დანაშაულის პროვოკაცია – მუხლი 145 110
უდანაშაულო პირის განზრახ მიცემა სისხლის სამართლის პასუხისგებაში – მუხლი 146 111
განზრახ უკანონო დაკავება ან დაპატიმრება – მუხლი 147 114
ცილისწამება – მუხლი 148 116
უკანონო მოთავსება ფსიქიატრიულ საავადმყოფოში – მუხლი 149 117
იძულება – მუხლი 150 119
მუქარა – მუხლი 151 120
ადგილსამყოფელის თავისუფლად არჩევის უფლების ხელყოფა – მუხლი 152 122
სიტყვის თავისუფლების ხელყოფა – მუხლი 153 124

ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ
ხელის შეშლა – მუხლი 154 125
რელიგიური წესის აღსრულებისათვის უკანონოდ ხელის
შეშლა – მუხლი 155 127
დევნა – მუხლი 156 128
პირადი ან ოჯახური საიდუმლოს ხელყოფა – მუხლი 157 129
კერძო საუბრის საიდუმლოების დარღვევა – მუხლი 158 132
პირადი მიმოწერის, ტელეფონით საუბრის ან სხვაგვარი ხერხით
შეტყობინების საიდუმლოების დარღვევა – მუხლი 159 133
ბინის ან სხვა სამფლობელოს ხელშეუხებლობის დარღვევა – მუხლი 160 135
შეცრების ან მანიფესტაციის უფლების ხელყოფა – მუხლი 161 138
არჩევნებში, რეფერენდუმში ან პლებისციტში ნების განხორციელებისათვის
ხელის შეშლა – მუხლი 162 140
საარჩევნო ან სარეფერენდუმო კომისიის
მუშაობისათვის ხელის შეშლა – მუხლი 163 141
ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა, ხმების არასწორად დათვლა
ან არჩევნების შედეგების არასწორად შეჯამება – მუხლი 164 143
გაფიცვის უფლების ხელყოფა – მუხლი 165 145
პოლიტიკური, საზოგადოებრივი ან რელიგიური გაერთიანების
შექმნისათვის თუ საქმიანობისათვის ხელის შეშლა – მუხლი 166.....147
ინფორმაციის გაცნობაზე უარის თქმა ან
არასწორი ინფორმაციის წარდგენა – მუხლი 167 149
შრომის თავისუფლების ხელყოფა – მუხლი 168 151
შრომის კანონმდებლობის დარღვევა – მუხლი 169 152
შრომის დაცვის წესების დარღვევა – მუხლი 170 154
24-ე თავი – დანაშაული ოჯახისა და
არასრულწლოვნის წინააღმდეგ
(მოკლე მიმოხილვა) 157
არასრულწლოვნის ჩაბმა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში – მუხლი 171 158
არასრულწლოვნით ვაჭრობა – მუხლი 172 159
შვილად ან შვილობილად აყვანის წესის დარღვევა – მუხლი 173 161
ბავშვის შეცვლა – მუხლი 174 163
შვილად აყვანის საიდუმლოების გამჟღავნება – მუხლი 175 163
ალიმენტის გადახდისათვის ჯიუტად თავის არიდება – მუხლი 176 165

VIII ᲙᲐᲠᲘ – ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘ

25-ე თავი – დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ
(მოკლე მიმოხილვა) 167
ქურდობა – მუხლი 177 170

ძარცვა – მუხლი 178 174
ყაჩაღობა - მუხლი 179 176
თაღლითობა – მუხლი 180 178
გამოძალვა – მუხლი 181 180
მითვისება ან გაფლანგვა – მუხლი 182 182
განსაკუთრებული ისტორიული, კულტურული, მეცნიერული ან ეროვნული
ღირებულების ნივთის ან დოკუმენტის დაუფლება
მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით – მუხლი 183 185
ავტომობილის ან სხვა მექანიკური სატრანსპორტო საშუალების
მართლსაწინააღმდეგო დაუფლება მისაკუთრების
მიზნის გარეშე – მუხლი 184 186
ქონებრივი დაზიანება მოტყუებით – მუხლი 185 188
წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით
მოპოვებული ნივთის შეძენა ან გასაღება – მუხლი 186 190
ნივთის დაზიანება ან განადგურება – მუხლი 187 191
ნივთის დაზიანება ან განადგურება გაუფრთხილებლობით – მუხლი 188 193
ინტელექტუალური საკუთრების უფლების ხელყოფა – მუხლი 189 194
26-ე თავი – დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური
საქმიანობის წინააღმდეგ
(ზოგადი მიმოხილვა) 196
კანონიერი სამეწარმეო საქმიანობისათავის ხელის შეშლა – მუხლი 190 198
მიწასთან დაკავშირებული გარიგების უკანონო რეგისტრაცია – მუხლი 191 200
უკანონო სამეწარმეო საქმიანობა – მუხლი 192 203
ცრუ მეწარმეობა – მუხლი 193 205
უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია – მუხლი 194 207
მონოპოლიური საქმიანობის ან კონკურენციის შეზღუდვა – მუხლი 195 208
სასაჩონლო (მომსახურების) ნიშნის უკანონო გამოყენება – მუხლი 196 215
ფალსიფიკაცია – მუხლი 197 217
ადამიანის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში პროდუქციის
დამზადება, შემოტანა ან რეალიზაცია – მუხლი 198 218
ეკომარკით უკანონოდ სარგებლობა – მუხლი 199 220
მარკირებას დაქვემდებარებული უცხოური საჭონლის აქციზური მარკის გარეშე
გამოშვება, შენახვა, რეალიზაცია ან გადაზიდვა – მუხლი 200 222
ყალბი რეკლამა – მუხლი 201 224
კომერციული ან საბანკო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის
უკანონოდ შეგროვება ან გავრცელება – მუხლი 202 226
პროფესიული სპორტული შეჯიბრის ან კომერციულ-სანახაობითი კონკურსის
მონაწილის ან ორგანიზატორის მოსყიდვა – მუხლი 203 228
საბუღალტრო წიგნის წარმოების წესის დარღვევა – მუხლი 204 230

უკანონო ჩხრეკა გაკოტრებისას – მუხლი 205 232
საბუღალტრო წიგნის წარმოების წესის დარღვევა გაკოტრებისას – მუხლი 206 236
განცხადების შეუტანლობა გაკოტრებისას – მუხლი 207 237
27-ე თავი – დანაშაული ფულად-საკრედიტო სისტემაში
(მოკლე მიმოხილვა) 239
კრედიტის უკანონოდ მიღება – მუხლი 208 241
ძვირფასი ლითონის სინჯის აღმნიშვნელი სახელმწიფო დამღის დამზადების
ან გამოყენების წესის დარღვევა – მუხლი 209 243
ყალბი საკრედიტო ან საანგარიშსწორებო ბარათის
დამზადება ან გასაღება – მუხლი 210 245
ჩეკის ან საკრედიტო ბარათის ბოროტად გამოყენება – მუხლი 211 247
ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდის დამზადება ან გასაღება – მუხლი 212 248
ფასიანი ქაღალდების ბაზრის წესის დარღვევა – მუხლი 213 250
28-ე თავი – დანაშაული საფინანსო საქმიანობის სფეროში
(მოკლე მიმოხილვა) 252
საბაჟო წესის დარღვევა – მუხლი 214 254
საქართველოს ან უცხო ქვეყნის ხალხთა კუთვნილი მშვენიერული, ისტორიული
ან არქეოლოგიური ღირებულების მქონე ნივთის საქართველოში
დაუბრუნებლობა – მუხლი 215 257
საქართველოს ტერიტორიაზე მიმოქცევაში არსებული ეროვნული ვალუტის
გამოყენების წესის დარღვევა – მუხლი 216 259
საზღვარგარეთიდან უცხოურ ვალუტაში თანხის
დაუბრუნებლობა – მუხლი 217 261
გადასახადისათვის თავის არიდება – მუხლი 218 263
მოშმარების მოტყუება – მუხლი 219 265
29-ე თავი – დანაშაული სამეწარმეო ან სხვა
ორგანიზაციაში სამსახურის ინტერესის წინააღმდეგ
(ზოგადი მიმოხილვა) 268
უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება – მუხლი 220 269
კომერციული მოსყიდვა – მუხლი 221 272

მეცხრე კარი – დანაშაული საზოგადოებრივი
უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ
30-ე თავი – დანაშაული საზოგადოებრივი
უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ
(მოკლე მიმოხილვა) 275
ტელერადიომაუწყებლობის ან კავშირგაბმულობის დაწესებულების
ანდა სტრატეგიული ან განსაკუთრებული მნიშვნელობის
ობიექტის ხელში ჩაგდება ან ბლოკირება – მუხლი 222 276

უკანონო შეთანხმება ფორმირების შექმნა ან ხელმძღვანელობა ანდა მასში მონაწილეობა – მუხლი 223 277
ბანდიტიზმი – მუხლი 224 279
მასობრივი არეულობა – მუხლი 225 282
ჯგუფური მოქმედების ორგანიზება, რომელიც არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს ან მასში აქტიური მონაწილეობა – მუხლი 226 284
საჰაერო ან წყლის ხომალდის ანდა რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება – მუხლი 227 286
მეკობრეობა – მუხლი 228 287
აფეთქება – მუხლი 229 288
ბირთვული მასალის ან მოწყობილობის, რადიაქტიური ნარჩენის, რადიაქტიური ნივთიერების ან მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროსადმი უკანონო მოპყრობა – მუხლი 230 289
ბირთვული მასალის, რადიაქტიური ნივთიერების ან მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროს ხელში ჩაგდება – მუხლი 231 292
ბირთვული იარაღის ან სხვა ბირთვული ასაფეთქებელი მოწყობილობის დამზადება – მუხლი 232 292
ბირთვულ ან რადიაქტიურ ობიექტებზე ავარიის ან უბედური შემთხვევის შესახებ ინფორმაციის დაფარვა ან დამახინჯება – მუხლი 233 294
საქართველოს ტერიტორიაზე რადიაქტიური, ტოქსიკური სამრეწველო ან საყოფაცხოვრებო ნარჩენის ტრანზიტი ან იმპორტი – მუხლი 234 295
მასობრივი განადგურების იარაღის, შეიარაღების ან სამხედრო ტექნიკის შესაქმნელი ტექნოლოგიის, მეცნიერულ-ტექნიკური ინფორმაციის ან მომსახურების უკანონო ექსპორტი – მუხლი 235 297
ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება, დამზადება, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება – მუხლი 236 299
იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება მისაკუთრების მიზნით ან გამოძალვა – მუხლი 237 302
ცეცხლსასროლი იარაღის დაუდევრად შენახვა – მუხლი 238 305
ხულიგნობა – მუხლი 239 307
31-ე თავი – სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევა
სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევა – მუხლი 240 309

ატომური ენერგეტიკის ობიექტზე უსაფრთხოების წესის
დარღვევა – მუხლი 241 311
აფეთქებასაშიშ საწარმოში ან სამქროში უსაფრთხოების
წესების დარღვევა – მუხლი 242 313
სახანძრო უსაფრთხოების წესის დარღვევა – მუხლი 243 314
ფეთქებადი, ადვილაალებადი, მწვავე ნივთიერების ან პიროტექნიკური ნაკეთობის,
აღრიცხვის, შენახვის, გადაზიდვის, გამოყენების ან გადაგზავნის
წესის დარღვევა – მუხლი 244 316
ბირთვული მასალის, რადიაქტიური ნარჩენის, რადიაქტიური ნივთიერების
ან მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროსადმი მოპყრობის
წესების დარღვევა – მუხლი 245 318
32-ე თავი – დანაშაული მოსახლეობის ჯანმრთელობისა
და საზოგადოებრივი ზნეობის წინააღმდეგ 321
უკანონო საექიმო ან ფარმაცევტული საქმიანობა – მუხლი 246 322
სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემქმნელი გარემოების
შესახებ ინფორმაციის დამალვა ან გაყალბება – მუხლი 247 324
სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური წესის დარღვევა – მუხლი 248 327
შხამის ბრუნვის წესის დარღვევა – მუხლი 249 329
შხამის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება ან გამოძალვა – მუხლი 250 330
უსაფრთხოების მოთხოვნებთან შეუსაბამო, უხარისხო საქონლის გამოშვება
ან გაყიდვა, ანდა უხარისხო სამუშაოს შესრულება
ან უხარისხო მომსახურების გაწევა – მუხლი 251 331
უკანონო გაერთიანების შექმნა ან ხელმძღვანელობა ანდა მასში
მონაწილეობა – მუხლი 252 334
პროსტიტუციაში ჩაბმა – მუხლი 253 335
პროსტიტუციის ბინის მოწყობა ან შენახვა – მუხლი 254 336
პორნოგრაფიული ნაწარმოების ან სხვა საგნის
უკანონო დამზადება ან გასაღება – მუხლი 255 337
ისეთი ნაწარმოების დამზადება ან გავრცელება, რომელიც პროპაგანდას უწევს
ძალადობის და სისასტიკის კულტს – მუხლი 256 338
ისტორიის, კულტურის ან ბუნების ძეგლის დაზიანება ან
განადგურება – მუხლი 257 340
მიცვალებულისადმი უპატივცემულობა – მუხლი 258 341
ცხოველისადმი სასტიკი მოპყრობა – მუხლი 259 343
33-ე თავი – ნარკოტიკული დანაშაული 344
ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო
დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა,
გადაგზავნა ან გასაღება – მუხლი 260 345

ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება – მუხლი 261 349
საქართველოში ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონოდ შემოტანა, საქართველოდან უკანონოდ გატანა ან ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვა – მუხლი 262 351
საქართველოში ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების დიდი ოდენობით უკანონოდ შემოტანა, საქართველოდან უკანონოდ გატანა ან ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვა – მუხლი 263 352
ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის, ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება ან გამოძალვა – მუხლი 264 354
ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვა, მოყვანა ან კულტივირება – მუხლი 265 356
ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის, ფსიქოტროპული ნივთიერების ან მისი ანალოგის უკანონო წარმოებისათვის ფარული ლაბორატორიის მოწყობა ან შენახვა – მუხლი 266 358
ნარკოტიკული საშუალების შესაძენად ყალბი რეცეპტის ან სხვა დოკუმენტის დამზადება გასაღების მიზნით ან გასაღება – მუხლი 267 360
ფსიქოტროპული ან ძლიერმოქმედი ნივთიერების შესაძენად ყალბი რეცეპტის ან სხვა დოკუმენტის დამზადება გასაღების მიზნით ან გასაღება – მუხლი 268 362
ნარკოტიკული საშუალების ან პრეკურსორის დამზადების, წარმოების, მიღების, აღრიცხვის, გაცემის, შენახვის, გადაზიდვის, გადაგზავნის ან შემოტანის წესის დარღვევა – მუხლი 269 362
ფსიქოტროპული ან ძლიერმოქმედი ნივთიერების დამზადების, წარმოების, მიღების, აღრიცხვის, გაცემის, შენახვის, გადაზიდვის, გადაგზავნის ან შემოტანის წესის დარღვევა – მუხლი 270 365
ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის უკანონოდ მოხმარებისათვის ბინის ან სხვა სადგომის დათმობა – მუხლი 271 365
ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის მოხმარებაზე დაყოლიება – მუხლი 272 367
პირადი მოხმარებისათვის ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მცირე ოდენობით უკანონო დამზადება, შეძენა, შენახვა ანდა ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება – მუხლი 273 368
იძულებითი მკურნალობისათვის თავის არიდება – მუხლი 274 369

34-ე თავი – სატრანსპორტო დახაოაული
(მოკლე მიმოხილვა) 370
რკინიგზის, წყლის, საჰაერო ან საბაგირო ტრანსპორტის მოძრაობის
უსაფრთხოებისა ან ექსპლოატაციის წესის დარღვევა
– მუხლი 275 371
ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლოატაციის წესის
დარღვევა – მუხლი 276 376
სატრანსპორტო საშუალების უხარისხო რემონტი, ტექნიკურად გაუმართავი
ტრანსპორტის საექსპლოატაციოდ გაშვება – მუხლი 277 378
სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციისათვის გაუვარგისება – მუხლი 278 380
გემის კაპიტნის მიერ განსაცდელში მიტოვება – მუხლი 279 383
ფრენის საერთაშორისო წესის დარღვევა – მუხლი 280 384
ტრანსპორტის უსაფრთხო მოძრაობის წესის დარღვევა – მუხლი 281 387
მატარებლის თვითნებური გაჩერება – მუხლი 282 388
მაგისტრალური მილსადენის მშენებლობის, ექსპლოატაციის ან რემონტის
უსაფრთხოების წესის დარღვევა – მუხლი 283 389
35-ე თავი – კომპიუტერული დანაშაული 392
კომპიუტერულ ინფორმაციასთან არამართლზომიერი შეღწევა – მუხლი 284 393
ეგმ-ის დამაზიანებელი პროგრამის შექმნა, გამოყენება ან
გავრცელება – მუხლი 285 397
ეგმ-ის, ეგმ-ის სისტემის ან მათი ჭრელის ექსპლოატაციის წესის
დარღვევა – მუხლი 286 399

მეათე კარი – დანაშაული გარემოს დაცვისა და
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის წესის წინააღმდეგ
36-ე თავი – დანაშაული გარემოს
დაცვის წესის წინააღმდეგ 401
სამუშაოს წარმოებისას გარემოს დაცვის წესის დარღვევა – მუხლი 287 407
გარემოსათვის საშიში ნივთიერებისადმი ან ნარჩენებისადმი მოპყრობის
წესის დარღვევა – მუხლი 288 410
მიკრობიოლოგიური ან სხვა ბიოლოგიური აგენტისადმი ან ტოქსინისადმი
მოპყრობის წესის დარღვევა – მუხლი 289 413
საეტერინარო წესის ანდა მცენარის დაავადებასთან ან მავნებელთან
ბრძოლის წესის დარღვევა – მუხლი 290 415
წყლით სარგებლობის წესის დარღვევა – მუხლი 291 419
წყლის დაბინძურება – მუხლი 292 419
ზღვის დაბინძურება – მუხლი 293 422
ადამიანის ჯანმრთელობისათვის ან ზღვის ცოცხალი ორგანიზმისათვის მავნე
ნივთიერების ანდა სხვა ნარჩენის ან მასალის ზღვაში ჩაყრის

შესახებ შეუტყობინებლობა იმ თანამდებობის პირის მიერ,
რომელსაც ეს ევალება – მუხლი 294 425
ატმოსფერული ჰაერის გაბინძურება – მუხლი 295 427
საქართველოს კონტინენტური შელფის, ტერიტორიული წყლების ან
განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის კანონმდებლობის
დარღვევა – მუხლი 296 429
მიწის გაუვარგისება – მუხლი 297 431
წიაღისეულის გამოყენების ან დაცვის წესის დარღვევა – მუხლი 298 433
წიაღით უკანონოდ სარგებლობა – მუხლი 299 435
თევზის ან წყლის სხვა ცოცხალი ორგანიზმის უკანონოდ
მოპოვება – მუხლი 300 436
უკანონო ნადირობა – მუხლი 301 439
საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი, საფრთხის წინაშე მყოფი ველური
მცენარის ან გარეული ცხოველის ადგილსამყოფლის
მოშლა – მუხლი 302 442
ხე-ბუჩქნარის უკანონო გაჩეხვა – მუხლი 303 443
ტყის ან ნარგავის დაზიანება ან განადგურება – მუხლი 304 446
დაცული ტერიტორიის რეჟიმის დარღვევა – მუხლი 305 447
პირველი კატეგორიის საქმიანობის განხორციელება გარემოს დაცვითი
ნებართვის გარეშე – მუხლი 306 449

მეთერთმეტე ქარი – დანაშაული სახელმწიფოს წინააღმდეგ

37-ე თავი – დანაშაული საქართველოს კონსტიტუციური
წყობილებისა და უშიშროების საფუძვლების წინააღმდეგ
(მოკლე მიმოხილვა) 451
სახელმწიფო ღალატი – მუხლი 307 453
საქართველოს ტერიტორიული ხელშეუხებლობის დარღვევა – მუხლი 308 454
ანტიკონსტიტუციური ხელშეკრულების დადება ან მოლაპარაკების
წარმოება – მუხლი 309 456
საქართველოს საგარეო უშიშროების ხელყოფა – მუხლი 310 459
უცხოეთის სადაზვერვო სამსახურში შესვლა – მუხლი 311 462
საქართველოს თავდაცვისუნარიანობის ხელყოფა – მუხლი 312 463
სახელმწიფო საიდუმლოების გაცემა – მუხლი 313 466
ჯაშუშობა – მუხლი 314 468
შეთქმულება ან ამბოხება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების
ძალადობით შესაცვლელად – მუხლი 315 470
სამხედრო ხელმძღვანელობის უკანონოდ ხელში ჩაგდება ან კანონიერი
ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობა – მუხლი 316 473

მოწოდება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შეცვლისაკენ ან სახელმწიფო ხელისუფლების დამხობისაკენ – მუხლი 317 475
საბოტაჟი – მუხლი 318 476
უცხო ქვეყნისათვის, უცხოეთის ორგანიზაციისათვის ან უცხოეთის კონტროლს დაქვემდებარებული ორგანიზაციისათვის მტრულ საქმიანობაში დახმარება – მუხლი 319 479
სახელმწიფო საიდუმლოების გახმაურება – მუხლი 320 480
სახელმწიფო საიდუმლოების დაკვის წესის დარღვევა – მუხლი 321 482
სახელმწიფოს წინააღმდეგ დანაშაულის ქმედითი მონანიება – მუხლი 322 484
38-ე თავი – ტერორიზმი
(მოკლე მიმოხილვა) 485
ტერორისტული აქტი – მუხლი 323 487
ტექნოლოგიური ტერორიზმი – მუხლი 324 490
საქართველოს პოლიტიკური თანამდებობის პირზე თავდასხმა – მუხლი 325 491
საერთაშორისო დაცვით მოსარგებლე პირზე ან დაწესებულებაზე თავდასხმა – მუხლი 326 493
ტერორისტული ორგანიზაციის შექმნა ან ხელმძღვანელობა, ანდა მასში მონაწილეობა – მუხლი 327 495
უცხო ქვეყნის ტერორისტულ ორგანიზაციაში ან უცხოეთის კონტროლს დაქვემდებარებულ ასეთ ორგანიზაციაში გაერთიანება ანდა მისი დახმარება – მუხლი 328 496
მძევლად ხელში ჩაგდება ტერორისტული მიზნით – მუხლი 329 498
სტრატეგიული ან განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტის ხელში ჩაგდება ან ბლოკირება ტერორისტული მიზნით – მუხლი 330 500
ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინება – მუხლი 331 501
39-ე თავი – სამოხელეო დანაშაული
(ზოგადი მიმოხილვა) 503
საშახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება – მუხლი 332 508
საშახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება – მუხლი 333 511
ეკვმიტანილის ან ბრალდებულის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან უკანონო გათავისუფლება – მუხლი 334 514
ჩვენების ან დასკვნის მიცემის იძულება – მუხლი 335 515
უკანონო განაჩენის ან სხვა სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანა – მუხლი 336 517
სამეწარმეო საქმიანობაში უკანონო მონაწილეობა – მუხლი 337 519
ქრთამის აღება – მუხლი 338 521
ქრთამის მიცემა – მუხლი 339 527
კანონით აკრძალული საჩუქრის მიღება – მუხლი 340 529
საშახურებრივი სიყალბე – მუხლი 341 529

სამსახურებრივი გულგრილობა – მუხლი 342 532
მე-40 თავი – დანაშაული
მმართველობის წესის წინააღმდეგ
(მოკლე მიმოხილვა) 534
საქართველოს სახელმწიფო გერბისა ან დროშის შებღალვა – მუხლი 343 535
საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთა – მუხლი 344 537
საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ შეცვლა – მუხლი 345 539
საქართველოს სახელმწიფო ალმის უკანონოდ აღმართვა – მუხლი 346 540
შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარების წესის დარღვევა – მუხლი 347 541
გაფიცვის წესის დარღვევა – მუხლი 348 543
საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის მოთხოვნის
შეუსრულებლობა – მუხლი 349 544
საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიისათვის ცრუ
ახსნა-განმარტების მიცემა – მუხლი 350 545
საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის
მონაცემის გახმაურება – მუხლი 351 546
სახალხო დამცველზე ზემოქმედება – მუხლი 352 547
წინააღმდეგობა, მუქარა ან ძალადობა საზოგადოებრივი წესრიგის დამცველის ან
ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის მიმართ – მუხლი 353 549
სამართალდამცავი ან მაკონტროლებელი ორგანოს მოხელის მიმართ
გამოყენებული დაცვის ზომის შესახებ მონაცემის
გახმაურება – მუხლი 354 551
ქონებრივი მდგომარეობის ან საფინანსო დეკლარაციის წარუდეგენლობა ანდა
დეკლარაციაში არასრული ან არასწორი მონაცემების შეტანა
– მუხლი 355 553
წვევამდელის მიერ სამხედრო ან ალტერნატიული შრომითი სამსახურისათვის
თავის არიდება – მუხლი 356 554
სამხედროვალდებულის მიერ სასწავლო ან სამხედრო შეკრებისათვის თავის
არიდება – მუხლი 357 556
მობილიზაციით გაწვევისათვის თავის არიდება – მუხლი 358 558
ომიანობის დროს ბეგარის შესრულებისათვის ან გადასახადის გადახდისათვის
თავის არიდება – მუხლი 359 560
თვითნებობა – მუხლი 360 561
ოფიციალური დოკუმენტის ან სახელმწიფო ჯილდოს შეძენა ან
გასაღება – მუხლი 361 563
ყალბი დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადება ან
გამოყენება – მუხლი 362 564
დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის მართლსაწინააღმდეგო
მისაკუთრება – მუხლი 363 567

მეთორმეტე კარი – დანაშაული სასამართლო
ხელისუფლების წინააღმდეგ
41-ე თავი – დანაშაული სასამართლო
ორგანოების საქმიანობის წინააღმდეგ
(მოკლე მიმოხილვა) 569
სამართალწარმოების განხორციელებისათვის ან წინასწარი გამოძიებისათვის
ხელის შეშლა – მუხლი 364 570
მუქარა ან ძალადობა სამართალწარმოების განხორციელებასთან ან წინასწარ
გამოძიებასთან დაკავშირებით – მუხლი 365 573
სასამართლოს უპატივცემულობა – მუხლი 366 577
საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის, მოსამართლის, მაჯულის,
სამართალწარმოების ანდა სისხლის სამართლის
პროცესის სხვა მონაწილის უსაფრთხოების დაცვის
საიდუმლოების გახმაურება – მუხლი 367 578
42-ე თავი – დანაშაული მტკიცებულების
მოპოვების საპროცესო წესის წინააღმდეგ
(მოკლე მიმოხილვა) 580
მტკიცებულების განადგურება – მუხლი 368 581
მტკიცებულების ფალსიფიკაცია – მუხლი 369 582
ცრუ ჩვენება, ყალბი დასკვნა ან არასწორი თარგმანი – მუხლი 370 585
მოწმის ან დაზარალებულის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმა – მუხლი 371 587
მოწმის, დაზარალებულის, ექსპერტის ან თარჯიმნის მოსყიდვა ან იძულება –
მუხლი 372 588
ცრუ დასმენა – მუხლი 373 590
43-ე თავი – დანაშაულის დროულად აღკვეთისა
და გახსნის წინააღმდეგ მიმართული ქმედება
(მოკლე მიმოხილვა) 591
მოკვლევის ან წინასწარი გამოძიების მონაცემის გახმაურება – მუხლი 374 592
დანაშაულის დაფარვა – მუხლი 375 594
დანაშაულის შეუტყობინებლობა – მუხლი 376 595
44-ე თავი – დანაშაული სასამართლო
აქტების აღსრულების წინააღდეგ
(მოკლე მიმოხილვა) 598
უკანონო ქმედება აღწერილ, ყადაღადადებულ ან საპროცესო კონფისკაციით
განსაზღვრულ ქონებასთან დაკავშირებით – მუხლი 377 598
წინასწარი პატიმრობის ან სასჯელაღსრულების დაწესებულების საქმიანობისათვის
ხელის შეშლა ან ამ საქმიანობის დეზორგანიზაცია – მუხლი 378 601
თავისუფლების აღკვეთის მოხდის ადგილიდან, პატიმრობიდან ან ბადრაგირებისას
გაქცევა – მუხლი 379 604

სამხედრო ჭრილების შენახვის წესის დარღვევა – მუხლი 399 646
მანჭანის მართვის ან ექსპლოატაციის წესის დარღვევა – მუხლი 400 647
საფრენი აპარატის მართვის ან ექსპლოატაციის წესის დარღვევა – მუხლი 401 648
ხომალდის მართვის ან ექსპლოატაციის წესის დარღვევა – მუხლი 402 650
გარშემომყოფთათვის მომეტებული საშიშროების შემცველ იარაღთან
მოპყრობის წესის დარღვევა – მუხლი 403 651

მეთოთხმეტე კარი – დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ
47-ე თავი – დანაშაული კაცობრიობის მშვიდობის,
უშიშროებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული
სამართლის წინააღმდეგ 654
აგრესიული ომის მომზადება, ან წარმოება – მუხლი 404 658
მოწოდება აგრესიული ომის გაჩაღებისაკენ – მუხლი 405 660
მასობრივი განადგურების იარაღის დამზადება, შეძენა ან გასაღება –
მუხლი 406 661
გენოციდი – მუხლი 407 663
დანაშაული ადამიანურობის წინააღმდეგ – მუხლი 408 666
ეკოციდი – მუხლი 409 667
დაჭრავებულის მონაწილეობა შეიარაღებულ კონფლიქტში ან
საომარ მოქმედებაში – მუხლი 410 669
საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების განზრახ დარღვევა
შეიარაღებული კონფლიქტის დროს – მუხლი 411 671
საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების განზრახ დარღვევა
სახელმწიფოთაშორისი ან შიდასახელმწიფოებრივი შეიარაღებული
კონფლიქტის დროს, ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნით ან
ფიზიკური დასახიჩრებით – მუხლი 412 676
საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების
სხვა დარღვევა – მუხლი 413 677
სარჩევი 680

გამომცემლობის რედაქტორები:
ავთანდილ ჟურაშვილი
თემურ ამყოლაძე

გადაეცა წარმოებას 05. 09. 99. ხელმოწერილია დასაბეჭდად 21. 04. 2000.
საბეჭდი ქაღალდი 60X90$^{1}/_{16}$. ფორმათა რაოდენობა 43,5.